წიგნები, რომლებზეც მსოფლიო დაპარაკობს

TOP თრილერი

★★★★★

სტივენ კინგი

სიზმართმჭერი

სტივენ კინგი

სიზმართმჭერი

ინგლისურიდან თარგმნა
პაატა ჩხეიძემ

ადინ

ეს მათი დევიზი გახდა. ჯოუნსი ვერაფრით იხსენებდა, რომელმა მათგანმა მოიგონა იგი. „ვალის დაბრუნება საზიზღრობაა" – მისი სიტყვებია. „ბარემ მიხმარე, ფრედი" და კიდევ ხუთი-ექვსი მსგავსი უხამსი მჭევრმეტყველება – ბივერს[1] ეკუთვნოდა. ჰენრიმ მათ ასწავლა: „რაც წრეზე ბრუნავს, ყველაფერი თავის ადგილს უბრუნდება" – ამგვარი ძენ-ბუდისტური სისულელეები ბავშვობიდან მოსწონდა. აი, ადინ კი... ნეტა საიდან მოვიდა ეს ადინ? რომელმა ჭკვიანმა მოიფიქრა?

ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. მთავარია, რომ როდესაც ოთხნი იყვნენ, მტკიცედ სწამდათ აბრევიატურის პირველი ნახევრის, როცა ხუთნი გახდნენ – ორივე ნახევრის, ხოლო კვლავაც კვარტეტად გადაქცევის შემდეგ – მეორე ნახევრის.

ოღონდ, ბოლო პერიოდში სიბნელემ იმატა. სადღა იყო „ბარემ-მიხმარე-ფრედის" მსგავსი დღეები. ეს კი იცოდნენ, მაგრამ ვერაფ-

[1] თახვი

რით გაეგოთ – რატომ. რაღაც ცუდი ემართებოდათ, უკეთეს შემთხვევაში – რაღაც განსხვავებული, რაშიც ვერ გარკვეულიყვნენ. თავს ხაფანგში გაბმულებივით გრძნობდნენ, მაგრამ დაზუსტებით ვერაფერს ამბობდნენ. ეს ჯერ კიდევ ცაში ნათების გამოჩენამდე ხდებოდა. მაკარტიმდე და ბეკი შუმდე.

ადინ: ზოგჯერ ეს მხოლოდ სიტყვებია. ზოგჯერ გჯერა, რომ არც არაფერია სიბნელის გარდა. და მაშინ როგორღა უნდა იცხოვრო ძველებურად?

1988: თახვიც კი მოიწყენს ხოლმე

რომ ვთქვათ, – ბივერის ქორწინება შეცდომა იყოო, იგივე იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ჩელენჯერის“[2] დაშვებამ თითქმის ვერ გაამართლა. ჯო ბივერ კლარენდონისა და ლორი სიუ კენოპენსკის სიყვარულმა რვა თვეს გაუძლო, შემდეგ კი გაქრა და იქნებ, ვინმე დამეხმაროთ მისი დაფანტული ნამსხვრევების შეგროვებაში.

საერთოდ, ბივი მხიარული ახალგაზრდაა, ამას მისი ყველა განუყრელი მეგობარი დაგიდასტურებთ, მაგრამ ცუდი ხანა დაუდგა. ძველ მეგობრებს აღარ ხვდება (ანუ მათ, ვისაც ნამდვილ მეგობრებად მიიჩნევს), თუ არ ჩავთვლით იმ ერთ კვირას, ყოველი წლის ნოემბერში რომ იკრიბებიან. გასულ წელს ის და ლორი სიუ კვლავაც ერთ თოკში იყვნენ ჩაბმული. მართალია, თოკი თანდათან ილეოდა, მაგრამ ჯერ არ გამწყდარიყო. ახლა კი ის ძალიან დიდ დროს ატარებს – და ამას თვითონაც ხვდება – პორტლენდის ძველი ნავსადგურის ბარებში, „პორტჰოულში“, „სიმენსქლაბსა“ და „ფრისტრიტპაბში“. უზომოდ ბევრს სვამს, მოსაწევსაც ეწევა და დილაობით სულ

[2] აშშ-ის კოსმოსური ხომალდი.

უფრო ხშირად აქცევს ზურგს სააბაზანოში ჩამოკიდებულ სარკეს: მისი ჩასისხლიანებული თვალები საკუთარ გამოსახულებას გაურბის და განზე იყურება. მხოლოდ ერთი საფიქრალი აქვს: „დასწყევლოს ღმერთმა ეს ბარები და კლუბები – დროზე უნდა შევეშვა, თორემ პიტივით, პრობლემებს ავიკიდებ“.

კლუბებში წანწალსა და დალევაზე უარის თქმა, გაგიხარია, კარგი აზრია, მაგრამ დღე დღეს მისდევს და ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ამ ხუთშაბათს „ფრისტრიტპაბის“ ჯერია და ეშმაკმა წაიღოს, თუ იქ არ მოკალათდა, ხელში კათხა ლუდითა და ჯიბეში მოსაწევით. მუსიკალური ავტომატიდან ძველებური მელოდია ისმის, „ვენჩერსის“[3] მიერ ოდესღაც შესრულებულს რაღაცით წააგავს. ჯგუფის სახელს ვერ იხსენებს, ის ჯერ კიდევ მის დაბადებამდე იყო პოპულარული, მაგრამ ცნობს, რადგან ცოლთან გაყრის შემდეგ ხშირად უსმენს პორტლენდის რადიოთი რეტრომუსიკას. ძველებური ჰიტები ამშვიდებს. ახალი აბდაუბდა კი... ლორი სიუს ისინი მოსწონდა და უსმენდა, ბივერის გულს კი, რატომღაც, არ ეკარებოდა.

„ფრისტრიტი“ თითქმის ცარიელია: ხუთი-ექვსი კაცი თუ იქნება დახლთან და იმდენივე – უკანა ოთახში, ბილიარდის მაგიდებთან. ბივერი და მისი სამი განუყრელი მეგობარი ერთ-ერთ კაბინაში სხედან, „მილერსს“[4] ყლურწავენ და გაქონილ კარტს ჩეხენ, რათა წილი ჰყარონ, თუ ვის მოუწევს შემდეგი შეკვეთის გადახდა. ეს რა მელოდია ისმის გიტარის თანხლებით? „საზღვრებს გარეშე“? „ტელსტარი“? არა, „ტელსტარში“ სინთეზატორია წამყვანი, აქ კი მსგავსი არაფერია. დანარჩენები ჯექსონ ბრაუნზე[5] ყბედობენ, რომელიც წუხელ მუნიციპალურ ცენტრში უკრავდა და თვითმხილველ ჯორჯ პელსენის თქმით, მაგარი შოუ მოაწყო.

---

[3] ამერიკული მუსიკალური ჯგუფი.

[4] დაბალკალორიული ლუდის სახეობა.

[5] ამერიკელი ვოკალისტი, გიტარისტი, კომპოზიტორი.

– გგონიათ, სულ ეს იყო? – ამბობს ჯორჯი და აშკარად შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს. წაწვეტებულ ნიკაპს მაღლა სწევს და კისერზე წითელ ლაქას აჩენს, – იცით, ეს რა არის?

– ვნებიანი კოცნა? – მორიდებით ეკითხება კენტ ასტორი.

– აუჰ, რა მიხვედრილი ხარ, შენი! .. – ამბობს ჯორჯი, – სპექტაკლის შემდეგ კულისებში ვყურყუტებდი ფანების ჯგუფთან ერთად, რომელიც ჯექსონის ავტოგრაფზე ნადირობდა. თუმცა, იქნებ, დევიდ ლინდლისაზეც[6]. ისიც მაგარია.

კენტი და შონ რობიდო ეთანხმებიან, რომ დევიდ ლინდლი მაგარია, მართალია, გიტარაზე ღმერთივით არ უკრავს (აი, მარკ ნოპფლერი „დაირ სტრეიტსიდან"[7].ღმერთია, ენგუს იანგიც AC/DC-დან[8], კლეპტონზე[9] რომ არაფერი ვთქვათ), მაგრამ კლასს არ ღალატობს. დიდებულად მეტყველებს, ტექნიკაც შესაშური აქვს – ყველა რომ ინატრებს, ისეთი.

ბივერი საუბარში არ მონაწილეობს. მას მხოლოდ აქედან, ამ აყროლებული, უბადრუკი ბარიდან თავის სწრაფად დაღწევა სურს, ხვდება, რის თქმას აპირებს ჯორჯი, რა ტყუილის თქმას.

მას შანტე არ ერქვა, არც კი იცი მისი სახელი. ისე ჩაგიარა, თითქოს იქ არც იყავი. ან კი რა ხარ შენ ასეთი გოგოსთვის? – კიდევ ერთი გრძელთმიანი მშრომელი ახალი ინგლისის პატარა ქალაქიდან, უინტერესო ცხოვრებით. „შანტე" იმ ჯგუფის სახელწოდებაა, რომელსაც ვუსმენთ, „შანტე" და არა „მარ-კეტსი" ან „ბარკისი". ეს „ფაიფლაინია" „შანტეს" შესრულებით. ეგ ლაქა კი, კისერზე, საპარსის კვალია და არა ვნებიანი კოცნის.

ამას ფიქრობს და ტირილი ესმის. ბარში კი არა, გონებაში. დიდი ხნის მივიწყებული ტირილი. პირდაპირ თავში ურტყამს, შუშის ნამსხვრევებივით ესობა და ოჰ, ბარემ მიხმარე, მიხმარე, ფრედი, ვინმემ

---

[6] ამერიკელი მუსიკოსი. როკისა და ქანთრის შემსრულებელი

[7] ინგლისური როკჯგუფი (1977)

[8] ავსტრალიური როკჯგუფი (1973)

[9] ინგლისელი გიტარისტი, მომღერალი, მუსიკოსი.

მაინც გააჩუმეთ.

მე შევძელი მისი დამშვიდება – ფიქრობს ბივერი, – მე მოვახერხე ეს. ხელში ავიყვანე და ვუმღერე.

ამასობაში კი ჯორჯ პელსენი აღწერს, როგორ გაიღო, ბოლოს და ბოლოს, საგრიმიოროს კარი, მაგრამ იქიდან არც ჯექსონ ბრაუნი გამოსულა და არც დევიდ ლინდლი, არამედ ბექ-ვოკალისტი გოგონების ტრიო – რენდი, სიუზი და შანტე. ეშხიანი, მოხდენილი, მადის აღმძვრელი ქალიშვილები გამოვიდნენ.

– აი, მესმის! – ოხრავს შონი და თვალებს ატრიალებს. შონი დაბალი და სქელოა. მისი სექსუალური თავგადასავლები ბოსტონში შემთხვევითი მგზავრობებით შემოიფარგლება, როცა თვალებით ჭამს „ფოქსი ლედის" სტრიპტიზიორ ქალებსა და „ჰუტერსის" ოფიციანტებს, – თვითონ შანტე?! – უხამსად ამოძრავებს ორივე თეძოს.

ამაში მაინც დაოსტატებულა, ფიქრობს ბივერი.

– გამოველაპარაკე, ძირითადად, შანტეს მივმართავდი... ვკითხე, ღამის პორტლენდის ნახვა ხომ არ აინტერესებდა. ასე რომ...

ბივერი ჯიბიდან კბილის ჩხირს იღებს, პირში იდებს და ამით ლაპარაკის გაგრძელების ხალისს უკარგავს ჯორჯს. ახლა კბილის ჩხირი უფრო საჭიროა, ვიდრე ლუდი, მოსაწევი ან ჯორჯ პელსენის ტრაბახი, თუ როგორ გამოძებნა მითურ შანტესთან საერთო ენა მისი პიკაპის ძარაში – მადლობა ღმერთს ამ თავშესაფრისთვის მაინც – და როგორ მძლავრად აქანავა აქეთ-იქით.

სისულელეა, ტყუილია, – ფიქრობს ბივერი და უეცრად საშინელი მოწყენილობა ეუფლება, უფრო ძლიერი, ვიდრე მაშინ, როდესაც ლორი სიუმ ბარგი ჩაალაგა და მშობლებთან წავიდა. ეს მის ხასიათში არ არის, მაგრამ ახლა საოცრად უნდა, სადმე გადაიკარგოს, ფილტვები ზღვის სუფთა, მარილიანი ჰაერით აივსოს, ტელეფონი იპოვოს, ჯოუნსის ან ჰენრის დაურეკოს, – სულერთია, რომელს, – და ჰკითხოს: აბა, ძველო, როგორაა საქმე? და პასუხიც მოისმინოს: შენც ხომ იცი, ბივ, ადინ. არ არის მოძრაობა, არ არის თამაში.

დგება.

– ეი, – ეძახის ჯორჯი. ბივერი ჯორჯთან ერთად „უესტბრუკ ჯუნიორ კოლეჯში" დადიოდა და მაგარ ბიჭადაც ეჩვენებოდა, მაგრამ ეს მრავალი კათხა ლუდის წინ იყო, – საით გაგიწევია?

– დასაცლელად, – პასუხობს ბივერი და პირში კბილის ჩხირს ატრიალებს.

– კარგი, მაგრამ შენი უკანალი მალე დააბრუნე, თორემ მთავარზე გადავდივარ, – ეუბნება ჯორჯი და ბივერი ტანგატრუსზე ფიქრობს. ჯანდაბა, დღეს რაღაც ჰაერი არ მოსწონს, ალბათ ამინდი იცვლება ან რაღაც ამგვარი ხდება.

ჯორჯი ხმას უდაბლებს:

– კაბა რომ ავუწიე...

– ვიცი, ტანგა ეცვა, – თავიდან იცილებს ბივერი და ჯორჯის გაოცებულ მზერას ყურადღებას არ აქცევს, – ამ ნაწილს სიამოვნებით მოვისმენდი.

საპირფარეშოსკენ მიემართება, სადაც შარდისა და დეზინფექციის მოყვითალო-მოვარდისფრო სუნი დგას. გასცდება, ქალების ტუალეტსაც ჩაუვლის, კარსაც, წარწერით „ოფისი", და გარეთ აღმოჩნდება. მონაცრისფრო, საწვიმრად გამზადებული ცაა, მაგრამ კარგი ჰაერია. ძალიან კარგი. ღრმად ჩაისუნთქავს და ფიქრებს უბრუნდება. არ არის მოძრაობა, არ არის თამაში. ოდნავ ეღიმება.

ათიოდე წუთი უმიზნოდ დახეტიალებს, კბილის ჩხირს ატრიალებს და გონების გაწმენდას ცდილობს. რაღაც მომენტში, ზუსტად არ ახსოვს, როდის, ჯიბიდან მოსაწევს იღებს, აგდებს და „მონუმენტსკვერის" სიახლოვეს მდებარე „ჯო სმოუქ შოფის" ფასიანი ავტომატიდან ჰენრის ურეკავს. ავტომოპასუხის მოლოდინშია, რადგან, წესით, ჰენრი უნივერსიტეტში უნდა იყოს, მაგრამ თურმე, უკვე სახლშია და ყურმილს მეორე ზარზევე იღებს.

– როგორ ხარ, ძველო? – ეკითხება ბივერი.

– თვითონაც იცი, – პასუხობს ჰენრი, – ახალი დღე, იგივე ნაგავი.

შენ თვითონ, ბივ?

ბივი თვალებს ხუჭავს. წამით ყველაფერი ისევ კარგადაა; ისე კარგად, როგორც ამ დაწყევლილ სამყაროში შეიძლება, იყოს.

– დაახლოებით ეგრე, მეგობარო, – ამბობს იგი, – თითქმის ეგრე.

1993: პიტი გასაჭირში ჩავარდნილ ქალ-ბატონს ეხმარება

პიტი ბრიჯტონში, „მაკდონალდ მოტორსის“ სადემონსტრაციო დარბაზის სიახლოვეს, მაგიდას უზის და ჩაფიქრებული ატრიალებს გასაღებების ასხმას, ბრელოკით, რომელზეც ცისფერი ემალით ოთხი ასოა გამოყვანილი: NASA.[10]

ოცნება მეოცნებეზე სწრაფად ბერდება – ეს უტყუარი ცხოვრებისეული გამოცდილება პიტმა წლების შემდეგ მიიღო – მაგრამ მწუხარედ, ნელა და მძიმედ კვდება ტვინის ღრმა კუნჭულებში. დიდი ხანია, პიტს საძინებელ ოთახში არ უძინია, იქაურობა სურათებითაა სავსე. ფოტოებზე გამოსახულია „აპოლოსა“[11] და „სატურნის“[12] ასტრონავტები და მათი გასვლა კოსმოსში (კოსმოსური მფრინავი აპა-

[10] აშშ-ის აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნული სამმართველო.

[11] აშშ-ის კოსმოსური ხომალდი.

[12] კოსმოსური ხომალდის რაკეტა-მატარებელი.

რატის ბორტს მიღმა მუშაობა), ასევე, კოსმოსური კაფსულები თავისი გარსიანად, რომელიც ატმოსფეროს მჭიდრო ფენებში შესვლისას, ზემაღალ ტემპერატურაზე დნება, მთვარის მოდულები, „ვოიაჯერები“[13] და მე-80 მაგისტრალის თავზე დაკიდებული მბრწყინავი დისკო. იმ ფოტოზე ჩანს მანქანებით გადატვირთული გზა და ავტოებიდან გადმოსული ადამიანები, ძლიერი შუქისგან თვალებს ხელით რომ იჩრდილავენ. ზედ წარწერაა: ეს ობიექტი გადაღებულია კოლორადოს შტატის ქალაქ არვადის სიახლოვეს, 1971 წელს და დღემდე ამოუცნობია. ეს ნამდვილი ამოა.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

ორკვირიანი შვებულებიდან ერთი კვირა ვაშინგტონში გაატარა, კოლუმბიის ოლქში, სადაც ყოველდღიურად დადიოდა სმითსონის ავიაციისა და კოსმონავტიკის ეროვნულ მუზეუმში, გაოცებული ღიმილით დახეტიალებდა ექსპონატებს შორის. მიაჩერდებოდა მთვარის ქვებს და ფიქრობდა: ეს ქვები იქიდანაა ჩამოტანილი, სადაც ცა ყოველთვის შავია და დამთრგუნველი, სამარისებური სიჩუმე მეფობს. ნილ არმსტრონგმა და ბაზ ოლდრინმა[14] ოცი კილოგრამი სხვა სამყარო ჩამოიტანეს და ახლა ის აქაა.

თვითონაც აქ არის, მაგიდას უზის იმ დღეს, როცა ერთი მანქანის გაყიდვაც ვერ მოახერხა (ადამიანებს წვიმიან ამინდში მანქანების ყიდვა რატომღაც არ მოსწონთ, პიტის მხარეს კი წვიმა ადრეული საღამოდან დაიწყო), ხელში NASA–ს ბრელოკიან გასაღებების ასხმას ათამაშებს და წამდაუწუმ საათს უყურებს. ასეთ დღეებში დრო საოცრად ნელა გადის, ხუთის მოახლოებასთან ერთად კი სულაც ჩერდება. ხუთ საათზე პირველი კათხა ლუდის დალევის დრო დგება. იქამდე არ შეიძლება. ერთიც კი. თუ დილიდანვე სვამ, ადრე თუ გვიან, მოგიწევს დაითვალო, რამდენი დალიე, რადგან სწორედ ასე იქცევიან ლოთები. თუ შეგიძლია, რომ დაელოდო... გასაღებების ასხმა

[13] მზის სისტემის საკვლევი 723-ტონიანი ზონდი.

[14] ამერიკელი კოსმონავტები, რომლებიც პირველები დასხდნენ მთვარეზე.

ატრიალო და ელოდო...

პიტი ნოემბრის დადგომას ისე ელოდება, როგორც პირველ კათხა ლუდს. აპრილში ვაშინგტონში გამგზავრებამ გაამართლა, მთვარის ქვებმა წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა (მათზე ფიქრისას ყოველთვის აღფრთოვანებულია), მაგრამ მარტო იყო, მარტოობა კი კარგი არ არის. ნოემბერში, როდესაც კუთვნილი შვებულების მეორე კვირას აიღებს, ჰენრის, ჯოუნსსა და ბივთან ერთად იქნება. აი, მაშინ კი მისცემს თავს დათრობის უფლებას. როდესაც ტყეში ხარ და მეგობრებთან ერთად ნადირობ, დილიდან სმა ბუნებრივია. ეს, პრაქტიკულად, ტრადიციაც კია. ეს...

კარი იღება და მიმზიდველი ქერა ქალიშვილი შემოდის, ოცდაათიოდე წლის, დაახლოებით ხუთი ფუტისა და ათი დუიმის (პიტს მოსწონს მაღლები). იგი გამოფენილ მოდელებს ათვალიერებს (ახალი, მუქი ბურგუნდიული „ტანდერბერდი"[15] სეზონის მშვენებაა. თუმცა მას არც „ექსპლორერი"[16] ჩამორჩება), მაგრამ ისეთი სახე აქვს, თითქოს შენაძენი ნაკლებად აინტერესებს. პიტერის დანახვაზე, ნაბიჯს მისი მაგიდისკენ დგამს, ის კი უკვე ფეხზეა, გასაღები ჩანაწერების წიგნზე უვარდება, სახეზე ორასვატიან პროფესიონალურ ღიმილს ანთებს – ამაში უნდა მენდო, პატარავ – და მისკენ ხელგაწვდილი მიიწევს. ერთმანეთს ხელს მტკიცედ ართმევენ, საქმიანად, მაგრამ აშკარაა, რომ ქალი გაღიზიანებულია.

– ალბათ, არაფერი გამოვა, – ოხრავს იგი.

– არასდროს დაიწყოთ საუბარი ავტომობილის გამყიდველთან მსგავსი სიტყვებით, – ურჩევს პიტი, – ჩვენ ძალიან მოგვწონს გამოწვევა. პიტ მური გახლავართ.

– გამარჯობა, – ამბობს ქალი, მაგრამ საკუთარ სახელს არ ეუბნება, თუმცა მას ტრიში ჰქვია, – ფრაიბურგში შეხვედრა მაქვს, ზუსტად... – იმ საათს შეხედავს, რომელსაც პიტი დილიდან თვალს არ

[15] ამერიკული ლუქსის კლასის ავტომობილი
[16] ამერიკული ჯიპის ტიპის ავტომობილი.

აშორებდა, – ორმოცდახუთ წუთში, კლიენტთან, რომელსაც სახლის ყიდვა სურს და მეჩვენება, რომ სწორედ ის მაქვს, რაც მას სჭირდება, საკომისიოც გვარიანია, მე კი... – ქალს თვალები ცრემლით ევსება და მისი გადაყლაპვა უწევს, ლაპარაკი რომ შეძლოს, – მე კი მანქანის გასაღები დავკარგე! წყეული გასაღები!

ქალი ხელჩანთას ხსნის და შიგ ნერვიულად იქექება.

– მე მართვის მოწმობა მაქვს... სხვა დოკუმენტებიც... ყველა მტკიცებულება, და ვიფიქრე, რომ იქნებ, შეძლოთ და ახალი გასაღები გამომინახოთ. მაშინ ჩემს გზას ვეწევი. ეს გარიგება გვარიანად დამეხმარებოდა. მარტო საკომისიო მთელი წლის განმავლობაში გამატანინებს თავს, მისტერ... – მისი სახელი დაავიწყდა, თუმცა პიტს არ სწყენია. მური ისეთივე ჩვეულებრივი გვარია, როგორიც სმიტი ან ჯოუნსი. თანაც ქალს თავგზა აქვს აბნეული. გასაღების დაკარგვა სახუმარო საქმე როდია. ამას ხშირად შესწრებია.

– მური. მაგრამ პიტზეც ვპასუხობ ხოლმე.

– ხომ ვერ დამეხმარებოდით, მისტერ მურ? იქნებ არის ვინმე მომსახურების განყოფილებიდან, ვისაც ეს შეუძლია?

ბებერი ჯონი დეიმონი სიამოვნებით დაეხმარებოდა, მაგრამ დღეს ეს ქალი ფრაიბურგში ვერაფრით მიასწრებს.

– შეგვიძლია, ახალი გასაღები მოგიტანოთ, მაგრამ ამას, სულ ცოტა, ერთი-ორი დღე დასჭირდება, – ეუბნება იგი.

ქალი ცრემლიანი, ხავერდივით ყავისფერი თვალებით შესცქერის და გამწარებული გაიძახის:

– ეშმაკმა დალახვროს! ეშმაკმა დალახვროს!

პიტს თავში უცნაური აზრი მოსდის: ქალი იმ გოგონას აგონებს, რომელსაც დიდი ხნის წინ იცნობდა. მართალია შორიდან, ჰო, შორიდან იცნობდნენ, მაგრამ იმდენად მაინც, რომ მისი სიცოცხლე გადაერჩინათ. გოგონას ჯოზი რინკენჰაუერი ერქვა.

– ასეც ვიცოდი! – ამბობს ტრიში და ტირილის შეკავებას აღარ ცდილობს, – ჯანდაბა, ასეც ვიცოდი!

თავს ვეღარ იკავებს, შეტრიალდება და ტირის. პიტი უკნიდან მიდის და მხარზე ფრთხილად ეხება.

– მოიცადეთ, ტრიშ, ერთი წუთი მოიცადეთ.

როგორ შეეშალა! ქალს საკუთარი სახელი არ უხსენებია, ისინი ერთმანეთისთვის არავის გაუცნია, მან კი სახელით მიმართა! თუმცა, ისეთი დამწუხრებულია, შესაძლოა, ვერც კი გაეგონა.

– საიდან ბრძანდებით? – ეკითხება პიტი, – იმის ვგულისხმობ, რომ აქაური არ ხართ, ხომ ასეა?

– დიახ, – პასუხობს ქალი, – ჩვენი ოფისი უესტბრუკშია. „დენისონ რიალ ესთეით". ჩვენ ისინი ვართ, შუქურა რომ გვაქვს.

პიტი თავს ისე უქნევს, თითქოს რაიმე გაიგო.

– ახლა იქიდან მოვდივარ. ბრიჯტონის აფთიაქთან გავჩერდი ასპირინის საყიდლად, რადგან თავი მისკდება მნიშვნელოვანი შეხვედრის მოლოდინში... ეს სტრესია, ღმერთო ჩემო, საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩს მირტყამენ...

ამჯერად პიტი თანაგრძნობის ნიშნად უქნევს თავს. თავის ტკივილი არც მისთვისაა უცხო. მართალია, უფრო ხშირად ეს ზედმეტი ლუდის ბრალია ხოლმე და არა სტრესის, მაგრამ მისი მაინც მშვენივრად ესმის.

– ცოტა დრო მქონდა, ამიტომ აფთიაქის გვერდით, პატარა მაღაზიაში ყავის დასალევად შევედი... გეცოდინებათ, კოფეინი თავის ტკივილს შველის...

პიტი კვლავ უქნევს თავს. მათი მთავარი ფსიქოლოგი ჰენრია, მაგრამ პიტს არაერთხელ უთქვამს მისთვის, რომ კარგი გამყიდველი უშეცდომოდ უნდა კითხულობდეს სხვის აზრებს, თორემ ვერაფერს გაყიდის. პიტი კმაყოფილებით ამჩნევს, რომ მისი ახალი მეგობარი თანდათან წყნარდება. ძალიანაც კარგი. თავში ერთი აზრი მოსდის, იცის, როგორ დაეხმაროს ქალს, თუ, რა თქმა უნდა, დათანხმდება. წარმოიდგენს, რა როგორ მოხდება. მცირედი გატკაცუნება და კარი

გაიღება. მოსწონს, გატკაცუნების მოლოდინი. ცხადია, განსაკუთრებული არაფერია და არავინ იცის, რით დასრულდება ყველაფერი, მაგრამ მოსინჯვა ღირს.

– შემდეგ ქუჩის გადაღმა, „რენიში" შევირბინე. შარფი ვიყიდე... წვიმისთვის, მოგეხსენებათ... – იგი თმას ეხება, – მერე მანქანასთან დავბრუნდი... და ეს წყეული გასაღები აღარსადაა! დაუყოვნებლივ მივბრუნდი, მაღაზიები, აფთიაქი დავიარე, მაგრამ კვალს ვერსად მივაგენი! ახლა კი კლიენტთან მაგვიანდება!

ქალს ხმაზე კვლავ აღელვება ეტყობა, საცაა ისევ ატირდება. საათს შეხედავს. პიტისთვის დრო მიიზლაზნება, ქალისთვის – მიქრის. აი, განსხვავება ადამიანებს შორის. ერთ-ერთისთვის მაინც.

– დამშვიდდით, – ეუბნება ქალს, – რამდენიმე წამით თავი ხელში აიყვანეთ და მომისმინეთ. ახლა აფთიაქში წავალთ და თქვენს გასაღებს მოვძებნით.

– მაგრამ ის იქ არაა! ყველაფერი დავათვალიერე, ის თაროც, საიდანაც ასპირინი ავიღე, გამყიდველსაც ვკითხე...

– ერთხელაც შევამოწმოთ, არაფერი დაშავდება, – აწყვეტინებს პიტი და მსუბუქად, მაგრამ მტკიცედ უბიძგებს ქალს კარისკენ. მოსწონს მისი სუნამოს სუნი, თმა – კიდევ უფრო მეტად. სწორედაც რომ თმა – თუ ამ ნაცრისფერ დღეს ასე გამოიყურება, მზეზე რაღა დაემართება?

– ჩემი შეხვედრა...

– ორმოცი წუთი კიდევ გაქვთ, – ამბობს პიტი – როდესაც ტურისტები დაიქსაქსებიან, ფრაიბურგამდე ოც წუთშიც ჩახვალთ. ათიოდე წუთი დავუთმოთ თქვენი გასაღების ძებნას და თუ არაფერი გამოვა, დანიშნულების ადგილამდე მე თვითონ ჩაგიყვანთ.

ქალი მას ეჭვის თვალით შეხედავს. მაგრამ პიტი სადღაც, მის მიღმა იყურება, რომელიღაც კაბინეტის კარისკენ.

– დიკ! – იძახის, – ეი, დიკი მ.!

დიკ მაკდონალდი ზედნადებების ფურცლებიდან თავს წამოსწევს.

– დაარწმუნე, ქალბატონი, რომ თუ საჭირო შეიქნა, ფრაიბურგამდე მშვიდობით ჩავიყვან.

– სანდო პიროვნებაა, მემ, – თავს უქნევს დიკი, – სექსუალური მანიაკი არ გეგონოთ. არც თავაწყვეტილი ქროლა უყვარს. მხოლოდ იმას შეეცდება, რომ ახალი მანქანა მოგყიდოთ.

– ჩემთვის მოყიდვა ადვილი არაა, – ქალის ცრემლიან სახეს ღიმილი ეფინება, – მაგრამ თანახმა ვარ.

– ჩემს ტელეფონს ყურადღება მიაქციე, კარგი, დიკ?

– კარგი, თუმცა ეს ადვილი როდია. ასეთ ამინდში მყიდველებს ჯოხით თუ მოიცილებ თავიდან.

პიტი და შავგვრემანი ტრიში გადიან, შესახვევს გაივლიან და ორიოდე წუთში მეინსტრიტზე აღმოჩნდებიან. აფთიაქი მარცხნიდან მეორე შენობაა. ახლა უფრო ძლიერად ცრის, თითქმის წვიმს. ქალი თავს ახალი შარფით იფარავს და უქუდო პიტს შესცქერის.

– დასველდებით, – ამბობს იგი.

– ჩრდილოეთიდან ვარ. გამოწრთობილი.

– ფიქრობთ, ვიპოვით? – ეკითხება ქალი.

პიტი მხრებს იჩეჩს.

– შესაძლოა. მაგარი ვარ დაკარგული ნივთების ძებნაში. ყოველთვის ასეთი ვიყავი.

– ისეთი რამ იცით, რაც მე არ ვიცი? – გაოცებას ვერ მალავს ქალი.

არ არის მოძრაობა, არ არის თამაში, – ფიქრობს პიტი, – სულ ეს არის, მემ.

– არა, – ამბობს ხმამაღლა, – ჯერჯერობით არაფერი.

ისინი აფთიაქში შედიან. ზღურბლზე ზარი წკარუნებს. დახლს იქით მჯდომი ქალიშვილი უნდომლად ანებებს თავს ჟურნალს. ოთ-

ხის ოცი წუთია, სექტემბრის მოღრუბლული დღეა. აფთიაქში მხოლოდ სამნი არიან, და კიდევ მისტერ დილერი, რეცეპტების გასაცემ დახლთან.

– გამარჯობა, პიტ, – ამბობს გამყიდველი.

– ჰეი, კეთი, როგორ მიდის საქმეები?

– თვითონაც ხედავ – ძალიან ნელა, – შემდეგ იგი შავგვრემან ქალს მიმართავს, – ვწუხვარ, მემ, მაგრამ კიდევ ერთხელ დავძებნე და ვერაფერს მივაგენი.

– არა უშავს, – ოდნავ იღიმება ტრიში, – ეს ჯენტლმენი დამთანხმდა, რომ მიმიყვანს.

– შესანიშნავია, – ამბობს კეთი, – პიტი, რა თქმა უნდა, კარგი ყმაწვილია, მაგრამ ასე შორსაც არ წავიდოდი, რომ მისთვის ჯენტლმენი მეწოდებინა.

– დაუკვირდი, რას ამბობ, ძვირფასო, – იკრიჭება პიტი, – თორემ „რექსოლის" მაღაზია შორს კი არ არის.

იგი შეფარვით შეჰყურებს საათს. დრომ მისთვისაც მოუჩქარა ნაბიჯს. ძალიან კარგი, რაღაც მაინც შეიცვალა.

პიტი ტრიშისკენ იხედება.

– თავდაპირველად აქ შემოხვედით. ასპირინისთვის.

– მართალია. „ანასინი" შევიძინე. შემდეგ კი დროის მოსაკლავად...

– ვიცი, ყავის დასალევად „ქრისტიში" შეხვედით, მერე კი „რენიში".

– დიახ.

– ასპირინი ცხელ ყავასთან ერთად ხომ არ მიიღეთ?

– არა, მანქანაში ერთი ბოთლი „პოლანდის" წყალი მქონდა, – იგი ფანჯრიდან მწვანე „ტაურუსზე" მიუთითებს, – აბებს წყალი დავაყოლე. შემდეგ ხელი სკამის ქვეშ მოვაფათურე, მისტერ... პიტ. ამნთები შევამოწმე.

ქალს მოუთმენლობა ეტყობა. მის მზერაში იკითხება: ვიცი, რასაც

ფიქრობთ, – შეშლილიაო.

– და ბოლო შეკითხვა, – ამბობს პიტი, – თუ თქვენს გასაღებს ვიპოვი, ივახშმებთ ჩემთან ერთად? შეგვეძლო „ვესტ უორფში" შევხვედროდით ერთმანეთს.

– ვიცი „ვესტ უორფი", – გაღიმებას ახერხებს გაჭირვებაში მყოფი ქალი. კეთი აღარც კი ცდილობს, მათ თავი მოაჩვენოს, თითქოს ჟურნალს კითხულობს. ამაზე უკეთესი რომანი რა უნდა იყოს?

– რა იცით, რომ გათხოვილი არ ვარ, და საერთოდ...

– საქორწინო ბეჭედი არ გიკეთიათ, – დაუფიქრებლად პასუხობს პიტი, თუმცა არათითზე არც შეუხედავს, – გარდა ამისა, მე მხოლოდ შემწვარი მოლუსკების, სტაფილოსა და კომბოსტოს სალათას და მარწყვიანი ფენოვანი ნამცხვრის მირთმევა მქონდა მხედველობაში და არა სამუდამო კავშირი.

ქალი, თავის მხრივ, საათს დასცქერის:.

– პიტ... მისტერ მურ... ვშიშობ, ახლა ფლირტისთვის არ მცალია. თუ მიმიყვანთ, სიხარულით ვივახშმებ თქვენთან ერთად. მაგრამ...

– ეს სრულიად საკმარისია, – ამბობს პიტი, – მაგრამ ვფიქრობ, საკუთარი მანქანით წახვალთ. ასე რომ, მოგვიანებით შევხვდებით. ექვსის ნახევარი გაწყობთ?

– დიახ, შესანიშნავია, მაგრამ...

– შევთანხმდით.

პიტი თავს ბედნიერად გრძნობს. მშვენიერია. ბედნიერება საუცხოო რამ არის. ბოლო ორი წლის განმავლობაში ამის მეასედიც არ განუცდია. არც კი იცის, რატომ. ნუთუ ბევრი მოსაწყენი ღამე გაატარა 302-ე გზატკეცილზე, ნორთქონვეიმდე ჩამორიგებულ ბარებში? ნუთუ მხოლოდ ეს არის მიზეზი? შესაძლოა, არა, მაგრამ ამაზე ფიქრის დრო არ აქვს. ქალბატონს საქმიან შეხვედრაზე აგვიანდება. და თუ იმდენს მოახერხებს, რომ სახლსაც გაყიდის, ვინ იცის, იქნებ პიტსაც გაუღიმოს ბედმა? მაგრამ ილბალმა ზურგი რომ აქციოს, ამ ქალს მაინც დაეხმარება. ის ამას გრძნობს.

– ახლა რაღაც უჩვეულოს, ერთი შეხედვით უცნაურს გავაკეთებ, მაგრამ არ ინერვიულოთ, – ამბობს იგი, – ეს მხოლოდ პატარა ფოკუსია, როგორც ცხვირის მოსრესა, რათა არ დააცემინოთ, ან შუბლზე ხელის შემორტყმა, როცა ვინმეს სახელის გახსენებას ცდილობთ. გასაგებია?

– ვფიქრობ, დიახ, – პასუხობს გაოცებული ქალი.

პიტი თვალებს ხუჭავს, სახესთან ოდნავ მომუშტული ხელი მიაქვს, საჩვენებელ თითს შლის და წინ და უკან ატარებს.

ტრიში კეთის, გამყიდველს, შეხედავს, ის კი მხრებს იჩეჩს, თითქოს ამბობს: Bვინ იცის?

– მისტერ მურ, – ყოყმანით წარმოთქვამს ტრიში, – მისტერ მურ, იქნებ მე მხოლოდ...

პიტი თვალებს ახელს, ღრმად შეისუნთქავს და ხელს ჩამოუშვებს. ქალის გვერდის ავლით კარისკენ იყურება.

– მაშასადამე, თქვენ შემოხვედით, – ამბობს იგი და თვალებს ისე ამოძრავებს, თითქოს შემოსულ ტრიშს აკვირდებაო, – დახლისკენ წახვედით... – მზერას აყოლებს, – რაღაც ჰკითხეთ, ალბათ ის, თუ რომელ განყოფილებაში დევს „ასპირინი". რაღაც ამგვარი.

– დიახ, მე...

– მაგრამ თქვენ კიდევ რაღაც აიღეთ, – ამას იგი ტკბილეულობისთვის განკუთვნილ თაროზე ხედავს, კაშკაშა ყვითელ ნახატს ხელისგულის მსგავსი ანაბეჭდით, – „სნიკერსის" ბატონი?

– „მაუნდსი", – ქალს ყავისფერი თვალები უფართოვდება, – როგორ მიხვდით?

– შოკოლადი აიღეთ და მხოლოდ შემდეგ გაეშურეთ „ასპირინისკენ". ფული გადაიხადეთ და გახვედით... მოდით, ჩვენც გავიდეთ ერთი წუთით. ნახვამდის, კეთი.

კეთი მხოლოდ თავს უქნევს და გაშტერებული რჩება.

პიტი ზღურბლს გადააბიჯებს, ყურადღებას არ აქცევს ზარის

წკარუნს, არც წვიმას, რომელიც ამასობაში ნამდვილ წვიმას დამსგავსებია. ტროტუარზე სიყვითლე აღარ მოჩანს – წვიმას გადაურეცხავს, მაგრამ მაინც ამჩნევს მას და საშინლად კმაყოფილია. ტკაცუნის შეგრძნება. მშვენიერია. ეს მთავარი ხაზია. რამდენი ხანია, ასე მკაფიოდ არ დაუნახავს.

– უკან, მანქანისკენ, – ბურტყუნებს თავისთვის, – რათა ასპირინის ტაბლეტებს წყალი დააყოლოს...

იგი ტროტუარს გადაკვეთს და ნელა მიემართება „ტაურასისკენ". აფორიაქებული ტრიში უკან მისდევს. აღელვებული, თითქმის შეშფოთებული გამოხედვა აქვს.

– კარი გამოაღეთ, ხელჩანთა აიღეთ... თქვენი გასაღები... ასპირინი... შოკოლადი... სხვა წვრილმანი... ხელიდან ხელში გადაგაქვთ... და აქ...

იგი იხრება, ტროტუარის გასწვრივ მდებარე წყალსადინარში ხელს აფათურებს, თითქმის მაჯამდე ჰყოფს, იქიდან რაღაც ამოაქვს და თავს იმ მეფოკუსესავით უკრავს, რომელმაც რთული ნომერი წარმატებით შეასრულა. ბინდბუნდში ვერცხლისფერი გასაღები ბრჭყვიალებს. – ... გასაღები გივარდებათ.

თავდაპირველად ქალი ვერც კი მოიფიქრებს, რომ გასაღები გამოართვას. გაქვავებული მისჩერებია პიტს, თითქოს ჯადოქარს ხედავდეს, რომელმაც მის თვალწინ მაგიური მოქმედება განახორციელა.

– მიდით, აიღეთ, – ამბობს კაცი ოდნავი ღიმილით, – ზებუნებრივი აქ არაფერია. მხოლოდ დედუქციაა. თანაც, მეხერხება. ისე, გირჩევთ, დამიმგზავროთ ხოლმე. თუ დაიკარგებით, წამში ვიპოვი გზას.

ქალი მხოლოდ ახლაღა ართმევს გასაღებს. ართმევს სწრაფად. ცდილობს, მის თითებს არ შეეხოს, პიტი მაშინვე ხვდება, რომ ის მოგვიანებით რესტორანში არ მოვა. ამის დადგენას დიდ ჭკუა არ სჭირდება. ტრიშის თვალები შეშინებული უფროა, ვიდრე მადლიერებით აღვსილი.

– გმადლობთ... გმადლობთ, – ლუღლუღებს ქალი და მათ შორის მანძილს ზომავს, თითქოს არ უნდა, ზედმეტად მიუახლოვდეს.

– არაფრის. ოღონდ არ დაგავიწყდეთ. „ვესტ უორფი", ექვსის ნახევარზე. შტატის ამ ნაწილში საუკეთესოდ წვავენ მოლუსკებს.

ცოტათი თავი უნდა მოიტყუოთ. ზოგჯერ ასეა საჭირო, მიუხედავად იმისა, თუ რას გრძნობთ. და თუმცა პიტმა იმ დღეს ბოლომდე ვერ გაიხარა, პატარა სიხარული მაინც შემორჩა. მან მთავარი ხაზი დაინახა, ეს კი ყოველთვის კარგ ხასიათზე აყენებდა. უბრალო ფოკუსი იყო, მაგრამ მაინც სიამოვნებდა, რომ შეძლო.

– ექვსის ნახევარზე, – ექოსავით პასუხობს ქალი და მანქანის კარს აღებს, თუმცა ირიბად გატყორცნილი დამფრთხალი მზერა ძალიან ჰგავს იმას, კაცი ძაღლს რომ მიაპყრობს და გულის სიღრმეში ეშინია, ვაითუ, საკბენად გამოიწიოსო. უზომოდ კმაყოფილია, რომ მასთან ერთად ფრაიბურგამდე მგზავრობა არ მოუწევს. პიტს სულაც არ სჭირდება აზრების წაკითხვა ამის მისახვედრად.

მანქანების ყოჩაღი და მხიარული გამყიდველი წვიმაში დგას, აკვირდება, როგორ გაჰყავს გზაზე ქალს მანქანა და დამშვიდობების ნიშნად ხელს უქნევს. პასუხად დაბნეული მძღოლი თითებს ამოძრავებს. როდესაც პიტი ზუსტად ექვსის ნახევარზე (უფრო სწორად, ექვსის თხუთმეტ წუთზე, ყოველი შემთხვევისთვის) „ვესტ უორფში" შედის, ცხადია, ქალი იქ არ ხვდება. არც ერთი საათის შემდეგ. მაგრამ პიტი მაინც არ მიდის, ბარის დახლთან ზის, ლუდს წრუპავს და 302-ე გზატკეცილზე ჩავლილ მანქანებს აკვირდება. ხუთ საათსა და ორმოც წუთზე ეჩვენება, რომ ხედავს კიდეც ქალს, მწვანე „ტაურასით" ჩაიქროლებს კოკისპირულ წვიმაში, მწვანე „ტაურასით". შესაძლოა, მანქანა კვლავაც ტოვებს ყვითელ ზოლს, რომელიც სწრაფადვე ქრება განაცრისფრებულ ჰაერში.

ახალი დღე, ძველი ნაგავი, – ფიქრობს იგი და სიხარულის ნასახიც აღარ რჩება. მას სევდა ცვლის, სევდა, რომელიც ვერდავიწყებული ღალატის გამო დაიმსახურა. სიგარეტს უკიდებს... ბავშვობაში

თავს აჩვენებდა, თითქოს ეწეოდა, ახლა ამის საჭიროება აღარ არსებობს... მორიგ კათხა ლუდს უკვეთს.

მილტს მოაქვს ბუზღუნით:

– კარგი იქნებოდა, ჯერ რამე გეჭამა.

ამიტომ პიტი შემწვარ მოლუსკებს მოატანინებს და კიდეც ჭამს რამდენიმეს, ტარტარის საწებელში ამოვლებულს, სანამ ორიოდე კათხას კიდევ დაამატებდეს. სხვა ბარში გადასვლამდე მასაჩუსეტსში, ჯოუნსისთან ცდილობს დარეკვას, მაგრამ ჯოუნსი და კარლა, როგორც ჩანს, მოულოდნელად გამოჩენილი თავისუფალი საღამოთი ტკბებიან. ყურმილს ძიძა იღებს და ეკითხება, რამე ხომ არ გადავცეო.

პიტს ლამის წამოსცდეს, არაო, მაგრამ დროულად ახსენდება რაღაც.

– გადაეცით, რომ პიტმა დარეკა და ადინო, თქვა.

– ა... დ... ი... ნ... – იმეორებს ქალიშვილი და გულმოდგინედ იწერს, – თუ მიხვდება, ეს...

– ოჰ, დიახ, – არწმუნებს პიტი, – რა თქმა უნდა, მიხვდება.

შუაღამისთვის იგი ნიუ-ჰემპშირის რომელიღაც ბარში გამოტყვრება – „მადი რადერში" თუ „რადი მადერში". ენას ძლივს ატრიალებს, მაგრამ მაინც ცდილობს, ვიღაც გალეშილ ქალს აუხსნას, როგორ სჯეროდა ოდესღაც, რომ პირველი ადამიანი იქნებოდა, რომელიც მარსზე დადგამდა ფეხს. და თუმცა ის ქალი დაქოქილივით იმეორებს „ჰო-ჰო-ჰოს", პიტი ხვდება, რომ ერთადერთ რამეზე ფიქრობს – როგორმე კიდევ გადაკრას ბრენდი ბარის დაკეტვამდე. არა უშავს. არაფერია. ხვალ ნაბახუსევზე საშინელი თავის ტკივილით გაიღვიძებს, მაგრამ მაინც წავა სამსახურში და მანქანასაც გაყიდის, ან ვერ გაყიდის, თუმცა სამყარო მაინც იტრიალებს. იქნებ ბორდო „ტანდერბერდი" გაასაღოს, და მაშინ – მშვიდობით, ძვირფასო! ადრე სამყარო მრავალფეროვნებით აოცებდა, ახლა კი ყველაფერი ერთმანეთს ჰგავს. ალბათ ასეც შეიძლება ცხოვრება, განსაკუთრებით

მისნაირი ხალხისთვის, ვისთვისაც ცერის წესი[17] მხოლოდ და მხოლოდ ადინ-ია, ახალი დღე, იგივე ნაგავი. ჯანდაბას, იყოს ასე. შენ გაიზარდე, დაკაცდი, შეეგუე, რომ იმაზე ცოტა მიიღე, ვიდრე მოელოდი; აღმოაჩინე, რომ ოცნებების მანქანაზე დიდი აბრა ჰკიდია, წარწერით „არ მუშაობს".

ნოემბერში მეგობრებთან ერთად სანადიროდ წავა, რაც სრულიად საკმარისია, რათა ცხოვრებას კვლავ იმედის თვალით შეხედოს. ეს შესაძლოა, მანქანაში ამ გალეშილი ქალის უხვად პომადაწასმული ტუჩებით შესრულებული მინეტი აღმოჩნდეს. უფრო მეტის სურვილი ხშირად გულისტკივილს იწვევს.

ოცნება ბავშვების საქმეა.

[17] ემპირიული კანონზომიერება, ემყარება ექსპერიმენტულ მონაცემებს და ზუსტთან მიახლოებითი შედეგის მიღების შესაძლებლობას იძლევა. მისი წარმოშობა უკავშირდება XVII საუკუნის ინგლისში არსებულ კანონს, რომლის თანახმადაც, იმ ჯოხის სისქე, რომლითაც ქმარს ცოლის ცემის უფლება ჰქონდა, მისი ხელის ცერზე მსხვილი არ უნდა ყოფილიყო.

1998: ჰენრის პაციენტი დივანზე წევს

ოთახი ნახევრად ჩაბნელებულია. ყოველთვის ასეა, როდესაც ჰენრის პაციენტები ჰყავს. საინტერესოა, რომ ბევრი ამას ვერ ამჩნევს. მისი აზრით, ეს იმიტომ ხდება, რომ მათი გონება დანისლულია. უმრავლესობა კი, უბრალოდ, ნევროტიკია ("ტყეები სავსეა ასეთებით" – უთხრა მან ერთხელ ჯოუნსის, როდესაც ერთად იყვნენ. ჰა-ჰა, ტყეებიო). ის დარწმუნებულია, – სრულიად არამეცნიერული მიდგომის საფუძველზე, – რომ მათი პრობლემები ერთგვარი მაპოლარიზებელი ეკრანია მათსა და დანარჩენ სამყაროს შორის. ნევროზის გაძლიერებასთან ერთად, ორგანიზმში წყვდიადიც მატულობს. პაციენტების ნაწილი ერთგვარად ესიმპათიურება, ნაწილი ებრალება. და მხოლოდ ცოტას თუ შეუძლია მისი წონასწორობიდან გამოყვანა. ბარი ნიუმენი ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება.

პაციენტებს, რომლებიც მისი კაბინეტის ზღურბლს გადააბიჯებენ, არჩევანის შესაძლებლობა ეძლევათ, თუმცა ისინი ასე არ ფიქრობენ. ამას ვერც კი აცნობიერებენ. შესვლისთანავე ხედავენ საკმაოდ მყუდრო, თუმცა ნახევრად ჩაბნელებულ ოთახს, მარცხენა კედელთან – ბუხარს, რომელშიც „შეშა იწვის" – სპილენძის ოთხი მილი

ხეებივით არის შეღებილი, გაზქურის სანთურები შენიღბულია. იქვე, ვან გოგის „მზესუმზირების“ შესანიშნავი რეპროდუქციის ქვეშ, უზარმაზარი რბილი სავარძელი დგას, რომელზეც, ჩვეულებრივ, ჰენრი ზის ხოლმე (ზოგჯერ კოლეგებს ეუბნება, რომ ყოველ ფსიქიატრს კაბინეტში ვან გოგის ერთი ასეთი სურათი მაინც უნდა ჰქონდეს). მოპირდაპირე მხარეს მსუბუქი სავარძელი და დივანია. ჰენრი ყოველთვის ინტერესით ელოდება, რას აირჩევს პაციენტი. საკუთარი გამოცდილებით იცის, რომ პირველი არჩევანი შემდეგ ჩვევად იქცევა და მომდევნო სეანსების დროს აღარ შეიცვლება. ახსოვს კიდეც ამ თემაზე გამოქვეყნებული სტატია, ოღონდ თეზისებს ვერ იხსენებს. ასეა თუ ისე, გრძნობს, რომ სულ უფრო ნაკლებად აინტერესებს ჟურნალ-გაზეთები, კონფერენციები და სემინარები. ადრე ყველაფერი სხვაგვარად იყო, მაგრამ ახლა ვითარება შეიცვალა. ნაკლები სძინავს, ცოტას ჭამს და სულ უფრო იშვიათად იცინის. წყვდიადი მის ცხოვრებაშიც იპარება – ის მაპოლარიზებელი ფილტრი – და აცნობიერებს, რომ ამას არ ეწინააღმდეგება. ნაკლები სიკაშკაშე თვალის სიმშვიდეს უწყობს ხელს.

ბარი ნიუმენი თავიდანვე დივანს ირჩევდა, მაგრამ ჰენრის ერთხელაც არ დაუშვია შეცდომა და არ უვარაუდია, რომ ეს მის ფსიქიკურ მდგომარეობას როგორღაც უკავშირდებოდა. უბრალოდ, ბარისთვის დივანი უფრო მოსახერხებელი იყო. თუმცა ჰენრის ზოგჯერ მისთვის ხელის გაწვდენა უხდებოდა, რათა ადგომაში მიხმარებოდა – ხუთი ფუტისა და შვიდი დუიმის სიმაღლის ბარი ოთხას ოც გირვანქას იწონიდა. ამიტომაც დაუმეგობრდა დივანს.

ბარი ნიუმენთან სეანსი, როგორც წესი, დიდხანს მიმდინარეობს, ვინაიდან მან დაწვრილებით უნდა მოჰყვეს საკუთარი გასტრონომიული თავგადასავლები. სულაც არ გახლავთ გურმანი, პირიქით, ყველაფერს განურჩევლად ნთქავს, რაც კი მის ორბიტაზე გამოჩნდება. ბარი საჭმლის გადამმუშავებელი ნამდვილი მანქანაა. მას ფო-

ტოგრაფიული მეხსიერება აქვს, ამ კუთხით მაინც. ბარი გასტრონომიაში იგივეა, რაც ჰენრის ძველი მეგობარი პიტი ადგილზე ორიენტირებასა და გეოგრაფიაში.

ჰენრი თითქმის აღარ ცდილობს, ბარი ხეებს მოსწყვიტოს და ტყეში გასეირნება აიძულოს, ერთი მხრივ, პაციენტის მშვიდი, მაგრამ ჯიუტი სურვილის გამო, დეტალურად იმსჯელოს მის მიერ მირთმეულ ნებისმიერ საკვებზე. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბარი მას არ მოსწონს და არც არასდროს მოსწონდა. ნიუმენს მშობლები არ ჰყავდა – თექვსმეტი წლის იყო, მამა რომ გარდაეცვალა, ექვსი წლის შემდეგ დედაც დაეღუპა. შვილს დაუტოვეს დიდძალი ქონება, რომელსაც სამეურვეო ფონდი განკარგავდა, სანამ ნიუმენს ოცდაათი წელი არ შეუსრულდებოდა. მერე კი შეეძლო მემკვიდრეობის მიღება, ოღონდ იმ პირობით, თუ იგი... ფსიქოთერაპიით მკურნალობას გააგრძელებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძირითადი ნაწილი ფონდის განკარგულებაში კიდევ ოც წელს დარჩებოდა.

ჰენრის ეეჭვება, რომ ბარი ნიუმენი ორმოცდაათ წლამდე მიაღწევს.

ბარის სისხლის წნევა (როგორც მან ეს სიამაყით განუცხადა ჰენრის) ას ოთხმოცდაათი ას ორმოცზეა.

ბარის ქოლესტერინი ორას ოთხმოცდაათს შეადგენს; ლიპოპროტეინების ნამდვილი ოქროს ძარღვია.

– მოსიარულე ინსულტი ვარ, მოსიარულე ინფარქტი, – განუცხადა მან ჰენრის იმ ადამიანის სიხარულით აღსავსე ხმით, რომელსაც სასტიკი, შეუბრალებელი სიმართლის თქმა შეუძლია, რადგან გულის სიღრმეში იცის, რომ ამგვარი აღსასრული მას არ ემუქრება, ოჰ, რა თქმა უნდა, არა. – ლანჩზე ორი ორმაგი ბურგერი ვჭამე, – ამბობს იგი ახლა, – სწორედ ასეთი მიყვარს, რადგან შიგ ცხელი ყველია, – მისი ფუმფულა ტუჩები, მსგავსი გაბარიტების ადამიანისთვის უჩვეულოდ პატარაა, ქორჭილას პირს წააგავს, ისე იკუმშება და თრთის, თითქოს იმ საუცხოო ცხელ ყველს გემოს უსინჯავდეს, –

რძის კოქტეილიც დავაყოლე, აქეთობას ორ „მალომარსსაც" გეახელით. შემდეგ ცოტა წავუძინე, გაღვიძებისთანავე მიკროტალღურ ღუმელში გაყინული ვაფლის პაკეტი შევაგდე. „ლეგო-ეგო! " – ყვირის და მერე იცინის. ამგვარი სიცილი იმ ადამიანებს ახასიათებთ, რომლებიც სასიამოვნო მოგონებებით ტკბებიან: მზის საუცხოო ჩასვლით, ქალის თხელი აბრეშუმით დაფარულ მკერდზე შეხებით (არა, ჰენრის აზრით, ბარის მსგავსი რამ არასდროს განუცდია), სანაპიროს თბილ სილაში სეირნობით. – უმრავლესობა მათ ტოსტერში აცხელებს, – განაგრძობს ბარი, – მაგრამ ეს პროდუქტს ზედმეტად აშრობს. მიკროტალღური ღუმლიდან გამოსული კი ცხელია და რბილი. ცხელი... და რბილი, – იგი ხარბად ილოკავს ქორჭილას პატარა ტუჩებს, – ცოტა კი შემრცხვა, მთელი პაკეტი რომ გადავსანსლე.

ამას სასხვათაშორისოდ, უდარდელად ამბობს, თითქოს ახსენდება, რომ ჰენრიმაც უნდა შეასრულოს თავისი წილი სამუშაო. ამგვარ მანევრს სეანსის განმავლობაში ოთხჯერ თუ ხუთჯერ მიმართავს, შემდეგ კვლავ საჭმელს უბრუნდება.

ბარიმ უკვე მიაღწია სამშაბათ საღამოს. ვინაიდან ახლა პარასკევია, საუზმის, სადილის, ვახშმისა და ხემსების ჩამონათვალს დასასრული არ უჩანს. ჰენრი თავს უფლებას აძლევს ფიქრებს მიეცეს. ბარი დღეს მისი ბოლო პაციენტია. როდესაც კულინარიული გმირობების გრძელ სიას ჩაათავებს, ჰენრი თავისთან დაბრუნდება და ბარგს შეაგროვებს. ხვალ ექვს საათზე უნდა ადგეს. შვიდსა და რვას შორის ხეივანში ჯოუნსის მანქანა გამოჩნდება. ისინი თავიანთ ბარგი-ბარხანას ჰენრის ძველ სკაუტში[18] ჩატენიან, ჰენრი მას მხოლოდ შემოდგომაზე, სანადიროდ წასასვლელად იყენებს, ცხრის ნახევრისთვის უკვე ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე იდგებიან. ბრიჯტონში – პიტს, დერიში კი ბივს შეუვლიან. საღამოსთვის უკვე ჯეფერსონ-ტრექტის ზემოთ, მონადირის ქოხში – „კედელში გაკეთებულ ხვრელ-

[18] აქ: ერთგვარი მაღალი გამავლობის მანქანა.

ში“ იქნებიან, სასტუმრო ოთახში კარტს ითამაშებენ და საკვამურებში ქარის ზუზუნს დაუგდებენ ყურს. თოფებს სამზარეულოს კუთხეში მიაყუდებენ, სამონადირეო ლიცენზიებს უკანა კართან, კაუჭზე ჩამოკიდებენ. ბოლოს და ბოლოს, მეგობრებთან ყოფნას ეღირსება, რაც ხანგრძლივი ხეტიალის შემდეგ მშობლიურ სახლში დაბრუნების ტოლფასია. ერთი კვირის განმავლობაში მაპოლარიზებელი ფილტრი ოდნავ დაიწმინდება. ისინი ძველ დროს გაიხსენებენ, ბივერის აღმაშფოთებელ, სასაცილო უხამსობებზე იცინებენ და თუ რომელიმე მათგანი ირმის მოკვლასაც მოახერხებს, ეს დამატებითი გასართობი იქნება. დღემდე საუცხოოდ გრძნობენ თავს ერთად, დროს დღემდე ერთად ამარცხებენ.

ფონად ბარი ნიუმენის მონოტონური სიმღერა გაისმის. დაბეგვილი ღორის ხორცი, კარტოფილის პიურე, კარაქში ამოვლებული შემწვარი სიმინდი, შოკოლადის ტორტი „ფეფერიჯ-ფარმი“, „კოკა-კოლას“ ჭიქა, რომელშიც ნაყინის – „ბენ და ჯერის ჩანკი მანკის“ ოთხი ბურთულა დაცურავს და კვერცხები: შემწვარი, მოხარშული, თოხლო...

ჰენრი თითქმის არ უსმენს, მხოლოდ თავს უქნევს, სადაც საჭიროა. ეს ფსიქიატრების ძველი ილეთია.

ღმერთმა ხომ იცის, რომ ჰენრისა და მის მეგობრებს საკუთარი პრობლემებიც ჰყოფნით. ბივერს ოჯახურ ცხოვრებაში არ უმართლებს; პიტი ძალიან ბევრს სვამს (ჰენრის აზრით, იმაზე გაცილებით მეტს, ვიდრე დასაშვებია); ჯოუნსი და კლარა კინაღამ ერთმანეთს დასცილდნენ, ჰენრი დეპრესიას ებრძვის და ეს ერთდროულად მოსწონს და აწუხებს კიდეც. თუმცა ერთად ძველებურად კარგად გრძნობენ თავს, ჯერ კიდევ შეუძლიათ, ერთმანეთს გზა გაუნათონ. ხვალ საღამოსთვის ისევ ერთად იქნებიან. მთელი რვა დღის განმავლობაში. და ეს შესანიშნავია.

– ვიცი, ასე არ უნდა მოვქცეულიყავი, მაგრამ დაუოკებელმა სურ-

ვილმა ადრიანად გამაღვიძა. შესაძლოა, სისხლში შაქრის შემცველობა დაეცა, ვფიქრობ, ასეც იქნებოდა. ყოველ შემთხვევაში, დარჩენილი ერთი გირვანქა ტორტი შევჭამე, მაცივარში რომ იდო, მერე კი მანქანაში ჩავჯექი „დანკინ დონატსისკენ" გავეშურე, თორმეტიოდე შებრაწული ვაშლი და ოთხი...

ჰენრი, რომელიც მოახლოებულ ნადირობაზე ფიქრს განაგრძობს, ვერც კი მიხვდება, ისე გამოუფრინდება სიტყვები პირიდან.

– ბარი, იქნებ ჭამის დაუოკებელი სურვილი იმასთან არის დაკავშირებული, რომ თქვენი აზრით, დედა მოკალით? როგორ ფიქრობთ, ეს შესაძლებელია?

ბარი მოულოდნელად ჩუმდება. ჰენრი თავს მაღლა სწევს და ხედავს პაციენტის უზარმაზარ, თეფშივით თვალებს, რომელიც პირველად გამოუჩნდა ცხიმის ნაკეცებიდან მთელი ამ ხნის განმავლობაში. და თუმცა ჰენრის ესმის, რომ აღარ უნდა გააგრძელოს, უნდა შეწყვიტოს საუბარი, რასაც ფსიქოთერაპიასთან კავშირი არა აქვს, მაგრამ რატომღაც არ სურს. იქნებ, ნაწილობრივ, ამის მიზეზი ძველი მეგობრების გახსენებაა, უფრო მეტად კი – ბარის მოულოდნელობისგან გაფითრებული, გაშტერებული სახე. როგორც ჩანს, ჰენრის ყველაზე მეტად ის აღიზიანებს, რომ ბარი საკუთარი თავითა და ცხოვრების წესით სრულიად კმაყოფილია, შინაგანად სწამს, რომ საკუთარი თავის დამღუპველ მოქმედებაში ცუდი არაფერია. რა საჭიროა, მისი გადარწმუნება, მიზეზების ქექვაზე რომ აღარაფერი ვთქვათ?

– თქვენ ხომ მიგაჩნიათ, რომ ის მოკალით, არა? – აგდებულად, უდარდელად განაგრძობს ჰენრი.

– მე... მე არასდროს... მე აღშფოთებული...

– ის გეძახდათ, გეძახდათ, გიყვიროდათ, რომ მკერდში აუტანელ ტკივილს გრძნობდა, თქვენ ეს ხშირად გესმოდათ, ხომ ასეა? თითქმის ყოველკვირა, თითქმის ყოველდღე. ზემოდან გეძახდათ: „ბარი,

დოქტორ უიტერსს დაურეკე, ბარი, სასწრაფო დახმარება გამოიძახე, ბარი, 911 აკრიფე".

ისინი არასდროს საუბრობდნენ ბარის მშობლებზე. ეს ნაპატივები კაცი თავისი რბილი, მაგრამ შეუვალი მანერით ამას ყოველთვის გაურბოდა. თითქოს დაიწყებდა, მაგრამ უეცრად – ბინგო! და კვლავ შემწვარ ცხვრის ხორცზე, წიწილაზე ან ფორთოხლის წვენში ჩადებულ იხვზე აგრძელებდა ლაპარაკს. ჰენრიმ არაფერი იცოდა ბარის მშობლებისა და, ცხადია, არც იმ დღის შესახებ, როდესაც ბარის დედა, საწოლიდან გადმოვარდა, ნოხი დაასველა, მერე კი ის სამასგირვანქიანი ხორცის მასა, საზიზღრობამდე გათქვირებული ხორცის მასა წიოდა და კიოდა. შეუძლებელია, რაიმე იცოდეს, რადგან ამის შესახებ არავის არაფერი უთქვამს. არადა იცის. ბარი მაშინ გაცილებით გამხდარი იყო. მხოლოდ ას ოთხმოცდაათ გირვანქას იწონიდა.

ეს ჰენრის ვერსიაა ხაზის შესახებ. ისევ ეს ხაზი. უკვე ხუთი წელია, რაც აღარ უნახავს (მხოლოდ რამდენჯერმე ესიზმრა), ფიქრობდა, ყველაფერი დასრულდაო, მაგრამ, როგორც ჩანს, შეცდა. ის ისევ აქაა.

– თქვენ კი ამ დროს ტელევიზორის წინ იჯექით და მის ყვირილს ისმენდით, – განაგრძობს იგი, – რიკი ლეიქსს[19] მისჩერებოდით და ჭამდით... რას? „სარა ლის"[20] ყველის ტორტს? მთელ თას ნაყინს? არ ვიცი. მაგრამ მის ყვირილს ყურადღებას არ აქცევდით.

– გაჩუმდით!

– ნება მიეცით იმდენი ეყვირა, რამდენსაც მოისურვებდა და მართლაც, რატომაც არა? ის ხომ მთელი ცხოვრების განმავლობაში მგელივით ყმუოდა. სულელი არ ხართ და იცით, რომ ეს სიმართლეა. ასეთი რამ ხდება ხოლმე. ვფიქრობ, ესეც გასაგებია. ჰოდა, გაწირეთ საკუთარი თავი ტენესი უილიამსის[21] თქვენსავე პატარა პიესაში

---

[19] ცნობილი ამერიკელი ტელეწამყვანი ქალი.

[20] სამომხმარებლო პროდუქციის მწარმოებელი ფირმა.

[21] ფსევდ. ამერიკელი მწერალი, დრამატურგი.

მხოლოდ იმიტომ, რომ ჭამა გიყვართ. მაგრამ იცით, რას გეტყვით, ბარი? ეს თქვენ ბოლოს მოგიღებთ, მოგკლავთ. გულის სიღრმეში ამის არ გჯერათ, მაგრამ ეს ასეა. გული უკვე გიფართხალებთ, ცოცხლად დამარხულივით, რომელიც კუბოს სახურავს მუშტებს ურტყამს. საინტერესოა, რა მოხდება, როდესაც ასამდე გირვანქას კიდევ მოიმატებთ?

– ხმა...

– როცა დაეცემით, ბარი, ამას ბაბილონის გოდოლის ჩამოქცევის ეფექტი ექნება. თვითმხილველები მრავალი წლის განმავლობაში ილაპარაკებენ ამაზე. თაროებიდან ჭურჭელი ზრიალ-ზრიალით წამოვა ძირს...

– შეწყვიტეთ!

ბარი სწრაფად წამოჯდება. ამჯერად ჰენრის დახმარება არ სჭირდება. მკვდარივითაა გაფითრებული, თუ პატარა ვარდებს არ ჩავთვლით ლოყებზე.

– ... ყავაც კი გადმოიღვრება ფინჯნებიდან და ისევე ჩაისველებთ, როგორც ოდესღაც მან...

– შეჩერდით! – განწირულად ყვირის ბარი, – შეჩერდით! თქვენ ურჩხული ხართ!

მაგრამ ჰენრი ვეღარ ჩერდება. არ შეუძლია. ისევ ხაზს ხედავს. და როდესაც თქვენ მას ხედავთ, თავს ვერ მოიკატუნებთ, თითქოს ვერ ამჩნევდეთ.

– ...თუ დროულად არ გამოფხიზლდებით იმ მომწამლავი სიზმრიდან, რომელშიც იმყოფებით, გესმით, ბარი...

მაგრამ ბარის არაფრის მოსმენა არ სურს, აბსოლუტურად არაფრის. იგი ოთახიდან უშველებელი კვერცხების ქნევით გარბის და აღარ ჩანს.

ჰენრი კი გაუნძრევლად ზის და ერთ ადამიანში განსხეულებულ ბიზონთა ჯოგის თქარათქურს უსმენს. ეს ადამიანი ბარი ნიუმენია. მეორე ოთახი ცარიელია: მდივანი არ ჰყავს. ბარის გაქცევით მისი

შრომითი კვირა სრულდება. სასიამოვნო არაფერია, მაგრამ იქნებ ასე ჯობდეს კიდეც. დივანს უახლოვდება და წვება.

– ექიმო, – ამბობს ჰენრი, – მაგრად ჩავისვარე.

– ეს როგორ მოგივიდა, ჰენრი?

– პაციენტს სიმართლე ვუთხარი.

– განა სიმართლის ცოდნა თავისუფლებას არ გვანიჭებს, ჰენრი?

– არა, – პასუხობს იგი საკუთარ თავს და ჭერში იყურება, – სრულებით არა.

– თვალები დახუჭე, ჰენრი.

– კარგი, ექიმო.

თვალებს ხუჭავს. ოთახში სინათლეს წყვდიადი ანაცვლებს. ეს კარგია. წყვდიადი მისი მეგობარი გახდა. ხვალ მეგობრებს შეხვდება და სინათლეს ისევ კეთილ არსებად აღიქვამს. მაგრამ ახლა... ახლა...

– ექიმო!

– გისმენ, ჰენრი.

– ეს ჩვეულებრივი შემთხვევაა, სახელწოდებით „ახალი დღე, იგივე ნაგავი". იცოდით?

– რას ნიშნავს ეს, ჰენრი? შენთვის რას ნიშნავს?

– ყველაფერს, – თვალდახუჭული ამბობს და მაშინვე ამატებს, – არაფერს.

ცრუობს. და ეს პირველი ტყუილი არ არის, რაც მას აქ უთქვამს.

ხვალ ოთხივე იმ ადგილისკენ გაემგზავრება, რომელსაც „კედელში გაკეთებული ხვრელი" ჰქვია. წინ გადასარევი რვა დღე ელოდებათ. მასშტაბური სამონადირეო ექსპედიციები მალე საერთოდ აღარ შედგება, მაგრამ ამის შესახებ ჯერ არავინ იცის. ნამდვილი წყვდიადის დადგომამდე რამდენიმე წელი რჩება, მაგრამ ის ახლოვდება.

წყვდიადი ახლოვდება.

2001: ჯოუნსი. სტუდენტისა და მასწავ-ლებლის საუბარი

ჩვენ არაფერი ვიცით იმ დღეების შესახებ, რომლებმაც ჩვენი ცხოვრება უნდა შეცვალოს. შესაძლოა, ეს უკეთესიც არის. იმ დღეს, რომელიც აუცილებლად შეცვლის ჯოუნსის ცხოვრებას, იგი „ჯონ ჯეი კოლეჯის" მესამე სართულზე, თავის კაბინეტში ზის, ფანჯრიდან ბოსტონის ნაგლეჯს გასცქერის და ფიქრობს, რომ ცდებოდა თ. ს. ელიოტი[22], როდესაც აპრილს ყველაზე სასტიკი თვე უწოდა, თანაც მხოლოდ იმიტომ, რომ მწირი დურგალი ნაზარეთიდან, სავარაუდოდ, სწორედ აპრილში აღმოჩნდა ჯვარზე, ამბოხებისკენ წაქეზებისთვის. ბოსტონის ყველა მცხოვრებმა იცის, რომ ყველაზე შეუბრალებელი თვე მარტია, რომელიც მზაკვრულად გასცემს ყალბი იმედის რამდენიმე წამს, რათა შემდეგ თავხედურად შემოგასხას სახეში ტალახი. დღესაც სწორედ ერთ-ერთი ასეთი საეჭვო დღეა, როდესაც ისე ჩანს, თითქოს გაზაფხული მართლაც ეწვია მათ პირქუშ ქალაქს,

[22] პოეტი, მწერალი, დრამატურგი.

და ჯოუნსი ფეხით გასეირნებასაც ფიქრობს მას შემდეგ, რაც ერთ არასასიამოვნო, საძაგელ საქმეში გაერკვევა. ცხადია, ჯოუნსიმ არ იცის, რას უმზადებს დღევანდელი ამინდი; რომ საღამოს საავადმყოფოს პალატაში დასახიჩრებული აღმოჩნდება და თავისი დაწყევლილი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოლებს.

ახალი დღე, იგივე ნაგავი, ფიქრობს იგი. სინამდვილეში კი ნაგავი განსხვავებული აღმოჩნდება.

ამ დროს ტელეფონი რეკავს. მაშინვე ყურმილს დასწვდება. იმედი აქვს, პატარა დეფანიაკი იქნება, რომელიც თერთმეტ საათზე დანიშნული შეხვედრის გადადებას სთხოვს. ალბათ ხვდება, საით უბერავს ქარი, ფიქრობს ჯოუნსი. სავსებით შესაძლებელია. ჩვეულებრივ, მასწავლებელთან შეხვედრას სტუდენტები ცდილობენ. როდესაც ბიჭს ატყობინებენ, რომ მასწავლებელს მისი ნახვა უნდა... დიდი განსწავლულობა არ სჭირდება მიზეზის მიხვედრას.

– ალო, ჯოუნსი გისმენთ, – ამბობს იგი.

– ჰეი, ჯოუნსი, როგორ მიდის ცხოვრება?

ამ ხმას ყოველთვის გამოიცნობს.

– ჰენრი! ჰეი! მშვენივრად, ცხოვრება მშვენიერია!

სინამდვილეში ეს ასე არ არის, სულაც არ არის ასე, მით უმეტეს იმის გაფიქრებისას, რომ თხუთმეტ წუთში დეფანიაკი უნდა გამოჩნდეს. მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია, არა? ჰოდა, იმასთან შედარებით, რაც თორმეტ საათში ელოდება – მოწრიპინე აპარატთან მიერთება, ერთი გაკეთებული და სამი გასაკეთებელი ოპერაცია... ჯოუნსი, ასე ვთქვათ, იხტიბარს არ იტეხს.

– მიხარია ამის გაგონება.

შესაძლოა, ჰენრი ცოტათი დაღონებული მოეჩვენა, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ამგვარ რამეებს გრძნობს.

– რა მოხდა, ჰენრი?

დუმილი. ჯოუნსი შეკითხვის გამეორებას აპირებს, მაგრამ ჰენრი მაინც პასუხობს:

– გუშინ ჩემი პაციენტი გარდაიცვალა. გაზეთში წავიკითხე. ბარი ნიუმენი ერქვა.

პატარა პაუზა.

– დივანზე იწვა ხოლმე.

ჯოუნსიმ არ იცის, ეს რას ნიშნავს, მაგრამ ხვდება, რომ მეგობარს უჭირს. ამაში დარწმუნებულია.

– თვითმკვლელობა?

– გულის შეტევა. ოცდაცხრა წლის ასაკში. საკუთარი სამარე ჩანგლით და კოვზით გაითხარა.

– სამწუხაროა.

– ბოლო სამი წლის განმავლობაში ჩემი პაციენტი აღარ იყო. დავაფრთხე. აი... ისეთი შემთხვევა მქონდა. ხომ ხვდები, რას ვგულისხმობ?

ჯოუნსი ფიქრობს, რომ ხვდება.

– ხაზი?

ჰენრი ღრმად ამოისუნთქებს, თუმცა ჯოუნსი განსაკუთრებულ წუხილს ვერ ამჩნევს.

– ჰო. და თითქოს მასზე ვიყარე ჯავრი. ცეცხლმოკიდებულივით მოუსვა.

– ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის ინფარქტში ბრალი მიგიძღვის.

– შესაძლოა, მართალი ხარ. მაგრამ რაღაც სხვანაირად მეჩვენება.

კვლავ პაუზა. შემდეგ კი უფრო მხიარულად:

– ეს ფრაზა ჯიმ კროჩეს[23] სიმღერიდან ხომ არ არის? ხომ კარგად ხარ, ჯოუნსი?

– მე? ჰო. რატომ მეკითხები?

– არ ვიცი, – ამბობს ჰენრი, – მხოლოდ... შენზე მას შემდეგ ვფიქრობ, რაც გაზეთი გავშალე და ნეკროლოგების გვერდზე ბარის სურათს წავაწყდი. მინდა, რომ სიფრთხილე გამოიჩინო.

---

[23] ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი.

უეცრად ჯოუნსის ძვლებში (ისინი მალე ჩაემსხვრევა) სიცივე დაუვლის.

– რას გულისხმობ?

– არ ვიცი, – იმეორებს ჰენრი, – შესაძლოა, არაფერია. მაგრამ...

– ნუთუ ისევ ის ხაზი? – ჯოუნსი შეშფოთებულია, სავარძელში შეტრიალდება და ფანჯრიდან გაზაფხულის ცვალებად მზეს გაჰყურებს. უეცრად გაიფიქრებს, რომ იმ ბიჭს, დეფანიაკს, შესაძლოა, თავში რაღაც გადაუტრიალდა და ახლა ჯიბეში იარაღი უდევს (დეტექტივებისა და თრილერებისთვის დამახასიათებელი პასაჟი, ჯოუნსის უყვარს მათი კითხვა თავისუფალ დროს). ეს მას მხედველობიდან გამორჩა.

– არ ვიცი. შესაძლოა, ეს მხოლოდ რეაქცია იყოს ბარის სიკვდილზე, ნეკროლოგების გვერდზე ნანახ მის ფოტოზე. მაგრამ მაინც ფრთხილად იყავი, შევთანხმდით?

– რადგან ასეა... დაგიჯერებ.

– ძალიან კარგი.

– შენ ხომ კარგად ხარ?

– შესანიშნავად.

მაგრამ ჯოუნსი ასე არ ფიქრობს. კიდევ რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ამ დროს მის ზურგს უკან ვიღაც ჩაახველებს და მიხვდება, რომ ეს დეფანიაკია.

– მიხარია ამის გაგონება, – ამბობს იგი და მაგიდისკენ ტრიალდება. ასეცაა – კარში თერთმეტ საათზე დაბარებული მნახველი დგას. ჯოუნსი მას სახიფათოს ვერაფერს ამჩნევს: ჩვეულებრივი ბიჭია. ძველი, განიერი, კაპიუშონიანი, ხისღილებიანი, თუმცა დღევანდელი ამინდისთვის, ცოტა არ იყოს, თბილი პალტო აცვია; გამხდარია, გალეული, ცალი საყურე უკეთია, პანკის ვარცხნილობა აქვს, შეწუხებული იყურება, – ჰენრი, ახლა შეხვედრა მაქვს. მოგვიანებით დაგირეკავ...

– არ გინდა დარეკვა. არ არის აუცილებელი. მართლა.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო. მაგრამ... კიდევ ერთი საქმეა. ოცდაათი წამი გექნება?

– ეგ რა სალაპარაკოა.

იგი თითს მაღლა სწევს და დეფანიაკი თავს დამჯერედ უქნევს, მაგრამ კვლავაც ფეხზე დგას, სანამ ჯოუნსი წიგნებისგან თავისუფალ ერთადერთ სკამზე არ მიანიშნებს. დეფანიაკი გაუბედავად მიემართება იქით.

– აბა, ამოალაგე, – ამბობს ჯოუნსი ყურმილში.

– ვფიქრობ, რომ დერიში უნდა წავიდეთ. ცოტა ხნით, მხოლოდ მე და შენ. ჩვენი ძველი მეგობრის მოსანახულებლად.

– გულისხმობ...

არ უნდა უცხო ადამიანის თანდასწრებით ამ ბავშვური სახელის წარმოთქმა. ეს არც სჭირდება. ამას მის ნაცვლად ჰენრი აკეთებს. ისინი ოდესღაც ოთხნი იყვნენ. შემდეგ, ცოტა ხნით, კვინტეტად იქცნენ, მერე ისევ – კვარტეტად. სინამდვილეში მეხუთეს ისინი არ მიუტოვებია. ჰენრი მის სახელს ამბობს, ბიჭის სახელს, რომელიც, რაღაც სასწაულებრივად, ახლაც ბიჭია. მის შესახებ ჰენრის შეშფოთება უფრო გასაგები და მკაფიოა. ჯოუნსის უხსნის, რომ ზუსტად არაფერი იცის, უბრალოდ გრძნობს, რომ ძველ მეგობარს დახმარება სჭირდება.

– დედამისს თუ ელაპარაკე? – ეკითხება ჯოუნსი.

– ვფიქრობ, – პასუხობს ჰენრი, – უკეთესი იქნება, თუ... მოულოდნელად დავატყდებით თავს. ამ უიკენდზე რა გეგმები გაქვს? ან შემდეგზე?

ჯოუნსის გადასამოწმებელი არაფერი აქვს. უიკენდი ზეგ იწყება. მართალია, შაბათს ფაკულტეტის საღამოს უნდა დაესწროს, მაგრამ იქიდან თავის დაღწევა ადვილია.

– ორივე დღე თავისუფალი მაქვს, – ამბობს იგი, – შაბათს რომ შემოგიარო? ათისთვის?

– კარგი იქნება, – გულზე ეშვება ჰენრის და ახლა უფრო ემსგავსება საკუთარ თავს. ჯოუნსი კი ცოტათი მოდუნდება, – მოახერხებ?

– თუ მხედველობაში გაქვს, რომ სანახავი ობიექტი... – ჯოუნსი ყოყმანობს, – ...დუგლასია, ცხადია, ასეც მოვიქცევი. დიდი დრო გავიდა.

– შენი გასაუბრება... უკვე მოვიდა?

– ჰო.

– კარგი. შაბათს გელოდები, ათისთვის. ეი, იქნებ სკაუტით წავიდეთ? მოძრაობა არც მას აწყენდა. რას იტყვი?

– ძალიან მაგარი იქნება!

ჰენრი იცინის.

– კლარა საუზმეს ისევ გიმზადებს?

– მიმზადებს.

ჯოუნსი თავის პორტფელს გახედავს.

– დღეს რა გაქვს? თინუსი?

– კვერცხის სალათა.

– ჰმ... კარგი, წავედი. ადინ, ასეა?

– ადინ, – ეთანხმება ჯოუნსი. სტუდენტის თანდასწრებით ძველ მეგობარს სახელით ვერ მიმართავს, ადინ კი სავსებით შესაძლებელია, – კიდევ ვილაპარაკებთ...

– და თავს გაუფრთხილდი. ხუმრობა არ გეგონოს, – ხაზგასმით ამბობს ჰენრი, მრავალმნიშვნელოვნად და, ცოტა არ იყოს, ავის მომასწავებლად. მაგრამ სანამ ჯოუნსი პასუხის გაცემას მოასწრებდეს (თუმცა, რა უნდა უთხრას, როდესაც დეფანიაკი კუთხეში მორჩილად ზის), ჰენრი მასთან აღარაა.

რამდენიმე წამის განმავლობაში ჯოუნსი ჩაფიქრებით დასცქერის ტელეფონს, ყურმილს კიდებს, ბლოკნოტს ფურცლავს, შაბათის ჩანაწერს – „დალევა დეკან ჯეიკობსონის სახლში" – მსხვილად გადახაზავს და დაწერს: „უნდა დავეთხოვო – ჰენრისთან ერთად დერი-

ში გამგზავრება დ-ს სანახავად". მაგრამ ვერც ამ დაპირებას შეასრულებს. შაბათს დერი და ძველი მეგობრები თითქმის აღარ ემახსოვრება.

ჯოუნსი ჰაერს ღრმად შეისუნთქავს და ყურადღება თერთმეტსაათიან მნახველზე გადააქვს. ყმაწვილი სკამზე წრიალებს, ჩანს, შესანიშნავად ხვდება გამოძახების მიზეზს.

– მაშ, ასე, მისტერ დეფანიაკ, – ამბობს ჯოუნსი, – დოკუმენტების მიხედვით, მენის შტატიდან ხართ.

– ა-ა, დიახ. პიტსფილდი. მე...

– დოკუმენტებში ისიც წერია, რომ სტიპენდიას იღებთ და კარგადაც სწავლობთ.

ბიჭი, როგორც ჩანს, კი არ ღელავს, სადაცაა ცრემლად დაიღვრება. ღმერთო ჩემო, რა ძნელია! დღევანდლამდე ჯოუნსის სტუდენტები ტყუილში არასდროს დაუდანაშაულებია. ახლა ისეთი პირი უჩანს, რომ ეს უკანასკნელი შემთხვევა არ იქნება. იმედი აქვს, ამგვარი რამ ხშირად არ მოხდება, ვინაიდან, ეს ძალიან ძნელია, ამას ბევრი ნაგავს დაარქმევდა.

– მისტერ დეფანიაკ... დევიდ... თუ იცით, რა ემართება სტიპენდიას, როდესაც მის მფლობელს ტყუილში ამხელენ? თანაც სემესტრის გამოცდაზე?

ჭაბუკი ისე ცმუტავს, თითქოს სკამქვეშ დამალულმა არაკეთილმოსურნემ გამხდარ უკანალზე დაბალძაბვიანი, გაშიშვლებული დენის ელექტროსადენი მიადო. ტუჩები უთრთის და პირველი ცრემლი... ოჰ, ღმერთო! პირველი ცრემლი გაუპარსავ ლოყაზე მოგორავს.

– ზუსტად აგიხსნით, – განაგრძობს ჯოუნსი, – ასეთი სტიპენდია ორთქლდება. აი, რა მოსდის. ბუჰ – და ჰაერში იკარგება.

– მე... მე...

ჯოუნსის მაგიდაზე საქაღალდე დევს. გახსნის და იქიდან პირველ სემესტრში გავლილ ევროპის ისტორიის ბილეთებს იღებს. ეს ერთ-

ერთი საშინელი კითხვარია, რომელიც თავის უსაზღვრო სიბრძნეში დარწმუნებულ განათლების დეპარტამენტს ეკუთვნის. ზემოდან IBM–ის ფანქრით (ეცადეთ, მკვეთრად, მკაფიოდ ჩანიშნოთ, წაშლის შემთხვევაში კი გულმოდგინედ წაშალოთ) შავად წერია: დევიდ დეფანიაკი.

– თვალი გადავავლე თქვენს საკურსოს, დევიდ, თქვენს სტატიას შუა საუკუნეების ფრანგული ფეოდალიზმის შესახებ; დახასიათებებიც გადავფურცლე. გენიოსი არ გეთქმით, მაგრამ სხვებს არ ჩამოუვარდებით. გარდა ამისა, ვიცი, რომ სავალდებულო პროგრამას ასრულებთ და თქვენი რეალური ინტერესები ჩემს სფეროს არ მოიცავს, ასეა?

დეფანიაკი უსიტყვოდ უქნევს თავს. არასაიმედო მარტის მზის სხივებში ცრემლები ოდნავ უკიაფებს. მაგიდის კუთხეში ხელსახოცების შეკვრა დევს და ჯოუნსი მას ბიჭისკენ ისვრის. მოსწავლე მას, აფორიაქების მიუხედავად, ადვილად იჭერს. სწრაფი რეაქცია აქვს. როდესაც ცხრამეტი წლის ხარ, მთელი შენი „გაყვანილობა“ საიმედო და მყარია.

რამდენიმე წელიც მოიცადეთ, მისტერ დეფანიაკ, – ფიქრობს ჯოუნსი, – მხოლოდ ოცდაცხრამეტის ვარ და ზოგიერთი სადენი უკვე მოყანყალებული მაქვს.

– შესაძლოა, თქვენ იმსახურებთ, შანსი კიდევ მოგცეთ, – ამბობს ჯოუნსი და დეფანიაკის უზადოდ შესრულებული, უმაღლესი შეფასების მქონე ნამუშევრის დაჭმუჭნასა და დაბურთავებას იწყებს, – იქნებ გამოცდის დღეს ცუდად გახდით ან საერთოდ არ გამოცხადდით.

– ავად ვიყავი, – შეაგებებს დევიდ დეფანიაკი, – ვფიქრობ, ეს გრიპი იყო.

– ასეთ შემთხვევაში მზად ვარ, სახლში ესე გაგატანოთ იმ ტესტის ნაცვლად, რომელიც თქვენმა თანაკურსელებმა დაწერეს. თუ გსურთ, რასაკვირველია. გამოტოვებული გამოცდის აღსადგენად.

რას იტყვით, თანახმა ხართ?

– დიახ, – ქსუტუნებს ბიჭი და გაშმაგებით იწმენდს თვალებს ხელსახოცებით. კარგია, სიტყვების რახარუხს რომ არ მოჰყვა იმის შესახებ, თითქოს ჯოუნსი ვერაფერს დაამტკიცებს, რომ სტუდენტების საქმეთა სენატს მიმართავს, გააპროტესტებს და ასე შემდეგ.

ნაცვლად ამისა, ტირის, რაც უსიამოვნო საყურებელი, მაგრამ, შესაძლოა, კარგის მანიშნებელია: ცხრამეტი წელი არაფერია, მაგრამ ამ ასაკში უმრავლესობას სინდისის ნატამალიც არ გააჩნია. დეფანიაკის საქციელი აღიარების ტოლფასია, მაშასადამე, შანსი აქვს, კაცად იქცეს.

– დიახ, კარგი იქნებოდა.

– ხომ გესმით, თუ მსგავსი რამ კიდევ განმეორდება...

– არასოდეს, – სწრაფად პასუხობს ბიჭი, – არასოდეს, პროფესორო ჯოუნსი.

და თუმცა ჯოუნსი მხოლოდ ასოცირებული პროფესორია, თავში აზრადაც არ მოსდის, შეუსწოროს. ადრე თუ გვიან ხომ მაინც გახდება პროფესორი ჯოუნსი. ეს ნამდვილად წაადგებოდა. მათი სახლი სავსეა ბავშვებით და თუ მომავალში ბიუჯეტი არ გაიზარდა, ცხოვრება გაჭირდება. გარკვეული სირთულეები უკვე თავს იჩენს.

– ვიმედოვნებ, რომ ასე იქნება, – ამბობს იგი, ესე სამი ათასი სიტყვისგან უნდა შედგებოდეს და ნორმანების მიერ ინგლისის დაპყრობის შედეგებს შეეხებოდეს. შევთანხმდით? წყაროებზე მითითება დასაშვებია, ოღონდ არავითარი დამატებითი ინფორმაცია. თავისუფალი გადმოცემა, დამაჯერებელი დასკვნები. ვადა – შემდეგი ორშაბათი. შევთანხმდით?

– დიახ. დიახ, სერ.

– მაშინ შეგიძლიათ, წახვიდეთ და საქმეს შეუდგეთ, – დეფანიაკს გაცვეთილ ბოტასებზე მიუთითებს, – მომავალში, როდესაც ლუდის დალევას გადაწყვეტთ, აჯობებს, ახალი კედები შეიძინოთ. არ მინდა, ისევ ავად გახდეთ.

დეფანიაკი კარისკენ წავა, მაგრამ შემოტრიალდება. ერთი მხრივ, სურს, იქაურობას სწრაფად გაეცალოს, სანამ მისტერ ჯოუნსის არ გადაუფიქრებია, მაგრამ, მეორე მხრივ, ის მხოლოდ ცხრამეტისაა... და ცნობისმოყვარეა.

– როგორ მიხვდით? იმ დღეს ხომ იქ არ ყოფილხართ. გამოცდა ვიღაც ასპირანტმა ჩაიბარა.

– ვიცი და ეს საკმარისია, – გადაჭრით ეუბნება ჯოუნსი, – წადი, შვილო. და იცოდე, კარგად დაწერე. სტიპენდიას გაუფრთხილდი. მეც მენიდან ვარ, დერიდან, და პიტსფილდიც ვიცი. აჯობებს, იმ ადგილიდან თავი შორს დაიჭირო.

– სიმართლეს ამბობთ, – გრძნობით ეთანხმება დეფანიაკი, – გმადლობთ. გმადლობთ, რომ შანსი მომეცით.

– რომ გახვალ, კარი გაიხურე.

დეფანიაკი, რომელიც დარჩენილი ფულით ბოტასებს ან ლუდს კი არა, ყვავილების თაიგულს იყიდის და პალატაში მყოფ ჯოუნსის სწრაფად გამოჯანმრთელებას უსურვებს, დერეფანში გადის და კარს მორჩილად ხურავს. ჯოუნსი ფანჯრისკენ ტრიალდება. მზე ისევ მაცდურად იზიდავს და ვინაიდან, დეფანიაკთან ურთიერთობა მოსალოდნელზე კარგად დასრულდა, ჯოუნსი გასეირნებას გადაწყვეტს, სანამ მარტის ღრუბლებს – და, შესაძლოა, თოვლსაც – ამინდი არ გაუფუჭებია. სადილობას კაბინეტში აპირებდა, მაგრამ ახლა თავში ახალი გეგმა მოსდის. ყველაზე ცუდი მის ცხოვრებაში, თუმცა ამის შესახებ, ცხადია, არაფერი იცის. გეგმის მიხედვით, პორტფელი და „ბოსტონ ფენიქსის" ახალი ნომერი თან უნდა წაიღოს, მდინარე გადაკვეთოს და კემბრიჯში გადავიდეს. იქ ძელსკამზე დაჯდება, სენდვიჩსა და კვერცხის სალათას მიირთმევს და მზეს მიეფიცხება.

დგება, რათა დეფანიაკის დოკუმენტები კარტოთეკაში შეინახოს, ფაილებში. „როგორ მიხვდით?" – ჰკითხა ბიჭმა. ჯოუნსის მიაჩნია, რომ კარგი შეკითხვაა. შეიძლება ითქვას, შესანიშნავიც კი. პასუხი ასეთია: „იცოდა, რადგან... ზოგჯერ იცის". სიმართლე ეს არის და

არაფერი სხვა. ვინმეს შუბლზე პისტოლეტი რომ მიედო მისთვის, აღიარებდა, რომ ეს მეორე სემესტრის პირველივე ლექციაზე აღმოაჩინა: დევიდ დეფანიაკის შუბლზე დიდი, წითელი ასოები ნეონის წარწერასავით ციმციმებდა და დაჟინებით იუწყებოდა: მატყუარა, მატყუარა, მატყუარა.

მაგრამ, ღმერთო ჩემო, ეს ხომ სისულელეა – მას არ შეუძლია აზრების წაკითხვა. არც არასდროს შეეძლო. არასდროს, არასდროს, არასდროს შეეძლო და ვერც შეძლებს. ზოგჯერ მის თავში რაღაც იფეთქებს ხოლმე. სწორედ ასე შეიტყო აბებზე ცოლის დამოკიდებულების შესახებ. იგივე მოხდა ჰენრის დეპრესიის შემთხვევაშიც, როცა მან დარეკა (არა, სულელო, მის ხმაზე მივხვდი). მაგრამ ბოლო დროს ასეთი რამ თითქმის არ ხდება. ჯოზი რინკენჰაუერის ამბის შემდეგ კი უცნაური ნამდვილად არაფერი მომხდარა. შესაძლოა, ოდესღაც, ბავშვობასა და სიჭაბუკეში, რაღაც მოხდა, მაგრამ ჩავლილია ყველაფერი. ან – თითქმის ჩავლილი.

თითქმის.

იგი შემოხაზავს სიტყვებს „დერიში გამგზავრება", პორტფელს აიღებს და ამ დროს ახალი აზრი გაუელვებს, მოულოდნელი და უმიზეზო, მაგრამ ძალიან მძლავრი: უფრთხილდი მისტერ გრეის.

არადა, უკვე კარის გამოღებას აპირებდა. შეჩერდა. ეს მისი ხმა იყო. უეჭველად.

– რა? – ეკითხება სიცარიელეს.

არაფერი.

ჯოუნსი კაბინეტიდან გამოდის, კარს ხურავს და ამოწმებს, დაკეტილია თუ არა. განცხადებების დაფის კუთხეში ფურცელია მიმაგრებული. ჩამოხსნის და გადააბრუნებს. ზედ მხოლოდ ერთი წინადადებაა: „დავბრუნდები პირველ საათზე – მანამდე ისტორია ვარ". მშვიდად ამაგრებს ქაღალდს დაფაზე. რა იცის, რომ თითქმის ორი თვე გავა, სანამ კვლავ შემოვა ამ ოთახში და წმინდა პატრიკის დღეზე გადაშლილ თავის ბლოკნოტს დაინახავს.

„თავს გაუფრთხილდი", – უთხრა ჰენრიმ, მაგრამ ჯოუნსი თავის მოფრთხილებაზე კი არა, მარტის მზეზე ფიქრობს. იმაზე, თუ როგორ შეჭამს სენდვიჩს, როგორი სასიამოვნოა კემბრიჯში ახალგაზრდა გოგოების ყურება – მათ მოკლე კაბები აცვიათ, მარტში კი გიჟმაჟი ქარისგან წამოეხდებათ ხოლმე. ერთი სიტყვით, ყველაფერზე ფიქრობს, გარდა იმისა, რომ მისტერ გრეის უნდა უფრთხოდეს. და რომ, საერთოდ, ფრთხილად უნდა იყოს.

ეს არის მისი შეცდომა. ეს ის არის, თუ როგორ შეიძლება შეიცვალოს ცხოვრება. სამუდამოდ.

ნაწილი I

კიბო

ეს ცახცახი მინარჩუნებს სიცოცხლეს,
და რაც ხდება, მიდის, თუმცა არ მტოვებს.
ვიღვიძებ, რომ დავიძინო, არ ვჩქარობ,
სად მივდივარ არც კი ვიცი, არც ვნაღვლობ.

თეოდორ როტკე[24]

[24] ამერიკელი პოეტი.

თავი პირველი
მაკარტი

1

ჯოუნსიმ კინაღამ ესროლა კაცს, როცა ამ უკანასკნელმა კოროზიდან თავი გამოყო. რამდენად შეეძლო ნაბიჯის გადადგმა? „გარანდის" შაშხანის სასხლეტზე თითის გამოკვრა? არც კი, – მხოლოდ შეხება? მოგვიანებით, როდესაც შეძრწუნებული გონება ეწმინდებოდა, ნანობდა, ნარინჯისფერი ქუდისა და იმავე ფერის, გამაფრთხილებელი ჟილეტის დანახვამდე რომ არ გაისროლა. რიჩარდ მაკარტის მკვლელობა გულს არავის დასწყვეტდა, დახმარებით კი ბევრს დაეხმარებოდა. რიჩარდ მაკარტის სიკვდილს ყველას გადარჩენა შეეძლო.

2

პიტი და ჰენრი უახლოეს, „გოსლინის" მაღაზიისკენ გაემართნენ, რათა აუცილებელი სურსათი – პური, კონსერვები და ლუდი ეყი-

დათ. მართალია, ორი დღის სამყოფი მარაგი ჰქონდათ, მაგრამ რადიოთი გამოაცხადეს, რომ თოვას ელოდნენ. ჰენრის უკვე მოენადირებინა მოზრდილი ირემი, ჯოუნსის ეჩვენებოდა, რომ პიტი ლუდის დასაწყობებაზე უფრო მეტს ფიქრობდა, ვიდრე ნანადირევზე – პიტისთვის ნადირობა გართობა იყო, ლუდი კი – რელიგია. ბივერი სადღაც საფარში იჯდა, მაგრამ ჯოუნსის გასროლის ხმა ხუთი მილის რადიუსში არ გაუგია, ამიტომაც დაასკვნა, რომ ბივი, მის მსგავსად, მოცდას ამჯობინებდა.

ბანაკიდან დაახლოებით სამოცდაათ იარდში, ბებერი ნეკერჩხლის ტოტებში, პლატფორმა მოეწყოთ. სწორედ იქ იჯდა ჯოუნსი, ყავას მიირთმევდა და რობერტ პარკერის[25] დეტექტივს კითხულობდა. ამ დროს ტევრიდან ნაბიჯების ხმა მოესმა. ჯოუნსიმ თერმოსი დადგა და წიგნი დახურა. უწინ აღელვებისგან ყავას აუცილებლად დაღვრიდა, მაგრამ ამჯერად ორიოდე წამი იმაზეც კი დახარჯა, რომ ხასხასა წითელი თავსახური მჭიდროდ ჩაეხრახნა.

მათი ოთხეული ყოველი ნოემბრის პირველ კვირას ამ ადგილას ნადირობდა თითქმის ოცდახუთი წლის განმავლობაში, თუკი იმ დროიდან ავითვლით, როდესაც ბივის მამამ ისინი პირველად წამოიყვანა აქ. ჯოუნსის თავი არასოდეს შეუწუხებია პლატფორმის მოწყობით. ისევე, როგორც დანარჩენებს. ეს ზედმეტ წვალებად მიაჩნდათ. წელს კი, ამ საქმეს ხელი რომ მოჰკიდა, მეგობრები ფიქრობდნენ, რომ იცოდნენ მიზეზი, თუმცა ასე არ იყო.

2001 წლის მარტის შუა რიცხვებში, ჯოუნსის მანქანა დაეჯახა ქუჩაზე გადასვლისას. ეს კემბრიჯში მოხდა, „ჯონ ჯეი კოლეჯის" სიახლოვეს, რომელშიც ასწავლიდა. ავარიის შედეგად დაუზიანდა თავის ქალა, მოიტეხა ორი ნეკნი და მენჯ-ბარძაყის ძვალი, რომელიც შემდგომში ტეფლონისა და ლითონის მოდური კომბინაციით შეუცვალეს. მანქანის მძღოლი, რომელმაც მას დაარტყა, ბოსტონის უნივერსიტეტის პენსიაზე გასული პროფესორი აღმოჩნდა. ადვოკატის

[25] დეტექტიური ჟანრის ამერიკელი მწერალი.

თქმით, იგი ალცჰეიმერის დაავადების ადრეულ ეტაპზე იმყოფებოდა, და არათუ დასჯა, სიბრალული და თანაგრძნობა ესაჭიროებოდა.

ხშირად ვერავის დაადანაშაულებ, – ფიქრობდა ჯოუნსი, – სანამ მტვერი გაიფანტება და ვითარება გაირკვევა. და თუ დაადანაშაულებ კიდეც, რას მოიგებ? იძულებული იქნები, ძველი ცხოვრების ნამსხვრევები შეაგროვო, ძაღლუმადურად ცხოვრება განაგრძო და თავი იმით დაიმშვიდო (მას სწორედ ასე ამშვიდებდნენ, სანამ თანდათან ყველაფერი არ დაივიწყეს), რომ შესაძლოა, უარესიც მომხდარიყო.

მართლაც შეიძლებოდა, უარესი მომხდარიყო. თავი ძველებურად უმუშავებდა, ბზარიც შეუხორცდა. მართალია, ჰარვარდის მოედანზე უბედურ შემთხვევამდე საათ-ნახევრის განმავლობაში რაც მოხდა, მეხსიერებიდან წაეშალა, მაგრამ სხვა მხრივ გონებას არ უჩიოდა. ყველაზე მეტად თეძომ შეაწუხა, მაგრამ ოქტომბრისთვის ყავარჯნებიც მოიშორა და კოჭლობა მხოლოდ დღის დასასრულსღა ეტყობოდა.

პიტი, ჰენრი და ბივი დარწმუნებული იყვნენ, რომ მან სწორედ თეძოს გამო ამჯობინა პლატფორმაზე მდგარიყო, ვიდრე სველ და ნოტიო მიწაზე. ნაწილობრივ არ შემცდარან. ჯოუნსი გულმოდგინედ მალავდა, რომ ირმებზე ნადირობის ინტერესი თითქმის დაკარგა. არ სურდა, მეგობრებს გული დასწყვეტოდათ. ამის გამო თვითონაც ბრაზობდა, მაგრამ რა ექნა? საკუთარ თავში გარკვეული ცვლილებები მხოლოდ მაშინ შეამჩნია, როდესაც ვინჩესტერის შალითა გახსნა. არა, ცხოველების მოკვლა მასში ზიზღს არ იწვევდა, მაგრამ არც ეხალისებოდა. მარტის იმ მზიან დღეს სიკვდილმა ცხვირწინ ჩაუარა და ჯოუნსის აღარ სურდა, მისთვის ისევ ეხმო. თუმცა, ამ შემთხვევაში, ის მსხვერპლი კი არა, სიკვდილის მოციქული უფრო იქნებოდა.

3

საოცარია, მაგრამ ბუნებაში ხეტიალი ძველებურად უყვარდა, გარკვეულწილად, უფრო მეტადაც, ვიდრე უწინ. საუბარი ღამით – წიგნები, პოლიტიკა, ყველაფერი, რაც ბავშვობაში გადახდათ, სამომავლო გეგმები. ჯერ ორმოცი წელიც არ შესრულებოდათ, თავისუფლად შეეძლოთ დაეწყოთ გეგმები, უამრავი გეგმა. მათი მეგობრობა ისევ მტკიცე იყო.

მშვენივრად გაჰყავდა დრო – საათობით რჩებოდა მარტო, პლატფორმაზე. სიცივეში საძილე ტომარა მოჰქონდა, სანახევროდ შიგ ძვრებოდა და წიგნითა და ფლეიერით იქცევდა თავს. არა, ფლეიერზე უარი თქვა, რადგან აღმოაჩინა, რომ ტყის მუსიკა – ფიჭვებში ქარის ნაზი ღიღინი და ყვავების ჩხავილი – გაცილებით მოსწონდა. წიგნს კითხულობდა, ყავას სვამდა, მერე ისევ კითხულობდა, ზოგჯერ ხასხასა წითელი საძილე ტომრიდან ამოძვრებოდა და პირდაპირ პლატფორმის კიდიდან შარდავდა. დიდი ოჯახი ჰყავდა, მრავალი კოლეგა. გულზიარი ადამიანი იყო, ყველანაირი ურთიერთობით ტკბებოდა – როგორც ოჯახურით, ისე მეგობრულითაც (სტუდენტებიც არ დაგვავიწყდეს, სტუდენტების უწყვეტი ნაკადი) – და მათ შესანიშნავად აწონასწორებდა.

მხოლოდ აქ, ზემოთ მიხვდა, რომ კვლავ არსებობდა დუმილის ძველებურად ძლიერი მიზიდულობა. თავს ისე გრძნობდა, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდა.

– დარწმუნებული ხარ, რომ აქ გირჩევნია ყოფნა? – ჰკითხა ჰენრიმ გუშინ დილით, – გამიხარდება, თუკი ჩემთან ერთად წამოხვალ. გპირდები, ფეხი არ დაგეღლება.

– თავი დაანებე, – თქვა პიტმა, – მას აქ უფრო მოსწონს. ხომ ასეა, ჯოუნსი-ბიჭო?

– დაახლოებით, – მიუგო მან და აღარ განავრცო. არ უთქვამს, მაგალითად, როგორ მოსწონდა ეს ადგილი. ზოგიერთი რამ უახლოეს მეგობრებსაც არ გვინდა, გავუზიაროთ. თუმცა, ხშირად, უახლოესი მეგობრები ამას უსიტყვოდაც ხვდებიან.

– აი, რას გეტყვით, – თქვა ბივმა, ფანქრის ბოლო პირში ჩაიდო და ღრღნა დაუწყო. ეს ნაცნობი, მათთვის ძვირფასი ჩვევა მას პირველი კლასიდან გამოჰყვა, – მომწონს, როდესაც უკან ვბრუნდებით და შენ აქ გვხვდები, ჰორნბლაუერზე[26] დაწერილი წიგნების პერსონაჟივით ყვავის ბუდეში მოთვალთვალე. თვალი გეჭიროს და რაღაც ამგვარი.

– იალქანს ვხედავ! – აიტაცა ჯოუნსიმ და ყველას გაეცინა, მაგრამ მხოლოდ მან იცოდა, რა იგულისხმა ბივმა. გრძნობდა ამას. თვალი გეჭიროს. ფიქრებს მიეცი თავი, მაგრამ თვალი გეჭიროს გემებზე, ზვიგენებზე, ყველაფერზე, რაც კი გზად შეგხვდება.

თეძოს ტკივილი კვლავ ახსენებს თავს, ხარახურით სავსე ზურგჩანთა ზურგს სტკენს. იგი ნელა, მოუხერხებლად ეშვება ხიდან. არა უშავს. სასაყვედურო არაფერი აქვს. ამქვეყნად ყველაფერი იცვლება, მაგრამ მხოლოდ სულელს სჯერა, რომ ამ ცვლილებებს კარგი არაფერი მოაქვს.

მაშინ თვითონაც ასე ფიქრობდა.

4

როდესაც ტოტის შერხევის ხმა და მისი ჩამოტეხის მსუბუქი ტკაცუნი შემოესმა, – ირმის მოახლოების უტყუარი ნიშანი, – ჯოუნსის მამის სიტყვები გაახსენდა: „იღბალი თავისით მოდის. მას ძალით ვერ მოიყვან". ლინდსი ჯოუნსი, ამქვეყნად წარუმატებლობისთვის გაჩენილი ადამიანი, ზოგჯერ მფრინავ ფრაზებს ამბობდა. ესეც მისი ერთ-ერთი გამონათქვამი იყო, რომელიც ფაქტით დასტურდებოდა: მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა ირემზე აღარ ენადირა, ნადავლი თავისი ფეხით მოიწევდა მისკენ. ხმის მიხედვით ზორბა, ადამიანისხელა ხარირემი უნდა ყოფილიყო.

---

[26] ინგლისელ მწერალ სესილ ფორესტერის (1899-1966) მოგონილი პერსონაჟი – ჰორაციო ჰორნბლაუერი, ბრიტანეთის სამეფო ფლოტის ოფიცერი. ფორესტერმა მას წიგნების მთელი სერია მიუძღვნა.

ჯოუნსი ვერაფრით წარმოიდგენდა, რომ ის ადამიანი აღმოჩნდებოდა – იმ მიყრუებულ ადგილას, რენგლის ჩრდილოეთით, ორმოცდაათ მილში, მონადირეთა უახლოეს ბანაკამდე არანაკლებ ორი საათის სავალზე, ერთადერთი მოხრეშილი გზაც კი, „გოსლინის" მაღაზიისკენ რომ მიემართებოდა (შტატის საუკეთესო ლუდი, თანაც მომგებიანი!), თექვსმეტი მილით იყო დაშორებული.

რა გაეწყობა, – გაიფიქრა მან, – ბოლოს და ბოლოს, ხომ არ დამიფიცია.

არა, რა თქმა უნდა, არ დაუფიცია. მაგრამ მომავალ წელს, იარაღის ნაცვლად, სავარაუდოდ, „ნიკონის" ფოტოაპარატს წამოიღებს, თუმცა, მანამდე დიდი დროა, „გარანდის" ვინჩესტერი კი აქვე უდევს, გვერდით.

ჯოუნსიმ ყავის თერმოსს წითელი თავსახური ჩაახრახნა და განზე გადადო, შემდეგ საძილე ტომარა წინდასავით ჩაიწია, დაბუჟებული თეძოს ტკივილისგან ოდნავ შეიჭმუხნა და ხელი თოფს სტაცა. ხმაურიანი გადატენა, ყურებდაცქვეტილ ირემს რომ დააფრთხობდა, არ დასჭირვებია, ხელი გაწაფული ჰქონდა – დამცველს მოხსნიდა თუ არა, იარაღი მზად იყო. ასეც მოიქცა, როდესაც ფეხზე მყარად დადგა. უწინდელ ველურ აღტყინებას აღარ გრძნობდა, მაჯისცემა მაინც გაუხშირდა, ეს სიამოვნებას ჰგვრიდა. უბედური შემთხვევის შემდეგ მსგავსი რეაქციის გამოვლინება ყოველთვის გულს უხარებდა. მასში თითქოს ორი ადამიანი სახლობდა: ერთი, რომელიც ავარიამდე უდარდელად დააბიჯებდა ქუჩა-ქუჩა, მეორე კი – ფრთხილი, ასაკში შესული ტიპი, რომელიც მასაჩუსეტსის საავადმყოფოში მოვიდა გონს, თუკი ასე დავარქმევთ ნარკოტიკების დახმარებით ცნობიერების დაბრუნებას. ზოგჯერ ახლაც ესმოდა ვიღაცის ხმა (ეს მისი ხმა არ იყო), ის იძახდა: „შეწყვიტეთ, გთხოვთ... ამას ვერ გავუძლებ, ნემსი გამიკეთეთ... სად არის მარსი... მარსი მჭირდება". ეჩვენებოდა, რომ ეს სიკვდილის ხმა იყო – სიკვდილის, რომელსაც ქუჩაში ას-

ცდა და რომელმაც საავადმყოფოში მიაკითხა დაწყებული საქმის დასამთავრებლად. სიკვდილს ტკივილისგან შეწუხებული მამაკაცის სახე მიეღო (იქნებ ქალისაც, ეს ძნელი გასარჩევი იყო), იმ ადამიანის სახე, მარსის რომ ეძახდა, თუმცა ჯოუნსის გულისხმობდა.

ეს აზრი გაუქრა, – ყველა სასაცილო აზრი გაუქრა, რომელიც საავადმყოფოში ეწვია, – თუმცა რაღაც მაინც დარჩა. ეს „რაღაც" სიფრთხილე იყო. აღარ ახსოვდა, ჰენრიმ რომ დაურეკა და უთხრა, ფრთხილად იყავიო (ამას აღარც ჰენრი ახსენებდა), მაგრამ ჯოუნსი უკვე მეტ ყურადღებას უთმობდა თავს. სიფრთხილეს იჩენდა, რადგან სიკვდილი შესაძლოა, სადღაც ახლოს ყოფილიყო და ზოგჯერ მისი სახელიც წარმოეთქვა.

ეს ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა. იგი გადარჩა სიკვდილთან ორთაბრძოლაში, ამ დილით კი სიკვდილი არავის ელოდა, მხოლოდ ირემს (მისი აზრით – ხარირემს), რომელიც საბედისწერო ადგილას აღმოჩნდა.

ტოტების ხმაური და ფიჩხის ტკაცუნი სამხრეთ-დასავლეთიდან მოდიოდა. ხის შემოვლა არ დასჭირდებოდა, რადგან ქარი მისკენ ქროდა. ასე უკეთესი იყო. ნეკერჩხალს ფოთლები თითქმის შემოძარცოდა, რაც ერთმანეთში გადახლართული ტოტებიდან მიზანში ამოღების კარგ, შესანიშნავ შესაძლებლობას აძლევდა. ჯოუნსიმ თოფი ასწია, მხარზე მჭიდროდ მიიბჯინა და სროლისთვის მოემზადა.

მაკარტი იმან გადაარჩინა, – დროებით მაინც, – რომ ჯოუნსის ნადირობის მიმართ ერთგვარი იმედგაცრუება დაუფლებოდა. სამაგიეროდ, ლამის სიცოცხლეს გამოასალმა იმ მოვლენამ, რასაც ჯოუნსის მამის მეგობარი ჯორჯ კილროი თვალის ციებ-ცხელებას უწოდებდა. „თვალის ციებ-ცხელება, სამონადირეო ციებ-ცხელების ერთგვარი ფორმაა და ნადირობის დროს დატრიალებული ტრაგედიების მეორე მიზეზი გახლავთ. პირველი მიზეზი კი სიმთვრალეა, – ამბობდა ჯორჯ კილროი, რომელსაც, ჯოუნსის მამის მსგავსად, ამ საქმეში რაღაც გაეგებოდა, – პირველი ყოველთვის სიმთვრალეა".

კილროი ამბობდა, რომ თვალის ციებ-ცხელების ყველა მსხვერ-პლი ერთნაირად გამოხატავდა გაოცებას, როცა შეიტყობდა, რომ ტყვია ღობეს, ჩავლილ მანქანას, ფარდულს ან მის თანამგზავრს (უფ-რო ხშირად ეს მეუღლე, ნათესავი ან ბავშვი იყო) მოხვდა. „მაგრამ მე ხომ დავინახე ნადირი", – აპროტესტებდნენ ისინი. მათი უმრავ-ლესობა, კილროის თქმით, სიცრუის დეტექტორსაც წარმატებით დასძლევდა, რადგან მართლა დაინახა ირემი, დათვი, მგელი ან რო-ჭო მაინც, რომელიც შემოდგომის მაღალ ბალახში ფრაშფრაშებდა. საკუთარი თვალით ნახა.

კილროის აზრით, ამ მონადირეებს მოუთმენლობა იწირავდა – ჩვეულებრივ, მათ სურდათ, რაც შეიძლება სწრაფად გაესროლათ, გაუთავებელი ლოდინისთვის ბოლო მოეღოთ და დაძაბულობა მო-ეხსნათ. მღელვარება იმდენად დიდია, რომ ტვინი თვალის ნერვს სიგნალს გადასცემს და ადამიანი მართლაც ხედავს იმას, რისი და-ნახვაც სურს. სწორედ ეს არის თვალის ციებ-ცხელება. და თუმცა ჯოუნსი მშვიდად იყო, – თითები მაინც არ უთრთოდა, როდესაც თერმოსს თავსახურს ახრახნიდა, – მოგვიანებით აღიარა, რომ კინა-ღამ გადაჰყვა ამ დაავადებას.

წამით მკაფიოდ დაინახა ამაყი რქოსანი ერთმანეთში გადახლარ-თული ტოტების უკან, ისევე მკაფიოდ დაინახა, როგორც წინა თექ-ვსმეტი ირემი (ექვსი ფური და ათი ხარი) წლების განმავლობაში „კე-დელში გაკეთებულ ხვრელში" რომ მოეყვანათ – ყავისფერი თავი, საიუველირო კოლოფში ჩაფენილი ხავერდივით მუქი თვალები, რქე-ბიც კი.

– ესროლე! – შესძახა მისმა ნაწილმა, ალბათ უბედურ შემთხვე-ვამდე არსებულმა ჯანმრთელმა და ბედნიერმა ჯოუნსიმ. ბოლო ხანს ის სულ უფრო ხშირად სწევდა თავს მაღლა, თითქოს იმ მისტიკურ მდგომარეობას უახლოვდებოდა, რომელსაც „სრულ გამოჯანმრთე-ლებას" უწოდებენ ადამიანები, მანქანის ბორბლებქვეშ რომ არას-

დროს მოხვედრილან. თუმცა არასდროს უყვირია ისე ხმამაღლა, როგორც ახლა. ეს ბრძანება იყო, თითქმის კივილი.

მისი თითი სასხლეტს მიადნა. და თუმცა აღარ გამოუკრავს, თითი მართლაც დაეჭიმა. ხმამ შეაჩერა. მეორე ჯოუნსის ხმამ, იმ ჯოუნსისამ, რომელიც გონზე მასაჩუსეტსის საავადმყოფოში მოვიდა ნარკოტიკებით გაჭყეპილი, ტკივილით გატანჯული; რომელიც დარწმუნებული არაფერში იყო, გარდა იმისა, რომ ვიღაცას გაჩერებას სთხოვდა; ვეღარაფერს უძლებდა, თუ დაუყოვნებლივ ნემსს არ გაუკეთებდნენ; და რომელიც მარსის მოყვანას ითხოვდა.

– არა, ჯერ არა – მოიცადე, დაუკვირდი, – ახალმა, წინდახედულმა ჯოუნსიმ გააფრთხილა. და სწორედ მის ხმას დაემორჩილა. ადგილზე გაქვავდა, სიმძიმე მარცხენა, ჯანმრთელ ფეხზე გადაიტანა. თოფი კი შემართული ჰქონდა, ერთმანეთში გადახლართული ტოტების გვირაბში ზუსტად უმიზნებდა იდეალური ოცდათხუთმეტგრადუსიანი კუთხით.

სწორედ ამ დროს ჩამოცვივდა გათეთრებული ციდან თოვლის პირველი ფანტელი და ჯოუნსიმ ირმის კისერთან მკვეთრი ნარინჯისფერი ხაზი შენიშნა, თითქოს თოვლმა გაანათაო. ამჯერად მხედველობამ უღალატა და ლულის წინ გადღაბნილი საღებავების ლაქასავით გამოჩნდა. ყველაფერი გაქრა: აღარც ირემი ჩანდა, აღარც – ადამიანი, აღარც – ხეები; მხოლოდ – ერთმანეთში შერეული ყავისფერი, შავი და ნარინჯისფერი საღებავების მასა.

თანდათან ნარინჯისფერმა იმატა და ნაცნობი ფორმა მიიღო – კეპის, რომელსაც „ყურები" აქვს, რომ არ შეგცივდეს. ჩამოსულები მას ლ. ლ. ბინის[27] მაღაზიებში ორმოცდახუთ დოლარად ყიდულობენ. ეტიკეტს უცვლელი წარწერა ამშვენებს: „სიამაყით დამზადებული აშშ-ში უნიონ ლეიბორის[28] მიერ". სხვათა შორის, ასეთივე ქუდები

[27] ფირმა, რომელიც მეთევზეებისა და მონადირეების ტანსაცმელს უშვებს.
[28] მუშათა პარტია.

„გოსლინში“ მხოლოდ შვიდი დოლარი ღირს. ეგაა, რომ წარწერა ღაღადებს: „დამზადებულია ბანგლადეშში“.

კეპმა ყველაფერი თავზარდამცემ ფოკუსში მოაქცია – ო-ო, ღმერთო! ხარირმის თავი რომ ეგონა, დაბამბული ქურთუკი აღმოჩნდა, საიუველირო კოლოფის მუქი ხავერდი – ღილი, რქები – იმ ხის ტოტები, რომელზეც თვითონ იდგა.

უცნობის მხრიდან უგუნურება იყო (ჯოუნსის ძალიან უნდოდა, ამისთვის სიგიჟე ეწოდებინა) ტყეში ყავისფერი ქურთუკით სიარული, მაგრამ ჯოუნსი ჯერაც ვერ მიმხვდარიყო, როგორ მოხდა, რომ საბედისწერო შეცდომა კინაღამ დაუშვა. კაცს ხომ ისეთივე ნარინჯისფერი კეპი ეხურა, არა? ხასხასა ნარინჯისფერი ჟილეტი კი მოუხერხებელ ყავისფერ ქურთუკზე ეცვა. მამაკაცის...

...მამაკაცის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. ბეწვზე.

ჯოუნსის თითქოს მეხი დაეცა და მისი სული და სხეული განაცალკევა. იმ საშინელ წამს, რომელიც სამუდამოდ ჩაებეჭდა მეხსიერებაში, იგი აღარ იყო ჯოუნსი ნომერი ერთი, თავდაჯერებული, მშვიდი, ავარიამდელი ჯოუნსი, არც ჯოუნსი ნომერი ორი იყო – უბედური შემთხვევის გაუბედავი მსხვერპლი, რომელმაც საკმარისი დრო გაატარა ფიზიკური დისკომფორტისა და გონებრივი ქაოსის მდგომარეობაში. იმწუთას ის სულ სხვა ჯოუნსად იქცა, უხილავ მოწმედ, რომელიც პლატფორმაზე მდგარ მონადირეს შესცქეროდა. ამ უკანასკნელს ჭაღარაშეპარული თმა მოკლედ შეეკრიჭა, პირის გარშემო ნაოჭები გასჩენოდა, ჩაცვივნულ ლოყებზე წვერი შავ წერტილებად მოუჩანდა. მონადირე საცაა, სასხლეტს თითს გამოჰკრავდა. თავზემოთ თოვლის ფანტელები ცეკვავდა და შარვლიდან ამოჩაჩულ ფლანელის პერანგის კალთებზე ეშვებოდა. იგი მზად იყო, ნარინჯისფერ კეპსა და ისეთივე ჟილეტში გამოწყობილი კაცისთვის ესროლა. თვითონაც ასე ჩაიცვამდა, აქ რომ არ დარჩენილიყო და ბივერთან ერთად წასვლა გადაეწყვიტა.

მან საკუთარ სხეულში ყრუ ბრაგვანი მოადინა, აი, ისეთი, უსწორმასწორო გზაზე სწრაფად მიმავალი მანქანა მაღლა რომ აგაგდებთ და სავარძელზე დაგანარცხებთ. თავზარდაცემულმა გაიაზრა – ლულა კვლავაც უცნობისთვის მიეშვირა, თითქოს ტვინში ღრმად მოკალათებულ ალიგატორს არაფრით სურდა იმ აზრთან განშორება, რომ ყავისფერ ქურთუკში გამოწყობილი კაცი მისი ნადავლი იყო. უარესი კი ის გახლდათ, რომ ვერაფრით აიძულებდა თავს, სასხლეტიდან თითი აეღო. ამ კოშმარში მყოფს წამით მოეჩვენა კიდეც, რომ თითი შეუმჩნევლად აძლიერებდა დაწოლას და გარდაუვლად ამცირებდა მანძილს ცხოვრების უდიდეს შეცდომასთან. მოგვიანებით მიხვდა, რომ ეს იმ ილუზიას ჰგავდა, როდესაც უძრავ მანქანაში მჯდომი თვალს მოჰკრავ ჩავლილ ავტოს და თითქმის დარწმუნებული ხარ, რომ შენი მანქანა უკან მიგორავს.

არა, თითი მხოლოდ გაშეშდა, მაგრამ ესეც მეტისმეტი იყო, ნამდვილი ჯოჯოხეთი. „ჯოუნსი, შენ ძალიან ბევრს ფიქრობ", – უთხრა პიტმა, როდესაც კიდევ ერთხელ წამოადგა თავზე სიცარიელეს მიშტერებულ მეგობარს, რომელიც გარშემო ვეღარავის ამჩნევდა. ეს, ალბათ, ნიშნავდა: „ჯოუნსი, ძალიან მდიდარი წარმოსახვა გაქვს". და ეს, სავარაუდოდ, სიმართლე იყო. მართლაც მდიდარი წარმოსახვა ჰქონდა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ხეზე იდგა, სეზონის პირველი თოვლის ქვეშ, თმა შუბლზე მიჰკვროდა, თითი სასხლეტზე მისწებებოდა – აღარც ეძაბებოდა, რისიც ასე ეშინოდა, და აღარც უდუნდებოდა. აი, კაცი თითქმის გაუსწორდა – „გარანდის" სამიზნეში მისი ნარინჯისფერი კეპი მოექცა. ადამიანის სიცოცხლე თოფის ლულასა და იმ კეპს შორის გაბმულ უხილავ ბეწვზე ჰკიდია. ის კი არაფერს ეჭვობს, შესაძლოა, მანქანის გაყიდვაზე ფიქრობდეს, ან იმაზე, როგორ უღალატოს ცოლს ისე, რომ მან ვერაფერი შეიტყოს, ან – უფროსი ქალიშვილისთვის პონის ყიდვაზე (მოგვიანებით, ჯოუნსიმ შეიტყო, რომ მაკარტი მსგავსს არაფერს ფიქრობდა, მაგრამ საიდან უნდა სცოდნოდა ეს, როდესაც სასხლეტზე მიდებული თითი

უდრეკ ხვიად გადაჰქცეოდა). მან ახლაც არ იცოდა, რაც ჯოუნსისთვისაც უცნობი იყო, როცა ის კემბრიჯში ტროტუარის კიდეზე იდგა, პორტფელით ხელში და გაზეთ „ბოსტონ ფენიქსით" – იღლიაში. არ იცოდა, რომ სიკვდილი ახლოს იყო. უბრალო სიკვდილი კი არა, მისი უდიდებულესობა სიკვდილი, აჩქარებული ფიგურა, როგორც ინგმარ ბერგმანის29 ადრეული ფილმიდან გადმომხტარი არსება, რომელიც უხეში მოსასხამის ქვეშ მკვლელობის იარაღს მალავს. მაკრატელს. ან სკალპელს.

ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ კაცი არ მოკვდებოდა, ყოველ შემთხვევაში, მყისიერად მაინც. დაეცემოდა და მიწაზე გორიალსა და ყვირილს დაიწყებდა, როგორც ეს ჯოუნსიმ გააკეთა ქუჩაში. მართალია, არ ახსოვდა, მაგრამ, რასაკვირველია, ასე მოხდა; ამის შესახებ მოგვიანებით უამბეს და მიზეზი არ ჰქონდა, არ დაეჯერებინა. ალბათ უკანასკნელი სიტყვებით ილანძღებოდა. რა მოხდებოდა, ყავისფერ ქურთუკსა და ნარინჯისფერ აქსესუარებში გამოწყობილ კაცს, მარსისთვის რომ ეხმო? რა თქმა უნდა, სინამდვილეში არა, მაგრამ ჯოუნსის ტვინში, შესაძლოა, მაინც გაისმას მარსის სახელი. თუკი მას თვალების ციებ-ცხელება დაემართა და ყავისფერი ქურთუკი ირმის თავი ეგონა, სმენითი ჰალუცინაციაც არ გამოირიცხება. გაიგონებ მის ყვირილს და იფიქრებ, რომ ყველაფერი შენ გამო ხდება... ღმერთო დიდებულო, არა! თითი კი სასხლეტს მაინც არაფრით შორდებოდა.

დროებითი დამბლიდან იგი უბრალო და მოულოდნელმა მოვლენამ გამოიყვანა: ყავისფერქურთუკიანი უცნობი ჯოუნსის ხის ფესვებიდან ათიოდ ნაბიჯში დაეცა. ჯოუნსის მისი ტკივილით აღსავსე და გაოცებული შეძახილი მოესმა: უუხ! და თითი თავისით მოსცილდა სასხლეტს.

კაცი ოთხზე იდგა. ყავისფერ ხელთათმანებში გაყრილი მისი თითები (ყავისფერი ხელთათმანები კიდევ ერთი შეცდომაა, – გაიფიქ-

რა ჯოუნსიმ, – ამ ტიპს ასეთივე წარმატებით შეეძლო, ზურგზე ფირფიტა ჩამოეკიდებინა, წარწერით „მესროლეთ“) შეთეთრებულ მიწას ფხოჭნიდა. კაცი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა და ხმამაღლა, მაგრამ გაუგებრად და გაღიზიანებით ჩაიბურტყუნა რაღაც.

– ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, – გაიმეორა მან და მთვრალივით შექანდა. ჯოუნსიმ იცოდა, რომ მამაკაცები, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ან თუნდაც შაბათ-კვირა სახლიდან შორს აღმოჩნდებიან ხოლმე, პატარა სისუსტეების გამომჟღავნებას იწყებენ, უფრო ხშირად, დილიდანვე თვრებიან. მაგრამ ჯოუნსის რატომღაც მოეჩვენა, რომ უცნობი მთვრალი არ იყო. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, მაგრამ ინტუიცია კარნახობდა.

– ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, – იმეორებდა კაცი და გზას განაგრძობდა, – თოვლი. ახლა თოვს კიდეც. გთხოვ, ღმერთო, ოჰ, ღმერთო, ახლა თოვს კიდეც, ღმერთო.

თავიდან ბორძიკით, გაუბედავად მიდიოდა და ჯოუნსიმ თითქმის დაასკვნა, რომ ინტუიციამ უღალატა, მაგრამ მალე კაცმა სიარული გამოასწორა, თან ხელით მარჯვენა ლოყას იფხეკდა.

მან ზუსტად ჯოუნსის ხის ქვეშ გაიარა და წამით ადამიანიდან ნარინჯისფერ წრედ იქცა, რომელსაც ორივე მხრიდან ყავისფერი შვერილები ჰქონდა. თანდათან მიწყდა ქსუტუნით, ცრემლნარევი ხმით წარმოთქმული სიტყვები: ოჰ, ღმერთო, ღმერთო, ახლა თოვს კიდეც.

ჯოუნსი გაუნძრევლად იდგა, უყურებდა, როგორ გაიარა მან პლატფორმის ქვეშ და მეორე მხრიდან გამოჩნდა. ჯოუნსი მიტრიალდა, თვითონაც არ იცოდა – რატომ და კოჭლობით მიმავალ უცნობს თვალი გააყოლა. გაუცნობიერებლად თოფიც დამცველით ჩაკეტა და დაბლა დაუშვა.

გასაგები მიზეზის გამო, კაცისთვის არ დაუძახია – სინდისი ქენჯნიდა. ეშინოდა, – ვაითუ, უცნობმა შეხედვისთანავე ამოიკითხოს სიმართლე ჩემს თვალებში და მიხვდეს, ტყუილად არ ვიდექი მაღლა თოფით ხელში და კინაღამ მოვკალიო.

ხიდან ოციოდე ნაბიჯში უცნობი შეჩერდა და გაქვავდა, თან მარჯვენა ხელი შუბლთან მიიტანა თოვლისგან თვალების დასაცავად. ჯოუნსიმ გაიფიქრა, რომ კაცმა „კედელში გაკეთებული ხვრელი" დაინახა. როგორც ჩანს, მიხვდა, რომ გზა სწორედ აქ გადიოდა. ოჰ, ღმერთოს ძახილი შეწყდა და კაცი გენერატორების ხმისკენ გაიქცა, თან ისე ქანაობდა, როგორც შტორმის დროს გემბანზე გასული ნასვამი მეზღვაური. ჯოუნსის უცნობის დაძაბული, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა ესმოდა. იგი მყუდრო სამონადირეო სახლისკენ მიეშურებოდა, რომლის სახურავის თავზე ზარმაცად ჩნდებოდა და მაშინვე ჰაერში იფანტებოდა კვამლის რგოლები.

ჯოუნსი ფრთხილად შეუდგა ნეკერჩხლიდან დაბლა დაშვებას, თოფი მხარზე გადაიკიდა. მაშინ აზრადაც არ მოსვლია, რომ მას და მის მეგობრებს უცნობისგან თავი შორს უნდა დაეჭირათ. უბრალოდ „გარანდის", ამ მშვენიერი იარაღის თოვლში დაგდება არ უნდოდა. თეძო კვლავ დაუბუჟდა. სანამ ხიდან ჩამოძვრა, კაცი, რომელიც კინაღამ მოკლა, უკვე სამონადირეო სახლის კართან იდგა. კარი, რა თქმა უნდა, ღია იყო. იმ მიყრუებულ ადგილას მისი დაკეტვა, აბა, ვის მოაფიქრდებოდა?

5

ათიოდე ფუტში გრანიტის ფილამდე, რომელიც სახლის, ეგრეთ წოდებული „კედელში გაკეთებული ხვრელის" ზღურბლს წარმოადგენდა, ნარინჯისფერკეპიანი მამაკაცი ისევ დაეცა. კეპი გვერდზე გადავარდა და გაოფლილი, შეთხელებული წაბლისფერი თმა გამოაჩინა. რამდენიმე წამს თავდახრილი ცალ მუხლზე იდგა. ჯოუნსის კვლავ მოესმა მისი მძიმე, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვა.

შემდეგ კაცმა კეპი ისევ დაიხურა. სწორედ ამ დროს წამოეწია ჯო უნსი.

უცნობი წამოდგა და უხერხულად შემოტრიალდა. ჯოუნსის თვალში ეცა ზედმეტად წაგრძელებული სახე, როგორსაც ხალხი

ცხენისას ამსგავსებს. როდესაც მას მიუახლოვდა, ჯოუნსი აღარ კოჭლობდა, მხოლოდ ოდნავ ეყრდნობოდა ნაავადმყოფარ ფეხს და ეს კარგი იყო, რადგან მშრალ თოვლზე ფეხი სხლტოდა, – მიახლოებისას აღმოაჩინა, რომ ცდებოდა. კაცს, უბრალოდ, ძალზე შეშინებული და მკვდარივით გაფითრებული სახე ჰქონდა. ლოყაზე, სადაც ფრჩხილებს გაევლო, წითელი ლაქა აჩნდა. ჯოუნსის დანახვაზე კაცმა ხმამაღლა და შვებით ამოისუნთქა. ჯოუნსის კინაღამ გაეცინა, როცა გაახსენდა, როგორ იდგა პლატფორმაზე და წუხდა, უცნობმა ჩემს თვალებში სიმართლე არ ამოიკითხოსო. კაცს ნათელმხილველობის არაფერი ეტყობოდა და არც ის აინტერესებდა, საიდან გაჩნდა ან რას აკეთებდა იქ ჯოუნსი. ისეთი სახე ჰქონდა, გეგონებოდათ, საცაა, კისერზე ჩამოეკიდება და დაკოცნისო.

– მადლობა ღმერთს! – შესძახა კაცმა და ჯოუნსის ხელი გაუწოდა, თან ახალდადებულ, მოყინულ თოვლზე ფეხს ინაცვლებდა, – ოჰ, მადლობა ღმერთს! უნდა გითხრათ, რომ დავიკარგე და გუშინდელი საღამოს აქეთ ტყეში დავხეტიალებ, მეგონა, გავიყინებოდი... მე... მე...

მას ფეხი დაუცდა, მაგრამ ჯოუნსიმ დროულად სტაცა მხარში ხელი. ჯოუნსის სიმაღლე ექვსი ფუტი და ორი დუიმი იყო, კაცი კი ნამდვილი ახმახი გახლდათ, უფრო მხარბეჭიანიც. ჯოუნსის მისი დანახვისას უწონადობის შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს შიშს შიგნიდან გამოეჭამა იგი და ბაბუაწვერას სიმსუბუქე მიეცა.

– ფრთხილად, მეგობარო, – უთხრა ჯოუნსიმ, – მშვიდად. ყველაფერი დამთავრდა. სამშვიდობოს ხართ. აჯობებს, ოთახში შეგიყვანოთ და სითბოში დაგსვათ, რას იტყვით?

„სითბოს“ გაგონებაზე კაცს კბილები ისე აუკაწკაწდა, თითქოს ბრძანება მიეღოს.

– რა-რა თქმა უნდა...

გაღიმება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ჯოუნსი ისევ განაცვიფრა მისმა არაბუნებრივმა სიფერმკრთალემ. ცივი დილა იდგა, ოც

გრადუსზე ნაკლები არ იქნებოდა, მაგრამ უცნობის ლოყები ტყვიისგან ჩამოსხმულსა და ნაცარმიყრილს ჰგავდა. ერთადერთი ფერადი ლაქა მთელ სახეზე, წითელი განაკაწრის გამოკლებით, ჩაშავებული უპეები იყო. ჯოუნსიმ კაცს მხრებზე ხელი მოხვია და მოულოდნელად მისდამი აუხსნელი სინაზე იგრძნო – ისეთივე ძლიერი ემოცია, როგორიც პირველი სიყვარულია სკოლაში... მარი ჯო მარტინო: მოკლე ვარცხნილობა, უსახელო თეთრი ბლუზა და მუხლებამდე ჯინსის ქვედაბოლო. ჯოუნსი ახლა აბსოლუტურად დარწმუნებული იყო, რომ კაცს სიმთვრალის არაფერი ეცხო და შიშისგან (და დაღლილობისგანაც) ქანაობდა. თუმცა პირიდან მაინც ამოსდიოდა რაღაცის სუნი... იქნებ ბანანის... რატომღაც ეთერს რომ აგონებდა, რომელსაც ზამთრის სუსხიან დილას თავისი პირველი მანქანის, ვიეტნამის დროინდელი „ფორდის" დასაქოქად, კარბიურატორში ასხურებდა ხოლმე.

– შიგნით შევიდეთ, კარგი?

– დიახ. ც-ცივა. მადლობა ღმერთს, რომ შეგხვდით. ეს...

– ჩემი სახლია? არა, ჩემი მეგობრისაა.

ჯოუნსიმ მუხის ხის მუქი კარი შეაღო და კაცს ზღურბლზე გადაბიჯებაში დაეხმარა. სახეში თბილი ჰაერი ეცათ და უცნობმა მოულოდნელობისგან შეჰყვირა კიდეც. ლოყები თანდათან გაუვარდისფრდა. ჯოუნსის გულზე მოეშვა, როცა აღმოაჩინა, რომ მის სხეულში სისხლი კიდევ მოძრაობდა.

6

„კედელში გაკეთებული ხვრელი" მშვენივრად ასრულებდა ტყეში ჩადგმული სახლის ფუნქციას. შიგ შესვლისთანავე პირველი სართულის ერთადერთ უზარმაზარ ოთახში აღმოჩნდებოდით – ეს სასადილო და სასტუმრო ოთახებისა და სამზარეულოს ერთგვარი კომბინაცია იყო. უკნიდან ორი საძინებელი მიეშენებინათ, ერთიც მაღლა, სახურავის ქვეშ მდებარეობდა. დიდი ოთახი ფიჭვის სასიამოვნო

სურნელითა და ნაზი, მოყვითალო ნათებით გამოირჩეოდა. იატაკზე ნავაჰოს ხალიჩა ეფინა, კედელს მიკმაკის ტომის გულადი მონადირეების გამოსახულება ამშვენებდა, უკანა თათებზე შემდგარ უზარმაზარ დათვს რომ შემოხვეოდნენ. მუხის უბრალო, საკმაოდ გრძელი, რვა კაცზე გათვლილი მაგიდა სასადილო ოთახს მიეკუთვნებოდა. სამზარეულოში შეშის ღუმელი იდგა, სასტუმროში – ბუხარი და როდესაც ორივე ენთო, კაცი სიცხისგან დაიხრჩვებოდა, თუნდაც გარეთ მინუს ოცი გრადუსი ყოფილიყო. დასავლეთით სახლს დიდი ფანჯარა ჰქონდა, საიდანაც დამრეცი ფერდობი მოჩანდა. სამოცდაათიან წლებში იქ დიდი ხანძარი გაჩნდა და მკვდარი, დაგრეხილი ხეები კვლავაც შავად ანათებდა თეთრი თოვლის საბურვლიდან. ჯოუნსიმ, პიტმა, ჰენრიმ და ბივმა იმ ადგილს „ხეობა" შეარქვეს, რადგან სწორედ ასე უწოდებდნენ მას ბივის მამა და მისი მეგობრები.

– მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს, თქვენც გმადლობთ, – უთხრა ნარინჯისფერკეპიანმა კაცმა ჯოუნსის და როდესაც მადლიერების ამ ნაკადმა მასპინძელს ღიმილი მოჰგვარა, უცნობმა გამყინავად გაიცინა, თითქოს ამბობდა: „მესმის, რომ სასაცილოა, მაგრამ სხვაგვარად არ შემიძლია".

მან ღრმად დაიწყო სუნთქვა და იმ გურუებს დაემსგავსა, ხშირად რომ უჩვენებენ საკაბელო ტელევიზიით. ყოველ ამოსუნთქვაზე მორიგ ფრაზას ამბობდა.

– ღმერთო, წუხელ მართლა მეგონა, რომ ვერ გადავრჩებოდი... ძალიან ციოდა... ჰაერში ნესტი იგრძნობოდა, ეს მახსოვს... მახსოვს, ვფიქრობდი, ოჰ, ღმერთო, ამას თუ კიდევ თოვაც დაემატება-მეთქი... ხველა ამიტყდა და ვეღარ ვჩერდებოდი... ბუჩქებში რაღაც მოძრაობდა და მივხვდი, რომ ხველა უნდა შემეწყვიტა, რადგან დათვი რომ ყოფილიყო ან რაიმე... ხომ გესმით... მისი გაღიზიანება... ხველას ვერაფერი მოვუხერხე, ის კი... ადგა და სადღაც წავიდა...

– ღამით დათვი ნახეთ?

ჯოუნსი აღფრთოვანებულიც იყო და განცვიფრებულიც. გაეგონა, რომ ამ მხარეში დათვი იცოდა, – ბებერ გოსლინსა და მის ლოთ ამხანაგებს უყვარდათ დათვის შესახებ მოყოლა, განსაკუთრებით ჩამოსულებისთვის, – მაგრამ იმის გაფიქრებაც კი, რომ ეს საცოდავი, გზააბნეული კაცი ღამით იმ საშინელებას გადააწყდა, ჟრუანტელს ჰგვრიდა. ეს იგივე იყო, მეზღვაურის მონათხრობი მოგესმინათ, თუ როგორ შეეჩეხა გემი ზღვის ურჩხულს.

– არ ვიცი, რა იყო, – თქვა კაცმა და უეცრად ჯოუნსის ისე ეშმაკურად შეხედა, რომ ეს უკანასკნელი ლამის ცუდად გახდა, – დაზუსტებით ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან იმ დროისთვის აღარ ელავდა.

– ელვაც იყო? აი, ეს მესმის!

უცნობის საცოდავი შესახედაობა რომ არა, ჯოუნსი აუცილებლად დაეჭვდებოდა, ხომ არ მასულელებსო. თუმცა, სიმართლე ითქვას, რაღაც ამგვარი მაინც იგრძნო.

– მშრალ ელვას ვგულისხმობ, – განმარტა უცნობმა და ჯოუნსიმ თითქმის დაინახა, როგორ აიჩეჩა მან მხრები, შემდეგ კი ლოყაზე წითელი ლაქა მოიფხანა, რაც, შესაძლოა, მსუბუქი მოყინვის შედეგი იყო, – ზამთარში ამგვარი ელვა ქარიშხლის მომასწავებელია.

– და თქვენ ის ნახეთ? წუხელ?

– ვფიქრობ, კი, – კაცმა კვლავ ალმაცერად გახედა ჯოუნსის, მაგრამ ამჯერად მასში მზაკვრობის ნასახიც არ იგრძნობოდა და ჯოუნსიმ გაიფიქრა, – ალბათ მომეჩვენაო. მის თვალებში არაფერი იყო, დაღლილობის გარდა, – თავში ყველაფერი მერევა... რაც დავიკარგე, მას შემდეგ მუცელი გამუდმებით მტკივა... ის ყოველთვის მტკივა, როდესაც... მეშინია... ჯერ კიდევ ბავშვობიდან...

მართლაც პატარა ბავშვს ჰგავს, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – ისე მოურიდებლად ათვალიერებს აქაურობას, თითქოს საკუთარ სახლში იყოს.

მან უცნობი ბუხრის წინ მდგარი დივნისკენ წაიყვანა. კაცი მის ნებას დაჰყვა. მესინია. მან „მესინია" თქვა მეშინიას ნაცვლად. როგორც ბავშვმა. პატარა ბავშვმა.

– ქურთუკს გამოგართმევთ, – თქვა ჯოუნსიმ და როდესაც კაცმა ღილების შეხსნა დაიწყო, მერე კი ხელი ელვაშესაკრავისკენ წაიღო, ჯოუნსის კვლავ გაახსენდა, როგორ მიამსგავსა იგი ირემს – ხარირემს, შეცდა, ღილი თვალი ეგონა და კინაღამ ტყვია ჩააჭედა შუბლში.

კაცმა ელვაშესაკრავი ნახევრამდე ჩასწია, შემდეგ კი გაეჭედა – ვეღარც ქვევით მიჰყავდა, ვეღარც – ზევით. შეხედა მას, უფრო სწორად, მიაშტერდა, თითქოს მსგავსი არაფერი ენახა. როდესაც ჯოუნსიმ დახმარება გადაწყვიტა, ხელები უღონოდ დაუშვა და თავისუფლად მოქმედების შესაძლებლობა მისცა. პირველკლასელს ჰგავდა, კალოშების ჩაცმის დროს მარჯვენა და მარცხენა ერთმანეთში რომ აერია, ან ჟაკეტი უკუღმა გადაიცვა, და ახლა მასწავლებლის დახმარებას რომ ელის.

ჯოუნსიმ ელვაშესაკრავი კვლავ აამუშავა და ბოლომდე გახსნა. ფანჯრის მიღმა ხეობა თანდათან ქრებოდა, თუმცა ხეების დაგრეხილი შავი სილუეტები ჯერაც მოჩანდა.

პირველად აქ სანადიროდ თითქმის ოცდახუთი წლის წინ შეიკრიბნენ და მას შემდეგ ყოველ წელს მოდიოდნენ, ერთიც არ გაუცდენიათ, მაგრამ ასეთი უხვი თოვლი არასდროს ყოფილა. მოულოდნელი, ხვავრიელი თოვა სერიოზული მოვლენაა. როგორც ჩანს, ამიერიდან ყველაფერი შეიცვლება, თუმცა, ვინ იცის? ჩვენს დროში რადიოსა და ტელევიზიის მყვირალა წამყვანები ოთხდუიმიან ახლად მოსულ პუდრს სტიქიურ უბედურებას, ახალ გამყინვარებას უწოდებენ.

კაცი კვლავ გაუნძრევლად იდგა შეხსნილი ქურთუკითა და თოვლიანი ჩექმით, რომლის ირგვლივაც გაპრიალებულ ხის იატაკზე უკ-

ვე გუბე დამდგარიყო, თვითონ კი ჭერში გადებულ კოჭებს პირდაღებული მისჩერებოდა. ექვსი წლის გოლიათს ჰგავდა – ან დადიტსს. თითქოს სადაცაა სახელოებიდან რეზინზე დამაგრებული ხელთათმანები უნდა გამოსჩროდა. ქურთუკიც ბავშვივით გაიხადა – მხრები შეათამაშა და ისიც ძირს ჩამოცურდა. ჯოუნსის რომ არ ეტაცა ხელი, იატაკზე დავარდებოდა, პირდაპირ გუბეში.

– ეს რა არის? – იკითხა უცნობმა.

თავდაპირველად ჯოუნსი ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა კაცი, მაგრამ მის მზერას თვალი რომ გააყოლა, ცენტრალური კოჭიდან ჩამოშვებული, ერთმანეთში გადახლართული წითელი, მწვანე და შიგადაშიგ ჭყეტელა ყვითელი ფერის ძაფები დაინახა – ობობას ქსელს ჰგავდა.

– ეს სიზმართმჭერია, – თქვა ჯოუნსიმ, – ინდიელთა ავგაროზი. როგორც ამბობენ, კოშმარებს აფრთხობს.

– თქვენია?

ჯოუნსი ვერც ამჯერად მიხვდა, შეკითხვა სახლს შეეხებოდა (იქნებ უცნობმა მისი ნათქვამი ვერ გაიგონა), თუ ავგაროზს, მაგრამ ორივე შემთხვევას ერთი და იგივე პასუხი ერგებოდა:

– არა, ჩემი მეგობრის. აქ ყოველ წელს სანადიროდ ჩამოვდივართ.

– რამდენი ხართ?

კაცი კანკალებდა, მკლავები ერთმანეთზე შემოეჭდო და ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ ჰკიდებდა ჯოუნსი მის ქურთუკს კარზე მიმაგრებულ კაჩხაზე.

– ოთხნი. ბივერი – ეს მისი სახლია – ტყეშია. არ ვიცი, თოვლი აქეთ თუ გამოაგდებს. შესაძლოა, ასეც მოხდეს. პიტი და ჰენრი კი მაღაზიაში წავიდნენ.

– ალბათ, გოსლინთან, არა?

– ჰო. წამოდით, დივანზე დაჯექით.

ჯოუნსიმ უჩვეულოდ გრძელი, სექციებად დაყოფილი დივნისკენ

წაიყვანა. ასეთი ავეჯი მოდიდან ათწლეულების წინ გადავიდა, მაგრამ ეს ისევ ყოჩაღად იდგა და არც ჭია უჩნდებოდა და არც სხვა მსგავსი სისაძაგლე. ამ „ხვრელში" მოდასა და გემოვნებას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ.

– შეეცადეთ, გათბეთ, – თქვა ჯოუნსიმ და უცნობი მარტო დატოვა. კაცი საცოდავად იჯდა, მობუზული კანკალებდა და ხელები მუხლებს შორის მოექცია. ჯინსის შარვალი შრებოდა და ალაგ-ალაგ იფუყებოდა, რაც მოწმობდა, რომ მის ქვეშ გრძელი საცვალი ეცვა. კაცი, როგორც ჩანს, გვარიანად გათოშილიყო. სითბომ კი სახის ფერი საგრძნობლად შეუცვალა – თუ ადრე მიცვალებულს ჰგავდა, ახლა დიფთერიის მსხვერპლს დამსგავსებოდა.

პიტსა და ჰენრის ქვევით მდებარე ორი საძინებლიდან შედარებით დიდში ეძინათ ხოლმე. ჯოუნსი იმ ოთახში შევიდა და კარის მარცხნივ მდგარი კვიპაროსის ხის სკივრიდან დაკეცილი საბანი ამოიღო. შემდეგ ბუხრისკენ გაეშურა, უცნობი ისევ ცახცახებდა. თავში გაუელვა, ელემენტარული შეკითხვებიც არ დაუსვამს, ისეთი, ექვსი წლის ბავშვიც რომ მოახერხებდა, თუნდაც ელვაშესაკრავის ხმარება არ სცოდნოდა.

ჯოუნსიმ კაცს საბანი მოახურა და ჰკითხა:

– რა გქვიათ?

თუმცა მაშინვე გაიფიქრა, რომ პასუხი თითქმის იცოდა. მაკოი? მაკანი?

კაცმა, რომელიც ჯოუნსიმ კინაღამ მოკლა, საბანი მჭიდროდ შემოიხვია და ჯოუნსის შეხედა. ჩაშავებულ უპეებზე იისფერი დაედო.

– მაკარტი, რიჩარდ მაკარტი, – თქვა მან და ხელი, რომელიც უხელთათმნოდ საოცრად ფუმფულა და თეთრი მოჩანდა, საბნიდან დამფრთხალი ცხოველივით გამოაძვრინა, – თქვენ?

– გარი ჯოუნსი, – მიუგო მასპინძელმა და რბილ ხელისგულს ის თითები შეაგება, კინაღამ სასხლეტს რომ გამოჰკრა, – მეგობრებისთვის ჯოუნსი.

– გმადლობ, ჯოუნსი, – მაკარტიმ მას მადლიერებით აღსავსე მზერა მიაპყრო, – თქვენ მე სიცოცხლე შემინარჩუნეთ.

– ოჰ, ამის შესახებ არაფერი ვიცი, – თქვა ჯოუნსიმ და კვლავ წითელ ლაქას შეავლო თვალი. უდავოდ მოყინვას ჰგავდა. მცირე მოყინვას.

თავი მეორე
ბივი

1

– ალბათ ხვდებით, რომ ვერავის დავურეკავ, არა? – თქვა ჯოუნსიმ, – ახლომახლო ტელეფონი არსადაა. აქ მხოლოდ გენერატორი გვაქვს დენის მისაღებად, მეტი არაფერი.

თავიდან ფეხებამდე საბანში გახვეულმა მაკარტიმ თავი დაუქნია.

– გუგუნი მესმოდა, მაგრამ როდესაც გზააბნეული დადიხარ, სმენა გატყუებს. გეჩვენება, რომ ხმა მარცხნიდან ან მარჯვნიდან მოდის, შემდეგ კი მზად ხარ, დაიფიცო, რომ უკნიდან გესმის და იქით ამჯობინებ წასვლას.

ჯოუნსიმ თავი დაუქნია, თან გაიფიქრა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. იგი არასდროს დაკარგულა, თუ იმ უბედური შემთხვევის შემდგომ რამდენიმე დღეს არ ჩათვლიდა, ნარკოტიკებითა და ტკივილით გაბრუებულმა რომ გაატარა.

– ვცდილობ, მოვიფიქრო, როგორ მოვიქცეთ, – თქვა ჯოუნსიმ, –

პიტი და ჰენრი რომ დაბრუნდებიან, ალბათ გაგაცილებთ. რამდენი კაცი იყო თქვენს ჯგუფში?

თავდაპირველად მაკარტი თითქოს ვერც მიხვდა, რას ეკითხებოდნენ. ამან და მისმა ბარბაცმა ჯოუნსი დაარწმუნა, რომ კაცი შოკში იყო. აინტერესებდა, შეიძლებოდა თუ არა ამგვარი რამ ტყეში გატარებული ერთადერთი ღამის შემდეგ დამართოდა, და რას მოიმოქმედებდა, მის ადგილზე რომ ყოფილიყო.

– ოთხი, – მიუგო მაკარტიმ წუთიერი დაფიქრების შემდეგ, – თქვენსავით. მეგობართან, სტივ ოტისთან ერთად ვიყავი. ისიც ადვოკატია, ჩემსავით, სქოუჰეგანიდან. ოთხივენი იქიდან ვართ. მინდა გითხრათ, რომ ეს კვირა ჩვენთვის... მეტად მნიშვნელოვანია.

– მესმის, – ღიმილით დაუქნია თავი ჯოუნსიმ, – ისევე, როგორც ჩვენთვის.

– ასეა თუ ისე, ჩანს, ჩაფიქრებული მივდიოდი და გზას ავცდი, – მან თავი გადააქნია, – არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. სტივის ხმა მესმოდა, დროდადრო ხეებს შორის მის ჟილეტს ვხედავდი კიდეც, მერე კი... არ ვიცი. ალბათ ფიქრებმა გამიტაცა... ტყე ამისთვის შესაფერისი ადგილია. როცა გამოვერკვიე, ამ მიყრუებულ ადგილას აღმოვჩნდი. თავდაპირველად დავაპირე, საკუთარ ნაკვალევს უკან გავყოლოდი, მაგრამ უკვე ბნელოდა, – მან კვლავ გადააქნია თავი, – თავგზა მაქვს აბნეული. დიახ, ოთხნი ვიყავით. ეს ერთადერთია, რაშიც დარწმუნებული ვარ – მე, სტივი, ნეთ როუპერი და ნეთის და, ბეკი.

– ახლა ისინი, ალბათ, ძალიან ნერვიულობენ.

ამ სიტყვებზე მაკარტი დაიბნა და მოიღუშა – ასეთი მარტივი ჭეშმარიტება არც კი გახსენებია.

– დიახ... ალბათ. რა თქმა უნდა! ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

ჯოუნსიმ ღიმილი ძლივს შეიკავა. ამგვარ მდგომარეობაში მყოფი მაკარტი საოცრად აგონებდა პერსონაჟს ფილმიდან „ფარგო“[29].

– ამიტომაც აჯობებს, დაგაბრუნოთ. თუ ეს...

---

[29] ძმები კოენების მძაფრსიუჟეტიანი, კომედიური ჟანრის ფილმი (1996)

– არ მინდა, ტვირთად დაგაწვეთ...

– წაგიყვანთ. თუ შევძლებთ. თუკი ამინდი დაგვაცდის.

– ამინდი! – მწარედ წარმოთქვა მაკარტიმ, – თითქოს თანამგზავრებიც აქვთ, დოპლერის რადარებიც – რა უდგას წინ ზუსტი პროგნოზის გაკეთებას? მაგრამ არა! ინებეთ „სეზონური აცივება". როგორ მოგწონთ!

ჯოუნსი გაოცებით მიაჩერდა მაკარტის გაწითლებულ სახეს, შუბლზე მიკრული შეთხელებული წაბლისფერი თმა რომ ამშვენებდა. ამინდის პროგნოზი თვითონაც მოისმინა – მასთან ერთად პიტმაც, ჰენრიმაც და ბივმაც. აფრთხილებდნენ, რომ უახლოეს დღეებში თოვა იყო მოსალოდნელი. მართალია, ზოგიერთი წამყვანი ამატებდა, თოვლი წვიმაში გადაიზრდებაო, მაგრამ რადიოსადგურ ქასლროკის (მათ მხოლოდ ამ სიხშირის დაჭერა შეეძლოთ, ისიც ხარვეზებით) დიქტორმა ქარბუქიც ახსენა, ექვსი-რვა დუიმის სიმაღლის ნამქერიც, შესაძლო ჩრდილო-აღმოსავლეთის ქარიც, თუ ტემპერატურა არ აიწევდა და ციკლონი ზღვისკენ არ გადაინაცვლებდა. ჯოუნსი ვერ მიხვდა, სად მოისმინა მაკარტიმ განსხვავებული პროგნოზი, მაგრამ ამას ქასლროკი რომ არ გადმოსცემდა, ეჭვი არ იყო. შესაძლოა, რაღაც ისე ვერ გაიგო. ჰო, ვერ გაიგებდა. ხდება ხოლმე.

– აჯობებს, სუპი შევათბო. რას იტყვით, მისტერ მაკარტი?

– ამაზე უკეთესი რა უნდა იყოს, – მადლიერებით გაიღიმა მაკარტიმ, – წუხელ და დღეს დილით მუცელი საშინლად მტკიოდა, მაგრამ ახლა აღარ მაწუხებს.

– ეს სტრესია, – თქვა ჯოუნსიმ, – თქვენს ადგილას პირღებინება ამიტყდებოდა. იქნებ ჩამესვარა კიდეც.

– მე არ მიღებინებია, – თქვა მაკარტიმ, – ამაში დარწმუნებული ვარ. მაგრამ... – მან თავი კვლავ მკვეთრად გადააქნია. ეს ალბათ ნერვული ტიკი იყო, – არ ვიცი. ყველაფერი ერთ უზარმაზარ კოშმარად იქცა.

– ახლა კოშმარი დასრულდა, – ჯოუნსი გრძნობდა, რომ მოხუცებულ დეიდასავით რაღაც სისულელეს როშავდა, მაგრამ რა ექნა, კაცი ხომ უნდა დაემშვიდებინა.

– კარგი, – თქვა მაკარტიმ, – გმადლობთ. სუპს სიამოვნებით გეახლებოდით.

– როგორი გნებავთ? გვაქვს პამიდვრის, ქათმისა და, თუ არ ვცდები, ერთი ქილა ხორციანიც.

– ქათმის იყოს, – თქვა მაკარტიმ, – დედაჩემი ყოველთვის ამბობდა, ქათმის ბულიონი ყველაფერს კურნავსო.

ფართოდ გაიღიმა და ჯოუნსიმ თავი ძლივს შეიკავა, რომ შეძრწუნება დაემალა. მაკარტის თეთრი, ჩაწიკწიკებული კბილები ჰქონდა, მისი ასაკის, დაახლოებით ორმოცდახუთი წლის კაცისთვის ზედმეტად, არაბუნებრივად ჩაწიკწიკებული. ჩასმულს ჰგავდა, მაგრამ, სულ ცოტა, ოთხი კბილი აკლდა – ზედა ეშვები (რომლებსაც ჯოუნსის მამა „ვამპირის კბილებს" ეძახდა) და ორიც – წინა ქვედა. მათი სახელები არ ახსოვდა, მაგრამ ერთ რამეში დარწმუნებული იყო: მაკარტიმ ამ დანაკარგის შესახებ არაფერი იცოდა. ადამიანი, რომელსაც თავისი კბილების მდგომარეობა ახსოვს, ასე მოურიდებლად მათ არ გამოაჩენს, არც ერთ ვითარებაში.

იგი სამზარეულოსკენ შეტრიალდა, რათა მაკარტის მისი განცვიფრებული სახე არ დაენახა და არ შეშფოთებულიყო. იქნებ ჰკითხოს, რა დაემართა.

– ერთი ქათმის ბულიონი. შეკვეთა მიღებულია. ცოტა ხანს მოცდა მოგიწევთ. შებრაწულ ყველს ხომ არ მიაყოლებდით?

– თუ არ შეწუხდებით. რიჩარდი დამიძახეთ, კარგი? ან რიკი, ასე უკეთესიც კია. იმ ადამიანთან, რომელმაც სიკვდილს გადამარჩინა, მირჩევნია, თავიდანვე შეძლებისდაგვარად ახლოს ვიყო.

– იყოს რიკი, – თქვა ჯოუნსიმ და გაიფიქრა: რიკ, სხვა მსაჯულების წინაშე წარდგომამდე აჯობებს, კბილები ჩაისვა.

მას სულ უფრო ცუდს უგრძნობდა გული. ისევ ის გატკაცუნდა

ტვინში, როგორც მაშინ, როცა თითქმის გამოიცნო მაკარტის სახელი. ჯერ შორს იყო სინანულისგან, პირველივე შესაძლებლობაზე ტყვია რომ არ დაახალა, თუმცა, გული თითქოს უკვე წყდებოდა იმის გამო, რომ განგებამ ასი მილით შორს არ გადაისროლა მაკარტი მისი ხიდან და მისი ცხოვრებიდან.

2

ღუმელზე ბულიონი რომ დადგა და სენდვიჩისთვის ყველს ჭრიდა, ძლიერმა ქარმაც დაუბერა – გამყინავი ხმით ეძგერა სახლს, ააჭრაჭუნა და თოვლის სუდარა გაშმაგებით მოხადა. წამით ხეობაში დამწვარი ხეების გაძვალტყავებული ტოტები გაქრა და ფანჯარას უზარმაზარი თეთრი მოჩვენება აეკრა, თითქოს ვიღაცამ გიგანტური კინოეკრანის მოწყობა განიზრახაო.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ჯოუნსი პირველად შეშფოთდა. არა მხოლოდ პიტსა და ჰენრიზე ფიქრობდა, რომლებიც ალბათ უკვე აქეთ მოდიოდნენ, ჰენრის სკაუტით, არამედ – ბივზეც. რა თქმა უნდა, ბივერზე უკეთ აქაური ტყეები ვის უნდა სცოდნოდა, მაგრამ გამოადგებოდა კი ეს ცოდნა ამ გადათეთრებულ ზღვაში, როდესაც „ყველა ფსონი გაუქმებულია“ – მისი არაფრის მაქნისი მამის კიდევ ერთი ფრთიანი გამონათქვამი, თუმცა, არც ისეთი ზუსტი, როგორიცაა „იღბალს ყურით ვერ მოათრევ“. მართალია, ბივერს გზის გაგნება გენერატორის ხმის მიხედვით შეეძლო, მაგრამ, როგორც სწორად აღნიშნა მაკარტიმ, ტყეში, თანაც ქარბუქის დროს, ძნელი დასადგენია, საიდან მოდის ხმა. ამას თუ თავაწყვეტილ ქარსაც მივუმატებთ...

დედამ მას ათიოდე უბრალო კერძის მომზადება ასწავლა, მათ შორის სენდვიჩისა, შემწვარი ყველით. „ჯერ ცოტა მდოუგვი აიღე, – ეუბნებოდა იგი (ასე უწოდებდა ჯენეტ ჯოუნსი მდოგვს), – მერე კი კარაქი პურს წაუსვი და არა – ტაფას, თორემ მხოლოდ შემწვარი პუ-

რისა და ყველის ნაჭრებს მიიღებ". ახლაც ვერ ხვდებოდა, რა განსხვავება იყო და რა გავლენას ახდენდა კარაქწასმული ტაფა საბოლოო შედეგზე, მაგრამ ყოველთვის ზუსტად ასრულებდა დედის რჩევას, თუმცა დიდ ხათაბალად მიაჩნდა პურის ზედა მხარეზე კარაქის წასმა, სანამ ქვედა მხარე იბრაწებოდა. იმავე მიზეზით სახლში შესვლისთანავე იხდიდა რეზინის ჩექმებს, რადგან, დედის თქმით, ისინი „ფეხებს უწვავდა". არ იცოდა, ეს რას ნიშნავდა, მაგრამ ახლაც კი, თითქმის ორმოცი წლის ასაკში, ჩექმებს ზღურბლზე გადაბიჯებისთანავე იძრობდა და ფეხები აღარ „ეწვებოდა".

– მგონი, არც მე ვიტყვი მათზე უარს, – თქვა ჯოუნსიმ და კარაქწასმული სენდვიჩები ტაფაზე დააწყო. საცაა ბულიონიც წამოდუღდებოდა და ოთახში საუცხოო სუნი იდგა, რაც კომფორტისა და სიმყუდროვის შექმნას უწყობდა ხელს.

– კარგი აზრია. ვიმედოვნებ, თქვენს მეგობრებს არაფერი უჭირთ.

– დიახ, – გაფანტულად მიუგო ჯოუნსიმ, რომელიც სუპს ურევდა, – თქვენ სად გაჩერდით?

– ჩვენ... ჩვეულებრივ მარს-ჰილში ვნადირობდით. იქ ნეთისა და ბეკის ბიძას სამონადირეო ქოხი ჰქონდა, მაგრამ ორი წლის წინ ვიღაც იდიოტმა ცეცხლი წაუკიდა. როგორც მეხანძრეები ამბობენ, ლოთობასა და სიგარეტის ნამწვავებს კარგი არაფერი მოაქვს.

– ჰო, ჩვეულებრივი ამბავია, – თავი დაუქნია ჯოუნსიმ.

– დაზღვევის ფული კი ავიღეთ, მაგრამ ვეღარსად ვნადირობთ. ვფიქრობდი, ეს საქმე ჩვენთვის სამუდამოდ დასრულდა-მეთქი, მერე სტივმა საკმაოდ კარგ ადგილს მიაგნო კინეოში. თავიდან არაკორპორაციული დაბა მეგონა, ჯეფერსონტრექტის კიდევ ერთი ნაწილი, მაგრამ იქაურები (იქ ცოტა ხალხი ცხოვრობს), კინეოს ეძახიან. იცით, რაზე ვლაპარაკობ?

– ვიცი, – მიუგო ჯოუნსიმ გაშეშებული ტუჩებით. მორიგი სატე-

ლეფონო ზარი არსაიდან. „კედელში გაკეთებული ხვრელი" გოსლინის მაღაზიის დასავლეთით მდებარეობდა, დაახლოებით ოცი მილის დაშორებით, კინეო კი – დასავლეთით, ოცდაათ მილში. ჯამში ორმოცდაათი მილი გამოდიოდა. და მან უნდა დაიჯეროს, რომ ამ ადამიანმა, დივანზე რომ ზის და თავიდან ფეხებამდე საბანში გახვეულა, წუხელს აქეთ ფეხით ორმოცდაათი მილი გაიარა? სისულელეა. წარმოუდგენელია.

– იფ, რა სუნია! – თქვა მაკარტიმ.

ასეც იყო, მაგრამ ჯოუნსის მადა დაჰკარგოდა.

3

თეფში დივნისკენ რომ წაიღო, გრანიტის ფილებზე ბრაგაბრუგი გაისმა. წამის შემდეგ კარი გაიღო და ოთახში თოვლში ამოგანგლული ბივერი შემოვარდა.

– დალახვროს ეშმაკმა, ბანანები! – შესძახა მან. ერთხელ პიტმა ბივერიზმების სია შეადგინა და დალახვროს-ეშმაკმა-ბანანები პირველ ხუთეულში აღმოჩნდა ისეთ შედევრებთან ერთად, როგორიცაა პატარაზე-შემაყოფინე და მაკოცე-ტაკოზე. ეს გამოთქმები ძენ-ბუდიზმსა და უხამსობას შორის ერთგვარად მერყეობდა, – აღარ მეგონა, თუ თოვლს თავს დავაღწევდი, მაგრამ შუქი დავინახე, – განაგრძო ბივმა და გაშლილი ხელები ჭერისკენ აღაპყრო, – სინათლე ვიხილე, ღმერთო, დიახ, სერ, დიდება იე...

ამ დროს სათვალის დაორთქლილი მინები თანდათან შეშრა, ბივმა დივანზე უცხო ადამიანი შეამჩნია, ხელები ნელა დაუშვა და გაიღიმა. ეს ერთ-ერთი მიზეზი იყო, რის გამოც ჯოუნსის ის ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლიდან უყვარდა. მართალია, ბივი ზოგჯერ დამღლელი და მომაბეზრებელი გახლდათ და, რა თქმა უნდა, სიკაშკაშით არც ჭაღის ნათურებში გამოირჩეოდა, მაგრამ ყოველგვარ დაუგეგმავ თუ მოულოდნელ მდგომარეობას შუბლშეკვრით კი არა, ღიმილით ხვდებოდა.

– გაუმარჯოს, – თქვა მან, – მე ჯო კლარენდონი ვარ. თქვენ ვინ ხართ?

– რიკ მაკარტი, – მიუგო მაკარტიმ და წამოდგა. საბანი ჩამოუვარდა და ჯოუნსიმ სვიტერის ქვეშ მოზრდილი ღიპი დაუნახა. მერე რა, – გაიფიქრა მან, – ეს შუახნის ადამიანებისთვის დამახასითებელია და ოციოდე წლის შემდეგ ჩვენც მოგვიღებს ბოლოს.

მაკარტიმ ხელი გაიწვდინა და ნაბიჯის გადადგმა სცადა, მაგრამ ფეხი ძირს დავარდნილ საბანს წამოჰკრა. ჯოუნსის რომ მისთვის ხელი არ შეეშველებინა, იატაკზე დაენარცხებოდა და ყავის მაგიდიდან თეფშებსაც გაიყოლებდა. ჯოუნსი კვლავ განაცვიფრა სტუმრის მოუხერხებლობამ და გაახსენა საკუთარი თავი, შარშან გაზაფხულზე ხელმეორედ რომ სწავლობდა სიარულს. ახლაღა შეათვალიერა დაკვირვებით ლაქა მაკარტის ლოყაზე და აღმოაჩინა, რომ ეს მოყინვის შედეგი კი არ იყო, არამედ რაღაც ხალის მსგავსი შიგ ჩაზრდილი წვერით.

– კარგი, კარგი, ოღონდ ნურაფერს დაამტვრევთ! – ბივმა მაკარტის ხელი ენერგიულად ჩამოართვა და ისე დიდხანს აჯანჯღარა, ჯოუნსის მოეჩვენა, რომ სტუმარი ისევ დაეცემოდა. გულში გაუხარდა, როდესაც ბივმა – მისმა ხუთმა ფუტმა და ექვსმა დუიმმა – უკან დაიხია და შავი, ჰიპივით გრძელი თმიდან დნობაშეპარული თოვლის ჩამოფერთხვას შეუდგა. ბივი ისევ იღიმებოდა, ამჯერად ჩვეულებრივზე უფრო ფართოდ და თავისი დაუვარცხნელი თმითა და სქელშუშიანი სათვალით გენიოს მათემატიკოსს თუ სერიულ მკვლელს ჰგავდა, თუმცა სინამდვილეში დურგალი გახლდათ.

– რიკს ბევრის გადატანა მოუხდა, – თქვა ჯოუნსიმ, – გუშინ გზა აებნა და ღამე ტყეში გაატარა.

ბივის სახეზე სტუმართმოყვარე ღიმილი თანაგრძნობის გამომეტყველებამ შეცვალა. ჯოუნსიმ იცოდა, ამას რაც მოჰყვებოდა, ამიტომ დაიძაბა და გონების ძალით მეგობრისთვის გაჩუმების ბრძანე-

ბის გადაცემა სცადა. შთაბეჭდილება შეექმნა, რომ მაკარტი მორწმუნე კაცი იყო და ღვთის გმობას ვერ შეეგუებოდა, მაგრამ გინდ ბივერისთვის გეთხოვნა პირის გამორეცხვა და გინდ ქარისთვის – ჩადგომა.

– ამის დედა ვატირე! – შესძახა ბივერმა, – რა ჩათლახური ამინდია! დაჯექით! ჭამეთ! შენც, ჯოუნსი.

– არა, აჯობებს, შენ ჭამო, – თქვა ჯოუნსიმ, – ასეთ ყინვასა და თოვლში გივლია.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო. მე ერბოკვერცხს შევიწვავ. იქამდე კი რიკი თავის თავგადასავალს მოგიყვება, – იქნებ შენ მაინც გამოიტანო დასკვნა ამ აბდაუბდიდან, – გაიფიქრა მან.

– კარგი, – ბივერმა ქურთუკი (წითელი) და ჟილეტი (ცხადია, ნარინჯისფერი) გაიხადა. უნდოდა, შეშის გროვისკენ ეტყორცნა, მაგრამ რაღაც გაახსენდა, – მოიცა, მოიცა, აქ შენი ნივთი მაქვს.

მან ხელი დაბამბული ქურთუკის ჯიბეში მოაფათურა და იქიდან რბილყდიანი, საკმაოდ დაჭმუჭნილი, მაგრამ კითხვისთვის სავსებით გამოსადეგი წიგნი ამოიღო. ყდაზე, რომელზეც „რობერტ პარკერი – პატარა სისუსტეები" ეწერა, ფიწლებით შეიარაღებული პატარა ეშმაკები ცეკვავდნენ. ჯოუნსის ეს წიგნი პლატფორმაზე დარჩენოდა.

ბივმა იგი ღიმილით გაუწოდა მეგობარს, – შენი საძილე ტომარა იქ დავტოვე, მაგრამ ვიფიქრე, ვერ დაიძინებს, სანამ არ გაიგებს, ეს ვინ ოხერმა გააკეთა-მეთქი.

– არ ღირდა ასეთ ამინდში აძრომა, – თქვა ჯოუნსიმ, მაგრამ ბივის საქციელმა გული აუჩუყა. მის გარდა ამას არავინ გააკეთებდა. მაშასადამე, ბივი ასეთ ქარბუქში გზას მოიკვლევდა და არ იცოდა, ჯოუნსი ისევ ხეზე იყო თუ არა. ცხადია, მას შეეძლო შეხმიანებოდა, მაგრამ მაშინ ის ხომ ბივი აღარ იქნებოდა, მას მხოლოდ იმის სჯეროდა, რასაც საკუთარი თვალით ხედავდა.

– რა პრობლემაა, – სიტყვა ბანზე აუგდო ბივმა და გვერდით მიუჯდა მაკარტის, რომელიც ისე შესცქეროდა მას, როგორც რომელიღაც ეგზოტიკურ პატარა ცხოველს.

– კარგი, მაინც გმადლობ, – თქვა ჯოუნსიმ, – ახლა მაგ სენდვიჩს მიხედე. მე კი ერბოკვერცხს მოვიმზადებ, – იგი ღუმლისკენ დაიძრა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა.

– პიტისა და ჰენრის შესახებ რას იტყვი? როგორ ფიქრობ, მშვიდობით მოაღწევენ?

ბივმა პირი გააღო, მაგრამ სანამ პასუხის გაცემას მოასწრებდა, ქარმა სახლს ახალი ძალით შეუტია, ააჭრაჭუნა და ნივნივებზე სტვენა ატეხა.

– ეჰ, დიდი ამბავი, ორიოდე ფანტელი თუ ჩამოვარდა, – გაეცინა ბივერს, როდესაც ქარი ოდნავ მიწყნარდა, – მოაღწევენ, აბა რა. მაგრამ თუ ნამდვილი ჩრდილოეთის ქარბუქი ატყდა, გარეთ ცხვირსაც ვერ გავყოფთ.

ბივი ხარბად შეუდგა სენდვიჩის ჭამას, ჯოუნსიმ კი ღუმელზე ერბოკვერცხიანი ტაფა და კიდევ ერთი ქილა სუპი შემოდგა. ახლა, როცა ბივერი შინ დაიგულა, მაკარტის გამოც აღარ წუხდა. სიმართლე რომ ითქვას, ბივერის გვერდით იგი თავს ყოველთვის კარგად გრძნობდა. ეს სიგიჟე იყო, მაგრამ – სიმართლე.

4

იმ დროისთვის, როდესაც ერბოკვერცხიც შეიწვა და სუპიც გაცხელდა, მაკარტი და ბივერი დიდი ხნის მეგობრებივით საუბრობდნენ. შესაძლოა, მაკარტის შეურაცხყოფდა კიდეც ბივერის განუწყვეტელი კომიკური ბილწსიტყვაობა, მაგრამ ამ ყველაფერს ბივის უდავო მომხიბლაობა წონიდა. „ამის ახსნაც კი შეუძლებელია, – უთხრა ერთხელ ჰენრიმ ჯოუნსის, – ბივი ფეთხუმია, ნამდვილი ფეთხუმი, მაგრამ შეუძლებელია, არ გიყვარდეს. ამიტომაც მიილტვიან მისკენ ქალები – არ მითხრა ახლა, მისი სილამაზე აგიჟებთო! “

ჯოუნსიმ ერბოკვერცხი და სუპი სასტუმრო ოთახის მხარეს გადაიტანა, ცდილობდა, არ ეკოჭლა – საოცარია, რომ ცუდ ამინდში თეძო გაცილებით სტკივა. ეს მოხუცი ქალების ზღაპრები ეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არ ცდებოდნენ.

გაჭირვებით ჩაეშვა დივანთან მდგარ ერთ-ერთ სავარძელში. მაკარტი ჭამას ლაპარაკს ამჯობინებდა. სუპისთვის პირი თითქმის არ დაუკარებია, მხოლოდ ყველიანი სენდვიჩის ნახევარს დასჯერდა.

– როგორ ხართ, ბიჭებო? – იკითხა ჯოუნსიმ, ერბოკვერცხს პილპილი მოაყარა და ყბები ენერგიულად აამუშავა, როგორც ჩანს, მადა დაუბრუნდა.

– ჩვენ ორი ბედნიერი სუტენიორი ვართ, – თქვა ბივმა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის დამახასიათებელი უდარდელობით საუბრობდა, ჯოუნსიმ მას აღელვება, შეშფოთებაც კი შეამჩნია, – რიკმა საკუთარი თავგადასავალი მიამბო. იმ ჟურნალებში მოყვანილ ამბებს მაგონებს, საპარიკმახეროებში რომ ეყარა ჩემს ბავშვობაში, – კვლავაც ღიმილით მიუბრუნდა მაკარტის. ეს ისევ ის მოღიმარი ბივი იყო. და, ჩვეულებისამებრ, ხელი ხშირ შავ თმაში შეიცურა, – მაშინ დერიში, ჩვენს მხარეს, პარიკმახერად ბებერი კასტონგე მუშაობდა. თავისი უზარმაზარი მაკრატლით ისე მაშინებდა, რომ იქით დღემდე არ ვიხედები.

მაკარტიმ ოდნავ გაიღიმა, მაგრამ არაფერი თქვა, სენდვიჩის დარჩენილი ნახევარი აიღო, შეათვალიერა და ისევ დადო. ლოყაზე წითელი ლაქა ახალდასმულ დამღასავით უღაჟღაჟებდა. ბივერი კი ენას არ აჩერებდა, თითქოს ეშინოდა, მაკარტის სიტყვა არ წამოსცდესო.

გარეთ ისევ ბარდნიდა, ქარი არ ცხრებოდა. ჯოუნსის ფიქრები კვლავ ჰენრისა და პიტს გადასწვდა, რომლებიც ალბათ ძველი სკაუტით დიფქათროუდის რომელიღაც მონაკვეთზე იმყოფებოდნენ.

– რიკი შუაღამით კინაღამ რაღაც ურჩხულს შეუჭამია, მისი აზ-

რით, ეს დათვი იყო. ამასთან თოფიც დაკარგა, სულ ახალი „რემინგტონ .30–.30", მაგარი რამეა, მაგრამ შენ მას ვეღარასოდეს იხილავ, ამის ერთი შანსიც კი არ არსებობს ასი ათასიდან.

– ვიცი, – თქვა მაკარტიმ, რომელსაც ლოყებზე სიწითლის ნაცვლად ისევ ტყვიისფერი დაედო, – ისიც არ მახსოვს, როდის დავაგდე ან...

ოთახში მოულოდნელად კალიების ჭრიჭინის მსგავსი, დაბალი ხმა გაისმა. ჯოუნსის გააცია. გაიფიქრა, საკვამურში რაღაც ხომ არ გაიჭედაო. მერეღა მიხვდა, რომ ეს მაკარტი იყო. ჯოუნსის მუცლის მრავალგვარი ხმაური სმენოდა – ხმამაღალიც, ხანგრძლივიც, მაგრამ ასეთი... ეს თითქოს რაღაც დაუსრულებელი იყო, თუმცა, სინამდვილეში, მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა და აუტანელი სიმყრალე მოჰყვა.

მაკარტის კოვზი გაუვარდა და თითქმის ხელუხლებელ სუპში ჩაუვარდა. მან მარცხენა ხელი ქალწულივით მორცხვად მიიტანა დაზიანებულ ლოყასთან და თქვა:

– ოჰ, ღმერთო, მაპატიეთ.

– არაფერია, ვის არ მოსვლია, – თქვა ბივერმა ინსტინქტურად. დიახ, მხოლოდ ინსტინქტურად და ყოველდღიური ჩვეულებით. ჯოუნსი ხედავდა, რომ ამ საშინელი სუნის გამო ბივი განცვიფრებას ვერ მალავდა, ისევე, როგორც თვითონ. ეს ლაყე კვერცხისთვის დამახასიათებელი გოგირდოვანი სიმყრალე როდი იყო, როდესაც შეგიძლია გაიცინო, ხელი სახის წინ რამდენჯერმე მსუბუქად გაიქნიო და ხუმრობით იკითხო: „დალახვროს ეშმაკმა, ვინ ჭრის ყველს?" – არც ჭაობიდან გავრცელებული მეთანის სუნი გახლდათ. არა, ჯოუნსიმ ეს მაკარტის პირიდან ამოსულ სუნს მიამსგავსა – ეთერისა და გადამწიფებული ბანანების ნაზავს, სუსხიან დილას კარბიურატორში რომ ასხამდა ხოლმე.

– ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა, – გაიმეორა მაკარტიმ, – ძალიან მეუხერხულება.

– ნუ ღელავთ, ყველაფერი კარგადაა, – თქვა ჯოუნსიმ, თუმცა ლამის მთელი შიგნეულობა ამოუტრიალდა, როგორც პირღებინების წინ. ახლა საჭმელს პირს ვეღარ დააკარებდა, ყელში ლუკმა არ გადაუვიდოდა. საერთოდ, ზიზღიანი არ იყო, მაგრამ ახლა გულიც კი უწუხდა.

ბივი დივნიდან წამოდგა, ფანჯარა გააღო და თოვლნარევი, მაგრამ მაცოცხლებელი სუფთა ჰაერი შემოუშვა.

– დამშვიდდი, პარტნიორო... მაგრამ საშინელება კი გამოუშვით. ასეთი რა ჭამეთ, გარეული ღორის განავალი ხომ არა?

– ფოთლები, ხავსი, ყველაფერი, რაც ხელში მხვდებოდა, ზუსტად არ მახსოვს. ისე მშიოდა, უარს არაფერზე ვამბობდი. ოღონდ ამის არაფერი გამეგება, ეუელ გიბონსის[30] ერთი წიგნიც არ წამიკითხავს... ცხადია, ბნელოდა კიდეც, – დაამატა მან ერთგვარი აღმაფრენით. და ჯოუნსიმ ბივერს შეხედა, რათა მის თვალებშიც იგივე ამოეკითხა, რასაც თვითონ ფიქრობდა: მაკარტი ცრუობდა. მას ან არ ახსოვდა, რა ჭამა, ან არაფერი უჭამია და მხოლოდ ამ საზიზღარი, ბაყაყის ყიყინის მსგავსი ხმაურისა და მისი თანმხლები სიმყრალის გამართლებას ცდილობდა.

ქარმა კვლავ დაუბერა და ღია ფანჯრიდან ხმამაღალი კვნესით თოვლის ახალი ტალღა შემოაგდო. მადლობა ღმერთს, აქ დაგროვილ ჰაერს მაინც გაიტანდა!

მაკარტი ნაჩქარევად გადაიხარა წინ, თითქოს ზურგში ხელი ჰკრესო და როგორც კი თავი ჩაქინდრა, ჯოუნსი მაშინვე მიხვდა, რაც მოხდებოდა. მშვიდობით, ნავაჰოს ხალიჩავ! როგორც ჩანს, ბივმაც იგივე გაიფიქრა, რადგან სასწრაფოდ გასწია გრძელი ფეხები შხეფებისგან დასაცავად.

თუმცა, ღებინების ნაცვლად მაკარტის სხეულიდან ხანგრძლივი, ჩუმი გუგუნი გაისმა, თითქოს რაღაც დაზგა შესაძლებლობების

[30] ამერიკელი ტურისტი და დიეტოლოგი, ნატურალური დიეტის მომხრე.

ზღვარზე მუშაობდა. მარმარილოს ბურთულებად გადაქცეული თვალები კინაღამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა, ყვრიმალებზე კანი ისე დაეჭიმა, გეგონებოდათ, საცაა გასკდებაო. ეს ყველაფერი გრძელდებოდა და გრძელდებოდა, გრუხუნი გრუხუნს მოსდევდა და როდესაც დასრულდა, მოეჩვენათ, რომ გენერატორი ძალზე ხმამაღლა ზუზუნებდა.

– რა არ მომისმენია, მაგრამ ამას ვერაფერი შეედრება, – თქვა ბივმა მშვიდად და გულწრფელი პატივისცემით.

მაკარტი დივნის საზურგეზე გადაწვა: თვალები დახუჭა, პირის კუთხეები ჩამოუშვა – ან სირცხვილის, ან ტკივილის, ან ორივეს გამო. კვლავაც იმ ბანანებისა და ეთერის სუნი იდგა, თითქოს რაღაც ლპობას იწყებდა.

– ღმერთო ჩემო, ძალიან ვწუხვარ, – თქვა მაკარტიმ ისე, რომ თვალი არ გაუხელია, – მთელი დღეა, ასე ვარ, გათენებიდან მოყოლებული. მუცელიც ისევ მტკივა.

ჯოუნსიმ და ბივმა ერთმანეთს შეშფოთებით გადახედეს.

– იცით, რას ვფიქრობ? – თქვა ბივმა, – უნდა დაწვეთ და დაიძინოთ. მთელი ღამე ფეხზე გაატარეთ, გეშინოდათ, დათვს ან რაიმე სხვას არ გადაჰყროდით. ახლა დაღლილი, გაწამებული იქნებით. წაუძინეთ რამდენიმე საათით და რომ გაიღვიძებთ, ძველებურად ყოჩაღად იქნებით.

მაკარტი ბივს გასაცოდავებული კაცის მადლიერებით მიაჩერდა და ჯოუნსის ცოტათი შერცხვა, თითქოს სხვის ფანჯარაში იჭყიტებოდა. მაკარტის კვლავაც მქრქალი ნაცრისფერი სახე ჰქონდა, შუბლზე ოფლის ორი მსხვილი წვეთი გაუჩნდა და ლოყებზე გამჭვირვალე ზეთივით ჩამოუგორდა. და ეს მიუხედავად ცივი ორპირი ქარისა, ოთახში რომ ქროდა.

– როგორც ჩანს, მართალი ხართ, – თქვა მან, – ძალიან დავიღალე. სულ ეს არის. მართალია, მუცელი მტკივა, მაგრამ ამის მიზეზი სტრესი უნდა იყოს. თანაც ვინ იცის, რას ვჭამდი, იქნებ ტოტებსაც

კი. ოჰ, ღმერთო ჩემო! – მან დაბნეული სახით მოიფხანა ლოყა, – ეს რაღაც, ლოყაზე რომ მაქვს, ძალიან ცუდად მოჩანს? სისხლი ხომ არ მომდის?

– არა, – დაამშვიდა ჯოუნსიმ, – ჩვეულებრივი სიწითლეა.

– ალერგიაა, – მწუხარებით აღნიშნა მაკარტიმ, – ასეთი რამ მიწის თხილისგანაც მემართება. ახლა კი დავწვები. მგონი, რაღაც მეშველება.

წამოდგა და შებარბაცდა, მაგრამ სანამ ბივი და ჯოუნსი ხელს შეაშველებდნენ, გაიმართა და წონასწორობა შეინარჩუნა. ჯოუნსი მზად იყო, დაეფიცა, რომ მაკარტის გვარიანი ღიპი თითქმის გამქრალიყო. წარმოუდგენელია! ნუთუ ამ საცოდავს მართლაც ამდენი გაზი ჰქონდა დაგროვილი? ვეღარაფერი მოეფიქრებინა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ამ კაცის მიერ გამოშვებული გაზი სრულიად საკმარისი იყო მომდევნო ოცი წლის განმავლობაში დაახლოებით ასეთი მოგონებებისთვის: „მოგეხსენებათ, ყოველ წელს, ნადირობის სეზონის დაწყების პირველ კვირას ბივერ კლარენდონის ქოხში ვიკრიბებით ხოლმე. 2001 წლის ნოემბერში – თუ გახსოვთ, მაშინ საშინელი ქარბუქი ამოვარდა – ჩვენთან ვიღაც ტიპი მოვიდა...“ სასაცილო ისტორია იქნებოდა, ასეთ რაღაცებზე ხალხს ყოველთვის ეცინება, ყოველთვის ეცინება იმ საბრალო ადამიანებზე, რომლებიც მთელი ქვეყნის გასაგონად აბოყინებენ ან გაზებს უშვებენ ხოლმე. ჯოუნსი, რა თქმა უნდა, არავის გაუმხელდა, რომ მაკარტი ირემი ეგონა და კინაღამ გამოჰკრა თითი „გარანდის“ სასხლეტს. ამას თავისთვის დაიტოვებდა. არ ღირდა მოყოლად.

ვინაიდან, ქვედა საძინებელი პიტსა და ჰენრის ეკავათ, ბივერმა მაკარტი იქით წაიყვანა, საითაც, ჩვეულებრივ, ჯოუნსი იძინებდა. მეგობარს თვალებით წინასწარ მოუბოდიშა კიდეც. ჯოუნსიმ მხოლოდ მხრები აიჩეჩა. ეს ლოგიკური იყო. იგი ბივერთან ერთად დაწვებოდა, როგორც ამას ბავშვობაში აკეთებდნენ. გარდა ამისა, არც ის იცოდნენ, მაკარტი კიბეზე ასვლას თუ შეძლებდა – ჯოუნსის სულ

უფრო მეტად აფრთხობდა მისი გაოფლილი, ტყვიისფერი სახე.

ჯოუნსი იმ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა, რომლებიც, ლოგინის გასწორებისთანავე, მასზე ათასგვარ ნივთს ახვავებენ: წიგნებს, გაზეთებს, ტანსაცმელს, პაკეტებს... ახლაც იძულებული გახდა, ყველაფერი მოეხიკა და იატაკზე დაეწყო.

– ძილის წინ ხომ არ დაიცლებოდით, პარტნიორო? – შესთავაზა ბივმა.

მაკარტიმ თავი გადააქნია, თან მონუსხულივით შესცქეროდა სუფთა, ცისფერ ზეწარს.

ჯოუნსი კვლავ განაცვიფრა მისმა გაყინულმა მზერამ. ასეთი იმ მხეცებზე შეემჩნია, რომელთა ფიტულებსაც, ნადავლის სახით, კედელზე კიდებენ.

მოულოდნელად, სრულიად დაუკითხავად, თვალწინ საკუთარი სასტუმრო ოთახი წარმოუდგა ბრუკლინში, ბოსტონის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ გარეუბანში. ხელით ნაქსოვი ნოხები, ძველებური ამერიკული ავეჯი და... ღუმლის თავზე მიმაგრებული მაკარტის თავი. „ეს მენის შტატში მოვინადირე, – მოუყვებოდა სტუმრებს საღამოობით გამართულ წვეულებებზე, – დიდი კი იყო ის შობელ-ძაღლი, ას სამოცდაათ გირვანქას მაინც იწონიდა“.

თვალები დახუჭა და როცა გაახილა, დაინახა, რომ ბივი ერთგვარი შეშფოთებით უცქერდა.

– თეძომ მომიჭირა, – თქვა ჯოუნსიმ, – მაპატიე. მისტერ მაკარტი, რიკ, სვიტერი და შარვალი გაიხადეთ. ჩექმებიც, რა თქმა უნდა.

მაკარტიმ მას ახალგამოღვიძებული კაცივით შეხედა.

– რა თქმა უნდა, – ჩაილაპარაკა მან, – აბა რა!

– ხომ არ დაგეხმაროთ? – ჰკითხა ბივმა.

– არა, ღმერთმანი, – თქვა მაკარტიმ. ჯოუნსიმ ვერ გაარჩია, დამფრთხალი იყო, კმაყოფილი თუ ორივე ერთად, – არც ასე წავმხდარვარ.

– მაშინ თქვენს თავს ჯოუნსის ჩავაბარებ, – თქვა ბივერმა და წავიდა.

მაკარტი საქმეს შეუდგა. ჯერ სვიტერი გაიხადა. მის ქვეშ მონადირის წითელი და შავი ფერებით გაწყობილი პერანგი ეცვა, პერანგის ქვეშ კი თბილი მაისური. ჯოუნსი ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მაკარტის მუცელი საგრძნობლად დაჰპატარავებოდა.

დიახ... თითქმის საბოლოოდ. საკუთარ თავს შეახსენა, რომ სულ რაღაც ერთი საათის წინ ეგონა, მაკარტის ქურთუკს კი არა, ირმის თავს ხედავდა.

მაკარტი ჩექმების გასახდელად ფანჯარასთან მდგარ სკამზე ჩამოჯდა და კვლავ გააკუა: ისე გამაყრუებლად არა, როგორც პირველ ჯერზე, თუმცა მაინც ხმამაღლა და უხეშად. არაფერი შეიმჩნიეს, მაგრამ იქაურობა ისე აყროლდა, რომ ჯოუნსის თვალები აეწვა.

მაკარტიმ ჩექმები გაიხადა, ისინი ხმაურით დაეცა ხის იატაკზე, შემდეგ წამოდგა, ქამარი შეიხსნა და ლურჯი ჯინსის შარვალი გაიხადა. მის ქვეშ, როგორც ჯოუნსი ვარაუდობდა, თბილი საცვალი ეცვა. ამასობაში ოთახში ბივი დაბრუნდა ქაშანურის ღამის ქოთნით, რომელიც სტუმარს სასთუმალთან დაუდგა და უთხრა:

– ყოველი შემთხვევისთვის... ხომ გესმით, თუ მოგინდებათ. ან თუ ისე მოგაწვებათ, რომ გარეთ გასვლას ვეღარ მოასწრებთ.

მაკარტი ლენჩივით იყურებოდა, თითქოს ვერ ხვდებოდა, რას ეუბნებოდნენ. ჯოუნსის კვლავ შიში შეეპარა. მის საძინებელ ოთახში ვიღაც უცნობი იდგა, მოჩვენება დიდი, ფართხუნა ქვედა საცვლით. უცნობი ავადმყოფი. საინტერესოა, რამდენად ავადმყოფი.

– იმ შემთხვევისთვის, თუ სააბაზანომდე მირბენას ვერ მოასწრებთ, – აუხსნა ბივმა, – სხვათა შორის, ის აქვეა, სულ ახლოს. საძინებლიდან მარცხნივ. ოღონდ დაიმახსოვრეთ: ამ კედლის გასწვრივ პირველი კი არა, მეორე კარი. თუ პირველში შევარდებით, თეთრეულის ოთახში მოგიწევთ მოსაქმება.

ჯოუნსის მოულოდნელად გაეცინა, მაგრამ სულ არ ნაღვლობდა,

რომ ამას ხმამაღლა, ოდნავ ისტერიკულადაც კი აკეთებდა.

– უკეთ ვარ, – თქვა მაკარტიმ, მაგრამ ჯოუნსიმ მის ხმაში გულწრფელობის ნასახიც ვერ შეამჩნია. გარდა ამისა, მაკარტი შუა ოთახში ანდროიდივით იდგა, რომელსაც მეხსიერების სამი მეოთხედი წაშლოდა. თუ ადრე რაღაც სიცოცხლეს მაინც ამჟღავნებდა, მოუსვენრადაც წრიალებდა, ახლა მსგავსი აღარაფერი ეტყობოდა, სიწითლეც გადასვლოდა ლოყებიდან.

– აბა, რიკ, – მშვიდად უთხრა ბივმა, – დაწექით და წაუძინეთ. ძალა უნდა მოიკრიბოთ.

– დიახ, დიახ, – სტუმარი მძიმედ დაეშვა გაშლილ საწოლზე და ფანჯარაში გაიხედა. ფართოდ გახელილი ცარიელი თვალები. ჯოუნსიმ იგრძნო, რომ ცუდი სუნი თანდათან გაქრა, თუმცა ვინ იცის, იქნებ უბრალოდ მიეჩვია. ასე მაშინ ხდება, როდესაც მაიმუნების საშენში დიდხანს გიწევს ყოფნა, – ღმერთო ჩემო, როგორ თოვს!

– დიახ, – გამოეხმაურა ჯოუნსი, – მუცელი როგორ გაქვთ?

– უკეთ, – მაკარტიმ ჯოუნსის შეხედა. თვალებში შიში ედგა. პატარა ბავშვივით, – ბოდიშს გიხდით, ასე უცერემონიოდ რომ ვუშვებ გაზებს. ასეთი რამე არასდროს მომსვლია. არმიაშიც კი, სადაც ლობიოს მეტს არაფერს გვაჭმევდნენ. მაგრამ ახლა მართლაც მომეშვა.

– დარწმუნებული ხართ, რომ ძილის წინ მოშარდვა არ გინდათ? – ჯოუნსიმ, ოთხი შვილის მამამ, მისთვის ჩვეული შეკითხვა თითქმის ავტომატურად დასვა.

– დიახ. ტყეში მოვისტუმრე, თქვენთან შეხვედრის წინ. გმადლობთ, რომ შემიფარეთ. ორივეს გმადლობთ.

– დალახვროს ეშმაკმა, – თქვა ბივერმა და ფეხი უხერხულად მოინაცვლა, – ჩვენს ადგილას ყველა ასე მოიქცეოდა.

– შესაძლოა, კი, – თქვა მაკარტიმ, – თუმცა, შესაძლოა, არა. ხომ გახსოვთ, ბიბლია ამბობს: „აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ...“

გარეთ ქარი სულ უფრო გაშმაგებით ქროდა, კედლებს აზანზარებდა. ჯოუნსი გაგრძელებას ელოდა, ჩანდა, მაკარტის რაღაც

ჰქონდა სათქმელი, მაგრამ უთქმელად დაწვა და საბანი დაიხურა. საწოლის სიღრმიდან მორიგი მყრალი გრუხუნი გაისმა. ჯოუნსის ყელში ამოუვიდა. ერთია, შენს ზღურბლთან აღმოჩენილ გზააბნეულ მგზავრს კარი გაუღო და სახლში შემოუშვა, მაგრამ სულ სხვაა, მის გაუთავებელ გაზის შემოტევებს გაუძლო.

ბივერი უკან მიჰყვა და კარი ფრთხილად მიხურა.

5

ჯოუნსის რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ბივმა თავი გააქნია, ტუჩებზე თითი მიიდო და იგი სამზარეულოში გაიყვანა – საძინებლიდან შორს. აბა, ასეთ ამინდში გარეთ ხომ არ გავიდოდნენ!

– მომისმინე, ამ ტიპს რაღაც სჭირს, – თქვა ბივერმა და ჯოუნსიმ სამზარეულოს ფლუორესცენციული ლამპის მქრქალ ნათებაშიც კი გაარჩია მისი შეწუხებული სახე. ბივმა კომბინეზონის ფართო გულის ჯიბიდან კბილის ჩხირი ამოიღო და ღეჭვას შეუდგა. სამ წუთში – ამ დროს ანდომებს ძველი მწეველი ერთი ღერი სიგარეტის მოწევას – ნამცეცა ნაფოტებად აქცევდა. ჯოუნსი ვერაფრით მიმხვდარიყო, როგორ უძლებდა მისი კბილები (და კუჭი) ასეთ დატვირთვას, მაგრამ რაც თავი ახსოვდა, ბივი სულ ასე იქცეოდა.

– იმედი მაქვს, ცდები, თუმცა... – ჯოუნსიმ თავი გადააქნია, – ასეთი სუნი ოდესმე თუ გიგრძნია?

– ცხადია, არა, – თქვა ბივერმა, – მაგრამ კუჭის აშლა მთავარი არ არის.

– რას გულისხმობ?

– იცი, რა, ის ფიქრობს, რომ დღეს თერთმეტი ნოემბერია.

ჯოუნსი ვერ მიხვდა, რის თქმა სურდა ბივს. როგორც ყოველთვის, ისინი ჰენრის ძველი სკაუტით აქ სწორედ თერთმეტ ნოემბერს ჩამოვიდნენ.

– ბივ, დღეს ოთხშაბათია. თოთხმეტი.

ბივერმა თავი დაუქნია და გაუღიმა. უკვე გაბზარულმა კბილის

ჩხირმა პირის მეორე მხარეს გადაინაცვლა.

– ვიცი. ეს შენც იცი. რიკმა კი – არა. მას ჰგონია, რომ დღეს უფლის დღეა.

– ბივ, გაიხსენე, ზუსტად რა გითხრა.

რაც უნდა ეთქვა, მნიშვნელოვანი არაფერი იქნებოდა: რა დრო დასჭირდებოდა ერბოკვერცხის შეწვასა და სუპის გაცხელებას? ბივი ჩაფიქრდა, ჯოუნსი კი ჭურჭლის რეცხვას შეუდგა. ლაშქრობების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, მაგრამ, ბევრი მამაკაცისგან განსხვავებით, საღორეში ცხოვრება არ უყვარდა.

– თქვა, რომ ისინი შაბათს ჩამოვიდნენ, რათა დღე არ დაეკარგათ. კვირას სახურავი შეაკეთა. დაამატა, რომ ღმერთის მცნება მაინც არ დაარღვია შაბათ დღეს უქმობასთან დაკავშირებით. როცა ტყეში იკარგები, მხოლოდ ერთ რამეზე ფიქრობ, – ჭკუაზე არ შეიშალოო.

– გასაგებია, – თქვა ჯოუნსიმ.

– დაფიცებით ვერ დავიფიცებ, რომ დღეს თერთმეტი ჰგონია. იქნებ გასულ კვირას გულისხმობდა, ოთხ ნოემბერს, რადგან სულ კვირა ეკერა პირზე. გარდა ამისა, წარმოუდგენელია, ათი დღე ეხეტიალა.

ჯოუნსიმ თავი დაუქნია. ათი დღე ნამეტანი იყო. სამი? სამს კი დაიჯერებდა კაცი.

– ეს მის ზოგიერთ ნათქვამს ნათელს ჰფენს, – დაიწყო ჯოუნსიმ, – მან...

ამ დროს იატაკმა დაიჭრაჭუნა. მოულოდნელობისგან ორივე შეხტა და საძინებლის მიხურული კარისკენ გაიხედა, მაგრამ იქიდან არავინ გამოჩენილა. სულ გადაავიწყდათ, რომ იატაკი და კედლები უქარო ამინდშიც გამუდმებით ჭრიალებდა. ერთმანეთს დარცხვენით გადახედეს.

– დღეს რატომღაც გაღიზიანებული ვარ, – თქვა ბივერმა. შესაძ-

ლოა, მან ეს ჯოუნსის სახეზე ამოიკითხა, შესაძლოა, მის აზრებს ჩასწვდა, – მაგრამ აღიარე, რომ მისმა გამოჩენამ შენც აგაფორიაქა. ნეტა, საიდან დაგვატყდა თავს?!

– გეთანხმები.

– ისეთ ხმას გამოსცემს, თითქოს უკანალში ვიღაც ჰყავდეს გაჭედილი და კვამლით იგუდებოდეს.

ბივი თვითონაც გაოცებული ჩანდა საკუთარი ენამოსწრებულობით. მათ ერთდროულად გაეცინათ. საჩქაროდ პირზე ხელი აიფარეს, რათა სტუმარს არ გაეგონა და დაცინვად არ მიეღო. ჯოუნსის განსაკუთრებით უჭირდა: გრძნობდა რომ განმუხტვა სჭირდებოდა, თორემ საცაა ისტერიკა დაემართებოდა. ორად იკეცებოდა, ოხრავდა, ფრუტუნებდა, სუნთქვა ეკვროდა, თვალებზე მომდგარ ცრემლებს არც კი იწმენდდა.

ბოლოს ბივერმა ხელი მოჰკიდა და გარეთ გაიყვანა, დიდხანს იდგნენ უქურთუკოდ ღრმა თოვლში, უხაროდათ, რომ შეეძლოთ იმდენი ეცინათ, რამდენიც გაუხარდებოდათ. ქარის ზუზუნი ხომ ყველანაირ ხმას ახშობდა.

6

როდესაც სახლში შებრუნდნენ, ჯოუნსის ხელები გასთოშოდა. ცხელ წყალში ჩაჰყო, მაგრამ თითქმის ვერაფერი იგრძნო. სამაგიეროდ, გულიანი სიცილის შემდეგ სიმშვიდე დაეუფლა. კვლავ გაახსენდა პიტი და ჰენრი – ნეტა, როგორ არიან? მშვიდობიანად თუ მოაღწევენ?

– შენ აღნიშნე, ეს მის ზოგიერთ ნათქვამს ნათელს ჰფენსო, – შეახსენა ბივმა და მორიგი კბილის ჩხირი აიღო, – კერძოდ, რომელს?

– მან არ იცოდა, რომ თოვა იყო მოსალოდნელი, – ნელა დაიწყო ჯოუნსიმ, თან ცდილობდა, მაკარტის სიტყვები ზუსტად გაეხსენებინა, – სინოპტიკოსების მიმართ უკმაყოფილებას გამოთქვამდა, ესეც შენი მოწმენდილობა და ზომიერი სიცივეო, მგონი, ასე თქვა. მაგრამ

ამას მაშინ ექნებოდა აზრი, ბოლო პროგნოზი თერთმეტში ან თორმეტში რომ მოესმინა, შუაღამემდე ცა ხომ მართლაც მოწმენდილი იყო, არა?

– ჰო, და ზომიერად ციოდა, მაგის დედაც! .. – დაეთანხმა ბივერი, ჭიამაიებით მოქარგული, გახუნებული ტილო აიღო და ჭურჭლის გამშრალებას შეუდგა, – კიდევ რა თქვა?

– კინეოში გავჩერდითო.

– კინეოში? ეს ხომ აქედან ორმოცი-ორმოცდაათი მილის მანძილზეა. ის... – ბივერმა კბილის ჩხირი პირიდან გამოიღო, შეათვალიერა და ისევ ჩაიდო, – გასაგებია.

– ჰო, ერთ ღამეში ამხელა მანძილს ვერ გაივლიდა, მაგრამ თუ სამი დღე იხეტიალა...

– და ოთხი ღამე. თუ გზა შაბათს დაკარგა, ოთხი ღამე გამოდის...

– დიახ, ოთხი ღამე. თუ დავუშვებთ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ზუსტად დასავლეთით მიდიოდა... – ჯოუნსიმ გონებაში გამოიანგარიშა და დღეში თხუთმეტი მილი მიიღო, – ჩემი აზრით, ეს სავსებით შესაძლებელია.

– ნეტა, გაყინვას როგორ გადაურჩა? – ბივერმა ხმას გაუცნობიერებლად დაუწია და თითქმის ჩურჩულზე გადავიდა, – გრძელი ქურთუკი და თბილი საცვლები კი ეცვა, მაგრამ ჰელოუინის[31] შემდეგ ტემპერატურა ოლქის ჩრდილოეთ ნაწილში მინუს ოც გრადუსზე მაღლა არ ასულა. იქნებ ამიხსნა, როგორ მოხდა, რომ ოთხი ღამე ტყეში დაწანწალებდა და არ გაიყინა? არც არაფერი მოჰყინვია, იმ ნაკაწრს თუ არ ჩავთვლით ლოყაზე.

– ვერაფერს გეტყვი. კიდევ არის ერთი დეტალი, – თქვა ჯოუნსიმ, – წვერი რატომ არ გაეზარდა?

– რაო? – ბივერმა პირი დააღო, კბილის ჩხირი სახიფათოდ დაეკიდა ქვედა ტუჩზე. ბოლოს, გონს მოეგო და თავი ნელა დააქნია, – მართალი ხარ. წვერი თითქმის არ აქვს.

---

[31] დღესასწაული, რომელიც იმართება 31 ოქტომბერს.

– ჰო, დიდი-დიდი, ერთი დღის გაუპარსავი იყოს.

– მაშასადამე, გუშინ საღამომდე გაუპარსავს, არა?

– ეგრეა, – თქვა ჯოუნსიმ და ტყეში მოხეტიალე მაკარტი წარმოიდგინა – გზააბნეული, შეშინებული, გათოშილი და მშიერი (თუმცა დიდი ხნის ნაშიმშილევს აშკარად არ ჰგავდა), ყოველ დილით ნაკადულთან მიდის, ფეხით ყინულს ამტვრევს და თავის ერთგულ „ჟილეტს“ იღებს... საიდან? ქურთუკის ჯიბიდან?

– იქნებ სამართებელი დღეს დილით დაკარგა და ეს პატარა წვერიც ამით აიხსნება? – თქვა ბივმა და ისევ გაიღიმა, ოღონდ არცთუ მხიარულად.

– აბა, აბა! თოფთან ერთად! მისი კბილები თუ ნახე?

ბივერი მრავალმნიშვნელოვნად შეიჭმუხნა:

– ოთხი აკლია. ორი ზედა, ორიც ქვედა. „რა-მაწუხებს-ბიჭს“ ჰგავს, ჟურნალ MAD–ის ყდიდან რომ არ ჩამოდის.

– დიდი ამბავი, მეგობარო. მეც ჩამომძვრა ორი ცალი ისე, რომ არაფერი უკითხავთ, – მან ტუჩი ასწია, არცთუ სასიამოვნოდ დაიღრიჯა და მარცხენა მხარეს ღრძილები გამოაჩინა, – ხედავ? ხომ მაინც ვცხოვრობ?!

ჯოუნსიმ თავი გააქნია. ეს სრულიად სხვა შემთხვევა იყო.

– შეიგნე, ბივ, რომ ის ტიპი ადვოკატია. მუდამ ხალხში ტრიალებს. გარეგნობა მისი იმიჯის ნაწილია. ამით შოულობს ფულს. უკბილოსთან არავინ მივა. შემიძლია დავიფიცო, რომ ამის შესახებ არაფერი იცის.

– ხომ არ გიფიქრია, რომ მომატებული რადიაციის ზონაში მოჰყვა? – პირქუშად იკითხა ბივერმა, – იმ დაწყევლილი რადიაციის შედეგად კბილებსაც კარგავენ, კინოში მინახავს. საშინელებათა ერთ-ერთ ფილმში, ისეთში, შენ რომ გიყვარს ყურება. რას იტყვი, შესაძლებელია? იქნებ ლოყაზე ის წითელი ლაქაც იმავე მიზეზით აქვს?

– ჰო, ალბათ მაშინ მოჰყვა რადიაციის ზონაში, როცა მარს-ჰილში მდებარე ატომური რეაქტორი აფეთქდა, – თქვა ჯოუნსიმ, მაგრამ

როგორც კი ბივერის გაოცებულ სახეს შეხედა, მაშინვე ინანა, თავი რომ ვერ შეიკავა, – ბივ, დასხივების დროს თმაც სცვივათ.

ბივერს სახე წამსვე გაუბრწყინდა;

– მართალია! ის ტიპიც გამელოტდა, როგორც ტელი, რა ერქვა იმ შობელძაღლს, ტელევიზიით პოლიციელს რომ თამაშობდა, – პაუზის შემდეგ კი დაამატა, – ბოლოს მოკვდა. ტელი კი არა, ის – ფილმში. მაგრამ თუ კარგად დავფიქრდებით...

– ამას თმა არ აკლია, – შეაწყვეტინა ჯოუნსიმ, თორემ ბივერი რომ მიეშვა, ვეღარც გაიხსენებდა, თავიდან რაზე საუბრობდნენ.

შენიშნა, რომ უცნობის არყოფნაში მას რიკს ან მაკარტის კი არა, ტიპს უწოდებდნენ, ქვეცნობიერად ორივე ცდილობდა, უმნიშვნელო ადამიანად წარმოეჩინა, თითქოს ამ შემთხვევაში ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა იმასაც... მოკლედ, იმასაც.

– არ აკლია, – დაეთანხმა ბივერი, – ბევრიც კი აქვს.

– იქნებ ამნეზია სჭირს?

– შესაძლოა, მაგრამ ახსოვს, რა ჰქვია, ვისთან ერთად მოვიდა და მსგავსი რაღაცები. ისე, მაგრად კი გააკუა! თითქოს საყვირს ჩაბერაო. რა სუნი გაუშვა! ნაღდი ეთერი იყო!

– ჰო. გამშვებ სითხეს ჰგავდა. სხვათა შორის, ზოგჯერ კომაში მყოფ დიაბეტიანებსაც ასდით სუნი. მგონი, რომელიღაც თრილერში ამოვიკითხე.

– გამშვებ სითხეს თუ ჰგავს?

– არ მახსოვს.

ისინი დიდხანს იდგნენ ჩუმად, ერთმანეთს შესცქეროდნენ და ქარის ზუზუნს უსმენდნენ. უეცრად, ჯოუნსის გაახსენდა, რომ ბივს იმ ელვის შესახებ არ უამბო, რომელიც უცნობმა ვითომდა დაინახა, მაგრამ ღირდა კი ამის თქმა? ისედაც საკმარისად ილაპარაკეს.

– როდესაც წინ გადმოიხარა და თავი ჩაქინდრა, მეგონა, აღებინებდა, – თქვა ბივერმა, – შენც?

ჯოუნსიმ თავი დაუქნია.

– ისე, ცუდად კი გამოიყურება, საძაგლად.

– ძალიან ცუდად.

ბივერმა ამოიხვნეშა, კბილის ჩხირი ნაგვის ყუთში ჩააგდო და ფანჯრიდან თოვლის კედელს გახედა.

– დალახვროს ეშმაკმა! ჰენრი და პიტი მაინც იყვნენ აქ. განსაკუთრებით ჰენრი.

– ბივ, ჰენრი ფსიქიატრია.

– ვიცი, მაგრამ მედიცინის კუთხით სხვა არავინ გვყავს, ამ ტიპს კი მკურნალობა ნამდვილად სჭირდება.

ჰენრი მართლაც ექიმი იყო, სხვაგვარად ფსიქოანალიტიკოსის დიპლომს ვერ მიიღებდა, მაგრამ როგორც ჯოუნსიმ იცოდა, სხვა მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილება არ ჰქონდა.

– ბივ, კვლავაც გჯერა, რომ მოვლენ?

– მჯეროდა. ნახევარი საათის წინ. მაგრამ ხომ ხედავ, რა ხდება. იმედი ვიქონიოთ, – პირქუშად თქვა ბივმა. უდარდელი და ხალისიანი ბივერ კლარენდონისგან აღარაფერი დარჩენილიყო, – მე მაქვს იმედი.

თავი მესამე
ჰენრის სკაუტი

1

ახლა, როდესაც თვალს არ აცილებდა სკაუტის ფარების შუქს, დიფქათროუდზე გადაფარებულ თოვლის საბურველს რომ ბურღავდა, ჰენრი ამ ერთგვარი გვირაბით „კედელში გაკეთებული ხვრელისკენ" მიიწევდა და გზადაგზა ფიქრობდა, როგორ ემოქმედა.

ცხადია, ყოველთვის არსებობდა „ჰემინგუეის გამოსავალი" – ოდესღაც, ჰარვარდში, ბოლო კურსზე, მან სტატიაც დაწერა ამ სათაურით, მაშასადამე, უკვე მაშინ უტრიალებდა ეს აზრი: ეს პირადული იყო და არა, უბრალოდ, მორიგი საკურსო დავალება. დიახ, უკვე მაშინ. „ჰემინგუეის გამოსავალი" თოფს გულისხმობდა და ახლა ჰენრის ეს იარაღი თან რომ ჰქონოდა... არა, მაინცდამაინც მეგობრების წრეში კი არ იზამდა ამას. მათი ოთხეული „კედელში გაკეთებულ ხვრელში" შესანიშნავად ატარებდა დროს და უნამუსობა იქნებოდა ყველაფრის გაფუჭება. ეს სამუდამოდ შეაზიზღებდა ამ ადგილს პიტ-

სა და ჯოუნსის, ბივერსაც. შესაძლოა, ყველაზე მეტად სწორედ ბივერს. ასეთ სისაძაგლეს ვერ ჩაიდენდა. თუმცა მალე ყველაფერი დასრულდებოდა, ისევე გრძნობდა მის მოახლოებას, როგორც დაცემინების წინ ცხვირში ღიტინს. სასაცილოა, მაგრამ, ალბათ, ასეც მოხდებოდა. ერთი ცხიკ, და გამარჯობა, წყვდიადო, ჩემო ძველო მეგობარო.

„ჰემინგუეის გამოსავლის" მიხედვით, იხდით ფეხსაცმელსა და წინდას, თოფის კონდახს იატაკს აბჯენთ, ლულას პირში იდებთ და ფეხის ცერით სასხლეტს გამოჰკრავთ.

სამახსოვროდ, – გაიფიქრა ჰენრიმ და მოცურებული სკაუტის საჭე გაასწორა. ამაში ბორბლების მიერ დატოვებული ნაკვალევი დაეხმარა. კაცმა რომ თქვას, გზა ზაფხულში მორების სათრევი ტრაქტორებისგან დატოვებული ორი ნაღარი იყო და სხვა არაფერი. თუ ამას გადაწყვეტ, ჯერ სასაქმებელი წამალი დალიე და მოიცადე, სანამ ტუალეტში არ წახვალ – რა საჭიროა, ზედმეტი საქმე გაუჩინო იმას, ვინც გიპოვის.

– იქნებ ცოტა ნელა გევლო, – თქვა პიტმა, რომელსაც ფეხებს შორის ნახევრად დაცლილი ლუდის ბოთლი ედგა. მაგრამ კარგ ხასიათზე დასადგომად მისთვის ერთი ბოთლი არ კმაროდა. კიდევ სამი-ოთხიც და, ჰენრი შეძლებდა, სამოცითაც ევლო ამ გზაზე, პიტი კი მხოლოდ ხმამაღლა აჰყვებოდა „პინკ ფლოიდის"[32] რომელიღაც შემაძრწუნებელ სიმღერას. თავისუფლად გაქაჩავდა სამოცამდე, სკაუტს არაფერი დაემართებოდა, შესაძლოა, მხოლოდ ბამპერი გაღუნოდა ოდნავ. რაღა დიფქათის ნაღარებში სიარული, თუნდაც თოვლით ამოვსებულში, და რაღა რელსებზე ქროლა. თუ თოვა გაგრძელდებოდა, საქმე გაფუჭდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით ყველაფერი კარგად იყო.

– ნუ ღელავ, პიტ, ყველაფერი რიგზეა.

– დალევ ლუდს?

---

[32] ცნობილი ინგლისური როკჯგუფი.

– საჭესთან არა.

– არც ამ მიყრუებულ ადგილას?

– მოგვიანებით.

პიტი მიყუჩდა და ჰენრი მოსაწყენ სამუშაოს შეატოვა: ფარების შუქისთვის თვალის დევნებასა და მიხვეულ-მოხვეულ გზაზე ხეებს შორის ძრომიალს. ფიქრებსაც შეატოვა, რაც ასე ძლიერ უნდოდა. ეს იმას ჰგავდა, გაფუჭებულ კბილს ენით რომ ეხები – გაინტერესებს, კიდევ გტკივა თუ გადაგიარა. უნდოდა და რა ექნა.

აბებიც არსებობდა. არსებობდა ძველი ხერხი – სააბაზანოში პლასტიკური პაკეტის თავზე წამოცმა. წყალში დახრჩობა. დიდი სიმაღლიდან გადახტომა. ძალზე არასაიმედოდ ეჩვენებოდა რევოლვერის ყურზე მიდება, რადგან გადარჩენის შანსი მნიშვნელოვნად იზრდებოდა, ისევე, როგორც სამუდამოდ პარალიზებისა. ვენების გადაჭრა მათი საქმე იყო, ვინც მხოლოდ ვარჯიშობდა ამაში. ჰენრი ერთმა იაპონურმა მეთოდმა დააინტერესა: კისერზე ყულფს ჩამოიცვამ, მეორე ბოლოს დიდ ქვას გამოაბამ, ქვას სკამზე დადებ, იატაკზე დაჯდები და ზურგით რამეს მიეყრდნობი, უკან რომ არ გადავარდე. შემდეგ სკამს გადააყირავებ. ქვა შორს გადავარდება. ამ დროს ასფიქსიის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი 3-5 წუთს თუ იცოცხლებს, მერე კი ნაცრისფერი შავად გადაიქცევა და – გამარჯობა, წყვდიადო, ჩემო ძველო მეგობარო.

ამ მეთოდის შესახებ ჯოუნსის საყვარელი კინსი მილჰოუნის[33] ერთ-ერთ დეტექტივში წაიკითხა. დეტექტივები და საშინელებათა ფილმები ჯოუნსის განუყრელი თანამგზავრები იყო.

მთლიანობაში ჰენრი უფრო „ჰემინგუეის გამოსავლისკენ" იხრებოდა.

პიტმა პირველ ბოთლს წირვა გამოუყვანა და კმაყოფილი ღიმილით მეორე გახსნა.

– მერედა, რას ფიქრობ ამაზე? – ჰკითხა მან ჰენრის.

---

[33] ამერიკელ მწერალ სიუ ტაილორ გრაფტონის დეტექტივების პერსონაჟი.

ჰენრი თითქოს ძალით შეათრიეს იმ ქვეყანაში, სადაც ცოცხლებს მართლაც უნდოდათ სიცოცხლე. და როგორც ბოლო დროს ემართებოდა, მაშინვე შეიჭმუხნა. ახლა მთავარი იყო, ეჭვი არავის აეღო. ეჩვენებოდა, რომ ჯოუნსის უკვე დაეცქვიტა ყურები. თითქოს ბივერსაც. იმ ორს ზოგჯერ აზრების წაკითხვა შეეძლო. პიტმა, ცხადია, არაფერი იცოდა მისი ჩანაფიქრის შესახებ, მაგრამ სრულიად შეუფერებელ მომენტში შეეძლო ეთქვა, – ჰენრი რაღაც შეწუხებული მეჩვენება, რაიმე ისეთი ხომ არ აიკვიატაო. და გააფუჭებდა ყველაფერს. ეს ხომ მათი ოთხეულისთვის, მესამე-მეოთხე კლასში შექმნილი კანზასელი ალისფერი მეკობრეების ბანდისთვის, „კედელში გაკეთებულ ხვრელში" უკანასკნელი ჩამოსვლა იყო, ამიტომ საუკეთესო მოგონებები უნდა დარჩენოდათ. დაე, მომხდარმა თავზარი დასცეს მათ, ჯოუნსისაც, რომელსაც სხვებზე ხშირად შეუძლია მისი აზრების ამოცნობა. დაე, ამტკიცონ, რომ ამას არაფრით ელოდნენ. უკეთესია, ასე მოხდეს, ვიდრე თავჩაქინდრულები ისხდნენ, ერთმანეთს თვალი ვერ გაუსწორონ და საკუთარ თავს უსაყვედურონ, – ეს როგორ ვერ შევამჩნიეთ, ყველაფერი ამაზე მიგვანიშნებდა, ჩვენ კი ხელიც არ გავანძრიეთო.

ამიტომ სხვა სამყაროში დაბრუნდა და გულწრფელი დაინტერესება გამოხატა. ფსიქიატრზე უკეთ ამას ვინ მოახერხებდა?

– რაზე მეკითხები?

– იმ სულელ გოსლინზე, – უთხრა პიტმა, – იმ ბებერი გოსლინის მონაჩმახზე.

– პიტ, მას ტყუილად კი არ ეძახიან ბებერს. ოთხმოცი წლის მაინც იქნება. ერთადერთი, რის ნაკლებობასაც ბებრები არ უჩივიან, ისტერიაა.

არც სკაუტი იყო ახალგამოჩეკილი წიწილა, თოთხმეტი წლის განმავლობაში ოდომეტრზე უკვე მეორე წრეს ამთავრებდა. ნაღარიდან ამოვარდა და ოთხბორბლიანი ამძრავის მიუხედავად, მაშინვე მოსრიალდა. ჰენრიმ საჭე გაასწორა და კინაღამ გაეცინა, როდესაც პიტს

ბოთლი გაუვარდა და ხმამაღალი შეძახილი აღმოხდა:

– ეი, ამის დედაც! .. ფრთხილად იარე!

ჰენრიმ სიჩქარეს უკლო, იგრძნო, რომ სკაუტი ისევ ემორჩილებოდა და განზრახ ძლიერად და სწრაფად დააწვა გაზის პედალს. მანქანა კვლავ მოსრიალდა, ამჯერად საპირისპირო მიმართულებით. პიტმა კვლავ შეჰყვირა. ჰენრიმ მანევრი გაიმეორა, სკაუტი ისევ ნაღარში აღმოჩნდა და დაუბრკოლებლად გაქანდა წინ. ეს თვითმკვლელობის გადაწყვეტილების მიღების უდავო უპირატესობა იყო – პატარ-პატარა საფრთხეები ნერვებს აღარ უშლიდა.

მანქანის შუქი მილიარდობით მოცეკვავე ფიფქისგან შემდგარ დამაბრმავებელ სითეთრეს ბურღავდა. ფიფქებს შორის, თუ გავრცელებულ სიბრძნეს ვენდობით, ორ ერთნაირი არ არსებობდა.

პიტმა ძირს დავარდნილი ბოთლი აიღო (სულ ცოტა გადმოღვრილიყო) და მკერდზე ხელი მიირტყა.

– ძალიან ხომ არ მიერეკები?

– სულაც არა, – მიუგო ჰენრიმ და, თითქოს არაფერი მომხდარა (არადა, მოხდა) და არც ფიქრი შეუწყვეტიაო (არც შეუწყვეტია), განაგრძო, – მასობრივი ისტერია ჩვეულებრივი მოვლენაა ძალიან მოხუცებსა და ძალიან ახალგაზრდებს შორის. ეს ფენომენი დაწვრილებითაა აღწერილი როგორც ჩემს სფეროში, ასევე მეზობელ პროფესიაში – სოციოლოგიაში.

ჰენრიმ სპიდომეტრს დახედა, დაინახა, რომ საათში ოცდათხუთმეტი მილი სიჩქარით მიდიოდა და სვლა შეანელა, რადგან ასეთი ამინდისთვის მეტისმეტი იყო.

– არ გეწყინოს, მაგარი მძღოლი კი ხარ, მეგობარო, მაგრამ ხომ ხედავ, როგორი თოვლია. გარდა ამისა, მანქანა დატვირთულია, – თითი უკანა სავარძელზე მოთავსებული ორი პაკეტისა და ორი ყუთისკენ გაიშვირა, – სოსისთან ერთად იქ „კრაფტის“ მაკარონი და ყველიცაა. ბივერი მათ გარეშე ვერ ძლებს.

– ვიცი. მეც მომწონს. გაიხსენე სატანისტების ისტორია ვაშინგტონის შტატში. ოთხმოცდაათიანი წლების შუაში პრესა კინაღამ ჭკუაზე შეიშალა. კვალი მოხუცებამდე მივიდა, რომლებიც ბავშვებთან ცხოვრობდნენ, ერთ შემთხვევაში – შვილიშვილებთან, სიეტლის სამხრეთით მდებარე ორ ქალაქში. საბავშვო ბაღებში პატარებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შესახებ მრავალრიცხოვანი საჩივარი, როგორც ჩანს, მას შემდეგ გაჩნდა, რაც მოზარდმა გოგონებმა, რომლებიც არასრული სამუშაო დღის განმავლობაში მუშაობდნენ, ერთდროულად ატეხეს ცრუ განგაში დელავერსა და კალიფორნიაში. ეს, შესაძლოა, დამთხვევა იყო. შესაძლოა, უბრალოდ, მსგავსი სენსაციებისთვის შესაფერისი ვითარება მომწიფდა და გოგონებმა ამით ისარგებლეს.

სიტყვები თავისით მოედინებოდა, თითქოს რაიმე დატვირთვა ჰქონოდა. ჰენრი გაუთავებლად ლაქლაქებდა, გვერდით მჯდომი ადამიანი ჩუმი აღფრთოვანებით უსმენდა, და ვერავინ წარმოიდგენდა (განსაკუთრებით, პიტი), რომ იგი არჩევანს აკეთებდა თოფს, თოკს, გამოსაბოლქვ მილსა და აბებს შორის. თავი თითქოს მაგნიტოფონის ფირით გავსებოდა, მისი პირი ფლეიერი იყო, რომელიც კასეტებს შეუჩერებლივ ატრიალებდა.

– სალემში, – განაგრძო ჰენრიმ, – მოხუცები და ახალგაზრდა ქალიშვილები ისეთმა ისტერიამ მოიცვა, რომ ვოილა[34] – სალემის ალქაჯების პროცესი[35] მივიღეთ.

– ეს ფილმი ჯოუნსისთან ერთად ვნახე, – თქვა პიტმა, – მასში ვინსენტ პრაისი[36] თამაშობდა. შიშისგან კინაღამ ჩავისვარე.

– მჯერა, – გაეცინა ჰენრის. წამით მოეჩვენა, რომ პიტი „სასტიკ

[34] აი, აჰა (ფრ)

[35] სასამართლო პროცესი მასაჩუსეტსის შტატში 1692 წელს, როდესაც ადამიანებს ჯადოქრობის ბრალდებით ასამართლებდნენ.

[36] ამერიკელი მსახიობი.

გამოცდას"[37] სალემის ჯადოქრებზე გამართული სასამართლო პროცესის დროს მომხდარი მოვლენების შესახებ.) გულისხმობდა, – როდის ძლიერდება ისტერიული იდეები? როცა მოსავალს აიღებენ და ამინდები აირევა, საშინელი თავგადასავლების მოყოლისა და ათასგვარი სისაძაგლის გამოგონების დრო მოდის. უინატჩიში, ვაშინგტონის შტატში – სატანიზმი და ტყეში ბავშვების მსხვერპლად შეწირვა. სალემში – ალქაჯები. ჯეფერსონტრექტში კი, სადაც გოსლინის ერთადერთი და განუმეორებელი მაღაზიაა, – უცნაური ნათება ცაში, დაკარგული მონადირეები და სამხედრო მანევრები, ფანტასტიკურ წითელ საგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ხეებზე რომ იზრდება.

– ვერტმფრენებისა და ჯარისკაცების თაობაზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ნათება უკვე იმდენმა ხალხმა დაინახა, ქალაქის კრებას იწვევენ. ეს თვითონ ბებერმა გოსლინმა მითხრა, სანამ შენ კონსერვებს არჩევდი. გარდა ამისა, კინეოდან რამდენიმე ადამიანი გაქრა, ეს კი ისტერია აღარაა! – შეეპასუხა პიტი.

– ოთხი სწრაფი შენიშვნა, – თქვა ჰენრიმ, – ჯერ ერთი, ჯეფერსონტრექტში ქალაქის კრებას ვერ მოიწვევ, რადგან ის ქალაქი არაა. კინეოც კი მხოლოდ საკუთარი სახელის მქონე, არაკორპორაციული დაბაა. მეორე ის, რომ ეს კრება ბებერი გოსლინის ღუმლის გარშემო გაიმართება, დამსწრეთა ნახევარს პიტნის შნაპსი და ყავის ლიქიორი ექნება ნაყლურწი.

პიტმა ჩაიხითხითა.

– მესამე – სხვა რა აკეთონ? მეოთხე, მონადირეებს რაც შეეხება, ბევრს ნადირობა, შესაძლოა, უბრალოდ მოჰბეზრდა და სახლში წავიდა, ან კარაბასეტში გახსნილ ახალ კაზინოში გამდიდრება გადაწყვიტა.

– ასე გგონია? – პიტი დათრგუნვილი ჩანდა. მოულოდნელად, ჰენრის მეგობრისადმი სიყვარული მოეძალა და მუხლზე ხელი მოუთათუნა.

---

[37] არტურ მილერის პიესის მიხედვით გადაღებული ფილმი (1996 წ.

– ნუ იტანჯები, – თქვა მან, – სამყარო სავსეა გაუგებარი და აუხსნელი მოვლენებით.

სამყარო რომ მართლაც ასეთი ყოფილიყო, საეჭვოა, ჰენრის მისი ნაჩქარევად დატოვება განეზრახა, მაგრამ თუკი ფსიქიატრებმა სრულყოფილად რამე მაინც იცოდნენ ("პროზაკის", „პაქსილისა" და „ამბიენის" რეცეპტების გამოწერის გარდა), ეს ტყუილის თქმა გახლდათ.

– ერთდროულად ოთხი მონადირის გაუჩინარება ძალზე უცნაურად მეჩვენება.

– სულაც არა, – გაეცინა ჰენრის, – ერთის გაქრობა მართლაც უცნაური იქნებოდა. ორისაც. მაგრამ ოთხის? ალბათ შეიკრიბნენ და სადმე წავიდნენ.

– ჰენრი, „კედელში გაკეთებულ ხვრელამდე" ბევრი დაგვრჩა? – იკითხა პიტმა, რაც სინამდვილეში ნიშნავდა: მოვასწრებ კიდევ ერთი ბოთლის დალევას?

ჰენრიმ ოდომეტრი გოსლინთან ყოფნისას გაანულა. ასეთი ჩვეულება ჯერ კიდევ მასაჩუსეტსის შტატში „სასწრაფოზე" მუშაობისას გამოუმუშავდა, სადაც თორმეტ ცენტს უხდიდნენ ყოველ გავლილ მილზე, მას კი იმდენი ბებერი ფსიქოპათი უნდა ჩაეწერა, რამდენსაც მოასწრებდა. მაღაზიასა და „ხვრელს" შორის მანძილი ადვილი დასამახსოვრებელი იყო – 22,2. ოდომეტრი 12,7-ს უჩვენებდა. მაშასადამე...

– ფრთხილად, – შეჰყვირა პიტმა და ჰენრიმ საქარე მინას გახედა.

სკაუტი ციცაბო, ხეებით დაფარული მთის თხემის წვერზე იმყოფებოდა. აქ უფრო ხშირად თოვდა, მაგრამ ჰენრის შორი განათება ჰქონდა ჩართული და ამიტომ მკაფიოდ დაინახა მის წინ, ასიოდე ფუტში, გზაზე მჯდომი ადამიანი. უცნობი კაპიუშონიან განიერ პალტოში იყო შეფუთნილი. ზემოდან ხასხასა ნარინჯისფერი ჟილეტი ეცვა, რომელიც ქარში სუპერმენის მოსასხამივით უფრიალებდა. თავზე რუსული ბეწვის ქუდი ეხურა, ზედ მიმაგრებული, აქეთ-იქით

მოქანავე ნარინჯისფერი ლენტები იმ ფერად ნაჭრებს ჰგავდა, ნახმარი მანქანების სადგომს რომ შემოავლებენ ხოლმე. უცნობი შუა გზაზე იჯდა – გეგონებოდათ, ინდიელია და მშვიდობის ყალიონის მოწევა გადაუწყვეტიაო. მანქანის ფარების შუქზე არც კი შერხეულა. ჰენრიმ მისი მუმიის მსგავსი თვალები შეამჩნია: ფართოდ გახელილი, უძრავი, მბრწყინავი, უმეტყველო, და გაიფიქრა, – მეც ასეთი მექნება, თავი ხელში თუ არ ავიყვანეო.

დამუხრუჭების დრო აღარ იყო, მით უმეტეს ასეთ თოვლში. ჰენრიმ საჭე მარჯვნივ აიღო და ბიძგი იგრძნო, რადგან სკაუტი ნაღარიდან ამოვარდა. თვალი მოჰკრა თეთრ, გაყინულ სახეს და გაუელვა: დალახვროს ეშმაკმა! ეს ხომ ქალია!

სკაუტი ნელა მოცურდა, მაგრამ ამჯერად ჰენრიმ განზრახ სცადა, თოვლში ჩაფლულიყო – შინაგანმა ხმამ (ფიქრის დრო აღარ ჰქონდა) მიანიშნა, რომ მხოლოდ ეს თუ გადაარჩენდა გზაზე მჯდომ ქალს.

პიტმა შეჰყვირა და ჰენრიმ დაინახა, რომ მან, თავდასაცავად, ინსტინქტურად გაიწვდინა ხელები წინ. სკაუტი კოლბოხიდან კოლბოხზე გადავიდა და ჰენრიმ მოხვევა სცადა, რათა უცნობ ქალს პირდაპირ არ დასჯახებოდა. საჭე საზიზღარი, გასაოცარი სიმსუბუქით უსხლტებოდა ხელთათმნიანი ხელებიდან. სამიოდე წამის განმავლობაში სკაუტი თოვლით დაფარულ დიფქათროუდზე ორმოცდახუთგრადუსიანი კუთხით ადიოდა ნაწილობრივ ულმობელი ქარის, ნაწილობრივ კი მძღოლის, ჰენრი დევლინის ოსტატობის წყალობით. გარშემო თოვლი მტვერივით ტრიალებდა. მანქანის ფარებიდან წამოსული შუქი გზის მარცხენა მხარეს ნამქერისგან დამძიმებულ ფიჭვის ხეებს ანათებდა. ეს მხოლოდ სამი, უსაშველოდ გაწელილი სამი წამის განმავლობაში გაგრძელდა. ჰენრიმ დაინახა, როგორ ჩაუქროლა ადამიანის სილუეტმა, თითქოს მანქანის ნაცვლად ის მოძრაობდა და მაშინაც კი არ განძრეულა, როდესაც ჟანგიანი ბამპერი მის სახეს დუიმზე ნაკლები მანძილით ასცდა. მხოლოდ ერთი დუიმი თოვლიანი ჰაერი ქალის ლოყასა და რკინას შორის.

– გადავრჩით! – აღმოხდა ჰენრის, – გადავრჩით, შე ბოზიშვილო!

შემდეგ კონტროლის უკანასკნელი, მაგრად დაჭიმული ძაფიც გაწყდა და სკაუტი გვერდზე მოსრიალდა. როდესაც ბორბლებმა ნაღარს კვლავ მიაგნო, გარდიგარდმო მდგარი მანქანა ციებცხელებიანივით აცახცახდა, შემოტრიალება და მყარად დადგომა სცადა – „ყველაფერი პირიქით, ყველაფერი უკუღმა“ როგორც დაწყებით სკოლაში მწკრივად მოწყობისას მღეროდნენ – მაგრამ ლოდს თუ მორს შეეჯახა, ხმაურით გადაწვა გვერდზე, მგზავრის მხრიდან, გატეხილი ფანჯრის ნამსხვრევები აქეთ-იქით მიმოიფანტა, შემდეგ ამოტრიალდა. უსაფრთხოების ღვედის ერთი ნაწილი მოსძვრა და ჰენრი სავარძლიდან ჩამოვარდა. მარცხენა მხრით დაეცა ძირს, სათესლე პარკი საჭეს ჩამოჰკრა და საზარდული მაშინვე ტყვიასავით დაუმძიმდა. ციმციმას მართვის გატეხილი სახელური თეძოში შეერჭო, ფეხზე თბილი სისხლი ჩამოეღვარა და ჯინსი დაუსველა. „კლარეტი“[38], – ასე აცხადებდა ოდესღაც კრივის რადიოკომენტატორი, – „შეხედეთ, მეგობრებო, კლარეტი დაიღვარა“. პიტი ყმუოდა თუ წკმუტუნებდა. შესაძლოა, ერთდროულად ყმუოდა და წკმუტუნებდა კიდეც.

სკაუტის ძრავა რამდენიმე წამს კიდევ მუშაობდა, შემდეგ კი მიზიდულობის ძალამ თავისი გაიტანა და გააჩუმა. ოდესღაც მძლავრი მანქანა გზაზე ამოსულ საშინელ კუზად იქცა, თუმცა ბორბლები ტრიალს განაგრძობდა, ფარების შუქი კი კვლავინდებურად ანათებდა გზის მარცხენა მხარეს მინამქრულ ფიჭვებს. მალე ერთი ფარი ჩაქრა, მეორე არ ნებდებოდა.

2

ჰენრი დიდხანს ესაუბრა ჯოუნსის უბედური შემთხვევის შესახებ (თუმცა, უფრო მეტს უსმენდა, ვიდრე ლაპარაკობდა, რადგან მისი

[38] წითელი ღვინის სახეობა.

თერაპია, ძირითადად, პაციენტის შემოქმედებითად მოსმენას გულისხმობდა) და იცოდა, რომ უშუალოდ შეჯახების მომენტი მას არ ახსოვდა. რამდენადაც ჰენრის შეეძლო თქმა, ავარიის შემდეგ გონება წამით არ დაუკარგავს და მოგონებათა ჯაჭვიც არ გასწყდომია. ახსოვდა, როგორ ეჩალიჩებოდა ღვედის შესაკრავს, რათა არაფრის მაქნისი ქამარი სწრაფად მოეცილებინა, ამასობაში პიტი ბღაოდა, – ფეხი, ეს დაწყევლილი ფეხი მოვიტეხეო. ახსოვდა მინასაწმენდის შარიშური, ხელსაწყოების პანელის ციმციმი მის თავზემოთ. ბოლოს მიაგნო შესაკრავს, დაჰკარგა, ისევ მიაგნო და ღილაკს დააწვა. ღვედი შეიხსნა, უხერხულად დაეცა, სახურავს მხარი მიარტყა და ჭერის პლასტიკური პლაფონი გატეხა. შემდეგ ხელი კარზე მოაფათურა, სახელურს მიაგნო და გაღება სცადა, მაგრამ უშედეგოდ.

– ფეხი! უჰ, შენი! ..

– მოკეტე! – უთხრა ჰენრიმ, – შენს ფეხს არაფერი სჭირს.

ისე თქვა, თითქოს იცოდა. მერე ისევ მოძებნა სახელური და დააწვა, კვლავ არაფერი გამოუვიდა. ბოლოს მიხვდა – მანქანა ამოყირავებული იყო, მაშასადამე საპირისპირო მხარეს უნდა დაექაჩა. სცადა კიდეც ეს გაშიშვლებული ნათურის ნათებით ლამის დაბრმავებულმა. კარმა გაიტკაცუნა. ხელი ჰკრა თითქმის დარწმუნებულმა, რომ არაფერი გამოუვიდოდა, რადგან გაღუნულ ჩარჩოს, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ რამდენიმე დუიმით თუ დაძრავდა ადგილიდან.

მაგრამ მოულოდნელად კარმა დაიჭრაჭუნა და თავზე თოვლი დაეყარა, სუსხმა სახე და კისერი აუწვა. მხრით მიაწვა, მაგრამ როდესაც საჭის სვეტს ფეხები მოაცილა, მიხვდა, რომ ჰაერში დაეკიდა. ნახევარი სალტო გააკეთა და აღმოაჩინა, რომ დაჟინებით მისჩერებოდა ჯინსში გამოკვალთულ საკუთარ საზარდულს, თითქოს ნატკენი კვერცხების კოცნას აპირებდა. დიაფრაგმა თითქმის ორად მოჰკეცოდა და სუნთქვა უჭირდა.

– ჰენრი, მიშველე! გავიჭედე! გავიჭედე, ამის დედაც! ..

– ახლავე! – თქვა ჰენრიმ უცხო, მოგუდული ხმით. აქედანაც კი ხედავდა, რომ შარვლის მარცხენა ტოტის ზედა ნაწილი სისხლისგან გამუქებულიყო. ფიჭვებში ქარი ისე ზუზუნებდა, როგორც ღმერთის მაცივარი „ელექტროლუქსი“.

ჰენრი კარს ჩაეჭიდა – გულში უხაროდა, რომ მანქანას ხელთათმნიანი ხელებით ატარებდა – და მთელი ძალით გაიწია: აუცილებლად უნდა გაეღწია აქედან და დიაფრაგმა გაეთავისუფლებინა, თორემ გაიგუდებოდა. წამიც და ბოთლიდან მომძვრალი საცობივით გავარდა გარეთ. ცოტა ხანს გაუნძრევლად იწვა, მოლივლივე თოვლს შესცქეროდა და ისვენებდა, ფიფქების მოსაცილებლად თვალებს ახამხამებდა. ცა, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი იყო, განსაკუთრებული არაფერი შეიმჩნეოდა, – ამაზე სასამართლოში ყველა ბიბლიაზე ერთად დაიფიცებდა, – მხოლოდ ღრუბლების დაბლა ჩამოშვებული ნაცრისფერი მუცლები და თოვლის საყოველთაო ფსიქოდელიური ციმციმი.

პიტი მას შეუჩერებლივ ეძახდა. პანიკა ემატებოდა.

ჰენრი გადაბრუნდა, მუხლებზე დადგა, მიხვდა, რომ თითქმის არაფერი სჭირდა და წამოდგომაც გაბედა. ქარი ოდნავ არხევდა. ეშინოდა, დაჭრილ ფეხს არ ემტყუნა და არ დაცემულიყო, მაგრამ გაუძლო. თავი გაიქნია და კოჭლობით შემოუარა სკაუტს, რათა ენახა, თუ რა შეეძლო პიტის დასახმარებლად. გზად გაიხედა ქალისკენ, რომლის გამოც ამ ხათაბალაში გაეხვივნენ. ის კი კვლავაც ლოტოსის პოზაში იჯდა შუა გზაზე, სანახევროდ თოვლით დაფარული. ქარი ხმაურით უფრიალებდა ჟილეტს, ქუდზე მიმაგრებული ლენტები მხიარულ ცეკვას განაგრძობდნენ. ქალს მათკენ არც კი გამოუხედავს, კვლავინდებურად გოსლინის მაღაზიის მხარეს გაშტერებოდა მზერა. ბორბლების ფართო კვალსა და მის მოხრილ ფეხს შორის ერთ ფუტზე მეტი არ იქნებოდა. ჰენრი ვერაფრით მიმხვდარიყო, როგორ ააცილა.

– ჰენრი! ჰენრი, მომეხმარე!

ჰენრი კოჭლობით წავიდა ღრმა თოვლში მოპირდაპირე კარისკენ. ის გაჭედილი იყო, მაგრამ როდესაც ჰენრი მუხლებზე დადგა და დაეჯაჯგურა, კარი უხალისოდ გაიღო. ისევ მუხლებზე დაეცა, პიტს ხელი მხარში წაავლო და თავისკენ დაქაჩა. არაფერი გამოუვიდა.

– ღვედი შეიხსენი, პიტ.

პიტმა აბზინდის მოძებნა სცადა, მაგრამ ვერ მიაგნო, თუმცა მუცელზე ედო. ჰენრიმ ფრთხილად, ისე, რომ მოუთმენლობის ნასახიც არ ეტყობოდა (როგორც ჩანს, ჯერაც შოკში იყო), აბზინდა შეხსნა და პიტი ტომარასავით დაეცა სახურავზე. თავი უღონოდ გადაუვარდა გვერდზე. პიტმა ტკივილისა და გაოცებისგან შეჰყვირა, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რაც უნდა გაეკეთებინა და ნახევრად ღია კარიდან გამოფოფხდა. ჰენრიმ იღლიებში ხელები ამოსდო და მოშორებით გაათრია. ორივენი თოვლზე დაეცნენ და ჰენრის უეცრად déjà vu[39] დაემართა, ისეთი ძლიერი და მოულოდნელი, რომ კინაღამ გონება დაკარგა. განა ასე არ თამაშობდნენ ბავშვებთან? რა თქმა უნდა! იმ დღეს, როდესაც დადიტსს თოვლისგან ანგელოზების გაკეთება ასწავლეს.

უეცრად ვიღაცის სიცილი გაისმა. ჰენრი შეკრთა. შემდეგ მიხვდა, რომ თვითონ იცინოდა.

პიტი წამოჯდა. თვალები ველურივით უელავდა, ხელები დაემუშტა, ზურგი თოვლს დაეფარა.

– რა ჯანდაბა გაცინებს? – შეუტია ჰენრის, – ამ ვირმა კინაღამ ორივე საიქიოს გაგვისტუმრა! დავახრჩობ მაგ ბოზიშვილს!

– სხვათა შორის, ქალია, – უთხრა ჰენრიმ და სიცილს უმატა. სავსებით შესაძლებელია, რომ ქარის ზუზუნში პიტმა მისი ნათქვამი ვერ გაიგონა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. კარგა ხანია, თავი ასე კარგად არ უგრძნია.

პიტი ძალდაუტანებლად წამოდგა და ჰენრი უკვე რაღაც ჭკვი-

[39] შეგრძნება, თითქოს ის, რაც თქვენ წინაშეა, უკვე სადღაც გინახავთ.

ანურის თქმას აპირებდა იმასთან დაკავშირებით, რომ, ფეხმოტეხილი კაცის კვალობაზე, ძალიან მსუბუქად დადიოდა, მაგრამ მოულოდნელად პიტი მოცელილივით დაეცა და ტკივილისგან აყმუვლდა. ჰენრი მიუახლოვდა და გაჭიმული ფეხი გაუსინჯა. თითქოს არაფერი სჭირდა – ორი ფენა ტანსაცმლის გარედან დაზუსტებით რა უნდა ეთქვა?

– მოტეხილი არ მაქვს, – თქვა პიტმა და ტკივილისგან დაიღრიჯა, – მენისკი იქნება, როგორც ფეხბურთის თამაშის დროს მემართებოდა ხოლმე. სად არის ის? მართლა ქალია?

– ჰო.

პიტი წამოდგა და ფეხათრევით შემოუარა მანქანას წინიდან. ერთი ფარა კვლავაც გმირულად ანათებდა თოვლს.

– თუ აღმოჩნდება, რომ არც ხეიბარია და არც ბრმა, საკუთარ საქციელზე პასუხს არ ვაგებ, – განაცხადა პიტმა, – ისეთ პანღურს ამოვკრავ, რომ წამში გოსლინის მაღაზიასთან აღმოჩნდება.

ჰენრის ისევ სიცილი აუტყდა – წარმოიდგინა, როგორ დახტოდა პიტი ჯანმრთელ ფეხზე, ნატკენს კი უცნობ ქალს უქნევდა. ამან „როკეტსის"[40] შხვართი მოცეკვავეები მოაგონა.

– ხელი არ ახლო, პიტერ! – შესძახა მან. ეჭვი ჰქონდა, რომ მანიაკური სიცილის შემოტევა მკაცრ ბრძანებას ყოველგვარ ეფექტს დაუკარგავდა.

– არ ვახლებ, თუ არ შემომიღრენს, – შეჰპირდა პიტი შეურაცხყოფილი შინაბერას კილოთი, რამაც ჰენრი კვლავ აახარხარა. როცა დაწყნარდა, ჰენრიმ ჯინსის შარვალი და საცვალი ჩაიწია, რათა ჭრილობა შეეთვალიერებინა. აღმოჩნდა რომ მხოლოდ სამი დუიმი სიგრძის განაკაწრი ჰქონდა თეძოს შიგა მხარეს. მართალია, სისხლდენა ბოლომდე არ შემწყდარიყო, მაგრამ ჰენრიმ ეს განსაკუთრებულ საფრთხედ არ მიიჩნია.

---

[40] მოცეკვავე ქალთა მრავალრიცხოვანი ანსამბლი, დაარსდა 1925 წელს აშშ-ში. გამოირჩეოდა მოძრაობის სიზუსტით.

– აქ რა ჯანდაბას აკეთებთ? – გასძახა პიტმა უცნობს გადაბრუნებული სკაუტის მეორე მხრიდან, რომლის მინასაწმენდები კვლავაც მწუხარე ხმით შრიალებდა. მისი ტირადა უხვად შეიცავდა მაგარ-მაგარ სიტყვებს (ეს აშკარად ბივერიზმების გავლენა იყო). ჰენრის თვალწინ შეურაცხყოფილი, ხანდაზმული მასწავლებელი ქალი წარმოუდგა, რამაც მასში მხიარულების ახალი ტალღა წარმოშვა.

სწრაფად აიწია შარვალი და წელში გასწორდა.

– რატომ დამჯდარხართ ამ დედანატირები გზის შუაში ასეთ დედანატირებ ქარბუქში? დათვერით? თუ კაიფში ხართ? მაგარი სულელი კი ჩანხართ! ეი, მიპასუხეთ! მე და ჩემმა მეგობარმა თქვენ გამო კინაღამ ფეხები გავფშიკეთ, შეგეძლოთ... ოოჰ, ბარემ მიხმარე, ფრედი!

ჰენრიმ სწორედ რომ დროულად მიირბინა. დაინახა, როგორ დაეცა პიტი გაუნძრევლად მჯდარი მის ბუდას გვერდით. ეტყობა, ისევ მუხლმა უმტყუნა. ქალმა თავიც კი არ მიაბრუნა. ზურგს უკან ნარინჯისფერი ლენტები უფრიალებდა. სახე ქარბუქისთვის მიეშვირა, ფართოდ გახელილ თვალებს არ ახამხამებდა, მაშინაც კი, როცა ფიფქები თბილ, ცოცხალ ლინზებზე ეცემოდა და დნებოდა. ჰენრიმ იგრძნო, რომ, ყველაფრის მიუხედავად, პროფესიული ცნობისმოყვარეობა გაუჩნდა. ნეტა, რას გადაეყარნენ?

3

– ოჰ, ამის დედა ვატირე, რა ჯოჯოხეთური ტკივილია!

– როგორ ხარ? – ჰკითხა ჰენრიმ პიტს და ისევ გაეცინა. რა სულელური შეკითხვაა.

– როგორ ვიქნები შენი აზრით, გიჟების ექიმო? – გესლიანად მიუგო პიტმა, მაგრამ როდესაც ჰენრი მისკენ დაიხარა, ხელი ჩაიქნია, – არა მიშავს. აჯობებს, სანაგვეთის პრინცესას მიხედო, აქ რომ დაბრძანებულა!

ჰენრი ქალის წინ მუხლებზე დაეშვა. ტკივილისგან სახე დაეღრიჯა. ყველაფერი სტკიოდა – ფეხები, სახურავზე მირტყმული მხარი, კისერი, რომელიც თავის მოტრიალებას უშლიდა, მაგრამ მაინც ეცინებოდა.

უცნობი სულაც არ ჰგავდა გასაჭირში ჩავარდნილ ქალს. ორმოციოდე წლის იქნებოდა, ულამაზო და მკვრივი აღნაგობის. პარკა[41] საკმაოდ სქელი ჩანდა, მის ქვეშაც ბევრი უნდა სცმოდა, მაგრამ მაინც გარკვევით მოუჩანდა ამობურცულობები. ალბათ ასეთების გამო მოიგონეს მკერდის დაპატარავების ოპერაცია. თმა, რომელიც ბეწვის ქუდიდან მოუჩანდა, აშკარად ნაჩქარევად ჰქონდა შეკრეჭილი. მასაც ჯინსის შარვალი ეცვა, მაგრამ მისი ერთი ბარძაყიდან ჰენრის ორი თეძო გამოვიდოდა. ჰენრის თავში გაუელვა, რომ მის წინ სოფლელი ქალი იჯდა – აი, ისეთი, თავისი დიდი ტრაილერის გვერდით მოწყობილ პატარა ეზოში, თოკზე სარეცხს რომ ჰფენს, ფანჯარაზე შემოდგმული რადიომიმღებიდან კი გარტის[42] ან შანიას[43] ხმამაღალი სიმღერა ისმის... სურსათს ალბათ გოსლინთან ყიდულობს. ნარინჯისფერი ჟილეტი და ლენტები იმაზე მიუთითებდა, რომ სანადიროდ იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში, თოფი სადღა ჰქონდა? თოვლმა დაფარა? ფართოდ გახელილ ცისფერ თვალებში სიცარიელე აღბეჭდოდა. ჰენრიმ ნაკვალევის მოძებნა სცადა, მაგრამ ვერ მიაგნო. ალბათ ქარმა წაშალა, თორემ საიდან გაჩნდებოდა აქ, ციდან ხომ არ ჩამოვარდებოდა.

ჰენრიმ ხელთათმანი გაიძრო და უცნობს გაშეშებულ სახესთან თითები გაუტკაცუნა. ქალმა თვალები დაახამხამა. ეს ბევრი არაფერი იყო, მაგრამ ამაზე მეტს არც ელოდა, იმის გათვალისწინებით, რომ ცოტა ხნის წინ კინაღამ მრავალტონიანი მანქანა დაეჯახა და არც კი შერხეულა.

---

[41] გრძელი და თბილი, სიცივისგან დამცავი ქურთუკი.

[42] გარტ ბრუსკი – ქანთრის სტილის მომღერალი.

[43] შანია ტვეინი (ფსევდ.) – აილინ რეგინა ედვარდსი, კანადელი მომღერალი ქალი (ქანთრი, პოპმუსიკა)

– ეი! – შესძახა მთელი ხმით, – ეი, გამოფხიზლდით! გამოფხიზ-ლდით!

კვლავ გაატკაცუნა თითები, მაგრამ თითქმის ვერაფერი იგრძნო – ასე როდისღა გაითოშა? ოჰ, რა ცუდ დღეში ვართ, – გაიფიქრა მან.

ქალმა დააბოყინა, რაც ქარის ხმაურშიც კი საოცრად ხმამაღლა გაისმა. ჰენრის ცხვირში ეცა მკვეთრი მომწარო სუნი, სამედიცინო სპირტის მსგავსი. უცნობი აწრიალდა, შეიჭმუხნა და გაზები ისეთი ხმაურით გამოუშვა, გეგონებოდათ, მანქანა დაქოქესო. იქნებ ეს ად-გილობრივების მისალმების წესია, – გაიფიქრა ჰენრიმ. ამ აზრმა ისევ ღიმილი მოჰგვარა.

– გაგიჟდება კაცი, – ჩასჩურჩულა პიტმა, – არა მგონია, ასეთი გამონაბოლქვის მერე შარვალი სუფთა ჰქონდეს. „პრესტოუნი"[44] ხომ არ დალიეთ, ქალბატონო? – შემდეგ ჰენრის მიუბრუნდა, – რა-ღაც დაულევია. თავს ვდებ, ანტიფრიზი იქნებოდა.

ჰენრიც ასე ფიქრობდა.

მოულოდნელად ქალს თვალებში სიცოცხლე ჩაუდგა და ჰენრის მზერას შეეჩეხა. კაცი შეძრწუნდა, იმხელა ტკივილი დაინახა მათში.

– სად არის რიკი? – იკითხა ქალმა, – რიკი უნდა ვიპოვო, მხო-ლოდ ის გადარჩა.

სახე უშნოდ დაეღრიჯა და ჰენრიმ დაინახა, რომ უცნობს კბილე-ბის ნახევარი აკლდა, რაც ჰქონდა, მორყეული ღობის სარებს მი-უგავდა. მან კვლავ დააბოყინა და ისეთი მძაფრი სუნი ამოუშვა, რომ ჰენრიმ თვალები დახუჭა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა პიტმა, – რა ემართება?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჰენრიმ და შეშფოთებულმა შეამჩნია, რომ ქალს თვალები კვლავ უმეტყველო გაუხდა. ეს მათ მდგომარეო-ბას ართულებდა. მარტო რომ ყოფილიყო, ქალს გვერდით მიუჯდე-ბოდა და მხარზე ხელს მოხვევდა, ეს უკანასკნელი, „ჰემინგუეის გა-მოსავალთან" შედარებით, პრობლემის გაცილებით საინტერესო და

[44] ანტიფრიზის მარკა.

ორიგინალური გადაწყვეტა იქნებოდა. მაგრამ პიტზეც უნდა ეზრუნა – პიტზე, რომელსაც ჯერ ალკოჰოლიზმისგან განკურნების პირველი ეტაპიც კი არ გაევლო, თუმცა, შესაძლოა, ყველაფერი წინ იყო.

გარდა ამისა, იგი ცნობისმოყვარეობას შეეპყრო.

4

პიტი თოვლში იჯდა, მუხლს ისრესდა და ჰენრის მისჩერებოდა. ელოდა, რას მოიმოქმედებდა – იგი ხომ ხშირად ასრულებდა მათი ოთხეულის ტვინის ფუნქციას. ლიდერი არ ჰყავდათ, მაგრამ ჰენრი ამ როლისთვის, სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, ყველაზე შესაფერისი იყო.

ამასობაში ქალს კვლავაც თოვლიანი სივრცისთვის გაეშტერებინა თვალი.

დაწყნარდი, – უბრძანა ჰენრიმ საკუთარ თავს, – ღრმად ისუნთქე და დაწყნარდი.

მან ღრმად შეისუნთქა და პაუზის შემდეგ ნელა ამოისუნთქა. ასე ჯობდა. ცოტათი ჯობდა. კარგი, რა უყონ ამ ქალს? მნიშვნელობა არა აქვს, საიდან გაჩნდა, აქ რას აკეთებს და რატომ ყარს ანტიფრიზის სუნად. ახლა რა ემართება?

ეს, ალბათ, შოკი იყო. იმდენად ძლიერი, რომ კატატონია[45] გამოიწვია. არც კი შემკრთალა, როდესაც სკაუტმა კინაღამ გადაუარა. თუმცა, არც იმდენად ღრმად წასულა საკუთარ თავში, რომ მხოლოდ ჰიპნოზს შეეძლოს მდგომარეობიდან მისი გამოყვანა. თითების ტკაცუნზე რეაქცია ჰქონდა. დაილაპარაკა კიდეც. ვიღაც რიკი ახსენა.

– ჰენრი...

– გაჩუმდი ერთი წუთით.

მან კვლავ გაიძრო ხელთათმანები, ხელები ქალის სახესთან მიიტანა და ტაში შემოჰკრა. თუმცა გაშმაგებული ქარის ღრიალში ეს

[45] ფსიქოპათოლოგიური სინდრომი, რომლის ძირითადი კლინიკური გამოვლენა მამოძრავებელი სისტემის დარღვევაა. შიზოფრენიის ერთ-ერთი სახე.

ხმა ძალიან სუსტად გაისმა, ქალმა თვალები მაინც დაახამხამა.

– ადექით!

ჰენრიმ ქალს ხელი წაავლო და გაუხარდა, როდესაც მისი თითეების კონვულსიური მოჭერა იგრძნო. წინ გადაიხარა და ეთერის სუნისგან სახე დაემანჭა. შეუძლებელია, ადამიანს ასეთი სუნი ასდიოდეს და კარგად იყოს.

– აბა, ადექით! ჩემთან ერთად! სამ დათვლაზე! ერთი, ორი და სამი!

ჰენრი წამოდგა და ქალიც წაიყოლა. ისიც ფეხზე დადგა, მთვრალივით ქანაობდა. მერე ისევ დააბოყინა და გაზებიც მიაყოლა. ქუდი ცალ თვალზე ჩამოეფხატა. ჰენრიმ დაინახა, რომ უმოძრაოდ იდგა და პიტს შესძახა:

– ქუდი გაუსწორე!

– რაო? – თქვა პიტმა და ისიც წამოდგა, თუმცა არცთუ ისე მყარად გრძნობდა თავს.

– არ მინდა, ხელი გავუშვა. ქუდი გაუსწორე, თვალი რომ გამოუჩნდეს.

პიტი უხალისოდ დაემორჩილა. ქალი ოდნავ მოიხარა, სახე დამანჭა და გააკუა.

– დიდად გმადლობთ, – მჟავე სახით ჩაიბურტყუნა პიტმა, – შესანიშნავი გადაცემა მოვისმინეთ, ღამე მშვიდობისა.

ჰენრიმ იგრძნო, რომ ქალი მოდუნდა, ამიტომ ხელები უფრო ღონივრად მოუჭირა.

– იარეთ! – შეღრიალა სახეში, – ჩემთან ერთად იარეთ. სამ დათვლაზე. ერთი, ორი და სამი!

ჰენრიმ იგი სკაუტის კაპოტისკენ წაიყვანა. ქალი ახლა მას მიაჩერდა და ჰენრიც ცდილობდა, მისთვის თვალებში ეცქირა. პიტს უბრძანა, ისე, რომ თავი მისკენ არ მიუბრუნებია (ქალის მზერის დაკარგვა არ სურდა):

– ქამარში ჩამეჭიდე და გამიძეხი.

– საით?

– სკაუტის გარშემო.

– დარწმუნებული არ ვარ, რომ შევძლებ...

– მოგიწევს, პიტ. გააკეთე, რასაც გეუბნები.

მხოლოდ ერთი წუთის შემდეგ იგრძნო ჰენრიმ პიტის ხელი თავისი ქურთუკის ქვეშ. იგი მას ქამარში ჩაეჭიდა და სამივენი კონგას[46] მოუხერხებელი მოცეკვავეებივით, ნელა გაუყვნენ გადარჩენილი ფარის ყვითელი შუქით განათებულ ვიწრო ზოლს. უზარმაზარი და უმწეო სკაუტის მეორე მხარეს ქარი შედარებით სუსტად ქროდა. ეს უკვე კარგი იყო.

მოულოდნელად ქალმა მკვეთრი მოძრაობით ხელები გამოსტაცა ჰენრის, დაიხარა და პირი ფართოდ გააღო. ჰენრიმ მარჯვედ დაიხია უკან, რათა ნარწყევი სახეში არ შესხმოდა, მაგრამ, ამის ნაცვლად, ქალმა საშინლად დააბოყინა და მაშინვე გაზებიც მიაყოლა. ასეთი გრუხუნი ჰენრის არასდროს სმენია, არადა, რა აღარ ენახა და მოესმინა დასავლეთ მასაჩუსეტსის საავადმყოფოს პალატებში. ქალი წონასწორობას ინარჩუნებდა და ქშენდა.

– ჰენრი! – შესძახა პიტმა შიშისგან თუ მოკრძალებისგან ჩახრინწული ხმით, – ღმერთო ჩემო, შეხედე!

განცვიფრებული მიაჩერდა ცას. ჰენრიმ დაინახა, რომ მეგობარს ლამის ყბა ჩამოუვარდა, ზევით აიხედა და გაშტერდა – დაბლა მცურავ ღრუბლებზე ნელა დასრიალებდა კაშკაშა, ცეცხლოვანი რგოლები. ჰენრიმ თვალები მოჭუტა და მათი დათვლა სცადა, თუმცა ვერაფრით მოახერხა. ცხრა თუ ათი? გაახსენდა ცას მიშვერილი პროჟექტორების შუქი ჰოლივუდური პრემიერების დროს, მაგრამ აქ ხომ პროჟექტორები არ იყო. რომც ყოფილიყო, თოვლიან ჰაერში აუცილებლად დაინახავდნენ სინათლის სვეტებს. სინათლის წყარო ან ღრუბლების თავზე უნდა ყოფილიყო, ან ღრუბლებში, ოღონდ არავითარ შემთხვევაში – ღრუბლებს ქვემოთ. ცეცხლოვანი რგოლები

[46] კუბური ცეკვა.

ქაოსურად დაქროდა წინ და უკან. უეცრად ჰენრი ატავისტურმა შიშმა შეიპყრო... იგი მის იდუმალ სიღრმეებში გაჩნდა და ზევით მოიწევდა. ზურგის ტვინი წამსვე ყინულის სვეტად ექცა.

– ეს რა არის? – თითქმის დაიყმუვლა პიტმა, – ღმერთო ჩემო, ეს რა არის, ჰენრი?

– არ...

ამ დროს ქალმა თავი ასწია, მოცეკვავე ცეცხლოვანი რგოლები დაინახა და ისე ხმამაღლა და გულშემზარავად აკივლდა, რომ ჰენრისაც იმავეს გაკეთება მოუნდა.

– დაბრუნდნენ! – ყვიროდა ქალი, – ისინი დაბრუნდნენ! დაბრუნდნენ!

შემდეგ თვალები დახუჭა და აყირავებული სკაუტის წინა საბურავს თავით მიეყრდნო. აღარ ყვიროდა, მხოლოდ ჩუმად კვნესოდა ხაფანგში გაბმული მხეცივით, რომელსაც თავის დახსნის იმედი გადასწურვია.

5

გარკვეული დროის განმავლობაში (შესაძლოა, არა უმეტეს ხუთი წუთისა, თუმცა მათთვის ეს დრო უსაშველოდ გაიწელა) ისინი ცაში ცეცხლის თამაშს აკვირდებოდნენ. ფერადი რგოლები დახტოდა, ქანაობდა, ციმციმებდა, ერთიმეორეზე გადადიოდა, თითქოს ართურმას[47] თამაშობდა. რაღაც მომენტში ჰენრიმ აღმოაჩინა, რომ მათი რაოდენობა ხუთამდე შემცირდა, შემდეგ ორიც გაქრა. ბორბალზე კვლავინდებურად თავმიდებულმა ქალმა ისევ გააკუა. ჰენრიმ გააცნობიერა, რომ თოვლის უდაბნოში იდგნენ და რაღაც ციურ, სავარაუდოდ, თოვის შედეგად წარმოქმნილ ოპტიკურ მოვლენას შესცქეროდნენ. ეს საინტერესო იყო, მაგრამ სულაც არ უწყობდა ხელს უსაფრთხო ადგილას სწრაფად დაბრუნებაში. ჰენრის შესანიშნავად

[47] ერთგვარი საყმაწვილო თამაში, როცა ერთი ახალგაზრდა წელში მოხრილ ამხანაგს უნდა გადაახტეს.

ახსოვდა ოდომეტრის ბოლო ჩვენება: 12,7. „კედელში გაკეთებულ ხვრელამდე" თითქმის ათი მილი რჩებოდა, რაც ხელსაყრელ ვითარებაშიც არ იყო მცირე მანძილი, აქ კი ქარიშხალი საცაა, ქარბუქში გადაიზრდებოდა. თანაც, – გაიფიქრა მან, – ფეხით სიარული მხოლოდ მე შემიძლია.

– პიტ!

– ეს ის არის, არა? – შესძახა პიტმა, – დედანატირები ამო, როგორც „საიდუმლო მასალებში"[48] როგორ გგონია...

– პიტ! – ჰენრიმ მეგობარს ხელი ნიკაპზე წაავლო და სახით თავისკენ მოატრიალა. ცაში ორი უკანასკნელი ცეცხლოვანი რგოლიც ქრებოდა, – ეს რაღაც ელექტრული მოვლენაა, სხვა არაფერი.

– ასე ფიქრობ? – პიტს სახეზე იმედგაცრუება გამოეხატა.

– ჰო, ეს ქარიშხალს უკავშირდება. მაგრამ თუნდაც პლანეტა ალნიტაკიდან[49] მოფრენილი უცხოპლანეტელი პეპლების პირველი ტალღა იყოს, ჩვენთვის ამას მნიშვნელობა არ ექნება, თუ ესკიმოებად ვიქცევით. შენ მე მჭირდები. შენი საუკეთესო ტრიუკი გაიხსენე. შეძლებ?

– არ ვიცი, – თქვა პიტმა და ცას ერთხელაც ახედა. იქ მხოლოდ ერთი რგოლიღა რჩებოდა და ისიც ბუნდოვნად მოჩანდა, – მემ? მემ, ისინი თითქოს გაქრნენ. ახლა კი დნობის დრო მოვიდა. რას იტყვით?

ქალმა არაფერი უპასუხა, კვლავაც საბურავს ეკვროდა. პიტმა ამოიოხრა და ჰენრის მიუბრუნდა.

– რა გჭირდება?

– მეტყევეთა ქოხები თუ იცი გზის გასწვრივ? – ჰენრის აზრით, ასეთი ცხრა თუ ათი იყო – მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ბოძი და დაჟანგული თუნუქის სახურავი. ქაღალდის ფაბრიკის მუშები გაზაფ-

---

[48] ამერიკული ტელესერიალი პარანორმალურ მოვლენებზე (1993-2002). რეჟ. კრის კარტერი.

[49] ვარსკვლავი ორიონის თანავარსკვლავედში.

ხულის დადგომამდე იქ მორებსა და სხვადასხვა მასალას ინახავ-დნენ.

– რა თქმა უნდა, ვიცი, – მიუგო პიტმა.

– თუ შეგიძლია მითხრა, რომელია ყველაზე ახლოს?

პიტმა თვალები დახუჭა და თითი აქეთ-იქით გაიქნია, თან ენას აწკლაპუნებდა. სკოლიდან მოყოლებული ეს ჩვევა, ხანდაზმულობით, ბივერის მიერ ფანქრებისა და კბილსაჩიჩქნების ღეჭვას ან დეტექტივებისა და საშინელებათა ფილმების მიმართ სიყვარულს ვერ შეედრებოდა, მაგრამ მაინც მისი იყო. პიტი არასდროს ცდებოდა. ჰენრი იმედოვნებდა, რომ ამჯერადაც ასე იქნებოდა.

ქალმა, შესაძლოა, ყური მოჰკრა ჩუმ წიკწიკს, თავი ასწია და მიიხედ-მოიხედა. საბურავისგან შუბლი გაშავებოდა.

როგორც იქნა, პიტმა თვალი გაახილა.

– აქვეა, – განაცხადა მან და თითი „კედელში გაკეთებული ხვრელის" მიმართულებით გაიშვირა, – პირველივე მოსახვევში პატარა გორაკია. იქიდან პირდაპირ თუ ივლი, მალე მიხვალ. სახურავის ნაწილი ჩაქცეულია. ვიღაც სტივენსონს იქ სისხლი სდიოდა.

– მართლა?

– ჰო, მაგრამ მეტი არაფერი ვიცი, – შეცბუნდა პიტი.

ჰენრის ბუნდოვნად გაახსენდა უბადრუკი თავშესაფარი... ჩაქცეული სახურავი აწყობდათ კიდეც – თუ მიწამდე იყო, მიეყრდნობოდნენ მაინც.

– რა მანძილი იქნება?

– ნახევარი მილი. დიდი-დიდი, მილის სამი მეოთხედი.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო.

– მაგ მუხლით იქამდე მიაღწევ?

– მგონი, კი, მაგრამ ამ ქალს რა ეშველება?

– თუ არ ვცდები, გონზე მოდის, – თავი დაუქნია ჰენრიმ, ფართოდ

თვალგახელილ ქალს მხრებზე ხელები დააწყო და ისე შემოატრიალა, რომ ერთმანეთს ლამის ცხვირებით შეეხნენ. უცნობს პირი საშინლად უყარდა – ანტიფრიზისა და რაღაც ორგანულის, ზეთოვანის ნარევის სუნი ამოსდიოდა... მაგრამ უკან დახევა არც უცდია.

– უნდა წავიდეთ, – უთხრა პიტმა ქალს ხმამაღლა, მბრძანებლური კილოთი, თუმცა ყვირილის გარეშე, – სამ დათვლაზე დავიძრებით. ერთი, ორი და სამი!

მან ქალს ხელი შეაშველა, სკაუტს შემოუარა და გზაზე გავიდა. წამიერი შეწინააღმდეგების შემდეგ ქალი მორჩილად გაჰყვა – ქარსა და სიცივეს თითქოს ვერც კი გრძნობდა. ასე გაგრძელდა ხუთიოდე წუთს, შემდეგ პიტი ისევ წაბორძიკდა.

– მოიცა, – თქვა მან, – მუხლი საშინლად სტკიოდა.

დაიხარა და მუხლი დაიზილა. ჰენრიმ ცა შეათვალიერა. არაფერი ჩანდა.

– უკეთ ხარ? შეძლებ სიარულს?

– შევძლებ, – მიუგო პიტმა, – მიდი, დავიძრათ.

6

შუა გზაში პიტი კვნესით დაეცა, ფეხზე ხელი წაივლო და გინებას მოჰყვა. მან ჰენრის მზერა დაიჭირა და სიცილისა თუ ბურტყუნის მსგავსი, უცნაური ბგერები გამოსცა.

– ნუ ღელავ. პიტი-ჩიტი მიაღწევს.

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო, – თქვა პიტმა და შეშფოთებულ ჰენრის თვალწინ (უცნაურია, მაგრამ ამ შეშფოთებას პირქუში მხიარულებაც ერთოდა, რაც ბოლო დროს მუდამ თან სდევდა) საცოდავ მუხლს მუშტები დაუშინა.

– პიტ...

– თავი დამანებე, დამპალო, თავი დამანებე! – ყვიროდა პიტი და მეგობარს ყურადღებას არ აქცევდა. მთელი იმ დროის განმავლობაში მხრებში მოხრილ ქალს თითქოს სულ არ ადარდებდა, რომ ქარი

ზურგში უბერავდა და ნარინჯისფერ ლენტებს თვალებში სჩრიდა. გამორთულ დაზგასავით იდგა.

– პიტ!

– კარგად ვარ, – ხელი აუქნია პიტმა და ჰენრის დაღლილი მზერა მიაპყრო, მაგრამ თვალებში მხიარულების ნაპერწკლები უელავდა, – მაგრად დაგვერხა, არა?

– მაგრად.

– დერისი რა მოგახსენო, მაგრამ იმ ნანგრევებამდე კი მივაღწევ, – მან ჰენრის ხელი გაუწვდინა, – წამოდგომაში მომეხმარე, ბელადო.

ჰენრიმ მეგობარს ხელი ჩასჭიდა და წამოაყენა. პიტი მოუხერხებლად, შებოჭილად იდგა, თითქოს ფეხები დაჰბუჟებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ თავი დააქნია:

– წავიდეთ. ამ ქარს მაინც დავაღწიოთ თავი. დალახვროს ეშმაკმა, ერთი-ორი ბოთლი ღვინო არ გვაწყენდა.

ისინი გორაკის თავზე აბობღდნენ. მეორე მხარეს ქარი ისე აღარ უბერავდა. როცა დაეშვნენ, ჰენრის იმედი გაუჩნდა, რომ მოგზაურობის ეს ნაწილი მაინც ჩაივლიდა მშვიდობიანად, მაგრამ თავშესაფრის ჩაბნელებული ჩონჩხისკენ მიმავალ გზაზე ქალი ჯერ მუხლებზე დაეცა, მერე მთელი ტანით განერთხა მიწას. გაუნძრევლად იწვა, თავი ოდნავ გვერდზე მიებრუნებინა და მისი პირიდან ამოსული ორთქლიღა მიანიშნებდა, რომ ჯერაც ცოცხალი იყო (ოჰ, ყველაფერი ხომ გაცილებით მარტივად იქნებოდა, რამდენიმე საათით ადრე რომ მოეყინა, – გაიფიქრა ჰენრიმ). ცოტა რომ დაისვენა, ქალი გვერდზე გადაბრუნდა და დააბოყინა.

– აუჰ, რა გაგვიტრაკა ამ ბოყინით! – თქვა პიტმა უბოროტოდ, დაღლილი ხმით და ჰენრის შეხედა, – ახლა რა ვქნათ?

ჰენრიმ ჩაიმუხლა, ქალს ხმამაღლა დაუყვირა, ცხვირწინ თითები გაუტკაცუნა, ტაშიც შემოჰკრა, სამამდეც დათვალა, მაგრამ არაფერმა გაჭრა.

– შენ მასთან დარჩი. მე კი იქნებ, ციგის მსგავსი ვიპოვო.

– წარმატებას გისურვებ.

– უკეთესი აზრი ხომ არ გაქვს?

პიტი შეიჭმუხნა, თოვლზე დაჯდა და ნატკენი ფეხი გაშალა.

– არა, სერ, – თქვა მან, – აზრებისგან სრულიად დაცლილი ვარ.

7

ჰენრიმ ქოხს ექვსიოდე წუთში მიაღწია. დაჭრილი თეძო დაუბუჟდა, მაგრამ ცდილობდა, ამისთვის ყურადღება არ მიექცია. თუ პიტსა და ქალს როგორმე აქამდე მოიყვანდა და „კედელში გაკეთებულ ხვრელში" უქმად მდგომი Arctic Cat-იც[50] დაიქოქებოდა, ყველაფერი, შესაძლოა, კარგად დასრულებულიყო. ისე, დალახვროს ეშმაკმა, საინტერესო რამ კი იყო ეს ცეცხლოვანი რგოლები ცაში...

დაღარული თუნუქის სახურავი მოხერხებულად ჩაქცეულიყო. გზის მხარეს გახსნილი იყო, უკანა მხარეს კი კედელს ქმნიდა. ნამქერიდან ნახერხითა და ნაფოტებით დაფარულ, ჭუჭყიანი ნაცრისფერი ბრეზენტის ნაჭერს ამოეყო თავი.

– არის! – შესძახა ჰენრიმ და ხელი მოყინულ ბრეზენტს სტაცა. თავდაპირველად, ბრეზენტი გაუძალიანდა, მაგრამ ბოლოს, ხმაურით დანებდა და ქალის მიერ გამოცემული ხმა გაახსენა. ჰენრიმ თავისი ნადავლი იქით წაათრია, საითაც პიტი და უცნობი ეგულებოდა.

პიტი კვლავ თოვლში იჯდა, გრძნობადაკარგული ქალის გვერდით, და ფეხი წინ არაბუნებრივად გაეშვირა.

8

ყველაფერი იმაზე მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე ჰენრი ფიქრობდა. ყველაზე მეტად ბრეზენტზე ქალის მოთავსება გაუჭირდა, შემდეგ კი საქმე რიხინ-რიხინით წავიდა წინ. მიუხედავად მისი წონისა, თით-

[50] თოვლმავალი მანქანა.

ქოს, ციგით მიასრიალებდა. ჰენრის უხაროდა, რომ ასე ყინავდა. ხუთი გრადუსით მეტი რომ ყოფილიყო, სველი თოვლი ქსოვილს მიეკრობოდა. სავალიც ცოტა დარჩა.

თოვლი უკვე კოჭებამდე სწვდებოდა. თოვამ იკლო, მაგრამ ფანტელები გადიდდა. ბავშვობაში ასეთ დროს მოიწყენდა ხოლმე: „მთავრდება", – ეუბნებოდნენ ერთმანეთს და ცხვირჩამოშვებულები ოხრავდნენ.

– ეი, ჰენრი! – გასძახა პიტმა. სუნთქვა უჭირდა, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, რადგან ქოხამდე აღარაფერი რჩებოდა. ცდილობდა, ფეხს მოფრთხილებოდა, მუხლში თითქმის არ ხრიდა და ისე მიჩაქჩაქებდა.

– რა მოხდა?

– ბოლო დროს დადიტსი მახსენდება ხოლმე... განა უცნაური არ არის?

– არ არის მოძრაობა... – დაუფიქრებლად თქვა ჰენრიმ.

– ეგრეა, – ნერვიულად აიტაცა პიტმა, – თუ არ იმოძრავე, ვერ ითამაშებ. არ გეჩვენება, რომ უცნაურია?

– თუ ასეა, ორივეს რაღაც დაგვმართია, – მიუგო ჰენრიმ.

– რას გულისხმობ?

– დადიტსზე მეც ხშირად ვფიქრობ. გასული მარტიდან მოყოლებული. მე და ჯოუნსი მის მონახულებას ვაპირებდით...

– მართლა?

– ჰო. მაგრამ ჯოუნსის მანქანა დაეჯახა.

– უჭკუო ბებერი სულელი! როგორ დართეს საჭესთან დაჯდომის უფლება! – იფეთქა პიტმა, – ჯოუნსი სიკვდილს ძლივს გადაურჩა!

– სასწაულებრივად, – დაეთანხმა ჰენრი, – „სასწრაფოში" გული გაუჩერდა, მაგრამ გადაარჩინეს.

პიტს პირი ღია დარჩა.

– რას ამბობ? მართლა ასე ცუდად იყო?

ჰენრი მიხვდა, რომ ზედმეტი წამოსცდა.

– ჰო, მაგრამ ენას კბილი დააჭირე. როგორც კარლამ მითხრა, ჯოუნსიმ, მგონი, არ იცის. მე კი... – მან გაურკვევლად გაიქნია ხელი, მაგრამ პიტმა თავი გაგებით დაუქნია. მე კი ვერაფერი ვიგრძენი, – უნდოდა ეთქვა ჰენრის.

– ნუ ღელავ, სამარე ვარ, – დაარწმუნა პიტმა.

– ჰო, შეეცადე.

– მაშასადამე, დადსი ვერ ინახულეთ.

– ვერ მოვახერხეთ, – თქვა ჰენრიმ, – ჯოუნსიზე ვღელავდი და სულ გადამავიწყდა. მერე ზაფხული დადგა. ხომ იცი, როგორ მიეწ-ყობა ხოლმე ერთმანეთს...

პიტმა თანაგრძნობით ამოიოხრა.

– თუ დამიჯერებ, სულ ახლახან ვფიქრობდი მასზე. გოსლინთან ყოფნისას.

– იმ ფერადპერანგიან ბავშვზე? – ჰკითხა პიტმა. ლაპარაკისას პირიდან ორთქლი გამოსდიოდა.

ჰენრიმ თავი დაუქნია. „ბავშვი" ოცი-ოცდახუთი წლის იქნებოდა. დაუნის სინდრომის შემთხვევაში ასაკი ძნელი გამოსაცნობია. მაღა-ზიის ცენტრალურ გასასვლელში ჟღალთმიანი პატარა ერთ კაცს, ალბათ მამას მისდევდა კუდში: მასაც ისეთივე, შავი და მწვანე უჯ-რედებით გაწყობილი მონადირის ქურთუკი ეცვა და, რაც მთავარია, ისეთივე სტაფილოსფერი. ოღონდ ალაგ-ალაგ შეთხელებული თმა ჰქონდა. მკაცრად იყურებოდა, თითქოს ყველას აფრთხილებდა, – გაგიბედავთ და რამე წამოგცდენიათ ჩემს ბიჭზე, ყოფას გიტირებ-თო!

ცხადია, არავის არაფერი უთქვამს. ბოლოს და ბოლოს, „კედელში გაკეთებული ხვრელიდან" თორმეტი მილი ლუდის, პურისა და სხვა საკვების შესაძენად გაევლოთ და არა უსიამოვნებებისთვის. გარდა ამისა, ოდესღაც დადიტსს იცნობდნენ... რატომ ოდესღაც? ახლაც იცნობდნენ. საშობაოდ – საჩუქრებს, დაბადების დღეზე კი ღია მისა-ლოც ბარათებს უგზავნიდნენ. დადიტსი ერთ-ერთი მათგანი იყო,

ოღონდ ძალზე თავისებური. ჰენრი ვერ უმხელდა პიტს, რომ დადსი სრულიად შეუფერებელ დროს ახსენდებოდა ხოლმე. შეუფერებელ დროს? ჰო, იმ თექვსმეტი თვის განმავლობაში, რაც თავის მოკვლა უნდოდა და ყველაფერს, რასაც აკეთებდა და ამბობდა, იმ გარდაუვალი წუთის გადასადებად ან მოსამზადებლად აკეთებდა. ზოგჯერ იგი ძილში ბივსაც კი ხედავდა, რომელიც ამტკიცებდა:

„მოდი, ამას მე მოვაგვარებ, ბებერო".

დადიტსი კი ცნობისმოყვარეობით იმეორებდა: „რას აგვარებ?"

– პიტ, სულაც არ არის უცნაური, რომ დადიტსს ვიხსენებთ, – თქვა მან, იმპროვიზებული ციგა ქოხში შეიტანა და სული მოითქვა, – ჩვენ სწორება დადიტსზე გვქონდა. დადიტსი ყველაზე ნათელი წერტილი იყო ჩვენს ცხოვრებაში.

– ასე გგონია?

– ჰო, – ჰენრი ნაჩქარევად მიწვა თოვლზე, რათა დაესვენა, სანამ გეგმის მომდევნო პუნქტზე გადავიდოდა. მან საათს დახედა. თითქმის შუადღე იდგა. წესით, ჯოუნსი და ბივერი უკვე უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ მხოლოდ ქარბუქის გამო არ შეყოვნდებოდნენ ასე და რაღაც უჭირდათ. თუ მიხვდებოდნენ და თოვლმავალს დაქოქავდნენ (თუ დაიქოქა, – შეახსენა ჰენრიმ საკუთარ თავს, – თუ ის წყეული დაიქოქა) და მათ საძებრად წამოვიდოდნენ, ეს მდგომარეობას საგრძნობლად შეამსუბუქებდა.

მან ბრეზენტზე დაწოლილ ქალს გადახედა. ცალ თვალს გაწეწილი თმა უფარავდა, მეორით კი სრულიად გულგრილად შესცქეროდა ჰენრის, თუმცა, ალბათ, მას ვერც კი ხედავდა.

ჰენრის მტკიცედ სწამდა, რომ, ადრე თუ გვიან, ყველა ბავშვისთვის დგება დრო, როცა მან თავი უნდა დაიცვას და საკუთარი თავის იმედად მყოფი ბევრად გაბედულია. ძალიან ხშირად, სხვების იმედად ყოფნა, გაუმართლებელი სისასტიკის სახეს იღებს. ჰენრი და მისი მეგობრები, რაღაც უცნობი მიზეზის გამო, წესიერად იქცეოდნენ.

მართალია, საბოლოოდ ამას, ისევე როგორც ყველაფერს, მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ არც იმის გახსენება იყო ურიგო, განსაკუთრებით შავბნელი ფიქრების შემოტევისას, რომ ოდესღაც მოსალოდნელი შეტევების ეშინოდა და გამგონე ბიჭად მიიჩნევდნენ.

მან პიტს გეგმა გააცნო, აუხსნა, რა ევალებოდა მას და მძიმედ წამოდგა. უნდა როგორმე დაღამებამდე „ხვრელამდე" მიეღწიათ. სუფთა, უხიფათო, თბილ ადგილამდე...

– კარგი, – უხალისოდ დაეთანხმა პიტი, – იმედი ვიქონიოთ, რომ იქამდე სული არ გასძვრება. და არც ის ცეცხლოვანი რგოლები დაბრუნდება, – მან კისერი წაიგრძელა და ცას ახედა, მაგრამ მუქი, საავდრო ღრუბლების გარდა, ვერაფერი დაინახა, – როგორ ფიქრობ, რა იყო ეს? რაღაც ელვის მსგავსი.

– ეი, შენ ნამდვილი ექსპერტი გახდი კოსმოსურ საკითხებში, – გაეცინა ჰენრის, – აჯობებს, ნაფოტები შეაგროვო. ამისთვის ადგომაც კი არ მოგიწევს.

– ცეცხლის დასანთებად?

– მიხვდი, არა? – ჰენრიმ მას თავი დაუქნია, ქალს გადააბიჯა და ტყის პირისკენ გაემართა, სადაც უფრო მსხვილი მორები ეყარა. წინ დაახლოებით ცხრა მილი ედოთ. მაგრამ ჯერ ცეცხლი უნდა დაენთოთ და გამთბარიყვნენ.

თავი მეოთხე
მაკარტი ტუალეტში მიდის

1

ჯოუნსი და ბივერი სამზარეულოში ისხდნენ და ქრიბიჯს[51] თამაშობდნენ, რომელსაც, უბრალოდ, თამაშს ეძახდნენ, ბივერის მამის, ლამარის პატივსაცემად. ისიც ასე უწოდებდა, თითქოს ამქვეყნად სხვა თამაში არ არსებობდა. ლამარ კლარენდონისთვის, რომლის ცხოვრებაც ცენტრალურ მენში მის სამშენებლო კომპანიას უკავშირდებოდა, ქრიბიჯი, შესაძლოა, მართლაც იყო ერთდაერთი თამაში – ერთ-ერთი საშუალება საღამოების გასატარებლად მათთვის, ვინც მთელ თავის დროს ტყისმჭრელების ბანაკებში, რკინიგზის ვაგონებსა და სამშენებლო ტრაილერებში ატარებდა. დაფა ას ოცი ნახვრეტით, ოთხი პალოთი და ძველი, გაქონილი ბანქოს დასტა. თუ ეს ყოველივე გქონდათ, საქმეში იყავით.

ქრიბიჯს უფრო ხშირად დროის მოსაკლავად თამაშობდნენ: სანამ

[51] ბანქოს სახეობა.

წვიმა გადაიღებდა, შეკვეთილი ტვირთი მოვიდოდა, ან მაღაზიაში შეყოვნებული მეგობრები დაბრუნდებოდნენ და უკარნახებდნენ, როგორ მოქცეოდნენ უცნაურ ტიპს, რომელიც საძინებელი ოთახის კარის მიღმა იწვა.

ყველაზე მეტად ჰენრი გვჭირდება, – ფიქრობდა ჯოუნსი, – პიტი კი მისი ერთგვარი დამატებაა. მხოლოდ ჰენრიმ იცის, როგორ მოვიქცეთ. ბივერი მართალია – მთავარი ჰენრია.

მაგრამ პიტი და ჰენრი არ ჩანდნენ. განგაშის ატეხა ჯერ არ ღირდა. იქნებ თოვამ შეაყოვნა. თუმცა, გულის სიღრმეში, ჯოუნსი მაინც შფოთავდა. ბივერიც წრიალებდა. ჯერჯერობით არ ამჟღავნებდნენ – საღამომდე დიდი დრო იყო, თუმცა დაძაბულობა უკვე ჰაერში იგრძნობოდა.

ჯოუნსიმ სცადა, მხოლოდ თამაშზე ეფიქრა, მაგრამ ცალი თვალი საძინებლისკენ ეჭირა მაინც. მაკარტის, ალბათ, უკვე ეძინა, მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, არ მოსწონდა იმ კაცის სახე!

ჯოუნსიმ შენიშნა, რომ ბივიც ხშირ-ხშირად იყურებოდა იქით. მან ძველი დასტა აჩეხა, ორი კარტი დაიდო და ოთხი გადადო, ბივმა კი წკიპურტით მიუჩოჩა კიდევ ორი. ბივერმა მოხსნა და თამაში დაიწყო – საქმეში პალოები[52] ჩაერთო. „შესაძლოა, ბევრჯერ აღნიშნო სვლა და მაინც წააგო, – ჩასჩიჩინებდა ლამარი, რომელსაც პირში მუდამ სიგარეტ „ჩესტერფილდის“ ღერი ედო და „კლარენდონ ქონსთრაქშნის“ ლოგოტიპიანი კეპი მარცხენა თვალზე ჩამოეფხატა, იმ კაცის მსგავსად, საიდუმლო რომ იცის და მხოლოდ შესაფერისი თანხის საფასურად აპირებს მის გამხელას. ლამარ კლარენდონი, წესიერი, მშრომელი მამა, ორმოცდარვა წლის ასაკში ინფარქტით გარდაიცვლილი, – სამაგიეროდ, თუ სვლას აღნიშნავ, ვერასდროს გაგაცურებენ“.

არ არის მოძრაობა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – არ არის თამაში. და მაშინვე ის დაწყევლილი ათრთოლებული ხმა ჩაესმა საავადმყოფოს

[52] მათი საშუალებით ქრიბიჯში სვლას აღნიშნავენ.

კოშმარებიდან: „შეწყვიტეთ, გთხოვთ... ამას ვერ გავუძლებ... ნემსი გამიკეთეთ... სად არის მარსი"... ღმერთო ჩემო, რატომაა ეს სამყარო ასეთი სასტიკი? რატომ შესცქერიან შენს თითებს დამშეული თვალებით და მზად არიან, ყველა ძვალი გადაგიმტვრიონ?

– ჯოუნსი!

– რა?

– კარგად ხარ?

– ჰო, რა მოხდა?

– კანკალებ.

– მართლა? – ეს არ უნდა ეკითხა, რადგან თვითონაც მშვენივრად იცოდა.

– სერიოზულად გეუბნები.

– ალბათ ორპირი ქარის ბრალია. რაიმე სუნს ხომ არ გრძნობ?

– მისგან?

– აბა, მეგ რაიანის[53] იღლიებიდან ხომ არა? ცხადია, მისგან.

– არა, – თქვა ბივერმა, – ერთი-ორჯერ კი მომეჩვენა... იქნებ წარმოსახვის ბრალია. როცა ვიღაც გამუდმებით გაზებს გამოჰყოფს, ხომ იცი...

– საშინელი სუნი დგას.

– ჰო. ეგრეა. თან ეს ბოყინიც. მეგონა, საცაა, მთელი შიგნეულობა ამოუტრიალდებოდა. არ გატყუებ.

ჯოუნსიმ თავი დაუქნია. მეშინია. ვზივარ ამ ქარბუქში, შიშისგან ლამის ჩავისვარო და ჰენრის მოსვლას ველოდები, მეტს არაფერს, – გაიფიქრა მან.

– ჯოუნსი!

– ახლა რაღა გინდა? ამ პარტიას ოდესმე დავამთავრებთ თუ არა?

– ცხადია, მაგრამ... როგორ ფიქრობ, ჰენრი და პიტი კარგად არიან?

---

[53] ამერიკელი მსახიობი.

– საიდან უნდა ვიცოდე, დალახვროს ეშმაკმა?

– იქნებ რაიმე... წინათგრძნობა გაქვს? იქნებ ხედავ...

– შენი სახის გარდა ვერაფერს ვხედავ.

ბივმა ამოიოხრა.

– და მაინც, შენი აზრით, არაფერი უჭირთ?

– ვფიქრობ, არაფერი, – ჯოუნსიმ მალულად დახედა საათს, თორმეტის ნახევარი იყო. შემდეგ დახურულ კარს მიაპყრო მზერა, რომლის მიღმაც მაკარტი იმყოფებოდა. შუა ოთახში, ცეკვავდა და ტრიალებდა სიზმართმჭერი ავგაროზი, რომელსაც ყველა მხრიდან უბერავდა ქარი, – ხომ ხედავ, როგორ თოვს. ალბათ ნელა მოდიან. საცაა გამოჩნდებიან. მიდი, ითამაშე.

– კარგი. რვა.

– თხუთმეტი ორისთვის.

– უჰ, შენი! – ბივერმა პირში კბილსაჩიჩქნი ჩაიდო, – ოცდახუთი.

– ოცდაათი.

– მიდი.

– ერთი ორისთვის.

– რა ჯანდაბაა! – უხალისოდ ჩაეცინა ბივერს, რომელიც მიხვდა, რომ აგებდა, – როცა არიგებ, ამ წყეულ პალოებს არ მირჭობ უკანალში, თორემ, სხვას არაფერს მაკლებ.

– რატომ? შენი დარიგების დროსაც იგივე ხდება. მიდი, ითამაშე.

– ცხრა.

– თექვსმეტი.

– და ერთიც, ბოლო კარტისთვის, – ისეთი სახით განაცხადა ბივმა, თითქოს მორალური გამარჯვება მოეპოვებინოს. წამოდგა, – გარეთ გავალ, დავიცლები.

– ეგ რად გინდა? თუ არ გახსოვს, შეგახსენებ, რომ სავსებით ნორმალური ტუალეტი გვაქვს.

– ვიცი. უბრალოდ იმის შემოწმება მინდა, თოვლში ჩემი სახელის დაწერა ხომ არ დამვიწყებია.

– ოდესმე თუ გამოხვალ ბავშვობის ასაკიდან? – გაეცინა ჯოუნსის.

– არასოდეს, თუ ეს ჩემი ნება იქნება. და ნუ ხმაურობ, თორემ იმ ტიპს გააღვიძებ.

ჯოუნსიმ კარტი მოხიკა, დაბნეულად აჩეხა და კარისკენ მიმავალ ბივერს თვალი გააყოლა. რატომღაც ბავშვობისდროინდელი თამაში გაახსენდა.

მაშინ ამას დადიტსის თამაშს უწოდებდნენ, ქეველების სასტუმრო ოთახში საათობით ისხდნენ და ჩვეულებრივ ქრიბიჯს უბერავდნენ, ოღონდ სვლების აღნიშვნა დადიტსს ევალებოდა. „მე ათი მაქვს. – ამბობდა ჰენრი, – დადიტს, პალო ათიანზე დასვი“. გაბადრულ დადიტსს არასდროს ავიწყდებოდა ჯოუნსის გაბედნიერება და პალოს ექვსიანზე, ათიანზე ან ას ოციდან ნებისმიერ რიცხვზე ათავსებდა. დადიტსის თამაშის წესების მიხედვით, არავის ჰქონდა უფლება, დაეჩივლა და ეთქვა: „დადიტს, ეს ძალზე ბევრია, დადიტს, ეს საკმარისი არაა“. ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორ ხალისობდნენ! ზოგჯერ ოთახში მისტერ და მისის ქეველები შემოიხედავდნენ ხოლმე და ისინიც იცინოდნენ. ჯოუნსის ის შემთხვევა გაახსენდა, მაშინ თხუთმეტი-თექვსმეტი წლისანი იქნებოდნენ – ოღონდ, დადიტს ქეველი მეტად აღარ გაზრდილა და სწორედ ეს იყო ყველაზე შესანიშნავი და ყველაზე შემაშინებელი მასში, – როდესაც ელფი ქეველს უეცრად ტირილი აუვარდა და თქვა: „ბიჭებო, რომ იცოდეთ, რას ნიშნავს ეს ჩემთვის და ჩემი ცოლისთვის, რომ იცოდეთ, რას ნიშნავს ეს დუგლასისთვის...“

– ჯოუნსი...

მის ფიქრებში ბივერის ყრუ და უცნაურად მქრქალი, თითქოს ინტონაციადაკარგული ხმა შემოიჭრა. მასთან ერთად ცივი ჰაერის ნაკადიც შემოვარდა. ჯოუნსი მოიკუნტა.

– კარი მიკეტე, ბივ, ყინვაგამძლე ხომ არ ხარ?

– აქ მოდი. ეს უნდა ნახო.

ჯოუნსი წამოდგა, კართან მივიდა და ის იყო, ბივი უნდა გაეკიცხა, რომ ყველაფერი გადაავიწყდა. ეზო სავსე იყო ცხოველებით, პატარა ზოოპარკს რომ თავისუფლად ეყოფოდა. ძირითადად, ირმები იყვნენ, ოცზე მეტი ფურირემი და რამდენიმე ხარირემი. ენოტებიც დასუნსულებდნენ, ვირზაზუნები ამაყად დაიარებოდნენ, ციყვები უხმაუროდ დაცუნცულებდნენ, თითქოს თოვლსაც არ ეხებოდნენ. ფარდულის მხრიდან, სადაც ყველგანმავალი, ხელსაწყოები და სათადარიგო ნაწილები ინახებოდა, სამი უზარმაზარი ძაღლი გამოჩნდა, ჯოუნსის თავდაპირველად მგლები ეგონა. შემდეგ, ერთ-ერთს კისერზე თოკის ნაგლეჯი შეამჩნია და მიხვდა, რომ ისინი გაველურებული ძაღლები უნდა ყოფილიყვნენ.

ხეობას მაღლა მიუყვებოდნენ, აშკარად აღმოსავლეთისკენ ეჭირათ გეზი. ჯოუნსიმ დიდი ზომის ორი გარეული კატაც შეამჩნია, ირმების გვერდით მიაბიჯებდნენ. თვალებიც კი მოიფშვნიტა, ხომ არ მეჩვენებაო, მაგრამ კატები არ გაქრნენ, არც – ირმები, ენოტები, ციყვები და ვირზაზუნები. ყველანი აუჩქარებლად და პანიკის გარეშე მოძრაობდნენ. ხანძრის დროს ასე არ ხდება ხოლმე. თუმცა, კვამლის სუნი არც იგრძნობოდა. ისინი კი არ გარბოდნენ, არამედ სხვა ადგილას, აქედან რაც შეიძლება შორს, გადადიოდნენ საცხოვრებლად.

– ღმერთო ჩემო, ბივ! – ხმადაბლა ჩაილაპარაკა განცვიფრებულმა ჯოუნსიმ.

ბივმა, რომელიც ზევით იყურებოდა, წამით თვალები დახარა, ცხოველებს გადახედა და მზერა ისევ ცას მიაპყრო.

– ზევით აიხედე.

ჯოუნსიმ მის მაგალითს მიჰბაძა და თორმეტი კაშკაშა ნათება გაარჩია – წითელი და მოთეთრო-მოლურჯო. ისინი ტრიალებდნენ, ცეკვავდნენ, ღრუბლებს ანათებდნენ, წინ და უკან დაქროდნენ, მარჯვედ მანევრირებდნენ, წამით ერთმანეთს ერწყმოდნენ და ისეთ და-

მაბრმავებელ სინათლეს ასხივებდნენ, რომ ჯოუნსიმ თვალები მოიჩრდილა. უეცრად მიხვდა, თუ რას გრძნობდა მაკარტი, ტყეში ხეტიალისას.

– ეს რა არის? – იკითხა მან.

– არ ვიცი, – თავმიუბრუნებლად მიუგო ბივმა, გაფითრებულ სახეზე წვერი საშინლად მკვეთრად მოუჩანდა, – მაგრამ ცხოველებს ეშინიათ და ამიტომაც ცდილობენ აქედან წასვლას.

2

ისინი თხუთმეტიოდე წუთის განმავლობაში იდგნენ ზღურბლზე. მოულოდნელად ჯოუნსის ტრანსფორმატორის მსგავსი, ხმადაბალი ზუზუნი მოესმა. ბივერს ჰკითხა, – შენ თუ გესმისო. მან თავი უსიტყვოდ დაუქნია, თუმცა თვალი არ მოუცილებია რამდენიმე მოცეკვავე ფერადი რგოლისთვის, რომელიც, ჯოუნსის აზრით, ლიუკის სარქვლისხელა იქნებოდა. ფიქრობდა, რომ ხმას გაქცეული ცხოველები გამოსცემდნენ და არა მანათობელი რგოლები, მაგრამ არაფერი უთქვამს, რადგან ლაპარაკი უჭირდა – ის გრძნობდა შიშს და რაღაცნაირ გასავათებას, მოურჩენელმა დაბალსიცხიანმა გრიპმა რომ იცის.

თანდათანობით ცეცხლოვანი რგოლები გაფერმკრთალდა და სულ უფრო დაპატარავდა. ცხოველების ნაკადიც შეწყდა და მომაბეზრებელი ზუზუნიც უკვე შორიდან ისმოდა.

ბივერი შეიშმუშნა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოფხიზლდა.

– კამერა! – შესძახა მან, – რამდენიმე სურათი მაინც გადავიღო, სანამ ყველაფერი გამქრალა.

– არა მგონია, მოახერხო...

– ვცდი მაინც! – თითქმის დაიყვირა ბივერმა, მაგრამ მაშინვე ხმას დაუწია, – უნდა ვცადო. იქნებ, ირმები მაინც დავიჭირო ობიექტივში, სანამ ისინი...

შეტრიალდა და სამზარეულოსკენ გავარდა. ალბათ, იმის გახსე-

ნებას ცდილობდა, ჭუჭყიანი ტანსაცმლის რომელი გროვის ქვეშ განისვენებდა მისი ძველი, ელემენტებზე მომუშავე კამერა, მაგრამ მაშინვე შეჩერდა და მისთვის სრულიად უჩვეულო, დაღვრემილი სახით ჩაილაპარაკა:

– ოჰ, ჯოუნსი, მგონი, პრობლემა გვაქვს.

ჯოუნსიმ უკანასკნელად შეავლო თვალი ცაზე დარჩენილ ცეცხლოვან რგოლებს (უკვე გახუნებულსა და დაპატარავებულს) და შემოტრიალდა. ბივერი სამზარეულოს ნიჟარასთან იდგა და დაბნეულად გასცქეროდა ოთახის ცენტრალურ ნაწილს.

– რა არის? კიდევ რა მოხდა? – ნუთუ ეს საზიზღარი, მწივანა, ოდნავ ათრთოლებული ხმა... მისია?

ბივერმა ხელი გაიწვდინა. საძინებლის კარი, სადაც მათ მაკარტი დააწვინეს, ღია იყო. სამაგიეროდ, ვიღაცას სააბაზანოს კარი მიეხურა, რომელიც განზრახ არ მიკეტეს, რათა რიკი უშეცდომოდ გამოხმაურებოდა ბუნების ძახილს.

ბივერმა შეწუხებული, წვერგაუპარსავი სახე ჯოუნსისკენ მიაბრუნა.

– სუნს გრძნობ?

ჯოუნსი გრძნობდა, მიუხედავად იმისა, რომ კარიდან ცივი ჰაერი უბერავდა. ისევ ეთერს თუ ეთილის სპირტს ჰგავდა, ოღონდ ამჯერად დამატებით კიდევ რაღაც შერეოდა, ალბათ – ექსკრემენტები. და, შესაძლოა – სისხლი. და კიდევ – მეთანის მსგავსი, რომელიც მილიონობით წელი შახტში გროვდებოდა და ახლა ამოხეთქა. იმ სუნს არ ჰგავდა, სასკოლო ლაშქრობების დროს მათ სიცილს რომ იწვევდა. გაცილებით მძაფრი და საშინელი იყო. ამას ჩვეულებრივ აირებს თუ შეადარებდა კაცი, სხვას ვერაფერს. თითქოს ცხვირში გახრწნილი თუ ლპობაშერეული გვამის სუნი სცემდათ.

– იქით გაიხედე.

ბივერმა თითი იატაკისკენ გაიშვირა. ფიცრებზე კარიდან კარამ-

დე სისხლის ლაქები ჩანდა. თითქოს მაკარტის მოულოდნელად ცხვირიდან სისხლი წასკდომოდა.

მაგრამ, ჯოუნსის აზრით, ცხვირი აქ არაფერ შუაში იყო.

3

ცხოვრებაში ჯოუნსის რამდენჯერმე მოუხდა იმის გაკეთება, რაც საშინლად არ უნდოდა: ძმას, მაიკს, შეატყობინა, რომ დედა გულის შეტევით გარდაიცვალა; კარლას უთხრა, რომ სახლიდან წავიდოდა, თუ სმას თავს არ დაანებებდა; დიდ ლუს, თავის კომპანიონს, კემპაგავამის პალატაში, ჩასჩურჩულა, ლოგინში ჩაგისველებიაო. მაგრამ ყველაზე მძიმე მაინც ამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა და ოთახის გადაკვეთა აღმოჩნდა. თითქოს კოშმარულ სიზმარში უნდა ევლო, მიწის ზემოთ ელივლივა და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ფეხებს სწრაფად ამოძრავებდა თუ ნელა.

ცუდ სიზმრებში ვერასდროს მოხვდებით საჭირო ადგილას, მაგრამ აქ მათ მოახერხეს ოთახის მეორე მხარეს გადაადგილება. ასე რომ, ჯოუნსის დასკვნით, ეს სიზმარი არ იყო. ორივენი სისხლის ლაქებს დააჩერდნენ, ყველაზე დიდი ლაქა ათცენტიანისხელა იქნებოდა.

– ალბათ მორიგი კბილი მოსძვრა, – კვლავინდებურად ხმადაბლა ჩაილაპარაკა ჯოუნსიმ, – სხვა ახსნა ვერ მომიძებნია.

ბივმა უსიტყვოდ აზიდა წარბები და, როგორც ჩანს, კარს იქით შეხედვა გადაწყვიტა. შემდეგ ჯოუნსის თითის დაქნევით უხმო. ის გვერდულად, კედლის გაყოლებით მიუახლოვდა მას, თან სააბაზანოს კარს თვალს არ აცილებდა. საბანი ძირს ეგდო, თითქოს მაკარტი მოულოდნელად წამომხტარიყო ლოგინიდან. ბალიშს თავის კვალი ჯერაც ეტყობოდა, ლეიბი დაჭმუჭნილი ჩანდა. ცისფერ ზეწარს შუაში იისფერი სისხლის ლაქა ეცხო.

– ჩემი აზრით, იმ ადგილას კბილები არ იზრდება, – ჩაიჩურჩულა

ბივერმა და კბილსაჩიჩქნი გადაკვნიტა. წვეტიანი ჩხირი იატაკზე დაეცა, – იქნებ თვიური დაეწყო?

პასუხის ნაცვლად, ჯოუნსიმ კუთხეზე მიუთითა, სადაც მაკარტის სისხლიანი საცვალი და ტრუსი ეგდო. ყველაზე ცუდ დღეში ეს ტრუსი იყო: რომ არა ელასტიკური ქამარი და ქსოვილის გადარჩენილი ნაწილი, კაცი მას იმ ტიპის უხამს სექსუალურ საცვალს მიამსგავსებდა, პენტჰაუსის ცისფერ თაყვანისმცემლებს რომ უყვართ და წინასწარვე ასკვნიან, რომ მორიგ შეყვარებულთან შეხვედრა აუცილებლად ლოგინში უნდა დამთავრდეს.

– ღამის ქოთანში ჩაიხედე, – კვლავ ჩაიჩურჩულა ბივერმა.

– იქნებ სააბაზანოს კარზე დავაკაკუნოთ და ვკითხოთ, თავს როგორ გრძნობს?

– როგორ ვერ ხვდები, რომ იმის გაგება მინდა, თუ რა მოგველის! – ბრაზიანად წაისისინა ბივერმა, ხელი მკერდზე მოისვა და კბილის ჩხირის დანაწევრებული ნარჩენები გადმოაფურთხა, – ბებერო, ასე მგონია, საცაა გავაფრენ.

ჯოუნსის გული გაშმაგებით უცემდა, სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, მაგრამ ოთახში მაინც შეაბიჯა. სახლის უდიდესი ნაწილი განიავებული იყო, აქ კი კვლავაც განავლის, მეთანისა და ეთერის აუტანელი სუნი იდგა. ჯოუნსიმ იგრძნო, რომ ის ცოტაოდენი საჭმელიც კი, რისი გადაყლაპვაც მოასწრო, უკან ამოუვიდა. რომ არ ერწყია, მთელი სხეული დაძაბა. ღამის ქოთნისკენ ნაბიჯი გადადგა, მაგრამ შიგ ჩახედვას ვერ ბედავდა: საშინელებები ეჩვენებოდა – სისხლის ბულიონში მოცურავე ადამიანის ორგანოები, კბილები, მოჭრილი თავი.

– მიდი, – უთხრა ბივერმა.

ჯოუნსიმ თვალები დახუჭა, თავი დახარა, სუნთქვა შეიკავა და თვალები ისევ გაახილა. არაფერი ჩანდა. არაფერი. მხოლოდ სუფთა ქაშანური ბრწყინავდა მქრქალად პლაფონის შუქზე. ცარიელი იყო. მან ხმაურით ამოისუნთქა ერთმანეთზე მიჭერილი კბილებიდან და

სისხლის ლაქების გვერდის ავლით ბივთან დაბრუნდა.

– არაფერია, – უთხრა მას, – გვეყო ეს კუკუმალულობანა.

თეთრეულის სათავსს გასცდნენ და ფიჭვის პანელებით მოპირკეთებულ ტუალეტის კართან შეჩერდნენ. ბივერმა ჯოუნსის კითხვის გამომხატველი მზერა მიაპყრო. მან თავი გადააქნია.

– შენი ჯერია. მე ახლახან გავიარე დანაღმული ველი.

– ის შენ აღმოაჩინე, – წასჩურჩულა ბივმა და ნიკაპი წინ ჯიუტად გამოსწია, – ჰოდა, შენვე მიხედე.

მხოლოდ ახლაღა, ყოველგვარი მიყურადების გარეშე, მოესმა ჯოუნსის კიდევ რაღაც ხმა – ჯერ ერთი, ეცნო, მეორეც, სხვა დამოკიდებულება გაუჩნდა მაკარტის მიმართ, რომელიც კინაღამ შემოაკვდა. ეს ხმა, თითქოს, მუდმივად რჩებოდა მის გონებაში – ტრახ-ტრახ-ტრახ – და სულ უფრო ძლიერდებოდა. და ღმერთმა იცის, საიდან მოდიოდა.

– ამის დედაც! .. – შეიგინა ჯოუნსიმ და, თუმცა ჩვეულებრივი კილოთი საუბრობდა, ორივენი რაღაცისგან თითქოს შეხტნენ, – მისტერ მაკარტი, – შესძახა მან და დააკაკუნა, – რიკ! კარგად ხართ?

არ მიპასუხებს, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – არ მიპასუხებს, რადგან მოკვდა. მოკვდა და ტახტზე ზის ელვისივით[54].

მაგრამ მაკარტი ცოცხალი აღმოჩნდა. დაიკვნესა და თქვა:

– რაღაც ვერ ვარ კარგად, ბიჭებო. ცოტა ხანს უნდა ვიჯდე. თუ მოვახერხე... – ისევ დაიკვნესა და ჩუმად, თითქმის მელოდიურად გააკუა. ჯოუნსი შეიჭმუხნა, – ...ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს.

ჯოუნსის აზრით, მაკარტი აზვიადებდა, მაგრამ თან აშკარად იტანჯებოდა ტკივილისგან. თითქოს ამის დასამტკიცებლად, მაკარტიმ გატანჯული ხმით ისევ დაიკვნესა. გაისმა მორიგი მელოდია და შემდეგ ყვირილი.

– მაკარტი! – ბივერმა ხელი სახელურს წაავლო, მაგრამ ვერ გა-

[54] ელვის პრესლი, როკ-ენ-როლის მეფე.

დაატრიალა. მაკარტის – ტყის პატარა ნობათს, კარი შიგნიდან ჩაეკეტა. ბივი სახელურს დაეჯაჯგურა, – რიკ! გააღე, მეგობარო! – შესძახა მან ისეთი ხმით, თითქოს არაფერი მომხდარაო, თითქოს ეს მისი ჩვეულებრივი ხუმრობა იყო და სხვა არაფერი, ერთი მხიარული გათამაშება ბუნების წიაღში. მაინც ძალიან შეშინებული კი ჩანდა.

– კარგად ვარ, – გამოეხმაურა მაკარტი, – ბიჭებო, მე... მხოლოდ ნაწლავები უნდა გავისუფთაო.

მის სიტყვებს რამდენიმე მყრალი „გასროლა" მოჰყვა. სისულელე იყო, რომ იმას, რაც ესმოდათ „გაზებს" ეძახდნენ – კარს იქიდან ისეთი უხეში და ძარღვიანი ხმა ისმოდა, გეგონებოდათ, ადამიანი გასკდა და ხორცის ნაფლეთები აქეთ-იქით მოიფანტაო.

– მაკარტი! – იყვირა ჯოუნსიმ და კარზე დააბრახუნა, – შემოგვიშვით!

მაგრამ უნდოდა კი შიგნით შესვლა? სულაც არა. ღმერთო, როგორ წუხდა, რომ მაკარტი ახლა ტყეში არ დახეტიალებდა, ან ვინმე სხვას არ გადაეყარა. ყველაზე ცუდი კი ის იყო, რომ ტვინის სიღრმეში მოთავსებული ნუშისებური ჯირკვალი, ეს სასტიკი რეპტილია, ეუბნებოდა: ჯობდა, თავიდანვე ტყვია დაგეხალა და მოგეკლა. განა, კარლას „ანონიმური ნარკომანების პროგრამაში" არ ეწერა, – ყველაფერს მარტივად შეხედე, სულელოო?

– მაკარტი!

– მომწყდით თავიდან! – მიუგო გაბრაზებულმა მაკარტიმ, – ნუთუ არ შეგიძლიათ, წახვიდეთ და მარტო დატოვოთ ადამიანი... აცალოთ, რომ დაიცალოს? ღმერთო ჩემო!

ტრახ-ტრახ-ტრახ! – გაისმა უფრო ახლოს და უფრო ხმამაღლა.

– რიკ! – ახლა უკვე ბივმა იყვირა მოჩვენებითი უდარდელი კილოთი, თითქოს ყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული, – სისხლდენა საიდან აგიტყდათ?

– სისხლდენა? – გულწრფელად გაიკვირვა მაკარტიმ, – ეგ საიდანღა მოიტანეთ?

შეძრწუნებულმა ჯოუნსიმ და ბივერმა ერთმანეთს გადახედეს.

ტრახ-ტრახ-ტრახ!

როგორც იქნა, ჯოუნსიმ ამ უცნაურ ხმაურს ყურადღება მიაქცია და როდესაც ყველაფერს მიხვდა, მაშინვე გასაოცარი შვება იგრძნო.

– ვერტმფრენი! – შესძახა მან, – გეფიცები, მას ეძებენ!

– ასე გგონია? – იკითხა ბივმა ისეთი სახით, თითქოს ჯადოსნური შელოცვა გაეგონოს.

ჯოუნსიმ თავი დაუქნია. შესაძლოა, ვერტმფრენი იმ უცნაურ ცეცხლოვან რგოლებს მისდევდა ან ცხოველების ჯგუფური გაქცევის მიზეზს არკვევდა, მაგრამ ჯოუნსის ამის გაგონებაც არ სურდა, ცეცხლოვანი რგოლები და ცხოველები სულ არ ადარდებდა, მთავარი იყო, მაკარტი მოეცილებინათ თავიდან, მეჩიასსა ან დერიში გაეგზავნათ.

– გარეთ გადი და დროშასავით აქნიე რამე.

– იქნებ...

ტრახ-ტრახ-ტრახ! – ახლა კარს იქიდან გაისმა ტკაცატკუცი ჭინთვის თანხლებით, რასაც მაკარტის კვნესაც მოჰყვა.

– ეზოში გავარდი! – შესძახა ჯოუნსიმ, – რაც გინდა, იქნიე, ოღონდ იმ დარტყმულებს დაშვება აიძულე! თუგინდ შარვალი ჩაიხადე და კანკანი იცეკვე, ოღონდ მოახერხე ეს!

– კარგი, – ბივი კარისკენ შეტრიალდა, მაგრამ მაშინვე შეკრთა და შეჰყვირა.

უეცრად, ბნელი კარადიდან უამრავი მივიწყებული ნივთი დაიძრა და ავხორცული ხითხითით დღის სინათლეზე გამოფრინდა. ჯოუნსიმ ხელების ქნევა და ყვირილი რომ შეწყვიტა, ერთადერთი რაც დაინახა, ეს ფურირემი იყო, რომელიც ღმერთმა იცის, საიდან გაჩნდა სამზარეულოში. კისერი კოხტად წაეგრძელებინა და მაგიდას ყნოსავდა. ჯოუნსიმ ღრმად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამოისუნთქა და კედელს მიეკრა.

– ერთი ამას დამიხედეთ! – ჩაიბურტყუნა ბივერმა, გონს მოეგო

და ცხოველისკენ დაიძრა, – აქედან მოუსვი, მეიბლ! – ბრძანა მან და ტაში შემოჰკრა, – წელიწადის დრო ხომ არ შეგეშალა? წადი, სანამ მთელი ხარ!

ფურირემი ცოტა ხანს კიდევ იდგა და ადამიანური წუხილით სავსე, დიდრონი თვალებით მისჩერებოდა ბივერს. შემდეგ შეტრიალდა, თავი ღუმლის ზემოთ ჩამწკრივებულ ქვაბებსა და ჩამჩებს გაჰკრა და ხმაურით გადმოყარა.

ფურირემი კარისკენ გაიქცა, მისმა პატარა თეთრმა კუდმა გაიელვა და ბივერმა ნაღვლიანად დახედა სუფთა ლინოლეუმზე დახვავებულ ფუნას. თვითონაც გარეთ გავარდა.

4

ცხოველთა დიდი მიგრაცია თითქმის დასრულდა. სამზარეულოდან ბივერის მიერ გაგდებული ფურირემი თავზე გადაახტა კოჭლ მელიას, რომელსაც თათი, როგორც ჩანს, ხაფანგში დაეკარგა, და ტყეში გაუჩინარდა. ფარდულის თავზე ჩამოწოლილ ღრუბლებში ყავისფერი, ქალაქის ავტობუსისხელა ვერტმფრენი გამოჩნდა, რომელსაც ბორტზე თეთრი საღებავით ეწერა „ნგა“.

ნგა? – გაიფიქრა ბივერმა, – ნეტა, რა ჯანდაბას უნდა ნიშნავდეს? ალბათ ნაციონალური გვარდიის ავიაციას ბანგორიდან.

ვერტმფრენს მძიმე ცხვირი ძირს დაეწია. ბივერი ეზოში გავარდა და გაშმაგებით იქნევდა ხელებს.

– ჰეი! დაგვეხმარეთ! დაგვეხმარეთ, ბიჭებო!

ვერტმფრენმა დაშვება დაიწყო, სამოცდათხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე თოვლი უკვე აქეთ-იქით გაფანტა. შემდეგ ბივერისკენ ისე დაიძრა, თითქოს თოვლს მიარღვევდა.

– ჰეი! აქ ავადმყოფი გვყავს! ავადმყოფი! – ბივერი მთელი ხმით ღრიალებდა, დისკოთეკაზე მყოფი ბრეიკ-დანსის მოცეკვავესავით დახტოდა და გრძნობდა, რომ შტერივით იქცეოდა. მაგრამ რა ექნა? ასე იყო საჭირო.

ვერტმფრენი მიუახლოვდა, მაგრამ უფრო ქვევით აღარ დაეშვა, ამას, როგორც ჩანს, არც აპირებდა. ბივს თავში საშინელმა აზრმა გაუელვა. ვერ ხვდებოდა, რომ ეს პარანოია ვერტმფრენში მსხდომი ადამიანებისგან მოდიოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, რატომ იგრძნობდა თავს ტირის სამიზნის ცენტრში მოთავსებულ ქინქლასავით: „მოარტყი ბივერს და მოიგე საათი-რადიო“.

ვერტმფრენის გვერდითი კარი გაიღო და ღიობში მეგაფონიანი კაცი გამოჩნდა. უშველებელი პარკა ეცვა, მაგრამ ბივს ეს არ აწუხებდა. მას ის ადარდებდა, რომ უცნობს სახეზე ჟანგბადის ნიღაბი ეკეთა. არასდროს სმენოდა მფრინავების შესახებ, რომლებიც სამოცდათხუთმეტი ფუტის სიმაღლეზე ჟანგბადის ნიღბებს ატარებდნენ, ცხადია, თუ ჰაერი მოწამლული არ იყო.

კაცმა ნიღაბთან მეგაფონი მიიტანა. ხმამაღლა და გარკვევით ლაპარაკობდა, ვერტმფრენის ხმაურს ფარავდა, მაგრამ მისი ხმა, გამაძლიერებლის თუ ნიღბის გამო, მექანიკურს წააგავდა, თითქოს ბივს რაღაც რობოტის მსგავსი ღვთაება მიმართავდა.

– რამდენი ხართ? – იკითხა ღვთაებამ, – თითებით მიჩვენეთ.

საგონებელში ჩავარდნილმა და შეშინებულმა ბივერმა, პირველ რიგში, საკუთარ თავსა და ჯოუნსიზე გაიფიქრა. ბოლოს და ბოლოს, ჰენრი და პიტი ჯერ არ დაბრუნებულიყვნენ. ორი თითი ასწია – გამარჯვების ნიშანი.

– არსად წახვიდეთ! – დაიგრგვინა ღვთაებამ, – რაიონში დროებით კარანტინია გამოცხადებული. გიმეორებთ, რაიონში დროებით კარანტინია გამოცხადებული. ამ ადგილის დატოვება გეკრძალებათ.

თოვა თითქმის შეწყდა, მაგრამ ქარი ძველებურად ძლიერად ქროდა და ვერტმფრენის პროპელერებით გაფანტულ ყინულოვან მტვერს ბივერს სახეში აყრიდა. ბივერმა თვალები მოჭუტა და კვლავ ხელების ქნევას მოჰყვა, თან სუსხიან ჰაერს ისუნთქავდა. იძულებული გახდა, კბილსაჩიჩქნი გადაეგდო, რათა შემთხვევით არ გადას-

ცდენოდა (ტყუილუბრალოდ როდი აფრთხილებდა დედა, თუ მოგკლავს, ეგ მოგკლავს, გადაგცდება და ფეხებს გაფშეკო).

– როგორ თუ კარანტინი? – იღრიალა მან, – აქ ავადმყოფი გვყავს, ჩამოდით და წაიყვანეთ!

მას მშვენივრად ესმოდა, რომ ძრავების გუგუნში მის ხმას ვერავინ გაიგონებდა, მას ხომ, დალახვროს ეშმაკმა, მეგაფონი არ ჰქონდა, მაგრამ ბღავილს მაინც არ წყვეტდა. როგორც კი სიტყვა „ავადმყოფი" წამოსცდა, მიხვდა, რომ ვერტმფრენში მყოფი კაცი შეცდომაში შეიყვანა: ისინი ხომ სამნი იყვნენ და არა ორნი!

უკვე სამი თითის აწევას აპირებდა, როდესაც ჰენრი და პიტი გაახსენდა. მართალია, ახლა იქ არ იყვნენ, მაგრამ თუ ცუდი არაფერი მოსვლოდათ, საცაა გამოჩნდებოდნენ. მაშ, რამდენი იყვნენ სინამდვილეში? ორი – აშკარად მცდარი პასუხი იყო. სამი? ხუთი? რომელი აერჩია? როგორც მსგავს სიტუაციებში ემართებოდა ხოლმე, ბივერს ახლაც გადაეკეტა გონება. ძაღლმაც ასე იცის ღრანჭის მოქცევა. როცა ასეთი რამე სკოლაში ხდებოდა, გვერდით ჯოუნსი ან ჰენრი ჰყავდა, რომლებიც ყოველთვის მზად იყვნენ მის დასახმარებლად. აქ კი ვერავინ უშველიდა, მხოლოდ ტრახ-ტრახ-ტრახ! სჭრიდა ყურს. თოვლი სახეს უწვავდა, ყელსა და ფილტვებში ცივი ჰაერი ჩასდიოდა და ხველას იწვევდა.

– არსად წახვიდეთ! ვითარება ოცდაოთხიდან ორმოცდარვა საათის განმავლობაში გაირკვევა! თუ საჭმელი გჭირდებათ, ხელები თავზემოთ გადაიჯვარედინეთ.

– მეტნი ვართ! – ისეთი ძალით იყვირა ბივერმა, რომ თვალწინ ციცინათელები აუკიაფდა, – ავადმყოფი გვყავს! ჩვენ... ავადმყოფი გვყავს!

ვერტმფრენში მყოფმა იდიოტმა მეგაფონი ჩამოსწია და საჩვენებელი და ცერა თითებით წრე შეკრა, რაც ნიშნავდა: „კარგი! გასაგებია! "

ბივერს სიმწრისგან ტირილი მოუნდა, მაგრამ ამის ნაცვლად, ხუთი გაფარჩხული თითი ასწია – მათი ოთხეულისა და კიდევ ერთის, მაკარტის აღსანიშნავად. თვითმფრინავში მყოფმა კაცმა ყურადღებით ჩამოხედა და გაუღიმა. წამით ბივერმა გაიფიქრა, – მგონი, სასწაული მოხდა და იმ ნიღბიან დარტყმულს სათქმელი გავაგებინეო, – მაგრამ აღმოჩნდა, რომ იმ დარტყმულმა სასოწარკვეთილი ბივერის ნიშანი მისალმებად მიიღო, საპასუხოდ ხელი დაუქნია და მფრინავს რაღაც უთხრა. ვერტმფრენმა, წარწერით „ნგა", ნელ-ნელა მაღლა აფრენა დაიწყო. თოვლისა და თეთრი, სუსხიანი მტვრის მორევში მდგარი ბივერი კი შეუჩერებლივ ბღაოდა:

– ჩვენ ხუთნი ვართ და დახმარება გვჭირდება! ხუთნი ვართ, თქვენი დედაც! დაგვეხმარეთ!

ვერტმფრენი ღრუბლებში გაუჩინარდა.

5

ჯოუნსიმ, ცხადია, რაღაც გაიგონა, კერძოდ, მეგაფონით გაკეთებული განცხადება, მაგრამ გონებით ვერაფერი აღიქვა, იმდენად შეშფოთებული იყო მაკარტის გამო, რომელიც რამდენიმე ჩუმი შეძახილის შემდეგ ხმას აღარ იღებდა. კარიდან გამოსული სუნი კი თანდათანობით ძლიერდებოდა.

– მაკარტი! – გასძახა მან, როგორც კი ზღურბლზე ბივერი გამოჩნდა, – გააღეთ, თორემ შემოვამტვრევთ!

– თავიდან მომწყდით! – იყვირა მაკარტიმ წრიპინა, თითქოსდა სხვისი ხმით, – კუჭში უნდა გავიდე, სულ ესაა, კუჭში უნდა გავიდე! თუ გავალ ყველაფერი კარგად იქნება.

ასეთმა პირდაპირობამ იმ კაცისგან, რომელსაც სულ „ღმერთო ჩემო" ეკერა პირზე, ჯოუნსი იმაზე მეტად შეაშინა, ვიდრე გასისხლიანებულმა ზეწარმა და თეთრეულმა. ბივერს მიუბრუნდა, ყურადღება აღარ მიუქცევია, რომ ის ერთიანად თოვლიანი იყო და თოვლის პაპას ჰგავდა.

– წამოდი, კარი შევამტვრიოთ. როგორმე უნდა დავეხმაროთ.

ბივერი დაბნეული და დაქანცული ჩანდა. ლოყებზე მიკრული თოვლი ნელ-ნელა ზედ ადნებოდა.

– არავითარ შემთხვევაში. ვერტმფრენში მყოფმა კაცმა კარანტინის შესახებ გაგვაფრთხილა. იქნებ, ეს ტიპი დასნებოვნებულია? გაიხსენე, ლოყაზე წითელი ლაქა...

მიუხედავად იმისა, რომ მაკარტის მიმართ დიდად კეთილგანწყობილი არ იყო, ჯოუნსიმ თავი ძლივს შეიკავა, ძველი მეგობრისთვის სილა არ გაეწნა. დაავიწყდა შარშანდელი მარტი, როცა კემბრიჯში, ქუჩაში ეგდო და სისხლისგან იცლებოდა. რა მოხდებოდა, შიდსის შიშით, მასაც არავინ მიჰკარებოდა და დახმარების გარეშე დაეტოვებინათ? გვერდი აევლოთ, რადგან სეზონის შესაფერისი ხელთათმანები თან არ ჰქონდათ?

– ბივ, ჩვენ უკვე გვქონდა მასთან ურთიერთობა. თუ ეს მართლაც ინფექციაა, უკვე დავავადდებოდით. აბა, რას იტყვი?

ბივერმა დუმილი ამჯობინა. ჯოუნსის ტვინში, ჩვეულებრივ, რაღაც გატკაცუნდა და წამით ბივერი დაინახა, მასთან ერთად კი ბიჭი მოტოციკლეტისტის ძველი, გაცვეთილი ქურთუკით, რომელიც ყვიროდა: „ეი, ბიჭებო, გეყოფათ! გეყოფათ, თქვენი დედაც! "

დაინახა და მიხვდა, რომ ყველაფერი კარგად იყო.

ბივერმა ნაბიჯი წინ წადგა:

– ეი, რიკ! რას იტყვი, რომ გავაღოთ? ჩვენ მხოლოდ დახმარება გვინდა.

კარს იქიდან არაფერი ისმოდა – არც კვნესა, არც სუნთქვა, არც ტანსაცმლის შრიალი, მხოლოდ გენერატორის თანაბარი გუგუნი და ვერტმფრენის შორეული ტრახ-ტრახ.

– კარგი – თქვა ბივერმა და მოულოდნელად პირჯვარი გადაიწერა, – შევამტვრიოთ, ამის დედაც! ..

მათ ერთდროულად დაიხიეს უკან და კარისკენ გვერდულად შეტრიალდნენ, მექანიკურად ტელესერიალებში ნანახ პოლიციელებს

მიჰბაძეს.

– სამ დათვლაზე, – თქვა ჯოუნსიმ.

– შენი ფეხი ხომ გაუძლებს, ბებერო?

თითქოს ჯიბრზე, ჯოუნსის თეძომაც და ფეხმაც თავი შეახსენა, თუმცა უკანასკნელ წუთამდე ამას ვერ გრძნობდა.

– კარგად ვარ, – თქვა მან.

– ჰო, ჩემი უკანალი კი მსოფლიოს მბრძანებელია.

– სამ დათვლაზე. მზად ხარ? – ჯოუნსი ბივერის თავის დაქნევას აღარ დაელოდა და წარმოთქვა:

– ერთი... ორი... სამი.

ისინი ერთდროულად გაქანდნენ კარისკენ და მხრებით შეეჯახ-ნენ. კარი ისე ადვილად დაემორჩილა მათ ძალას, რომ ერთმანეთს ხელი სტაცეს, წაბორძიკდნენ, სააბაზანოში შეცვივდნენ და სისხლით მოთხვრილ კაფელზე ფეხი დაუსხლტათ.

– ამის დედაც! .. – თქვა ბივერმა და ხელისგული პირზე მიიფარა. ამჯერად კბილსაჩიჩქნი არ ედო, – ამის დედაც! .. ამის დედაც! ..

ჯოუნსიმ აღმოაჩინა, რომ სათქმელი არაფერი ჰქონდა.

თავი მეხუთე
დადიტსი

ნაწილი პირველი

1

– ქალბატონო, – თქვა პიტმა.

კაპიუშონიანქურთუკიანმა ქალმა არაფერი უპასუხა. ნახერხით დაფარულ ბრეზენტზე იწვა და დუმდა. მხოლოდ ცალი თვალი მოუჩანდა, რომლითაც პიტს მისჩერებოდა, თუმცა, ალბათ, ვერ ხედავდა. იქნებ, რულეტივით დატრიალებული წყეული სამყაროს ცენტრს შესცქეროდა? ვინ იცის. პიტს ჟრუანტელმა დაუარა. ცეცხლი ტკაცუნობდა, თანდათან ღვივდებოდა და სითბოს გამოჰყოფდა. ჰენრი თხუთმეტი წუთის წინ გავიდა და, პიტის გამოთვლით, სამ საათზე ადრე ვერ დაბრუნდებოდა. სამი საათი. არადა, უკვე ცუდად გრძნობდა თავს უცნობი ქალის საზარელი, უსიცოცხლო მზერისგან.

– ქალბატონო, – გაიმეორა მან, – გესმით ჩემი?

დუმილი. თუმცა ქალმა ერთხელ დაამთქნარა და პიტმა შეამჩნია,

რომ მას კბილების თითქმის ნახევარი აკლდა. ნეტა, ასეთი რა უქნეს?

ნუთუ ეს აინტერესებდა?

ჰოც და არაც, ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაასკვნა პიტმა. ცხადია, ცნობისმოყვარეობა არ ასვენებდა, ან ვის მოასვენებდა მის ადგილზე, მაგრამ მაინც ჯობდა, მისგან თავი შორს დაეჭირა. რა საჭიროა იცოდეს, ვინ არის ეს ქალი, ვინ არის რიკი და რა შეემთხვა? „ისინი დაბრუნდნენ! – გაჰკიოდა ქალი, როდესაც ცაში ცეცხლოვან რგოლებს მოჰკრა თვალი, – დაბრუნდნენ! "

– ქალბატონო! – დაუძახა მესამედ.

დუმილი.

ქალმა ახსენა, რომ რიკი ერთადერთი იყო, ვინც გადარჩა, მერე კი დაიყვირა: „ისინი დაბრუნდნენ! " შესაძლოა, ცეცხლოვან რგოლებს გულისხმობდა. მას შემდეგ მხოლოდ აბოყინებდა და გაზებზე გადიოდა, ერთხელ დაამთქნარა კიდეც და უკბილო ღრძილები გამოუჩნდა... და ეს მზერა... საზარელი, უსიცოცხლო მზერა. ჰენრი მხოლოდ თხუთმეტი წუთის წინ წავიდა: მაშინ პირველის ხუთი წუთი იყო, ახლა კი პიტის საათი პირველის ოც წუთს უჩვენებდა. ეს დაწყევლილი დღე, ალბათ, საოცრად გაიწელებოდა. და თუ სურდა, გაეძლო (გამუდმებით ფიქრობდა ერთ მოთხრობაზე, რომელიც მერვე კლასში წაიკითხეს, ოღონდ ავტორს ვერ იხსენებდა: ბიჭმა მოხუცი კაცი იმიტომ მოკლა, რომ მის გამოხედვას ვერ უძლებდა. მაშინ პიტს ეს არ ესმოდა, სამაგიეროდ, ახლა მიხვდა. დიახ, სერ), მაშინ, უნდა გამხნევებულიყო.

– ქალბატონო, გესმით ჩემი?

დუმილი. მხოლოდ საზარელი, გაყინული მზერა.

– მანქანასთან უნდა დავბრუნდე. მგონი, იქ რაღაც დამრჩა. ჩემს მოსვლამდე არაფერი მოგივათ, ხომ ასეა?

არავითარი პასუხი – მხოლოდ ხმაურით გამოუშვა გაზები, თან

გაიჭინთა და სახე ისე დაემანჭა, თითქოს რაღაც ეტკინა... ხმების მიხედვით, ეს მართლაც მტკივნეული უნდა ყოფილიყო. და თუმცა პიტმა წინდახედულად იბრუნა მისგან პირი, ცხვირში მაინც ეცა მყრალი, საშინელი, არაადამიანური სუნი, რომელიც საქონლის ფუნისას აშკარად არ ჰგავდა. ბავშვობაში ლაიონელ სილვესტრთან მუშაობდა და ხშირად წველიდა ძროხებს. ისინიც ხშირად უშვებდნენ გაზებს, როცა პიტი ტაბურეტზე იჯდა და ცურებს ექაჩებოდა – ახლაც ახსოვდა დაჭაობებული ბალახის მძიმე, მჟავე სუნი. მაგრამ ეს სულ სხვა იყო. იმას ჰგავდა... თითქოს ბავშვობაში დაბრუნდა და თავის პირველ ქიმიურ ცდას ატარებდა სახელმძღვანელოს მიხედვით, შემდეგ კი ყელში ამოუვიდა და გაბრაზებულმა ყველაფერი ერთმანეთში აურია, იქნებ აფეთქდესო.

პიტი მიხვდა, რომ სწორედ ეს არ ასვენებდა, ეს უშლიდა ნერვებს. ცხადია, სისულელე იყო, რადგან ადამიანები ასე, უბრალოდ, არ ფეთქდებიან, დახმარების გარეშე არაფერი გამოვიდოდა. ამის გამო, შიშისგან გული ელეოდა.

პიტმა კოცონს ჰენრის მოტანილი შეშის ორი ნაჭერი შეუკეთა, დაფიქრდა და მესამეც დაუმატა. კოცონის თავზე ოქროსფერი ნაპერწკლების თაიგული აცეკვდა, თავბრუდამხვევი სისწრაფით დატრიალდა და გაქრა.

– მე იქამდე დავბრუნდები, სანამ დაიწვება, მაგრამ თუ გნებავთ, შეშა დაუმატეთ, არ მოგერიდოთ. შევთანხმდით?

დუმილი. უეცრად მოუნდა, ქალისთვის ხელი ჩაევლო და შეეჯანჯღარებინა. მაგრამ მანქანამდე ერთ-ნახევარი მილი იყო. უკანაც იმდენივე. ძალა უნდა შეენახა. გარდა ამისა, ვაითუ, ქალს კიდევ გაეშვა გაზები ან მისთვის პირდაპირ სახეში შეებოყინებინა.

– კარგი, ასე მოვიქცეთ. დუმილი თანხმობის ნიშანია, როგორც მისის უაიტს უყვარდა თქმა, მეოთხე კლასში.

პიტმა მუხლზე ხელი იტაცა და წამოდგა, სახე დაემანჭა, დაეღრიჯა, კინაღამ დაეცა, მაგრამ ბოლოს წელში მაინც გაიმართა. მხოლოდ

იმიტომ, რომ ულუდოდ არსებობა არ შეეძლო – ვერ გაძლებდა. ლუდს კი არავინ უფეშქაშებდა, თვითონ უნდა ეშოვა. დიახ, შესაძლოა, ლოთი იყო. თუმცა, რაღა „შესაძლოა". ამისთვის, ადრე თუ გვიან, უნდა მიეხედა. ჯერჯერობით, საკუთარი თავის იმედად ყოფნა და მოქმედება უწევდა, რადგან იმ გათიშული ძუკნასგან არაფერი დარჩენილიყო გულის ამრევი გაზებისა და საზარელი, გაყინული მზერის გარდა. თუ ძალიან შესცივდებოდა, კოცონს შეშას შეუკეთებდა, მაგრამ შემცივნებას ვერც მოასწრებდა, რადგან პიტი კოცონის ჩაქრობამდე დაბრუნდებოდა. სულ რაღაც ერთ-ნახევარი მილი უნდა გაევლო. მისი ფეხი ამ მანძილს გაუძლებდა.

– მალე დავბრუნდები, – თქვა და ფეხი მოისრისა. სტკიოდა, მაგრამ უფრო ნაკლებად. აშკარად უფრო ნაკლებად. მხოლოდ ლუდს ჩადებდა პაკეტში, შესაძლოა, კრეკერიც წამოეღო ამ ძუკნასთვის, და მაშინვე დაბრუნდებოდა, – დარწმუნებული ხართ, რომ არაფერი გიჭირთ?

დუმილი. და ეს საშინელი მზერა.

– დუმილი თანხმობის ნიშანია, – გაიმეორა პიტმა და გორაკისკენ ბრეზენტით გაკვალულ ზოლს გაუყვა. ყოველი ათი-თორმეტი ნაბიჯის შემდეგ მუხლის დასაზელად ჩერდებოდა. ერთხელ უკან მიიხედა. ნაცრისფერი დღის მქრქალ შუქში კოცონი წერტილად მოეჩვენა.

– რა სისულელეა, – ჩაილაპარაკა და გზა განაგრძო.

2

გორაკის ძირიდან ნახევარი აღმართი უჭირველად აიარა და ის იყო, გაბედა და სიჩქარეს მოუმატა, რომ წყეული მუხლი – ჰა-ჰა, მაინც გაბრიყვდა – ისევ გაჭირვეულდა და ისე უპწკინა, რომ იქვე ჩაიკეცა, ტკივილისგან კბილები გააღრჭიალა და გემრიელად შეიკურთხა.

სანამ თოვლზე იჯდა და იგინებოდა, მიხვდა, რომ გარშემო რა-

ღაც უჩვეულო ხდება. მოზრდილმა ირემმა გვერდით ისე ჩაუარა, ზედაც არ შეუხედავს, თუმცა გუშინ თავქუდმოგლეჯილი გაურბოდა. მას წითური ციყვი მისდევდა და ლამის ფეხებში ებლანდებოდა.

პიტი თოვლზე იჯდა, – დიდრონი ფანტელები მიწაზე სუდარასავით ეფინებოდა, – ფეხი გაეშალა და პირდაღებული იყურებოდა. გზაზე სხვა ცხოველებიც გამოჩნდნენ, ძირითადად, ირმები. მოდიოდნენ, მოხტოდნენ, თითქოს უბედურების ადგილს გაურბოდნენ. ცოცხალი ტალღა აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა.

– საით გაგიწევიათ, ბიჭებო? – ჰკითხა მან კურდღელს, რომელიც მიხტუნაობდა და ყურები უკან გაეკრა, – შეჯიბრებაა თუ დისნეის მულტფილმებისთვის მსახიობებს არჩევთ? იქნებ...

მას სიტყვა გაუწყდა, პირი გაუშრა და ენა ჩაუვარდა. ხეებს შორის წოლისგან ცხიმდაგროვილი მურა დათვი მოაბიჯებდა და თუმცა პიტისკენ არც გაუხედავს, ამ უკანასკნელს საბოლოოდ გაუქრა ილუზია ჩრდილოეთის დიდ ტყეებში საკუთარ სტატუსზე. ის ახლა, მონადირე კი არა, მხოლოდ და მხოლოდ, გემრიელი თეთრი ხორცის მასა იყო, რომელიც, რაღაც შემთხვევითობის წყალობით, ჯერ კიდევ სუნთქავდა. უიარაღოდ ის ირმის ფეხებში გაბლანდულ ციყვზე უფრო უმწეოდ გამოიყურებოდა. ციყვიც კი უახლოეს ხის კენწეროზე აძვრებოდა და დაემალებოდა დათვს. ის, რომ დათვი ყურადღებას არ აქცევდა, პიტისთვის დიდი ვერაფერი ნუგეში იყო – უკან, ალბათ, სხვებიც მოჰყვებოდნენ, რომლებიც მასავით დაბნეულები არ იქნებოდნენ.

როცა დარწმუნდა, რომ დათვი აღარ იყო, წამოდგა, ღმერთოO ჩემო, როგორ უცემდა გული! ის უტვინო კუანა ქალი მარტო როგორ დატოვა! თუმცა, დათვის თავდასხმის შემთხვევაში, მაინც ვერ დაეხმარებოდა. მოკლედ, მანქანიდან თავისი და ჰენრის იარაღი უნდა გადმოეღო, თუ, რა თქმა უნდა, მათ თრევას შეძლებდა.

მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში, სანამ გორაკის წვერზე

ადიოდა, მის ფიქრებში პირველი ადგილი იარაღს ეჭირა, ლუდმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა. მაგრამ დაშვებისას ლუდმა ყველა საფრთხე დაავიწყა. ბოთლებს ტომარაში ჩააწყობდა და მხარზე მოიკიდებდა. გზაში არ დალევდა. მხოლოდ მაშინ გადაყლურწავდა, კოცონის პირას რომ დაჯდებოდა. ეს მისი ჯილდო იქნებოდა. ჯილდოდ მიღებულ ლუდს კი ვერაფერი შეედრებოდა.

შენ ლოთი ხარ. იცი ეს, არა? დედანატირები ალკოჰოლიკი.

დიახ, და მერე რა? ის, რომ სხვა იმ ქალს არ დატოვებდა. ვერავინ გაიგებს, ნახევრად კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი ქალი, ტყეში მარტო რომ დააგდო და მაცოცხლებელი სითხის საშოვნელად წავიდა. ახსოვდა, რომ ცარიელი ბოთლები შორს უნდა მოესროლა. თუმცა ჰენრი მაინც მიხვდებოდა – ისინი ერთმანეთის ვერაფერს გამოაპარებდნენ. არ იცოდა, ეს აზრობრივი კავშირი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ აღიარებდა, რომ ჰენრი დევლინი ჯერ ვერავის გაეცურებინა.

პიტი ფიქრობდა, რომ ჰენრი ლუდის გამო ამბავს არ ატეხდა. შესაძლოა, ამის თაობაზე მასთან დალაპარაკებაც გადაეწყვიტა. დიახ, ალბათ, უკვე მოვიდა დრო. ალბათ ღირდა, ჰენრისთვის დახმარება ეთხოვა. ადრე თუ გვიან, მოუწევდა. მაგრამ ახლა პიტს სინდისი აწუხებდა. პიტერ მურს ქალის საფრთხეში მიტოვება არ ახასიათებდა. ეს არცთუ ღირსეული საქციელი იყო. მაგრამ ჰენრი... ჰენრისაც რაღაც სჭირდა. პიტმა არ იცოდა, გრძნობდა თუ არა ამას ბივერი, მაგრამ ჯოუნსი კი ნამდვილად ხვდებოდა. ჰენრი შეცვლილი ეჩვენებოდა. სასოწარკვეთილი. შესაძლოა...

და უკნიდან გემრიელი ხრაშახრუში მოესმა. პიტმა შეჰყვირა და შეტრიალდა. მუხლმა საშინელი ძალით გაჰკრა, მაგრამ ტკივილი ვერც კი იგრძნო. დათვი! დათვმა – იმან, პირველმა, ან იქნებ სხვამ – ზურგიდან მოუარა...

დათვი კი არა, ცხენირემი აღმოჩნდა. ამაყად ჩაუარა პიტს, მან კი შვებით ამოისუნთქა, უწმაწური გინებით დაეცა თოვლზე და ფეხზე

ხელი იტაცა. სახე მოფარფატე ფიფქებს შეუშვირა და გაიფიქრა, – რა სულელი ვარო. ტვინგაწყალებული ალკოჰოლიკი!

ყველაზე მეტად ნერვიულობდა, ფეხმა საბოლოოდ არ მიმტყუნოსო. ალბათ რაღაც გაუწყდა და თოვლში უნდა გდებულიყო, უმწეოდ ედევნებინა თვალი მშობლიური ადგილებიდან აყრილი ცხოველების უცნაური მსვლელობისთვის, სანამ ჰენრი თოვლმავლით არ მოვიდოდა და არ ჰკითხავდა: „აქ რა ჯანდაბას აკეთებ? რატომ მიატოვე ის ქალი? დალახვროს ეშმაკმა, თითქოს არ ვიცოდი, ასე რომ იქნებოდა! "

ბოლოს მოახერხა და წამოდგა, ოღონდ ამჯერად უხერხულად მიათრევდა ფეხს. ეს თოვლში ცხენირმის ახალი, ცხელი ფუნის გვერდით წოლას მაინც ჯობდა. უკვე მოჩანდა ამოყირავებული, ნახევრად დათოვლილი სკაუტი. თავს უმტკიცებდა, თავიდანვე რომ დავცემულიყავი, კოცონთან მჯდარ ქალთან მივბრუნდებოდი, მაგრამ ახლა, როცა თითქმის სკაუტთან ვარ, წინ წასვლა უფრო ადვილიაო. მთავარი მიზანი თოფის შოვნა იყო, ლუდი კი – მხოლოდ სასიამოვნო წვრილმანი. იმდენი ქნა, სანამ თავი არ დაირწმუნა. აი, უკან დაბრუნება კი... ამას როგორღაც მოახერხებდა. აქამდე ხომ მოაღწია?

სკაუტამდე, სულ რაღაც, ორმოცდაათი იარდიღა რჩებოდა, როდესაც ციდან ვერტმფრენის ტრახ-ტრახ-ტრახ მოესმა. გახარებულმა თავი ასწია, გადაწყვიტა, მის მოახლოებას დალოდებოდა და მფრინავებისთვის ხელი მერე დაექნია – ღმერთი ხომ ხედავდა, რომ ზეციდან დახმარება, უპირველეს ყოვლისა, მას სჭირდებოდა.

მაგრამ ვერტმფრენმა დაბლა დაწეული ღრუბლების ფენა ვერ გაარღვია. პიტმა წამით მოჰკრა თვალი მუქ სილუეტს, მის თავს ზემოთ, ნაცრისფერ ცაში რომ გამოჩნდა, მაგრამ ჩრდილმა გაიელვა და გაქრა: ვერტმფრენის ხმა აღმოსავლეთისკენ თანდათან მიწყდა – სწორედ იქით, საითაც ცხოველები გარბოდნენ. უკმაყოფილების თხელი ფენის ქვეშ პიტმა მორცხვად მიმალული საზიზღარი შვება

იგრძნო: ვერტმფრენი რომ დაშვებულიყო, ლუდამდე ვეღარ მიაღწევდა, არადა, ამხელა გზა ხომ ამისთვის გამოიარა.

3

ხუთი წუთის შემდეგ პიტი უკვე მუხლებზე იდგა და გადაბრუნებულ სკაუტში შეძრომას ცდილობდა. სწრაფად მოისაზრა, რომ მორიგი შემოტევა ნებისმიერ წუთს იყო მოსალოდნელი (ჯინსის შიგნით მუხლი საშინლად გასივებოდა) და თოვლით დაფარულ კაბინაში შესრიალდა. იქაურობა საოცრად არ მოეწონა – სივიწროვე და მძაფრი სუნი ისეთ შთაბეჭდილებას უქმნიდა, თითქოს ჰენრის ოდეკოლონით გაჟღენთილ სამარეში იმყოფებოდა.

ნაყიდი პროდუქტი უკანა სავარძელზე გაფანტულიყო, პიტმა მხოლოდ პური, კონსერვები და სოსისის პაკეტი (ბებერი გოსლინი ხორცად რომ ასაღებდა) დაინახა. ახლა მას მხოლოდ ლუდი სჭირდებოდა. სავარაუდოდ, სკაუტის გადაბრუნებისას, მხოლოდ ერთი ბოთლი გაუტყდათ. აი, ასე უმართლებს ლოთებს! სალონშიც ლუდის სუნი იდგა, რადგან ავარიის წინ ლუდს მიირთმევდა, ბოთლი ხელიდან გაუვარდა და მშვენიერი სითხე დაეღვარა. მოსწონდა ეს სუნი – ჰენრის ოდეკოლონს კი არ ჰგავდა... ფუი! იმ ჭკუანაღრძობი ქალივით ყარდა. პიტი ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ აგონებდა ოდეკოლონის სურნელი კუბოს, საფლავებსა და სამგლოვიარო გვირგვინებს, მაგრამ ასე იყო და რა ექნა.

– ამ უსიერ ტყეში ოდეკოლონის შესხურება საიდან მოგაფიქრდა, ბებერო მაწანწალავ? – იკითხა მან. სიტყვებს პატარა თეთრი რგოლები გამოჰყვა. ჰენრი რომ ყოფილიყო, ცხადია, უპასუხებდა, – ეს ფიქრადაც არ გამივლია, მანქანაში მხოლოდ ლუდის სუნიაო. და მართალიც იქნებოდა.

უეცრად პიტს ის სასიამოვნო შესახედაობის ქალი მოაგონდა, – პირველად ამდენი ხნის განმავლობაში, – ბრიჯტონის აფთიაქთან

მანქანის გასაღები რომ დაკარგა. როგორ მოახერხა მაშინ გასაღების პოვნა? როგორ მიხვდა თითქმის უხილავი ნიუანსების მიხედვით, რომ ქალი მასთან ერთად ვახშმობას არ აპირებდა, ის კი არა, მისი დანახვა, მასთან მიახლოებაც კი აღარ სურდა? ნუთუ არარსებული ოდეკოლონის შეგრძნებაც იმ შემთხვევას ჰგავდა? ეს მან არ იცოდა. მხოლოდ ხვდებოდა, რომ საქმე კარგად არ იყო. ტყუილად ხომ არ შეერია ტვინში ოდეკოლონის სუნი სიკვდილზე ფიქრს.

დაივიწყე ეს სისულელე. საკუთარი თავის დაშინება გადაგიწყვეტია და ეგაა. ერთია – როცა მართლა ხედავ ხაზს, და სულ სხვაა – ათასგვარი საშინელების გამოგონება. ყველაფერი დაივიწყე და ის გააკეთე, რისთვისაც მოხვედი.

– კარგი აზრია, მაგის დედაც! .. – თქვა პიტმა.

მაღაზიის პაკეტები ქაღალდის კი არა, პლასტიკატის იყო, თანაც სახელურიანი: ბებერი გოსლინი პროგრესს ფეხს უწყობდა. პიტმა ერთ-ერთისკენ ხელი გაიწვდინა და უეცრად მარჯვენა ხელისგულში მტკივნეული ჩხვლეტა იგრძნო. წყეული გატეხილი ბოთლი! მოახერხა და ხელი გაიჭრა, სავარაუდოდ, საკმაოდ ღრმად. იქნებ ქალის მიტოვების გამო დაისაჯა? თუ ასეა, კაცურად უნდა მოქცეულიყო და მადლობა ეთქვა, რომ ასე ადვილად გადარჩა.

მან რვა ბოთლი მოხიკა და სკაუტიდან გამოძრომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. ნუთუ აქ მხოლოდ ამ რვა ქეციანი ბოთლისთვის მოვ იდა?

– არა, ბატონო, – ჩაიბურტყუნა პიტმა და დარჩენილი შვიდიც აიღო. არ დაეზარა და თითოეული მათგანი გულდასმით შეათვალიერა, თუმცა სკაუტში გატარებული ყოველი დამატებითი წუთი სულს უმძიმებდა. ბოლოს, უკუსვლით დაიწყო გამოძრომა, ცდილობდა, შიში დაეთრგუნა და არ ეფიქრა, რომ რომელიმე მტაცებელი უკნიდან შიგ კვერცხებში ეცემოდა. პიტის დასჯა, ნაწილი მეორე.

არა, არც ასე ძალიან ეშინოდა, მაგრამ გაცილებით სწრაფად გამოცოცდა. ეგაა, რომ მუხლი ასტკივდა. კვნესით გაგორდა თოვლში,

თან ცას შეჰყურებდა, საიდანაც რწევა-რწევით, მედიდურად ეშვებოდა ქალის საუკეთესო საცვლების მსგავსი, მაქმანიანი ფანტელები. აბა, გამიშვი, საყვარელო, – ცდილობდა მუხლის დაყოლიებას, – გამიშვი, შე ბოზო, ნულარ წელავ!

სწორედ მაშინ, როდესაც ფიქრობდა, ყველაფერი დასრულდაო, ტკივილი მოეშვა. პიტმა ფილტვებიდან ჰაერი შიშინით ამოუშვა და შიშით შეხედა პაკეტს, საიდანაც უზარმაზარი წითელი ასოები მეგობრულად უპაჭუნებდა თვალს: „გმადლობთ, რომ ჩვენს მაღაზიაში შეიძინეთ! "

– თითქოს აქ სხვა მაღაზიაც იყოს, ბებერო არამზადავ, – ჩაიბურტყუნა პიტმა და გადაწყვიტა, რომ უკან დაბრუნების წინ ერთი ბოთლის დალევა არ აწყენდა. დალახვროს ეშმაკმა, ასე ხომ ტვირთის თრევა გაუადვილდებოდა.

ერთი ბოთლი ამოაძვრინა, თავსახური მოხადა და თითქმის ნახევრამდე ჩაცალა. ლუდი ცივი იყო, თოვლი, რომელზეც იჯდა, – კიდევ უფრო ცივი, მაგრამ თავი მაშინვე უკეთ იგრძნო. ლუდი, როგორც ყოველთვის, სასწაულს ახდენდა. ისევე, როგორც სკოჩი, არაყი და ჯინი, თუმცა, როცა საუბარი ალკოჰოლს შეეხებოდა, პიტი სავსებით ეთანხმებოდა ტომ ტ. ჰოლს,[55] – ამქვეყნად ლუდზე უკეთესი არაფერი მოიძებნებოდა.

პაკეტის შემყურეს კვლავ გაახსენდა ის მოყვითალო სახე მაღაზიაში – იდუმალი ღიმილი, ჩინელივით წვრილი თვალები და დანაოჭებული ქუთუთოები. მსგავს ადამიანებს ოდესღაც მონღოლოიდებს, მონღოლოიდ იდიოტებს ეძახდნენ. ამან ისევ დადიტსთან – ოფიციალურად, დუგლას ქეველთან – დააბრუნა. პიტს ვერ აეხსნა, რატომ ვერ მოიშორა დადიტსზე ფიქრი, მაგრამ საკუთარ თავს დაჰპირდა, რომ როგორც კი ეს ყველაფერი დასრულდებოდა, დერიში შეივლიდა და დადიტსს ინახულებდა. სხვებსაც აიყოლიებდა – გრძნობდა, რომ ამისთვის ხვეწნა არ დასჭირდებოდა. შესაძლოა,

[55] ამერიკელი კომპოზიტორი, შემსრულებელი.

სწორედ დადიტსი იყო მიზეზი, რის გამოც მეგობრებად რჩებოდნენ. დალახვროს ეშმაკმა, უმრავლესობას აღარც კი ახსოვდა კოლეჯის ან ინსტიტუტის მეგობრები, დაწყებით სკოლაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელსაც ახლა საშუალოს ეძახდნენ, თუმცა, პიტს სჯეროდა, რომ ის გაუბედაობის, მტანჯველი ეჭვების, ოროსნობის, ოფლიანი იღლიების, გიჟური გატაცებებისა და იდეების ჯუნგლებად რჩებოდა. რასაკვირველია, დადიტსს ისინი სკოლიდან არ იცნობდნენ, რადგან მას დერის საშუალო სკოლაში არასდროს უვლია. დადსი მერი მ. სნოუს გონებრივად ჩამორჩენილთა სკოლაში დადიოდა, რომელსაც ახლომახლო მცხოვრები ბავშვები დებილების აკადემიას, ზოგჯერ კი კრეტინების სკოლას ეძახდნენ.

ჩვეულებრივ ვითარებაში მათი გზები არასდროს გადაიკვეთებოდა, მაგრამ კანზასსტრიტზე მიტოვებული აგურის შენობის წინ დიდი ცარიელი მოედანი მდებარეობდა. შენობის ფასადზე ჯერაც ეკიდა გახუნებული აბრა წარწერით „ძმები თრექერები, გადაზიდვა და შენახვა“. მეორე მხრიდან, თაღის თავზე, კიდევ რაღაც ეწერა.

ახლა, როდესაც თოვლში იჯდა, მაგრამ საჯდომის ქვეშ გამდნარი ყინულის ფაფას ვეღარ გრძნობდა და ვერც იმას აცნობიერებდა, რომ უკვე მეორე ბოთლს სვამდა (პირველი ბარდებში მოისროლა, სადაც ჯერაც მიძვრებოდნენ ცხოველები), პიტმა ის დღე გაიხსენა, დადსს რომ შეხვდნენ. გაიხსენა ბივის სულელური ქურთუკიც, რომელიც მას ძალიან მოსწონდა, მისი წვრილი, მაგრამ მბრძანებლური ხმა, რაღაცის დასასრულსა და დასაწყისს რომ აცხადებდა და საოცრად მტკიცე და ყოვლისმცოდნე კილოთი რომ იუწყებოდა, – ჩვენი ცხოვრება სამუდამოდ შეიცვალა იმ მშვენიერ სამშაბათ დღეს, როდესაც ოთხივენი ჯოუნსის სახლის სიახლოვეს, ჯერ ორი-ორზე კალათბურთის სათამაშოდ, შემდეგ კი პარჩიზში[56] ძალების მოსასინჯად გავემართეთო. ახლა კი ტყეში, გადაყირავებული სკაუტის წინ იჯდა, იმ

[56] იგივე „ოცდახუთი“ ან „ლუდო“ – სამაგიდო თამაში.

ოდეკოლონის სუნი სცემდა, ჰენრის რომ არ უხმარია, გასისხლიანებულ ხელთათმანში გაყოფილი ხელით ბოთლი ეჭირა, ტკბილ საწამლავს მიირთმევდა და მანქანების გამყიდველ იმ ბიჭუნას იხსენებდა, რომელიც მათემატიკაში მზარდი ჩამორჩენის მიუხედავად (მას ჯერ ჯოუნსი ეხმარებოდა, შემდეგ – ჰენრი, მაგრამ მეათე კლასში საბოლოოდ ჩაიძირა), ასტრონავტობაზე ოცნებობდა. სხვა ბიჭებიც გაიხსენა, ძირითადად, ბივი, რომელმაც სამყარო გადაატრიალა მკივანი, გარდატეხის ასაკისთვის დამახასიათებელი ხმით:

– ეი, ბიჭებო, გეყოფათ! გეყოფათ, თქვენი დედაც! ..

– ბივერ, – წარმოთქვა პიტმა ხმამაღლა, მისალმების ნიშნად ბოთლი ასწია და სკაუტის გაცივებულ გვერდს მიეყრდნო, – შესანიშნავი იყავი, ძველო.

და დანარჩენები?

განა, ყველანი შესანიშნავები არ იყვნენ?

4

პიტი ყოველთვის მეგობრებზე ადრე თავისუფლდება, რადგან მერვე კლასშია და ამ დღეს ბოლო გაკვეთილი მუსიკა აქვს პირველ სართულზე. დანარჩენ სამს გაკვეთილები მესამე სართულზე უტარდება. ჯოუნსი და ჰენრი ამერიკულ ლიტერატურაში მეცადინეობენ (ეს ფაკულტატივია მოწინავე მოსწავლეთათვის), ბივის კი მეზობელ ოთახში პრაქტიკული მათემატიკა აქვს, ანუ მათემატიკა შტერი ბიჭებისა და გოგონებისთვის. პიტი უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, ასეთ ჯგუფში რომ არ მოხვდეს, მაგრამ, როგორც ჩანს, უთანასწორო ომს აგებს. იცის შეკრება-გამოკლება, გამრავლება-გაყოფა და წილადებიც კი, თუმცა ეს უკანასკნელი ძალიან უჭირს. ახლა საიდანღაც ხ-ი ჩნდება. პიტმა ხ-ს ვერაფერი გაუგო, ამიტომაც ეშინია.

ჭიშკრის მიღმა, ღობესთან დგას და მერვეკლასელებისა და ჯერაც გამოუცდელი მეშვიდეკლასელების ჩავლას ელოდება, ფეხსაც-

მლის ჭვინტით მიწას ჩიჩქნის და თავს იკატუნებს, თითქოს სიგარეტს ეწევა: ერთი ხელი პირზე აუფარებია, მეორე კი, ჰიპოთეტიური სიგარეტით, მის უკან დაუმალავს.

მაგრამ აი, მესამე სართულიდან მეათეკლასელები ჩამოდიან, მათ შორის კი მონარქებივით, უგვირგვინო მეფეებივით – თუმცა ამის ხმამაღლა თქმას პიტი ვერასდროს გაბედავს – მისი მეგობრები: ჯოუნსი, ბივერი და ჰენრი. მეფეთ მეფე, რა თქმა უნდა, ჰენრია, რომელიც ყველა გოგოს უყვარს, მიუხედავად იმისა, რომ სათვალეს ატარებს. პიტს მეგობრებში გაუმართლა. მან ეს კარგად იცის. იმასაც გრძნობს, რომ, შესაძლოა, ყველაზე იღბლიანი მერვეკლასელია დერიში, ყოველგვარი ხ-ის მიუხედავად. ლაპარაკიც ზედმეტია, რომ მათი შიშით ვინმე გაბედავს და თითს დააკარებს.

– ეი, პიტ! – იძახის ჰენრი ჭიშკარში გამოსვლისთანავე. პიტის დანახვაზე ჰენრის ყოველთვის ოდნავ გაოცებული, მაგრამ მხიარული სახე აქვს, – რა არის ახალი შენკენ?

– არაფერი, – პასუხობს პიტი ჩვეულებისამებრ, – შენკენ?

– ადინ, – ამბობს ჰენრი და სათვალეს იწმენდს. კლუბი რომ ჰქონდეთ, ეს დევიზადაც გამოადგებოდათ. დროთა განმავლობაში ამის თქმას დადიტსსაც ასწავლიან, თუმცა მას მხოლოდ ასე გამოსდის: „ალი დე ივე ნავი" – ერთ-ერთი დადიტსსიზმნათაგანი, რომლის გაგებაც მშობლებს არ ძალუძთ, რაც პიტისა და მისი მეგობრების აღფრთოვანებას იწვევს.

მაგრამ ახლა, როდესაც მათ ცხოვრებაში დადიტსის გამოჩენამდე ჯერ კიდევ ნახევარი საათია დარჩენილი, პიტი ჰენრის კვალდაკვალ ექოსავით იმეორებს:

– ჰო, მეგობარო, ადინ.

ახალი დღე, იგივე ნაგავი. გულის სიღრმეში ბიჭებს ამ გამოთქმის მხოლოდ მეორე ნახევრის სწამთ, რადგან, მათი აზრით, ყოველი დღე ერთნაირია. ეს დერია, 1978 წელი. და ყოველთვის 1978 წელი იქნე-

ბა. დაე, ამტკიცონ, რომ მომავალი არსებობს, რომ ისინი ოცდამეერთე საუკუნემდე მიაღწევენ, ჰენრი ადვოკატი გახდება, ჯოუნსი – მწერალი, ბივერი – შორეული გადაზიდვების მძღოლი, პიტი კი... პიტი ასტრონავტი გახდება, მხარზე NAშA–ს წარწერით. ეს დაუფიქრებელი ლაპარაკია, ასევე დაუფიქრებლად მღერიან კვირაობით ეკლესიაში „მრწამსს". ის უფრო აინტერესებთ, თუ რა აქვს მორინ ჩესმენს მოკლე კაბის ქვეშ, რომელიც წინ გადახრისას, ლამის ბოლომდე წამოეხადოს. მტკიცედ სჯერათ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მორინის საცვლების ფერსაც შეიტყობენ, რომ დერი ყოველთვის იარსებებს და თვითონაც მუდამ იქნებიან. ყოველთვის დერის საშუალო სკოლაში ისწავლიან, ხოლო როდესაც სამს თხუთმეტი წუთი დააკლდება და გაკვეთილები დასრულდება, კანზას-სტრიტს გაუყვებიან, ჯოუნსის სახლის სიახლოვეს კალათბურთს ითამაშებენ (კალათა პიტის სახლთანაც არის, მაგრამ უფრო მეტად ჯოუნსისთან მოსწონთ, რადგან ჯოუნსის მამამ იგი დაბლა მიამაგრა, რათა ბურთი ადვილად ჩაეგდოთ). აი, ისინიც, ტროტუარის მთელ სიგანეზე მოსეირნობენ და ყოველდღიურ თემებზე საუბრობენ: გაკვეთილებზე, მასწავლებლებზე, ვინ ვის უთავაზა და ვინ ვის დაუბრუნებს ხურდას, რა გამოვა, თუ შეიკრიბებიან და იმათ დასცხებენ (ოღონდ საეჭვოა, რომ შეიკრიბონ და იმათ დასცხონ, ვინაიდან ეს კარგს არაფერს მოიტანს), ვიღაცის მორიგ გმირობაზე (ჯერჯერობით ფავორიტი მეშვიდეკლასელი ნორმან პარმელოა, ცნობილი მეტსახელით მაკარონი პარმელო, რომელიც, მათი აზრით, მას საუკუნის ბოლომდე შერჩება, და, შესაძლოა, ოცდამეერთე საუკუნეშიც გადაჰყვეს. ნორმ პარმელომ სანაძლეო მოიგო ორმოცდაათ ცენტზე, როდესაც, მოწმეების თანდასწრებით, ორივე ნესტოთი ყველიანი მაკარონი შეისრუტა, შემდეგ უკანვე გადმოაგდო და გადაყლაპა. მაკარონი პარმელო, რომელმაც შეცდომით, სკოლის მოსწავლეთა უმრავლესობის მსგავსად, ცუდი სახელი დიდებად აღიქვა), იმაზე, თუ ვინ ვისთან დადის (თუ შეამჩიეს, რომ ბიჭი და გოგო გაკვეთილების შემდეგ ერთად მიდიან,

ჩათვლიან, რომ სავარაუდოდ, ერთად სეირნობენ კიდეც, ხოლო თუ ხელჩაკიდებულნი მიაბიჯებენ, ყველაფერი გარკვეულია), ვინ მოიგებს სუპერთასს (დედანატირები „პატრიოტები", დედანატირები „ბოსტონელი პატრიოტები", თუმცა მათ არასდროს მოუგიათ, „პატრიოტებს" მხოლოდ ხეპრეები გულშემატკივრობენ).

ერთი და იგივე, მაგრამ გაუხუნარი თემები, რომელთა გარჩევით არასდროს იღლებიან, სანამ ყოველდღე იმავე სკოლიდან (მწამს ერთი ღმერთი, ყოვლისმპყრობელი მამა), იმავე ქუჩით (ცისა და მიწის შემქმნელი), იმავე ოქტომბრის თეთრი ცის ქვეშ (საუკუნო ცხოვრების), იმავე მეგობრებთან ერთად ბრუნდებიან (ამინ).

ახალი დღე, იგივე ნაგავი – ეს ჭეშმარიტება მათ მტკიცედ ჩაიბეჭდეს გულში. მიდიან, სიამოვნებით უსმენენ დისკოს მხიარულ მოტივს, თუმცა თქმა უყვართ: რყ-და (როკი ყველაფერია, დისკო არაფერი).

ცვლილებები მოულოდნელად, გაუფრთხილებლად ეწვევათ – მათ ასაკში ყოველთვის ასე ხდება; ცვლილებებს უფროსკლასელების ნებართვა რომ სჭირდებოდეს, საერთოდ არ იარსებებდა, მაგრამ დღეს ისინი ნადირობაზეც საუბრობენ, რადგან მისტერ კლარენდონი დაჰპირდათ, რომ მომდევნო თვეში პირველად წაიყვანთ „კედელში გაკეთებულ ხვრელში". იქ სამი დღე დარჩებიან, აქედან ორი – სასწავლო იქნება (სკოლიდან ნებართვას უპრობლემოდ აიღებენ, ტყუილის თქმა არ მოუწევთ: შესაძლოა, სამხრეთ მენს ურბანიზაციის კვალი დაეტყო კიდეც, მაგრამ აქ, ამ ღვთისგან მივარდნილ ადგილას, ნადირობა კვლავ ახალგაზრდის განათლების ნაწილია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ის ახალგაზრდა ბიჭია). იმის გაფიქრებაც კი, რომ სანამ ტყეში დატენილი თოფებით ივლიან, მათი ამხანაგები მშობლიურ სკოლაში გაკვეთილების გაზუთხვით იქნებიან დაკავებული, მათში ისეთ აღფრთოვანებას იწვევს, რომ ვერც კი შეამჩნევენ ქუჩის გადაღმა, დებილების აკადემიას. გაკვეთილები გო-

ნებრივად ჩამორჩენილებსაც დაახლოებით იმავე დროს უმთავრდებათ, მაგრამ მათი უმრავლესობა სკოლიდან მშობლებთან ერთად გამოდის ან სპეციალურ ავტობუსებში ჯდება, რომლებიც ყვითლად კი არა, ცისფრადაა შეღებილი, ბამპერზე წარწერით: „მხარი დაუჭირე მენტალურ სიჯანსაღეს, თორემ მოგკლავ“.

როდესაც ჰენრი, ბივერი, ჯოუნსი და პიტი „მერი მ. სნოუს“ ჩაუვლიან, რამდენიმე ჭკუასუსტი, ისეთი, სხვებზე ოდნავ უკეთ რომ აზროვნებს და შინ დამოუკიდებლად წასვლის უფლება აქვს, ჯერაც დაფლატუნებს ქუჩაში. მომრგვალებულ სახეებზე, როგორც ყოველთვის, გაოცება აღჰბეჭდვიათ. პიტი და მისი მეგობრები, ჩვეულებისამებრ, გულგრილად გახედავენ მათ და ალბათ, ვერც აღიქვამენ – ესენი ხომ მხოლოდ პეიზაჟის ნაწილია.

ჰენრი, ჯოუნსი და პიტი პირდაღებულნი უსმენენ ბივს, რომელიც უხსნის, რომ ხეობაში მოუწევთ ჩასვლა, რადგან საუკეთესო ირმები სწორედ იმ ადგილებს ეტანებიან, სადაც მათი საყვარელი ბუჩქებია.

– მე და მამამ იქ მილიარდი ირემი ვნახეთ! – სხაპასხუპით ამბობს იგი, რაზეც გაცვეთილი ქურთუკის შეხსნილი ელვაშესაკრავი წკარუნით ეთანხმება.

ლაპარაკობენ, როგორ მოინადირონ საუკეთესო, დიდი ირემი, სად უნდა მოარტყან ტყვია, რომ მაშინვე მოკვდეს და ზედმეტად არ დაიტანჯოს („მამაჩემმა მითხრა, რომ ისინი ჭრილობისგან ისე არ იტანჯებიან, როგორც ადამიანები, – ამბობს ჯოუნსი, – რომ ღმერთმა ისინი ისე შექმნა, რომ მათზე ნადირობა დაუბრკოლებლად შეგვეძლოს“.) იცინიან, ჯიკაობენ და იმაზე კამათობენ, თუ პირველად რომელს აერევა გული სისხლის დანახვაზე. დებილების აკადემიას გასცდებიან. საცაა წითელი აგურის კვადრატულ შენობას მიუახლოვდებიან, იქ „ძმები თრექერები“ საქმიანობენ.

– თუ ვინმე აღებინებს, ეს მე ნამდვილად არ ვიქნები! – ტრაბახობს ბივერი, – ათასჯერ მაინც მინახავს ირმის ნაწლავები, თქვენც ამბობთ, რა! მახსოვს, ერთხელ...

– ეი, ბიჭებო, – აწყვეტინებს მოულოდნელად აღელვებული ჯოუნსი, – თინა ჯინ შლოსინგერის ფისოს ნახვა ხომ არ გსურთ?

– ვინ არის თინა ჯინ სლოპინგერი? – მოჩვენებითი გულგრილობით ეკითხება პიტი, მაგრამ ყურები დაცქვეტილი აქვს. ფისოს ნახვა მისი დიდი ხნის ოცნებაა: იგი ყოველთვის ჩუმად ათვალიერებს მამამისის ჟურნალებს – „პენტჰაუზსა" და „ფლეიბოის", რომლებიც სახელოსნოში, ხელსაწყოების დიდი ყუთის უკანაა დამალული. ფისო სწორედ ისაა, რაც მას ძალზე აინტერესებს. თუმცა, მისგან ისე არ აღიგზნება, როგორც მოშიშვლებული ძუძუებისგან, ალბათ იმიტომ, რომ ჯერ პატარაა.

მაგრამ ფისო მართლაც საინტერესოა.

– შლოსინგერი, – სიცილით უსწორებს ჯოუნსი, – შლოსინგერი, პიტეცკი. შლოსინგერები ჩემგან ორ კვარტალში ცხოვრობენ და... – მოულოდნელად ჩუმდება, შეკითხვა დაებადება, რაც დაუყოვნებლივ მოითხოვს პასუხს, ამიტომ ჰენრის სახელოზე ექაჩება, – შლოსინგერები ებრაელები არიან თუ რესპუბლიკელები?

ახლა ჰენრი დასცინის ჯოუნსის, მაგრამ ამას უბოროტოდ აკეთებს.

– ჩემი აზრით, ტექნიკურად შესაძლებელია, ერთდროულად ერთიც იყო და მეორეც, ან... არც ერთი.

ჰენრი სიტყვა „არც ერთს" ისე წარმოთქვამს, როგორც „ას ერთს", რაც პიტზე წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. რა სასიამოვნოდ ჟღერს, დედის გინებასავით! საკუთარ თავს უბრძანებს, ამიერიდან მხოლოდ „ას ერთი, ას ერთი, ას ერთი" წარმოთქვას... თუმცა იცის, მათ რიცხვს ეკუთვნის, ვინც მთელი ცხოვრება „ას ერთი" უნდა იძახოს.

– არასოდეს იფიქრო რელიგიასა და პოლიტიკაზე, – სიცილით განაგრძობს ჰენრი, – თუ იმ შენი თინა ჯინ შლოსინგერის სურათი გაქვს შიშველი ფისოთი, მეც ვნახავდი.

ბივი აშკარად აღგზნებულია: ლოყები უპრიალებს, თვალები უბრწყინავს, ნახევრად დაღეჭილ კბილსაჩიჩქნს ახლით ცვლის. იმ ქურთუკის ელვაშესაკრავი, მისი უფროსი ძმა რომ ატარებდა, ფონზით[57] გატაცების ოთხი წლის განმავლობაში, უფრო ხმამაღლა წკარუნებს.

– ქერაა? – ეკითხება იგი, – ქერაა და თანაც უმაღლეს სკოლაში? სუპერბომბი? – მკერდზე ხელებს იდებს და ძუძუების იმიტაციას აკეთებს. ხედავს, რომ ჯოუნსი ღიმილით ეთანხმება, სახით პიტისკენ ტრიალდება და ხმამაღლა პასუხობს:

– წლის დედოფალია, სულელო, გესმის? ხომ გახსოვს კურსდამთავრებულთა შეხვედრის დღე? სწორედ იქ აირჩიეს! მისი სურათი გაზეთშიც დაბეჭდეს! ნავში იჯდა რიჩი გრენადოსთან ერთად!

– ჰო. მაგრამ იმ დღეს დაფეხვილმა „ვეფხვებმა" თამაში წააგეს, გრენადოს კი ცხვირი გაუტეხეს, – ერთვება ჰენრი, – ხომ წარმოგიდგენიათ?! პირველად ისტორიაში დერის სკოლის გუნდი კლასის გუნდს შეხვდა სამხრეთ მენიდან, იმ ხეპრეებმა კი...

– ეშმაკსაც წაუღია ის „ვეფხვები", – ხელს ჩაიქნევს პიტი, რომელსაც სასკოლო ფეხბურთი საძულველ ხ-ზე ოდნავ მეტად თუ აინტერესებს. რაც მთავარია, ახლა იცის, ვისზეც საუბრობენ. გაზეთში დაბეჭდილი გოგონას ფოტოც ახსენდება – ცელულოზის გადამტან ბარჟაზე „ვეფხვების" წამყვან მოთამაშესთან ერთადაა, ყვავილებით მორთულ გემბანზე დგანან და თავზე ფოლგისგან გაკეთებული გვირგვინები ადგათ, იღიმებიან და მაყურებლებს ხელს უქნევენ. გოგონას ტალღოვანი თმა აქვს, უბრეტელო კაბიდან მკერდი მოუჩანს.

პიტს ცხოვრებაში პირველად ეწვევა ავხორცული ჟინი. ხორციელი, სისხლიანი ვნება ასოს გაუმაგრებს. პირი უშრება, თავში ყველაფერი ერევა. ფისო, რასაკვირველია, საინტერესო რამეა, მაგრამ

[57] ტელესერიალ „ბედნიერი დღეების" პერსონაჟ ფონზარელის, მეტსახელად ფონზის, ჩაცმულობის მიხედვით.

ადგილობრივი, პირადი „ფისოს", ნაცნობი გოგოს, მეჯლისის დედოფალ „ფისოს" დანახვა გაცილებით ამაღელვებელია! როგორც ქალაქის „ახალი ამბების" კინოკრიტიკოსი ამბობს იმ ფილმებზე, რომლებიც განსაკუთრებით მოსწონს, ეს აუცილებლად უნდა ნახო!

– სად? – ეკითხება ჯოუნსის და წარმოიდგენს, თინა ჯინ შლოსინგერი ქუჩის კუთხეში სკოლის ავტობუსს როგორ ელოდება, დგას, მეგობარ გოგონებთან ერთად კისკისებს და წარმოდგენა არ აქვს, რომ გამვლელ ბიჭს ნანახი აქვს, რასაც მალავს კაბის თუ ჯინსის შარვლის ქვეშ, თმისფერი ბეწვებიც კი დაუნახავს მის ფისოზე, – სად არის?

– აქ, – ჯოუნსი წითელი აგურის ყუთზე უთითებს, რომელსაც ოდესღაც „ძმები თრექერები" საწყობად იყენებდნენ. კედლებს სურო მოსდებია, შემოდგომა ცივი იყო და თითქმის ყველა ფოთოლი გაშავებულა და დამჭკნარა. ფანჯრების ნაწილი ჩამტვრეულია, ნაწილი – საშინლად ჭუჭყიანი. ამ ადგილის დანახვაზე პიტს ტანში ჟრუანტელი უვლის, შესაძლოა იმიტომ, რომ მოზრდილი ბიჭები, უმაღლესი სკოლიდან, ხშირად თამაშობენ ბეისბოლს შენობის უკან მდებარე მოედანზე, ზოგიერთს კი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი პატარების დაცინვა და წვალება – ალბათ ერთფეროვანი ცხოვრების გამო. მაგრამ ახლა ასე არაა, რადგან ბეისბოლს წელს აღარ ითამაშებენ, დიდმა ბიჭებმა კარგა ხანია, სტროფორდ-პარკისკენ გადაინაცვლეს, სადაც თოვლის მოსვლამდე ამერიკული ფეხბურთით გაერთობიან (თოვლის მოსვლის შემდეგ კი ერთმანეთს თავ-ყბას დაამტვრევენ ძველი, იზოლაციაშემოხვეული ჰოკეის ყვანჯებით). უბედურება ისაა, რომ ზოგჯერ, დერიში ბავშვები იკარგებიან. ამ მხრივ დერი უცნაური ქალაქია. და ისე ხდება, რომ დაკარგულ ბავშვებს უკანასკნელად „ძმები თრექერების" ცარიელ, ძველ საწყობთან ხედავენ ხოლმე. უსიამოვნო ფაქტზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, მაგრამ ყველამ იცის. იციან და დუმან.

მაგრამ ეს ფისო აბსტრაქტული „პენტჰაუზიდან" კი არ არის, არამედ მეზობელ ქუჩაზე მცხოვრები გოგოს ნამდვილი მუფტაა...[58] მის ნახვას რა სჯობს. მაგარი რამეა!

– „ძმები თრექერები"? – ჰენრის ხმაში უნდობლობა გამოსჭვივის. ვერც კი შეამჩნიეს, შენობის სიახლოვეს რომ შეჩერდნენ და სანამ ჭკუასუსტები ქუჩის მეორე მხარეს დაბარბაცებენ, ესენი ტროტუარზე ადგილს ტკეპნიან, – ცუდად არ გამიგო, ჯოუნსი, ჩემთვის ავტორიტეტი ხარ, გეფიცები, დიდ პატივს გცემ, მაგრამ საიდან მოიტანე, რომ იქ თინა ჯინის ფისოს სურათებია?

– აბა, რა ვიცი? – მხრებს იჩეჩს ჯოუნსი, – დეივი ტრასკმა ნახა და იფიცება, რომ ისაა.

– რომ იცოდეთ, სულაც არ მეხალისება იქ წასვლა, – ამბობს ბივერი, – არა, თინა ჯინ სლოპჰენგერის ფისოს ნახვის წინააღმდეგი კი არ ვარ...

– შლოსინგერის...

–...მაგრამ ეს ადგილი მეხუთე კლასში რომ ვიყავით, მას შემდეგ ცარიელია.

– ბივ...

– ...დარწმუნებული ვარ, იქაურობა ვირთხებითაა სავსე.

– ბივ...

მაგრამ ბივს მტკიცედ გადაუწყვეტია ყველაფრის ბოლომდე თქმა.

– ვირთხებს ცოფი სჭირთ და ადამიანებზე გადააქვთ, – ამბობს იგი.

– შესვლა რად გვინდა, – უხსნის ჯოუნსი და სამივე ინტერესით შესცქერის მას, – ეს, როგორც ვიღაცამ თქვა, შავგვრემანი შვედის დანახვისას, სრულიად სხვა ფერის ნორვეგიელია.

ჯოუნსი გრძნობს, რომ მეგობრები ყურადღებით უსმენენ და განაგრძობს:

---

[58] აქ: ქალის გენიტალია.

– დეივიმ თქვა, რომ სადარბაზოს უნდა შემოვუაროთ და მესამე თუ მეოთხე ფანჯარაში შევიხედოთ. ოდესღაც იქ ფილ და ტონი თრექერების კაბინეტი ყოფილა. კედელზე ჯერაც ჰკიდია განცხადებების დაფა. დეივი იფიცება, რომ იმ დაფაზე ორადორი რამ არის გაკრული: ახალი ინგლისის რუკა სატვირთო მანქანების მარშრუტით და თინა ჯინ შლოსინგერის სურათი შიშველი ფისოთი.

ყველა პირდაღებული უყურებს, მხოლოდ პიტს ჰყოფნის გამბედაობა, ყველასთვის მნიშვნელოვანი შეკითხვა დასვას:

– სულ არაფერი აცვია?

– არა, დეივი ამბობს, რომ ძუძუები დაფარული აქვს, – აღიარებს ჯოუნსი, – სამაგიეროდ, კაბა აქვს წამოხდილი და ტრუსი არ აცვია. ეს ისევე მკაფიოდ ჩანს, როგორც მე თქვენ გხედავთ.

პიტი იმედგაცრუებულია, რომ კურსდამთავრებულთა საღამოს ამჟამინდელი დედოფალი დედიშობილა არ დგას, მაგრამ მისი წამოხდილი კაბა ყველას აღაგზნებს და პირველყოფილ, ნახევრად აკრძალულ წარმოდგენას ნამდვილ სექსზე ასაზრდოებს. ბოლოს და ბოლოს, ყველა ქალს აქვს კაბის წამოხდის უფლება, ყველას.

შეკითხვები ამოწურულია. მხოლოდ ბივი ცდილობს ჯოუნსისთან დააზუსტოს, რომ შიგნით შესვლა ნამდვილად არ მოუწევთ, მაგრამ ისინი უკვე ერთად, მტკიცედ და გაუცნობიერებლად მიემართებიან შენობის უკან მდებარე ცარიელი მოედნისკენ.

5

პიტმა მეორე ბოთლსაც მოუღო ბოლო და ცარიელი ჭურჭელი ბარდებში მოისროლა. ახლა თავს უკეთ გრძნობდა. დარწმუნდა, რომ სიარული შეეძლო, ფრთხილად წამოდგა და თოვლი დაიფერთხა. მუხლი თითქოს აღარ სტკიოდა. დიახ, ასე ჩანდა. თუმცა საშინ-

ლად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, ჯინსის ქვეშ მინესოტას მეტ-როდოუმის[59] პატარა მოდელს მალავსო. მაინც ცდილობდა, ნელა ევ-ლო და პაკეტს ოდნავ აქნევდა. ახლა, როდესაც აღარ ჩაესმოდა ხმა, რომელიც ჩუმად, მაგრამ დაჟინებით უმტკიცებდა, – ლუდი უნდა და-ლიოო, – ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა, ერთგვარი თანაგრძნო-ბითაც კი განიმსჭვალა ქალის მიმართ და გულის სიღრმეში იმედს არ კარგავდა, რომ მან მისი არყოფნა ვერ შეამჩნია. ნელა ივლიდა, მუხლს ყოველ ხუთ წუთში დაიზელდა (იქნებ დალაპარაკებოდა კი-დეც მას, დაემშვიდებინა. გიჟური იდეა იყო, მაგრამ, ბოლოს და ბო-ლოს, აქ ხომ მარტო იმყოფებოდა და ეს ზიანს ვერ მიაყენებდა) და თანდათანობით დანიშნულების ადგილამდე მიაღწევდა. იქ კი ლუდ-საც დალევდა.

ერთხელაც არ გახედა მიტოვებულ სკაუტს და ვერ დაინახა, რომ თოვლზე დიდი ასოებით რამდენჯერმე ეწერა „დადიტსი", ვერ გააც-ნობიერა, რომ თვითონ დაწერა ეს სახელი, სანამ შორეულ 1978 წელს იხსენებდა.

... მაშინ ჰენრიმ იკითხა, რატომ უნდა ეკიდოს შლოსინგერის გო-გოს ფოტოსურათი ცარიელ კაბინეტში ან საწყობშიო, და პიტს თავ-ში გაუელვა, რომ ჰენრიმ შეკითხვა იმიტომ დასვა, რომ მათ შორის სკეპტიკოსი სწორედ ის იყო. მხოლოდ იკითხა, დანარჩენებმა კი და-უჯერეს. რატომაც არა? ცამეტი წლის პიტს ნახევარი ცხოვრების განმავლობაში სანტა კლაუსის არსებობაც კი სჯეროდა. თანაც...

გორაკის წვერზე მყოფი პიტი შეჩერდა – არა ფეხის ტკივილის გამო, არც იმიტომ, რომ ვეღარ სუნთქავდა. უეცრად წყნარი ზუზუნი მოესმა, თითქოს ტრანსფორმატორი ამუშავდაო. მართალია, წყვე-ტილად, მაგრამ რიტმულად – „დნ-დნ-დნ". არა, უეცრად არა, უეც-რად არ გაუგონია. ეს ხმა დიდი ხნის განმავლობაში ისმოდა, თუმცა

[59] მულტისპორტული სტადიონი მინესოტის შტატის ქალაქ მინეაპოლისის ცენ-ტრში.

პიტმა მხოლოდ ახლა გაიგონა. და თავში მაშინვე სულელური აზრები მოუვიდა. კვლავ ჰენრის ოდეკოლონი და... მარსი. ვიღაც, სახელად მარსი. ნაცნობებს შორის მარსი არავინ ჰყავდა, მაგრამ ეს სახელი რატომღაც აეკვიატა: მჭირდები, მარსი, „მინდიხარ, მარსი" ან „დალახვროს ეშმაკმა, მარსი, ბენზინი მოიტანე! "

პიტი იდგა და გამშრალ ტუჩებს ილოკავდა. მივიწყებული პაკეტი მაჯაზე ეკიდა. სასწრაფოდ აიხედა ზევით, დარწმუნებული იყო, რომ ცეცხლოვან რგოლებს დაინახავდა. დაინახა კიდეც, ოღონდ მხოლოდ ორი ცალი და ისიც სუსტად მანათობელი.

– მარსის უთხარი, აიძულოს, რომ ნემსი გამიკეთონ, – პიტი ცდილობდა, ყოველი სიტყვა მკაფიოდ წარმოეთქვა სიცარიელეში. რატომღაც სჯეროდა, რომ სწორად იქცეოდა. რატომ და რა მიზეზით, ამის ახსნა არ შეეძლო, მაგრამ ამ ფრაზამ მის თავში გაიჟღერა. ძნელი სათქმელია, რამ გააცოცხლა ის – წკიპურტმა თუ ნათებამ. დარწმუნებით ვერაფერს იტყოდა.

– იქნებ, არავინ და არაფერმა, – თქვა მან და ახლაღა მიხვდა, რომ აღარ თოვდა. მის გარშემო არსებულ სამყაროში მხოლოდ სამი ფერი დარჩენილიყო: მუქი ნაცრისფერი ცა, მუქი მწვანე წიწვები და ქათქათა ხელუხლებელი თოვლი.

ყველაფერი მიყუჩდა.

პიტმა თავი ჯერ მარცხნივ გადახარა, შემდეგ – მარჯვნივ, და მიაყურადა. დიახ, ყოველივე მართლაც გარინდულიყო. მდუმარება. მთელ სამყაროში არაფერი იძროდა. არც ზუზუნი ისმოდა. თვალები ასწია და დაინახა, რომ პეპლის ფრთებივით გამჭვირვალე ნათება აღარ ჩანდა.

– მარსი? – თქვა მან, თითქოს ვინმეს ეძახდა. თავში გაუელვა, რომ მარსი იმ ქალს ერქვა, ვის გამოც ავარია მოხდა, მაგრამ ეს აზრი მაშინვე უკუაგდო. იმ ქალს ბეკის ეძახდნენ – ეს ისევე ზუსტად იცოდა, როგორც გასაღებდაკარგული სიმპათიური ქალის სახელი. მარსი მხოლოდ სიტყვა იყო და არავითარ მოგონებას არ აღუძრავდა.

ტვინი ხომ არ ეღრძო? ასეთი რამ ადრეც მოსვლია.

მწვერვალი გადაიარა და დაშვება დაიწყო. კვლავ გაახსენდა 1978-ის შემოდგომის ის დღე, როდესაც დადიტსს შეხვდნენ.

თითქმის დაივაკა, როდესაც მუხლი კი არ ეტკინა, ლამის აუფეთ-ქდა და შიგ ხანძარი გაუჩნდა.

თოვლში დაეცა. ვერ გაიგონა, როგორ დაიმტვრა „ბუდვაიზერის“ ბოთლები პაკეტში, ყველა, გარდა ორისა. მთელი ხმით ყვიროდა.

თავი მეექვსე
დადიტსი

ნაწილი მეორე

1

ჰენრი სწრაფად დაიძრა სახლის მიმართულებით, მაგრამ როდესაც თოვა თითქმის შეჩერდა, ერთი-ორი ფანტელი თუ ფარფატებდა და ქარიც შესუსტდა, იგი სპორტულ ძუნძულზე გადავიდა. წლების განმავლობაში დარბოდა და ის ტემპი სავსებით მისაღებად ეჩვენა. ადრე თუ გვიან, გაჩერება, სიჩქარის დაგდება ან დასვენება მოუწევდა, თუმცა ეს უკანასკნელი ნაკლებად სავარაუდო იყო. მას ცხრა მილზე გაცილებით მეტი ურბენია, ოღონდ – არა თოვლში და არა უახლოეს წარსულში. შესაშფოთებელი რა ჰქონდა? დაეცემოდა და ფეხს მოიტეხდა? გულის შეტევას მიიღებდა? ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში გულის შეტევა სრულიად არარეალურად ეჩვენებოდა, მაგრამ ინფარქტის კანდიდატი რომც ყოფილიყო, ახლა ამაზე ფიქრი მი-

სი მხრიდან უგუნურება იქნებოდა, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რაც ჩაიფიქრა. მაშ, რაღაზე ენერვიულა?

ჯოუნსისა და ბივერზე. აი, ვისზე. თუმცა, ეს ისეთივე სისულელე იყო, როგორიც იმაზე ფიქრი, რომ ამ თეთრ უდაბნოში გული უმტყუნებდა. უბედურება უკან, პიტთან და იმ უცნაურ, ნახევრად გათიშულ ქალთან უნდა მოეკითხა, და არა წინ, „კედელში გაკეთებულ ხვრელში"... არადა, ნამდვილი უბედურება სწორედ იქ, „კედელში გაკეთებულ ხვრელში" ტრიალებდა.

ვერ ხვდებოდა, ეს საიდან იცოდა. იცოდა და მორჩა. ჯერ კიდევ იქამდე იცოდა, სანამ ცხოველებს გადაეყრებოდა, ცოცხალ ჯაჭვში ჩაბმულნი აღმოსავლეთისკენ რომ მიიწევდნენ და ადამიანს არ უფრთხოდნენ.

ერთი-ორჯერ ცას ახედა, ცეცხლოვან რგოლებს ეძებდა, მაგრამ ვერაფერი ნახა. მალე ამაზე ფიქრის თავი აღარ ჰქონდა – წინ უნდა ეყურა, რათა ცხოველებს არ შესჯახებოდა. არა, ისინი უწესრიგოდ როდი გარბოდნენ, მაგრამ თვალები უცნაურად, შიშით უკრთოდათ, რაც ადრე მათთვის არასდროს შეუმჩნევია. ერთხელ განზეც კი გახტა, კუდფუმფულა მელიების წყვილისთვის გზა რომ დაეთმო.

„კიდევ რვა მილი", – უთხრა საკუთარ თავს. სპორტული ძუნძულის დროს ეს თავისებურ მანტრად ექცა, იმისგან განსხვავებით, რაც, ჩვეულებრივ, მოაფიქრდებოდა ხოლმე (ძირითადად, საბავშვო ლექსები), თუმცა, პრინციპი იგივე იყო. „კიდევ რვა მილი, კიდევ რვა მილი ბენბერი-კროსამდე". არავითარი ბენბერი-კროსი, მხოლოდ მისტერ კლარენდონის, ახლა კი ბივერის ძველი სამონადირეო ქოხი, და არანაირი ცხენ-ჯოხი იქ მისასვლელად. როგორ შეიძლება ცხენ-ჯოხით მგზავრობა? ვინ იცის! ღმერთო დიდებულო, რა ხდება აქ? ცეცხლოვანი ნათება, ცხოველების ნელი, მაგრამ განუხრელი გადაადგილება (ო-ო, ღმერთო! ვაითუ, ტყეში ნამდვილი დათვია?), შუა გზაზე, თოვლში მჯდარი ქალი, არა მარტო კბილები, შესაძლოა,

ტვინიც რომ დაჰკარგოდა. და ეს გაზები, ღმერთო ჩემო! მათ სიმყრალეს მხოლოდ ნაწლავის კიბოს ბოლო სტადიაზე მყოფის, სიმსივნით დაავადებულის პირიდან ამოსულ სუნს თუ შეადარებდა... „ამ სუნს ვერაფრით მოიშორებენ, – აუხსნა მეგობარმა გასტროენტეროლოგმა, – თუნდაც კბილები დღეში ოცჯერ იხეხონ, კბილის სავლები იხმარონ, არაფერი უშველით. ორგანიზმი საკუთარ თავს შიგნიდან ჭამს და თუ დიაგნოსტიკურ რევერანსებს არ გამოვედევნებით, კიბო ნამდვილი კანიბალიზმია".

კიდევ შვიდი მილი, კიდევ შვიდი მილი. ცხოველები კი კვლავ გარბიან, ყველანი დისნეილენდისკენ მიიწევენ. როცა მიაღწევენ, ჩამწკრივდებიან, „კონგას" იცეკვებენ და „რა პატარაა ეს სამყარო"–ს იმღერებენ.

ჩექმების თანაბარი, ყრუ ბაგუნი. ცხვირის ძგიდეზე სათვალის ცეკვა. ცივ ორთქლად გადაქცეული ამოსუნთქული ჰაერი. სირბილით გახურებულს ენდორფინები[60] გამოუმუშავდა. რაც უნდა დამართოდა, ენერგია მაინც არასდროს გამოელეოდა. შესაძლოა, თვითმკვლელობა აეკვიატა, მაგრამ დისტიმნია[61] მაინც არ სჭირდა.

ეს იყო მისი პრობლემის ნაწილი, – ფიზიკური და ემოციური სიცარიელე, აბორგებულ ქარბუქთან შერწყმა, – ჰორმონალური უკმარისობა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. ისევე, როგორც იმაში, რომ თუ სრულად განკურნება არა, ავადმყოფობის იმ აბებით გაკონტროლება მაინც შეიძლებოდა, რომელსაც ჰენრი ლიტრობით უწერდა პაციენტებს. მაგრამ, პიტის მსგავსად, რომელსაც მკურნალობის კურსის გავლა და წლების განმავლობაში ანონიმურ ალკოჰოლიკებთან შეხვედრები ელოდა, – ჰენრის განკურნება არ სურდა და დარწმუნებული იყო, რომ თავის მოტყუება იქნებოდა და სულის ნაწილს წაართმევდა მას.

---

[60] ტვინის მიერ გამომუშავებული ნივთიერება, უზრუნველყოფს დადებით ემოციას.

[61] მკვეთრი გადავარდნა ეიფორიიდან დეპრესიაში.

აინტერესებდა, პიტი ლუდის მოსატანად თუ წავიდა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ ასეც მოიქცა. ლუდი რომ გახსენებოდა, ჰენრი თვითონ შესთავაზებდა, – ორიოდე ბოთლს წამოგიღებო. ეს მას სახიფათო მოგზაურობას ააცილებდა (სახიფათოს არა იმდენად პიტისთვის, რამდენადაც ქალისთვის). მაგრამ იმ მომენტში ჰენრი ძალიან დაიბნა და ლუდისთვის არ ეცალა!

სამაგიეროდ, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ პიტს გაახსენდა. ოღონდ შეძლებდა კი ნატკენი მუხლით სკაუტამდე მისვლას? სავსებით შესაძლებელი იყო, თუმცა თავს ვერ დადებდა.

„ისინი დაბრუნდნენ! – ყვიროდა ქალი და ცაში იყურებოდა, – ისინი დაბრუნდნენ! ისინი დაბრუნდნენ! "

ჰენრიმ თავი დახარა და ნაბიჯს მოუჩქარა.

2

„კიდევ ექვსი მილი, კიდევ ექვსი მილი! " – ბენბერი-კროსამდე მართლა ექვსი მილი რჩებოდა თუ მოჭარბებული ოპტიმიზმი აფიქრებინებდა ამას? ზედმეტად ხომ არ ენდო ბებერ ენდორფინებს? და თუ ასეა, ოპტიმიზმი არაფერს ავნებდა. თოვა თითქმის შეწყდა, ცხოველთა ნაკადიც შემცირდა – ესეც კარგი იყო.

სამაგიეროდ, ფიქრები აეკვიატა, რომელთა უმრავლესობა, როგორც ჩანს, სხვებს ეკუთვნოდა. თუნდაც ბეკის. ვინ იყო ბეკი? ეს სახელი დიდხანს უბურღავდა ტვინს, სანამ მანტრის ნაწილი არ გახდა. ჰენრის აზრით, ეს ის ქალი იყო, რომელიც კინაღამ მოკლა. ვისია ეს გოგო? ბეკი, რატომ ბეკი, მე მშვენიერი ბეკი შუ ვარ.

ოღონდ მშვენიერს ვერ უწოდებდით, ნამდვილად ვერ უწოდებდით. ზორბა, აყროლებული დედაკაცი – აი, ვინ იყო სინამდვილეში – ახლა პიტ მურის საეჭვო მზრუნველობის ქვეშ რომ იმყოფებოდა.

„ექვსი. ექვსი. კიდევ ექვსი მილი ბენბერი-კროსამდე".

ჯერჯერობით კი აუჩქარებლად სირბილი, შეძლებისდაგვარად აუჩქარებლად სირბილი, გზისა და თავში მოზუზუნე უცხო ხმების

გათვალისწინებით. სიმართლე ითქვას, უცხო მხოლოდ ერთი იყო, ისიც ხმა კი არა, რაღაც რიტმული მისამღერის მსგავსი გახლდათ: „ვისია ეს პატარა გოგო, ვისია ეს პატარა მშვენიერი ბეკი შუ“.

დანარჩენ ხმებს ცნობდა. ისინი ან მეგობრებს ეკუთვნოდა, ან მათ, ვისაც მისი მეგობრები იცნობდნენ. ერთ-ერთი მათგანი ის იყო, რომლის შესახებაც ჯოუნსი საუბრობდა, ხმა, რომელიც უბედური შემთხვევის შემდეგ ჩაესმოდა და მის ტკივილებს გადაჯაჭვოდა: „შეწყვიტეთ, გთხოვთ. ამას ვერ გავუძლებ, ნემსი გამიკეთეთ. სად არის მარსი...“

შემდეგ ბივერის ხმა: „წადი, ღამის ქოთანში ჩაიხედე“.

და ჯოუნსის პასუხი: „იქნებ სააბაზანოს კარზე დავაკაკუნოთ და ვკითხოთ, როგორ არის“...

უცნობის კვნესა და მტკიცება, რომ თუ კუჭში გასვლას მოახერხებდა, ყველაფერი კარგად იქნებოდა...

...მაგრამ ეს უცნობი არაა. ეს რიკია, მშვენიერი ბეკი შუს მეგობარი. რიკ... რა გვარია? მაკარტი? მაკკინლი? მაკინი? ჰენრი დარწმუნებული არ იყო, მაგრამ უფრო მაკარტისკენ იხრებოდა, რაც კევინ მაკარტის[62] ახსენებდა საშინელებათა იმ ძველი ფილმიდან, რომელშიც უცხოპლანეტელები დედამიწაზე ჩვეულებრივი ადამიანების სახით წარდგნენ. ის ყველაზე მეტად ჯოუნსის მოსწონდა. ცოტაოდენი სასმელი, ფილმის ხსენება და, ჯოუნსი მაშინვე საკვანძო სიტყვებით პასუხობდა.

„ისინი აქ არიან! ისინი აქ არიან! “

ქალი ცას მიშტერებოდა და ისიც ყვიროდა:

– ისინი ბრუნდებიან! ისინი ბრუნდებიან!

ღმერთმანი, მსგავსი არაფერი ენახა ბავშვობის შემდეგ. თითქოს მაღალი ძაბვის კაბელში დენის მაგივრად ხმები გადიოდა.

მის პაციენტებსაც, ალბათ, მსგავსი ხმები ჩაესმოდათ. ჰენრი კი, ეს უდიდესი ფსიქიატრი („ახალგაზრდა მისტერ ღმერთი“, როგორც

[62] ამერიკელი მსახიობი.

ერთმა პაციენტმა უწოდა წლების წინ), მათ თავს ისე უქნევდა, თითქოს ყველაფერს ხვდებოდა. ეგონა კიდეც, რომ ხვდებოდა, თუმცა, მათ ჭეშმარიტ მნიშვნელობას მხოლოდ ახლაღა ჩასწვდა.

ხმები. ამ ხმებმა ისე გაიტაცა, რომ ყურადღება აღარ მიაქცია ვერტმფრენის გუგუნს, ღრუბლებიდან ზვიგენივით რომ ამოყვინთა. თანდათანობით ხმები ისევე მიწყდა, როგორც შორიდან მომავალი რადიოსიგნალი იკარგება ხოლმე, როდესაც დღის შუქი მატულობს და ჟანგბადი გაიშვიათებული აღარ არის. ბოლოს და ბოლოს, ეს მისი ფიქრების გამოძახილი იყო. დაეჟინა, რომ „კედელში გაკეთებულ ხვრელში" რაღაც საშინელება მოხდა ან ხდებოდა. ისეთივე, როგორიც სკაუტში ან მეტყევეთა ქოხში.

„კიდევ ხუთი მილი. კიდევ ხუთი მილი".

აღარ უნდა ეფიქრა, რა შეემთხვათ მის წინ და უკან მყოფ მეგობრებს, გონება იქით მიმართა, საითაც, მისი აზრით, პიტი უკვე ნამყოფი იყო: 1978 წლისკენ, „ძმები თრექერებისა" და დადიტსისკენ. რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა დადიტსს ამ წყეულ ვითარებასთან, ჰენრიმ არ იცოდა, მაგრამ ყველანი მასზე ფიქრობდნენ, ამის დადგენა მას სულ არ გასჭირვებია. პიტმა დადიტსი მაშინ ახსენა, როდესაც ბრეზენტზე დაწვენილ ქალს ქოხისკენ მიათრევდნენ; ბივერმა – როდესაც ის და ჰენრი ტყეში იყვნენ და ირემს კვალში ედგნენ, გაიხსენა, როგორ წაიყვანეს ერთხელ დადიტსი საშობაო საყიდლებზე ბანგორში. სწორედ მას შემდეგ, რაც ჯოუნსიმ ლიცენზია აიღო. იმ ზამთარს ჯოუნსი ყველგან წავიდოდა, სადაც კი სთხოვდნენ. ბივს დადიტსზე ეცინებოდა, რადგან ის წუხდა, სანტა კლაუსი ნამდვილი არ არისო, ესენი კი, საშუალო სკოლის ოთხი მუტრუკი, დარწმუნებულნი, რომ ამქვეყნად ყველაფერი შეეძლოთ, მის გადარწმუნებას ცდილობდნენ და მოახერხეს კიდეც. გასულ თვეს ჰენრის ნასვამმა ჯოუნსიმ დაურეკა (პიტისგან განსხვავებით, ის არ თვრებოდა, განსაკუთრებით ავარიის შემდეგ, და სენტიმენტალობაც მანამდე არასოდეს გამოუვ-

ლენია) და უთხრა, – საბრალო დადიტს ქეველს 1978 წელს რომ დავეხმარეთ, იმაზე კარგი ცხოვრებაში არაფერი გამიკეთებია, ის ჩვენი გამარჯვების საათი იყოო. ჰენრი მიხვდა, რომ მან პიტსაც იგივე უთხრა. დადიტსი. მაგარი დადიტსი.

„კიდევ ხუთი მილი... იქნებ ოთხიც კი. კიდევ ხუთი მილი... იქნებ ოთხიც კი".

ისინი ფოტოსურათზე აღბეჭდილი რომელიღაც გოგოს „ფისოს" სანახავად მიდიოდნენ. ფოტო თითქოსდა მიტოვებული ოფისის განცხადებების დაფაზე მიემაგრებინათ. ამდენი წლის შემდეგ ჰენრი მის სახელს ვერ იგონებდა, მხოლოდ ის ახსოვდა, რომ გოგო იმ დარტყმული გრენადოს შეყვარებული და დერის საშუალო სკოლის ყოველწლიური გამოსაშვები საღამოს დედოფალი იყო. ეს ორი ფაქტი ქალიშვილის „ფისოს" ნახვის სურვილს განსაკუთრებით ამძაფრებდა. შენობასთან მისასვლელ გზაზე მათ „დერელი ვეფხვების" წითელი და თეთრი ფერებით გაწყობილი მაისური იპოვეს, ცოტა მოშორებით – კიდევ რაღაც.

„მეზიზღება ეს შოუ, ისინი ტანსაცმელს არასდროს იცვლიან", – თქვა მაშინ პიტმა. ჰენრიმ პასუხის გაცემა დააპირა და პირი გააღო კიდეც...

– ბავშვი ყვიროდა, – თქვა ჰენრიმ. მას თოვლზე ფეხი დაუსხლტა და შექანდა, მაგრამ დაცემას გადაურჩა და სირბილი განაგრძო. გონებაში კვლავ ოქტომბრის ის დღე და თეთრი ცა უტრიალებდა. გარბოდა და დადიტსზე ფიქრობდა. დადიტსის ყვირილმა მათი ცხოვრება შეცვალა, როგორც მიაჩნდათ – უკეთესობისკენ, მაგრამ ახლა ჰენრი ამას ასე გადაჭრით ვერ განაცხადებდა.

პირველად მოხდა, რომ ამაში დარწმუნებული აღარ იყო.

3

შენობამდე მისასვლელი გზა დაბზარულია, მიწიდან სარეველებს

ამოუყვია თავი, – აბა, ეს რა გზაა. ბივერი, ცხადია, ყველაზე წინ მიდის, თუმცა დაძაბულობისგან ლამის დუჟი გადმოუვიდეს. ჰენრის ეჩვენება, რომ პიტიც გაღიზიანებულია, თუმცა უკეთ გამოიყურება, მიუხედავად იმისა, რომ ერთი წლით უმცროსია. ბივერი კი... რა სიტყვა მოუხდება?.. ლამის შარვლიდან ამოხტეს.

ჰენრის გულში უხარია, ასეთ ზუსტ ფრაზას რომ მიაგნო და ცდილობს, არ გაეცინოს. თუმცა, ბივერი ისე მოულოდნელად ჩერდება, რომ პიტი ლამის ზედ შეასკდეს.

– ეი! – ამბობს იგი, – ეს რა ჯანდაბაა! ბარემ მიხმარე, ფრედი! ბავშვის მაისური!

და მართლაც, ეს მაისურია. წითელ და თეთრ ფერებში. არც ძველია და არც ჭუჭყიანი, მაშასადამე, აქ დიდხანს არ გდებულა. პირიქით, ახალივით გამოიყურება.

– მაისური-შმაისური, ვის რაში სჭირდება? – ხელს იქნევს ჯოუნსი, – მოდით...

– ცხენს ლაგამი ამოსდე, – ამბობს ბივერი, – ვერ ხედავ, მშვენიერი მაისურია.

მაგრამ როდესაც აიღებს, აღმოჩნდება, რომ არც ასეა საქმე. არა, ახალი კია – „დერელი ვეფხვების" მაისურია, ზურგზე 19 აწერია. პიტი ფეხბურთისთვის გახვრეტილ ცენტსაც არ გაიმეტებს, მაგრამ დანარჩენები ხვდებიან, რომ ეს რიჩი გრენადოს ნომერია. უკნიდან საყელო გახეული აქვს, თითქოს მისი პატრონი გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ქეჩოში ხელი წაავლეს და კინწისკვრით დააბრუნეს უწინდელ ადგილზე.

– როგორც ჩანს, შევცდი, – ნაღვლიანად ამბობს ბივი და მაისურს მოისვრის, – წავედით.

მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმასაც ვერ ასწრებენ, რომ კიდევ რაღაცას წააწყდებიან – ამჯერად წითელს კი არა, ყვითელს, ხასხასა ყვითელ პლასტმასს, ასე რომ უყვართ პატარებს. წინ მიმავალი ჰენრი იხრება და იმ რაღაცას იღებს. საუზმის ჩასადები ყუთია.

ზემოდან სკუბი-დუ და მისი მეგობრები ახატია, რომლებიც მოჩვენებებით სავსე სახლიდან გარბიან. მაისურის მსგავსად, ისიც ახალივითაა. არაფერი მიუთითებს, რომ დიდხანს ეგდო ნაგავში, მაგრამ ჰენრი ლამის ცუდად გახდეს. არ უნდა მოსულიყვნენ ამ მიყრუებულ ადგილას... ყოველ შემთხვევაში, სხვა დღე უნდა შეერჩიათ. მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა, ხვდება, სისულელე გაიფიქრა. როდესაც საქმე „ფისოს" ეხება ან სწრაფი მოქმედებაა საჭირო, ან – უარის თქმა. მაგრამ სამომავლოდ გადადებაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

– ვერ ვიტან ამ დამპალ შოუს, – ამბობს პიტი და ჰენრის მხარზე-მოდან ათვალიერებს კოლოფს, – თუ შეგიმჩნევია, რომ ტანსაცმელს არასდროს იცვლიან და ყოველ შოუში ერთი და იგივე აცვიათ?

ჯოუნსი ჰენრის სკუბი-დუს ყუთს ართმევს და ატრიალებს, რათა მეორე მხარეს გულმოდგინედ გამოყვანილ ასოებს დააკვირდეს. აღგზნებული თვალები თანდათან უმშვიდდება და მათ ერთგვარი გაოცება ცვლის. ჰენრი გრძნობს, რომ ჯოუნსიც ნანობს აქ წამოსვლას. აჯობებდა, ორი ორზე ეთამაშათ...

ყუთზე უკნიდან მიკრული სტიკერი იუწყება: „მე დუგლას ქეველს ვეკუთვნი. მენის შტატი, ქალაქი დერი, მეიპლეინის ქუჩა, სახლი №19. თუ ბიჭი, რომელსაც ვეკუთვნი, დაიკარგება, დარეკეთ 949-1864. გმადლობთ! "

ჰენრი პირს აღებს და აპირებს თქვას, რომ ყუთი და მაისური, სავარაუდოდ, იმ ბიჭისაა, რომელიც დებილების აკადემიაში დადის, – ეს აშკარაა სტიკერის მიხედვით; ძაღლების საყელურზე გაკეთებულ წარწერას ჰგავს, – მაგრამ ამ დროს შენობის მოპირდაპირე მხრიდან, იქიდან, სადაც მოზრდილი ბიჭები ზაფხულობით ბეისბოლს თამაშობენ, ყვირილი ისმის, თანაც ისეთი შესაბრალისი, რომ ჰენრი მაშინვე ადგილიდან წყდება და იქით გარბის, წარმოდგენა არ აქვს, რომ ამ ხმის პატრონს, შესაძლოა, ცხოვრებაში პირველად აწყენინეს ან შეაშინეს (იქნებ ორივე ერთად).

მას დანარჩენებიც მიჰყვებიან. შენობისკენ სარეველებით დაფარული მოკლე გზით ერთიმეორის მიყოლებით გარბიან: ჰენრი, ჯოუნსი, ბივი და პიტი.

იქიდან კაცის სიცილი ისმის.

– მიდი, შეჭამე, – მბრძანებლობს ვიღაც, – შეჭამე და გაგიშვებ. შესაძლოა, დუნკანმა შარვალიც კი დაგიბრუნოს.

– ჰო, თუ... – იწყებს მეორე ბიჭი, ალბათ დუნკანი, მაგრამ მაშინვე ჩუმდება და ჰენრისა და მის მეგობრებს მიაჩერდება.

– ეი, ბიჭებო, გეყოფათ! – ღრიალებს ბივერი, – გეყოფათ, თქვენი დედაც! ..

დუნკანის ორი მეგობარი, რომელიც ხვდება, რომ მათი სიმყუდროვე ვიღაცამ უხეშად დაარღვია, შემოტრიალდება. მათ წინ ტრუსისა და ცალი ბოტასის ამარა, ჭუჭყით, სისხლით, ცრემლებითა და წვინტლით მოთხვრილი სახით, გაურკვეველი ასაკის ბიჭი მუხლებზე დგას. არა, პატარა სულაც არ არის, თუ მკერდზე ამოსული ბეწვით ვიმსჯელებთ, მაგრამ მაინც პატარას ჰგავს. ხასხასა მწვანე თვალები, ჩინელებისთვის დამახასიათებელი ჭრილით, ცრემლით ავსებია.

ჯგუფის უკან, წითელი აგურის კედელზე, მოჩანს დიდი თეთრი ასოებით გაკეთებული წარწერა, ეტყობა, კარგა ხნის წინ დაწერეს: „არ არის მოძრაობა, არ არის თამაში". ეს ალბათ რჩევაა, ბურთი აიღო და მოსცილდე შენობასა და ცარიელ მოედანს, სადაც მძიმე ტექნიკის ღრმა კვალი და ძველი ნაწილების გროვა შემორჩენილა. მაგრამ ვინ იტყვის ამას დარწმუნებით? არ არის მოძრაობა, არ არის თამაში. მომდევნო წლების განმავლობაში ისინი ხშირად გაიმეორებენ ამ ფრაზას. ეს მათი ახალგაზრდობის კოდური გამონათქვამებიდან ერთ-ერთი გახდება. შინაარსით მასთან ყველაზე ახლოს, ალბათ, ესაა: „ვინ იცის?" ან „აბა, აქ რას გააწყობ?" ღიმილით უნდა თქვა და ხელები გაშალო ან მხრები აიჩეჩო.

– თქვენ ვინ ჩემი ფეხები ხართ? – ეკითხება ბივს ერთ-ერთი ბიჭი.

მარცხენა ხელზე ბეისბოლის თუ გოლფის მოთამაშის თათმანი უკეთია – რაღაც, სპორტული. იმ თათმანით ძაღლის გამხმარი განავალი უჭირავს და ცდილობს, თითქმის შიშველ ბავშვს შეაჭამოს.

– რას აკეთებთ? – ყვირის შეძრწუნებული ჯოუნსი, – გინდათ, აჭამოთ? ხომ არ გადაირიეთ?

ბიჭს, რომელსაც განავალი უჭირავს, ცხვირზე თეთრი ლეიკოპლასტირი აკრავს. ჰენრის კინაღამ სიცილი წასკდება, როცა მას სახეზე იცნობს. რა მაგარია! აი, ეს მესმის! მეჯლისის დედოფლის „ფისოს" ნახვა უნდოდათ და წააწყდნენ მეფეს, რომლის საფეხბურთო სეზონიც განსაკუთრებული ტრაგედიების გარეშე დასრულდა – თუ გატეხილ ცხვირს არ ჩავთვლით – და რომელიც ახლა თავის გემოზე ერთობა მაშინ, როდესაც დანარჩენი გუნდი მომდევნო მატჩისთვის ემზადება.

რიჩი გრენადო, როგორც ჩანს, ვერ ხვდება, რომ იცნეს: ის ჯოუნსის მისჩერებია. მოულოდნელად წაადგნენ თავს, თანაც, ჯოუნსის ხმაში ისეთი დაუფარავი ზიზღი იგრძნობა, რომ რიჩი იბნევა და ნაბიჯით უკან იხევს, მაგრამ მაშინვე აცნობიერებს, რომ ის, ვინც საყვედურს უბედავს, მასზე სამი წლით უმცროსი და ასი გირვანქით მსუბუქი მაინც არის, და ჩამოშვებულ ხელს ისევ მაღლა სწევს.

– ეს განავალი უნდა ვაჭამო, – ამბობს იგი, – მერე კი გავუშვებ. აქედან მოუსვი, ცინგლიანო, თუ არ გინდა, რომ ნახევარი შენ შეგხვდეს.

– ჰო, მოცოცხეთ, – ერთვება მესამე. რიჩი გრენადო გვარიანი მოზვერია, მაგრამ ისიც კი ვერ მივა ახლოს ამ მოტრეტილ, ექვსი ფუტი და ხუთი დუიმი სიმაღლის ახმახთან, სახე რომ დამუწუკებია, – სანამ...

– ვიცი, ვინც ხართ, – აწყვეტინებს ჰენრი.

რიჩი ახლა მას მიაპყრობს ფრთხილ და, იმავდროულად, გაღიზიანებულ მზერას.

– მომწყდი თავიდან, შვილო, აღარ გამამეორებინო.

– რიჩი გრენადო ხარ. შენი სურათი გაზეთში ვნახე. როგორ გგონია, რას იტყვის ხალხი, როდესაც ყველას გავაგებინებთ, რასაც აკეთებდი?

– ვერავისაც ვერ გააგებინებთ, რადგან მიცვალებულები ხმას არ იღებენ, – სისინებს ის, რომელსაც დუნკანი ჰქვია. ღია ქერა, ჭუჭყიანი, დაუვარცხნელი თმა სახეზე ჩამოშვებია და მხრებამდე სწვდება, – აქედან დაიკარგეთ! ვის ეუბნებიან!

ჰენრი მას ყურადღებას არ აქცევს და ჯიქურ შესცქერის რიჩი გრენადოს. ოდნავაც არ ეშინია, თუმცა ხვდება, რომ ამ სამს მათი ცომივით გაბრტყელება შეუძლია. მაგრამ ისეა გაშმაგებული, როგორც არასდროს. მუხლებზე მდგარი ბიჭი აშკარად ჭკუასუსტია, მაგრამ არც იმდენად, რომ ვერ მიხვდეს – ეს სამნი მას განზრახ აწვალებენ, ჯერ მაისური დაუხიეს, ახლა...

ჰენრი ცხოვრებაში არასდროს ყოფილა ასე ახლოს ცხვირ-პირის დანაყვასთან, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად ადარდებს. ხელებმომუშტული დიდ ბიჭებს უახლოვდება. მუხლებზე მდგარ ბავშვს თავი ჩაუქინდრავს და სლუკუნებს. ეს ხმა ჰენრის ექოსავით ჩაესმის და ბრაზს უღვივებს.

– ყველას მოვუყვები, – იმეორებს იგი, და თუმცა ეს მუქარა ბავშვურად ჟღერს, მას ასე არ ჰგონია. არც – რიჩის. რიჩი უკან იხევს და თათმანიან ხელს, რომლითაც განავალი უჭირავს, დაბლა უშვებს. სახეზე პირველად ემჩნევა შეშფოთება, – სამნი ერთის, საბრალო ჭკუასუსტი ბიჭის წინააღმდეგ, არა? შენი დედაც! .. ყველას ვეტყვი, ყველას. ვიცი, ვინც ხარ.

დუნკანი და ახმახი, რომელსაც სასკოლო ქურთუკი არ აცვია, რიჩის აქეთ-იქიდან ამოუდგებიან. ტრუსის ამარა ბიჭი მათ ზურგს უკან აღმოჩნდება, თუმცა ჰენრის კვლავაც ესმის მისი ქვითინის მფეთქავი რიტმი, რომელიც თავში გადაეცემა, საფეთქლებში ურტყამს. გაგიჟებას აღარაფერი უკლია.

– კარგი, ეს თვითონ მოისურვეთ, – იკრიჭება ახმახი და მომტვრეული კბილების ადგილას შავი ორმოები მოუჩანს, – ახლავე მოგიღებთ ბოლოს.

– პიტ, თუ მოგვიახლოვდებიან, გაიქეცი, – ამბობს ჰენრი და რიჩი გრენადოს თვალს არ აცილებს, – შინ გაიქეცი. დედას დაუძახე, რომ პოლიციაში დარეკოს. თქვენ სამნი მას ვერასდროს დაიჭერთ, ვერ დაეწევით.

– მართალი ხარ, ჰენრი, – უდასტურებს პიტი. წვრილი ხმა აქვს, შიშის ნასახიც არ ეტყობა.

– რაც უფრო მაგრად გვცემთ, მით უფრო ცუდად წავა თქვენი საქმე, – ამბობს ჯოუნსი. ჰენრი უკვე გამოწრთობილი მებრძოლია, მაგრამ ჯოუნსისთვის ამგვარი რამ ნამდვილი მოვლენაა, ამიტომ გამომწვევად იცინის, – რომ მოგვკლათ კიდეც, ამითი რას მოიგებთ? პიტი მართლაც კარგად დარბის და ყველას მოუყვება.

– მეც სწრაფად დავრბივარ, – მშვიდად იგერიებს რიჩი, – ვერსად გამექცევა.

ჰენრი, როგორც იქნა, შემოტრიალდება – ჯერ ჯოუნსისკენ, შემდეგ კი პიტისკენ. ჩანს, რომ ისინი ფეხის მოცვლას არ აპირებენ. ბივი რაღაცას ხლაფორთობს კიდეც: მიწიდან ორ მოზრდილ, წვეტიან ქვას იღებს, ერთმანეთზე მრავალმნიშვნელოვნად აკაკუნებს და მოჭუტული თვალებით ხან რიჩის შეჰყურებს, ხანაც – ახმახს. პირში გაჩრილ კბილსაჩიჩქნს აგრესიულად ამოძრავებს.

– როგორც კი მოგვიახლოვდებიან, გრენადოს ეცით, – ბრძანებას იძლევა ჰენრი, – სხვები პიტს ვერ დაეწევიან.

იგი პიტს შესცქერის, რომელსაც სახე გაჰფითრებია, მაგრამ ვაჟკაცურად დგას: თვალები უბრწყინავს, ფეხს მოუთმენლად ინაცვლებს, ყოველ წუთს მზად არის გასაქცევად.

– პიტ, დედას ეტყვი, სადაც ვართ. პოლიციელები გამოგზავნოს. ამ დარტყმულის სახელიც არ დაგავიწყდეს, – იგი ოლქის პროკურორივით იშვერს თითს გრენადოსკენ, რომელსაც ისევ გაუბედაობა

ეტყობა. და შიშიც.

– რიჩი გრენადო, – ამბობს პიტი და ლამის აცეკვდეს, – არ დამავიწყდება.

– მიდი, შე ვირის მხედნელო, – აქეზებს ბივერი. როგორც ყოველთვის, საუკეთესო ეპითეტს ირჩევს, – მაგ ცხვირს ერთხელაც გაგისწორებ. მხოლოდ წიწილასავით მშიშარა თუ მიატოვებს გუნდს ასეთი ცხვირის გამო!

გრენადო აღარ პასუხობს: ალბათ აღარ იცის, რომელს უპასუხოს. ამ დროს მორიგი სასწაული ხდება – დუნკანი, მეორე შავქურთუკიანი ბიჭი, ფეხს უხერხულად ინაცვლებს. ლოყები და შუბლი თანდათან უწითლდება, ნერვიულად ილოკავს ტუჩებს და გაუბედავად უყურებს რიჩის. მხოლოდ ახმახია ბრძოლისთვის მზად და ჰენრი თითქმის დარწმუნებულია, რომ შერკინება გარდაუვალია. ჰენრი, ჯოუნსი და პიტი ასე ადვილად არ დანებდებიან. თუ საქმე ჩხუბამდე მივა, აჩვენებენ, რაც შეუძლიათ, რადგან ეს ტირილი, ეს საშინელი, აუტანელი ტირილი, თავში ჩაქუჩივით ურტყამთ...

– ეი, რიჩ, იქნებ არ ღირდეს... – იწყებს დუნკანი.

– მოვკლათ, – იღრინება ახმახი, – მივასიკვდილოთ ეს ცინგლიანები.

ნაბიჯს წინ დგამს. წამით ყველაფერი ბეწვზე ჰკიდია. ჰენრი ხვდება, რომ თუ ეს საფრთხობელა მათ კიდევ უფრო მიუახლოვდება, რიჩი გრენადო მას ველარ გააკონტროლებს, და ისიც, ბებერი, ბრაზიანი პიტბულივით აიწყვეტს და ხორცისა და ძვლების ეს საშინელი მასა მსხვერპლს დაეძგერება.

მაგრამ რიჩი მეგობარს განავარდებისა და ვაი-უშველებლის ატეხის საშუალებას არ აძლევს. დროულად სწვდება ახმახს მაჯაში, რომელიც ჰენრის მაჯაზე ორჯერ მსხვილია და მოწითალო ბალნითაა დაფარული.

– არა, სკოტი, – ამბობს იგი, – მოიცადე.

– ჰო, მოიცადე, – კვერს უკრავს თითქმის პანიკაში მყოფი დუნკანი და შეხედავს ჰენრის, რომელსაც ეს მზერა, თავისი თოთხმეტი წლის მიუხედავად, უცნაურად ეჩვენება. საყვედურით აღსავსე, გამკიცხავი მზერაა. თითქოს სწორედ ჰენრი და მისი მეგობრები კადრულობენ უკადრებელს.

– რა გინდათ? – კითხულობს რიჩი, – გსურთ, რომ წავიდეთ?

ჰენრი თავს უქნევს.

– თუ წავალთ, როგორ მოიქცევით? ენას აყრანტალებთ?

მოულოდნელად ჰენრი რაღაც განსაცვიფრებელს აღმოაჩენს: ახმახი სკოტის მსგავსად, ერთი სული აქვს, იჩხუბოს. მისი სულის რომელიღაც ნაწილი საჩხუბრად მიიწევს, უნდა, რიჩის სახეში მიახალოს: „ყველას ვეტყვით, შენი დედაც! " იცის, რომ მეგობრები არ მიატოვებენ და ზედმეტი სიტყვა არასდროს დასცდებათ, თუნდაც სასტიკად გაილახონ, თუნდაც საავადმყოფოში აღმოჩნდნენ.

მაგრამ ბავშვი... საბრალო, ატირებული, გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვი. როგორც კი ეს ბიჭები ჰენრის, ბივერსა და ჯოუნსის გალახავენ (პიტსაც, თუ მის დაჭერას მოახერხებენ), მას მიუბრუნდებიან და შესაძლოა, უარესიც დამართონ, ვიდრე ძაღლის განავლის ჭმევაა.

– არავის ვეტყვით, – ამბობს იგი, – სიტყვას არავისთან დავძრავთ.

– ცრუობს, – სისინებს სკოტი, – იტყუება ეს ტრაწიანი, კარგად დააკვირდი, რიჩ!

სკოტი კვლავ იქაჩება, მაგრამ რიჩი მაჯაზე ხელს უფრო მაგრად უჭერს.

– თუ ყველაფერი მშვიდობიანად მოგვარდება, – ამატებს ჯოუნსი დინჯი და გონებადამჯდარი კაცივით, – მოსაყოლიც არაფერი იქნება.

რიჩი ალმაცერად გახედავს და ჰენრის მიუბრუნდება:

– ღმერთი დაიფიცე.

– ღმერთს გეფიცები.

– თქვენ არ დაიფიცებთ? – ეკითხება გრენადო დანარჩენებს.

ღმერთს ჯოუნსი, ბივი და პიტიც იფიცებენ.

გრენადო ცოტა ხანს დაფიქრდება, მოწინააღმდეგე მხარისთვის დრო უსასრულოდ იწელება, შემდეგ კი მხრებს იჩეჩს.

– ჯანდაბას, ასე იყოს, მივდივართ.

– თუ ჩვენკენ წამოვლენ, შენობას სხვა გზით შემოურბინე, – სწრაფად ჩასჩურჩულებს ჰენრი პიტს, რადგან მოზრდილი ბიჭები უკვე გადიან ეზოდან, მაგრამ გრენადოს კვლავაც ღონივრად ჩაუვლია ხელი ახმახისთვის, რაც, ჰენრის აზრით, კარგის ნიშანია.

– დიდი ამბავი! არც ღირს დროის დაკარგვად, – აგდებულად ამბობს რიჩი და ჰენრის ისე ძლიერ უნდება გაცინება, რომ თავს ძლივს იკავებს. ისღა აკლია, რომ ასეთ შეუფერებელ დროს გაეცინოს, როცა ყველაფერი მოგვარდა. მისი ერთი ნაწილი სიძულვილისგან ადგილს ვერ პოულობს, მეორე კი შვებისგან ცახცახებს.

– ვერ გამიგია, ასე რამ გადაგრიათ! – ამბობს მოულოდნელად რიჩი, – ასეთი რა მოხდა.

ჰენრის, თავის მხრივ, ენა ექავება, სურს ჰკითხოს, თვითონ როგორღა შეეძლო ასე მოქცევა, ოღონდ ეს რიტორიკული შეკითხვა არაა. ღმერთო ჩემო, ეს ტირილი! მაგრამ დუმს, იცის, რომ მისი ნათქვამი მხოლოდ გააღიზიანებს ამ ვირიშვილს და ყველაფერი წრეზე დატრიალდება.

აქ იწყება ერთგვარი ცეკვა, რომლის ათვისებაც ყველას მოუწევს, ვინც პირველ და მეორე კლასებში სწავლობს. როგორც კი რიჩი, დუნკანი და სკოტი დაიძრებიან (რწევა-რწევით, რათა აჩვენონ, რომ დგომა მოჰბეზრდათ და მცირეწლოვნების ბანდას კი არ გაურბიან, არამედ საკუთარი სურვილით მიდიან), ჰენრი და მისი მეგობრები მათკენ სახით შეტრიალდებიან, შემდეგ გვერდიგვერდ დგებიან, ერთად იხევენ უკან ატირებული ბავშვისკენ და ბოროტ სამეულს მისკენ გზას უღობავენ.

შენობის კუთხეში რიჩი ჩერდება და მათკენ იხედება.

– არა უშავს, კიდევ შევხვდებით, – ამბობს იგი, – ერთი ერთზე ან ყველა ერთად.

– ჰო, – ეთანხმება დუნკანი.

– დარჩენილ ცხოვრებას ჟანგბადის პალატაში გაატარებთ, – ამატებს სკოტი და ჰენრი კვლავ გრძნობს მხიარულების შემოტევას. გულში ლოცულობს, რომ მის მეგობრებს რამე არ წამოსცდეთ, სიტუაცია არ აირიოს, მაგრამ ყველა ჩუმადაა. ეს თითქმის სასწაულია.

რიჩის უკანასკნელი ბოროტი გამოხედვა და, – ჰენრი, ჯოუნსი, პიტი და ბივი მარტო რჩებიან პატარა ბავშვთან, რომელიც ჭუჭყიან მუხლებზე წინ და უკან ქანაობს; მოთხუპნილი, სისხლითა და ცრემლებით მოსვრილი, განყენებული მზერა თეთრი ცისთვის რომ მიუპყრია და სახე გაფუჭებული საათის ციფერბლატს მიუგავს. ბიჭები ერთმანეთს გადახედავენ, არ იციან, როგორ მოიქცნენ. დაელაპარაკონ? აუხსნან, რომ ყველაფერი მოგვარდა, რომ ცუდი ბიჭები წავიდნენ და საფრთხემ ჩაიარა? მაინც ვერაფერს გაიგებს. ოჰ, რა ძნელია ამ ტირილის ატანა. როგორ შეეძლოთ იმ კრეტინებს, თუნდაც ბოროტებსა და სულელებს, ბავშვის გულის მომკვლელი ქვითინი არაფრად ჩაეგდოთ და აბუჩად აეგდოთ საბრალო?

მოგვიანებით ჰენრი ამას მიხვდება... გაერკვევა... მაგრამ ჯერჯერობით ეს მისთვის საიდუმლოებითაა მოცული.

– რაღაცას მოვსინჯავ, – დაახეთქებს ბივერი.

– რა თქმა უნდა, რაც გენებოს, – ამბობს ჯოუნსი. ხმა უკანკალებს.

ბივი წინ გამოდის, მაგრამ მაშინვე მეგობრებს გახედავს. ამ მზერაში სირცხვილიც იკითხება, გამოწვევაც, და – ჰენრი მზადაა, დაიფიცოს – იმედიც!

– თუ ვინმესთან წამოგცდებათ, რასაც გავაკეთებ, სამუდამოდ დაგკარგავთ, – აფრთხილებს იგი.

– გეყოფა ლაქლაქი, – ამბობს პიტი და ხმა მასაც უთრთის, – თუ

მისი გაჩერება შეგიძლია, იმოქმედე!

ბივერი რამდენიმე წამით იმ ადგილას ჩერდება, სადაც რიჩი იდგა და ბავშვისთვის ძაღლის განავლის ჭმევას ცდილობდა, შემდეგ კი მუხლებზე დგება. უეცრად ჰენრი ხედავს, რომ პატარა ბიჭის ტრუსი, ისევე, როგორც ყუთი, მულტფილმის პერსონაჟებით – სკუბი-დუთი და მისი მეგობრებით, – შეგის მაგიური მანქანებითაცაა მოხატული.

ბივერი ატირებულ, თითქმის შიშველ ჭკუასუსტ ბავშვს ხელებს მოხვევს და სიმღერას იწყებს.

4

„კიდევ ოთხი მილი ბენბერი-კროსამდე... შესაძლოა, სამიც კი. კიდევ ოთხი მილი ბენბერი-კროსამდე... შესაძლოა, მხოლოდ...“

ჰენრის კვლავ დაუცდა ფეხი, მაგრამ ამჯერად თავის შეკავება ვეღარ მოახერხა: ძალზე ღრმად წავიდა მოგონებებში და დაეცა. გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უკვე მიწისკენ მიექანებოდა.

იგი ზურგზე მძიმედ დაეცა და შეჰყვირა. თოვლი შაქრის ფხვნილივით აიყარა ჰაერში. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ კეფა დაარტყა და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა.

ისე ეტკინა, ერთბაშად წამოდგომა ვერ შეძლო, იწვა და ელოდა, როდის შეახსენებდა თავს რომელიმე მოტეხილი კიდური. როდესაც სერიოზული ვერაფერი იგრძნო, ხელი ზურგს უკან წაიღო და წელი მოისრისა. სტკიოდა, მაგრამ გაუძლებდა. ათი-თერთმეტი წლის ასაკში, ზამთრობით სტროფორდ-პარკში ციგაობისას უარესიც მოსვლია, მაგრამ მხოლოდ იცინოდა ხოლმე. ერთხელ ციგას ყაჩაღანა პიტ მური მართავდა და გორაკის ძირში ორივენი დიდ ფიჭვის ხეს შეასკდნენ, ბიჭებმა მას „სიკვდილის ხე“ შეარქვეს. მაშინ ჩალურჯებებითა და ორიოდე კბილის მოყანყალებით გამოძვრნენ. სამწუხაროდ, ათი-თერთმეტი წლისანი ძალიან დიდი ხნის წინ იყვნენ.

– ადექი, პატარავ, ყველაფერი კარგადაა, – თქვა მან და ფრთხილად წამოჯდა. ზურგი დასჭიმოდა, მაგრამ ეს ტრაგედია არ იყო.

მხოლოდ ძვლები გაუტკაცუნდა ცოტათი. არაფერი დაზიანებია, წყეული თავმოყვარეობის გარდა, როგორც ისინი ოდესღაც ამბობდნენ ხოლმე. ჰენრი მაინც არ დგებოდა. მან რიგიანი დრო უჩვენა და დასვენებაც დაიმსახურა. თანაც მოგონებებმა გული აუჩუყა. რიჩი გრენადო, დამპალი რიჩი გრენადო, როგორც აღმოჩნდა, მართლაც აითესა ფეხბურთის გუნდიდან, ოღონდ არა გატეხილი ცხვირის გამო.

– კიდევ შევხვდებით, – დაჰპირდა დამშვიდობებისას და ჰენრიმ ეს მხოლოდ მუქარად როდი მიიღო, მაგრამ ჩხუბი აღარ მომხდარა, საერთოდ აღარ მომხდარა.

სამაგიეროდ, ამის ნაცვლად, სხვა რამ მოხდა. ძალიან დიდი ხნის წინათ. ახლა მას ბენბერი-კროსი – „კედელში გაკეთებული ხვრელი" – ელოდებოდა. და არ არსებობდა ცხენ-ჯოხი, რომელიც იქამდე მიიყვანდა, მხოლოდ ღარიბების ცხენი ჰყავდა – საკუთარი ფეხები. ჰენრი წამოდგა და ტანსაცმლიდან თოვლის ჩამოფერთხვას შეუდგა. უეცრად თავში საშინელი ყვირილი ჩაესმა.

– ო-ო, ო-ო, ო-ო! – შესძახა მან.

ღმერთო ჩემო, თითქოს უკნიდან ვიღაც მიეპარა და ფლეიერი მთელ ხმაზე ჩართო, თითქოს თავში ყუმბარა აუფეთქდა, თითქოს თვალწინ შენობა ჩამოიქცა. ერთბაშად უკან გადავარდა, როგორც დარტყმისგან გადავარდებიან ხოლმე, ხელებს უწესრიგოდ იქნევდა და წაიქცეოდა კიდეც, შემთხვევით გზის მარცხენა მხარეს, ფიჭვის გაყინულ ტოტებს რომ არ შეეჩერებინა.

როგორღაც გათავისუფლდა ხის „კლანჭებისგან", თუმცა ყურები უწინდებურად უწიოდა... თავიც, დალახვროს ეშმაკმა... ნაბიჯი წინ გადადგა, არ სჯეროდა, რომ ცოცხალი იყო. ხელი ცხვირთან მიიტანა და ხელისგული სისხლმა დაუსველა. პირში რაღაც ეგდო. თითები შეიყო და იქიდან კბილი გამოიღო, გაოცებით დახედა, მოისროლა და ამით ქურთუკის ჯიბეში მისი ჩადების სურვილს სძლია. რამდენადაც იცოდა, ჯერ არავის გაეკეთებინა მოტეხილი კბილის ქირურგიული იმპლანტაცია, და ჰენრის ძალიან ეეჭვებოდა, რომ დასახმარებლად

ჯადოსნური ქვეყნიდან კბილების ფერია გამოეცხადებოდა.

ვერაფრით გაარკვია, ვინ დაიყვირა, მაგრამ რატომღაც გაიფიქრა, – პიტ მურს დიდი უსიამოვნება შეემთხვაო.

ჰენრიმ სხვა ხმებსა და აზრებსაც მიუგდო ყური. ვერაფერი გაიგონა. შესანიშნავია. თუმცა ისიც უნდა ეღიარებინა, რომ მთელი ცხოვრება ხმების გარეშეც ჩაუვლიდა თვალწინ.

– აბა, ყმაწვილო, წინ, ღონეს არ უჩივი, – თქვა მან და კვლავ „კედელში გაკეთებული ხვრელისკენ" გაიქცა. შეგრძნება, რომ იქ რაღაც ისე არ იყო, სულ უფრო უძლიერდებოდა, და თავს ძლივს იკავებდა, რომ უფრო არ აჩქარებულიყო.

„წადი, ღამის ქოთანში ჩაიხედე".

„იქნებ, სააბაზანოს კარზე დავაკაკუნოთ და ვკითხოთ, როგორ არის? "

ნუთუ, მართლა გაიგონა ეს ხმები? მართალია, ახლა აღარ ესმოდა, მაგრამ მან ეს გაიგონა, ისევე მკაფიოდ, როგორც საშინელი, აგონიის მომასწავებელი ყვირილი. პიტი? თუ ქალი? მშვენიერი ბეკი შუ?

– პიტი, – თქვა მან და პირიდან ორთქლი გამოუშვა, – ეს პიტია...

თუმცა ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. და მაინც...

თავდაპირველად ჰენრის ეშინოდა, რომ სირბილის საჭირო რიტმს ვერ მიაგნებდა, მაგრამ ტყუილუბრალოდ წუხდა, ვერც კი შეამჩნია, ისე დაუბრუნდა უწინდელ რიტმს, დაძაბული სუნთქვისა და მობაგუნე ფეხების ერთიანობის შესანიშნავ უბრალოებას.

კიდევ სამი მილი ბენბერი-კროსამდე, – გაიფიქრა მან, – შინ ვბრუნდები. როგორც დადიტსი წავიყვანეთ შინ იმ დღეს.

(თუ ვინმესთან წამოგცდებათ, რასაც გავაკეთებ, სამუდამოდ დაგკარგავთ.)

ჰენრი ისევ ჩაიძირა იმ ოქტომბრის დღეში, როგორც ღრმა ძილში. ისე ღრმად და სწრაფად ჩაყვინთა მოგონებების ჭაში, რომ თავი-

დან ვერც კი იგრძნო მისკენ მცურავი ღრუბლები, რომლებიც სიტ-ყვების, აზრების ან ყვირილისგან კი არ შედგებოდა, არამედ მხო-ლოდ მისი შავ-წითელი მე-სგან, რომელსაც უამრავი საქმე და უამ-რავი ადგილი ელოდა.

5

ბივერი მათ გამოეყოფა და ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მუხ-ლებზე ეშვება. ჭკუასუსტი მას ვერ ხედავს – თვალები დაუხუჭავს, კვნესის და ქოშინებს. ვიწრო მკერდი ჩქარ-ჩქარა ადი-ჩაუდის. ელ-ვით მოხატული მოტოციკლეტისტის ქურთუკი, მხიარული ტრუსის გვერდით, საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ ბიჭები არ იცინიან. ჰენრის მხოლოდ ერთი რამ სურს: ბიჭი გაჩუმდეს. მისმა ტი-რილმა ლამის ბოლო მოუღოს.

მუხლებზე მდგარი ბივერი მტირალ ბავშვს მიუჩოჩდება და მხრებზე ეხვევა.

„პატარას ნავი ვერცხლისფერი სიზმარია, რომელიც ახლოსაც და-ცურავს და შორსაც“...

ჰენრის არასდროს მოუსმენია ბივერის სიმღერა, მას მხოლოდ ზოგჯერ თუ აუყოლებია ხმა რადიოსთვის, – კლარენდონებს ძნელად თუ უწოდებდა კაცი მორწმუნეებს, – და ახლა აღტაცებულია მისი ტენორით. ერთი-ორი წლის შემდეგ, როდესაც გარდატეხის ასაკი დაუდგება, ბივერს ხმა შეეცვლება, ჩვეულებრივი და არაფრით გა-მორჩეული გახდება, მაგრამ აქ, მიტოვებული შენობის სარეველე-ბით მოფენილ მოედანზე, იგი ყველას აოცებს, ყველას გულს იპ-ყრობს. ჭკუასუსტიც კი წყვეტს ტირილს და გაშტერებული შესცქე-რის მას.

„ის ბიჭუნას ოთახიდან უახლოესი ვარსკვლავისკენ მიცურავს; იცურე, პატარავ, იცურე, გამოცურე ჩემი სახლისკენ, გადაცურე ზღვები, გასცდი ვარსკვლავებს, ჩემს სახლთან მოცურდი“...

ჰაერში უკანასკნელი ნოტი მიცურავს და სამყარო კრძალვით

ირინდება. ჰენრის თვალზე ცრემლი ადგება. ჭკუასუსტი ბიჭი ბი-ვერს მისჩერებია, ბივერი მას სიმღერის ტაქტში არწევს. მოთხუპ-ნილ სახეზე ნეტარება და აღტაცება ახატია. უკვე დაავიწყდა გახეთ-ქილი ტუჩი, ნატკენი კისერი, დაკარგული ტანსაცმელი და კოლოფი საუზმისთვის, და ბივერს ეუბნება: – იდე იდა.

თითქმის მხოლოდ ხმოვნებით, რაც ყველაფერს შეიძლება აღნიშ-ნავდეს. უცნაურია, მაგრამ ჰენრი ნათქვამს მშვენივრად ხვდება, ასე-ვე ბივერიც.

– კიდევ გინდა? მეტი აღარ შემიძლია, – ამბობს იგი, გააცნო-ბიერებს, რომ კვლავაც მხრებზე ეხვევა ბიჭს და მოსცილდება. ჭკუ-ასუსტი მაშინვე მოიღუშება, მაგრამ ამჯერად ამის მიზეზი არც ში-შია და არც განებივრებული ბავშვის ჭირვეულობა, არამედ – გულ-წრფელი სევდა. უზარმაზარი ცრემლები სცვივა საოცრად მწვანე თვალებიდან და გაშავებულ ლოყებზე ანკარა ნაკადულებად მოედი-ნება. იგი ბივერის ხელს მხარზე იდებს და ეუბნება:

– იდე იდა.

შეშფოთებული ბივერი მეგობრებს შესცქერის.

– ასე დედა მიმღეროდა ძილის წინ, – ამბობს იგი, – ამის შემდეგ მკვდარივით მეძინებოდა.

ჰენრი და ჯოუნსი ერთმანეთს გადახედავენ და სიცილი წასკდე-ბათ. ეს არცთუ ისე გონივრული საქციელია: ბიჭუნას შეიძლება შე-ეშინდეს და ისევ ატირდეს, მაგრამ თავს ვერ ერევიან. პატარა კი, ტირილის ნაცვლად, მათ ფართოდ, თბილად უღიმის, ჩაწიკწიკებუ-ლი კბილების ორ რიგს აჩენს, ბივერს შესცქერის და ხელს არ უშვებს.

– იდე იდა! – იძლევა ბრძანებას.

– კიდევ იმღერეო, მიდი, მიდი! – ამბობს პიტი.

ბივი იძულებულია, კიდევ სამჯერ იმღეროს, სანამ ბიჭი ხელს გა-უშვებს და დანარჩენებს ნებას მისცემს, რომ შარვალი და დახეული მაისური ჩააცვან, სწორედ ის, ზურგზე რიჩი გრენადოს ნომრით. ჰენ-

რიმ ვერაფრით დაივიწყა ეს სურათი და ზოგჯერ სრულიად შეუფერებელ დროს ახსენდებოდა ხოლმე, მაგალითად, უნივერსიტეტის საძმოს წვეულებაზე, როცა ქალწულობა დაკარგა, ქვემოთ განლაგებული დინამიკებიდან კი სიმღერა „კვამლი წყლის ზედაპირზე" მოისმოდა; ასევე, გაზეთში ნეკროლოგების გვერდის კითხვისას, სამმაგღაბაბიანი ბარი ნიუმენის მომხიბლველი ღიმილი რომ დაინახა; მამას რომ აჭმევდა (ალცჰეიმერის დაავადება სრულიად შეუფერებელ, ორმოცდაცამეტი წლის ასაკში აღმოაჩნდა), ის კი ჯიუტად იმეორებდა, რომ ჰენრი ჰენრი არ იყო და მას სემს ეძახდა. „ნამდვილი მამაკაცი ვალს ყოველთვის აბრუნებს, სემი", – უთხრა მამამ, შვრიის ფაფის მორიგი ლუკმა გადაყლაპა და ნიკაპზე რძე ჩამოეღვარა – აი, ასეთ წუთებში ბივერის ძილისპირული ჩაესმოდა ხოლმე და ცოტა ხნით გულზე მოეშვებოდა. არ არის მოძრაობა, არ არის თამაში.

ბოლოს და ბოლოს, ბიჭს თითქმის ყველაფერს ჩააცმევენ წითელი ბოტასების გარდა. ცდილობს, თვითონ ჩაიცვას, მაგრამ ფეხსაცმელი რატომღაც უკულმა უჭირავს. საბრალო, სრულიად უმწეოა და ჰენრი ვერაფრით მიმხვდარა, რატომ იგდებდნენ აბუჩად ის ახვრები. როგორ შეიძლება, კაცი ასე საზიზღრად მოიქცეს, თუნდაც ის ტირილი არ გაეგონოს, რომლის მსგავსიც ჰენრის არასდროს მოუსმენია?

– მოდი, მე მოგარგებ, შე კაცო, – ამბობს ბივი.

– ას აგებ? – ეკითხება ბიჭი ისეთი კომიკური სახით, რომ ჰენრის, ჯოუნსისა და პიტს კვლავ ეცინებათ. ჰენრიმ იცის, რომ ავადმყოფს არ უნდა დასცინოს, მაგრამ თავს ვერ იკავებს. ბიჭს ძალიან სასაცილო გამომეტყველება აქვს, ზედგამოჭრილი მულტფილმის პერსონაჟია.

მაგრამ ბივერი მხოლოდ იღიმება.

– შენს ბოტასს.

– ოტას აგებ?

– დიახ, სენიორ, თქვენი ყველა მცდელობა უსარგებლო გახლავთ.

ბივერი მას ბოტასს გამოართმევს და ბიჭი უდიდესი ინტერესით

აკვირდება, თუ როგორ ჩააყოფინებს შიგნით ფეხს, ზონრებს შეუკრავს და ბანტსაც გამოუნასკვავს. როდესაც წელში გასწორდება, ჭკუასუსტი ჯერ ბანტს დახედავს, შემდეგ მზერას ბივერზე გადაიტანს, კისერზე მოეხვევა და ლოყაზე აკოცებს.

– ვინმესთან მაინც თუ წამოგცდებათ, რაც მან გააკეთა.. – იწყებს ბივერი, თუმცა კმაყოფილი იღიმება.

– ვიცით, ვიცით, სამუდამოდ დაგვკარგავ, – იკრიჭება ჯოუნსი, შემდეგ ძირს დავარდნილ საუზმის კოლოფს იღებს და ბიჭუნას აწვდის.

– ეს შენია, ბიჭი?

ბიჭი ისე აღტაცებით იღიმება, თითქოს დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდაო და კოლოფს ხელს სტაცებს.

– უბი-უბი-დუ, სად იავიო? – მღერის იგი, – სამე მონაო, აი ასეო.

– მართალია, – ეთანხმება ჯოუნსი, – ბევრი საქმე გვაქვს. პირველ რიგში, ავდგებით და სახლში მიგიყვანთ. მგონი, დუგლას ქევეელი გქვია, არა?

ბიჭუნა ჭუჭყიანი ხელებით კოლოფს მკერდში იხუტებს, სიყვარულით ეფერება და ზუსტად ისე კოცნის, როგორც ბივერს აკოცა.

– მე დადიტსი! – იძახის იგი.

– კარგი, – თავს უქნევს ბივერი და ხელს ჩაჰკიდებს. ჯოუნსიც იმავეს აკეთებს და ორივე დადიტსს წამოაყენებს. მეიპლეინი აქედან, სულ რაღაც, სამ კვარტალშია და იქ მისასვლელად ათ წუთზე მეტი არ დასჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, სადმე რიჩი და მისი მეგობრები არ ჩაუსაფრდნენ, – ახლა კი შინ წავიდეთ, დადიტს. დედა ალბათ უკვე ნერვიულობს შენ გამო.

მაგრამ ჰენრი ჯერ პიტს გზავნის შენობის კუთხიდან არემარის დასაზვერად. როდესაც ის ბრუნდება და ამბობს, რომ ნაპირზე არავინ ჩანს, გასვლას გადაწყვეტენ. მთავარია, ქუჩაში გავიდნენ, სადაც ხალხია, იქ ვერავინ ვერაფერს გაუბედავს, მაგრამ გარისკვა არ სურს და პიტს ერთხელაც გაგზავნის, რათა ბოლომდე შეამოწმოს

ყველაფერი და დაუსტვინოს, თუ საფრთხე არ ემუქრებათ.

– ისინი წავიდნენ, – ამბობს დადიტსი.

– შესაძლოა, – ეთანხმება ჰენრი, – მაგრამ აჯობებს, თუ პიტი მაინც შეამოწმებს.

დადიტსი დგას და მშვიდად ათვალიერებს ნახატებს კოლოფზე, სანამ პიტი დაზვერვაზეა. მას ყველაზე მეტად შეეფერება ასეთი დავალების შესრულება. ჰენრი არ აზვიადებს: თუ რიჩი და მისი მეგობრები მათზე თავდასხმას გადაწყვეტდნენ, პიტი რეაქტიულ სისწრაფეს განავითარებს და მტერს პირში ჩალაგამოვლებულს დატოვებს.

– მოგწონს ეს მულტფილმი, მეგობარო? – წყნარად ეკითხება ბივერი ბიჭს და ყუთს გამოართმევს. ჰენრი ყურადღებით აკვირდება მათ, აინტერესებს, ბავშვი თუ ატირდება. მაგრამ ჭკუასუსტი არ ტირის.

– ისინი უბი-დუ! – იძახის პატარა. ხვეული თმა აქვს, ოქროსფერი. ჰენრის ვერაფრით დაუდგენია მისი ასაკი.

– ვიცი, რომ ეს სკუბი-დუა, – მოთმინებით პასუხობს ბივი, – მაგრამ ისინი ტანსაცმელს არასდროს იცვლიან. პიტი მართალია. „ბარემ-მიხმარე-ფრედის" გულისხმობ, ეგრეა?

– ომე! – იგი ხელს იწვდის და ბივერი ყუთს უბრუნებს. ჭკუასუსტი მას მკერდზე იკრავს და იღიმება.

რა მშვენიერი ღიმილია, – ფიქრობს ჰენრი და თვითონაც იღიმის. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს ოკეანეში დიდხანს ცურვისგან ითოშება, შემდეგ ნაპირზე გამოდის, გამხდარ მხრებსა და დახორკლილ ზურგზე პირსახოცს მოიხვევს და ისევ სითბო დაუვლის.

ჯოუნსიც იღიმება.

– დადიტს, – ეკითხება, – რომელია მათ შორის ძაღლი?

ჭკუასუსტი ჯოუნსის შესცქერის, ისევ იღიმება, მაგრამ ოდნავ შეფიქრიანდება.

– ძაღლი, – იმეორებს ჰენრი, – რომელია ძაღლი?

ბავშვი ახლა მას შეხედავს, თავგზააბნეული ჩანს.

– დადიტს, რომელია სკუბი-დუ? – ეკითხება ამჯერად ბივერი. დადიტსს სახე უნათდება და თითს ნახატს ადებს.

– უბი! უბი-უბი-დუ! ეს აი ძაღლი!

ყველა იცინის. დადიტსიც. ამ დროს პიტის სტვენა ისმის. ისინი მიაბიჯებენ, თითქმის გზის ნახევარი აქვთ გავლილი, მაგრამ უცებ ჯოუნსი შესძახებს:

– მოიცადეთ! მოიცადეთ!

იგი ოფისის ერთ-ერთ ჭუჭყიან ფანჯარასთან მიირბენს, შუბლს მიადებს და ხელებით მოიჩრდილავს. უეცრად, ჰენრის მათი აქ მოსვლის მიზეზი ახსენდება: თინა-ჯინ-ვიღაცის ფისო. თითქოს ეს ათასი წლის წინ იყო.

ათიოდე წამის შემდეგ ჯოუნსი მათ ეძახის:

– ჰენრი! ბივ! აქ მოდით! ბავშვი მანდ დატოვეთ!

ბივერი ჯოუნსისკენ გარბის. ჰენრი ჭკუასუსტ ბიჭს მიუბრუნდება და მკაცრად ეუბნება:

– აქ იდექი, დადიტს. ზუსტად აქ იდექი შენს საუზმის ყუთთან ერთად, კარგი?

დადიტსი მას შესცქერის, მწვანე თვალები გაბრწყინებია, კოლოფს გულში იხუტებს. შემდეგ თავს უქნევს და ჰენრი ფანჯარასთან შეგროვილ მეგობრებს უერთდება. სივიწროვეა. ერთმანეთს აწვებიან. ბივერი ბუზღუნებს, – ვიღაცამ ფეხზე დამაბიჯაო, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი წყნარდება. მალე მათი გაუჩინარებით გაოცებული პიტიც მოდის და თავს ჰენრისა და ჯოუნსის მხრებს შორის აკვეხებს. და აი, ოთხივე ბიჭი ყოფილი ოფისის დამტვერილ ფანჯარასთან დგას. უკეთ დასანახავად ხელისგულები საფეთქლებთან მიუტანიათ. მეხუთე კი მორჩილად დგას მათ უკან, ბალახით დაფარულ გზაზე, საუზმის კოლოფი ვიწრო მკერდზე სათუთად მიუკრავს და შემოდგომის ცას შესცქერის, სადაც მზე ღრუბლებიდან გამოჭყეტას ცდილობს. ჭუჭყიანი ფანჯრის მიღმა (რომელზეც მათი შუბლები ნახევარმთვარის მსგავს კვალს ტოვებს) – დიდი ცარიელი ოთახია,

მტვრიან იატაკზე რაღაც თეთრი ნაჭრები ყრია, რომლებსაც ჰენრი პრეზერვატივებს ამსგავსებს. კედელზე, ზუსტად ფანჯრის წინ, განცხადებების დაფა კიდია, რომელზეც ახალი ინგლისის ჩრდილოეთ ნაწილის რუკა და კაბააწეული ქალის პოლაროიდის ფოტოსურათია მიკრული. არავითარი ფისო, ყველაფერი თეთრი ტრუსითაა დაფარული. თან არც სკოლის მოსწავლეა. ოცდაათი წლის მაინც იქნება.

– ღმერთო დიდებულო! – ოხრავს პიტი და ჯოუნსის ზიზღით სავსე მზერას მიაპყრობს, – ამის გულისთვის მოვეთრიეთ აქ?

ჯოუნსი მზად არის, თავის მართლებას შეუდგეს, მაგრამ მოულოდნელად სახე ებადრება და ცერით მხარს უკან უთითებს.

– არა, – აქნევს იგი თავს, – ამ ბიჭისთვის მოვედით.

6

ჰენრი მოგონებებიდან ძლიერმა დარტყმამ – განსაცვიფრებელი და მოულოდნელი ფაქტის გაცნობიერებამ გამოაფხიზლა: იგი შიშს შეუპყრია და ეს კარგა ხნის განმავლობაში გრძელდება. გონების მისადგომებთან ჯიუტად ციმციმებდა რაღაც ახალი, რასაც დადიტსთან პირველი შეხვედრის უჩვეულოდ მკაფიო მოგონებები უკეტავდა გზას, ახლა კი მუქარით აღსავსე ყვირილით გამოექანა და თავისი კუთვნილი ადგილის დაკავება სცადა.

ჰენრი შუაგზაზე შეჩერდა და ხელების ქნევას მოჰყვა, რათა კვლავაც არ დაცემულიყო, გაშეშდა და შეძრწუნებულმა თვალები დააჭყიტა. „კედელში გაკეთებული ხვრელიდან“ სულ რაღაც ორ-ნახევარი მილი აშორებდა. ამჯერად რაღა მოხდა, ღმერთო?

ღრუბელი, – გაიფიქრა მან, – ეს რაღაც ღრუბლის მსგავსია. ზუსტად ვერ ვიტყვი, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცხოვრებაში ასეთი არაფერი განმიცდია. ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც წამოვიზარდე. გზიდან უნდა გადავუხვიო. აქაურობას უნდა მოვშორდე. ამ კინოს უნდა მოვცილდე. ცაში რაღაც ფილმია. ისეთი, ჯოუნსის რომ უყვარს. საშინელებათა ფილმი.

– სისულელეა, – ჩაიბურტყუნა მან, თუმცა იცოდა, რომ თავს იტყუებდა.

უეცრად „კედელში გაკეთებული ხვრელის" მხრიდან ვერტმფრენის გუგუნი, ასევე, სავარაუდოდ, ფარდულში შენახული ყველგანმავალ Arcტიც ჩატ-ის სულ უფრო ხმამაღალი ღრიალი მოესმა... მაგრამ ყველაზე სწრაფად მოწითალო-მოშავო ღრუბელი მოიწევდა შიგნით მოთავსებული ფილმით, რაღაც საშინელი, ბოროტი ენერგია ცდილობდა, დასწეოდა.

ჰენრი გაქვავდა, ადგილიდან ვეღარ იძვროდა. უამრავი ბავშვური შიში დაეუფლა: საწოლქვეშ შემძვრალი ურჩხულები, კუბოებში ჩაწოლილი ჩონჩხები, ქვების ქვეშ მოფუთფუთე მატლები, ბეწვიანი ლორწო, დიდი ხნის შებრაწული ვირთხის ნარჩენები, რომლებიც მამამ მაშინ აღმოაჩინა, როდესაც როზეტის შესამოწმებლად ქურა კედელს მოაცილა. არც არაბავშვური შიში აკლდა: საკუთარ საძინებელში გზააბნეული და მყვირალა მამა; მისი კაბინეტიდან გაქცეული ბარი ნიუმენი, რომელსაც მსუქანი სახე იმიტომ მოღრეცოდა, რომ ჯიუტად სთხოვდნენ შეეხედა იქ, სადაც შეჭყეტა არ სურდა ან იქნებ, არ შეეძლო. თვითონაც, დილის ოთხ საათზე თვალზე რული რომ არ ეკარებოდა, იჯდა და გვერდით სკოტჩით სავსე ჭიქა ედგა. მთელი სამყარო უსიცოცხლო უდაბნოს ჰგავდა, ასევე, მისი ტვინიც, და, ოო, პატარავ, გათენებამდე ათასი წელი რჩებოდა, უსასრულოდ დიდი დრო, ძილისპირულის სიმღერა კი აეკრძალათ, გაეუქმებინათ. და ეს ყველაფერი გახვეულიყო შავ-წითელ ღრუბელში, რომელიც მისკენ ჩალისფერი ცხენივით მოქროდა. ეს ყველაფერი და კიდევ ვინ იცის, რამდენი რამ. ყოველგვარი სისაძაგლე, რაც კი შეიძლება თავში მოსვლოდა, ჩალისფერი ცხენით კი არა, საღებავშემოცლილი ძველი ყველგანმავლით მისკენ მოექანებოდა. სიკვდილს არ ჰგავდა, მაგრამ სიკვდილზე უარესი იყო. ეს მისტერ გრეი გახლდათ.

„გზიდან გადადი! – უყვიროდა ტვინი, – დაუყოვნებლივ! დაიმალე! "

განძრევა არ შეეძლო, ფეხებით თითქოს მიწას ჩაეზარდა. გატეხილ ციმციმასაგან გაკაწრული თეძო საშინლად უხურდა. ახლა კი ხვდებოდა, რას გრძნობდა მანქანის ანთებული ფარების ხაფანგში მომწყვდეული ირემი ან მოახლოებული გაზონსაკრეჭის წინ მოხტუნავე ბურუნდუკი. ღრუბელმა თვითგადარჩენის ინსტინქტი, გაქცევის შესაძლებლობა წაართვა. ისე გაშეშდა, როგორც კობრას წინ – უმწეო ბაჭია.

უცნაურია, მაგრამ თვითმკვლელობაზე ფიქრმა ცხოვრებისკენ შემოაბრუნა. განა ხუთასი ღამე თავისი გადაუწყვეტლობით იმიტომ იტანჯა, რომ ვიღაც უხილავს, მონადირის აზარტით შეპყრობილს, ეს მის მაგიერ გაეკეთებინა? ვერა, ბატონო, ვერ მოგართვით! ტანჯვა ხომ თავისთავად უსიამოვნოა, მაგრამ როგორ მიეცა საკუთარი შეშინებული სხეულისთვის უფლება, რომ ეს ტანჯვა იმ დემონების მორჩილად ლოდინის პაროდიად ექცია, აღტაცებისგან წინასწარ ხელებს რომ იფშვნეტდნენ? არა, ამას ვერ დაუშვებდა!

ასე რომ, თავს ძალა დაატანა და ადგილიდან დაიძრა, ნელა, ერთგვარ ღამის კოშმარში, კისელივით უცებ შესქელებულ ჰაერში მიიწევდა. ფეხებს ისე ამოძრავებდა, თითქოს წყალქვეშ ბალეტს ცეკვავდა. როგორც შენელებულ კადრში. ნუთუ რამდენიმე წუთის წინ მირბოდა? მართლა მირბოდა? მოგონებების ტყვეობაში კი იყო, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა.

ჯიუტად მიიწევდა წინ ნაბიჯ-ნაბიჯ, ძრავის გუგუნი კი სულ უფრო ახლოვდებოდა და მხეცის ღრიალს ემსგავსებოდა. ბოლოს, გზისპირა ხეებში შევარდა, თხუთმეტი ფუტის სიღრმეზე, სადაც თოვლი თითქმის არ იდო, მხოლოდ მოვერცხლისფრო ბუმბულის თხელი ფენა მოჩანდა სურნელოვან, მოყავისფრო ნარინჯისფერ წიწვებზე. ჰენრი მუხლებზე დაემხო, შიშისგან ასლუკუნდა და პირზე ხელი აიფარა. ვაითუ, გაიგონონ? ეს მისტერ გრეია. ღრუბელი მისტერ გრეია. და რომ გაიგონოს?

ხავსმოდებულ ნაძვთან მიიპარა, ტანზე მოეხვია და ფრთხილად

გაიხედა საფრიდან, რათა რამე მაინც გაერჩია თვალებზე ჩამოფხატული ოფლიანი თმის საბურველიდან. დაინახა, რომ მოღუშულ ბინდბუნდში სინათლემ იფეთქა. ირხეოდა, თრთოდა, გადაადგილდებოდა ანთებული ფარებივით.

წყვდიადი მოიწევდა. ჰენრიმ უმწეოდ დაიკვნესა. სინათლის რგოლმა მის ტვინში შეაღწია, აზრებს ნთქავდა და მათ ნაცვლად საშინელებებით ავსებდა. ეს იყო მამის ნიკაპზე ჩამოღვრილი რძე, პანიკა ბარი ნიუმენის თვალებში, დაუძლურებული სხეულები და უზარმაზარი თვალები, დაჟინებით რომ იყურებოდნენ სადღაც მავთულხლართებიდან, გატყავებული ქალები და ჩამომხრჩვალი კაცები. რაღაც მომენტში მისი წარმოდგენა სამყაროზე ჯიბესავით ამოტრიალდა და მიხვდა, რომ ყველაფერს ჭირი მოედო... შესაძლოა, მოედო. ყველაფერს. მისი მოსაზრებები თვითმკვლელობის შესახებ ძალზე უმნიშვნელო აღმოჩნდა მოახლოებული უბედურების წინაშე.

ყვირილის შესაკავებლად ტუჩებით ხეს მიეკრა, იგრძნო, როგორ აკოცა ცივ ხავსს, თითქმის ძირისძირობამდე, სადაც ქერქის სისველე და გემო შენარჩუნებულიყო. ამ დროს Арцтиц-ჩატ-მა ჩაუქროლა, და ჰენრიმ მასზე მჯდომი სილუეტი იცნო. იცნო ქმნილება, რომელმაც შავ-წითელი ღრუბელი გააჩინა და თავი მშრალი მხურვალებით გაუვსო.

მოგუდული ყვირილით ჩაემხო ხავსში, მშრალი, წვრილი, თამბაქოს მსგავსი ნამცეცები ცხვირით უნებლიეთ შეისუნთქა და ისევ შეჰყვირა. კვლავაც მუხლებზე იდგა, ხეს შემოხვეოდა და მთელი ტანით ცახცახებდა. ყველგანმავლის ღრიალი თანდათან დასავლეთისკენ გადაადგილდა, მომაბეზრებელ წკმუტუნად იქცა და საბოლოოდ გაქრა.

იქ, სადღაც, პიტია, – გაიფიქრა მან, – ის რაღაც პიტსაც მისწვდება და იმ ქალსაც.

ჰენრი უკან, გზისკენ წაბარბაცდა, ვერ ამჩნევდა, რომ ტიროდა, ვერ ამჩნევდა, რომ ცხვირიდან სისხლი სდიოდა. კვლავ „კედელში

გაკეთებული ხვრელისკენ" გაემართა, მაგრამ უწინდებურად დამაჯერებლად ვეღარ მიძუნძულებდა. ძლივს მიდიოდა, კოჭლობდა, ბორძიკობდა. თუმცა ამას, შესაძლოა, მნიშვნელობა არც ჰქონდა, რადგან სახლში ყველაფერი დასრულდა.

რა საშინელებაც უნდა მომხდარიყო იქ, მან მაინც დააგვიანა. მისი ერთი მეგობარი მოკვდა, მეორე კვდებოდა, მესამე კი, ღმერთო, შენ დაიფარე, კინოვარსკვლავი გახდა.

თავი მეშვიდე
ჯოუნსი და ბივი

1

ბივერი ამას კვლავ და კვლავ იმეორებდა. ეს ბივერიზმი კი არ იყო, არამედ – უბრალო და მოკლე გინება, რაც მაშინ მოგდის თავში, როგორც კი კედელს მიეყრდნობი და შეძრწუნების გამოსახატავად სხვა სიტყვები არ გახსენდება.

– ვაჰ, ამის დედაც! .. ამის დედაც! ..

მაკარტი საშინელ ტკივილს გრძნობდა, მაგრამ მაინც მოახერხა, რომ სააბაზანოში სარკის ორივე მხარეს ფლუორესცენციული, ზემოთ კი მრგვალი პლაფონი აენთო. არაბუნებრივად თეთრი, მკვეთრი შუქის ფონზე იქაურობა დანაშაულის ადგილზე პოლიციელების გადაღებულ ფოტოსურათს ჰგავდა, სიურრეალიზმის ნიშნებიც დაჰკრავდა, რადგან ნათურები თანაბრად არ ენთო, დროგამოშვებით ციმციმებდა და ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ დენი გენერატორიდან მოდიოდა და არა იმ ქვესადგურიდან, დერისა და ბანგორს რომ ამარაგებს.

იატაკზე ღია ცისფერი კაფელი ეგო და თუკი კართან ალაგ-ალაგ მოჩანდა სისხლის ლაქები, ტუალეტთან უკვე გუბეები იდგა და ალისფერი ნაკადულები მოედინებოდა. ჯოუნსისა და ბივს ჩექმების გახდით თავი არ შეუწუხებიათ და კაფელი საშინლად აატალახეს. საშხაპის ლურჯ ფარდას თითების ოთხი ჭუჭყიანი ანაბეჭდი ეტყობოდა. ჯოუნსი კიდევ უფრო მოიღუშა და გაიფიქრა: ალბათ, ფარდას მოეჭიდა, უნიტაზზე დაჯდომისას რომ არ დაცემულიყო.

მაგრამ უფრო დიდი საშინელება ის იყო, რასაც ჯოუნსი თავის წარმოსახვაში ხედავდა: მაკარტის ცალი ხელი ზურგს უკან წაეღო, ცისფერ კაფელზე აქეთ-იქით აწყდებოდა და რაღაცის შეჩერებას ცდილობდა.

– ფუჰ, ამის დედაც! .. – დაქოქილივით გაიმეორა ბივმა. საცაა ასლუკუნდებოდა, – ვეღარ ვუყურებ, ჯოუნსი, მეგობარო, აღარ შემიძლია!

ჯოუნსის საკუთარი ხმა ყრუდ, სადღაც შორიდან ჩაესმა:

– მოგიწევს, ბივ. სხვა გზა არ გვაქვს. მაშინ რიჩი გრენადოს თუ გავუძელით, ახლაც შევძლებთ.

– არ ვიცი, ძმაო, არ ვიცი...

არც ჯოუნსიმ იცოდა, მართლა არ იცოდა, მაგრამ მაინც გადაიხარა წინ და ბივს ხელზე ხელი მოჰკიდა. ბივმა ცივი თითები მაშინვე ჩაავლო და ისინი ერთად შევიდნენ სააბაზანოს სიღრმეში. ჯოუნსი ცდილობდა, ფეხი სისხლში არ ჩაეკრა, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო: სისხლი ყველგან ეცხო. და არა მარტო სისხლი.

– ჯოუნსი, – ხრინწიანად ჩაიჩურჩულა ბივმა, – იმ ტრაწიან ფარდას თუ ხედავ?

– კი.

ანაბეჭდებს შორის მოწითალო-ოქროსფერი ჟელეს კვალი მოჩანდა, ობივით. იატაკზე უფრო მეტი ჩანდა, ოღონდ ყველაზე დიდ გუბეში კი არა, ნახევრად გამშრალ ლაქებში.

– ეს რა არის?

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა ჯოუნსიმ, – თითქოს იგივე ნაგავია, რაც მის სახეზე. ახლა კი ცოტა ხნით გაჩუმდი, – და პაუზის შემდეგ დაიძახა:

– მაკარტი! .. რიკ!

უნიტაზზე მჯდარი მაკარტი არ პასუხობდა. რაღაც მიზეზის გამო თავზე ისევ ნარინჯისფერი კეპი დაეხურა: წინაფრა გაღუნოდა და დარდიმანდულად მოჰქცეოდა გვერდზე. რომ არა ეს კეპი, თითქმის შიშველი იყო. ნიკაპი მკერდამდე ჩამოვარდნოდა, რაც ღრმად ჩაფიქრების უშნო პაროდიას ჰგავდა (იქნებ, სულაც არ იყო პაროდია, ვინ იცის?), თვალები დაეხუჭა, ერთმანეთზე გადადებული ხელებით ბოქვენი დაეფარა. უნიტაზის ცალი მხრიდან ფართოდ მოედინებოდა სისხლი, მაგრამ თვითონ მაკარტის, რამდენადაც ჯოუნსი ხედავდა, წვეთიც არ ეცხო.

ერთი რამე კი აშკარად დაინახა: მაკარტის მუცელზე კანი ორი დიდი, ცარიელი ტიკივით ჩამოჰკიდებოდა. ჯოუნსის სურათი ეცნო, თავს ძალა დაატანა და გაიხსენა, რომ სწორედ ასე გამოიყურებოდა კარლას მუცელი ყოველი მშობიარობის შემდეგ. თეძოს თავზე მაკარტის კანი მხოლოდ გასწითლებოდა, მუცელი კი პატარ-პატარა ლურჯი ნაწიბურებით დაჰღაროდა. თუ მაკარტი დაფეხმძიმდა, როგორც ჩანს, მხოლოდ რაღაც პარაზიტებით – მატლებით, ან რაღაც მათი მსგავსი არსებებით. მაგრამ რით აეხსნათ დაღვრილ სისხლზე გაჩენილი ობი და სიტყვები, რომლებიც სტუმარმა ჯოუნსის ლოგინში დაწოლის წინ წარმოთქვა? „ვდგავარ შენს კართან და ვაკაკუნებ". ახლა ჯოუნსი ძალიან ნანობდა, რომ კაკუნს არ გამოეხმაურა. არა, სიმართლე ითქვას, იმას უფრო ნანობდა, რომ მაკარტი თავიდანვე არ მოკლა. დიახ. ზოგჯერ, შიშის მარწუხებში მოქცეულ მფეთქავ გონებაში, ამას საოცრად გარკვევით ხედავდა, და ამ დროს აცნობიერებდა, რომ მაკარტისთვის ტყვია მანამ უნდა დაეხალა, სანამ ნარინჯისფერ ჟილეტსა და კეპს მოჰკრავდა თვალს. ყოველ შემთხვევაში, ეს თუ არ დაეხმარებოდა, არც დააზიანებდა.

– კართან იდექი და გაჩუმდი, – ჩაიბურტყუნა ჯოუნსიმ.

– ჯოუნსი, ის ცოცხალია?

– არ ვიცი.

ჯოუნსიმ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და იგრძნო, რომ ბივმა თითები გაშალა. ჩანდა, რომ ამტანობის მარაგი ეწურებოდა.

– რიკ! – ჩუმად დაუძახა ჯოუნსიმ იმ ადამიანის ხმით, რომელსაც არ უნდა, რომ ბავშვს გაეღვიძოს, იმ ადამიანის ხმით, რომელმაც მიცვალებული იხილა, – რიკ, თქვენ...

უნიტაზზე მჯდომმა მამაკაცმა ხმამაღლა გააკუა და ოთახში მაშინვე ექსკრემენტებისა და საავიაციო წებოს მძაფრი სუნი დატრიალდა.

სასწაულია, რომ საშხაპის ფარდა არ დადნა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ.

უნიტაზიდან დგაფუნი გაისმა. ეს ქაშანურის თასში განავლის ტყაპანს კი არა, გუბეში თევზის მხიარულ სხმარტალს უფრო ჰგავდა.

– ღმერთო ძლიერო, რა სიმყრალეა! – შესძახა ბივერმა და ხელისგული ცხვირ-პირზე მიიფარა, რის გამოც მეტყველება გაურკვეველი გაუხდა, – მაგრამ რახან გაზებზე გადის, მაშასადამე, ცოცხალია. რას იტყვი, ჯოუნსი? ის ისევ...

– მოკეტე! – ჩუმად უბრძანა ჯოუნსიმ, თან საკუთარმა სიმშვიდემ გააოცა, – მხოლოდ მოკეტე, კარგი?

ბივმა მოკეტა.

ჯოუნსი უფრო ქვემოთ დაიხარა, ასე რომ, შეეძლო, კარგად გაერჩია პატარა სისხლის ლაქა მაკარტის მარჯვენა წარბზე, წითელი ნაწიბური ლოყაზე, სისხლი ლურჯ, პლასტიკურ ფარდაზე, ფირფიტა მხიარული წარწერით „ლამარის ფიქრების კუთხე", რომელიც ჯერ კიდევ მაშინ ეკიდა, როდესაც აქ ბიოტუალეტი იდგა, წყალს კი ტუმბოთი ქაჩავდნენ. მან შეამჩნია სუსტი, ლაბისებური გამონათება მაკარტის დახრილი ქუთუთოებიდან, ნახეთქები ტუჩებზე, თეთრ შუქ-

ზე იასამნისფრად და წითლად რომ მოჩანდა; ცხვირით საზიზღარ ჰაერს ისუნთქავდა და თითქოს ხედავდა, როგორ მიიწევდა ჭერისკენ მდოგვის აირის მსგავსი მუქი ყვითელი სვეტები.

– მაკარტი! რიკ! გესმით ჩემი? – ნახევრად დახუჭულ თვალებთან თითები გაუტკაცუნა. არავითარი რეაქცია. შემდეგ ხელის ზურგზე ენა აისვა და ჯერ მაკარტის ნესტოებთან მიიტანა, შემდეგ პირთან. კვლავ არაფერი.

– ის მკვდარია, ბივ, – თქვა ჯოუნსიმ და უკან დაიხია.

– კარგი რა! – აღშფოთებით, შეურაცხყოფილი კაცის კილოთი მიუგო ბივმა, თითქოს მაკარტის, თავისი სიკვდილით, სტუმარმასპინძლობის ყველა წესი დაერღვიოს და, მიუხედავად საშინელი მდგომარეობისა, ჯოუნსის კინაღამ გაეღიმა ბივის ხმაში გაჟღერებულ აბსურდულ წყენაზე, – ახლახან მოგვართვა ვეებერთელა ულუფა, თვითონ გავიგონე.

– ჩემი აზრით, ეს...

ბივი წინ გავარდა და ჯოუნსი ნატკენი თეძოთი პირსაბანზე მიაჭყლიტა.

– გეყოფა, შე კაცო! – წაისისინა მან, მაკარტის მომრგვალებულ, დაჭორფლილ, მოდუნებულ მხარში ხელი ჩაავლო და გაშმაგებით შეაჯანჯღარა, – ადექი, გესმის? აბა, ჩამოდი უნიტაზიდან!

მაკარტი ნელა დაიძრა წინ და უეცრად ჯოუნსის მოეჩვენა, რომ ბივერი მართალი იყო და კაცი წამოდგომას ცდილობდა. მაგრამ ამ დროს მაკარტი აბაზანისკენ გადავარდა და ფარდის ლურჯ, გამჭვირვალე ღრუბელს გაედო, ნარინჯისფერი კეპი დაუვარდა და თავი ფაიფურს ხმაურით მიარტყა. მხიარული, ცისფერი კაფელით გაწყობილი ოთახი მოულოდნელად საზარელ სივრცედ იქცა. შეშინებულმა ჯოუნსიმ და ბივმა ერთმანეთს ხელი სტაცეს და შეჰყვირეს. მაკარტის უკანალი სავსე მთვარეს ჰგავდა, რომლის ცენტრშიც გიგანტური სისხლიანი კრატერი, საშინელი ამოფრქვევის წყარო მდე-

ბარეობდა. ამ ყველაფერს ჯოუნსიმ იქამდე მოჰკრა თვალი, სანამ მაკარტი საბოლოოდ გაუჩინარდებოდა აბაზანაში. ფარდა უკანასკნელად აფრიალდა და ისე დაეშვა, როგორც ეს თეატრში ხდება ტრაგიკული ფინალის შემდეგ. იმავე წამს ჯოუნსის მოეჩვენა, რომ ნახვრეტის დიამეტრი ფუტზე ნაკლები არ იქნებოდა. ნუთუ ეს შესაძლებელი იყო? ფუტი? რა თქმა უნდა, არა!

უნიტაზში კვლავ რაღაც გადგაფუნდა, საკმარისად ძლიერად, და სისხლიანი წყალი ცისფერ უნიტაზს შეეშხეფა. ბივერმა დააპირა დახრილიყო და ახლოდან დაეთვალიერებინა, მაგრამ ჯოუნსიმ, თვითონაც არ იცოდა, რატომ, უნიტაზს თავსახური ხმაურით დაახურა.

– არა, – თქვა მან.

– არა?

ბივერმა პიჯაკის ზედა ჯიბიდან კბილსაჩიჩქნის ამოღება მოინდომა, მაგრამ ხელს ბევრი ამოაყოლა და ძირს დაუცვივდა. კბილსაჩიჩქნები ასანთის ღერებივით მოეფინა იატაკს. ბივმა მათ დაბნეული სახით დახედა, შემდეგ კი ჯოუნსის შეხედა. თვალებში ცრემლი ედგა.

– როგორც დადიტსი, – თქვა მან.

– ღვთის გულისთვის, მითხარი რას გულისხმობ?

– როგორ არ გახსოვს? ისიც თითქმის შიშველი იყო. იმ არამზადებმა ტრუსის გარდა ყველაფერი გახადეს, მაგრამ ჩვენ გადავარჩინეთ.

ბივერმა თანხმობის ნიშნად თავი ისე ენერგიულად დაუქნია, თითქოს ჯოუნსი სულის საიდუმლო კუნჭულებში ამ ფაქტის გამასხარავებას ცდილობდა.

არადა, ჯოუნსის ეს არც კი გაუფიქრებია, თუმცა მაკარტი დადიტსს ოდნავაც არ ჰგავდა. იგი მის თვალწინ იყო აბაზანაში ჩავარდნილი: ნარინჯისფერი კეპი მოხდოდა, მკერდზე ცხიმოვანი ნაკეცები ("ძუძუები უზრუნველი ცხოვრებისგან", როგორც მათ ჰენრი უწო-

დებდა, როდესაც ვინმეს მაისურის ქვეშ ამგვარს შეამჩნევდა) ჟელესავით უთრთოდა. მის უკანალს, მკაფიოდ რომ მოჩანდა ფლუორესცენციულ შუქზე, საიდუმლოს შენახვა არ შეეძლო და ყველაფერს დაუფარავად ჰყვებოდა ჯიუტი, მონოტონური ზუზუნით. ეს მამაკაცის უზადო, თეთრი უკანალი იყო, უთმო, ოდნავ დონდლო, მომჩვარვის საწყის სტადიაზე, მსგავსი უკანალები ჯოუნსის ათასობით ენახა მამაკაცების გასახდელებში, სადაც ტანსაცმელს იცვლიდა ხოლმე და შხაპს იღებდა, მისი საკუთარიც ხომ თანდათან ასეთს ემსგავსებოდა (და დაემსგავსებოდა კიდეც, ის ბებერი სულელი მანქანით რომ არ დასჯახებოდა და მეხუთე წერტილის კონფიგურაცია არ შეეცვალა, შესაძლოა, სამუდამოდაც), მაგრამ ამდაგვარს ჯერ არასდროს გადაჰყროდა. თითქოს მაკარტის მუცელში ვიღაცამ ხელყუმბარა აააფეთქა ან ნაღმსატყორცნიდან ისროლა, რათა... რატომ?

უნიტაზიდან მორიგი ყრუ დგაფუნი გაისმა. თავსახურავი შეხტა. სავსებით შესაფერისი პასუხი იყო. აშკარად გარეთ სურდა გამოსვლა.

– ზედ დაჯექი, – უთხრა ჯოუნსიმ ბივერს.

– რაო?

– დაჯექი-მეთქი! – ჯოუნსიმ თითქმის იყვირა. ბივერი მოიბუზა და თავსახურზე დაებერტყა. ფლუორესცენციულ შუქზე, რომელიც ყოველ კუთხე-კუნჭულს ანათებდა, ბივერის სახეს გამომშრალ მიწასავით ნაცრისფერი დასდებოდა, შავი თმის ღერებს დაეწინწკლა, ტუჩები გალურჯებოდა და შეთხელებოდა. თავს ზემოთ ძველი, მხიარული წარწერა მოჩანდა: „ლამარის ფიქრების კუთხე", ცისფერ, ფართოდ გახელილ თვალებში შიში ჩასდგომოდა.

– ვზივარ, ჯოუნსი, ხომ ხედავ!

– კარგი. მაპატიე, ბივ, თავი ვერ შევიკავე. შენ მხოლოდ იჯექი, ხომ გესმის? იდგაფუნოს, ის მახეშია მომწყვდეული და ვერსად წავა, თუ არა კანალიზაციის სადინარში. ახლავე დავბრუნდები...

– სად მიდიხარ? არ მინდა, მარტო დამტოვო ამ მიცვალებულთან.

თუ ორივენი გავიქცევით...

– ჩვენ არსად გავიქცევით, – გააწყვეტინა ჯოუნსიმ, – ეს ჩვენი სახლია და გასაქცევი არაფერი გვჭირს.

ეს სიტყვები კეთილშობილურად კი ჟღერდა, მაგრამ ასეთი გაბედული განცხადების უმთავრეს მოტივს ნათელს არ ჰფენდა. ჯოუნსი შიშობდა, რომ უნიტაზში მომწყვდეულ რაღაცას მათზე სწრაფად გადაადგილება – ხოხვა ან ფრენა – შეეძლო.

მის გონებაში სინათლის სხივის სიჩქარით ჩაიქროლა უამრავმა კადრმა საშინელებათა ფილმებიდან: „პარაზიტი", „გადამთიელები", „ისინი შიგნიდან მოვიდნენ".

კარლა მსგავს სისაძაგლეებს, როგორც თვითონ უწოდებდა, არ უყურებდა და აიძულებდა, რომ ქვევით ჩასულიყო, კაბინეტში. ტელევიზორი იქაც იდგა. მაგრამ ახლა იმ ფილმებიდან ერთ-ერთს, უფრო სწორად, იმას, რაც იმ ფილმში ნახა, მათი გადარჩენა შეეძლო.

ჯოუნსიმ მაკარტის თითების ანაბეჭდზე გაჩენილ მოწითალო-ოქროსფერ ობს შეხედა. უნიტაზში დამწყვდეული სისაძაგლისგან თავი უნდა დაეხსნათ. ობი... ღვთის გულისათვის, ვინ იცის, ეს რა არის?

უნიტაზში მოქცეული სისაძაგლე კვლავ შეხტა და სახურავს დაეჯახა, მაგრამ ბივერი მყარად იჯდა და დათმობას არ აპირებდა. ძალიანაც კარგი. იქნებ ის რაღაც, უბრალოდ, დამხრჩვალიყო. თუმცა ჯოუნსის ამის დიდი იმედი არ ჰქონდა, ის ხომ მაკარტიში ცხოვრობდა! იგი ამ ბებერ მისტერ შენს-კართან-ვდგავარ-და-ვაკაკუნებში საკმაოდ დიდხანს ცხოვრობდა. შესაძლოა – ოთხი დღე, სანამ ტყეში დაეხეტებოდა. როგორც ჩანს, მან მაკარტის წვერის ზრდა შეაჩერა, კბილებიც მის გამო დასძვრა, გაზებსაც ამიტომ უშვებდა, – თითქმის მომწამვლელ აირებს, – რაც ყველაზე თავაზიანი ადამიანების საზოგადოებაშიც კი გამოიწვევდა უკმაყოფილებას. სამაგიეროდ, თვითონ ის არსება იფურჩქნებოდა... ცელქობდა... იზრდებოდა.

უეცრად ჯოუნსის ღორის თეთრი ჭია წარმოუდგა, ის უმი ხორცის გროვიდან მოძვრებოდა. ყელში ნაღველი მოაწვა. უცნაური, ბუყბუყის მსგავსი ხმა გამოსცა.

– ჯოუნსი! – ბივერმა ოდნავ წამოიწია. უწინდელზე მეტად შეშფოთებული ჩანდა.

– ბივერ, ახლავე დაჯექი!

ბივერი ასეც მოიქცა. და სწორედ რომ დროულად – სისაძაგლე ახტა და თავსახურს ძლიერად, ხმაურით დაეჯახა... „შენს კართან ვდგავარ და ვაკაკუნებ".

– ის ფილმი თუ გახსოვს, „სასიკვდილო იარაღი", რომელშიც მელ გიბსონის პარტნიორი უნიტაზზე ზის და ადგომას ვერ ბედავს? – ჰკითხა ბივერმა ღიმილით, თუმცა შეშინებული და გაფითრებული სახით, – ჰგავს, არა?

– არა, – მიუგო ჯოუნსიმ, – რადგან აქ ასაფეთქებელი არაფერია. თანაც მე მელ გიბსონი არ ვარ და შენც ძალზე თეთრი ხარ დენი გლოვერისთვის. მისმინე, ბივ, ახლა ფარდულში უნდა წავიდე...

– არავითარ შემთხვევაში... აქ ვერ მიმატოვებ...

– მოკეტე და მისმინე, იქ სადღაც იზოლაციის ლენტის გორგალი უნდა ეგდოს, არა?

– ჰო, ოღონდ კი არ გდია, ლურსმანზე ჰკიდია, ყოველ შემთხვევაში, მე ასე...

– მართალი ხარ, გამახსენდა. ლურსმანზე კიდია. საღებავების ქილების გვერდით. ბორბალივით უშველებელია. წავალ, მოვიტან და უნიტაზს შემოვახვევ. შემდეგ...

მორიგი დგაფუნი. თითქოს იმ რაღაცამ გაიგონა და ყველაფერს მიხვდა. რა ვიცით, იქნებ ასეცაა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ. როდესაც ის რაღაც თავსახურს დაეჯახა, ბივერი შეიჭმუხნა.

– შემდეგ კი აქედან მოვუსვამთ, – დაასრულა ჯოუნსიმ.

– ჩატ-ით?

ჯოუნსიმ თავი დაუქნია, თუმცა სინამდვილეში ყველგანმავალი

სულ აღარ ახსოვდა.

– ჰო, ჩატ-ით. ჰენრისა და პიტს უნდა მივუსწროთ...

ბივი თავს უქნევდა.

– კარანტინიო, თქვა იმ ტიპმა ვერტმფრენიდან. ალბათ, ამიტომაც ვერ დაბრუნდნენ, ნუთუ არ გესმის? შესაძლოა, დააკავეს კიდეც ამ...

ბახ!

ბივერი მოიკუნტა. ჯოუნსის გააჟრიალა.

– კარანტინის გამო.

– ალბათ, – დაეთანხმა ჯოუნსი, – მაგრამ მომისმინე, ბივ. ვფიქრობ, აქ ჯდომას პიტთან და ჰენრისთან ერთად კარანტინში ყოფნა სჯობია. რას იტყვი?

– მოდი, ავდგეთ და წყალი ჩავუშვათ, – შესთავაზა ბივერმა, – უბრალოდ, ჩავრეცხოთ.

ჯოუნსიმ, პასუხად, თავი გადააქნია.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ორივემ ვნახეთ ის ნახვრეტი, რომელიც იმ რაღაცამ გააკეთა, როცა გარეთ გამოდიოდა, – თქვა ჯოუნსიმ, – არ ვიცი, რა არის, მაგრამ ერთი ხელის მოსმით თავიდან ვერ მოვიცილებთ. ძალიან დიდია.

– ამის დედაც! .. – ხმადაბლა წარმოთქვა ბივერმა და შუბლზე ხელი შემოირტყა.

ჯოუნსიმ თავი დაუქნია.

– კარგი, ჯოუნსი, წადი და ლენტი მოიტანე.

ჯოუნსი კარისკენ გაემართა, მაგრამ ზღურბლზე შეჩერდა და უკან მოიხედა.

– ბივერ...

ბივერმა წარბები აზიდა.

– მიწებებულივით იჯექი, მეგობარო.

ბივერმა ნერვიულად ჩაიხითხითა. მას ჯოუნსიც აჰყვა. ერთმანეთს უყურებდნენ და იცინოდნენ: ერთი კარის ღიობში იდგა, მეორე უნიტაზზე დაბრძანებულიყო.

ჯოუნსიმ სიცილით გადაჭრა დიდი ოთახი, „მიწებებულივით იჯექი". რაც უფრო მეტს ფიქრობდა ამაზე, მით უფრო სასაცილოდ ეჩვენებოდა – სამზარეულოს კარისკენ გაემართა. ციებ-ცხელების მსგავსი რამ სჭირდა, ხან სცხელოდა, ხან სციოდა, შიშისგანაც კანკალებდა და ნერვიული მხიარულებისგანაც. მიწებებულივით იჯექი. ღმერთო დიდებულო! ბანანები!

2

ბივს კარის მიხურვის შემდეგაც ესმოდა ჯოუნსის ხითხითი, მიუხედავად ყველაფრისა, მაინც უხაროდა ამ ხმის გაგონება. ეს წელი ისედაც რთული აღმოჩნდა ჯოუნსისთვის. თავდაპირველად იმასაც კი ფიქრობდნენ, ხელიდან არ გამოგვეცალოსო. საბრალო ჯოუნსი! მას ხომ ჯერ ოცდათვრამეტიც არ შესრულებოდა. პიტისთვისაც ცუდი წელი იყო, ბევრს სვამდა, ჰენრისთვისაც – ზოგჯერ უაზროდ იყურებოდა... იმის თქმაც შეიძლებოდა, რომ ეს წელი ბივერ კლარენდონისთვისაც საზიზღარი გამოდგა. მართალია, სამას სამოცდახუთიდან მხოლოდ ერთი დღე იყო ასეთი, მაგრამ განა არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რომელიც დილით იმ რწმენით იღვიძებს, რომ შუადღისთვის აბაზანაში ვიღაც შიშველი კაცი იწვება, თვითონ კი უნიტაზის თავსახურზე იჯდება, რათა იქიდან მისთვის სრულიად უცნობი არსება არ ამოხტეს?...

– არა, ბატონო, – გადაჭრით თქვა ბივერმა, – მის ნახვას არც ვაპირებ. არავითარ შემთხვევაში.

ეს არც მოუწევდა. ჯოუნსი საიზოლაციო ლენტს ორ, მაქსიმუმ სამ წუთში მოიტანდა. მთავარია, დახვდებოდა მისი დაბრუნების დროისთვის? სად იგრძნობდა თავს კარგად და თავისუფლად?

დადიტსთან, აი, სად. დადიტსზე ფიქრისას ყოველთვის კარგ ხასიათზე დგებოდა. რობერტაზე ფიქრიც სიამოვნებდა. უდავოდ.

ბივს გაეღიმა, როდესაც წარმოიდგინა, თუ როგორ იდგა ყვითელკაბიანი პატარა ქალი იმ დღეს მეიპლეინზე, სახლის ღობესთან. იმის გახსენებაზე, რაც მან მათ დანახვაზე თქვა, სახე გაებადრა. შვილს დაუძახა. მან დაიძახა...

3

– დადიტს! – ყვირის ყვავილებიან ჩითის კაბაში გამოწყობილი, ჭაღარაშეპარული პატარა ბეღურა და ტროტუარზე მათ შესახვედრად მორბის.

დადიტსი მშვიდად მიაბიჯებს ახალშეძენილ მეგობრებთან ერთად, მარცხენა ხელში სკუბიდუსნახატიანი კოლოფი უჭირავს და წუთში ბორძიკ-ბორძიკით ექვს სიტყვას ამბობს. მარჯვენა ხელი ჯოუნსისთვის ჩაუვლია და აქეთ-იქით მხიარულად აქანავებს. თითქმის მხოლოდ ხმოვნებით ბურტყუნებს, მაგრამ ბივს ის აოცებს, რომ ამ უაზრო ბგერების ნაკადში მისთვის ყველაფერი გასაგებია.

ჭაღარაშეპარული ქალი-ბეღურის დანახვაზე დადიტსი ჯოუნსის ხელს უშვებს და მისკენ გარბის, ორივენი გარბიან და ბივერს ეს რომელიღაც მიუზიკლს აგონებს მომღერლების ჯგუფის შესრულებით, ფონ კრიპსის, ფონ კრაპსის თუ ვიღაც ამგვარის სოლისტობით.

– მოედი! მოედი! – ყვირის გახარებული დადიტსი, – დეიკო! დეიკო!

– სად იყავი? სად იყავი, ცუდო ბიჭო, ცუდო ბებერო დადიტს?

ისინი ერთმანეთთან მიირბენენ. დადიტსი მასზე მაღალია, ორისამი დუიმით მაინც. ამის დანახვაზე ბივერი იჭმუხნება, ელოდება, რომ ქალი-ბეღურა გაბრტყელდება, როგორც კატა, სახელად ტომი, დისნეის მულტფილმიდან, მაგრამ, ამის მაგიერ, იგი ხელში აიტაცებს შვილს და დაატრიალებს. ბოტასებიანი ფეხები უღონოდ ჰკიდია ჰაერში, ბიჭს პირი ყურებამდე გაუღია და სახეზე ბედნიერი ღიმილი

უთამაშებს.

– უკვე პოლიციაში დარეკვას ვაპირებდი, ცუდო, საძაგელო ბიჭო, ცუდო, საძაგელო დად...

ამ დროს იგი ბივერსა და მის მეგობრებს ამჩნევს და შვილს მიწაზე სვამს. ღიმილი უქრება, იღუშება და ნაბიჯს დგამს, პატარა გოგოების მიერ ცარცით დახატულ წრეში. შეწუხებული ბივერი ფიქრობს, რომ დადიტსი ამ უბრალო თამაშსაც ვერ დაძლევს. ქალს კი ღრუბლებიდან როგორღაც გამოჭყეტილ მზის შუქზე ცრემლი უბრწყინავს.

– უჰ-უჰ, – ამბობს პიტი, – ახლა მაგრად მოგვხვდება.

– გამაგრდი, – ჩუმად და სწრაფად ურჩევს ჰენრი, – ყვირილით გული იჯეროს, მერე ყველაფერს ავუხსნი.

მაგრამ ისინი არ იცნობენ რობერტა ქეველს, უფრო სწორად, მასზე ისე მსჯელობენ, როგორც უფროსების უმრავლესობაზე, რომელიც პატარა ბიჭებს იმთავითვე დამნაშავეებად თვლის, სანამ საპირისპირო არ დამტკიცდება. რობერტა ქეველი მათ სრულებით არ ჰგავს. ისევე, როგორც მისი ქმარი, სახელად ელფი. ეს დადიტსის დამსახურებაა.

– ბიჭებო, – ეკითხება მეგობრებს ქალი, – ქალაქში დახეტიალებდა? გზა აებნა? ძალიან მეშინია, სკოლაში მარტოს რომ ვუშვებ, მაგრამ საშინლად უნდა, რომ სხვა ბიჭებს ჰგავდეს.

იგი ცალ ხელს ბივერს უჭერს თითებზე ღონივრად, მეორეს კი – პიტს. შემდეგ ჯოუნსისა და ჰენრის რიგი დგება.

– მემ, – იწყებს ჰენრი. მის ქეველი დაჟინებით შესცქერის მას, თითქოს მისი აზრების წაკითხვა სურდეს.

– გზა არ აბნევია, – ამბობს ქალი, – არც უბრალოდ დახეტიალებდა.

– მემ, – იმეორებს ჰენრი და მაშინვე ხვდება, რომ მას ვერაფერს დაუმალავს. ვერაფერს დაუმალავს დადიტსის მსგავს, ოღონდ ჭკვიან, ფრთხილ და გამჭრიახ, კითხვის გამომხატველ თვალებს, – არა,

მემ, – ღრმად ამოისუთქავს ჰენრი, – უბრალოდ არ დახეტიალებდა.

– ჩვეულებრივ, იგი პირდაპირ შინ ბრუნდება. მიმტკიცებს, რომ გზა არ აებნევა, რადგან ხაზს ხედავს. რამდენი იყვნენ?

– ოჰ, ცოტანი, – არწმუნებს ჯოუნსი და ჰენრის ალმაცერად გასცქერის. ამასობაში დადიტსს ბაბუაწვერებისთვის მიუგნია, მუცელზე გაწოლილა, გატაცებით უბერავს მათ სულს და ჰაერში პატარა პარაშუტებს უშვებს, – სამი ბიჭი დასცინოდა, მემ.

– დიდი ბიჭები, – აზუსტებს პიტი. ქალი კვლავ ყურადღებით ათვალიერებს მათ – ჯოუნსიდან მზერა პიტზე გადააქვს, პიტიდან – ბივერზე, ბივერიდან – ჰენრიზე.

– შემოდით, – ეპატიჟება მათ ქალი, – მინდა მოვისმინო, რა მოხდა. დღისით დადიტსი თავის „ზარეექსს“ სვამს, თავის საყვარელ სასმელს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენ ყინულიან ჩაის ამჯობინებთ. ასეა?

სამი მეგობარი ჰენრის შესცქერის, რომელიც ხანმოკლე ფიქრის შემდეგ თანხმობის ნიშნად თავს აქნევს.

– დიახ, მემ, ყინულიანი ჩაი შესანიშნავი იქნება.

ქალი მათ სახლისკენ მიუძღვის, სადაც, მეიპლეინის ცხრამეტ ნომერში, მომდევნო წლებში ისინი უამრავ დროს გაატარებენ. ოღონდ, სინამდვილეში, მათ წინ დადიტსი მიაბიჯებს, უცნაურად მიხტის, ფეხებით რაღაც ფიგურებს ხაზავს, დროდადრო თავზემოთ სკუბი-დუს საუზმის ყუთს სწევს, მაგრამ, როგორც ბივერი აკვირდება, გზისპირიდან – ბალახიანი ბორდიურიდან – მანძილს ინარჩუნებს, დაახლოებით ერთ ფუტს. წლების შემდეგ, როდესაც გოგონას, გვარად რინკენჰაუერს გადაეყრებიან, ბივერს მისის ქეველის ნათქვამი გაახსენდება. და არა მარტო მას. ყველას. „იგი ხაზს ხედავს“.

4

– ჯოუნსი! – დაუძახა ბივერმა.

პასუხი არ ისმის. ღმერთო ჩემო, თითქოს საუკუნეა, რაც ჯოუნსი

წავიდა. შესაძლოა, ასე არაა, ძნელი სათქმელია – დილით ბივერს საათის გაკეთება დაავიწყდა, სისულელე დაემართა, თუმცა ყოველთვის ასე იქცევა, ამას, კარგა ხანია, უნდა მისჩვეოდა. ჯოუნსისა და ჰენრის გვერდით, ის და პიტი მუდამ სულელებს ჰგვანან. ჯოუნსი და ჰენრი ამას არასდროს აგრძნობინებდნენ და ბივერს ეს ყოველთვის აღაფრთოვანებდა.

– ჯოუნსი!

დუმილი. იქნებ ლენტს ვერ მიაგნო? ალბათ ასეცაა.

მაგრამ ბოროტი ხმა უმტკიცებს, რომ ლენტი არაფერ შუაშია, რომ ჯოუნსი აითესა და ის უნიტაზზე დატოვა, დენი გლოვერივით, იმ ფილმიდან. არა, ყურს არ დაუგდებს ამ ხმას, რადგან ჯოუნსი ასე არასდროს მოიქცევა. ისინი ყოველთვის მეგობრები იყვნენ და სიკვდილამდე ასე დარჩებიან.

მართალია, – ეთანხმება ბოროტი ხმა, – სიკვდილამდე. სიკვდილი კი აქვეა.

– ჯოუნსი! ჰეი, აქ ხარ?

სიჩუმე. ალბათ გორგალი ჩამოვარდა და სადღაც შეგორდა.

მის ქვეშ არაფერია. დალახვროს ეშმაკმა, ის ხომ საშინელებათა ფილმის გმირი არ არის. როგორ მოხდა, რომ მაკარტიმ უეცრად ამგვარი საშინელება გამოაგდო, უნიტაზში მხეცი გააჩინა? მართლაც საშინელებათა ფილმის პაროდიაა, სახელწოდებით „შაბათ ღამით“. ასეც რომ იყოს, უნიტაზში მხეცი, ალბათ, კარგა ხნის წინ დაიხრჩო, ჩაიძირა და გაუჩინარდა.

მოულოდნელად მას ერთი ფრაზა გაახსენდა იმ ისტორიიდან, რომელსაც რიგრიგობით უკითხავდნენ დადიტსს. კიდევ კარგი, რომ ოთხნი იყვნენ, რადგან დადიტსი არასდროს იღლებოდა იმით, რაც მოსწონდა.

„წაიიე ორი! – მოითხოვდა იგი და მათკენ თავზემოთ აღმართული წიგნით მორბოდა – სწორედ ასე ეჭირა საუზმისთვის განკუთვნი-

ლი კოლოფიც იმ დღეს, – წაიიე ორი! წაიიე ორი! " რაც ამ შემთხვევაში ნიშნავდა: „წაიკითხე „ტბორი". დოქტორ სიუსის წიგნს „მაკელიგოტის ტბორი" ერქვა, რომლის პირველი სტროფიც დღემდე ახსოვდა:

იცინის გლეხი, იცინის:
ბრიყვი ხარ, თუ ასე გშია?
თევზს ვერასოდეს დაიჭერ
მაკელიგოტის ტბორშია.

მაგრამ ტბორში თევზი იყო, ყოველ შემთხვევაში, იმ ამბის პატარა გმირის წარმოსახვაში მაინც. ბევრი თევზი. დიდი თევზი.

ქვემოდან დგაფუნი აღარ ისმოდა. რამდენიმე წუთი ისე გავიდა, თავსახურს არავინ მისჯახებია. იქნებ გარისკოს და სწრაფად შეხედოს – თავსახური ასწიოს და მაშინვე დაუშვას, თუ...

მაგრამ... „მიწებებულივით იჯექი, მეგობარო" – ეს ჯოუნსის ბოლო ფრაზაა და ჯობს, დაუჯეროს.

ჯოუნსი უკვე ერთ მილს გაივლიდა, – ჩასჩურჩულებს ბოროტი ხმა, – ერთ მილს გაივლიდა. თავქუდმოგლეჯით გარბის.

– არა, ტყუილია, – ხმამაღლა თქვა ბივერმა, – ჯოუნსი ამას არ იზამს.

აწრიალდა, ელოდება, როდის ამოხტება ის რაღაც, მაგრამ არაფერი ხდება. ალბათ, აქედან უკვე სამოცი იარდით მაინც იქნება დაშორებული და კანალიზაციის რეზერვუარში ექსკრემენტებთან ერთად დაცურავს. ჯოუნსიმ თქვა, ისეთი დიდია, მილში ვერ გაეტევაო. ასეა თუ ისე, მესიე ბივერ კლარენდონს აქ ჯდომა მოუწევს, რადგან სიტყვა აქვს მიცემული, რადგან დრო ყოველთვის ნელა გადის, როდესაც შფოთავ ან გეშინია. და რადგან ჯოუნსისა სჯერა. ჯოუნსისა და ჰენრის მისთვის არასდროს უწყენინებიათ, აბუჩად არასდროს აუგდიათ. არც პიტი. არც დადიტსისთვის უწყენინებიათ ან დაუცინიათ.

ბივმა სასაცილოდ ჩაიფრუტუნა. დადიტსი და მისი საუზმის კოლოფი სკუბი-დუსთან ერთად. დადიტსი მუცელზე წევს და ბაბუაწვერებს სულს უბერავს. დადიტსი უკანა ეზოში ცელქობს, ბედნიერია, როგორც ჩიტი ხეზე. იმ ადამიანებს, რომლებიც მისნაირ ბავშვებს სხვებისგან განსხვავებულებს უწოდებენ, არაფერი ესმით. ის ბავშვები მართლაც განსაკუთრებულები არიან, სხვებისგან გამორჩეულები, ამ საზიზღარი სამყაროსგან დასაჩუქრებულები, თუმცა მისგან, კარგს რას უნდა ელოდო. დადიტსი გასაოცარი ბავშვია, მათი სულის გამაკეთილშობილებელია და მათ ის უყვართ.

5

ისინი მზით განათებული სამზარეულოს კუთხეში სხედან, – ღრუბლები, თითქოს რაღაც ჯადოქრობით, გაიფანტა – ყინულიან ჩაის მიირთმევენ და დადიტსს აკვირდებიან, რომელიც თავის „ზარექსს" (შესახედავად საზიზღარ ნარინჯისფერ სითხეს) შეექცევა. სამ-ოთხ იმხელა ყლუპს სვამს, ლამის დაიხრჩოს. ჭიქას დაცლის და სათამაშოდ გარბის.

ჰენრი თხრობას საკუთარ თავზე იღებს და მისის ქეველს უხსნის, რომ „ის ბიჭები დადიტსს მხოლოდ ხელს ჰკრავდნენ, ცოტათი გაცხარდნენ, მაისური შემოახიეს, შეაშინეს და ისიც ატირდა". არც ერთი სიტყვა იმის შესახებ, რომ რიჩი გრენადომ და მისმა მეგობრებმა დადიტსი თითქმის გააშიშვლეს და ძაღლის განავლის შეჭმას აიძულებდნენ, ხოლო როდესაც მისის ქეველი ეკითხება, იცნობს თუ არა ჰენრი იმ ბიჭებს, იგი ოდნავ ყოყმანობს, – არაო, – ამბობს და ამატებს, რომ უფროსკლასელები იყვნენ, რომელთა სახელებიც არ იცის.

ქალი ჯოუნსის, ბივერსა და პიტს შესცქერის, მაგრამ ისინიც გულმოდგინედ უარობენ. იქნებ, ეს შეცდომაც იყოს და დადიტსს მომავალში საფრთხე შეუქმნას, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, ერთბაშად გადააბიჯონ ცხოვრების კანონებსა და წესებს. ბივერს ისიც კი ვერ

გაუგია, საერთოდ, როგორ გაბედეს ჩარევა, მოგვიანებით დანარჩენებიც იმავეს იტყვიან. მათ არა მარტო საკუთარი გამბედაობა აოცებთ, არამედ ისიც, თუ როგორ მოახერხეს, რომ საავადმყოფოში არ მოხვდნენ.

რობერტა ნაღვლიანად ოხრავს და უეცრად ბივერი ხვდება, რომ ქალმა ბევრი რამ იცის იქიდან, რასაც ისინი ბოლომდე არ ამბობენ, იქნებ იმდენიც კი, რომ მთელი ღამე თვალზე რული არ მიეკარება. თუმცა, ამ დროს ის იღიმის, ბივერს უღიმის და ამ უკანასკნელს ტანში ჟრუანტელი უვლის.

– რამდენი ელვა ახატია თქვენს ქურთუკს! – ამბობს რობერტა.

– დიახ, მემ, – ეღიმება ბივერს, – ეს ჩემი ფონზი-ქურთუკია. ადრე ჩემს ძმას ეცვა. მეგობრები დამცინიან, მაგრამ მე მაინც მიყვარს.

– „ბედნიერი დღეები"[63] – ამბობს ქალი, – ის ჩვენც მოგვწონს. დადიტსსაც. იქნებ, როგორმე შემოგვიაროთ და ერთად ვუყუროთ. მასთან ერთად.

ღიმილი ცოტათი შესაბრალისი გაუხდა, თითქოს გრძნობს, რომ ეს არ მოხდება.

– დიახ, კარგი იქნებოდა, – ეთანხმება ბივი.

– გეთანხმებით, – თავს აქნევს პიტი.

რამდენიმე წუთის განმავლობაში ყველანი დუმან და ეზოში დადიტსის ხტუნვას შეჰყურებენ. ვიღაცას, ალბათ მამას, ეზოში ორადგილიანი საქანელა ჩამოუკიდია. დადიტსი მას ჩაურბენს, ხელს ჰკრავს და გააქანებს. ზოგჯერ ჩერდება, ხელებს გულზე დაიკრეფს, უციფრო ციფერბლატის მსგავს სახეს ცას მიაპყრობს და იცინის.

– მგონი, კარგად არის, – ამბობს ჯოუნსი და ჩაის სმას ამთავრებს, – ყველაფერი დაივიწყა.

მისის ქეველი წამოდგომას აპირებდა, მაგრამ კვლავ ჯდება და დაბნეულად უყურებს მას.

– არა, სულაც არა, – თავს აქნევს იგი, – ახსოვს. ისე არა, როგორც

[63] ამერიკული ტელესერიალი.

თქვენ ან მე, მაგრამ ბევრი რამ ახსოვს. ამაღამ, ალბათ, კოშმარებს ნახავს, მაგრამ როდესაც მე და მამამისი მივაკითხავთ, ვერაფერს აგვიხსნის. ეს ყველაზე ცუდია: არ შეუძლია გვითხრას, რას ხედავს, რას ფიქრობს ან გრძნობს. სიტყვები არ ჰყოფნის, – ღრმად ამოიოხრებს, – ნებისმიერ შემთხვევაში, ის ბიჭები მას არ დაივიწყებენ. იქნებ მასზე ან თქვენზე შურისძიება მოინდომონ?

– საკუთარ თავზე ჩვენ თვითონ ვიზრუნებთ, – ამბობს ჯოუნსი. ხმა არ უთრთის, მაგრამ მზერა სადღაც გაურბის.

– შესაძლებელია, – ეთანხმება ქალი, – მაგრამ დადიტსი? შემიძლია, გავაცილო სკოლაში, როგორც ამას ადრე ვაკეთებდი. როგორც ვატყობ, ასეც მომიწევს, ცოტა ხანს მაინც. მაგრამ მას ძალიან უყვარს სკოლიდან მარტო დაბრუნება.

– ასე თავს, ალბათ, მოზრდილ ადამიანად გრძნობს, – ვარაუდს გამოთქვამს პიტი.

ქალი ხელს იწვდის და პიტს თითებზე ეხება, რის გამოც ბიჭი წითლდება.

– მართალია, ასე თავს მოზრდილ ადამიანად გრძნობს.

– იცით, რა, თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ჩვენ შეგვიძლია მისი გაცილება. ყველანი საშუალო სკოლაში დავდივართ, იქიდან კანზასსტრიტამდე კი ორიოდე ნაბიჯია. – სთავაზობს ჰენრი,

რობერტა ქეველი ამაზე არაფერს ამბობს. პატარა ქალი-ბეღურა ყვავილებიანი კაბით ისე ყურადღებით შესცქერის ჰენრის, გეგონებათ ანეკდოტის კულმინაციურ მომენტს ელოდებაო.

– თანახმა ხართ, მისის ქეველ? – ეკითხება ბივერი, – ეს ჩვენთვის სირთულეს არ წარმოადგენს.

მისის ქეველს სახე უცნაურად ეცვლება: კანქვეშ კრუნჩხვასავით დაუვლის, ცალი ქუთუთო დაშვებული აქვს, თითქოს თვალის ჩაკვრას აპირებსო, მეორე თვალი კი მართლაც უხამხამებს. ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებს და ენერგიულად იხოცავს ცხვირს. ცდილობს,

რომ ჩვენზე არ გაეცინოს, – ფიქრობს ბივერი. როდესაც შინისკენ მიმავალ გზაზე ამ ფიქრებს ჰენრის გაუზიარებს, ეს უკანასკნელი გაოცებით მიაჩერდება მას. „ის ქალი ტირილის შეკავებას ცდილობდა, – აუხსნის ბივს და მცირე პაუზის შემდეგ თბილად დაამატებს, – ბრიყვო“.

– შეძლებდით ამის გაკეთებას? – ეკითხება მათ ქალი და როდესაც ჰენრი ყველას მაგივრად თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, შეკითხვას ცვლის, – რატომ?

ჰენრი მეგობრებს შესცქერის, თითქოს ეუბნება, – იქნებ, თქვენც გამოთქვათ აზრი ამის შესახებო.

– ჩვენ მოგვწონს ეს ბიჭი, მემ.

– განსაკუთრებით ის, როცა საუზმისთვის განკუთვნილ ყუთს ზემოთ სწევს და დადის, – თავის ქნევით ეთანხმება ჯოუნსი.

– დიახ, ეს მაგრად ასწორებს, – ამბობს პიტი. ჰენრი მაგიდის ქვეშ ფეხს ურტყამს. პიტი ხვდება, რომ ზედმეტი თქვა – აშკარაა, როგორ აქვს ტვინი მოწყობილი, – და შეცბუნებისგან წითლდება.

მისის ქეველი თითქოს ვერაფერს ამჩნევს. იგი სხვა რამით არის დაკავებული – დაძაბული მზერით ჰენრის მისჩერებია.

– ჩვეულებრივ, რვას რომ თხუთმეტი აკლია, სახლიდან მაშინ გადის, – ამბობს ბოლოს.

– ამ დროისთვის ჩვენ თითქმის თქვენს სახლთან ვართ ხოლმე, – პასუხობს ჰენრი, – ხომ ასეა, ბიჭებო?

და თუმცა შვიდი საათი და ორმოცდახუთი წუთი მათთვის ცოტა ადრეა, ყველანი თავის ქნევით ეთანხმებიან და ამბობენ, – ზედგამოჭრილი დროაო.

– და თქვენ ამას გააკეთებდით? – კვლავ ეკითხება მისის ქეველი და ამჯერად ბივერს მისი აზრების წაკითხვა არ უჭირს. ქალს სკეპტი-მაინცვინხართ-იზმი ალაპარაკებს, რაც ადამიანურ ენაზე ნიშნავს, რომ მათი ბოლომდე არ სჯერა.

– რა თქმა უნდა, – არწმუნებს ჰენრი, – ოღონდ, იქნებ დადიტსმა...

– არ მოინდომოს, რომ ჩვენ გავაცილოთ, – ამთავრებს წინადადებას ჯოუნსი.

– გაგიჟდით? – შესძახებს ქალი. ბივერს ეჩვენება, რომ მისის ქეველი საკუთარ თავს ესაუბრება და სურს დააჯეროს, რომ სამზარეულოში მართლაც სხედან ეს ბიჭები და წარმოუდგენელს სთავაზობენ, – თქვენთან მეგობრობა? ბიჭებთან, რომლებიც, როგორც დადიტსი ამბობს, ნამდვილ სკოლაში დადიან? იფიქრებს, რომ სამოთხეში მოხვდა! @

– მაშ, კარგი, – დაასკვნის ჰენრი. – რვას რომ თხუთმეტი დააკლდება, აქ ვიქნებით და სკოლამდე მივაცილებთ, შემდეგ კი უკან მოვიყვანთ.

– იგი ამთავრებს...

– ვიცით, როდის უშვებენ ბავშვებს დებილების აკადემიიდან, – მხიარულად ამბობს ბივერი და წამით ადრე, ვიდრე მეგობრების შეწუხებულ სახეებს დაინახავდეს, ხვდება, რომ გაცილებით საშინელი რამ წამოსცდა, ვიდრე სიტყვა „ასწორებს". და სასწრაფოდ პირზე ხელს იფარებს. შეშინებული თვალები ჭუჭყიანი ხელისგულის ზემოთ ორ ლამბაქს მიუგავს. ჯოუნსი ფეხს ისე მაგრად გაჰკრავს, რომ კინაღამ სკამიდან გადააგდებს.

– ყურადღებას ნუ მიაქცევთ, მემ, – ჰენრი მაშინვე ცდილობს მდგომარეობის გამოსწორებას, რაც მის შეცბუნებაზე მიანიშნებს, – მას მხოლოდ...

– არაფერია, – ხელს იქნევს ქალი, – ვიცი, რას ეძახის ხალხი „მერი მ. სნოუს". ზოგჯერ ელფისაც კი წამოსცდება ხოლმე.

უცნაურია, მაგრამ ეს საკითხი მას თითქმის არ ადარდებს.

– რატომ? – იმეორებს იგი შეკითხვას და თუმცა ჰენრის უყურებს, ბივერი, აწითლებული ლოყებისა და შეცბუნებული სახის მიუხედავად, თამამად პასუხობს:

– იმიტომ, რომ ის ძალიან მაგარია.

დანარჩენები თავს უქნევენ.

ისინი დადიტსს თითქმის ხუთი წლის განმავლობაში გააცილებენ სახლიდან სკოლამდე და პირიქით, იმ დღეების გამოკლებით, როცა ის ავადაა ან ესენი მიემგზავრებიან „კედელში გაკეთებულ ხვრელში". ხუთი წლის გასვლის შემდეგ დადიტსი მერი მ. სნოუს სკოლიდან, ანუ დებილების აკადემიიდან, დერის პროფესიულ სასწავლებელში გადადის, სადაც ღვეზლების ცხობას ("ზელების ცობას" დადიტსის ენაზე), მანქანებში აკუმულატორების შეცვლასა და ჰალსტუხის გამონასკვას სწავლობს (კვანძი ყოველთვის მშვენიერი გამოსდის, თუმცა ზოგჯერ ჭიპამდე სწვდება).

ჯოზი რინკენჰაუერთან დაკავშირებული ამბავი დიდი ხანია, წარსულს ჩაჰბარდა: ხანმოკლე, ცხრადღიანი სასწაული ყველას დაავიწყდა, ჯოზის მშობლების გარდა, რომლებსაც ეს, ცხადია, სიცოცხლის ბოლომდე ემახსოვრებათ.

მათ უკვე ასწავლეს დადიტსს პარჩიზი და მონოპოლის გამარტივებული ვარიანტი, „დადიტსის თამაშიც" მოიგონეს, რომელსაც გაუთავებლად თამაშობენ და ისე ხარხარებენ, რომ ელფი ქეველი (ცოლისგან განსხვავებით, იგი მაღალია, მაგრამ რაღაცით ისიც ჩიტს წააგავს) სათამაშო ოთახთან დგება და ხმამაღლა მოითხოვს აუხსნან, თუ რატომ ხმაურობენ, რა არის ასეთი სასაცილო; ისინიც გულწრფელად ცდილობენ, აუხსნან, რომ დადიტსმა ჰენრის პალო მეორის ნაცვლად მეთხუთმეტე ორმოში ჩაარჭო და მას პატიოსნად გამომუშავებული თხუთმეტი ქულა წაართვა; მაგრამ ელფი ამგვარ საკითხებში, როგორც ჩანს, ცუდად ერკვევა: იგი კიბის უჯრედზე დგას, ხელში გაზეთი უჭირავს, გაოცებული იღიმება და ერთსა და იმავეს იმეორებს: „ასე ნუ ღრიალებთ, ბიჭებო..." შემდეგ ისევ თავის ოთახში შედის და კარს ხურავს. „დადიტსის თამაში" ყველა გასართობზე სასაცილოა და როგორც პიტი იტყოდა, მაგრად ასწორებს.

ზოგჯერ ბივერი იმდენს იცინის, გეგონებათ, საცაა გასკდებაო, დადიტსი კი ქრიბიჯის ძველი დაფის გვერდით, ნოხზე ლოტოსის პოზაში ზის და ბუდასავით ყურებამდე იღიმება. გასაგიჟებელია!

მაგრამ ეს ყველაფერი მომავალში მოხდება, ახლა კი ყველანი სამზარეულოში სხედან, მზე საოცრად თბილად ანათებს, დადიტსი ეზოში საქანელას აქანავებს. დადიტსი, რომელიც – ისინი ამას თავიდანვე მიხვდნენ – არავის ჰგავს, ვინც კი უნახავთ.

– ვერაფრით გამიგია, როგორ შეეძლოთ მისი ტირილის ატანა, – იძახის მოულოდნელად პიტი, – არ მესმის, როგორ შეეძლოთ მისი აბუჩად აგდება.

რობერტა ქეველი მას სევდიანი თვალებით შესცქერის და ამბობს:

– დიდ ბიჭებს, უბრალოდ, არ ესმით ის, რაც თქვენ გაიგონეთ. ვიმედოვნებ, ამის გაგებას ვერასდროს შეძლებთ.

6

– ჯოუნსი! – იჭაჭება ბივერი, – ჰეი, ჯოუნსი!

ამჯერად პასუხი ესმის, სუსტი, მაგრამ მკაფიო. ფარდულში თოვლმავალთან ერთად ათასი წვრილმანია, მათ შორის ძველებური საყვირი, რომელსაც ოციან-ოცდაათიან წლებში ველოსიპედის საჭეზე ამაგრებდნენ. და ახლა ბივერს მისი გაბმული ხმა ესმის: პი-იი... პი-იი...

ხმაური, რომელიც დადიტსს ისე მოეწონებოდა, რომ სიცილისგან ჩაბჟირდებოდა; ბებერი დადსი – აი, ვის უყვარდა გამაყრუებელი, ტკბილი ჰანგები.

გამჭვირვალე ცისფერი ფარდა შეირხა და ბივერს ტანში ჟრუანტელმა დაუარა. კინაღამ წამოხტა, წარმოიდგინა, რომ ეს მაკარტი იყო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ თვითონ გაჰკრა მას იდაყვი – აბა, რა ექნა ამ სივიწროვეში. კვლავ მოხერხებულად მოკალათდა. ქვემოდან არაფერი ესმოდა; ის რაღაც საზიზღარი ქმნილება ან მოკვდა,

ან კანალიზაციის რეზერვუარში ეგდო. უეჭველად.

ჰო... თითქმის უეჭველად.

ბივმა ხელი ზურგს უკან წაიღო, წყლის ჩასარეცხ ღილაკს მიაგნო, დაჭერა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა.

„მიწებებულივით იჯექი", – უბრძანა ჯოუნსიმ. ასე რატომ იგვიანებდა ჯოუნსი? ლენტს თუ ვერ მიაგნო, ხომ უნდა დაბრუნებულიყო? ათი წუთი მაინც გავიდა. თუმცა ეჩვენებოდა, რომ უკვე მთელმა საათმა განვლო. იჯდა უნიტაზის თავსახურზე მიცვალებულის საზოგადოებაში, რომლის უკანალიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს დინამიტი შესტენეს და ცეცხლი წაუკიდეს, რათა მოესაქმებინა.

– მიდი, ერთხელაც დაასიგნალე, – ჩაიბურტყუნა ბივმა, – დააწექი იმ წყეულ ოყნას, გამაგებინე, რომ აქ ხარ.

მაგრამ ჯოუნსი დუმდა.

7

ჯოუნსიმ ლენტს ვერ მიაგნო.

ყველგან ეძება, მაგრამ ვერ ნახა. ნამდვილად იქ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლურსმანზე არ ეკიდა. არც ხარახურით სავსე დაზგაზე აღმოჩნდა, არც საღებავიანი ქილების უკან, არც კაუჭზე, რომელზეც გაყვითლებულთასმებიანი რესპირატორები ქანაობდა.

ჯოუნსიმ მაგიდის ქვეშაც შეიხედა, Arcტიც ჩატ-ის სკამქვეშაც, შორეულ კედელთან დაწყობილი ყუთებიც შეამოწმა. მანქანის სათადარიგო ფარა კვლავაც ყუთში იდო, იქვე იყო სიგარეტი – ნახევარი კოლოფი „ლაქი სთრაიქი", მაგრამ ლენტი თითქოს მიწას ჩაეყლაპა.

გრძნობდა, როგორ გადიოდა წუთები. ერთხელ აშკარად მოესმა ბივის ძახილი, მაგრამ ულენტოდ დაბრუნება არ უნდოდა, ამიტომ ძირს დაგდებული ძველი საყვირი აიღო, გაცვეთილ რეზინს ხელი რამდენჯერმე დააჭირა და გულის გამაწვრილებლად დაასიგნალა. ეს რომ დადიტსს გაეგონა, უეჭველად მოეწონებოდა.

რაც უფრო გაშმაგებით იქექებოდა ძველ ნივთებში, მით უფრო

იპყრობდა ლენტის მოძებნის ჟინი. მართალია, თოკის გორგალს მიაგნო, თუმცა ტუალეტის საჯდომი ბაწრით როგორ დაემაგრებინა? გაახსენდა, რომ სამზარეულოს კარადაში სადღაც სკოტჩი უნდა ყოფილიყო, ამაში ჯოუნსის ეჭვი არ ეპარებოდა, მაგრამ ის საზიზღარი არსება, დგაფუნის მიხედვით, საკმაოდ ღონიერი ჩანდა, მოზრდილი თევზისხელა, და სკოტჩი ვერ გაუძლებდა.

ჯოუნსი ყოყმანობდა, ფარდულს ათვალიერებდა, თმას იწვალებდა (ხელთათმანი არ ეცვა, აქ საკმაოდ დიდხანს იმყოფებოდა და შესაძლოა, თითები მოჰყინოდა) და ყოველ ამოსუნთქვაზე პირიდან თეთრ ორთქლს უშვებდა.

– სად ხარ, შენი დედაც! .. – შესძახა ხმამაღლა და დაზგას მუშტი გამეტებით დასცხო. დარტყმისგან ლურსმნებით, ბოლტებითა და ქანჩებით სავსე, ერთიმეორეზე შემოდებული პატარა ყუთები გადმოცვივდა, ყველაფერი მიმოიფანტა და იატაკზე საიზოლაციო ლენტის დიდი გორგალი გაგორდა. დალახვროს ეშმაკმა, ალბათ, ათჯერ მაინც შეხედა მას და ვერ შეამჩნია!

ჯოუნსიმ რულონი ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო – კიდევ კარგი, რომ თბილად ჩაცმა არ დაავიწყდა, თუმცა არ შეუკრავს – და კარისკენ შეტრიალდა. ამ დროს ბივერის გამყინავი ყვირილი მოესმა. გულის გამგმირავი ხმა ძლივს აღწევდა, მაგრამ აუტანელი ტკივილით აღსავსე ძახილის გაგონება ჯოუნსის არ გასჭირვებია.

იგი კარისკენ გავარდა.

8

ტყუილად როდი ჩასჩიჩინებდა დედა ბივერს, ადრე თუ გვიან, ეგ კბილის ჩხირები ბოლოს მოგიღებსო, მაგრამ ასეთ რამეს რას წარმოიდგენდა?!

ბივერი დამჯერე ბავშვივით იჯდა უნიტაზის თავსახურზე. ხელი კომბინეზონის წინა ჯიბეში ჩაიყო, მაგრამ იქ ერთი კბილსაჩიჩქნიც აღარ დახვდა – ყველა იატაკზე ეყარა. მართალია, ორ-სამს სისხლი

არ ეცხო, მაგრამ მათ ასაღებად ოდნავ უნდა წამოწეულიყო და წინ გადახრილიყო.

ბივერი საკუთარ თავს ცხარედ ეკამათებოდა. „მიწებებულივით იჯექი", – უბრძანა ჯოუნსიმ, თუმცა ეს საზიზღრობა, ალბათ, კარგა ხანია, სადღაც ჩაიძირა. „ვეშვებით, ვეშვებით, ვეშვებით" – ასე ამბობდნენ წყალქვეშა გემების მეზღვაურები ძველებურ სამხედრო ფილმებში. ასეც რომ არ ყოფილიყო, მხოლოდ წამით მოაცილებდა საჯდომს უნიტაზის თავსახურს. თუ ის ქმნილება ამოხტომას დააპირებდა, მთელი სიმძიმით მაშინვე ზედ დაებერტყებოდა და იქნებ მისთვის თხელი ქერცლიანი კისერიც მოეტეხა (იმ პირობით, თუ ასეთი რამ ჰქონდა).

ბივი ნაღვლიანად შესცქეროდა კბილსაჩიჩქნებს. ორი ცალი საკმაოდ ახლოს ეგდო, ხელის გაწვდენაზე, მაგრამ პირში სისხლიანი ღერების ჩადება, იმის გათვალისწინებით, თუ საიდან გაჩნდა ეს სისხლი... თანაც ეს ბეწვიანი ობი, კაფელებს შორის ჩამდგარ სისხლს რომ მოსდებოდა... უკვე – კბილსაჩიჩქნებსაც. ოღონდ იმათ არა, რომლებსაც სისხლი არ მოეცხოთ. ისინი სუფთა და ქათქათა იყო. ცხოვრებაში ასე არ მონდომებია ხის ნამცეცის ღეჭვა და დანაწევრება.

– ჯანდაბას! – თქვა ბივმა, წინ გადაიზნიქა და ხელი გაიწვდინა. ცოტაც და, თითებით მისწვდებოდა უახლოეს სუფთა კბილსაჩიჩქნს. ფეხის კუნთები დაძაბა და საჯდომით უნიტაზიდან ჩამოსრიალდა. სწორედ იმ დროს, როდესაც კბილსაჩიჩქნს ხელი ჩაავლო, – აჰა, ხომ დაგიჭირე, – თავსახურს ქვემოდან რაღაც ისეთი ძალით შეეჯახა, რომ ბივერს დაუცველი კვერცხები კინაღამ გაუჭყლიტა და წინ გადააგდო. ბივერი საშხაპის ფარდას მოეპოტინა და მთელი ძალა მოიკრიბა, რომ არ წაქცეულიყო, მაგრამ მოულოდნელად ფარდის რგოლები ღრჭიალით მოსძვრა ლავგარდანს, კაცს სისხლზე ფეხი დაუსხლტა და თვითმფრინავიდან კატაპულტით ამოვარდნილი ადამია-

ნის სისწრაფით გაიშხლართა იატაკზე. მის უკან უნიტაზის თავსახური ავარდა და ბივერს ზურგზე რაღაც სველი და მძიმე დაეცა, რაც დაკუნთულ კუდად, მატლად თუ მახინჯი არსების საცეცად მოეჩვენა, ის მის ფეხებს შორის დაიგორგლა და ისედაც ნატკენ სათესლე პარკზე პითონივით ღონივრად მოუჭირა. სისხლიან კაფელზე გაწოლილმა ბივერმა (ნიკაპი დაჩეჩქოდა, თვალები ლამის ბუდიდან გადმოსცვენოდა) თავი ასწია და საშინელი ხმით იყვირა. სველი და ცივი არსება, ბივის კეფიდან წელამდე, ცოცხლად დახვეული ნოხივით გაიჭიმა და ისე ახმაურდა, კაცს ჩიტების თავაწყვეტილი ჟივჟივი ან მაიმუნის ჭყივილი ეგონებოდა.

ბივერმა ისევ დაიყვირა და კარისკენ გახოხდა, შემდეგ კი როგორღაც მუხლებზე დადგა, საზიზღარი ქმნილება რომ ჩამოეგდო. მის ფეხებს შორის ფოლადის თოკი კვლავ შეიკუმშა და იმ ადგილიდან, სადაც საზარდული საშინლად სტკიოდა, ჩუმი ტკაცუნი გაისმა.

ღმერთო ჩემო, – გაიფიქრა ბივმა, – ღმერთო დიდებულო, მგონი, ეს ჩემი კვერცხი იყო.

ოფლში გაწურულმა, ძაღლივით ენაგადმოვარდნილმა ბივერმა ის ერთადერთი რამ გააკეთა, რაც თავში მოუვიდა: კვნესით ზურგზე გადაბრუნდა, რათა საზიზღარი ქმნილება კაფელზე მიესრისა. ის კი აჭყივლდა და გააფთრებით ასხმარტალდა. ბივერმა ფეხებს შორის მოქცეულ კუდში ხელი წაავლო – ჯაგარივით იჩხვლიტებოდა, თუმცა გლუვი და უხმო იყო. და – სველი. წყალი? სისხლი? თუ ორივე?

– ა-ა-ა! ღმერთო, გამიშვი! გამიშვი შენი დედაც! .. ღმერთო! ჩემი კვერცხები! ღმერთოო!

მაგრამ სანამ კუდს კარგად მოიხელთებდა, კეფაში ერთი მუჭა ნემსი შეესო. ბივერი ღრიალით შეირხა. ქმნილება მოულოდნელად მოსცილდა. ბივერმა წამოდგომა სცადა, ხელებს დაეყრდნო, რადგან ფეხებში ძალა გამოლეოდა, ხელისგულები არა მარტო სისხლში უსხლტოდა, – გატეხილი უნიტაზიდან წყალი გადმოდიოდა და იქაურობა საციგურაო მოედანს ჰგავდა.

როგორც იქნა, წამოდგა და კარზე მიკრული სინდიოფალას მსგავსი არსება დაინახა. უფეხო, მსხვილი, მოწითალო ოქროსფერი კუდით. თავის ნაცვლად ლორწოვანი უფორმო გუნდა ება, საიდანაც ღვარძლით სავსე შავ თვალებს აკვესებდა. ორად გაყოფილი ქვედა ნახევრიდან ჩაწიკწიკებული კბილები მოუჩანდა. მოულოდნელად ქმნილება ბივერს გველივით ეძგერა: გუნდა წინ გავარდა, უთმო კუდი კი კარის სახელურზე დაეხვია.

ბივერმა შეჰყვირა და უკან დაიხია, თვალებთან ხელი მიიტანა, ზედ უკვე სამი თითი აკლდა. მხოლოდ ცერი და ნეკი შერჩენოდა. უცნაურია, რომ ტკივილი ვერ იგრძნო, ალბათ, გაჭყლეტილი სათესლე პარკის ტკივილმა გადასძალა. ბივერმა ნაბიჯის უკან გადადგმა სცადა, მაგრამ ნაკუთალებით უნიტაზს მიებჯინა. იქით გზა აღარ იყო.

ეს არსება იჯდა მასში? – მოასწრო გაფიქრება ბივერმა, – ეს იჯდა?

არსებამ კუდი, საცეცი თუ ის რაღაც გაშალა, რაც ჰქონდა და კვლავ ეცა ბივს. რუდიმენტული თავის ზედა ნახევარში შეშლილის თვალები ელავდა, ქვედა ნახევარი ნემსებს დაეფარა. სადღაც შორიდან, სხვა სამყაროდან, სადაც გონება ჯერაც ცოცხლობდა, ჯოუნსის ხმა ისმოდა. მაგრამ ჯოუნსიმ დააგვიანა. სამუდამოდ.

მაკარტიში მყოფი არსება წკლაპუნით დაეშვა ბივერის მკერდზე. მისგან მაკარტის გაზების სუნი, ზეთის, ეთერისა და მეთანის სიმყრალე მოდიოდა. დაკუნთული მათრახი ბივერს წელზე მოხვია, თავი წინ გაისროლა და მსხვერპლს კბილები ცხვირში ჩაავლო.

ბივერი იგრიხებოდა, ქმნილებას მუშტებს უშენდა. ბოლოს უნიტაზზე დაეცა. როდესაც არსებამ გარეთ გამოაღწია, უნიტაზის დასაჯდომი და თავსახური შეხტა. დასაჯდომი თავის ადგილზე დაეშვა, თავსახური კი დარტყმისას გატყდა და აწეული დარჩა. ბივერი უკანალით უნიტაზში ჩავარდა. ქმნილება კვლავ ცხვირში ჩაჰფრენოდა.

– ბივერ! ბივ, რა...

ბივერმა იგრძნო, რომ ქმნილება გაშეშდა, აღგზნებული მამაკაცის ასოსავით გამაგრდა. წელზე შემოხვეული საცეცი ჯერ დაიჭიმა, მერე მოდუნდა. შავი თვალებისა და იდიოტური სახის მქონე არსებამ იქით გაიხედა, საიდანაც ჯოუნსის ხმა გაისმა. ბივმა ჩამქრალი, წითელი, ბისტგადაკრული თვალებით კარში მდგარ მეგობარს შეხედა: ჯოუნსის ყბა ჩამოვარდნოდა, უღონოდ ჩამოშვებულ ხელში საიზოლაციო ლენტი ეჭირა (აღარაფერში დაგჭირდება, – გაიფიქრა ბივმა, – აღარაფერში), სრულიად უმწეოდ, შეძრწუნებული იყურებოდა. საზიზღარი ქმნილების მორიგი სადილი.

– ჯოუნსი, გაიქეცი! – იყვირა ბივერმა, რომელსაც პირი სისხლით ევსებოდა. მან იგრძნო, რომ საზიზღარი არსება ნახტომისთვის ემზადებოდა, ამიტომ ორივე ხელი მოხვია და შეყვარებულივით მკერდზე მიიკრა, – გაიქეცი! კარი მიხურე! ცეცხ...

უნდოდა ეთქვა, – სახლს ცეცხლი წაუკიდე, ორივენი ჩაგვკეტე, დაწვი ეს სისაძაგლე, ცოცხლად დაწვი, მე კი ამ წყეულ უნიტაზზე ვიჯდები, მის შეკავებას ვეცდები და თუ მისი დამწვარი სხეულის სუნს ვიგრძნობ, ბედნიერი მოვკვდებიო.

მაგრამ ქმნილება მთელი ძალით ცდილობდა თავის დახსნას, ჯოუნსი კი შტერივით იდგა კარში, ხელში ის სულელური საიზოლაციო ლენტი ეჭირა, პირი დაეღო და, დალახვროს ეშმაკმა, საოცრად ჰგავდა დადიტსს. ასეთ გამოთაყვანებულს კაცი, აბა, რას შეაგნებინებდა.

ქმნილებამ კვლავ ბივისკენ მიატრიალა უყურო გუნდა თავი, რომელიც ოდნავ უკან გადაეხარა, და სანამ ისევ წინ გატყორცნიდა და სამყარო უკანასკნელად აფეთქდებოდა, ბივერს თავში გამოსამშვიდობებელმა, ბავშვურად გულუბრყვილო აზრმა გაუელვა: კბილსაჩიჩქნი, დასწყევლოს ღმერთმა, დედა ყოველთვის ამბობდა...

დახუჭული თვალების წინ წითელმა ცეცხლმა იელვა, შიგ შავი ყვავილები ყვაოდა და სადღაც შორიდან მისი ყვირილი გაისმა. სიკვდილისწინა. უკანასკნელი.

9

ჯოუნსიმ უნიტაზზე მჯდომი ბივერი დაინახა, რომელსაც მკერდზე რაღაც შავ-წითელი, გიგანტური მატლის მსგავსი არსება მიჰკროდა. მეგობარს დაუძახა და ქმნილებამ მახინჯი, თავის მსგავსი ნაწილი მისკენ მოატრიალა. ღვარძლით სავსე, ზვიგენისებური თვალები და ისეთი კბილები ჰქონდა, რომ მავთულის გაკვნეტაც კი არ გაუჭირდებოდა. შიგ რაღაც გასჩროდა. ჯოუნსის უჭირდა იმის დაჯერება, რომ ბივერ კლარენდონის ცხვირის ნარჩენებს ხედავდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ასე იყო.

გაიქეცი! – უყვირა საკუთარ თავს, მაგრამ მაშინვე მეორე ხმა გაისმა, – გადაარჩინე! ბივერი გადაარჩინე!

ორივე ხმას ერთნაირი ძალა ჰქონდა, ამიტომ ჯოუნსი ზღურბლზევე გაქვავდა, გრძნობდა, რომ ფეხები ტყვიასავით დამძიმებოდა. ბივერის მკლავებში მოქცეული ქმნილება უცნაურ ხმებს გამოსცემდა: გიჟურად ჭყიოდა, რაც ჯოუნსის ტვინს უბურღავდა და აიძულებდა, რაღაც დიდი ხნის წინანდელზე ეფიქრა, მაგრამ რაზე?

უნიტაზში ჩაჭედილი ბივერი გულგამგმირავად უყვიროდა, – გაიქეცი და კარი მიკეტეო. ქმნილებამ ამ ხმაზე თავი მიაბრუნა, თითქოს მივიწყებული საქმე გაახსენდაო და ბივერს ამჯერად თვალში ეცა. ბივერი იკლაკნებოდა, საშინელ ხმებს გამოსცემდა, ცდილობდა, საზიზღარი არსება შეეჩერებინა, სანამ ის ჭყიოდა და სულ უფრო ღრმად ასობდა მსხვერპლს კბილებს, კუდის მაგვარ ნაწილს კი მაგრად უჭერდა წელზე და ცდილობდა, კომბინეზონიდან პერანგი ამოეჩაჩა და შიშველ სხეულზე მიჰკვროდა. ბივერი ფეხებს გაშმაგებით იქნევდა, ქუსლებით სისხლიან წყალს აშხეფებდა. კედელზე ჩრდილი გროტესკულ თოჯინასავით ცეკვავდა, საძაგელი ხავსი კი მთელ აბაზანას ედებოდა და საოცრად სწრაფად იზრდებოდა...

ჯოუნსიმ დაინახა, რომ ბივერი აგონიაშია; რომ ქმნილებამ მას თავი იმ დროს დაანება, როდესაც ბივი უნიტაზიდან აბაზანაში გა-

დავარდა და მაკარტის, იმ ბებერ შენს-კართან-ვდგავარ-და-ვაკაკუ-ნებს ზედ დაეცა. ქმნილება იატაკზე დახტა და მისკენ გახოხდა – ღმერთო ჩემო, რა სწრაფად! ჯოუნსიმ უკან დაიხია და კარის მიხურ-ვა მოასწრო. ქმნილება მას ყრუდ შეასკდა – სწორედ ისე, როგორც უნიტაზის თავსახურს – მაგრამ ისე ძლიერად, რომ კარი შეზანზარ-და. კარს ქვემოთ, სინათლის ზოლში მოჩანდა, როგორ შფოთავდა მისი ჩრდილი. კიდევ დარტყმა. ჯოუნსიმ დააპირა, სკამისთვის ეტა-ცა ხელი და სახელურში გაერჭო, მაგრამ მაშინვე მიხვდა, რომ ეს სი-სულელე და იდიოტიზმი იქნებოდა, რადგან კარი გარეთ კი არა, შიგ-ნით იღებოდა. მთავარი იყო, საზიზღარი ქმნილება თუ მიხვდებოდა კარის სახელურის დანიშნულებას და თუ მისწვდებოდა მას.

თითქოს ჯოუნსის აზრები წაიკითხაო, – ვინ თქვა, რომ ეს შეუძ-ლებელია? – ფაჩუნი გაისმა და სახელური გადატრიალდა. რაც უნდა ყოფილიყო ეს არსება, ძალა ნამდვილად არ აკლდა. ჯოუნსი მარცხე-ნა ხელითაც ჩააფრინდა კარს, მაგრამ არსება ისე ღონივრად აწვე-ბოდა სახელურს, რომ ჯოუნსი სასოწარკვეთამ შეიპყრო, პანიკაში ჩავარდნილს ეგონა, რომ ვეღარ გაუძლებდა და გაქცევაც კი დააპი-რა, მაგრამ ის სისაძაგლე ძალიან მოხერხებული ჩანდა, ამიტომაც გადაიფიქრა. ორი ნაბიჯის გადადგმასაც ვერ მოვასწრებ, რომ დამე-წევა, – გაუელვა თავში, – პატარა ოთახი მაინც იყოს. მომვარდება, ფეხში ჩამაფრინდება და...

ჯოუნსიმ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. ხელებზე ძარღვები და-ებერა, სახე დაეღრიჯა და კბილები დააკრაჭუნა. თეძოში აუტანელი ტკივილი იგრძნო. ეს დაწყევლილი ფეხი სირბილის საშუალებას არ მისცემდა, – ამისთვის მადლობა მოხუც პროფესორს, იმ ბებერ დარ-ტყმულს, რომელიც, წესით, საჭესთან ახლოსაც კი არ უნდა მიეშვათ, – და თუ კარის შეკავებასაც ვერ შეძლებდა, მაშინ რაღა ეშველებო-და?

რა თქმა უნდა, ბივერის ბედს გაიზიარებდა. მისი ცხვირი იმ ქმნი-ლებას ახლაც ქაბაბივით ჰქონდა პირში გაჩრილი.

ჯოუნსი კვნესით დააწვა სახელურს. იქითა მხრიდან წინააღმდეგობამ იმატა, მერე კი მოულოდნელად შესუსტდა და გაავებული ყეფა გაისმა. ზიზღით შეისუნთქა ეთერისა და მეთანის მყრალი ნაზავი.

ნეტავ, როგორ აწვება კარს ის საზიზღრობა? მას ხომ ფეხებიც კი არ აქვს – მხოლოდ მოწითალო-ოქროსფერი კუდი, ასე რომ...

უეცრად თავზარი დაეცა – თავზემოთ ხის ჭრიალი მოესმა. მიხვდა, რომ ქმნილებამ საქმეში კბილები ჩართო. გაუცნობიერებელმა შიშმა შეიპყრო. ეს საზიზღრობა, როგორღაც, მაკარტის მუცელში მოხვდა, იქ გაიზარდა და გიგანტურ, საშინელ სოლიტერად, კბილებიან კიბოდ იქცა. ბოლოს, ვეღარ დაეტია, კაცს შიგნეულობა გამოსჭამა და გარეთ გამოვიდა.

– ო-ო, არა, ღმერთო! – სლუკუნით წარმოთქვა თვალებზე ცრემლმომდგარმა ჯოუნსიმ.

საბაზანოს კარის სახელური ახლა საწინააღმდეგო მხარეს გადატრიალდა. ჯოუნსიმ ნათლად წარმოიდგინა, როგორ მიჰკვროდა კარს ის საზიზღრობა, კუდით თუ საცეცით, ფიჭვის ხის ფიცრებს კბილებით როგორ ჩაჰფრენოდა, ექაჩებოდა და ამტვრევდა...

– არა, არა, არა, – იმეორებდა ღონემიხდილი ჯოუნსი. ძალა ელეოდა, ოფლიანი ხელები სახელურზე უსრიალებდა, სახე მსხვილი წვეთებით დაჰფაროდა, დაძაბულობისგან გადმოკარკლული თვალებით შესცქეროდა უკანასკნელ დამცავ ზღუდეს. რამდენიმე დუიმით ზემოთ კი კბილები შეუჩერებლივ მუშაობდა. მალე ნაფოტები ჩამოცვივდებოდა (თუ იქამდე კარს ხელს არ გაუშვებდა) და ხვრელში გამოჩნდებოდა საზიზღარი ქმნილების ხახა, რომელმაც ბივერის ცხვირი შთანთქა.

ახლაღა გააცნობიერა, რომ ბივერი, მისი ძველი მეგობარი, ცოცხალი აღარ იყო.

– ის შენ მოკალი! – უყვირა გამწარებულმა ჯოუნსიმ კარის მეორე მხარეს მყოფ ქმნილებას, – ბივი მოკალი!

გახურებულ ლოყებზე ახლა, ოფლის ნაცვლად, ცრემლები სდიოდა. ბივერი თავისი შავი ტყავის ქურთუკით ("რამდენი ელვაა! " – შესძახა დადიტსის დედამ მათი გაცნობის დღეს), ბივერი, უფროსკლასელთა გამოსაშვებ საღამოზე რომ გამოტყვრა და კაზაკივით ცეკვავდა: ხელები მკერდზე დაეწყო და ბუქნისას ფეხებს წინ ისროდა, ბივერი ჯოუნსისა და კლარას ქორწილში, სიძისთვის მხარზე ხელი რომ გადაეხვია და ყურში გაშმაგებით ჩასჩურჩულებდა: „ბედნიერი უნდა იყო, მეგობარო, ყველა ჩვენგანზე ბედნიერი! " მაშინ პირველად იგრძნო, რომ ბივერი უბედური იყო. ჰენრისა და პიტთან დაკავშირებით შეკითხვები არ უჩნდებოდა, მათი ისედაც ესმოდა, მაგრამ ბივი? ახლა ბივი მკვდარია, სანახევროდ აბაზანაზე გადაწოლილა და მისტერ რიჩარდ შენს-კართან-ვდგავარ-და-ვაკაკუნებ მაკარტის მკერდზე განისვენებს.

– შენ ის მოკალი, შენი დედაც! .. – დაუღრიალა მან კარის ღრიჭოებში გამობერილ ბუშტუკებს, რომელთა რაოდენობაც სულ უფრო იზრდებოდა... ხუთი, ექვსი... ცხრა... თორმეტი!

საზიზღარმა ქმნილებამ – თითქოს ჯოუნსის გააფთრებამ გააოცაო – ზეწოლა შეასუსტა. ჯოუნსიმ გაგიჟებული სახით მიიხედ-მოიხედა რაიმე იარაღის პოვნის იმედით და თვალი მოჰკრა ძირს დაგდებულ საიზოლაციო ლენტს. შეეძლო, ასაღებად დახრილიყო, მაგრამ მერე რაღა ექნა? მის მოსაგლეჯად ორივე ხელი დასჭირდებოდა, მოწინააღმდეგეს რომც ეცლია, კარს თვითონ ძლივს აკავებდა და ლენტი, აბა, როგორ დაიჭერდა?

სახელური ისევ გადატრიალდა. თანდათან ღონე ელეოდა, ადრენალინი აღარ ჰყოფნიდა, ხელები უსხლტოდა, ეთერის სუნი სულ უფრო მძაფრი, მაგრამ სუფთა, ერთგვაროვანი ხდებოდა, რადგან მაკარტის გაზები და ექსკრემენტები მასში აღარ ერეოდა. ცოტაც და, ვეღარ გაუძლებდა, თუ...

ნახევარი წამით ადრე, სანამ კარში ორივე მხრიდან ჩასმული სახელურების შემაერთებელი ღერძი ტკაცუნით გატყდებოდა, ოთახში

მოულოდნელად ჩამობნელდა. სულ ოდნავ. თითქოს უკნიდან ვიღაც მიეპარა და მასსა და ნათურას შორის ჩადგა...

ღერძი გატყდა. სახელური, რომელსაც ჯოუნსი ჩაჰფრენოდა, მოძვრა და, გველისებური საზიზღარი ქმნილების ზეწოლით, კარი მაშინვე გაიღო. ჯოუნსიმ შეჰყვირა და სახელურს ხელი უშვა. ლენტის ხვეულაზე დაეცა და გადავარდა.

ჯოუნსი შეტრიალდა და გაქცევა დააპირა. მის წინ ნაცრისფერი კაცი იდგა.

ეს ვიღაც... თუ რაღაც... მისთვის უცნობი იყო, მაგრამ ეცნო კიდეც. ჯოუნსის იგი ზებუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებულ უამრავ სატელევიზიო შოუში ენახა, ასევე, ათასობით ტაბლოიდის პირველ გვერდზე (სერიული საშინელი კომიქსებით რომ გბომბავენ, სანამ სუპერმარკეტის სალაროს რიგში ხარ გაჭედილი), ფილმებში, როგორიცაა „უცხოპლანეტელი", „ახლო კონტაქტი" და „ცეცხლოვანი ცა"; მისტერ გრეი „საიდუმლო მასალებშიც" ხშირად ფიგურირებდა.

ყველა ფილმში ზუსტად იყო დაჭერილი მისი თვალების გამომეტყველება. ყოველ შემთხვევაში, ეს დიდი შავი თვალები იმ საზიზღარი არსების თვალებს ჰგავდა, მაკარტის უკანალი რომ გამოაჭამა და გარეთ გამოაღწია, პირიც ისეთივე ჰქონდა, – რუდიმენტული ნაპრალი და მეტი არაფერი, – ოღონდ ნაცრისფერი კანი ნაკეცებად ეკიდა მომაკვდავ ბებერ სპილოსავით. ნაოჭებიდან მოყვითალო-მოთეთრო ჩირქოვანი სითხე სდიოდა, ასევე – უსიცოცხლო თვალების კუთხეებიდან. სიზმართმჭერის ფეხებთან, ნავაჰოს ხალიჩაზე პატარ-პატარა გუბეები და შენადედები მოჩანდა, წვეთები ბილიკივით მიიკვლევდა გზას სამზარეულოს კარისკენ, საიდანაც თვითონ შემოვიდა. რამდენი ხანი იყო აქ მისტერ გრეი? ნუთუ ფარდულთანაც იდგა და აკვირდებოდა, როგორ გარბოდა ჯოუნსი სამზარეულოსკენ ხელში უსარგებლო საიზოლაციო ლენტით?

მან ეს არ იცოდა. მხოლოდ იმას ხედავდა, რომ მისტერ გრეი კვდებოდა. მის გვერდით უნდა გაერბინა, რადგან სააბაზანოში ის

საზიზღარი ქმნილება იატაკზე ყრუდ დაეცა. ახლა მასთანაც მივიდოდა.

– მარსი, – წარმოთქვა მისტერ გრეიმ მკაფიოდ და გარკვევით, თუმცა ტუჩების მსგავსი ორგანო არც კი შეურხევია. ჯოუნსიმ ეს ტვინის ცენტრით შეისმინა, სწორედ იმ ადგილით, სადაც დადიტსის ტირილი ჩაესმოდა ხოლმე.

– რა გინდა?

ქმნილება მის ფეხებთან მიხოხდა, თუმცა ჯოუნსიმ იგი ძლივს შეამჩნია. ძლივს შეამჩნია, როგორ დაიკრუნჩხა ნაცრისფერი ადამიანის შიშველ, უთითებო ფეხებთან.

– გაჩერდი, თუ შეიძლება – თქვა მისტერ გრეიმ ჯოუნსის ტვინის რომელიღაც კუნჭულში. ეს ტკაცუნი, არა, უფრო მეტი, ხაზი იყო. ზოგჯერ შენ ხედავ ამ ხაზს, ზოგჯერ გესმის, როგორც მაშინ გაიგონა დეფანიაკის მოსანანიებელი აზრები: ამას ვერ გავუძლებ, ნემსი გამიკეთეთ, სად არის მარსი?

იმ დღეს სიკვდილი მეძებდა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – ქუჩაში ვერ მომიხელთა, ვერც საავადმყოფოში, – იქნებ პალატა აერია, – და მას შემდეგ ჩემზე ნადირობდა. საბოლოოდ, მაინც მომაგნო.

ამ დროს ქმნილებას თავი გაუსკდა და იქიდან ეთეროვანი ნაწილაკების მოწითალო ნარინჯისფერი ღრუბელი წამოვიდა.

ჯოუნსიმ ის შეისუნთქა.

თავი მერვე
რობერტა

1

დადიტსის დედა, ორმოცდათვრამეტი წლის ჭაღარა ქვრივი (მაგრამ უწინდებურად ქალჩიტა მუდამ ყვავილებიანი კაბით, ამგვარი რამ არ იცვლება ხოლმე), ვესტდერიეიკრისის ქუჩაზე მდებარე სახლში, პირველ სართულზე, სადაც ახლა იგი შვილთან ერთად ცხოვრობდა, – ტელევიზორს უყურებდა. სახლი, რომელიც მეიპლეინზე ჰქონდათ, მან ელფის სიკვდილის შემდეგ გაყიდა. შეეძლო, ასე არც მოქცეულიყო, რადგან ქმარმა ბევრი ფული დაუტოვა. კომპანიამაც, სადაც ელფიმ საკუთარი სიცოცხლე დააზღვია, გვარიანი თანხა გადაუხადა, ავტომობილების სათადარიგო ნაწილების იმპორტზე მომუშავე, მის მიერ 1975 წელს დაარსებული ფირმის აქციები კი უჭირველი ცხოვრების შესაძლებლობას აძლევდა. მაგრამ სახლი ძალიან დიდი იყო; მის ყოველ კუთხე-კუნჭულში, და არა მარტო სასტუმრო ოთახში, სადაც ის და დადიტსი თითქმის მთელ დროს ატარებდნენ, უამრავი მოგონება იმალებოდა. ზემოთ ცოლ-ქმრის საძინებელი

ოთახი იყო. იქ საუბრობდნენ, სიყვარულის მორევში იძირებოდნენ, გეგმებს აწყობდნენ. ქვემოთ სათამაშო ოთახი მდებარეობდა, სადაც დადიტსი და მისი მეგობრები დილიდან საღამომდე ერთობოდნენ. რობერტას აზრით, მეგობრები ღვთის მიერ მოვლენილი ანგელოზები იყვნენ, ეგაა, რომ ბილწსიტყვაობა უყვარდათ, და როდესაც დადიტსი, მათი წაბაძვით „მოგიყანს“ ამბობდა, თავხედურად უმტკიცებდნენ, თქვენი შვილი პიტის ახალი ლეკვის, მოჰიკან ელმერის, სახელის შემოკლებით გამოთქმას ცდილობსო. რობერტა ისეთ სახეს იღებდა, თითქოს სჯეროდა და ვერ ხვდებოდა, რომ სიტყვაში ასო „ტ“ იყო გამოტოვებული.

დიახ, ძალზე ბევრი მოგონება, ბედნიერად გატარებული წუთების მრავალი აჩრდილი უკავშირდებოდა იმ სახლს. შემდეგ კი დადიტსი ავად გახდა. ეს უკვე ორი წლის განმავლობაში გრძელდებოდა და ძველმა მეგობრებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ, რადგან ისინი მას მერე აღარ გამოჩენილან. ქალს კი გამბედაობა არ ჰყოფნიდა, ყურმილი აეღო და ბივერისთვის დაერეკა, რომელიც ყველას მოუყრიდა თავს.

ახლა იგი ტელევიზორთან იჯდა და ახალი ამბების მორიგ გამოშვებას უყურებდა. შეძრწუნებული და თავზარდაცემული, მონუსხულივით უსმენდა იმას, რაც, დიქტორის სიტყვებით, შტატის ჩრდილოეთ ნაწილში ხდებოდა. საშინელება ის იყო, რომ დეტალები და სიმართლე ზუსტად არავინ იცოდა. მენის ტყეებში, დერიდან ას ორმოცდაათი კილომეტრის დაშორებით, მონადირეების იდუმალი გაუჩინარების შესახებ იტყობინებოდნენ. თორმეტი კაცი კვლავაც დაკარგულად ითვლებოდა, რაც უტყუარ ცნობად მიიჩნეოდა. რობერტა თითქმის დარწმუნებული იყო, რომ რეპორტიორები ჯეფერსონ-ტრექტს გულისხმობდნენ, სადაც, ჩვეულებრივ, მისი შვილის მეგობრები ნადირობდნენ ხოლმე, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი დადიტსს სისხლიან ამბებს უყვებოდნენ, რაც მასში ინტერესს, და, იმავდროულად, შიშსაც აღძრავდა.

იქნებ, მონადირეებს ტყეში ქარიშხალმა „ალბერტ კლიპერმა“ მოუსწრო, იქაურობას გადაუარა და ექვსი თუ რვა დუიმის სიმაღლის თოვლის საფარი დატოვა? შესაძლებელია. დარწმუნებით ვერავინ ვერაფერს ამბობდა, მაგრამ კინეოში ჩასული ერთი ოთხეული, როგორც ჩანს, მართლაც უგზო-უკვლოდ გაქრა. მათ სურათებს წამდაუწუმ აჩვენებდნენ, სახელებს კი საზეიმო ხმით გადმოსცემდნენ: ოტისი, როუპერი, მაკარტი და შუ. ეს უკანასკნელი ქალი გახლდათ.

დაკარგულ მონადირეებს ესოდენ დიდ ყურადღებას არ დაუთმობდნენ და მათ გამო „საპნის ოპერებს“ არ შეწყვეტდნენ, რომ არა ერთი გარემოება. ხალხი ირწმუნებოდა, რომ ცაში უცნაური, ფერადი ნათება იხილა. ორი მილინოკეტელი მონადირე, რომელიც კინეოში ორი დღით ადრე იმყოფებოდა, ამტკიცებდა, რომ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების თავზე სიგარის მსგავსი, უფრთო და უძრავი ობიექტი შენიშნა. იგი სადენების თავზე ოციოდე ფუტის სიმაღლეზე ეკიდა, ჩუმად ზუზუნებდა და ძვლების ვიბრაციას იწვევდა. და, როგორც ჩანს, კბილებისასაც. ორივენი ჩიოდნენ, რომ კბილები დაკარგეს და როდესაც ამის საჩვენებლად პირს ფართოდ აღებდნენ, რობერტას ეჩვენებოდა, რომ დარჩენილი კბილებიც მალე დასძვრებოდათ. მონადირეები ძველ „შევროლეში“ მსხდარან და როდესაც მიახლოება დაუპირებიათ, მანქანის ძრავა ჩამქრალა. ერთ-ერთ მათგანს ელემენტზე მომუშავე კვარცის მაჯის საათი ჰკეთებია, რომელიც ამ მოვლენიდან სამი საათის განმავლობაში უკუღმა ტრიალებდა, მერე კი სამუდამოდ გაჩერებულა (მეორე, ძველმოდურ მექანიკურ საათს კი არაფერი მოსვლია). რეპორტიორის თქმით, ამ ორი მონადირის გარდა, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები ბოლო ორი კვირის განმავლობაში ბევრმა სტუმარმა თუ ადგილობრივმა ნახა: ზოგმა სიგარის, ზოგმაც ტრადიციული თეფშის ფორმისა. რეპორტიორმა დაამატა, რომ ამგვარ მასობრივ გამოჩენას სამხედროების ჟარგონზე „შეკრება“ ეწოდებოდა.

მაშ, ასე – დაკარგული მონადირეები, ამოუცნობი მფრინავი ობიექტები, გემრიელი, საინტერესო, დამაინტრიგებელი ახალი ამბები პირდაპირ ეთერში საღამოს ექვს საათზე ("თქვენი შტატისა და ქალაქის ცინცხალი ამბები! "). მაგრამ დღეს ამას სხვა ბევრი სიახლეც დაემატა. თანაც გაცილებით ცუდი. მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ ჭორები იყო. და რობერტაც ღმერთს შესთხოვდა, რომ ყველაფერი ჭორადვე დარჩენილიყო, თუმცა ავი წინათგრძნობა არ ასვენებდა და უკვე ორი საათი ტელევიზორს მისჩერებოდა, ძალიან ბევრ ყავას სვამდა და სულ უფრო ნერვიულობდა.

რეპორტაჟებიდან ყველაზე მეტად ის აშინებდა, რომ რაღაც ობიექტი ტყეში ჩამოვარდა და იმ ადგილის სიახლოვეს დაეცა, სადაც მონადირეებმა მაღალი ძაბვის გადამცემების თავზე სიგარის მსგავსი ობიექტი დაინახეს. ასევე აშფოთებდა ცნობა, რომ ერუსტუკის რაიონის უმეტეს ნაწილში – ეს დაახლოებით ორასი კვადრატული მილის ფართობი იყო და ძირითადად, ქაღალდის მწარმოებელ კომპანიებს თუ სახელმწიფოს ეკუთვნოდა – კარანტინი გამოეცხადებინათ.

მაღალმა, ფერმკრთალმა მამაკაცმა ღრმად ჩამჯდარი თვალებით (მის უკან მოჩანდა აბრა, წარწერით „მანიაკების თავშესაფარი") ეროვნული გვარდიის ბანგორის ბაზაზე მისულ რეპორტიორებთან ხანმოკლე საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ გავრცელებული ჭორები სიმართლეს არ შეესაბამებოდა, თუმცაღა ამჟამად „ზოგიერთ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას" ამოწმებდნენ. მკერდზე ჩამოკიდებული წარწერის მიხედვით, ეს კაცი აბრაჰამ კურცი იყო. რობერტამ ვერაფრით დაადგინა ვერც მისი რანგი და ვერც ის, სამხედროებს წარმოადგენდა თუ სამოქალაქოებს. უბრალო მწვანე, ელვაშესაკრავიანი კომბინეზონი ეცვა და მეტი არაფერი, რის გამოც უნდა გეფიქრათ, რომ, შესაძლოა, სციოდა კიდეც, მაგრამ არ იმჩნევდა. რობერტას მისი დიდრონი, თეთრწამწამებიანი თვალები რატომღაც არ მოეწონა – მოეჩვენა, რომ ცრუობდა.

– შეგიძლიათ, დაგვიდასტუროთ, რომ ჩამოვარდნილი თვითმფრინავი უცხოური ან არამიწიერი წარმოშობის არ არის? – იკითხა ახალგაზრდა შესახედაობის რეპორტიორმა.

– „სატელეფონო ზარი უცხო პლანეტიდან“[64], – მიუგო კურცმა და გაიცინა. მას ზოგიერთი რეპორტიორიც აჰყვა. ვესტდერიეიკრისზე ტელევიზორთან მიმჯდარი რობერტას გარდა ვერავინ მიხვდა, რომ კურცმა შეკითხვას არ უპასუხა.

– შეგიძლიათ, დაადასტუროთ, რომ ჯეფერსონტრექტის რაიონში კარანტინი არ მოქმედებს? – დაინტერესდა მეორე რეპორტიორი.

– ამჟამად ამას ვერც დავადასტურებ, ვერც უარვყოფ, – მიუგო კურცმა, – საქმეს სრული სერიოზულობით ვეკიდებით. თქვენი მთავრობის დოლარები შეუფერხებლად იხარჯება, ქალბატონებო და ბატონებო, – იგი მოთუხთუხე ვერტმფრენისკენ გაეშურა, რომელზეც თეთრი ასოებით ეგა ეწერა.

ეკრანზე გაკეთებული წარწერის მიხედვით, სიუჟეტი ცხრა საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ჩაიწერა. მომდევნო რეპორტაჟი – მოხტუნავე გამოსახულება მოწმობდა, რომ იგი ხელის ვიდეოკამერით იყო გადაღებული – „სესნადან“[65] გაუშვეს, თვითმფრინავი მეცხრე არხს ჯეფერსონტრექტის თავზე საფრენად დაექირავებინა. ხილვადობას კარგი არ ეთქმოდა, მაგრამ თოვაშიც კი ჩანდა ორი ვერტმფრენი, რომელიც გიგანტურ ყავისფერ ნემსიყლაპიასავით ამოსდგომოდა აქეთ-იქიდან „სესნას“. ისინი ერთმანეთს რადიოგადამცემებით ესაუბრებოდნენ, მაგრამ ხმა ცუდად ისმოდა და რობერტა იძულებული იყო, მათი დიალოგი ეკრანის ქვედა ნაწილში, ყვითელ ზოლში ამოეკითხა: „რაიონი იზოლირებულია. ბრძანების თანახმად, უკან, აეროდრომზე უნდა დაბრუნდეთ. ვიმეორებ, რაიონი იზოლირებულია. დაბრუნდით“.

იზოლირებული კარანტინს გულისხმობდა? რობერტა ქეველის

---

[64] პანკროკჯგუფ „კლეშის“ სიმღერა.

[65] ამერიკული თვითმფრინავის მოდელი.

აზრით, ეს სიმართლესთან ახლოს იყო, თუმცა კურცის მსგავს ტიპს პასუხისთვის თავის არიდება არ გაუჭირდებოდა. ვერტმფრენებზე მკაფიოდ მოჩანდა წარწერა ეგა. სავარაუდოდ, აბრაჰამ კურცი სწორედ ერთ-ერთი მათგანით ჩაფრინდა დანიშნულების ადგილზე.

„სესნას" მფრინავი: „ვინ ხელმძღვანელობს ოპერაციას? "

რადიო: „მობრუნდით, „სესნა", თორემ ამის გაკეთებას გაიძულებენ".

„სესნა" დამორჩილდა და მოტრიალდა. როგორც წამყვანმა აღნიშნა, საწვავი ისედაც უთავდებოდათ, თითქოს ამით ყველაფერი აიხსნებოდა. იმ წუთიდან მოყოლებული წამყვანი მხოლოდ ძველ შეტყობინებებს იმეორებდა და ჯიუტად უკანასკნელ ცნობებად ასაღებდა. მსხვილმა ტელეკომპანიებმა შემთხვევის ადგილისკენ, როგორც ჩანს, საკუთარი კორესპონდენტები მიავლინეს.

ქალი ტელევიზორის გამორთვას აპირებდა, – ერთისა და იმავეს ყურება ნერვებს უშლიდა, – როდესაც დადიტსის ყვირილი შემოესმა. რობერტას წამით გული გაუჩერდა. შემოტრიალდა, სიჩქარეში იმ მაგიდას დაეჯახა, ოდესღაც ელფის, ახლა კი მას რომ ეკუთვნოდა, და ყავის ჭიქა წააქცია. ყავისფერი სითხე „თV-გიდს" გადაესხა და „სოპრანოს კლანის" თავზე პატარა გუბე დააყენა.

ყვირილს გულის გამგმირავი ისტერიული ქვითინი, ნაწყენი ბავშვის ტირილი მოჰყვა. დადიტსს ასე ემართებოდა ხოლმე – ახლა ოცდაათის იყო, მაგრამ მაინც ბალღად მოკვდებოდა, თანაც ორმოც წლამდე გაცილებით ადრე.

წამით რობერტას კინაღამ ფეხები მოეკვეთა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და შვილის საძინებლისკენ გაემართა. ერთი კი ინატრა: ნეტავ, ჩემ გვერდით ელფი იყოს... ან კიდევ უკეთესი, რომელიმე ბიჭი მაინც. თუმცა, კარგა ხანია, ბიჭები აღარ იყვნენ, არც ერთი, დადიტსის გარდა. დაუნის სინდრომმა იგი პიტერ პენად(ჯეიმს ბარის წიგნების პერსონაჟი – ბიჭი, რომელსაც არ უნდა, რომ გაიზარდოს და მარადიული ბავშვობის ქვეყანაში, სადღაც-არსაითში ცხოვრობს.)

აქცია და მალე სამუდამოდ წავიდოდა იმქვეყნად, შორეულ კუნძულ სადღაც-არსაითში.

– მოვდივარ, დადი! – გასძახა რობერტამ შვილს და წავიდა კიდეც, მაგრამ სადღა ჰქონდა უწინდებური სიმკვირცხლე! გული შეშინებული კურდღელივით უცემდა, ართრიტს გაეწამებინა. პიტერ პენის კუნძული მისთვის მიუწვდომელი იყო.

– მოდის, დედიკო, მოდის!

კვლავ გულგატეხილი ადამიანის გაუთავებელი სლუკუნი. პირველად მაშინ დაიყვირა, როდესაც კბილების გამოხეხვის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ღრძილებიდან სისხლი მოსდის. მაგრამ არასდროს გაჰკიოდა. მრავალი წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც მწარედ, შესაბრალისად იტირა. გაშმაგებული, განუწყვეტელი ქვითინი სულსა და ტვინს აფორიაქებდა. მოთქმით ტირილი და სლუკუნი, მოთქმით ტირილი და სლუკუნი, მოთქმით ტირილი და სლუკუნი...

– დადი, რა მოხდა?

რობერტა ოთახში შევარდა და ბიჭს გაფართოებული თვალებით შეაცქერდა. იმდენად იყო დარწმუნებული, შვილს სისხლდენა დაეწყოო, ზეწარზე სისხლის გუბეც კი მოელანდა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ ეს წარმოსახვა იყო. თვალცრემლიანი დადიტსი საავადმყოფოს მოყანყალებულ, მოჭრიჭინე საწოლზე ქანაობდა. თვალები ძველებურად მწვანედ უხასხასებდა, ოღონდ ლოყებიდან სიწითლე გადასვლოდა. აღარც შესანიშნავი ქერა თმა ჰქონდა, ახალგაზრდა არტ გარფუნკელს[66] რომ ამსგავსებდა. ფანჯრებიდან შემოსული ზამთრის დასუსტებული მზის სხივები სააფთიაქო ფლაკონებზე (ანტიბიოტიკებსა და ტკივილგამაყუჩებლებს შორის ერთიც არ იყო ისეთი, მის დაავადებას რომ შეაჩერებდა) ირეკლებოდა, მოშიშვლებულ თავის ქალაზე თამაშობდა და მაგიდის წინ მდგარ წვეთოვანსაც ეცემოდა.

რობერტამ უჩვეულო ვერაფერი დაინახა. ისეთი ვერაფერი, რაც

[66] ამერიკელი მომღერალი, პოეტი და მსახიობი.

აუტანელი ტკივილის გამო თითქმის გროტესკულ გამომეტყველებას გაამართლებდა.

შვილს გვერდით მიუჯდა და მისი აქეთ-იქით უმწეოდ მოყანყალე თავი მკერდზე მიიკრა. დადიტსს, აღგზნებულობის მიუხედავად, გრილი კანი ჰქონდა; სიკვდილის გზაზე შემდგარი სისხლი სხეულს ვეღარ ათბობდა. რობერტას გაახსენდა, როგორ კითხულობდა დიდი ხნის წინ „დრაკულას“[67] და სასიამოვნო ძრწოლისგან კრთებოდა, ოღონდ ღამით, ჩრდილებით სავსე ოთახში, ეს ნაკლებად სიამოვნებდა. უხაროდა, რომ ნამდვილი ვამპირები სინამდვილეში არ არსებობდნენ. თუმცა მოგვიანებით, მრავალი წლის შემდეგ მიხვდა, რომ ნაადრევად დამშვიდებულიყო. მის ცხოვრებაში შეუბრალებელი ვამპირი გაჩნდა, რომელთანაც ტრანსილვანიელი გრაფი ახლოსაც ვერ მივიდოდა. მას ლევკემია ერქვა და არ არსებობდა სოლი მის გულში ჩასასობად.

– დადიტს, დადი, რა მოხდა, ჩემო კარგო?

შვილი დედას მკერდში ჩაეკრა და საკუთარი შიშის მოყოლას შეუდგა. გაგონილმა რობერტას წამსვე გადაავიწყა ჯეფერსონტრექტზე მომხდარი ამბავი, ტანში სიცივემ დაუარა და გულში ფოლადის მარწუხი ისე ჩაესო, კინაღამ სუნთქვა შეუჩერდა.

– იერი ოვდა! იერი ოვდა! ოჰ, ეიკო, იერი ოვდა!

ზედმეტი შეკითხვის დასმას აზრი არ ჰქონდა, რობერტასთვის ყველაფერი ცხადი იყო – მთელი ცხოვრება შვილის გვერდით გაეტარებინა და მის ყოველ სიტყვას ხვდებოდა.

ბივერი მოკვდა! ბივერი მოკვდა! ოჰ, დედიკო, ბივერი მოკვდა!

---

[67] ირლანდიელ მწერალ ბრემ სტოკერის რომანი.

თავი მეცხრე
პიტი და ბეკი

1

პიტი თოვლით დაფარულ ნაღარში იწვა და იქამდე გაჰყვიროდა, სანამ ხმა არ ჩაუწყდა, შემდეგ კი მოდუნდა, სცადა, რომ ტკივილს შესჩვეოდა, როგორმე გაეყუჩებინა. არაფერი გამოუვიდა. ეს უკომპრომისო, შეუბრალებელი ტკივილი იყო, ბლიცკრიგის აგონია. არც კი იცოდა, ასეთი ტკივილი თუ არსებობდა – რომ სცოდნოდა, ქალთან დარჩენას ამჯობინებდა. მარსისთან, თუმცა მას მარსი არ ერქვა. თითქმის გაახსენდა მისი სახელი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? ახლა ხომ უჭირდა: ცხელი, საშინელი სპაზმები მუხლიდან ზემოთ ადიოდა და მთელ სხეულს მსჭვალავდა.

გზაზე იწვა და სიცივისგან კანკალებდა. გვერდით პოლიეთილენის ჩანთა ეგდო, წარწერით: „გმადლობთ, რომ ჩვენთან შეიძინეთ! " პიტმა ხელი მისკენ გაიწვდინა, რათა ენახა, ერთი ბოთლი თუ მაინც გადარჩა, და როგორც კი მუხლი გაანძრია, ისეთი დარტყმა იგრძნო, თითქოს დენმა დაუარა. წინა ტკივილი რა მოსატანი იყო. პიტმა

კვლავ შეჰყვირა და გონება დაკარგა.

2

მან არ იცოდა, რამდენ ხანს ეგდო უგონოდ – ალბათ არც ისე დიდ-ხანს, მაგრამ ფეხებიც გაეთოშა და ხელებიც, თუმცა თბილი ჩექმა და ხელთათმანი ეცვა.

პიტი სანახევროდ გვერდზე იწვა. გვერდით, ქარვისფერ ჭენჭყო-ში ლუდის პაკეტი ეგდო. მუხლის ტკივილი ოდნავ დაუცხრა – ალ-ბათ, სიცივემ უშველა – და მიხვდა, რომ აზროვნება შეეძლო. ამასაც არა უშავდა, რადგან სულელურ მდგომარეობაში აღმოჩნდა. რო-გორმე ქოხამდე და ცეცხლამდე უნდა მიეღწია და ამ საქმეში მხო-ლოდ საკუთარი თავის იმედი უნდა ჰქონოდა. თუ არ იმოქმედებდა და ჰენრისა და თოვლმავალს დაელოდებოდა, მათი გამოჩენის დრო-ისთვის ყინულის დიდ ლოლოდ გადაიქცეოდა, იქვე კი ბოთლის ნამ-ტვრევებით სავსე პაკეტი ეგდებოდა, წარწერით: „გმადლობთ, რომ ჩვენთან შეიძინე, ბატონო ალკოჰოლიკო, დიდი მადლობა! " შორიახ-ლოს ქალია, რომელიც შეიძლება მოკვდეს და ისიც იმიტომ, რომ პიტ მურს გადაყლურწვა მოუნდა.

მან ზიზღით შეხედა პაკეტს. უფრო შორს ვერ გადააგდებდა, მხო-ლოდ მუხლს თუ გაიმიზეზებდა, ამიტომ პიტმა მას თოვლი წააყარა, როგორც ძაღლი მალავს საკუთარ განავალს, და გახოხდა. აღმოჩ-ნდა, რომ მუხლი არც ისე ძლიერ დაჰბუჟებოდა. პიტმა იდაყვები აა-მუშავა, ძირითადად, ჯანმრთელ ფეხს ატანდა ძალას, კბილს კბილზე აჭერდა და თვალებში ჩამოფხატულ თმას სულს უბერავდა. ცხოვე-ლები აღარ ჩანდნენ. ჩაურბინეს და მარტო დატოვეს. საოცარი სიჩუ-მე იდგა, მხოლოდ საკუთარი ქოშინი ესმოდა და კვნესაც, მიწაზე მტკივანი მუხლის შეხების დროს. ზურგსა და მკლავებზე ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, თუმცა ხელ-ფეხს თითქმის ვერ გრძნობდა.

ალბათ დანებდებოდა კიდეც, მაგრამ ცოტა ხანში, გზის ბოლოს მისი და ჰენრის მიერ დანთებული კოცონის კაშკაშა ლაქა დაინახა.

მართალია, ალი პატარა იყო, მაგრამ, რაც მთავარია, ჯერ კიდევ ენთო. პიტმა გზა განაგრძო, როგორც კი ფეხში არაადამიანურ ტკივილს იგრძნობდა, ტუჩებს მაგრად კუმავდა და თოვლის უდაბნოში ნარინჯისფერ ნაპერწკალს მიაჩერდებოდა. რადაც უნდა დასჯდომოდა, იქამდე უნდა მიეღწია, თუნდაც ყოველი მოძრაობა გულში ხანჯალივით ჩასობოდა. ოჰ, როგორ უნდოდა ბოლომდე მისვლა! ოღონდ აქ, შუაგზაზე არ გაყინულიყო!

– მე შევძლებ ამას, ბეკი, – ბურტყუნებდა თავისთვის, – შევძლებ.

მან ეს სახელი რამდენჯერმე გაიმეორა, სანამ მიხვდებოდა, რას ამბობდა.

კოცონთან მიახლოებულმა საათს დახედა და მოიღუშა. თორმეტს ოცი აკლდა. ეს შეუძლებლად მოეჩვენა, რადგან, როდესაც სკაუტისკენ გამობრუნდა, დრო დაინიშნა და პირველის ოცი წუთი იყო. კარგად რომ დაუკვირდა, ამ უცნაური მოვლენის მიზეზსაც ჩასწვდა. საათი უკუღმა ტრიალებდა. წუთების მაჩვენებელი ისარი მკვეთრი, სპაზმური ბიძგებით მოძრაობდა. პიტს ეს დიდად არ გაჰკვირვებია. თუ ადრე ყველაფერი უჩვეულო მასში ცხოველ ინტერესს იწვევდა, ახლა ყურადღებას აღარაფერს აქცევდა. ფეხიც კი აღარ მიაჩნდა მთავარ პრობლემად. გაიყინა, ისე გაიყინა, რომ სხეული თითქმის აღარ ემორჩილებოდა. მან სიჩქარეს მოუმატა, შესამჩნევად დაღლილ ჯანმრთელ ფეხს უფრო ენერგიულად აწვებოდა და ვერც კი შეამჩნია, როგორ გაიარა ბოლო ორმოცდაათი იარდი და თითქმის მინავლულ კოცონს მიაღწია.

ქალი ბრეზენტზე აღარ დახვდა. როგორც ჩანს, ჩამოხოხებულიყო და ახლა ცეცხლის მოპირდაპირე მხარეს იწვა, თითქოს დარჩენილ შეშამდე მისვლა სურდა, მაგრამ შუაგზაზე წაქცეულიყო.

– ეი, მოვედი, ჩემო კარგო, – ამოიხვნეშა მან, – მუხლთან დაკავშირებით პატარა უსიამოვნება შემემთხვა, მაგრამ მაინც დავბრუნდი. სხვათა შორის, ამ დაწყევლილი ფეხის ამბავი სულ შენი ბრალია, ბეკი, ასე რომ, არ იწუწუნო, კარგი? ბეკი – მგონი, ასე გქვია, არა?

შესაძლოა, ასეც იყო, მაგრამ ქალმა არაფერი უპასუხა. იწვა და იყურებოდა. პიტი, კვლავინდებურად, მის ცალ თვალს ხედავდა, თუმცა აღარ ახსოვდა, ეს ის თვალი იყო თუ მეორე. ახლა მისი გამოხედვისგან ჟრუანტელი აღარ უვლიდა, რადგან საფიქრალი სხვაც ბევრი ჰქონდა. თუნდაც ცეცხლი. პიტმა სწორედ რომ სულზე მოუსწრო – ნაკვერჩხალი ჯერ კიდევ ენთო. თავდაპირველად ეს ღორმუცელა უნდა გაეძღო, თანაც ისე, რომ დიდხანს არ ჩამქრალიყო, შემდეგ კი თავის ბეკის მიუწვებოდა (ოღონდ, ზურგით ქარისგან, რათა, ღმერთო, დაიფარე, კვამლს არ გაეგუდა) და ჰენრის დაელოდებოდა. იმედი ჰქონდა, რომ ჰენრის, პიტის სახით, ცეცხლში შებრაწული წაბლი არ დახვდებოდა.

პიტი ქალისკენ და იქვე დაყრილი შეშის პატარა გროვისკენ გახოხდა და მალევე იგრძნო მძაფრი ქიმიური სიმყრალე. მიხვდა, რატომ აღარ აშფოთებდა უცნობის მზერა. ერთადერთი თვალი სადღაც შორს იყურებოდა. მაშასადამე, ყველაფერი დამთავრდა. ქალმა ცეცხლამდე მიღწევა სცადა და შუაგზაზე მოკვდა. მის წელსა და თეძოებზე დაფენილი თოვლი მუქწითლად შეფერილიყო.

პიტი შეჩერდა, კვნესით წამოიწია და ქალს მიაჩერდა, მაგრამ ცოცხალს ხედავდა თუ მკვდარს, დიდად აღარ აინტერესებდა, ისევე, როგორც უკუღმა მომუშავე საათი. იგი მხოლოდ ერთს ნატრობდა – როგორმე ცეცხლი დაენთო და გამთბარიყო. ქალზე ფიქრს მერეც მოასწრებდა. თუნდაც ერთი თვის შემდეგ, როდესაც სასტუმრო ოთახში თაბაშირიანი მუხლით იჯდებოდა და სურნელოვანი ყავის სმით დატკბებოდა.

როგორც იქნა, შეშას ხელი წაავლო. ოთხი ნაჭერიღა იყო, მოზრდილი ნაჭრები. სანამ ისინი ბოლომდე ჩაიწვებოდა, ჰენრი აუცილებლად დაბრუნდებოდა, შეშის მარაგს დაუტოვებდა და დახმარების საძებნელად გაეშურებოდა. ჰენრი ყველაფერს შეძლებდა! მართალია, რბილი კონტაქტური ლინზებისა და ლაზერული ქირურგიის ეპოქაში რქოვან ჩარჩოში ჩასმულ სასაცილო სათვალეს ატარებდა,

მაგრამ პიტი მას თვალდახუჭული ენდობოდა.

შიგადაშიგ პიტი ფიქრებით სკაუტსა და ჰენრის ოდეკოლონს უბრუნდებოდა. „მოდი, არ გვინდა იქ წასვლა", – ასე ამბობდნენ ხოლმე ბავშვობაში. მოგონებები თითქოს მტრად ექცა. არავითარი ოდეკოლონი, არავითარი სიბრალული დადიტსის მიმართ. არავითარი მოძრაობა და თამაში. მას ახლა სხვა საზრუნავი ჰქონდა.

ძლივს ამატებდა ცეცხლს შეშას და იმანჭებოდა ტკივილისგან, სამაგიეროდ, ტკბებოდა ზემოთ ატყორცნილი ნაპერწკლებით, რომლებიც გაქრობამდე გიჟურ ცეკვას ასრულებდნენ.

ჰენრი მალე მოვა. აი, რაზე უნდა იფიქროს. ცეცხლს უყუროს და ჰენრიზე იფიქროს. ის დაბრუნდება და...

არა, არ დაბრუნდება. იმიტომ, რომ „კედელში გაკეთებულ ხვრელში" რაღაც ისე ვერ არის...

– რიკს უკავშირდება, – თქვა მან, თან აკვირდებოდა, როგორ ხარბად ნთქავდა ცეცხლი მორიგ ლუკმას. მალე ცეცხლის ენები უფრო დაგრძელდებოდა.

ხელთათმანები კბილებით გაიძრო და ხელები სითბოსკენ გაიწვდინა. მარჯვენა ხელისგულზე, სადაც შუშის ნატეხი შეესო, საკმაოდ გრძელი და ღრმა ჭრილობა ემჩნეოდა. ნაიარევი დარჩებოდა. დიდი ამბავი. მეგობრობაში იარას ვინ უყურებს. არადა, ისინი მეგობრები იყვნენ. ბანდა ძველი კანზასსტრიტიდან. ალისფერი მეკობრეები პლასტმასის ხმლებითა და ელემენტებზე მომუშავე ბლასტერებით „ვარსკვლავური ომებიდან". ერთხელ გმირობაც კი ჩაიდინეს, არა, ორჯერ – თუ პატარა გოგონა რინკენჰაუერსაც ჩათვლით. მაშინ მათი სურათები გაზეთებშიც დაბეჭდეს, ასე რომ, იარა აქ რა მოსატანი იყო! რა მოსატანი იყო ისიც, რომ ერთხელ, შესაძლოა, ჰო, შესაძლოა, ის ტიპი გაასაღეს... ასეც მოუხდებოდა. თუკი ვინმე სიკვდილს იმსახურებდა...

„არა, აქეთ წასვლა საჭირო არ არის. ასე არ გამოვა, პატარავ".

მაგრამ იგი ხედავდა ხაზს. უნდოდა თუ არა, გაცილებით მკაფიოდ ხედავდა, ვიდრე გასული წლების განმავლობაში. ყველაზე ადრე მან ბივერი დაინახა. მისი ხმაც ჩაესმა. თითქოს შიგ ტვინში ურტყამდნენ.

ჯოუნსი! აქ ხარ?

– არ ადგე, ბივ, – გააფრთხილა პიტმა, თან ცეცხლის ალს თვალს არ აშორებდა. სითბო სახეზე ელამუნებოდა და ძილს ჰგვრიდა, – იქ დარჩი, სადაც ხარ. მხოლოდ... ხომ იცი, მიწებებულივით იჯექი.

ბოლოს და ბოლოს, რას ნიშნავს ეს ყველაფერი? „რა აბლი-ბაბლია?" – როგორც ბივერი ამბობდა ხოლმე ბავშვობაში, ეს უაზრო ფრაზა მათ მუდამ აღაფრთოვანებდა. პიტი გრძნობდა, რომ სურვილის შემთხვევაში, ყველაფერს შეიტყობდა – ხაზი ძალზე მკაფიოდ მოჩანდა. თვალწინ ცისფერი კაფელი წარმოუდგა, აგრეთვე საშხაპის გამჭვირვალე ცისფერი ფარდა, ხასხასა ნარინჯისფერი კეპი – რიკის, მაკარტის კეპი, ბებერი მისტერ შენს-კართან-ვდგავარ-და-ვაკაკუნების კეპი. თუ მოინდომებდა, სხვა რამესაც დაინახავდა. პიტმა არ იცოდა, რაც ახლა ხდებოდა, მომავალი იყო თუ წარსული, მაგრამ ყველაფერს გაიგებდა, თუ მოისურვებდა, თუ...

– არ მინდა, – თქვა მან და აზრები უკუაგდო. შეშის რამდენიმე ნაჭერი და ფიჩხიღა დარჩა. პიტმა ისინი ცეცხლში შეაგდო და ქალს მიაშტერდა. ღია თვალში ღვარძლი აღარ ჩანდა. მოკლული ირმის მსგავსად, ზედ მტვრის თხელი აპკი გადაჰკროდა. და ეს სისხლი მის ირგვლივ... ალბათ, სისხლისგან დაიცალა. რაღაც გაუსკდა შიგნით. საშინელი ძალით აუფეთქდა. შესაძლოა, იცოდა, ეს ყველაფერი რით დასრულდებოდა და ამიტომაც დაჯდა გზაზე. იმედოვნებდა, რომ ვინმე წააწყდებოდა. წააწყდნენ კიდეც, მაგრამ დახეთ, აქედან რა გამოვიდა. საბრალო ძუკნა. საბრალო უიღბლო ძუკნა.

პიტი ნელა გადაცოცდა მარცხნივ, ბრეზენტს ხელი ჩაავლო და ქალისკენ გაათრია. თუ ეს უხეში ქსოვილის ნაჭერი ადრე ციგის მაგივრობას ასრულებდა, ახლა სუდარად გამოდგებოდა.

– ძალიან ვწუხვარ, – ჩაილაპარაკა მან, – ბეკი, თუ რა გქვია, მართლა ძალიან ვწუხვარ. მაგრამ შენთან რომც დავრჩენილიყავი, არაფერი შეიცვლებოდა. მე ხომ ექიმი არ ვარ, მხოლოდ და მხოლოდ მანქანების გამყიდველი გახლავარ. შენ...

თავიდანვე განწირული იყავი, – უნდოდა ეთქვა, მაგრამ ზურგიდან რომ შეხედა, სიტყვები ყელში გაეჩხირა. ადრე ვერაფერს ამჩნევდა, რადგან გვერდულად იწვა, პირით კოცონისკენ. საჯდომზე ჯინსიდან უზარმაზარი ხვრელი მოუჩანდა, თითქოს გაზების ნაცვლად იქ ნაღმი აფეთქებულიყო. ქარი ჯინსისა და საცვლის – თეთრი ხაოიანი ტრიკოტაჟისა და ვარდისფერი აბრეშუმის ნაფლეთებს ერთად აფრიალებდა. ფეხებსა და ზურგზე რაღაც ეზრდებოდა. ობის თუ სოკოს მსგავსი... მოწითალო ოქროსფერი... თუ ამის ილუზიას შუქი ქმნიდა?

ქალის სხეულში რაღაც იყო და გარეთ გამოვიდა. რაღაც...

დიახ. რაღაც. და ახლა ის მე მითვალთვალებს.

პიტმა ტყისკენ დაიწყო ყურება. არაფერი ჩანდა. ცხოველები თვალს მიეფარნენ. მარტო იყო.

თუ იმას არ გავითვალისწინებთ, რომ მარტო არა ვარ.

დიახ, ეს სიმართლეს ჰგავდა. შორიახლოს რაღაც იმალებოდა, რაღაც, რაც სიცივეს ვერ იტანდა. რაღაც, რაც თავს ყველაზე კარგად სითბოსა და სინოტივეში გრძნობდა.

ჰო, სითბოსა და სინოტივეში რჩება, სანამ ძალიან არ გაიზრდება და იქ ვეღარ დაეტევა, სადაც გაჩნდა. და სანამ საჭმელი გამოელევა.

– აქ ხარ?

პიტს ეგონა, რომ ამგვარი შეძახილი მას სულელურ მდგომარეობაში ჩააყენებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ვერაფერს გრძნობდა, დამთრგუნველი შიშის გარდა.

უეცრად შენიშნა, რომ ობი წვრილი ბილიკით მოიწევდა წინ ბეკის მხრიდან, – დიახ, მას ბეკი, სწორედ რომ ბეკი ერქვა, – და თუნუქის კედელთან უხვევდა. წამის შემდეგ საშინელი ფხაჭუნი მოესმა,

თითქოს რაღაც ქერცლიანი სახურავზე მიხოხავდა. პიტმა კისერი წაიგრძელა, რათა გაერჩია, ხმა საიდან მოდიოდა.

– აქედან წაეთრიე! – ჩაიჩურჩულა მან, – აქედან წაეთრიე და მარტო დამტოვე. მე... მე საშინლად დავიღალე.

პასუხად ისევ ფაჩუნი გაისმა, თითქოს ქმნილება ცოტათი უფრო მაღლა აცოცდა. დიახ, პიტი დაქანცული იყო. საუბედუროდ, იმავდროულად, გემრიელი ლუკმაც გახლდათ. ქმნილება კვლავ შეირხა. პიტს სულაც არ ეგონა, რომ ის დიდხანს მოიცდიდა. პირიქით, მას, ალბათ, ლოდინი არ შეეძლო, მით უმეტეს დიდხანს ლოდინი; ეს იმას ჰგავდა, გეკონი[68] მაცივარში რომ შეგესვათ. საცაა ჩამოვარდებოდა და თავზე დაეცემოდა. პიტმა ახლაღა გააცნობიერა საშინელი რამ: ისე აიჩემა ის ლუდი, რომ იარაღი გადაავიწყდა.

თავდაპირველად, იმპულსურად, ფარდულში ღრმად შეძრომა დააპირა, მაგრამ ეს შეცდომა იქნებოდა – იმ ჩიხიდან თავს ვეღარ დააღწევდა. მაშინ მან კოცონში ახალშეგდებულ ტოტს სტაცა ხელი, ტოტის მეორე ბოლო უკვე ბრიალებდა. ჯერ მაღლა არ სწევდა, მხოლოდ ეჭირა.

– აბა, მოდი! – შესძახა თუნუქის სახურავის მიმართულებით, – გიყვარს სიმხურვალე? შენთვის რაღაც ცხელი მაქვს. მოდი, გასინჯე. იფ-იფ!

მაგრამ სახურავიდან არაფერი ისმოდა. მხოლოდ უახლოესი ფიჭვიდან ჩამოვარდა თოვლი მსუბუქად – ქვედა ტოტები სიმძიმისგან თავისუფლდებოდა. პიტმა იმპროვიზებულ ჩირაღდანს ხელი ღონივრად ჩაავლო, ცეცხლიდან სანახევროდ გამოიღო და დაიყვირა:

– რაღას ელოდები, შე დამპალო, მოდი! ცხელი ვარ, გემრიელი, და გელოდები!

კვლავ სიჩუმე. მაგრამ ის იქ იყო, ზევით. და დიდხანს არ ალოდინებდა. მალე მოვიდოდა. ამაში პიტს ეჭვი არ ეპარებოდა.

---

[68] ხვლიკის მსგავსი ქვეწარმავალი.

3

გავიდა რაღაც დრო, მაგრამ რამდენი – პიტმა დაზუსტებით არ იცოდა, რადგან საათი გაუჩერდა. თითქოს მასში რაღაცების აღქმის ძლიერმა უნარმა გაიღვიძა, როგორც იმ წლებში, დადიტსთან რომ მეგობრობდნენ. თუმცა, ისინი იზრდებოდნენ, დადიტსი კი ისეთივე რჩებოდა და პიტის შეცვლილი სხეული და ტვინი დადიტსისგან უცნაური სიგნალების აღქმას ვეღარ ახერხებდა. ახლაც, სავარაუდოდ, იმავე, ოღონდ, ოდნავ განსხვავებულ მოვლენასთან ჰქონდა საქმე. შესაძლოა, რაღაც ახალი გაჩნდა, რაც ცაში ნათებას უკავშირდებოდა. პიტმა იცოდა, რომ ბივერი მოკვდა, ჯოუნსის კი რაღაც საშინელება შეემთხვა – ზუსტად ვერაფერს იტყოდა.

პიტის აზრით, ჰენრიმაც ყველაფერი იცოდა, თუმცა არა ბოლომდე. ჰენრი ღრმად იჯდა პიტის თავში და მისი ფიქრები ადვილად იკითხებოდა: ბენბერი-კროსი, ბენბერი-კროსი, მამლების კროსი ბენბერი-კროსში.

შეშის ნაჭერი იწვოდა და საცაა, პიტს ხელს დასწვავდა. როგორ მოქცეულიყო, თუ ჩაქრებოდა? ქმნილება, ალბათ, მოთმინებით ელოდებოდა, როდის დადგებოდა მისი დრო.

უეცრად თავში ახალი აზრი მოუვიდა, დღესავით ნათელი და შიშით გავარვარებული. აზრმა მისი გონება მოიცვა და პიტი მისთვის გაუგებარი ფრაზების ყვირილს მოჰყვა.

– შეგვიბრალეთ, თუ შეიძლება! Ne nous blesses pas! [69] – მაგრამ მისი არ ესმოდათ და თავისას განაგრძობდნენ, რადგან... რა? – რადგან ისინი სულაც არ არიან პატარა უმწეო უცხოპლანეტელები, რომელთაც იმედი აქვთ, რომ ვიღაც მათ კომპანია „ნიუ-ინგლანდ-ტელის" სატელეფონო რუკას აჩუქებს, რათა შინ დარეკვა შეძლონ, ისინი სასიკვდილო დაავადებაა. ისინი კიბოა, მადლობა უფალს, და ბიჭებო, ჩვენ, ყველანი, ქიმიოთერაპიის ერთი უზარმაზარი რადიოაქტიური ინიექცია ვართ. გესმით, ბიჭებო?

---

[69] არ მოგვკლათ (ფრ).

პიტმა არ იცოდა, ესმოდათ თუ არა მათ, ბიჭებს, რომლებსაც ეს ხმა მიმართავდა, მაგრამ თვითონ ესმოდა. ისინი მოდიოდნენ, ბიჭები, ალისფერი მეკობრეები მოდიოდნენ და ვერავითარი ხვეწნა-მუდარა ვერ შეაჩერებდათ. და მაინც, ისინი ეხვეწებოდნენ, და მათთან ერთად პიტიც ემუდარებოდა.

– შეგვიბრალეთ, თუ შეიძლება! შეგვიბრალეთ! S'il vous plait! Ne nous blesses pas! Ne nous blesses pas mal, ნოუს სომმეს სანს დეფენსე! – საცოდავი სლუკუნი, – თუ შეიძლება! ღვთის გულისათვის, ჩვენ უმწეონი ვართ!

პიტს თვალწინ ედგა გაწვდილი ხელი, ძაღლის განავალი, ატირებული, თითქმის შიშველი ბიჭი. და მთელი ამ დროის განმავლობაში სახურავზე მოკალათებული ქმნილება – მომაკვდავი, მაგრამ არა უღონო. უტვინო, მაგრამ არა სულელი. სანამ ის მკვდარი ქალის სიახლოვეს გვერდულად იწვა და აპოკალიფსური სასაკლაოს ხმებს ისმენდა, ქმნილება კლაკნით მოიწევდა და პიტს უკნიდან ეპარებოდა,.

„კიბო", – თქვა თეთრწამწამებიანმა კაცმა.

– გთხოვთ! – შესძახა პიტმა, – შეგვიბრალეთ! ჩვენ უმწეონი ვართ!

– ტყუილ-მართალს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, უკვე ძალზე დაგვიანებული იყო.

4

თოვლმავალმა სიჩქარის დაუგდებლად ჩაუქროლა ჰენრის თავშესაფარს დასავლეთის მიმართულებით. მისი ხმა სულ უფრო სუსტად ისმოდა. ახლა უკვე უსაფრთხოდ შეიძლებოდა გამოსვლა, მაგრამ ჰენრი არ ინძრეოდა. არ შეეძლო. ჯოუნსიში ჩასახლებულმა მზვერავმა იგი ვერ აღმოაჩინა. შესაძლოა, ყურადღება გაეფანტა; შესაძლოა, ჯოუნსიმ მოახერხა... იქნებ მას ჯერაც შესწევდა უნარი...

არა. იმის გაფიქრებაც კი წარმოუდგენლად ეჩვენებოდა, რომ იმ საშინელი ღრუბლის შიგნით ჯოუნსის რაღაც ნაწილი იმყოფებოდა.

ახლა, როდესაც ის ქმნილება წავიდა, – ყოველ შემთხვევაში, გარკვეული მანძილით დაშორდა, – ჰენრის რაღაც ხმებმა შემოუტია. ხმები დაუკითხავად მიძვრებოდა მის ტვინში, ლამის ჭკუაზე შეეშალა, ადრე დადიტსის ტირილი აგიჟებდა ხოლმე, სანამ სქესობრივმა სიმწიფემ ამას ბოლო არ მოუღო. ერთი ხმა იმ კაცს ეკუთვნოდა, რომელმაც რაღაც თქვა სოკოს თუ ობის შესახებ...

("სწრაფად იღუპება, თუ ცოცხალ ორგანიზმზე ვერ მოხვდა").

და „ნიუ-ინგლანდ-ტელის" სატელეფონო რუკაც ახსენა... და ქიმიოთერაპიაც? დიახ, ქიმიოთერაპიის უზარმაზარი რადიოაქტიური ინიექცია. ჰენრიმ ის მთვარეულის ხმას მიამსგავსა. ღმერთმა ხომ იცოდა, რომ მრავალი ასეთი ადამიანისთვის უმკურნალია და ამაში კარგად ერკვეოდა.

დანარჩენმა ხმებმა საკუთარ ჭკუათამყოფლობაში დააეჭვა. ზოგიერთი ამოიცნო კიდეც: უოლტერ კრონკაიტი[70], ბაგს ბანი[71], ჯონ უეინი[72], ჯიმი კარტერი[73]; ქალი, მისი აზრით, მარგარეტ ტეტჩერი[74] უნდა ყოფილიყო. ხმები ხან ინგლისურად გაისმოდა, ხანაც – ფრანგულად.

– Il n′y pas d′infection ici[75], – ჩაილაპარაკა ჰენრიმ და ატირდა. გაოცდა და გამხნევდა, როდესაც აღმოაჩინა, რომ ცრემლები კვლავაც მისი გულიდან მოდიოდა, საიდანაც, მისი აზრით, სიცილი, გულწრფელი სიცილი და ყოველგვარი ცრემლი იღებდა სათავეს – შიშის, სიბრალულის ცრემლი, ცრემლი, რომელიც უსაზღვრო თავკერძობის ქვის კედელსა და კლდესაც კი გაანგრევდა და ააფეთქებდა, – აქ ინფექციის მსგავსიც კი არ არის, ოჰ, ღმერთო, შეაჩერე ეს, არ გინდათ, არ გინდათ, ნოუს სომმეს სანს დეფენსე[76], NOUS SOMMES SANS...

---

[70] ამერიკელი ტელეჟურნალისტი და ტელეწამყვანი.
[71] მულტფილმების გმირი ეშმაკი ბაჭია.
[72] ამერიკელი კინომსახიობი, „ვესტერნის მეფე".
[73] აშშ-ის ოცდამეცხრამეტე პრეზიდენტი (1977-1981)
[74] დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი (1979-1990). „რკინის ლედი".
[75] "აქ ინფექცია არ არის" (ფრ)
[76] "ჩვენ დაუცველები ვართ" (ფრ).

ამ დროს დასავლეთიდან ზვავივით დაატყდა ხმები და ჰენრიმ ხელები თავში იტაცა – შეეშინდა, რომ ტკივილიან შეძახილებს შიგნიდან არ აეფეთქებინა. ის არამზადები...

5

ის არამზადები მათ მოკვლას ცდილობდნენ.

პიტი კოცონთან იჯდა, საშინლად გასივებული მუხლის ტკივილს ყურადღებას არ აქცევდა და ვერც კი გრძნობდა, რომ ცეცხლმოკიდებული ტოტი ლამის საფეთქელთან მიეტანა. მის თავში ატეხილი ყვირილი სრულად ვერ ახშობდა დასავლეთის მხრიდან აკაკანებული ტყვიამფრქვევების, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების ხმას. უწინდელი შეძახილი – „გთხოვთ, შეგვიბრალეთ, უმწეონი ვართ, აქ ინფექციის კერა არ არის" – პანიკაში გადაიზარდა; ეს არ შველოდა, ვეღარაფერი უშველიდა, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო.

უეცრად, პიტმა თვალი რაღაცას მოჰკრა და სწორედ მაშინ გაიწია გვერდზე, როდესაც სახურავზე მოკალათებული არსება თავზე უნდა დახტომოდა. დაინახა უფეხო სინდიოფალასავით ვიწრო და მოქნილი არსების ბუნდოვანი სილუეტი, მძლავრი, დაკუნთული კუდით. ბასრი კბილები კოჭში ჩაასო. პიტმა შეჰყვირა და ფეხი ისე ძლიერად გამოსწია, მუხლი კინაღამ ნიკაპში მიირტყა, მაგრამ საზიზღარი არსება ვერ მოიცილა – წურბელასავით ჩაჰფრენოდა. ნუთუ ეს სისაძაგლე მოუწოდებდა გულმოწყალეობისკენ? თუნდაც ასე იყოს, ჯანდაბას მაგათი თავი. ჩაძაღლდნენ, მაგათი დედაც! ..

მისკენ მარჯვენა ხელი გაიწვდინა, სწორედ ის, ლუდის ბოთლზე რომ გაიჭრა; მარცხენაში კვლავაც ცეცხლმოკიდებული ხის ნაჭერი ეჭირა. ხელისგულზე რაღაც ცივი, ბეწვიანი ჟელე იგრძნო. ქმნილებამ კოჭს თავი დაანება და სანამ ხელში უამრავ ნემსს ჩაურჭობდა და ისედაც ღრმა ჭრილობას შეუბრალებლად გაუფართოებდა, წამით პიტს მიაპყრო უგრძნობელი, შავი, ზვიგენის თუ არწივის თვალები.

თითქოს სამყაროს აღსასრული დადგა. პიტს აგონია დაეწყო. ქმნილების თავი – თუ ეს თავი იყო – ხელისგულში სწვდა, გლეჯდა, ჭრიდა, სულ უფრო ღრმად შეღწევას ცდილობდა. როდესაც პიტი მის მოცილებას შეეცადა, სისხლის შხეფები საზარლად მოიფრქვა ყველა მხარეს და თოვლზე, ჭირხლით დაფარულ ბრეზენტსა და გარდაცვლილი ქალის ქურთუკზე ალისფერი კვალი დატოვა. ცეცხლში მოხვედრილი წვეთები გახურებულ ტაფაზე დასხმული ზეთივით აშიშინდა. გააფთრებული ქმნილება ცოფიანივით ჭყიოდა. გველთევზასავით სქელი კუდი პიტს ათრთოლებულ ხელზე მოხვია და თითქოს გაკავება სურდა.

სისხლმოწყურებულ საშინელ ქმნილებასთან ბრძოლაში გართულ პიტს ცეცხლმოკიდებული ხის ნაჭერი არც გახსენებია, მექანიკურად მოიქნია და დაარტყა. თავიდან, როდესაც ცეცხლის ალში გახვეული არსება გაზეთივით დაიგრაგნა, პიტი ვერც კი მიხვდა, რა მოხდა, თუმცა გამარჯვების ყიჟინა მაინც დასცა. მუხლი მაშინვე ეტკინა, მაგრამ ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, წამოხტა და მარჯვენა, დასახიჩრებული ხელით ფარდულის საყრდენს მოეჭიდა. ტკაცუნი გაისმა და ჭყივილი წკმუტუნმა შეცვალა. უსასრულოდ გაგრძელებული წამის განმავლობაში ხელისგულში ჩაფრენილი კბილები კვლავაც სიღრმისკენ მიიწევდა, მაგრამ მოჭიდების ძალამ იკლო და ცეცხლმოდებული ქმნილება მიწაზე დაეცა. პიტმა იგი ფეხით გასრისა. გრძნობდა, როგორ დაიკლაკნა ის რაღაც მის ქუსლქვეშ. ლამის სუნთქვა შეეკრა გამარჯვების შეგრძნებისგან, რომელმაც მთელი მისი არსება მოიცვა. მაგრამ ამ დროს უპატივცემულო მოპყრობით აღშფოთებულს მუხლი მოეკეცა, მყესები დაუწყდა და ფეხი კუტკალიასავით საწინააღმდეგო მხარეს ამოუტრიალდა.

პიტი მძიმედ დაეცა გვერდზე და სასიკვდილო „ავტოსტოპის" მოყვარულ ბეკის თვალი თვალში გაუყარა. ვერ შეამჩნია, რომ მახინჯი ქმნილების თავი, თუ თავის მსგავსი ნაწილი, პიტის სახისგან, სულ რაღაც, სამ დუიმში აღმოჩნდა. აალებულ სხეულს ქურთუკზე

ურტყამდა. შავი თვალები თითქოს ბუდეებში იხარშებოდა. საშიში აღარაფერი იყო, მაგრამ როდესაც ძლივს შესამჩნევი ნაპრალი ოდნავ გაიხსნა და კბილების ორი მწკრივი გამოჩნდა, პიტმა შეჰყვირა: „არა! არა! არა! " და ქმნილება ცეცხლში მოისროლა, სადაც იგი მაიმუნივით აჭყივლდა და უმწეოდ აფართხალდა.

პიტმა მარცხენა ფეხით ქმნილება ცეცხლში უფრო ღრმად შეაგდო, ამისთვის კიდევ ერთხელ მოეჭიდა ფარდულის დაცერებულ საყრდენს, რომელიც მანამდე პატიოსნად ასრულებდა თავის მოვალეობას. შეხებისგან საყრდენი გადატყდა. მეორე ბოძმაც ვეღარ გაუძლო სიმძიმეს და წაიქცა. სახურავი ჩამოწვა, ცეცხლს ზემოდან დაეფარა და ყველა მხარეს მუჭა-მუჭა ნაპერწკლები გაფანტა.

ცოტა ხნით ყველაფერი გაყუჩდა. ჩამოვარდნილი ჟანგიანი თუნუქის ფურცელი ისე შეინძრა, თითქოს მძიმედ სუნთქავსო. მალე იქიდან პიტი გამოძვრა. ქურთუკის მარცხენა ყოშს ბოლი ასდიოდა. პიტი გამოთაყვანებულივით მიაშტერდა ბოლს. დაავიწყდა, რომ ფეხებზე მუხლებამდე ჩამოქცეული სახურავი აწვებოდა. შემდეგ ხელი სახესთან მიიტანა, ფილტვები ჰაერით გაივსო და გიგანტურ სადღესასწაულო სანთლად ქცეულ ქურთუკზე ცეცხლის პატარ-პატარა ენების ჩაქრობას შეუდგა.

აღმოსავლეთიდან თოვლმავლის ღმუილი გაისმა. ჯოუნსი... ან ის, რაც მისგან დარჩა. ღრუბელი. პიტს მისი გულმოწყალების იმედი არ ჰქონდა. ჯეფერსონტრექტზე დღეს ლმობიერება ყველას დაავიწყდა. კარგი იქნებოდა, დამალულიყო, მაგრამ ხმა, რომელიც ამას ურჩევდა, შორიდან ისმოდა და პიტს მისი სიტყვები უმნიშვნელოდ ეჩვენებოდა.

კვლავ ასწია დასახიჩრებული ხელი. ერთი თითი აკლდა. ის, ალბათ, საზარელი ქმნილების მუცელში განისვენებდა. კიდევ ორი თითი მყესებზეღა ეკიდა. ჭრილობებს უკვე ოქროსფერბეწვიანი ობი მოსდებოდა. პიტმა მსუბუქი ქავილი იგრძნო და მიხვდა, რომ ეს სისაძაგლე მის სისხლსა და ხორცს ჭამდა.

სიკვდილი ინატრა, მაგრამ იცოდა, ჯერ ადრე იყო.

დასავლეთით ტყვიამფრქვევების კაკანი მიწყდა, მაგრამ ეს არ იყო ნამდვილი დასასრული. სულაც არა. თითქოს, ამის დასტურად, ჰაერში საშინელი აფეთქების ხმა გაისმა, რამაც თოვლმავლის ღმუილიცა და სხვა ყველაფერიც გადაფარა. ხელის ქავილის გარდა, კუჭსა და ფილტვებში ჩასახლებული მტაცებელი სოკო კიბოსავით ნთქავდა მას და მანამ არ დაწყნარდებოდა, სანამ ბოლოს არ მოუღებდა. პიტმა ენით მოსინჯა და ამოვარდნილი კბილების ადგილზე გაჩენილი ხვრელები იგრძნო.

მან თვალები დახუჭა და დაელოდა.

ნაწილი II

რუხი კაცუნები

ქვეცნობიერიდან ჩნდება მოჩვენება,
და კვნესით ცდილობს ხელახლა დაბადებას.
სულ არ ჰგავს მეგობარს – ეჰ, ვრჩები ეულად,
ხელი ჩემს მხარს ზემოთ რქად გადაქცეულა.

თეოდორ როტკე

თავი მეათე
კურცი და ანდერჰილი

1

საბრძოლო მოქმედებების რაიონში ერთადერთი შენობა პატარა მაღაზია იყო, სახელწოდებით „გოსლინის სოფლის მარკეტი". კურცის მწმენდავები იქ თოვის დაწყების წინ, თერთმეტის ნახევრისთვის მივიდნენ. კურციც იმ დროს გამოჩნდა, თანდათანობით დამხმარე ძალამაც მოიყარა თავი. ბოლოს და ბოლოს, ვითარება კონტროლს ექვემდებარებოდა.

მაღაზიას პირობითად „ცისფერი ბაზა" დაარქვეს, საქონლის ბაკს, მის გვერდით მდებარე თავლასა (ძველს, მაგრამ ჯერაც საიმედოდ მდგარს) და ბოსელს – „ცისფერი იზოლატორი". იქ უკვე პირველი დაკავებულებიც მოეთავსებინათ.

არჩი პერლმუტერს, კურცის ახალ ადიუტანტს (წინა, კალვერტი, ორი კვირის წინ გულის შეტევით გარდაიცვალა – და ძალიან უდროოდ), ხელში პლანშეტი ეჭირა, რომელზეც თორმეტი გვარი ეწერა. ცხადია, პერლმუტერმა თან ლეპტოპიც წამოიღო და პორტატიული

კომპიუტერი Palm Pilot–იც, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ნებისმიერი ელექტრონული მოწყობილობა აქ მწყობრიდან გამოდიოდა.

სიაში პირველები გოსლინები იყვნენ: მაღაზიის ბებერი მეპატრონე და მისი ცოლი.

– ეს არასრული სიაა, – თქვა პერლმუტერმა.

კურცმა ერთი კი შეავლო სიას თვალი და პერლს დაუბრუნა. მათ უკან დიდი ტრაილერები ჩამოდგა, ნახევრადმისაბმელიანები, საფარნე ბოძებს ამაგრებდნენ. ღამით ეს ადგილი ისე განათდებოდა, როგორც ნიუ-იორკის სტადიონი „იანკი" ბეისბოლში მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

– ორმა ტიპმა, აი, ამდენით გაგვასწრო, – თქვა პერლმუტერმა და თვალსაჩინოებისთვის ცერითა და საჩვენებელი თითით დუიმის მეოთხედის ტოლი მანძილი უჩვენა, – პროდუქტი შეუძენიათ, ძირითადად, ლუდი და სოსისი.

პერლმუტერი ფერმკრთალი იყო, ორივე ლოყაზე ველური ვარდი გაჰფურჩქნოდა. მომატებული ხმაურის გამო ხმამაღლა ლაპარაკი უხდებოდა, რაც მას სიმშვიდისთვის სულაც არ განაწყობდა. ვერტმფრენები წყვილ-წყვილად მოფრინავდნენ და ღორღიან და ასფალტიან გზაზე ეშვებოდნენ, რომელიც შტატების შემაერთებელი 95-ე გზატკეცილისკენ მიემართებოდა. იქიდან დასავლეთით, ერთ მიყრუებულ ქალაქში (პრესქაილში) შეიძლებოდა მოხვედრა, სამხრეთით კი რამდენიმე ისეთივე პატარა ქალაქი (ბანგორისა და დერის მსგავსი) მდებარეობდა. ვერტმფრენები, ცხადია, გამოდგებოდა, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ მფრინავები სანავიგაციო ხელსაწყოებზე არ იქნებოდნენ დამოკიდებულნი, რადგან ხელსაწყოები, როგორც სხვა ელექტრონული მოწყობილობა, აღარ მუშაობდა.

– საით წავიდნენ ის ბიჭები? ტყისკენ თუ გზატკეცილისკენ? – იკითხა კურცმა.

– უკან, ტყისკენ, – მიუგო პერლმუტერმა, რომელსაც ვერ გაებედა უფროსისთვის თვალებში შეხედვა, – გოსლინი ამბობს, რომ იქით

კიდევ ერთი გზა მიდის – დიფქათროუდი. იგი სტანდარტულ რუკებზე აღნიშნული არაა, მაგრამ მე ტურისტული რუკა „დაიამონდ ინტერნეიშნლ ფეიფარ" ვიშოვე, სადაც ნაჩვენებია...

– შესანიშნავია. ისინი დაბრუნდებიან ან დარჩებიან. ორივე ვარიანტი გვაწყობს.

ვერტმფრენების კიდევ ერთი წყება მოფრინდა. იქ უცხო არავინ იყო და ეკიპაჟის წევრები მძიმეკალიბრიანი ტყვიამფრქვევების გადმოტვირთვას შეუდგნენ. ისეთი პირი უჩანდა, რომ ეს ყველაფერი, თავისი მასშტაბით, ცნობილ ოპერაციას, სახელწოდებით „ქარიშხალი უდაბნოში" უტოლდებოდა და, შესაძლოა, აღემატებოდა კიდეც.

– პერლი, ვიმედოვნებ, გესმით, რა მისიაც გეკისრებათ.

პერლის ეს, გარკვეულწილად, ესმოდა. იგი ახალბედა იყო, შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობდა და მოუთმენლობისგან ცქმუტავდა. სპანიელივით ვარ, გემრიელი ლუკმა რომ იყნოსა, – გაიფიქრა კურცმა. თან, მისთვის თვალებში ერთხელაც არ შეუხედავს.

– სერ, ჩემი სამუშაო სამნაწილიანია.

სამნაწილიანი, – კვლავ გაიფიქრა კურცმა, – სამნაწილიანი... ეს რა სიტყვა სცოდნია.

– პირველი – უნდა დავაკავო, მეორე – დაკავებული მედიკოსებს მივუყვანო, მესამე – მორიგი ბრძანების მიღებამდე საკარანტინო ზონიდან არავინ გავუშვა.

– სავსებით სწორია. ეს...

– მაპატიეთ, სერ, მაგრამ აქ ერთი ექიმიც კი ვერსად ვნახე, მხოლოდ რამდენიმე სამხედრო სანიტარი და...

– მოკეტე, – მოუჭრა კურცმა. და მიუხედავად იმისა, რომ ხმისთვის არ აუწევია, მწვანე კომბინეზონებში გამოწყობილი ექვსი კაცი (ყველას, კურცის ჩათვლით, კომბინეზონი ეცვა, განმასხვავებელი ნიშნების გარეშე) წამით გაშეშდა, შემდეგ კი გაორმაგებული, არა, გასამმაგებული სიჩქარით გავარდა დავალებების შესასრულებლად. ოღონდ იქამდე ყველამ კურცისა და პერლმუტერის მხარეს გაიხედა.

პერლმუტერის ლოყებზე გაფურჩქნილი ვარდები მყისიერად ჩამოჭკნა. ადიუტანტმა უკან დაიხია და უფროსთან მანძილი ერთი ფუტით გაზარდა.

– თუ კიდევ გამაწყვეტინებ, პერლი, ნოკაუტში გაგგზავნი. კარგად დაიხსომე. ერთხელაც გამაწყვეტინებ და ჰოსპიტალში აღმოჩნდები. გასაგებია?

პერლმუტერმა უდიდესი ძალისხმევის ფასად შეხედა კურცს სახეში და ხელი ქუდთან ისე სწრაფად მიიტანა, რომ კინაღამ ცეცხლი გააჩინა.

– სერ, დიახ, სერ!

– მორჩი მაგ ოფიციალობას, ეგ არაფერში მჭირდება, – უთხრა გაღიზიანებულმა კურცმა. შეამჩნია, რომ პერლმუტერმა თვალები დახარა, – თვალებში მიყურე, ყმაწვილო, როცა გელაპარაკები.

პერლმუტერი უხალისოდ დაემორჩილა ბრძანებას. სახეზე ტყვიისფერი დაედო. ირგვლივ ვერტმფრენების გამაყრუებელი გუგუნი ისმოდა, მაგრამ იქ, სადაც ისინი იდგნენ, ისეთი არაბუნებრივი სიჩუმე ჩამოწოლილიყო, თითქოს კურცი უხილავ ხმაგაუმტარ კაბინაში იმყოფებოდა. პერლმუტერი გრძნობდა, რომ ყველანი მას აკვირდებოდნენ და მის შიშსაც ხედავდნენ. ზოგიერთს ზუსტად ახალი უფროსისნაირი თვალები ჰქონდა – ცარიელი და გაყინული, თითქოს ტვინის ნასახი არ გააჩნდა. პერლმუტერს სმენოდა ათასიარდიან გამჭოლ მზერაზე, თუმცა, კურცის მზერას, მილიონიარდიანი უფრო ეთქმოდა, ან სინათლის წელიწადის.[77]

პერლმუტერმა როგორღაც მოახერხა და იმ მზერას გაუძლო. სიცარიელეში იყურებოდა. დასაწყისი არცთუ ისე სახარბიელო გამოვიდა. ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი – აუცილებელიც კი – ის იყო, რომ დაცურებული თოვლი შეეჩერებინა და მისი ზვავად გადაქცევა არ დაეშვა.

[77] მანძილი, რომელსაც მზის სინათლე წელიწადში გადის.

– აი, ასე, კარგია. ყოველ შემთხვევაში, უკეთესია, – კურცი ხმადაბლა ლაპარაკობდა, მაგრამ პერლმუტერს თავისუფლად ესმოდა მისი, ვერტმფრენების ძრავების ღრიალის მიუხედავად, – ამას მხოლოდ ერთხელ გეტყვი და ისიც იმიტომ, რომ ახალბედა ხარ და ვირის განავალი ტორტისგან ვერ განგისხვავებია. ბრძანების თანახმად, აქ ოპერაცია „პუუკა" უნდა ჩავატარო. იცი, ეს რა არის?

– არა, – მიუგო პერლმუტერმა, თუმცა თითქმის ფიზიკურ ტკივილს განიცდიდა, რადგან სიტყვა „სერ"–ის წარმოთქმის უფლება არ ჰქონდა.

– ირლანდიელების თქმით, იმ რასებისთვის, რომლებიც ბოლომდე ვერ გათავისუფლდნენ დედის რძესთან ერთად მიღებული სულელური ცრურწმენებისგან, პუუკა ცხენი-მოჩვენებაა, იგი მგზავრებს იტაცებს, ზურგზე მოიგდებს და სადღაც მიჰყავს. მე მას იმ ოპერაციის აღსანიშნავად ვიყენებ, რომელიც ერთდროულად გასაიდუმლოებულიცაა და ღიაც. ეს ხომ პარადოქსია, პერლმუტერ! კიდევ კარგი, რომ მსგავსი შემთხვევებისთვის სტრატეგიულ გეგმებს ჯერ კიდევ 1947 წლიდან ვამუშავებთ, მას შემდეგ, რაც სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენლებმა პირველად გადმოგვცეს არამიწიერი წარმოშობის საგანი, რომელსაც „სასიგნალო შუქს" ვუწოდებთ. ცუდი ისაა, რომ შორეული მომავალი აწმყოში გვეწვია და ამ საქმეში შენნაირი ბიჭების დახმარება გვჭირდება. გასაგებია, რიგითო?

– დიახ, ს... დიახ.

– იმედი მაქვს, რომ ასეა. პერლმუტერ, ჩვენ გვევალება, რომ პუუკასავით სწრაფად და მტკიცედ ვიმოქმედოთ. შავი სამუშაო უნდა შევასრულოთ და რაც შეიძლება სუფთა... დიახ, სუფთა დავრჩეთ... და კიდევ – მოღიმარი, ღვთის წყალობით...

კურცმა ოდნავ გაიღიმა, კბილები გამოაჩინა და ისე საოცრად დაემსგავსა ბოროტ სატირს[78], რომ პერლმუტერმა შიშისგან კინაღამ

[78] ბერძნულ მითოლოგიაში ტყის ღვთაება, ნაყოფიერების დემონი, თხის ფეხებზე მდგარი, ნიმფებზე მონადირე ავხორცი არსება.

შეჰყვირა. მაღალი, წელში მოხრილი კურცი კაცს ბიუროკრატი ეგონებოდა, მაგრამ იყო მასში რაღაც შემაძრწუნებელი. ყველაზე უგრძნობი ადამიანიც კი შეამჩნევდა რაღაც შემზარავს მის თვალებში, ხელების შეზღუდულ მოძრაობაში... მაგრამ პერლმუტერს ეს არ აშინებდა. არც ამის გამო შეერქმიათ მისი უფროსისთვის ბებერი საშინელი კურცი. პერლმუტერს ზუსტი მიზეზის თქმა არ შეეძლო და არც უნდოდა. ახლა მხოლოდ ერთი რამ სურდა: საუბარი სწრაფად დაემთავრებინა და იქიდან საღსალამათს გაესწრო. ვის სჭირდებოდა დასავლეთით ოცი თუ ოცდაათი მილის გავლა უცხო ჯურის გადამთიელებთან კონტაქტის დასამყარებლად? ერთ-ერთი მათგანი ახლა პერლმუტერის წინ იდგა.

კურცმა ტუჩები მოკუმა.

– მაშასადამე, ერთად ვართ, არა?

– დიახ.

– ერთ დროშას ვცემთ პატივს? ერთ ტუალეტში დავდივართ?

– დიახ.

– და რომ მოვრჩებით, როგორი უნდა ვიყოთ, პერლი?

– სუფთა?

– სწორია! და კიდევ?

პერლმუტერი წამით დაიბნა. მხოლოდ წამით.

– მოღიმარი, სერ.

– კიდევ ერთხელ მიწოდებ სერს და ნოკაუტში გაგიშვებ.

– მაპატიეთ, – ჩაიჩურჩულა პერლმუტერმა. ისედაც ნოკაუტში იყო.

გზაზე ნელა მიგორავდა სკოლის ავტობუსი, ფრთხილად მანევრირებდა და ვერტმფრენებს გვერდს უქცევდა. სანახევროდ გზისპირზე მოძრაობდა. ყვითლად შეღებილ გვერდზე დიდი შავი ასოებით ეწერა: მილიკონეტის სასკოლო დეპარტამენტი.

ეს სამეთაურო ავტობუსი იყო. შიგნით ოუენ ანდერჰილი და მისი ხალხი იჯდა. კლასის გუნდი. ავტობუსის დანახვამ პერლმუტერს

შვება მოჰგვარა. სხვადასხვა დროს ორივენი ანდერჰილთან ერთად მუშაობდნენ.

– მედიკოსები საღამოსთვის ჩამოვლენ, – შეატყობინა კურცმა, – ყველა დარგის ექიმი იქნება, ვინც კი შეიძლება დაგჭირდეთ. გასაგებია?

– გასაგებია.

კურცი მაღაზიის წინ მდებარე ერთადერთ ბენზინგასამართთან გაჩერებული ავტობუსისკენ გაემართა და საათს დახედა. თერთმეტი ხდებოდა. ღმერთო, როგორ მიქრის დრო, როცა მხიარულობთ და ერთობით. პერლმუტერი გვერდით მიჰყვებოდა, მაგრამ კოკერ-სპანიელის მანერები დაევიწყებინა.

– ახლა კი, არჩი, დააკვირდი მათ, დაყნოსე, ზღაპრები მოისმინე და რიპლის ყველა შემთხვევა დაარეგისტრირე. გეცოდინება, რიპლი რაც არის, არა?

– დიახ.

– ძალიან კარგი. ოღონდ არ შეეხო!

– არა, ღმერთო ჩემო! – შესძახა პერლმუტერმა და სახე წამოენთო.

კურცს ოდნავ გაეღიმა. ეს მის პირველ, ზვიგენისებურ ღიმილს არაფრით სჯობდა.

– შესანიშნავია, პერლმუტერ! აირწინაღები ხომ გაქვთ?

– ახლახან მოიტანეს. თორმეტი ყუთია, უმეტესობა...

– კარგი. ჩვენ რიპლის პოლაროიდული სურათები გვჭირდება. დაწვრილებითი დოკუმენტაცია. ნიმუში A, ნიმუში B და ასე შემდეგ. დაიმახსოვრეთ?

– დიახ.

– ვიმედოვნებ, ერთი... სტუმარიც კი ვერ დაგისხლტებათ, ასეა?

– ვერც ერთი! – პერლმუტერმა ისეთი აღშფოთებული სახე მიიღო, თითქოს ამბობდა, ეს როგორ მაკადრეთო.

კურცმა ტუჩები გაწელა, ფართოდ გაიღიმა და კიდევ ერთხელ

გამოაჩინა ზვიგენის ხახა. უსიცოცხლო თვალებით პერლმუტერს ბურღავდა და მის იქით, დედამიწის ცენტრში იყურებოდა, ყოველ შემთხვევაში, პერლმუტერმა ასე აღიქვა და საკუთარ თავს შეკითხვა დაუსვა: ნეტავ, მისიის დასრულების შემდეგ, კურცის გარდა, ცოცხალი თუ ვინმე დატოვებს „ცისფერ ბაზას"?

– განაგრძეთ, მოქალაქე პერლმუტერ. ამას ხელისუფლების სახელით გიბრძანებთ.

არჩი პერლმუტერმა თვალი ავტობუსისკენ მიმავალ კურცს გააყოლა, საიდანაც ანდერჰილი – დაბალი და მსუქანი კაცი ჩამოდიოდა. პერლის ცხოვრებაში არასდროს ისე არ გახარებია ვინმეს ზურგის დანახვა, როგორც ახლა.

2

– სალამი, ბოს, – თქვა ანდერჰილმა. ისევე, როგორც სხვებს, მასაც უბრალო მწვანე კომბინეზონი ეცვა. ოღონდ, კურცის მსგავსად, ისიც იარაღს ატარებდა. ავტობუსში კიდევ ოცამდე კაცი იჯდა. მათი უმრავლესობა საუზმეს ამთავრებდა.

– აბა, რა გვაქვს აქ, მეგობარო? – იკითხა კურცმა და ანდერჰილს ზემოდან დააცქერდა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, მასზე სამოცდაათი გირვანქით მეტს იწონიდა.

– „სამეფო ბურგერი". პირდაპირ გადმოვჭერით. არ მეგონა, ავტობუსი თუ გამოეტეოდა, მაგრამ იოდერი გვარწმუნებდა, ყველაფერი გამოვაო, და მართალიც აღმოჩნდა. ბურგერი ხომ არ გინდათ? მართალია, ცოტათი გაცივდა, მაგრამ მიკროტალღოვანი ღუმელი ამ დასაკარგავშიც იქნება, – ანდერჰილმა თავით მაღაზიაზე მიანიშნა.

– თავს შევიკავებ. ქოლესტერინი ღვიძლისთვის მავნებელია.

– საზარდული როგორ გაქვთ?

ექვსი წლის წინ, კალათბურთის თამაშისას, კურცი სერიოზულად დაშავდა, რაც ირიბად, მაგრამ მაინც, მათი პირველი და უკანასკნელი დაშორების მიზეზი გახდა. ანდერჰილის აზრით, ისეთი არაფერი

მომხდარა, თუმცა კურცის მსგავსი ტიპებისგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო. უსიცოცხლო ნიღბის მიღმა მოქნილი გონება იმალებოდა, რომელიც სინათლის სხივის სისწრაფით აზროვნებდა, ყოველდღიურ გეგმებს ადგენდა, წარმოუდგენელ პროგრამებს ქმნიდა, ემოციას უმკლავდებოდა. ბევრს კურცი შეშლილად მიაჩნდა. ოუენ ანდერჰილი დაზუსტებით ვერაფერს იტყოდა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ასეთ ადამიანთან სიფრთხილე უნდა გამოეჩინა. უკიდურესი სიფრთხილე.

– როგორც ირლანდიელები ამბობენ, me groin's foine[79], – მან შარვლის უბეზე ხელი წაივლო, მოქაჩა და ოუენს შიშის მომგვრელი ღიმილი აჩუქა.

– მიხარია ამის მოსმენა.

– და თქვენ? კარგად ხართ?

– me groin's foine, – მიუგო ოუენმა. კურცს გაეცინა.

ამჯერად გზაზე ავტობუსივით ნელა და ფრთხილად, ოღონდ უფრო მსუბუქად, ახალთახალი „ლინკოლნ-ნავიგატორი" მოგორავდა. შიგ ნარინჯისფერ სამოსში გამოწყობილი სამი ზორბა მონადირე იჯდა, რომელიც გაოცებით მისჩერებოდა ვერტმფრენებსა და მწვანეკომბინეზონიან, მოფუსფუსე ჯარისკაცებს. მონადირეებს, ძირითადად, ტყვიამფრქვევები აინტერესებდათ. მადლობა უფალს, ვიეტნამს ჩრდილოეთ მენამდეც მოეღწია. მალე ისინი საკარანტინო ბლოკში მყოფთ შეუერთდებოდნენ.

როგორც კი „ნავიგატორი" ავტობუსთან გაჩერდა. მაშინვე ექვსი სამხედრო გაჩნდა. ის სამნი ადვოკატები ან ბანკირები უნდა ყოფილიყვნენ, თავიანთი ქოლესტერინიანი პრობლემებითა და აქციების სქელ-სქელი პაკეტებით – ადვოკატები თუ ბანკირები, თავი გულკეთილ ბიჭებად რომ წარმოედგინათ და ნადირობით ერთობოდნენ ქვეყანაში, რომელიც გულწრფელად მიაჩნდათ ბებერ, მშვიდობიან ამერიკად (ამ რწმენისგან მათ მალე განკურნავდნენ). რამდენიმე

[79] "ჩემი საზარდული საათივით მუშაობს"(ირლ)

წუთში მათ ბოსელში მოათავსებდნენ (ან ბაკში, თუ სუფთა ჰაერზე ყოფნა სურდათ), სადაც Visa–ბარათებს ყურადღებას არავინ მიაქცევდა. მობილურ ტელეფონებს დაუტოვებდნენ, რადგან აქ კავშირი გაწყვეტილი იყო, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, ღილაკებზე თითის დაჭერით გაერთობოდნენ.

– რაიონი საიმედო ალყაშია? – იკითხა კურცმა.

– ვფიქრობ, ასეა.

– ყველაფერს ძველებურად სწრაფად ითვისებთ?

ოუენმა მხრები აიჩეჩა.

– სულ რამდენი ადამიანი იქნება „ცისფერ ზონაში", ოუენ?

– ჩვენი ანგარიშით, რვაასამდე. A და B პრიმა ზონებში – არა უმეტეს ასისა.

ეს კარგი მონაცემია, იმ პირობით, თუ კორდონის გარღვევა ვერავინ მოახერხა. შესაძლო დაბინძურების თვალსაზრისით, რამდენიმე გაქცეულს დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა – ყოველ შემთხვევაში, ამ კუთხით დამაიმედებელი ცნობები მოსდიოდათ. ინფორმაციის გაჟონვას გამოუსწორებელი შედეგების მოტანა შეეძლო. ჩვენს დროში მოჩვენება-ცხენით ჯირითი სულ უფრო რთულდებოდა. ყველა ვიდეოკამერით დადიოდა, ვერტმფრენებზე სატელევიზიო დანადგარებს ამონტაჟებდნენ, ცნობისმოყვარე ადამიანების რიცხვმაც საგრძნობლად იმატა.

– მაღაზიაში შედით, – თქვა კურცმა, – შემპირდნენ, რომ ცალკე ტრაილერს გამომიყოფენ, თუმცა, ჯერ არ მოუყვანიათ.

– Un momenta[80], – ანდერჰილი მისი წონისთვის შეუფერებლად სწრაფად გაიქცა ავტობუსისკენ და მალე „სამეფო ბურგერის" ცხიმიანი ლაქებით დაფარული პაკეტითა და მხარზე შემოდებული მაგნიტოფონით დაბრუნდა.

– მოგკლავთ ეგ ნაგავი, – უთხრა მას კურცმა და თავით პაკეტზე ანიშნა.

---

[80] "ერთი წუთით" (იტ)

– სამყაროთა ომს ვიწყებთ, თქვენ კი ქოლესტერინის მაღალი შემცველობა გადარდებთ?

მათ უკან ერთ-ერთი ახმახი მონადირე ხმამაღლა გამოთქვამდა უკმაყოფილებას, ყვიროდა, რომ ადვოკატთან დაკავშირება სურდა, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა აზრს, რომ ბანკირთა მოდგმას მიეკუთვნებოდა. კურცი ანდერჰილს მაღაზიაში შეუძღვა. მათ ზემოთ, ცაში, უკან დაბრუნებული მრავალი სასიგნალო შუქი ნაცრისფერი ღრუბლების ფენაში აღწევდა და დისნეის პერსონაჟებივით ხტოდა.

3

ბებერი გოსლინის ოფისში სალიამის, სიგარების, ლუდისა და გოგირდის სუნი იდგა. ასეთი სიმყრალე გაზების ან ლაყე კვერცხის ან ერთდროულად ორივეს ბრალი იქნებაო, – დაასკვნა კურცმა. კიდევ რაღაცის სუსტი, მაგრამ მკაფიო სუნი შეიგრძნო – ეთილის სპირტის. ეს მათი სუნი იყო. ყოველ კუთხე-კუნჭულს მოსდებოდა. კურცის ადგილზე სხვა ადამიანი ცდუნებას აჰყვებოდა და ამას აწეწილ ნერვებსა და ძლიერ წარმოსახვას დააბრალებდა, მაგრამ კურცს არც ერთი აწუხებდა, არც – მეორე. ყოველ შემთხვევაში, იგი არ ფიქრობდა, რომ დაახლოებით ასი კვადრატული მილის ფართობის ტყის მასივი, გოსლინის მაღაზიას რომ ერტყა, მომავალშიც სიცოცხლისუნარიანი ეკოსისტემის სახით იარსებებდა. ზოგჯერ, ავეჯის რომელიმე ნაწილი უნდა გაწირო, მთელი ბინა რომ არ დაზარალდეს.

კურცი საწერ მაგიდას მიუჯდა და ერთ-ერთი უჯრა გამოსწია. შიგ მუყაოს ყუთი იდო, წარწერით „ქიმ/აშშ/10 ერთეული“. პერლმუტერს ნამდვილად გაუხარდებოდა. კოლოფი ამოიღო და გახსნა. მასში გამჭვირვალე პლასტმასის მომცრო ნიღბები ეწყო, აი ისეთი, ცხვირ-პირზე რომ იფარებენ ხოლმე. ერთი ანდერჰილს გადაუგდო, მეორე თვითონ გაიკეთა და ელასტიკური თასმებით შეიკრა.

– ეს აუცილებელია? – იკითხა ოუენმა.

– არ ვიცით. ეს პრივილეგიად არ ჩათვალოთ; ერთ-ორ საათში მას

ყველა გაიკეთებს, ცხადია, საკარანტინო ბლოკში მყოფთა გარდა.

ანდერჰილმა კომენტარისგან თავი შეიკავა და ნიღაბი გაიკეთა. კურცი კედელზე ჩამოკიდებულ, პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ადმინისტრაციის პლაკატს (გააკარი ეს ან მოკვდი) თავით მიეყრდნო.

– ისინი მუშაობენ? – ანდერჰილის ხმა ნიღბიდანაც მშვენივრად ისმოდა. მას თითქოს არც ფორები ჰქონდა და არც ფილტრი, მაგრამ სუნთქვას არ ართულებდა.

– ისინი ებოლაზე, ციმბირულ წყლულსა და ახლა სუპერქოლერაზე მუშაობენ. რიპლიზე? შესაძლოა, ჩვენი საქმე ცუდადაა, ჯარისკაცო. იქნებ უკვე დაგვერხა კიდეც. მაგრამ დრო მიდის და თამაში დაწყებულია. იმ ჩანაწერის მოსმენა მინდოდა, რომელიც უეჭველად მხარზე გადაკიდებულ მოწყობილობაში გიდევთ.

– ვფიქრობ, ყველაფრის მოსმენა არ ღირს, აჯობებს, თქვენი გემოვნებით შეარჩიოთ.

კურცმა თავი დაუქნია, ჰაერში საჩვენებელი თითი დაატრიალა (იმ მსაჯივით, გარბენის დაწყების ნიშანს რომ იძლევა) და გოსლინის სავარძელში მოხერხებულად მოეწყო.

ანდერჰილმა მხრიდან მაგნიტოფონი ჩამოიღო, მაგიდაზე დადო და ღილაკს დააწვა. გაისმა მექანიკური ხმა:

„ნაციონალური უსაფრთხოების სამმართველოს მიერ მოპოვებული რადიოჩანაწერი. სიხშირე – სამოცდაორი მილიონ ცხრაას თოთხმეტი ათას ორმოცდაოთხი. მასალას მიენიჭა გრიფი „სრულიად საიდუმლო“. მოპოვების დრო – ექვსი საათი და ოცდაშვიდი წუთი, თოთხმეტი ნოემბერი, ორი-ნული-ნული-ერთი. ჩანაწერი იწყება ტონალური სიგნალის შემდეგ. თუ არ გაქვთ მონიჭებული დაშვების პირველი დონე, დააჭირეთ გაჩერების ღილაკს.

– გთხოვთ, – გაიმეორა კურცმა და მოწონების ნიშნად თავი დააქნია, – კარგია. არაავტორიზებული პერსონალის უდიდეს ნაწილს დააფრთხობს. ასე არ არის?

ამას პაუზა მოჰყვა, პაუზას – ორწამიანი სიგნალი და ქალის ხმა გაისმა:

„ერთი. ორი. სამი. გთხოვთ, შეგვიბრალეთ! Ne nous blesses pas".

კვლავ ორწამიანი პაუზა. შემდეგ ახალგაზრდა კაცმა წარმოთქვა:

„ხუთი. შვიდი. თერთმეტი. ჩვენ უმწეონი ვართ, Nous sommes sans defense. გთხოვთ, შეგვიბრალეთ, Ne nous faites, ჩვენ უმწეონი ვართ"...

– ღმერთმანი, ეს ხომ ბერლიცის[81] უცხო ენების კურსს ჰგავს, – გაეცინა კურცს.

– ხმა ვერ იცანით? – ჰკითხა ანდერჰილმა.

კურცმა თავი დააქნია და ტუჩებზე თითი მიიდო.

შემდეგი ხმა ბილ კლინტონს[82] ეკუთვნოდა:

„ცამეტი. ჩვიდმეტი. ცხრამეტი"...

ბოლო სიტყვა კლინტონმა არკანზასული აქცენტით წარმოთქვა.

„აქ ინფექციის მსგავსი არაფერია. Il n'y pas d'infection იცი".

კიდევ ერთი ორწამიანი სიჩუმე და მაგნიტოფონიდან ტომ ბროკაუს[83] ხმა გაისმა:

„ოცდასამი. ოცდაშვიდი. ოცდაცხრა. ჩვენ ვკვდებით. On se meurt, on creve[84]. ჩვენ ვკვდებით".

ანდერჰილმა STOP–ს დააჭირა.

– თუ გაინტერესებთ, პირველი ხმა ჯესიკა პარკერს, მსახიობს ეკუთვნის, მეორე – ბრედ პიტს.

– ეს ვინღაა?

– ისიც მსახიობია.

– აჰა.

– ყოველი პაუზის შემდეგ სხვა ხმა გაისმის. მათი გამოცნობა აქ

---

[81] მაქსიმილიან ბერლიცი, გერმანელ-ამერიკელი ლინგვისტი და პედაგოგი.

[82] ამერიკის ორმოცდამეორე პრეზიდენტი (1993-2001)

[83] ამერიკელი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი.

[84] "ჩვენ ვკვდებით, ვიხოცებით"(ფრ).

მყოფი ადამიანების უმრავლესობისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ეს ალფრედ ჰიჩკოკის[85], პოლ ჰარვის[86], ჯეიმზ ბრაუნის[87], ტიმ სემპლის – ადგილობრივი, ძალიან პოპულარული კომიკოსისა და სხვა, ასობით პიროვნების ხმებია. თუმცა ზოგიერთი მათგანის დადგენა ვერ შევძელით.

– ასობით სხვა? რამდენ ხანს გრძელდება ჩანაწერი?

– დაზუსტებისთვის გეტყვით, ეს ჩანაწერები არ მოგვიპოვებია, პირიქით, ისინი ღია ეთერში ისმოდა და რვა საათსა და ნული წუთიდან ვახშობთ. ეს იმას ნიშნავს, რომ არ ვიცით, ეს ნაგავი რა რაოდენობით გავიდა ეთერში, თუმცა ვფიქრობთ, ვინც მოისმინა, ვერაფერს გაიგებდა. რომც გაეგოთ... – ანდერჰილმა მხრები ფილოსოფიურად აიჩეჩა, რაც ნიშნავდა: „მერე რა? " – ხმები ისევ ისმის. ხმები, როგორც ჩანს, ნამდვილია. ჩვენ მათი შედარებითი ანალიზი მოვახდინეთ, ვინც უნდა იყვნენ, ამ ბიჭებს თავისუფლად შეუძლიათ, რიჩ ლიტლი[88] უმუშევრად დატოვონ.

ამ დროს ვერტმფრენების მკაფიო ტრახ-ტრახ-ტრახ გაისმა. კურცი ამ ხმას არა მარტო ისმენდა, გრძნობდა კიდეც. დაფის, პროფესიული უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის ადმინისტრაციის პლაკატის გავლით, მისი ტვინის ხვეულებში სიგნალი შედიოდა და უბრძანებდა: დაიწყეთ, დაიწყეთ, დაიწყეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ, იჩქარეთ! კურცის სისხლი მზად იყო ბრძანების დაუყოვნებლივ შესასრულებლად, მაგრამ თვითონ კურცი გაუნძრევლად იჯდა და მშვიდად შეჰყურებდა ოუენ ანდერჰილს. მასზე ფიქრობდა. ნელა იჩქარე, ჭკვიანური რჩევაა. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ოუენის მსგავს ადამიანებთან გაქვს. რაო? საზარდული როგორ გაქვსო?

ერთხელ ხომ დამიდე კვანტი, – გაიფიქრა კურცმა, – იქნებ ჩემი ხაზი არ გადმოგიკვეთია, მაგრამ მითხარი, გულახდილად, ერთი-

---

[85] ბრიტანელ-ამერიკელი კინორეჟისორი.
[86] ამერიკელი რადიოკომენტატორი.
[87] ამერიკელი მომღერალი, „სოულის ნათლია".
[88] ამერიკელი პაროდისტი.

ორი ნაბიჯი ხომ გადმოდგი? ვფიქრობ, რომ კი. და იმასაც ვფიქრობ, რომ მეტი სიფრთხილე გმართებს.

– სულ ოთხი ფრაზაა, რომელიც განუწყვეტლივ მეორდება, – დაამატა ანდერჰილმა და თითებით ჩამოთვლას შეუდგა, – „არ გვატკინოთ", „უმწეონი ვართ", „აქ ინფექციის მსგავსი არაფერია" და ბოლო...

– ინფექცია არ არის, – გაიმეორა კურცმა, – ჰმ! კარგი ნერვები კი ჰქონიათ, არა?

იგი ხედავდა მოწითალო ოქროსფერ ბუსუსებს, „ცისფერი ბიჭის" გარშემო მდებარე ხეებზე რომ იზრდებოდა. და ადამიანებზეც. ძირითადად, გვამებზე. ბიოლოგებმა მას რიპლის სოკო უწოდეს, იმ ყოჩაღი ქალის პატივსაცემად, რომლის როლსაც კოსმოსურ სერიალში სიგურნი უივერი[89] ასრულებდა. მათი უმრავლესობა ძალზე ახალგაზრდა იყო და არ იცნობდა კიდევ ერთ რიპლის, რომელსაც გაზეთებში რუბრიკა მიჰყავდა, სახელწოდებით „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა". ეს „გინდ დაიჯერეთ, გინდ არა" დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა, როგორც პოლიტკორექტული ოცდამეერთე საუკუნისთვის შეუფერებელი უხამსობა. სამაგიეროდ, ძალიან კი მოერგებოდა დღევანდელ ვითარებას, – გაიფიქრა კურცმა. დიახ, ხელთათმანივით. ბებერი მისტერ რიპლის სიამის ტყუპები და ორთავიანი ძროხები ამასთან შედარებით სავსებით ნორმალურ არსებებად გამოჩნდებოდნენ.

– და ბოლო, მეოთხე: „ჩვენ ვკვდებით", – დაასრულა ანდერჰილმა, – ეს საინტერესოა, რადგან ფრანგულიდან ორგვარად ითარგმნება. პირველი – პირდაპირი მნიშვნელობით, მეორე – ონ ცრევე – სლენგია. ჩვენ ვიტყოდით: „საცაა ფეხებს გავფშეკთ", – და შეხედა კურცს, რომელსაც აშკარად გული სწყდებოდა, რომ პერლმუტერი ამას ვერ ხედავდა, თუმცა გამოსწორება ჯერ კიდევ შეიძლებოდა, – ისინი მართლაც ფშეკენ ფეხებს? ვგულისხმობ, თუ დავუშვებთ, რომ

[89] ამერიკელი მსახიობი.

ამაში არ ვეხმარებით?

– მაგრამ რატომ ფრანგულად, ოუენ?

ანდერჰილმა მხრები აიჩეჩა.

– შესაძლოა, აქ მათი მეორე ენაა.

– აჰა. და ციფრები? იმის ჩვენება სურთ, რომ საქმე გონიერ არსებებთან გვაქვს? და რომ ნებისმიერ სხვა სახეობას შეუძლია ჩვენთან მოფრენა რომელიმე ვარსკვლავური სისტემიდან, განზომილებიდან თუ ღმერთმა იცის, კიდევ საიდან?

– ალბათ. სასიგნალო შუქთან დაკავშირებით რა ხდება, ბოს?

– ახლა უმეტესობა ტყეშია, მაგრამ როცა მუხტი უთავდებათ, სწრაფად ქრებიან. ისინი, რომელთა დაბრუნებაც შევძელით, სუპის ეტიკეტამძვრალ თუნუქის კოლოფებს ჰგვანან. მათი ზომების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ეფექტური შოუ გამოუვიდათ, არა? ადგილობრივებმა შიშისგან კინაღამ ჩაისვარეს. გაბნევის შემდეგ სასიგნალო შუქი სოკოს, სპორებს თუ ეშმაკმა იცის, რას ტოვებს. იგივე ითქმის უცხოპლანეტელთა შესახებაც. დარჩენილები ხომალდის ირგვლივ მოგროვდნენ, როგორც მგზავრები დამტვრეულ ავტობუსთან და წუწუნებდნენ, რომ დასნებოვნებულები არ იყვნენ, მადლობა ღმერთს, დამშვიდება შეიძლებოდა. თუმცა, როგორც კი ეს რაღაც თქვენს სხეულზე მოხვდებოდა, როგორც ოუენმა თქვა, სავარაუდოდ, ფეხებს გაფშეკდით. ცხადია, ჯერ ძალიან ადრე იყო, დანამდვილებით რამე რომ სცოდნოდათ, მაგრამ ვარაუდების გამოთქმის უფლება კი ჰქონდათ.

– რამდენი უცხოპლანეტელი დარჩა ზევით? – დაინტერესდა ოუენი.

– ასამდე.

– კიდევ რა ვიცით? ვინმეს რამე იდეა ხომ არ აქვს?

კურცმა ხელი ჩაიქნია. საიდან უნდა სცოდნოდა. ამის ცოდნა რომელიღაც დეპარტამენტს ევალებოდა და არა ბიჭებს, რომლებიც მადლიერების დღის წინ ამ მხიარულ წვეულებაზე მიიპატიჟეს.

– როგორ გგონიათ, გადარჩენილები ერთი გუნდია? – არ ეშვებოდა ანდერჰილი.

– არ ვიცი. შესაძლოა, არა. ძალზე ბევრნი არიან გუნდისთვის, არასაკმარისი – კოლონისტებისთვის, და ძალიან ცოტა – დამრტყმელი ძალისთვის.

– კიდევ რა ხდება იქ, ზევით, ბოს? კიდევ არის რაღაც, არა?

– დარწმუნებული ხარ?

– ჰო.

– რატომ?

– იქნებ ინტუიცია მკარნახობს, – მხრები აიჩეჩა ანდერჰილმა.

– ეს ინტუიცია არ არის, – თითქმის თავაზიანად შეუსწორა კურცმა, – ეს ტელეპათიაა.

– ამით რისი თქმა გსურთ?

– ცხადია, დაბალი დონის. თუმცა, დაეჭვების საფუძველი არ არსებობს. ადამიანი რაღაცას გრძნობს, რისთვისაც ვერც სახელი მოუძებნია, ვერც – ახსნა. რამდენიმე საათის შემდეგ ეს უნარი სრულად ვლინდება. ჩვენი რუხი მეგობრები ტელეპათები არიან და ამას, როგორც ჩანს, სოკოსავით ავრცელებენ.

– მაგათი დედაც! .. – ჩაიჩურჩულა ოუენ ანდერჰილმა.

კურცი გაჩუმდა. ახლა იგი ანდერჰილს აკვირდებოდა. უყვარდა ჩაფიქრებული ადამიანების ყურება, ცხადია, თუკი მათ ფიქრის უნარი შესწევდათ. მაგრამ ამჯერად რაღაც სხვა იყო: მას ოუენის აზრები ესმოდა – სუსტი, მაგრამ მკაფიო ხმა, როგორც ოკეანის სუნთქვა ნიჟარაში.

– სოკო სწრაფად იღუპება გარემოში, – თქვა ოუენმა, – ეს მათზეც ცუდად მოქმედებს. რას იტყვი ექსტრასენსორულ აღქმაზე?

– ამაზე ლაპარაკი ადრეა. მაგრამ თუ ეს უნარი სამუდამოდ რჩება და უფრო მეტიც, თუ ამ სალექარის გარეთაც ვრცელდება, სადაც ახლა ვიმყოფებით, ვითარება ძირფესვიანად შეიცვლება. ხვდებით ამას?

ანდერჰილი ხვდებოდა.

– ვერ ვიჯერებ, – თქვა მან.

– ახლა მე მანქანაზე ვფიქრობ, – თქვა მოულოდნელად კურცმა, – აბა, რომელ მანქანაზე?

ოუენმა მას შეხედა. ალბათ იმის დადგენა სურდა, მოსაუბრე ხომ არ ხუმრობსო, მაგრამ კურცის სერიოზული სახის დანახვაზე თავი გადააქნია.

– საიდან უნდა... – იგი შეყოვნდა, – „ფიატზე".

– სინამდვილეში – „ფერარიზე". ახლა ნაყინზე ვფიქრობ. რომელ...

– ფსტიანზე.

– სწორია.

ოუენი ცოტა ხნით გაჩუმდა, შემდეგ კი გაუბედავად ჰკითხა კურცს, – ჩემი ძმის სახელს თუ მეტყვიო.

– კელოგი, – დაუფიქრებლად მიუგო კურცმა, – ღმერთო ჩემო, ოუენ, ეს რა სახელია ბიჭისთვის?

– დედაჩემის გვარია გათხოვებამდე. ო-ო ღმერთო, ტელეპათია!

– წარმომიდგენია, რა დღეში ჩაცვივდებიან „რისკის"[90] ან „ვის უნდა გახდეს მილიონერის"[91] მომწყობები, თუ ეს მთელ ქვეყანაში გავრცელდება?

გვერდით მდებარე შენობიდან გასროლა და ყვირილი გაისმა.

– ეს არ უნდა გაგეკეთებინათ! – ყვიროდა ვიღაც, რომლის ხმაშიც შიში და აღშფოთება იგრძნობოდა, – ამის უფლება არ გქონდათ!

ისინი დაელოდნენ. ხმაური მიწყნარდა.

– რუხი კაცუნების სხეულების დადასტურებული რაოდენობა ოთხმოცდაერთია, – თქვა კურცმა, – თუმცა, ალბათ, მეტნი არიან. ძირს ჩამოვარდნისთანავე გახრწნას იწყებენ. მათგან არაფერი რჩება, მხოლოდ ლორწო... შემდეგ კი – სოკო.

---

[90] სატელევიზიო თამაში-ვიქტორინა, აშშ.

[91] სატელევიზიო თამაში-ვიქტორინა, აშშ.

– მთელ ზონაში?

კურცმა თავი დააქნია.

– წარმოიდგინეთ ისარი, რომელიც დასავლეთს გვიჩვენებს, მეორე ბოლო – „ცისფერ ბიჭს". ჩვენ ახლა დაახლოებით ამ ისრის ცენტრში ვართ. აქედან აღმოსავლეთით რუხების სექტის კიდევ რამდენიმე არალეგალი დახეტიალებს. სასიგნალო შუქი, ძირითადად, ისრის ბოლოში ჩნდება. უცხოპლანეტელთა საგზაო პატრული.

– და ეს ყველაფერი ჰაერში უნდა ავწიოთ, არა? – იკითხა ოუენმა, – არა მარტო რუხი კაცუნები, ხომალდი და სასიგნალო შუქი, არამედ მთელი ეს დედანატირები გეოგრაფია?

– ამაზე სალაპარაკოდ ჯერ მზად არ ვარ, – მიუგო კურცმა.

არა, ცხადია, ჯერ მზად არ ხარ, – გაიფიქრა ოუენმა და მაშინვე თავში გაჰკრა, ვაითუ, კურცმა ჩემი აზრები წაიკითხოსო. მაგრამ უსიცოცხლო თვალებში ვერაფერი შეატყო.

– მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დარჩენილი რუხი კაცუნების განადგურებასაც ვაპირებთ. საბრძოლო ვერტმფრენებში მხოლოდ თქვენი ხალხი ჩაჯდება. მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ხალხი. დაიმახსოვრეთ მოსახმობი სახელი – „ცისფერი ბიჭების ლიდერი". გასაგებია?

– დიახ, სერ.

კურცმა არ შეუსწორა. ამ კონტექსტში, მისიისადმი ანდერჰილის ზიზღის გათვალისწინებით, მიმართვა „სერ", არც ისე ცუდად ჟღერდა.

– მე „ცისფერი ერთი" ვარ.

ოუენმა თავი დაუქნია.

კურცი წამოდგა და ჯიბის საათი ამოიღო. ისრები თორმეტს უჩვენებდა.

– ამ ყველაფრის დამალვას ვერ მოვახერხებთ, – თქვა ანდერჰილმა, – ზონაში ძალზე ბევრი ამერიკელია. რამდენი არიან... ეს იმპლანტები?

კურცს კინაღამ გაეღიმა. ჰო, ეს სინდიოფალები. საკმაოდ ბევრნი არიან. წლების განმავლობაში მათი რაოდენობა იზრდება. ანდერ-ჰილმა ეს არ იცოდა, სამაგიეროდ, კურცმა იცოდა. საზიზღარი პატა-რა არსებები! ბოსის როლში ყოფნას ერთი უდავო უპირატესობას ჰქონდა: სურვილის შემთხვევაში, შეგეძლოთ შეკითხვაზე არ გეპა-სუხათ.

– ყველაფერი, რაც მერე მოხდება, პოლიტტექნოლოგების საქმეა, – თქვა მან, – ჩვენი სამუშაო იმაზე რეაგირებაა, რაც კონკრეტულმა პიროვნებებმა შეერთებული შტატების მოსახლეობისთვის აშკარა და რეალურ საფრთხედ მიიჩნიეს, ერთ-ერთი მათგანის ხმა, შესაძ-ლოა, ფირზეც გაქვთ ჩაწერილი. გასაგებია, ჯარისკაცო?

ანდერჰილმა მას უსიცოცხლო თვალებში შეხედა და მზერა აარი-და.

– და კიდევ ერთი, – დაამატა კურცმა, – პუუკა თუ გახსოვთ?

– ირლანდიელების ცხენი-მოჩვენება?

– რაღაც ამის მსგავსი. როდესაც საქმე ჯაგლაგებს ეხება, იცო-დეთ, რომ ისინი ჩემია. და ყოველთვის ჩემი იყო. ვიღაც-ვიღაცებს ბოსნიაში უნახავთ, როგორ დააჭენებდით ჩემს პუუკას. ეს სიმარ-თლეა?

ოუენმა გადაწყვიტა, არ ეპასუხა. კურცს ეს არ სწყენია. მხოლოდ უფრო დაჟინებით მიაჩერდა მას.

– ამის გამეორებას არ დავუშვებ, ოუენ. დუმილი ოქროა. როდე-საც პუუკას მოვაჯდებით, უხილავნი უნდა გავხდეთ. გასაგებია?

– დიახ.

– ყველაფერი გასაგებია?

– დიახ, – მიუგო ოუენმა. მას კვლავაც აინტერესებდა, რა დონეზე შეეძლო კურცს მისი აზრების წაკითხვა. თვითონ მხოლოდ სახელ-წოდება გაარჩია, რომელიც კურცს ლამის შუბლზე ეწერა. როგორც ჩანს, განზრახ. ბოსანსკი-ნოვი[92].

---

[92] დღევანდელი ნოვი-გრადი. ქალაქს ბოსანსკი-ნოვი ბოსნიის ომამდე ერქვა

4

ისინი გასამგზავრებლად მზად იყვნენ: ოუენ ანდერჰილის მებრძოლები ოთხ სამხედრო ვერტმფრენში ისხდნენ. მათ ეგა-ს ბიჭები ჩაანაცვლეს, რომლებმაც ჩH–47-ები გზაზე დასვეს. უკვე აფრენას აპირებდნენ, იქაურობა ძრავების გუგუნს გაეყრუებინა, როდესაც კურცმა შეჩერება უბრძანა. ოუენმა ბრძანება ხელქვეითებს გადასცა, პატარა ბერკეტი მარცხნივ გადასწია და კურცთან პირდაპირი კავშირის სიხშირეზე აღმოჩნდა.

– ბოდიში მომითხოვია და, რა ჯანდაბა ხდება? – იკითხა ოუენმა. თუ ეს უნდა გაეკეთებინათ, ერჩივნათ, დროულად დაეწყოთ და დაესრულებინათ. თუმცა, ეს ბოსანსკი-ნოვიზე უარესი იყო. ყველაფერი ფეხებზე დაეკიდებინა? იმიტომ, რომ კურცმა უთხრა, რუხი კაცუნები ადამიანები არ არიანო? არა, ასე ვერ მოიქცეოდა. არსებები, რომლებმაც „ცისფერი ბიჭი" ააწყვეს და მათთან მოფრენა შეძლეს, ადამიანებს აღემატებოდნენ.

– ეს ჩემი ხუშტური არაა, ბიჭუნი, – უთხრა კურცმა, – ბანგორელი სინოპტიკოსები ამბობენ, რომ ის დამპალი ძალიან სწრაფად გვიახლოვდება. ქარიშხალია, „ალბერტ კლიპერს" ეძახიან. ნახევარ საათში, მაქსიმუმ ორმოცდახუთ წუთში დაგვატყდება თავს. იმის გათვალისწინებით, რომ სანავიგაციო ხელსაწყოები არ მუშაობს, თუ შეგვიძლია, – და ჩვენ ეს შეგვიძლია, – აჯობებს დაველოდოთ. მერე მადლობასაც მეტყვი.

ეჭვი მეპარება, ბოს.

– მიღება, მიღება, – მან პატარა ბერკეტი მარჯვნივ გადასწია, – კონკლინ.

ამ დავალების შესრულებისას, განსაკუთრებით რადიოგადამცემებით საუბრისას, ყოველგვარი სამხედრო წოდების ხსენება იკრძალებოდა.

– აქ ვარ... აქ ვარ.

– ყველას გადაეცი, რომ ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთით უნდა შევყოვნდეთ. ვიმეორებ: ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთი.

– მიღებულია. ოცდაათი-ორმოცდახუთი წუთი.

– იქნებ მუსიკა დაგეკრა.

– კარგი. რას შეუკვეთავთ?

– შენს გემოვნებას ვენდობი. ოღონდ „გუნდის ჰიმნი“[93] არ გინდა.

– გასაგებია, „გუნდის ჰიმნი“ გამოირიცხა.

კონკლინის ხმაში ღიმილის ნასახიც არ იგრძნობოდა. ის ერთადერთი იყო, ვისაც მომხდარი ოუენივით არ სიამოვნებდა. ცხადია, ბოსანსკი-ნოვის ოპერაციაში, 95-ში, კონკლინიც მონაწილეობდა. თავზე გაკეთებულ ყურსასმენებში „პერლ ჯემის“ ჯაგიჯუგი ჩაესმოდა, მოიხსნა და კისერზე ჩამოიკიდა. „პერლ ჯემი“ გულზე არ ეხატებოდა, მაგრამ წინ გაცილებით უარესი ელოდათ.

არჩი პერლმუტერი და მისი ხალხი აქეთ-იქით თავწაწყვეტილი ქათმებივით აწყდებოდნენ, ხან სამხედრო სალამს იძლეოდნენ, მაგრამ ხელი საფეთქელთანაც არ ჰქონდათ მიტანილი, რომ მაშინვე ძირს უშვებდნენ, თან შეფარვით, შიშით შესცქეროდნენ პატარა, მწვანე ფერის სადაზვერვო ვერტმფრენს, რომელშიც კურცი იჯდა: მას გადამცემი თავზე მოერგო, სახეს „დერი ნიუსის“ ბოლო ნომერი უფარავდა. ჩანდა, თითქოს კითხვით იყო გართული, მაგრამ ოუენი რატომღაც გრძნობდა, რომ იგი ყველა იმ ჯარისკაცს ხედავდა, რომელსაც დავიწყებოდა, რომ საგანგებო ვითარებაში იმყოფებოდნენ და სამხედრო კოდექსის მიხედვით უნდა ემოქმედათ. კურცის გვერდით ფრედი ჯონსონი იჯდა. იგი მუდამ თან ახლდა მას, იმ დროიდან მოყოლებული, რაც ნოეს კიდობანი არარატის მთაზე აღმოჩნდა. ბოსანსკიშიც იყო და ეჭვი არ ეპარებოდა, რომ წვრილად მოახსენებდა იქ მომხდარის შესახებ ზურგში ჩარჩენილ კურცს – ამ უკანასკნელმა საზარდულის ტკივილის გამო თავის საყვარელ პუუკაზე ამხედრება ვერ შეძლო.

---

[93] „როლინგ სტოუნზი“ ასრულებს.

1995 წლის ივნისში სამხედრო ავიაციამ აკრძალულ საფრენ ზონაში, ხორვატიის საზღვართან, NATO-ს მზვერავი თვითმფრინავი დაკარგა. სერბებმა ერთი ამბავი ატეხეს კაპიტან ტომი კალაჰენის თვითმფრინავის გამო. თვით კალაჰენიც რომ ხელში ჩაეგდოთ, უფრო დიდ საჩვენებელ სპექტაკლს გამართავდნენ. მთავრობის წარმომადგენლებს ჯერაც თვალწინ ედგათ ჩრდილოვიეტნამური კოშმარები, როცა მოწინააღმდეგეს ტვინგამორეცხილი მფრინავები საერთაშორისო პრესის წინაშე სისტემატურად და დაუფარავი ღვარძლით გამოჰყავდა, დღედაღამ გაიძახოდნენ, სამხედროების უმთავრესი მოვალეობა ტომი კალაჰენის დაბრუნება არისო.

ძალისხმევის მიუხედავად, მფრინავის კვალს ვერსად მიაგნეს და, ის იყო, უფროსობას მაძებარი ჯგუფებისთვის უკან დაბრუნება უნდა ებრძანებინა, რომ კალაჰენი თვითონ დაუკავშირდა თავისიანებს დაბალსიხშირიან დიაპაზონზე. მისმა სკოლის მეგობარმა გოგონამ მათ ტომის ძველი მეტსახელი შეატყობინა. ცხადია, ესეც სცადეს. მოულოდნელად, მათ კალაჰენი გამოეხმაურა, თან დაამატა, რომ მეგობრებმა პურჭყია გამოსაშვები კლასის დაუვიწყარ წვეულებაზე შეარქვეს, როდესაც სმაში საკუთარი შესაძლებლობები გადაჭარბებით შეაფასა.

კურცის ბიჭები მისკენ ორი ვერტმფრენით გაემართნენ, გაცილებით პატარებით, ვიდრე დღეს უნდა გამოეყენებინათ. ოპერაციას ხელმძღვანელობდა ოუენ ანდერჰილი, რომელსაც ბევრი (თვითონაც ასე ფიქრობდა) კურცის მემკვიდრედ მიიჩნევდა, კალაჰენს უბრძანეს, რომ მათი მიახლოებისას კოცონი დაენთო და დალოდებოდა. ანდერჰილს დავალებული ჰქონდა, კალაჰენი ისე წამოეყვანა, – პუუკაზე შეესვა, – რომ ამის შესახებ ვერავის გაეგო. ოუენის გადმოსახედიდან, ეს აუცილებელი არ იყო, მაგრამ კურცს ასე სურდა: მისი მებრძოლები უჩინარ ირლანდიურ ცხენზე შემომსხდარი უხილავი მხედრები უნდა ყოფილიყვნენ.

თავდაპირველად, მისია წარმატებით მიმდინარეობდა. მართალია, ვერტმფრენებს „მიწა-ჰაერის“ ტიპის რამდენიმე რაკეტა ესროლეს, მაგრამ ძალზე არაზუსტად – მილოშევიჩის[94] ჯარისკაცებისგან მეტი არც იყო მოსალოდნელი. როდესაც კალაჰენი ბორტზე აიყვანეს, ოუენმა რამდენიმე ბოსნიელს მოჰკრა თვალი – ხუთ თუ ექვს ბავშვს, რომელთაგან უფროსი მხოლოდ ათი წლის იქნებოდა, შეშინებული შესცქეროდნენ ამერიკელებს. კურცის ბრძანებით, ყველა მოწმე უნდა გაენადგურებინათ, მაგრამ ოუენს აზრად არ მოსვლია, სახემოთხუპნილი ბავშვები მოწმეებად ჩაეთვალა. კურცს ეს ფაქტი მისთვის არასდროს შეუხსენებია.

დღემდე.

ოუენს კურცი საშინელ ადამიანად მიაჩნდა. ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. მაგრამ არმიაში მისნაირები ცოტანი როდი იყვნენ, უფრო – ეშმაკის მოციქულები, ვიდრე წმინდანები, და ამასთან გასაიდუმლოების დიდი მოყვარულები. ოუენმა ზუსტად არც იცოდა, რით განსხვავდებოდა მათგან მაღალი და მელანქოლიური კურცი თავისი თეთრი წამწამებითა და უძრავი თვალებით. იმ თვალებს ძნელად თუ გაუსწორებდა მზერას კაცი, ისინი არც სიყვარულს გამოხატავდა, არც – მხიარულებას და არც – ცნობისმოყვარეობას. ეს უკანასკნელი ოუენისთვის ყველაზე უარესი იყო.

მაღაზიასთან შელახული „სუბარუ“ გაჩერდა და იქიდან ფრთხილად გადმოვიდა ორი მოხუცი. ერთს ქარისგან აქერცლილ ხელში შავი ხელჯოხი ეჭირა. წითელი და შავი უჯრედებით გაწყობილი სამონადირეო ქურთუკები ეცვათ, გახუნებული კეპები ეხურათ. წინაფრაზე ერთ-ერთ მათგანს თეთრი ასოებით CASE ეწერა, მეორეს – DEER. ისინი გაოცებით შესცქეროდნენ ჯარისკაცებს, რომლებიც მათკენ მირბოდნენ. ჯარისკაცები გოსლინის მაღაზიაში? ეს რა უბე-

[94] სერბეთისა და იუგოსლავიის პრეზიდენტი. 2006 წელს ჰააგის ციხეში გარდაიცვალა.

დურებაა? ოთხმოც წელს მიღწეულ მოხუცებს სწორედ ცნობისმოყვარეობა კლავდათ, რაც ასე აკლდა კურცს და რაც ასე ადვილი შესამჩნევი იყო გვერდზე გადახრილი თავისა და გაფართოებული თვალების მიხედვით.

ყველა შეკითხვა, რომელიც კურცს არ დაუსვამს: რა უნდათ? ტკივილის მოყენება? იქნებ, ჩვენთვის საზიანოდ ვიქცევით? იქნებ, ქარს ვთესავთ, და ქარიშხალს მოვიმკით? ნუთუ მართალია, რომ ყველა უწინდელმა კონტაქტმა – რუხმა კაცუნებმა, სასიგნალო შუქმა, ციდან ანგელოზების თმისა და წითელი მტვრის ჩამოცვენამ, სამოციანი წლების ბოლოდან დედამიწელების გატაცებამ, მათ მიმართ დაუძლეველი შიში ჩაგვინერგა? თუ ყოფილა ამ ქმნილებებთან რაიმე სახის კავშირის დამყარების მცდელობა?

და ბოლო, მთავარი შეკითხვა: ეს რუხი კაცუნები ჩვენ ხომ არ გვგვანან? იქნებ, არიან კიდეც ადამიანები? იყო თუ არა ეს მკვლელობა, ჩვეულებრივი, აშკარა მკვლელობა?

კურცის თვალებში მსგავსი არაფერი იკითხებოდა.

5

თოვამ იკლო, გამოიდარა და საბრძოლო მზადყოფნის გაუქმებიდან ზუსტად ოცდაცამეტი წუთის შემდეგ კურცმა აფრენის ბრძანება გასცა. ოუენი კონკლინს დაუკავშირდა და „ჩინების“[95] ძრავები კვლავ აგუგუნდა. მათ მიწიდან თოვლის თხელი საბურველი აიტაცეს და მბრწყინავ მოჩვენებებად იქცნენ. ხის კენწეროებს რომ ასცდნენ, ანდერჰილის ვერტმფრენს მიჰბაძეს და დასავლეთისკენ, კინეოსკენ აიღეს გეზი. ქვემოთ და ოდნავ მარჯვნივ კურცის „კაიოვა-58“[96] მიფრინავდა. ამან ოუენს მოულოდნელად ჯონ უეინის ძველი ფილმი გაახსენა: „ლურჯი მუნდირები“ მზვერავ ინდიელს ტყეში მის-

[95] სამხედრო ვერტმფრენის სახეობა.
[96] სამხედრო ვერტმფრენის სახეობა.

დევენ, ის უუნაგირო, ფაფარგაწეწილ პონიზე ამხედრებულა. მართალია, კურცს ვერ ხედავდა, მაგრამ სჯეროდა, რომ ის კვლავ გაზეთს კითხულობდა. იქნებ, საკუთარ ჰოროსკოპსაც კი – „თევზებო, დღეს თქვენი შერცხვენის დღეა. აჯობებს, ლოგინში დარჩეთ“.

მათ ქვემოთ თეთრ ორთქლში გახვეული ფიჭვები და ნაძვები ხან ჩნდებოდა, ხანაც ქრებოდა. მოცეკვავე ფიფქები „ჩინების“ საქარე მინებს ეჯახებოდა და უჩინარდებოდა. ფრენა ექსტრემალურ პირობებში მიმდინარეობდა, – ადამიანები თითქოს სარეცხი მანქანის ცენტრიფუგაში ტრიალებდნენ, – მაგრამ ოუენს ახლა მეტი არც არაფერი უნდოდა. მან თავზე გაკეთებული გადამცემი კარგად მოირგო. რომელიღაც სხვა ჯგუფი უკრავდა, „მატჩბოქს თვენთის“[97] ჰგავდა, მაგრამ „პერლ ჯემს“[98] მაინც სჯობდა. თუ რამის ეშინოდა, ეს „გუნდის ჰიმნი“ იყო. თუმცა იმასაც მოუსმენდა. დიახ, მართლა მოუსმენდა.

კვლავ და კვლავ ეფლობოდნენ დაბლა მცურავ ღრუბლებში, ამოყვინთავდნენ და უსასრულოდ გადაჭიმული ტყის თავზე მისრიალებდნენ დასავლეთით, დასავლეთით, დასავლეთით...

– ვიძახებ „ცისფერ ლიდერბიჭს“, მე „ცისფერი ორი“ ვარ.

– მიღებაზე გადავდივარ, ორიანო.

– ვიზუალური კონტაქტი „ცისფერ ბიჭთან“. ადასტურებთ?

ოუენმა უკვე წამის შემდეგ შეძლო დადასტურება. ნანახმა სუნთქვა შეუკრა. ერთია ფოტოსურათი, რომელზეც გამოსახულება მკაფიოდ მოჩანს, საგანი, რომლის ხელში დაჭერაც შეგიძლია, და სულ სხვაა...

– ვადასტურებ, ორიანო. „ცისფერო ჯგუფო“, მე „ცისფერი ლიდერბიჭი“ ვარ. გიბრძანებთ, ჰაერში დაეკიდოთ. ვიმეორებ – გიბრძანებთ, ჰაერში დაეკიდოთ.

ყველა ვერტმფრენი ერთიმეორეზე მიყოლებით ადასტურებდა

---

[97] ამერიკული როკბენდი.

[98] ამერიკული როკბენდი სიეტლიდან.

ბრძანების შესრულებას. ყველა, კურცის გარდა, თუმცა ისიც ჰაერში ეკიდა. „ჩინუკები" და „კაიოვა" დაახლოებით სამი მეოთხედი მილის მანძილზე იმყოფებოდნენ ჩამოვარდნილი კოსმოსური ხომალდისგან, რომელსაც ერთი მხრიდან ძალზე განიერი განაკაფი ზოლი ესაზღვრებოდა, თითქოს გიგანტურ ხისმჭრელს უზარმაზარი ხეები ერთი მოსმით მიეწვინა. ზოლის ბოლოში ჭაობი მოჩანდა. გამშრალი ვარჯები გამოხუნებულ ცას ებღაუჭებოდნენ და ღრუბლების მოგლეჯვას ცდილობდნენ. იქაურობა დნობაშეპარულ თოვლის ზიგზაგებს დაეღარა და ნაპირებში, იქ, სადაც თოვლი სველ ნიადაგს შეეწოვა, ყვითლად შეფერილიყო. მათ შორის შავი წყლის ვენები და კაპილარები მიიკლაკნებოდა.

უზარმაზარი ხომალდი, დაახლოებით ერთი მილი დიამეტრის ნაცრისფერი თეფში, შუაგულ ჭაობში ჩამოვარდნილიყო, უსიცოცხლო ხეებს დასცემოდა, დაელეწა და აქეთ-იქით ნაფოტების გროვებად მიეყარ-მოეყარა. ცალი გვერდი მერყევ, წყალნარევ ნიადაგში ჩაჰფლობოდა და გლუვ ზედაპირზე ტალახი და ტოტები მიჰკვროდა.

მის სიახლოვეს გადარჩენილი რუხი კაცუნები შეჯგუფულიყვნენ. უმრავლესობა თოვლიან კოლბოხებზე იდგა ხომალდის აყირავებული გვერდის ჩრდილში – როგორც ჩანს, მზის პირდაპირ სხივებს თავს არიდებდნენ.

ზოგიერთი ადამიანი ჩამოვარდნილ ხომალდს გაცილებით საშიშ ტროას ცხენთან აიგივებდა, მაგრამ ოუენის აზრით, ამ შიშველი და უიარაღო არსებების მხრიდან განსაკუთებული საფრთხე არ ემუქრებოდათ. კურცი ამბობდა, რომ ისინი ასამდე იყვნენ, სინამდვილეში კი გაცილებით ცოტანი აღმოჩნდნენ. ოუენის ვარაუდით – სამოცამდე. ათიოდე მათგანი თოვლიან ბექობზე იწვა. მოწითალო ფერი დასდებოდათ, თუმცა გახრწნის სხვადასხვა სტადიაზე იმყოფებოდნენ. ზოგიერთი პირქვე ეგდო თავთხელ შავ წყალში. თოვლში აქა-იქ ეგრეთ წოდებული რიპლის სოკოს ლაქები ხასხასებდა. მართალია, მათ ნაწილს უკვე განაცრისფრება დაეწყო სიცივის, ატმოსფეროს ან

ორივეს გავლენით. არა, ისინი აქ ვერ გადარჩებოდნენ – ვერც რუხი კაცუნები და ვერც მათ მიერ მოტანილი სოკო.

ნუთუ ამ რაღაცას გავრცელება შეეძლო? ოუენს ამის ნაკლებად სჯეროდა.

– ვიძახებ „ცისფერ ლიდერბიჭს"! – აქ ხარ, ყმაწვილო?

– აქ ვარ, მოკეტე ერთი წუთით.

ოუენი წინ გადაიხარა, მფრინავს (ტონი ედვარდსს, კარგ ტიპს) იდაყვზე შეეხო და რადიო საერთო არხზე გადართო. ამ დროს სულ აღარ გახსენებია კურცის სიტყვები ბოსანსკი-ნოვის შესახებ, არც იმაზე დაფიქრებულა, რომ საბედისწერო შეცდომას უშვებდა და სათანადოდ ვერ აფასებდა კურცის შეურაცხადობის დონეს. ფიქრობდა კი საერთოდ რამეზე? უბრალოდ, ის გააკეთა, რაც საჭიროდ მიიჩნია. ასე დაასკვნა მოგვიანებით, როდესაც არაერთხელ დაუბრუნდა იმდღევანდელ ფიქრებს და მომხდარ ამბავს. გადამრთველის ერთადერთი გატკაცუნება, რომელმაც ადამიანის ცხოვრება შეცვალა.

აი. ისიც, მკაფიოდ, გარკვევით მჟღერი ხმა. კურცის პირტიტველა ბიჭები მას ვერაფრით ამოიცნობდნენ. მათ იცოდნენ, ვინ იყო ედი ვედერი[99], მაგრამ უოლტერ კრონკაიტის შესახებ არაფერი სმენოდათ.

– ...არაფერია. Il n′y pas d′infection იცი.

ორწამიანი პაუზა და შემდეგ, სავარაუდოდ, ბარბრა სთრეიზანდის[100] ხმა:

„ას ცამეტი. ას ჩვიდმეტი. ას ცხრამეტი".

ოუენმა დაასკვნა, რომ მათ ათვლა ერთიდან დაიწყეს და სანამ გოსლინის მაღაზიისკენ მიემართებოდნენ, ასსაც გადასცდნენ.

„ჩვენ ვკვდებით, – თქვა ბარბარა სთრეიზანდის ხმამ, – On se meurt, on creve".

---

[99] ამერიკელი მომღერალი, კომპოზიტორი.

[100] ამერიკელი მსახიობი, მომღერალი.

შემდეგ კვლავ პაუზა და დევიდ ლეტერმენი[101]:

„ას ოცდაშვიდი. ას...“

– შეწყვიტეთ! – შეჰყვირა კურცმა. ამდენი წელია, ერთად მოდიოდნენ, მაგრამ ოუენს იგი გაბრაზებული არასდროს ენახა. ძლიერ აღელვებული ჩანდა, – ოუენ, რატომ უნაგვიანებ ყურებს ჩემს ბიჭებს მაგ სისაძაგლით? მიპასუხე! დაუყოვნებლივ მიპასუხე!

– მინდოდა გამეგო, რამე ხომ არ შეიცვალა, ბოს, – მიუგო ოუენმა. ეს აშკარა სიცრუე იყო. კურცმა, ცხადია, ეს იცოდა და ადრე თუ გვიან, პასუხს მოსთხოვდა. იგი კვლავ მის წინააღმდეგ წავიდა, როგორც მაშინ, როდესაც ბოსნიელ ბავშვებს არ ესროლა, ოღონდ, ახლა საქმეს ცუდი, გაცილებით ცუდი პირი უჩანდა. ოუენს ეს სულ არ ანაღვლებდა. ჯანდაბას პუუკა ცხენი. თუ ამის გაკეთებას აპირებენ, დაე, კურცის ბიჭებმა („დარტყმა ციდან“ – ბოსნიაში, „ცისფერი ჯგუფი“ – აქ, ახალი კოდური სახელწოდება მომავალში და ახალგაზრდების მუდამ სასტიკი სახეები) უკანასკნელად მოუსმინონ რუხ კაცუნებს. სხვა ვარსკვლავური სისტემიდან, სხვა სამყაროდან თუ დროის ნაკადიდან მოსულმა გადამთიელებმა იმდენი რამ იცოდნენ, რომ მათ პატრონებს ამის წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდათ (თუმცა კურცს ეს, ალბათ, არ ადარდებდა). „პერლ ჯემს“, „ჯარ ოვ ფლაიზსა“ და სხვა ნაგავს კი არ მოუსმინონ, არამედ რუხი კაცუნების მოწოდებებს ადამიანური ბუნების საუკეთესო თვისებების გამოსავლენად, რისიც მათ გულუბრყვილოდ სჯეროდათ.

– მერედა შეიცვალა რამე? – კურცის ხმას თან ტკაცატკუცი ახლდა. მწვანე „კაიოვა“ კვლავ დიდი ვერტმფრენების ქვეშ, ბებერი, მაღალი ნაძვის თავზე ეკიდა, რომლის კენწეროსაც მისი პროპელერები აქეთ-იქით არწევდა, – რას იტყვი, ოუენ?

– არა, – თქვა მან, – ოდნავადაც არა, ბოს.

– თუ ასეა, ეგ ლაქლაქი აღარ გამაგონო. არ დაგავიწყდეს, მალე ჩამობნელდება.

---

[101] ამერიკელი კომიკოსი, პოპულარული ტელეშოუს წამყვანი.

ხანმოკლე პაუზის შემდეგ ოუენმა ხაზგასმული აუჩქარებლობით უპასუხა:

– დიახ, სერ.

6

კურცი „კაიოვას“ მარჯვენა სავარძელში გაჭიმულიყო სარგადაყლაპულივით, – როგორც წიგნებსა და ფილმებში ამბობენ. მიუხედავად იმისა, რომ მოღრუბლული დღე იდგა, მზის სათვალე ეკეთა, მაგრამ ფრედი, მისი მფრინავი, მაინც მხოლოდ ცერად თუ გაბედავდა ხოლმე შეხედვას. ჯაზმენებისა და მაფიოზებისთვის დამახასიათებელი ფართო და წაგრძელებული სათვალის შუშები სახის ნახევარს უფარავდა და შეუძლებელი იყო იმის თქმა, თუ საით იყურებოდა ბოსი. თავის მიმართულების მიხედვით ვერაფერს დაასკვნიდით.

კურცს მუხლებზე „დერი ნიუსი“ ედო (იდუმალი ნათება ცაზე, დაკარგული მონადირეები, პანიკა ჯეფერსონტრექტზე – ეწერა პირველ გვერდზე). მან გაზეთი აიღო და აკურატულად შეუდგა მის დაკეცვას. ეს კარგად ეხერხებოდა – მალე „დერი ნიუსი“ კლოუნის სამკუთხა ქუდად იქცა. ოუენ ანდერჰილის კარიერასაც იგივე ელოდა. მას, ალბათ, ეგონა, რომ კურცი დისციპლინარულ სასჯელს აკმარებდა, რადგან ეს საიდუმლო მისია იყო, და ერთ შანსს კიდევ მისცემდა. მაგრამ ვერ ხვდებოდა (და ეს, შესაძლოა, კარგიც იყო – ვინც გაფრთხილებული არაა, ის შეიარაღებულიც არ არის), რომ მეორე შანსით უკვე ისარგებლა. ეს ერთით მეტი იყო იმაზე, რასაც კურცი, ჩვეულებრივ, ჯარისკაცებს აძლევდა და რასაც, ახლა ნანობდა. მწარედ ნანობდა. რას წარმოიდგენდა, თუ გოსლინის ოფისში მათი საუბრის შემდეგ, იგი ასეთ რამეს იკისრებდა... განსაკუთრებით მკაცრი გაფრთხილების შემდეგ...

– ვინ გასცემს ბრძანებას? – ტკაცატკუცით შემოიჭრა ანდერჰილის ხმა კურცის პირად, სამეთაურო ხაზზე.

კურცი გააკვირვა და ცოტა შეაშფოთა კიდეც თავისმა მრისხანებამ. უმეტესწილად, ეს მაინც გაოცებით – პირველი ბავშვური ემოციით უფრო იყო გამოწვეული. ხმამაღალი კავშირის ჩართვით ოუენმა მას კვანტი დაუდო. თურმე აინტერესებდა, რამე ხომ არ შეიცვალა. თავისი ახსნა-განმარტება კარგად დაახვიოს და უკან შეითხაროს.

ოუენი, შესაძლოა, იყო კიდეც საუკეთესო მეორე კურცის ხანგრძლივი და რთული კარიერის განმავლობაში, რომელიც სამოცდაათიანი წლების პირველ ნახევარში კამბოჯაში დაიწყო, მაგრამ კურცი მაინც აპირებდა მის განადგურებას, რადიოსთან დაკავშირებული ხრიკის გამო. ვინაიდან ოუენმა ჭკუა ვერ ისწავლა. საქმე მხოლოდ ბოსანსკინოველ ბავშვებს, მობურტყუნე ხმებს ან შეხედულებებს კი არ ეხებოდა, არამედ ბრძანებების შეუსრულებლობას. ხაზს. მის ხაზს. კურცის ხაზს.

და კიდევ, ეს სიტყვა, „სერ“.

ეს დაწყევლილი გამაღიზიანებელი „სერ“.

– ბოს! – ოუენს ხმაზე ეტყობოდა, რომ ცოტათი ნერვიულობდა, და სწორიც იყო, რომ ნერვიულობდა, ღმერთს ის უყვარდა, – ვინ გასცემს...

– საერთო არხი, ფრედი, – ბრძანა კურცმა, – იქით გადამრთე.

სამხედრო ვერტმფრენებზე მსუბუქ „კაიოვას“ ქარი ეძგერა და მთვრალივით შეაბარბაცა. კურცმა და ფრედიმ ამას ყურადღება არ მიაქციეს. ფრედიმ კურცი საერთო არხზე გადართო.

– მომისმინეთ, ბიჭებო, – დაიწყო კურცმა და ღრუბლებქვეშ დიდი, შუშის ნემსიყლაპიებივით დაკიდებულ ვერტმფრენებს გახედა. წინ ჭაობი და მასში ჩავარდნილი ქაშანურისფერი, უზარმაზარი, აყირავებული თეფში მოჩანდა, რომლის ჩრდილშიც ეკიპაჟის გადარჩენილ წევრებს – თუ ვინც იყვნენ – შეეფარებინათ თავი, – მომისმინეთ, ბიჭებო. ახლა მამამ უნდა გიქადაგოთ. მისმენთ? მიპასუხეთ.

– დიახ... დიახ... გიდასტურებთ... გისმენთ, – გაისმა ყოველი

მხრიდან. შიგადაშიგ, შემთხვევით, „სერ“–იც გაისმა, მაგრამ კურცმა ამას ყურადღება არ მიაქცია, რადგან წამოცდენასა და თავხედობას შორის დიდი განსხვავება იყო.

– ბიჭებო, მე ორატორი არ ვარ, ლაქლაქი საჩემო საქმე არაა, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ბრმად ნუ ენდობით საკუთარ თვალსა და ყურს. თქვენ წინაშე სამოცდაათამდე რუხი ფერის, როგორც ჩანს, უსქესო ჰუმანოიდია, რომელიც ჭაობში დედიშობილა დგას, და თქვენ, ანუ ზოგიერთ თქვენგანს, შეუძლია თქვას: „ისინი ხომ საცოდავი, უიარაღო, შიშველი არსებები არიან, არც სასქესო ორგანოები აქვთ, გალაქტიკათა შორის მფრინავი, ჩამოვარდნილი ხომალდის ქვეშ შეყუჟულან და შეწყალებას გვთხოვენ. როგორი ძაღლთაპირი, როგორი ურჩხული უნდა იყოს ადამიანი, რომ ამ საწყალობელი ვედრების მოსმენის შემდეგ ბრძანება შეასრულოს?“ პირდაპირ გეტყვით, ბიჭებო, რომ მე ვარ ეს ძაღლი, მე ვარ ეს ურჩხული, მე ვარ ეს პოსტინდუსტრიული, პოსტმოდერნისტული, საიდუმლო, ფაშისტური, პოლიტიკურად არაკორექტული, საზიზღარი ღორი, ომების დამქაში და საძაგელი ტიპი. მადლობა უფალს, მაგრამ ყველასთვის, ვინც მისმენს, მე აბრაჰამ პიტერ კურცი ვარ, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გადამდგარი ოფიცერი, პირადი ნომრით 241 771 699, და ოპერაციას ვხელმძღვანელობ, მე ვარ ამ სასაკლაოს ლეიტენანტი კელი[102], – სული მოითქვა, თან თვალს არ აცილებდა უძრავად დაკიდებულ ვერტმფრენებს, – მაგრამ, ბიჭებო, აქ იმიტომ ვარ, რომ გითხრათ: ეს რუხი კაცუნები ორმოციანი წლების ბოლოდან ცდილობენ ჩვენთან შემოღწევას. მე მათ სამოცდაათიანი წლების დასასრულიდან ვაკვირდები. იცოდეთ, თუ ვინმე ხელებაწეული მოდის და გეუბნებათ, რომ გნებდებათ, ეს სულაც არ ნიშნავს, მადლობა უფალს, რომ უკანალში მთელი პინტა ნიტროგლიცერინი არა აქვს შეტენილი. ჩვენი ხანდაზმული ბრძენი ოქროს

[102] ამერიკის არმიის ოფიცერი, 1968 წელს, ვიეტნამის ომის დროს, სოფელ მილაიში მშვიდობიანი მოსახლეობის ულეტაში მონაწილეობდა.

თევზები, რომლებიც საგანგებოდ შექმნილ სააზროვნო აკვარიუმებში დაცურავენ, ამტკიცებენ, რომ ისინი მას შემდეგ გამოჩნდნენ, რაც ატომური და წყალბადის ბომბების აფეთქება დავიწყეთ, და ისე გვეტანებიან, როგორც პეპლები – შუქს. მე მოაზროვნე არ ვარ, ეს არ ვიცი, მაგრამ დაე, სხვებმა იფიქრონ, როგორც ამბობენ, დაე, ბუმ იფიქროს, მას დიდი თავი აქვს. სამაგიეროდ, მხედველობას არ ვუჩივი, ბიჭებო, და გეტყვით, რომ ეს რუხი კაცუნები ნამდვილი ჩათლახები არიან. და ისეთივე უხიფათოები, როგორიც მგელი – ცხვრის ფარაში. ამ წლების განმავლობაში რამდენიმე მათგანი ვიგდეთ ხელთ, მაგრამ ყველა მოკვდა. სიკვდილის შემდეგ ისინი იხრწნებიან და იმ სისაძაგლედ გარდაიქმნებიან, რომელსაც ხედავთ, რასაც რიპლის სოკოს უწოდებენ. ზოგჯერ ფეთქდებიან კიდეც. გესმით? ფეთქდებიან! სოკო კი, რომელიც გადააქვთ, – შესაძლოა, ეს მხოლოდ სოკოს შესაფუთია, ყოველ შემთხვევაში, სააზროვნო აკვარიუმში მოცურავე ზოგიერთი ოქროს თევზი ასე ფიქრობს, – სწრაფად იღუპება, თუ ცოცხალ ორგანიმზე, გიმეორებთ, თუ ცოცხალ ორგანიზმზე არ მოხვდა. ამისათვის კი საუკეთესო მასალა, მადლობა უფალს, ყველასთვის კარგად ნაცნობი ჰომო საპიენსია. თუკი ერთი ნამცეციც კი შეგეხოთ კანზე, ვეღარაფერი გიშველით და სულ მალე საიქიოში მოხვდებით.

მთლად ასეც არ იყო საქმე. უფრო სწორად, ნათქვამს სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ არავინ იბრძვის შეშინებულ ჯარისკაცზე მეტი გაშმაგებით. ეს კურცმა საკუთარი გამოცდილებით იცოდა.

– ბიჭებო, ჩვენი პატარა რუხი ნაცნობები ტელეპათები არიან და, როგორც ჩანს, ამ უნარს ჰაერით გადასცემენ. თუკი სოკოს გადავურჩებით, ტელეპათიას ვერსად გავექცევით. შესაძლოა, სხვისი აზრების წაკითხვა გართობად მოგეჩვენოთ და იფიქროთ, რომ ამ უნარს წარმატებით გამოიყენებთ წვეულებებზე, მაგრამ არც იმას დაგიმა-

ლავთ, საით მიდის ეს გზა – შიზოფრენიისკენ, პარანოიისკენ, რეალობიდან გაქცევისკენ და სრული, ვიმეორებ, სრული შეშლილობისკენ, მაგის დედაც! .. სააზროვნო ცენტრის თევზები – ღმერთმა დალოცოს ისინი – დარწმუნებული არიან, რომ ეს ტელეპათია ხანმოკლე დროით მოქმედებს, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ ისინი დედამიწაზე ფეხს მოიკიდებენ და სასათბურე პირობებს შეიქმნიან. ახლა კი, ბიჭებო, ყურადღებით მოისმინეთ, რასაც გეტყვით. ისე, თითქოს ამაზე თქვენი სიკვდილ-სიცოცხლე იყოს დამოკიდებული. როცა ისინი შეგვიპყრობენ, გიმეორებთ, როდესაც ისინი ჩვენ შეგვიპყრობენ, – ყველას კარგად მოგეხსენებათ გატაცებების შესახებ, თუმცა უმრავლესობა, ვინც ამტკიცებს, რომ მათი მსხვერპლი გახდა, უკანასკნელი მატყუარაა და მეტი არაფერი, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სიმართლეს ამბობს, – გადანერგვას გაგვიკეთებენ. შესაძლოა, რაიმე ხელსაწყო ჩაგვინერგონ: გადამცემი ან მონიტორი. ზოგჯერ კი ისეც ხდება, რომ ადამიანის სხეულში ცოცხალი არსება იბუდებს, ის მას შიგნიდან ჭამს და იზრდება, მერე კი გზას გათხრის და გარეთ გამოდის. და ამ ყველაფერს ეს შიშველი, უმანკო ქმნილებები სჩადიან, რომლებიც ქვემოთ შეგროვილან. ამტკიცებენ, ჩვენთან ინფექციის მსგავსი არაფერიაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ ფეხის ფრჩხილიდან თმის ღერამდე სოკო აქვთ მოდებული. მეტი რა მინახავს ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში. გეუბნებით, ეს სწორედ ისაა, შემოსევაა, სუპერთასების სუპერთასია და თქვენ, ბიჭებო, თავი უნდა დაიცვათ. ისინი სულაც არ არიან უმწეო პატარა უცხოპლანეტელები, ბავშვები, რომლებიც ელოდებიან, რომ ვინმე „ნიუ-ინგლანდ-ტელის" სატელეფონო რუკას აჩუქებს, რათა შინ დარეკვა შეძლონ. ისინი – სასიკვდილო დაავადებაა, კიბოა, ღმერთო, დაგვიფარე, ჩვენ კი, ბიჭებო – ქიმიოთერაპიის ერთი დიდი რადიაქტიული ინიექცია. გესმით ჩემი?

ამჯერად დადასტურება არ მოსულა. არც ერთი „მიღებულია",

„დიახ, სერ“ და სხვა ამგვარი. მხოლოდ ნერვიული, აღგზნებული, სიძულვილით აღსავსე მოწონების შეძახილები, მოუთმენლობისგან ათრთოლებული ხმები. ეთერი დაძაბულობისგან ლამის გამსკდარიყო.

– კიბო, ბიჭებო, ისინი კიბოა. უკეთესად ვერ აგიხსნით. ხომ იცით, ორატორი არ ვარ. ოუენ, თქვენ თუ მიიღეთ შეტყობინება?

– მივიღე, ბოს.

უსიცოცხლოდ. უსიცოცხლოდ და მშვიდად, დალახვროს ეშმაკმა. რა გაეწყობა, ითამაშოს მაგარი ბიჭის როლი. იყოს მაგარი, სანამ შეუძლია. წასულია ოუენ ანდერჰილის საქმე.

კურცმა გაზეთისგან გაკეთებული ქუდი ასწია და აღტაცებით შეათვალიერა. ოუენ ანდერჰილს ვეღარაფერი გადაარჩენდა.

– რა ხდება ქვევით, ოუენ? რა ტრიალებს ხომალდის გარშემო? რას დაავიწყდა დილით, სახლიდან გამოსვლის წინ, შარვლისა და ფეხსაცმლის ჩაცმა?

– კიბოს, ბოს.

– სწორია. ახლა კი გაეცით ბრძანება – ვიწყებთ. თქვენი სიმღერა ჩართეთ, ოუენ.

კურცმა იცოდა, რომ ვერტმფრენებში მყოფნი მას აკვირდებოდნენ (ცხოვრებაში არასდროს უქადაგია ასე, არასდროს, თანაც ყველაფერი ექსპრომტად თქვა, წინასწარი მომზადების გარეშე), ამიტომ ხაზგასმით ნელა შეიტრიალა კეპი უკან.

7

ოუენმა დაინახა, როგორ შეიტრიალა ტონი ედვარდსმა კეპი წინაფრით უკან, გაიგონა, როგორ იღებდნენ ბრაისონი და ბერნიტელი შალითებიდან მსხვილკალიბრიან ტყვიამფრქვევებს, და მიხვდა, რაც ხდებოდა. ცეცხლის გასახსნელად ემზადებოდნენ. შეეძლო, მანქანაში შემხტარიყო და წასულიყო, ან დარჩენილიყო და დალოდებო-

და, როდის ჩამოაგდებდნენ. კურცმა მხოლოდ ეს ორი შესაძლებლობა დაუტოვა.

და ისევ აეკვიატა რაღაც. რაღაც ცუდი, წარსულიდან, ბავშვობიდან, როცა... რამდენი წლის იყო? რვის? შვიდის? იქნებ ნაკლების? თავისი სახლის გაზონზე იდგა, პადუკაში. მამა სამსახურში იყო, დედა სადღაც წასულიყო, შესაძლოა, ბაპტისტების სამლოცველოში, სადაც მუდამ ღვეზელების საქველმოქმედო გაყიდვისთვის ემზადებოდნენ (კურცისგან განსხვავებით, რენდი ანდერჰილი ღმერთს გულწრფელად ადიდებდა). მეზობლების, რეიპლოუების კართან სასწრაფო დახმარების მანქანა გაჩერდა. უსირენოდ. მხოლოდ ლურჯი შუქი ციმციმებდა შეშფოთებით. ორი მამაკაცი, ისეთივე კომბინეზონებში გამოწყობილი როგორიც ახლა ოუენს ეცვა, სახლისკენ გაიქცა და სირბილშივე გაშალა მოელვარე საკაცე. ეს ჯადოსნურ ფოკუსს ჰგავდა.

ათიოდე წუთის შემდეგ ისინი კვლავ გამოჩნდნენ. საკაცეზე მისის რეიპლოუ დაეწვინათ, რომელსაც თვალები დახუჭული ჰქონდა. მათ მისტერ რეიპლოუ გამოჰყვა, კარის დაკეტვა არც კი გახსენებია. იგი ოუენის მამის თანატოლი იყო, მაგრამ მოულოდნელად თვალსა და ხელს შუა დაბერდა. კიდევ ერთი ჯადოსნური ფოკუსი. სანამ კომბინეზონიანი მამაკაცები მის ცოლს მანქანაში ათავსებდნენ, მისტერ რეიპლოუმ თავი მიაბრუნა და გაზონზე ბურთით მოთამაშე, მოკლეშარვლიანი ოუენი შეამჩნია. „ასე თქვეს, ინსულტიაო, – დაიყვირა მან, – წმინდა მარიამის საავადმყოფო! დედას გადაეცი, ოუენ! " იგი მანქანაში ჩაჯდა და მალე „სასწრაფო დახმარება" თვალს მიეფარა. ამის შემდეგ, კიდევ ხუთი წუთის განმავლობაში, ოუენი თამაშს განაგრძობდა. ბურთს მაღლა აგდებდა და იჭერდა, სროლებს შორის კი იმ კარისკენ იყურებოდა, მისტერ რეიპლოუს ღია რომ დარჩა. ალბათ უნდა წასულიყო და დაეკეტა. დედა ასეთ საქციელს ქრისტიანული გულმოწყალების აქტად მონათლავდა.

ბოლოს, რეიპლოუების გაზონი გადაჭრა. ისინი მისდამი ყოველთვის სითბოს იჩენდნენ. განსაკუთრებულს არაფერს აკეთებდნენ (ისეთს არაფერს, რომ, როგორც დედამისი იტყოდა ხოლმე, ღამე წამომხტარიყო და მადლობის სათქმელად გავარდნილიყო). მისის რეიპლოუ ხშირად აცხობდა გემრიელ ნამცხვრებს და ოუენის გამასპინძლება არასდროს ავიწყდებოდა, მინანქრიანი და კრემიანი ჯამების ამოტლეკის უფლებასაც აძლევდა. მისტერ რეიპლოუ კი ქაღალდის თვითმფრინავების გაკეთებას ასწავლიდა, თანაც ერთის კი არა, სამნაირის. ისინი მართლა დაფრინავდა ამიტომ რეიპლოუები გულმოწყალებას, ქრისტიანულ გულმოწყალებას იმსახურებდნენ, მაგრამ ოუენმა მშვენივრად იცოდა, რომ მათ კართან ამის გამო არ მისულა. ქრისტიანული გულმოწყალება ასოს არ ამაგრებს.

გავიდა ხუთი წუთი, – იქნებ თხუთმეტი ან ოცდაათი, დრო ისე მიქროდა, როგორც სიზმარში, – ოუენი რეიპლოუების სახლში დაბორიალებდა, არაფერს აკეთებდა, არაფერს ეხებოდა, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ასო ქვასავით მაგარი ჰქონდა და გულივით უფეთქავდა, და თუ გგონიათ, რომ ეს მას ტკივილს აყენებდა, შეცდით – ოუენი თავს კარგად გრძნობდა და მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ მიხვდა, რას ნიშნავდა მისი უსიტყვო ხეტიალი უცხო სახლში – სექსუალური აქტის პრელუდიას, სასიყვარულო თამაშს. ის ფაქტი, რომ რეიპლოუების საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, პირიქით, უყვარდა კიდეც ისინი, შეგრძნებებს უფრო მეტად უმძაფრებდა. რომ წაესწროთ (არ წაუსწრიათ) და ეკითხათ, რატომ მოიქცა ასე, გულწრფელად უპასუხებდა, – არ ვიციო, და ღმერთის წინაშე მართალიც იქნებოდა.

ბევრი არაფერი დაუშავებია. პირველ სართულზე მდებარე სააბაზანოში კბილის ჯაგრისი იპოვა, წარწერით „დიკი“. დიკს მისტერ რეიპლოუს ეძახდნენ. ოუენმა ზედ მოშარდვა სცადა, რატომღაც მოუნდა, მაგრამ ასო ისე გამაგრებოდა, რომ წვეთიც ვერ გამოადინა. იძულებული გახდა, დაეფურთხებინა – ისე, რომ ღერებს შორის კარგად

ჩასულიყო – და შემდეგ ისევ თავის ადგილზე დაებრუნებინა. სამზარეულოში ყოფნისას ელექტროქურას ერთი ჭიქა წყალი გადაასხა. ბოლოს ჭურჭლის კარადიდან ფაიფურის დიდი თეფში გადმოიღო.

– მათ თქვეს, რომ ეს წერო იყო, – ჩაილაპარაკა მან და თეფში თავს ზემოთ ასწია, – რახან წერო ახსენა, მაშასადამე ბავშვი გაჩნდება.

ამ სიტყვებით თეფში კუთხეში მოისროლა და ნამსხვრევებად აქცია. ეს რომ გააკეთა, მაშინვე გაიქცა სახლიდან. ის, რამაც ასე აა-ფორიაქა, ასო გაუმაგრა და ლამის თვალები გადმოაკარკვლინა, ფაიფურის მტვრევის ხმამ გაუქრო, ჩირქგროვასავით გაუხეთქა, და მისის რეიპლოუს გამო წუხილი რომ არა, მისი მშობლები აუცილებლად მიხვდებოდნენ, რომ მათ შვილს რაღაც სჭირდა. ასე კი, უბრალოდ, ჩათვალეს, რომ მეზობლის მდგომარეობას განიცდიდა.

მომდევნო კვირის განმავლობაში თითქმის არ ეძინა და თუ თვალს მოატყუებდა, კოშმარები ესიზმრებოდა. ერთ-ერთში მისის რეიპლოუ საავადმყოფოდან სახლში წეროს მიერ მოყვანილ ბავშვთან ერთად დაბრუნდა, ოღონდ პატარა გაშავებული და მკვდარი იყო. ოუენი სირცხვილით იწურებოდა, სინდისი ქენჯნიდა. სიმართლე ითქვას, იმაზე არც კი დაფიქრებულა, რომ დედას, ღვთისმოსავ ბაპტისტს, რომ ეკითხა, – რა გემართებაო, აღსარებისას ღვთის წინაშე არაფერს დამალავდა. სამუდამოდ დაამახსოვრდა გაუცნობიერებელი სიამოვნების შეგრძნება, როდესაც შარვალჩაწეული მუხლებზე იდგა და ამაოდ ცდილობდა მისტერ რეიპლოუს კბილის ჯაგრისზე მოშარდვას, ან საოცარი აღგზნება, რომელიც თეფშის გატეხის მომენტში დაეუფლა. მოზრდილი რომ ყოფილიყო, ოუენი შარვალშივე გაათავებდა. უბიწოება გაუაზრებელ საქციელში იმალებოდა, სიხარული – ნამსხვრევების წკარუნში, სიამოვნება – ჩადენილი საქციელის გამოაშკარავების შიშსა და მონანიებით ტკბობის შესაძლებლობაში. მისტერ რეიპლოუმ წერო ახსენა, მაგრამ სამსახური-

დან დაბრუნებულმა მამამ აუხსნა, რომ მან არასწორად გაიგო და მეზობელი ინსულტს[103], მისის რეიპლოუს ტვინში სისხლძარღვის გასკდომას გულისხმობდა.

ახლა კი, როგორც ჩანს, ყველაფერი გამეორდა.

იქნებ, ამჯერად მაინც გავათავო, – გაიფიქრა მან, – ეს მისტერ რეიპლოუს კბილის ჯაგრისზე მოშარდვასთან შედარებით, გაცილებით მაღალი კლასია.

შემდეგ კეპი შეატრიალა და გაუელვა, რომ პრინციპი, არსებითად, იგივე იყო.

– ოუენ! – გაისმა კურცის ხმა, – აქ ხარ, შვილო? თუ დაუყოვნებლივ არ მიპასუხე, ვიფიქრებ, რომ არ შეგიძლია, ან არ გინდა...

– ბოს, აქ ვარ, – მშვიდი ხმა ჰქონდა. თვალწინ გაოფლილი პატარა ბიჭი ედგა თავს ზემოთ აღმართული ფაიფურის თეფშით.

– ბიჭებო, მზად ხართ პანღურებით გაუმასპინძლდეთ უცხოპლანეტელის პატარა უკანალს?

შეკითხვას მოწონების გამომხატველი ღრიალი მოჰყვა.

– თავბედს ვაწყევლინებთ... სეირს ვუჩვენებთ... – გაჰყვიროდნენ მებრძოლები.

– ჯერ რა გინდათ, ბიჭებო?

„გუნდის ჰიმნი“ და „სტოუნზი“[104], ახლავე!

– თუ ვინმეს საქმიდან გასვლა სურს, დაიძახოს.

რადიო დუმდა. ამ დროს მეორე სიხშირეზე, რომელზეც ოუენი აღარასდროს გაიფიქრებს გადართვას, რუხი კაცუნები ათობით ნაცნობი ხმით ევედრებოდნენ. ქვემოთ და ოდნავ მარჯვნივ პატარა „კაიოვა-OH-58“ ეკიდა. ოუენს სულაც არ სჭირდებოდა დურბინდი იმის დასანახავად, რომ კურცს კეპი, სხვების მსგავსად, შეეტრიალებინა და მას აკვირდებოდა. მუხლებზე რატომღაც სამკუთხედად და-

---

[103] სიტყვების თამაში: Stork – წერო, Stroke – ინსულტი.

[104] "როლინგ სტოუნზი" – ბრიტანული როკჯგუფი.

კეცილი გაზეთი ედო. ოუენ ანდერჰილს ზედიზედ ექვსი წლის განმავლობაში არ დასჭირვებია კიდევ ერთი შანსი და ეს კარგი იყო, რადგან კურცი მას არავის აძლევდა. თავში გაუელვა, რომ მან ეს ყოველთვის იცოდა. მოგვიანებით ამაზე იფიქრებს კიდეც. თუკი ამის გაკეთებამ მოუწია. საბოლოოდ, თავში კიდევ ერთი ლოგიკური აზრი გაუჩნდება: „შენ ხარ კიბო, კურც, შენ"... და მაშინვე გაუქრება. მის ადგილს სრული, აბსოლუტური წყვდიადი დაიკავებს.

– „ცისფერო ჯგუფო", მე „ცისფერი ლიდერბიჭი ვარ", მომისმინეთ. ცეცხლი ორასი იარდიდან. შეეცადეთ, „ცისფერ ბიჭს" არ მოარტყათ, მაგრამ ის დედანატირლები პირწმინდად მოხვეტეთ. კონკ, „ჰიმნი" ჩართეთ.

ჯინ კონკლინმა გადამრთველი გაატკაცუნა და „ცისფერი ბიჭი ორის" წინ, იატაკზე დადებულ ფლეიერში კომპაქტდისკი ჩადო. ოუენი მოგონებებისგან გამოერკვა, წინ გადაიხარა და ხმას აუწია.

ყურსასმენებში მიკ ჯაგერის[105], „როლინგ სტოუნზის" ხმა შემოიჭრა. ოუენმა ხელი ასწია, დაინახა, როგორ მიესალმა კურცი, – არ იცოდა და არც აინტერესებდა, მან ეს დაცინვით გააკეთა თუ გულწრფელად, – და ხელი მკვეთრად ჩამოუშვა ძირს. და სანამ ჯაგერი „ჰიმნს" წარმოთქვამდა და მღეროდა, იმ „ჰიმნს", რომლის მელოდიაზეც ისინი ჯოჯოხეთისკენ მიემართებოდნენ ხოლმე, ვერტმფრენები ქვემოთ დაეშვნენ, წამით გაშეშდნენ და მიზნისკენ გაფრინდნენ.

8

გადარჩენილი რუხი კაცუნები განაკაფი ზოლის ბოლოში, ხომალდის ჩრდილში შეყუჟულიყვნენ, რომლის ორივე მხარეს ხომალდის ჩამოვარდნისას დალეწილი ხეები ეყარა. კაცუნებს გაქცევა ან დამალვა არც უცდიათ. პირიქით, ბევრი მათგანი წინ გამოვიდა, უთითებო შიშველ ფეხებზე იდგა და ტოკავდა. ალბათ, ითოშებოდნენ კიდეც თოვლჭყაპში, რომელსაც აქა-იქ მოწითალო ოქროსფერი ხავსი

[105] "როლინგ სტოუნზის" ვოკალისტი.

მოსდებოდა. „როლინგ სტოუნზი“. ნაცრისფერი სახეები მოახლოებული ვერტმფრენებისკენ მიემართათ, გრძელთითება ხელები ცისკენ აღეპყროთ, რათა დაენახვებინათ, რომ შეუიარაღებელნი იყვნენ. უზარმაზარი შავი თვალები მოღრუბლული დღის შუქზე უბრწყინავდათ.

ვერტმფრენებს სიჩქარე არ შეუმცირებიათ, თუმცა ყველას კარგად ახსოვდა ბოლო ჩანაწერის სიტყვები: „გთხოვთ, შეგვიბრალეთ, უმწეონი ვართ, ვკვდებით...“ ეს ამაო ვედრება სოლივით გააპო მიკ ჯაგერის ხმამ: „ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ, მე მდიდარი და გემოვნებიანი კაცი გახლავართ, არც გამოცდილება მაკლია, ბევრისთვის მომიპარავს სული და რწმენა“...

ვერტმფრენები წინ საბრძოლო მწყობრით მიიწევდნენ, როგორც მარშით მიმავალი ორკესტრი ფეხბურთის სტადიონზე „ვარდისფერი თასის“ მატჩის დაწყებამდე. გაისმა მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების კაკანი. ტყვიები თოვლში ეფლობოდა, უსიცოცხლო ხეების უსიცოცხლო ტოტებს ამტვრევდა, უცხოპლანეტელთა ხომალდს ნაპერწკლებს აყრევინებდა, მოკუნტულ, კვლავაც ხელებაწეულ რუხ კაცუნებს ნაფლეთებად აქცევდა. ხელები ტანის მსგავს ნაწილებს სწყდებოდა, ჭრილობებიდან ვარდისფერი ლორწო მოედინებოდა. თავები გოგრასავით სკდებოდა და იქიდან მოწითალო შადრევანი იფრქვეოდა, არა სისხლის, არამედ იმ დაწყევლილი სოკოს სპორებისა, რითაც ასე გავსებოდათ ის თავები – სპეციალური პაკეტები. ზოგიერთი მათგანი შუაზე გადახლეჩილიც კი აწეული ხელებით ეცემოდა ძირს. რუხი სხეულები მაშინვე უთეთრდებოდათ და თითქოს დუღილს იწყებდა.

„მე იქვე ვტრიალებდი, როდესაც იესო ქრისტე ეჭვითა და ტკივილით“... – განაგრძობდა მიკ ჯაგერი.

ხომალდის ჩრდილში მდგარმა რამდენიმე კაცუნამ პირი იბრუნა და თითქოს გასაქცევად მოემზადა, მაგრამ გზა არსად ჩანდა. უმრავლესობა მაშინვე დაიღუპა, ოთხნი კი ჩრდილის სიღრმეში შევიდნენ

და იქ რაღაცას ხლაფორთობდნენ. ოუენს საშინელი წინათგრძნობა ეწვია.

– მე მათ მივწვდები, – დაიზრიალა რადიომ. ეს დეფორესტი იყო „ცისფერი ბიჭი ოთხიდან". ზედმეტი მონდომებისგან ქოშინებდა. ბრძანებას არ დაელოდა, დაეშვა და „ჩინუკი" ლამის მიწაზე დასვა. პროპელერები სველ თოვლს მაღლა იტაცებდნენ და ამღვრეულ წყალში ისროდნენ ჭუჭყიან გუნდებად.

– არა, ნებას არ გრთავთ, ძველ პოზიციას დაუბრუნდით, პლუს კიდევ ორმოცდაათი იარდი! – შესძახა ოუენმა და ტონის ხელი დაჰკრა მხარზე. ტონიმ, რომელსაც სახეს სანახევროდ გამჭვირვალე ნიღაბი უფარავდა, მაგრამ მაინც ადვილად ამოსაცნობი იყო, მართვის ბერკეტი უკან გადასწია. „ცისფერი ლიდერბიჭი" ღრუბლებამდე აფრინდა. ოუენმა ეკიპაჟის უკმაყოფილო ბუზღუნი მუსიკის ხმაურშიც კი გაარჩია (ბონგოს გიჟური რიტმი, კივილი-მისამღერი, „თანაგრძნობა ეშმაკის მიმართ"[106] ბოლომდე ერთხელაც ვერ გაეშვათ). „კაიოვამ", როგორც კი შეამჩნია, მოასწრო და „ლიდერის" მაგალითს მიჰბაძა. უცნაური აზროვნებისა და აშკარა გონებრივი აშლილობის მიუხედავად, კურცს სულელი ნამდვილად არ ეთქმოდა, ინტუიცია არასდროს ღალატობდა.

– კარგი რა, ბოს... – დაიწყო აღშფოთებულმა დეფორესტმა, რომელსაც ბრაზი ახრჩობდა.

– გიმეორებთ, გიმეორებთ, დაუბრუნდით ძველ პოზიციას, „ცისფერო ჯგუფო", დაუბრუნდით...

აფეთქებამ იგი სავარძელს მიალურსმა, „ჩინუკი" კი სათამაშოსავით აისროლა ზევით. საშინელ ღრიალში ტონი ედვარდსის გინება გაარჩია, გაშმაგებით რომ ცდილობდა მართვის ბერკეტის დამორჩილებას. უკნიდან ყვირილი ისმოდა და, თუმცა დაშავებას თითქმის ვერავინ გადაურჩა, მხოლოდ პინკი ბრაისონი გამოაკლდათ, რომელმაც თავი გარეთ გაჰყო, რათა უკეთ დაენახა, რაც ქვევით ხდებოდა,

[106] "როლინგ სტოუნზის" სიმღერა.

და აფეთქების ტალღამ იმსხვერპლა.

– გავიგე, გავიგე, გავიგე, – იმეორებდა ტონი, მაგრამ, ოუენის ვარაუდით, ოცდაათი წამი მაინც გავიდა, სანამ ის რამეს მიხვდებოდა, ამასობაში ყოველი წამი საათივით გაიწელა. ყურსასმენებში მიკ ჯაგერის „ჰიმნი" აღარ ისმოდა, ეს კონკისა და „ცისფერი ბიჭი 2" –ის წევრებს კარგს არაფერს უქადდა.

ტონიმ ვერტმფრენი მოაბრუნა და ოუენმა შეამჩნია, რომ საქარე მინა გაბზარული იყო. უკნიდან ყვირილი არ წყდებოდა – აღმოჩნდა, რომ მაკავანოს ორი თითი აკლდა.

– ჯანდაბა! – ჩაიბურტყუნა ტონიმ, – თქვენ ჩვენი უკანალები იხსენით, ბოს. გმადლობთ.

ოუენი თითქმის არ უსმენდა. იგი სამ თუ მეტ ნაწილად დაშლილ ხომალდს მისჩერებოდა. ეს საკმაოდ ძნელი დასანახი იყო, რადგან იქიდან ამოტყორცნილ ათასგვარ ნაგავს ჰაერი წითლად და ნარინჯისფრად შეეღება. დეფოსტერის ვერტმფრენის ნარჩენები კი გაცილებით უკეთ მოჩანდა. იგი გვერდულად ეგდო ტალახსა და ყლარტში, მის გარშემო ბუშტუკები ჩნდებოდა და სკდებოდა. მოტეხილი პროპელერი წყალში გიგანტური ნიჩაბივით ტივტივებდა. ორმოცდაათი იარდის დაშორებით შავი, დაგრეხილი ხრახნები ეყარა, შორიახლოს მოყვითალო-მოთეთრო ალი ბრიალებდა – ეს კონკლინი და „ცისფერი ბიჭი 2" იწვოდნენ.

რადიოდან შეშფოთებული წრიპინი გაისმა. ბლეიკი იყო „ცისფერი ბიჭი 3"–დან.

– ბოს, ჰეი, ბოს, ვხედავ...

– მესამევ, მე ლიდერი ვარ. გიბრძანებთ...

– ლიდერო, მე მესამე ვარ. ვხედავ გადარჩენილებს, ვიმეორებ, ვხედავ გადარჩენილებს „ცისფერი ბიჭი ოთხიდან"... სამნი არიან, არა, ოთხნი, ვეშვები...

– ვუკრძალავ „ცისფერ ბიჭ სამს", არავითარ შემთხვევაში, პირვანდელ სიმაღლეს დაუბრუნდით, პლუს ორმოცდაათი, არა, პლუს

ას ორმოცდაათი იარდი... ერთი, ხუთი, ნული... დაუყოვნებლივ!

– მაგრამ, სერ... ანუ ბოს... ფრიდმანს ვხედავ, ცოცხლად იწვის...

– მომისმინე, ჯო ბლეიკი.

ეს კურცის ხრინწიანი ხმა იყო, კურცისა, რომელსაც მოესწრო და ამ წითელი განავლისთვის თავი დაეღწია. თითქოს წინასწარ იცოდა, რაც მოხდებოდა, – გაიფიქრა ოუენმა.

– დაუყოვნებლივ მოუსვი, თუ არ გინდა, აქლემის ნეხვით სავსე ორმოები ამოგასუფთავებინო ცხელ-ცხელ ადგილებში, სადაც სმა კანონით არის აკრძალული. გაინძერი.

„ცისფერმა ბიჭმა 3"–მა არაფერი უპასუხა. ორივე გადარჩენილი ვერტმფრენი პირვანდელ სიმაღლეზე აფრინდა. პლუს ას ორმოცდაათი იარდი. ოუენი უსიტყვოდ აკვირდებოდა რიპლის სოკოს ცაში ატყორცნილ სპირალებს, თან იმის გამოცნობას ცდილობდა, კურცმა ეს იცოდა თუ ინტუიციამ უკარნახა. ისიც აინტერესებდა, მან და ბლეიკიმ იქაურობა დროულად თუ დატოვეს. რადგან, რაც უნდა ეთქვათ იმ რუხ კაცუნებს, ისინი უდავოდ ინფექციის მატარებლები იყვნენ. ოუენმა არ იცოდა, ამართლებდა თუ არა ეს მათ საქციელს – მასობრივ ჟლეტას, მაგრამ იმას კი ფიქრობდა, რომ რეი დეფოსტერის „ცისფერი ბიჭი 4"–ის გადარჩენილი წევრები მოხეტიალე მიცვალებულები იქნებოდნენ. ან უარესი – მუტანტები, ღმერთმა იცის, რად გადაქცეული მუტანტები.

– ოუენ! – ეს რადიო იყო.

ტონიმ წარბები ასწია და მას მიაჩერდა.

ოუენმა ღრმად ამოისუნთქა და ტუმბლერი კურცის პირად არხზე ნიკაპით გადართო.

– აქ ვარ, ბოს.

9

კურცი „კაიოვაში" იჯდა. მუხლებზე გაზეთი ედო. მას და ფრედის, ისევე, როგორც რაზმის სხვა წევრებს, სახეზე ნიღბები ეკეთათ. მათი

მოხსნა, ალბათ, იმ საცოდავებმაც ვერ მოასწრეს, ახლა ცივ მიწაზე სულს რომ ღაფავდნენ. ნიღბები, შესაძლოა, სრულიად უსარგებლოც იყო, მაგრამ კურცს რიპლის აკიდების იოტისოდენა სურვილიც კი არ ჰქონდა. რატომ უნდა გაერისკა? მნიშვნელოვანი პერსონა იყო, სხვებისთვის მაგალითი უნდა მიეცა. გარდა ამისა, უპირატესობასაც ფლობდა. რაც შეეხება ფრედი ჯონსონს... ფრედისთან დაკავშირებით მას საკუთარი გეგმა ჰქონდა.

– აქ ვარ, ბოს, – თქვა ანდერჰილმა.

– კარგი სროლა, უკეთესი ფრენა და ბრწყინვალე აზროვნება. თქვენ სხვების სიცოცხლე გადაარჩინეთ. ახლა კი იქ დავბრუნდეთ, სადაც ვიყავით. ზუსტად პირველ კვადრატში. გასაგებია?

– დიახ, ბოს. გასაგებია და ვაფასებ.

და თუ გჯერა კიდეც, – გაიფიქრა კურცმა, – იმაზე სულელი ყოფილხარ, ვიდრე გამოიყურები.

10

კავანო კვლავაც კვნესოდა ოუენის ზურგს უკან, ოღონდ გაცილებით ჩუმად. ჯო ბლეიკი დუმდა – ალბათ გააცნობიერა მოწითალო ოქროსფერი ქარბორბალადან წამოსული საფრთხე, რომელიც თავიდან აიცილეს. ან ვერ აიცილეს.

– ყველაფერი კარგადაა, ჯარისკაცო? – ჰკითხა კურცმა.

– რამდენიმე დაჭრილია, – მიუგო ოუენმა, – მაგრამ, ძირითადად, ხუთიანზე შევასრულეთ. თუმცა დამლაგებლებს გვარიანი საქმე გავუჩინეთ – ქვემოთ საშინელი დომხალია.

ოუენის ყურსასმენებში კურცის სიცილი გაისმა, ის ყვავის ჩხავილს უფრო ჰგავდა.

11

– ფრედი!

– დიახ, ბოს.

– ოუენ ანდერჰილს თვალი არ მოაცილო.

– გასაგებია.

– თუ მოულოდნელად წასვლა მოგვიწევს, „იმპერიალის ხეობაში“, ანდერჰილი აქ დარჩება.

ფრედი ჯონსონს აღარაფერი უთქვამს, მხოლოდ თავი დააქნია და ვერტმფრენის მართვა განაგრძო. კარგი ბიჭი იყო. იცოდა თავისი ადგილი, ზოგიერთს კი არ ჰგავდა.

კურცი კვლავ მიუბრუნდა მას:

– ფრედი, იმ ღვთისგან მივიწყებულ მაღაზიაში ვბრუნდებით. ცხენები არ დაგენანოს. მინდა, რომ იქ ოუენსა და ჯო ბლეიკის თხუთმეტი წუთით მივასწრო. თუ შესაძლებელია, ოცითაც.

– დიახ, ბოს.

– კიდევ, საიმედო თანამგზავრული კავშირი მჭირდება „შაიენის მთასთან“.

– გექნებათ. დაახლოებით ხუთისთვის.

– სამისთვის აჯობებს, ჯარისკაცო, სამისთვის მომიხერხე.

კურცი სავარძელში გადაწვა და მის ქვემოთ მცურავ ნაძვებს თვალი შეავლო. უამრავი ხეა, ველური ბუნება, რამდენიმე ადამიანიც, ძირითადად, ნარინჯისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი მონადირეები, და ერთ კვირაში, შესაძლოა, სამოცდათორმეტ საათშიც კი, ეს ყველაფერი მთვარეზე მდებარე მთებივით მკვდარი იქნება. სამწუხაროა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ მენში ტყე მაინცაა ბევრი.

კურცმა ქაღალდის ქუდი თითზე დაატრიალა. თუ გაუმართლა, ამ ქუდს ოუენ ანდერჰილის თავზე იხილავს, მას შემდეგ, რაც იგი სუნთქვას შეწყვეტს.

– მას მხოლოდ იმის გაგება უნდოდა, რამე ხომ არ შეიცვალა, – ჩაილაპარაკა ჩუმად.

ფრედი ჯონსონს, რომელიც მშვენივრად ხვდებოდა, რომელი მხრიდან ესვა პურს კარაქი, არაფერი უთქვამს.

12

გოსლინის მაღაზიისკენ ნახევარი გზა რომ დაფარეს, მკვირცხლი „კაიოვა" ნამცეცა ლაქასავით მოჩანდა. ოუენმა შემთხვევით დახედა ტონი ედვარდსის მარჯვენა ხელს, რომელიც მას მართვის ბერკეტზე ედო, და ცერის ნუნის ქვეშ წვრილი მოწითალო ოქროსფერი ზოლი შენიშნა. მზერა საკუთარ ხელებზე გადაიტანა და ყურადღებით შეათვალიერა, როგორც ამას მისის იანკოვსკი აკეთებდა ხოლმე პირადი ჰიგიენის გაკვეთილებზე იმ შორეულ წლებში, როდესაც რეიპლოუები მათ მეზობლად ცხოვრობდნენ. ჯერ არაფერი ემჩნეოდა, მაგრამ ტონის უკვე ჰქონდა დამღა და, სავარაუდოდ, მას ვერც თვითონ ასცდებოდა.

ანდერჰილები ბაპტისტები იყვნენ და ოუენმა კარგად იცოდა კაენისა და აბელის ამბავი. „შენი ძმის სისხლი მიწიდან შემომღაღადებს", – თქვა ღმერთმა და კაენი ედემის აღმოსავლეთით, ნოდის ქვეყანაში გაგზავნა უბადრუკ ხალხთან ერთად, დედის სურვილით, მაგრამ მანამდე ნიშანი დაადო, ასე რომ, ნოდის ყველაზე მდაბიო მოსახლემაც კი იცოდა, ვინ იდგა მის წინ. და ახლა, როდესაც ტონის თითზე მოწითალო ოქროსფერ ზოლს ხედავდა და ასეთივეს საკუთარ ხელებზე ეძებდა, ოუენი მიხვდა, რომ იცოდა, რა ფერის ნიშანი ედო კაენს.

თავი მეთერთმეტე
ეგმენის[107] მოგზაურობა

1

ჰენრიმ აღმოაჩინა, რომ თვითმკვლელობას ხმა ჰქონდა, და ამ ხმას მისთვის ყველაფრის ახსნა სურდა. მაგრამ საქმეს ის აფერხებდა, რომ იგი ინგლისურად ვერ ლაპარაკობდა, ზოგჯერ თავის ენაზე ბორძიკობდა რაღაცას. თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არც ჰქონდა, საუბრის მცდელობაც საკმარისი იყო. როგორც კი ჰენრიმ თვითმკვლელობას სიტყვის თქმის უფლება მისცა, მისი ცხოვრება საგრძნობლად შეიცვალა. ზოგჯერ ღამითაც კი ახერხებდა დაძინებას (მართალია, არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც), და დღეებიც არ იყო მაინცდამაინც ცუდი.

ოღონდ დღევანდელ დღემდე.

---

[107] ა) კვერცხის კაცი. ბ) multserial Sonic the Hedgehog–ის მთავარი გმირი. ბოროტი, სუპერგენიალური დამნაშავე, რომელსაც მსოფლიოს დაპყრობა და ახალი ქვეყნის, ეგმენლენდის შექმნა სურს, ეგმენლენდი მისი მორჩილი რობოტებით იქნება დასახლებული (ინგ).

Arctic Cat–ს ჯოუნსის სხეული მართავდა, მაგრამ ახლა მის ძველ მეგობარში უცხო არსებების წარმოდგენები და მისწრაფებები ჩასახლებულიყო. მას იქნებ შემორჩენოდა კიდეც ჯოუნსის რაიმე ნაწილი, – ჰენრი ამის იმედს არ კარგავდა, – მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი იგი ძალზე ღრმად ჩამალული, პატარა და უმწეო იქნებოდა. ჰენრის ეშინოდა, ვაითუ, ქმნილებამ, ჯოუნსი რომ დაიმორჩილა, ჩემი აქ ყოფნა იგრძნოსო, მაგრამ თოვლმავალმა სიჩქარის დაუგდებლად ჩაუქროლა. პიტის მიმართულებით. მერე რა იქნებოდა? მერე საით წავიდოდა? ჰენრის ამაზე ფიქრი და ამის გამო აფორიაქება არ სურდა.

ბოლოს ისევ „კედელში გაკეთებული ხვრელისკენ" გაქანდა, ოღონდ არა იმიტომ, რომ იქ რაღაც დარჩა. უბრალოდ, სხვაგან ვერსად წავიდოდა. როდესაც ჭიშკარს მიადგა, სადაც ერთადერთი სიტყვა – კლარენდონი ეწერა, ხელისგულზე კიდევ ერთი კბილი გადმოაფურთხა, დახედა და გადააგდო. აღარ თოვდა, მაგრამ ცა ძველებურად პირქუშად გამოიყურებოდა და ქარიც თითქოს გაძლიერებას აპირებდა. ჰენრიმ ვერ გაიხსენა, გადმოსცა თუ არა რადიომ რამე მოსალოდნელი ქარიშხლის შესახებ, მაგრამ არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ეს საკითხი ძლიერ აინტერესებდა.

სადღაც, მისგან დასავლეთით, საშინელმა აფეთქებამ არემარე შეაზანზარა. ჰენრიმ უაზროდ გაიხედა იქით, მაგრამ ვერაფერი დაინახა. რაღაც ჩამოინგრა ან აფეთქდა, სამაგიეროდ, ყველა ხმა დადუმდა, აქამდე მოსვენებას რომ არ აძლევდა. ჰენრიმ არ იცოდა, ჰქონდა თუ არა ამ ორ მოვლენას ერთმანეთთან კავშირი; არც ის იცოდა, შეშფოთება მართებდა თუ სიმშვიდის შენარჩუნება. ღია ჭიშკარში შევიდა, თოვლმავლის მიერ გატკეპნილ გზას გაუყვა და სახლს მიუახლოვდა.

გენერატორი თანაბრად გუგუნებდა, კარი ფართოდ იყო ღია. ჰენრი გრანიტის ფილასთან შეჩერდა, რომელიც ზღურბლის მოვალეობას ასრულებდა და მიიხედ-მოიხედა. თავდაპირველად ზედ სისხლის კვალი მოეჩვენა, მაგრამ არც გამხმარ და არც ახალ სისხლს

ასეთი უჩვეულო, მოწითალო ოქროსფერი შეფერილობა არ ახასიათებდა. რაღაც ორგანულ მცენარეს უფრო ჰგავდა. ხავსს ან სოკოს. და კიდევ...

მან თავი უკან გადასწია, ნესტოები გაბერა და ჰაერი ფრთხილად შეისუნთქა. მეხსიერებაში მაშინვე მკაფიო, მაგრამ აბსურდული მოგონება ამოუტივტივდა – სულ რაღაც ერთი თვის წინ ყოფილ ცოლთან ერთად კუნძულ მავრიკიაზე მოგზაურობა. მაშინ მაგიდასთან იჯდა, სომელიეს მიერ დასხმულ ღვინოს გემოს უსინჯავდა, რონდას შესცქეროდა და ფიქრობდა: ჩვენ ღვინის არომატით ვტკბებით, ძაღლები ერთმანეთის ანალურ ხვრელებს ყნოსავენ, ყველაფერი კი ერთსა და იმავეს უკავშირდება. წამით თვალწინ მამის სახეც დაუდგა, ნიკაპზე რძე რომ ჩამოსდიოდა. მან რონდას გაუღიმა, საპასუხო ღიმილიც მიიღო და თავში ახალი აზრი მოუვიდა: როგორი შვებაა იმის ცოდნა, რომ ყველაფერი ოდესღაც მაინც დასრულდება. და თუ ასეა, აჯობებს, რაც შეიძლება სწრაფად დასრულდეს.

მაგრამ ახლა ღვინის კი არა, რაღაც დაჭაობებულის, გოგირდოვნის სუნი სცემდა. მალე გაახსენდა, რომ ასე ის ქალი ყარდა, მისი დაავადებული შიგნეულობა, ვის გამოც ავარია შეემთხვათ.

ჰენრიმ ფეხი გრანიტის ფილაზე შედგა, აცნობიერებდა, რომ უკანასკნელად შედიოდა ამ სახლში, გრძნობდა წარსული წლების სიმძიმეს: სიცილს, საუბრებს, ლუდის უთვალავ ბოთლს, შემთხვევით მოსაწევს, ღორმუცელების შეჯიბრებას 96-ში (ან 97-ში), იარაღიდან გასროლას, თოფისწამლისა და სისხლის ნაზავის მწარე გემოს, ნადირობის სეზონის დაწყებას რომ მოასწავებდა, სიკვდილის, მეგობრობისა და ბავშვური აღტაცების სუნს.

მან კვლავ შეიყნოსა ჰაერი. ორგანულს არ ჰგავდა. უფრო მძაფრი, ქიმიური ნივთიერების სუნი იგრძნობოდა. ალბათ, აქაურობა გაჯერებული იყო იმ ნივთიერებით. შიგნით შეიხედა. იატაკს ბუსუსიანი ობი მოსდებოდა, მხოლოდ აქა-იქ თუ მოჩანდა ხე. ნავაჰოს ხალი-

ჩაზე კი იმისისქე ფენად იდო, რომ ქსოვილის სახე მთლიანად დაეფარა. როგორც ჩანს, ობს სითბო უყვარდა, მაგრამ მაინც საოცრად სწრაფად იზრდებოდა.

ჰენრიმ შესვლა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა, ორი ნაბიჯით უკან დაიხია და თოვლში აღმოჩნდა. ენით წამდაუწუმ იმ ხვრელებს ისინჯავდა, სადაც ჯერ კიდევ დილით სრულიად ჯანსაღი კბილები ჰქონდა. ცხვირიდან ისევ წასკდა სისხლი. რასაკვირველია, სააბაზანოში იყო პატარა აფთიაქი, მაგრამ ღირდა კი გარისკვად? თუ ეს ხავსი, ჰაერწვეთოვანი გზით, ებოლას ან ჰანტას მსგავს გადამდებ ინფექციას ავრცელებდა, მაშ, უკვე დასნებოვნებული იყო და სიფრთხილეს აზრი აღარ ჰქონდა. როცა ცხენს მოგპარავენ, თავლის ჩაკეტვით უკან ვერ დაიბრუნებ. მაგრამ არც უაზროდ გარისკვა იყო გონივრული საქციელი.

ჰენრიმ სახლს შემოუარა, ცდილობდა, Арцტიც ჩატ-ის მიერ დატოვებულ ნაკვალევში ევლო.

2

ფარდულის კარი ღია აღმოჩნდა. და ჰენრიმ ჯოუნსი დაინახა, აშკარად, გარკვევით, თოვლმავლის გამოსაყვანად მისული და ზღურბლზე გაშეშებული ჯოუნსი, აგდებულად რომ ჩაევლო ხელი წირთხლისთვის და უსმენდა... რას უსმენდა?

არაფერს. არც ყვავების ჩხავილს, არც კოდალების კაკუნს, არც ციყვების ჩხუბს. მხოლოდ ქარის ხმაურსა და ფიჭვის ან ნაძვის ტოტიდან ჩამოცურებული თოვლის მსუბუქ ტყაპანს. ცხოველებმა აქაურობა მიატოვეს და ისე წავიდნენ, როგორც მხეცები გარი ლარსონის[108] მულტფილმში.

წუთით ერთ ადგილას გაუნძრევლად იდგა და ყველაფრის წარმოდგენას ცდილობდა, რაც კი ფარდულში იდო. პიტს ეს უკეთესად გამოუვიდოდა, – დახუჭავდა თვალებს, დააქნევდა საჩვენებელ

[108] ამერიკელი მულტიპლიკატორი.

თითს და ქანჩებიანი პატარა კოლოფის ადგილმდებარეობაც კი არ შეეშლებოდა, – მაგრამ ჰენრი პიტის ნიჭიერების გარეშეც ადვილად გავიდოდა ფონს. იგი ხომ აქ გუშინ საღამოსაც იყო, ეძებდა, რით შეძლებდა სამზარეულოს კარადის გაღებას. მაშასადამე, იმასაც დაინახავდა, რაც ახლა სჭირდებოდა.

ჰენრიმ რამდენჯერმე სწრაფად ჩაისუნთქა და ამოისუნთქა, ფილტვები გაინიავა, ხელთათმნიანი ხელი ცხვირ-პირზე მიიფარა და შიგნით შევიდა. ცოტა ხანს დაელოდა, რათა თვალი სიბნელეს შესჩვეოდა. არ სჭირდებოდა უსიამოვნო სიურპრიზები.

როდესაც მხედველობა გამოუკეთდა, ჰენრიმ ცარიელი სივრცე გადაჭრა, იქ ადრე თოვლმავალი იდგა. იატაკზე არაფერი მოჩანდა ზეთოვანი ლაქებისგან მიღებული უცნაური სურათის გარდა, აი, მწვანე ბრეზენტს კი, რომელსაც თოვლმავლის შალითად იყენებდნენ და ახლა კუთხეში ეგდო, მოწითალო ოქროსფერი ბილიკები აჩნდა.

დაზგაზე რა აღარ ეყარა – საგულდაგულოდ დახარისხებული ლურსმნებითა და ქანჩებით სავსე კოლოფები გადმოეპირქვავებინათ, უჯრები გამოწეული დაეტოვებინათ, ლამარ კლარენდონის ძველი მუნდშტუკი გაეტეხათ. ვიღაცას, ბივერს ან ჯოუნსის, რაღაცის ძებნაში იქაურობისთვის ქარიშხალივით გადაევლო.

ეს ჯოუნსი იყო.

დიახ. ჰენრის, შესაძლოა, ვერასდროს გაეგო, რა მოხდა, მაგრამ იცოდა, რომ ეს ჯოუნსი იყო და მისთვის ან იქნებ ბივერისთვისაც, ძალზე მნიშვნელოვან ნივთს ეძებდა. საინტერესოა, იპოვა თუ არა? ჰენრი, ალბათ, ვერც ამას გაიგებდა. მას თვითონ სჭირდებოდა ის, რაც ლურსმანზე ეკიდა ოთახის შორეულ კუთხეში, დახვავებული საღებავის ქილებისა და პულვერიზატორების თავზე.

კვლავაც ცხვირ-პირზე ხელაფარებულმა სასურველ ლურსმნამდე მიაღწია, რომელზეც სამი-ოთხი რესპირატორი ეკიდა, რესპირატო-

რებს, ჩვეულებრივ, სამღებრო სამუშაოების დროს იყენებენ. გაყვითლებულ ნიღბებს ელასტიკურობა დაჰკარგოდა. მან ყველა ერთდროულად ჩამოხსნა და სწორედ რომ დროულად შემოტრიალდა – მოეჩვენა, თითქოს კარს უკან რაღაც გაფაჩუნდა. ჰენრიმ თავი ძლივს შეიკავა, რომ არ დაეყვირა, გული ლამის საგულედან ამოუხტა, საშინლად დასცხა და სუნთქვა შეეკრა. ვერაფერი დაინახა. თავიდან, ეს საკუთარ ფანტაზიას დააბრალა, მაგრამ – არა. იქ ნამდვილად რაღაც იყო. ღია კარიდან და მაგიდის თავზე მდებარე ერთადერთი ჭუჭყიანი ფანჯრიდან შემოსულ შუქზე ყველაფერს არჩევდა, მაგრამ საკუთარი ჩრდილის დანახვაზეც კი კრთოდა.

ოთხი მოზრდილი ნახტომი გააკეთა და ფარდულიდან გავარდა. რესპირატორები ხელში ეჭირა. სუნთქვაშეკრულმა თოვლში კიდევ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და მხოლოდ ახლაღა მისცა თავს სუფთა ჰაერის შესუნთქვის უფლება. დაიხარა, ხელისგულებით მუხლისთავებს დაეყრდნო და მის თვალწინ აციმციმებული უამრავი შავი წერტილის გაქრობას დაელოდა.

აღმოსავლეთიდან შორეული სროლის ხმა გაისმა. თოფისას არ ჰგავდა – ძალზე ხმამაღლა და სწრაფად ისროდნენ. უფრო ავტომატი ან ტყვიამფრქვევი უნდა ყოფილიყო. ჰენრის ისეთივე მკაფიო სურათი წარმოუდგა, როგორიც მამის ნიკაპზე ჩამოღვრილი რძის ან მისი ოფისიდან რაკეტასავით გავარდნილი ბარი ნიუმენის შესახებ მოგონება იყო. მან დაინახა ირმები, ენოტები, კაკბები, გარეული ძაღლები და კურდღლები, რომლებიც უბედურების ზონად ქცეულ საცხოვრებელ ადგილებს ტოვებდნენ და რომლებსაც ათობით და ასობით ხოცავდნენ. შეამჩნია, როგორ შეიღება თოვლი მათი უდანაშაულო, თუმცა, შესაძლებელია, დაინფიცირებული სისხლით. ნანახმა, წარმოუდგენელი ტკივილი მიაყენა და სიღრმისკენ დაიძრა, იმ ადგილისკენ, რომელიც ჯერ არ მომკვდარიყო, და, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ თვლემდა; იმ ადგილისკენ, რომელიც ისე მხურვალედ და მძაფრად გამოეხმაურა დადიტსის ტირილს, რომ ეგონა, საცაა თავი

გამისკდებაო.

ჰენრი გაიმართა, მარცხენა ხელთათმანზე ახალი სისხლი შეამჩნია და გაშმაგებითა და გაოცებით ასძახა ცას, – ამის დედაცო! შემდეგ ცხვირ-პირზე ხელი აიფარა, რესპირატორები მოსინჯა და გადაწყვიტა, „კედელში გაკეთებულ ხვრელში" შესვლისას ორი ცალი ერთად გაეკეთებინა. ამასობაში, სრულიად გადაავიწყდა სკაუტის ავარიის დროს დაშავებული თეძო. თუ სოკო, როგორც ინფექცია, მართლა ვრცელდებოდა, ის უკვე ჰენრის სხეულში იქნებოდა და სიფრთხილის ზომები აღარაფერში გამოადგებოდა. ჰენრიმ წარმოიდგინა ფირფიტა, რომელზეც დიდი წითელი ასოებით ეწერა:

ბიოლოგიური დაბინძურების ზონა! გთხოვთ, შეიკავოთ სუნთქვა და ხელით დაიფაროთ ნებისმიერი განაკაწრი!

უნებურად გაეცინა და სახლისკენ გაემართა. ვერაფერს გააწყობდა, თუმცა ღმერთმა ხომ იცოდა, რომ დიდხანს სიცოცხლეს ისედაც არ აპირებდა.

აღმოსავლეთიდან კვლავ ისმოდა სროლის ხმა.

3

ღია კართან მდგარმა ჰენრიმ უიმედოდ მოისინჯა ჯიბეები ცხვირსახოცის ძებნაში... ვერ აღმოაჩინა. ტყეში ცხოვრებას ორი უპირატესობა ჰქონდა: შეგეძლოთ, ცხვირი ცხვირსახოცით არ მოგეხოცათ და სადაც მოგესურვებოდათ, იქ მოგეშარდათ. კაცებს ეს, რატომღაც, განსაკუთრებით მოსწონდათ. ამის შემდეგ თითქოს წარმოუდგენელია, როგორ შეეძლოთ ქალებს იმ მამაკაცებიდან თუნდაც საუკეთესო ჰყვარებოდათ, დანარჩენებზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

ჰენრიმ პალტო და თბილი თეთრეული გაიხადა და მხოლოდ მაისური დაიტოვა, ბოსტონის ბეისბოლის გუნდის, „წითელი გეტრების" ემბლემითა და ზურგზე წარწერით GAღჩIAPAღღA 5. შემდეგ ისიც გაიხადა, გრძლად დაკეცა და მარცხენა ფეხზე შემოიხვია – იქ, სადაც ჯინსი გახვრეტოდა და სისხლი შეხმობოდა. თან გაიფიქრა,

რომ თავლას ცხენის მოპარვის შემდეგ კეტავდა.

ხვრელები, ჩვეულებრივ, ამოავსე, არა? დიახ, აკურატულად, საფუძვლიანად ამოავსე. ჯერაც არსებობდა გარკვეული ზოგადი მოსაზრებები, რომლებსაც ცხოვრება ემორჩილებოდა. მაშინაც კი, როცა სიცოცხლე დასასრულს უახლოვდებოდა.

მან კვლავ გადაიცვა ტანსაცმელი დახორკლილ მხრებზე და ერთდროულად ორი რესპირატორი გაიკეთა. ორის მიმაგრებას ყურებზე აპირებდა, მაგრამ წარმოიდგინა, როგორ გადაიხლართებოდა თასმები ტანზე დასამაგრებელი პისტოლეტის ბუდესავით, და გაეცინა. კიდევ რა გააკეთოს? მეხუთე ნიღაბი ცალ თვალზე აიკრას?

– თუ ჩემამდე მოაღწევს, ჩემამდე მოაღწევს, – ჩაილაპარაკა ხმამაღლა და მაშინვე შეახსენა საკუთარ თავს, რომ ზედმეტი სიფრთხილე არაფერს ავნებდა, როგორც უყვარდა ხოლმე თქმა მოხუც ლამარს.

იმ მოკლე დროის განმავლობაშიც კი, რომელიც ფარდულში გაატარა, სოკო (თუ ობი – ვინ იცის, რა იყო) „კედელში გაკეთებულ ხვრელს“ მთლიანად მოედო. ნავაჰოს ხალიჩა აღარ ჩანდა. დივანზე, სამზარეულოსა და სასტუმრო ოთახებს შორის, დახლზე და იქვე მდგარ სკამებზე მოწითალო ოქროსფერი ლაქები მოჩანდა. ბუსუსებიანი დაკლაკნილი კაპილარები მაგიდის ფეხს დაღვრილ სითხესავით მიუყვებოდა. ჰენრის გაახსენდა, როგორ გროვდებოდნენ ხოლმე ჭიანჭველები დაბნეული შაქრის ნამცეცებზე. ყველაზე უსიამოვნო სანახავი ჭერიდან ხალიჩამდე ჩამოშვებული, მოწითალო ოქროსფერი ხავსით დაფარული აბლაბუდა იყო. ჰენრი რამდენიმე წამის განმავლობაში ყურადღებით აკვირდებოდა მას, სანამ არ მიხვდა, რომ ლამარ კლარენდონის სიზმართმჭერს ხედავდა. ჰენრი არ ფიქრობდა, ოდესმე მაინც თუ გაიგებდა იმას, რაც იქ მოხდა, მაგრამ იმაში კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სიზმართმჭერმა თავის ბადეში ნამდვილი კოშმარი გააბა.

შენ რა, შიგნით შესვლას აპირებ? განსაკუთრებით ახლა, როდესაც ნახე, რა სწრაფად იზრდება? ჯოუნსი გარეგნულად კარგად გამოიყურებოდა, როდესაც გვერდით ჩაუქროლა. სინამდვილეში ასე არაა და შენ ეს იცი. უკვე მოასწარი ამის შეგრძნება. მაშასადამე... შენ ხომ სინამდვილეში იქ შესვლას არ აპირებ?

– ვაპირებ, – თქვა ჰენრიმ. მის ყოველ სიტყვაზე რესპირატორის ორმაგი კუზი იბერებოდა და იფუშებოდა, – თუ მომიხელთებს... თავს მოვიკლავ... დაგეგმილზე უფრო ადრე.

მან ისე გაიცინა, როგორც სტაბმა „მობი დიკში"[109], და ზღურბლს გადააბიჯა.

4

ერთი გამონაკლისის გარდა, სოკოს კოლონიები თხელ საფენებსა და ბელტებს მოგაგონებდათ. ეს გამონაკლისი ჰენრიმ სააბაზანოს კარის წინ შეამჩნია, სადაც პატარა ბორცვი წამოზრდილიყო, კარს აჰყოლოდა და დაახლოებით ოთხი ფუტის სიმაღლემდე დაეფიფქა. ეს კოლბოხისებრი გროვა, როგორც ჩანს, რაღაც მონაცრისფრო, ღრუბლოვან ნივთიერებაზე იდო. უცნაური ღრუბელი სასტუმრო ოთახისკენ ორად იყოფოდა და ასო V-ს ჰგავდა, რაც ჰენრიში გაჩაჩხული ფეხების უსიამოვნო ასოციაციას იწვევდა. თითქოს სოკო სააბაზანოს კართან ვიღაც გარდაცვლილის გვამზე იზრდებოდა.

ჰენრის კოლეჯში ნაჩქარევად გავლილი სასამართლო მედიცინის კურსი და დანაშაულის ადგილებზე გადაღებული პირქუში, ხშირად გულის ამრევი ფოტოსურათებით სავსე სქელი სახელმძღვანელო გაახსენდა. ერთი მათგანი დიდხანს ვერ ამოიგდო თავიდან: მსხვერპლი მოკლეს და ტყეში დააგდეს, ოღონდ შიშველი სხეული ოთხი დღის შემდეგ აღმოაჩინეს. კეფაზე, მუხლებს უკან და დუნდულებს შორის სოკო გასჩენოდა.

ოთხი დღე. ისევ ოთხი დღე. მაგრამ ჯერ კიდევ დილით სახლში

---

[109] ამერიკელი მწერლის, ჰერმან მელვილის რომანი

ამ სისაძაგლის ნასახიც კი არ იყო, მხოლოდ...

ჰენრიმ საათს დახედა და დაინახა, რომ მაშინ გაჩერებულიყო, როცა თორმეტს ოცი აკლდა. ახლა კი, აღმოსავლეთის სტანდარტით, დრო აღარ არსებობდა.

მიტრიალდა და კარს უკან შეიხედა, რადგან მოეჩვენა, რომ იქ რაღაც იმალებოდა.

არა. არაფერი იყო, კედელზე მიყუდებული ჯოუნსის „გარანდის" გარდა.

ჰენრი უკვე გამობრუნებას აპირებდა, როდესაც გააცნობიერა, რომ თოფს სოკო არ მოსდებოდა. მან იარაღს ხელი დაავლო. დატენილი ვინჩესტერი დამცველზე ეყენა, ლულაში ერთი ტყვია იდო. ჰენრიმ „გარანდი" მხარზე გადაიკიდა და სააბაზანოს კართან გაჩენილი საზიზღარი, წითელი, ბუშტუკებიანი ამობურცულობისკენ შეტრიალდა. აქ უფრო მძაფრად იგრძნობოდა ეთეროვან-გოგირდოვნისა და რაღაც უარესი სისაძაგლის მყრალი სუნი. მან ნელა გადაჭრა ოთახი სააბაზანოს მიმართულებით, ნაბიჯებს ფრთხილად დგამდა, შიშობდა (და სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა), რომ წითელი კუზი და მისი დანამატი, გაფარჩხული ფეხების სახით, ის იყო, რაც მეგობარ ბივერისგან დარჩა. კიდევ წუთიც და, ბივის აწეწილ, გრძელ, შავ თმასაც დაინახავდა, ან მის ფეხსაცმელს, სახელწოდებით „დოქტორი მარტენსი", თუმცა ბივერი მას „ლესბოსელებთან სოლიდარობის დეკლარაციას" ეძახდა. რატომღაც აიკვიატა, – და ამაში ვერავინ გადაარწმუნებდა, – რომ „დოქტორი მარტენსი" რაღაც საიდუმლო ნიშანი იყო, რომლითაც ლესბოსელები ერთმანეთს ცნობდნენ. გარდა ამისა, სჯეროდა, რომ მსოფლიოს როტშილდები[110] და გოლდფარბები[111] მართავდნენ და ბრძანებებს, სავარაუდოდ, კოლორადოს კლდეებში ამოკვეთილი კონსპირაციული ბუნკერიდან იძლეოდნენ.

[110] ბანკირების დინასტია ევროპაში.
[111] ერთ-ერთი გავლენიანი გვარი აშშ-ში.

ბივერი, რომელსაც გაოცების გამომხატველი გამოთქმებიდან ყველაზე მეტად ბარემ-მიხმარე-ფრედი მოსწონდა.

მაგრამ განა შეიძლებოდა დარწმუნებით თქმა, რომ სააბაზანოს კართან დაგდებული სიმახინჯე ოდესღაც ბივერი იყო? ან – საერთოდ ვინმე? ჯერჯერობით მხოლოდ ვარაუდი არსებობდა. ღრუბლოვან მასაში რაღაცამ გაიბრწყინა. ჰენრი დაიხარა, თან საკუთარ თავს ეკითხებოდა, – სოკოს მიკროსკოპულმა სპორებმა დაუცველ თვალებზე ხომ არ იბარტყაო.

მბრწყინავი საგანი კარის სახელური აღმოჩნდა. იქვე მოწითალო ოქროსფერი ბუსუსებით დაფარული საიზოლაციო ლენტის გორგალი ეგდო. ჰენრის გაახსენდა არეულ-დარეული ფარდული, გადმოპირქვავებული კოლოფები, გამოწეული უჯრები. ამას ხომ არ ეძებდა ჯოუნსი? ამ დაწყევლილ საიზოლაციო ლენტს? რაღაცამ – შესაძლოა, მორიგმა გატკაცუნებამ, თუმცა ვინ იცის – უკარნახა, რომ ასეც იყო. მაგრამ რატომ? რატომ, ღვთის გულისთვის?

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხშირად სტუმრობდა ფიქრები თვითმკვლელობაზე და სულ უფრო დიდხანს რჩებოდა მასთან, მოსვენებას არ აძლევდა. ჰენრის თითქმის დავიწყებოდა, რა იყო ცნობისმოყვარეობა. ახლა კი ამ ვნებამ მთელი ძალით იფეთქა, თითქოს კარგა ხნის ნაშიმშილევს გაეღვიძა და წამდაუწუმ საჭმელს ითხოვდა. მაგრამ რა ეჭმია, რაც არ ჰქონდა? იქნებ, ჯოუნსის ამ ლენტით უნდოდა კარის აკვრა? თუ ასეა, რისგან ცდილობდა თავის დაცვას? მან და ბივმა დანამდვილებით იცოდნენ, რომ ეს სოკოსგან ვერ დაიცავდათ, რადგან სოკო, უბრალოდ, კარის ქვეშ გაძვრებოდა.

ჰენრიმ სააბაზანოში შეიხედა, უცნაურად შეჰყვირა და უკან დაიხია. რა უბედურებაც უნდა მომხდარიყო, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ყველაფერი სააბაზანოში დაიწყო და დასრულდა. ოთახი წითელ მღვიმეს დამსგავსებოდა, ცისფერი კაფელი ერთიანად ხავსს დაეფარა. შემოსევას ვერც პირსაბანის ძირი და უნიტაზი გადაურჩა. უნი-

ტაზი თავახდილი იყო, თუმცა ჰენრის დაზუსტებით არ შეეძლო, ეთქვა, რადგან ყველაფერს სოკოს სქელი ფენა ედო. მოეჩვენა, რომ დასაჯდომი შიგა მხრიდან გაეტეხათ. საშხაპის ჩამოსაფარებელი თეატრის ხავერდის ფარდას დამსგავსებოდა, ფარდა ყველა რგოლიდან ჩამოეხიათ (რგოლებსაც გრძელი, ბანჯგვლიანი წვერი გაზრდოდა) და აბაზანაში დაეგდოთ.

აბაზანაში „დოქტორ მარტენსის" ყელიანი ფეხსაცმლით შემოსილი ფეხი მოჩანდა. დამატებითი შემოწმება დროის კარგვად მიიჩნია. მან, როგორც იქნა, მიაგნო ბივერს.

უეცრად მოგონებები ეწვია იმ დღის შესახებ, როდესაც დადიტსი გადაარჩინეს – ისე მკაფიოდ და ცოცხლად, თითქოს ყველაფერი წინადღეს მოხდა. ბივერი თავისი გაცვეთილი ტყავის ქურთუკით, ბივერი დადიტსის საუზმის ყუთით, ბივერი, რომელიც ღიმილით ამბობს: „მოგწონს ეს მულტფილმი? ისინი ხომ არასდროს იცვლიან ტანსაცმელს! " შემდეგ კი ამატებს...

– ბარემ მიხმარე, ფრედი, – შესძახა ჰენრიმ შებილწულ სახლს, – ეს მან თქვა, ის ყოველთვის ასე ამბობდა.

თვალებიდან ცრემლები გადმოსცვივდა და ლოყებზე ჩამოუგორდა – სწორედ ის სისველე, რაც სოკოს სჭირდებოდა. უნიტაზში ამოსული ჯუნგლის მიხედვით, ეს მისი საყვარელი გარემო იყო. ასე რომ, ახლა ის ბარაქიან ნიადაგს ეღირსა. თუმცა ჰენრის ეს აღარ ადარდებდა. მას ჯოუნსის თოფი ჰქონდა. და თუ სოკო მის სხეულზე მოლხენას გადაწყვეტდა, იქამდე გაეცლებოდა წუთისოფელს, სანამ დესერტის დრო დადგებოდა. თუ საქმე აქამდე მივიდოდა.

შესაძლოა, მისულიყო კიდეც.

5

დარწმუნებული იყო, რომ ფარდულის კუთხეში ძველი ხალიჩის ნარჩენებს მოჰკრა თვალი. ფიქრობდა, იქნებ ღირს, მივბრუნდე, წა-

მოვიღო, სააბაზანოს იატაკზე დავაგდო, ახლოს მივიდე და აბაზანაში ჩავიხედოო. მაგრამ განა, ეს რამეს შეცვლიდა? იცოდა, რომ იქ ბივერი იწვა. სულაც არ უნდოდა, რომ ძველი მეგობარი, დახვეწილი უხამსობების – თუნდაც „მაკოცე ტაკოშის" – ავტორი, წითელი სოკოთი დაფარული ენახა. მსგავსი კოლონიით მოფენილი, სისხლისგან დაცლილი სხეული ხომ მედიცინის სახელმძღვანელოშიც ეხატა. ეს რომ მომხდარის ახსნაში დახმარებოდა, ამ ნაბიჯსაც გადადგამდა. მაგრამ ჰენრის ამგვარი რამ ძალზე საეჭვოდ მიაჩნდა.

ყველაზე მეტად იქიდან წასვლა სურდა. სოკოს დანახვაზე აჟრიალებდა, მაგრამ მხოლოდ ამიტომ როდი ეშინოდა, – მას უსიამოვნო შეგრძნება დაუფლებოდა, თითქოს მარტო არ იყო.

ჰენრი სააბაზანოს კარს მოშორდა. სასადილოს მაგიდაზე რბილყდიანი წიგნი იდო, რომელზეც ფიწლებით მოცეკვავე ეშმაკები ეხატა. ეს, ალბათ, ჯოუნსის ეკუთვნოდა, მაგრამ ვერც ჯოჯოხეთის მოციქულებს შეეშინებინათ საზიზღარი სოკო.

მოულოდნელად გააცნობიერა, რომ დასავლეთიდან თანაბარი გუგუნი ისმოდა, თანდათანობით ის საშინელ გრუხუნად იქცა. ვერტმფრენები. ბევრი, დიდი ვერტმფრენი. თითქოს ძალიან დაბლა, სახურავის სიმაღლეზე დაფრინავდნენ.

ჰენრიმ უნებურად თავი დახარა. თვალწინ ურიცხვმა კადრმა ჩაუქროლა ვიეტნამის ომზე გადაღებული ფილმებიდან. მაშინვე გაიფიქრა, რომ ახლა ტყვიამფრქვევებს შალითებს მოხსნიდნენ და სახლს ტყვიებს დაუშენდნენ. ან – ნაპალმს.(ლაბისებური საწვავი პროდუქტი, მზადდება საწვავის ქიმიური დამუშავებით, გამოიყენება ცეცხლგამჩენ ბობმებსა და ცეცხლსატყორცნებში.)

მაგრამ მათ ისე ჩაუფრინეს, მსგავსი არაფერი მომხდარა, თუმცა, იმდენად დაბლა მიფრინავდნენ, რომ სამზარეულოს თაროებზე ჭიქები და თეფშები აზრიალდა. როდესაც ხმაურმა იკლო და შორეულ ზუზუნად იქცა, ჰენრი წელში გაიმართა. იქნებ აღმოსავლეთით, ჯეფერსონტრექტის ბოლოსკენ მიეშურებიან ცხოველების მასობრივ

ჟლეტაში მონაწილეობის მისაღებად? რაც უნდათ, ის უქნიათ. თვითონ კი აქაურობას სასწრაფოდ უნდა გაეცალოს და...

და რა? მერე რა მოხდება?

სანამ ამაზე ფიქრობდა, ქვემოთ მდებარე ორი საძინებლიდან ერთ-ერთში რაღაც ხმა გაისმა. ფაჩუნს უფრო ჰგავდა. მაგრამ მაშინვე ყველაფერი მიჩუმდა, თანაც ისე დიდი ხნით, რომ ჰენრიმ გაკიცხა კიდეც საკუთარი თავი ზედმეტი ფანტაზიორობისთვის. შემდეგ სიჩუმე ტკაცუნმა და ჭრიჭინმა დაარღვია, თითქოს სადღაც მექანიკური სათამაშო დაქოქეს – თუნუქის მაიმუნი თუ თუთიყუში. ჰენრის თავიდან ფეხებამდე ჟრუანტელმა დაუარა. პირი წამსვე გაუშრა. თმა ყალყზე დაუდგა.

აქედან მოუსვი, გაიქეცი!

მაგრამ სანამ ამ ხმას მოუსმენდა და ნათქვამს ჩასწვდებოდა, ჰენრი რამდენიმე ნახტომში საძინებლის კართან გაჩნდა და „გარანდი" მოიმარჯვა. ადრენალინმა სისხლი აუჩქროლა, სამყარო ხასხასა ფერებად შეიღება. შერჩევითი აღქმა, უსაფრთხოებისა და სიმშვიდის მომტანი აუღიარებელი მოკრძალებული საჩუქარი, სადღაც გაქრა და ყოველი დეტალი დაინახა: საძინებლიდან სააბაზანოსკენ მიმავალი სისხლიანი ბილიკი, მიგდებული ფლოსტი, ხელისგულის ფორმის იდუმალი წითელი ნაფიფქი კედელზე. კარი გამოაღო.

ის რაღაც საწოლზე იყო. გაუგებარი ქმნილება ჰენრიმ სინდიოფალას თუ ვირზაზუნას მიამსგავსა მოკვეთილი ფეხებითა და გრძელი, გასისხლიანებული კუდით, მომყოლივით რომ დასთრევდა. ამგვარი ცხოველი ცხოვრებაში არ ენახა – მხოლოდ ბოსტონის ოკეანერიუმში მცურავ მურენას ჰქონდა ასეთივე არაბუნებრივად დიდი შავი თვალები. და კიდევ ერთი მსგავსება: როდესაც ქმნილებამ პირის მოვალეობის შემსრულებელი რუდიმენტული ნაპრალი გააღო, საშინელი, თხელი, გრძელი ფოლადის ნემსებივით ეშვები გამოუჩნდა. მის უკან, სისხლით გაჟღენთილ ზეწარზე, ასი თუ უფრო მეტი მონარინჯისფრო და მოყავისფრო ბილიარდის ბურთის ზომის, მომწვანო მღვრიე

ლორწოთი დაფარული კვერცხი იდო. ყოველ მათგანში თმის ღერის მსგავსი დაცურავდა თუ ირხეოდა.

სინდიოფალას მსგავსი ქმნილება კუდზე ისე წამოიმართა, როგორც გველი – შემლოცველის კალათადან, და საწოლზე – ჯოუნსის საწოლზე – შეირხა, მაგრამ ეტყობოდა, რომ მოძრაობის თავი არ ჰქონდა. მბრწყინავი შავი თვალები სიძულვილით ენთო. კუდი (ჰენრის აზრით, ის საცეცს უფრო ჰგავდა) ნერვიულად დასცხო ზეწარს, შემდეგ კი, რამდენადაც შეეძლო, კვერცხებს გადაეფარა, თითქოსდა შთამომავლობის დასაცავად.

მოულოდნელად, ჰენრიმ გააცნობიერა, რომ ტორაზინით გაჭყეპილი უმწეო ფსიქოპატივით მონოტონურად იმეორებს სიტყვა „არა"–ს. კონდახი მხარზე მიიკრა, თვალი მოჭუტა და რეპტილიის მოუსვენარი თავი მიზანში ამოიღო. მან იცის, ეს რა არის, ეს მაინც იცის კარგად, – ცივად გაიფიქრა ჰენრიმ და სასხლეტს თითი გამოჰკრა.

ახლოდან ისროდა და ქმნილებას ტყვიის აცილების შესაძლებლობა არ ჰქონდა – ან ძალა გამოლეოდა კვერცხების დადების შემდეგ, ან სიცივეს ვერ უმკლავდებოდა: ღია კარიდან ქარი უბერავდა და „კედელში გაკეთებულ ხვრელში" საკმაოდ ციოდა. ოთახში გამაყრუებელი სროლის ხმა გაისმა, ქმნილების წამოწეული თავი ნაფლეთებად იქცა, იქიდან გამოტყორცნილი მოწითალო სითხე კი კედელს შეეშხეფა და ჩამოიღვენთა. სისხლს იგივე შეფერილობა ჰქონდა, რაც სოკოს, თავწაცლილი სხეული საწოლიდან ჩამოცურდა და ტანსაცმლის გროვაზე დაეცა, რომელიც ჰენრიმ ვერ იცნო: ყავისფერი ქურთუკი, ნარინჯისფერი ჟილეტი, აკეცილი ჯინსის შარვალი (სკოლაში ასეთ ჩაცმულობას სამარცხვინოდ მიიჩნევდნენ და მას, ვინც დანარჩენებს ანგარიშს არ უწევდა, „სოფლელებს" ეძახდნენ). საწოლიდან რამდენიმე კვერცხიც ჩამოვარდა და ჯოუნსის ტანსაცმელსა და წიგნებზე დაეცა, გადარჩა. მაგრამ ზოგიერთი იატაკზე დავარდა და გატყდა. მათგან ნელა გადმოდინდა მღვრიე, ლაყე კვერცხის

მსგავსი სითხე – დაახლოებით ერთი სუფრის კოვზი თითოეულიდან. შიგნით ბეწვები იზნიქებოდნენ და იგრიხებოდნენ და ციცქნა შავი, გაბოროტებით მომზირალი თვალებით ლამის შეეჭამათ ჰენრი, რომელსაც იმათ შემხედვარეს, ყვირილი უნდოდა.

შეტრიალდა და ბარბაცით გავიდა ოთახიდან. ფეხების მოხრა უჭირდა – თითქოს გაშეშებოდა. თავს იმ მარიონეტად გრძნობდა, ძაფების მეშვეობით რომ ამოძრავებს ვიღაც, უეჭველად ახალბედა.

ჰენრიმ არ იცოდა, სად მიდიოდა, სანამ სამზარეულოს არ მიაღწია და პატარა კარადის კარი არ გამოაღო.

– მე ეგმენი ვარ, ეგმენი ვარ. ლომვეშაპი ვარ! ჰუ-ჰუ-ჰუ!

კი არ მღეროდა, ხმამაღლა, საზეიმო, თეატრალური ტონით კითხულობდა, მეცხრამეტე საუკუნის უნიჭო მსახიობის ხმით. რეპერტუარში ეს არასდროს ჰქონია. თვალწინ – ღმერთმა იცის, რატომ – ედვინ ბუტი[112] წარმოუდგა დ'არტანიანის სამოსით, პლუმაჟიანი შლაპითა და მისთანებით, ჯონ ლენონის ლირიკას დეკლამირებდა. ჰენრის ორი მკაფიო შეძახილი აღმოხდა:

– ჰა! ჰა!

მგონი, ვგიჟდები, – გაიფიქრა მან... მაგრამ ეს კარგიც იყო. ისევ დ'არტანიანის პირით წარმოთქმული „მე ლომვეშაპი ვარ" ჯობდა, ვიდრე იმ საზიზღარი ქმნილების სისხლით მორწყული კედელი, აბაზანიდან გადმოკიდებული, სოკოთი დაფარული „დოქტორი მარტენსი" და ყველაზე საძაგელი – გატეხილი კვერცხები, საიდანაც რხევა-რხევით გამოდიოდნენ თვალებიანი ბეწვები. და ყველა თვალი მას მისჩერებოდა.

გვერდზე გასწია ჭურჭლის სარეცხი სითხით სავსე ფლაკონი, ნაგვის ვედროც, და იპოვა, რასაც ეძებდა: „სპარქსი" – ყვითელი ქილა ცეცხლგამჩენი ნარევით, მაყალისთვის. მარიონეტების თეატრის გამოუცდელმა მსახიობმა, რომლის ხელშიც ის ჩავარდა, ჰენრის ხელი კონვულსიურად ააძაგძაგა, შემდეგ კი ქილაზე თითების შემოჭერის

[112] XIX ს-ის ამერიკელი მსახიობი.

ნება მისცა. ჰენრიმ ის სასტუმრო ოთახში გაიტანა, გზად კი, ბუხრის თავზე ჩამოკიდებული თაროდან, ასანთის კოლოფი აიღო.

– მე ვარ ის და შენ ხარ მე და ჩვენ ვართ ყველანი, – განაცხადა მან და სწრაფად დაბრუნდა ჯოუნსის საძინებელ ოთახში, სანამ მის თავში მყოფი შეშინებული არსება მის გაკონტროლებას მოასწრებდა, შემოაბრუნებდა და გაქცევას აიძულებდა. პიროვნება, რომელიც აიძულებდა, გაქცეულიყო, და იქამდე ერბინა, სანამ გონებას არ დაკარგავდა. ან არ მოკვდებოდა.

საწოლზე კი კვერცხები ერთიმეორის მიყოლებით სკდებოდა. ოცდახუთი თუ მეტი ბეწვი სისხლით გაჟღენთილ ზეწარზე დახოხავდა და ჯოუნსის ბალიშზე იკლაკნებოდა. ერთმა მათგანმა გირჩივით თავი ასწია და გაბრაზებით დასჭყივლა ჰენრის. მაღალი და გამკივანი ხმა ჰქონდა, მაგრამ ჰემრიმ ძლივს გაიგონა.

საკუთარ თავს შეყოვნების უფლებას არ აძლევდა. რომ შეჩერებულიყო, ყველაფრის ხელმეორედ დასაწყებად ძალა აღარ ეყოფოდა (გასვლა მხოლოდ ერთი კარიდან შეეძლო). ჰენრიმ საწოლისკენ ორი ნაბიჯი გადადგა. ერთი ბეწვი იატაკზე ჩამოსრიალდა და მიკროსკოპში მოთავსებული კუდზე შემდგარი სპერმატოზოიდივით მისკენ გაცოცდა. ჰენრიმ ფეხი დააბიჯა, იმავდროულად ქილას წითელი პლასტმასის თავსახური მიახრახნა. ცეცხლგამჩენი სითხე უხვად მოასხა საწოლზე, კედლებსა და იატაკზე. მასთან შეხებისთანავე ძაფისებური ქმნილებები ახალდაბადებული კნუტებივით საწყალობლად აკნავლდნენ.

– ეგმენი... ეგმენი... ლომვეშაპა!

ჰენრიმ მორიგ ბეწვს დააბიჯა და შეამჩნია, რომ ერთი არსება შარვლის მარჯვენა ტოტზე ჩაებღაუჭა და კუდზე შემდგარი ჯინსის სქელი ქსოვილის გაგლეჯას ცდილობდა ჯერ კიდევ რბილი კბილებით.

– ეგმენი, – ჩაილაპარაკა ჰენრიმ და ქმნილება მარცხენა ფეხით

მოიცილა. იატაკზე მიასრისა და მოულოდნელად იგრძნო, რომ ოფლში იწურებოდა. გარეთ რომ ასეთ მდგომარეობაში გასულიყო (არადა, გასვლა მოუწევდა, იქ ვეღარ დარჩებოდა), ფილტვების ანთება და სიკვდილი გარანტირებული ჰქონდა.

– აქ ვერ დავრჩები, ვერ მოვისვენებ! – წარმოთქვა ჰენრიმ ახალშეძენილი მაღალფარდოვნებით და ასანთის კოლოფი გახსნა, მაგრამ ხელები ისე უკანკალებდა, რომ ნახევარი იატაკზე დაუცვივდა. სულ უფრო მეტი ძაფისებური მატლი მოიწევდა მისკენ. შესაძლოა, ბევრი არაფერი გაეგებოდათ, მაგრამ ის კი იცოდნენ, რომ მათ წინაშე მტერი იდგა. ეს კარგად იცოდნენ.

ჰენრიმ, როგორც იქნა, ასანთის ღერი აიღო და ცერი თავზე მიაჭირა. ეს ფოკუსი პიტმა ასწავლა დიდი ხნის წინ. აბა, მეგობარი რის მეგობარია, თუ ასეთი გართობა არ გასწავლა! ახლა მისი რიგია, ძველ მეგობარს, ბივერს, ვიკინგების შესაფერისი დაკრძალვა უნდა მოუწყოს და ამასთან, ეს საზიზღარი, მომაბეზრებელი პატარა არსებებიც მოსპოს.

– ეგმენ!

მან ასანთს გაკრა და ცეცხლიც გაჩნდა. დამწვარ გოგირდს ისეთივე სუნი ჰქონდა, სახლში შემოსვლისას რომ იგრძნო. ზორბა, მძიმეწონიანი ქალის გაზების მყრალი სუნი.

– ლომვეშაპავ!

ასანთი საწოლთან დააგდო, სადაც ცეცხლგამჩენი სითხით გაჟღენთილი საბანი ეგდო. ღერის გარშემო ცოტა ხანს პატარა ცისფერი ალი კიაფობდა და ჰენრის ეგონა, რომ ჩაქრებოდა, მაგრამ ამ დროს ჩუმად იფეთქა და საბანქვეშ მოზრდილი ყვითელი ცეცხლი გაჩნდა.

– Hუ-ჰუ-ჰუ!

ცეცხლის ენები ზეწარს მოედო და წითელი შავად აქცია, შემდეგ ლორწოთი დაფარულ კვერცხებსაც გადასწვდა, გემო გაუსინჯა და მოეწონა. კვერცხები ტკაცატკუცით სკდებოდა ცეცხლში გახვეული მატლების კნავილის ფონზე. მღვრიე სითხე საწოლზე იღვრებოდა

და ცეცხლთან შეხებისთანავე შიშინს იწყებდა.

ჰენრი ზურგით წავიდა კარისკენ, თან ოთახში სითხის მოსხმას განაგრძობდა. ნავაჰოს ხალიჩის შუამდე მისულს ქილა დაუცარიელდა. მოისროლა, ასანთის მეორე ღერი აანთო და იატაკზე დააგდო. ამჯერად აფეთქება ტაშივით გაისმა და ნარინჯისფერი ალი ავარდა. ჰენრის ოფლისგან ალაპლაპებულ სახეში სიმხურვალე ეცა და მოულოდნელად საოცრად მოუნდა, რესპირატორები მოეშორებინა და ცეცხლში ამაყად შეებიჯებინა. სალამი, სიცხევ. სალამი, გაზაფხულო, გამარჯობა, წყვდიადო, ჩემო ძველო მეგობარო!

იგი მარტივმა და გონივრულმა აზრმა შეაჩერა. თუ თავს არ შეიკავებდა, მასში მთვლემარე ყველა ემოცია გაიღვიძებდა და წამოჰყოფდა თავს. დაე, დაწვრილებით ვერასდროს გაეგო, რა მოხდა იქ, მაგრამ იმის პასუხს ხომ მაინც მიიღებდა, ვინ მართავდა ვერტმფრენებს და ვინ ხოცავდა ცხოველებს. თუ, რასაკვირველია, მასაც იგივე ბედი არ ელოდა.

კართან მისულ ჰენრის ისეთი მკაფიო მოგონება ეწვია, რომ გული აუკვნესდა: ბივერი მუხლებზე დგას დადიტსის წინ, რომელიც ბოტასის უკულმა ჩაცმას ცდილობს. „არ გინდა, ბოტასი მოგარგო? “, ეუბნება ბივერი. დადიტსი მას გულის ამაჩუყებელი გაოცებით, ფართოდ გახელილი თვალებით, სიყვარულით შესცქერის და ეკითხება: „ასი მარგო? “

ჰენრი კვლავ ატირდა.

– მშვიდობით, ბივ, – ჩაიჩურჩულა მან, – მთელი გულით მიყვარხარ, მეგობარო.

თქვა და სიცივეში გავიდა.

6

იგი „კედელში გაკეთებული ხვრელის“ შორეული კუთხისკენ გაემართა, სადაც შეშა ეწყო. იქვე ეგდო ბრეზენტის ძველი, გახუნებუ-

ლი, მოთეთრო ნაჭერი, რომელიც მიწას მიჰყინოდა. ჰენრიმ მას ორივე ხელი ჩაავლო და მოქაჩა, დიდხანს იწვალა მის გამოსათავისუფლებლად. ბრეზენტის ქვეშ თოვლში სასიარულო მრგვალი თუ გრძელი თხილამურები, ციგურები და ყინულის წარღვნის დროინდელი საბურღიც კი აღმოაჩინა.

ჰენრი კარგად მივიწყებულ, ზამთრის ამ მოწყობილობებს დააცქერდა და მოულოდნელად საშინელი დაღლილობა იგრძნო... არა, დაღლილობა კიდევ მსუბუქი ნათქვამია. მან ათი მილი გაირბინა, თანაც საკმაოდ სწრაფად, ავარიაშიც მოყვა და ბავშვობის მეგობრის სხეულსაც მიაგნო. დანარჩენი ორიც სამუდამოდ დაკარგულად მიაჩნდა.

თვითმკვლელობა ასე რომ არ ამკვიატებოდა, ახალ გაგიჟებული ვიქნებოდი, – გაიფიქრა მან და გაეცინა. სიცილი კარგია, მაგრამ დაღლილობას ვერ შველის. იქაურობას უნდა გასცლოდა. ხელისუფლების წარმომადგენელი ეპოვა და მომხდარის შესახებ ეცნობებინა. შესაძლოა, ყველაფერი უკვე ისედაც იცოდნენ, – სროლა მოწმობდა, რომ ნამდვილად იცოდნენ, თუმცა პრობლემის გადაწყვეტის მათეული მეთოდები ჰენრის გულზე არ ეხატებოდა, – იქნებ, სინდიოფალასა და მისი კვერცხების შესახებ ჯერ არავის შეეტყობინებინა? ჰენრი დელვინი შეატყობინებს. მასზე უკეთ ამას ვერავინ გააკეთებს. ბოლოს და ბოლოს, ეგმენია, რაც უნდა იყოს.

თოვლში სასიარულო მრგვალი თხილამურის ტყავის თასმები თაგვებს ისეთ დღეში ჩაეგდოთ, რომ ხელის შეხებაზეც კი ნაწილებად იშლებოდა. მაგრამ გულმოდგინედ გადარჩევის შემდეგ მაინც მიაგნო იმ ადგილებში სასიარულოდ გამოსადეგ მოკლე თხილამურს, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს უკანასკნელად ორმოცდაათი წლის წინ გამოიყენეს. სამაგრებს ჟანგი მოსდებოდა, მაგრამ როდესაც ორივე ცერით მიაწვა, ადვილად დაჰყვა. მათში ჩექმების ჩასმაც მოახერხა.

ქოხიდან მსუბუქი ტკაცატკუცი გაისმა. ჰენრიმ ხელისგული კედელს მიადო და სითბო იგრძნო. მანსარდის კარნიზთან დაყრილ თხილამურის ჯოხებს აბლაბუდა მოსდებოდა. ჰენრის არ უნდოდა მათზე შეხება, – ჯერაც თვალწინ ედგა საზიზღარი ქმნილებების დაკლაკნილი სხეულები, – მაგრამ რადგან ხელთათმანი ეცვა, გაბედა, ქსელი მოაცილა და სასწრაფოდ შეუდგა გადარჩევას. ფანჯარაში, ზედ მის თავთან, ნაპერწკლები ცეკვავდა.

როგორც იქნა, შეარჩია ორი ცალი, რომელიც ცოტათი მოკლე აღმოაჩნდა. ძველი თხილამურითა და მხარზე გადაკიდებული თოფით უხერხულად გაემართა სახლის კუთხისკენ, საკუთარი თავი ნაცისტ დესანტს მიამსგავსა ალისტერ მაკლინის[113] რომანიდან. ჰენრიმ უკან სწორედ მაშინ მიიხედა, როდესაც ფანჯარა, სადაც ის იდგა, ისეთი ხმაურით ჩაიმსხვრა, თითქოს ვიღაცამ მეორე სართულიდან ქაშანურის დიდი ჯამი ჩამოაგდოო. ჰენრი მოიხარა, იგრძნო, როგორ შეესო ნამსხვრევები მის ქურთუკს. ზოგიერთი თმაშიც გაეჩხირა. მიხვდა, რომ დროზე გაასწრო, თორემ გახურებული შუშა მთელ სახეს დაუსისხლიანებდა, იქნებ დაბრმავებულიყო კიდეც.

ჰენრიმ ცას ახედა, მოხრილი ხელისგულები პირთან მიიტანა და ელ ჯოლსონივით[114] შესძახა:

– მანდ, ზევით, ვიღაცას ვუყვარვარ! ალილუია!

ცეცხლის ენები ფანჯრიდან შემოიჭრა და უკვე კარნიზებს ლოკავდა. ჰენრის სკდომისა და მსხვრევის ხმა ესმოდა. ლამარ კლარენდონის მონადირის სახლი, რომელიც მამამისს მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე აეშენებინა, ახლა მხიარულად იწვოდა. ცხადია, ეს სიზმარი იყო.

ჰენრიმ სახლს საკმაოდ შორიდან შემოუარა, ხედავდა, საკვამურიდან როგორ ბღუჯებად ისროდა ნაპერწკლებს ღრუბლებისკენ. ჯერ – აღმოსავლეთით, სადღაც, კვლავ ტყვიამფრქვევი კაკანებდა,

---

[113] მძაფრსიუჟეტიანი რომანების ავტორი.

[114] ამერიკელი მომღერალი და მსახიობი.

შემდეგ დასავლეთით აფეთქდა რაღაც... ნეტა რა ხდებოდა ღვთის სახელით? ვერაფერს ხვდებოდა. მაგრამ თუ ადამიანებამდე საღ-სალამათი მიაღწევდა, ალბათ, ყველაფერს უამბობდნენ.

– თუ მეც მონადირის ჩანთაში არ გადამიძახეს, – თქვა მან. მისი ხმა ყვავის ჩხავილივით გაისმა და მიხვდა, რომ წყურვილით იხრჩობოდა. იგი ფრთხილად დაიხარა (ათ წელზე მეტი გასულიყო, რაც თხილამურებზე არ მდგარა), ორივე ხელით თოვლი აიღო, პირში ჩაიტენა და დაელოდა, როდის გადნებოდა და ყელს ჩაუსველებდა. ამას ვერაფერი შეედრებოდა! ჰენრი დელვინი, ფსიქიატრი და „ჰემინგუეის გამოსავლის“ შესახებ სტატიის ავტორი, ჭაღარაშერეული მამაკაცი, რომელიც ოდესღაც ყმაწვილი იყო, მოგვიანებით კი მაღალ, გამხდარ, სათვალიან ჭაბუკად იქცა (სათვალე ყოველთვის ცხვირის წვერზე უცურდებოდა), მამაკაცი, რომლის მეგობრებიც ან დაიღუპნენ, ან გაიქცნენ, ან ისე შეიცვალნენ, რომ ვეღარავინ იცნობდა, სწორედ ეს მამაკაცი იდგა ახლა თხილამურზე იმ სახლის კართან, სადაც აღარასოდეს დაბრუნდებოდა, ხარბად ჭამდა თოვლს, როგორც „შრაინის“ ცირკის წარმოდგენაზე მოხვედრილი ბიჭი – „ბამბის ნაყინს“; იდგა და უყურებდა, როგორ იწვოდა დედამიწაზე უკანასკნელი ადგილი, სადაც იგი თავს კარგად და მყუდროდ გრძნობდა. ალს უკვე კედრის ყავარში გაეღწია. სახურავზე თოვლი დნებოდა და ცხელი წყალი შიშინით მიექანებოდა წყალსადინარი მილებისკენ. ცეცხლის ენები სტუმართმოყვარე მასპინძელივით უხმობდნენ და ეპატიჟებოდნენ ახალმოსულებს, – იჩქარეთ, დროზე მოდით, სანამ ყველაფერი ფერფლად ქცეულაო. გრანიტის ფილაზე დაგებული მოწითალო ოქროსფერი საფენი დაიწვა და ნაცრისფრად იქცა.

– კარგია, – ჩაიბურტყუნა ჰენრიმ, რომელიც გაუცნობიერებლად უჭერდა ხელებს თხილამურის ჯოხებს, – ძალიან კარგია.

კიდევ თხუთმეტიოდე წუთი იდგა, მერე ვეღარ გაუძლო, ცეცხლს ზურგი აქცია და იმ გზას გაუყვა, რომლითაც მოვიდა.

7

სადღა იყო ძველებური სისწრაფე. ოცი მილი უნდა გაევლო (უფრო ზუსტად, 22, 02 შეუსწორა საკუთარ თავს) და თუ გარკვეული სიჩქარით არ იმოძრავებდა, მიზანს ვერასდროს მიაღწევდა. ცდილობდა, თოვლმავლის ნაკვალევს გაჰყოლოდა, მაგრამ იმაზე გაცილებით ხშირად ისვენებდა, ვიდრე აქეთობას.

ეჰ, მაშინ ხომ უფრო ახალგაზრდა ვიყავი, – გაიფიქრა ჰენრიმ ოდნავ ირონიულად.

მას დაავიწყდა, რომ ჯეფერსონტრექტზე დრო გაჩერდა, ამიტომ ორჯერ დახედა საათს. ცა თანდათან მოიქუფრა და დროის განსაზღვრა შეუძლებელი გახდა. ცხადია, ჯერაც დღე იყო, მაგრამ არ იცოდა, მალე მოსაღამოვდებოდა თუ არა. ჩვეულებრივ, ამას შიმშილის გრძნობა კარნახობდა ხოლმე, მაგრამ რა მადა შერჩებოდა მას შემდეგ, რაც იხილა? საზიზღარი ქმნილება ჯოუნსის საწოლზე, კვერცხები და ბეწვები შავი, გადმოკარკლული თვალებით, აბაზანიდან გადმოკიდებული ფეხსაცმელი. გრძნობდა, რომ პირში ლუკმასაც ვერ ჩაიდებდა... რომც ჩაედო, ყველაფერს ზიზღით შეხედავდა, ყველაფერს – ოდნავ მოწითალო შეფერილობით. და სოკო? არა, გმადლობთ.

მალე აღმოაჩინა, რომ თხილამურით სრიალი, განსაკუთრებით ასეთ ადგილებში, ველოსიპედის ტარებას ჰგავდა: ერთხელ შეძენილ უნარს არასდროს დაკარგავდით. პირველ გორაკზე ასვლისას ჰენრი დაეცა – თხილამურები დაუცურდა და ცხვირით თოვლში ჩაეფლო. სამაგიეროდ, თამამად დაეშვა ფერდობზე. მართალია, კოლბოხებზე კინაღამ წონასწორობა დაკარგა, მაგრამ თავი შეიმაგრა. გაახსენდა, რომ თხილამურები არაქისის პრეზიდენტის[115] დროიდან არ შეეზეთათ. მაგრამ თუ თოვლმავლის მიერ გატკეპნილ გზაზე ივლიდა, მიზანს მიაღწევდა. იქაურობა მხეცების ნაკვალევით იყო მოფენილი – დიფქათროუდზე ამდენი კვალი ცხოვრებაში არ ენახა. რამდენიმე

[115] იგულისხმება ჯიმი კარტერი, აშშ-ის პრეზიდენტი 1977-1981 წწ-ში.

საცოდავ ცხოველს გზაზე ევლო, დანარჩენები დასავლეთიდან აღმოსავლეთით გადასულიყვნენ. დიფქათი ზარმაცად მიიზლაზნებოდა ჩრდილო-დასავლეთისკენ, დასავლეთი კი ცალსახად ის მხარე იყო, რომელსაც ცხოველთა ადგილობრივი პოპულაციები გაურბოდნენ.

ვმოგზაურობ, – გაიფიქრა მან, – იქნებ, ოდესმე ვინმემ დაწეროს კიდეც ეპიკური პოემა „ჰენრის მოგზაურობა".

– დიახ, – თქვა მან ხმამაღლა, – დრო თანდათან შენელდა, რეალობა გამრუდდა, ეგმენი წინ წავიდა, უკან აღარ დაბრუნდა.

მერე გაეცინა, მაგრამ სიცილი ხველაში გადაეზარდა. ჰენრი გზიდან გადავიდა, თოვლი აიღო, პირში ჩაიდო და სიამოვნებით გადაყლაპა.

– გემრიელია... და სასარგებლოც! – განაცხადა მან, – თოვლი! ამიერიდან არავითარი საუზმე!

მან ზევით აიხედა, რაც შეცდომა იყო. წამით თვალთ დაუბნელდა. თავბრუ დაესხა და კინაღამ წაიქცა. მაგრამ შეტევა ისევე სწრაფად გაქრა, როგორც დაიწყო. ცა უფრო საშინლად მოიქუფრა. თოვას აპირებდა? ღამდებოდა? თუ ორივე ერთად?

დაძაბულობისგან მუხლებსა და კოჭებში სისუსტეს გრძნობდა, ხელები, რომლებითაც თხილამურის ჯოხებს აწვებოდა, სტკიოდა. უკვე შეეგუა აზრს, რომ გოსლინის მაღაზიას დაბნელებამდე ვერ მიაღწევდა, მაგრამ ახლა, როდესაც პირში თოვლის გუნდას ატრიალებდა, მიხვდა, რომ შეიძლებოდა, საერთოდაც ვერ მიეღწია იქამდე.

ჰენრიმ თეძოზე შემოხვეული მაისური მოიხსნა და თავზარი დაეცა, როდესაც ლურჯ ჯინსზე ხასხასა წითელ ძაფს მოჰკრა თვალი. გულმა ისეთი ბაგაბუგი აუტეხა, რომ თვალწინ კვლავ შავი წერტილები აუთამაშდა. აკანკალებული ხელი იქით წაიღო.

რის გაკეთებას აპირებ? – გაუბრაზდა საკუთარ თავს, – გინდა ისე მოიცილო, როგორც უბრალო ძაფი?

მაგრამ სწორედ ასე მოიქცა, რადგან ეს მართლაც „წითელი გეტრების" ემბლემიანი მაისურიდან გამომძვრალი, უბრალო ძაფი აღმოჩნდა. ხელი გაუშვა და შეჰყურებდა, როგორ ეშვებოდა ის თოვლზე. შემდეგ თეძო კვლავ მაისურით შეიხვია. იმ ადამიანის კვალობაზე, რომელსაც სულ რაღაც ოთხი საათის წინ ვერ გადაეწყვიტა, რა აერჩია: თოკი და მარყუჟი, აბაზანა და პოლიეთილენის პაკეტი, მაღალი ხიდი თუ მუდამ პოპულარული „ჰემინგუეის გამოსავალი", ზოგიერთ წრეებში „მშვიდობით, პოლიციელოს '' „ სახელით რომ იცნობდნენ, ზედმეტად დაშინდა, თუმცა მხოლოდ ერთი-ორი წამით.

ვინაიდან არ მინდა, რომ ასე წავიდე, – უთხრა საკუთარ თავს, – არ მინდა, რომ ცოცხლად შემჭამონ...

– პლანეტა X-დან მოსულმა საზიზღარმა სოკოებმა, – დააზუსტა.

ეგმენმა გზა განაგრძო.

8

სამყარო დაპატარავდა, როგორც ყოველთვის ხდება, როდესაც დაუძლურების ზღვარზე ვართ, სამუშაო კი არ დაგვისრულებია, მეტიც, დასრულების პირიც კი არ უჩანს. ჰენრის ცხოვრება ოთხ მარტივ მონოტონურ მოძრაობამდე – ხელებითა და ფეხებით თოვლში ორი თხილამურისა და ორი ჯოხის გადაადგილებამდე დავიდა. ტკივილი გაქრა, დროებით მაინც, თითქოს სხვა ზონაში შეაბიჯა.

გაახსენდა, რომ მსგავსი რამ საშუალო სკოლაშიც შეემთხვა, როდესაც „დერელი ვეფხვების"კალათბურთის გუნდის ძირითად ხუთეულში ცენტრალურ თავდამსხმელად გაამწესეს. ნახევარფინალის გადამწყვეტ საპლეიოფო მატჩში, მესამე ტაიმის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე, ოთხიდან სამი საუკეთესო მოთამაშე მოედნიდან გავიდა. მწვრთნელმა ჰენრი დატოვა და მარტო უმკლავდებოდა. სულის მოთქმას მხოლოდ ტაიმაუტების ან საჯარიმოების დროს თუ ახერხებდა. ბოლომდე გაუძლო, მაგრამ იმ დროისთვის, როდესაც

მატჩის დამთავრების მაუწყებელი სასტვენის ხმა გაისმა („ვეფხვებმა“ სამარცხვინოდ წააგეს), იგი თითქოს ბედნიერების ნისლში ცურავდა. მამაკაცების გასახდელისკენ მიმავალს ფეხები ეკეცებოდა, ის კი მაინც სულელურად იღიმებოდა. სამაგიეროდ, გაოფლილმა, წითელმაისურიანმა თანაგუნდელებმა მოწონების შეძახილით, სტვენითა და ტაშით დააჯილდოეს.

აქ ვერავინ დაუკრავდა ტაშს, ვერავინ დაუსტვენდა, მხოლოდ აღმოსავლეთიდან ისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი, შესაძლოა, ოდნავ შენელებული, მაგრამ კვლავინდებურად მკვეთრი.

უფრო შემაძრწუნებელი კი ცალკეული გასროლის ექო იყო, სადღაც, წინიდან. გოსლინის მაღაზიიდან? ამას დაზუსტებით ვერ იტყოდა.

უეცრად გააცნობიერა, რომ „ეშმაკისადმი თანაგრძნობას“ მღეროდა („დარწმუნდით, დალახვროს ეშმაკმა, რომ პილატემ ხელები დაიბანა და მისი ბედი გადაწყვიტა, გმადლობთ, თქვენ შესანიშნავი მსმენელები იყავით, ღამე მშვიდობისა“) – სიმღერას, რომელიც „როლინგ სტოუნზის“ შემოქმედებიდან ყველაზე ნაკლებად მოსწონდა. თავს ძალა დაატანა და გაჩერდა, როდესაც მიხვდა, რომ ამ სიმღერის სიტყვები და საავადმყოფოში მყოფ ჯოუნსიზე მოგონებები ერთმანეთში ერეოდა; ჯოუნსი გასული წლის მარტში რომ ნახა, არა ღონემიხდილი, არამედ რაღაცნაირად დაპატარავებული იყო, თითქოს მისი რაობა გარეთ გამოსულიყო, რათა დამცავ გარსში მოექცია ძალადობისგან დასახიჩრებული და აღშფოთებული სხეული. ჰენრის ეგონა, რომ ჯოუნსი მოკვდებოდა და თუმცა ის გადარჩა, ჰენრი მიხვდა, რომ სწორედ მას შემდეგ დაფიქრდა თვითმკვლელობაზე. სახეების გალერეას, ღამღამობით რომ არ ასვენებდა, – მამის ნიკაპზე ჩამოღვრილ მოთეთრო-მოცისფრო რძეს, გასასვლელისკენ გაქცეულ ბარი ნიუმენის ათრთოლებულ დუნდულებს და რიჩი გრენადოს, რომელიც ატირებულ, თითქმის შიშველ დადიტსს ძაღლის განავალს აძალებდა, ახლა ჯოუნსის გამხდარი სახე და ჩაცვენილი თვალები

დაემატა, მანქანის მიერ ყოვლად უმიზეზოდ და უსაფუძვლოდ გატანილი, ქვაფენილზე გაშხლართული ჯოუნსი, მოუსავლეთში წასასვლელად გამზადებული ჯოუნსი. ექიმების მტკიცებით, მდგომარეობა სტაბილური იყო, თუმცა მეგობრის თვალებში ჰენრი მოახლოებულ აღსასრულს ხედავდა. თანაგრძნობა ეშმაკისადმი? კარგი, რა. არც ღმერთი იყო, არც ეშმაკი და არც თანაგრძნობა. და თუ ამას მიხვდით, ცუდად წაგსვლიათ საქმე. თქვენ – „ახალი ამერიკის კულტურად" წოდებული სიცილის დარბაზის მოყვარულ, გადახდისუნარიან მნახველს თითებზე ჩამოსათვლელი დღეები დაგრჩენიათ.

მას კვლავ მოესმა საკუთარი სიმღერა – „როგორც ჩანს, ჩემი თამაშის ხასიათი უხერხულობის განცდას აღგიძრავს..." – და ისევ დაატანა თავს ძალა და გაჩუმდა. მერე რა? რაღაც აბდაუბდა, უაზრობა. სულელური, მაგრამ გემრიელი, „ახალი ამერიკის კულტურით" გაჟღენთილი ბოდვა. „დები პოინტერების" სიმღერაზე რის თქმა შეიძლებოდა? ცუდი იდეა ნამდვილად არ იყო.

ჰენრი მოშარიშურე თხილამურებსა და თოვლმავლის მიერ გაყვანილ სწორ ჰორიზონტალურ ნაკვალევს დაჰყურებდა. მან სიმღერა წამოიწყო, მაგრამ მალე მელოდია მონოტონური, უმოტივო ზუზუნ-ჩურჩულისკენ გაექცა, პერანგი ერთიანად ოფლით გაეჟღინთა, ცხვირიდან წამოსული წვინტლი ზედა ტუჩზე მიეყინა, მაგრამ კვლავაც ჯიუტად იმეორებდა:

– ვიცი, რომ შევძლებთ, ვიცი, რომ შევძლებთ, ვიცი, რომ ამას შევძლებთ, დიახ, ჩვენ შევძლებთ, შევძლებთ, დიახ, ჩვენ შევძლებთ, დიახ, შევძლებთ...

უკეთესი იყო. გაცილებით უკეთესი. და ეს ყველაფერი ისევე მიეკუთვნებოდა „ახალი ამერიკის კულტურას" როგორც „ფორდის" პიკაპის გაჩერება ბოულინგის ცენტრის პარკინგზე, როგორც ქალის საცვლების ფასდაკლებით გაყიდვა ჟჩPენნეყ-ში, როგორც მკვდარი როკვარსკვლავი აბაზანაში.

9

როგორც იქნა, ქოხს მიაღწია, სადაც პიტი და ქალი დატოვა. პიტი არსად ჩანდა. კვალიც კი არ დაეტოვებინა.

ჩარდახის დაჟანგული თუნუქის სახურავი ჩამოქცეული დახვდა. ჰენრიმ ასწია და შეიხედა დასარწმუნებლად, რომ პიტი იქ არ იყო. პიტი იქ მართლაც არ იყო, სამაგიეროდ, ქალი ნახა. როგორც ჩანს, იგი ან თვითონ მიფოფხდა იმ ადგილამდე, ან ვიღაცამ გადააადგილა იქიდან, სადაც ჰენრიმ წასვლამდე დატოვა. დაახლოებით იმ დროს უწია სიკვდილმა. ტანსაცმელსა და სახეზე ისეთივე ჟანგისფერი ობი მოსდებოდა, მონადირეების სახლს რომ მოუღო ბოლო, მაგრამ ჰენრიმ ერთი საინტერესო განსხვავება შეამჩნია: მართალია, ქალზე ამონაყარი ყვაოდა (განსაკუთრებით ნესტოებსა და გახელილ თვალში, საიდანაც ნამდვილი ჯუნგლი ამოსულიყო), არათანაბრად განაწილებული კოლონიები მისი სხეულის უკანა ნაწილში თვალსა და ხელს შუა სუსტდებოდა, ფერმკრთალდებოდა, ნაცრისფრდებოდა და გავრცელებას წყვეტდა. არც წინა მხარეს მოდებული ხავსი იყო უკეთეს მდგომარეობაში: როგორც ჩანს, კოცონი ავრცელებდა სითბოს და ნიადაგი თოვლისგან გაწმენდილიყო. ბუსუსების დაბოლოებებს უკვე ვულკანური ფერფლის ელფერი დასდებოდა.

ჰენრის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ სოკო იღუპებოდა.

დღეც დასასრულს უახლოვდებოდა – ესეც აშკარად ჩანდა. ჰენრიმ დაჟანგული თუნუქის ფურცელი კვლავ ბეკი შუს სხეულსა და მინავლულ ნაკვერჩხალზე დაუშვა, მერე თოვლმავლის დატოვებულ ნაკვალევს გახედა და ძალიან მოუნდა, ისევე, როგორც მაშინ, გვერდით ჰყოლოდა რომელიმე ნატი ბამპო[116], რომელიც კვალის წაკითხვას თვალდახუჭული შეძლებდა, ან, თუნდაც, ძველი მეგობარი ერკიულ პუარო[117] თავისი პატარა რუხი უჯრულებით.

---

[116] ფენიმორ კუპერის მოთხრობების გმირი, მონადირე.

[117] აგატა კრისტის ლიტერატურული პერსონაჟი, დეტექტივი.

კვალი ჯერ დანგრეული ქოხისკენ უხვევდა, შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით, გოსლინის მაღაზიისკენ მიემართებოდა. იქვე, თოვლზე, მოჩანდა ადამიანის სხეულის მკაფიო ანაბეჭდი და მომრგვალებული ბუსნო მის ორივე მხარეს.

– აბა, რას იტყვი, ერკიულ? – იკითხა ჰენრიმ, – რას უნდა ნიშნავდეს ეს, მონ ამი?[118]

მაგრამ ერკიული დუმდა.

ჰენრი კვლავ აღიღინდა ცხვირში და ბუსნოსკენ დაიხარა. ვერც კი შეამჩნია, როგორ გადაერთო „დები პოინტერებისგან" „როლინგ სტოუნზზე".

საკმარისი შუქი იყო, რათა სხეულის ანაბეჭდის მარცხნივ, სამი ღრმული შეემჩნია. პიტმა უცნაური სიამაყით წაიტრაბახა, – მეგობარმა გოგომ ტანსაცმელი დამიბებკა, მაგ ძონძებით სანადიროდ ვერ გაგიშვებო. ჰენრის ისიც გაახსენდა, როგორ თავშესაქცევად, თუმცა ოდნავ სევდიანად მოეჩვენა, რომ პიტმა ბედნიერ მომავალზე ოცნება სიკეთის ამ ერთ უბრალო ფაქტზე ააგო... ფაქტზე, რომელიც იმ გარემოს უკავშირდებოდა, რომელშიც ის ქალბატონი აღიზარდა და ლუდით გაჟღენთილი მეგობრისადმი მის გრძნობებს.

მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. რაც მთავარია, ჰენრის, ბოლოს და ბოლოს, დედუქციური მეთოდის ამუშავების შესაძლებლობა მიეცა. პიტი ჩამოვარდნილი სახურავის ქვეშიდან გამოძვრა. ჯოუნსი – ან ის, რაც მასში იჯდა, ღრუბელი – გზაზე თოვლმავლით მიდიოდა. მან ჩამოქცეული ქოხისკენ გადმოუხვია და პიტი წაიყვანა.

რატომ?

ჰენრიმ ეს არ იცოდა.

პიტმა ნანგრევებიდან გამოსაძრომად იდაყვები და ჯანმრთელი ფეხი აამუშავა. მაგრამ ჰენრის გატანჯული მეგობრის მიერ თოვლში დატოვებული ყველა ლაქა სოკო როდი იყო. ზოგიერთი გამხმარი

[118] ჩემო მეგობარო (ფრ).

სისხლი აღმოჩნდა. მაშასადამე, პიტი დაიჭრა. სახურავის ჩამოვარდნისას? თუ კიდევ მოხდა რამე?

უეცრად ჰენრიმ დაკლაკნილი კვალი შეამჩნია, რომელიც იმ ღრმულს შორდებოდა, რომელშიც პიტი იწვა. ბოლოში რაღაც მოჩანდა. თავდაპირველად დამწვარი ტოტი ეგონა. ახლოს მისულმა აზრი შეიცვალა – ის კიდევ ერთი საზიზღარი ქმნილება აღმოჩნდა, ოღონდ მკვდარი, დანახშირებული. ცეცხლისგან გადარჩენილ ნაწილებს ნაცრისფერი დასდებოდა. ჰენრიმ მას ჩექმის ჭვინტი გაჰკრა. ქვეშ პატარა გაყინულ მასას მოჰკრა თვალი. კიდევ კვერცხები. როგორც ჩანს, ეს ქმნილება სიკვდილის წინაც განაგრძობდა კვერცხების დებას.

ჰენრიმ კვერცხებსაც და პატარა ურჩხულის სხეულსაც თოვლი მიაყარა. შემდეგ კვლავ შეიხსნა იმპროვიზებული სახვევი, რათა ჭრილობისთვის შეეხედა, და სწორედ მაშინ მიხვდა, რას მღეროდა. მაშინვე კბილები ერთმანეთს დააჭირა და სიმღერა შეწყვიტა. ჰაერში ახალი, უწყინარი თოვლის ფანტელები დაფარფატებდა.

– რატომ ვმღერი ამას, – ჰკითხა ჰენრიმ თავის თავს, – რატომ ამეკვიატა ეს წყეული სიმღერა?

დასმულ შეკითხვაზე პასუხს არც ელოდა; უბრალოდ, საკუთარი ხმის გაგონება (იმ სიკვდილის სავანეში თუ მოჩვენებების სამყოფელში) ყოფნას უადვილებდა. მაგრამ სრულიად მოულოდნელად მოესმა:

– იმიტომ, რომ ეს ჩვენი სიმღერაა. ეს „გუნდის ჰიმნია, რომელსაც ბრძოლაში წასვლის წინ ვუკრავთ. ჩვენ კრუზის ბიჭები ვართ.

კრუზის? ასე თქვეს? ტომ კრუზის? ხომ არ მოესმა?

აღმოსავლეთით სროლის ხმა თანდათან მიყუჩდა. ცხოველების ხოცვა-ჟლეტა დასრულდა, მაგრამ იქ იყვნენ კაცები, რომლებსაც შეეძლოთ შეუბრალებლად ესროლათ ტყვიამფრქვევიდან, მწვანე ან შავ, და არა ნარინჯისფერ ტანსაცმელში გამოწყობილი ეს მონადი-

რეები, ამ სიმღერას თავისი მოვალეობის შესრულების დროსაც უსმენდნენ და ყასბის შემაძრწუნებელ თვლას აგრძელებდნენ:

„ვიჯექი ტანკში გენერლის რანგში, ბლიცკრიგი გახურდა, გვამები აყროლდა... მიხარია თქვენი გაცნობა, ბატონებო, ვიმედოვნებ, მიხვდით, ვინც ვარ“.

ნეტავ, რა ჯანდაბა ხდება აქ? არა ველურ, შესანიშნავ, გადარეულ გარე სამყაროში, არამედ მის საკუთარ თავში? თავის ცხოვრების – დადიტსის გაცნობის შემდგომი ცხოვრების აღქმაში ზოგჯერ კი ჰქონდა გამონათება, მაგრამ მსგავსი არასდროს უგრძნია.

რა იყო ეს? ნუთუ დადგა დრო, ახლოდან დაკვირვებოდა ხაზის ხილვის ახალ, უფრო მძლავრ მეთოდს?

არა. არა, არა, არა.

თავში ისევ ის დამცინავი სიმღერა ჩაესმა:

„გენერლის რანგში... გვამები აყროლდა...“

– დადიტს! – გასძახა ნაცრისფერ, მომაკვდავ სივრცეს. ზარმაცი ფიფქები გახეული ბალიშიდან გადმოყრილი ბუმბულივით ეშვებოდა მიწაზე. რომელიღაც აზრი გარეთ გამოსვლას ცდილობდა, მაგრამ დიდი, ძალიან დიდი იყო და ამას ვერ ახერხებდა.

– დადიტს! – შესძახა ჰენრიმ ეგმენის შთამაგონებელი ხმით და ერთ რამეს მაინც მიხვდა: ამიერიდან თვითმკვლელობის ფუფუნებას უნდა დამშვიდობებოდა. ეს მისთვის ყველაზე დიდი საშინელება იყო, რადგან უცნაური აზრებისგან – ყველას ჩამოვთვლი, ვინც კენედების მკვლელობაში მონაწილეობდა“– ლამის თავი გასკდომოდა. მან კვლავ ამოისლუკუნა თავგზააბნეულმა, შეშინებულმა, ტყეში მარტოდ დარჩენილმა. ყველა მეგობარი მოუკვდა, ჯოუნსის გარდა. ჯოუნსი კი საავადმყოფოში იწვა. კინოვარსკვლავი საავადმყოფოში იყო მისტერ გრეისთან ერთად.

– ეს რას უნდა ნიშნავდეს? – ამოიკვნესა ჰენრიმ და ხელისგულები საფეთქლებზე მიიჭირა (თავი თითქოს თვალსა და ხელს შუა უსივდებოდა). თხილამურების ძველი საყრდენი ჯოხები უმწეოდ,

დამტვრეული პროპელერებივით ჩამოკონწიალებოდა მაჯებზე, – ღმერთო ჩემო, ეს ყველაფერი რას უნდა ნიშნავდეს?

პასუხად მხოლოდ სიმღერა მოესმა:

– „მიხარია თქვენი გაცნობა, ბატონებო! ვიმედოვნებ, მიხვდით, ვინც ვარ! "

მხოლოდ თოვლი, ირგვლივ მიმოფანტული ცხოველების სისხლისგან გაწითლებული – ირმების, ენოტების, კურდღლების, სინდიოფალების, დათვებისა და ვირზაზუნების დაჰაუ...[119]

ჰენრიმ შეჰყვირა, თავში ხელები წაიშინა და ხმამაღლა და სასო წარკვეთით შეჰყვირა, მოეჩვენა, რომ გონებას კარგავდა. შემდეგ თავბრუ სხვევამ გაუარა და გონება ისევ დაეწმინდა. მხოლოდ დადიტსის საო ცრად მკაფიო სახე დარჩა მასთან – ის, პირველი შეხვედრის დრო ინდელი, არა ზამთრის ბლიცკრიგით განათებული, როგორც „სტოუნზის" სიმღერაშია, არამედ ოქტომბრის მოღრუბლული დღის დამამშვიდებელი შუქით; დადიტსი თავისი ელამი, ჩინელისთვის დამახასიათებელი თვალებით, საიდანაც, უცნაურია, მაგრამ ერთგვარი სიბრძნე გამოსჭვიოდა. „დადიტსი ჩვენი ცხოვრების ყველაზე ნათელი წერტილი იყო", – უთხრა მან პიტს.

– ას აგებ? – ხმამაღლა თქვა ჰენრიმ, – ოტას აგებ?

„ჰო, ოტას აგებ. შეატრიალე და ისე ჩაიცვი ოტასი".

მან ოდნავ გაიღიმა (ლოყები ჯერაც ცრემლიანი ჰქონდა და საცაა მოეყინებოდა კიდეც), შემდეგ კი თხილამურებით ისევ თოვლმავლის გაკვალულ გზას დაადგა.

10

გავიდა ათი წუთი და ჰენრი ნაავარიებ სკაუტს მიადგა. უეცრად იგრძნო, რომ საშინლად შიოდა, მანქანაში კი საჭმელი უნდა ყოფილიყო. მანქანასთან ორ კვალს მოჰკრა თვალი. არც ნანტი ბამპო სჭირდებოდა იმის მისახვედრად, რომ პიტს ქალი მიეტოვებინა და

[119] ერთ-ერთი პირველი საკონცენტრაციო ბანაკი გერმანიის ტერიტორიაზე.

აქ მოსულიყო და არც ერკიულ პუარო იმის დასადგენად, რომ მაღაზიაში შეძენილი პროდუქტი – უმეტესი ნაწილი მაინც – ჯერაც აქ იყო. ჰენრიმ კარგად იცოდა პიტის მოსვლის მიზეზი. მეგობრის კვალს მიჰყვა, მანქანას შემოუარა, თხილამურის სამაგრის შესახსნელად დაიხარა და გახევდა. ამ მხარეს ქარი ნაკლებად ქროდა და სიტყვები, რომლებიც პიტს თოვლზე დაეწერა, სანამ იჯდა და ორ ბოთლ ლუდს შეექცეოდა, შენახულიყო. ორივე სიტყვა ტყუპისცალივით ჰგავდა ერთმანეთს. ესენი იყო... დადიტსი.

ამ სახელის წაკითხვისას ჰენრი კანკალმა აიტანა. თითქოს საყვარელი ადამიანის საფლავზე მისულს მიწიდან მისი ხმა გაეგონა.

11

მანქანაში შუშის ნამსხვრევები ეყარა. იქაურობა, ძირითადად, უკანა დასაჯდომი, სისხლით იყო მოთხვრილი, რის გამოც ჰენრიმ დაასკვნა, რომ პიტი ავარიის დროს კი არ დაიჭრა, მოგვიანებით, როცა დაბრუნდა. გაოცდა, როდესაც შიგნით მოწითალო ოქროსფერი ობის ნასახიც ვერ აღმოაჩინა. ის საკმაოდ სწრაფად იზრდებოდა, რაც ლოგიკურად ნიშნავდა, რომ აქეთობისას პიტი დაინფიცირებული არ იყო. შესაძლოა, ეს მოგვიანებით მოხდა, ოღონდ არა მაშინ.

ჰენრიმ პური, არაქისის კარაქი, რძე და ფორთოხლის წვენის პაკეტი აიღო. შემდეგ სკაუტიდან გადმოვიდა, დაჯდა, ზურგით ძარას მიეყრდნო, ახალმოსულ თოვლს მიაჩერდა და პურის ღეჭვას შეუდგა, საჩვენებელი თითით კარაქს უსვამდა, მერე კი თითს იტლეკდა. არაქისის კარაქი ეგემრიელა, წვენი კი ორ მოყუდებაზე გამოსცალა. არ ეყო.

– რასაც შენ ფიქრობ, – განუცხადა ბინდბუნდს, – სისულელეა და მეტი არაფერი, წითელზე რომ აღარაფერი ვთქვათ, წითელ საჭმელზე.

წითელი იყო თუ არა, მაინც მასზე ფიქრობდა და მერე მოეჩვენა,

რომ ამაში სულელურს ვერაფერს ხედავდა. ბოლოს და ბოლოს, ტყუილად ხომ არ ათენებდა და აღამებდა იარაღზე, თოკსა და სამართებელზე ფიქრში. ეს უკვე ბავშვურობად მიაჩნდა, მაგრამ ასეთი იყო და ვერაფერს გააწყობდა. ახლა კი...

– ახლა კი, ქალბატონებო და ბატონებო, ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის წევრებო, ნება მომეცით, გამოსვლა განსვენებული ჯოზეფ „ბივერ" კლარენდონის გამონათქვამით დავასრულო: „თქვი: ამის დედაც! და ათცენტიანი „ხსნის არმიის" ყულაბაში ჩააგდე. და თუ არ მოგწონს, სტაცე ხელი ჩემს ასოს და მომწუწნე". გმადლობთ ყურადღებისთვის.

ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის წევრებისთვის ამ ლექციის წაკითხვის შემდეგ, ჰენრი ისევ სკაუტში შეძვრა, კიდევ ერთხელ აიცილა შუშის ნამსხვრევები, მისწვდა მკვრივ ქაღალდში გახვეულ პაკეტს (ზედ $2.79 ეწერა მოხუცი გოსლინის აკანკალებული ხელით), ჯიბეში ჩაიდო, მანქანიდან გადმოვიდა და გახსნა. შიგნით ცხრა ცალი მსხვილი სოსისი იდო. წითელი ფერის.

წამით გონებამ შეწინააღმდეგება სცადა, უფეხო რეპტილია გაახსენა, ჯოუნსის საწოლზე რომ იკლაკნებოდა და მშიერი შავი თვალებით შესცქეროდა. ჰენრიმ მეამბოხე ფიქრები იმ ადამიანის სისწრაფითა და სიმტკიცით განდევნა, რომელსაც თვითგადარჩენის ინსტინქტი არასდროს ღალატობს.

სოსისი მოხარშული იყო, მაგრამ მან მაინც შეათბო სანთებელას ცეცხლზე, პურში ჩაიდო და თვალის დახამხამებაში გადასანსლა. გაეღიმა, როდესაც წარმოიდგინა, რა იდიოტივით გამოიყურებოდა გვერდიდან. თავი იმით დაიმშვიდა, რომ, გავრცელებული აზრის თანახმად, ადრე თუ გვიან ფსიქიატრები პაციენტებივით ჭკუაზე იშლებოდნენ, შესაძლოა, მათზე მეტადაც კი.

მუცელი რომ ამოიყორა, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ყველა შემაწუხებელი ფიქრი და ფრაგმენ-

ტული სახე თავიდან ამოუვარდა. სიმღერასთან ერთად. იმედოვნებდა, რომ ეს ნაგავი აღარ დაუბრუნდებოდა. ამაში ღმერთსაც კი სთხოვა დახმარება.

რძე მოსვა, დააბოყინა, თავი სკაუტს მიაყრდნო და თვალები დახუჭა. არა, დაძინებას არ აპირებდა – აქაური ტყეები მშვენიერი, ბნელი და უღრანი კი იყო, მაგრამ კიდევ თორმეტი-წერტილი-შვიდი-მილი უნდა გაევლო, სანამ ძილის უფლებას მოიპოვებდა.

ჰენრის ისიც გაახსენდა, როგორ ჰყვებოდა პიტი გოსლინის მაღაზიაში გაგონილ ჭორებს, იქნებოდა ეს დაკარგული მონადირეები თუ ცაში გაჩენილი ნათება. როგორ დაუდევრად აუქნია მას ხელი უდიდესმა ამერიკელმა ფსიქიატრმა და დამრიგებლური ტონით აუწყა ვაშინგტონის შტატში სატანიზმის გავრცელებისა და დელავერში ატეხილი ისტერიის შესახებ. თავი მაგარ ფსიქიატრად მოჰქონდა, ენას არ აჩერებდა, ცნობიერების სიღრმეში საკუთარი თვითმკვლელობის სცენებს ისე არხეინად დგამდა, როგორც პატარა ბავშვი ეთამაშება ხოლმე ფეხის თითებს აბაზანაში ჭყუმპალაობისას. ამასთან, დამაჯერებლად ორატორობდა, მზად იყო სატელევიზიო შოუც კი წაეყვანა იმ მაყურებლებისთვის, ცნობიერისა და შეუცნობლის ზღვარზე რომ სურთ სამოცი წუთის გატარება, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ამჯერად თვითონ იქცა ერთ-ერთ დაკარგულ მონადირედ, რომელსაც ინტერნეტის ყველაზე მძლავრი საძიებო სისტემაც კი ვერ მიაგნებდა.

იჯდა მუცელამოყორილი, თავი უკან გადაეგდო და თვალები დაეხუჭა. ჯოუნსის „გარანდი" სკაუტის საბურავზე მიეყუდებინა. ფიფქები კატის თათებივით ნაზად ეხებოდა შუბლსა და ლოყებზე.

– ეს ის არის, რასაც ასე მოუთმენლად ელოდა ყველა ვიგინდარა: მესამე ხარისხის ახლო კონტაქტი. დალახვროს ეშმაკმა, იქნებ მეოთხე ან მეხუთე ხარისხისაც კი. მაპატიე, რომ დაგცინოდი, პიტ. მართალი ყოფილხარ. მე ვცდებოდი. ჯანდაბა! კიდევ უარესი – ბებერი

გოსლინი მართალი იყო, მე კი – არა. ესეც შენი ჰარვარდის განათლება!

როგორც კი ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოთქვა, ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. თუ დაეშვა, თუ ჩამოვარდა. და ახლა შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალები მთავრობის დავალებით ამ შემოჭრას პასუხობდა. შეატყობინეს თუ არა დანარჩენ სამყაროს ამის შესახებ? სავარაუდოდ, არა, ეს მათი სტილი არაა. მაგრამ ჰენრიმ რატომღაც გაიფიქრა, რომ ამის გაკეთება საკმაოდ მალე მოუწევდათ. მთელ ჯეფერსონტრექტს 57-ე ანგარში ხომ ვერ გადამალავდნენ.

კიდევ თუ იცოდა რამე? შესაძლებელია. იქნებ, მფრინავებსა და მსროლელებზე მეტიც. აშკარაა, მათ ეგონათ, რომ საქმე ინფექციასთან ჰქონდათ, მაგრამ ჰენრი არ ფიქრობდა, რომ ყველაფერი ისე საშიში იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. სოკო ახალ ადგილს ითვისებდა, ხარობდა და... იღუპებოდა. იმ ქალში მყოფი პარაზიტიც კი მოკვდა. უცხოპლანეტელებმა ძალზე შეუფერებელი წელიწადის დრო და ადგილი შეარჩიეს ვარსკვლავთშორისი მცენარეულობის კულტივირებისა და ახალ პლანეტაზე დამკვიდრებისთვის. ცხადია, თუ ეს მართლაც ასე იყო. ეს არგუმენტები იმაზე მიუთითებდა, რომ მათმა ხომალდმა კატასტროფა განიცადა და ჩამოვარდა... მაგრამ ცაში გაჩენილი ნათება? იმპლანტები? ცალკეული ადამიანები მრავალი წლის განმავლობაში აცხადებდნენ, რომ უცხოპლანეტელებმა გაიტაცეს... რომ გახადეს... შეისწავლეს... ძალით ჩაუტარეს იმპლანტაცია... ეს იმდენად ფროიდულ აზრებად მიაჩნდათ, რომ სასაცილოდ იგდებდნენ...

ჰენრი მიხვდა, რომ ყვინთავდა და თავი ისე მკვეთრად ასწია, რომ სოსისებიანი გახსნილი პაკეტი მუხლებიდან ჩამოუცურდა და თოვლში ჩავარდა. არა, კი არ ყვინთავს, თვლემს. დღის სინათლე თითქმის გაქრა და სამყარომ უსიცოცხლო, ასფალტის შეფერილობა მი-

იღო, ჯინსის შარვალზე თოვლი დაჰყროდა. ცოტაც და, ჰენრი ხვრინ-ვას ამოუშვებდა.

შეირხა, წამოდგა და როდესაც კუნთებმა პროტესტი გამოთქვეს, ტკივილისგან დაიღრიჯა. ერთგვარი ზიზღით დახედა ძირს დაყრილ სოსისებს, მაგრამ მაინც დაიხარა, საიმედოდ შეახვია და ქურთუკის ჯიბეში ჩაიდო – მოგვიანებით, იქნებ შესცვლოდა დამოკიდებულე-ბა. გულწრფელად იმედოვნებდა, რომ ეს არ მოხდებოდა, მაგრამ ამას ახლა ვერავინ იტყოდა.

– ჯოუნსი საავადმყოფოშია, – თქვა მან გადაჭრით. გაუგებარი იყო, რას გულისხმობდა, – ჯოუნსი საავადმყოფოშია მისტერ გრეის-თან ერთად. და იქ, ინტენსიური თერაპიის ბლოკში დარჩება.

სიგიჟე. სრული სიგიჟე. კვლავ მოირგო თხილამური, ღმერთს შე-ევედრა, რომ მორიგ ფერდობზე ხერხემალში არ გადამტყდარიყო და საბიჯგების დახმარებით დაიძრა. ბინდბუნდი საოცარი სისწრაფით ვრცელდებოდა, ბარდნიდა.

როდესაც გარკვეული ხნის შემდეგ თავში დაჰკრა, რომ ჰოთდოგი კი გაახსენდა, მაგრამ ჯოუნსის თოფი დაავიწყდა (საკუთარს აღარ ჩიოდა), უკან მიბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა – ძალზე შორს იყო.

12

საათის სამი მეოთხედის თუ უფრო მეტის სიარულის შემდეგ ჰენ-რი შეჩერდა და უაზროდ ჩააშტერდა Arcტიც-ჩატ-ის ძლივს შესამ-ჩნევ კვალს სიბნელეში. უბადრუკი სინათლე საკმარისი აღმოჩნდა იმის დასადგენად, რომ ნაკვალევი, ანუ ის, რაც მისგან დარჩა, მკვეთრად უხვევდა მარჯვნივ და ტყისკენ მიდიოდა. რამ წამოუარა ჯოუნსის (და პიტსაც, თუ ერთად იყვნენ), რომ გეზი ტყისკენ აეღოთ? რა აზრი ჰქონდა ამას, როცა დიფქათი სწორი და მკაფიო ზოლი იყო სიბნელეში მოქცეულ ხეებს შორის?

– დიფქათი ჩრდილო-დასავლეთისკენ მიდის, – და თავი დაბნეუ-

ლად გადააქნია, – გოსლინის მაღაზიისკენ მიმავალი გზა მოასფალტებულია, აქედან არა უმეტეს სამი მილითაა დაშორებული და ჯოუნსიმ ეს იცის. პიტმაც. და მაინც... თოვლმავალი მიდის... – მან ხელები ასწია და მიმართულება წარმოიდგინა, – მიდის... პირდაპირ ჩრდილოეთისკენ. რატომ?

იქნებ, ამას ლოგიკური ახსნა ჰქონდა? გოსლინის მაღაზიისკენ ცა უფრო ნათელი იყო, თითქოს მძლავრი პროჟექტორები დაუყენებიათო. თავზემოთ განუწყვეტლივ ისმოდა ვერტმფრენების ტკაცატკუცი. მათი ხმა მატულობდა და იკლებდა, ოღონდ მხოლოდ ერთი მხრიდან. ახლოს მისული, ალბათ, სხვა მანქანების გუგუნსაც გაიგებდა: სატვირთოებისას. იქნებ, გენერატორებისასაც. აღმოსავლეთით ისევ გაისმოდა ერთეული გასროლის ხმა, მაგრამ მთავარი მოქმედება სწორედ იმ მიმართულებით ვითარდებოდა, საითკენაც თვითონ ჰქონდა გეზი.

– ბაზა გოსლინის მაღაზიაში მოაწყვეს, – თქვა ჰენრიმ, – ჯოუნსი კი მისთვის გვერდის ავლას ცდილობს.

იგრძნო, რომ ათიანში მოარტყა. მაგრამ... ჯოუნსი ხომ აღარ არსებობდა. მის ნაცვლად მხოლოდ ღრუბელი იყო შავ-წითელი სარჩულით.

– ტყუილია! – შესძახა მან, – ჯოუნსი ჯერაც იქ არის, საავადმყოფოში. მისტერ გრეისთან ერთად. ეს ღრუბელი... არის კიდეც მისტერ გრეი, – და სასხვათაშორისოდ დაამატა, – ას აგებ? ოტას აგებ?

ჰენრიმ შეამჩნია, რომ თოვა გაძლიერდა (ისე არა, როგორც დღისით, მაგრამ გადაღებას არ აპირებდა). იგი ცას მიაშტერდა, თითქოს სჯეროდა, რომ იქ, სადღაც მაღლა, ღმერთი იყო და მას გულწრფელი, მაგრამ ოდნავ გულგრილი ინტერესით აკვირდებოდა, როგორც მეცნიერი – მიკროსკოპში მოთავსებულ პარამეციას[120].

– იქნებ ამიხსნას ვინმემ, რა სისულელეს ვროშავ?

პასუხს, ცხადია, ვერ ეღირსა, მაგრამ, სამაგიეროდ, უცნაურმა

[120] ინფუზორიის სახეობა.

მოგონებამ შეაკრთო. ის, პიტი, ბივერი და კარლა – ჯოუნსის ცოლი, გასული წლის მარტიდან ერთ საიდუმლოს ინახავდნენ. კარლას აზრით, ჯობდა ჯოუნსის არ სცოდნოდა, რომ გული ორჯერ გაუჩერდა: ერთხელ მაშინ, როდესაც სასწრაფო დახმარების მანქანაში მოათავსეს, მეორედ კი საავადმყოფოში მიყვანისთანავე. ჯოუნსი გრძნობდა საიქიოს სიახლოვეს, მაგრამ არ იცოდა (ყოველ შემთხვევაში, ჰენრი ასე ფიქრობდა), რამდენად ახლოს იყო მასთან. და თუ მას ჰქონდა კიდეც კუბლერ როსის[121] მსგავსი გამოცდილება გვირაბის ბოლოს სინათლის დანახვასთან დაკავშირებით, – ან არ ისურვა, მოეყოლა, ან გადაავიწყდა ანესთეზიისა და ტკივილგამაყუჩებლების დიდი დოზის წყალობით.

სამხრეთიდან გუგუნი საშინელი სისწრაფით მოახლოვდა. ჰენრი მოიხარა და ყურებზე ხელები აიფარა, თითქოს გადარჩენას ცდილობდა იმისგან, რაც ღრუბლებიდან გამოვარდნილი რეაქტიული გამანადგურებლების ესკადრილიას მიამსგავსა. მართალია, ვერაფერი დაინახა, მაგრამ როდესაც ძრავების ხმაური მიწყდა, წელში გასწორდა და აფართხალებულ გულზე ხელი მიიდო. ღმერთო ჩემო! ალბათ ასეთივე გრუხუნი ისმოდა ერაყის მახლობლად მდებარე ავიაბაზებზე ოპერაციის „ქარიშხალი უდაბნოში" დაწყების წინ.

საშინელი ალიაქოთი. ეს იმას ხომ არ ნიშნავდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ომში ჩაება უცხოპლანეტელთა წინააღმდეგ? იქნებ ჰერბერტ უელსის[122] რომანში აღმოჩნდა? ჰენრიმ კვლავ იგრძნო უმწეო ფართხალი მკერდის მარცხენა ნაწილში. თუ ასეა, როგორც ჩანს, მტერს ბიძია სემისთვის საბჭოელების რამდენიმე ასეულ, დაჟანგულ, რაკეტებად წოდებულ თუნუქის კოლოფებზე უკეთესი რამ ჰქონდა მომზადებული.

---

[121] შვეიცარიული წარმოშობის ამერიკელი ფსიქოლოგი, შეიმუშავა მომაკვდავი ავადმყოფებისთვის ფსიქოლოგიური დახმარების კონცეფცია, იკვლევდა სიკვდილისწინა განცდებს.

[122] ბრიტანელი ფანტასტი და პუბლიცისტი.

თუნდაც ასე იყოს. ვერაფერს გააწყობ. მაგრამ შენ რა გელის, საკითხავი აი, ეს არის. შენ რა გელის?

ძრავების ღმუილი შორეულ ბურდღუნად იქცა. იცოდა, რომ ისინი აუცილებლად დაბრუნდებოდნენ. შესაძლოა, მეგობრებთან ერთადაც.

„დათოვლილ ტყეში ორი ბილიკი მიდის" – ასე არ მღერიან იმ სიმღერაში?[123] დაახლოებით.

მაგრამ გამორიცხული იყო, თოვლმავლის კვალს გაჰყოლოდა. სიბნელეში მას ზუსტად ნახევარ საათში დაკარგავდა, თუკი მანამდე თოვლი არ დაფარავდა. მერე კი ტყეში იხეტიალებდა... როგორც ალბათ, ახლა დაბოდიალებდა ჯოუნსი.

ჰენრიმ ერთი კი ამოიოხრა, თოვლში დატოვებულ ნაკვალევს ზურგი აქცია და კვლავ გზის გასწვრივ განაგრძო თხილამურებით სვლა.

13

იმ დროისთვის, როდესაც დიფქათის გადასახვევს მიადგა, საიდანაც სუონიფონდროუდად წოდებული ორრიგიანი გზატკეცილი იწყებოდა, ჰენრი ისე დაიღალა, რომ თხილამურებით სრიალი კი არა, ფეხზე დგომაც კი უჭირდა. თეძო წყლით გაჟღენთილი ჩაის პაკეტივით გაუსივდა. ჩრდილო-დასავლეთით, ჰორიზონტზე უფრო კაშკაშა ნათება მოჩანდა, ძრავებისა და ვერტმფრენების ხმაურიც ისმოდა, მაგრამ ამან ხასიათი ვერ გამოუსწორა. ციცაბო გორაკს გადაივლიდა და მთავრდებოდა კიდეც დიფქათი. შემდეგ სუონიფონდი იწყებოდა. ალბათ, იქ უფრო გაცხოველებული მოძრაობა იყო, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ჯარის ნაწილების გადასროლა ხდებოდა.

– აბა, ჰე, – თქვა ჰენრიმ, – მიდი, მიდი.

მაგრამ დიდხანს ვერ დაიძრა ადგილიდან. იმ გორაკზე ასვლა არ

[123] ბობ დილანის სიმღერა, ცნობილია ჯოან ბალზის შესრულებით.

უნდოდა.

– დაღმართი უკეთესია, – ამოიხვნეშა მან.

შესაძლოა, ეს რაიმეს ნიშნავდა. ან მორიგი იდიოტური აბდაუბდა იყო. სხვა გზა ისედაც არ ჩანდა.

დაიხარა და ხელით თოვლი აიღო – სიბნელეში ის ფუმფულა ბალიშს მიამსგავსა. პირში ჩაიდო, ოღონდ წყურვილის მოსაკლავად კი არა, დროის გასაყვანად. მართალია, გოსლინის მაღაზიის მიმართულებით სინათლე გაცილებით მკვეთრი იყო, ვიდრე ის მოცეკვავე ცეცხლოვანი რგოლები, რომლებიც მან და პიტმა ცაში დაინახეს ("ისინი დაბრუნდნენ! " – შესძახა ბეკიმ ტელევიზორის წინ მჯდომ იმ პატარა გოგოსავით, რომელიც სტივენ სპილბერგის[124] ძველ ფილმს უყურებდა), მაგრამ ჰენრის ის რატომღაც ნაკლებად მოსწონდა. ძრავები და გენერატორები მშიერი მხეცებივით ღრიალებდნენ.

– ამაში კი არ ცდები, ბაჭიავ, – ჩაილაპარაკა მან.

შემდეგ კი, რადგან სხვა აღარაფერი დარჩენოდა, ნამდვილ გზასთან მისასვლელი უკანასკნელი დაბრკოლების გადალახვას შეუდგა.

14

მწვერვალზე ცოტა ხნით შეყოვნდა, თხილამურის ჯოხებს დაეყრდნო და სული მოითქვა. აქ ქარი ძლიერად უბერავდა და ტანსაცმელშიც კი აღწევდა. დაჭრილი ფეხი მტკივნეულად უფეთქავდა. თავში ისევ გაუელვა უსიამოვნო აზრმა, – ჩემი იმპროვიზებული სახვევის ქვეშ მოწითალო ოქროსფერმა კოლონიამ ხომ არ იბარტყაო, მაგრამ ძალიან ბნელოდა და ვერაფერს გაარჩევდა. იქნებ ასე ჯობდა კიდეც, რადგან სიახლის არარსებობა უკვე კარგი სიახლე იყო.

– დრო თანდათან შენელდა, რეალობა გამრუდდა, ეგმენი წინ წავიდა, უკან აღარ დაბრუნდა.

სხვა რაღა ექნა. დაშვებას შეუდგა, დიფქათროუდი გორაკის ძირში მთავრდებოდა. ფერდობი გაცილებით ციცაბო აღმოჩნდა და თავს

[124] ამერიკელი რეჟისორი და სცენარისტი.

ძლივს იკავებდა, რომ არ ჩაგორებულიყო. სიჩქარის მომატებისას არც კი იცოდა, რას განიცდიდა: შიშს, აღელვებას თუ ორივეს ერთად, არაჯანსაღად. ძალზე სწრაფად მიქროდა თითქმის ნულოვანი ხილვადობის პირობებში, მოთხილამურის ჩვევები კი ისევე დაჟანგოდა, როგორც თხილამურის სამაგრები. ორივე მხარეს ხეების მწკრივი მოჩანდა და ჰენრის უეცრად თავში გაუელვა, რომ ყველა პრობლემის გადაჭრა ხელის ერთი მოსმით შეეძლო. ოღონდ ეს „ჰემინგუეის გამოსავალი" კი არა, „ბონოს გამოსავალი" უფრო იქნებოდა.

ქარმა კეპი მოხადა. ერთი ხელი ავტომატურად მისკენ გაიწვდინა, ჯოხი თოვლიდან ამოიღო, წონასწორობა დაკარგა და კინაღამ დაეცა. ესღა აკლდა. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ჯობდა კიდეც. ცხადია, თუ ფეხს არ მოიტეხდა, წაქცევა შეაჩერებდა. წამოდგებოდა და...

უეცრად უზარმაზარი სატვირთო მანქანის ფარებმა თვალებში მიანათა და სანამ ცოტა ხნით დააბრმავებდა, ჰენრიმ დაინახა ის, რაც დიფქათროუდის ბოლოში მდგარ, ცელულოზის გადამტან სატვირთო პლატფორმად მოეჩვენა. მანქანაში, როგორც ჩანს, მგრძნობიარე ფარები დაემონტაჟებინათ მოძრავი საგნების დასაფიქსირებლად. მის წინ კი შეიარაღებული ადამიანები ჩამწკრივებულიყვნენ.

– შესდექ! – დაიგრგვინა ვიღაცამ. ალბათ, ღმერთი თუ იყო, – შეჩერდი, თორემ გესვრით!

ჰენრი უხერხულად შეტრიალდა და თოვლზე მოწყვეტით დაჯდა, თხილამურები გასძვრა. კოჭი ისე ძლიერ გადაუბრუნდა, რომ ტკივილისგან შეჰყვირა. ცალი ჯოხი დაკარგა, მეორე შუაზე გადაუტყდა. დარტყმისგან ფილტვებიდან ჰაერი ორთქლის ღრუბელივით ამოუშვა. უკანალით ჩასრიალდა და უცნაურ პოზაში გაშეშდა. ფეხები უმწეოდ გადაეხლართა, სვასტიკასავით.

მხედველობა თანდათან დაუბრუნდა. ვიღაცის ჩექმებქვეშ თოვლმა გაიჭრაჭუნა. ჰენრიმ მოახერხა და წამოჯდა. იმის გარკვევას მერეც მოასწრებდა, გადარჩა თუ დაშავდა.

გორაკის ძირში ექვსნი იდგნენ. მათი უჩვეულოდ გრძელი ჩრდილები ბრილიანტივით მბზინავ ახალ თოვლზე გაწოლილიყო. კომბინეზონები ეცვათ. ჰენრის მიერ ფარდულში ნაპოვნ ძველ რესპირატორებზე გაცილებით საიმედო, გამჭვირვალე პლასტიკური ნიღბები ცხვირ-პირზე აეფარებინათ, მაგრამ, როგორც ხვდებოდა და, ალბათ, არ ცდებოდა, ნიღბებს იმავე დანიშნულებით იყენებდნენ. ხელში ყველას ავტომატი ეჭირა და მას უმიზნებდა. ჰენრის ნამდვილად გაუმართლა, რომ ჯოუნსის „გარანდი" და თავისი ვინჩესტერი სკაუტთან დარჩა. რომ წამოეღო, სხეულში, შესაძლოა, ათობით ახალი ხვრელი გასჩენოდა.

– არა მგონია, ამას ვიმსახურებდე, – თქვა მან ხრინწიანი ხმით, – რაც უნდა გაღელვებდეთ, ვფიქრობ...

– ადექით!

ისევ ღმერთის ხმა. სატვირთო მანქანიდან მოდიოდა. მის წინ მდგარი ხალხი ფარებს ჩრდილავდა და ჰენრიმ გზაჯვარედინთან რამდენიმე კაცი შეამჩნია. ყველა შეიარაღებული იყო, მხოლოდ ერთს, იარაღის ნაცვლად, მეგაფონი ეჭირა.

– არ ვიცი, შევძლებ თუ არა...

– ახლავე ადექით! – ბრძანა ღმერთმა და ერთ-ერთმა წინ მდგომმა სწრაფი მოძრაობით ლულა მიუშვირა.

ჰენრი ბარბაცით წამოდგა. ფეხები უკანკალებდა, კოჭი საშინლად ეწვოდა, თუმცა სხვა მხრივ, თითქოს, ყველაფერი რიგზე ჰქონდა.

ასე დასრულდა ეგმენის მოგზაურობა, – გაიფიქრა და სიცილი აუტყდა. შეცბუნებულმა მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს. მართალია, მათ ავტომატები ისევ შემართული ჰქონდათ, მაგრამ ჰენრის, თუნდაც მცირედი ადამიანური ემოციის გამოვლენით, გულზე მოეშვა.

სატვირთო პლატფორმაზე დამაგრებული პროჟექტორების შუქში ჰენრიმ რაღაც მუქი საგანი შენიშნა თოვლში. ჩანს, დაცემისას

ამოუვარდა. ნელა დაიხარა, იცოდა, რომ შეიძლებოდა ყოველ წამს თავში ტყვია მიეღო.

– არ შეეხოთ! – შესძახა ღმერთმა თავისი მეგაფონიდან და ჯარისკაცები მაშინვე სროლისთვის მოემზადნენ. „გამარჯობა, წყვდიადო, ჩემო ძველო მეგობარო, ყოველი ლულიდან რომ მომშტერებიხარ“.

– შეჭამე განავალი და ჩაძაღლდი, – გაიმეორა ჰენრიმ ბივერის ერთ-ერთი საუკეთესო გამონათქვამი, პაკეტი აიღო და ღიმილით გაუწოდა მის წინ მდგომ შეიარაღებულ ნიღბიან მამაკაცებს, – მშვიდობით მოვსულვარ, – თქვა მან, – ვინმეს ჰოთდოგი ხომ არ უნდა?

თავი მეთორმეტე
ჯოუნსი საავადმყოფოში

1

ეს სიზმარი იყო.

არ ჰგავდა, მაგრამ მაინც სიზმარი უნდა ყოფილიყო. თუნდაც იმიტომ, რომ ერთხელ უკვე გაევლო თხუთმეტი მარტი და ამის ხელმეორედ გადატანა საშინელ უსამართლობად მიაჩნდა. მეორე მხრივ, კარგად ახსოვდა, ბოლო რვა თვეში – მარტის შუა რიცხვებიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე – მომხდარი მოვლენები: ბავშვები და მათი დახმარება საშინაო დავალებების მომზადებაში, კარლას გაუთავებელი სატელეფონო საუბრები მეგობრებთან (უმრავლესობა „ანონიმური ნარკომანების" პროგრამაში მონაწილეობდა), ლექციები ჰარვარდში და, რა თქმა უნდა, ფიზიოთერაპიის მოსაწყენი სეანსები. დაუსრულებელი ბუქნები და გაზარმაცებული მყესების დაჭიმვისას წარმოქმნილი აუტანელი ტკივილი – თავის ფიზიოთერაპევტს, ჯოან მორინს, უმტკიცებდა, რომ მეტი აღარ შეეძლო, მას კი გაგონებაც არ უნდოდა, – ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლი და საპასუხოდ ექიმის

გაბადრული სახე (ეს საძაგელი, სილამაზის კონკურსის დედოფლის მოუშორებელი ღიმილი). საბოლოოდ, ჯოანი მართალი აღმოჩნდა. ჯოუნსიმ შეძლო, ნებისყოფით დამუხტული ამ პატარა ძრავის დახმარებით, გამოჯანმრთელება. თუმცა, საკითხავია, რის ფასად!

ყველაფერი ეს და უფრო მეტიც ახსოვდა: საწოლიდან პირველი წამოდგომა, ქაღალდის პირველად ხმარება ტუალეტში, ის ღამე მაისის დასაწყისში, როდესაც დასაძინებლად დაწვა და თავში გაუელვა, მგონი გამოვძვერიო, ღამე მაისის მიწურულს, როდესაც იმ უბედური შემთხვევის შემდეგ პირველად ჰქონდა სექსი კლარასთან, რასაც ძველებური ხუმრობა მოაყოლა: „თუ იცი, როგორ ჟიმაობენ მაჩვზღარბები? ძალიან ფრთხილად“.

ახსოვდა, როგორ შესცქეროდა ფეიერვერკს ხსოვნის დღეს, როდესაც თეძო და მთელი ფეხი საშინლად სტკიოდა; როგორ მიირთმევდა საზამთროს ოთხ ივლისს, კურკებს ბალახში ისროდა და ბადმინტონის თამაშით გართულ კლარასა და მის დებს აკვირდებოდა – თეძო და ფეხი ტეხდა, მაგრამ გაცილებით ნაკლებად; როგორ დაურეკა ჰენრიმ სექტემბერში (“მხოლოდ კავშირის შესამოწმებლად“, – თქვა მან) და რაზე აღარ ელაპარაკა, მათ შორის, ყოველწლიურ ნადირობაზე ნოემბერში. „რა თქმა უნდა, წამოვალ“, – დაარწმუნა ჯოუნსიმ. მაშინ ვერც კი წარმოიდგენდა, ასე თუ არ ესიამოვნებოდა „გარანდის“ ხელში აღება. გაკვრით ყველაფერს შეეხნენ: სამსახურს (მეორე სემესტრის სამი კვირის განმავლობაში ჯოუნსი ლექციებს კითხულობდა და საკმაოდ მარჯვედ გადაადგილდებოდა ყავარჯნებით), ოჯახს, წაკითხულ წიგნებსა და ნანახ ფილმებს; ისევე, როგორც იანვარში, ჰენრიმ მაშინაც აღნიშნა, პიტი ბევრს სვამსო. ჯოუნსიმ, რომელსაც გაუთავებელი ომი ჰქონდა ცოლთან იმავე საკითხზე, თემის განვრცობა არ ისურვა, მაგრამ როდესაც ჰენრიმ ბივერის შემოთავაზება ახსენა, – უკანა გზაზე დერიში დადიტს ქეველი მოვინახულოთო, – დაუყოვნებლივ დაეთანხმა. საკმაოდ დიდი დრო გასულიყო, რაც ერთმანეთი არ ენახათ. თანაც ადამიანის გასამხიარულებლად

დადიტსის ინიექციაზე უკეთესი ამქვეყნად არაფერი იყო. მხოლოდ...

– ჰენრი, – ჰკითხა მაშინ მეგობარს, – ჩვენ ხომ დადიტსთან ვაპირებდით წასვლას, არა? წმინდა პატრიკის დღეს. თარიღი არ მახსოვს, მაგრამ კალენდარში წერია.

– მართალია, – მიუგო ჰენრიმ, – ვაპირებდით.

– ესეც შენი ირლანდიური იღბალი, არა?

ეს ყველაფერი რომ გადაფურცლა, ჯოუნსი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მის ცხოვრებაში თხუთმეტი მარტი ერთხელ უკვე იყო. მტკიცებულებაც ბევრი ჰქონდა – თუნდაც, ოფისში გამოკრული კალენდარი. მაგრამ კვლავ დადგა ის დრო. უსიამოვნების მომტანი ეს იდები..[125] დალახვროს ეშმაკმა! ასეთი უსამართლობა?! .. ეს თხუთმეტი რიცხვი იმაზე უფრო საშინელი აღმოჩნდა, ვიდრე ოდესმე ყოფილა.

იმ დღის მოგონებები, ჩვეულებრივ, სადღაც დილის ათი საათისთვის ქრებოდა. ის თავის კაბინეტში იჯდა, ყავას სვამდა და წიგნებს აწყობდა, რათა ქვემოთ, ისტორიის ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში ჩაეტანა, სადაც სტუდენტების მიერ შემოწირული ლიტერატურისთვის სპეციალური მაგიდა იდგა. უხასიათოდ იყო, მაგრამ შუბლზე იარაღი რომ მიებჯინათ, მიზეზის ახსნას ვერ შეძლებდა. იმავე კალენდრის თანახმად, რომელზეც დაუდევრად მიაწერა დადიტსთან გამგზავრების თარიღი – ჩვიდმეტი მარტი – იმ დღეს, თხუთმეტ მარტს, სტუდენტ დევიდ დეფანიაკთანაც ჰქონდა შეხვედრა. საუბრის შინაარსს ვერაფრით იხსენებდა, მაგრამ მოგვიანებით ერთ-ერთმა ასისტენტმა შეატყობინა, რომ დეფანიაკს ნორმან დამპყრობლებზე ესე დაეწერა და ჩაებარებინა; ჰოდა დაასკვნა, ალბათ ამ საკითხთთან დაკავშირებით დავიბარეო. მაგრამ მაინც რით გაუფუჭა ასე ძლიერ ხასიათი სტუდენტთან ჩვეულებრივმა შეხვედრამ ასოცირებულ პროფესორ გარი ჯოუნსის?

---

[125] ლათინურად Idus (გაყოფა); რომაულ კალენდარში ასე ეწოდებოდა თვის შუა რიცხვს. მარტში, მაისში, ივლისსა და ოქტომბერში ეს იყო რიცხვი 15.

ცუდმა განწყობამაც ვერ შეუშალა ხელი, რომ თავისთვის ეღიღინა, ეღიღინა გაუგებარი, უაზრობამდე მისული სიტყვები: „დიახ, ჩვენ შეგვიძლია, დიახ, ჩვენ შეგვიძლია,შეგვიძლია, ღმერთო დიდებულო, დიახ, ჩვენ შეგვიძლია, შეგვიძლია“. შემდეგ კიდევ იყო რაღაც... კოლინს, ფაკულტეტის მდივანს, წმინდა პედის დღე მიულოცა, უნივერსიტეტთან მდებარე გაზეთების დახლიდან „ბოსტონ ფენიქსი“ შეიძინა, თხუთმეტი ცენტი კემბრიჯის მხრიდან ხიდზე მჯდომ ვიღაც სკინჰედს ჩაუყარა საქსოფონის ბუდეში, თხელ სვიტერში გამოწყობილი თავგადაპარსული ჭაბუკიც შეეცოდა, რადგან სუსხიანი ქარი ქროდა. მოგონებები საჩუქრად გამზადებული წიგნების შეკვრით მთავრდებოდა, რომლის იქითაც სიბნელე იყო. გონზე საავადმყოფოში მოვიდა, მეზობელი პალატიდან მონოტონური ხმა ჩაესმოდა: „შეწყვიტეთ, გთხოვთ, ამას ვერ გავუძლებ, ნემსი გამიკეთეთ, სად არის მარსი, მარსი მინდა“. იქნებ, ეს ასე ისმოდა: „სად არის ჯოუნსი, ჯოუნსი მინდა“... ფეხაკრეფით მომავალი ბებერი სიკვდილი. სიკვდილს თავი მოეკატუნებინა და პაციენტის სახე მიეღო. სიკვდილს მისი კვალი დაჰკარგოდა – ეს არც იყო გასაკვირი უზარმაზარ საავადმყოფოში, სადაც ყოველ ნაბიჯზე ტკივილებისგან გატანჯული, აგონიაში მყოფი ადამიანები კვნესოდნენ – და ახლა შეუმჩნევლად მოიპარებოდა მის მოსაძებნად. ცდილობდა, ეშმაკობაში ეჯობნა, ცდილობდა ეიძულებინა, საკუთარი თავი გაეცა.

დრო დაბრუნდა, თუმცა დალოცვილი წყვდიადი გაქრა. და თუმცა დრო დაბრუნდა, იგი არა მარტო ულოცავს კოლინს წმინდა პედის დღეს, არამედ ანეკდოტსაც კი უყვება იამაიკელ პროქტოლოგზე. იგი გადის, მისი მომავალი „მე“ – ნოემბრის „მე“ – მარტის თავში მოკალათებულა უბილეთო მგზავრივით. მის მომავალ „მეს“ ესმის, თუ რას ფიქრობს მარტის „მე“: რა მშვენიერი დღე დადგაო. ამასობაში კი თვითონ კემბრიჯისკენ მიიჩქარის ბედისწერასთან შესახვედრად. ცდილობს, აუხსნას მარტის „მეს“, რომ ეს ცუდი, საშინელი იდეაა, რომ შეუძლია, ავტობუსში ან ტაქსიში ჩაჯდეს და თავიდან აიცილოს

აგონია, რომელიც თვეების განმავლობაში გაგრძელდება, მაგრამ ამას ვერ ახერხებს. შესაძლოა, სიმართლე ეწერა თინეიჯერობისას წაკითხულ ფანტასტიკურ მოთხრობებში დროში მოგზაურობის შესახებ: „როგორც უნდა ეცადო, წარსულს ვერ შეცვლი“.

იგი ხიდზე გადადის და თუმცა საკმაოდ ცივი ქარი ქრის, მაინც ტკბება გაზაფხულის მზითა და მდინარე ჩარლზის წყლის ზედაპირზე აბრჭყვიალებული ათინათებით. შემდეგ ნაწყვეტს მღერის სიმღერიდან „აი, მზემაც გამოანათა“ და ისევ „დები პოინტერების“ სიმღერაზე გადადის: „დიახ, ჩვენ შეგვიძლი-შეგვიძლია, ღმერთო დიდებულო, ჩვენ...“ თან პორტფელს მიიქნევს. შიგნით სენდვიჩი უდევს. კვერცხის სალათა. „იფ-იფ-იფ“, – თქვა ჰენრიმ. „ადინ“, – თქვა ჰენრიმ.

აი, საქსოფონისტიც. და სიურპრიზიც: იგი მასაჩუსეტსის ნიუბრიჯის ბოლოში კი არ დგას, არამედ უფრო შორს, MIT-ს[126] კამპუსთან, ერთ-ერთი აყროლებული პატარა ინდური რესტორნის წინ. თავგადაპარსული სიცივისგან კანკალებს, სკალპზე არსებული ნაკაწრები მიუთითებს, რომ უვარგისი პარიკმახერია. „ეს ამდენი სისულელე“-ს[127] შესრულების სტილით იმასაც მიხვდება კაცი, რომ არც საქსოფონისტად უქნია ღმერთს. ჯობდა დურგალი, მსახიობი ან თუნდაც ტერორისტი გამოსულიყო, ოღონდ არა – მუსიკოსი. ჯოუნსის იგი ისე ებრალება, რომ ფუტლარში, რომელშიც გაცვეთილი იისფერი ხავერდი აფენია, თხუთმეტი ცენტის ჩაგდების ნაცვლად, როგორც ამას ადრე აკეთებდა, მთელ მუჭა ხურდას ყრის – მართლაც რომ „სისულელეა“. საკუთარ სენტიმენტალობას გაწელილი ზამთრის შემდეგ დამდგარ პირველ თბილ დღესა და დეფანიაკთან წარმატებულ საუბარს აბრალებს.

საქსოფონისტი მადლობის ნიშნად თვალებს ატრიალებს და გამკივანი ხმების გამოცემას განაგრძობს. ჯოუნსის მორიგი ხუმრობა ახსენდება: „რას უწოდებდით საქსოფონისტს, რომელსაც ჯიბეში

---

[126] მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.
[127] მუსიკალური ნაწარმოები.

საკრედიტო ბარათი უდევს? ოპტიმისტს".

იგი მხნედ მიაბიჯებს პორტფელის ქნევით და სულ არ უსმენს შიგნით მყოფ ჯოუნსის, ნოემბრიდან რომ მოცურდა აღმა დინებით დროში მოგზაური ორაგულივით. „ეი, ჯოუნსი, რამდენიმე წამით შეჩერდი, ესეც საკმარისი იქნება. ფეხსაცმლის ზონარი შეიკარი ან სხვა რამ გააკეთე (არ გამოვა – მოკასინებით დადის. მალე თაბაშირით ივლის.) ეს მომდევნო გზაჯვარედინზე მოხდება, იქ, სადაც ავტობუსი „რედ ლაინი" ჩერდება, მასაჩუსეტსავენიუსა და პროსპექტის კვეთის ადგილზე. იქიდან გამოჩნდება ბებერი სულელი, ისტორიის პროფესორი, მუქი ლურჯი „ლინკოლნით" და ქვაფენილზე გაგაგორებს".

არ გამოდის. როგორ ხმამაღლადაც უნდა იყვიროს, არაფერი გამოდის. ტელეფონი გათიშულია. შენ ვერ დაბრუნდები უკან, ვერ მოკლავ საკუთარ პაპას, ვერ ესვრი ლი ჰარვი ოსვალდს[128], რომელიც დალასის, სკოლის სახელმძღვანელოების საწყობის მეექვსე სართულის ფანჯარასთან მოკალათებულა, გვერდით, ქაღალდის თეფშზე, გაცივებული შემწვარი წიწილა უდევს, ფოსტით გამოწერილი შაშხანა დამიზნებულია; ვერ აუკრძალავ საკუთარ თავს, მასაჩუსეტსავენიუსა და პროსპექტსტრიტის გადაკვეთისკენ არ წახვიდე პორტფელით ხელში და იღლიაში ამოდებული გაზეთით, რომელსაც არასდროს წაიკითხავ. „ვწუხვარ, სერ, მთელ ჯეფერსონტრექტზე არც ერთი გამართული ტელეფონი, ნამდვილი უბედურებაა, ვერ დაუკავშირდებით..."

და ამ დროს, ღმერთო ჩემო, ეს რაღაც სიახლეა – გაფრთხილება მაინც მიდის ადრესატამდე! სწორედ მაშინ, როდესაც ის კუთხემდე აღწევს, როდესაც ტროტუარის კიდეზე დგას და გზაჯვარედინზე გადასვლას აპირებს, გაფრთხილება მაინც მიდის!

---

[128] ერთადერთი ოფიციალური ეჭვმიტანილი ამერიკის პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობაში.

– რა? – ამბობს იგი და მის გვერდით მდგომი კაცი, პირველი, რომელიც მის თავზე დაიხრება, რომელმაც, მადლობა ღმერთს, უკვე ჩაიარა – ეჭვის თვალით შეჰყურებს მას და პასუხობს:

– მე არაფერი მითქვამს, – თითქოს მათთან ერთად კიდევ ვიღაც იმყოფებოდეს. ჯოუნსის მისი თითქმის არ ესმის, რადგან მესამეც არის მათთან, ეს მის თავში არსებული ხმაა, რომელიც უცნაურია, მაგრამ ძალიან ჰგავს მისას და გაჰკივის, უბრძანებს, ადგილზე დარჩეს და არავითარ შემთხვევაში ქუჩაზე არ გადავიდეს...

ამ დროს მას ვიღაცის ტირილი ესმის. პროსპექტის მეორე მხარეს იყურება და ოჰ, ღმერთო ჩემო, დადიტსს ხედავს! დადიტს ქეველი დგას შიშველი, თუ მის ტრუსს არ ჩავთვლით, პირი რაღაც შოკოლადის მსგავსით მოსთხუპნია, მაგრამ ჯოუნსიმ იცის, ეს რაც არის – ძაღლის განავალია. იმ ნაძირალა რიჩიმ მაინც აჭამა მას ის საზიზღრობა. იქვე გამვლელები მიდი-მოდიან, თუმცა დადიტსს ზედაც არ უყურებენ, ყურადღებას არ აქცევენ, თითქოს იგი არც კი არსებობდეს.

– დადიტს! – ეძახის ჯოუნსი, – დადიტს, გამაგრდი, მეგობარო, მოვდივარ!

აქეთ-იქით არ იყურება, ტროტუარიდან ჩადის და მისკენ მიექანება. მასში მყოფი მგზავრი ვერაფერს აკეთებს, მხოლოდ უმწეოდ მიჰყვება და ბოლოს და ბოლოს, ხვდება, თუ როგორ მოხდა ყველაფერი. მოხუცი კი, მოხუცი კაცი, რომელსაც ალცჰეიმერის დაავადება სჭირს, – პირველი სტადია, – საჭეს არ უნდა მისჯდომოდა, გასაგებია, მაგრამ მთავარი ის მოხუცი როდია. ავარიის მეორე, უმთავრესი მიზეზი, აქამდე რომ არავინ იცოდა, სწორედ ესაა: მან დადიტსი დაინახა და მისკენ ისე გაქანდა, რომ აქეთ-იქით არ გაუხედავს.

იგი კიდევ რაღაცას ამჩნევს: სიზმართმჭერის მსგავს უშველებელ ნახჭს, რომელიც 1978 წელს დადიტს ქეველთან პირველი შეხვედრიდან მოყოლებული, ყველა წელს ერთმანეთთან აკავშირებს – ინდიელების ავგაროზს, რომელიც მომავალსაც ისევე შეადუღაბებს.

მზის სხივები საქარე შუშაზე ირეკლება. იგი ამას მარცხენა თვალის კუთხით ხედავს. მანქანა უახლოვდება, თანაც ძალიან სწრაფად. ნაცნობი მამაკაცი, მისტერ მე-არაფერი-მითქვამს, რომელიც გზის პირას მის გვერდით დგას, ყვირის:

– ფრთხილად, ახალგაზრდავ, ფრთხილად!

მაგრამ ჯოუნსის კვლავაც თითქმის არ ესმის. რადგან ტროტუარზე, დადიტსის უკან, ირემი მოჩანს, დიდი და ლამაზი, ადამიანისხელა ხარირემი. მანქანის დაჯახებამდე წამით ადრე იგი ხედავს, რომ ირემი კაცია, მამაკაცი ნარინჯისფერი კეპითა და ნარინჯისფერი ჟილეტით. მხარზე მახინჯ თილისმასავით მიჰკვრია უფეხო, სინდიოფალას მსგავსი ქმნილება უშველებელი შავი თვალებით. კუდი თუ საცეცი კაცისთვის კისერზე შემოუხვევია.

არ ვიცი, ღმერთმანი, როგორ მივამსგავსე ირემს! – ფიქრობს ჯოუნსი და სწორედ ამ დროს ეჯახება მას „ლინკოლნი". ქვაფენილზე ეცემა და მოტეხილი თეძოს ძვლის ჩუმი, ყრუ ტკაცუნი ესმის.

2

ამჯერად აღარ ბნელა; არავინ იცის, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ხსოვნის ქუჩაზე რკალური განათების ფარნები დაუდგამთ. არეულ-დარეული ფილმია, თითქოს მემონტაჟემ ლანჩზე ერთი-ორი ჭიქა გადაკრა და კადრების თანამიმდევრობა აერია. ეს, ნაწილობრივ, იმიტომ ხდება, რომ დრო უცნაურად აირია და ჯოუნსი ახლა, ერთდროულად, წარსულშიც ცხოვრობს, აწმყოშიც და მომავალშიც.

„ჩვენ სწორედ ასე ვმოგზაურობთ, – ამბობს ხმა და ჯოუნსი ხვდება, რომ ეს ისაა, ვინც მარსის გამო ქვითინებდა და ნემსის გაკეთებას ითხოვდა, – როგორც კი აჩქარება გარკვეულ ნიშნულს მიაღწევს, ყველა მოგზაურობა დროში მოგზაურობად გადაიქცევა ხოლმე. და მათი საფუძველი მეხსიერება ხდება".

კუთხეში მდგარი კაცი, მისტერ მე-არაფერი-მითქვამს, მის თავზე იხრება, ეკითხება, კარგად არის თუ არა, და როდესაც ხედავს, რომ

საქმე ცუდადაა, თავს მაღლა სწევს და ამბობს:

– ვინმეს მობილური ხომ არ აქვს? სასწრაფოს გამოძახებაა საჭირო.

ამ დროს ჯოუნსი მის ნიკაპქვეშ პატარა ნაკაწრს ხედავს – როგორც ჩანს, მისტერ მე-არაფერი-მითქვამს გაპარსვის დროს ჩაფიქრდა და ისე გაიჭრა, რომ ვერც კი შეამჩნია.

რა გულის ამაჩუყებელია, – ფიქრობს ჯოუნსი. ამ დროს ფირი წინ მიხტის და აი, ისიც, დამტვერილ შავ პალტოსა და ფეტრის რბილ შლაპაში გამოწყობილი ბებერი პიჟონი – ამ პატივცემულ ბებერ სირს მისტერ ეს-რა-ჩავიდინე დავარქვათ. იგი წინ და უკან დადის და ყველას ამ ფრაზას ეუბნება. ბურტყუნებს, რომ მხოლოდ წამით მოადუნა ყურადღება და ბიძგი იგრძნო... ეს რა ჩავიდინე? ამბობს, რომ არასდროს მოსწონდა დიდი მანქანები... ეს რა ჩავიდინე? აცხადებს, რომ არ ახსოვს სადაზღვევო კომპანიის სახელი, მაგრამ მათი წარმომადგენლები საკუთარ თავს სუფთახელებიან ადამიანებს უწოდებენ... ეს რა ჩავიდინე? შარვლის ბარტყზე სველი ლაქა ჩნდება. ქვაფენილზე გაწოლილი ჯოუნსი ამ ხანდაზმული უცნაური ტიპის მიმართ გამაღიზიანებელ სიბრალულს გრძნობს და ერთი სული აქვს, უთხრას:

„გინდა, გაიგო, რა ჩაიდინე? დახედე საკუთარ შარვალს. ჩაისველე, QED.[129]

კადრი კვლავ წინ მიხტის. ახლა მის ირგვლივ უფრო მეტი ხალხია. ყველა არაბუნებრივად მაღალი ჩანს და ჯოუნსი ფიქრობს, რომ, კუბოში ჩაწოლილი მიცვალებულის თვალით, ეს დაკრძალვას წააგავს. რეი ბრედბერის[130] მოთხრობა ახსენდება, სავარაუდოდ, „ბრბო“, რომელშიც ადამიანები – ყოველთვის ერთი და იგივე სახეები – უბედური შემთხვევების ადგილებში იკრიბებიან და თავიანთი გამონათქვა-

[129] ლათ. „რაც უნდა დაგვემტკიცებინა“.
[130] ამერიკელი მწერალი.

მებით დაზარალებულების ბედს განსაზღვრავენ. თუ ჩურჩულით იტ-ყვიან, რომ საქმე არც ისე ცუდადაა, რომ კაცს გაუმართლა და მძღოლმა საჭის მოტრიალება მოასწრო, მაშასადამე, ყველაფერი კარგად იქნება. ხოლო თუ იტყვიან, – ცუდად გამოიყურება ან ალ-ბათ ვერ გამოძვრებაო, – ჩათვალეთ, რომ კაცს ვეღარაფერი უშვე-ლის. მუდამ ერთი და იგივე ხალხი. ერთი და იგივე არაფრის მთქმე-ლი, ხარბი სახეები. უსაქმოდ მოყიალენი, რომელთაც სისხლის და-ნახვა სწყურიათ და აღტაცებით ისმენენ დაჭრილების კვნესას.

ბრბოში კვლავ მოჩანს ნაცნობი მისტერ მე-არაფერი-მითქვამს. ზუსტად მის უკან ჯოუნსი დადიტს ქეველს ხედავს. ამჯერად მას არც ტანსაცმელი აკლია და კარგადაც გამოიყურება – არავითარი ძაღ-ლის განავლის ულვაში. მაკარტიც იქვეა. მას შენს-კართან-ვდგა ვარ– და-ვაკაკუნებ-ს შევარქმევ, – ფიქრობს ჯოუნსი. კიდევ არის ვიღაც. ნაცრისფერი ადამიანი. ოღონდ ის მთლად ადამიანიც არ არის – უცხოპლანეტელია, რომელიც მის უკან იდგა, სანამ თვითონ სააბაზანოს კარს ეჯაჯგურებოდა. თითქმის უგრძნობელ სახეზე უზარმაზარი შავი თვალები მოუჩანს. სპილოსავით მომჩვარული კა-ნი თანდათანობით ეჭიმება – ბებერი მისტერ უცხოპლანეტელო-შინ-დარეკე გარემოს გავლენას ჯერ არ ემორჩილება. მაგრამ დაემორჩი-ლება. ბოლოს და ბოლოს, ეს სამყარო მას მჟავასავით შეჭამს.

„შენ თავი აგიფეთქდა“ – უხსნის ჯოუნსი ნაცრისფერ ადამიანს, მაგრამ ენა არ ემორჩილება, პირსაც კი ვერ აღებს. თუმცა მისტერ უცხოპლანეტელო-შინ-დარეკე-ს, როგორც ჩანს, ესმის მისი, რადგან ნაცრისფერ თავს ოდნავ მისკენ ხრის.

„გონებას კარგავს“, – ამბობს ვიღაც და სანამ კადრი კვლავ გა-დახტება, ჯოუნსის ესმის, მისტერ ეს-რა-ჩავიდინე, ის, ვინც დაეჯახა და თეძო ტირის სამიზნე ფაიფურის თეფშივით დაუმსხვრია, გვერ-დით მდგომს ეუბნება:

– ყველა ამტკიცებს, რომ ლორენს უელკს[131] ვგავარ.

---

[131] ამერიკელი მუსიკოსი, აკორდეონისტი, იმპრესარიო.

3

სასწრაფო დახმარების მანქანაში ჯოუნსი გონზე ვერ მოდის, თუმცა გამუდმებით აკვირდება საკუთარ თავს სხეულს გარეთ გასული სულივით, თუმცა, არის კიდევ რაღაც, რასაც შემდეგ არავინ ეტყვის: გული გაუჩერდა, როდესაც ექიმებმა შარვალი გაუჭრეს და თეძო გაუშიშვლეს, რომელიც ისე გამოიყურებოდა, თითქოს კანში ორი დიდი, უშნოდ გამოჩორკნილი კარის სახელური ჩაუკერებიათ. ჯოუნსიმ კარგად იცის, თუ რა არის გულის გაჩერება, რადგან მას და კლარას „სასწრაფო დახმარების“[132] ერთი სერიაც არ გაუცდენიათ, ის კი არა, განმეორებითაც ნახეს. ამ დროს ალიაქოთი იწყება. ერთ-ერთ ფერშალს კისერზე ჯვარი ჰკიდია, რომელიც განუწყვეტლივ ჯოუნსის ცხვირზე ედება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მოხუცი მისტერ ფერშალი, ფაქტობრივად, მიცვალებულის სხეულზე იხრება და... დალახვროს ეშმაკმა, „იგი სასწრაფო დახმარების მანქანაში მოკვდა! “ რატომ არავინ უთხრა, რომ იმ დაწყევლილ სასწრაფო დახმარების მანქანაში მოკვდა? ნუთუ მიიჩნიეს, რომ ეს მას არ დააინტერესებდა, და თუ გაიგებდა კიდეც, ერთს დაამთქნარებდა, ხელს ჩაიქნევდა და იტყოდა, – ეგ რა სათქმელი იყოო.

– გაიწიეთ! – ყვირის მეორე ფერშალი და მანამ, სანამ ჯოუნსის დეფიბრილატორს დაადებენ მკერდზე, მძღოლი უკან მოიხედავს და დადიტსის დედას ხედავს. მაგრამ ამ დროს მასში დენს გაუშვებენ, სხეული შეხტება. როგორც პიტი იტყოდა, თეთრი ხორცი ძვალზე ცახცახებს. და თუმცა ჯოუნსი-დამკვირვებელს სხეული არ აქვს, იგი მაინც გრძნობს დენის დარტყმას, უზარმაზარ მძლავრ „ბუჰ“–ს, რომელიც მისი ნერვების ხეს სასიგნალო მაშხალასავით გაანათებს. ღმერთს მადლობა შესწირე და ძირს დაეშვი. ალილუია!

საკაცეზე გართხმული სხეული წყლიდან ამოყვანილი თევზივით ფართხალებს და კვლავ შეშდება. რობერტა ქეველის ზურგს უკან

---

[132] ამერიკული ტელესერიალი ექიმების შესახებ.

მდგარი ფერშალი იხრება, პანელს დასცქერის და დანანებით ამბობს:

– ოჰ, არა, ჯანდაბა! სწორი ხაზია, ერთხელაც გავიმეოროთ.

ისინი მეორედ უშვებენ მუხტს, კადრი ამოძრავდება და ჯოუნსი უკვე საოპერაციოშია.

თუმცა, მთლად ასეც არ არის. საოპერაციოში მხოლოდ მისი ნაწილია, დანარჩენი კი ფანჯრის მიღმაა და იქიდან იყურება. გვერდით ორი ექიმი დგას, მაგრამ ისინი კარტს თამაშობენ და ყურადღებას არ აქცევენ ქირურგებს, რომლებიც დაშლილი ჯოუნსის აწყობას ცდილობენ. მათ ზემოთ, ვენტილატორებიდან წამოსული ჰაერის ნაკადი „კედელში გაკეთებული ხვრელის" ავგაროზ სიზმართმჭერს აქანავებს.

ჯოუნსის, რატომღაც, არ უნდა იმის ყურება, რაც შუშის მიღმა ხდება – არ სიამოვნებს თეძოს ადგილზე გაჩენილი სისხლიანი კრატერისა და იმ ნამსხვრევების დანახვა, რასაც ადრე ძვალი ერქვა. და თუმცა კუჭი არა აქვს და უსხეულოდ დარჩენილს პირღებინებაც არ უნდა შეეძლოს, მაინც ერევა გული.

ზურგს უკან კარტის მოთამაშე ერთ-ერთი ექიმი ამბობს:

– საკუთარ თავს დადიტსის საშუალებით ვაფასებდით. დადიტსი ჩვენი საუკეთესი ხანა იყო.

მეორე პასუხობს:

– ასე გგონია?

და ჯოუნსი ხვდება, რომ ეს ექიმები ჰენრი და პიტი არიან.

მათკენ ტრიალდება და, როგორც აღმოჩნდება, არცთუ უსხეულო ყოფილა, რადგან საოპერაციოს ფანჯარაში მოჩვენების ანარეკლს ხედავს. ის ჯოუნსი აღარ არის. უფრო სწორად, ადამიანი აღარ არის. კანი გაუნაცრისფრდა, თვალები უცხვირო სახიდან წინ წამოწეულ შავ ბოლქვებს მიუგავს. ერთ-ერთი იმათგანი გახდა, ერთ-ერთი...

ერთ-ერთი რუხი კაცუნა, – ფიქრობს იგი, – ისინი ასე, რუხ კაცუნებს გვიწოდებენ. ზოგი მათგანი კოსმოსურ ზანგებს გვეძახის.

პირს აღებს, რათა ეს ყველაფერი თქვას ან მეგობრებს დახმარება სთხოვოს, – ისინი ყოველთვის ეხმარებიან ერთმანეთს, თუკი შეუძლიათ, – მაგრამ ამ დროს კადრი ისევ წინ მიხტის (ეშმაკმა დალახვროს ეს ლოთი მემონტაჟე) და იგი თავის თავს საავადმყოფოს პალატაში, მწოლიარეს ხედავს, ვიღაც კი იძახის: „სად არის ჯოუნსი, ჯოუნსის ვეძებ“.

აჰა, – ფიქრობს იგი სიმწარენარევი კმაყოფილებით, – ყოველთვის ვიცოდი, რომ მარსის კი არა, ჯოუნსის ეძახდნენ. ეს სიკვდილი მეძახის, იქნებ სიკვდილის ანგელოზი, ამიტომ ჩუმად უნდა ვიწვე, რომ ვერ მომაგნოს. ბრბოში ხომ დამკარგა, შემდეგ სასწრაფო დახმარების მანქანაში სცადა ხელის ჩავლება, მაგრამ არ გამოუვიდა, ახლა კი საავადმყოფოში დაძრწის პაციენტად გადაცმული.

„შეწყვიტეთ, გთხოვთ, – კვნესის ბებერი მისტერ სიკვდილი საშინელი, მავედრებელი, მონოტონური ხმით, – ამას ვერ გავუძლებ, ნემსი გამიკეთეთ, სად არის ჯოუნსი, ჯოუნსის ვეძებ“.

ჩუმად ვიწვები, სანამ არ გაჩერდება, – ფიქრობს ჯოუნსი, – ისედაც ვერ ვდგები. ახლახან ორი გირვანქა ლითონი ჩამიდეს თეძოში და ვინ იცის, რამდენ დღეში შევძლებ ადგომას. იქნებ, ერთი კვირაც კი გავიდეს.

მაგრამ ამ დროს შეძრწუნებული აღმოაჩენს, რომ უკვე დგება, საბანს გადასწევს და საწოლიდან გადმოდის, თუმცა გრძნობს, რომ თეძოსა და მუცელზე ნაკერები იჭიმება და იხსნება, დონორის სისხლი ფეხზე ჩამოსდის და ბოქვენზე ამოსულ თმას ასველებს, მაგრამ იგი მაინც მიდის, არ კოჭლობს, გაივლის სინათლის სხივს, რომელიც იატაკზე ადამიანურ ჩრდილს მაშინვე აჩენს (მადლობა ღმერთს, რომ რუხი კაცუნა აღარ არის, იმიტომ, რომ რუხი კაცუნები დაიბრაწნენ), და კარისკენ მიემართება. ყველასგან უხილავი დერეფანში დაეხეტება. ჩაუვლის საგორიალოზე მოთავსებულ ღამის ქოთანს, ექთანების წყვილს, რომლებიც საუბრობენ, იცინიან, სურათებს ათვალიერებენ და ერთმანეთს უჩვენებენ. ისიც მონოტონური ხმის მიმართულებით

მიიწევს. შეჩერებას ვერ ახერხებს და ხვდება, რომ ღრუბელშია. ოღონდ არა – წითელში, როგორც მას პიტი და ჰენრი აღიქვამდნენ; ეს ნაცრისფერი ღრუბელია და იგი მასში დაცურავს, ერთადერთი ნამცეცი, რომელიც ღრუბელმა არ შეცვალა. და ჯოუნსი ფიქრობს:

მე ვარ ის, რასაც ისინი ეძებენ. არ ვიცი, ეს როგორ შეიძლება მოხდეს, მაგრამ ისინი მეძებენ. რადგან... ღრუბელმა არ შემცვალა?

დიახ, ასე უნდა იყოს.

იგი სამ ღია კარს ჩაუვლის. მეოთხე დაკეტილია. მასზე წარწერაა: „შემოდით, აქ ინფექციის მსგავსი არაფერია, IL N′Y PAS D′INFECTION ICI

ცრუობ, – ფიქრობს ჯოუნსი, – კრუზია, კურტისი თუ ვინმე სხვა, შესაძლოა, გიჟია, მაგრამ ერთ რამეში არ ცდება: აქ ინფექციაა.

ფეხებზე სისხლი ჩამოსდის, საავადმყოფოს პერანგის კალთა კაშკაშა ალისფერი ხდება (კლარეტი წამოვიდა, როგორც ძველად, მოკრივეთა ასპარეზობისას კომენტატორი ამბობდა ხოლმე), მაგრამ ტკივილს ვერ გრძნობს. არც ინფექციის ეშინია. იგი განსაკუთრებულია, უნიკალური და ღრუბელს მხოლოდ მისი ტარება შეუძლია, შეცვლით კი ვერ შეცვლის. იგი კარს აღებს და შედის.

4

უკვირს თუ არა საავადმყოფოს საწოლზე დიდი, შავი თვალების მქონე ნაცრისფერი კაცის დანახვა? სულაც არა. როდესაც ჯოუნსი „კედელში გაკეთებულ ხვრელში“ შეტრიალდა და მის უკან მდგომი ეს ტიპი აღმოაჩინა, პარაზიტს თავი გაუსკდა. მაგარი შაკიკი კი ჰქონია. ასეთი თავის ტკივილი ვის არ ჩააგდებდა ლოგინად. ახლა კი ამ ტიპს თავი თითქოს აღარ აწუხებს – თანამედროვე მედიცინა სასწაულებს ახდენს.

ოთახი წითელ სოკოს დაუფარავს, ყველაფერს მოწითალო ოქროსფერი ხავსი მოსდებია – იატაკს, ფანჯრის რაფას, ჟალუზის თამასებს წვრილ-წვრილ ნაკადულებს პლაფონებამდე და გლუკოზის

ბოთლამდე მიუღწევია (ჯოუნსის აზრით, ეს გლუკოზაა), სააბაზანოს სახელურიდან და საწოლის სასთუმლიდან მოკლე-მოკლე მოწითალო ოქროსფერი კავები ეშვება.

როდესაც ჯოუნსი რუხ არსებას უახლოვდება, რომელსაც ზეწარი უთმო მკერდამდე აუწევია, ტუმბოზე ერთადერთ მოკითხვის ბარათს ხედავს. „მალე გამოჯანმრთელდით! " – დაბეჭდილია სალბუნდადებული სევდიანი კუს გაშარჟებული გამოსახულების ზემოთ. ქვემოთ კი წერია: „სტივენ სპილბერგისა და შენი ყველა ჰოლივუდელი მეგობრისგან".

ეს სიზმარია, ჩვეულებრივი, არეულ-დარეული სიზმარი, – ფიქრობს ჯოუნსი, თუმცა კარგად იცის, რომ ეს ასე არაა. მისი გონება ნანახს აქუცმაცებს, ასუფთავებს, რათა მოინელოს, როგორც ეს სიზმარს ახასიათებს; წარსული, აწმყო და მომავალი ერთმანეთშია გადახლართული – ესეც სიზმრის თვისებაა. მაგრამ ჯოუნსიმ იცის, რა სახიფათოა მასზე უარის თქმა, თითქოს ის ქვეცნობიერიდან გამოსული უცნაური ზღაპარი ყოფილიყოს. ყოველ შემთხვევაში, მისი ნაწილი მაინც შეესაბამება რეალობას.

მას გადმოკარკლული შავი თვალები აკვირდება. საწოლზე მოთავსებული არსების გვერდით, ზეწარი კოლბოხებად ზევით იწევა. იქიდან მოჩანს მოწითალო, სინდიოფალას მსგავსი ქმნილება, რომელმაც ბივს ბოლო მოუღო. ისეთივე შუშის შავი თვალებით მისჩერებია მას, კუდის დახმარებით ბალიშზე ადის და ვიწრო, ნაცრისფერი თავის გვერდით იგორგლება. რა გასაკვირია, რომ მაკარტი შეუძლოდ იყო, – ფიქრობს ჯოუნსი.

სისხლი კვლავ მოედინება ჯოუნსის ფეხებზე. თაფლივით ბლანტია და ცხელებასავით მხურვალე. იატაკზე უცნაურ ფიგურებს ხატავს და მალე წითელი ობის ან ხავსის საკუთარ კოლონიას შექმნის, ნამდვილ ჯუნგლსაც კი. მაგრამ ჯოუნსიმ უკეთ იცის. იგი ხომ უნიკალურია. ღრუბელს შეუძლია მისი ტარება, მაგრამ შეცვლა არ ძალუძს.

არ არის მოძრაობა, არ არის თამაში, – გაიფიქრებს და მაშინვე ამატებს, – ჩუ-უ-უ, ჩ-უ-უ, შენთვის შეინახე.

ნაცრისფერი არსება (ნეტა რა სქესისაა?) დუნედ სწევს ხელს მისალმების ნიშნად. მხოლოდ სამი თითი აქვს და ვარდისფერი ფრჩხილები. ფრჩხილებიდან სქლად მოედინება ყვითელი ჩირქი. ისეთივე, როგორიც კანის ნაკეცებსა და თვალის კუთხეებში მოუჩანს.

მართალი ხარ, ნემსის გაკეთება გჭირდება, – ფიქრობს ჯოუნსი, – ცოტა კარბოლმჟავა ან ლიზოლი, რაღაც მათი მსგავსი. ოღონდ კი ჭკუაზე...

თავში საშინელი აზრი მოსდის, თანაც ისეთი ძლიერი, რომ ვერ ეწინააღმდეგება ძალას, რომელიც საწოლისკენ უბიძგებს. შემდეგ ფეხები მოძრაობას იწყებს და იატაკზე გადღაბნილ წითელ კვალს ტოვებს.

ჩემი სისხლის დალევას ხომ არ აპირებ? ვამპირივით?

საწოლზე მოთავსებული არსება გაქვავებული სახით იღიმის:

„ჩვენ, თქვენი ტერმინოლოგიით რომ ვთქვა, ვეგეტარიანელები ვართ".

„ბაუსერზე რას იტყვი? – ჯოუნსი უფეხო სინდიოფალაზე მიუთითებს, რომელსაც წვეტიანი კბილები გროტესკულად დაუკრეჭია, – ისიც ვეგეტარიანელია? "

„კარგად მოგეხსენება, რომ – არა, – პასუხობს ნაცრისფერი არსება პირის გაუღებლად. ვერაფერს იტყვი, ნამდვილი მუცელმოგვია. გვარიან წარმატებას მიაღწევდა კეტსკილის მთებში[133], – ისიც იცი, რომ მისი არ უნდა გეშინოდეს".

„რატომ? სხვებისგან განვსხვავდები? "

მომაკვდავი ნაცრისფერი არსება (ის, ცხადია, კვდება, მისი სხეული შიგნიდან იხრწნება) არ პასუხობს და ჯოუნსი კვლავ ფიქრობს:

---

[133] მთები ნიუ-იორკის სიახლოვეს. ქალაქელების საყვარელი დასასვენებელი ადგილი.

არ არის მოძრაობა, არ არის თამაში. რატომღაც ჰგონია, რომ ნაცრისფერი არსება ბევრს გაიღებდა სწორედ ამ აზრის წასაკითხავად, მაგრამ ვერ მიართვეს! საკუთარი აზრების დაცვა კიდევ ერთი მიზეზია მისი მოუწყვლელობის და უნიკალურობისა. vive la difference[134], სულ ესაა, რისი თქმაც ჯოუნსის შეუძლია (იმიტომ არა, რომ ენა ექავება).

„მაშ, რით განვსხვავდები დანარჩენებისგან?"

„ვინ არის დადიტსი? – ეკითხება ნაცრისფერი არსება და როცა ჯოუნსი არ პასუხობს, კვლავ სახეგაშეშებული იღიმის, – ხომ ხედავ, ორივეს გვაქვს ისეთი შეკითხვა, რომელზეც პასუხის გაცემა არ გვსურს. მოდი, ისინი დროებით დავივიწყოთ. რას უწოდებთ იმას? იმას, თამაშის დროს?"

„ქრიბს", – ამბობს ჯოუნსი. მას ხრწნის სუნი სცემს, სწორედ ისეთი, მაკარტიმ რომ მოიტანა მონადირეთა სახლში, ეთეროვან-გოგირდოვანი სიმყრალე. ოჰ, ღმერთო, მერამდენედ ნანობს, ტყვია რომ არ დაახალა იმ ბოზიშვილს, სანამ სითბოს თავს შეაფარებდა. ეგდებოდა იმ სიცივეში ნეკერჩხლის ხეზე მოწყობილი პლატფორმის გვერდით და ფეხებს გაფშეკდა.

„ჰო, ქრიბი, – იმეორებს ნაცრისფერი არსება. სიზმართმჭერი ავგაროზი უკვე აქ არის, ჭერზე ჰკიდია და ნელა ტრიალებს ნაცრისფერი არსების თავზემოთ, – ყველაფერი, რისი გამხელაც ერთმანეთისთვის არ გვსურს, გვერდზე გადავდოთ და მოგვიანებით დავთვალოთ. ქრიბში ჩავდოთ".

„რა გინდა ჩემგან?"

ნაცრისფერი არსება თვალდაუხამხამებლად შეჰყურებს ჯოუნსის. თუმცა, ჯოუნსის აზრით, მას ამის გაკეთება არც შეუძლია, რადგან არც ქუთუთოები აქვს და არც – წამწამები.

„არც ქუთუთოები და არც წამწამები, – იმეორებს არსება, მაგრამ

[134] გაუმარჯოს განსხვავებას (ფრ).

ჯოუნსის ამჯერად პიტის ხმა ჩაესმის, – ყოველთვის არაფერი, არასდროს არაფერი. ვინ არის დადიტსი? "

ჯოუნსი ისეა გაოცებული, რომ კინაღამ პასუხობს... სწორედ ეს სურს არსებას – მოულოდნელობის ეფექტის გამოყენება. ეშმაკობას სიკვდილის წინაც არ იშლის. ჯოუნსის მეტი სიფრთხილე მართებს. ის ნაცრისფერ არსებას დიდი ყავისფერი ძროხის სურათს უგზავნის, რომელსაც კისერზე ფირფიტა ჰკიდია. ფირფიტაზე წერია: დადიტსი ძროხაა.

ნაცრისფერი არსება კვლავ სახეგაშეშებული იღიმის, იგი ჯოუნსის თავში იღიმის.

„დადიტსი ძროხაა? არა მგონია", – ამბობს იგი.

„საიდან ხარ? " – ეკითხება ჯოუნსი.

„პლანეტა X-დან. ჩვენ მომაკვდავი პლანეტიდან მოვფრინდით „დომინოსთან"[135] პიცის საჭმელად, რაღაც-რაღაცების კრედიტით შესაძენად და ბერლიცის მეთოდით იტალიური ენის შესასწავლად".

ახლა ეს ჰენრის ხმაა. შემდეგ მისტერ უცხოპლანეტელო-შინ-დარეკე საკუთარ ხმას უბრუნდება... ოღონდ დაღლილი ჯოუნსი ხვდება და არც უკვირს, რომ ეს მისი, ჯოუნსის ხმაა. მან იცის, რას ეტყოდა ჰენრი, აქ რომ ყოფილიყო, ბივერის დაღუპვის გამო ჰალუცინაციები დაგეწყოო.

არავითარ შემთხვევაში, – ფიქრობს ჯოუნსი, – ეს აღარასოდეს მოხდება. ამიერიდან ის ეგმენია, ეგმენს კი უკეთ მოეხსენება.

„ჰენრი? ის მალე მოკვდება", – ინდიფერენტულად ამბობს ნაცრისფერი ტიპი. იგი ხელს გადასაფარებლის გასწვრივ აპარებს და სამი გრძელი რუხი თითით ჯოუნსის ხელისგულზე სწვდება. თბილი და მშრალი კანი აქვს.

„რას გულისხმობ? – ეკითხება ჰენრის გამო შეშინებული ჯოუნსი, მაგრამ მომაკვდავი არსება არ პასუხობს. კიდევ ერთი კარტი ქრიბში. ამიტომ ჯოუნსი კიდევ ერთს კარტს ჩადის, – რატომ დამიძახე? "

[135] კაფე ნიუ-იორკში.

ნაცრისფერი ქმნილება აშკარად გაოცებულია, თუმცა სახე კვლავ გაშეშებული აქვს.

„არავის უნდა მარტოობაში სიკვდილი, – პასუხობს იგი, – მინდოდა, ვინმე ყოფილიყო ჩემ გვერდით. ყველას უნდა. ეს კარგად ვიცი – ტელევიზორს ხომ ჩვენც ვუყურებთ".

„მე არ მინდა..."

„არის ერთი ფილმი, რომლის ნახვაც განსაკუთრებით ველოდი. ის შენც მოგეწონება. მას „თანაგრძნობა რუხი კაცუნებისადმი" ჰქვია. ბაუსერ! პულტი! "

ბაუსერი ჯოუნსის უბოროტეს მზერას ჩუქნის და ბალიშიდან ჩასრიალდება. მოქნილი კუდი ქსოვილზე ისე ფაჩუნებს, როგორც გველი ქვაზე ხოხვისას. ტელევიზორის პულტი მაგიდაზე დევს. ისიც სოკოთია დაფარული. ბაუსერი მას კბილებს სტაცებს, დატრიალდება და ნაცრისფერი არსებისკენ მიიპარება. ნაცრისფერი არსება ჯოუნსის ხელს უშვებს (შეხება სულ არ შეზიზღებია, მაგრამ გათავისუფლება მაინც შვებას ჰგვრის), პულტს იღებს და თითს ჩართვის ღილაკს აჭერს. ეკრანი ნათდება. სურათი ოდნავ ბუნდოვანია, ბუსუსებს იგი მთლიანად არ დაუფარავს. ეს ხომ „ხვრელის" უკან მდებარე ფარდულია! ეკრანის ცენტრში მწვანე ბრეზენტი რაღაცას ეფარება. სანამ კარი გაიღება და დაინახავს საკუთარ თავს, თუ როგორ შედის შიგნით, ჯოუნსი ხვდება, ეს ყველაფერი რასაც ნიშნავს. ვარსკვლავი ფილმისა „რუხი კაცუნებისადმი თანაგრძნობა" თავად გარი ჯოუნსია.

„კარგი, – ამბობს მომაკვდავი არსება, რომელიც მყუდროდ მოკალათებულა ჯოუნსის ტვინის ცენტრში, – ჩვენ ნდობა გვაკლია, მაგრამ ფილმი ხომ ახლა იწყება".

სწორედ ამის ეშინია ჯოუნსის.

5

ფარდულის კარი იღება და ჯოუნსი შემოდის. ნამდვილი კლოუნია. თავისი პალტო აცვია, ბივერის ხელთათმანები უკეთია და ლამარის ძველი ნარინჯისფერი ქუდი ახურავს. წამით ის ჯოუნსი, რომელიც საავადმყოფოს ერთ-ერთ პალატაში ტელევიზორს უყურებს (მნახველებისთვის განკუთვნილ სავარძელში მისტერ გრეის საწოლის გვერდით რომ ზის), გაიფიქრებს, რომ „კედელში გაკეთებული ხვრელის" ფარდულში მდგარი ჯოუნსი უკვე დაინფიცირებულია და თავიდან ფეხებამდე სოკოთია დაფარული, მაგრამ შემდეგ ახსენდება, რომ მისტერ გრეი მის ცხვირწინ აფეთქდა, – ყოველ შემთხვევაში, თავი მაინც აუფეთქდა, – ჯოუნსი მის ნარჩენებს უახლოვდება.

„მაგრამ შენ არ აფეთქებულხარ, – ამბობს იგი, – შენ... შენ რა? დასათესად მოხვედი?

„ჩუ-უ-უ! – ამბობს მისტერ გრეი, მრისხანე ბაუსერი კი გაფრთხილების ნიშნად, კბილებს კრეჭს, თითქოს ჯოუნსის თავაზიანობისკენ მოუწოდებს, – მე მიყვარს ეს სიმღერა, შენ? "

საუნდტრეკი კარგადაა შერჩეული – „როლინგ სტოუნზის" „თანაგრძნობა ეშმაკისადმი" თითქმის თანხვდება ფილმის სახელწოდებას (ჩემი საეკრანო დებიუტი, – ფიქრობს ჯოუნსი, – მოიცადეთ, ჯერ კარლამ და ბავშვებმა ნახონ! "), მას მართლაც მოსწონს ეს სიმღერა, რომელიც მსუბუქ სევდას ჰგვრის.

„როგორ შეიძლება, გიყვარდეს? – ეკითხება იგი და ბაუსერის დაკრეჭილ კბილებს ყურადღებას არ აქცევს: ბაუსერი მისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და ეს ორივემ კარგად იცის, – ეს როგორ შეიძლება? ისინი ხომ ამ მუსიკის ფონზე გხოცავენ! "

„ისინი ყოველთვის გვკლავენ, – პასუხობს მისტერ გრეი, – ახლა კი გაჩუმდი და ფილმს უყურე. ეს ნაწილი ცოტა გაწელილია, მაგრამ მერე უკეთესი იქნება".

ჯოუნსი ხელებს წითელ მუხლებზე იწყობს – როგორც ჩანს, სისხლდენა შეუჩერდა – და „რუხი კაცუნებისადმი თანაგრძნობას" უყუ-

რებს, მთავარ როლში ერთადერთი და განუმეორებელი გარი ჯოუნსია.

6

ერთადერთი და განუმეორებელი გარი ჯოუნსი თოვლმავალს ბრეზენტს გადახდის, მიიხედ-მოიხედავს, დაზგაზე მუყაოს ყუთში ჩადებულ აკუმულატორს შეამჩნევს, მანქანაში ჩააყენებს და სადენებს შესაბამისად მიუერთებს. მისი, როგორც მექანიკოსის ცოდნა ამით ამოიწურება – ბოლოს და ბოლოს, ის ხომ ისტორიის მასწავლებელია, ამას წინათ კი გადაწყვიტა, ბავშვების აღზრდის საქმეში წვლილი შეეტანა და დაავალა, რომ კვირაში ერთხელ, „ზენას“[136] ნაცვლად, ისტორიის არხს უყურონ. როგორც კი ჯოუნსი გასაღებს ატრიალებს, პანელზე ინდიკატორები ინთება. მაშასადამე, აკუმულატორი სწორად მიუერთებია, მაგრამ ძრავა არ იქოქება. ხმასაც არ იღებს. სტარტერი რაღაცას ცდილობს მაინც. ეგ არის და ეგ.

– ო-ო, ღმერთო, ო-ო, ღმერთო! ამის დედაც! .. – ამბობს თანაბარი ხმით. დარწმუნებული არაა, რამდენად ღირს ზედმეტი ემოციის გამოვლენა, ან აქვს თუ არა ამის სურვილი. მას, საშინელებათა ფილმების მოყვარულს, სულ ცოტა, ოცჯერ მაინც ექნება ნანახი „სხეულის დამპყრობთა შემოსევა“ (ყოვლად უვარგისი რიმეიკიც კი დონალდ საზერლენდის[137] მონაწილეობით) და იცის, რაც მოხდა. მას მთელი სხეული უცერემონიოდ წაართვეს. თუმცა ამ შემთხვევაში, ზომბების არმიის გამოჩენა მოსალოდნელი არ არის. ის უნიკალურია. გრძნობს, რომ პიტი, ჰენრი და ბივიც უნიკალურები არიან (ანუ ბივი უნიკალური იყო), მაგრამ ამ ოთხეულიდან თვითონაა გამორჩეული. რა თქმა უნდა, საკუთარ თავზე ასე არ უნდა ლაპარაკობდეს, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა. პიტიც უნიკალური იყო და ბივერიც, ჰენრი – მათზე მეტად უნიკალური, თვითონ კი, ჯოუნსი,

---

[136] ამერიკულ-ახალზელანდიური სერიალი, ფენტეზის ჟანრში.
[137] კანადელი მსახიობი

უუნიკალურესია. იგი ხომ საკუთარ ფილმში ვარსკვლავად იქცა. „ეს იშვიათობაა", – როგორც მისი უფროსი შვილი იტყოდა.

საავადმყოფოს საწოლზე მყოფ ნაცრისფერ კაცს ტელევიზორიდან, სადაც ჯოუნსი I Arctic Cat–ზე შემომჯდარა, მზერა ჯოუნსი II-ზე გადააქვს, რომელიც სავარძელში მოკალათებულა და პერანგი გასისხლიანებია.

„რას მალავ? " – ეკითხება მისტერ გრეი.

„არაფერს".

„რატომ ხედავ გამუდმებით აგურის კედელს? რას ნიშნავს 19, გარდა იმისა, რომ რიცხვია? ვინ თქვა, ვეფხვების დედაცო? ეს რაღას ნიშნავს? რა არის აგურის კედელი? როდის არის ხოლმე აგურის კედელი? რას ნიშნავს, რატომ ხედავ მას გამუდმებით? "

ჯოუნსი გრძნობს, როგორ ცდილობს მისტერ გრეი მისგან სიმართლის გაგებას, მაგრამ ახლა, თუნდაც გარკვეული ხნით, ჭეშმარიტების მარცვალი უსაფრთხოდაა. ჯოუნსი შესაძლოა წაიყვანონ, მაგრამ ვერ შეცვლიან, ვერც ბოლომდე გახსნიან, როგორც ჩანს. ჯერ-ჯერობით მაინც.

ჯოუნსი საჩვენებელ თითს ტუჩებზე იდებს და ნაცრისფერ ტიპს მისსავე სიტყვებს უბრუნებს:

„გაჩუმდი და ფილმს უყურე".

არსება მას შავი თვალბურთულებით აკვირდება (მწერივით აქვს, ფიქრობს ჯოუნსი, ღვთისმლოცველასავით[138]), მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება თანდათან ქრება. ანდა რა ეჩქარება. ადრე თუ გვიან ჭეშმარიტებას ბოლომდე გამოსტყუებს ჯოუნსის სხეულის დაუმორჩილებელ ნაწილს და ყველაფერი ეცოდინება.

ახლა კი ფილმს უყურებენ. და როდესაც ჯოუნსის მუხლებზე ბაუსერი მოკალათდება და დაეხვევა, – ბასრკბილებიანი, ანტიფრიზის ეთერის სუნად აყროლებული ბაუსერი, – იგი მას თითქმის ვერ ამჩნევს.

---

[138] მწერის სახეობა.

ჯოუნსი , ფარდულის მეფე ჯოუნსი (სინამდვილეში ახლა ის მისტერ გრეია) საცეცებს აჩენს. მან მრავალთა ტვინში უნდა შეაღწიოს. უცხო აზრები ერთმანეთში ირევა, ერთმანეთს ღამის რადიოტალღებივით ედება, მაგრამ იგი საკმაოდ სწრაფად პოულობს იმას, რასაც ეძებს. ეს იგივეა, რაც პერსონალურ კომპიუტერში ფაილის გახსნა და სიტყვების ნაცვლად შესანიშნავი, 3–D ფორმატის ფილმის ნახვა, რომელშიც ყველა დეტალია აღწერილი.

მისტერ გრეის წყარო ემილ „დოგ" ბროდსკია ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ მენლოპარკიდან. ბროდსკი ტექნიკური ჯარის სერჟანტია, მანქანების პარკის პატარა ხრახნი. მაგრამ აქ, ოპერატიული რეაგირების ჯგუფში, რომელსაც კურცი ხელმძღვანელობს, წოდება არავის აქვს. არც მას. რანგით მასზე მაღლა მდგომებს „ბოსს" უწოდებს, დანარჩენებს (ასეთები ამ ხორცსაკეპში ცოტანი არიან) – „ეი, შენს". უცნობებისთვის „მეგობარო" ან „მოხუცოც" გამოდგება.

აქაურობის თავზე მცირე რაოდენობის რეაქტიული თვითმფრინავები დაფრინავენ (მათ მიწის სიახლოვეს მდებარე ორბიტაზე ყველა აუცილებელი სურათის გადაღება შეუძლიათ, თუ ეს ღრუბლები ოდესმე გაიფანტება), მაგრამ ბროდსკის ეს არ ეხება. თვითმფრინავები აფრენას ბანგორის ეროვნული გვარდიის ავიაბაზიდან ახორციელებენ, ის კი აქ არის, ჯეფერსონტრექტზე. ბროდსკის სამუშაო ვერტმფრენები და სატვირთო მანქანები სწრაფად მზარდ გაერთიანებულ ავტოპარკშია (შუადღის შემდეგ შტატის ამ ნაწილში ყველა გზა გადაკეტილია და ერთადერთი ტრანსპორტი ზეთისხილისფერი სატვირთო მანქანებია საგულდაგულოდ გადაღებილი ნომრებითა და წარწერებით). მან აგრეთვე, სულ ცოტა, ოთხი გენერატორი უნდა დააყენოს, რათა გოსლინის მაღაზიის ირგვლივ განთავსებული ბანაკი დენით მოამარაგოს. ამისათვის მთელ პერიმეტრზე მოძრაობის დამაფიქსირებელი დიდი ფარები, პროჟექტორები და ფარნები სჭირდება, აგრეთვე ნათურები მოძრავი ჰოსპიტლისთვის, რომელიც ფირმა „უინდსთარის" ბორბლებზე შეყენებულ სახლშია მოწყობილი.

კურცმა გარკვევით აუხსნა, რომ განათებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს და აქაურობა დღისითაც და ღამითაც გაჩახ-ჩახებული უნდა იყოს. ყველაზე მეტი პროჟექტორი ცხენების სადგომად რომ გამოიყენებოდა, იმ შენობასა და მის უკან მდებარე საძოვართან დააყენეს. მინდორში, სადაც ადრე ბებერი რეჯი გოსლინის ორმოცი მეწველი ძროხა ძოვდა, ორი კარავი გაშალეს. უფრო მოზრდილს მწვანე სახურავზე „სასადილო" აწერია, მეორე კი, თეთრი, უწარწეროდაა დატოვებული. მასში არც ნავთზე მომუშავე გამათბობლები დგას, როგორც – პირველში, რადგან საჭირო არ არის. ჯოუნსი ხვდება, რომ იქ დროებითი მორგია მოწყობილი. ჯერჯერობით, მხოლოდ სამი გვამია მოთავსებული (ერთ-ერთი – უტვინო ბანკირის, რომელმაც გაქცევა სცადა), მაგრამ მალე უფრო მეტი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, უბედური შემთხვევა არ მოხდა, რაც გვამების მოძებნასა და გადმოტანას შეაფერხებს. ისიც სათქმელია, რომ ამგვარი რამ კურცს, ბოსს, უამრავ პრობლემას მოუგვარებდა.

ეს ისე, სხვათა შორის. ახლა კი ჯოუნსი I-მა მენლოპარკელ ემილ ბროდსკის უნდა მიხედოს.

ბროდსკი სწრაფად გადაადგილდება დათოვლილ, ჭენჭყოიან, ატალახებულ მიწაზე ვერტმფრენების დასაჯდომ მოედანსა და საძოვარს შორის, სადაც „რიპლის სოკოთი" დაავადებული ადამიანები ჰყავთ თავმოყრილი (უკვე საკმაოდ ბევრნი არიან, გაოცებული სახით წინ და უკან დადიან ქვეყნის ყოველი კუთხიდან ჩამოყვანილი ტყვეებივით, დროდადრო გუშაგებს ეძახიან, სიგარეტსა და ინფორმაციას ითხოვენ, უაზროდ იმუქრებიან). ემილ ბროდსკი ჯმუხი, მოკლედ თმაშეკრეჭილი კაცია, ბულდოგის სახით, რომელიც თითქოს იაფი სიგარებისთვისაა შექმნილი (ჯოუნსიმ დანამდვილებით იცის, რომ ბროდსკი ღვთისმოსავი კათოლიკეა და სიგარეტი ცხოვრებაში არ მოუწევია), მათ ყვირილს ყურადღებას არ აქცევს, რადგან ძალზე დაკავებულია – ცალხელა მღებავივით უამრავი რამ უნდა მოასწროს. ყურსასმენები უკეთია, მიკროფონი პირთან აქვს. საწვავით

სავსე ავტოკოლონას უკავშირდება, კოლონა საცაა გამოჩნდება – ეს სწორედ რომ დროული იქნება, რადგან ბაზაზე მალე საბრძოლო დავალებების შესასრულებლად წასული ვერტმფრენები დაბრუნდებიან. იმავდროულად, მის გვერდით მიმავალ კემბრისთანაც ახერხებს საუბარს მართვისა და კონტროლის ცენტრთან დაკავშირებით, რომლის ორგანიზებაც, კურცის ბრძანებით, საღამოს ცხრა საათისთვის, უკიდურეს შემთხვევაში, შუაღამისთვის უნდა მოასწრონ.

გავრცელებული ხმების თანახმად, ოპერაციისთვის ორმოცდარვა საათია გამოყოფილი, მაგრამ ზუსტად არავინ იცის. იმასაც ამბობენ, რომ ძირითადი სამიზნე, „ცისფერი ბიჭი" უკვე განადგურებულია, თუმცა ბროდსკი დანამდვილებით ვერაფერს ამბობს, რადგან დიდი საბრძოლო ვერტმფრენები ჯერ არ დაბრუნებულან. სხვათა შორის, ამ უკანასკნელებს ბევრი არაფერი მოეთხოვებათ: მიზანში ამოღება და ბერკეტზე ხელის დაუფიქრებლად დაჭერა.

ღმერთო ჩემო, მესამე ჯოუნსი საიდანღა გაჩნდა? თანაც – სამივე ერთდროულად. ერთი საავადმყოფოს სოკოთი დაფარულ პალატაში ტელევიზორს უყურებს, მეორე ფარდულშია, მესამე კი... ჯოუნსი III როგორღაც ემილ ბროდსკის თმაშეკრეჭილ კათოლიკურ თავში ჩასახლებულა. ბროდსკი ჩერდება და თეთრ ცას აშტერდება.

კემბრი სამ-ოთხ ნაბიჯს კიდევ დგამს, სანამ მიხვდება, რომ დოგი ატალახებული საძოვრის შუაგულში დგას და არ იძვრის. ირგვლივ საშინელი ალიაქოთია – ხალხი აქეთ-იქით დარბის, ვერტმფრენები ეშვება, ძრავები ღმუის, დოგი კი ბატარეადამჯდარი რობოტივით გაშეშებულა.

– ბოს! ყველაფერი კარგადაა? – ეკითხება კემბრი.

ბროდსკი არ პასუხობს... კემბრის არ პასუხობს. სამაგიეროდ, ჯოუნსი I-ს – ფარდულში მყოფს – არიგებს: „ძრავას კაპოტი ახადე და სანთლები დამანახვე".

ჯოუნსი დიდხანს წვალობს, არ იცის, კაპოტი როგორ ახადოს,

მაგრამ ბროდსკი მითითებებს აძლევს. ბოლოს ჯოუნსი პატარა ძრავის თავზე იხრება, მასში გარკვევას არც კი ცდილობს, კამერის საჭვრეტში იყურება და გამოსახულებას ბროდსკის გადასცემს.

– ბოს! – ამბობს შეშფოთებული კემბრი, – რა მოხდა, ბოს?

– ისეთი არაფერი, – ნელა, მაგრამ მკაფიოდ პასუხობს ბროდსკი და ყურსასმენს იხსნის: გაუთავებელი ტკაცატკუცი ყურადღებას უფანტავს, –

ერთი წუთი მაფიქრე.

მერე ჯოუნსის მიმართავს: „ვიღაცას სანთლები ამოუღია. მიიხედ-მოიხედე... აი, იქ არის. დაზგის კიდეზე".

დაზგის კიდეზე საწვავით ნახევრად სავსე მაიონეზის ქილა დევს. თავსახურზე სახრახნისით ორი ხვრელი აქვს გაკეთებული, რათა აირი არ დაგროვდეს. ქილაში „ჩემპიონის" ფირმის ორი სანთელი დევს ფორმალდეჰიდში[139] მოთავსებული ლაბორატორიული ექსპონატებივით. ბროდსკი ხმამაღლა ამბობს:

– კარგად გაწმინდე.

როდესაც კემბრი ეკითხება, – რა გავწმინდო კარგადო, – დაბნეულად პასუხობს:

– მოკეტე.

ჯოუნსი სანთლებს იღებს, გულმოდგინედ წმენდს და, ბროდსკის მითითებით, საჭირო ადგილას ათავსებს.

„ახლა ხელახლა სცადე, – ამბობს იგი ტუჩების მოძრაობის გარეშე და მაშინვე ძრავის ღრიალი ისმის, – საწვავი შეამოწმე, არ დაგავიწყდეს".

ჯოუნსი ასეც იქცევა და ბროდსკის მადლობას უხდის.

– რა პრობლემაა, ბოს, – ეუბნება იგი და გზას განაგრძობს. კემბრი ნაბიჯს აჩქარებს, ცდილობს, თანამოსაუბრეს არ ჩამორჩეს. იგი ხედავს დოგის გაოცებულ სახეს, როდესაც ეს უკანასკნელი აღმოაჩენს, რომ ყურსასმენი მოხსნილი აქვს.

---

[139] უფერო, მძაფრი სუნის მქონე, ტოქსიკური, კარგად ხსნადი აირი.

– რა ჯანდაბას ნიშნავს ყოველივე ეს? – ეკითხება ბროდსკის.

– არაფერია, – თავიდან იცილებს ბროდსკი. მაგრამ რაღაც ნამდვილად იყო. რაღაც ცუდი. ლაპარაკი, საუბარი, კონსულტაცია? ჰო, სწორედ ეს. მაგრამ ვერაფრით იხსენებს, კონკრეტულად რის შესახებ. კარგად ახსოვს დილანდელი ბრიფინგი ოპერაციის დაწყების წინ. კურცის ერთ-ერთი დირექტივის მიხედვით, რაიმე უჩვეულოს შემჩნევისთანავე მისთვის უნდა ეცნობებინათ. მაგრამ იყო კი ეს უჩვეულო? და იყო კი საერთოდ?

– ალბათ, წამით გონება დამებინდა, – ამბობს ბროდსკი, – საქმე ბევრია, დრო კი ცოტა. აბა, არ ჩამომრჩე, ფეხი ამიწყვე.

კემბრი ასეც იქცევა. ბროდსკი შეწყვეტილ საუბარს ორივესთან განაგრძობს – ბენზინის მანქანების კოლონა იქაა, კემბრი – აქ. ახსოვს, რომ კიდევ იყო რაღაც, მესამე საუბარი, რომელიც უკვე დასრულდა. უჩვეულოა? სულაც არა, ასკვნის ბროდსკი. რასაკვირველია, ისეთი არაფერი მომხდარა, რომ გული გადაუშალოს იმ უცოდინარ ნაძირალა პერლმუტერს, რომელსაც მხოლოდ ის სჯერა, რაც პლანშეტზეა. მისთვის სხვა არაფერი არსებობს. კურცს ხომ არ უთხრას? არასოდეს. იგი პატივს სცემს ამ ბებერ კაკაჩას, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ეშინია მისი. კურცის ყველას ეშინია. კურცი ჭკვიანია, მამაცი, თუმცა, იმავდროულად, მასზე გადარეული მთელ ჯუნგლში არავინ ეგულება. ბროდსკის კურცის ჩრდილზე დაბიჯებაც კი არ სურს.

ანდერჰილი? იქნებ ოუენ ანდერჰილთან დალაპარაკება ღირდეს?

შესაძლოა... შესაძლოა, არც ღირდეს. ამგვარ საქმეებში შეიძლება ისე გაება, რომ ვეღარაფერმა გიშველოს. თანაც არაფრის გულისთვის. მას ხომ რაღაც ხმები, უფრო სწორად, ხმა, სულ ერთი-ორი წუთის განმავლობაში ესმოდა. ახლა ყველაფერმა გაიარა. თითქოს...

ისევ „კედელში გაკეთებული ხვრელი". აღმუვლებულ თოვლმა-

ვალზე შემჯდარი ჯოუნსი ფარდულიდან გამოდის და დიფქათროუ-დისკენ მიქრის. ის გრძნობს ჰენრის სიახლოვეს, როდესაც მას ჩაუქ-როლებს, – ჰენრი ხის უკან იმალება, სახე ხავსში ჩაურგავს ყვირი-ლის შესაკავებლად, – მაგრამ უმალავს იმ ღრუბელს, მას რომ დაუფ-ლებია და მისგან დაფარული ინფორმაციის სრულად გაგება სურს. ჯოუნსი თითქმის დარწმუნებულია, რომ უკანასკნელად იდგა ძველი მეგობრის გვერდით, რომელიც ამ ტყეებიდან ცოცხალი ვერასდროს გამოვა.

გული სწყდება, რომ ვერ დაემშვიდობა.

7

„არ ვიცი, ვინ გადაიღო ეს ფილმი, – ამბობს ჯოუნსი, – არა მგო-ნია, სმოკინგის გაუთოებამ მოუწიოთ „ოსკარით" დაჯილდოების ცე-რემონიის წინ. აშკარაა, რომ…"

აქეთ-იქით იხედება და მხოლოდ დათოვლილ ხეებს ხედავს. წი-ნაც მხოლოდ ხეებია და მეტი არაფერი, გარდა უსასრულოდ დაკ-ლაკნილი დიფქათროუდის და თეძოებს შორის მოცახცახე თოვლმავ-ლისა. არავითარი საავადმყოფო, არავითარი მისტერ გრეი. ყველა-ფერი სიზმარი იყო.

თუმცა არა, ასე არ ყოფილა. აგერ, ოთახი. თუმცა, ეს საავადმყო-ფოს პალატა არაა. შიგ არც საწოლი დგას, არც – ტელევიზორი და არც – საწვეთელა. საერთოდ არაფერი. მხოლოდ განცხადებების და-ფაა, რომელზეც ორი რამ არის გაკრული: ახალი ინგლისის რუკა „ძმები თრექერების" სატვირთო მანქანების მარშრუტით და პოლა-როიდის სურათი კაბაწამოხდილი თინეიჯერი გოგოსი, რომელსაც წელს ქვემოთ ოქროსფერი პატარა ბუჩქი მოუჩანს. ჯოუნსი ფანჯრი-დან დიფქათროუდს გასცქერის და დარწმუნებულია, რომ საავად-მყოფოს პალატაში იმყოფება. მაგრამ იქ რაღაც ისე ვერ არის. და-უყოვნებლივ უნდა დატოვოს იქაურობა, რადგან…

პალატა სახიფათოა, – ფიქრობს ჯოუნსი, – ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ადგილი. მაგრამ იქნებ, იქ საფრთხე ნაკლებადაა მოსალოდნელი. ეს მისი უკანასკნელი თავშესაფარია, რომელიც იმ ფოტოსურათით შეამკო, რომლის სანახავადაც მათი ოთხეული შორეულ 1978 წელს მიდიოდა. თინა ჯინ სლოპინგერი თუ რაღაც ამგვარი ერქვა.

„ზოგიერთი რამ, რაც ვნახე, სინამდვილეში... გაცოცხლებული მოგონებები იყო, იტყოდა ალბათ ჰენრი. მე მართლაც ვფიქრობ, რომ იმ დღეს დადიტსი დავინახე. ამიტომაც გადავედი ქუჩაზე ისე, რომ აქეთ-იქით არ გამიხედავს. რაც შეეხება მისტერ გრეის... მე ახლა სწორედ ის ვარ, ასე არაა? თუ იმას არ გავითვალისწინებთ, რომ ჩემი არსების ნაწილი იმ მტვრიან, დაცარიელებულ, უინტერესო ოთახში დარჩა, რომლის იატაკზეც ნახმარი პრეზერვატივები, განცხადებების დაფაზე კი გოგონას სურათია, მე მისტერ გრეი ვარ. ხომ ასეა?"

არანაირი პასუხი. რაც თავისთავად იყო ის პასუხი, რომელიც სჭირდებოდა.

„მაგრამ ეს როგორ მოხდა? აქ როგორ მოვხვდი? და რატომ? რისთვის?" –

კვლავ არანაირი პასუხი. თვითონ კი ვერაფერი მოუსაზრებია. მხოლოდ ის უხარია, რომ არსებობს ადგილი, სადაც შეუძლია ის იყოს, ვინც არის. გული სწყდება, დანარჩენი ცხოვრება ასე ადვილად რომ წაართვეს. ნანობს, მწარედ, გულწრფელად ნანობს, რომ მაკარტის ტყვია არ დაახალა.

8

გაისმა საშინელი აფეთქების ხმა და, თუმცა ეს რამდენიმე მილის დაშორებით მოხდა, ისეთი მძლავრი იყო, რომ ხეებიდან თოვლი ჩამოცვივდა. თუმცა, თოვლმავლის მძღოლს თავიც არ აუწევია. ეს ხომალდი იყო, რომელიც ჯარისკაცებმა ააფეთქეს. ბაირუსს ბოლო მოეღო.

რამდენიმე წუთის შემდეგ მისგან მარჯვნივ სახურავჩაქცეული ჩარდახი გამოჩნდა. თოვლზე პიტი იწვა, რომელსაც ერთი ფეხი თუნუქის ფურცლის ქვეშ მოჰყოლოდა. მკვდარი გეგონებოდა, მაგრამ სინამდვილეში ცოცხალი იყო. როდესაც ჯოუნსიმ იქით გადაუხვია და ძრავა გამორთო, პიტმა თავი ასწია, უხალისოდ გაიღიმა და დარჩენილი კბილები გამოაჩინა. ქურთუკის მარცხენა სახელო გაშავებოდა და საგრძნობლად დამოკლებოდა. მარჯვენა ხელზე მხოლოდ ერთი ჯანმრთელი თითი შერჩენოდა. კანი მოწითალო-ოქროსფერ ხავსს დაეფარა.

– შენ ჯოუნსი არა ხარ, – თქვა პიტმა, – ჯოუნსის რა დამართე?

– დაჯექი, პიტ, – უთხრა მისტერ გრეიმ.

– შენთან ერთად არსად წამოვალ, – პიტმა მარჯვენა ხელი ასწია – მყესებზე ჩამოკიდებული თითები, მოწითალო ოქროსფერი ხავსი – და შუბლი მოიწმინდა, – აქედან წადი, შენი... დაქოქე შენი პონი და გააჭენე.

მისტერ გრეიმ თავი დახარა, ის თავი ოდესღაც ჯოუნსის ეკუთვნოდა (ჯოუნსი ყველაფერს „ძმები თრექერების" მიტოვებული ოფისის სათვალთვალო პუნქტის ფანჯრიდან ხედავს, მაგრამ არც დახმარება შეუძლია და არც – რაიმეს შეცვლა) და პიტს დაჟინებით მიაჩერდა. პიტმა საშინელი ხმით დაიყვირა – როგორც ჩანს, სოკო, რომელიც მთელ სხეულზე მოსდებოდა, სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს, კუნთებსა და სისხლძარღვებში აღწევდა. მან მთელი ძალით გამოსწია სახურავქვეშ მოყოლილი ფეხი და, როგორც იქნა, გაითავისუფლა, შემდეგ კი ტკივილისგან მოიკუნტა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა. ცხვირ-პირიდან სისხლი წასკდა. როდესაც პირი კვლავ გააღო, კიდევ ორი კბილი გადმოუვარდა.

– დაჯექი, პიტ.

პიტმა სლუკუნით მიიკრა დასახიჩრებული ხელი მკერდზე და წამოდგომა სცადა. პირველი ცდა წარუმატებელი გამოდგა – იგი კვლავ თოვლზე გაიშოტა. მისტერ გრეი არაფერს ამბობდა, იჯდა

თავის Арцტიც ჩატ-ზე და პიტს შეჰყურებდა.

ჯოუნსი მეგობრის ტკივილსაც გრძნობდა, სასოწარკვეთილებასაც და მტანჯველ შიშსაც. ყველაფერზე ცუდი ეს შიში იყო, ამიტომ მან გარისკვა გადაწყვიტა.

„პიტ“.

ჯოუნსიმ მხოლოდ ჩაიჩურჩულა, მაგრამ პიტმა გაიგონა. თავი ასწია – ლოყები ჩასცვივნოდა, სახეზე სოკოს წინწკლები გასჩენოდა, რასაც მისტერ გრეი ბაირუსს უწოდებდა. როდესაც პიტმა ტუჩები მოილოკა, ჯოუნსიმ დაინახა, რომ ენაზე თითქოს ობი მოსდებოდა. კოსმოსური რძიანა. ოდესღაც პიტ მურს კოსმონავტობა სურდა. ერთხელ იგი რამდენიმე მასზე დიდ ბიჭს არ შეეპუა და პატარა და სუსტ ბავშვს გამოესარჩლა. იგი უკეთეს ბედს იმსახურებდა.

„არ არის მოძრაობა, არ არის თამაში“.

პიტმა თითქმის გაიღიმა. ეს შესანიშნავიც იყო და გულის ამაჩუყებელიც. ამჯერად წამოდგა და თოვლმავლისკენ წაჩანჩალდა.

მიყრუებულ ოფისში, სადაც ის გადაასახლეს, ჯოუნსიმ დაინახა, რომ კარის სახელური შეჯანჯღარდა.

„ეს რას ნიშნავს? – იკითხა მისტერ გრეიმ, – რას ნიშნავს „არ არის მოძრაობა, არ არის თამაში? “ იქ რას აკეთებ? დაბრუნდი საავადმყოფოში და ჩემთან ერთად ტელევიზორს უყურე. რატომ არ მოდიხარ? და საერთოდ, მანდ როგორ მოხვდი? “

ახლა ჯოუნსის მიეცა შესაძლებლობა, შეკითხვაზე არ ეპასუხა. და მან ეს დიდი სიამოვნებით გააკეთა.

„მე შემოვალ, – თქვა მისტერ გრეიმ, – როცა მზად ვიქნები. შეგიძლია თავი ინუგეშო, რომ კარს ჩაკეტავ და აღარ შემომიშვებ, მაგრამ ცდები“.

ჯოუნსი კვლავ დუმდა, – არაფრად ესაჭიროებოდა მის სხეულს დაუფლებული არსების გაღიზიანება, – მაგრამ სულაც არ ფიქრობდა, რომ ცდებოდა. მეორე მხრივ, იქაურობის მიტოვებასაც ვერ ბედავდა: ეშინოდა, არ გადამყლაპონო. ის ხომ ერთი ციცქნა ნაწილაკი

იყო ღრუბელში, უცხოპლანეტელის კუჭში მოხვედრილი საჭმლის ნამცეცი.

ჯობდა, თავშეკავება გამოეჩინა.

9

პიტი მისტერ გრეის უკან მოუჯდა და ჯოუნსის წელზე ხელები მოხვია. ათი წუთის შემდეგ მათ გადაბრუნებულ სკაუტს ჩაუქროლეს და ჯოუნსი მიხვდა, რატომ შეაგვიანდათ პიტსა და ჰენრის მაღაზიიდან დაბრუნება. საოცრება იყო, რომ არ დაიღუპნენ. უნდოდა, უკეთ დაჰკვირვებოდა, მაგრამ მისტერ გრეიმ სვლა არ შეანელა, მხოლოდ ჩატ-ის თხილამურები გადაიყვანა თოვლმიყრილ, ღრმა, პარალელურ ნაკვალევში.

სკაუტს სამი მილით გასცდნენ, გორაკზე ავიდნენ და ჯოუნსიმ გზიდან, ფუტზე ნაკლებ სიმაღლეზე, კაშკაშა, მოყვითალო-მოთეთრო ბურთი დაინახა, მათ რომ ელოდებოდა. აირშემდუღებლი აპარატის ალს ჰგავდა, ოღონდ, რასაკვირველია, ის არ იყო – მის ქვემოთ თოვლი არც კი დნებოდა. ძალიან ჰგავდა ღრუბლებში მოთამაშე შუქს, რომელიც მან და ბივერმა ხეობიდან გამოქცეული ცხოველების თავზე დაინახეს.

„მართალია, – თქვა მისტერ გრეიმ, – ეს ისაა, რასაც შენი ხალხი სასიგნალო შუქს ეძახის. ეს ერთ-ერთი უკანასკნელია. შესაძლოა, უკანასკნელიც კი".

ჯოუნსიმ არაფერი თქვა. დაჟინებით იყურებოდა კამერის ფანჯრიდან. გრძნობდა, რომ პიტი მექანიკურად და ინსტინქტურად უჭერდა ხელებს წელზე, იმ დამარცხებულ მოკრივესავით, რომელიც ცდილობს კლინჩში[140] შესვლას, რათა ნოკაუტში არ ჩავარდეს. თავი, რომელიც მხარზე ედო, ქვასავით მძიმე ეჩვენებოდა. პიტი საბოლო-

[140] კრივში მოწინააღმდეგისთვის ხელების დაჭერა ან მის სხეულზე შემოჭდობა.

ოდ იქცა ნოყიერ გარემოდ ბაირუსისთვის და, როგორც ჩანს, მოეწონა კიდეც: ირგვლივ ყველაფერი ცივი იყო, პიტი კი – თბილი. მისტერ გრეის ის რაღაცისთვის დასჭირდა, მაგრამ რისთვის?

სასიგნალო შუქი მათ დაახლოებით ნახევარ მილზე გაჰყვა, შემდეგ ტყეში გადაუხვია, ორ მსხვილ ფიჭვს შორის გასრიალდა და დაელოდა, თან ციბრუტივით ტრიალებდა ზედ თოვლზე. ჯოუნსიმ გაიგონა, როგორ უბრძანა მისტერ გრეიმ პიტს, უფრო მაგრად ჩასჭიდებოდა.

Aრცტიც ჩატ-ი ხტუნვა-ხტუნვითა და ღმუილით მიქროდა არცთუ ციცაბო ფერდობზე. თხილამურები თოვლს მიარღვევდა და აქეთ-იქით ყრიდა. ტყის თეთრი საფარი ნაკლებად სქელი იყო, ზოგან სულაც ქრებოდა. იმგვარ ლილოებში თოვლმავალი გაბრაზებული ზრიალებდა მოხრეშილ, გაყინულ მიწაზე, რომელსაც ლპობაშეპარული წიწვების თხელი ფენა გადაჰკვროდა. გეზი ჩრდილოეთისკენ ეჭირათ.

ათი წუთის შემდეგ ისინი გრანიტის შვერილს გამოედვნენ. პიტმა თავი ვერ შეიკავა, გადმოვარდა და ჩუმად შეჰყვირა. მისტერ გრეიმ თოვლმავალი დაამუხრუჭა. სასიგნალო შუქიც გაიყინა. ჯოუნსის ის უფრო მქრქალი მოეჩვენა.

– ადექი, – თქვა მისტერ გრეიმ. შემობრუნდა და პიტს მიაჩერდა.

– არ შემიძლია, – მიუგო პიტმა, – წასულია ჩემი საქმე, მეგობარო. მე...

პიტმა იყვირა და თოვლზე კოტრიალს მოჰყვა, ფეხებს იქნევდა, ერთი დამწვარი, მეორე კი დასახიჩრებული ხელი ნერვიულად უცახცახებდა.

„შეწყვიტე! – შესძახა ჯოუნსიმ, – შენ მოკლავ მას! "

მაგრამ მისტერ გრეიმ მის სიტყვებს ყურადღება არ მიაქცია. კორპუსს ოდნავ აქანავებდა და უსიცოცხლო თვალებით, უემოციო სახით შეჰყურებდა, როგორ ნთქავდა ბაირუსი პიტის ხორცს. ბო-

ლოს ჯოუნსიმ იგრძნო, რომ მისტერ გრეი პიტს შეეშვა. ეს უკანასკნელი რის ვაი-ვაგლახით წამოდგა. თავს მთვრალივით აქნევდა, ლოყაზე ახალი ჭრილობა წითლად უხასხასებდა, ჭრილობას უკვე შესეოდა ბაირუსი. გაშტერებული და დაღლილი თვალები ცრემლებით ავსებოდა. იგი კოჭლობით მივიდა თოვლმავალთან, დაჯდა და ხელები ჯოუნსის წელზე შემოაჭდო.

„ჩემს ქურთუკს ჩაეჭიდე", – ჩაიჩურჩულა ჯოუნსიმ და როდესაც მისტერ გრეიმ თოვლმავალი დაქოქა, მან იგრძნო, რომ პიტი ქურთუკში ჩააფრინდა.

„არ არის მოძრაობა, არ არის თამაში, ასე არაა? "

„არ არის თამაში", – ძლივს გასაგონად დაეთანხმა პიტი.

ამჯერად მისტერ გრეიმ მათი სიტყვები უყურადღებოდ დატოვა. არცთუ ისე კაშკაშა, მაგრამ ძველებურად სწრაფი სასიგნალო შუქი კვლავ ჩრდილოეთისკენ გაქანდა... ყოველ შემთხვევაში, ჯოუნსის ასე ეჩვენებოდა. სანამ თოვლმავალი ხეებს, ბუჩქებსა და ლოდებს შორის მანევრირებდა, მას თავგზა აებნა და ორიენტაცია დაკარგა. უკან განუწყვეტლივ ისმოდა ტყვიამფრქვევების კაკანი, თითქოს ვიღაცას მსროლელთა ასპარეზობა მოეწყო.

10

გავიდა კიდევ ერთი საათი და ჯოუნსი მიხვდა, რატომ აიტკივა მისტერ გრეიმ თავი პიტის თრევით. სწორედ მაშინ სასიგნალო შუქი მბჟუტავ სანთლად გადაიქცა და მალე ჩაქრა კიდეც. მსუბუქი ტკაცუნით გაქრა, თითქოს ვიღაცამ ქაღალდის პარკი გაბერა და ხელით გახეთქაო. გაფანტული ნამცეცები მიწაზე ნელა დაეშვა.

ისინი თხემზე იდგნენ. ეშმაკმა თუ იცოდა, სად იყვნენ. წინ თოვლით დაფარული ტყიანი ხეობა გადაჭიმულიყო, რომლის იქითაც დროის მიერ გამოჭმული გორაკები და ხშირი ბუჩქნარი მოჩანდა. სინათლის ნაპერწკალიც არსად ჩანდა. ამას ისიც ემატებოდა, რომ დღე აშკარად დასასრულს უახლოვდებოდა.

კიდევ ერთ ხათაბალას გადაგვკიდე, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, მაგრამ მისტერ გრეის მხრიდან ოდნავი გაღიზიანებაც ვერ იგრძნო. მან თოვლმავალი გააჩერა, თუმცა არ ჩამოსულა.

„ჩრდილოეთი", – თქვა მისტერ გრეიმ, ოღონდ არა ჯოუნსის მისამართით.

პიტმა ხმამაღლა, მაგრამ უხალისოდ და ძალიან ნელა უპასუხა:

– მე საიდან უნდა ვიცოდე? ღმერთო ჩემო, ისიც კი არ ჩანს, მზე საით ჩადის.

მისტერ გრეიმ ჯოუნსის თავი მიატრიალა და ჯოუნსიმ დაინახა, რომ პიტს მარცხენა თვალი თითქმის აღარ ჰქონდა. ქუთუთო ასწეოდა, თვალში ბაირუსის ბუჩქი ამოზრდოდა, რომლის გრძელი ღეროები გაუპარსავ ლოყებს ეხებოდა, რამდენიმე კი თხელ თმაში მოწითალო ოქროსფერ ლენტებად ჩაწნოდა.

„შენ იცი".

– შესაძლოა, ვიცი კიდეც, – თქვა პიტმა, – და, შესაძლოა, არ მინდა, რომ გითხრა.

„რატომ? "

– იმიტომ, რომ ეჭვი მეპარება შენს კეთილ ზრახვებში ჩვენ მიმართ, შენი დედაც! .. – მიუგო პიტმა და უეცრად ჯოუნსიმ მეგობრის გამო სულელური სიამაყე იგრძნო.

ჯოუნსიმ დაინახა, რომ მარცხენა თვალის ფოსოში ამოსული ბუჩქი მოულოდნელად შეირხა. პიტმა შეჰყვირა და ხელები სახეზე იტაცა. წამით, რაც უსაშველოდ გაიწელა, ჯოუნსიმ იგრძნო, როგორ შედიოდა მოწითალო ოქროსფერი ძაფები პიტის ტვინში, იქ ულმობელ თითებად გრძელდებოდა და რუხ ნივთიერებას შეუბრალებლად ჭყლეტდა.

„მიდი, პიტ, უთხარი! – შესძახა ჯოუნსიმ, – უთხარი, ღვთის გულისთვის! "

ბაირუსი კვლავ გაიზარდა. პიტს სახეზე აფარებული ხელები ჩა-

მოუცვივდა – გაფითრებული ჩანდა იმ ადგილებში, სადაც მოწითალო ოქროსფერი ჯერ არ მოსდებოდა.

– სად ხარ, ჯოუნსი? – იკითხა მან, – ოთახში კიდევ ერთი არ დაეტევა?

პასუხი მოკლე იყო:

– ცხადია, არა.

ჯოუნსი ვერ ხვდებოდა, რა ემართებოდა, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ საკუთარი თავის გადარჩენა – მისი დამოუკიდებლობის უკანასკნელი მარცვალი – როგორღაც ამ ოთახში ყოფნაზე იყო დამოკიდებული. თუ კარს ოდნავ მაინც შეაღებდა, ყველაფერი დასრულდებოდა.

პიტმა თავი დააქნია.

– ასეც ვფიქრობდი, – თქვა მან და ახლა მეორეს მიმართა:

– ოღონდ აღარ მატკინო, მეგობარო.

მისტერ გრეი იჯდა, პიტს ჯოუნსის თვალებით შესცქეროდა და არაფერს ჰპირდებოდა.

პიტმა ამოიოხრა, დამწვარი ხელი ასწია, თვალები დახუჭა, ერთი თითი გაშალა და უკან და წინ, უკან და წინ აამოძრავა. უეცრად ჯოუნსის თითქოს თვალი აეხილა და ყველაფერს მიხვდა. რა ერქვა იმ პატარა გოგოს? რინკენჰაუერი, არა? ჰო. სახელი არ ახსოვდა, მაგრამ კეთილხმოვანებას მოკლებულ „რინკენჰაუერს" რა დაავიწყებდა. ისიც მერი მ. სნოუს სკოლაში, ანუ დებილების აკადემიაში დადიოდა, თუმცა იმ დროისთვის დადიტსი უკვე პროფესიულ სასწავლებელში სწავლობდა. პიტი? პიტს ყოველთვის ჰქონდა დამახსოვრების სასაცილო მანერა, მაგრამ დადიტსის შემდეგ...

ჭუჭყიანი პატარა კამერის ფანჯარასთან მოკუნტულ ჯოუნსის უამრავი სიტყვა ეწვია. იმ ფანჯრიდან სამყაროს უყურებდა, მას რომ მოპარეს... სინამდვილეში სიტყვებს თანხმოვნები აკლდა და მხოლოდ მათი შემადგენელი, უცნაური სილამაზის მქონე ხმოვნები ისმოდა:

„ეა ა ა, იტ? ხედავ ამ ხაზს, პიტ?“

პიტმა მეოცნებე, მოკრძალებული აღტაცების გამომხატველი სახით მიუგო, რომ ხედავდა. შემდეგ კი თითი წინ და უკან ქანქარასავით აამოძრავა, ზუსტად ისე, როგორც ახლა.

თითი გაჩერდა, თუმცა მისი წვერი ისევ თრთოდა, როგორც ვენახის გასაშენებელი ადგილის შესარჩევი ბიოსალოკაციო ღერო წყალთან მიახლოებისას. შემდეგ პიტმა თოვლმავლის ოდნავ მარჯვნივ მდებარე გორაკის თხემისკენ მიუთითა.

– იქ, – თქვა მან და ხელი დაუშვა, – იქ არის ჩრდილოეთი. ზუსტად იმ კლდისკენ, რომლის შუაშიც ფიჭვი ამოსულა. ხედავ?

„ჰო, ვხედავ“.

მისტერ გრეი შეტრიალდა და მანქანა დაქოქა. ნეტა ბენზინი თუ ეყოფაო, – გაიფიქრა ჯოუნსიმ.

– შეიძლება, აქ დავრჩე? – იკითხა პიტმა, რაც, ცხადია, ნიშნავდა, – შეიძლება, მოვკვდეო?

„არა“.

გზა განაგრძეს. პიტი სუსტად ჩაეჭიდა ჯოუნსის ქურთუკს.

11

კლდეს რომ შემოუარეს და მის გვერდით მდებარე ყველაზე მაღალ გორაკზე ავიდნენ, მისტერ გრეი კვლავ შეჩერდა თავისი ცოცხალი სუროგატული სასიგნალო შუქიდან ახალი მითითებების მისაღებად. პიტმა ისევ გამოთვალა მიმართულება და ისევ განაგრძეს გზა, უფრო და უფრო შორს, ჩრდილოეთიდან ოდნავ დასავლეთისკენ მიდიოდნენ. დღე თანდათან ილეოდა.

ერთხელ ვერტმფრენების ხმა შემოესმათ, სულ ცოტა, ორი იქნებოდა. შესაძლოა, ოთხიც ყოფილიყო. მათკენ მოფრინავდნენ. მისტერ გრეიმ თოვლმავალი ხშირ ბუჩქებში შეიყვანა, ყურადღებას არ აქცევდა, ჯოუნსის სახეში რომ სცემდა ტოტები, შუბლი და ლოყები

რომ დაუკაწრა. პიტი კვლავ გადმოვარდა. მისტერ გრეიმ მანქანა გამორთო და აკვნესებული, თითქმის გონწასული პიტი ყველაზე ფართო ბუჩქის ქვეშ შეათრია. იქ დაელოდნენ, სანამ ვერტმფრენების ხმაური არ მიწყდა. ჯოუნსიმ იგრძნო, რომ მისტერ გრეიმ სასწრაფოდ ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრის ტვინში შეაღწია და დაასკანერა – ალბათ პიტის შეტყობინებასთან შედარება სურდა. როდესაც ვერტმფრენები სამხრეთ-დასავლეთისკენ გაფრინდნენ, მისტერ გრეიმ თოვლმავალი დაქოქა და ძველ მარშრუტს მიჰყვა. თოვა განახლდა.

ერთი საათის შემდეგ ისინი მორიგი გორაკის თხემზე შეჩერდნენ. პიტი ისევ გადმოვარდა თოვლმავლიდან, თუმცა ამჯერად გვერდზე დაეცა. მან თავი ასწია. სახე აღარ მოუჩანდა – რაღაცის სქელ ფენას დაეფარა. ლაპარაკი უნდოდა, მაგრამ ვერ ახერხებდა, რადგან პირიც იმ ნაგვით ჰქონდა სავსე და ენაზეც ბაირუსის ხალიჩა გადაჰკვროდა.

„არ შემიძლია, მეტი აღარ შემიძლია. თავი დამანებე. გთხოვ".

– ჰო, – თქვა მისტერ გრეიმ, – შენ შენი საქმე გააკეთე.

„პიტ! – შესძახა ჯოუნსიმ, შემდეგ კი მისტერ გრეის შეევედრა, – არა, არა, არ გინდა! "

მისტერ გრეიმ მის ნათქვამს, ცხადია, ყურადღება არ მიაქცია. წამით ჯოუნსიმ პიტის ერთადერთ თვალში უსიტყვო თანხმობა ამოიკითხა. და – შვებაც. იმ ერთი წამის განმავლობაში ჯოუნსის კიდევ შეეძლო პიტის გონებასთან შეხება. ის ხომ მისი ბავშვობის მეგობარი იყო, რომელიც მათ ყოველთვის სკოლის ჭიშკართან ელოდა და ხელით მალავდა წარმოსახვით სიგარეტს; ის კოსმონავტობაზე ოცნებობდა და სურდა, სამყარო კოსმოსური ხომალდიდან დაენახა; ერთ-ერთი იყო იმ ოთხეულიდან, რომელმაც დადიტსი დიდი ბიჭების ხელიდან დაიხსნა.

მაგრამ მხოლოდ წამით. შემდეგ იგრძნო, რომ მისტერ გრეის ტვინიდან რაღაც გამოვარდა და პიტის სხეულზე არსებული სისაძაგლე

კი არ შეირხა, – შეიკუმშა. პიტის თავის ქალა ათობით ადგილას ტკაცატკუცით გაიბზარა. სახე – ის, რაც მისგან დარჩა – ბუშტივით ჩაიფუშა და მიხრწნილი ბებრისასს დაემსგავსა. პიტი წინ გადავარდა და თოვლი წვრილად მიეყარა მის პარკას.

„ნაძირალა ხარ“.

მისტერ გრეიმ არაფერი უპასუხა, ყურადღება არ მიაქცია ჯოუნსის ლანძღვასა და გაშმაგებას. კვლავ წინ გაიხედა. აბორგებული ქარი მაშინვე ჩაცხრა და თოვლის ფარდაში ხვრელი გაჩნდა. დაახლოებით ხუთი მილის მანძილზე იმ ადგილიდან ჩრდილო-დასავლეთით, სადაც თოვლმავალი იდგა, ჯოუნსიმ აქეთ-იქით მოძრავ შუქს მოჰკრა თვალი. ამჯერად ეს სასიგნალო კი არა, მანქანის ფარების შუქი იყო. ურიცხვი მანქანის ფარებისგან. გზატკეცილზე კოლონებად მიდიოდა სატვირთო მანქანები. სატვირთო მანქანები და სხვა არაფერი. მენის შტატის ეს ნაწილი სამხედრო მოქმედებების ზონად ქცეულიყო.

„ყველა შენ გეძებს, შე არამზადავ“, – ჩაიჩურჩულა მან, როდესაც თოვლმავალი გზას გაუდგა. თოვა კვლავ გახშირდა და სატვირთო მანქანებს ფარდად ჩამოეფარა, მაგრამ ჯოუნსიმ იცოდა, რომ მისტერ გრეის გზატკეცილამდე მისვლა არ გაუჭირდებოდა. პიტმა იგი აქამდე მოიყვანა, საკარანტინო ზონის იმ ნაწილამდე, სადაც, ჯოუნსის აზრით, მხოლოდ მცირე უსიამოვნებები თუ იყო მოსალოდნელი. ახლა მისტერ გრეი იმედოვნებდა, რომ დარჩენილი გზის გავლაში ჯოუნსი დაეხმარებოდა, რადგან ამჟამინდელი ჯოუნსი ძველისგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა. მთავარია, რომ ბაირუსისგან საფრთხე არ ელოდა. ბაირუსს იგი, რატომღაც, არ მოსწონდა.

„აქაურობას თავს ვერასდროს დააღწევ“, – თქვა ჯოუნსიმ.

„დავაღწევ, – მიუგო მისტერ გრეიმ, – ჩვენ ყოველთვის ვკვდებით და ყოველთვის ვცოცხლდებით. ყოველთვის ვმარცხდებით და ყოველთვის ვიმარჯვებთ. მოგწონს თუ არა, ჯოუნსი, მომავალი – ჩვენს ხელთაა“.

„თუკი ასეა, არასდროს მსმენია უკეთესი მიზეზი წარსულში საცხოვრებლად", – მიახალა ჯოუნსიმ, მაგრამ მისტერ გრეიმ დუმილი არჩია. მისტერ გრეი, როგორც არსება, როგორც ცნობიერება, სადღაც გაქრა, ღრუბელს შეერწყა. ის, რაც მისგან დარჩა, მხოლოდ იმისთვის ვარგოდა, რომ თოვლმავალი ემართა და გზატკეცილამდე მიეღწია. ჯოუნსი კი, რომელიც უმწეოდ მიიწევდა იმისკენ, რაც ამ რუხ ქმნილებას მოემზადებინა, ორი უდავო ფაქტით ინუგეშებდა თავს. ჯერ ერთი, ის, რომ მისტერ გრეისთვის მიუღწეველი დარჩა მისი, ჯოუნსის, თვითმყოფადობის უკანასკნელი ნამცეცი, რაც მის მოგონებებში „ძმები თრექერების" ოფისის სახით არსებობდა. და მეორე: მისტერ გრეიმ არაფერი იცოდა დადიტსისა და გამონათქვამის – „არ არის მოძრაობა, არ არის თამაში" – შესახებ.

ჯოუნსის განზრახული ჰქონდა, ყველაფერი გაეკეთებინა, რათა მისტერ გრეის ეს ვერ შეეტყო.

ჯერჯერობით მაინც.

თავი მეცამეტე
გოსლინის მაღაზიაში

1

არჩი პერლმუტერის – ფრიადოსნის, რომელსაც სკოლის გამოსაშვებ საღამოზე სიტყვით გამოსვლის პატივი ერგო (თემა: „დემოკრატიის შუქჩრდილი"), ყოფილი „არწივის სკაუტის"[141], ჭეშმარიტი პრესვიტერიანელის, უესტ-პოინტის კურსდამთავრებულის – აზრით, „გოსლინის სოფლის მარკეტს" რეალობასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ურიცხვი ფარითა და პროჟექტორით განათებული (რაც პატარა ქალაქს თავზე გადაუვიდოდა) მაღაზია ფილმის დეკორაციას უფრო ჰგავდა. ოღონდ, ჩვეულებრივი ფილმისას – არა. თითქოს ჯეიმზ კამერონის[142] მსგავს, რომელიღაც ექსტრავაგანტურ რეჟისორს ისეთი ფილმის გადაღება ჩაეფიქრებინა, რომელშიც მხოლოდ სასმელ-საჭმელზე დახარჯული თანხა ჰაიტის მოსახლეობას ორი წლის განმავლობაში თავს გაატანინებდა. გახშირებული თოვაც კი

[141] უმაღლესი რანგი ბოისკაუტებში.
[142] კანადელი რეჟისორი, პროდიუსერი.

ვერ ჩრდილავდა ულმობლად მოკაშკაშე ნათებას და ვერ ფანტავდა ილუზიას, რომ ეს მდარე მორთულობა, დაწყებული თუნუქის ორი მრუდე საკვამურიდან, დამთავრებული შენობის წინ აღმართული ერთადერთი დაჟანგული ბენზინგასამართი სვეტით, – გადასაღები მოედნის პავილიონი იყო და სხვა არაფერი.

იწყება პირველი აქტი, – ფიქრობდა ბილიკზე ენერგიულად მოსიარულე პერლი, რომელსაც იღლიაში თავისი განუყრელი პლანშეტი ამოეჩარა (არჩი პერლმუტერს თავი ყოველთვის ძალზე არტისტულ პიროვნებად მიაჩნდა... და საქმიანადაც), – დავყუდებულვართ ამ მიყრუებულ სოფლის მაღაზიაში. მოხუცები ღუმელს უსხედან, პატარას კი არა, გოსლინის ოფისში რომ დგას, არამედ დიდს, შიგ მაღაზიაში. გარეთ კი ბარდნის. საუბრობენ ცაში ცეცხლოვანი ნათების... დაკარგული მონადირეების... ტყეში დასახლებული რუხი კაცუნების შესახებ. მაღაზიის მეპატრონე – ვუწოდოთ მას ბებერი როსიტერი – ზიზღით ფრუტუნებს, – ოჰ, ღმერთო ჩემო, რა სისულელეა, გადაღრძუებული დედაბრებივით ლაქლაქებთო! და სწორედ ამ დროს შენობა თვალისმომჭრელად ნათდება (როგორც „მესამე ხარისხის ახლო კონტაქტში") და მიწაზე ამო ეშვება. იქიდან სისხლმოწყურებული უცხოტომელები გადმოდიან და თავიანთი საშინელი, მომაკვდინებელი იარაღიდან ისვრიან! ეს ყველაფერი დამოუკიდებლობის დღის ზეიმს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მოქმედება ტყეში ხდება!

მის გვერდით მონდომებით მიაბიჯებდა მერლოუზი, მზარეულის მესამე თანაშემწე (ერთ-ერთი იშვიათი ოფიციალური თანამდებობა ამ პატარა ავანტიურაში), ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა. ყელიანი ფეხსაცმლის ან ჩექმის ნაცვლად ბოტასი ეცვა – პერლმუტერმა ის „სპაგოდან" (ასე უწოდებდნენ ჯარისკაცები მზარეულის კარავს) გამოიყვანა და ახლა მას წამდაუწუმ ფეხი უსხლტოდა. ირგვლივ მამაკაცები (და რამდენიმე ქალი) დაფუსფუსებდნენ. ძირითადად, რა-

ტომღაც, წყვილ-წყვილად დადიოდნენ. ზოგიერთები მინიატიურული მიკროფონებით ან რაციებით ლაპარაკობდნენ. კინოპავილიონში ყოფნის განწყობას ძრავებისა და გენერატორების გაუთავებელი ღმუილი, სატვირთო მანქანებისა და ტრაილერების სიმრავლე და შორიახლოს მდგარი ვერტმფრენები (ამინდის გაუარესების გამო იძულებით მობრუნებულები) აძლიერებდა.

– ნეტავ, რაში დავჭირდი? – ხელმეორედ იკითხა აქოშინებულმა მერლოუზმა და მის ხმაში ჩვეულებრივზე მეტი უკმაყოფილება გაისმა. გოსლინის ბოსელთან მდებარე საქონლის ბაკსა და საძოვრამდე უკვე მიეღწიათ. ძველი, დაცერებული მესერი (ათ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აქ პირუტყვს აბამდნენ, ასეირნებდნენ და აძოვებდნენ) გაემაგრებინათ, მავთულხლართი შემოევლოთ და სადენები გაეტარებინათ – ძაბვა მომაკვდინებელი არა, მაგრამ საკმარისად მაღალი იყო იმისთვის, რომ გაქცეული ძირს დავარდნილიყო და კრუნჩხვა დაწყებოდა... ადგილობრივების გააქტიურების შემთხვევაში კი ძაბვის სასიკვდილო დოზამდე გაზრდა ყოველთვის მოესწრებოდა. ღობის მეორე მხრიდან მათ ოცი-ოცდაათი კაცი შესცქეროდა, მათ შორის – ბებერი გოსლინიც (ჯეიმს კამერონის ვერსიაში გოსლინს ბრიუს დერნის[143] მსგავსი რომელიმე გამობრძმედილი ვეტერანი შეასრულებდა). სულ ცოტა ხნით ადრე მავთულხლართებს მიღმა მყოფნი ახმაურდებოდნენ, ხმამაღალ მუქარასა და ლანძღვა-გინებას არ დაიშურებდნენ, მოთხოვნებს წამოაყენებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც საკუთარი თვალით იხილეს, რა დაემართა მასაჩუსეტსელ ბანკირს გაქცევის მცდელობისას, მათი სიფიცხე საგრძნობლად დაცხრა. საბრალო ადამიანები. ადვილი გადასატანი როდია იმის ნახვა, როგორ ესვრიან ვიღაცას თავში. მათ ადგილას ბევრი გატყდებოდა. ამას ისიც დაემატა, რომ ოპერაციის ყველა მონაწილეს გამჭვირვალე ნიღაბი ეკეთა ცხვირ-პირზე. მოდი და ნუ გატყდები!

[143] ამერიკელი მსახიობი.

– ბოს! – ეს უკვე წუწუნს კი არა, საწყალობელ წკმუტუნს ჰგავდა. მავთულხლართების მიღმა მყოფი ამერიკელი მოქალაქეების შესახედაობამ მერლოუზს გამბედაობა ვერ შემატა, – ბოს, მითხარით, რატომ უნდა უფროსობას ჩემი ნახვა? ბობოლებს ჩემნაირი პატარა კაცი, მზარეულის მესამე თანაშემწე არ უნდა აინტერესებდეთ.

– ვერაფერს გეტყვი, – მიუგო პერლმუტერმა და არც მოუტყუებია.

წინ, ნაკვეთის დასაწყისში, რომელიც „ეგბიტერ ალის" სახელით იყო ცნობილი, ოუენ ანდერჰილი გაერთიანებული ავტოპარკის რომელიღაც თანამშრომელთან ერთად იდგა. ეს ავტოპარკელი კაცი რაღაცას ჩაჰყვიროდა ყურში ანდერჰილს, რათა ვერტმფრენების გუგუნი გადაეფარა. არა უშავს, – ფიქრობდა პერლმუტერი, – მალე დადუმდებიან. ასეთ სიბინძურეში ფრენას არავინ მოისურვებს. თანაც ეს ნაადრევი, სეზონისთვის შეუფერებელი ქარბუქი, რომელსაც კურცმა „ღვთის საჩუქარი" უწოდა.

როდესაც ასეთ მარგალიტებს აფრქვევდა, კაცი ვერ გაიგებდა, ხუმრობდა თუ სერიოზულად ლაპარაკობდა. ჩანდა, რომ ხუმრობა მისი სტიქია არ იყო, თუმცა ზოგჯერ მაინც იცინოდა. მსგავსი სიცილი არჩი პერლმუტერს აღიზიანებდა. ფილმში კურცის როლს, ალბათ, ჯეიმს ვუდსი შეასრულებდა. ან ქრისტოფერ უოლკენი. მართალია კურცს არც ერთი ჰგავდა და არც – მეორე, მაგრამ განა იგივე არ შეიძლება ითქვას ჯორჯ კ. სკოტისა[144] და პატონის[145] შესახებ? დიახ, დიახ, სწორედაც რომ.

პერლმუტერი მკვეთრად მიბრუნდა ანდერჰილისკენ. მერლოუზმა სცადა, არ ჩამორჩენოდა, ფეხი დაუსხლტა, საჯდომით დაეცა და ლანძღვა-გინებას მოჰყვა. პერლმუტერი ანდერჰილს მხარზე შეეხო და გულწრფელად ისურვა, რომ ნიღაბს ნაწილობრივ მაინც დაეფარა მისი გაოცებული სახე: ანდერჰილი ათი წლით მაინც დაბერებულიყო

[144] ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი.
[145] აშშ-ის არმიის გენერალი (1885-1945)

მას შემდეგ, რაც დილით მილინოკეტის სასკოლო დეპარტამენტის ავტობუსიდან ჩამოვიდა.

პერლი წინ გადაიხარა და მთელი ძალით შესძახა, რათა ქარის ხმა ჩაეხშო:

– კურცი მეთხუთმეტეშია! არ დაგავიწყდეთ!

ანდერჰილმა ხელი მოუთმენლად აუქნია, გააგებინა, არ დამავიწ-ყდებაო, და ავტოპარკელ ტიპს მიუბრუნდა. ახლა კი იცნო იგი პერ-ლმუტერმა – ეს ბროდსკი იყო, მეტსახელად „დოგი".

კურცის საკომანდო პოსტი უზარმაზარ „ვინებაგოში" (ფილმში მას აუცილებლად რომელიმე ვარსკვლავის ან ჯიმი კამერონის საც-ხოვრებლად გამოიყენებდნენ), ამ ადგილიდან ხელის გაწვდენაზე მდებარეობდა. პერლიმ ნაბიჯს მოუჩქარა. ვაჟკაცურად უმკლავდე-ბოდა ძლიერ ქარს, რომელიც სახეში თოვლის ფიფქებს აყრიდა. მერ-ლოუზი მის გვერდით მირბოდა და გზადაგზა კომბინეზონიდან თოვლს იფერთხავდა.

– მიდით, უფროსო, – იხვეწებოდა იგი, – ნუთუ, თავში არაფერი მოგდით?

– არა, – მოუჭრა პერლმუტერმა. მან მართლაც არ იცოდა, რატომ დასჭირდა კურცს ეს საცოდავი მზარეული, თანაც ასეთ ალიაქოთში. მაგრამ ისიც და მერლოუზიც გრძნობდნენ, რომ კარგი არაფერი ელოდათ.

2

ოუენმა ემილ ბროდსკის თავი მოუტრიალა, ნიღაბი ყურისკენ აუწია და უთხრა:

– აბა, კიდევ ერთხელ მომიყევი, ყველაფერი არა, მხოლოდ ის, რასაც „ტვინის გამოლაყება" უწოდე.

ბროდსკი არ შეწინააღმდეგებია, თუმცა ათიოდე წამი მაინც იდ-გა, სანამ გონებას მოიკრებდა. ოუენი არ აჩქარებდა, წინ კურცთან

შეხვედრა ელოდა, იმის შემდეგ კი – რაზმის ანგარიშის მოსმენა, ქაღალდებში ქექვა და ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ, მაგრამ ალღო კარნახობდა, რომ ეს რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

აი, კურცს თუ უამბობდა ამ ყველაფერს, ჯერ არ იცოდა. დრო უჩვენებდა.

როგორც იქნა, ბროდსკიმ ოუენის თავი მოატრიალა, თავისი ნიღაბი ყურზე მიადო და თხრობას შეუდგა. იმავეს ჰყვებოდა, ოღონდ უფრო დაწვრილებით. იგი ფეხით მიუყვებოდა მინდორს მაღაზიის სიახლოვეს, თან ერთდროულად კემბრისა და საწვავით დატვირთული სატვირთო მანქანების კოლონას ესაუბრებოდა, როდესაც ვიღაცამ მის თავში შეაღწია. მოულოდნელად ძველ, ათასგვარი ხარახურით სავსე ფარდულში აღმოჩნდა ვიღაცასთან ერთად, ვისი სახის გარჩევაც ვერ შეძლო. მამაკაცს თოვლმავალი ვერაფრით დაექოქა და დოგს სთხოვა, მიზეზის დადგენაში დახმარებოდა.

– ვუთხარი, რომ კაპოტი აეხადა! – ჩაჰყვიროდა ბროდსკი ოუენს ყურში, – ასეც მოიქცა. მომეჩვენა, რომ მისი თვალებით ვხედავდი, ოღონდ, ჩემი ტვინით. გასაგებად ვამბობ?

ოუენმა თავი დაუქნია.

– მაშინვე მივხვდი, რაც ხდებოდა – ვიღაცას სანთლები ამოეღო. იმ კაცს ვუთხარი, რომ მოეძებნა. დაიწყო კიდეც ძებნა. ორივემ დავიწყეთ. მართალი აღმოვჩნდი. ისინი დაზგაზე მოთავსებულ ბენზინიან ქილაში აღმოჩნდა. მამაჩემიც ასე ინახავდა თავისი „ლონბოისა“[146] და „როტოტილერის“[147] სანთლებს, აცივებამდე.

ბროდსკი გაჩუმდა. ან საკუთარმა მონაყოლმა შეაცბუნა, ან იმან, თუ როგორ ჟღერდა ეს უცხო ყურისთვის. დაინტერესებულმა ოუენმა ხელით ანიშნა, გაეგრძელებინა.

– თითქმის ეს არის. ვუთხარი, რომ სანთლები ქილიდან ამოეღო,

---

[146] გაზონსაკრეჭის მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა.
[147] მიწის დამამუშავებელი ძრავიანი მოწყობილობა.

გაემშრალებინა და მანქანაში ჩაეყენებინა. ასე ათასჯერ მაინც მოვქცეულვარ, როცა ბიჭებს მანქანების შეკეთებაში ვეხმარებოდი. თუ ამ შემთხვევას არ ჩავთვლით, როდესაც იქ კი არა, აქ ვიყავი. და სინამდვილეში არც არაფერი მომხდარა.

– მერე? – შესძახა ოუენმა.

ორივენი მთელი ძალით გაჰყვიროდნენ, რათა მანქანების ხმაური გადაეფარათ, თუმცა მათი არავის ესმოდა და თავს ისე გრძნობდნენ, როგორც მღვდელი და აღმსარებელი.

– ძრავა პირველივე ცდაზე დაიქოქა. ვურჩიე, ბენზინი შეემოწმებინა. ბაკი სავსე აღმოჩნდა. იმ კაცმა მადლობა გადამიხადა, – ბროდსკიმ თავი დაბნეულად დააქნია, – ვუპასუხე, პრობლემა არაა, ბოსმეთქი. ამ დროს თითქოს საკუთარ თავში დავებერტყე და ჩემ გარშემო ყველაფერი ძველებურად აღმოჩნდა. მე და კემბრი მინდორში გვერდიგვერდ მივდიოდით. გიჟი გგონივართ?

– არა. მაგრამ მინდა, რომ ეს ჯერ არავის გაუმხილოთ.

ნიღაბაფარებულმა ბროდსკიმ გაღიმება სცადა.

– ოჰ, რა პრობლემაა. მე მხოლოდ... ნაბრძანები გვქონდა, ყოველივე უჩვეულოს შესახებ შეგვეტყობინებინა და ვიფიქრე...

ოუენმა ბროდსკის მოფიქრება არ აცალა და მიახალა:

– რა ერქვა?

– ჯოუნსი მესამე, – მიუგო დოგმა და მაშინვე თვალები დააჭყიტა.

– დალახვროს ეშმაკმა! – წამოიძახა გაოცებით, – არც კი ვიცი, მისი სახელი საიდან გავიგე.

– როგორ ფიქრობთ, ინდიელების მეტსახელს ხომ არ ჰგავს? როგორც სონი სიქსკილერი ან რონი ცხრამთვარე?

– შესაძლებელია, თუმცა...

ბროდსკი შეჩერდა, შუბლი შეიჭმუხნა და აბლუყუნდა:

– საშინელებაა! როდესაც ეს მოხდა, მაშინ კი არა, მოგვიანე-

ბით... იმის გაფიქრებაც კი... ეს იგივეა... – მან ხმას დაუწია, – იგივეა, რაც გაუპატიურება, სერ.

– გეყოფა, – უთხრა ოუენმა, – შეეცადე, რომ დაივიწყო. ბევრი საქმე გაქვს?

– არც ისე, – გაეღიმა ბროდსკის, – მხოლოდ რამდენიმე ათასი.

– მაშინ წინ!

– კარგი.

ბროდსკი დაიძრა, მაგრამ მაშინვე შემოტრიალდა. ოუენი ბაკს შესცქეროდა, სადაც ადრე ცხენებს ამწყვდევდნენ, ახლა კი ადამიანები შეეყარათ. დაკავებულთა უმრავლესობა ფარდულში დაემწყვდიათ, თხუთმეტი-ოცი კაცი კი საძოვარზე შეეკრიბათ, თითქოს ასე თავს უკეთ იგრძნობდნენ. ნება დართეს, რომ ერთმანეთი ენუგეშებინათ? ერთი მაღალი ახალგაზრდა კაცი შორიახლოს იდგა – გამხდარი, თავჩაქინდრული, უშველებელი სათვალე ზარნაშოს ამსგავსებდა. ბროდსკიმ მზერა განწირული ზარნაშოდან ანდერჰილზე გადაიტანა.

– საგიჟეთში ხომ არ მიპირებთ გაგზავნას? ან ფსიქიატრთან?

ცხადია, არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ ის გამხდარი კაცი ძველმოდური რქისჩარჩოიანი სათვალით, სწორედ რომ ფსიქიატრი იყო.

– არავითარ... – დაიწყო ოუენმა, მაგრამ დამთავრება ვერ მოასწრო, რომ კურცის „ვინებაგოდან" გაისმა გასროლის ხმა, რომელსაც სასოწარკვეთილი ყვირილი მოჰყვა.

– ბოს! – წაიჩურჩულა ბროდსკიმ.

ოუენმა ძრავების ღრიალში ვერაფერი გაიგონა. მხოლოდ ტუჩების მოძრაობაზე მიხვდა და გაიმეორა:

– ოჰ, ამის დედაც! ..

– წადი, დოგ, – თქვა ოუენმა, – ეს შენი საქმე არ არის.

ბროდსკი კვლავ მას მისჩერებოდა და ტუჩებს ნერვიულად ილო-

კავდა. ოუენმა თავი დაუქნია. ცდილობდა, თავდაჯერებული, მტკიცე, ნამდვილი მეთაურის შესაფერისი გამომეტყველება ჰქონოდა, რომელიც ყველაფერს აკონტროლებს. შესაძლოა, ეს გამოუვიდა კიდეც, რადგან ბროდსკი შეტრიალდა და წავიდა.

„ვინებაგოდან", რომლის კარზეც ფირფიტა ეკიდა, გაკრული ხელით მიწერილი ტექსტით „შესვლა მხოლოდ გამოძახებით", კვლავაც მოისმოდა ყვირილი. ოუენმა იქით წასვლა დააპირა, მაგრამ ამ დროს სხვა პატიმრებისგან მოშორებით მდგარმა კაცმა დაუძახა:

– ეი! ეი, თქვენ! ერთი წუთით! რაღაც უნდა გითხრათ!

აბა რა, – გაიფიქრა ანდერჰილმა და ნაბიჯი არ შეუნელებია, – დაგენაძლევები, რომ ზღაპარიც გექნება მომზადებული და ათასი მიზეზიც, თუ რატომ უნდა გაგათავისუფლო დაუყოვნებლივ.

– ოვერჰილ? არა, ანდერჰილ. ასე გქვიათ, არა? რასაკვირველია, ასე გქვიათ. უნდა დაგელაპარაკოთ – ეს ორივე ჩვენგანისთვის მნიშვნელოვანია!

ოუენი შეჩერდა. „ვინებაგოდან " ისევ ისმოდა ყვირილი, რომელიც თანდათანობით ტირილში გადაიზარდა. იქ, ცხადია, რაღაც ხდებოდა, მაგრამ ჯერჯერობით არავინ მოეკლათ, რაც, თავისთავად, უკვე კარგი იყო. იგი ყურადღებით მიაჩერდა სათვალიან, ჯოხივით გამხდარ კაცს, რომელსაც პარკა ეცვა, მაგრამ სიცივისგან მაინც კანკალებდა.

– ეს რიტასთვისაა მნიშვნელოვანი, – ხმამაღლა თქვა გამხდარმა კაცმა ხმაურის გადასაფარავად, – კეტრინისთვისაც.

ეს რომ თქვა, კაცი ღონემიხდილივით მოეშვა, თითქოს მძიმე ლოდები ეთრია ღრმა ჭიდან, მაგრამ ოუენი ისე განაცვიფრა ცოლისა და ქალიშვილის სახელების ხსენებამ, რომ ეს არც შეუმჩნევია. საიდან უნდა სცოდნოდა უცხო ადამიანს ასეთი რამ? თავდაპირველად მასთან მისვლა და ყველაფრის გამოკითხვა დააპირა, მაგრამ ისედაც აგვიანდებოდა... კურცთან შეხვედრაზე. და თუ ჯერ არავინ მოეკლათ, ამის გაკეთება კიდევ მოესწრებოდა.

ოუენმა ერთხელაც შეავლო თვალი მავთულხლართის იქით მყოფ კაცს, რათა მისი სახე დაემახსოვრებინა და „ვინებაგოსკენ“ გაეშურა, რომლის კარზეც ფირფიტა ეკიდა.

3

პერლმუტერს „წყვდიადის გულიც“[148] წაეკითხა, „აპოკალიფსი ახლაც“[149] ენახა და იმაზეც ხშირად ეფიქრა, რომ სახელი „კურცი“ საგანგებოდ შეერჩიათ მსგავსი ვითარებისთვის. მზად იყო, ას დოლარსაც ჩამოსულიყო (ეს მნიშვნელოვანი თანხა იყო მისნაირი არტისტული ბუნების ადამიანისთვის) იმის სასარგებლოდ, რომ სინამდვილეში, ბოსს სხვა სახელი ერქვა, შესაძლოა, არტურ ჰოლსეფლი ან დაგვუდ ელგარტი, იქნებ, პედი მელონიც კი. მაგრამ კურცი? ეჭვი ეპარებოდა. ეს ნამდვილად ფსევდონიმს ჰგავდა, ისეთივე თეატრალურ რეკვიზიტს, როგორიც ჯორჯ პატონის სადაფისსახელურიანი, ორმოცდახუთკალიბრიანი რევოლვერი იყო. ჯარისკაცები, რომლებიც კურცს ჯერ კიდევ „ქარიშხალი უდაბნოში“ ოპერაციის დროიდან იცნობდნენ (არჩი პერლმუტერს მის სიახლოვეს დგომაც კი არ ხვდა წილად), მას გადარეულ, დედანატირებ მებრძოლად მოიხსენიებდნენ. არჩიც ასე ფიქრობდა და ბებერ შეშლილ პატონს ამსგავსებდა. არც იმას გამორიცხვდა, რომ დილაობით, პარსვისას, საკუთარ თავს სარკეში უყურებდა და მარლონ ბრანდოსავით[150] ჩურჩულით იმეორებდა: „საშინელებაა, საშინელებაა“.

ამიტომ, როცა მზარეულის მესამე თანაშემწე მერლოუზს ზედმეტად თბილი სამეთაურო ტრაილერისკენ მიაცილებდა, არჩი ცოტათი მოუსვენრობდა, ოღონდ ზომიერად. კურცი მშვენივრად გამოიყურებოდა. შკიპერი მოქანავე დაწნულ სკამზე იჯდა იმ პატარა სივრცეში, რომელსაც სასტუმრო ოთახს ეძახდნენ. მას კომბინეზონი გაეხადა –

---

[148] ინგლისელ მწერალ ჯოზეფ კონრადის სათავგადასავლო მოთხრობა
[149] ამერიკელ რეჟისორ ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმი.
[150] ამერიკელი მსახიობი.

ის იმ კარზე ეკიდა, რომლიდანაც პერლმუტერი და მერლოუზი შევიდნენ – და გრძელი საცვლის ამარა დარჩენილიყო. მოქანავე სკამის ცალ მხარეს ბუდეში მოთავსებული პისტოლეტი ეკიდა – ავტომატური ცხრამილიმეტრიანი და არა სადაფისსახელურიანი ორმოცდახუთკალიბრიანი.

ოფისი ტექნიკით უკვე აღეჭურვათ. კურცის მაგიდაზე მოთავსებული ფაქსი შეუსვენებლივ მუშაობდა და დაუსრულებლად ბეჭდავდა ქაღალდის ლენტს. ყოველ თხუთმეტ წუთში ერთხელ კომპიუტერი რობოტის მხიარული ხმით „ფოსტას" წამოიძახებდა ხოლმე. დაბალ ხმაზე ჩართული სამი რადიომიმღები ტკაცუნებდა და ერთი სიხშირიდან მეორეზე დახტოდა. მაგიდის უკან, ხელოვნურ ფიჭვზე, ორი სურათი ეკიდა. ისევე, როგორც კარზე ჩამოკიდებული ფირფიტა, კურცს ისინი მუდამ თან დაჰქონდა. მარცხენას „ინვესტიცია" ეწერა და ზედ ანგელოზისსახიანი, სკაუტის ფორმაში გამოწყობილი ბიჭი ეხატა, რომელსაც მარჯვენა ხელი მისალმების ნიშნად აეწია, მარჯვენას კი – „დივიდენდები", 1945 წლის გაზაფხულზე თვითმფრინავიდან გადაღებული ბერლინის ფოტოსურათით. ორი შენობა გადარჩენილიყო, ირგვლივ ნანგრევები ჩანდა.

კურცმა მათ მაგიდის მეორე მხრიდან ხელი დაუქნია.

– არ იფიქროთ, ბიჭებო, რომ ეს ჩვეულებრივი ხმაურია. ფრედი ჯონსონს უკვე დავავალე ამაში გარკვევა, მაგრამ ჯერ სასადილოში გავგზავნე დასანაყრებლად. ვუბრძანე, რომ არ იჩქაროს, მშვიდად მიირთვას ოთხივე კერძი, სუპიც, თევზიც, დესერტიცა და კომპოტიც, რადგან ვითარება აქ... ბიჭებო, ვითარება აქ თითქმის... დასტაბილურდა!

იგი საშინლად, FDR-ვით[151] გაიკრიჭა, და სკამზე რწევას მოჰყვა. მასთან ერთად, ქამარზე ჩამოკიდებული პისტოლეტის ბუდეც ქანაობდა ქანქარასავით.

---

[151] ფრანკლინ დელანო რუზველტი, აშშ-ის 32-ე პრეზიდენტი 1933-1945 წლებში.

პასუხად მელროუზმა გაუბედავად გაიღიმა. პერლმუტერმაც იგივე გააკეთა, ოღონდ უფრო თავშეკავებულად. ის, როგორც იქნა, ჩასწვდა კურცის ბუნებას: ბოსი ეგზისტენციარული ტიპი იყო და ძლიერი პიროვნებების წამბაძველობა ახასიათებდა. სხვა რა გზა ჰქონდა – უნდა ერწმუნა, რომ უკანასკნელი განცხადება კარგს მოასწავებდა. ძალიან კარგს. ჰუმანიტარული განათლება სამხედრო კარიერის კუთხით ბევრს არაფერს ნიშნავდა, მაგრამ რაღაცაში მაინც უწყობდა ხელს. მაგალითად, შესაფერისი ფრაზის დროულად მოყვანაში.

– მე ერთადერთი რამ ვუბრძანე ლეიტენანტ ჯონსონს... ოჰ, ბოდიშს ვიხდი, არავითარი წოდებები, მინდოდა მეთქვა, ჩემს ძველ მეგობარ ფრედი ჯონსონს-მეთქი – რომ ჭამის წინ ელოცა. თქვენ თუ ლოცულობთ, ბიჭებო?

მელროუზმა კვლავ დარცხვენით დაუქნია თავი, პერლმუტერმა – მოწყალედ. ამ უკანასკნელს სჯეროდა, რომ კურცის ხაზგასმული ღვთისმოსაობა მოჩვენებითი იყო, ისეთივე – როგორიც მისი სახელი.

კურცი კი ქანაობას განაგრძობდა და მხიარულად შეჰყურებდა მამაკაცებს, რომლების ჩექმებიდან ჩამომდნარი წყლის გუბეებში იდგნენ.

– საუკეთესო ლოცვა ბავშვის ლოცვაა, – თქვა კურცმა, – მარტივი, ხომ გესმით? „ღმერთი დიდია, ღმერთი კარგია. მოდით, მადლობა ვუთხრათ მას იმისთვის, რომ საჭმელი მოგვცა". ამის გაკეთება ძალზე მარტივია და, იმავდროულად – შესანიშნავი. არ მეთანხმებით?

– დიახ, მაგრამ... – დაიწყო პერლიმ.

– მოკეტე, ნუ იყეფები, – მხიარულად უთხრა კურცმა. იგი კვლავინდებურად ირწეოდა, პისტოლეტიც ისევე ქანაობდა ყაწიმზე. კურცმა ახლა მერლოუზს შეხედა და ჰკითხა:

– შენ რაღას ფიქრობ, ტანდაბალო რიგითო? ეს შესანიშნავი პატარა ლოცვაა თუ შესანიშნავი პატარა მლოცველი?

– დიახ, ს...

– ან ალაჰ-აკბარ, როგორც ჩვენი მეგობარი არაბები ამბობენ, „არ არის ღმერთი თვინიერ ალაჰისა“, რა შეიძლება იყოს ამაზე მარტივი? პიცას ზუსტად შუაზე ჭრის, თუ გესმით, რას ვლაპარაკობ.

მათ არაფერი უპასუხეს. კურცი სულ უფრო სწრაფად ირწეოდა, ასევე, პისტოლეტიც, პერლმუტერს თვალთ დაუბნელდა, როგორც დილით, სანამ ანდერჰილი მოვიდოდა და კურცს ცოტათი დააცხრობდა. შესაძლოა, ეს ყველაფერი მორიგი სპექტაკლი იყო, მაგრამ...

– ან მოსე ცეცხმოკიდებული ბუჩქის წინ! – შესძახა კურცმა და ცხენივით წაგრძელებული სახე შეშლილის ღიმილმა გაუნათა, – „ვის ველაპარაკები? “, ეკითხება მოსე, ღმერთი კი პასუხობს: „მე ვარ ის, ვინც ვარ და სულ ეს ვარ, ვინც ვარ, კუ-კუ-კუ“. მხიარული ვინმე კი ყოფილა ეს ღმერთი, არა, მისტერ მერლოუზ? ერთი ის მითხარი, გარე სამყაროდან მოსულთ „კოსმოსურ ზანგებს“ მართლა ეძახდი?

მერლოუზს კინაღამ ყბა ჩამოუვარდა.

– მიპასუხე, რიგითო.

– სერ, მე...

– კიდევ ერთხელ მიწოდებ „სერ“–ს, როცა ჯგუფი დავალებაზეა წასული, მისტერ მერლოუზ, და ორ მომდევნო დაბადების დღეს ციხეში აღნიშნავ, გასაგებია? მიხვდი, საით გიკაკუნებ?

– დიახ, ბოს! – მერლოუზი გაიჯგიმა. ლოყებზე სიცივისგან გაჩენილ წითელ ლაქებს თუ არ ჩავთვლით, სახე მკვდარივით გაჰფითრებოდა, – აბა, რას იტყვი? ეძახდი თუ არა უდიდესი გარე სამყაროდან მოსულებს „კოსმოსურ ზანგებს“?

– სერ, იქნებ წამომცდა კიდეც...

პერლმუტერი ვერაფრით დაიჯერებდა, რომ კურცს ასე სწრაფად შეეძლო მოქმედება (თვითონ რომ არ შესწრებოდა, იფიქრებდა, რომ ეს სპეცეფექტი იყო, როგორც ჯეიმს კამერონის ფილმში). იგი შემოტრიალდა, ბუდიდან ცხრამილიმეტრიანი პისტოლეტი ამოაფრინა

და თითქოს ბრმად, ელვისებურად გაისროლა. მერლოუზის მარცხენა ბოტასის ზედა ნაწილი აფეთქდა და ნაფლეთები გაიფანტა. სისხლი და კანის ნაგლეჯები პერლმუტერს შარვალზეც მოხვდა.

მე ეს არ დამინახავს, – გაიფიქრა პერლიმ, – ეს არ მომხდარა.

მაგრამ მერლოუზმა საშინელი ხმით იყვირა, გაოგნებული დააცქერდა თავის დასახიჩრებულ ფეხს და როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგა აზროვნების უნარი. პერლმუტერმა ამოჩრილ ძვალს მოჰკრა თვალი და კინაღამ შიგნეულობა ამოუტრიალდა.

კურცი წამოხტა. ამჯერად იმაზე ნელა, ვიდრე პისტოლეტი ამოიღო, მაგრამ – მაინც სწრაფად, შემაძრწუნებლად სწრაფად. მერლოუზს ხელი მხარში ჩაავლო და დაღრეჯილ სახეში ჩააშტერდა.

– მორჩი წუწუნს, ტანდაბალო რიგითო!

მაგრამ მერლოუზს აღარაფერი ესმოდა. მას სისხლი სდიოდა და პერლის მოეჩვენა, რომ ტერფის თითებიანი ნაწილი ქუსლისგან გამოცალკევებას აპირებდა. პერლისთვის სამყარო განაცრისფრდა და გაბუნდოვნდა. მთელი ძალით ეცადა ყურადღების მოკრებას. გული რომ წასვლოდა, ღმერთმა იცის, კურცს რა წამოუვლიდა და რას დამართებდა მას. პერლმუტერს მსგავსი შემთხვევების შესახებ ბევრჯერ სმენოდა, მაგრამ არ სჯეროდა, სიცრუედ ან ჭორად მიაჩნდა, რომელსაც კურცი თვითონ ავრცელებდა სხვების დასაშინებლად.

ახლა ყველაფერი ვიცი, – გაიფიქრა პერლმუტერმა, – ეს ზღაპარი არ არის, ეს მითია.

კურცმა მკაფიოდ, თითქმის ქირურგიული სიზუსტით მიადო პისტოლეტის ლულა მერლოუზს მოთაფლისფრო-მოთეთრო შუბლზე, წარბებშუა.

– მორჩი-მეთქი ამ ქალურ წივილ-კივილს, რიგითო, თორემ მე თვითონ გაგაჩუმებ. ეს ის შემთხვევაა, როდესაც შენნაირმა ერთუჯრედიანმა ამერიკელმაც კი უნდა იცოდეს, როგორ მოიქცეს.

მერლოუზმა როგორღაც მოახერხა ყვირილის ყელში ჩაბრუნება

და ხმადაბალ, საწყალობელ სლუკუნზე გადავიდა. ამან კურცი, როგორც ჩანს, დააკმაყოფილა.

– ახლა კი მომისმინე, რიგითო. უნდა მომისმინო, თუნდაც იმიტომ, რომ სხვებს გადასცე. ვფიქრობ, შენი ფეხი, უფრო სწორად ის, რაც მისგან დარჩა, საკმარისად დამაჯერებელი არგუმენტი იქნება, მაგრამ შენს წმინდა პირს წვრილმანების მოყოლა მოუწევს. აბა, მისმენ, ყმაწვილო? ისმენ დეტალებს?

მოსლუკუნე მერლოუზმა, რომელსაც თვალები – ორი ცისფერი შუშის ბურთულა – გადმოეკარკლა, თავი დაუქნია.

კურცმა სწრაფად, საკბენად მომზადებული გველივით თავი გვერდზე გასწია და პერლმუტერმა ბოსის სახე დაინახა. ყოველ ნაკვთში ინდიელის საბრძოლო მოხატულობასავით მკაფიოდ აღჰბეჭდოდა სიგიჟე. სწორედ ამ დროს ყველაფერი, რასაც პერლმუტერი თავის მეთაურზე მანამდე ფიქრობდა, ერთიანად გაცამტვერდა.

– შენ, ყმაწვილო? შენც მისმენ? იმიტომ, რომ შენც მაცნე ხარ. ორივენი მაცნეები ხართ.

პერლიმ თავი დაუქნია. ამ დროს კარი გაიღო და ახალმოსულში ოუენ ანდერჰილი რომ შეიცნო, შვებით ამოისუნთქა. კურცმაც იქით გაიხედა.

– ოუენ! მეგობარო! @კიდევ ერთი მოწმე! კიდევ ერთი მაცნე, მადლობა ღმერთს! მისმენ? წაიღებ სიტყვას ამ ბედნიერი ადგილიდან?

ანდერჰილმა თავი აუღელვებლად, პოკერში დიდ თანხებზე მოთამაშესავით დაუქნია.

– კარგია! შესანიშნავია!

კურცმა ყურადღება კვლავ მერლოუზზე გადაიტანა.

– ახლა კი, მზარეულის მესამე თანაშემწევ, სამხედრო წესდების ნაწილს გაგაცნობ. თავი მე-16, მუხლი მე-4, პარაგრაფი მე-3. „რასის, ეთნიკური წარმოშობისა და აგრეთვე, სქესის მიმანიშნებელი უად-

გილო ეპითეტების გამოყენება, ეწინააღმდეგება სამხედრო მოსამსახურეთა მორალსა და ქცევის წესებს. ამგვარი საქციელის დამტკიცების შემთხვევაში, დამნაშავეს სჯის სამხედრო ტრიბუნალი ან საველე სასამართლო, შესაბამისი სამეთაურო შემადგენლობის სახით. ციტატის დასასრული. შესაბამისი სამეთაურო შემადგენლობა მე ვარ, წესდების დამრღვევი, უადგილო ეპითეტების მთქმელი – შენ. გასაგებია მერლოუზ? მიხვდი, საით გიკაკუნებ?

მერლოუზმა რაღაც ჩაიბურტყუნა, მაგრამ კურცმა გააწყვეტინა. ოუენ ანდერჰილი კარში გაუნძრევლად იდგა, ვერც კი გრძნობდა, როგორ დნებოდა მის თავზე დაყრილი თოვლი და გამჭვირვალე ნიღაბზე ოფლივით ჩამოსდიოდა. იდგა და კურცს თვალებით ბურღავდა.

– ახლა კი, მზარეულის მესამე თანაშემწე მერლოუზ, დავამატებ: იმას, რაც აქ ღვთის მიერ გამოგზავნილი მოწმეების თანდასწრებით წაგიკითხეთ, ქცევის წესები ჰქვია და ნიშნავს – არავითარი სპიკი[152], მოკი[153], ფრიცი[154] ან წითელკანიანი. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, იმავე ჯგუფს მიეკუთვნება „კოსმოსური ზანგებიც". გასაგებია?

მელროუზმა თავის დაქნევა სცადა, მაგრამ უკვე გონებას კარგავდა და შებარბაცდა. პერლიმ ხელი წაავლო და შეაკავა, თან გულში ღმერთს ევედრებოდა, მერლოუზი დროზე ადრე არ გაშოტილიყო, თორემ „თავხედური" გათიშვისა და ბოსის ქადაგების არმოსმენის გამო, ვინ იცის, კურცი კიდევ რას დამართებდა.

– ჩვენ აღვგვით პირისაგან მიწისა აქ შემოჭრილ დაუპატიჟებელ სტუმრებს, მეგობარო. თუ ისინი ოდესმე კვლავ დაბრუნდებიან ჩვენს მიწა-წყალზე, მოვაძრობთ კოლექტიურ ნაცრისფერ თავს და

[152] ლათინოსი

[153] მამაკაცის სასქესო ორგანო.

[154] გერმანელების მეტსახელი მეორე მსოფლიო ომის დროს.

ნაცრისფერ კისერსაც ზედ მივაყოლებთ. თუ გაჯიუტდებიან, გამოვიყენებთ მათ მეთოდს, რომელიც თითქმის ავითვისეთ, საკუთარ საბრძანებელში ვეწვევით მათივე, ან „ჯენერალ ელექტრიკსის", „დიუპონისა" და უფალი „მაიკროსოფტის" მიერ აგებული, მსგავსი ხომალდებით და ცეცხლს მივცემთ მათ ქალაქებს, სკებსა თუ ჭიანჭველების ბუდეებს, ნაპალმით მოვურწყავთ პურის ქარვისფერ ყანებს, მიწასთან გავასწორებთ მათ დიად მეწამულ მთებს, დიდება უფალს, ალაჰ-აკბარ, ამერიკის შარდით გავავსებთ მათ ტბებსა და ოკეანეებს... მაგრამ ამას ღირსეულად, წესიერად გავაკეთებთ, არავის გამოვარჩევთ სქესის, რელიგიის, რასისა და ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ჩვენ ამას გავაკეთებთ, რადგან მათ ეყოთ თავხედობა და იმ მეზობელთან მივიდნენ, რომელთანაც არ უნდა მისულიყვნენ, იმ კარზე დააკაკუნეს, რომელზეც არ უნდა დაეკაკუნებინათ. ეს არც 1938 წლის გერმანია და არც 1963 წლის მასაჩუსეტსის შტატის ქალაქი ოქსფორდია. აბა, მისტერ მერლოუზ, გადასცემთ ჩემს სიტყვებს დანარჩენებს?

მერლოუზმა თვალები გადაატრიალა, მუხლები მოეკეცა. პერლმუტერი კვლავ ჩააფრინდა, რათა წაქცევისგან გადაერჩინა, მაგრამ აღარ გამოუვიდა და მერლოუზი დაეცა.

– პერლი, – წაიჩურჩულა კურცმა და როდესაც ცეცხლისმფრქვეველი ცისფერი თვალებით მიაჩერდა, პერლის ისე შეეშინდა, ცხოვრებაში რომ არ შეშინებია. შარდის ბუშტი გავარვარებულ და მძიმე ტომრად გადაექცა, ტომარას ერთი სული ჰქონდა, გამსკდარიყო და კომბინეზონში ჩაღვროდა. გრძნობდა, რომ თუ კურცი ადიუტანტის საზარდულთან მუქ ლაქას დაინახავდა, შეუბრალებლად დაახლიდა ტყვიას, განსაკუთრებით ამჟამინდელ მდგომარეობაში... მაგრამ ამგვარი ფიქრები ვერაფრით ეხმარებოდა. პირიქით, უფრო ცუდად ხდიდა.

– დიახ, ს... ბოს?

– როგორ ფიქრობთ, მიიტანს ის შეტყობინებას? მოახერხებს ჩემი

სიტყვების გადაცემას? საკმარისად შეიწოვა მისთვის ნათქვამი სიბრძნე, თუ იმ დაწყევლილი ბებერი ფეხის გამო წუხს?

– მე... მე... – პერლიმ დაინახა, რომ კარში მდგარმა ანდერჰილმა თავი ძლივს შესამჩნევად დაუქნია და მაშინვე გული მიეცა, – დიახ, ბოს, ვფიქრობ, ყურადღებით გისმენდათ.

კურცი ადიუტანტის მგზნებარებამ ცოტათი კი გააოცა, მაგრამ მაინც დაცხრა და ანდერჰილს მიუბრუნდა:

– თქვენ რას იტყვით, ანდერჰილ? შეძლებს შეტყობინების გადაცემას?

– აჰა, – ჩაიბურტყუნა ანდერჰილმა, – თუ ლაზარეთამდე მიყვანას მოვასწრებთ, სანამ თქვენს ნოხზე სისხლისგან არ დაცლილა.

კურცს პირის კუთხეები ოდნავ მაღლა აეწია.

– მიხედე, პერლი. მიხედავ?

– დაუყოვნებლივ, – თქვა პერლმუტერმა, კარისკენ გავარდა და ანდერჰილი უსაზღვრო მადლიერებით აღსავსე მზერით დააჯილდოვა, ოღონდ, იმ უკანასკნელმა ეს ან არ, ან ვერ შეამჩნია.

– სწრაფად, მისტერ პერლმუტერ. ოუენ, თქვენთან, როგორც ირლანდიელები იტყვიან, mano a mano[155] მსურს საუბარი.

ძირს არ დაუხედავს, ისე გადააბიჯა მერლოუზს და მკვირცხლად გაემართა ციცქნა სამზარეულოსკენ.

– ყავას ხომ არ მიირთმევთ? ფრედიმ მოამზადა, თუმცა თავს ვერ დავდებ, რომ ისმება... ამას ვერ დაგპირდებით, მაგრამ...

– კარგი ყავა უნდა იყოს, – თქვა ოუენმა, – დამისხით, მე კი შევეცდები, ამ ბიჭს სისხლდენა შევუჩერო.

ყავადნის ასაღებად ხელგაწვდილი კურცი შეჩერდა და ანდერჰილს ეჭვით აღსავსე მზერა მიაპყრო:

– ფიქრობთ, ეგ აუცილებელია?

ამ დროს პერლმუტერმა კარს მიაღწია და გარეთ გავიდა. ასე

[155] პირისპირ (ირლ)

არასდროს გახარებია ქარბუქში დგომა. უკან მოუხედავად უნდა მოესვა იქიდან.

4

ჰენრი ღობესთან იდგა (ცდილობდა, მავთულს არ შეხებოდა; უკვე ნახა, რა მოჰყვა გაუფრთხილებლობას) და სამეთაურო პოსტიდან ანდერჰილის – დიახ, მას ასე ერქვა – დაბრუნებას ელოდებოდა. თუმცა, კარი რომ გაიღო, იქიდან სხვა სამხედრო გამოვიდა, სწრაფად ჩაირბინა კიბე და იქაურობას სირბილით გაშორდა. ამ მაღალსა და მოუქნელ კაცს, ჰენრის აზრით, საშუალო დონის მენეჯერებისთვის დამახასიათებელი სერიოზული სახე ჰქონდა. ამჯერად კი ძალზე შეშინებული ჩანდა. ჰენრიმ თვალი გააყოლა.

საშუალო დონის მენეჯერი რამდენჯერმე წაბორძიკდა. თავიდან, წონასწორობა შეინარჩუნა, მაგრამ გვერდიგვერდ მდგარი ორი ტრაილერისკენ რომ მიდიოდა, ფეხი დაუსხლტა, თავი ვეღარ შეიკავა და დაეცა. პლანშეტი ხელიდან გაუვარდა და გნომების ციგასავით გასრიალდა.

ჰენრიმ ხელი ხელს მთელი ძალით შემოჰკრა, მაგრამ გამაყრუებელ ხმაურში მისი ტაში არავის გაუგონია, ამიტომ ხელისგულები პირთან მიიტანა, რუპორივით გააკეთა და შესძახა:

– ეს უსამართლობაა! ფავორიტს გზაზე განავალი დაუგდეს. ვიდეოჩანაწერს მოვითხოვთ!

მენეჯერი წამოდგა, მისკენ არც კი გაუხედავს, პლანშეტი აიღო და ტრაილერებისკენ იმავე ტემპით მოუსვა.

ღობესთან, ჰენრისგან ოციოდე იარდში, რვა-ათი კაცი შეჯგუფულიყო. მათ ერთი ზორბა ჯეელი გამოეყო, რომელიც ნარინჯისფერი პარკათი „პილზბერის“[156] ცომის კაცუნას ჰგავდა და მისკენ გაემართა.

---

[156] ნახევარფაბრიკატების მწარმოებელი სასურსათო კომპანია, რომლის ემბლემაც ცომისგან გაკეთებული კაცუნაა.

– ვფიქრობ, ეს არ უნდა გაგეკეთებინათ, მეგობარო, – უთხრა მან ჰენრის, შემდეგ კი ხმას დაუწია, – მათ ჩემს სიძეს ესროლეს.

დიახ. ჰენრიმ წაიკითხა მისი აზრები. იმ ზორბას სიძე, ისიც მოსული კაცი, ადვოკატზე, უფლებებზე, ბოსტონის საინვესტიციო კომპანიაში მუშაობაზე ლაპარაკობდა. ჯარისკაცები თავს უქნევდნენ, უხსნიდნენ, რომ ეს დროებითი ღონისძიება იყო. ვითარება გამოსწორდებოდა, საღამოსთვის ყველაფერი გაირკვეოდა. ამ დროს ორი მძიმეწონიანი მონადირე შემოიყვანეს და ჯიკავ-ჯიკავით წაიყვანეს ბეღლისკენ, სადაც სხვაც ბევრი იმყოფებოდა. მოულოდნელად, სიძე ადგილიდან მოწყდა და ავტოპარკისკენ გაიქცა. გაისმა „ბახ-ბახ! " და ყველაფერი ჩაქრა.

ზორბა კაცი გაფითრებული, დაღმეჭილი სახით უყვებოდა ჰენრის, მაგრამ მან შეაწყვეტინა:

– როგორ ფიქრობთ, დანარჩენებს რას უპირებენ?

შოკირებული ბრგე მამაკაცი ჰენრის მიაშტერდა და უკან ისე დაიხია, თითქოს შეეშინდა, რამე არ გადასდებოდა. სასაცილო იყო მსგავსი ფიქრები, რადგან ინფექცია უკვე ყველას შეჰყროდა, ყოველ შემთხვევაში, მთავრობის მიერ დაქირავებულ მწმენდავებს ასე მიაჩნდათ. მათაც იგივე ბედი ელოდათ.

– ალბათ, ხუმრობთ, – თქვა ზორბამ, შემდეგ კი თითქმის ვედრებით დაამატა, – მადლობა ღმერთს, ამერიკაში ვართ.

– მართლა? და თქვენ, რა თქმა უნდა, კანონიერად გექცევიან?

– ისინი მხოლოდ... დარწმუნებული ვარ, ისინი მხოლოდ... – ჰენრი ინტერესით ელოდა გაგრძელებას, მაგრამ მსგავსი არაფერი მომხდარა, ამბის თხრობა არ გაუგრძელებია, – თქვენ ხომ გაიგონეთ გასროლა, არა? – ჰკითხა ზორბამ, – მგონი, ყვირილიც შემომესმა.

წყვილად მდგარი ტრაილერიდან ორი სანიტარი გადმოვიდა საკაცით ხელში. უკან უხალისოდ მოჰყვებოდათ საშუალო დონის მენეჯერი, რომელსაც იღლიაში თავისი განუყრელი პლანშეტი ამოეჩარა.

– მგონი, მართალი იყავით.

ჰენრი და ზორბა კაცი ერთად აკვირდებოდნენ, როგორ მიიჩქაროდა საკაციანი სამეული „ვინებაგოსკენ“. როგორც კი საშუალო დონის მენეჯერი ღობეს მიუახლოვდა, ჰენრიმ ხმამაღლა დაუყვირა:

– როგორ არის საქმე, გაცურებულო? კარგად გაერთე?

ზორბა კაცი მოიბუზა. პლანშეტიანმა კი ჰენრი ისეთი მზერით დაასაჩუქრა, რომ ახალმოწველილი რძეც კი ამჟავდებოდა, და „ვინებაგოსკენ“ წაჩანჩალდა.

– ეს მხოლოდ... ეს განსაკუთრებულ მდგომარეობას წააგავს, – თქვა ზორბამ, – დარწმუნებული ვარ, ხვალ დილისთვის ყველაფერი მოგვარდება.

– ოღონდ, არა თქვენი სიძისთვის, – შეახსენა ჰენრიმ.

სქელომ შეხედა, ტუჩები ოდნავ აუცახცახდა. შემდეგ სიტყვის უთქმელად ძველ კომპანიას დაუბრუნდა, სადაც უმრავლესობა, ალბათ, მისნაირად აფასებდა მომხდარს. ჰენრი კვლავ „ვინებაგოს“ მიაჩერდა – ანდერჰილის გამოჩენას ელოდებოდა. რატომღაც მოეჩვენა, რომ ანდერჰილი მისი ერთადერთი იმედი იყო... მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს, ოპერაციასთან დაკავშირებით, ეჭვი ულრღნიდა გულს, იმედი მაინც იყო, ოღონდ, ძალიან მცირე. ჰენრის ხელში ერთადერთი კარტი ეჭირა. მას ჯოუნსი ერქვა. მათ ჯოუნსის შესახებ არ იცოდნენ.

ახლა ის უნდა გადაეწყვიტა, ეცნობებინა თუ არა ანდერჰილისთვის ჯოუნსის თაობაზე. ჰენრის საშინლად ეშინოდა, რომ ამის თქმა კარგს არაფერს მოიტანდა.

5

მას შემდეგ, რაც საშუალო დონის მენეჯერი სანიტრებს „ბაგოში“ შეჰყვა, ხუთი წუთი გავიდა. მანქანის კარი გაიღო და ისევ ძველი სამეული გამოჩნდა, საკაცეზე კი ვიღაც მეოთხე იწვა. გაჩახჩახებულ

შუქში დაჭრილის ფერმკრთალი სახე იისფრად მოჩანდა. ჰენრიმ შვებით ამოისუნთქა, როდესაც მასში ანდერჰილი ვერ შეიცნო, ანდერჰილი იმ მანიაკებს არ ჰგავდა.

გავიდა კიდევ ათი წუთი. ანდერჰილი სამეთაურო პოსტიდან კვლავ არ გამოდიოდა. ჰენრი მოთმინებით ელოდა. ირგვლივ ნამქერები იდო. ღობის გასწვრივ ჩამწკრივებული ჯარისკაცები პატიმრებს დარაჯობდნენ (დიახ, ისინი პატიმრები იყვნენ. თავის მოტყუება არ ღირდა). ერთ-ერთი მათგანი, შემთხვევით, მათ მიუახლოვდა. გუშაგებმა, რომლებიც დიფქათისა და სუონიფონდროუდის გადაკვეთაზე იდგნენ, ფარნები მიანათეს, დამაბრმავებელ შუქში ჰენრიმ მისი სახე ვერ გაარჩია, მაგრამ ძალიან გაუხარდა და, იმავდროულად, განცვიფრდა კიდეც, როდესაც მიხვდა, რომ გონებასაც ჰქონდა ისეთივე ნიშნები, როგორიც სხეულს – ლამაზი პირი, გატეხილი ცხვირი ან დაელმებული თვალი. ეს სწორედ ის კაცი აღმოჩნდა, რომელმაც ჰენრის ავტომატის კონდახი ამოჰკრა უკანალში, როდესაც ჩათვალა, რომ სატვირთო მანქანისკენ საკმაოდ სწრაფად არ მიდიოდა. ჰენრის ტვინს რაღაც სჭირდა – ვერაფრით წაეკითხა იმ კაცის სახელი, თუმცა იცოდა, რომ მის ძმას ფრენკი ერქვა და ის ფრენკი ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას დაეპატიმრებინათ და გაესამართლებინათ გაუპატიურებისთვის. არა, რაღაც-რაღაც ცნობები კი მიიღო, მაგრამ ნაწყვეტ-ნაწყვეტი და ერთმანეთთან დაუკავშირებელი, როგორც ყუთში ჩაყრილი ნაგავი. ჰენრი ხვდებოდა, რომ გონების მდინარეში შესვლას ცდილობდა, დინებას კი ნაფოტები და ათასი ნაგავი მოჰქონდა. სწყინდა, რომ უმეტესობას საოცრად პროზაული დატვირთვა ჰქონდა.

– ეი, შენ! – მეგობრულად გამოსძახა ჯარისკაცმა, – ეს ხომ ჩვენი ჭკუისკოლოფაა! ჰოთდოგი ხომ არ გინდა, ჭკუისკოლოფო?

– უკვე მივირთვი, – გაუღიმა ჰენრიმ, მაგრამ ამ დროს ენაზე თითქოს ბივერმა დაქაჩა, როგორც იცოდა ხოლმე, – აქედან დაახვიე, ფრედი.

ჯარისკაცმა სიცილი შეწყვიტა.

– ვნახოთ, როგორ ჭკუაზე დადგები თორმეტი საათის შემდეგ, – დაიქადნა მან. მის ყურებს შორის მოთავსებულ გონებაში მცურავი გამოსახულება მკაფიოდ მოჩანდა, ეს გვამებით, ერთმანეთში გადახლართული კიდურებით სავსე სატვირთო მანქანა იყო, – „რიპლით" ჯერ არ შემოსილხარ, ჭკუისკოლოფო?

ბაირუსი, – გაიფიქრა ჰენრიმ, – აი, რას გულისხმობს. მას ბაირუსი ჰქვია. ჯოუნსიმ იცის ეს.

ჰენრიმ არაფერი უპასუხა და ჯარისკაცი, თითქოს კამათში გაემარჯვოს, კმაყოფილი მოსცილდა იქაურობას. ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა ჰენრიმ ყურადღება მოიკრიბა და თოფი დაინახა – ჯოუნსის „გარანდი". მეც მაქვს იარაღი და როგორც კი ზურგს შემაქცევ, მაშინვე მოგკლავ, შე ვირო, – გაივლო გულში.

ჯარისკაცი მოულოდნელად შეხტა, შემოტრიალდა და ისევ ღობისკენ წამოვიდა. მხიარული თავხედობა პირქუში ეჭვით ჩაენაცვლებინა.

– რა თქვი, ჭკუისკოლოფო? რამე მითხარი?

– მხოლოდ იმის კითხვა მინდოდა, იმ გოგოსგან თუ გერგო რამე, ფრედიმ რომ იხმარა. შენც გიწილადა შესასხმელად?

ჯარისკაცმა გაოცებისგან თვალები დაჭყიტა და გამოთაყვანდა. შემდეგ კი განრისხდა და ავტომატი შემართა. მისი სამიზნე ჰენრი იღიმოდა. ქურთუკი შეიხსნა და მკერდი ლულას მიუშვირა.

– მიდი, – თქვა მან სიცილით, – მიდი, რემბო, გააკეთე შენი გასაკეთებელი.

ფრენკის ძმას წუთის განმავლობაში მიზანში ჰყავდა ამოღებული. შემდეგ ჰენრიმ იგრძნო, რომ კაცი დაცხრა. ჰენრიმ ბეწვის ხიდზე გაიარა – ხედავდა, რომ ჯარისკაცი უკვე სარწმუნო ვერსიას თხზავდა, მკვლელობის მიზეზთან დაკავშირებით, მაგრამ ძალზე დააყოვნა და წითელ მხეცს გონებამ აჯობა. ყველაფერი მეორდებოდა. რიჩი

გრენადო არასდროს მოკვდებოდა. იგი ყოველ მათგანში იჯდა. ყველანი ამ სამყაროს დრაკონის კბილები იყვნენ.

– ხვალ, – მიუგდო ჯარისკაცმა, – შენთვის ხვალ მოვიცლი, ჭკუისკოლოფო.

ამჯერად ჰენრის აღარაფერი უთქვამს – წითელი მხეცის გაღიზიანება არ ღირდა, თუმცა ღმერთი ხომ ხედავდა, რომ ეს არც ისე ძნელი იყო. მან რაღაც მაინც შეიტყო... უფრო სწორად, საკუთარ ეჭვებში დარწმუნდა. ჯარისკაცმა გაიგონა მისი აზრები, მაგრამ არცთუ მკაფიოდ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაცილებით სწრაფად შემობრუნდებოდა. გარდა ამისა, მან არ ჰკითხა ჰენრის, თუ საიდან იცოდა მისი ძმის, ფრენკის შესახებ. მაშასადამე, ჯარისკაცმაც იცოდა ის, რაც ჰენრიმ: ყველანი ტელეპათიით იყვნენ დაინფიცირებულები. მთელმა საძმომ აიკიდა მომაბეზრებელი ნელა მოქმედი ვირუსი.

– ოღონდ მე უფრო მძიმე ფორმა მაქვს, – ჩაიბურტყუნა მან და ქურთუკი შეიკრა. ასეთივე ჰქონდათ პიტს, ბივერსა და ჯოუნსის. პიტი და ბივერი დაიხოცნენ, ჯოუნსი კი... ჯოუნსი...

– ჯოუნსი ყველაზე უბედური აღმოჩნდა, – თქვა მან ხმამაღლა.

სად არის ახლა?

სამხრეთი... ჯოუნსი უკან, სამხრეთისკენ გაბრუნდა. გაირღვა კარანტინის ზონა, რომელსაც ასე იცავდნენ ის ბიჭები. მაგრამ ისინი თითქმის არ შეწუხებულან. წინასწარ იცოდნენ, რომ ასეთი რამ მოხდებოდა.

და მიიჩნიეს, რომ ერთი-ორი გაქცეული საერთო სურათს ვერ შეცვლიდა.

ჰენრის ეჭვი ეპარებოდა მათ სიმართლეში.

6

ოუენს ხელში ყავის ჭიქა ეჭირა და ელოდებოდა, როდის გაიყვანდნენ სანიტრები დაჭრილს. საბედნიეროდ, მორფის ზემოქმედებით,

მერლოუზის მოთქმა ბურტყუნმა და ჩუმმა კვნესამ შეცვალა. პერლი სანიტრებთან ერთად წავიდა, ოუენი კი კურცის პირისპირ დარჩა.

კურცი სარწეველაში იჯდა და ოუენ ანდერჰილს დამცინავი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა. შეშლილის სახე სადღაც გაქრა, ჰელოუინის ნიღაბივით გაუჩინარდა.

– ციფრებზე ვფიქრობ, – თქვა კურცმა, – რა რიცხვია?

– ჩვიდმეტი, – მიუგო ოუენმა, – თქვენ მას წითლად ხედავთ – ისე, როგორც სახანძრო მანქანაზე წერია.

კმაყოფილმა კურცმა თავი დაუქნია.

– ახლა თქვენ სცადეთ ჩემთვის შეტყობინების გადმოცემა.

ოუენმა სიჩქარის შემზღუდავი ნიშანი წარმოიდგინა: 60 მ/სთ.

– ექვსი, – თქვა კურცმა ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, – შავი თეთრზე.

– თითქმის მოარტყით, ბოს.

კურცმა ყავა მოსვა ჭიქიდან, რომელსაც ეწერა „მე მიყვარს პაპა". ოუენმა სიამოვნებით მიჰბაძა. ბინძური ღამე იყო, ბინძური სამუშაო და ფრედის ყავა ეგემრიელა კიდეც.

კურცმა ხელი კომბინეზონის ჯიბეში ჩაიყო და იქიდან დიდი თავსაფარი ამოიღო, ყოველი მხრიდან შეათვალიერა, გაჭირვებით ჩაიმუხლა (ყველამ იცოდა, რომ ამ ხანდაზმულ კაცს ართრიტი აწუხებდა) და მერლოუზის დაღვრილი სისხლის წმენდას შეუდგა. ოუენი, რომელიც ფიქრობდა, რომ ამქვეყნად ვეღარაფერი გააკვირვებდა, სახტად დარჩა.

– სერ... – ოჰ, ამის დედაც! .. – ბოს...

– მოკეტეთ! – თავაუღებლივ მიუგდო კურცმა და გამოცდილი დამლაგებლის გულმოდგინებით განაგრძო ლაქების წმენდა, – მამაჩემი ყოველთვის მეუბნებოდა, ყველამ საკუთარ ნაგავს უნდა მიხედოსო. ამას რომ დაეჩვევი, უნებურად ყოველთვის გაჩერდები და დაფიქრდები, სანამ რამეს მოიმოქმედებ. სხვათა შორის, რა ერქვა მამაჩემს, ყმაწვილო?

ოუენმა ყურადღება მოიკრიბა და მხოლოდ ნაწყვეტი მოიხელთა, თითქოს შემთხვევით, ქარისგან აფრიალებული კაბის ქვეშ შეეხედოს.

– პოლი?

– სინამდვილეში – პატრიკი... მაგრამ საკმაოდ ახლოს იყავით. ანდერსონს მიაჩნია, რომ ეს ტალღაა და ენერგიას გასცემს. ტელეპათიური ტალღა. საკმაოდ ლოგიკური კონცეფციაა, არა, ოუენ?

– დიახ.

დასუფთავებით გართულმა კურცმა თავი ისე დაუქნია, მისკენ არც გაუხედავს.

– გაცილებით ლოგიკურია თეორიულად, ვიდრე პრაქტიკულად, მეთანხმებით?

ოუენს გაეცინა. მოხუცს ჯერაც არ დაეკარგა სხვების გაოცების უნარი. „ყველა კარტს არასდროს ხსნის", – იტყვიან ხოლმე კურცისნაირ ადამიანზე. ეს კიდევ არაფერი. ოუენის აზრით, კურცს სახელოში ყოველთვის ჰქონდა გადამალული რამდენიმე ზედმეტი ტუზი. აგრეთვე ორიანიც. ყველას კარგად მოეხსენება, რომ ორიანი საშიში, ვერაგული კარტია.

– დაჯექით, ოუენ. ყავა ნორმალური ადამიანივით მიირთვით. მე ყურადღებას ნუ მომაქცევთ. ეს საქმე უნდა დავამთავრო.

ოუენი სკამზე მოკალათდა და ყავა დალია. ხუთი წუთის შემდეგ კურცი მძიმედ წამოდგა, თავსაფარი ზიზღით აიღო, სამზარეულოში გაიტანა, ნაგვის ურნაში ჩააგდო და კვლავ სარწეველას დაუბრუნდა. შემდეგ ყავა მოსვა, დაიღრიჯა და ჭიქა გადადგა.

– გაცივდა.

ოუენი წამოდგა.

– ახლავე ახალს მოვიტან...

– არა. დაჯექით. სალაპარაკო გვაქვს.

ოუენი დაჯდა.

– ჩვენ ცოტა წავკამათდით იქ, ხომალდთან, ასეა, არა?

– ასე არ ვიტყოდი...

– ვიცი, რომ არ იტყოდით, მაგრამ ორივენი ვხვდებით, რაც მოხდა. რა არ ხდება ექსტრემალურ ვითარებაში. ახლა ყველაფერი უნდა დავივიწყოთ. მოგვიწევს, ვინაიდან მე მეთაური ვარ, თქვენ – ჩემი მოადგილე, საქმე კი ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. შევძლებთ ერთად მუშაობას მიზნის მისაღწევად?

– დიახ, სერ, – ისევ, ამის დედაც! .. – ანუ ბოს.

კურცმა ცივად გაუღიმა.

– სამწუხაროდ, საკუთარ თავზე კონტროლი დავკარგე, – როგორი მომხიბლავი, გულწრფელი, გულღია და პატიოსანი გახდა. ოუენს წლების განმავლობაში ასულელებდა. მაგრამ ეს აღარ გამოუვა, – ჩვეულებრივ, ვაპირებდი სიტყვით გამოსვლას – როგორც „პატონის" ორი ნაწილი, ერთი ნაწილია „რასპუტინი", დაამატებ ცოტაოდენ წყალს, მოურევ და მიირთმევ, – და უცებ... ბახ! თვითონაც არ ვიცი, რა დამემართა. ალბათ იფიქრეთ, გააფრინაო, არა?

ფრთხილად, ფრთხილად. ამ ოთახში ტელეპათია, ნამდვილი ტელეპათი. ოუენმა არაფერი იცოდა იმის შესახებ, თუ რამდენად ღრმად შეეძლო კურცს მის აზრებში შეღწევა.

– დიახ, სერ. ცოტათი, სერ.

კურცმა თავი საქმიანად დააქნია.

– დიახ. ცოტათი. ძალზე ზუსტი განსაზღვრებაა. დიდი ხანია, ასეთი ვარ – ჩემნაირი ხალხი აუცილებელია, თუმცა იშვიათობაა და ძნელად მოსაძებნი. ცოტათი გიჟი უნდა იყო, მსგავსი დავალება სრულად და ღირსეულად რომ შეასრულო. ეს ბეწვის ხიდია, სახელგანთქმული ბეწვის ხიდი, როგორც კაბინეტებში გამოკეტილ ფსიქოლოგებს უყვართ თქმა. არადა, ასეთი გრანდიოზული წმენდა ისტორიას არ ახსოვს... თუ, რა თქმა უნდა, ჰერაკლესა და ავგეას თავლას[157] მითად მივიჩნევთ. მე თანაგრძნობა კი არა, გაგება მჭირდება. თუ

[157] ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღვთაებრივი გმირის, ჰერაკლეს საგმირო საქმეებიდან ერთ-ერთია მეფე ავგეას თავლის გაწმენდა.

ერთმანეთს გავუგებთ, ჩვენს კარიერაში ურთულეს სამუშაოს წარ-მატებით დავძლევთ. თუ არადა... – კურცმა მხრები აიჩეჩა, – თუ არადა, ამის გაკეთება უთქვენოდ მომიწევს. აბა, რას იტყვით, ჩემ-თან ხართ?

ოუენს ამაში ეჭვი ეპარებოდა, მაგრამ იცოდა, რა პასუხს ელოდა კურცი მისგან და თავი დაუქნია. სადღაც წაეკითხა იმ ჩიტის შესა-ხებ, რომელიც ნიანგის ხახაში ცხოვრობდა, ამ უკანასკნელის უტყვი თანხმობით. ახლა საკუთარ თავს იმ ჩიტთან აიგივებდა. კურცი არ-წმუნებდა, რომ აპატია წინანდელი საქციელი რადიოსთან დაკავში-რებით. ყველაფერს სტრესულ სიტუაციას აბრალებდა. თითქოს, ოუ-ენმა ეს გაცხარებულ გულზე გააკეთა, კურცივით, რომელმაც მერ-ლოუზი დაასახიჩრა. გაცხარებულ გულზე. თავი ვეღარ შეიკავა. თითქოს. მაშ, ბოსნიაში რაღა მოხდა ექვსი წლის წინ? მაგრამ ეს ახ-ლა მნიშვნელოვანი აღარ იყო. შესაძლოა, კურცი არ ცრუობდა. იქ-ნებ, ნიანგი დაღალა ჩიტის გულის გამაწვრილებელმა ფუსფუსმა მის კბილებში და პირის დასახურად ემზადებოდა? ოუენი დიდხანს იჩიჩ-ქნებოდა კურცის ტვინში, მაგრამ სიმართლეს ვერ მიაგნო. მით უმე-ტეს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებდა. სიფრთხილე და ყო-ველ წამს ასაფრენად მზადყოფნა.

კურცი კვლავ კომბინეზონში ჩაძვრა და შელახულკორპუსიანი ჯიბის საათი ამოიღო.

– ბაბუაჩემისაა, – თქვა მან, – ჯერაც ახალივით მუშაობს. ვინაი-დან მექანიკურია. არავითარი ელექტრონიკა. მაჯის საათი კი გამი-ჩერდა.

– მეც.

კურცმა ღიმილის მაგვარი გამოხატა.

– თუ დროს მოიხელთებთ, პერლმუტერს შეუარეთ, ცხადია, თუ მისი ატანა შეგიძლიათ. უამრავი მოვალეობა და საქმე აქვს, მაგრამ მაინც მოახერხა და სამასამდე მექანიკური საათი სწორედ თოვის დაწყებისა და ფრენის შეწყვეტის წინ მოიტანა პერლი საუკეთესო

შემსრულებელია. მხოლოდ ისაა საწყენი, რომ თავი მუდამ გადასაღებ მოედანზე ჰგონია.

– შესაძლოა, დღეს პირველი ნაბიჯები გადადგა საჭირო მიმართულებით, ბოს.

– შესაძლოა, ასეც იყოს.

კურცი ჭვრეტდა. ანდერჰილი ელოდა.

– ეჰ, მეგობარო, ჯობდა, ვისკი დაგველია. დღეს, შეიძლება ითქვას, მომაკვდავის საწოლთან ირლანდიური სიფხიზლე არ აგვცდება.

– ნუთუ?

– დიახ. ჩემი საყვარელი პუუკა საცაა, სულს განუტევებს.

ოუენმა წარბები აზიდა.

– დიახ. საცაა, უჩინმაჩინის მოსასხამი შემოეცლება და ერთ ჩვეულებრივ ჯაგლაგად წარმოდგება მდაბიო ხალხის გასახარად, განსაკუთრებით, პოლიტიკოსების სასიხარულოდ.

– რაღაც ვერ გავიგე.

კურცმა კვლავ დახედა წლებისგან გამუქებულ, შესაძლოა, ლომბარდიდან მოპარულ, ან სულაც... მიცვალებულისთვის ამოცლილ საათს. ანდერჰილს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ კურცი ყველაფერზე იყო წამსვლელი.

– ახლა შვიდი საათია. დაახლოებით ორმოცი საათის შემდეგ პრეზიდენტი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლას აპირებს. ტელევიზორებთან და რადიომიმღებებთან ურიცხვი ხალხი მოიყრის თავს. ეს კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი მოვლენა და თვალებში ნაცრის შეყრა იქნება მას შემდეგ, რაც ღმერთმა, ყოვლისშემძლე უფალმა, კოსმოსი შექმნა და პლანეტები ორბიტებზე განალაგა, რათა დაუსრულებლად ებრუნათ მისი თითის გარშემო.

– რა არის თვალებში ნაცრის შეყრა?

– ლამაზ ზღაპარში, ოუენ, ისევე, როგორც საუკეთესო ტყუილში,

სიმართლის მარცვალი დევს. წარმოიდგინე, ქიშმიში გამხმარ ფუნთუშაში. პრეზიდენტი მონუსხულ სამყაროს, სუნთქვაშეკრულ ხალხს, რომელიც მის ყოველ სიტყვას ღრუბელივით ისრუტავს, ეტყვის, რომ სხვა გალაქტიკიდან მოფრენილ უცხოტომელთა ხომალდმა, მადლობა უფალს, კატასტროფა განიცადა და მენის შტატის ჩრდილოეთ ნაწილში ჩამოვარდა ამა წლის ექვს თუ შვიდ ნოემბერს. ეს სიმართლეა. ის იტყვის, რომ ჩვენ არცთუ ძლიერ გავოცდით, რადგან, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს წევრი სხვა ქვეყნების მსგავსად, უკვე ათი წელია, ვიცით, რომ უცხოპლანეტელები დედამიწას სტუმრობენ. ისიც სიმართლეა, რომ სიცარიელიდან ჩვენი მეგობრების ვიზიტები ოცდაათიანი წლების მიწურულიდან დაიწყო და ამის შესახებ ამერიკაში ადამიანთა მხოლოდ მცირე ჯგუფმა უწყის. ისიც ვიცით, რომ 1974-ში რუსულმა გამანადგურებლებმა რუხი კაცუნების ხომალდი ციმბირის თავზე ჩამოაგდეს... თუმცა, რუსებს დღემდე ჰგონიათ, რომ ეს ამბავი დაგვიმალეს. ის ხომალდი, სავარაუდოდ, უპილოტო იყო, ერთგვარი მოსინჯვა გახლდათ. იქიდან მოყოლებული, ისინი ძალიან მომრავლდნენ. რუხებმა პირველი კონტაქტი დიდი სიფრთხილით განახორციელეს, რაც საშუალებას გვაძლევს, დავასკვნათ, რომ ჩვენ მათი დაშინება შევძელით.

ოუენი არაჯანსაღი აღტაცებით უსმენდა და იმედოვნებდა, რომ არაფერი ეტყობოდა არც სახეზე და არც ზედაპირულ ფიქრებში, სადაც კურცს შეღწევა შეეძლო.

ამჯერად კურცმა ჯიბიდან „მალბოროს" შელახული კოლოფი ამოაძვრინა და ოუენს გაუწოდა. მან თავი გააქნია, მაგრამ მაინც აიღო დარჩენილი ოთხი ღერიდან ერთი. კურცმაც იგივე გააკეთა და გააბოლეს.

– სიმართლისა და სიცრუის ნაზავი ვახსენე, – განაგრძო კურცმა, ღრმა ნაფაზი დაარტყა და პირიდან კვამლი გამოუშვა, – შესაძლოა, ეს არ იყოს საუკეთესო საშუალება ვითარების წარმოსაჩენად. მოდით, თვალებში ნაცრის შეყრას მივდიოთ, კარგი?

ოუენმა არაფერი უპასუხა. ბოლო დროს იშვიათად ეწეოდა და პირველმა ნაფაზმა თავბრუ დაასხა. სამაგიეროდ, შესანიშნავი გემო ჰქონდა.

– პრეზიდენტი იტყვის, რომ აშშ-ის მთავრობამ კატასტროფის ადგილას კარანტინი სამი მიზეზით გამოაცხადა. პირველი პრაქტიკული მიზეზია: ჯეფერსონტრექტი შორეული და მცირედ დასახლებული ტერიტორიაა, იქ საგუშაგო პოსტების განთავსება ადვილად მოხერხდა. ეს რომ ბრუკლინში ან ლონგაილენდში მომხდარიყო, უდიდეს სიძნელეებს წავაწყდებოდით. მეორე მიზეზი: ჩვენთვის უცნობია უცხოტომელთა განზრახვა. მესამე და ყველაზე დამაჯერებელი მიზეზი: უცხოპლანეტელებს მოაქვთ ინფექცია, რომელსაც ოპერაციის მონაწილეები „რიპლის სოკოს" ვუწოდებთ. ჩამოსულები გვარწმუნებენ, რომ მსგავსი არაფერი სჭირთ, მაგრამ სინამდვილეში, მომაკვდინებელი ვირუსი გადააქვთ. შეძრწუნებულ მსოფლიოს პრეზიდენტი იმასაც შეატყობინებს, რომ შესაძლოა, სოკო გონების მაკონტროლებელიც აღმოჩნდეს, რუხი კაცუნები კი მხოლოდ მასაზრდოებელი გარემო. აჩვენებს ვიდეოჩანაწერსაც, რომელშიც რუხი არსებები აფეთქებისას სპორებს აფრქვევენ. მეტი ეფექტისთვის ფირი ოდნავ შესწორებული იქნება, მაგრამ გაუყალბებელი... ძირითადად.

ცრუობ, – გაიფიქრა ოუენმა, – თავიდან ბოლომდე ყალბი კადრებია, როგორც უცხოტომელთა აუტოფსიის[158] შედეგად მიღებული ნაგავი. მაგრამ რატომ ცრუობ? იმიტომ, რომ გეხერხება. ეს ხომ გაცილებით მარტივია: სიმართლეზე მეტად ტყუილის თქმა გეადვილება.

– დიახ, ვცრუობ, – თქვა კურცმა, რომელსაც არაფერი გამორჩენია, თვალები დააკვესა და სიგარეტს ყურადღებით მიაჩერდა, – მაგრამ ფაქტები ზუსტი და გადამოწმებულია. ზოგიერთი მართლაც ფეთქდება და უამრავ წითელ ბაბუაწვერად იფანტება. მას რიპლი ჰქვია. როგორც კი შეისუნთქავ, გარკვეული დროის შემდეგ – ერთი

[158] პათოლოგანატომიური ან სასამართლო-სამედიცინო პროცედურა.

საათიდან ორ დღემდე – შენი ტვინი და ფილტვები რიპლის სალათად იქცევა. მომწამვლელი თუთუბოს მოსიარულე ბუჩქს დაემსგავსები. შემდეგ კი მოკვდები. ჩვენს დღევანდელ პატარა თავგადასავლზე სიტყვაც არ ითქმება. პრეზიდენტის ვერსიით, ჩამოვარდნის შედეგად ძალზე დაზიანებული ხომალდი ან მისსავე ეკიპაჟმა ააფეთქა, ან თვითონ აფეთქდა. ყველა რუხი კაცუნა დაიღუპა. თავდაპირველად რიპლი პატარა ფართობზე გავრცელდა, ახლა კი თანდათან იღუპება, როგორც ჩანს, სიცივის გამო. ამას, სხვათა შორის, რუსებიც ადასტურებენ. გარდა ამისა, ცხოველების – ინფექციის გადამტანების – განადგურებაც მოგვიხდა.

– ჯეფერსონტრექტის მოსახლეობა?

– აშშ-ის პრეზიდენტი აპირებს გამოაცხადოს, რომ დაახლოებით სამას ადამიანს, რომელთაგანაც სამოცდათხუთმეტი ადგილობრივი მოსახლეა, დანარჩენები კი მონადირეები, „რიპლის სოკოზე" ამოწმებენ. ის იმასაც იტყვის, რომ თუმცა ზოგიერთი დაინფიცირებულია, მისი დამარცხება ადვილად შეიძლება „ცეფტინისა" და „აუგმენტინის" მსგავსი ანტიბიოტიკებით.

– ახლა კი სიტყვა სპონსორს გადაეცემა, – თქვა ოუენმა.

კურცმა კმაყოფილებით გაიღიმა.

– გარკვეული ხნის შემდეგ გამოვაცხადებთ, რომ რიპლი ანტიბიოტიკების მიმართ მოსალოდნელზე უფრო გამძლე აღმოჩნდა და რამდენიმე პაციენტის სიცოცხლე შეიწირა. გაზეთები მათ გვარებს გამოაქვეყნებენ, ვინც მართლა დაიღუპა, ან რიპლისგან, ან იმ დაწყევლილი იმპლანტებისგან. თუ იცით, ხალხი მათ რას უწოდებს?

– დიახ. ტრაწიან სინდიოფალებს. პრეზიდენტი მათაც ახსენებს?

– არავითარ შემთხვევაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ „ტრაწიანი სინდიოფალები" უბრალო მოქალაქეებს გააღიზიანებს. ისევე, როგორც ინფორმაცია პრობლემის გადაჭრის ჩვენეული მეთოდის შესახებ აქ, გოსლინის მაღაზიაში, ამ უძველეს სილამაზის სალონში.

– საბოლოო გადაჭრის შესახებ, როგორც თქვენ იტყოდით, – დააზუსტა ოუენმა. სიგარეტი ფილტრამდე დაიყვანა და ნამწვი ცარიელი ჭიქის კიდეს მიასრისა.

კურცი თვალის დაუხამხამებლად მიაჩერდა ოუენს.

– დიახ, ასეც შეიძლება თქმა. ჩვენ დაახლოებით სამას ორმოცდაათი ადამიანის, ძირითადად, მამაკაცების ლიკვიდაცია უნდა მოვახდინოთ, მაგრამ ვერც იმას ავუვლი გვერდს, რომ წმენდაში ქალებისა და ბავშვების გარკვეული რაოდენობა მოხვდება. ეს სამწუხარო, მაგრამ ერთადერთი გზაა, რათა მსოფლიო არა მარტო პანდემიას, დაპყრობასაც რომ გადაურჩეს. დამეთანხმებით, ეს სამწუხარო აუცილებლობაა.

დარწმუნებული ვარ, ჰიტლერს ამგვარი „თვალებში ნაცრის შეყრა" მოეწონებოდა, – გაიფიქრა ოუენმა. მართალია, ვერ მოახერხა ამ სახიფათო აზრის შეჩერება, მაგრამ, როგორც შეეძლო, სასწრაფოდ შენიღბა ათასგვარი სისულელით. თუმცა არ იცოდა, მოასწრო, თუ არა მისი წაკითხვა კურცმა – ძალზე ეშმაკი იყო და იქნებ, ეს არც კი გაემხილა.

– დაკავებული რამდენია? – დაინტერესდა კურცი.

– სამოცდაათამდე. ორჯერ მეტი კინეოდან მოჰყავთ. თუ ამინდი არ გაუარესდა, ცხრისთვის აქ იქნებიან.

ამინდის გაუარესება შეუაღამის შემდეგ იყო ნავარაუდები.

– აჰა, – თქვა კურცმა და თავი დააქნია, – ამას დაუმატეთ ორმოცდაათი, რომლებსაც ჩრდილოეთიდან ჩამოიყვანენ, სამოცდაათამდე ან მეტი – სენკეპიდან და სამხრეთის სოფლებიდან, და... ჩვენი ბიჭები. არც ისინი დაგავიწყდეთ. ნიღბებმა, შესაძლოა, უშველა, მაგრამ სამედიცინო ანგარიშებში რიპლის ოთხი შემთხვევაა უკვე აღწერილი. ამის შესახებ თვითონ, ცხადია, არაფერი იციან.

– ვითომ?

– ნება მომეცით, უფრო ზუსტად ჩამოვაყალიბო. მათი ქცევის მიხედვით, საფუძველი არ მაქვს დავასკვნა, რომ ეს იციან. გასაგებია?

ოუენმა მხრები აიჩეჩა.

– მაშასადამე, – შეაჯამა კურცმა, – ოფიციალური მოხსენების მიხედვით, დაკავებულები გადაიგზავნებიან ზესაიდუმლო, 51-ე ზონის მსგავს, სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც მათ გამოკვლევას განაგრძობენ, აუცილებლობის შემთხვევაში კი ხანგრძლივად უმკურნალებენ. თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა, განცხადება აღარ გაკეთდება. მაგრამ მომდევნო ორი წლის განმავლობაში საინფორმაციო წყაროებში გაჟონავს ხოლმე ინფორმაცია: „შემოჭრილი ვირუსის შეჩერება, მიუხედავად ექიმების არნახული ძალისხმევისა“... „სიგიჟე... ენით აუწერელი საზარელი სიმახინჯის მაგალითები... ბოლოს კი სიკვდილი, როგორც უდიდესი წყალობა“. საზოგადოება კი, აღშფოთების ნაცვლად, შვებით ამოისუნთქებს.

– სინამდვილეში კი...?

უნდოდა, კურცს ეს ეთქვა, მაგრამ კარგად არ იცნობდა მას. მოსასმენი აპარატურა იქ არ იდგა (იმას თუ არ ჩავთვლით, რაც, სავარაუდოდ, კურცის ყურებს შორის იყო მოთავსებული), არც ბოსს უღალატა ჩვეულმა სიფრთხილემ. ხელი ასწია, ცერითა და საჩვენებელი თითით პისტოლეტი გააკეთა და „სასხლეტს“ სამჯერ ისე გამოჰკრა, რომ ოუენისთვის თვალი არ მოუცილებია.

ნიანგის თვალები, – გაიფიქრა ოუენმა.

– ყველას? – იკითხა ხმამაღლა, – განურჩევლად იმისა, აქვს თუ არა „რიპლი“? ჩვენ რა ბედი გველის? სრულიად ჯანმრთელ ჯარისკაცებს?

– ვინც კარგადაა, ბაზაზე დაბრუნდება, – თქვა კურცმა, – ისინი კი, ვინც უპატიებელი გაუფრთხილებლობა გამოიჩინა... ერთ-ერთმა... აქ ოთხიოდე წლის პატარა გოგონაა, ნამდვილი ეშმაკის ფეხია. ისეთია, კაცი იფიქრებს, ახლა აცეკვდება და ზედ სიმღერასაც მოაყოლებსო: „იყო ერთი ხომალდი, სახელად ლოლიპოპი“.

კურცს საკუთარი თავი, როგორც ჩანს, გონებამახვილ ადამიანად მიაჩნდა, და იქნებ ეს, ნაწილობრივ, ასეც იყო, ოუენი კი შეძრწუნდა.

ოთხი წლის გოგონა, – გაიფიქრა მან, – ოთხიოდე წლის.

– ძალიან საყვარელია და თამამი, – დაამატა კურცმა, – რიპლი მხოლოდ ცალ მაჯაზე ემჩნევა, შუბლზე, თმის ძირებსა და თვალის კუთხეში. კლასიკური შემთხვევაა. სხვათა შორის, როდესაც ჯარისკაცმა კანფეტი მისცა, თითქოს დამშეული და ჩამოძონძილი კოსოვოელი ბავშვი ყოფილიყოს, აკოცა. გულის ამაჩუყებელი სანახაობა იყო, სურათს გადაუღებდა კაცი. ახლა იმ კაცს ლოყაზე გოგონას ტუჩების წარუშლელი კვალი ემჩნევა, ოღონდ ეს პომადა არ არის, – კურცი შეიჭმუხნა, – დილით, პარსვისას, ლოყა ოდნავ გაეკაწრა და ეს საკმარისი აღმოჩნდა. რიპლი სხვებსაც მსგავსი გაუფრთხილებლობით გადაედოთ. წესები არ იცვლება, ოუენ. დაუდევრობა დამღუპველია. დროებით, შესაძლოა, ბედმა გაგიღიმოს, მაგრამ ბოლოს მაინც კისერს მოიტეხ. დაუდევრობა დამღუპველია. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ჩვენი ბიჭების უმრავლესობა მათ სათოფეზეც არ ეკარება. სიცოცხლის ბოლომდე ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ მოგვიწევს ყოფნა, მოულოდნელ შემოწმებებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ისინი აპირებენ ძალზე ადრეულ სტადიაზე აღმოაჩინონ თქვენი უკანა ტანის კიბო.

– ერთი შეხედვით ჯანმრთელი სამოქალაქო პირები? მათზე რას იტყვით?

კურცი წინ მომხიბლავი და საოცრად დამაჯერებელი სახით გადმოიხარა. ყველა, ვისაც ერთხელ მაინც ღირსებია კურცის ნახვა მისი საყვარელი ნიღბის გარეშე ("ორი ნაწილისგან შემდგარი „პატონი", ერთი – „რასპუტინი", ვამატებთ წყალს, ვურევთ და მზადაა "), კმაყოფილებით უნდა აღვსილიყო და თავი რჩეულად ეგრძნო. ადრე ოუენზე ეს შეუმცდარად მოქმედებდა. ოღონდ ახლა აღარ. ნიღაბი „რასპუტინი" კი არა, სწორედ ეს იყო.

მაგრამ ახლაც კი ვერ იტყოდა, რომ თავზარს სცემდა.

– ოუენ, ოუენ, ოუენ! თავი აამუშავეთ – ღმერთმა საკმარისი ჭკუა გიბოძათ. ჩვენ შეგვიძლია, ისე ჩავაცხროთ ეს აურზაური, რომ

არც ეჭვი აღვუძრათ ვინმეს და არც საყოველთაო პანიკა გამოვიწვიოთ. ისედაც ყველაფერი საკმარისად ამძაღდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ხმების მინიმალური უპირატესობით არჩეული ჩვენი პრეზიდენტი პუუკა-ცხენს ბოლოს მოუღებს. სამას სამოქალაქო პირს ამას ვერ გავუკეთებთ. იქნებ, მართლა გავგზავნოთ ისინი ნიუ-მექსიკოში და გადასახადის გადამხდელთა ფულით, რომელიმე სოფელში ორმოცდაათი-სამოცდაათი წლით მოვათავსოთ? რა მოხდება, იქიდან ერთი-ორი კაცი რომ გაიქცეს? ან – ვფიქრობ, სწორედ ამის ეშინიათ ზევით მოკალათებულ ჭკვიან ბიჭებს – დროთა განმავლობაში, რიპლიმ მუტაცია რომ განიცადოს? იმის ნაცვლად, რომ მშვიდად მოკვდეს, იგი ახალ ფორმას მიიღებს, უფრო გამძლე გახდება. გაცილებით დიდი საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებით, თუკი რიპლი გონიერია. ასეც რომ არ იყოს, ვაითუ რუხი კაცუნებისთვის მათ ერთგვარი შუქურის, საგზაო ნიშნის როლი შეასრულონ და ჩვენი სამყაროსკენ მომავალი გზა მიუთითონ, – იფ-იფ, მოდით და მირთვით, ძალიან გემრიელი ხალხია, თანაც ყველას გეყოფათო.

– იმის თქმა გსურთ, რომ ჯობს თავი დავიზღვიოთ, ვიდრე მერე ვინანოთ?

კურცი სავარძლის საზურგეზე გადაწვა და სახე გაუნათდა:

– დიახ! დიახ! როგორც იქნა, ძირისძირობამდე ჩასწვდით.

ჰო, – გაიფიქრა ოუენმა, – შესაძლოა, ძირამდე ჩავწვდით, მაგრამ მთავარი ეს არაა. ჩვენთვის ჩვენიანების ბედი სულერთი არაა. ზოგჯერ ულმობლად, სასტიკად ვიქცევით, მაგრამ თავისი ხელქვეითების ბედი კურცსაც კი აღელვებს. სამოქალაქო პირები კი... მხოლოდ და მხოლოდ სამოქალაქო პირები არიან. და თუ მათი დაწვა გახდება საჭირო, ამასაც მშვენივრად მოვახერხებთ.

– თუ კიდევ გეპარებათ ეჭვი, რომ ღმერთი არსებობს, რომელიც თავისი დროის ნაწილს მაინც ყველასთვის საყვარელ ჰომო საპიენსზე ზრუნვას უთმობს, გაიხსენეთ, როგორ წარმოუდგენლად გაგიმართლათ, – თქვა კურცმა, – სასიგნალო შუქი ცაში ადრე გამოჩნდა

და ისინი მაშინვე შეამჩნიეს. ერთ-ერთი შეტყობინება მაღაზიის მეპატრონე რეჯინალდ გოსლინისგან მოვიდა. შემდეგ რუხი კაცუნები გვეწვივნენ. თანაც წელიწადის იმ ერთადერთ დროს, როდესაც ამ გადაკარგულში ადამიანები ჩამოდიან, და ორი მათგანი საკუთარი თვალით ხედავს, რომ ხომალდი მიწაზე ეცემა.

– გაგვიმართლა.

– ეს გამართლება კი არა, ღვთის წყალობაა. ხომალდი იმსხვრევა, მასში მყოფი არსებების შესახებ ვიგებთ, სიცივე მათაც კლავს და მათ მიერ მოტანილ გალაქტიკურ ქერტლსაც, – კურცი ითვლიდა და თან გრძელ თითებს კეცავდა, თეთრ წამწამებს ხშირ-ხშირად ახამხამებდა, – მაგრამ ეს ყველაფერი არაა. მათმა დაწყევლილმა იმპლანტებმაც ვერ იმუშავეს – ნაცვლად იმისა, რომ ორგანიზმში მოხვედრილებს მასპინძლებთან ერთად ჰარმონიულად ეცხოვრათ, კანიბალებად ქცეულნი მათ მუსრს ავლებენ.

– ცხოველების განადგურება წარმატებით დასრულდა: ასი ათასამდე არსება გავანადგურეთ და ახლა ქასლის ოლქის საზღვართან გრანდიოზული ბარბეკიუა მოწყობილი. ეს რომ გაზაფხულზე ან ზაფხულში მომხდარიყო, ზონის გარეთ რიპლის გადამტანი მწერებისთვისაც უნდა მიგვეხედა. ახლა კი ნოემბერია და ეს არ გვჭირდება.

– შესაძლოა, რამდენიმე ცხოველმა მაინც გააღწია.

– ცხოველებმაც და ადამიანებმაც. მაგრამ რიპლი ნელა ვრცელდება. ამ მხრივ საშიში არაფერია, რადგან ვირუსის მატარებელთა დიდი უმრავლესობა დავაკავეთ. გარდა ამისა, ხომალდიც განადგურებულია. ის, რაც ჩამოიტანეს, კი არ იწვის, იხრწნება. ჩვენ მათ მკაფიო შეტყობინება გავუგზავნეთ: „მშვიდობით მოდით, უიარაღოდ, აქ შემოპარვას ნუღარ ეცდებით თქვენს სისაძაგლესთან ერთად, რადგან ჩვენ ამას აღარ მოვითმენთ“. არა მგონია, კიდევ გვესტუმრონ, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში. ისინი ორმოცდაათი წლის განმავლობაში ნაბიჯ-ნაბიჯ მოიწევდნენ ჩვენკენ, სანამ არ

მოაღწიეს. დასანანია, რომ მეცნიერებისა და ექსპერტებისთვის მათი ხომალდის შენარჩუნება ვერ შევძელით... თუმცა, სხვათა შორის, შესაძლოა, ისიც რიპლით ყოფილიყო დაინფიცირებული. იცით, ყველაზე მეტად რის გვეშინოდა? რუხ კაცუნებს ან თვითონ რიპლის „ტიფიანი მერის"[159] მსგავსი ადამიანი არ გამოეძებნათ, ანუ ის, ვინც სოკოს გაავრცელებდა, თვითონ კი არაფერი დაემართებოდა.

– დარწმუნებული ხართ, რომ ვერ შეძლეს?

– თითქმის. თუ... თუმცა ამისთვის კორდონები გვაქვს, – გაეღიმა კურცს, – იღბლიანები გამოვდექით, ჯარისკაცო. ბედის რჩეულები. ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ „ტიფიანი მერი" არ არსებობს, რომ რუხი კაცუნები დაიღუპნენ და რიპლი ჯეფერსონტრექტზეა „თავმოყრილი". თავად გადაწყვიტეთ, ეს იღბალია თუ ღვთის წყალობა.

კურცმა თავი დახარა და ცხვირის ძგიდე სურდოთი გატანჯული ადამიანივით მოისრისა. როდესაც თავი კვლავ ასწია, თვალებში ცრემლი უბრწყინავდა. ნიანგის ცრემლები, – გაიფიქრა ოუენმა, თუმცა ამაში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. კურცის აზრებს ვერ სწვდებოდა – ტელეპათიის ტალღას ან იქამდე არ მიეღწია, ან კურცს მისი იზოლირების ხერხისთვის მიეგნო. მაგრამ როდესაც კურცი ისევ ალაპარაკდა, ოუენს ეჭვი თითქმის აღარ ეპარებოდა, რომ ნამდვილი კურცის, ადამიანის ხმა ესმოდა, და არა რომელიღაც ტიკ-ტოკ-კროკის.

– ეს ჩემი ბოლო ოპერაციაა, ოუენ. როგორც კი სამუშაოს დავასრულებთ, წასვლას ვაპირებ. ჩემი გათვლით, თუ მართლაც ისეთი ქარიშხალი ამოვარდება, როგორსაც ვარაუდობენ, ამ ადგილებში კი ამინდს ხუმრობა არ უყვარს, მაშინ აქ ოთხი დღის, დიდი-დიდი, ერთი კვირის საქმე დაგვრჩენია, მაგრამ ნამდვილი კოშმარი ხვალ დილით გველოდება, ვფიქრობ, ბოლომდე გავუძლებ და ჩემს მოვალეობას

[159] მერი პალონი (1869-1938 წწ.) – პირველი ადამიანი აშშ-ში, რომელიც ჯანმრთელად ცნეს, თუმცა მუცლის ტიფის ვირუსს ატარებდა.

პირნათლად შევასრულებ, მერე კი... უფლება მაქვს გადავდგე და სრული პენსია მოვითხოვო. არჩევანს შევთავაზებ: ან გადამიხადონ, ან მომკლან. ასე მგონია, გადახდას ამჯობინებენ, რადგან ვიცი, სად არიან ჩამარხული ადამიანები – ეს გაკვეთილი ჯ. ედგარ გუვერისგან[160] ვისწავლე. ისიც უნდა ითქვას, რომ რატომღაც, საკუთარი ბედი თითქმის აღარ მაღელვებს. ამაზე უარეს ხათაბალაშიც გავბმულვარ – 1989 წელს ჰაიტიში ვიყავი. იქ ერთ საათში რვაასი კაცი მივაწვინეთ. ისინი დღემდე მესიზმრებიან. მაგრამ აქ... აქ სულ სხვაა. უარესი. გაცილებით უარესი. ვინაიდან ეს საცოდავი არარაობები – ფარდულშიც, ბაკშიც და მინდორშიც – ამერიკელები არიან. ბიჭები, რომლებიც „შევის" ატარებენ, საყიდლებზე „KMart"-ში დადიან და „სასწრაფოს" ერთ სერიასაც არ აცდენენ. ამერიკელების დახვრეტის, ამერიკელების გულგრილად მოკვლის გაფიქრებაზე ლამის მთელი შიგნეულობა ამომიტრიალდეს. ამას მხოლოდ სასტიკი აუცილებლობის გამო ვაკეთებ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოვრიცხო საფრთხე ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე – იმიტომ, რომ მათი უმრავლესობა მაინც მოკვდება და თანაც გაცილებით უარესი სიკვდილით. გესმით?

ოუენ ანდერჰილი დუმდა. ფიქრობდა, რომ ბოლომდე შეძლებდა გაქვავებული სახის შენარჩუნებას, მაგრამ თუ ალაპარაკდებოდა, კურცი მიხვდებოდა, რამდენად შეძრწუნებული იყო იგი. დიახ, ძრწოდა. მან იცოდა, საქმე რით დასრულდებოდა, მაგრამ ერთია ცოდნა და სულ სხვაა ამის მოსმენა...

ფიქრებში ის უკვე ხედავდა თოვლში ღობისკენ მიმავალ ჯარისკაცებს. ყურში მეგაფონების ღრიალი ჩაესმოდა, რომელიც დაკავებულებს ბოსელში შესვლას მოუწოდებდა. მას არასდროს მიეღო მონაწილეობა მსგავს ოპერაციებში და არც ჰაიტიში ყოფილა, მაგრამ დაახლოებით წარმოედგინა, ეს როგორ მოხდებოდა. როგორ უნდა მომხდარიყო.

---

[160] აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს პირველი დირექტორი 1924 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე.

კურცი გაფაციცებულ მზერას არ აშორებდა.

– იმას არ ვიტყვი, რომ საბოლოოდ გაპატიეთ დღევანდელი საქციელი, რომ ყველაფერი წარსულს ჩაჰბარდა, მაგრამ თქვენ ჩემთან ვალში ხართ, მეგობარო. ტელეპათია არ არის საჭირო იმის გასაგებად, თუ როგორ მიიღეთ ჩემი ნათქვამი. დროსა და ენერგიას ტყუილუბრალოდ არ დავხარჯავ რჩევის მოსაცემად, დროულად დავაჟკაცება და ღრუბლებიდან მიწაზე დაშვება გმართებთ-მეთქი, მხოლოდ ერთს გეტყვით: თქვენ მე მჭირდებით. ამჯერად სწორედ თქვენ უნდა დამეხმაროთ.

აცრემლებული თვალები. ძლივს შესამჩნევი თრთოლა ტუჩის კუთხეებში. რა ადვილი ყოფილა იმის დავიწყება, რომ სულ რაღაც ათი წუთის წინ კურცმა გულგრილად დაახალა ტყვია კაცს ფეხში.

ამ საქმეში რომ დავეხმარო, – გაიფიქრა ოუენმა, – მნიშვნელობა არ აქვს, მე თვითონ გამოვკრავ თითს სასხლეტს თუ არა, მაინც მკვლელად ვიქცევი და იმ ადამიანებივით შემაჩვენებენ, ებრაელებს გაზის კამერებში რომ ერეკებოდნენ.

– თერთმეტზე დავიწყებთ და თორმეტის ნახევრისთვის დავასრულებთ, – თქვა კურცმა, – ყველაზე გვიან – შუაღამისთვის. და ყველაფერი უკან დარჩება.

– სიზმრების გარდა.

– დიახ. სიზმრების გარდა. დამეხმარებით, ოუენ?

ოუენმა თავი დაუქნია. ისედაც ღრმად შეტოპა და ეშმაკმა დალახვროს, თუ უკან დაიხევს. ერთადერთი, რის გაკეთებაც შეუძლია, ის არის, რომ გულმოწყალება გამოიჩინოს და – თუ მასობრივ ხოცვაჟლეტას გულმოწყალება შეიძლება ეწოდოს – სწრაფი სიკვდილი აჩუქოს.... მოგვიანებით ამგვარი, მომაკვდინებლად აბსურდული აზრი ოუენს შეაძრწუნებს, მაგრამ ახლა, როდესაც კურცი გვერდით, სულ ახლოსაა და თვალს არ აცილებს, სხვა გზა არ აქვს. მისი სიგიჟე, შესაძლოა, ნებისმიერ რიპლიზე გადამდები იყო.

– შესანიშნავია, – კურცმა შვებით ამოისუნთქა და მოდუნებული

სავარძელში გადაწვა. სული რომ მოითქვა, კვლავ სიგარეტის კოლოფი ამოიღო, შიგ ჩაიხედა და ოუენს გაუწოდა.

– ორი ცალია დარჩენილი. ხომ არ შემომიერთდებით?

– ახლა არა, ბოს, – თავი გააქნია ოუენმა.

– მაშ, წადით აქედან. თუ ასე აუცილებელია, მიდით ლაზარეთში და ძილის წამალი სთხოვეთ.

– არა მგონია, რომ დამჭირდეს, – თქვა ოუენმა.

სჭირდებოდა, როგორ არ სჭირდებოდა, მაგრამ ამას არ გააკეთებდა. უძილობა ერჩია.

– როგორც გინდათ. წადით.

კურცმა იგი კარამდე მიაცილა, შემდეგ კი მოულოდნელად დაუძახა:

– ოუენ! – ანდერჰილი შემოტრიალდა, თან ქურთუკს იკრავდა. ესმოდა, როგორ ზუზუნებდა და ყოველ წუთს ძლიერდებოდა ქარი, დილას მოვარდნილ „ალბერტა კლიპერს" კი არ ჰგავდა. – გმადლობთ, – თქვა კურცმა. მარცხენა თვალიდან ერთი მოზრდილი ძუნწი ცრემლი ლოყაზე ჩამოუგორდა, მაგრამ თითქოს ვერც შეამჩნია. იმწამს ოუენს კურცი უყვარდა და

ეცოდებოდა. ყველაფრის მიუხედავად. იმისდა მიუხედავად, რომ მისთვის დაფარული არაფერი იყო, – გმადლობთ, მეგობარო.

7

ჰენრი თოვლში იდგა. თავზე გახშირებული ფანტელები ეცემოდა. ქარისთვის ზურგი შეექცია და ანდერჰილის გამოჩენის მოლოდინში შიგადაშიგ „ვინებაგოსკენ" იყურებოდა. მარტო დარჩენილიყო – უამინდობას ყველა ბოსელში გაჰქცეოდა, იქ გამათბობელი იდგა. მისი აზრით, სითბოში ჭორები გაცილებით სწრაფად ვრცელდებოდა. შიშველ სიმართლეს ისევ ჭორი და ვარაუდი სჯობდა.

ფეხით თოვლი მოჩიჩქნა, მიხვდა, რასაც აკეთებდა და მიიხედ-

მოიხედა. არავინ იყო: არც პატიმრები, არც გუშაგები. ძლიერი თოვის მიუხედავად, ბანაკი დღესავით გაეჩახჩახებინათ და ყველაფერი ჩანდა.

ჰენრი დაიხარა, გაკვანძული მაისური შეიხსნა, თეძოზე ჭრილობისთვის რომ შემოეხვია, და ჯინსის შარვალზე გაჩენილი ხვრელი გააფართოვა. მისი დამკავებელი ჯარისკაცებიც ასე მოიქცნენ მანქანის ძარაზე, სადაც, მის გარდა, კიდევ ხუთი ტყვე იმყოფებოდა (გოსლინის მაღაზიისკენ მიმავალ გზაზე კიდევ სამი კაცი შემოხვდათ). მაშინ სუფთა იყო. ახლა კი...

ჭრილობის ცენტრიდან ქვემოთ დაძენძილი წვრილი წითელი ზოლი მიემართებოდა. რომ არ სცოდნოდა, რა იყო, სისხლი ეგონებოდა.

ბაირუსი, – გაიფიქრა მან, – ოჰ, ამის დედაც! .. მშვიდობით, მეგობრებო, სადაც უნდა იყოთ.

უეცრად შუქმა იფეთქა. ჰენრი წელში გაიმართა და დაინახა, რომ ანდერჰილი „ვინებაგოს“ კარს ხურავდა. ჰენრიმ სასწრაფოდ შეიხვია ფეხი და ღობისკენ გაემართა. თავში რაღაც ხმა ეკითხებოდა, როგორ მოიქცეოდა, თუ ანდერჰილი მის დაძახილზე არ შეჩერდებოდა და გზას გააგრძელებდა. ხმას ისიც აინტერესებდა, მართლა აპირებდა თუ არა ჰენრი ჯოუნსის გაცემას.

ყურადღებით აკვირდებოდა, როგორ დახარა თავი ანდერჰილმა ქარისა და თოვლის ასარიდებლად და პროჟექტორების დამაბრმავებელ შუქში მისკენ წამოვიდა.

8

კარი მიიხურა. კურცი დიდხანს იყურებოდა იქით, ნელა ირწეოდა და სიგარეტს აბოლებდა. მოახერხა თუ არა ოუენის გაცურება? რა დაიჯერა მისი ნათქვამიდან? ოუენი კარგად აზროვნებდა, თვითგადარჩენის ნიჭი დაბადებიდან დაჰყოლოდა, თუმცა იდეალიზმიც ახასიათებდა... კურცი ფიქრობდა, რომ ოუენი ანკესზე წამოაგო, ყველაფერში დაარწმუნა. რადგან, ბოლოს და ბოლოს, ყველას იმისი

სჯერა, რისი დაჯერებაც სურს. ჯონ დილინჯერი, ოცდაათიანი წლების თავზე ხელაღებული, ეშმაკი და თვითგადარჩენის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული ბანდიტიც კი წავიდა თეატრში (კერძოდ, Biograph Theater-ში), ანა სეიჯთან ერთად, „მანჰეტენის მელოდრამის" სანახავად. მისი დასრულების შემდეგ ფედერალებმა დილინჯერი თეატრის სიახლოვეს, ერთ-ერთ ჩიხში მოკლეს ცოფიანი ძაღლივით. და იყო კიდეც ასეთი. ანა სეიჯსაც სჯეროდა ის, რისი დაჯერებაც სურდა, მაგრამ თვალის დახამხამებაში მოახდინეს მისი დეპორტაცია უკან, პოლონეთში.

ხვალ ვერავინ გააღწევს გოსლინის მაღაზიიდან რამდენიმე რჩეულის, „იმპერიალის ხეობის" ელიტურ ჯგუფში შემავალი თორმეტი მამაკაცისა და ორი ქალის გარდა. ოუენ ანდერჰილი მათ შორის არ იქნება, არადა, ყველაფერი სხვაგვარად შეიძლებოდა ყოფილიყო. სანამ ოუენი საერთო არხით რუხი კაცუნების ხმების ტრანსლირებას მოახდენდა, კურცი დარწმუნებული იყო, რომ მას თავისთან წაიყვანდა. თუმცა, ყველაფერი იცვლება, – თქვა ბუდამ და ამ შემთხვევაში, იმ წვრილთვალება წარმართმა ჭეშმარიტება წარმოთქვა.

– შენ მე ფეხი დამიდე, – თქვა კურცმა. მოწევის დროს ნიღაბი ჩამოიხსნა და ახლა ყოველი სიტყვის წარმოთქმისას ის დანაოჭებულ კისერზე ეხეთქებოდა, – შენ მე ფეხი დამიდე.

კურცმა ოუენ ანდერჰილის პირველ შეცდომაზე თვალი დახუჭა. მეორედაც ეპატიებინა?

– არასდროს, – ჩაილაპარაკა კურცმა, – ასე არასდროს მოვიქცევი.

თავი მეთოთხმეტე
სამხრეთისაკენ

1

მისტერ გრეი თოვლმავლით ხევში შევიდა, რომლის ძირშიც პატარა ნაკადული მიედინებოდა, მის გაყოლებაზე I-95-გზატკეცილამდე დარჩენილი ბოლო მილი გაიარა და სამხედრო სატვირთო მანქანებიდან (ასეთი სულ რამდენიმე იყო და ისინი ძლივს მიღოღავდნენ) ორასი-სამასი იარდის დაშორებით შეჩერდა – ზუსტად იმდენი ხნით, რამდენიც ჯოუნსის გონების იმ ნაწილის შესასწავლად ეყოფოდა, რომელში შეღწევაც მოახერხა. ინფორმაციის მილიონობით ფაილი ჯოუნსის ნამცეცა ოფისის ციხესიმაგრეში ვერ ჩატეულიყო და მისტერ გრეიმ საკმაოდ ადვილად მიაგნო იმას, რასაც ეძებდა. Arცტიც ჩატ-ის ფარებს გამომრთველი არ ჰქონდა, ამიტომ მან ჯოუნსის ფეხები მიწაზე დაუშვა, ქვა მოძებნა, ჯოუნსის მარჯვენა ხელით აიღო და შუშა ჩაამტვრია. შუქი ჩაქრა. შემდეგ მისტერ გრეი კვლავ მოაჯდა „უნაგირს" და გზა განაგრძო. საწვავი თითქმის გათავებულიყო,

მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ ჰქონდა – მანქანას თავისი საქმე შეესრულებინა. გზატკეცილის გასწვრივ გამავალი მილი, რომელშიც ნაკადული მოექციათ, საკმაოდ დიდი აღმოჩნდა თოვლმავლისთვის, მაგრამ არა თოვლმავლისა და მისი მძღოლისთვის. მისტერ გრეი კვლავ ჩამოქვეითდა, ძრავა ასე დაქოქა და თოვლმავალს მიაწვა. მან ათიოდე მეტრი გაიარა და ჩაქრა, მაგრამ ეს საკმარისზე მეტი იყო. ახლა თოვა რომც შეწყვეტილიყო, ჰაერიდან დაბალ სიმაღლეზე დაზვერვისას ვეღარ შეამჩნევდნენ.

მისტერ გრეიმ ჯოუნსი აიძულა, ყრილზე ასულიყო. შლაგბაუმის ბოძებთან გაჩერდა და ზურგზე დაწვა. აქ ქარი შედარებით სუსტად უბერავდა. ფიზიკურ ძალისხმევას ენდორფინები გამოემუშავებინა და ჯოუნსი გრძნობდა, რომ გამტაცებელი გემოს უსინჯავდა და ისე ტკბებოდა, როგორც ჯოუნსი ტკბებოდა ხოლმე კოქტეილით ან ცხელი ყავით ფეხბურთის მატჩის შემდეგ ოქტომბრის ცივ დღეს.

მან გააცნობიერა, მაგრამ არ გაჰკვირვებია, რომ მისტერ გრეი ეზიზღებოდა.

ამ დროს მისტერ გრეი, როგორც არსება – რომლის შეზიზღებაც, რეალურად, შეიძლებოდა – კვლავ გაქრა. იგი იმ ღრუბელმა გადაადგილა, პირველად მონადირის ქოხში რომ ნახა, როცა რუხ ქმნილებას თავი აუფეთქდა. ის სადღაც წავიდა, როგორც მაშინ, ემილი დოგის ძებნისას. მაშინ მას ბროდსკი სჭირდებოდა, რადგან ჯოუნსის მეხსიერების ფაილებში თოვლმავლის დაქოქვის შესახებ ინფორმაცია არ ინახებოდა. ახლა კიდევ რაღაც დასჭირდა. ალბათ, იმას ელოდებოდა, ვინც დანიშნულების ადგილამდე მის მიყვანას შეძლებდა. სავარაუდოდ, ასე იყო.

მაგრამ რა ან ვინ დარჩა? რა ან ვინ დარჩა იმ ოფისის დასაცავად, სადაც ჯოუნსის უკანასკნელი ნაფლეთები იკრუნჩხებოდა – ჯოუნსისა, რომელიც საკუთარი სხეულიდან ჯიბიდან ამოღებული ნაგავივით მოისროლეს? ცხადია, ღრუბელი; ის სუბსტანცია, ჯოუნსიმ რომ შეისუნთქა, ის, რასაც ჯოუნსი უნდა მოეკლა, მაგრამ რატომღაც არ

მოკლა.

მაგრამ, მისტერ გრეისგან განსხვავებით, ღრუბელს ფიქრი არ შეეძლო. სახლის პატრონი (ამჯერად უკვე მისტერ გრეი მისტერ ჯოუნსის ნაცვლად) წავიდა და სახლი თერმოსტატებს, მაცივარსა და ღუმელს დაუტოვა გასაკონტროლებლად. განსაკუთრებულ შემთხვევაში კვამლის დეტექტორი ჩაირთვებოდა და სიგნალიზაცია ავტომატურად აკრეფდა უბნის პოლიციის ნომერს.

მაგრამ მისტერ გრეის წასვლის შემდეგ ჯოუნსის ოფისიდან გამოსვლა მაინც შეეძლო. ოღონდ, – არა ძალაუფლების დასაბრუნებლად, რადგან ამის მცდელობისთანავე წითელი ღრუბელი ერთ ამბავს ატეხდა და მისტერ გრეიც დაუყოვნებლივ დაბრუნდებოდა სადაზვერვო ექსპედიციიდან. ჯოუნსის აუცილებლად შეიპყრობდნენ, სანამ „ძმები თრექერების“ ოფისს შეაფარებდა თავს, ოფისს, სადაც განცხადებების დაფა, დამტვერილი იატაკი და სამყაროში გასახედი ერთადერთი ჭუჭყიანი ფანჯარა იყო... ოღონდ მას ახლაც მკაფიოდ აჩნდა ნახევარმთვარის ფორმის ოთხი კვალი – ბიჭების ოთხეული შუბლებით რომ მიეყრდნო ფანჯარას, რათა თვალი მოეკრა დაფაზე ჭიკარტით მიკრული ფოტოსურათისთვის, რომელზეც თინა ჯინ შლოსინგერი წამოხდილი კაბით იყო გამოსახული.

არა, ძალაუფლებას ვერაფრით დაიბრუნებდა, სამწუხაროდ, ამას უნდა შეჰგუებოდა.

თუმცა, შეეძლო, ფაილებამდე მიღწევა ეცადა.

– გამართლებული იქნებოდა ასეთი რისკი? სარგებელს მოუტანდა? იქნებ, მოეტანა კიდეც – ვინ იცის, რა უნდოდა მისტერ გრეის. ცხადია, იმის გარდა, რომ სასწრაფოდ სადღაც უნდა წასულიყო. ჰო, მართლა, სად?

პასუხი მოულოდნელად დადიტსის ხმით მოვიდა:

„აეთი. იერ ეის აეთისენ უა ალა“.

სამხრეთი. მისტერ გრეის სამხრეთისკენ უნდა წასვლა.

ჯოუნსი სამყაროში გამავალ ჭუჭყიან ფანჯარას მოშორდა. საყურებელი ისედაც არაფერი იყო: თოვლი, წყვდიადი და პირქუში ხეები. დილანდელი ქარბუქი ამას სად შეედრებოდა! ?

მისტერ გრეის სამხრეთისკენ უნდა წასვლა.

რამდენად შორს? და რატომ? სად არის ძაღლის თავი დამარხული?

ამჯერად დადიტსი დუმდა.

ჯოუნსი შეტრიალდა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ განცხადებების დაფაზე აღარც მარშრუტების რუკა იყო და აღარც – გოგონას ფოტოსურათი. მათ ნაცვლად ოთხი ბიჭის ოთხი ფერადი სურათი მიემაგრებინათ. ყველა მათგანი ერთსა და იმავე ფონზე გადაეღოთ: დერის საშუალო სკოლა, ქვეშ კი წარწერა: სკოლა, 1978. ჯოუნსის ფოტო მარცხნივ იყო მიკრული. ჩვეულებრივ, გულუბრყვილოდ იღიმებოდა. ახლა გულს უკლავდა ის ღიმილი. გვერდით უკბილო ბივი იდგა, რომელსაც წინა კბილი საციგურაო მოედანზე დაცემის შედეგად მოსტყდომოდა. ერთი-ორი წლის შემდეგ ხვრელი პროთეზმა ამოავსო... პიტი მრგვალი, შავგვრემანი ბიჭი იყო, წენგოსფერი სახითა და უმოკლესად შეკრეჭილი თმით, ეს მამამისის ხუშტური იყო, ამბობდა, იმიტომ არ ვიბრძოდი კორეაში, რომ ჩემი შვილი ჰიპად გაიზარდოსო. დაბოლოს, ჰენრი – სქელი სათვალით. ჯოუნსის იგი ყოველთვის დენი დანს აგონებდა, დეტექტივ ბიჭს, მოთხრობათა სერიიდან, რომელთაც ბავშვობაში ხშირად კითხულობდა.

ბივერი, პიტი და ჰენრი. როგორ უყვარდა ისინი და როგორ უსამართლოდ, მოულოდნელად შეწყდა მათი ხანგრძლივი მეგობრობა. ძალიან უსამართლოდ...

ამ დროს ბივერ კლარენდონის სურათი გაცოცხლდა და ჯოუნსი გვარიანად შეაშინა. ბივმა თვალები გააფართოვა და ხმადაბლა წარმოთქვა:

– მას თავი არ ჰქონდა, გახსოვს? არხში იწვა და თვალები ტალა-

ხით მოსვროდა. რა ჯანდაბა იყო! ანუ დალახვროს ეშმაკმა – ბანანები!

ღმერთო ჩემო, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, როდესაც მოულოდნელად გაახსენდა ის, რაც „კედელში გაკეთებულ ხვრელში" მათ პირველ წასვლასა და ნადირობას უკავშირდებოდა და დავიწყებოდა... ან ძალით დაევიწყებინა. ყველაფრის დავიწყება გადაწყვიტა? შესაძლოა. ჰო, ნამდვილად ასე იქნება, რადგან შორეულ ბავშვობაზე საუბრისას, ბიჭები რას აღარ იხსენებდნენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ, მხოლოდ იმ ერთ ამბავს არ ეხებოდნენ.

მას თავი არ ჰქონდა... თვალები ტალახით მოსვროდა.

რაღაც შეემთხვათ მაშინ, ეს იმას უკავშირდებოდა, რაც ახლა ემართებოდათ.

ნეტავ, ვიცოდე, რა იყო ეს, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – ნეტავ, ვიცოდე.

2

ენდი ჯანასმა მათი პატარა ესკადრონის სამ სატვირთო მანქანას გადაასწრო და ჩამოიტოვა, რადგან, სხვა მძღოლებს, მისგან განსხვავებით, ასეთ დიდთოვლობაში მგზავრობის გამოცდილება არ ჰქონდათ. თვითონ კი, ჩრდილოეთ კაროლინაში გაზრდილს, რა არ ენახა. მათ შორის, ასეთი ქარბუქიც. გარდა ამისა, ერთ-ერთი საუკეთესო სამხედრო მანქანის – მოდიფიცირებული „შევროლეს", სრულამძრავიანი პიკაპის საჭესთან იჯდა და ყველა ამძრავი აემოქმედებინა. საზრიან ენდის ბევრი რამ ეხერხებოდა, რასაც მამას უმადლიდა.

გზაზე თოვლი თითქმის არ იდო. დაახლოებით ერთი საათის წინ ორ სამხედრო თოვლსაწმენდ მანქანას ჩაევლო (მალე მათ დაეწეოდა, სიჩქარეს შეამცირებდა და დამჯერი ბიჭივით გაჰყვებოდა უკან) და მას შემდეგ ბეტონზე ორი-სამი დუიმის სიმაღლემდე დაედო. ცუდი ის იყო, რომ ძლიერ ქარს თოვლი ჰაერში აჰქონდა და გზა

თეთრ მოჩვენებას ემსგავსებოდა. მაშინ შუქამრეკლავი ნიშნები ერთადერთ იმედად რჩებოდა. გამუდმებით მათი ყურება იოლი საქმე როდი იყო. სხვებმა ეს, შესაძლოა, არც კი იცოდნენ. ან მათ მანქანებზე ფარები ძალზე მაღლა ეყენა და გადათეთრებულ სივრცეში შუქამრეკლი ფირფიტების ნათებას ვერ ხედავდნენ. როდესაც ქარის სიჩქარე პიკს აღწევდა, მაჩვენებლებიც ქრებოდა და იქაურობა ერთ დიდ თეთრ უფსკრულს ემსგავსებოდა. ასეთ დროს პედლიდან ფეხს იღებდა და ელოდებოდა, როდის გადაივლიდა ქარბუქი, თან გზაც არ უნდა არეოდა. ჯერჯერობით, ყველაფერი რიგზე იყო, გაუთვალისწინებელი შემთხვევისთვის რაცია ჰქონდა. გარდა ამისა, უკან რამდენიმე თოვლსაწმენდი მოჰყვებოდა, ისინი სამხრეთისკენ მიმავალი, პრესქაილიდან მილინოკეტამდე არსებული გზის მონაკვეთზე აგებდნენ პასუხს.

ენდის სატვირთო მანქანით სამმაგად შეფუთული ორი ტვირთი გადაჰქონდა. ერთი – რიპლის სოკოსგან მკვდარი ორი ირემი, მეორე – ჯანასს მისი დარდი უფრო ჰქონდა – რუხი კაცუნას სხეული, რომელიც თანდათანობით მოწითალო ნარინჯისფერ ბულიონს ემსგავსებოდა. ორივე ფუთა ექიმებთან მიჰქონდათ „ცისფერ ბაზაში“, რომელიც მდებარეობდა...

ჯანასმა დამცავ წინაფრას შეხედა, იქ, რეზინის ქვეშ, ფურცელი და კალმისტარი მოჩანდა. ფურცელზე ეწერა: გოსლინის მაღაზია. ჩასასვლელი 16, შესახვევი.

იქ სამ საათში იქნებოდა. იქნებ უფრო ადრეც. ექიმები განაცხადებდნენ, რომ უკვე მიიღეს ყველა საჭირო ნიმუში და სინჯი, ამიტომ ირმებს დაწვავდნენ. სამაგიეროდ, რუხი კაცუნა დააინტერესებდათ, თუ, რა თქმა უნდა, ის იქამდე პიურედ არ იქცეოდა. სიცივეს ეს პროცესი, შესაძლოა, ცოტათი შეენელებინა, მაგრამ ასე იქნებოდა თუ ისე, ენდის ეს არ ეხებოდა. მისი საქმე დანიშნულების ადგილამდე მისვლა და ნიმუშების გადაცემა იყო. შემდეგ უფროსობას საკარან-

ტინო ზონის ჩრდილოეთით, ყველაზე მშვიდ ადგილზე არსებულ ვითარებას მოახსენებდა და ვისაც შეკითხვების დასმის უფლება ჰქონდა, მათ უპასუხებდა. სანამ დაიბარებდნენ, მანამდე მოზრდილი ჭიქით ყავის დალევასაც მოასწრებდა და მთელი თეფში ერბოკვერცხის შეჭმასაც. თუ გაუმართლებდა, ყავაში ჩასამატებელ სასმელსაც იშოვიდა. ცუდი ნამდვილად არ იქნებოდა. ცეცხლს შეუკეთებდა, მერე კი მიწვებოდა და...

გზის პირზე გადადი და გააჩერე

ჯანასი მოიღუშა, თავი შეარხია და ყური მოიფხანა, თითქოს იქ რაღაც რწყილის მსგავსი შეუძვრა. ქარი ისე გამძვინვარდა, რომ სატვირთო მანქანა კინაღამ გადააყირავა. გზა ისევ გაქრა. მასთან ერთად – საგზაო ნიშნებიც. ყველაფერი თეთრ სუდარაში გაეხვია. სხვა მძღოლებმა შიშისგან ალბათ ჩაისვარეს, მაგრამ მას ეს არ ემუქრებოდა, ის ხომ მისტერ-მინესოტას-სიამაყე იყო. მთავარია, ეს დაწყევლილი ფეხი პედლიდან აეღო (და მუხრუჭი არ დავიწყდებოდა, ქარბუქის დროს მუხრუჭი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ კარგი მგზავრობა გააფუჭო), მანქანა გზის პირზე მიეყენებინა და დალოდებოდა...

გზის პირზე გადადი და გააჩერე

– რაო? – რაციას დახედა, მაგრამ იქიდან მხოლოდ სტატიკური მუხტები და გაუგებარი ბურტყუნი ისმოდა.

გზის პირზე გადადი და გააჩერე

– ვაი! – შესძახა ჯანასმა და ხელები თავში წაივლო. თავი უეცრად ისე ასტკივდა, რომ კინაღამ გაუსკდა. მომწვანო ზეთისხილისფერი მანქანა ზიგზაგებით წავიდა, მაგრამ მაშინვე გასწორდა, როგორც კი ენდის ხელებმა ყველა საჭირო მანიპულაცია მექანიკურად შეასრულა. მძღოლის ფეხი პედალს კვლავაც არ ეხებოდა და სპიდომეტრის ისარი სწრაფად გადაქანდა მარცხნივ.

თოვლსაწმენდ მანქანებს სამხრეთის მიმართულების ორ ზოლს

შუა ვიწრო ბილიკი გაეყვანათ. ჯანასმა ამ ბილიკიდან თოვლში, მარჯვნივ გადაუხვია. მანქანის საბურავებმა ფიფქების კორიანტელი დააყენა. საგზაო შუქამრეკლი ბოძები სიბნელეში კატის თვალებივით ანათებდა.

გზის პირზე გადადი და აქ გააჩერე

ჯანასმა ტკივილისგან დაიღრიალა და საიდანღაც საკუთარი ყვირილი მოესმა:

– კარგი, კარგი, ახლავე! ოღონდ თავი დამანებე!

იგი აცრემლებული თვალებით მიაჩერდა მუქ ფიგურას, რომელიც დამცავი ზღუდის ბოძების თავზე, დაახლოებით, ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე აღმართულიყო. ფარების შუქში მამაკაცი გაარჩია, რომელსაც პარკა ეცვა.

ენდი ჯანასს თითქოს ხელები წაერთვა. ისინი სხვის ხელებზე წამოცმულ ხელთათმანებად იქცა. ეს ძალზე უცნაური და უაღრესად უსიამოვნო შეგრძნება იყო. მან, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, საჭე მკვეთრად მარცხნივ აიღო და პიკაპი პარკაში გამოწყობილი კაცის წინ გააჩერა.

3

ეს მისი შანსი იყო, მით უმეტეს, რომ მისტერ გრეის მისთვის არ ეცალა. ჯოუნსი გრძნობდა, რომ თუ ფიქრს დაიწყებდა, გამბედაობას საბოლოოდ დაკარგავდა, ამიტომ ფიქრის ნაცვლად მოქმედებას შეუდგა, ურდული მკვეთრად გასწია და ოფისის კარი გამოაღო.

ბავშვობაში ერთხელაც არ შესულა „ძმები თრექერების" შენობაში (მათ საქმიანობა 1985 წლის საშინელი ქარიშხლის შემდეგ შეწყვიტეს), მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ სინამდვილეში ის სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე ახლა ხედავდა. უბადრუკი ოფისის მიღმა, უზარმაზარ ოთახში, ჭერზე ურიცხვი ლუმინესცენციური ლამპა ეკიდა. მათ ქვეშ კი გიგანტურ სვეტებად ეწყო ერთიმეორეზე შემოდებული მილიონობით მუყაოს ყუთი.

არა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – მილიონობით კი არა, მილიარდობით.

დიახ, სწორედ რომ მილიარდობით. მათ შორის ათასობით ვიწრო გასასვლელი მოჩანდა. თვითონ მარადიულობის საწყობის თავში იდგა და იქ რაიმეს პოვნაზე ფიქრიც კი სისულელედ მიაჩნდა. თუ თავშესაფრის კარს მოსცილდებოდა, წამსვე დაიკარგებოდა. მისტერ გრეის წვალება არც კი მოუწევდა – ჯოუნსი ისე იხეტიალებდა, როგორც ჯუნგლში და ბოლოს, მუყაოს ყუთების თვალუწვდენელ უდაბნოში მოკვდებოდა.

ტყუილია. აქ ჩემი დაკარგვის შანსი ისეთივეა, როგორიც საკუთარ საძინებელში. და რაც მინდა, იმაზე ნადირობაც არ მჭირდება. ეს ჩემი სახლია. კეთილი იყოს შენი მობრძანება საკუთარ თავში, დიდო ბიჭო.

ეს ისეთი განსაცვიფრებელი იდეა იყო, რომ ჯოუნსი ერთბაშად დასუსტდა... მაგრამ ახლა თავს ოდნავი სისუსტის თუ ყოყმანის უფლებასაც ვერ მისცემდა. მისტერ გრეი – ყველასთვის საყვარელი დამპყრობელი დიდებული იმქვეყნიურობიდან, სატვირთო მანქანის მძღოლთან ბევრ დროს არ დაკარგავდა. თუ ჯოუნსის ზოგიერთი ფაილის უსაფრთხო ადგილას დამალვა უნდოდა, ეს დაუყოვნებლივ უნდა გაეკეთებინა. მაგრამ რომელი დაემალა?

დადიტსი, – ჩასჩურჩულა გონებამ, – ეს, როგორღაც, დადიტსს უკავშირდება. ეს თვითონაც კარგად იცი. ის გამუდმებით შენს ფიქრებშია. მასზე სხვებიც ფიქრობდნენ. დადიტსი ის არის, ვინც შენ, ჰენრის, ბივსა და პიტს გაერთიანებდათ. ეს ყოველთვის იცოდი, მაგრამ ახლა სხვა რამეც იცი. ასე არ არის?

დიახ. ის მიხვდა, რატომ მოყვა ავარიაში მარტის თვეში. მოეჩვენა, რომ რიჩი გრენადო და მისი მეგობრები დადიტსს ისევ აბუჩად იგდებდნენ. ოღონდ „აბუჩად აგდება" ძალიან რბილი ნათქვამი იყო იმასთან შედარებით, რაც „ძმები თრექერების" შენობის ეზოში იმ დღეს ხდებოდა, არა? უფრო ზუსტი იქნებოდა, ეთქვა, აწამებდნენო.

და როდესაც დაინახა, რომ წამება მეორდებოდა, დაუფიქრებლად გადაჭრა ქუჩა მის დასახმარებლად...

„მას თავი არ ჰქონდა, – გაისმა უეცრად ბივერის ხმა უზარმაზარი საწყობის ჭერზე ჩამოკიდებული დინამიკებიდან, თანაც ისე ხმამაღლა და მოულოდნელად, რომ ჯოუნსი შეკრთა, – იგი არხში იწვა, თვალები კი ტალახით მოსვროდა. ადრე თუ გვიან, ნებისმიერი მკვლელი ჩადენილი დანაშაულის გამო პასუხს აგებს და ამას ვერავინ გაექცევა".

რიჩის თავი. რიჩი გრენადოს თავი. ახლა ჯოუნსის ამის დრო არ ჰქონდა, საზღვარს არღვევდა საკუთარ თავში და სწრაფად უნდა ემოქმედა.

როდესაც ეს უზარმაზარი საცავი პირველად ნახა, ყველა ყუთი ერთნაირი იყო და – მოუნიშნავი, ახლა კი, აღმოაჩინა, რომ უახლოეს რიგში, ზემოთ შემოდებულებს შავი მარკერით ეწერა დადიტსი.

დამთხვევა? იღბალი? სულაც არა. მისი მოგონებები აკურატულად ჩაეწყოთ მილიარდობით ყუთში, გახსენებისას გონება დაუყოვნებლივ იღებდა ყუთიდან, რაც სჭირდებოდა და ზედაპირზე დებდა.

„რაიმე მჭირდება მათ გადასატანად", – დაასკვნა ჯოუნსიმ, მიიხედ-მოიხედა და ხასხასა წითელი ურიკა დაინახა. გაიფიქრა, რომ ჯადოსნურ სამყაროში მოხვდა, სურვილების ასრულების სამყაროში. ყველაზე საოცარი კი ის იყო, რომ, მისი აზრით, ასეთი სამყარო ყველას უნდა ჰქონოდა.

მან ურიკაში რამდენიმე ყუთი მოათავსა, წარწერით დადიტსი, და „ძმები თრექერების" ოფისისკენ გავარდა. იქ ურიკა სწრაფად გადააყირავა. ყუთები იატაკზე დაცვივდა, ეს არ ადარდებდა – როგორც საუკეთესო მეურნე, ატესტატს მოგვიანებითაც მიიღებდა.

უკან გაქანდა. უნდა გაეგო, მისტერ გრეი ხომ არ დაბრუნდა, მაგრამ ის ჯერაც სატვირთო ავტომანქანის მძღოლ ჯანასთან არკვევდა საქმეს... გვარად ჯანასი იყო. ღრუბელი ისევ იქ იდგა, მაგრამ მას ვერ გრძნობდა. ისეთივე შტერი ჩანდა, როგორიც სოკო.

ჯოუნსიმ დადიტსის დანარჩენი ყუთებიც მოაგროვა და შეამჩნია, რომ წარწერა შემდეგ მწკრივში მოთავსებულ ყუთებსაც ჰქონდა. დერი, – ამოიკითხა მან, ასეთი ძალიან ბევრი იყო. უნდა გადაეწყვიტა, სულ წაეღო თუ ზოგიერთი ამოერჩია.

ცოტა ფიქრის შემდეგ მეორე პარტიაც ოფისში წაიღო. რა თქმა უნდა, მოგონებები დერისა და დადიტსის შესახებ ერთმანეთს გადაეჯაჭვა, მეხსიერებას კი ასოციაციურობა ახასიათებდა. რამდენად მნიშვნელოვანი იყო დერისთან დაკავშირებული ყველა მოგონება? ამაზე პასუხი იმიტომ არ ჰქონდა, რომ მისტერ გრეის გეგმებზე არაფერი იცოდა.

სამაგიეროდ, მან იცოდა.

მისტერ გრეი სამხრეთისკენ იჩქაროდა.

დერი სამხრეთით მდებარეობდა.

ჯოუნსი ისევ მეხსიერების საცავისკენ გავარდა, წინ ურიკას მიაგორებდა. იმდენი ყუთის წაღებას აპირებდა, რამდენსაც შეძლებდა, იმედოვნებდა, რომ ის საჭირო ყუთები იყო. იმისიც სჯეროდა, რომ მიტერ გრეის დაბრუნებასაც იგრძნობდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ კარს მიღმა დააკავებდნენ, ბუზივით გასრესდნენ.

4

ჯანასი შეძრწუნებული აკვირდებოდა, როგორ გაიწვდინა მარცხენა ხელი, კარი მძღოლის მხრიდან როგორ გააღო და სიცივე, თოვლი და დაუდგრომელი ქარი შემოუშვა.

– ნუ მაწამებთ, მისტერ, გთხოვთ. დაბრძანდით, სადაც გნებავთ, წაგიყვანთ, ოღონდ აღარ გამაწამოთ. ჩემი თავი...

უეცრად რაღაც ეძგერა ენდი ჯანასის გონებას. ეს თვალების ქარბორბალას ჰგავდა. გრძნობდა, როგორ გამოითხოვდა მისგან უკანასკნელ ინფორმაციას, „ცისფერ ბაზაზე" მისვლის სავარაუდო დროს, ყველაფერს, რაც კი დერიზე იცოდა – ენდი არასდროს ყოფილა დერიში და, შესაბამისად, ვერც ვერაფერს შეატყობინებდა.

შემდეგ ქარბუქი შესუსტდა და წამით ენით აუწერელი შვება იგრძნო, – მე არა მაქვს ის, რაც მას სჭირდება, ამიტომ გამიშვებს, – თუმცა მაშინვე მიხვდა, რომ გონებაში არსებულ რაღაცას მისი სატვირთო მანქანა სჭირდებოდა და ამიტომ გაშვებას არ აპირებდა; და კიდევ: უნდა ეიძულებინა ჯანასი, არაფერი წამოსცდენოდა.

ჯანასი უცნობ ძალას ენერგიულად შეებრძოლა. სწორედ ამ მოულოდნელმა შეწინააღმდეგებამ მისცა ჯოუნსის შესაძლებლობა, რომ „დერითი" მონიშნული ყუთების ერთი წყება მაინც ოფისში გადაეტანა. შემდეგ კი მისტერ გრეი სატვირთო მანქანის საჭეს დაეუფლა.

ჯანასმა დაინახა, როგორ შეეხო მისი საკუთარი ხელი დამცავ წინაფრას, კალმისტარი ამოაძრო, ხანჯალივით შემართა და თვალში შეირჭო.

„არა! " – შესძახა ჯანასმა, მაგრამ გვიან იყო. გაისმა მსუბუქი ტკაცუნი და მძღოლი ისე აფართხალდა, როგორც მარიონეტი – გამოუცდელი მსახიობის ხელში. მძლავრად მომუჭულ ხელს კალმისტარი სულ უფრო ღრმად შეჰყავდა – ჯერ ნახევრამდე, შემდეგ ბოლომდე. გამსკდარი თვალი ნელა ჩამოედინა სახეზე უშნო, გროტესკული ცრემლივით. ბოლოს, კალმის წვერი ხრტილამდე შევიდა და წამით გაიჭედა, მაგრამ მაშინვე შეაღწია ტვინში.

რას აკეთებ, შე დამპალო, – გაიფიქრა ენდიმ, – რას...

თავში სინათლის თეთრი ბუშტი გასკდა და სრული წყვდიადი ჩამოწვა. ჯანასი ნელა დაემხო საჭეს. პიკაპის კლაქსონი აპიპინდა.

5

მისტერ გრეიმ ჯანასთან ბევრს ვერაფერს მიაღწია, – ამას ბოლოს ძალაუფლებისთვის მოულოდნელი ბრძოლაც დაემატა, – მაგრამ ის მაინც შეიტყო, რომ აქეთ საკუთარი ნებით არ წამოსულა. ტრანსპორტის კოლონა, რომელშიც ჯანასი შედიოდა, ქარბუქმა შე-

აფერხა, ყველა ერთსა და იმავე დანიშნულების ადგილამდე უნდა მისულიყო. ის მას „ცისფერ ბაზასაც“ ეძახდა და „გოსლინის მაღაზიასაც“. იქ ერთი კაცი იყო, რომლისაც ჯანასს ეშინოდა – მეთაური. თუმცა, საშინელი კურცი/ბოსი/შეშლილი ეიბი მისტერ გრეის სულ არ ანაღვლებდა. ან რა საქმე უნდა ჰქონოდა კურცთან, როდესაც გოსლინის მაღაზიასთან მიახლოებასაც კი არ აპირებდა. ეს სრულიად სხვა ადგილი იყო და იქ მყოფნიც სხვანაირები იყვნენ თავიანთი განუვითარებელი, ძირითადად, ემოციებისგან შემდგარი გონებებით. ისინი იბრძოდნენ, თუმცა მისტერ გრეის ამის მიზეზი ვერაფრით გაეგო.

ჯობდა, საქმე სწრაფად დაემთავრებინა. საგანგებოდ ამ შემთხვევისთვის მან იდეალური სისტემა მოიფიქრა.

მისტერ გრეიმ ჯანასს იღლიაში ჯოუნსის ხელები ამოსდო, გზის გასწვრივ ჩარჭობილ ბოძებთან მიათრია და ქვევით გადააგდო, თვალი არც კი გაუყოლებია, როცა ის კოტრიალით დაეშვა გაყინული ნაკადულისკენ. ამის ნაცვლად, მანქანასთან დაბრუნდა, ორი საგულდაგულოდ შეფუთული ტვირთი ყურადღებით შეათვალიერა და თავი დააქნია. ცხოველთა ლეში უსარგებლო იყო, აი, მეორე კი... გამოადგებოდა. მასში ბევრი რამ სჭირდებოდა.

უეცრად, თავი ასწია და ჯოუნსის დაბნეული თვალებით თოვლის ფიფქებს მიაჩერდა. ამ სხეულის პატრონი სამალავიდან გამოსულიყო. მოწყვლადი. უმწეო. ეს აწყობდა კიდეც, რადგან მისი ცნობიერება უკვე აღიზიანებდა: განუწყვეტელი ბურტყუნი (ზოგჯერ პანიკურ ყვირილში რომ გადაიზრდებოდა ხოლმე) სააზროვნო პროცესის ქვედა დონეზე მუშაობაში ხელს უშლიდა.

მისტერ გრეი წამით კიდევ შეყოვნდა, რათა საკუთარი გონება ისეთი ფიქრებისგან გაეწმინდა, რომლებიც ჯოუნსის დააფრთხობდა... და გადახტა.

თვითონაც არ იცოდა, რას ელოდა, ოღონდ ამას არა.

ოღონდ არა დამაბრმავებელ თეთრ შუქს.

6

ჯოუნსი კინაღამ ჩავარდა. ჩავარდებოდა კიდეც, რომ არა მის მიერ მეხსიერების საცავში ანთებული ლუმინესცენციური ლამპები. შესაძლოა, სინამდვილეში ეს ადგილი არც არსებობდა, მაგრამ მისთვის სრულიად რეალური იყო, ასევე მისტერ გრეისთვის, როდესაც მან თავდასხმა გადაწყვიტა.

ჯოუნსი დერით მონიშნული ყუთებით დატვირთულ ურიკას მიაგორებდა, როდესაც მაღალ სვეტებად დაწყობილ ყუთებს შორის, ერთ-ერთ გასასვლელში, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო, მისტერ გრეი გაჩნდა. ეს სწორედ ის რუდიმენტული ჰუმანოიდი იყო, „კედელში გაკეთებულ ხვრელში" მის ზურგს უკან რომ იდგა, ქმნილება, რომელიც საავადმყოფოში მოინახულა. მქრქალი შავი თვალები, როგორც იქნა, გამოცოცხლებოდა და ხარბად იყურებოდა. მისკენ მოიპარებოდა, რათა საბოლოოდ დაუფლებოდა ნადავლს.

მაგრამ უეცრად მისი მახინჯი, თოვლის გუნდასავით თავი შეირხა და სანამ სამთითა ხელი თვალებს (უქუთუთოსა და უწამწამოს) დაიჩრდილავდა, ჯოუნსიმ ნაცრისფერ სახეზე გაოცების მსგავსი რამ – შესაძლოა ტკივილიც კი – შეამჩნია. ქმნილება ჯერაც იქ, თოვლიან წყვდიადში იყო და მძღოლის სხეულს თავიდან იცილებდა. აქ რომ შემოიჭრა, სავაჭრო ცენტრის მსგავსმა მოულოდნელმა სიკაშკაშემ თვალი მოსჭრა. ჯოუნსის არც ის გამორჩენია, რომ დამპყრობელმა მასპინძლის გაოცებული გამომეტყველება გადაიღო და ახლა მისტერ გრეი ჯოუნსის საშინელ კარიკატურას ჰგავდა.

ჯოუნსი იმწამიერმა შეყოვნებამ გადაარჩინა. მან ურიკა მთელი ძალით გააგორა წინ – თავს რომელიღაც ზღაპრიდან გატაცებული პრინცესასავით გრძნობდა – და ოფისისკენ გაქანდა. უფრო იგრძნო, ვიდრე დაინახა, როგორ გაიწვდინა მისტერ გრეიმ მისკენ სამთითა ხელები (ამჯერად ნაცრისფერი კანი, დიდი ხნის დადებული უმი

ხორცივით, მეწამული და გამომშრალი მოეჩვენა), მაგრამ კარის დაკეტვა მანამ მოასწრო, სანამ მარწუხები ჩააფრინდებოდა. ჯოუნსიმ ურიკას თეძო გაჰკრა, შემოტრიალდა – აცნობიერებდა, რომ ეს ყველაფერი როგორც მის თავში, ასევე სინამდვილეშიც ხდებოდა – და წამით დაასწრო მისტერ გრეის, რომელსაც შიგნით შემოვარდნა სურდა. თავის დაზღვევისთვის, ურდულის გარდა, დამატებითი საკეტიც გადაატრიალა. ვეღარ გაიხსენა, ეს ძველი იყო თუ ახლა დააყენა.

ოფლში გაწურულმა ჯოუნსიმ უკან დაიხია და ურიკას შეეჯახა. მისტერ გრეი, რომელიც მის სხეულსა და დანარჩენ გონებას დაუფლებოდა, კარის სახელურს აწვალებდა, აქეთ-იქით ატრიალებდა, მაგრამ ამაოდ ცდილობდა შესვლას. კარის შესანგრევად არც ძალა ჰყოფნიდა, არც – წონა, გამღების წამოღება კი დავიწყებოდა.

რატომ? ეს როგორ მოხდა?

– დადიტს, – ჩაიჩურჩულა მან, – არ არის მოძრაობა, არ არის თამაში.

კარის სახელური შეჯანჯღარდა.

– შემომიშვი! – დაიღრინა მისტერ გრეიმ და ახლა ჯოუნსიმ მასში სხვა გალაქტიკიდან მოფრენილი არსება კი არა, ჩვეულებრივი ბერიკაცი დაინახა, რომელმაც სასურველს ვერ მიაღწია და ამის გამო ჭირვეულობდა. იქნებ, მისტერ გრეის საქციელს საკუთარი, ჯოუნსის საზომით ზომავდა? უცხოტომელს აადამიანურებდა? მის ნათქვამს დედამიწის მკვიდრთათვის გასაგებ ენაზე თარგმნიდა?

– შემომიშვი!

– სწორედ მაგის ხასიათზე ვარ ახლა, – დაუფიქრებლად მიუგო ჯოუნსიმ, გუნებაში კი დაამატა: ამაზე ასე უნდა გეპასუხა: მაშინ სახლს სულს შევუბერავ, შევუბერავ და დავანგრევ.

მისტერ გრეი კვლავაც კარის სახელურს აწვალებდა. როგორც ჩანს, ასეთ დამარცხებას მიჩვეული არ იყო (ჯოუნსის აზრით, არც

ასეთს და არც სხვაგვარს) და გაშმაგებისგან ადგილს ვეღარ პოულობდა. ჯანასის წინააღმდეგობამ ოდნავ კი დააფრთხო, მაგრამ აქ სრულიად სხვა დონეს წააწყდა.

– სად ხარ? – შესძახა მისტერ გრეიმ გაბრაზებული ხმით, – როგორ ახერხებ მანდ ყოფნას? გამოდი!

ჯოუნსიმ არაფერი უპასუხა, ძირს დაყრილ ყუთებს მიუახლოვდა და სმენად იქცა. თითქმის დარწმუნებული იყო, რომ მისტერ გრეი მასთან ვერ შეაღწევდა, მაგრამ ზედმეტი გაღიზიანება არაფერში სჭირდებოდა.

კარის სახელურმა ცოტა ხანს კიდევ იჩხაკუნა, შემდეგ კი ჯოუნსიმ იგრძნო, რომ მისტერ გრეიმ მას ხელი გაუშვა.

ჯოუნსიმ გვერდი აუარა ყუთებს, რომლებსაც დერი და დადიტსი ეწერა, ფანჯარასთან მივიდა და თოვლიან ღამეს ჩააშტერდა.

7

მისტერ გრეიმ ჯოუნსის სხეული კაბინაში აიყვანა, საჭესთან დასვა, კარი მიხურა და აქსელერატორს დააწვა. მანქანა წინ გაქანდა, მაგრამ მაშინვე მოცურდა და გამაყრუებელი ხმაურით შეეჯახა დამცავ ბოძებს.

– შენი დედაც! .. – შესძახა მისტერ გრეიმ და გაუცნობიერებლად, ჯოუნსის სიტყვებით მოჰყვა ლანძღვა-გინებას, – დალახვროს ეშმაკმა – ბანანები! მაკოცე ტაკოში! ტრაწიანო! აქ მიკბინე!

შემდეგ შეჩერდა და კვლავ საჭეს ჩააფრინდა. ჯოუნსის ამგვარ ამინდში მანქანის ტარების შესახებ ბევრი რამ სმენოდა, ცოტაოდენი გამოცდილებაც ჰქონდა, მაგრამ ჯანასს ვერ შეედრებოდა. ჯანასი კი ცოცხალი აღარ იყო და აღარც მისი ფაილები არსებობდა. ისევ ჯოუნსის ცოდნა უნდა გამოეყენებინა. ყველაზე მნიშვნელოვნად იმ ადგილის შეუმჩნევლად გავლა მიაჩნდა, რომელსაც ჯანასის ტვინში „საკარანტინო ზონა“ ერქვა. თუ გაივლიდა, უსაფრთხოდ იქნებოდა. ჯანასი აშკარად ასე ფიქრობდა.

ჯოუნსის ფეხი კვლავ დააწვა გაზის პედალს, მაგრამ ამჯერად გაცილებით ფრთხილად. სატვირთო მანქანა დაიძრა და ჯოუნსის ხელებმა „შევროლე" კვლავ თოვლსაწმენდის მიერ გაკვალულ, სანახევროდ დათოვლილ ბილიკზე გადაიყვანა.

ამ დროს ხელსაწყოთა დაფის ქვეშ მოთავსებული რაცია ატკაცუნდა და გამოცოცხლდა.

– „ტაბი ერთი", მე „ტაბი ოთხი" ვარ. მანქანა მოსრიალდა და შუა გზაზე ამოტრიალდა. დამიდასტურეთ მიღება.

მისტერ გრეიმ სასწრაფოდ გადაავლო თვალი ფაილებს. ჯოუნსის სამხედრო კომუნიკაციების მწირი ცოდნა ჰქონდა, ძირითადად, წიგნებიდან და ფილმებიდან. რაც იცოდა, იმით უნდა გასულიყო ფონს. მიკროფონი მოიმარჯვა, მოძებნა ღილაკი, რომელიც, ჯოუნსის აზრით, მარჯვნივ უნდა ყოფილიყო, და თითი დააჭირა.

– შეტყობინება მიღებულია, – თქვა მან.

ვაითუ, „ტაბი ოთხმა" სიყალბე იგრძნოს? მიხვდეს, რომ ენდი ჯანასი არ ელაპარაკება? ჯოუნსის მიერ ნანახი ფაილების მიხედვით, ეს ნაკლებად სავარაუდო იყო.

– ვაპირებთ, ყველამ ერთად ავწიოთ და ბორბლებზე დავაყენოთ. მას ის წყეული საკვები მიჰქონდა. მიღება.

მისტერ გრეი ღილაკს დააწვა.

– ის წყეული საკვები მიჰქონდა. მიღებულია.

ამას საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა, სრულიად საკმარისი იმისთვის, რომ კვლავ დაეჭვებულიყო, შეცდომა ხომ არ დაუშვა და მახეში ხომ არ გაება, მაგრამ ამ დროს რაცია კვლავ გამოცოცხლდა.

– თოვლსაწმენდების მორიგ მანქანებს უნდა დაველოდოთ, შენ კი შეგიძლია სვლა განაგრძო. კავშირის დასასრული. ვიმეორებ, კავშირის დასასრული.

„ტაბი ოთხის" ხმაში უკიდურესი ზიზღი იგრძნობოდა. ფაილების გაანალიზებით ჯოუნსიმ დაასკვნა, რომ ამის მიზეზი ჯანასი იყო. ამ

საუცხოო მძღოლმა იმდენად გაუსწრო კოლონას, რომ დასახმარებლად უკან მიბრუნებას აზრი არ ჰქონდა. ეს კარგი იყო. გაჩერებას ისედაც არ აპირებდა, თანაც „ტაბი ოთხის" ოფიციალური სანქციაც, თუ ის ოფიციალურ სანქციად ჩაითვლებოდა, ხელს აძლევდა.

მისტერ გრეიმ ჯოუნსის ფაილები შეამოწმა (ყუთები უზარმაზარ დარბაზში, რომლებსაც ახლა ჯოუნსის თვალით ხედავდა) და უპასუხა:

– მიღებულია. „ტაბი ერთი" მიღებას ამთავრებს და კავშირს წყვეტს.

შემდეგ კი, თითქოს რაღაც გაახსენდაო, დაამატა:

– ღამე მშვიდობისა.

თეთრი მასა თავზარდამცემად გამოიყურებოდა. მუხანათურად. მისტერ გრეიმ მაინც გარისკა და სისწრაფეს მოუმატა. სანამ სასტიკი კურცის შეიარაღებული ძალების კონტროლირებად ტერიტორიაზე იმყოფებოდა, საფრთხე ყოველი მხრიდან ელოდა. სამაგიეროდ, თუ თავს დააღწევდა, საქმეს სწრაფად მოამთავრებდა.

ის, რაც სჭირდებოდა, დერად წოდებულ ადგილს უკავშირდებოდა. დიდ საწყობში მისტერ გრეიმ საოცარი რამ აღმოაჩინა: მისმა არასტუმართმოყვარე მასპინძელმა ეს ან იცოდა, ან იგრძნო. ამიტომ, როდესაც მისტერ გრეი დაბრუნდა და კინაღამ ხელი ჩაავლო, ის სწორედ დერის ყუთებს ეზიდებოდა.

შეშფოთებულმა მისტერ გრეიმ სასწრაფოდ გადაათვალიერა დარჩენილი ყუთები და ცოტათი დამშვიდდა.

რაც სჭირდებოდა, ყველაფერი იქ იყო.

ყუთის გვერდით, რომელიც უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას შეიცავდა, გადაყირავებული, პატარა, მტვრიანი კოლოფი ეგდო. მასზე შავი მარკერით გაკვრით ეწერა: დადიტსი. თუ ასეთები კიდევ იყო, ჯოუნსის უკვე გადაემალა, ეს კი დარჩენოდა.

მისტერ გრეიმ იგი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის გამო გახსნა

(ცნობისმოყვარეობაც ჯოუნსის ემოციების საცავიდან ისესხა). შიგნით პლასტმასის კაშკაშა ყვითელი კონტეინერი იდო, რომელზეც უცნაური ფიგურები დახტოდა და, ჯოუნსის ფაილების მიხედვით, „მულტფილმები" და „სკუბი-დუ" ერქვა. ერთ გვერდზე მიკრულ სტიკერზე იკითხებოდა: „მე ვეკუთვნი დადიტს ქეველს, მენის შტატი, დერი, მეიპლეინის 19. თუ ბიჭი, ვისაც ვეკუთვნი, დაიკარგება, დარეკეთ...

ბოლოში ნახევრად წაშლილი და გაურკვეველი ციფრები ეწერა, შესაძლოა, კავშირის კოდი, რომელიც ჯოუნსის აღარ ახსოვდა. პლასტმასის ყვითელი კონტეინერი, როგორც ჩანს, საჭმლისთვის გამოიყენებოდა და მისტერ გრეიმ იგი შორს მოისროლა. ეს ყველაფერი, ალბათ, არაფერს ნიშნავდა... თუმცა, თუ ასეა, რატომ ჩაიგდო ჯოუნსიმ თავი საფრთხეში, როდესაც დადიტსით მონიშნული ყველა და დერით მონიშნული ზოგიერთი ყუთი უსაფრთხო ადგილას გადაიტანა?

დადიტსი-ბავშვობის მეგობარს. მისტერ გრეიმ ეს ჯერ კიდევ ჯოუნსისთან „საავადმყოფოში" პირველი შეხვედრისას შეიტყო, მაშინ რომ სცოდნოდა, რამდენ უსიამოვნებას მიაყენებდა ჯოუნსი, მასპინძლის მეხსიერებას მთლიანად წაშლიდა. სიტყვებს: „ბავშვობასა" და „მეგობარს" ემოციური დატვირთვა არ ჰქონდა, მაგრამ მისტერ გრეი ხვდებოდა, ეს რასაც ნიშნავდა. მას მხოლოდ ერთი რამ ვერ გაეგო: რით უკავშირდებოდა ჯოუნსის ბავშვობის მეგობარი დღეს მომხდარ ამბებს.

ამას მხოლოდ ერთადერთი ახსნა მოეძებნებოდა: მისი მასპინძელი ჭკუაზე შეიშალა. საკუთარი სხეულიდან გამოძევებამ გააგიჟა. რაც კი თვალში მოხვდა, ყველა ყუთს ხელი სტაცა და გააქანა საკუთარ გაუგებარ ციხესიმაგრეში, რომელსაც გადამეტებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

– ჯოუნსი, – დაიწყო მისტერ გრეიმ ჯოუნსის ხმით. ამ მიწიერ

არსებებს გამომგონებლობის საოცარი ნიჭი ჰქონდათ (აბა რა, ხუმრობა ხომ არ იყო, ასეთ ცივ სამყაროში ცხოვრება), მაგრამ მათი აზროვნების პროცესი, სულ მცირე, უცნაურად და არასრულყოფილად ეჩვენებოდა: დახავსებული, ემოციების ჭაობში ჩაფლული გონება, არავითარი ტელეპათია. ტელეპათიის დროებითი უნარი კი, რაც ბაირუსისა და კიმის (ისინი რატომღაც „სასიგნალო შუქს“ უწოდებდნენ) წყალობით მიიღეს, აცბუნებდა და აშინებდა მათ. მისტერ გრეის უკვირდა, ამ არსებებმა აქამდე რომ მოაღწიეს და არ გადაშენდნენ. არსებებმა, რომელთაც რეალურად აზროვნება არ შეეძლოთ – მანიაკებმა – ამას ბევრი მტკიცება აღარ სჭირდებოდა.

ამასობაში უცნაურ, მიუვალ ოთახში მყოფ არსებას საუბარი არ სურდა.

– ჯოუნსი.

დუმილი. მაგრამ ჯოუნსი უსმენდა. ამაში მისტერ გრეის ეჭვი არ ეპარებოდა.

– ტყუილუბრალოდ იტანჯები, ჯოუნსი. ეცადე, ყველაფერს ისე შეხედო, როგორც სინამდვილეშია: ჩვენ დამპყრობლები კი არა, მხსნელები ვართ.

მისტერ გრეიმ უცებ გამოთვალა, რამდენი ყუთი იყო საწყობში. ჯოუნსის, აზროვნების უნარს მოკლებული არსებას, უჩვეულოდ დიდი მოცულობის მეხსიერება ჰქონდა. შეკითხვა სამომავლოდ: რატომ იყო, რომ შეზღუდული აზროვნების მქონე არსებებს ინფორმაციის მოძიებისა და დაბრუნების საოცარი ნიჭი ჰქონდათ? უკავშირდებოდა თუ არა ეს უჩვეულოდ გაფართოებულ ემოციურ სტრუქტურას? ემოციურობა წონასწორობას უკარგავდა, აშფოთებდა. განსაკუთრებით, ჯოუნსის ემოციურობა. იგი ყოველთვის აქ იყო. ყოველთვის გვერდით. და დიდი რაოდენობით.

– ომი... შიმშილი... ეთნიკური წმენდა... მკვლელობა მშვიდობის დასამყარებლად... წარმართთა ამოწყვეტა იესოს გულისთვის... ჰო-

მოსექსუალისტები ცემით სიკვდილის პირას მიიყვანეს... ბაქტერიები სინჯარებში, სინჯარები მსოფლიოს ყველა ქალაქზე დამიზნებულ ფრთოსან რაკეტებში... კმარა, ჯოუნსი, რა არის პატარა ბაირუსი მეოთხე სახეობის ციმბირულ წყლულთან შედარებით? დალახვროს ეშმაკმა – ბანანები! ორმოცდაათი წლის შემდეგ თქვენ ისედაც ამოწყდებით! და ეს შესანიშნავია! აჯობებს, მოდუნდე და ისიამოვნო!

– შენ ის ბიჭი აიძულე, საკუთარ თვალში კალმისტარი ჩაერჭო.

გაბრაზებითაა ნათქვამი, მაგრამ დუმილს ისევ ეს სჯობია.

ქარმა დაღუპა, პიკაპი მოცურდა და მისტერ გრეი მასთან ერთად დაბზრიალდა. ჯოუნსის ხელებით საჭეს ჩაჰფრენოდა. ხილვადობა თითქმის ნულის ტოლი იყო და იძულებული გახდა, სისწრაფე საათში ოც მილამდე შეემცირებინა. უკეთესი იქნებოდა, თუ გაჩერდებოდა და ცოტას მოიცდიდა, მაგრამ ასე მას შემდეგ მოიქცეოდა, რაც კურცის ხაფანგს თავს დააღწევდა. მანამდე კი მასპინძელთან საუბრით შეიქცევდა თავს. მისტერ გრეის ეეჭვებოდა, რომ ოთახიდან ჯოუნსის გამოტყუებას მოახერხებდა, თუმცა, გულახდილ საუბარს წინ არაფერი ედგა.

– იძულებული ვიყავი, მეგობარო, სატვირთო ავტომანქანა მჭირდებოდა. მე ხომ უკანასკნელი ვარ.

– და არასდროს აგებ.

– მართალია, – დაეთანხმა მისტერ გრეი.

– მაგრამ ასეთ ვითარებაში არასდროს ყოფილხარ, ხომ ასეა? პირველად ხდება, რომ ვიღაც არ გიშვებს.

ნუთუ ჯოუნსი დასცინის? მისტერ გრეი აღშფოთდა. ამ დროს ჯოუნსიმ ის თქვა, რაზეც მას უკვე ეფიქრა.

– იქნებ ჯობდა, საავადმყოფოში ყოფნისას მოგეკალი. თუ ეს მხოლოდ სიზმარი იყო?

მისტერ გრეიმ კარგად არ იცოდა, რა იყო სიზმარი და პასუხისთვის თავი აღარ შეიწუხა. მისი გაშმაგება ისედაც პიკს აღწევდა.

გვერდით მეამბოხე ჰყავდა, რომელსაც ბარიკადებით ჩაეხერგა ის ადგილი, რომელიც ამ დროისთვის მხოლოდ და მხოლოდ მისტერ გრეის გონება უნდა ყოფილიყო. არც ეს სახელი – მისტერ გრეი მოსწონდა. ვერ წარმოედგინა თავი იმ არსებად, რომლის გონების ნაწილიც გახდა. ისიც ეზიზღებოდა, რომ საკუთარი თავისთვის მამრობითი „ის“ უნდა ეწოდებინა, რადგან ორსქესიანი და, იმავდროულად, უსქესო იყო. ჯერაც ამ ორი სახელის ტყვეობაში რჩებოდა და ასე იქნებოდა მანამ, სანამ ჯოუნსის გონების დარჩენილ ნაწილსაც არ დაიმორჩილებდა. უეცრად, მისტერ გრეის თავში საშინელმა აზრმა გაუელვა: ვაითუ, მისი შეხედულებები სამყაროს შესახებ უაზრობაა?

– ვინ არის დადიტსი, ჯოუნსი?

დუმილი.

– რიჩი ვინღაა? რატომ იყო ის ნაგავი? რატომ მოკალი?

– ჩვენ არ მოგვიკლავს!

მცირეოდენი თრთოლა გონებრივ ხმაში. აჰა! გასროლა მიზანში! და კიდევ ერთი საინტერესო რამ: მისტერ გრეიმ შენობით მიმართა, ჯოუნსიმ კი, – ჩვენო, – უპასუხა.

– როგორ არა, მოკალი. ან ფიქრობ, რომ მოკალი.

– ტყუილია.

– სისულელეა ყველაფრის უარყოფა, მე ხომ შენი მოგონებები მაქვს. აი ისინი, ამ ყუთებიდან ერთ-ერთშია. მასში თოვლია. თოვლი და მოკასინი. ყავისფერი ნატი. გამოდი და შეხედე.

ერთი წამით წარმოიდგინა კიდეც, რომ ჯოუნსი ანკესზე წამოაგო. მაშინ მისტერ გრეი მას დაუყოვნებლივ საავადმყოფოში დააბრუნებდა და ჯოუნსის შეეძლო, საკუთარი სიკვდილი ტელევიზორში ენახა. ბედნიერი დასასრული იმ ფილმისა, რომელსაც ერთად უყურებდნენ. შემდეგ კი, არავითარი მისტერ გრეი. მხოლოდ ის, რაც ჯოუნსის „ღრუბლად“ მიაჩნდა.

მისტერ გრეი მოუთმენლად მიაჩერდა კარის სახელურს, გონებით

უბრძანებდა, მ გადატრიალებულიყო. მაგრამ ასე არ მოხდა.

– გამოდი!

დუმილი.

– რიჩი შენ მოკალი, მშიშარავ! შენ და შენმა მეგობრებმა. თქვენ... თქვენ ის მოსაკლავად დაისიზმრეთ.

და თუმცა მისტერ გრეიმ არ იცოდა, რა იყო სიზმარი და მით უმეტეს – რას ნიშნავდა სიტყვა „დაისიზმრეთ", გრძნობდა, რომ სიმართლეს ამბობდა. ან იმას, რაც, ჯოუნსის აზრით, სიმართლე იყო.

კვლავ დუმილი.

– გამოდი! გამოდი და... – გამალებით ფურცლავდა ჯოუნსის მოგონებებს. ბევრი მათგანი იმ ყუთებში ეწყო, რომლებსაც „ფილმები" ეწერა. როგორც ჩანს, ჯოუნსის ყველაზე მეტად სწორედ ისინი მოსწონდა. მისტერ გრეიმ ის ფრაზა შეარჩია, რომელიც, პოტენციურად, სხვებზე უფრო ქმედითი მოეჩვენა, – ვაჟკაცურად შემებრძოლე!

ისევ არაფერი.

ოჰ, შე ნაძირალავ, – გაიფიქრა მისტერ გრეიმ და ერთხელ კიდევ ჩაუშვა ანკესი მასპინძლის ემოციებით სავსე მაცდურ ტბაში, – ბოზიშვილო! ჯიუტო ვირიშვილო! მაკოცე ასოზე, ჯიუტო ვირიშვილო!

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჯოუნსი ჯოუნსი, ანუ საკუთარი თავი იყო, ის გაბრაზებას რაიმე მყარ საგანზე მუშტის დარტყმით გამოხატავდა. მისტერ გრეიც ასე მოიქცა და ჯოუნსის მუშტი საჭის ცენტრს დასცხო, საკმარისად ძლიერად, რომ კლაქსონს ხმა გამოეცა.

– მომიყევი! რიჩიზე არა, დადიტსზე, შენზე! იმაზე, რითაც სხვებისგან გამოირჩევი. ძალიან მინდა ამის გაგება.

სიჩუმე.

– ეს ქრიბია, არა?

პასუხი კვლავ არ ისმოდა, მაგრამ ამჯერად მისტერ გრეიმ ფეხების ფაჩუნი და ამოოხვრის მსგავსი რამ გაიგონა. მან ჯოუნსის ტუჩებით გაიღიმა.

– დამელაპარაკე, ჯოუნსი – ვითამაშოთ, დრო გავიყვანოთ. ვინ იყო რიჩი, გარდა იმისა, რომ ზურგზე ცხრამეტი ნომერი ეწერა? რატომ გაგაბრაზათ? იმიტომ, რომ „ვეფხვს" ეძახდნენ? „დერელი ვეფხვები" – ვინ იყვნენ ისინი? ვინ იყო დადიტსი?

სრული სიჩუმე.

სატვირთო მანქანა უწინდელზე უფრო ნელა მიიპარებოდა ქარბუქში. ფარების შუქი თოვლის სქელ ფარდაში თითქმის ვერ ატანდა. მისტერ გრეის ხმა ჩუმად, ძილისპირულივით ისმოდა.

– მინდა გითხრა, რომ შენ დადიტსის ერთი ყუთი ვერ შენიშნე, მეგობარო. მასში კიდევ ერთი იდო – ყვითელი. სკუბი-დუთი. რა არის სკუბი-დუ? ეს ნამდვილი ადამიანი არ არის, ხომ ასეა? ფილმიდან არის? ტელევიზიიდან? გინდა კოლოფი? გამოდი, ჯოუნსი. გამოდი და მოგცემ.

მისტერ გრეიმ გაზის სატერფულიდან ფეხი აიღო და სატვირთო მანქანა მარცხნივ, ნამქერებში გადაიყვანა. იქ რაღაც ხდებოდა და უნდოდა, მთელი ყურადღება იქით მიემართა. ჯოუნსის ძალით ვერ გამოიტყუებდა, მაგრამ ძალა ერთადერთი საშუალება როდია ორთაბრძოლის ან ომის მოსაგებად.

სატვირთო მანქანა ზედ დამცავ ბოძებთან გაჩერდა, გამძვინვარებული ქარბუქის შუაგულში. მისტერ გრეიმ თვალები დახუჭა და მაშინვე ჯოუნსის მოგონებების გაჩახჩახებულ საცავში აღმოჩნდა. ზურგს უკან, ლუმინესცენციური ლამპების ქვეშ, ვინ იცის, რამდენი მილის სიგრძეზე, შტაბელებად ეწყო ყუთები. მის წინ კი დაკეტილი კარი იყო, ჭუჭყიანი და ძველი, მაგრამ რატომღაც ძალიან მყარი და გამძლე. მისტერ გრეი მას სამთითა ხელებით მიეყრდნო და ხმადაბლა და დაჟინებით განაგრძო გულწრფელი საუბარი.

– ვინ არის დადიტსი? რატომ დაუძახე რიჩის მოკვლის შემდეგ? შემომიშვი, უნდა დავილაპარაკოთ. რატომ წაიღე ყუთები, რომლებზეც დერი ეწერა? ეს მეორეხარისხოვანია, რადგან ყველაფერი მაქვს, რაც აუცილებელია. შემომიშვი, ჯოუნსი. სჯობს ახლა, ვიდრე

მოგვიანებით.

ამას თითქოს უნდა ემუშავა. იგი ხედავდა ჯოუნსის უსიცოცხლო თვალებს და კარის სახელურისკენ გაწვდილ ხელს.

– ჩვენ ყოველთვის ვიგებთ, – თქვა მისტერ გრეიმ. მერე საჭესთან მოკალათდა და ჯოუნსის თვალები დახუჭა. სადღაც, სხვა სამყაროში, ქარმა დაიზუზუნა და სატვირთო მანქანა რესორებზე შეახტუნა, – გააღე კარი, ჯოუნსი, ახლა გააღე.

დუმილი. შემდეგ კი სამი დუიმის მანძილიდან გახურებულ სახეში თითქოს ცივი წყალი შეასხესო:

– ჩახეთქე განავალი და ჩაძაღლდი.

მისტერ გრეი გაშმაგდა და ისე შეხტა, რომ ჯოუნსის კეფა სატვირთო მანქანის უკანა ფანჯარას მიარტყა. ამას მოულოდნელი და მწვავე ტკივილი მოჰყვა – მეორე უსიამოვნო სიურპრიზი.

მან კვლავ დასცხო მუშტი საჭეს, კიდევ და კიდევ... კლაქსონს კი ეს გაშმაგება მაშინვე გადაჰყავდა მორზეს კოდებში. გულგრილი, უგრძნობი ქმნილება, გულგრილი და უგრძნობი რასის წარმომადგენელი, საკუთარი მასპინძლის ემოციის ტალღებში აღმოჩნდა და იქიდან თავს ვეღარ აღწევდა. მისტერ გრეი გრძნობდა, რომ ეს ყველაფერი ჯოუნსის გამო ხდებოდა. ამ მფეთქავი უცხო სიმსივნის გამო, სადაც უშფოთველ და ფოკუსირებულ გონებას უნდა დაედო ბინა.

მისტერ გრეიმ კიდევ რამდენჯერმე დაარტყა ხელი საჭეს. ეზიზღებოდა ეს ემოციური ეაკულაცია, რომელიც ჯოუნსის გონებამ ისტერიკად მონათლა, მაგრამ, იმავდროულად, მოსწონდა კიდეც იგი. სიამოვნებდა კლაქსონის ჭყვიტინი, როდესაც მას ჯოუნსის მუშტებს ურტყამდა, ჯოუნსის საფეთქლებში სისხლის ჩაქუჩივით ცემა, ტკბებოდა ჯოუნსის აჩქარებული მაჯისცემითა და ხრინწიანი ხმით, ერთსა და იმავეს რომ იმეორებდა:

– შე დამპალო ნაბიჭვარო! შე დამპალო ნაბიჭვარო!

მაგრამ ამ საშინელი აღშფოთების მიუხედავად, მისი გონების უგ-

რძნობი ნაწილი მაინც ხვდებოდა, სად იმალებოდა ნამდვილი საფრთხე. ისინი განუწყვეტლივ მიდიოდნენ სხვა სამყაროში და იქ ყველაფერს საკუთარი შეხედულებებისამებრ ცვლიდნენ. ამ დაუწერელ კანონს ყოველთვის იცავდნენ წარსულში და მომავალშიც ასე იქნებოდა.

მაგრამ ახლა...

რაღაც მემართება, – გაიფიქრა მისტერ გრეიმ და თავში გაუელვა, რომ ეს აზრიც ჯოუნსის ეკუთვნოდა, – თანდათან ადამიანს ვემსგავსები.

იმის გაცნობიერებამ, რომ ეს აზრი თავისებურად მიმზიდველი იყო, მისტერ გრეის თავზარი დასცა.

8

ჯოუნსიმ თავს ძალა დაატანა, მისტერ გრეის ძილისპირულივით დამამშვიდებელ ხმას თავი დააღწია, გამოფხიზლდა და დაინახა, რომ ხელები კარის სახელურსა და ურდულზე დაედო და მის გაღებას აპირებდა. ის ბოზიშვილი მისთვის ჰიპნოზის გაკეთებას ცდილობდა და მიზნისთვის თითქმის მიეღწია კიდეც.

– ჩვენ ყოველთვის ვიგებთ, – თქვა კარის მეორე მხრიდან ნაზმა და ალერსიანმა ხმამ. დაძაბული დღის შემდეგ მისი მოსმენა ერთ რამედ ღირდა, მაგრამ ეს მზაკვრული მახე იყო, დამპყრობელი მანამ არ მოისვენებდა, სანამ თავისას არ გაიტანდა. იგი ყოველთვის ეპოტინებოდა სხვისას, რაც თავისად მიაჩნდა, – გააღე კარი, ჯოუნსი, ახლავე გააღე.

რაღაც მომენტში ჯოუნსი კინაღამ ასეც მოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ სრულად გამოფხიზლებულიყო, მაგრამ, ბედად, ორი ხმა ჩაესმა: წითელი ობისგან პიტის თავის ქალის საშინელი ტკაცატკუცი და ჯანასის კალმისტრით წამოთხრილი თვალის გაჭყაპუნება.

ჯოუნსი მიხვდა, რომ აქამდე ეძინა და მხოლოდ ახლა გაღვიძებოდა.

ხელები კარს მოაცილა, პირი გასაღების ჭუჭრუტანასთან მიიტანა და მკაფიოდ წარმოთქვა:

– ჩახეთქე განავალი და ჩაძაღლდი.

მაშინვე იგრძნო, რომ მისტერ გრეი უკან გადაქანდა. მისი ტკივილიც გაითავისა, როდესაც მან თავი უკანა ფანჯარას მიარტყა. რატომაც არა? ბოლოს და ბოლოს, ეს ხომ მისი ნერვები იყო. და თავიც, რა თქმა უნდა. მისტერ გრეის გაბოროტებამ და გაოცებამ აქამდე უცხო სიამოვნება მიანიჭა. ჯოუნსიმ ბუნდოვნად გააცნობიერა ის, რაც მისტერ გრეის არ გამოჰპარვია: მის გონებაში მყოფი არსება თანდათან ადამიანურდებოდა.

„თუ შენს ფიზიკურ არსს დაუბრუნდები, კვლავაც მისტერ გრეი იქნები?" – დაინტერესდა ჯოუნსი. თვითონ ასე არ ფიქრობდა. უფრო მისტერ პინკისკენ[161] იხრებოდა.

არ იცოდა, ისევ მოუნდებოდა თუ არა ამ ტიპს მესიე მესმერის[162] როლის თამაში, მაგრამ გადაწყვიტა, არ გაერისკა. ამიტომ შებრუნდა და ოფისის ფანჯარას მიუახლოვდა. ყუთები ფეხებში ედებოდა, ერთი-ორჯერ წაიბორძიკა კიდეც. ღმერთო ჩემო, როგორ სტეხდა თეძო. საშინელება იყო ამის ატანა საკუთარ თავში ჩაკეტილისთვის (ჰენრის მტკიცებით, მას ნერვის ნასახიც არ უნდა ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში, რუხ ნივთიერებას მაინც). ტკივილი არ ცხრებოდა. ჯოუნსის სადღაც წაეკითხა, რომ ინვალიდები ზოგჯერ აუტანელ ტკივილსა და ქავილს გრძნობენ არარსებულ, მოკვეთილ კიდურებში. შესაძლოა, თვითონაც იგივე ემართებოდა.

ფანჯრიდან მომაბეზრებელი პეიზაჟი მოჩანდა: ორზოლიანი გზა „ძმები თრექერების" დეპოს გასწვრივ შორეულ 1978-ში. ცა თეთრ ღრუბლებს დაეფარა. წარსულში დრო, როგორც ჩანს, შუადღეზე გაჩერებულიყო. გულს მხოლოდ ის უმშვიდებდა, რომ ფანჯარა მისტერ გრეისგან უშორეს მანძილზე მდებარეობდა.

---

[161] ვარდისფერი

[162] გერმანელი ექიმი, „ცოცხალი მაგნეტიზმის" სწავლების შემქმნელი.

გრძნობდა, რომ მოენდომებინა, პეიზაჟის შეცვლასაც მოახერხებდა. შეეძლო, გაეხედა და ის დაენახა, რასაც მისტერ გრეი, გარი ჯოუნსის თვალებით ხედავდა. მაგრამ რატომღაც ამის სურვილი ნაკლებად ჰქონდა. ან რა უნდა დაენახა, ქარბუქის გარდა. ვერც ვერაფერს იგრძნობდა – მხოლოდ მისტერ გრეის მოპარულ გააფთრებას.

„სხვა რამეზე იფიქრე", – უთხრა საკუთარ თავს.

„რაზე? "

„არ ვიცი – რაზეც გინდა. თუნდაც"...

საწერ მაგიდაზე ტელეფონმა დარეკა. ეს იმ ზღაპრის საზომითაც კი უცნაურად მოეჩვენა, როგორიცაა „ალისა საოცრებათა ქვეყანაში", რადგან ჯერ კიდევ რამდენიმე წუთის წინ იქ არც ტელეფონი ჩანდა და არც – მაგიდა. ველარც მიმოფანტულ ნახმარ პრეზერვატივებს მოჰკრა თვალი. იატაკი ძველებურად ჭუჭყს დაეფარა, ოღონდ კაფელს მტვერი აღარ ემჩნეოდა. ჩანს, მის თავში მოკალათებულ სისუფთავის მოყვარულს თუ დამლაგებელს გადაეწყვიტა, რომ, რადგან ჯოუნსის აქ მოუწევდა ყოფნა, სისუფთავე და ელემენტარული პირობები მაინც ჰქონოდა. ეს იდეა საშინელებად მოეჩვენა, დაფარული აზრი კი – დამთრგუნველად.

მაგიდაზე ტელეფონი კვლავ აწკარუნდა. ჯოუნსიმ ყურმილი აიღო და ჩასძახა:

– ალო!

ბივერის ხმის გაგონებაზე ტანში ჟრუანტელმა დაუარა. მიცვალებულის ზარი... როგორც იმ ფილმებშია, მას რომ მოსწონს. უფრო სწორად, მოსწონდა.

– მას თავი არ ჰქონდა, ჯოუნსი. ის არხში ეგდო, თვალები კი ტალახით მოსვროდა.

გაწკაპუნება და სამარისებური სიჩუმე. ჯოუნსიმ ყურმილი დაკიდა და ფანჯარასთან დაბრუნდა. გზა გამქრალიყო. დერიც. იგი „კედელში გაკეთებულ ხვრელს" შესცქეროდა განთიადის მქრქალი, მოწმენდილი ცის ქვეშ. სახურავი შავი იყო და არა მწვანე, რაც იმას

ნიშნავდა, რომ ეს 1982 წლამდე ხდებოდა, როდესაც მათი ოთხეული, მაშინ ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე, ცელქი მოსწავლე ბიჭები (თუმცა ჰენრის „ჯან-ღონით სავსეს" ვერ უწოდებდი), ბივის მამას მწვანე კრამიტის დაწყობაში ეხმარებოდნენ. შემდგომში ის აღარასდროს შეუცვლიათ.

მაგრამ ჯოუნსის მსგავსი მინიშნებები არ სჭირდებოდა. ისევე, როგორც შეტყობინება იმის შესახებ, რომ მწვანე კრამიტი აღარ არსებობს. აღარც – „კედელში გაკეთებული ხვრელი". ჰენრიმ მას ცეცხლი წაუკიდა და გადაწვა. ერთი წამის შემდეგ კარი გაიღებოდა და იქიდან ბივი გამოვარდებოდა. 1978 წელი იდგა. წელი, როდესაც ეს ყველაფერი დაიწყო. წამის შემდეგ ბივი გამოვარდებოდა ტრუსითა და ელვით გაწყობილი მოტოციკლეტისტის ქურთუკით. ნარინჯისფერი ბენდენის ბოლოები მხიარულად შეირხეოდა ქარში. 1978 წელი იდგა, ისინი ახალგაზრდები იყვნენ... და შეიცვალნენ. გაქრა „ახალი დღე, იგივე ნაგავი". დღე, როდესაც იმის გაცნობიერება დაიწყეს, თუ როგორ შეიცვალნენ.

ჯოუნსი მონუსხულივით იყურებოდა ფანჯარაში.

კარი გაიღო.

იქიდან თოთხმეტი წლის ბივერ კლარენდონი გამოვარდა.

თავი მეთხუთმეტე
ჰენრი და ოუენი

1

ჰენრი აკვირდებოდა, თუ როგორ მოაბიჯებდა მისკენ თავდახრილი ანდერჰილი პროჟექტორების დამაბრმავებელ შუქში. ჰენრიმ პირი დააღო და ის იყო, მისთვის უნდა დაეძახა, რომ უეცრად ჯოუნსის საოცარი სიახლოვე იგრძნო, რამაც განაცვიფრა და კინაღამ მიწას მიასრისა. შემდეგ თავს მოგონებები დაატყდა, რომლებმაც ანდერჰილიც გააქრო და გაჩახჩახებული დათოვლილი სამყაროც. მოულოდნელად იგი კვლავ 1978 წელში აღმოჩნდა, ოღონდ არა ოქტომბერში, არამედ ნოემბერში. იქ იყო სისხლი, სისხლი ლაქაშზე[163], შუშის ნამტვრევები ჭაობიან წყალში და კარზე ბრახუნი.

2

ჰენრის საშინელი სიზმარი აღვიძებს – სისხლი, გატეხილი შუშა,

[163] ჭაობის მრავალწლოვანი მცენარე.

საწვავისა და დამწვარი რეზინის მახრჩობელა სუნი, უხეშად გაღებული კარის ხმაური – ღია კარიდან ცივი ჰაერი შემოიჭრა. წამოხტება და გვერდით მჯდომ პიტს ხედავს, რომელსაც უთმო მკერდი დახორკლია. ჰენრისა და პიტს იატაკზე სძინავთ საძილე ტომრებში, რადგან ოთხმა მეგობარმა მონეტა ააგდო და მათ არ გაუმართლათ. ბივი და ჯოუნსი საწოლზე წვანან (მოგვიანებით „კედელში გაკეთებულ ხვრელში“ მესამე საწოლსაც დაამატებენ, მაგრამ ამჟამად მხოლოდ ორი დგას და ერთ-ერთი, უფროსებისთვის ღმერთისგან მინიჭებული უფლებით, ლამარისაა), ოღონდ, ჯოუნსი ახლა მარტოა, წამომჯდარა და აქეთ-იქით გაოცებული და შეშინებული იყურება.

სკუბი-უბი-დუ, სად ხართ, – რატომღაც ასე ფიქრობს ჰენრი და ფანჯრის რაფაზე ხელის ცეცებით სათვალეს ეძებს. ცხვირში ჯერაც ბენზინისა და დამწვარი ბენზინის სუნი სცემს, – სამუშაო გველოდება...

– დაიღუპა, – ხრინწიანი ხმით ამბობს საძილე ტომრიდან გამომძვრალი ჯოუნსი. წელს ზემოთ ისიც შიშველია, მაგრამ ჰენრისა და პიტის მსგავსად, ღამით წინდებითა და გრძელი საცვლით წვება.

– ჰო, წყალში ჩავარდა, – ამბობს პიტი. სახეზე ეტყობა, რომ არც კი იცის, რაზე ლაპარაკობს.

– მოკასინი... – ერთვება ჰენრი. მანაც არაფერი იცის, თუმცა არც უნდა რაიმეს ცოდნა.

– ბივი, – ხვნეშის ჯოუნსი, საწოლიდან უხერხულად ჩამოდის და პიტს ხელზე აბიჯებს.

– ვაი! – ყვირის პიტი, – ხელზე დამაბიჯე, ვირო, თვალი გაახილე, სად...

– გაჩუმდი, მოკეტე, – სისინებს ჰენრი და პიტს მხარზე ხელს ადებს, – მისტერ კლარენდონი არ გააღვიძო!

ეს სავსებით შესაძლებელია, რადგან ბიჭების საძინებელი ოთახის კარი ღიაა. ისევე, როგორც მთავარი ოთახისა, ბოლოში. გარეთ

გასასვლელის. ორპირია და სულაც არაა გასაკვირი, რომ ცივა. ახლა, როდესაც ჰენრიმ თვალები დაიბრუნა (ამაზე ახლა ასე ფიქრობს), ჩანს, როგორ ქანაობს სიზმართმჭერი ავგაროზი სუსხიანი ნოემბრის ქარის დინებებში.

– სად არის დადიტსი? – ნამძინარევი ხმით კითხულობს ჯოუნსი, – ბივერთან ერთად გავიდა?

– ის დერიშია, სულელო, – პასუხობს ჰენრი, დგება და თბილ საცვალს იცვამს. სხვათა შორის, მას სულაც არ მიაჩნია ჯოუნსი სულელად, რადგან თვითონაც გრძნობს, რომ დადიტსი ახლახან მათ გვერდით იდგა.

ეს სიზმარი იყო, – ფიქრობს იგი, – დადიტსი დამესიზმრა. მდინარის ნაპირზე იჯდა და ტიროდა. რაღაცას გაენაწყენებინა. ოღონდ ეს მას კი არა, ჩვენ გვეხებოდა.

ახლა ღვიძავს, მაგრამ ტირილი მაინც ესმის. ქარს გაღებული კარიდან შემოაქვს. ეს დადიტსი კი არა, ბივია.

სამივენი მწყობრად გადიან სახლიდან, ტანსაცმელს გზადაგზა იცვამენ, ფეხსაცმლის ჩაცმაზე კი დროს აღარ კარგავენ.

კიდევ კარგი, რომ სამზარეულოს მაგიდაზე დახვავებული, მთელი ქალაქის (პატარა მაგიდაზე კი გარეუბნის) სამყოფი ცარიელი ლუდის ქილების გათვალისწინებით, წვრილმანები – გაღებული კარი, ორპირი ქარი და აღელვებული ბიჭები – ბივერის მამას ვერაფრით გააღვიძებდა.

გრანიტის დიდი ფილა, იგივე პარმაღი, ჰენრის ფეხებს უცივებს, მაგრამ ამას თითქმის ვერ ამჩნევს.

ის მაშინვე დაინახავს ბივერს, რომელიც მუხლებზე დგას ნეკერჩხლის ფესვებთან (ზემოთ საფარია მოწყობილი) და თითქოს ლოცულობს. ფეხშიშველია, უხელთათმნოდ. მოტოციკლეტისტის ქურთუკი აცვია, მეკობრესავით უფრიალებს ნარინჯისფერი ბენდენების ბოლოები, მკლავებზე მამის დაჟინებული მოთხოვნით რომ დაუმაგ-

რებია, თუმცა თვითონ ამტკიცებდა, ნამდვილ მონადირეს ასეთი სულელური ატრიბუტების ტარება არ შვენისო. საკმაოდ სასაცილოდ გამოიყურება, მაგრამ გაწამებულ სახეზე, თითქმის შიშველი ტოტებისკენ რომ მიუმართავს, მსგავსი არაფერი ეტყობა. ბივს ლოყებზე ცრემლები ჩამოსდის.

ჰენრი მისკენ გარბის. პიტი და ჯოუნსი ძლივს ეწევიან. პირიდან ორთქლი ამოსდით. ჰენრის ფეხებქვეშ წიწვებით დაფარული მიწა გრანიტის ფილასავით მყარი და ცივია.

ჰენრი ბივერის გვერდით მუხლებზე ეცემა. შეშინებულია და მის მიმართ ერთგვარ მოკრძალებასაც გრძნობს, რადგან ბივს თვალები ოდნავ სველი კი არ აქვს, კინოგმირივით, რომელმაც მამაკაცური ძუნწი ცრემლი უნდა გადმოაგდოს დაღუპული შეყვარებულის ან ერთგული ძაღლის თავთან, – მისი თვალებიდან ნიაგარას ჩანჩქერი მოჩქეფს. ნესტოებიდან თოკივით ჩამოშვებია გამჭვირვალე მბრწყინავი წვინტლი.

– მაგარია, – ამბობს პიტი.

ჰენრი გაცხარებული მიუბრუნდება, მაგრამ ხედავს, რომ პიტი ბივერს კი არ უყურებს, არამედ იქვე ოხშივარასულ ნარწყევის გუბეს მისჩერებია, რომელშიც მოუნელებელი სიმინდის მარცვლები (ლამარ კლარენდონს მტკიცედ სწამს კონსერვირებული საკვების უპირატესობა ლაშქრობებისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების დროს) და შემწვარი წიწილის ძაფები დაცურავს. ეს წუხანდელი ვახშმის ნარჩენებია. ჰენრის ლამის შიგნეული ამოუტრიალდეს. ბოლოს, მშვიდდება, მაგრამ ამ დროს ჯოუნსის რაღაც აწვება ყელში და აბოყინებს. საზიზღარი ხმაა. იქვე კიდევ ერთი ყავისფერი ნარწყევის მასა ჩნდება.

– მაგარია! – თითქმის ღრიალებს პიტი. მაგრამ ბივერს, როგორც ჩანს, არაფერი ესმის.

– ჰენრი, – ჩურჩულებს ის. თვალები, რომლებიც ძლივს მოუჩანს

ცრემლების სქელი ლინზებიდან, გაჰფართოებია. ჰენრის სახეს თითქმის ვერ ამჩნევს, სამაგიეროდ, შეშინებული მისჩერებია მის შუბლს უკან წარმოსახვით ფარულ ოთახებს.

– ბივ, ყველაფერი კარგადაა. უბრალოდ, კოშმარი დაგესიზმრა.

– ცხადია, ცუდი სიზმარი ნახა.

ჯოუნსის ხრინწიანი ხმა აქვს: პირში ნარწყევი ჩარჩენია. ამოხვეულებას ცდილობს, ყელში რაღაც დაძაბულად, უცნაურად ღმუის, რაც იმაზე უფრო საზიზღარ შთაბეჭდილებას ახდენს, ვიდრე ახლახან ამონთხეული მასა, შემდეგ იგი იხრება და დიდხანს იფურთხება. თითებით საცვალი ჩაუბღუჯავს, გამხდარი ზურგი სიცივისგან გალურჯებია.

მაგრამ ბივი ვერც ჯოუნსის ამჩნევს და ვერც პიტს, რომელიც მის გვერდით მუხლებზე დგას და ხელს გაუბედავად ხვევს მხარზე. ბივი ჰენრის თვალს არ აშორებს.

– მას თავი არ ჰქონდა, – ჩურჩულებს ის.

მუხლებზე ჯოუნსიც ეშვება და ახლა სამივენი მის გარშემო არიან. ჰენრი და პიტი – აქეთ-იქიდან, ჯოუნსი პირდაპირ უდგას. ჯოუნსის ნიკაპზე ნარწყევის კვალი ემჩნევა. იგი მის მოწმენდას ცდილობს, მაგრამ ბივი ხელზე ხელს სტაცებს. ნეკერჩხლის ქვეშ დაჩოქილი ბიჭები თითქოს ერთ არსებად ქცეულან, ერთიანობის შეგრძნება ხანმოკლეა, მაგრამ მათი სიზმრებივით კაშკაშა და ცოცხალი. ეს არის კიდეც სიზმარი, მაგრამ ახლა ისინი ფხიზლობენ, ყველა აზრი რაციონალურია, სამყარო კი რეალური.

ბივი შეშინებულ თვალებს, ამჯერად, ჯოუნსის მიაპყრობს და ხელზე ხელს მოუჭერს.

– ის არხში ეგდო და თვალები ტალახით მოსვროდა.

– ჰო, – ამბობს ჯოუნსი ათრთოლებული ხმით, – ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს მართლაც ასე იყო.

– ასე თქვა, კიდევ შევხვდებითო, ხომ გახსოვთ? – კითხულობს პიტი, – ცალ-ცალკე ან ყველა ერთადო. ასე თქვა.

ჰენრის ეს ყველაფერი შორიდან ესმის, რადგან ის კვლავ სიზმარში დაბრუნდა. იქ, სადაც ეს მოხდა. დანაგვიანებულ მიწაყრილთან, გაჭედილი სადრენაჟო მილის წყლისგან დამდგარ პატარა აყროლებულ ჭაობთან. მან იცის ის ადგილი, მეშვიდე გზატკეცილზეა, დერინიუპორტის ძველ გზაზე. სიბნელეში, ლემნით დაფარულ წყალში ცეცხლმოკიდებული ამოყირავებული მანქანა გდია. ქარი ბენზინისა და დამწვარი საბურავების სუნს ფანტავს. დადიტსი ტირის. დადიტსი დანაგვიანებულ ფერდობზე ზის, გულში სკუბი-დუს ყვითელი კოლოფი ჩაუკრავს და გულის მომკვლელად ქვითინებს.

გადაყირავებული მანქანის ერთ-ერთი ფანჯრიდან ხელია გადმოკიდებული – გამხდარი, მკვეთრი წითელი ფრჩხილებით. ორი კაცი გარეთ გდია. ერთ-ერთი, თითქმის ოცდაათი ფუტის დაშორებით, პირქვეა დამხობილი, მაგრამ ჰენრი მას გასისხლიანებული ქერა თმით ცნობს.

ეს დუნკანია, სწორედ ის, რომელმაც თქვა, ვერავის ვერაფერს მოუყვებით, რადგან მიცვალებულები არ ლაპარაკობენო. ოღონდ სიკვდილმა თვითონ დუნკანს უწია.

რაღაც მიცურავს ჰენრის ფეხთან.

– ხელი არ ახლო! – ყვირის პიტი, მაგრამ ჰენრი არ უსმენს. მას თვალებთან მიაქვს ყავისფერი ნატის მოკასინი და ხედავს, რაც არის. სწორედ ამ დროს შეშინებული ბივერი და ჯოუნსი ბავშვურად ხმაშეწყობილად გაჰკივიან. ისინი კოჭებამდე სიბინძურეში დგანან. ორივეს მონადირის ტანსაცმელი აცვია: ჯოუნსის – „სირსის“ მაღაზიაში ამ მგზავრობისთვის საგანგებოდ შეძენილი ხასხასა ნარინჯისფერი კაპიუშონიანი ქურთუკი (მისის ჯოუნსი კვლავინდებურად მოთქვამს, რატომღაც დარწმუნებულია, რომ მის შვილს შემთხვევითი ტყვია მოხვდება და გაფურჩქნის ასაკში მოკლავს), ბივერს – მოტოციკლეტისტის საკმაოდ დაძენძილი ქურთუკი (“ოჰ, რამდენი ელვაშესაკრავია! “ – შესძახა აღფრთოვანებულმა დადიტსის დედამ,

რითაც სამუდამოდ დაიმსახურა ბივერის სიყვარული და აღფრთოვანება), რომლის სახელოებზეც ნარინჯისფერი ბენდენები შემოუხვევია. ისინი თვალს არიდებენ მძღოლის მხრიდან კართან გაწოლილ მესამე სხეულს, მხოლოდ ჰენრი (მას ხელში ისევ მოკასინი, ეს პატარა ნახევრად ჩაძირული კანოე უჭირავს) გახედავს მას სწრაფად. დანარჩენები თვალს არიდებენ, რადგან მისი საქმე ცუდადაა, გამოუსწორებლად, ტრაგიკულად, იმდენად ცუდად, რომ ჰენრი თავდაპირველად ვერც კი აცნობიერებს მიზეზს. შემდეგ ხვდება, რომ სასკოლო ქურთუკის მაღალი საყელოს ზევით არაფერი მოჩანს. ბივერი და ჯოუნსი ყვირიან, რადგან ყველაზე ადრე შეამჩნევენ იმას, რაც იქ უნდა ყოფილიყო – მათ რიჩი გრენადოს თავი დაინახეს, რომელიც სახით ზემოთ ეგდო. გაყინული თვალები ცას მისჩერებოდა. იქვე სისხლით მოთხვრილი ლაქაშის ღეროები ირხევა. ჰენრი მაშინვე ცნობს რიჩის, მისი ცხვირის ძგიდეს სალბუნი აღარ ამშვენებს, მაგრამ განა, შეიძლება იმ ბიჭის დავიწყება, რომელიც „თრექერების" მიტოვებული შენობის უკან დადიტსს განავლის ჭამას აძალებდა?

დადიტსი კი შემაღლებულ ადგილას ზის და გულდათუთქული ტირის. ეს ტირილი გრიპოზული თავის ტკივილივით შემოიჭრება, ჰენრის ტვინს უბურღავს და აგიჟებს. ის ხელს უშვებს მოკასინს, რომელიც წყალში ტყაპანით ეცემა, და იქით მიდის, საითაც ერთმანეთს ჩაბღაუჭებული ბივერი და ჯოუნსი დგანან.

– ბივერ! ბივ! – ღრიალებს ჰენრი, სანამ ახლოს არ მივა და ბივს არ შეანჯღრევს. ბივი გათიშულივით მისჩერებია მოგლეჯილ თავს.

ბოლოს შეამცივნებს, მოიბუზება და განაცხადებს:

– მას თავი არ აქვს, – თითქოს ამას მის გარდა ვერავინ ხედავდეს, – ჰენრი, მას არ აქვს...

– შეეშვი მის თავს, დადიტსს მიხედე! როგორმე შეაწყვეტინე ეს საშინელი ტირილი!

– ჰო, – თავს უქნევს პიტი, უკანასკნელად შეხედავს თავს, ზედ

აღბეჭდილ სასიკვდილო გამომეტყველებას და ზურგს შეაქცევს. ტუჩები ნერვიულად უცახცახებს, – საშინლად გამაღიზიანებელია!

– დაფაზე ცარცის წრიპინს ჰგავს, – ბურტყუნებს ჯოუნსი. მოელვარე ნარინჯისფერ ფონზე მის კანს დამძაღებული ყველის საეჭვო სიყვითლე დაჰკრავს, – იქნებ გააჩუმო, ბივ.

– ჩუ-უ-უ...

– რამ გამოგათაყვანა! ის დაწყევლილი სიმღერა უმღერე! – ყვირის ჰენრი და ფეხის თითებს შორის ჭაობის ტალახს გრძნობს, – იავნანა, დალახვროს ეშმაკმა, იავნანა!

წამით ბივერი გაოგნებული იყურება. შემდეგ თანდათანობით სახე უნათდება, ხვდება, მისგან რასაც მოითხოვენ, თავს უქნევს და მიწაყრილისკენ მიემართება, სადაც დადიტსი ზის. მკერდზე ყვითელი კოლოფი მიუკრავს და გულამოსკვნილი ტირის, როგორც მათი შეხვედრის პირველ დღეს. ჰენრი მხოლოდ ახლა ხედავს იმას, რაც თავდაპირველად მხედველობიდან გამორჩათ: დადიტსის ცხვირქვეშ შემხმარ სისხლსა და მკლავზე გაკეთებულ სახვევს, საიდანაც თეთრი პლასტმასის მსგავსი რაღაც ამოჩრილა.

– დადიტს, – ამბობს ბივი და უახლოვდება, – დადი, ნუ სტირი, ჩემო კარგო. აღარ იტირო და ამას ნუღარ შეხედავ, ეს საშენო არაა, შენ ისედაც...

თავიდან დადიტსი ყურადღებას არ აქცევს და ტირილს განაგრძობს. იმდენი უტირია, რომ ცხვირიდან სისხლი წამოსვლია, ეს აშკარაა, მაგრამ რა მოუჩანს მხარზე თეთრად? – ფიქრობს ჰენრი.

ჯოუნსიმ ყურებზე ხელები მიიფარა. პიტს ერთი ხელი კინკრიხოზე დაუდევს, თითქოს ეშინია, რომ ქარმა არ წაართვას. ამ დროს ბივერი დადიტსს მოეხვევა, როგორც ეს რამდენიმე კვირის წინ მოხდა, და მაღალი სუფთა ხმით იწყებს სიმღერას, რაც ბივის მსგავსი მუტრუკისგან უცნაური მოსასმენია.

– პატარის ნავი ვერცხლისფერი სიზმარია, რომელიც ახლოსაც დაცურავს და შორსაც...

და, ოჰ, ღმერთო ჩემო, სასწაულია! დადიტსი მშვიდდება.

– სად ვართ, ჰენრი? – ამბობს პიტი ტუჩების გაუნძრევლად, – სად ჯანდაბაში ვართ?

– სიზმარში, – პასუხობს ჰენრი და ოთხივენი მაშინვე „კედელში გაკეთებული ხვრელის" გვერდით, ნეკერჩხლის ხის ძირში დაჩოქილნი აღმოჩნდებიან. საცვლების ამარა და სიცივისგან აკანკალებულები.

– რა? – ჯოუნსი ხელს გამოსტაცებს და პირს იწმენდს. ერთიანობის გრძნობა ქრება და გარინდებას რეალობა ცვლის, – რა თქვი, ჰენრი?

ჰენრი გრძნობს, როგორ სცილდება მათი ფიქრები ერთმანეთს და ფიქრობს: ეს არაფერში გვჭირდებოდა. არ შეიძლება ჩვენი ერთად ყოფნა. ზოგჯერ მარტო ყოფნა ჯობს. მოწმეების გარეშე.

დიახ, მარტო. საკუთარ ფიქრებთან.

– ცუდი სიზმარი ვნახე, – ამბობს ბივერი, თითქოს მეგობრებს კი არა, საკუთარ თავს უხსნიდეს. ქურთუკის ჯიბეს ნელა, დაჰიპნოზებულივით იხსნის, ჯოხზე წამოცმულ შაქარყინულს იღებს, ქაღალდის მოუცლელად იდებს პირში ჯოხის მხრიდან და ღეჭავს, – დამესიზმრა...

– მაგას მნიშვნელობა არა აქვს, – აწყვეტინებს ჰენრი და სათვალეს ისწორებს, – ისედაც ვიცით, რა დაგესიზმრა.

აბა რა იქნება, ყველანი იქ ვიყავით, – ენის წვერზე ადგას ეს ფრაზა, მაგრამ თქმისგან თავს იკავებს. თოთხმეტი წლისა საკმაოდ ჭკვიანია და იცის, რომ სიმართლეს ყოველთვის არ მოაქვს სარგებლობა, – ჩამოხვალ, ნათამაშებია, როგორც „რამის" ან „შეშლილი რვიანების" თამაშის დროს ამბობენ, როცა ვიღაც სულელი დაუფიქრებლად ჩამოდის კარტს. თუ ამას ხმამაღლა იტყვის, მასთან ერთად მთელი ცხოვრების გატარება მოუწევს. თუ არა და... იქნებ ყველაფერი თავისით მოგვარდეს.

– არა მგონია, ეგ შენი სიზმარი იყოს, – თავს აქნევს პიტი, – ჩემი

აზრით, დადიტსის სიზმარია და ჩვენ, ყველანი...

– ფეხებზე მკიდია, რას ფიქრობ! – ისე უხეშად ამბობს ჯოუნსი, რომ დანარჩენები იბნევიან, – ეს სიზმარი იყო და მისი თავიდან ამოგდება მსურს. ჩვენ ის თავიდან უნდა ამოვიგდოთ, არა, ჰენრი?

ჰენრი სასწრაფოდ ეთანხმება თავის დაქნევით.

– სახლში შევიდეთ, – ამბობს პიტი, – ფეხები გამე...

– აი, რას გეტყვით, – ამბობს ჰენრი და სამივენი მოუსვენრად მიაჩერდებიან, რადგან იმ შემთხვევებში, როდესაც ლიდერი სჭირდებათ, ამ ფუნქციას ჰენრი საკუთარ თავზე იღებს.

და თუ ეს არ მოგეწონათ, – ფიქრობს აღშფოთებული, – ისე მოიქეცით, როგორც გენებოთ. ვნახოთ, რას გააკეთებთ. დამიჯერეთ, ეს უბრალო თამაში არაა.

– რას? – ეკითხება ბივერი და გულისხმობს: კიდევ რას?

– როდესაც გოსლინთან შევივლით, დადსს დავურეკოთ. იქნებ, ცუდ ხასიათზეა.

ხმას არავინ იღებს. ჭკუასუსტ მეგობართან დარეკვის იდეა ყველას აცვიფრებს. ჰენრის დროზე ახსენდება, რომ დადიტსისთვის ცხოვრებაში, შესაძლოა, ჯერ არავის დაურეკავს. ეს პირველი შემთხვევა იქნება.

– ვფიქრობ, სწორს ამბობს, – ეთანხმება პიტი და მაშინვე პირზე ხელს იფარებს, თითქოს რაღაც აკრძალული წამოსცდაო.

თითქმის შიშველი ბივერი, თუ მის სულელურ ტრუსსა და სრულიად შეუფერებელ ქურთუკს არ ჩავთვლით, სიცივისგან კანკალებს. შაქარყინულის ბურთი დაღეჭილი ჯოხის ბოლოზეა ჩამოკიდებული.

– ოდესმე ეგ ჯოხები ყელში გაგეჩხირება, – ეუბნება ჰენრი.

– დედაჩემიც მაგას მეუბნება. წავედით? სულ გავიყინე.

ისინი იმ სახლისკენ მიემართებიან, სადაც ოცდასამი წლის შემდეგ მათ მეგობრობას ბოლო მოეღება.

– როგორ გგონიათ, რიჩი გრენადო მართლა მოკვდა? – კითხულობს ბივერი.

– არ ვიცი და არც მაინტერესებს, – ამბობს ჯოუნსი და ჰენრის მიმართავს:

– კარგი, დავურეკოთ დადიტსს. ტელეფონი მაქვს. ასე რომ, ხარჯიც ჩემია.

– საკუთარი ტელეფონი? – შურს პიტს, – აი, იღბლიანი! შენები უსინდისოდ განებივრებენ, გარი.

ეს ყველაზე სწორი გზაა ჯოუნსის გასაღიზიანებლად, ამ სახელის გაგონებაზე წამსვე იფეთქებს ხოლმე. მაგრამ არა დღეს. ამისთვის არ სცხელა.

– ჯერ ერთი, დაბადების დღეზე მაჩუქეს. მეორეც – საქალაქთაშორისო ზარების საფასურს ჩემი ჯიბიდან ვიხდი, ასე რომ, ენა დაიმოკლე. თანაც ეს არასოდეს მომხდარა – არასოდეს მომხდარა, გასაგებია?

ყველანი თავს უქნევენ. არასდროს მომხდარა, არასდროს, ამის დედაც! ..

3

მონაქროლმა ქარმა ჰენრი შეატორტმანა და კინაღამ მავთულ ხლართზე მიაგდო. გამოერკვა, მოგონებები მტვერივით ჩამოიფერთხა. ამათაც იპოვეს დრო თავში შესაძრომად (ამგვარი მოგონებებისთვის შესაფერისი დროის გამონახვა ყოველთვის ჭირს). ამდენი ხანი ელოდა ანდერჰილს, კინაღამ გაიყინა, რათა აქედან თავის დაღწევის ერთადერთი შანსი ხელიდან არ გაეშვა, და, აჰა! სანამ ყეყეჩივით იდგა ფიქრებში ჩაძირული, ანდერჰილს შეეძლო, წასულიყო და ამ ნეხვის ორმოში დაეტოვებინა.

მაგრამ ანდერჰილი არ წავიდა. ღობის მეორე მხარეს ჯიბეებში ხელჩაწყობილი იდგა და ჰენრის შესცქეროდა. ფიფქები ნიღბის გამ-

ჭვირვალე საფარზე ეფინებოდა, მაშინვე დნებოდა და ქვევით მიემართებოდა, როგორც...

ბივერის ცრემლები იმ დღეს, – გაიფიქრა ჰენრიმ.

– აჯობებს, ბოსელში დაბრუნდეთ, სხვებთან, – უთხრა ანდერჰილმა, – სანამ თოვლის პაპად არ ქცეულხართ.

ჰენრის ენა კბილებზე მიეყინა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მისი სიცოცხლე იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რას ეტყოდა ამ კაცს, არადა, ვერაფრით მოეფიქრებინა, საუბარი რით დაეწყო. სიტყვაც კი ვერ ეთქვა.

„რატომ წვალობ? – მზაკვრულად შეაპარა შინაგანმა, წყვდიადის, მისი ძველი მეგობრის ხმამ, – თავს რად იტანჯავ? რატომ არ აკეთებ იმას, რაზეც ამდენი ხანია, ოცნებობ? "

იმიტომ, რომ ეს მხოლოდ მას არ შეეხებოდა. იმიტომ, რომ ახლა მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ეფიქრა. და მაინც ვერ ლაპარაკობდა.

ანდერჰილი ცოტა ხანს კიდევ იდგა მასზე მიჩერებული. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო. გადაწეული კაპიუშონიდან მოკლედ შეკრეჭილი ქერა თმა მოუჩანდა. თოვლი სწრაფად ადნებოდა ნიღაბზე, რომელსაც ახლა მხოლოდ ჯარისკაცები ატარებდნენ და არა დაკავებულები, რადგან პატიმრებს ის არ დასჭირდებოდათ: მათთვის, ისევე, როგორც რუხი კაცუნებისთვის, განაჩენი გამოტანილი იყო.

ჰენრი ვერა და ვერ ახერხებდა საუბრის დაწყებას. ოჰ, ღმერთო ჩემო, მის ადგილზე ახლა ჯოუნსი უნდა ყოფილიყო – გატლეკილი. ანდერჰილი წავიდოდა და მარტო დატოვებდა უამრავ „იქნებ"–თან და „რომ"–თან ერთად.

მაგრამ ანდერჰილი შეყოვნდა.

– არაფერია საოცარი იმაში, რომ ჩემი სახელი იცით, მისტერ... ჰენრეიდ? ასე გქვიათ, არა?

– დევლინი. თქვენ ჩემი სახელის გამოცნობა სცადეთ. მე გარი დევლინი ვარ.

ჰენრიმ ფრთხილად გაუწოდა ხელი მავთულებს შორის, მაგრამ ანდერჰილი ცივად მისჩერებოდა და ჰენრიმ ხელი უკანვე წაიღო, თავის ახალშეძენილ სამყაროში, თან საკუთარ თავს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა, – რა იდიოტი ხარ, წვეულებაზე მისული ადამიანივით იქცევიო.

ანდერჰილმა თავი ზრდილობიანად დაუკრა, თითქოს მართლაც წვეულებაზე იყვნენ და არა თვალისმომჭრელი შუქით გაჩახჩახებულ მინდორში, სადაც საშინელი ქარბუქი მძვინვარებდა.

– თქვენ ჩემი სახელი იმიტომ იცით, რომ ჯეფერსონტრექტზე უცხოპლანეტელთა ყოფნამ დაბალი დონის ტელეპათიური ეფექტი გამოიწვია, – გაეღიმა ანდერჰილს, – სულელურად ჟღერს, არა? თუმცა ამას ვერსად გავექცევით. თუმცა, ეს ზემოქმედება წარმავალია, სრულიად უვნებელი და ძალზე სუსტი საიმისოდ, რომ კაცმა რამეში გამოიყენოს, კარტის თამაშის გარდა, ჩვენ კი დღეს ძალზე ბევრი საქმე გვაქვს და მსგავს სისულელეებზე დროს ვერ დავკარგავთ.

ჰენრი, ბოლოს და ბოლოს, ცოტათი გამოცოცხლდა.

– ასეთ ქარბუქში მხოლოდ იმისთვის არ მოხვიდოდით, რომ თქვენი სახელი ვიცოდი, – თქვა ჰენრიმ, – მიზეზი უფრო ის უნდა იყოს, რომ თქვენი მეუღლისა და ქალიშვილის სახელები გითხარით.

ანდერჰილი კვლავ იღიმებოდა.

– შესაძლოა, ასეც იყოს. ნებისმიერ შემთხვევაში გთავაზობთ, რომ ჩვენ-ჩვენს გზას ვეწიოთ. ხანგრძლივი და რთული დღე გვქონდა.

იგი ღობეს ტრაილერებისა და მისაბმელების მიმართულებით გაუყვა. ჰენრი ძლივს ეწეოდა, თუმცა ძალ-ღონეს არ ზოგავდა: გზაზე დაახლოებით ერთი ფუტი სიმაღლის თოვლი იდო, რომელიც მისი მხრიდან – მიცვალებულების მხრიდან – გაკვალული არ იყო.

– მისტერ ანდერჰილ! ოუენ! ერთი წუთით გაჩერდით და მომისმინეთ. მნიშვნელოვანი რამ უნდა გითხრათ.

ანდერჰილი ღობეს თავის ნახევარზე მიუყვებოდა (ესეც მიცვალებულების მხარე იყო, ნუთუ, ანდერჰილმა არ იცოდა?), თავი დაეხარა, კვლავაც თავაზიანად იღიმებოდა. სიმართლე ითქვას, შეჩერება უნდოდა, მაგრამ ჰენრი ჯერჯერობით ხელმოსაჭიდს ვერაფერს სთავაზობდა.

– კურცი შეშლილია, – თქვა ჰენრიმ. იგი კვლავაც კვალში ედგა ანდერჰილს, მაგრამ სუნთქვა უჭირდა. გაწამებული ფეხები შესვენებას სთხოვდა, – მაგრამ მელასავით ეშმაკი.

ანდერჰილი სიარულს განაგრძობდა, თავი დაეხარა, იდიოტური ნიღბის ქვეშ ღიმილს არ იშორებდა. სისწრაფეს მოუმატა კიდეც. თუ ასე გააგრძელებდა, ჰენრის სირბილზე გადასვლა მოუწევდა. შეძლებდა კი სირბილს?

– ტყვიამფრქვევს მოგვიშვერთ, – ამბობდა სუნთქვაშეკრული ჰენრი, – გვამებს ბოსელში დაყრით, ბენზინს გადაასხამთ, ალბათ ბებერი გოსლინის ბენზინის სვეტიდან, რათა სახელმწიფო მარაგი არ დაიხარჯოს, შემდეგ კი – ბუჰ! და ყველაფერი ცეცხლსა და კვამლში გაეხვევა... ორასი... ოთხასი ადამიანი... შემწვარი ხორცის ჯოჯოხეთური სუნი.

ანდერჰილს სახიდან ღიმილი გაუქრა და წინ გავარდა. ჰენრიმ ღონე მოიკრიბა და მიჰყვა. ჰაერს ხარბად ისუნთქავდა, მუხლებამდე თოვლს მიარღვევდა. ქარი სახეში მათრახივით სცემდა.

– მაგრამ, ოუენ... ეს ხომ თქვენ ხართ?.. ოუენ... ხომ გახსოვთ ძველი სიმღერა – დიდ რწყილებს პატარა რწყილები ჰყავთ, იმათ კიდევ უფრო პატარები, და ყველანი ერთმანეთს კბენენ... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... და ასე შემდეგ უსასრულობამდე?.. ეს ჩვენც გვეხება, რადგან კურცს თავისი დამხმარე ჰყავს, გვარად ჯონსონი, თუ არ ვცდები, არა?

ანდერჰილმა მას გამგმირავი მზერა ესროლა, თუმცა ნაბიჯი არ შეუნელებია. ჰენრი ჯიუტად მისდევდა. გრძნობდა, რომ ვეღარ გა-

უძლებდა. გვერდში რაღაც ჩხვლეტდა. ოფლში იწურებოდა და სიცხისგან სული ეხუთებოდა.

– ამის გაკეთება, წესით... თქვენთვის უნდა დაევალებინათ... წმენდის მეორე ნაწილი... „იმპერიალის ხეობისა", რაც... კოდური სახელწოდებაა... ეს რამეს გეუბნებათ?

არა, არაფერს ეუბნებოდა. როგორც ჩანს, კურცმა ანდერჰილს არაფერი უთხრა იმ ოპერაციის შესახებ, რომლის მიზანიც „ცისფერი ჯგუფის" მთლიანად განადგურება იყო. ოუენს არაფერი გაეგონა „იმპერიალის ხეობის" შესახებ. ჰენრიმ იგრძნო, რომ გვერდში ჩხვლეტას ახლა მკერდზე შემოჭერილი ფოლადის სარტყელიც დაემატა, რომელიც სულ უფრო უჭერდა.

– შეჩერდით... ღვთის გულისთვის... ანდერჰილ... ხომ არ შეგიძლიათ...

მაგრამ ანდერჰილი კვლავ დიდი ნაბიჯებით მიიჩქაროდა. მას უკანასკნელი ილუზიების შენარჩუნება სურდა და ეს არც გაემტყუნებოდა.

– ჯონსონი... კიდევ რამდენიმე ადამიანი... ერთი ქალი მაინც... შესაძლოა, თქვენც ყოფილიყავით, მაგრამ შეგეშალათ... ზღვარს გადახვედით... ის ასე ფიქრობს... და ეს პირველად არ მომხდარა... ადრეც შეგემთხვათ ბოსა ნოვაში...

კიდევ ერთი გამგმირავი მზერა. პროგრესი? შესაძლოა.

– ვფიქრობ, ბოლოს... ჯონსონსაც მოკლავენ... მხოლოდ კურცი გადარჩება... დანარჩენები... მხოლოდ ფერფლისა და ძვლების გროვა დარჩება... თქვენმა აკვიატებულმა ტელეპათიამ... არ გიკარნახათ ეს... პატარა სალონური ტრიუკი... აზრების წაკითხვა... გამოგრჩათ... გამოგეპარათ...

ტკივილმა გვერდიდან იღლიამდე დაუარა, ფეხქვეშ მიწა გამოეცალა, ჰენრიმ ხელები აიქნია და თოვლში პირქვე დაეცა. ჰაერის უკმარისობისგან ფილტვები გასკდომაზე ჰქონდა. ხარბად შეისუნთქა ჰაერი და პირში ხელით თოვლი ჩაიყარა.

ჰენრი მუხლებზე ფურთხებითა და თავის ქნევით წამოდგა – სწორედ რომ დროულად, რათა დაენახა, რომ ანდერჰილის ზურგი სადაცაა ჩამოშვებული თეთრი ფარდის უკან გაუჩინარდებოდა. არ იცოდა, რა ეთქვა, მაგრამ ხვდებოდა, რომ ეს უკანასკნელი შანსი იყო და შესძახა:

– თქვენ მისტერ რეიპლოუს კბილის ჯაგრისზე მოშარდვა სცადეთ და როდესაც ეს ვერ მოახერხეთ, თეფში გატეხეთ! გატეხეთ თეფში და იქიდან მოუსვით! როგორც ახლა აპირებთ, დამპალო მშიშარავ!

თითქმის გაუჩინარებული ოუენ ანდერჰილი შეჩერდა.

4

ორიოდე წამის განმავლობაში ზურგშექცევით იდგა, ჰენრი კი სუნთქვაშეკრული თოვლში მუხლებზე დაეცა. გაწითლებულ სახეზე თოვლი ადნებოდა. გონების რომელიღაც ნაწილით აღნიშნა, რომ ნაკაწრი, რომელშიც ბაირუსი იზრდებოდა, ექავებოდა.

ბოლოს ანდერჰილი შემოტრიალდა და მისკენ წამოვიდა.

– საიდან იცით რეიპლოუს შესახებ? ტელეპათია სუსტდება და ასე ღრმად შეღწევას ვერ შეძლებდით.

– მე ბევრი რამ ვიცი, – თქვა ჰენრიმ და წამოდგა, მაგრამ სუნთქვაშეკრულს ხველა აუტყდა, – რადგან ჩემში ბევრი რამ არის ჩადებული. მე სხვანაირი ვარ. ისევე, როგორც ჩემი მეგობრები. ოთხნი ვიყავით. ორი მოკვდა. მე აქ ვარ. მეოთხე... მისტერ ანდერჰილ, თქვენი პრობლემა ის მეოთხეა და არა ბოსელში გამომწყვდეული ხალხი, თქვენი „ცისფერი ჯგუფი", კურცის თანაშემწე ან „იმპერიალის ხეობა". მხოლოდ ის.

ჰენრი საკუთარ თავს ებრძოდა – სახელის წარმოთქმა არ სურდა. ჯოუნსისთან ყველაზე ახლოს იყო. ბივერი და პიტი შესანიშნავი ბიჭები იყვნენ, მაგრამ მხოლოდ ის და ჯოუნსი აზროვნებდნენ ერთი და იმავე კატეგორიებით. ერთი მიმართულებით. მხოლოდ მასთან

შეეძლო უსიტყვოდ საუბარი. მხოლოდ ჯოუნსის შეეძლო ხაზის დანახვა და იმავდროულად ოცნებებში ნებისმიერ ზღვარს მიღმა წასვლა. თუმცა ჯოუნსი აღარ იყო. ჰენრის ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. იმ დროს, როდესაც შავ-წითელმა ღრუბელმა ჩაუქროლა, ის ჯერ კიდევ არსებობდა, უფრო სწორად, თვითონ კი არა, მისი პატარა ნაწილი, მაგრამ ახლა მის მეგობარს მთლიანად დაუფლებოდნენ. მართალია, გული უცემდა და თვალებითაც ხედავდა, მაგრამ ნამდვილი ჯოუნსი ისევე დაღუპულიყო, როგორც პიტი და ბივი.

– თქვენი პრობლემა – ჯოუნსია. გარი ჯოუნსი მასაჩუსეტსის ქალაქ ბრუკლინიდან.

– არა მარტო ჩემი, არამედ კურცისაც, – ანდერჰილი ძალზე ჩუმად ლაპარაკობდა და ქარის ხმაურში მისი სიტყვების გაგება შეუძლებელი იყო, მაგრამ ჰენრიმ მაინც გაიგონა... თავით, ტვინით გაიგონა.

ანდერჰილმა მიიხედ-მოიხედა. მას ჰენრიმაც მიჰბაძა და თვალი მოჰკრა ხალხს, რომლებიც ღობიდან საკმაოდ შორს, ტრაილერებსა და მისაბმელებს შორის, ბილიკზე დარბოდნენ. მაგრამ მაღაზიისა და ბოსლის გარშემო ყველაფერი გაჩახჩახებული იყო და ქარის ზუზუნშიც კი ესმოდა ძრავების ღმუილი, გენერატორების დაძაბული გუგუნი და ჯარისკაცების შეძახილი. ვიღაც ბრძანებებს მეგაფონით გასცემდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ორივე მათგანისთვის შტორმს მოჩვენებათა სამყოფელში მოესწრო. აქეთ-იქით მორბენალი ადამიანები თოვლის სქელ საბურველში ერთმანეთის მიყოლებით ქრებოდნენ და მართლაც მოჩვენებებს ჰგავდნენ.

– აქ ვერ ვილაპარაკებთ, – თქვა ანდერჰილმა, – ყურადღებით მომისმინეთ და ერთი სიტყვაც არ გამამეორებინოთ, მეგობარო.

ჰენრის თავში, სადაც უამრავი ინფორმაცია და სხვათა აზრები დაშლილი ფაზლივით ერთმანეთში არეულიყო, საიდანღაც ოუენ ანდერჰილის მკაფიო და ნათელი აზრი გაჩნდა: „მეგობარი“ მისი სიტყვაა. ვერ დამიჯერებია, რომ მისი სიტყვა გამოვიყენე!

– გისმენთ, – მიუგო ჰენრიმ.

5

ფარდული ბოსლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა და თუმცა, კარს იქით სივრცე ისევე გაჩახჩახებული იყო, როგორც მთელი ის ჯოჯოხეთური საკონცენტრაციო ბანაკი, შიგნით ბინდბუნდი იდგა და თივის სასიამოვნო სუნი იგრძნობოდა. და კიდევ რაღაცის სუნი, ოდნავ უფრო მძაფრი.

მეორე ბოლოში გვერდიგვერდ ნარინჯისფერ ჟილეტებში გამოწყობილი ოთხი მამაკაცი და ერთი ქალი იჯდა. ზურგით კედელს მიყრდნობოდნენ და ერთმანეთს მოსაწევს აწვდიდნენ. ფარდულს სულ ორი ფანჯარა ჰქონდა. ერთი ბაკს გაჰყურებდა, მეორე – ღობესა და ტყეს. ჭუჭყიანი შუშა ოდნავ არბილებდა თვალისმომჭრელ შუქს. განწირულებს სახეზე ნაცრისფერი, მკვდრისფერი დასდებოდათ.

– გინდა? – დაძაბული ხმით, თითქმის ვედრებით ჰკითხა ერთერთმა და ხელი, რომელშიც მოსაწევი ეჭირა, მზადყოფნით გაუშვირა. ჰენრიმ დაინახა, რომ ეს მარიხუანა იყო, გრძელი, წვრილი სიგარეტი.

– არა. მინდა, რომ აქედან ყველანი წახვიდეთ, – თქვა ჰენრიმ.

ისინი გაოცებით მიაჩერდნენ. ქალი იმ კაცზე იყო დაქორწინებული, რომელსაც ხელში მოსაწევი ეჭირა, მარცხნივ მჯდომი მაზლად ეკუთვნოდა. დანარჩენი ორნი კი მხოლოდ თავის რიგს ელოდნენ.

– ბოსელში დაბრუნდით, – გაიმეორა ჰენრიმ.

– არ გამოვა, – გაისმა ვიღაცის ხმა, – იქაურობა გადატენილია.. აქ უფრო ხალვათად ვართ. და ვინაიდან ეს ადგილი პირველად ჩვენ დავიკავეთ, თქვენ კი, როგორც ჩანს, თავაზიანობის გამოჩენა არ გსურთ, გთავაზობთ...

– გასაგებია, – გააწყვეტინა ჰენრიმ და ხელი მაისურშემოხვეულ ფეხზე დაიდო, – ბაირუსი. ისინი „რიპლის" ეძახიან. ზოგიერთმა თქვენგანმა, შესაძლოა, უკვე მოასწრო მისი აკიდება. მაგალითად,

თქვენ, ჩარლზ... – მან ხელი მეხუთე, პარკაში გამოწყობილი, ზორბა და მელოტი კაცისკენ გაიშვირა.

– არა! – შესძახა ჩარლზმა, მაგრამ დანარჩენები მაშინვე შემოეცალნენ და მარტო დატოვეს. კაცმა, რომელსაც ხელში კამბოჯური სიგარა ეჭირა, ნერვიულად შეისუნთქა კვამლი.

– დიახ, – თავი დაუქნია ჰენრიმ, – თანაც ის უკვე უმაღლეს ლიგაშია. თქვენც გაქვთ, მონა. მონა? არა, მარშა, მარშა გქვიათ.

– მე არაფერი მჭირს, – მიუგო ქალმა, წამოდგა, ზურგით კედელს აეკრა და ჰენრის გაფართოებული, შეშინებული თვალებით შეხედა. ფურირმის თვალებით. მალე ყოველი მათგანი მოკვდებოდა, მათ შორის მარშაც. ჰენრი იმედოვნებდა, რომ ქალი ამ აზრის წაკითხვას ვერ შეძლებდა, – სუფთა ვარ, მისტერ. ყველანი სუფთები ვართ, თქვენგან განსხვავებით!

მან ქმარს გადახედა, რომელსაც გოლიათობას ბევრი აკლდა, მაგრამ ჰენრიზე ჩასკვნილი მაინც ჩანდა, ისევე, როგორც სხვები. უფრო მოსული იყო, მაგრამ არა მაღალი.

– აქედან მოაშორე, დეირ.

– რიპლი ორი სახისაა, – დაიწყო ჰენრიმ. ეს მისი ვარაუდი იყო... მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობდა, სულ უფრო მეტად რწმუნდებოდა, – მათ პირველადი და მეორადი რიპლი ვუწოდოთ. ეჭვი არ მეპარება, რომ, თუ ცოცხალი სპორების დოზა საკვების ან ჰაერის გზით არ მიგიღიათ და არც ღია ჭრილობები გაქვთ, ბედი გქონიათ. თქვენ მის დამარცხებას შეძლებთ.

ახლა ყველანი ფურირმის დიდი თვალებით მისჩერებოდნენ მას და ჰენრიმ წამით საშინელი სასოწარკვეთილება იგრძნო. ნეტავ, რას იქაჩებოდა, რატომ წყნარად და მშვიდად არ მოიკლა თავი?

– მე პირველადი რიპლი მაქვს, – განაცხადა მან და მაისური შეიხსნა. მიახლოება და შეხედვა ვერავინ გაბედა, ამიტომ ეს თვითონ გააკეთა. გრძელ ჭრილობას ბაირუსი მოსდებოდა. სამიოდე ფუტი სიგრძის რამდენიმე ბეწვი სუსტად ირხეოდა, როგორც ყავისფერი

წყალმცენარეები მოქცევისას. გრძნობდა, როგორ შედიოდა სოკოს ფესვები სულ უფრო ღრმად, ქავილს იწვევდა და ორგანიზმს ანგრევდა. თანაც, ცდილობდა, რომ ეფიქრა. ყველაზე ცუდი სწორედ ეს იყო – ცდილობდა, რომ ეფიქრა.

იქ მყოფნი ნელ-ნელა კარისკენ მიიწევდნენ. როგორც ჩანს, შესაფერის მომენტს ეძებდნენ, რათა უკანმოუხედავად მოესვათ, მაგრამ ამის მაგივრად უეცრად შეჩერდნენ.

– მისტერ, შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ? – ათრთოლებული, ბავშვური ხმით ჰკითხა მარშამ. დარენმა, მისმა ქმარმა, მას ხელები მოხვია.

– არ ვიცი, – აღიარა ჰენრიმ, – ალბათ, არა, თუმცა... შესაძლოა. ახლა კი წადით. მე ნახევარი საათის შემდეგ წავალ, იქნებ უფრო ადრეც. აჯობებს, ბოსელში იყოთ სხვებთან ერთად.

– რატომ? – ჰკითხა დარენ ჩაილზმა ნიუტონიდან.

და ჰენრიმ, რომელსაც თავში რაღაც იდეა გაუჩნდა, იდეა და არა გეგმა, გულწრფელად მიუგო:

– ეს თვითონაც არ ვიცი. უბრალოდ, ვგრძნობ.

ყველანი გავიდნენ და ფარდული ჰენრის დაუტოვეს.

6

ფანჯრის ქვეშ, საიდანაც ღობე მოჩანდა, ნახევრად დამპალი თივის ბულული ეგდო. ზედ დარენი იჯდა (მოსაწევის მფლობელს კარგი ადგილი ეკუთვნოდა). ჰენრი შევიდა და მისი ადგილი დაიკავა. დაჯდა და ხელები მუხლებზე დაიწყო. თავში ხმების ნაირ-ნაირი გუგუნისა და მარცხენა ფეხში ძლიერი ქავილის მიუხედავად, – სოკო პირშიც გაუჩნდა, ამოვარდნილი კბილის ადგილას, – მაინც საშინლად ეძინებოდა.

ანდერჰილის გამოჩენა მანამ იგრძნო, სანამ ფანჯარას მოუახლოვდებოდა და დაილაპარაკებდა.

– შენობის ჩრდილში ვდგავარ ქარის მხრიდან, – თქვა ანდერჰილმა, – სიგარეტს ვეწევი. თუ ვინმე გამოივლის, შენ აქ არა ხარ.

– კარგი.

– მოტყუება არ გაბედო, თორემ მაშინვე წავალ და მთელი შენი ხანმოკლე სიცოცხლის განმავლობაში სიტყვასაც ვეღარ მეტყვი, ვერც ხმამაღლა და ვერც... სხვაგვარად.

– კარგი.

– როგორ მოიცილე თავიდან მანდ მყოფი ხალხი?

– როგორ? – წუთის წინ ჰენრი ისეთი დაღლილი იყო, რომ გაბრაზებაც კი აღარ შეეძლო, მაგრამ ახლა... – შენ მე ტესტი ხომ არ ჩამიტარე?

– ნუ სულელობ.

– ვუთხარი, პირველადი რიპლი მაქვს-მეთქი, რაც სიმართლეა. ჰოდა, ფაცხაფუცხით მოუსვეს, – თქვა ჰენრიმ და პაუზის შემდეგ დაამატა, – შენც აიკიდე, არა?

– ასე რატომ ფიქრობ?

ანდერჰილს ხმა თითქოს არ შესცვლია, მშვიდად და აუღელვებლად განაგრძობდა ლაპარაკს, მაგრამ ჰენრის ფსიქიატრად მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა და მის თვალს არაფერი გამოეპარებოდა. ყველაფრის მიუხედავად, იგი ხვდებოდა, რომ ანდერჰილი საღად მოაზროვნე და გონებადამჯდარი კაცი იყო და პირველი ნაბიჯიც გადაედგა სწორი მიმართულებით. გარდა ამისა, – გაიფიქრა ჰენრიმ, – ცუდი არ იქნება, თუკი ოუენი გაიაზრებს, რომ მას დასაკარგი არაფერი აქვს.

– წითელი ზოლები ხელის ნუნებზე, არა? და ცოტაოდენიც – ცალ ყურზე.

– შენ ახლა ლას-ვეგასში უნდა იყო, მეგობარო. ყველა კაზინოს გააკოტრებდი.

ჰენრიმ ანდერჰილის მაღლა აწეულ, ხელთათმანწამოცმულ ხელში სიგარეტი დაინახა. გაიფიქრა, ქარმა არ ჩაუქროსო.

– შენ პირველადი რიპლი, უშუალოდ, ინფექციის წყაროდან გადმოგედო. დარწმუნებული ვარ, რომ მეორადით დაინფიცირება იმის შეხებით ხდება, რაზეც ის იზრდება, მაგალითად, ხის, ხავსის, ირმის, ძაღლის ან სხვა ადამიანის შეხებით. ეს იგივეა, რაც მომწამვლელი თუთუბოს შეხება. არ გეგონოს, რომ თქვენმა ექიმებმა ეგ არ იციან. ინფორმაცია უშუალოდ მათგან მივიღე. ჩემი თავი სატელიტურ ანტენასავით მუშაობს, რომელიც ყველაფერს იჭერს. არ ვიცი, საიდან ჩნდება ამ ცნობების თუნდაც ნახევარი, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. თუმცა ექიმებმა რაღაც მაინც არ იციან. რუხი კაცუნები წითელ მცენარეულობას „ბაირუსს" უწოდებენ, რაც სიცოცხლის შემადგენლობას ნიშნავს და გარკვეულ პირობებში პირველად სოკოს იმპლანტატების გამოზრდაც შეუძლია.

– ანუ ტრაწიანი სინდიოფალების.

– ტრაწიანი სინდიოფალები – კარგი ნათქვამია. მომწონს. ისინი ბაირუსიდან ჩნდებიან, შემდეგ კვერცხებს დებენ, რომლებიდანაც ახალი სინდიოფალები იჩეკებიან და ასე შემდეგ. მგონი, ასე ხდება. ისიც სათქმელია, რომ კვერცხების უმრავლესობა იღუპება. მიზეზი ძნელი დასადგენია: სიცივე, ატმოსფერო თუ სხვა რამ. მაგრამ ახლა ბაირუსზე ვსაუბრობთ. უცხოპლანეტელებს სხვა არაფერი გააჩნიათ, რაც მუშაობს.

– სიცოცხლის შემადგენლობა.

– ჰო, მაგრამ მომისმინე: რუხებს დიდი გასაჭირი ადგათ. შესაძლოა, იმიტომ, რომ აქ დიდხანს იყვნენ, თითქმის ნახევარი საუკუნე, სანამ პირველ ნაბიჯს გადადგამდნენ. თუნდაც სინდიოფალები ავიღოთ. ვარაუდობდნენ, რომ ისინი საპროფიტებად გადაიქცეოდნენ. იცი, ეს რას ნიშნავს?

– ჰენრი... შენ ასე გქვია, არა? ჰენრი?.. ჰენრი, რა კავშირი აქვს ამას ჩვენს სინამდვილესთან?

– პირდაპირი. და თუ არ გინდა, რომ კოსმოსურ ხომალდ დედა-

მიწაზე სიცოცხლის მოსპობის გამო (ვარსკვლავთშორის ურიცხვ კუ-ძუს[164] მხედველობაში ნუ მივიღებთ) პასუხისმგებლობის დიდი ნაწილი შენ დაგეკისროს, გირჩევ მოკეტო და მომისმინო.

პაუზა. შემდეგ:

– გისმენ.

– საპროფიტები კეთილთვისებიანი პარაზიტი ბაქტერიებია. ისინი ჩვენს ნაწლავებში ცხოვრობენ და მათ ყოველდღიურად ვყლაპავთ საკვებთან ერთად, მაგალითად, აციდოფალური რძესთან, იოგურტთან. საცხოვრებელი ადგილის სანაცვლოდ, ისინი გარკვეულ დახმარებას გვიწევენ. ლაქტობაქტერიები საჭმლის მონელებას აუმჯობესებს. სინდიოფალები ნორმალურ პირობებში – სხვა სამყაროებისთვის ნორმალურ პირობებში, სადაც ეკოლოგიაც წარმოუდგენლად განსხვავდება ჩვენისგან – ორიოდე დუიმის სიგრძეს აღწევენ. როგორც ვხვდები, ქალის ორგანიზმში მოხვედრისას, მათ შეუძლიათ რეპროდუქციაზე გარკვეული ზემოქმედება, ოღონდ, არავის კლავენ. როგორც წესი. მხოლოდ ნაწლავებში ცხოვრობენ. ჩვენ მათ ვკვებავთ, ისინი კი ტელეპათიური უნარით გვაჯილდოებენ. ეს პატიოსანი გაცვლაა. მაგრამ, ამასთან ერთად, ისინი ტელეარხებად გვაქცევენ. ჩვენ რუხი კაცუნების ტელევიზია ვართ.

– ამდენი რამე იმიტომ იცი, რომ შენში ასეთი ქმნილება ცხოვრობს? – ანდერჰილს ხმაში ზიზღი არ ემჩნეოდა, მაგრამ ჰენრიმ აშკარად იგრძნო, როგორ ფეთქავდა იგი რვაფეხას საცეცივით თანამოსაუბრის გონებაში, – ერთ-ერთი ეგრეთ წოდებული „ნორმალური სინდიოფალა“?

– არა.

ჯერჯერობით მაინც, – გაიფიქრა მან.

– მაშ, საიდან იცი ამდენი? იქნებ, უბრალოდ, იგონებ? იქნებ, შენი წარმოსახვის ნაყოფია? ან ფიქრობ, რომ ეს აქედან თავის დაღწევაში დაგეხმარება?

---

[164] ბალახოვანი მცენარე.

– მნიშვნელობა არა აქვს, საიდან ვიცი, ოუენ, მაგრამ კარგად მოგეხსენება, რომ არ ვცრუობ. შენ ხომ ჩემი აზრების წაკითხვა შეგიძლია.

– მე მხოლოდ ერთი რამ ვიცი – შენ ფიქრობ, რომ არ იტყუები. მე ხომ ნათელმხილველი არ ვარ. როგორ გგონია, რამდენად ღრმად შემიძლია შენს ტვინში შეღწევა?

– არ ვიცი. ალბათ უფრო ღრმად, სადამდეც ბაირუსი გავრცელდება, მაგრამ ჩემამდე ბევრი გიკლია.

– იმიტომ, რომ შენ სხვა ხარ, – ანდერჰილის ხმაშიც და გონებაშიც სკეპტიციზმი გაჩნდა.

– მეგობარო, დღევანდლამდე არაფერი ვიცოდი ჩემი განსხვავებულობის შესახებ. ამას ყურადღებას ნუ მიაქცევ. მინდა, რომ მთავარი გაიგო: რუხმა კაცუნებმა ძალიან ღრმად შეტოპეს. ალბათ, ისტორიაში პირველად ძალაუფლებისთვის ნამდვილ ბრძოლაში ჩაერთნენ. იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრილი სინდიოფალები საპროფიტებიდან ავთვისებიან პარაზიტებად იქცევიან, განუწყვეტლივ იკვებებიან და იზრდებიან. ეს კიბოა, ანდერჰილ, კიბოს განსაკუთრებული ფორმა. მეორეც – თვითონ ბაირუსი. სხვა პლანეტებისგან განსხვავებით, დედამიწაზე მას გადარჩენა უჭირს. მეცნიერები და ექსპერტები, რომლებიც ამ როდეოს ხელმძღვანელობენ, ფიქრობენ, რომ სიცივე მათ განვითარებას აფერხებს, მაგრამ მე ასე არ მგონია. უფრო სწორად, ვფიქრობ, მიზეზი მხოლოდ ეს არაა. დარწმუნებით ვერ ვიტყვი, რადგან თვითონაც არაფერი იციან, მაგრამ...

– მოიცა, მოიცა... – სიბნელეში რაღაცამ გაიელვა – ანდერჰილმა მორიგ სიგარეტს მოუკიდა, რომელსაც ისევ ქარი შეუჭამდა, – შენ ახლა მედიკოსებს არ გულისხმობდი, ხომ ასეა?

– ასეა.

– გგონია, რომ რუხ კაცუნებთან გაქვს კავშირი. ტელეპათიურად.

– ჩემი აზრით... ერთ-ერთ მათგანთან. უწყვეტი კავშირი მაქვს.

– იმ ჯოუნსისთან ხომ არა, შენ რომ ახსენე?

– არ ვიცი, ოუენ. დარწმუნებული არ ვარ. მთავარია, რომ ისინი აგებენ. მე, შენ და ის ადამიანები, რომლებიც „ცისფერი ბიჭის“ ბაზიდან დღეს შენთან ერთად გამოვიდნენ და ხომალდთან იყვნენ, შესაძლოა, შობის დღესასწაულს ვეღარ შევხვდეთ. არ დაგიმალავ. ჩვენ ძალიან მაღალი კონცენტრაციის დოზა მივიღეთ. მაგრამ...

– მე მივიღე, რაც მართალია, მართალია, – გააწყვეტინა ოუენმა, – ედვარდსაც მაშინვე გამოაჩნდა.

– ბაირუსმა მართლაც რომ დაგრიოს ხელი, არა მგონია, შენ ის გაავრცელო. ასე საშიშიც არაა. ბოსელში საკმაოდ არიან ისეთები, რომლებსაც, რამდენი დაინფიცირებულიც უნდა აღმოჩნდეს, ეს ვირუსი არ შეხვდებათ. და თუ შეხვდათ, მხოლოდ – მეორადი ბაირუსი, ანუ რიპლი, რაც გინდა, უწოდე.

– ბაირუსი სჯობია.

– კარგი. თავის მხრივ, ისინიც ვინმეს გადასცემენ, ოღონდ ძალიან სუსტი ფორმით, რომელსაც შეგვიძლია ბაირუს სამი დავარქვათ. სავსებით შესაძლებელია, რომ საქმე ამით არ დასრულდეს, მაგრამ ბაირუს ოთხის დასანახავად უკვე მიკროსკოპი და სისხლის ანალიზი გახდება საჭირო, შემდეგ ის გაქრება.

– ფრთხილად, მყისიერი რეპროდუქცია არ დაგავიწყდეს.

– პირველი: რუხი კაცუნები, რომლებიც, შესაძლოა, მხოლოდ ბაირუსის გადმომტანი სისტემა იყო, უკვე განადგურებულია. ისინი, რომლებიც გარემომ არ მოსპო, როგორც მიკრობებმა – მარსელები „სამყაროთა ომში“[165], ტყვიამფრქვევებით ამოხოცეს. ყველა, გარდა ერთისა... ეს იქნებ ისაა, რომელიც ინფორმაციას მაწვდის, მაგრამ ფიზიკურად აღარც ის არის ცოცხალი. მეორე: სინდიოფალებმა არ გაამართლეს. კიბოს მსგავსად, საბოლოოდ, ისინიც საკუთარ თავს ჭამენ. ისინი, რომლებიც გზას სწორი ნაწლავიდან იკვალავენ და გა-

[165] ჰერბერტ უელსის მოთხრობა.

რეთ გამოდიან, მალევე იღუპებიან მათთვის არახელსაყრელ გარემოში. მესამე: ბაირუსი არც იმდენად ქმედითია, მაგრამ თუ სადმე დამკვიდრებისა და ზრდის საშუალება მიეცა, შესაძლოა, მუტაცია განიცადოს და მბრძანებლობაც კი ისწავლოს.

– ჩვენ ვაპირებთ პირისაგან მიწისა აღვგავოთ ეს ადგილი, – თქვა ანდერჰილმა, – და ჯეფერსონტრექტი გადამწვარ-გადაბუგულ ზონად ვაქციოთ.

ბრაზმორეულმა ჰენრიმ კინაღამ შეჰყვირა და ამ ბრაზის ნაწილმა, შესაძლოა, გარეთაც გამოხეთქა. გაისმა ყრუ კაკუნი და ანდერჰილი ფარდულის ფიცრულ კედელს მიენარცხა.

– რასაც აქ აკეთებთ, უაზრობაა, – გამოსცრა ჰენრიმ, – სოკოს თქვენ მიერ დამწყვდეული ხალხი ვერ გაავრცელებს, ვერც სინდიოფალები, დამოუკიდებლად ვერც ბაირუსი გავრცელდება. თუ თქვენი ბიჭები ბარგი-ბარხანას შეკრავენ და აქედან წავლენ, ბუნება საკუთარ თავზე თვითონ იზრუნებს და ამ სისულელეს არასწორად შედგენილ განტოლებასავით წაშლის. ვფიქრობ, რუხ კაცუნებს მოუწიათ, დაგნახვებოდნენ, რადგან არ სჯერათ იმისა, რაც აქ ხდება. როგორც ჩანს, ეს უბრალოდ თვითმკვლელობის აქტი იყო, რომელსაც მისტერ კურცის რაღაც ნაცრისფერი ვერსია დაემთხვა. მათ საკუთარი მარცხის გააზრების უნარი არ შესწევთ და ერთადერთი დეევიზი აქვთ: „ჩვენ ყოველთვის ვიმარჯვებთ“.

– ეგ საიდან...

– მაგრამ ბოლო წუთს, ანდერჰილ, შესაძლოა, ბოლო წამს, ერთერთმა მათგანმა სხვებისგან საოცრად განსხვავებულ ადამიანს მიაგნო. ისეთს, რომელთან კონტაქტზე გასვლაც არა მარტო რუხ კაცუნებს შეუძლიათ, არამედ სინდიოფალებსაც და ბაირუსსაც. ის თქვენი „ტიფიანი მერია“. მან უკვე გააღწია საკარანტინო ზონიდან და წყალში ჩაგიყარათ ყველაფერი, რაც კი გაგიკეთებიათ.

– გარი ჯოუნსი.

– მართალია, ეს ჯოუნსია.

– რა განასხვავებს მას სხვებისგან?

ჰენრის ამ თემაზე საუბარი არ სიამოვნებდა, მაგრამ მიხვდა, რომ ანდერჰილისთვის რამე მაინც უნდა გაემხილა.

– მან, მე და კიდევ ორმა მეგობარმა – ისინი მოკვდნენ – ერთხელ ერთი ადამიანი გავიცანით, რომელიც სხვებისგან სრულიად განსხვავდებოდა. ნამდვილი ტელეპათი იყო, ყოველგვარი ბაირუსის გარეშე. მან ჩვენზე რაღაცნაირად იმოქმედა. მას რომ მოგვიანებით, ზრდასრულ ასაკში შევხვედროდით, მსგავსი რამ, ალბათ, არ მოხდებოდა. მაგრამ, მაშინ ძალიან... ასე ვთქვათ, მგრძნობიარენი ვიყავით იმისადმი, რაც მან მოგვცა. წლების შემდეგ ჯოუნსის რაღაც შეემთხვა, მაგრამ ეს იმ არაჩვეულებრივ ბიჭს არაფრით უკავშირდებოდა.

ჰენრის ეჭვი ეპარებოდა, რომ ეს სიმართლე იყო. თუმცა, ჯოუნსი კინაღამ მანქანამ გაიტანა კემბრიჯში, დადიტსი კი, როგორც ჰენრიმ იცოდა, მენის გარეთ არასდროს გასულა, იგი რაღაცნაირად მაინც მონაწილეობდა ჯოუნსიში მომხდარ საბედისწერო ცვლილებებში. და იმ ყველაფერში, რაც ხდებოდა. მან იცოდა ეს.

– მითხარი, ჩემგან რა გინდა? ეს ყველაფერი დავიჯერო? ხველების საწინააღმდეგო სიროფივით გადავყლაპო?

იგი ვერ ხედავდა, რომ ჩაბნელებულ, მაგრამ სურნელოვან ფარდულში მყოფ ჰენრის სახეზე სევდიანი ღიმილი აღებეჭდა.

– ოუენ, – თქვა მან, – შენ ეს ისედაც გჯერა. მე ტელეპათი ვარ, ხომ არ დაგავიწყდა? ყველაზე საშინელი ჯუნგლი. მაგრამ საკითხავი ისაა... საკითხავი ისაა...

ჰენრიმ შეკითხვა გონებით გადასცა.

7

ოუენი ღობის იქით მდებარე ძველი ფარდულის უკანა კედელთან იდგა, ნიღაბი ჩამოეწია, რათა სიგარეტი მოეწია, რომელსაც ვერ

იტანდა (გარნიზონის მაღაზიაში ახალი კოლოფი იშოვა), ვაჟკაცურად იტანდა ყინვას და აქეთ-იქით დაბნეულად იყურებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მის მდგომარეობაში მყოფ ადამიანს სამხიარულო არაფერი ჰქონდა. როდესაც ფარდულში მყოფმა კაცმა სავსებით ბუნებრივ შეკითხვაზე მოუთმენელი პირდაპირობით მოუჭრა, – შენ ეს ისედაც გჯერა, მე ტელეპათი ვარ, ხომ არ დაგავიწყდაო, – სახეზე გაოცების ღიმილი აღებეჭდა. კურცის თქმით, თუ ტელეპათია ადამიანის ტვინის მუდმივი თვისება გახდებოდა, ახლანდელ საზოგადოებას დაღუპვა ელოდა. ოუენის გონება კურცს ეთანხმებოდა, ახლა კი მან ეს შინაგანად იგრძნო.

– მაგრამ საკითხავი ისაა... საკითხავი ისაა...

რის გაკეთებას ვაპირებთ.

გაწამებულ ოუენს მხოლოდ ერთი პასუხი აღმოაჩნდა:

– ვფიქრობ, ჯოუნსის მდევარი უნდა დავადევნოთ, მაგრამ მოგვცემს კი ეს რამეს? დრო თუ გვაქვს?

– გვაქვს, მაგრამ ძალიან ცოტა.

ოუენი შეეცადა, ჰენრის პასუხს ჩასწვდომოდა, მაგრამ ვერ შეძლო. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ კაცის ყოველი სიტყვა სიმართლე იყო. ანდა მტკიცედ სწამს, რომ სიმართლეს ამბობს, – გაიფიქრა ოუენმა, – ღმერთია მოწმე, ყველაფრის დაჯერება მინდა და მზად ვარ, ნებისმიერი საბაბით მოვუსვა აქედან სასაკლაოს დაწყებამდე.

– არა, – თქვა ჰენრიმ და ოუენმა პირველად შეამჩნია, რომ მის ხმას სიმტკიცე აკლდა – როგორც ჩანს, რაღაცას გაეღიზიანებინა, – სასაკლაო არ იქნება. კურცი ვერ შეძლებს თითქმის სამასი ადამიანის მოკვლას. იმათ მოკვლას, რომელთაც ბრალი არაფერში მიუძღვით. ისინი მხოლოდ... ო-ო, ღმერთო ჩემო! ეს ხალხი მხოლოდ უდანაშაულო მსხვერპლია! კატასტროფის შემთხვევითი მოწმე!

ოუენს არ გაჰკვირვებია, როდესაც აღმოაჩინა, რომ ჰენრის შეცბუნება გულწრფელ სიამოვნებას ანიჭებდა. ღმერთმა ხომ იცოდა,

რომ ჰენრიმაც საკმაოდ იშრომა მისი სულიერი წონასწორობის დასარღვევად.

– რას მთავაზობთ? განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ახლა მთავარი – თქვენი მეგობარი ჯოუნსია.

– დიახ, მაგრამ... – ჰენრის ენა დაება. ახლა მისი შინაგანი ხმა ოდნავ უფრო ხმამაღლა ისმოდა. არ მეგონა, თუ წავიდოდით და მათ სიკვდილის პირისპირ დავტოვებდით.

– ჩვენ არ წავალთ. მოვკურცხლავთ, როგორც კუდზე ცეცხლმოკიდებული ვირთხები, – განუმარტა ოუენმა, ბოლო ნაფაზი დაარტყა და მესამე სიგარეტი გადააგდო. შემდეგ თვალი გააყოლა, როგორ მიაქროლებდა მას ქარი თოვლში. იმ დროისთვის ფარდულის ორივე მხარე ნამქერს უკვე დაეფარა. მოშიშვლებულ საძოვარზე მიწისპირა თოვლიანი ქარი ქროდა, ისევ ბარდნიდა. ასეთ ამინდში სადმე წასვლა სიგიჟე იყო.

შნო-ჩატ-ის შოვნა მოგვიწევს, – გაიფიქრა ოუენმა, – შუაღამისთვის სრულამძრავიანი სატვირთო მანქანაც კი ვერ გადალახავს ასეთ ნამქერებს.

– მოკალი კურცი, – წყნარად თქვა ჰენრიმ, – ეს ერთადერთი გამოსავალია. თუ ბრძანების გამცემი არავინ იქნება, მიმალვა გაგვიადვილდება. გარდა ამისა, ბიოლოგიური... წმენდაც გაურკვეველი დროით გადაიდება.

– ადვილი სათქმელია, – ცივად ჩაიცინა ოუენმა, – ანდერჰილი, აგენტი 007 მკვლელობის ლიცენზიით.

მან სანთებელას ხელი მოაფარა და მეოთხე სიგარეტს მოუკიდა. ხელთათმანწამოცმულ თითებს სიცივისგან თითქმის ვეღარ გრძნობდა.

თუ დაუყოვნებლივ არ შევთანხმდებით რამეზე, გავიყინები, – გაიფიქრა მან.

– რა დიდი ამბავი ეს არის? – გაუკვირდა ჰენრის, თუმცა ხვდებოდა, როგორ უმძიმდა ოუენს ამგვარი გადაწყვეტილების მიღება.

თვითონ ოუენი გრძნობდა (და თითქმის ესმოდა), როგორ ცდილობდა იგი, არაფერი დაენახა და არაფერი სცოდნოდა, რათა ისედაც უიმედო მდგომარეობა კიდევ უფრო არ დაემძიმებინა, – უბრალოდ, შედი და ტყვია დაახალე.

– არ გამოვა, – ოუენმა ჰენრის შემდეგი წარმოსახვითი სურათი გაუგზავნა: ფრედი ჯონსონი და ეგრეთ წოდებული „იმპერიალის ხეობის" სხვა წევრები კურცის „ვინებაგოს" თვალს არ აცილებენ, – გარდა ამისა, ფურგონში დინამიკების სისტემაა დაყენებული. თუ რამე მოხდება, წამში მოვარდებიან მაგარი ბიჭები. შესაძლოა, მოვახერხო კიდეც რამე, თუმცა არა მგონია, რადგან ისეთი დაცვა ჰყავს, განსაკუთრებით აქტიური საბრძოლო ოპერაციების დროს, კოლუმბიელ კოკაინის ბარონსაც კი შეშურდება. არა, მოსინჯვა შეიძლება. არც მე ვარ ხელწამოსაკრავი კაცი. მაგრამ ეს ნამდვილი თვითმკვლელობა იქნება. რადგან მის განკარგულებაში ფრედი ჯონსონია, მაშასადამე, სადღაც ახლოს სხვებიც არიან: კეიტ გალაჰერი... მარველ რიჩარდსონი... კარლ ფრიდმანი... ჯონსონ მაკეევი. ერთი სიტყვით, მაგარი გოგო-ბიჭები. ჰენრი, კურცს თუ მოვკლავ, ისინი მე მომკლავენ, ამ შოუს ხელმძღვანელები ახალ მწმენდავს გამოგზავნიან – კურცის რომელიღაც კლონს, რომელიც დაღუპული თანამზრახველის ხელიდან გავარდნილ სადავეებს აიტაცებს. მის ადგილას, შესაძლოა, კეიტიც დანიშნონ. ის კი ამ საქმისთვის საკმაოდ შეშლილია. პატიმრებს დამატებით თორმეტ საათს მისცემენ საკუთარ წვენში კარგად მოსახარშავად, ბოლოს კი მაინც შებრაწავენ. ერთადერთი განსხვავება ის იქნება, რომ ჩემთან ერთად, ქარსა და თოვლში მხიარული ხეტიალის ნაცვლად, სხვებთან ერთად დაიხრუკები. ამასობაში კი შენი მეგობარი ჯოუნსი მოასწრებს და იმ ადგილს მიაღწევს... რა ჰქვია?

– ვფიქრობ, გონივრული იქნება, თუ დანიშნულების ადგილს ჯერჯერობით არ გავამხელთ.

მიუხედავად ამისა, ოუენმა მაინც სცადა საკუთარი ტელეპათიური უნარის გამოყენება და წამით ბუნდოვან და უცნაურ გამოსახულებას მოჰკრა თვალი: ეს იყო მაღალი თეთრი შენობა თოვლში, სასილოსე კოშკივით ცილინდრული... მაგრამ ყველაფერი მაშინვე გაქრა და ახლა თეთრი ცხენი გამოჩნდა, რომელიც რაღაცით მარტორქას წააგავდა. მან გვერდით ჩაურბინა ბოძზე მიკრულ ფირფიტას, რომელზეც ისარი ეხატა და წითელი ასოებით ეწერა: ბენბერი-კროსისკენ.

– შენ ჩემს ფიქრებს ახშობ! – თქვა გაღიზიანებულმა ოუენმა.

– შეგიძლია, ასე იფიქრო. თუმცა ეს უფრო მეთოდური სწავლებაა და გიჯობს აითვისო, თუ გსურს, რომ ჩვენი საუბრის შესახებ ვერავინ გაიგოს.

– კარგი.

სინამდვილეში ოუენს არაფერი სწყენია. ცხადია, კარგი იქნებოდა მისი ჩახშობა, ვინც უცერემონიოდ დააპირებდა ფიქრებში შემოძრომას. გარდა ამისა, ჰენრიმ, რასაკვირველია, იცოდა, საით მიემართებოდა მისი მეგობარი, ტიფიანი ჯოუნსი. ტყუილუბრალოდ ხომ არ უნახავს ოუენს ბუნდოვანი სურათები ჰენრის თავში.

– ჰენრი, მინდა, რომ ახლა შენ მომისმინო.

– დაიწყე.

– ყველაზე მარტივ და უსაფრთხო გეგმას გთავაზობ. პირველი: თუ დრო გვაქვს, უნდა გამოვიძინოთ.

– გეთანხმები. მიკვირს, აქამდე ფეხზე როგორ ვდგავარ.

– მოქმედებას ღამის სამი საათისთვის დავიწყებ. კურცმა ბრძანება გასცა, უბრალო გაფაჩუნებაც არ გამოგეპაროთო და დაცვა ფხიზლად იქნება. „უფროსი ძმა“ თვალს ოთხი საათისთვის მოხუჭავს. ამ დროისთვის ხალხიც დაიღლება და ყურადღებას მოადუნებს. ჩვენ ოთხიდან ექვს საათამდე უნდა ვიმოქმედოთ. მე გუშაგებს ყურადღებას სხვა რამეზე გადავატანინებ – მავთულხლართებში

მოკლე ჩართვას მოვახდენ. როდესაც ალიაქოთი ატყდება, ხუთ წუთში აქ თოვლმავალს მოვაყენებ და... – ოუენმა აღმოაჩინა, რომ, სიტყვიერ ურთიერთობასთან შედარებით, ტელეპათიას მნიშვნელოვანი უპირატესობა ჰქონდა და ლაპარაკის შეუწყვეტლად, ჰენრის ცეცხლმოკიდებული ვერტმფრენის, „ჩიტუნია" MH–26-სა და მისკენ სირბილით მიმავალი ჯარისკაცების გამოსახულება გაუგზავნა, – აქედან მოვუსვამთ.

– უდანაშაულო მოქალაქეებს კი კურცს დავუტოვებთ, რათა Aდაანახშიროს ისინი? „ცისფერ ჯგუფზე" აღარაფერს ვამბობ. რამდენი არიან? სამას კაცამდე?

ოუენმა, რომელიც ჯარში ცხრამეტი წლიდან მსახურობდა და ბოლო რვა წლის განმავლობაში კურცის ერთ-ერთი მწმენდავი იყო, მათ შორის არსებული მენტალური არხით, ორი სასტიკი სიტყვა გაგზავნა: „დასაშვები დანაკარგია".

ჭუჭყიანი სათვალის მიღმა ჰენრი დევლინის ჩრდილი შეირხა და წამოდგა.

„არა", – უპასუხა მან.

8

„არა? როგორ თუ არა? "

„არა. სწორედ ამას ვგულისხმობ".

„უკეთესი იდეა გაქვს? "

უეცრად ოუენი ელდანაცემივით შეკრთა, მიხვდა – ჰენრის ჰქონდა ასეთი იდეა და სჯეროდა კიდეც მისი. ამ იდეის (მას გეგმასაც კი ვერ უწოდებდა კაცი) ცალკეულმა ფრაგმენტებმა ოუენის თავში კომეტის კუდივით ჩაიქროლა. მოულოდნელობისგან კინაღამ სუნთქვა შეეკრა და ვერც კი შეამჩნია, როგორ გაუვარდა ხელიდან სიგარეტი, რომელიც მაშინვე ქარმა გაიტაცა.

„გიჟი ხარ".

„გეშლება. ჩვენ მათი ყურადღება სხვა რამეზე უნდა გადავიტანოთ, რათა გაქცევა შევძლოთ. ეს უკვე იცი. ეს ყურადღების გადასატანი მანევრი იქნება“.

„მათ მაინც მოკლავენ! “

„ზოგიერთს. იქნებ, უმრავლესობაც დაიღუპოს. მაგრამ ეს შანსია. ცეცხლმოდებულ ბოსელში რა შანსი ექნებათ? “

– კურციც არ დაგავიწყდეს, – დაამატა ჰენრიმ ხმამაღლა, – ორასი პატიმარი თუ გაექცევა და მათგან ზოგიერთი სიამოვნებით მოუყვება პირველივე შემხვედრ რეპორტიორს იმის შესახებ, თუ როგორ გასცა შიშისგან დამფრთხალმა შეერთებული შტატების მთავრობამ მასობრივი მკვლელობის ნებართვა აქ, ამერიკის მიწაზე, მას ჩვენთვის აღარ ეცლება. მღელვარების საბაბი ისედაც თავზე საყრელი ექნება.

შენ არ იცნობ ეიბ კურცს, – გაიფიქრა ოუენმა, – და არ იცი, რაზეა წამსვლელი.

არც თვითონ იცოდა. თითქმის არაფერი იცოდა. დღევანდელ დღემდე.

მაგრამ იყო ჰენრის ჩანაფიქრში რაღაც გიჟური. და მონანიების მარცვალიც. თოთხმეტი ნოემბრის ეს დაუსრულებელი დღე შუაღამეს სულ უფრო უახლოვდებოდა, თუნდაც კვირის ბოლომდე სიცოცხლის შენარჩუნების შანსი იზრდებოდა. ოუენი მიხვდა, რომ მონანიების იდეას გარკვეული მიმზიდველობაც გააჩნდა. მიხვდა და არც გაოცებულა.

– ჰენრი!

– დიახ, ოუენ, აქ ვარ.

– ყოველთვის ცუდად ვგრძნობდი თავს იმის გახსენებისას, რაც რეიპლოუების სახლში გავაკეთე.

– ვიცი.

– და მაინც, ამას ხელმეორედაც გავაკეთებდი. რატომ, რა უბედურებაა?

მართალია, ჰენრი ბოლო დროს თვითმკვლელობაზე ფიქრობდა, მაგრამ კვლავაც შესანიშნავი ფსიქიატრი იყო და ამიტომ აღარაფერი თქვა. ან რა უნდა ეთქვა? გარკვეული გაუკუღმართება ადამიანს ყოველთვის ახასიათებდა. ეს ნორმალურ საქციელად მიიჩნეოდა. სამწუხარო მოსასმენი იყო, მაგრამ სიმართლე გახლდათ.

– კარგი, – გადაწყვიტა ბოლოს ოუენმა, – შენ სახლს ყიდულობ, მისი მოწყობა კი ჩემზე იყოს. შევთანხმდით?

– შევთანხმდით, – წამსვე უპასუხა ჰენრიმ.

– მართლა შეგიძლია, რომ დაუპატიჟებელი სტუმრების ჩახშობა მასწავლო? ვფიქრობ, გამომადგება.

– შემიძლია. დარწმუნებული ვარ.

– მაშ, კარგი, მომისმინე.

შემდეგი სამი წუთის განმავლობაში ოუენი ლაპარაკობდა – ზოგჯერ ხმამაღლა, ზოგჯერ ტელეპათიის დახმარებით. ორივე მათგანს იმ წერტილამდე მიეღწია, სადაც ერთმანეთთან კავშირის დამყარების მეთოდებს შორის განსხვავება აღარ არსებობდა: სიტყვები და ფიქრები ერთმანეთს შეერია.

თავი მეთექვსმეტე
დერი

1

გოსლინის მაღაზიაში ცხელა – საშინლად ცხელა! ჯოუნსი შესვლისთანავე ოფლიანდება და იმ დროისთვის, როდესაც ოთხივენი ტელეფონის აპარატთან მიდიან (რომელიც ღუმლის თავზე ეკიდა, ხომ გახსოვთ?), ოფლის მსხვილი წვეთები შუბლიდან ლოყებზე ეცემა, იღლიებქვეშ კი ნამდვილი ჯუნგლია წვიმიან ამინდში... თუმცა არც ისე ბევრი თმა აქვს. რაც უნდა იყოს, ჯერ მხოლოდ თოთხმეტი წლისაა. „მაგასაც მოესწრები", – როგორც პიტს უყვარს ხოლმე თქმა.

ასე რომ, გოსლინთან ცხელა, ის კი ჯერაც სიზმრის მარწუხებშია, რომელიც სულაც არ აპირებს გაფერმკრთალებასა და გაქრობას, სხვა ცუდი სიზმრების მსგავსად (ჯერაც გრძნობს ბენზინისა და დამწვარი რეზინის სუნს, ხედავს ჰენრის, რომელსაც ხელში მოკასინი უჭირავს... და მოგლეჯილ თავს. ჯერაც ხედავს რიჩი გრენადოს მოგლეჯილ, საშინელ თავს), მეორე მხრიდან კი ოპერატორი ქალი კაპა-

სობს. როდესაც ჯოუნსი ქეველების ნომერს ეუბნება. ბიჭებმა ნომერი ზეპირად იციან, რადგან თითქმის ყოველდღე რეკავენ და მისვლის ნებართვას ითხოვენ (რობერტა და ელფი უარს არასდროს ეუბნებიან, მაგრამ ამას თავაზიანობის წესები მოითხოვს, შინ რომ ასწავლეს), იგი ეკითხება:

– თქვენმა მშობლებმა თუ იციან, რომ სხვა ქალაქში რეკავთ?

მისი ხმა არაფრით ჰგავს იანკის გაწელილ კილოს: სიტყვებს მსუბუქი აქცენტით წარმოთქვამს, რაც დამახასიათებელია ამ ადგილებისთვის, სადაც ლეტურნო და ბისონეტი უფრო გავრცელებული გვარებია, ვიდრე სმიტი ან ჯოუნსი. „წუწურაქი ფრანგები" – ასე უწოდებს მათ პიტის მამა. ო-ო, ღმერთო, დაეხმარე ჯოუნსის – როგორც ჩანს, იგი სწორედ ასეთს გადააწყდა.

– ისინი სხვა ქალაქში დარეკვის უფლებას მაძლევენ, იმ პირობით, თუ მე თვითონ გადავიხდი, – პასუხობს ჯოუნსი. აჰა! ასეც იცოდა, რომ საბოლოოდ მას მოუწევდა არა მარტო ოპერატორ ქალთან თავის მართლება, არამედ ფულის გადახდაც. ქურთუკის ელვაშესაკრავს იხსნის. რა სულის ხუთვაა! ვერაფრით მიმხვდარა, როგორ შეუძლიათ ბებრებს ღუმელთან ასე ახლოს ჯდომა. მეგობრები ავიწროებენ, ყოველი მხრიდან აწვებიან, რაც სავსებით ბუნებრივია – მათაც ერთი სული აქვთ, გაიგონ, რა ხდება, მაგრამ ჯოუნსის უნდა, რომ ცოტა უკან დაიხიონ და სუნთქვის საშუალება მისცენ. ისეთი შეგრძნება აქვს, თითქოს მდუღარეში იხარშება.

– მე თუ დავურეკავ მათ, Mon fils[166], Mère[167]-ს და Père[168]-ს, ისინიც იმავეს მეტყვიან?

– რა თქმა უნდა, – ამბობს ჯოუნსი. ოფლი თვალებს უწვავს და ისე იწმენდს, როგორც ცრემლებს, – მამა სამსახურშია, დედა კი შინ იქნება. ცხრა-ოთხი-ცხრა– ექვსი-ექვსი-ხუთი-რვა. ოღონდ სწრაფად,

---

[166] ჩემო ბიჭუნი (ფრ)
[167] დედას (ფრ)
[168] მამას (ფრ)

თუ შეიძლება, რადგან...

– აბონენტთან გაერთებთ, – აწყვეტინებს იმედგაცრუებული ოპერატორი. ჯოუნსი მხრის სწრაფი მოძრაობით ქურთუკს იატაკზე აგდებს. დანარჩენებს არც გაუხდიათ. ბივს თავისი ფონზი-ქურთუკი არც კი შეუხსნია. წარმოუდგენელია, როგორ არ აწუხებთ. ჯოუნსის სუნიც კი აღიზიანებს – ბარდის, ყავის, იატაკის საწმენდი მასტიკისა და კიტრის მწნილის. ჩვეულებრივ, სიამოვნებს ხოლმე გოსლინის მაღაზიის სუნი, მაგრამ დღეს ლამის გული აერიოს.

ტელეფონში რაღაც ტკაცუნებს. ღმერთო ჩემო, რა ნელა გადის დრო. მეგობრები თანდათან კედლისკენ აწვებიან, კედელზე აპარატი ჰკიდია. შორეულ გასასვლელში ლამარი დგას, ყურადღებით ათვალიერებს თაროებზე შემოწყობილ ბურღულეულს და შუბლს იმ ადამიანივით ისრესს, ტკივილისგან თავი რომ უსკდება. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენი ლუდი ჩაისხა მუცელში წუხელ, ეს სავსებით მოსალოდნელია. ჯოუნსისაც ეწყება რაღაც შაკიკის მსგავსი, რაც ლუდს არაფრით უკავშირდება. უბრალოდ, აქ ისე საშინლად ცხელა, როგორც...

წელში იმართება.

– ზარის ხმა ისმის, – ეუბნება მეგობრებს და მაშინვე ენაზე იკბენს, რომ თავი ვერ შეიკავა. ახლა სამივენი უფრო ახლოს მიდიან მასტან. პიტის პირი ყარს და ჯოუნსი ფიქრობს: კარგი რა, პიტ! რა გემართება? კბილებს წელიწადში ერთხელ იხეხავ?

მესამე ზარზე ყურმილს იღებენ.

– ალო?

ეს რობერტაა და რადგან მის ხმაში ჩვეული ხალისი არ იგრძნობა, მაშასადამე, ცუდ ხასიათზეა. მიზეზის დადგენა ძნელი არ არის: აქაც კი ესმით დადიტსის საცოდავი ტირილი. ჯოუნსიმ იცის, რომ ელფი და რობერტა შვილის ტირილს მათი ოთხეულისგან განსხვავებულად აღიქვამენ – ისინი ხომ დიდები არიან. თანაც, – მშობლები. აშკარად

გრძნობენ რაღაცას. ამიტომაც ეპარება ჯოუნსის ეჭვი, რომ დღევანდელი დილა მისის ქეველისთვის განსაკუთრებით სასიხარულო არ უნდა იყოს.

ღმერთო ჩემო, რა აუტანელი სიცხეა! საინტერესოა, რით გაახურეს ეს დაწყევლილი ღუმელი ამ დილით, პლუტონიუმით ხომ არა?

– ხმა ამოიღეთ, ვინ არის? – მოუთმენლად ამბობს ყურმილში მისის ქეველი. როგორ არ ჰგავს ეს მისთვის ჩვეულ, მუდამ გულღია მისალმებას. ხშირად უმეორებდა ბიჭებს, – დადიტსისნაირი არაჩვეულებრივი ქმნილების დედისთვის მთავარი მოთმინება არისო. დადიტსის გვერდით იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლობდა ამას, მაგრამ დღეს საკუთარ თავს არ ჰგავს. სიტყვებს გაბოროტებული ადამიანივით ისვრის, რაც წარმოუდგენელია, – თუ რამის გაყიდვა გსურთ, დროს ტყუილად ჰკარგავთ. ძალიან დაკავებული ვარ და...

მის ლაპარაკს ფონად დადიტსის დაუსრულებელი ღრიალი გასდევს.

დაკავებული იქნები, აბა რა, – ფიქრობს ჯოუნსი, – ის ხომ დილიდან არ გასვენებს და ახლა უკვე კივილზე გადავიდა.

ჰენრი ჯოუნსის გვერდში მუჯლუგუნს ურტყამს და მუშტს უღერებს, რაც ნიშნავს: მიდი, დაიწყე! და თუმცა ჯოუნსი ტკივილისგან იმანჭება, მუჯლუგუნი სასარგებლო რამ არის. თუ ქალი ყურმილს დაკიდებს, მას ისევ იმ კაპას ოპერატორ ქალთან მოუწევს კამათი.

– მის ქეველ... რობერტა? ეს მე ვარ, ჯოუნსი.

– ჯოუნსი?

ბიჭი წამსვე გრძნობს ქალში მომხდარ უეცარ ცვლილებას. რობერტას გულზე საოცრად მოეშვა: მას ხომ ძალიან უნდოდა, რომ დადიტსის მეგობრებს დაერეკათ და ახლა ეს საკუთარი წარმოსახვის ნაყოფი ჰგონია.

– დიახ. და ბიჭები.

იგი ყურმილს მეგობრებს უწვდის.

– გამარჯობა, მისის ქეველ, – ამბობს ჰენრი.

– ჰეი, როგორ ხართ? – ეს პიტია.

– სალამი, ლამაზო, – წარმოთქვამს ბივი სულელური ღიმილით. შეიძლება ითქვას, რომ მას რობერტა მათი გაცნობის დღიდან უყვარს.

შვილის ხმის გაგონებაზე ლამარ კლარენდონი მისკენ იყურება, შუბლს იჭმუხნის და კვლავ „ჩირიოზისა" და „შრედიტ უიტის" ღირსებებს სწავლობს. „კი ბატონო, – მიუგო ბივს, როდესაც შვილმა უთხრა, რომ დადიტსთან დარეკვა სურდათ, – ვერ გამიგია, რამ წამოგიარათ თავში, იმ ათქვეფილთავიანთან რომ რეკავთ? თუმცა, თქვენი საქმისა თქვენ იცით".

ჯოუნსის ყურმილი კვლავ ყურთან მიაქვს და რობერტა ქეველის სიტყვები ესმის:

– დერიში დაბრუნდით? მეგონა, კინეოს მიდამოებში ნადირობდით.

– არა, ჯერ ისევ აქ ვართ, – პასუხობს ჯოუნსი, მეგობრებისკენ ტრიალდება და გაოცებული აღმოაჩენს, რომ ისინი თითქმის არ გაოფლიანებულან. მხოლოდ ჰენრის აქვს ოდნავ ნამიანი შუბლი, პიტს კი ზედა ტუჩზე ოფლის რამდენიმე წვეთი მოუჩანს. სულ ეს არის. ნამდვილი საოცრებათა ქვეყანაა, – ვიფიქრეთ... რომ... აჯობებდა, თუ დავრეკავდით.

– თქვენ იცოდით, – ამბობს ქალი მშვიდად და აუღელვებლად. არ ბრაზობს, არც ზედმეტ შეკითხვას უსვამს. ფაქტს აფიქსირებს.

– მ-მ-მ... – ჯოუნსი ფლანელის პერანგის აპრეხილ საყელოს ისწორებს, – დიახ.

რობერტას ნაცვლად სხვა ქალი რომ ყოფილიყო, შეკითხვებს დააყრიდა: როგორ მიხვდით? ღმერთო ჩემო, რა ემართება? და ასე შემდეგ, მაგრამ რობერტა სხვას არ ჰგავს, გარდა ამისა, თითქმის მთელი თვე აკვირდებოდა მათ თავისი შვილის გვერდით. ამიტომ ამბობს:

– მოიცადე, ჯოუნსი. ახლავე დავუძახებ.

ჯოუნსი ელოდება. შორიდან დადიტსის ტირილი და რობერტას ხმადაბალი ლაპარაკი ისმის – იგი მის დაყოლიებას ცდილობს. უხსნის, ანუგეშებს, ცდილობს, ტელეფონთან მიიტყუოს და ქეველების ოჯახისთვის ჯადოსნურ სიტყვებად ქცეულ სახელებს იმეორებს: „ჯოუნსი, ბივერი, პიტი, ჰენრი“.

ქვითინი ახლოვდება და ჯოუნსი გრძნობს, თუ როგორ ესობა იგი თავში ბლაგვ დანასავით, რომელიც, დაჭრის ნაცვლად, მხოლოდ თხრის და აქუცმაცებს.

– უ-უ-უ...

ჯოუნსის ჰენრის მუჯლუგუნი დადიტსის ტირილთან შედარებით ალერსად ეჩვენება. ამასობაში კისერზე ოფლი ტროპიკულ წვიმასავით დასდის. მზერა აპარატის თავზე მიმაგრებული ორი წარწერისკენ მიუმართავს. „თუ შეიძლება, ხუთ წუთზე მეტხანს არ ისაუბროთ“, – იუწყება პირველი. მეორე თხოვნა: „გთხოვთ, უწმაწური სიტყვები არ გამოიყენოთ“. ქვემოთ კი ვიღაცას მიუწერია: „ეს რომელმა სულელმა მოიფიქრა“.

ამ დროს ყურმილს დადიტსი იღებს და ჯოუნსის ყურში საშინელი ღრიალი ჩაესმის. ჯოუნსი იჭმუხნება, მაგრამ, ტკივილის მიუხედავად, დადს ვერაფრით გაუბრაზდება. მეგობრები აქ ერთად არიან, ის კი იქ მარტოა, სრულიად მარტო. რა უცნაური არსებაა! ღმერთმა დასაჯა და, იმავდროულად, დალოცა კიდეც. ამის გაფიქრებისას ჯოუნსის თავბრუ ესხმის.

– დადიტს, – ამბობს ის, – დადიტს, ეს ჩვენ ვართ. ჯოუნსი ვარ.

იგი ყურმილს ჰენრის აწვდის.

– გამარჯობა, დადიტს, ჰენრი ვარ.

ახლა პიტის ჯერი დგება.

– დადიტსს გაუმარჯოს. პიტი ვარ. ნუ ტირი, ყველაფერი კარგადაა...

პიტი ყურმილს ბივს აჩეჩებს, რომელიც აქეთ-იქით ფრთხილად

იყურება, კუთხეში იკუნჭება, შნურს მთელ სიგრძეზე წელავს, მიკროფონს ხელს აფარებს, რათა ღუმელთან მოკალათებულმა მოხუცებმა ვერაფერი გაიგონ (საკუთარმა მამამაც, ცხადია) და იავნანას პირველ ორ სტროფს მღერის. შემდეგ ჩუმდება, მიაყურადებს, ცერითა და საჩვენებელი თითით წრეს შეკრავს და ამაყად მიუტანს მეგობრებს ცხვირთან. ბოლოს ყურმილს ჰენრის გადასცემს.

– დადს? – ამბობს ჰენრი, – ეს მხოლოდ სიზმარი იყო, დადიტს. სინამდვილეში არაფერი მომხდარა. კარგი? არაფერი მომხდარა და ყველაფერმა ჩაიარა. მხოლოდ...

ჰენრი უსმენს. ჯოუნსი დროს იხელთებს და ფლანელის პერანგს იხდის. მაისური გასაწური აქვს.

მსოფლიოში უამრავი რამ არის, რაც ჯოუნსიმ არ იცის, – მაგალითად, რა კავშირია მათ ოთხეულსა და დადიტსს შორის, – მაგრამ იმაში კი დარწმუნებულია, რომ გოსლინის მაღაზიაში დარჩენა აღარ შეუძლია. ეჩვენება, რომ იმ წყეული ღუმლის შიგნით აღმოჩნდა. ბერიკაცებს კი, შაშს რომ თამაშობენ, ძვლების მაგივრად, ალბათ, ყინული აქვთ.

ჰენრი გულმოდგინედ აქნევს თავს:

– ჰო, როგორც საშინელ ფილმში.

შემდეგ ყურს უგდებს და იჭმუხნება:

– სულაც არა. არც ჩვენ. თითიც არ დაგვიკარებია. არც ერთი მათგანისთვის.

ამ დროს ჯოუნსის გონება უნათდება. ტყუილია. შეეხნენ. ცხადია, არ უნდოდათ, მაგრამ შეეხნენ. ეშინოდათ, რიჩის მუქარა არ შეესრულებინა – მერე გაგისწორდებითო, რომ დაჰპირდა – და დაასწრეს.

პიტი ხელს იწვდის, ამიტომ ჰენრი ამბობს:

– დადს, შენთან პიტს უნდა ლაპარაკი.

იგი ყურმილს პიტს აძლევს. პიტი დადიტსს ურჩევს, ყველაფერი

დაივიწყოს, ფეხებზე დაიკიდოს, ნებისყოფა მოიკრიბოს და დამშვიდდეს. ეუბნება, რომ მალე ინახულებენ და ერთად ითამაშებენ, ისე იხალისებენ, რომ მეტი არ შეიძლება, იქამდე კი...

ჯოუნსი იმ წარწერას შეჰყურებს, რომელზეც თხოვნაა, რომ ხუთ წუთზე მეტი არ ილაპარაკონ. და იქვე მეორე წარწერა ჩნდება: „რატომ გარეთ არ გახვალთ, იქ უფრო გრილა". ეს კარგი აზრია, შესანიშნავი აზრი! ისედაც ცხადია, რომ დადიტსთან დაკავშირებით ვითარება კონტროლს ექვემდებარება.

მაგრამ ჩარევას ვერ ასწრებს, რომ პიტი ყურმილს გადასცემს.

– შენთან უნდა ლაპარაკი, ჯოუნსი.

ჯოუნსი კარისკენ გაქცევას აპირებს. ჯანდაბას დადიტსი, ჯანდაბას ყველა! მაგრამ ისინი მისი მეგობრები არიან, ყველამ ერთი და იგივე საშინელი სიზმარი ნახა, რომელშიც ის გააკეთეს, რაც არ უნდოდათ.

(მატყუარა! მატყუარა! თვითონაც კარგად იცი, რომ გინდოდათ!)

მათ თვალებს ვერსად გაექცევა, მიუხედავად საშინელი სიცხისა, სულს რომ უხუთავს. ეს თვალები აცხადებს, რომ იგი ამ ყველაფრის ნაწილია და არ უნდა წავიდეს, სანამ ტელეფონთან დადიტსია. ასეთია წესები. ასეთია მათი თამაშის წესები.

„ეს ჩვენი სიზმარია და ის ჯერ არ დამთავრებულა, – გაიძახის მათი თვალები, განსაკუთრებით კი ჰენრისა, – ის იმ დღეს დაიწყო, როდესაც „ძმები თრექერების" შენობის უკან მუხლებზე დაჩოქილი და თითქმის შიშველი ვიპოვეთ. ის ხედავს ხაზს და ახლა ჩვენც ვხედავთ. თუნდაც სხვანაირად, მაგრამ შინაგანი თვალით მუდმივად ვხედავთ იმ ხაზს. და ყოველთვის დავინახავთ, სანამ არ მოვკვდებით".

მათ თვალებში დაჟინებით ანათებს რაღაც, რაც სიცოცხლის ბოლომდე არ მოასვენებთ და ყველაზე ბედნიერ დღეებსაც კი გაუმწარებთ. ეს ძრწოლაა იმის გამო, რაც ჩაიდინეს – მათი ერთობლივი

ძილის იმ ნაწილში ჩაიდინეს, რომელიც არ დაამახსოვრდათ.

ეს ყველაფერი ჯოუნსის მაღაზიიდან გასვლის საშუალებას არ აძლევს და ყურმილის აღებას აიძულებს. სიცხისგან მოთენთილია, იხრუკება, დნება, ამის დედაც! ..

– დადიტს, – ამბობს იგი. ხმაც კი გასცხელებია, – დამიჯერე, ყველაფერი კარგადაა. ახლა ყურმილს ჰენრის გადავცემ და სუფთა ჰაერზე გავალ, თორემ აქ სუნთქვა აღარ შეიძლება.

მაგრამ დადიტსი აწყვეტინებს და ხმამაღლა და დაჟინებით იმეორებს:

– აეთ-ა-აიდე! ოუი, აეთ-ა-აიდე! ეი! ეი! იერ ეი!

ყოველთვის, პირველი დღიდანვე ესმოდათ მისი ლუღლუღი, ჯოუნსი ახლაც ადვილად შიფრავს სიტყვებს: „გარეთ არ გახვიდე! ჯოუნსი, გარეთ არ გახვიდე! გრეი! გრეი! მისტერ გრეი! "

ჯოუნსი პირს აღებს. იგი გახურებული ღუმლის მიღმა, თაროებს შორის იყურება, სადაც ბივის ნაბახუსევი მამა კონსერვირებული ბარდის ქილებს მიშტერებია. მისი მზერა მისის გოსლინსაც გასცდება, რომელიც ძველ, შელახულ სალაროს აპარატს მისჯდომია, და ერთგვარ ვიტრინად ქცეულ ფანჯარას მიადგება. საშინლად ჭუჭყიან შუშაზე უამრავი სარეკლამო პლაკატია – დაწყებული სიგარეტ „უინსტონითა“ და ლუდი „მუსჰედით“, დამთავრებული საეკლესიო საქველმოქმედო სადილებითა და ოთხ ივლისთან დაკავშირებული პიკნიკებით, რაც ჯერ კიდევ არაქისის მეფის დროს იმართებოდა. თუმცა, შუშაზე კიდევ რჩება გარეთ გასახედი ადგილი იმ არსების დასანახად, ახლა ეზოში რომ ელოდება. ეს ისაა, უკნიდან რომ მიეპარა, როცა ჯოუნსი მთელი ძალით ჩაჰფრენოდა სააბაზანოს კარს. სწორედ ისაა, მრავალი წლის შემდეგ სხეული რომ მოჰპარა. შიშველი ნაცრისფერი სხეული ბენზინის სვეტის გვერდით უთითებო ფეხებზე დგას და ჯოუნსის შავი თვალებით მისჩერებია. და ჯოუნსი ფიქრობს: ეს მათი ნამდვილი სახე არ არის. ასეთებად მათ ჩვენ ვხედავთ.

თითქოს ამის დასტურად, მისტერ გრეი ხელს მაღლა ასწევს და დაუშვებს. მისი თითების წვერებიდან – ასეთი სულ სამი აქვს – ჰაერში ნამცეცა მოწითალო ოქროსფერი, ბაბუაწვერას მსგავსი ბეწვები ჩნდება.

ბაირუსი, – ფიქრობს ჯოუნსი.

და თითქოს ჯადოსნური სიტყვა წარმოთქვაო, ყველაფერი ჩერდება. გოსლინის მაღაზია ნატიურმორტად გადაიქცევა. შემდეგ ძველი ფერები ქრება და ახლა მოწითალო-მოყავისფრო ფოტოსურათი მოჩანს. მეგობრები გამჭვირვალენი ხდებიან და თვალსა და ხელს შუა უფერულდებიან. რეალური მხოლოდ ორი რამ არის: ტელეფონის მძიმე შავი ყურმილი და სიცხე. სულის შემხუთველი სიცხე.

– აექი! – ჩაჰყვირის დადიტსი ყურში. ჯოუნსის ღრმა, კარგად ნაცნობი შესუნთქვის ხმა ესმის. დადიტსი ფილტვებში ჰაერს იგუბებს, რათა შეძლებისდაგვარად მკაფიოდ წარმოთქვას: – ოუსი, ოუსი, აექი! აექი! ა...

2

...დექი! ადექი, ჯოუნსი, ადექი!

ჯოუნსიმ თავი ასწია, მაგრამ თავდაპირველად ვერაფერი დაინახა. აწეწილი, ოფლიანი თმა თვალებზე ჩამოჰფხატოდა. მოუთმენლად გადაიწია, ელოდა, რომ თავის საძინებელში, „კედელში გაკეთებულ ხვრელში" ან, უფრო უკეთეს ადგილას, ბრუკლინში აღმოჩნდებოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. კვლავაც „ძმები თრექერების" ოფისში იყო. საწერ მაგიდაზე ეძინა და სიზმარში ხედავდა, როგორ დაურეკეს დადიტსს მრავალი წლის წინ. ყველაფერი მართლაც ასე იყო, სულის შემძვრელი სიცხის გარდა. სიმართლე ითქვას, მაღაზიაში ყოველთვის გრილოდა, ბებერი გოსლინი ამაზე ყოველთვის ზრუნავდა. სიცხე სიზმარში შეჰპაროდა, რადგან აქ ჰაერი არ იძროდა. ღმერთო ჩემო, ასი[169] ან ას ათი გრადუსი მაინც იქნებოდა.

[169] ფარენჰეიტით

გათბობის სისტემა გაფუჭდა, – გაიფიქრა მან და წამოდგა, – იქნებ, ხანძარი გაჩნდა. ასეა თუ ისე, აქედან უნდა მოვუსვა, სანამ არ შევბრაწულვარ.

ჯოუნსიმ მაგიდას შემოუარა, ვერც კი შეამჩნია, რომ შეცვლილიყო; ვერც – ის, რომ კარისკენ აჩქარებით წასული თავით რაღაცას გაედო. ერთი ხელი ურდულისკენ წაიღო, მეორე – სახელურისკენ, მაგრამ ამ დროს დადიტსის ყვირილი გაახსენდა, რომელიც სთხოვდა, გარეთ არ გახვიდეო, რადგან იქ მისტერ გრეი ელოდებოდა.

ის მართლაც იქ იყო. ზღურბლთან იდგა, ჯოუნსის მოგონებათა საცავთან, რომელიც ადრე იგდო ხელთ.

ჯოუნსი გაფარჩხული თითებით ჩააფრინდა კარის ლირსს. გაოფლილი თმა ისევ ჩამოეფხატა თვალებზე, მაგრამ ყურადღება აღარ მიუქცევია.

– მისტერ გრეი – ჩაიჩურჩულა მან, – აქ ხართ? აქ ხართ, არა?

არავინ უპასუხა, მაგრამ მისტერ გრეი, ცხადია, იქ იყო. იდგა, მელოტი თავის მსგავსი გუნდა წინ გადაეხარა და უსიცოცხლო შავი თვალებით კარის სახელურს მისჩერებოდა. სახელური საცაა გადატრიალდებოდა. ელოდა, როდის გამოვარდებოდა იმ ხუთვიდან ჯოუნსი. მაშინ კი...

მშვიდობით, მომაბეზრებელო ადამიანურო ფიქრებო. მშვიდობით გამაღიზიანებელო და შემაწუხებელო ადამიანურო ემოციავ.

მშვიდობით, ჯოუნსი.

– მისტერ გრეი, გსურთ, რომ აქედან გამომაძევოთ?

პასუხი კვლავ ვერ მიიღო. არც სჭირდებოდა. მისტერ გრეი ისედაც წარმატებით უმკლავდებოდა მართვის ღილაკებს, მისი სხეულის ტემპერატურასაც კი აკონტროლებდა. ნეტავ, რამდენით მოუმატა? ჯოუნსიმ არ იცოდა, მაგრამ გრძნობდა, რომ უმატებდა და უმატებდა. მკერდზე შემოხვეული სალტე სულ უფრო ცხელდებოდა და ბოჭავდა. სუნთქვა უჭირდა. სისხლი ჩაქუჩივით ურტყამდა საფეთქლებში.

ფანჯარა. იქნებ ფანჯარამ მიშველოს.

ჯოუნსის იმედი მიეცა და კარიდან გატრიალდა. თუმცა, ფანჯარა ჩაბნელებული დახვდა, – როგორც 1978 წლის ოქტომბერში უმეტესად ხდებოდა ხოლმე, – „ძმები თრექერების" შენობასთან მისასვლელი გზა კი ნამქერს დაეფარა. არასდროს, ბავშვობაშიც კი არ მოხიბლულა ჯოუნსი ასე ძალიან თოვლით. წარმოიდგინა, როგორ გადახტა ფანჯრიდან, – ეროლ ფლინიც ასე გადაეშვა მეკობრეებზე გადაღებულ ძველ ფილმში, – თოვლში ჩაეფლო და გახურებული სახე დალოცვილ თეთრ სუსხში დურთა...

დიახ, და მაშინვე იგრძნო, როგორ შემოეჭდო ყელზე მისტერ გრეის ხელები, მართალია, სამთითა, მაგრამ ისეთი ღონიერი, რომ წამსვე სულს გააფრთხობინებდა. ვერც შუშას ჩაამტვრევდა სუფთა ჰაერის შემოსაშვებად, რადგან მისტერ გრეი მაშინვე ვამპირივით ეძგერებოდა. ვინაიდან ჯოუნსის სამყაროს ეს ნაწილი სახიფათო, მტრის მიერ დაპყრობილი იყო.

„ჰობსონის არჩევანი[170]. ყველა გზა დაწყევლილია".

– გამოდი, – ენა ამოიდგა, ბოლოს და ბოლოს, მისტერ გრეიმ ჯოუნსის ხმით, – არ გავაჭიანურებ. მალე მოვრჩები. ხომ არ გინდა, რომ შეიბრაწო... იქნებ გინდა?

მოულოდნელად ჯოუნსიმ ფანჯარასთან მაგიდა დაინახა. მანამ ის ერთხელაც არ შეუმჩნევია, დაძინებამდე იქ ერთ-ერთი ფაბრიკის მიერ დამზადებული არაფრით გამორჩეული ავეჯი იდგა. ასეთებს, როგორც წესი, საშუალო ფირმები იძენდნენ. რაღაც მომენტში – ვერ იხსენებდა, ზუსტად როდის – მაგიდაზე ტელეფონიც გაჩნდა, უბრალო შავი აპარატი, მაგიდასავით უტილიტარული და სადა.

ახლა კი, ძველი ავეჯის ადგილას მუხის შვედური ძვირფასი საწერი მაგიდა იდგა, იმის ასლი, რაც შინ, ბრუკლინში, კაბინეტს უმშვე-

[170] ვითარება, როცა ალტერნატიული გამოსავალი არ არსებობს, არჩევანი არ არის.

ნებდა. ტელეფონიც შეცვლილიყო – ლურჯი „ტრიმლაინი“ იდგა, ისეთივე, როგორიც უნივერსიტეტის ოფისში. ჯოუნსიმ შუბლიდან შარდივით თბილი ოფლი მოიწმინდა და მხოლოდ ახლა შეამჩნია, რაც ადგომისას თავზე შეეხო.

სიზმართმჭერი ავგაროზი.

სიზმართმჭერი ავგაროზი „კედელში გაკეთებული ხვრელიდან“.

– გაგიჟდება კაცი, – ჩაიჩურჩულა ჯოუნსიმ, – მგონი, აქ ცუდად არ მოვეწყვე.

ასეც იყო. რატომაც არა? სიკვდილმისჯილთა საკანში მყოფი პატიმრებიც კი ცდილობდნენ თავიანთი უკანასკნელი თავშესაფრის გალამაზებას. თუკი აქ საწერი მაგიდის, სიზმართმჭერი ავგაროზისა და ტელეფონის გადმოტანა მოახერხა, იქნებ...

ჯოუნსიმ თვალები დახუჭა, ყურადღება მოიკრიბა და ბრუკლინში მდებარე კაბინეტის წარმოდგენა სცადა. თავდაპირველად გაუჭირდა, რადგან ერთი შეკითხვა აეკვიატა: როგორ უნდა მოხდეს ეს, თუკი ყველა მოგონება კარს მიღმა დარჩება? თუმცა, მაშინვე მოისაზრა პასუხი: მოგონებები კვლავ მასთან არის, მისგან ვერსად წავა. საწყობში მოთავსებული ყუთები კი მხოლოდ ის იყო, რასაც ჰენრი „ექსტერნალიზაციას“ უწოდებდა – იმ ყველაფრის წარმოდგენის ხერხი, რაც მისტერ გრეის ხელში ჩაუვარდა.

„არაფერია. ყურადღება იქით მიმართე, რის გაკეთებაც გმართებს. კაბინეტი ბრუკლინში. ბრუკლინში მდებარე კაბინეტის წარმოდგენა სცადე“.

– რას აკეთებ? – შეშფოთდა მისტერ გრეი. ნეტავ, სად გაქრა მისი დათაფლული და თავდაჯერებული ტონი? – რა ჯანდაბას აკეთებ?

„ჯანდაბას“ გაგონებაზე ჯოუნსის გაეცინა. თავი ვერ შეიკავა, თორემ მოდუნება არც უფიქრია. არა მარტო კაბინეტი, არამედ კაბინეტის კედლებიც... აი იქ, პატარა სააბაზანოში გამავალ კართან... დიახ, ის იყო. „ჰანიუელის“ ფირმის თერმოსტატი. და რა უნდა ეთქვა? რაღაც ჯადოსნური სიტყვა, „სეზამ, გაიღეს“ მსგავსი?

დიახ.

ჯოუნსის თვალი არ გაუხელია, გაოფლილ სახეზე ღიმილი მოეფინა.

– დადიტს... – წაიჩურჩულა მან, შემდეგ თვალი გაახილა და დამტვერილ, შელახულ კედელს შეხედა.

კედელზე თერმოსტატი ეკიდა.

3

– შეწყვიტე! – შესძახა მისტერ გრეიმ. ჯოუნსიმ ოთახი გადაკვეთა. უკვე მერამდენედ განაცვიფრა ნაცნობმა ხმამ – თითქოს მაგნიტოფონზე ჩაწერილ საკუთარ, საკმაოდ იშვიათ ისტერიკულ გამოხდომას უსმენდა (ამას, ჩვეულებრივ, ბავშვთა ოთახებში წარმოუდგენელი არეულ-დარეულობა უწყობდა ხოლმე ხელს), – ახლავე შეწყვიტე! ეს უნდა შეწყდეს!

– მაკოცე ტაკოში, ლამაზო, – მიუგო ჯოუნსიმ. რამდენჯერ უოცნებიათ მის ბავშვებს მამისთვის ამგვარი სიტყვები ეთქვათ, როცა მათ ჭკუას არიგებდა.

მაგრამ ამ დროს საძაგელი აზრი ეწვია. როგორც ჩანს, ვეღარასოდეს იხილავდა თავის დუპლექსს ბრუკლინში, და თუ იხილავდა, მხოლოდ მისტერ გრეის თვალებით. ლოყა, რომელზეც შვილები კოცნიდნენ ("იჩხვლიტება, მამა! " – იტყოდა, ალბათ, მიშა), ამიერიდან მისტერ გრეის ლოყა იქნებოდა. ისევე, როგორც ტუჩები, რომელსაც კლარა კოცნიდა. საწოლში კი, როდესაც ცოლი მოეხვეოდა და...)

ჯოუნსი შეკრთა, ხელი თერმოსტატისკენ გაიწვდინა და გაოცებულმა აღმოაჩინა, რომ სკალის დანაყოფი 120-ს უჩვენებდა. ამაზე ძლიერი მსოფლიოში, ალბათ, არც არსებობდა. გადამრთველი ოდნავ მარცხნივ გადაატრიალა, გრილი ჰაერის ნაკადი იგრძნო, შვებით ამოისუნთქა და გახურებული სახე მიუშვირა. კედელზე, მაღლა, სა-

ვენტილაციო ცხაური შეამჩნია. კიდევ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი.

– ამას როგორ აკეთებ? – დაუყვირა მისტერ გრეიმ კარის მეორე მხრიდან, – რატომ არ იღებს შენი სხეული ბაირუსს? და საერთოდ, მანდ როგორ მოხვდი?

ჯოუნის გაეცინა. თავი ვეღარ შეიკავა.

– შეწყვიტე, – უთხრა მისტერ გრეიმ. ხმაში სიცივე შეჰპაროდა. თვითონაც ასე წაუყენა კლარას ულტიმატუმი: „ან მკურნალობა, ან გაყრა, ძვირფასო, აირჩიე", – ხომ იცი, რომ მარტო ტემპერატურის აწევა კი არა, შენი დაწვაც შემიძლია. ან დაბრმავება.

ჯოუნსის ენდი ჯანასის თვალიდან ამოჩრილი კალმისტარი გაახსენდა, თვალის კაკლის გასკდომის საშინელი ხმა... და შეკრთა. მაგრამ მიხვდა, რომ მისტერ გრეი თვალთმაქცობდა, მისი ანკესზე წამოგება სურდა.

შენ უკანასკნელი ხარ, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – მე კი შენი გადამტანი. ვერ გამანადგურებ. ყოველ შემთხვევაში, იქამდე მაინც, სანამ მისია არ შეგისრულებია.

იგი ნელა მიუახლოვდა კარს, თან, საკუთარ თავს სიფრთხილისკენ მოუწოდებდა, რადგან როგორც გოლუმი ამბობდა ბილბო ბეგინსის[171] შესახებ, ეს არასაიმედო, მაცდუნებელი, საყვარელი, ძალზე არასაიმედო რამ იყო.

– მისტერ გრეი! – ხმადაბლა დაუძახა.

არანაირი პასუხი.

– მისტერ გრეი, ახლა როგორ გამოიყურებით? სინამდვილეში როგორი ხართ? ფერი ხომ არ შეგეცვალათ? ოდნავ გავარდისფრდით? ხელებზე ორ-ორი თითი მოგემატათ? თავზე თმა ამოგივიდათ? ფეხის თითებისა და გენიტალიების გაზრდასაც ხომ არ ცდილობთ?

---

[171] ჯონ ტოლკინის რომანების, „ჰობიტისა" და „ბეჭდების მბრძანებლის" პერსონაჟები.

კვლავ დუმილი.

– თანდათან მე ხომ არ მემსგავსებით, მისტერ გრეი? ჩემსავით ფიქრობთ? და ეს არ მოგწონთ, არა? თუ უკვე მოგწონთ?

ჯოუნსი პასუხს ვერ ეღირსა. მიხვდა, რომ მისტერ გრეი წასულიყო. შეტრიალდა და ფანჯრისკენ აჩქარებით გაემართა, თან, გზად რამდენიმე ცვლილებაც შენიშნა: ერთ კედელზე კარიერისა და აივზის ლითოგრაფია, მეორეზე – ვან გოგის „მზესუმზირების" რეპროდუქცია, ჰენრის საშობაო საჩუქარი და მაგიური ბროლის სფერო, რომელიც შინ, მუდამ მაგიდაზე ედო. ჯოუნსიმ ნივთებს ყურადღება არ მიაქცია. სწყუროდა გაეგო, რა ჩაიფიქრა მისტერ გრეიმ და რამ აიძულა წასვლა.

4

აღმოჩნდა, რომ ცვლილება სატვირთო მანქანასაც შეეხო. ხელისუფლების მიერ ენდი ჯანასისთვის ჩაბარებული, ჩვეულებრივი, უსიცოცხლო მოყავისფრო ზეთისხილისფერი პიკაპის ნაცვლად (ქაღალდებითა და ბლანკებით სავსე პლანშეტი მძღოლის გვერდითა სავარძელზე, მოტკაცუნე რაცია ხელსაწყოების დაფის ქვეშ) გზაზე მდიდრული „დოჯ-რემი" იწონებდა თავს, დიდებული ძარით, ნაცრისფერი ვილურის სავარძლებითა და, რეაქტიული „ლირის" მსგავსად, ღილაკებიანი და ბერკეტებიანი პანელით. უჯრაზე მიკრული სტიკერზე ეწერა: „მე მიყვარს ჩემი ბორდერ კოლი". ეს უკანასკნელი მანქანაში, მგზავრის სავარძლის ქვეშ იწვა, კუდი მოეკეცა და ეძინა. ამ მამრს ლედი ერქვა. ჯოუნსი გრძნობდა, რომ მისი პატრონის ვინაობისა და ბედის გაგება შეეძლო, მაგრამ რაში სჭირდებოდა? სადღაც, ჩრდილოეთით, ჯანასის გზიდან გადაგდებული სამხედრო სატვირთო მანქანა დარჩა, გვერდით კი მძღოლის გვამი ეგდო. ჯოუნსი ვერ მიმხვდარიყო, კოლი რატომ შეიცოდეს.

ამ დროს ლედმა კუდი ასწია, ხმამაღლა გააკუა და ჯოუნსი მიხვდა.

5

მან აღმოაჩინა, რომ თუ ყურადღებას მოიკრებდა, შეეძლო, საკუთარი თვალით დაენახა სამყარო „ძმები თრექერების“ ოფისის ფანჯრიდან. თოვამ იმატა, მაგრამ, სამხედრო პიკაპის მსგავსად, „დოჯიც“ სრულამძრავიანი იყო და ჯიუტად მიიწევდა წინ. შემხვედრ გზაზე ფარებანთებული სამხედრო მანქანები გრძელ ჯაჭვად ჩრდილოეთისკენ, ჯეფერსონტრექტისკენ მიემართებოდნენ. ჯოუნსიმ თვალი მოჰკრა, როგორ გაიელვა თოვლში შუქამრეკლმა ნიშანმა, რომელზეც მწვანეზე თეთრად ეწერა: დერი, მომდევნო 5 მოსახვევი.

ქალაქიდან გამოგზავნილ თოვლსაწმენდ მანქანებს უკვე ჩაევლოთ და მიუხედავად იმისა, რომ გზაზე მოძრაობა თითქმის არ შეიმჩნეოდა (იქ კარგ ამინდშიც კი არავინ დადიოდა), ნამქერი უკვე აეღოთ და მისტერ გრეიმ სიჩქარე საათში ორმოც მილამდე გაზარდა. ისინი სამ მოსახვევს გასცდნენ, ისინი ჯოუნსის ბავშვობიდან ახსოვდა (კანზასსტრიტი, აეროპორტი, აპმაილჰილი/სტროფორდპარკი), შემდეგ კი მანქანამ სვლა შეანელა.

მოულოდნელად, ჯოუნსიმ გაიფიქრა, რომ ყველაფერს მიხვდა.

მან იმ ყუთებს შეხედა, რომელთა გამოტანაც მოასწრო. უმრავლესობას დადიტსი ეწერა, დანარჩენებს კი, რომელთა გამოტანაც ბოლო წამს მოახერხა – დერი. მისტერ გრეი ფიქრობდა, რომ ყველა აუცილებელი მოგონება – ყველა საჭირო ინფორმაცია – მასთან დარჩა, მაგრამ თუ ჯოუნსი სწორად მიხვდა, საითაც მიემგზავრებოდნენ (ეს ლოგიკური იყო), მისტერ გრეის სიურპრიზი ელოდა. ჯოუნსიმ არ იცოდა, შეშინებოდა თუ გახარებოდა, ბოლოს გააცნობიერა, რომ შიშსაც და სიხარულსაც ერთდროულად განიცდიდა.

აგერ, მწვანე ფირფიტაც წარწერით: 25-ე გადასახვევი – უიჩემსტრიტი.

ჯოუნსიმ ციმციმა ჩართო, უიჩემსტრიტზე დაეშვა და მარცხნივ შეუხვია, ნახევარი მილი გაიარა და კარტერსტრიტზე აღმოჩნდა –

აპმაილჰილსა და კანზასსტრიტისკენ მიმავალ აღმართზე, რომლის მეორე მხარეს ოდესღაც ტყიანი ბორცვი და მიკმაკის ტომის ინდიელთა აყვავებული დასახლება მდებარეობდა. ჩანდა, რომ ქუჩა რამდენიმე საათის გაუწმენდავი იყო, მაგრამ ბორბლები ჯიუტად ტკეპნიდა თოვლს. „რემი" ჯიუტად მიქროდა ქუჩის ორივე მხარეს გაჩერებულ, გორაკებად ქცეულ თოვლმიყრილ მანქანებს შორის, არადა მერიას წინასწარ გამოეცხადებინა, რომ მოსალოდნელი ქარბუქის გამო ტრანსპორტი უნდა გაეყვანათ.

შუაგზაზე მისტერ გრეიმ კვლავ ვიწრო ქუჩაზე შეუხვია, რომელსაც კარტერლუკაუტი ერქვა. „რემი" შეხტა და უკანა ბორბლები მოუცურდა. ლედმა თავი ასწია და დაიწკმუტუნა, მაგრამ უკანვე დადო, როცა საბურავები კვლავ მოეჭიდა თოვლს და მანქანა დინჯად გამოძვრა ნამქერიდან. ჯოუნსი ფანჯარას არ სცილდებოდა და ელოდა, როგორ მოიქცეოდა მისტერ გრეი, როდესაც აღმოაჩენდა, რომ... ერთი სიტყვით, როდესაც აღმოაჩენდა.

თავდაპირველად, როდესაც ფარების შუქმა ბორცვი გაანათა და იქ ქარი თოვლს ატრიალებდა, მისტერ გრეი ოდნავაც არ აღელვებულა, დარწმუნებული იყო, რომ რამდენიმე წამში დაინახავდა... რამდენიმე წამში კანზასსტრიტის თავზე გამოჩნდებოდა მაღალი თეთრი კოშკი, სახურავისკენ სპირალივით დახვეული ფანჯრებით. სულ რამდენიმე წამში...

მაგრამ ის რამდენიმე წამი აღარსად იყო. „რემმა" იმ ადგილამდე მიაღწია, რომელსაც ოდესღაც სტენდფაიფი ერქვა. აქ კარტერლუკაუტი და კიდევ სამი პატარა ქუჩა მდებარეობდა. ისინი დერის ყველაზე მაღალ და გაშლილ ადგილას აღმოჩნდნენ. ქარი საჰაერო განგაშის მაუწყებელი სირენასავით კიოდა და საათში არანაკლებ ორმოცდაათი, შიგადაშიგ კი სამოცდაათი-ოთხმოცი მილის სიჩქარით ქროდა. „რემის" ფარების შუქში ისე ჩანდა, თითქოს თოვლი ჰორიზონტალურად, ურიცხვი ნამცეცა ხანჯალივით ეცემოდა.

მისტერ გრეი გაუნძრევლად იჯდა. ჯოუნსის ხელები საჭეზე ჩამოცურდა და დაჭრილი ჩიტის მოტეხილ ფრთასავით ჩამოეკიდა. ბოლოს ჩაიბურტყუნა:

– სად არის?

მარცხენა ხელი ასწია, კარის სახელური მოძებნა და გააღო. მისტერ გრეი მანქანიდან გადავიდა და თოვლში ჯოუნსის მუხლებზე დაეცა. ბრაზიანმა ქარმა მაშინვე გამოსტაცა ხელიდან კალმისტარი. შემდეგ ის წამოდგა და მანქანას შემოუარა. ქურთუკის კალთები ფეხებზე სცემდა, შარვლის ტოტები იალქნებივით გაჰბეროდა. საშინლად ციოდა ("ძმები თრექერების" ოფისში სიგრილიდან სიცივემდე ტემპერატურის დაცემას სულ რამდენიმე წამი სჭირდებოდა), მაგრამ შავ-წითელ ღრუბელს, ჯოუნსის ტვინის უდიდესი ნაწილი რომ დაეკავებინა და მისი სხეულიც მოეპარა, ეს არ ანაღვლებდა.

– სად არის? – ჩასძახა მისტერ გრეიმ ქარიშხალს მოღრიალე პირში, – სად არის ის დაწყევლილი სტენდფაიფის კოშკი?

ჯოუნსის ყვირილი არაფერში სჭირდებოდა – ქარიშხლის მიუხედავად, მისტერ გრეი ჩურჩულსაც კი გაიგონებდა.

– ჰა-ჰა-ჰა, მისტერ გრეი, – თქვა მან, – დაგცინეს, მასხრად აგიგდეს! სტენდფაიფის კოშკი ჯერ კიდევ 1985 წელს დაანგრიეს.

6

ჯოუნსიმ გაიფიქრა, – მისტერ გრეი აქ რომ ყოფილიყო, ისტერიკა დაემართებოდა, ჭირვეული და განებივრებული ბავშვივით თოვლში იკოტრიალებდა, ფეხებს ააბაკუნებდა და ტირილს მორთავდაო. მიუხედავად მცდელობისა, რომ ჯოუნსის არ აჰყოლოდა, ის ისევე ვერ იკავებდა თავს ბრაზის ამონთხევისგან, როგორც ლოთი – სასმლისგან.

თუმცა, გაშმაგებისა და განრისხების ნაცვლად, მისტერ გრეიმ ჯოუნსის სხეული, გორაკის მოშიშვლებული თხემის გავლით, ქვის

კვადრატული კვარცხლბეკისკენ წაიყვანა, იქით, საითაც შვიდასიათასგალონიანი მტკნარი წყლის საცავი ეგულებოდა. მერე თოვლში დაეცა, გაჭირვებით წამოდგა, ჯოუნსის ნატკენი თეძო მოისრისა, ისევ დაეცა და წამოდგა, თან ბივერივით, ბავშვურად ილანძღებოდა: ძაღლის ნაფსამო, მაკოცე ტაკოში, ეშმაკის კერძო, მოდი, აქ მიკბინე, ქუდში ჩაატრაწე და თავზე ჩამოიფხატე.

ბივერის (ჰენრი ან პიტის) ნათქვამი ეს სიტყვები სასაცილოდ ჟღერდა, მობარბაცე, გაავებული მონსტრი-ადამიანისგან კი იმ უკაცრიელ გორაკზე, ქარბუქში, შემაძრწუნებლად ისმოდა..

მან, ანუ მისტერ გრეიმ, როგორც იქნა, მიაღწია „რემის" ფარებით გაჩახჩახებულ კვარცხლბეკს. ეს ხუთი ფუტის, დაახლოებით ბავშვის სიმაღლის, ახალი ინგლისისთვის დამახასიათებელი ქვის წყობა იყო. ზედ ედგა ბრინჯაოსგან ჩამოსხმული ხელჩაკიდებული ბიჭი და გოგო, თავი ისე დაეხარათ, თითქოს ლოცულობდნენ ან გლოვობდნენ.

კვარცხლბეკი თითქმის მთლიანად თოვლს დაეფარა, მაგრამ ზედა ნაწილზე მიმაგრებული ფირფიტა ჯერაც მოჩანდა. მისტერ გრეი ჯოუნსის მუხლებზე დადგა, თოვლი ხელით გადახვეტა და წაიკითხა:

ეძღვნება 1985 წლის 31 მაისს
ქარბუქში დაღუპულებსა
და ბავშვებს
ყველა ბავშვს
სიყვარულით
ბილი, ბენი, ბევი, ედი, რიჩი, სტეინი, მაიკი
უიღბლოთა კლუბი

მანქანის ფარების შუქით განათებულ ფირფიტაზე შესაშხურებლით უსწორმასწორო წითელი ასოები გამოეყვანათ:

პენიუაიზი ცოცხალია

7

მისტერ გრეი კიდევ ხუთი წუთის განმავლობაში იდგა გაუნძრევლად და არაფრად აგდებდა იმას, რომ ჯოუნსის ხელ-ფეხი თანდათან გაეყინა და გაუშეშდა (რაში ადარდებდა? ჯოუნსი მხოლოდ დაქირავებული მანქანა იყო, შეეძლოთ ისე ეტარებინა, როგორც მოესურვებოდა, სიგარეტის ნამწვი კი სავარძელზე ჩაექრო). იგი კვარცხლბეკზე მიმაგრებული წარწერის გაშიფვრას ცდილობდა. ქარბუქი? ბავშვები? უიღბლოები? ვინ ან რა იყო პენიუაიზი? და, რაც მთავარია, სად გაქრა სტენდფაიფის კოშკი, რომელიც, ჯოუნსის მოგონებების მიხედვით, აქ უნდა დახვედროდა?

ბოლოს წამოდგა, კოჭლობით მივიდა სატვირთო მანქანასთან, შიგ ჩაჯდა და გამათბობელი ჩართო. თბილი ჰაერის მოხვედრისთანავე ჯოუნსის ააკანკალა. მისტერ გრეი კი უკვე დაკეტილ კართან იდგა და ახსნა-განმარტებას ითხოვდა.

– ასე რატომ ბრაზობთ? – რბილად შეაპარა გაღიმებულმა ჯოუნსიმ. საინტერესოა, იგრძნობდა თუ არა მისტერ გრეი მის ღიმილს? – ჩემგან დახმარებას ელოდით? კარგი რა, მეგობარო. ცხადია, დეტალები არ ვიცი, მაგრამ მიახლოებითი გეგმა ასე წარმომიდგენია: ოცი წლის შემდეგ მთელი პლანეტა გავარვარებულ სფეროდ გადაიქცევა, ხომ ასეა? ყოველგვარი ოზონის ხვრელისა და ადამიანების გარეშე.

– ჭკუას ნუ მასწავლი! არ გაბედო!

ჯოუნსიმ მისტერ გრეის მორიგ ისტერიკამდე მიყვანის სურვილი ჩაიკლა. არ სჯეროდა, რომ დაუპატიჟებელი, თუნდაც განრისხებული სტუმარი კარის შემტვრევას შეძლებდა, მაგრამ ღირდა კი ტყუილუბრალოდ გარისკვა? გარდა ამისა, ჯოუნსი ემოციურად და ფიზიკურად გამოფიტული იყო, ნერვები სიმებივით დასჭიმოდა, პირში კი სპილენძის საზიზღარ გემოს გრძნობდა.

– როგორ გაქრა? – შესძახა მისტერ გრეიმ და მუშტი საჭეს დაარტყა, ეს ახლახან ისწავლა. კლაქსონმა საცოდავად დაიყვირა. ლედმა, ბორდერ კოლიმ, თავი ასწია და დიდი, შეშფოთებული თვალები საჭესთან მჯდომ ადამიანს მიაპყრო, – შენ ვერ მომატყუებდი!

მე შენი მოგონებები მაქვს!

– ეგრეა... მაგრამ მე შენ რაღაც მოგიმზადე. გახსოვს?

– რას გულისხმობ? მითხარი.

– ვითომ, რატომ? – ჰკითხა ჯოუნსიმ, – სანაცვლოდ რას მომცემ?

მისტერ გრეი დუმდა. ჯოუნსიმ იგრძნო, როგორ ათვალიერებდა იგი ფაილებს. მოულოდნელად კარს ქვემოდან და სავენტილაციო ხვრელიდან სუნმა შემოაღწია – მისი საყვარელი პოპკორნის, ყავისა და დედამისის გაკეთებული თევზის სუპის სურნელმა. მუცელი მაშინვე აუმხედრდა და საჭმელი მოსთხოვა.

– ცხადია, დედის რძეს ვერ გაგიჩენ, – თქვა მისტერ გრეიმ, – მაგრამ დაგანაყრებ. ალბათ გვარიანად მოგშივდა, არა?

– აბა რა! შენ ჩემს სხეულს დასვენების საშუალებას არ აძლევ, შეუბრალებლად ფანტავ ჩემს ემოციას და გინდა, რომ უჭმელ-უსმელმა გავძლო?

– აქედან სამხრეთით ერთი ადგილია – „დაიზარტსი" ჰქვია. თუ დაგიჯერებ, ის ოცდაოთხი საათის განმავლობაში – თქვენებურად, მუდმივად – ღიაა. თუ ამაშიც მომატყუე?

– არ მომიტყუებიხარ, – მიუგო ჯოუნსიმ, – თვითონაც ამბობ, რომ ეს შეუძლებელია. მართვის ღილაკები შენს ხელთაა, ისევე, როგორც მეხსიერების ბანკი. ყველაფერი მიიღე, გარდა იმისა, რაც აქ ჩავკეტე.

– სად აქ? როგორ შეიძლება, „აქ" არსებობდეს?

– არ ვიცი, – გულწრფელად აღიარა ჯოუნსიმ, – არც ის ვიცი, მაჭმევ თუ არა საჭმელს.

– მომიწევს, – თქვა კარის მეორე მხრიდან მისტერ გრეიმ და ჯოუნსი მიხვდა, რომ ისიც სიმართლეს ამბობდა. – თუ მანქანაში დროდადრო საწვავს არ ჩაასხამ, გაჩერდება, მაგრამ თუ ჩემს ცნობისმოყვარეობას დააკმაყოფილებ, შენს საყვარელ საჭმელს გაჭმევ. თუ არა და... – ხვრელებიდან ახლა გადახარშული ბროკოლისა და ბრიუსელის კომბოსტოს სუნი შემოვიდა.

– ეგრე იყოს, – დაეთანხმა ჯოუნსი, – ყველაფერს მოგიყვები, რასაც შევძლებ, შენ კი „დაიზარტსში" ჩემთვის ბლინებსა და ბეკონს აიღებ. საუზმე ოცდაოთხი საათის განმავლობაში, იცი, ეს სადაც არის. შევთანხმდით?

– შევთანხმდით. ახლა კი კარი გამიღე და ერთმანეთს ხელი ჩამოვართვათ.

ჯოუნსის სახეზე გაოცების ღიმილი აღებეჭდა – მისტერ გრეიმ პირველად სცადა გახუმრება და ეს არცთუ ცუდად გამოუვიდა. მან უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა და ასეთივე ღიმილი დაინახა იმ სახეზე, რომელიც მას აღარ ეკუთვნოდა. ტანში ჟრუანტელმა დაუარა.

– იქნებ, ხელის ჩამორთმევის ნაწილს გადავახტეთ? – თქვა მან.

– მომიყევი.

– კარგი, ოღონდ გაფრთხილებ: თუ პირობას დაარღვევ, ჩემგან ვეღარაფერს ეღირსები.

– გავითვალისწინებ.

სატვირთო მანქანა სტენდფაიფის წვერზე იდგა და რესორებზე ოდნავ ქანაობდა. ფარების შუქი სიბნელეში სინათლის კონუსებს ქმნიდა, შიგ ფიფქები ცეკვავდა. ჯოუნსიმ, რაც იცოდა, ყველაფერი უამბო მისტერ გრეის. მისი აზრით, ეს იდალური ადგილი იყო საშინელი ამბების მოსაყოლად.

8

1984 და 1985 წლები ძალზე უიღბლო აღმოჩნდა დერისთვის. 1984 წლის ზაფხულში ადგილობრივმა მოზარდებმა არხში დაახრჩვეს ერთი „ცისფერი". მომდევნო ათი თვის განმავლობაში უცნობმა მანიაკმა, რომელიც ზოგჯერ კლოუნივით იცვამდა, რამდენიმე ბავშვი გამოასალმა სიცოცხლეს.

– ვინ არის ეს ჯონ უეინ გეისი? – იკითხა მისტერ გრეიმ, – ბავშვების მკვლელი?

– არა, ვიღაც ტიპი შუა დასავლეთიდან, რომელიც მსგავსი მეთოდებით მოქმედებდა, – მიუგო ჯოუნსიმ, – თქვენ, ალბათ, არაფერი გესმით იმ ასოციაციური კავშირებისა, რომელსაც ჩემი გონება ქმნის, არა? თუმცა საიდან უნდა გესმოდეთ. დარწმუნებული ვარ, რომ იქ, საიდანაც გამოგვეცხადეთ, არც ისე ბევრი პოეტია.

მისტერ გრეიმ არაფერი უპასუხა. ჯოუნსის იმაშიც ეპარებოდა ეჭვი, რომ მან სიტყვა „პოეტის" მნიშვნელობა იცოდა. არც აინტერესებდა.

– ასე იყო თუ ისე, – განაგრძო ჯოუნსიმ, დერის საშინელმა ქარიშხალმა გადაუარა. ეს 1985 წლის 31 მაისს მოხდა. სამოცზე მეტი ადამიანი დაიღუპა. სტენდფაიფი მოჭრილ ხესავით წაიქცა და გორაკიდან კანზასსტრიტისკენ დაგორდა, – მან ხელი სატვირთო ავტომანქანის მარჯვნივ მდებარე, ბნელი ფლატესკენ გაიშვირა, – თითქმის სამი მეოთხედი მილიონი გალონი წყალი ქალაქის საქმიან ნაწილში შევარდა და საშინელი ნგრევა გამოიწვია. მაშინ კოლეჯში გამოსაშვებ გამოცდებს ვაბარებდი. მამამ დამირეკა და დეტალები შემატყობინა, მაგრამ მე ისედაც ყველაფერი ვიცოდი ტელევიზიიდან და გაზეთებიდან.

ჯოუნსი გაჩუმდა და ჩაფიქრდა. მის წინ ახლა შელანძღული და ჭუჭყიანი კი არა, შესანიშნავად მოწყობილი, მშვენიერი და კომფორტული ოფისი იყო (ქვეცნობიერად, სახლიდან ერთი დივანი და იმზის შესანიშნავი, უნივერსიტეტის მასწავლებლის ხელფასისთვის მიუწვდომელი სკამი დაამატა, რომელიც თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში ნახა), იმ ცივ სამყაროზე გაცილებით უკეთესი, სადაც მის დამპყრობელს უხდებოდა ყოფნა. – ჰენრიც უნივერსიტეტში იყო. ჰარვარდში. პიტი თავის მეგობარ ჰიპებთან ერთად დასავლეთის სანაპიროზე დაეხეტებოდა. ბივერი ორწლიან კოლეჯში, როგორც შემდგომში ჰყვებოდა, ჰაშიშის წევასა და ვიდეოთამაშებში ვარჯიშობდა.

როდესაც დერის ქარიშხალმა შეუტია, იქ მათგან მხოლოდ დადიტსი იყო... მაგრამ ჯოუნსიმ აღმოაჩინა, რომ დადიტსის სახელის ხსენება არ სურდა.

მისტერ გრეიმ არაფერი თქვა, მაგრამ ჯოუნსი აშკარად გრძნობდა მის მოუთმენლობას. მისტერ გრეის მხოლოდ სტენდფაიფი და ის აინტერესებდა, თუ როგორ მოახერხა ჯოუნსიმ მისი გაცურება.

– მომისმინეთ, მისტერ გრეი. თუკი აქ ვინმე მოატყუეს, მე არაფერ შუაში ვარ. საკუთარ თავს დააბრალეთ. მხოლოდ რამდენიმე ყუთი მაქვს, წარწერით დერი. მაშინ მოვიტანე, როდესაც დაკავებული იყავით – იმ საცოდავ ჯარისკაცს კლავდით.

– ის საცოდავი ჯარისკაცები ციდან ხომალდებით მოფრინდნენ და ყველა ჩემიანი მოკლეს, თუკი სადმე წააწყდნენ.

– რას მეუბნებით! ? კაცი იფიქრებს, თითქოს აქ იმიტომ ჩამოხვედით, რომ გალაქტიკურ საკვირაო სკოლაში მიგეწვიეთ.

– ასე რომ ყოფილიყო, სხვანაირად შეგვხვდებოდით?

– სულაც არ მინდა ჰიპოთეზების განხილვა, – თქვა ჯოუნსიმ, – განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პიტსა და სატვირთო მანქანის მძღოლს დამართეთ. არც ინტელექტუალურ დისკუსიას ვაპირებ თქვენთან.

– ჩვენ იმას ვაკეთებთ, რაც უნდა გავაკეთოთ.

– შესაძლოა, მაგრამ გიჟი უნდა იყოთ, თუ ჩემი დახმარების იმედი გაქვთ.

ძაღლი ჯოუნსის კიდევ უფრო შეცბუნებული მიაჩერდა. როგორც ჩანს, არ იყო ისეთ პატრონებს მიჩვეული, რომლებიც საკუთარ თავს გაცხოველებით ესაუბრებოდნენ.

– სტენდფაიფი თექვსმეტი წლის წინ, 1985 წელს წაიქცა, მაგრამ შენ ეს მოგონება მოიპარე?

– ასე ვთქვათ. თუმცა, არა მგონია, მოსამართლემ და ნაფიცმა მსაჯულებმა მხარი დაგიჭირონ, ვინაიდან, ეს ჩემი საკუთარი მოგონებებია.

– კიდევ რა მოიპარე?

– ეს ჩემი საქმეა, თქვენი კი – ფიქრი და გამოცნობა.

კარზე ხმამაღალი, მოუთმენელი ბრახუნი ატყდა და ჯოუნსის კვლავ გაახსენდა ზღაპარი სამ გოჭზე. „უბერეთ და უბერეთ სული, მისტერ გრეი. გაშმაგებისგან დატკბით“.

მაგრამ მისტერ გრეი, როგორც ჩანს, კარს მოსცილდა.

– მისტერ გრეი! – დაუძახა ჯოუნსიმ, – არ გაბრაზდეთ, კარგი?

მისტერ გრეი, სავარაუდოდ, კვლავ ინფორმაციის მოსაძიებლად წავიდა. სტენდფაიფი დაეცა, მაგრამ დერი ისევ თავის ადგილზე იდგა. აქედან გამომდინარე, წყალი მას საიდანღაც აუცილებლად მიეწოდებოდა. იცოდა კი ჯოუნსიმ – საიდან?

ჯოუნსიმ არ იცოდა. მხოლოდ ის ახსოვდა, ისიც ბუნდოვნად, რომ როდესაც კოლეჯიდან დაბრუნდა, წყალს ბოთლებით ყიდულობდნენ. დროთა განმავლობაში ონკანები კვლავ ამუშავდა, მაგრამ ოცდაერთი წლის ასაკში იმაზე უფრო მეტს ფიქრობ, თუ როგორ შეუძვრე მერი შრატს კაბის ქვეშ. წყალი მოდის, სვამ და მაშინვე ივიწყებ. იშვიათად თუ გაგახსენდება, ისიც მუცლის ტკივილის ან სლოკინის დროს.

მისტერ გრეისგან წამოსული ფრუსტრაციის იმპულსი? თუ ეს მხოლოდ მისი წარმოსახვის ნაყოფი იყო?

ჯოუნსი გულწრფელად იმედოვნებდა, რომ – არა.

კარგად კი გამოვიდა... ამაზე მათი ოთხეული, ყმაწვილკაცობაში, – დაგლიჯაო, – იტყოდა.

9

რობერტა ქეველი ცუდმა სიზმარმა გამოაღვიძა. მიიხედ-მოიხედა. ეგონა, სიბნელეში აღმოჩნდებოდა, მაგრამ საათის ციფერბლატზე კვლავაც მეგობრულად ციმციმებდა ცისფერი ციფრები. მაშასადამე, დენი არ გამორთულა. გაუკვირდა, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ზრიალებდა ქარისგან ფანჯრები.

საათი ორის ოთხ წუთს უჩვენებდა. რობერტამ ტუმბოზე მდგარი ლამპა აანთო, რათა სადენების გაწყვეტამდე ცოტა ხნით მაინც ჰქონოდა სინათლე. რამ გააღვიძა? ქარმა? ცუდმა სიზმარმა? სიზმარი მართლაც საშინელი იყო – უცხოპლანეტელებისა და სიკვდილის სხივების შესახებ, ყველა სადღაც გარბოდა... მაგრამ არა, სიზმარს არ ჰგავდა.

ამ დროს ქარი ოდნავ მიწყნარდა და რობერტა მიხვდა, რამ წამოაგდო ლოგინიდან – დადიტსის ხმამ ქვედა სართულიდან. დადიტსი... მღეროდა? ნუთუ ეს შესაძლებელი იყო? თანაც გუშინდელი მძიმე შუადღისა და საღამოს შემდეგ, კინაღამ ჭკუიდან რომ გადავიდნენ.

– იერი არია! @ ყვიროდა იგი ორიდან ხუთ საათამდე, რაც ნიშნავდა: „ბივერი მკვდარია! "

ვერაფრით მოახერხა შვილის დაწყნარება. ბოლოს დადიტსს ცხვირიდან სისხლი წასკდა. რობერტას ამის ძალიან ეშინოდა. ზოგჯერ სისხლს ვერ უჩერებდა ხოლმე და საავადმყოფოში მიჰყავდა. ამჯერად, რობერტამ მოახერხა გამკლავება. დადიტსს ცხვირში ბამბის ტამპონები ჩასჩარა, თავი გადააწევინა და ძგიდეზე ხელი მოუჭირა. შემდეგ ექიმ ბრისკოს დაურეკა, რათა გაეგო, მიეცა თუ არა შვილისთვის ვალიუმის ტაბლეტი, მაგრამ ექიმი ბრისკო ნასაუში წასულიყო. უკაცრავადო, – უპასუხეს. სხვები გამოძახებაზე იმყოფებოდნენ. ერთი ახალგაზრდა ექიმიღა რჩებოდა, მაგრამ მას დადიტსი არასდროს ენახა და ამიტომ, რობერტამ აღარ დაურეკა. გარისკა და დადიტსს ვალიუმი დაალევინა, ფერმკრთალ, გამშრალ ტუჩებსა და პირში ლიმონის არომატის მქონე გლიცერინიანი ტამპონი წაუსვა. დადიტსს გამუდმებით აწუხებდა სტომატიტი და წყლულები, მიუხედავად იმისა, რომ ქიმიოთერაპია დიდი ხნის წინ დაასრულა. სამუდამოდ.

ექიმები – ბრისკოცა და სხვებიც – ცდილობდნენ, ეს აღარ ეხსენებინათ და კათეტერი აღარ მოუხსნიათ, მაგრამ ყველაფერი დასრულებული იყო. რობერტა აღარ დაუშვებდა, რომ მის შვილს ის ჯო-

ჯოხეთი კიდევ გაევლო. როგორც კი დადიტსმა აბი გადაყლაპა, რობერტამ დააწვინა და გვერდით მიუწვა. ისე მოეხვია, რომ მის მარცხენა ხელს არ შეხებოდა, იქ კათეტერი გამოჩრილიყო – და სიმღერა წამოიწყო. ოღონდ – არა ბივერის იავნანა. იმ დღეს არ ღირდა.

მოგვიანებით, როდესაც შვილი ცოტათი დაწყნარდა და თითქოს ჩაეძინა, მან ფრთხილად ამოუღო ბამბა ნესტოებიდან. ერთი ცალი კანზე მიმხმარიყო და დადიტსმა მაშინვე თვალი გაახილა – ეს რაღაც მშვენიერ, მწვანე აფეთქებას ჰგავდა. რობერტას ხშირად უფიქრია, რომ სწორედ თვალები იყო დადიტსისთვის ნამდვილი საჩუქარი და არა ხაზის დანახვის უნარი და ყველაფერი, რაც მას უკავშირდებოდა.

– ეიკო.

– რა მოხდა, დადი?

– იერი აშია?

ამ სიტყვების გაგონებაზე რობერტას გული შეეკუმშა. გაახსენდა ბივერის სასაცილო ტყავის ქურთუკი, რომელიც ისე უყვარდა, რომ სანამ ბოლომდე არ გაცვითა, არ გაუხდია. სხვა ყოფილიყო, ნებისმიერი – მათი ოთხეულიდან, ქალი კიდევ დაეჭვდებოდა შვილის წინათგრძნობაში. მაგრამ თუ დადიტსმა თქვა, რომ ბივერი მოკვდა, მაშასადამე, ეს თითქმის სიმართლე იყო.

– ჰო, საყვარელო, დარწმუნებული ვარ, ბივერი ცაშია. ახლა კი ძილის დროა.

რამდენიმე უსასრულო წამის განმავლობაში მწვანე თვალები მას თითქოს სულში ჩაჰყურებდა და რობერტას მოეჩვენა, რომ შვილი საცაა ატირდებოდა – მართლაც, ერთი მოზრდილი, იდეალური ფორმის ცრემლი გაუპარსავ ლოყაზე ჩამოგორდა. ბოლო დროს დადიტსი თითქმის ვეღარ იპარსავდა, „ფილიპსის“ ელექტროსამართებელიც კი მრავალრიცხოვან პატარ-პატარა ნაკაწრს უტოვებდა, საიდანაც შემდეგ საათობით სდიოდა ჟუჟღი. მან თვალები დახუჭა და ქალი ფეხაკრეფით გავიდა ოთახიდან.

საღამოს, როდესაც შვილს შვრიის ფაფას უმზადებდა (ნებისმიერი საკვების მიღებისას, ყველაზე უგემურისა და წყალწყალას გარდა, პირღებინება ეწყებოდა – მოახლოებული აღსასრულის კიდევ ერთი ნიშანი), კოშმარი განახლდა. ჯეფერსონტრექტიდან მოსული უცნაური ახალი ამბებით შეშინებული რობერტა ქოშინით გავარდა დადიტსის საძინებლისკენ. ის საწოლში წამომჯდარიყო, თავს ბავშვურად ჯიუტად აქნევდა და თითქოს ვიღაცას ეკამათებოდა. სისხლდენა განუახლდა და თავის ყოველ გაქნევაზე სისხლის წვეთები ყველაფერს ალაქავებდა: ბალიშს, ოსტინ პაუერსის[172] ავტოგრაფიან ფოტოსურათსა (ქვემოთ ეწერა „მშვენიერ ბავშვს“) და მაგიდაზე დადებულ კბილების სავლებს, „კომპაზინს“, „პერკოსეტს“, უსარგებლო მულტივიტამინებს, ლიმონისსუნიანი ტამპონების მაღალ კოლოფს.

ამჯერად, პიტის გამო განიცდიდა. განაცხადა, რომ ისიც მომკვდარიყო – საყვარელი (და ხშირად არცთუ საზრიანი) პიტერ მური. „ღმერთო ჩემო, ნუთუ ეს სიმართლეა? ყველაფერი სიმართლეა? თუ მხოლოდ ნაწილი? “

ისტერიკული ტირილის მეორე შეტევა დიდხანს არ გაგრძელებულა, შესაძლოა იმიტომ, რომ პირველმა ქანცი გააცალა. საბედნიეროდ, რობერტამ სისხლდენის შეჩერება მოახერხა, შემდეგ თეთრეული გამოცვალა, რისთვისაც დადიტსი ფანჯარასთან მდგარ სავარძელში გადასვა. ისიც მორჩილად მიაჩერდა სიბნელეს, სადაც ქარი ზუზუნით მიაქროლებდა თოვლის ფანტელებს. ზოგჯერ სლუკუნით და ისე მწარედ ამოიოხრებდა, რომ რობერტას გულ-მუცელი ეწვოდა. გამხდარი, ფერმკრთალი და სრულიად გამელოტებული შვილის დანახვაზეც კი ტკივილს განიცდიდა. მან დადიტსს კეპი მისცა „რედ სოქსის“ ემბლემითა და წინაფრაზე სახელგანთქმული პედრო მარტინესის ავტოგრაფით (რამდენი მშვენიერი ნივთი ეძლევა ადამიანს, როდესაც ცოტა ხნის სიცოცხლე დარჩა, – უკვირდა ხოლმე რობერტას), ეშინოდა, თავზე არ შესცივდესო, მაგრამ შვილმა მისი

[172] რამდენიმე მხატვრული კომედიური ფილმის პერსონაჟი, სუპერაგენტი.

დახურვა არ ისურვა, მუხლებზე დაიდო და ისევ სიბნელეს მიაჩერდა დიდრონი სევდიანი თვალებით.

ბოლოს, რობერტამ მოახერხა და საწოლში გადაიყვანა, სადაც კვლავ შეეჩეხა მის მომაკვდავ, მწვანე ნათებას.

– იტიც აშია?

– ჰო, დადი, პიტიც ცაშია, დარწმუნებული ვარ.

არა, არ უნდა ვიტირო, – გაიფიქრა რობერტამ, – არავითარ შემთხვევაში, თორემ ისიც იტირებს.

მაგრამ დაუპატიჟებელი ცრემლები თვალზე ადგა. თავი მარილიანი სითხით სავსე ჭურჭელი ეგონა, ყოველ შესუნთქვაზე ზღვის სუნი სცემდა.

– აში იერთან ეადაა?

– ჰო, საყვარელო, ბივერთან ერთადაა.

– მე აავ იერს და იტს აში?

– ჰო, აუცილებლად ნახავ ცაში, ოღონდ დიდი ხნის შემდეგ.

დადიტსმა თვალები დახუჭა. რობერტა საწოლის კიდეზე ჩამოჯდა, ხელებზე დაიხედა და ენით აუწერელი მწუხარება და მარტოობა იგრძნო.

იგი სასწრაფოდ ჩავიდა ქვევით. დადიტსი მართლაც მღეროდა. რობერტას თავისუფლად შეეძლო შვილის ენაზე საუბარი (რატომაც არა? ბოლო ოცდაათზე მეტი წლის განმავლობაში ეს მისი მეორე მშობლიური ენა იყო), ამიტომაც ზედმეტი დაძაბვის გარეშე გაშიფრა თითქოსდა უაზრო ბგერები:

– სკუბი-დუბი-დუ, სად ხარ? ჩვენ რაღაც სამუშაო უნდა შევასრულოთ. მაგრამ, სკუბი-დუ, დახმარება გვჭირდება...

ქალმა ოთახში შეირბინა. არ იცოდა, იქ რა დახვდებოდა. ამას კი ნამდვილად არ ელოდა: ოთახი დღესავით გაჩახჩახებულიყო, ყველა ნათურა ენთო. დადიტსს ტანსაცმელი ჩაეცვა, პირველად მისი უკანასკნელი (და საბოლოო, ექიმ ბრისკოს აზრით) რემისიის შემდეგ: საყვარელი ველვეტის შარვალი, მაისური გრინჩის გამოსახულებით

და დაბამბული ჟილეტი. თავზე „რედ სოქსის“ ქუდი ეხურა. კვლავინდებურად ფანჯარასთან მდგარ სავარძელში იჯდა და ღამეს გასცქეროდა. არც დაღვრემილი გამომეტყველება, არც ცრემლი. ქარიშხალს სიხარულით გაბრწყინებული თვალებით მისჩერებოდა, ისევე, როგორც უწინ, ავადმყოფობამდე, რომელიც მას შეუმჩნევლად, ერთი შეხედვით უმნიშვნელო სიმპტომებით ეწვია: ეზოში ფრისბის[173] მცირე ხნით თამაშიც საკმარისი იყო, რომ ძლიერი დაღლა ეგრძნო და სუნთქვა შეკვროდა, მსუბუქი მირტყმის დროსაც კი დიდი ჩალურჯებები უჩნდებოდა და ძალზე ნელა უქრებოდა. სწორედ ისე გამოიყურებოდა, როგორც...

რობერტას ამაზე ფიქრი არ შეეძლო, ნერვები არ ჰყოფნიდა.

– დადიტს! დადი, რა...

– ეიკო! ადაა ემი აუმის უთი? – „დედიკო, სადაა ჩემი საუზმის ყუთი?“

– სამზარეულოში, მაგრამ ახლა ღამეა, დადი. და თოვს. შენ ვერ...

„შენ ვერსად წახვალ“, – უნდოდა ეთქვა რობერტას, მაგრამ ამის სათქმელად ენა არ მოუბრუნდა. შვილს თვალები უბრწყინავდა. იქნებ, თვითონაც უნდა გახარებოდა დადიტსის ასეთი მოყოჩაღება, მაგრამ პირიქით, უფრო მეტად შეეშინდა.

– უთი იება! აუმე იება! – „ყუთი მჭირდება! საუზმე მჭირდება!“

– არა, დადიტს! – შესძახა რობერტამ, რომელიც ცდილობდა, სიმტკიცე გამოეჩინა, – შენ უნდა გაიხადო და დაწვე. მეტი არაფერი. მოდი, მოგეხმარები.

მაგრამ როგორც კი მიუახლოვდა, დადიტსმა ხელები ასწია, გულზე დაიკრიფა, მარცხენა ხელისგული მარჯვენა ლოყაზე მიიდო, მარჯვენა კი – მარცხენაზე. ადრეული ბავშვობიდან პროტესტს ამ ერთადერთი ფორმით გამოხატავდა. ეს საკმარისი იყო. ახლაც ასე მოხდა. რობერტას არ უნდოდა მისი წყენინება, რასაც, შესაძლოა, მორი-

[173] მფრინავი დისკებით თამაში.

გი სისხლდენა გამოეწვია. თუმცა, არც საუზმის მომზადებას აპირებდა ღამის ორის თხუთმეტ წუთზე. კატეგორიულად არ აპირებდა.

ქალი საწოლს მოშორდა და დაჯდა. ოთახში თბილოდა, მაგრამ რობერტას შესცივდა, მიუხედავად იმისა, რომ ფლანელის თბილი პერანგი ეცვა. დადიტსმა ხელები ნელა ჩამოუშვა, თან ყურადღებით მისჩერებოდა დედას.

– თუ გინდა, იჯექი, – თქვა ქალმა, – მაგრამ რა საჭიროა? სიზმარი ნახე, დადი? ცუდი სიზმარი?

შესაძლოა, სიზმარი ნახა, ოღონდ ცუდი არ უნდა ყოფილიყო. ამას მისი განათებული სახე მოწმობდა. რობერტას გაახსენდა ეს გამომეტყველება: ასე გამოიყურებოდა ის მშვენიერ ოთხმოციან წლებში, როდესაც ჰენრისთან, პიტთან, ბივერთან და ჯოუნსისთან მეგობრობდა. სანამ ისინი არ წამოიზარდნენ და ცხოვრების სხვადასხვა გზას არ დაადგნენ. მას შემდეგ იშვიათად ურეკავდნენ და კიდევ უფრო იშვიათად მოდიოდნენ სანახავად. თავიანთი საქმე და საზრუნავი ჰქონდათ და თანდათან დაივიწყეს ის, ვინც აქ, დერიში დარჩა.

სწორედ ასე იყურებოდა ხოლმე დადიტსი, როდესაც გრძნობდა, რომ მეგობრები მასთან სათამაშოდ მოსვლას აპირებდნენ. ზოგჯერ ერთად მიდიოდნენ სტროფორდ-პარკში ან ბარენსში (იქ სირბილი ეკრძალებოდათ, მაგრამ მაინც დარბოდნენ. ეს რობერტამაც იცოდა და ელფიმაც, ერთხელ ამის გამო გაზეთის პირველ გვერდზეც მოხვდნენ). შიგადაშიგ ელფის ან რომელიმე მშობელს ხუთივე მათგანი მინიგოლფის აეროპორტში ან ნიუპორტის გასართობ ცენტრში მიჰყავდა. ასეთ დღეებში რობერტა დადიტსის სკუბი-დუს საუზმის ყუთში სენდვიჩს, ნამცხვარსა და რძით სავსე თერმოსს დებდა.

იგი ფიქრობს, რომ ახლა მისი მეგობრები მოვლენ. ალბათ, ჰენრი და ჯოუნსი. რადგან ამბობს, რომ პიტი და ბივერი...

მოულოდნელად, რობერტას გონებაში საშინელი სურათი წარმოუდგა და ხელები ნერვიულად მომუშტა: დაინახა, როგორ გააღო კარი მას შემდეგ, რაც ღამის სამ საათზე კაკუნი მოესმა. არ უნდოდა

ამის გაკეთება, მაგრამ საკუთარი თავი ვერაფრით შეაჩერა. ზღურბლზე ცოცხალი ადამიანების ნაცვლად მიცვალებულები იდგნენ – ბავშვობაში დაბრუნებული ბივერი და პიტი, როგორც იმ დღეს, როცა მათ პირველად შეხვდა; როცა მათ დადი საშინელ დამცირებას გადაარჩინეს და მშვიდობიანად მოიყვანეს სახლში. ბივერს კვლავაც მოტოციკლეტისტის ქურთუკი ეცვა ურიცხვი ელვაშესაკრავით, პიტს კი – სვიტერი ჭრილითა და მკერდის მარცხენა მხარეს გაკეთებული წარწერით NACA, რომლითაც ძალიან ამაყობდა. მათგან სიცივე მოდიოდა. გაფითრებულები მიცვალებულთა მოწყენილი, შავად მოელვარე თვალებით იყურებოდნენ. არც ღიმილი, არც მისალმება. ჯო ბივერ კლარენდონმა მისკენ ნაბიჯი გადადგა და საქმიანად გაიწვდინა მომწვანო-მოყვითალო ხელები, ზღვის ვარსკვლავასავით გაფარჩხული თითები: „დადიტსის წასაყვანად მოვედით, მისის ქეველ. ჩვენ მოვკვდით, ახლა ისიც მკვდარია“.

რობერტას ტანში ჟრუანტელმა დაუარა; ხელი ხელს შემოჰკრა. დადიტსს არაფერი დაუნახავს – ფანჯარაში მოთმინებით იყურებოდა და ელოდა, შემდეგ ისევ ამღერდა, ოღონდ ძალიან ხმადაბლა:

– უბი-უბი-უ-უ, ად არ? ენ ააც აუშაო უდა ეააუულოოოთ...

10

– მისტერ გრეი?

ისევ დუმილი. ჯოუნსი ოფისის კართან იდგა, რომელიც ახლა აშკარად მას ეკუთვნოდა – „ძმები თრექერებისგან“ ჭუჭყიანი ფანჯრების გარდა აღარაფერი დარჩენილიყო (კაბაწამოხდილი გოგონას პორნოგრაფიული სურათიც კი ვან გოგის „მზესუმზირებს“ ჩაენაცვლებინა). სულ უფრო მოუსვენრად იყო. ნეტავ, რას ეძებდა ის ნაძირალა?

– მისტერ გრეი, სად ხართ?

პასუხს ვერც ამჯერად ეღირსა, მაგრამ იგრძნო, რომ მისტერ

გრეი ბრუნდებოდა... თანაც კმაყოფილი და ბედნიერი. ის ბოზიშვილი ბედნიერი იყო!

ჯოუნსი კიდევ უფრო შეშფოთდა.

– მომისმინეთ, – თქვა მან და შუბლითა და ხელებით თავშესაფრის კარს მიეყრდნო, – თქვენთან ერთი წინადადება მაქვს, მეგობარო: ისედაც, ნახევრად ადამიანი ხართ. ბარემ, მთლიანად გარდაიქმენით. მაშინ მშვიდობიან თანაარსებობასაც შევძლებთ. მე თქვენ აქაურობასთან შეგუებაში დაგეხმარებით, ყველაფერს აგიხსნით. ნაყინი მშვენიერი რამ არის, ლუდი – კიდევ უკეთესი. აბა, რას იტყვით?

მოეჩვენა, რომ მისტერ გრეი კინაღამ აჰყვა ცდუნებას, თუკი იმ უფორმო არსებას ეს უნარი საერთოდ ჰქონდა, მაშინ ურთიერთხელსაყრელი გაცვლა შედგებოდა, როგორც ზღაპრებში ხდება ხოლმე.

მაგრამ მისტერ გრეიმ ცდუნებას გაუძლო.

შემდეგ კარი გაჯახუნდა, გაისმა სტარტერის ხმა და ძრავაც აღმუვლდა.

– საით გაგვიწევია, მეგობარო? გგონია, სტენდფაიფიდან დაშვებას შევძლებთ?

არანაირი პასუხი. მხოლოდ შემაშფოთებელი შეგრძნება, რომ მისტერ გრეი რაღაცას ეძებდა... და იპოვა კიდეც.

ჯოუნსი სასწრაფოდ ფანჯრისკენ გაემართა და სწორედ იმ დროს გაიხედა გარეთ, როცა სატვირთო მანქანის ფარების შუქმა დაღუპულთა ძეგლის კვარცხლბეკი გაანათა. წარწერა კვლავ თოვლს დაეფარა. როგორც ჩანს, აქ გარკვეული ხანი მდგარან.

„დოჯ რემმა" ნელა, ფრთხილად გაიარა ნამქერი, ბამპერამდე რომ სწვდებოდა და გორაკიდან დაეშვა.

ოცი წუთის შემდეგ ისინი კვლავ გზატკეცილზე აღმოჩნდნენ და სამხრეთისკენ გაემგზავრნენ.

თავი მეჩვიდმეტე
გმირები

1

ოუენი ხმამაღლა ეძახდა ჰენრის, მაგრამ ამაოდ: დაღლილ-დაქანცულ კაცს ღრმად ეძინა. შემდეგ გონებით სცადა მასთან დაკავშირება. ახლა, როდესაც ბაირუსი საგრძნობლად მომძლავრებულიყო, ამის გაკეთება აღარ უჭირდა. სამწუხაროდ, მარჯვენა ხელის სამ თითზე სოკო მოსდებოდა. სოკოს მარცხენა ყურის ნიჟარაც მოწითალო, ქავილის გამომწვევი ფენით დაეფარა. ოუენს ორი კბილიც ჩამოსცვივდა, მაგრამ წარმოქმნილ ხვრელებში ჯერ არაფერი ეზრდებოდა.

კურცსა და ფრედის არაფერი სჭირდათ – ჩანს, კურცის თვითგადარჩენის ძლიერი ინსტინქტის წყალობით. ორი გადარჩენილი ვერტმფრენის, ოუენისა და ჯო ბლეიკის ეკიპაჟების წევრები კი ბაირუსით უიმედოდ დაავადებულიყვნენ. ფარდულში ჰენრისთან პირველი საუბრისას ოუენს თანამემამულეების ხმამაღალი შეძახილი გონებაში ექოსავით ჩაესმოდა. ჯერჯერობით, ისინი ახერხებდნენ და მის

მსგავსად, თავიანთ უბედურებას, მასავით, ზამთრის ტანსაცმლის ქვეშ მალავდნენ, მაგრამ ასე ვერ გაგრძელდებოდა და ფიქრობდნენ, რა ეღონათ.

ოუენს მიაჩნდა, რომ მათთან შედარებით გაუმართლა, რადგან საქმე მაინც ჰქონდა.

იგი ფარდულის ფანჯარასთან იდგა, ცდილობდა, სადენებს არ შეხებოდა და მორიგ სიგარეტს ეწეოდა, ყოველგვარი სურვილის გარეშე. ბოლოს, გონებით ჰენრის მოსაძებნად გაემართა და დაინახა, როგორ ეშვებოდა ის ბალახით დაფარულ ციცაბო ფერდობზე. მწვერვალიდან სოფთბოლის თუ ბეისბოლის მოთამაშე ბავშვების ჟრიამული ისმოდა. ჰენრი მოზარდი იყო და ვიღაცას ეძახდა – ჯეინის? ჯოლის? ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა? იგი სიზმარს ხედავდა და ოუენს რეალობაში უნდა დაებრუნებინა. ჰენრის ისედაც დიდხანს ეძინა (გათვალისწინებულზე საათით მეტი), მაგრამ თუ რამეს აპირებდნენ, სწორედ ახლა იყო დრო.

„ჰენრი", – დაუძახა მან.

მოზარდმა დაბნეულად მიიხედ-მოიხედა. მის გვერდით სხვა ბიჭებიც იყვნენ... სამნი... არა, ოთხნი. ერთი მათგანი რაღაც მილის მსგავსში იყურებოდა. სახეების გარჩევა ჭირდა, მაგრამ ოუენს ეს არ ადარდებდა. ის ჰენრის ეძებდა და არა მუწუკებიან, შეშინებულ ორეულს. მას მამაკაცი სჭირდებოდა.

„ჰენრი, გაიღვიძე".

„არა, ის გოგო იქაა. უნდა ამოვიყვანოთ. ჩვენ"...

„ვინც გინდა იყოს, ვირთხის კუდადაც არ მიღირს. გაიღვიძე".

„მაგრამ მე"...

„დროა, ჰენრი, გაიღვიძე. ადექი, გაიღვიძე"...

2

„...შენი დედაც! "

ჰენრიმ შეჰყვირა, წამოჯდა და იქაურობა მოათვალიერა. ვერ გაეგო, ვინ იყო და სად იმყოფებოდა. ეს, ცხადია, არ მოეწონა, მაგრამ უფრო იმან შეაშფოთა, რომ არ იცოდა, რომელ დროში აღმოჩნდა. თვრამეტი წელი შესრულებოდა, ოცდათვრამეტი თუ რაღაც საშუალო? ბალახის სუნს გრძნობდა, ყურში ბურთზე საცემელას დარტყმის ხმა (სოფტბოლის საცემელასი, რომელსაც გოგონები თამაშობდნენ, ყვითელ ბლუზებში გამოწყობილი გოგონები) და პიტის შეძახილი ჩაესმოდა: „ის გოგო აქ არის, ბიჭებო, ვფიქრობ, ის აქ არის! "

– პიტმა დაინახა ის, ხაზი დაინახა, – ჩაიბურტყუნა ჰენრიმ, მაგრამ თვითონაც არ იცოდა, რაზე ლაპარაკობდა. სიზმარი თანდათან ქრებოდა. მკვეთრი გამოსახულებები რაღაც მუქმა შეცვალა – იმან, რაც უნდა გაეკეთებინა ან რისი გაკეთებაც უნდა ეცადა. თივისა და მარიხუანის მომჟავო-მოტკბო სუნი შეისუნთქა.

„მისტერ, შეგიძლიათ, დაგვეხმაროთ? "

დიდი, ფურირმის თვალები. გოგონას მარშა ერქვა. ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა. „ალბათ, არა, – მიუგო მან,– თუმცა, შესაძლოა".

„ადექი, ჰენრი! ოთხს თხუთმეტი აკლია, ასოს შეეშვი და წინდებს მიხედე".

ეს მძლავრი და მბრძანებლური შეძახილი იყო, ახშობდა კიდეც სხვა ხმებს. „სონიდან" წამოსულს ჰგავდა, როცა ელემენტები ახალია და ხმაც ბოლომდეა აწეული. ოუენ ანდერჰილის ხმა. თვითონ კი ჰენრი დევლინი იყო. და თუ რაიმეს გაკეთება უნდოდათ, ახლავე უნდა ესინჯათ.

ჰენრი წამოდგა და დაბუჟებული ფეხებიდან, მხრებიდან, ზურგიდან და კისრიდან წამოსული ტკივილის გამო შეიჭმუხნა. დანარჩენ ადგილებში ბაირუსი უტევდა. სანამ ფანჯრისკენ პირველ ნაბიჯს გადადგამდა, თავი ასი წლის ბერიკაცს შეადარა, ცოტა დაფიქრდა და ათი წელი კიდევ დაუმატა.

3

ოუენმა ფანჯარასთან ვიღაცის სილუეტს მოჰკრა თვალი, შვებით ამოისუნთქა და თავი დაუქნია. ჰენრი მისთვის ყველაზე უიღბლო დღეს მათუსალასავით[174] გადაადგილდებოდა, საბედნიეროდ, ოუენს შეეძლო საქმის გამოსწორება, დროებით მაინც. მას ის ახალგახსნილი იზოლატორიდან მოეპარა, სადაც ისეთი ალიაქოთი იყო, რომ მისთვის არავის ეცალა. მთელი ამ დროის განმავლობაში ტვინის წინა ნაწილს ჰენრის მიერ ნასწავლი ორი მაბლოკირებელი მანტრათი იცავდა: „მოვახტეთ ცხენს და გავქუსლოთ საითკენ? ბენბერი-კროსისკენ, ბენბერი-კროსისკენ“ და „დიახ, ჩვენ შეგვიძლია-შეგვიძლია, დიახ, ჩვენ შეგვიძლია, დიახ, ჩვენ შეგვიძლია-შეგვიძლია, ღვთის შეწევნით, შეგვიძლია“.

ჩამხშობების მუშაობის პროცესში მისკენ მომართული რამდენიმე უცნაური მზერა შეამჩნია, მაგრამ შეკითხვა არავის დაუსვამს. ამინდიც კი ცდილობდა მათ დახმარებას – ქარბუქი არ ცხრებოდა.

ახლა უკვე ხედავდა ფანჯარაში ჰენრის სახეს – ფერმკრთალი, ბუნდოვანი ოვალი შუშას მიჰკროდა.

„ამის შესახებ არაფერი ვიცი, – გამოუგზავნა ჰენრიმ, – რომ იცოდე, ძლივს დავდივარ“.

„ახლავე მოგეხმარები. ფანჯარას მოსცილდი“.

ჰენრი უსიტყვოდ დამორჩილდა.

პარკას ერთ ჯიბეში ოუენს მომცრო ლითონის კოლოფი ედო, რომელზეც USMC იყო ამოტვიფრული. დავალებაზე წასვლის წინ შიგ სხვადასხვა პირადობის მოწმობას ინახავდა. ეს კოლოფი თვით კურცს ეჩუქებინა შარშან სანტა-დომინგოში ჩატარებული ოპერაციის შემდეგ – ესეც ბედის ირონია! მეორე ჯიბეში კი სამი ქვა ეგდო, რომლებიც თავისი ვერტმფრენის ქვეშიდან გამოიღო, სადაც თოვლი თხლად იდო.

---

[174] ბიბლიური პერსონაჟი, რომელმაც 969 წელი იცოცხლა.

ერთ-ერთი – მენის გრანიტის მოზრდილი ნატეხი – აიღო და შეჩერდა, რადგან თავზარდამცემი რამ დაინახა: მაკავანო, „ცისფერი ლიდერბიჭის" წევრი, რომელსაც ორი თითი დაეკარგა, ტრაილერში ბაზაზე დაბრუნებული მეორე საბრძოლო ვერტმფრენის წევრის, ფრენკ ბელსონის, „ბლეიკის ცისფერი ბიჭი სამის" გვერდით, ძირს იჯდა. ერთ-ერთ მათგანს მძლავრი, რვაელემენტიანი ფარანი ჩაერთო, სანთელივით დაეყენებინა და იქაურობა გაეჩახჩახებინა. ეს ყველაფერი იქვე, ხუთასიოდე ფუტში ხდებოდა იმ ადგილიდან, სადაც ოუენი იდგა, რომელსაც ცალ ხელში ქვა ეჭირა, მეორეში ლითონის კოლოფი. კავანოსა და ბელსონს სახეზე წითელი ხშირი წვერის მსგავსი რამ წამოზრდოდათ, კავანოს კი, დამატებით, ასეთივე ბეწვები გადაჭრილ თითებზე შემოხვეული ბინტიდანაც მოუჩანდა. ორივე მათგანს პირში პისტოლეტის ლულა ჩაედო, ერთმანეთს თვალს არ აცილებდნენ, ტვინებს შორის უხილავი მტკიცე ძაფი გაეჭიმათ. ბელსონი გუნებაში თვლას შეუდგა: ხუთი... ოთხი... სამი...

– ბიჭებო, არ გინდათ! – შესძახა ოუენმა, მაგრამ ვერ იგრძნო, რომ მისი ხმა გაიგონეს: ძალიან ძლიერი იყო მათი ურთიერთკავშირი, რასაც ამ ადამიანების მტკიცე გადაწყვეტილება ამყარებდა. ისინი პირველი მერცხლები იყვნენ კურცის რაზმიდან. ოუენს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მათ სხვებიც მიჰბაძავდნენ.

„ოუენ? – ეს ჰენრი იყო, – ოუენ, რა"...

ამ დროს მანაც მიიღო ის სურათი, რასაც ოუენი ხედავდა და შეძრწუნებული დადუმდა.

...ორი... ერთი.

ორივე პისტოლეტი ერთდროულად გავარდა. მათი ხმა ქარის ღრიალმა და „ციმერის" ოთხი ელექტროგენერატორის გუგუნმა ჩაახშო. კავანოსა და ბელსონის თავებიდან სისხლისა და ტვინის შადრევანმა ამოხეთქა. ოუენმა და ჰენრიმ დაინახეს, როგორ შეირხა ბელსონის მარჯვენა ფეხი სიკვდილისწინა კონვულსიაში და მოხვდა

ფარანს, რომელიც იატაკზე კუთხეში მიყრილ ყუთებს შორის შეგორდა. სურათი მაშინვე გამორთული ტელევიზორის ეკრანივით ჩაქრა.

– ღმერთო ჩემო, – ჩაიჩურჩულა ოუენმა, – ღმერთო ჩემო.

ფანჯარასთან კვლავ ჰენრი გამოჩნდა. ოუენმა ანიშნა, უკან დაეხია და ქვა ესროლა. მოკლე მანძილი იყო, მაგრამ მაინც ააცდინა. ქვა ფიცარს მოხვდა და თოვლში ჩავარდა. ოუენმა მეორე აიღო, დასამშვიდებლად ღრმად შეისუნთქა, ამოისუნთქა და ისროლა. ამჯერად, მიზანს მოარტყა და შუშა ჩაამსხვრია.

„შენთვის წერილია, ჰენრი. მიიღე“.

ქვას ლითონის კოლოფი მიჰყვა.

4

იატაკზე რაღაც ბრტყელი საგანი გასრიალდა. ჰენრიმ კოლოფი აიღო და გახსნა. შიგნით ფოლგაში გახვეული ოთხი პაკეტი იდო.

„ეს რა არის?“

„ჯიბის რაკეტები, – მიუგო ოუენმა, – გული ხომ არ გაწუხებს?“

„როგორც ვიცი, არა“.

„შესანიშნავია, რადგან ამასთან შედარებით კოკაინი ვალიუმად მოგეჩვენება. ყოველ შეკვრაში ორი ცალია. სამი დალიე, დანარჩენი შეინახე. იქნებ დაგვჭირდეს“.

„წყალი არ მაქვს“.

პასუხად ოუენმა მკაფიო სურათი გაუგზავნა: ჩრდილოეთისკენ მავალი ცხენის სამხრეთი ბოლო.

„დაღეჭე ისინი, ლამაზო, – იმედია, რამდენიმე კბილი მაინც შეგრჩა, არა?“

გაბრაზებული ჩანდა. თავდაპირველად, ჰენრი მიზეზს ვერ მიხვდა, მაგრამ მალევე გაიაზრა – მეგობრები თვითონაც დაკარგა. ახლახან. ერთი დღეც არ იყო გასული.

თეთრი აბები იყო, პაკეტებზე არც სახელწოდება ეწერა და არც ფარმაცევტული კომპანიის შტამპი ერტყა. პირში საშინელი სიმწარე

იგრძნო. როცა გადაყლაპვა სცადა, ყელში სპაზმი დაეწყო.

სამაგიეროდ, მყისიერი ეფექტი მიიღო. ოუენის USMC კოლოფი ჯერ ჯიბეშიც არ ჩაედო, რომ გულისცემის სიხშირე გაუორმაგდა. ფანჯარასთან მისულს კი გაუსამმაგდა. ყოველ დარტყმაზე თვალები ლამის ბუდეებიდან ამოსცვენოდა, მაგრამ უსიამოვნო შეგრძნება არ ჰქონია. პირიქით. გამოფხიზლდა, ტკივილი და დაღლილობა გაუქრა.

– ოჰო! პოპის[175] რამდენიმე ქილა მსგავსი ნაგავი უნდა ეჭამა! – შესძახა და გაიცინა, რადგან სიტყვებით ახსნა უცნაურობად, არქაიზმად ეჩვენებოდა, თანაც თავსაც მშვენივრად გრძნობდა.

„ჩუმად! რა თქვი?"

„კარგია! კარგია!"

მისმა აზრებმაც კი კრისტალური სიცხადე შეიძინა. ჰენრი სულაც არ ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ წარმოსახვის გასამდიდრებლად იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ იქაურობა, ბანაკის დანარჩენ ნაწილთან შედარებით, სუსტად იყო განათებული, მაინც შეამჩნია, რომ ოუენი შეიჭმუხნა და ხელი საფეთქელზე მიიდო, თითქოს ვიღაცამ ყურში ჩაჰყვირაო.

„მაპატიე", – გაგზავნა მან.

„არა უშავს, ყველაფერი რიგზეა. უბრალოდ, შენ ძლიერდები. ალბათ, მთლიანად იმ განავლით ხარ დაფარული".

„სულაც არა", – მიუგო ჰენრიმ და სიზმრის ნაწყვეტი გაახსენდა: მათი ოთხეული ბალახით დაფარულ ფერდობზე. არა, ხუთეული – დადიტსიც ხომ მათთან ერთად იყო.

„ჰენრი, გახსოვს, მე სად ვიქნები?"

„ბანაკის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, ბოსელთან დიაგონალზე. მაგრამ"...

---

[175] მულტფილმების სერიის მთავარი პერსონაჟი – მეზღვაური, რომელსაც ისპანახის ჭამა ძალას მატებდა.

„არავითარი მაგრამ. იქ ვიქნები. თუ გინდა, აქაურობას თავი დააღწიო, აჩქარდი. ახლა... – ოუენი გაჩერდა და საათს დახედა. რაკი მუშაობს, მექანიკური ყოფილა, – გაიფიქრა ჰენრიმ, – ...ოთხს ორი წუთი აკლია. ნახევარ საათს გაძლევ. თუ ამ ხნის განმავლობაში ხალხი არ ამოძრავდა, მოკლე ჩართვას მოვახდენ.

„ნახევარი საათი შესაძლოა, არ მეყოს", – გააპროტესტა ჰენრიმ. უძრავად იდგა და თოვლში ჩაფლული ოუენის ფიგურას შეჰყურებდა, მაგრამ ისე სწრაფად სუნთქავდა, როგორც სირბილის დროს. გული დოღის ცხენივით უცემდა.

„უნდა გეყოს, – გამოუგზავნა ოუენმა, – ღობეზე სიგნალიზაციაა დაყენებული. როგორც კი მავთულს შეეხები, მაშინვე სირენები ჩაირთვება. დამატებითი პროჟექტორებიც. საერთო განგაში ატყდება. არეულობის დაწყებიდან ხუთ წუთში – სამასამდე დავითვლი – თუ არ გამოჩნდები, მარტო მომიწევს გზის გაგრძელება".

„უჩემოდ ჯოუნსის ვერასდროს მიაგნებ".

„ჰენრი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ აქ უნდა დავრჩე და შენთან ერთად დავიღუპო, – მოთმინებით, თითქოს პატარა ბავშვს ელაპარაკებაო, თქვა ოუენმა, – ასეა თუ ისე, ჩემამდე ხუთ წუთში თუ ვერ მოაღწევ, ერთი შანსიც კი აღარ დაგვრჩება".

„ის ორნი, თავი რომ მოიკლეს... მათ გარდა სხვებიც დაიღუპნენ".

„ვიცი".

ჰენრის გონებაში ყვითელი სასკოლო ავტობუსი წარმოუდგა, წარწერით „მილინოკეტის სკოლების დეპარტამენტი". ფანჯრებიდან ოცამდე სახედაღრეჯილი თავის ქალა იყურებოდა. ჰენრი მიხვდა, რომ ისინი ოუენ ანდერჰილის ამხანაგები იყვნენ, რომლებიც აქ გუშინ ჩამოვიდნენ. ან უკვე დაღუპულიყვნენ, ან ახლა კვდებოდნენ.

„ნუ ფიქრობ მათზე, – უთხრა ოუენმა, – ახლა ჩვენი საზრუნავი კურცის ბიჭებია, განსაკუთრებით „იმპერიალის ხეობა". თუ ისინი მართლაც არსებობენ, ეჭვი არ შეგეპაროს, რომ ბრძანებას შეასრულებენ. საკმაოდ კარგად არიან მომზადებულები და გაწვრთნილები.

ეს ეხმარება, ნებისმიერ არეულ-დარეულობას თავი წარმატებით გაართვან – წვრთნის დანიშნულება სწორედ ესაა. მაშასადამე, ხუთი წუთი სიგნალიზაციის ჩართვიდან. სამასამდე დავითვლი".

ოუენის ლოგიკა სასტიკი, მაგრამ შეუვალი იყო.

„კარგი, – დაეთანხმა ჰენრი, – ხუთი წუთი".

„შენთვის აუცილებელი არაა ამ საქმეში გარევა, – უთხრა ოუენმა. ჰენრის აზრი რამდენიმე გრძნობის საფუძველზე ჩამოუყალიბდა, კერძოდ, გაღიზიანების, დანაშაულისა და შიშის – ოუენ ანდერჰილის შემთხვევაში, არა სიკვდილის, არამედ საქმის ჩავარდნის შიშის – ფილიგრანული დამუშავებით, – თუ ის, რასაც შენ ამბობ, სიმართლეა, ჩვენს ღონისძიებას საფრთხის ქვეშ რამდენიმე ასეული დარტყმულის გამო აყენებ".

„შენი ბოსი ასე არ მოიქცეოდა, არა? "

ოუენი ამ ფრაზას სიტყვებით კი არა, ჰენრის გონებისკენ გაგზავნილი სასაცილო ნახატების სერიით გამოეხმაურა. ჰენრის ქარის განუწყვეტელ ღრიალშიც კი ჩაესმა ოუენის სიცილი.

„აქ კი ბეჭებზე დამდე, ლამაზო".

„ასეა თუ ისე, მე მათ შევანჯღრევ. მოტივაციის ოსტატი ვარ".

„ვიცი, რომ შეეცდები მაინც".

ჰენრი ოუენის სახეს ვერ ხედავდა, მაგრამ გრძნობდა, რომ ის იღიმებოდა.

– შემდეგ? – ხმამაღლა ჰკითხა ოუენმა, – ერთხელაც ამიხსენი.

„რატომ? "

– იმიტომ, რომ მოტივაცია ჯარისკაცებსაც სჭირდებათ, განსაკუთრებით დეტალების განხილვისას. შეეშვი რა, მაგ ტელეპათიას. მინდა, ყველაფერი სიტყვებით მითხრა.

ჰენრიმ ერთხელაც შეხედა სიცივისგან აკანკალებულ ადამიანს.

– ამ ყველაფრის შემდეგ ჩვენ გმირები გავხდებით. არა იმიტომ, რომ გვინდოდა. უბრალოდ, არჩევანი არ გვქონდა.

ოუენმა უსიტყვოდ დაუქნია თავი. კვლავაც იღიმებოდა.

– რატომაც არა? – თქვა მან, – რატომაც არა, ამის დედაც! ..

ჰენრის გონებაში პატარა ბიჭი წარმოუდგა, რომელსაც თავზე-მოთ თეფში ეჭირა. აი, თურმე რა სურს მამაკაცს – რომ ბიჭმა თა-როზე დადოს ის თეფში, რომელიც წლების განმავლობაში თან ატა-რა. თეფში სამუდამოდ გატეხილი დარჩება.

5

კურცს სიზმარი ბავშვობის შემდეგ აღარ ენახა, ამიტომ ელდანაკ-რავივით შეხტა და, როგორც ყოველთვის, წამში გამოფხიზლდა: სი-ცარიელეში იმყოფებოდა, ახლა გონს მოვიდა და სრულად გააცნო-ბიერა, სად იყო – კვლავაც სააქაოში, თანაც ცოცხალი, ალილუია.

თავი მიატრიალა და საათს შეხედა, მაგრამ ის წყეული, მოდური ანტიმაგნიტური კორპუსის მიუხედავად, კვლავ არ მუშაობდა. ცი-ფერბლატზე 12-12-12 ციმციმებდა ენაბლუსავით, გაგრძელებას რომ ვერ ახერხებს. ლამპა აანთო და ტუმბოდან ჯიბის საათი აიღო. ხუთის რვა წუთი იყო.

კურცმა საათი ადგილზე დადო, შიშველი ფეხები საწოლიდან გადმოჰყო და წამოდგა. მაშინვე ქარის ხმა შემოესმა, ძაღლივით ყმუოდა. გააცნობიერა, რომ თავში გაუგებარი ბურტყუნი აღარ ჰქონდა. ტელეპათიამ გაუარა, რაც ძალზე გაუხარდა. იგი მას, ზოგი-ერთი სექსუალური მეთოდის მსგავსად, პირველყოფილ, პრიმიტი-ულ დონეზე შეურაცხყოფდა. იმის გაფიქრება, რომ ვიღაცას და-უკითხავად შეეძლო შესვლა მის თავში და გონების ზედა ფენებში ფათური, მის უკიდურეს აღშფოთებას იწვევდა. ესეც საკმარისი იყო რუხი კაცუნების აღსაგველად პირისაგან მიწისა. ამ საზიზღარი სა-ჩუქრისთვის. მადლობა ღმერთს, რომ ის საკმაოდ ეფემერული აღ-მოჩნდა.

კურცმა ნაცრისფერი სავარჯიშო ტრუსი გაიხადა, სარკის წინ შიშველი დადგა და საკუთარი სხეული ფეხის ტერფიდან (სადაც უკ-ვე მოუჩანდა იისფერი ვენები) თმის წვერამდე, აწეწილ ჭაღარამდე,

საგულდაგულოდ შეამოწმა. სამოცი წლისა არცთუ ურიგოდ გამოიყურებოდა: ასაკს მხოლოდ ეს წყეული ვენები უმჟღავნებდა. მამაკაცობის მხრივაც არაფერს უჩიოდა, თუმცა ეს საკითხი ნაკლებად აინტერესებდა, რადგან, მისი აზრით, ქალები ბოროტი და ვერაგი არსებები იყვნენ და ერთგულება არ შეეძლოთ. ისინი მამაკაცს აცარიელებდნენ. თავისი არანორმალური გულის სიღრმეშიც კი, სადაც მისი სიგიჟე გახამებულ-გაუთოებული იყო და ამიტომაც, არცთუ საინტერესოდ მოჩანდა, ფიქრობდა, რომ სექსს სარგებლობა არ მოაქვს და საჭიროა მისი აკრძალვა იმ შემთხვევაშიც კი, თუკი გვარის გასაგრძელებლად გამოიყენება, რადგან შედეგად ისეთი ქმნილება მიიღება, რომლის ტვინიც ტრაწიანი სინდიოფალების ტვინისგან ბევრით არ განსხვავდება.

თმიდან კურცი კვლავ ფეხებისკენ დაუყვა, აუჩქარებლად, ყურადღებით აკვირდებოდა სხეულს, მაგრამ რაიმე წვრილი წითელი ზოლი კი არა, ნამცეცა ლაქაც ვერსად აღმოაჩინა. მერე შეტრიალდა, კისერი გაიწვდინა და ზურგიც დაითვალიერა. იქაც არაფერი ჰქონდა. შემდეგ დუნდულები გასწია, მათ შორის მდებარე კანი მოისინჯა, ანუსშიც შეიყო თითი. ვერაფერი შეიგრძნო, ხორცის გარდა.

– სუფთა ვარ, – ჩაილაპარაკა ჩუმად და ხელები „ვინებაგოს" პატარა აბაზანაში დაიბანა, – თოვლივით სუფთა.

მან ფეხები კვლავ ტრუსში გაჰყო, შემდეგ დაჯდა და წინდები ჩაიცვა. სუფთაა, მადლობა ღმერთს, სუფთა. კარგი სიტყვა იყო „სუფთა". ტელეპათიის უსიამოვნო შეგრძნება – ერთმანეთზე მიკრული ოფლიანი კანის შეგრძნება – სრულიად გაქრა. რიპლის ნასახიც არ ემჩნეოდა – კბილები და ღრძილებიც კი შეიმოწმა.

მაშ, რამ გააღვიძა? რატომ ჩაესმოდა განგაშის ზარები?

იმიტომ, რომ ტელეპათია ექსტრასენსორული აღქმის ერთადერთი ფორმა არ იყო. იმიტომ, რომ დიდი ხნით ადრე, სანამ რუხი კაცუნები დედამიწის, უზარმაზარი ვარსკვლავთშორისი ბიბლიოთეკის ამ უშორესი და ყველაზე მტვრიანი კუთხის შესახებ შეიტყობდნენ,

არსებობდა რაღაც, სახელად „ინსტინქტი“ – სამხედრო მუნდირში გამოწყობილი კურცის მსგავსი ჰომო საპიენსის განმასხვავებელი ნიშანი.

– წინათგრძნობა, – თქვა კურცმა, – ეს ბებერი ამერიკული წინათგრძნობა.

შარვალი ამოიცვა და ნახევრად შიშველმა, ტუმბოზე საათის გვერდით დადებული რაცია აიღო (უკვე ხუთის თექვსმეტი წუთი იყო – დრო ისე მიქროდა, როგორც მიქრის ფერდობიდან დაშვებისას უმუხრუჭო მანქანა). რაციას სპეციალური საათის მექანიზმიც ჰქონდა, თანაც კოდირებული. ეს, გამომგონებლების აზრით, ყოველგვარ დაბლოკვას გამორიცხავდა... მაგრამ როგორც კი იმ ვითომდა მოუწყვლელ ციფერბლატს შეხედა, კურცი მიხვდა, რომ ის მწყობრიდან გამოსულიყო.

თითი გამოძახების ღილაკს დააჭირა. ფრედი ჯონსონი საკმაოდ სწრაფად გამოეხმაურა, არც ძალიან ნამძინარევი ხმა ჰქონდა... ოჰ, როგორ უნდოდა კურცს (რომელსაც, სინამდვილეში, რობერტ კუნცი ერქვა, სახელი, სახელი, რა ყრია სახელში), რომ იმ კრიტიკულ ვითარებაში გვერდით ოუენ ანდერჰილი ჰყოლოდა!

ოუენ, ოუენ, – გაიფიქრა მან, – რატომ დაგიცდა ფეხი მაშინ, როცა ყველაზე მეტად მჭირდებოდი.

– ბოს?

– „იმპერიალის ხეობა“ ზევით გადამყავს, მეექვსეში. ყველას თავი მოუყარე, მერე კი მოდი და მომახსენე.

ფრედიმ Aაუხსნა, თუ რატომ იყო ეს შეუძლებელი – სისულელე, რაც ოუენს ბოდვაშიც კი არ წამოსცდებოდა. ფრედის დაახლოებით ორმოცი წამი მისცა თავის გასამართლებლად, შემდეგ უთხრა:

– ახლა კი მოკეტე, ნაბიჭვარო!

შოკირებულმა ფრედიმ ხმა გაკმინდა.

– აქ რაღაც მწიფდება. არ ვიცი, რა, მაგრამ ტყუილუბრალოდ რო-

დი წამოვხტი საწოლიდან შუაღამეს, თავში განგაშის ზარები ჩამესმის. ამიტომაც ვაპირებ ყველას შეკრებას და თუ გინდა, ვახშმობამდე სული მიატანო, აიძულე, ბრძანებები ცოცხლად შეასრულონ. გალაჰერს გადაეცი, ყველაფრისთვის მზად იყოს. გასაგებია, ფრედი?

– დიახ, ბოს. მინდა, რომ იცოდეთ: ჩვენთან უკვე ოთხი თვითმკვლელობა მოხდა. ეს, რაც ჩემთვისაა ცნობილი. შესაძლოა, მეტიც იყოს.

კურცი არც გაოცებულა და არც უკმაყოფილება გამოუხატავს. გარკვეულ ვითარებაში თვითმკვლელობა არათუ მისაღებ ფორმად, კეთილშობილურ საქციელადაც მიაჩნდა – ნამდვილი ჯენტლმენის ღირსეულ ბოლო ნაბიჯად.

– ვერტმფრენის ეკიპაჟის წევრები?

– დიახ.

– მაგრამ არა „იმპერიალის ხეობიდან".

– არა, ბოს, „ხეობიდან" არავინ.

– კარგი. თავისუფლად, რიგითო. პრობლემა გვაქვს. არ ვიცი, რა ხდება, მაგრამ ვგრძნობ, რომ უბედურება გვიახლოვდება, დიდი უბედურება.

კურცმა რაცია მაგიდაზე დააგდო და ჩაცმა განაგრძო. მოწევა მოუნდა, მაგრამ სიგარეტი გასთავებოდა.

6

ოდესღაც მოხუც გოსლინს ფერმაში ცოტა მეწველი ძროხა ჰყავდა და მართალია, ეს ნაგებობა გაჭირვებით აკმაყოფილებდა სოფლის მეურნეობის სტანდარტს, მაინც ნორმალურად გამოიყურებოდა. ჯარისკაცებმა დენი გაიყვანეს, მაღალვოლტიანი ნათურები დაკიდეს, რომლებიც ცივად ანათებდა ბაგებს, მოსაწველ ბაკებს, ზედა და ქვედა სათივეებს. გარდა ამისა, კუთხეებში რამდენიმე გამათბობელიც დააყენეს და ახლა იქ საშინლად ჩახუთული იყო. ჰენრიმ შესვლისთანავე შეიხსნა ქურთუკი, მაგრამ ამან ვერ უშველა, მაშინვე

ოფლმა დაასხა. გარკვეულწილად ოუენის მიცემულმა აბებმაც იმოქმედა – ბოსელში შესვლის წინ მან ერთი ცალიც გადაყლაპა.

ჰენრიმ მიიხედ-მოიხედა და თავი გააქნია. ბოსელი საოცრად ჰგავდა მის მიერ ნანახ ლტოლვილთა ბანაკებს, მათ შორის, ბოსნიელი სერბების – მაკედონიაში, ჰაიტელი მეამბოხეების – პორტ-ოპრენსში, „ძია შუგარის“[176] საზღვაო ქვეითთა გადასხდომის შემდეგ, ასევე – აფრიკელი ემიგრანტების, რომელთაც სამშობლო ავადმყოფობების, შიმშილის, სამოქალაქო ომების, ანდა ერთდროულად ყველაფრის გამო მიეტოვებინათ. ამგვარ კადრებს ხშირად უჩვენებდნენ ტელევიზორში და მათ ადამიანის თვალი თანდათან მიეჩვია. თუმცა, სავარძელში მოკალათებული კაცისთვის ძნელი წარმოსადგენი იყო, რა ხდებოდა სინამდვილეში; ძრწოლა, რომელიც ძალადობის, სისხლისა და ტკივილის ნახვისას გეუფლებოდა, ასე თუ ისე განყენებული, თითქმის კლინიკური იყო. აღმოჩნდა, რომ ამგვარი ადგილების მოსანახულებლად არც პასპორტი გჭირდებოდა და არც – ვიზა. ეს ახალი ინგლისის მეცხოველეობის ფერმაში ხდებოდა. იქ მოხვედრილებს ძონძები და დაშიკები[177] კი არ ეცვათ, არამედ ძვირფასი მონადირის ქურთუკები, დიდჯიბეებიანი შარვლები (ძალზე მოსახერხებელი სათადარიგო მჭიდეების შესანახავად) და თბილი საცვლები. ნანახი ზუსტად ისევე ზემოქმედებდა ადამიანზე, იმ განსხვავებით, რომ ამათ გაოცებული გამომეტყველება სახეებიდან არასდროს უქრებოდათ. ასეთ რამეს „სპრინტ ნიკელ ნაითსის“[178] ქვეყანაში ვერავინ წარმოიდგენდა. ინტერნირებულები დაყრილ თივის ძნებზე მოკალათებულიყვნენ (ზედ ქურთუკები დაეფინათ). უკვე მოესწროთ მცირერიცხოვან ოჯახურ და მეგობრულ ჯგუფებად დაყოფა და ახლა ძილისთვის მიეცათ თავი. სათივეებიცა და ბაკებიც დაკავებული ჰქონდათ. სხვადასხვა მხრიდან საშინელი სიზმრებით გატანჯულთა

[176] "ძია სემი"
[177] მამაკაცის აფრიკული სამოსი.
[178] ამერიკული საკომუნიკაციო კომპანია.

ხვრინვა, წუწუნი და კვნესა ისმოდა. სადღაც ბავშვი ტიროდა. სიურრეალისტურ კოშმარს დინამიკებიდან გადმოღვრილი წყნარი მუსიკა აგვირგვინებდა. „ბებერი გოსლინის“ ბოსელში მყოფი მთვლემარე, სასიკვდილოდ განწირული ხალხი „მშვენიერ საღამოს“ უსმენდა, ფრედ უორინგის ორკესტრის შესრულებით.

ახლანდელ გაბრუებულ მდგომარეობაშიც კი ჰენრის ყოველი წვრილმანი უჩვეულო სიცხადით ებეჭდებოდა თავში. რამდენი ნარინჯისფერი ქურთუკი და კეპია! – გაიფიქრა მან, – ღმერთო ჩემო! ეს ხომ ჰელოუინია ჯოჯოხეთში!

აქაც უამრავი დაინფიცირებული იყო. ჰენრი ხედავდა მოწითალო ოქროსფერი ხავსის ბილიკებს ლოყებზე, ყურებზე, თითებს შორის, კოჭებსა და ელექტროსადენებზეც კი. ძირითადად, თივის სურნელი იდგა, მაგრამ ჰენრიმ მაშინვე იგრძნო გოგირდნარევი ეთილის სპირტის სუნი. გარდა ამისა, მძინარე ხალხი გაზებს უშვებდა, თანაც ისე ხმამაღლა, თითქოს ექვსი-შვიდი სრულიად უნიჭო მუსიკოსი ტუბასა და საქსოფონზე უკრავდა. სხვა ვითარებაში ეს სასაცილო იქნებოდა... შესაძლოა, აქაც გასცინებოდა ყველა იმ ადამიანს, ვისაც ჯოუნსის გასისხლიანებულ საწოლზე ასხმარტალებული და კბილებდაკრეჭილი სინდიოფალა არ ენახა.

რამდენი ატარებს მუცლით იმ ქმნილებას? – ჰკითხა ჰენრიმ საკუთარ თავს. თუმცა, მისი აზრით, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან ისინი საკმაოდ უწყინარნი იყვნენ. ბოსელში კი იარსებებდნენ თავიანთი მასპინძლების სხეულებიდან გამოსვლის შემდეგ, მაგრამ გარეთ, სადაც თოვლის კორიანტელი იდგა, ქარი მძვინვარებდა და ყინავდა, ორ საათსაც ვერ გაძლებდნენ.

ამ ხალხს უნდა დალაპარაკებოდა...

არა, კი არ უნდა დალაპარაკებოდა, უნდა დაეშინებინა ისინი, თავზარი დაეცა მათთვის. იძულებული გაეხადა, რომ წამომდგარიყვნენ და სითბოდან სიცივეში გასულიყვნენ. უწინ აქ ძროხები იყვნენ.

ახლაც ძროხებს ხედავდა. ოღონდ, ისინი ისევ ადამიანებად – შეშინებულ, გაბრაზებულ ადამიანებად უნდა ექცია. ჰენრის შეეძლო ამის გაკეთება, მაგრამ მარტოს გაუჭირდებოდა. დრო კი მიდიოდა. ოუენ ანდერჰილმა მას მხოლოდ ნახევარი საათი მისცა. ჰენრის გამოანგარიშებით, დროის მესამედი უკვე გასულიყო.

ნეტავ, მეგაფონი მქონდეს, – გაიფიქრა მან, – პირველ რიგში ეს მჭირდება.

მან მიიხედ-მოიხედა და კართან გვერდზე გადაბრუნებულ ზორბა, სიქაჩლეშეპარულ კაცს მოჰკრა თვალი, რომლის უკან ძროხების ბაკი მდებარეობდა. ერთ-ერთს იმათგანს მიამსგავსა, ვინც ფარდულიდან გამოაბრძანა, მაგრამ დარწმუნებული არ იყო, რადგან სიქაჩლით მას სხვებიც ჰგავდნენ.

არა, ეს ნამდვილად ჩარლზი იყო, ბაირუსს წითელი „კრამიტით" დაეფარა ის, რასაც ბებერი ჩარლი, ეჭვგარეშეა, თავის „მზიურ სექსპანელს" უწოდებდა.

ვის რაში სჭირდება თმის გადანერგვა, როდესაც ეს ნაგავი შენამდე მოაღწევს? – გაიფიქრა ჰენრიმ და გუნებაში გაეღიმა.

სწორედ ჩარლზი გამოადგებოდა. მარშასაც იქვე ეძინა – ხელი დარენზე გადაედო, „მისტერ მარიხუანაზე", ნიუტონიდან. მარშას ოდესღაც გადატკეცილ ლოყაზე ბაირუსი მიცოცავდა. ქმარს ჯერ არაფერი ეტყობოდა, სამაგიეროდ, მაზლი – მას ბილი ერქვა – საშინლად გაბანჯგვლულიყო. შოუს საუკეთესო მონაწილე, – გაიფიქრა ჰენრიმ.

მან ბილის წინ ჩაიმუხლა, აიღო მისი ბაირუსით დაფარული ხელი და მის სიზმარში – კოშმარების გაუვალ ჯუნგლში შეიჭრა.

„გაიღვიძე, ბილ. საყვირი გვიხმობს. აქაურობას უნდა გავეცალოთ. თუ მომეხმარები, შევძლებთ. გაიღვიძე, ბილ.

გაიღვიძე და გმირი გახდი".

7

ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარდა.

ჰენრიმ იგრძნო, როგორ მოიწევდა ბილის გონება კოშმარული სიზმრის სიღრმეებიდან მისკენ, როგორც დასახრჩობად განწირული კაცი – მხსნელისკენ.

„არ ილაპარაკო, სიტყვის თქმაც არ გაბედო, – უთხრა მას ჰენრიმ, – მხოლოდ მისმინე. ჩვენ მარშა და ჩარლზი გვჭირდება. ოთხნი ვეყოფით".

„რა"...

„დრო არა გვაქვს, ბილი. ვიწყებთ".

ბილიმ ხელი რძალს მოჰკიდა. თითქოს ამას ელოდაო, მარშამ თვალი მაშინვე გაახილა და ჰენრიმ თითქოს დაინახა, მათ თავებში არსებულ სკალაზე ისარმა ერთი დანაყოფით წინ რომ გადაიწია. მარშას სოკო ისე არ მოსდებოდა, როგორც ბილის, მაგრამ, როგორც ჩანს, ბუნებას მისთვის ნიჭი არ დაეშურებინა. ქალმა უსიტყვოდ ჩაჰკიდა ჩარლზს ხელი. ჰენრის მოეჩვენა, რომ ის ყველაფერს მიხვდა, საბედნიეროდ, იმასაც ჩასწვდა, რომ უნდა ეჩქარათ. უპირველეს ყოვლისა, მათთვის ცეცხლი უნდა შეენთოთ და აემოძრავებინათ.

ჩარლზი წამოჯდა და თვალები დააჭყიტა. შემდეგ, თითქოს, ვიღაცამ უბრძანაო, სწრაფად წამოდგა. ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და წრე შეკრეს სპირიტუალისტური სეანსის მსგავსად, რაც, ჰენრის აზრით, ნაწილობრივ, ასეც იყო.

„მომეცით ის მე", – ბრძანა მან და სამივენი დამორჩილდნენ. ჰენრის მოეჩვენა, რომ ხელში ჯადოსნური ჯოხი ჩაუდეს.

– მომისმინეთ! – შესძახა მან.

აქა-იქ ხალხმა თავი წამოყო, ზოგიერთი დენდარტყმულივით წამოხტა.

– მომისმინეთ და ისე მოიქეცით, როგორც გეტყვით... ისე მოიქეცით, როგორც გეტყვით! გასაგებია? ისე მოიქეცით, როგორც გეტყვით! ეს თქვენი ერთადერთი შანსია, ასე რომ, ისე მოიქეცით, როგორც გეტყვით!

ისინი მექანიკურად დამორჩილდნენ. მათთვის მოსაფიქრებლად, დრო რომ მიეცა, ყველაფერი გაცილებით გართულდებოდა, მაგრამ ჰენრიმ ხალხს წუთიც არ დაუთმო. უმრავლესობას ეძინა და ინფიცირებულებს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ტელეპათებს, თავს იმ დროს დააცხრა, როცა მათი გონება ყველაზე უფრო დაუცველი და გახსნილი იყო. ჰენრი გაუცნობიერებელ იმპულსებს დაემორჩილა და მათ გამოსახულებების მთელი სერია გაუგზავნა: ნიღბიანი ჯარისკაცები, რომელთაც ბოსელი ალყაში მოაქციეს. ზოგს ხელში პისტოლეტი ეჭირა, ზოგსაც ზურგჩანთებთან მიერთებული გრძელი მილი. სახეზე კარიკატურული სისასტიკე აღჰბეჭდოდათ. დინამიკებიდან წამოსული ბრძანების მიხედვით, მილებიდან ცეცხლი – გამოიფრქვა და მყისვე მოედო ბოსლის კედლებსა და სახურავს.

ჰენრიმ ბოსელში შეაღწია და ახალი სურათები გაგზავნა: ხალხი ყვიროდა და აქეთ-იქით აწყდებოდა. ალმოდებული სახურავიდან ნაპერწკლები ცვიოდა და თივას ეკიდებოდა. აგერ თმააბრიალებული მამაკაცი; ქალი ცეცხლმოკიდებული სათხილამურო კოსტიუმით, რომელსაც ზამთრის კურორტების საბაგიროების ბილეთები ამშვენებს.

ახლა ყველანი ჰენრის შესცქეროდნენ. ჰენრისა და მისი მეგობრების წრეს. გამოსახულებებს მხოლოდ ტელეპათები იღებდნენ: პატიმართა მხოლოდ სამოცი პროცენტი იყო ინფიცირებული, მაგრამ გაუაზრებელი პანიკა დანარჩენებსაც გადაედო – მოქცევისას ხომ მეჩეჩზე შემჯდარი ყველა ნავი თავისუფლდება.

ჰენრიმ ბილისა და მარშას ხელები მაგრად ჩასჭიდა და გამოსახულება გარე პერსპექტივაზე გადართო: ხანძარი, ალყა, ჯარისკაცები, დინამიკებიდან ღრიალით წამოსული ბრძანება, – არავინ გაუშვან.

უკვე ყველა პატიმარი ფეხზე იდგა. ისმოდა ცალკეული შეძახილი (ტელეპათები დუმდნენ, ბაირუსით დამახინჯებული სახეები ჰენრისკენ მიექციათ და განაწამები თვალებით შესცქეროდნენ). ჰენრიმ

მათ ბოსელი უჩვენა, რომელიც ჩირაღდანივით იწვოდა თოვლიან ღამეში, იქაურობა ნამდვილ ჯოჯოხეთს დაემსგავსა, ირგვლივ ცეცხლოვანი გრიგალი ქროდა, დინამიკებიდან წამოსული ხმა სულ უფრო ძლიერდებოდა:

– მიდით, ბიჭებო, დასცხეთ! ერთიც არ გაუშვათ! ისინი კიბოა, ჩვენ კი წამალი!

გამოსახულება გაცოცხლდა. ადამიანები თავიანთი შიშით კვებავდნენ მას. ჰენრიმ მათი სახეები გაგზავნა, ვინც გასასვლელს მიაგნო ან ფანჯრიდან გადაძვრა. ბევრი მათგანი ცოცხლად იწვოდა. ერთ ქალს ბავშვი აეტატებინა. ჯარისკაცებმა ყველა მოკლეს მათ გარდა, ისინი ცეცხლში სანთელივით დაიწვნენ.

– არა! – დაიყვირა ერთდროულად რამდენიმე ქალმა და ჰენრიმ ერთგვარი ავადმყოფური გაოცებით გააცნობიერა, რომ მათ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვები არ ჰყავდათ, ცეცხლმოკიდებულ ქალი საკუთარ თავთან გააიგივეს.

ახლა ისინი ჭექა-ქუხილში მოხვედრილი საქონელივით ბორგავდნენ. კიდევ უნდა შეენთო მათთვის, სანამ ფიქრს დაიწყებდნენ.

ჰენრიმ წრეში ჩამდგარი ხალხის გონი გააერთიანა და დანარჩენებს მაღაზიის გამოსახულება გაუგზავნა.

„შეიგნეთ! – გადასცა მათ გონებით, – ეს თქვენი ერთადერთი შანსია! თუ შეგიძლიათ, მაღაზიაში შევიჭრათ, თუ კარი ბლოკირებულია, მავთულხლართი გავარღვიოთ! არ შეჩერდეთ! არ იყოყმანოთ! ტყისკენ გაიქეცით! იქ დაიმალეთ! ისინი მოდიან, რათა ბოსელი და შიგ მყოფი ყველა ადამიანი დაწვან! მხოლოდ ტყეში გადარჩებით! ახლავე, ახლავე! “

საკუთარი წარმოსახვის მორევში ჩაძირული და ოუენის აბებით შემართული ჰენრი მთელი ძალით გზავნიდა მათთან საბავშვო წიგნებისთვის დამახასიათებელ სადა და მარტივ სურათებს; ზედ ეხატა, თუ როგორ გადარჩებოდნენ ტყეში და როგორ დაიღუპებოდნენ აქ,

ამ დაწყევლილ ადგილას. ჰენრი ვეღარ აცნობიერებდა, რომ ხმამაღლა ყვიროდა:

– ახლა, ახლა, ახლა!

თავდაპირველად, ბრძანება მარშა ჩაილზმა აიტაცა, მას მაზლი აჰყვა, შემდეგ – ჩარლზი და მამაკაცი, რომლის სექსპანელიც სოკოს დაეფარა.

ბაირუსშეუვალი და, შესაბამისად, ტელეპათიის ნიჭის არმქონე დარენმა მგრძნობიარედ აღიქვა ჰაერში მოფარფატე ფლუიდები და ისიც აყვირდა:

– ახლა, ახლა, ახლა!

ეს სიტყვა სოკოზე გაცილებით საშიში, პანიკის მზარდი ვირუსივით გადაეცემოდა ადამიანიდან ადამიანს, ჯგუფიდან ჯგუფს და მალე ბოსლის კედლები აზანზარდა. იქ მყოფნი მუშტებს მაღლა ერთდროულად სწევდნენ, როგორც ეს როკკონცერტზე ხდება ხოლმე.

– ახლა, ახლა, ახლა!

ჰენრიმ მათ ინიციატივა შეგნებულად დაუთმო, რათა აღგზნების ტემპერატურა მაქსიმალურ ზღვრამდე აეწია. თვითონაც იქნევდა მუშტს და ვერც კი გრძნობდა, რომ ეს მტკივანი ხელი იყო. თუმცა, საკუთარ თავს გამუდმებით შეახსენებდა, რომ მის მიერვე გამოწვეულ საერთო ისტერიას არ აჰყოლოდა: სხვა რომ არაფერი, ამ ხალხს ჩრდილოეთისკენ უნდა აეღო გეზი, თვითონ კი – სამხრეთისკენ წასულიყო. იმ წუთს ელოდა, როცა უწინდელი მდგომარეობის დაბრუნება შეუძლებელი იქნებოდა.

ის წუთიც დადგა.

– ახლა, – წაიჩურჩულა მან და კვლავ შეაერთა მარშას, ბილის, ჩარლზისა და გვერდით მდგომთა გონება. ყველაფერი ერთმანეთს შეურია, შეაჯანჯღარა და „ბებერი გოსლინის“ ბოსელში დამწყვდეული სამას ჩვიდმეტი ადამიანის თავში ერთადერთი სიტყვა ვერცხლის ტყვიასავით გაისროლა:

– ახლა.

წამით სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. შემდეგ კი ჯოჯოხეთის კარები გაიღო.

8

დაბინდებამდე, ღობის გასწვრივ თორმეტი თანაბრად დაშორებული ორადგილიანი საგუშაგო ჯიხური დადგეს (სხვა რომ არაფერი ჰქონდათ, გადასატან ტუალეტებს უნიტაზები მოხსნეს). თითოეულ მათგანში გამათბობელი შეიტანეს და ისე გაახურეს იქაურობა, რომ გუშაგებს გარეთ გასვლა აღარ უნდოდათ. დროდადრო კარს აღებდნენ და შიგნით სუსხიან ჰაერს უშვებდნენ. ამით ამოიწურებოდა მათი გუშაგობა. ჯარიკაცთა უმრავლესობას მხოლოდ მშვიდობის დროს უმსახურია ჯარში. მათ ვერც წარმოედგინათ, რამდენად მაღალი იყო ამ თამაშის ფსონი, ამიტომაც არხეინად საუბრობდნენ ქალებზე, სექსზე, მანქანებზე, უფროსობაზე, ისევ სექსზე. თავიანთ ოჯახებზე, მომავალზე, კვლავ სექსზე, სმაზე, ნარკოტიკებზე, წვეულებებზე და... ისევ სექსზე. ცხადია, ვერ შეამჩნიეს ოუენ ანდერჰილის ორი ვიზიტი ფარდულში (მისი დანახვა მე-9 და მე-10 საგუშაგოებიდან შეიძლებოდა). ბოლოსღა მიხვდნენ, რომ მათ დანჯღრეულ გემზე ნამდვილი ამბოხი მზადდებოდა.

შვიდი მათგანი, რომელიც კურცის რაზმში სხვებზე დიდხანს იმყოფებოდა და, შესაბამისად, უფრო გამოცდილი იყო, მაღაზიაში შეშის ღუმელთან მოკალათდა და კარტის თამაშს შეუდგა, სწორედ იმ ოფისში ისხდნენ, სადაც ოუენმა კურცის ჩანაწერებს – „შეგვიბრალეთ“ – დაახლოებით ორი საუკუნის წინ მოუსმინა. ექვსი გუშაგი იყო. მეშვიდე – დოგ ბროდსკის კოლეგა ჯინ კემბრი. კემბრის ძილი არ ეკარებოდა. უძილობის მიზეზი მაჯაზე შემოხვეული სახვევის ქვეშ იმალებოდა. არ იცოდა, რამდენ ხანს დამალავდა სნეულებას, რადგან წითელი საფარი სულ უფრო ფართოვდებოდა. რამეს თუ არ იღონებდა, ვიღაც აუცილებლად შეამჩნევდა და ოფისის ნაცვლად,

სადაც კარტს თამაშობდა, ბოსელში სამოქალაქო პირებთან ამოაყოფინებდნენ თავს.

მაგრამ განა მარტო მას? რეი პარსონს ყურში ბამბა ჩაეჩურთა. ასე თქვა, – მტკივაო, – მაგრამ ხომ არ მოიტყუა? ტედ ტრეზევსკის წინამხარი შეეხვია, – მავთულხლართს გამოვედეო. ვინ იცის, იქნებ სიმართლე თქვა. ჯორჯ ადელს, დოგის უშუალო უფროსს, მელოტ თავზე ნაქსოვი ქუდი დაეხურა და საოცრად დამსგავსებოდა გადაყრუებულ თეთრ რეპერს. ალბათ, მის ქვეშ ისეთი არაფერი იყო, მაგრამ იმ სიცხეში ქუდის ტარება უცნაურად ჩანდა.

– გაიჭრა, – თქვა ჰოუი ევერეტმა.

– ფერს ვაცხადებ, – გამოეხმაურა დენი ო'ბრაიენი.

პარსონსმა და ადელმა მას მიჰბაძეს. კემბრის თითქმის არაფერი გაუგია. თვალწინ ქალი წარმოუდგა ხელში ატატებული ბავშვით. დათოვლილი საზღვრის გადარბენას ცდილობდა, ჯარისკაცები კი ცეცხლით უმასპინძლდებოდნენ. კემბრი შეძრწუნდა, მოიბუზა. გაიფიქრა, რომ ამის მიზეზი მისი ძველი ცოდვები იყო.

– ჯინ! – გასძახა ელ კოლმენმა, – აპირებ თუ არა...

– ეს რა არის? – მოიღუშა ჰოუი.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა ტედ ტრეზევსკიმ.

– ყური მიუგდე და მიხვდები, – უთხრა ჰოუიმ.

წყეული პოლონელი, – გაიფიქრა კემბრიმ, მაგრამ შეურაცხყოფას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიანიჭა. შეძახილი სულ უფრო ხმამაღლა ისმოდა, ძლიერდებოდა და უკვე ქარის ზუზუნსაც ახშობდა.

– ახლა ან არასდროს? ახლა ან არასდროს! ახლა ან არასდროს! ახლა!

ხმები მათ ზურგს უკან მდებარე ბოსლიდან გაისმოდა.

– რა ჯანდაბაა? – გაწელვით თქვა ადელმა და ჩაფიქრებით მიაჩერდა დასაკეც მაგიდას, რომელზეც კარტი, საფერფლეები, კოჭე-

ბი და ფული ეწყო, ჯინ კემბრი მოულოდნელად მიხვდა, რომ იმ სულელური ნაქსოვი ქუდის ქვეშ, მოლაპლაპე კანის გარდა, არაფერი იყო. მათ ჯგუფს ნომინალურად ადელი ხელმძღვანელობდა, მაგრამ სინამდვილეში ბევრი არაფერი გაეგებოდა. მას არც ზემოთ შემართული მუშტები დაუნახავს, არც ძლიერი გონების ხმა გაუგონია, გუნდში წამყვანი რომ იყო.

კემბრიმ შეამჩნია, რომ პარსონსს, ევერეტსა და კოლმენს სახე შეშფოთებოდათ. მათაც ყველაფერი დაენახათ. ამ ერთობლივმა ხილვამ ისინი გააერთიანა, მაშინ, როცა ჯანმრთელები ერთმანეთს გაოცებით შესცქეროდნენ.

– ის დამპლები ახლა შტურმზე გადმოვლენ, – თქვა კემბრიმ.

– ნუ სულელობ, ჯინ, – ხელი აუქნია ჯორჯ ადელმა, – მათ ხომ არ იციან, რა ელით. თანაც სამოქალაქო პირები არიან. ცოტა ორთქლს გამო...

წინადადების დასასრული ერთადერთმა სიტყვამ ჩაახშო: „ახლა“. შეძახილმა ცირკულარული ხერხივით გადაჭრა კემბრის ტვინი. რეი პარსონსი და ელ კოლმენი შეიჭმუხნენ. ჰოუი ევერეტმა ტკივილისგან შეჰყვირა და ხელისგულები საფეთქლებზე მიიჭირა, დენდარტყმულივით შეხტა და მუხლები მაგიდას მიარტყა. კარტი, კოჭები და ფული გაიფანტა. ერთდოლარიანი კუპიურა ღუმელზე დაეცა და დნობა დაიწყო.

– ოჰ, ამის დედაც! .. შეხედე, რა... – დაძახა ტედმა.

– მოდიან, – თქვა კემბრიმ, – ჩვენზე მოდიან.

პარსონსი, ევერეტი და კოლმენი „ბებერი გოსლინის“ საკიდრის სიახლოვეს, კედელზე მიყუდებულ M–4 კარაბინებს ეცნენ. დანარჩენები სამიოდე ნაბიჯის დაშორებით მოულოდნელობისგან გაშეშდნენ და გაოცებით მიაჩერდნენ მათ... ამ დროს ბოსლის კარმა, რომელსაც გარედან უშველებელი ფოლადის საკეტები ეყენა, საშინლად დაიგრუხუნა. დამპალმა ხის მასალამ სამოცზე მეტი პატიმრის მიწოლას ვერ გაუძლო და ჩამოვარდა. დაკავებულთა ბრბომ ახლა-ახლას

ძახილით იხუვლა და გარეთ გამოვარდა, იმ საცოდავ თანამოძმეებს კი, რომლებმაც თავი ვერ შეიკავეს და წაიქცნენ, ზედ გადაუარა.

კემბრიც გავარდა კედლისკენ და ხელი კარაბინს დაავლო, მაგრამ ტედ ტრეზევსკიმ მაშინვე გამოსტაცა.

– ჩემია, ხელი გაუშვი, შენი... – დაიღრინა მან.

ბოსლის კარიდან ოფისამდე ოც იარდზე მეტი არ იქნებოდა. ბრბომ სწრაფად დაფარა ეს მანძილი, თან გაჰყვიროდა:

– ახლა! ახლა! ახლა!

პოკერის სათამაშო მაგიდა ხმაურით გადაყირავდა, კარტი მთელ ოთახში მოიფანტა. ამბოხის დაწყებისთანავე ღობეში ჩაყენებული სიგნალიზაცია ჩაირთო. ვინც პირველი მიაწყდა ორმაგ მავთულხლართს, ან დაიწვა, ან უზარმაზარი გაბერილი თევზივით ზედ გადაეკიდა. წამის შემდეგ განგაშის ზარი სირენების გამყინავმა კივილმა შეცვალა – საერთო განგაშმა, რომელსაც ზოგჯერ „სამ ექვსიანს", ანუ სამყაროს აღსასრულს უწოდებდნენ. პლასტმასის ტუალეტების ჯიხურებიდან გაოცებული და შეშინებული გუშაგები იყურებოდნენ.

– ბოსელი! – შესძახა ვიღაცამ, – ბოსელში არეულობაა! გარბიან!

ნახევრად ჩაცმული, ფეხშიშველი გუშაგები თოვლში გამოცვივდნენ და ღობის გასწვრივ განლაგდნენ. რა იცოდნენ, რომ ოთხმოცზე მეტმა ირმებზე მონადირე კამიკაძემ მავთულხლართზე გადაძრომისას საკუთარი სხეულით მოკლე ჩართვა გამოიწვია. ბევრი მათგანი ახლაც იქ ეგდო, იკრუნჩხებოდა, ძაგძაგებდა, იწვოდა, კვდებოდა, მაგრამ მაინც „ახლას" გაჰყვიროდა.

ვერავინ შეამჩნია კიდევ ერთი გაქცეული, – მაღალი, გამხდარი, ძველმოდური რქოვანი სათვალით, – რომელიც ბოსლის მეორე მხრიდან გავიდა და დიაგონალზე გადაკვეთა ნამქერით დაფარული მინდორი. მიუხედავად იმისა, რომ მდევარს ვერ ხედავდა და ვერც იმას ხვდებოდა, მისდევდნენ თუ არა, – მაინც გარბოდა. პროჟექტორებით გაჩახჩახებულ მინდორში თავს უზომოდ დამცირებულად

გრძნობდა. სირენებისა და განგაშის ზარების ხმა აგიჟებდა, პანიკურ შიშს უნერგავდა და ისე ტანჯავდა, როგორც დადიტსის ტირილი იმ დღეს, „ძმები თრექერების" შენობის უკან.

იმედოვნებდა, რომ ანდერჰილი ელოდა. ჯერ არაფერი იცოდა, რადგან ხშირი თოვლი ბაკის შორეულ ბოლოს ფარავდა. თუმცა მალე იქ იქნებოდა და ყველაფერი გაირკვეოდა.

9

როდესაც განგაში რომ ატყდა, კურცი ჩექმას იცვამდა. დამატებითმა პროჟექტორებმა კიდევ უფრო გაანათა ღვთისგან მივიწყებული კუთხე. კურცს არც გაოცება უგრძნია, არც – წყენა, მხოლოდ – სინანული და შვება. შვება იმიტომ, რომ უცნობმა ურჩხულმა, რომელიც მას ნერვებს უჭამდა, ბოლოს და ბოლოს, თავი გამოამჟღავნა და ახლა მხოლოდ სიტუაციის გაკონტროლება ევალებოდა. სინანული კი იმიტომ, რომ ორი საათიღა აკლდა. კიდევ ორი საათი და ოპერაციას წარმატებით დაასრულებდა.

„ვინებაგოდან" გამოსულს ცალი ჩექმა ისევ ხელში ეჭირა. ბოსლიდან გაშმაგებული, დაუოკებელი ღრიალი ისმოდა, რაღაც საბრძოლო შეძახილის მსგავსი, რასაც, უნებურად, მისი გულიც გამოეხმაურა. ქარიშხალი ხმებს მხოლოდ ნაწილობრივ ახშობდა: ჩანდა, პატიმრები ბრძოლაში გადაეშვნენ. იმ გამაძღარი, განებივრებული ადამიანების წიაღში საიდანღაც სპარტაკი[179] გაჩნდა – ასეთი რამ არ უნდა მომხდარიყო, ამას ვერავინ იფიქრებდა.

სულ იმ წყეული ტელეპათიის ბრალია, – გაიფიქრა მან. ინტუიციამ, რომელიც არასდროს ღალატობდა, უკარნახა, რომ გამოუსწორებელი რამ მოხდა, რომ ოპერაციას დედა ეტირა. მაგრამ კურცი მაინც იღიმებოდა, – მაინც ეს წყეული ტელეპათია. იგრძნეს, რაც ელოდათ... და ვიღაცამ მოქმედება გადაწყვიტა.

[179] ყოფილი რომაელი მონა, რომელმაც მონათა დიდი ამბოხი მოაწყო.

კურცმა დაინახა, როგორ გამოცვივდა ბოსლის მონგრეული კარიდან ქურთუკებსა და ნარინჯისფერ კეპებში აჭრელებული ბრბო. ერთი კაცს გადატეხილი ფიცარი ვამპირის ვერხვის სოლივით შეესო. თოვლში დაცემულები სხვებმა გადათელეს. ყველა ნათურა თუ პროჟექტორი ენთო. კურცი თითქოს რინგზე გამართულ ორთაბრძოლას აკვირდებოდა, ყველაფერს კარგად ხედავდა, რადგან მაყურებლებისთვის განკუთვნილ საუკეთესო ადგილზე იჯდა.

ორი ჯგუფი – თითოში ორმოცდაათი-სამოცი კაცი იქნებოდა – მწყობრად და შეთანხმებულად, კარგად გაწვრთნილი რაზმივით მივარდა ღობეს და ძველი მაღაზიის ორივე მხრიდან დაეჭიდა. თავდამსხმელებისთვის უცნობი იყო, ანდა – სულერთი, რომ მავთულხლართებში მაღალი ძაბვის დენი გადიოდა. კურცი მიხვდა, რომ ზღუდე დაეცემოდა.

არასდროს ასე უხეშად არ ჩაუშლიათ მისი ყოველმხრივ გათვლილი გეგმა: ორასი-სამასი მოუხერხებელი, ახალწვეული ჯარისკაცი დაუფიქრებლად გადაეშვა ბრძოლაში „ბანზაის" ძახილით. კურცს კი ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ისინი საქონელივით მორჩილად დაელოდებოდნენ, როდის წაიყვანდა პატრონი სასაკლაოზე.

– ცუდი არ არის, ბიჭებო, – ჩაილაპარაკა კურცმა და იგრძნო, რომ რაღაც კიდევ იწვოდა, – ალბათ, მისი დაწყევლილი კარიერა... მაგრამ ბოლო ისედაც ახლოს იყო, ტყუილუბრალოდ როდი აირჩია ასეთი მძიმე ოპერაცია, რათა ღირსეულად წასულიყო სცენიდან. ახლა ხვდებოდა, რომ კოსმოსიდან მოსული რუხი კაცუნები, ამიერიდან, მეორე პლანზე გადაინაცვლებდნენ. ახალი ამბების წამყვანი რომ ყოფილიყო, ეკრანზე შემდეგ წარწერას გამოიტანდა: სიურპრიზი! ახალი ეპოქის ამერიკელები საოცარ სიმამაცეს იჩენენ! გაუგონარ სიმამაცეს! განა სირცხვილი არ არის ასეთი ადამიანების დახოცვა?

სირენების კივილი იმ თოვლიან ღამეს ხან ძლიერდებოდა, ხანაც

სუსტდებოდა. გაქცეულთა პირველი ტალღა მაღაზიის უკანა კედელს შეასკდა. კურცმა თითქოს დაინახა კიდეც, როგორ შეზანზარდა შენობა.

– წყეული ტელეპათია, – გაიმეორა მან ღიმილით. მისი ხალხი, ბოლოს და ბოლოს, როგორც ჩანს, გამოფხიზლდა. საგუშაგო ჯიხურებიდან, ავტოპარკიდან, სასადილოდან და იმპროვიზებული ბარაკებიდან – ტრაილერებიდან გამოცვივდნენ. კურცის სახეზე ღიმილი გაოგნებამ შეცვალა.

– ესროლეთ, – შესძახა მან, – რატომ არ ისვრით?

ზოგიერთმა დაუჯერა, მაგრამ ასეთები ერთეულები იყვნენ. ძალიან ცოტანი. მიხვდა, რომ ეს პანიკა იყო. მებრძოლებმა შიშისგან ჩაისვარეს, მიხვდნენ, რომ იგივე ბედი ელოდათ და იმიტომ არ ისროდნენ.

– წყეული ტელეპათია, – გაიმეორა მან.

უეცრად მაღაზიაში სროლა ატყდა. იმ ოფისის ფანჯრები, სადაც ჯერ კიდევ გუშინ ოუენ ანდერჰილთან ორიგინალური თათბირი გამართა, დამაბრმავებლად ნათდებოდა. ორგან შუშები ჩაიმსხვრა. ერთ-ერთიდან ვიღაც კაცს გადმოხტომა სურდა. კურცმა მასში ჯორჯ ადელი ამოიცნო, რომელსაც არ აცალეს, ხელი ჩაავლეს და უკან შეათრიეს.

ოფისში მყოფი ბიჭები წინააღმდეგობის გაწევას მაინც ცდილობდნენ. სხვა რა დარჩენოდათ? ისინი საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად იბრძოდნენ. ჯარისკაცებს კი შერკინების ადგილამდე ვერაფრით მიეღწიათ. კურცი უკვე ჩექმისთვის ხელის გაშვებასა და ცხრამილიმეტრიანი პისტოლეტის ამოღებას აპირებდა, რამდენიმე გაქცეული მაინც რომ დაეწვინა. მოენადირებინა. ნადავლი მოეგროვებინა. ირგვლივ ისედაც ყველაფერი ინგრეოდა. რატომაც არა?

ანდერჰილი. აი, რატომაც არა. იმ არეულობაში ოუენ ანდერჰილს რაღაც წვლილი ჰქონდა. კურცმა ეს ისევე ზუსტად იცოდა, როგორც

თავისი სახელი. ღალატის სუნი სცემდა, ანდერჰილს კი ღალატი სისხლში ჰქონდა გამჯდარი.

გოსლინის ოფისიდან კვლავ გაისმა სროლა... განწირულთა კვნესა... გამარჯვების შეძახილი. კომპიუტერების ჭიებმა, „ევიანის" მსმელებმა, სალათას მჭამელმა გოთებმა თავიანთი სიმაგრე აიღეს.

კურცმა „ვინებაგოს" კარი მიხურა, ის სისაძაგლე რომ აღარ დაენახა და საძინებელში შებრუნდა, ფრედი ჯონსონთან დასარეკად. ჩექმა ისევ ხელში ეჭირა.

10

კემბრი ბებერი გოსლინის საწერი მაგიდის უკან, მუხლებზე იდგა, როდესაც მაღაზიაში პატიმრების პირველი ტალღა შემოვარდა. ამ დროს გონებაარეული კემბრი ყუთებში იარაღს ეძებდა. სწორედ იმან გადაარჩინა, რომ მსგავსს ვერაფერს მიაგნო.

– ახლა! ახლა! ახლა! – შეშლილებივით ყვიროდნენ გაქცეულები. მაღაზიის უკანა კედელს ისეთი ძალით ეტაკნენ, კემბრის ეგონა, სატვირთო მანქანა შეასკდაო. შემდეგ საშინელი ტკაცატკუცი მოესმა – მავთულხლართებს პირველი ადამიანები ემსხვერპლნენ. ოფისში შუქი ათამაშდა.

– ერთად დადექით, ბიჭებო! – შესძახა დენი ო'ბრაიენმა, – ღვთის გულისთვის, ერთად...

ამ დროს უკანა კარი ანჯამებიდან ისე ჩამოვარდა, რომ წინ კი არა, უკან გადავარდა და თავდამსხმელებს ფარივით აეფარა. კემბრი მაგიდის ქვეშ შეძვრა და თავს ხელებით იფარავდა. კარი ახლა წინ გადმოიხარა და მაგიდას დაემხო, ამან კემბრი დროებით გადაარჩინა.

პატარა ოთახში სროლის ხმა აფეთქებასავით გაისმოდა, დაჭრილთა და მომაკვდავთა კვნესას ახშობდა, მაგრამ კემბრი მიხვდა, რომ მხოლოდ ტრეზევსკი, ადელი და ო'ბრაიენი ისროდნენ.

კოლმენი, ევერეტი და რეი პარსონსი თავზარდაცემულნი იდგნენ

და იარაღი მკერდზე მიეკრათ.

სახელდახელო თავშესაფრიდან ჯინ კემბრიმ დაინახა, როგორ ანადგურებდნენ პატიმრები გზად ყველაფერს, როგორ წაიქცნენ ტყვიით განგმირული მეწინავეები, როგორ შეიღება მათი სისხლით იატაკი, კედლები და სარეკლამო პლაკატები. აი, ჯორჯ ადელმა კარაბინიდან ორ ნარინჯისფერქურთუკიან ახმახს ესროლა და ფანჯარას ეცა. თითქმის გადაძვრა, მაგრამ კაცმა, რომელსაც ლოყაზე ხალივით მოუჩანდა რიპლის წითელი ლაქა, კბილები ისე ჩაასო კოჭში, როგორც საშობაო ინდაურს, მეორემ კი ჯორჯს კისერი მოუგრიხა და ყვირილი შეაწყვეტინა. ოთახი დენთის მოცისფრო კვამლით გაივსო, მაგრამ კემბრიმ დაინახა ელ კოლმენი, რომელმაც იარაღი გადააგდო და საყოველთაო შეძახილი – „ახლა! ახლა! ახლა! " – აიტაცა. რეი პარსონმა, მსოფლიოში ყველაზე მშვიდობისმოყვარე და მშვიდმა ადამიანმა, დენი ო'ბრაიენს კარაბინი დაუმიზნა და ტვინი გაასხმევინა.

ყველაფერი გამარტივდა – დაინფიცირებულები ჯანმრთელების წინააღმდეგ.

ძლიერი დარტყმისგან მაგიდა კედლისკენ გასრიალდა. კარი კემბრის დაეცა და სანამ წამოდგომას მოასწრებდა, ხალხმა გადაუარა. თავს ისე გრძნობდა, როგორც არეულობის დროს ცხენიდან ჩამოვარდნილი კოვბოი. ვკვდები, – გაიფიქრა მან, მაგრამ მომდევნო წამს მომაკვდინებელი ზეწოლა შესუსტდა. სისხლში ადრენალინმომატებული კემბრი სწრაფად წამოჯდა მუხლებზე. კარი გადავარდა, – ნახვამდისო და, – გაბრაზებით სახელური თეძოზე მიარტყა. ვიღაცამ ჩარბენისას ფეხი ნეკნებში უთავაზა, ვიღაცის ჩექმამ ყური ატკინა, მაგრამ ადგომა მაინც მოახერხა. ოთახი სქელ კვამლს გაევსო, გიჟური ყვირილისა და შეძახილებისგან ყურთასმენა აღარ იყო. რამდენიმე ზორბა მონადირე ღუმელს დაეტაკა, საკვამური გადმოვარდა, იატაკზე დაეხეთქა და გავარვარებული ნაკვერჩხლები აქეთ-

იქით მოიფანტა. ფულსა და კარტს ცეცხლი მოედო. მაღაზიაში პიკერის პლასტმასის კოჭების მძაფრი სუნი დატრიალდა. ეს რეის კოჭებია, – გაიფიქრა კემბრიმ, – სპარსეთის ყურეში თან ჰქონდა. ბოსნიაშიც.

დაბნეული იდგა. ყურადღებას არავინ აქცევდა. გამოქცეული პატიმრები ოფისსა და მაღაზიას შორის კარში თითქმის არ შედიოდნენ. ეს არაფერში სჭირდებოდათ, რადგან კედელი, უფრო სწორად, თხელი ტიხარი, მოენგრიათ. ნამტვრევები თანდათანობით იწვოდა.

– ახლა, – ჩაიბურტყუნა ჯინ კემბრიმ, – ახლა.

მან თვალი მოჰკრა რეი პარსონსს, რომელიც სხვებთან ერთად, მაღაზიის პარმაღისკენ გარბოდა. უკან ჰოუი ევერეტი მისდევდა. გზად ჰოუიმ პურს დასტაცა ხელი და ცენტრალური გასასვლელისკენ გაქანდა.

გამხდარი ბერიკაცი ფრთაგაყრილი შლაპითა და მძიმე პალტოთი ძლიერი მუჯლუგუნისგან ღუმელს შეასკდა და აღარც წამომდგარა. როდესაც სახე გავარვარებულ ლითონს მიედო და დნობა დაიწყო, კემბრის მისი გამყინავი ხმა შემოესმა. შემოესმა და იგრძნო კიდეც.

– ახლა! – შესძახა მან და დანარჩენებს აჰყვა, – ახლა!

ღუმლიდან გამოვარდნილ ცეცხლის ალს გადაახტა, გაიქცა და თავისი პატარა ტვინი დიდ, გაერთიანებულ ტვინს შეუერთა.

პრაქტიკული თვალსაზრისით, ოპერაცია „ცისფერი ბიჭი" დასრულდა.

11

ჰენრიმ გზის სამი მეოთხედი გაიბინა, გაჩერდა და ხელი გულზე იტაცა, მძიმედ სუნთქავდა. უკან მის მიერ შექმნილი მინიატიურული არმაგედონი[180] მოიტოვა, წინ კი ვერაფერს ხედავდა, წყვდიადის გარდა. ის არამზადა ანდერჰილი გაქცეულიყო და მიეტოვებინა...

[180] ბიბლიაში ადგილი, სადაც კეთილისა და ბოროტის უკანასკნელი ბრძოლა გაიმართება.

„სიტყვები შეარჩიე, ლამაზო“…

შუქი ორჯერ აინთო და ჩაქრა. აღმოჩნდა, რომ ჰენრი სხვაგან ეძებდა. ოუენი საძოვრის სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ოდნავ მარცხნივ იმყოფებოდა. ახლა ჰენრიმ გარკვევით დაინახა ყველგანმავლის კვადრატული მოხაზულობა. უკნიდან კვლავ ყვირილი, შეძახილი, ბრძანებები და სროლა ისმოდა. არც ისეთი სასოწარკვეთილი, როგორსაც ელოდა, მაგრამ ახლა იმის დრო არ ჰქონდა, მიზეზები გაერკვია.

„მოუჩქარე, – დაუძახა ოუენმა, – აქაურობას უნდა გავეცალოთ! “

„დამელოდე, მოვრბივარ, მეტი რა ვქნა“.

ჰენრი წინ გაქანდა. რაც უნდა ყოფილიყო ოუენის აბები, მათი მოქმედება აშკარად შესუსტდა. ფეხებიც საგრძნობლად დაუმძიმდა. თეძოსა და პირის ღრუს ქავილს ლამის გაეგიჟებინა. გრძნობდა, როგორ მიცოცავდა სოკო ენაზე უალკოჰოლო გაზიანი სასმლის ბუშტუკივით, რომელსაც გასკდომა არ სურდა.

ოუენმა მავთულები გადაჭრა – ეკლიანიცა და დენისაც – და უკვე თეთრი ფერის შნო-ჩატ-ის წინ იდგა (გასაკვირი არ იყო, რომ ჰენრიმ თოვლში ის ვერ შეამჩნია), ავტომატი თეძოზე მიებჯინა და გაფაციცებით ათვალიერებდა არემარეს. ურიცხვი ნათურისგან წამოსული სინათლის ფონზე მისი ჩექმის ჩრდილები უაზროდ მოძრავ საათის ისრებს დამსგავსებოდა. ოუენმა ჰენრის მხარში ხელი სტაცა.

„კარგად ხარ? “

ჰენრიმ თავი დაუქნია. როგორც კი ოუენმა შნო-ჩატ-თან მიათრია, გამაყრუებელი აფეთქების ხმა გაისმა, თითქოს მსოფლიოში უდიდესი კარაბინი გაისროლესო. ჰენრი დაიხარა, რაღაცას გამოედო და კინაღამ წაიქცა. კიდევ კარგი, ოუენმა მოასწრო და ქურთუკის საყელოში ხელი ჩაავლო.

„რა“…

„გაზი. შესაძლოა, ბენზინიც. გაიხედე“.

მან ჰენრი მიატრიალა. ჰენრიმ გიგანტური ცეცხლის სვეტი დაინახა. ცაში გოსლინის მაღაზიის ნაწილები დაფრინავდა: ფიცრები, კრამიტები, ალმოდებული „ჩირიოზოს“ შეკვრები და ტუალეტის ქაღალდის რულონები. რამდენიმე ჯარისკაცი მონუსხული შესცქეროდა ფეიერვერკს. ზოგი ტყისკენ გარბოდა, ალბათ, გაქცეულ პატიმრებს მისდევდნენ, თუმცა ჰენრის გარკვევით ჩაესმოდა თავში მათი პანიკური შეძახილი: „გავიქცეთ! გავიქცეთ! ახლავე! ახლავე! “... დაჯერება უჭირდა. მოგვიანებით, შედარებით მშვიდ ვითარებაში, მიხვდა, რატომ აუბეს მხარი ჯარისკაცებმა სამოქალაქო პირებს, მაგრამ ახლა ვერაფერი მოეფიქრებინა – ყველაფერი ელვის სისწრაფით ვითარდებოდა.

ოუენმა კვლავ თავისკენ მოატრიალა იგი და თითქმის ძალით შეაგდო მანქანაზე გადმოკიდებული ტილოს ფარდის ქვეშ, რომელსაც ძრავას ზეთის მძაფრი სუნი ასდიოდა, და მგზავრისთვის განკუთვნილ სკამზე დასვა. კაბინაში თბილოდა, სახელდახელოდ გაკეთებულ ხელსაწყოების პანელზე ჩამოკიდებული რაცია წრიპინებდა და ტკაცუნებდა. ერთადერთი, რისი გარჩევაც ჰენრიმ შეძლო, ათობით ადამიანის მკაფიო, ისტერიკული ხმა იყო, ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. ენით აუწერელი სიხარული იგრძნო – ასეთი ბედნიერი მას შემდეგ არ ყოფილა, რაც რიჩი გრენადოსა და მის ხულიგან ძმაკაცებს შიში აჭამეს. ამ ოპერაციასაც მათი მსგავსი ადამიანები ხელმძღვანელობდნენ, – მოზრდილი რიჩი გრენადოების ბანდა, – რომელთაც ძაღლის გამხმარი განავლის ნაცვლად ხელში ავტომატები ეჭირათ.

სკამებს შორის რაღაც იდო: ყუთი, რომელზეც ორი ქარვისფერი წერტილი ბრწყინავდა. ჰენრი დაიხარა, რათა გაერჩია, რა იყო. ამასობაში ოუენმა მძღოლის სავარძლის თავზე გადაფარებული ბრეზენტი გადასწია და ზედ მძიმედ დაებერტყა. მან უკანასკნელად გახედა აბრიალებულ მაღაზიას. მძიმედ სუნთქავდა, მაგრამ სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა.

– ამასთან ცოტა ფრთხილად იყავი, ძმობილო, – გააფრთხილა ჰენრი, – ღილაკებს არ შეეხო.

ჰენრიმ ყუთი ასწია, იგი დადიტსის საუზმისთვის განკუთვნილ, სკუბი-დუსგამოსახულებიან კოლოფს ჰგავდა. ანდერჰილის მიერ ნახსენები ღილაკები მოციმციმე ინდიკატორების ქვეშ მდებარეობდა.

– ეს რა არის?

ოუენმა გასაღები გადაატრიალა და გამთბარი ძრავა მაშინვე ამუშავდა. ოუენი კვლავ იღიმებოდა, საქარე მინიდან შემოსული კაშკაშა სინათლის ფონზე ჰენრიმ ბაირუსის მოწითალო ნარინჯისფერი ძაფები შენიშნა, თვალებქვეშ კოსმეტიკურ ტუშს ჰგავდა. წარბებზეც იგივე მოუჩანდა.

– აქ ზედმეტი შუქია, – თქვა ოუენმა, – ცოტა უნდა ჩავაბნელოთ.

მან ნარნარად, მოტორიანი ნავივით მოაბრუნა ყველგანმავალი და ჰენრი განცხრომით მიეყრდნო სავარძლის ზურგს, მოციმციმე-წერტილებიან ყუთს ხელიდან არ უშვებდა და გრძნობდა, რომ მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში სიარულს ვეღარ შეძლებდა. არც ჰქონდა ამის სურვილი.

ოუენმა ალმაცერად გადახედა და გეზი დათოვლილი არხისკენ აიღო, რომელსაც ოდესღაც სუონიფონდროუდი ერქვა.

– შენ ეს შეძელი, – თქვა მან, – არ დაგიმალავ და არც იმის აღიარება მრცხვენია, რომ ეჭვი მეპარებოდა. მაგრამ შენ მოახერხე და ყველა და ყველაფერი აამოძრავე.

– ხომ გეუბნებოდი, მოტივაციების ოსტატი ვარ-მეთქი, – გაეცინა ჰენრის.

„გარდა ამისა, – გაუგზავნა გონებით, – მათი უმრავლესობა ისედაც მოკვდება“.

„ამას მნიშვნელობა არა აქვს. შენ მათ შანსი მიეცი. და ახლა“...

სროლა ისევ გაძლიერდა და როცა ტყვიამ მათ თავზე ჩაუწუილა,

ჰენრი მიხვდა, რომ მათ უმიზნებდნენ. მეორე ყველგანმავლის მუხლუხამ აისხლიტა. ჰენრიმ თავი მხრებში ჩარგო, თითქოს ეს რამეს უშველიდა.

ოუენი კვლავ იღიმებოდა. ხელთათმნიანი ხელი მარჯვნივ გაიშვირა. ჰენრიმაც იქით სწორედ მაშინ გაიხედა, როდესაც კიდევ ორი ტყვია მოხვდა ყველგანმავლის კვადრატულ კორპუსს. ჰენრი ორივეჯერ მოიკუნტა. ოუენი კი თითქოს ვერაფერს ამჩნევდა.

ჰენრიმ ერთად მდგარი ტრაილერები დაინახა. ზოგ მათგანზე „სისკოსა" და „სკოტ-ფეიფას" მსგავსი რეკლამა იყო გაკრული. მათ წინ ბორბლებზე შემდგარი სახლების კოლონია მოჩანდა. ყველაზე დიდის, „ვინებაგოს" გვერდით, რომელიც ჰენრის ნამდვილ სასახლედ მოეჩვენა, რამდენიმე კაცი იდგა და მათ უმიზნებდა. საკმაოდ დიდი მანძილისა და თოვლიანი ქარის მიუხედავად, მსროლელები მიზანს ხშირად არტყამდნენ. მათკენ დამხმარე ძალა გარბოდა (ერთ-ერთ მუტრუკს მკერდი საჩვენებლად მოეშიშვლებინა და კომიქსების სუპერგმირს ჰგავდა). ცენტრში მაღალი, თმაჭაღარა კაცი იდგა, მის გვერდით კი – უფრო ჩასკვნილი მებრძოლი. ჰენრის თვალწინ გამხდარმა შაშხანა ასწია და დაუმიზნებლად გაისროლა. ბახ! და ტყვიამ ჰენრის ცხვირწინ აბეზარი ბუზივით ჩაუქროლა.

ოუენს გაეცინა.

– გამხდარი და ჭაღარა კაცი – კურცია. ის არის აქ მთავარი, ტყვიას ტყვიაში აჯენს.

ტყვიები ისევ ხვდებოდა ყველგანმავლის კორპუსსა და მუხლუხას. ერთი მათგანი კაბინაში შემოვარდა და რაცია დაადუმა. მანძილი მათსა და „ვინებაგოს" შორის თანდათან იზრდებოდა, მაგრამ ეს მსროლელთა სიზუსტეზე ოდნავაც არ აისახებოდა. ჰენრი მიხვდა, რომ საუცხოო მსროლელები იყვნენ და ადრე თუ გვიან მისწვდებოდნენ... ოუენი კი გაბადრული იყურებოდა, ჰენრისთვის გასაგები გახდა, რომ კომპანიონს მასზე მეტად აკვიატებოდა თვითმკვლელობის სურვილი.

– კურცის გვერდით ფრედი ჯონსონია. ეს ბიჭები მისი მუშკეტერები არიან, რომელთაც... ეი, ფრთხილად!

კიდევ ერთი გატკაცუნება, კიდევ ერთი ფოლადის ფუტკარი, რომელმაც მათ შორის ჩაიქროლა და სიჩქარეთა გადამრთველის ბერკეტზე პლასტმასის ბურთულა დაამსხვრია. ოუენმა გადაიხარხარა.

– ეს კურცი იყო! – შესძახა მან, – ამაზე თავს დავდებ! ხომ წარმოგიდგენია, წესით, ორი წლის წინ თადარიგში უნდა გასულიყო, ის კი კვლავინდებურად ანი ოუკლივით[181] ისვრის!

აღტაცებულმა ოუენმა საჭეს მუშტი დაარტყა და დაამატა:

– საკმარისია. ვიმხიარულეთ და გვეყოფა. აბა, ლამაზო, ერთი ეგ შუქი გამომირთე.

– რა თქვი?

კვლავაც გაღიმებულმა ოუენმა ცერით მოციმციმეწერტილებიან ყუთზე მიუთითა და ახლა ჰენრის მის თვალებქვეშ ბაირუსის ზოლები საბრძოლო მოხატულობად მოეჩვენა.

– ღილაკებს დააწექი, პატარავ. დააწექი და ფარდა დაუშვი.

12

უეცრად – ასეთი რამ ყოველთვის უეცრად, ჯადოსნური ჯოხის აქნევასავით ხდება – სამყარო გაქრა და კურცი მარტო დარჩა. აღარც აშარი ქარი იყო და აღარც – თოვლი, აღარც სირენებისა და განგაშის ზარების ღმუილი ისმოდა. კურცი ვეღარც ფრედი ჯონსონსა და „იმპერიალის ხეობის“ დანარჩენ მებრძოლებს ხედავდა. მთელი ყურადღება ყველგანმავალზე გადაეტანა, რომელიც სულ უფრო შორდებოდა მას. არადა, ისე მკაფიოდ ხედავდა ფოლადის კაბინის მარცხენა სავარძელში მჯდომ ოუენ ანდერჰილს, თითქოს თვალებიდან სუპერმენივით რენტგენის სხივებს აფრქვევდა. სამიზნე ძალიან შორს იყო, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. შემდეგი ტყვია აუცილებლად კეფაში მოხვდებოდა მოღალატეს, რომელმაც გაბედა და

[181] ქალი კოვბოი, სახელგანთქმული მსროლელი.

ზღვარს გადააბიჯა. მან შაშხანა ასწია, დაუმიზნა და...

ღამეში ორი აფეთქების ხმა გაისმა, საკმაოდ ახლოს, რათა მათგან მოვარდნილ ტალღას კურცი და მისი ბიჭები წაექცია. ტრაილერი, რომელსაც გვერდზე „ინტელ ინსაიდი" ეწერა, გადაბრუნდა და „სპაგოს" – გადასატან სამზარეულოს დაეცა.

– დალახვროს ეშმაკმა, – შესძახა ვიღაცამ.

ყველა პროჟექტორი როდი ჩაქრა – ოუენ ანდერჰილს მხოლოდ ნახევარი საათი ჰქონდა და მან ოთხიდან ორ გენერატორში მოახერხა თერმიტული დინამიტის ჩადება (ამასთან, განუწყვეტლივ ერთსა და იმავეს ღიღინებდა: „ბენბერი-კროსისკენ, ბენბერი-კროსისკენ, ცხენ-ჯოხზე შემჯდარი ბენბერი-კროსისკენ...), მაგრამ მოულოდნელად სწრაფად მიმავალი ყველგანმავალი ნაპერწკლებით მოფენილი ჩრდილიდან ისე გაქრა, რომ კურცმა გასროლა ვერ მოასწრო. გაბრაზებულმა შაშხანა ძირს დააგდო.

– ამის დედაც! .. – თქვა მან აუღელვებლად, – არ ისროლოთ, არ ისროლოთ, ბრიყვებო. შეჩერდით, ღვთის გულისთვის. ფრედის გარდა, ყველანი ფურგონში ადით. ერთმანეთს ხელები ჩაჰკიდეთ და ყოვლისშემძლე უფალს სთხოვეთ, რომ ამ დაწყევლილი ადგილიდან ცოცხალი გაგიყვანოთ. წამოდი, ფრედი, ფეხი გამოადგი.

დანარჩენები, ოცამდე კაცი, ნელა აუყვა საფეხურებს, თან შიგადაშიგ ცეცხლმოდებულ გენერატორებსა და აალებულ სამზარეულოს გასცქეროდნენ (სასადილოც იმ დღეში იყო, იზოლატორსა და მორგსაც იგივე ბედი ელოდა). ნათურებისა და პროჟექტორების ნახევარი გადაიწვა.

კურცმა ფრედი ჯონსონს მხრებზე ხელი მოხვია და განზე გაიყვანა, ნამქერისკენ, სადაც ქარს ახალი ძალით ბოლქვებად მოჰქონდა რაღაც, რაც მისტიკურ ნისლს უფრო ჰგავდა მოჩვენებებზე გადაღებული ფილმიდან. მათ წინ ცეცხლი მხიარულად ნთქავდა გოსლინის მაღაზიას. მის გვერდით ბოსელი იწვოდა. ჩამოგლეჯილი კარების ადგილას სიბნელეს დაეღო პირი.

– ფრედი, გიყვარს ღმერთი? სიმართლე მითხარი.

ფრედის ეს უკვე გაევლო. ეს მანტრა იყო. ჩვეულებრივი მანტრა. ბოსი გონებას ისუფთავებდა.

– მიყვარს, ბოს.

– თუ დაიფიცებ, რომ სიმართლეს ამბობ? – არ ეშვებოდა კურცი და თვალებით ბურღავდა. უფრო სწორად, მის მიღმა იყურებოდა და მომდევნო ხუთ-ექვს ნაბიჯს გეგმავდა. ცხადია, თუკი ამ არსებას, რომელიც მხოლოდ ინსტინქტებისგან შედგებოდა, რაიმეს დაგეგმვა ხელეწიფებოდა, – ხომ იცი, ტყუილისთვის სამუდამო ჯოჯოხეთი გელის.

– ვფიცავ, ბოს.

– ძალიან გიყვარს, არა?

– ძალიან, ბოს.

– რაზმზე უფრო მეტად? დაშხოშიან ჩხუბსა და საკუთარ საქმეზე მეტადაც? – პაუზა, – ჩემზე მეტადაც?

თუ სიკვდილი არ გსურდათ, ასეთ შეკითხვებზე ფრთხილად და გონივრულად უნდა გეპასუხათ. საბედნიეროდ, კითხვები სირთულით არ გამოირჩეოდა.

– არა, ბოს.

– ტელეპათიამ გაიარა, ფრედი?

– მე მას ოდნავ შევეხე. არ ვიცი, ეს ტელეპათია იყო თუ არა... თავში რაღაც ხმები ჩამესმოდა...

კურცმა თავი დაუქნია. ბოსლის სახურავზე „რიპლის სოკოს" შეფერილობის მოწითალო ოქროსფერი ცეცხლის ალი აცეკვდა.

– ...მაგრამ ყველაფერი დამთავრდა.

– რაზმის დანარჩენი წევრები?

– „იმპერიალის ხეობის"? – დაზუსტება სცადა ფრედიმ და თავი „ვინებაგოსკენ" გაიქნია.

– აბა, სხვა ვინ? სახანძრო რაზმი ხომ არა? ცხადია, ისინი.

– ყველა სუფთაა, ბოს. არავინ დაინფიცირებულა.

– შესანიშნავია. ცხადია, ცუდიცაა. ფრედი, ჩვენ ორი ავადმყოფი გვჭირდება. როცა ვამბობ ჩვენ-მეთქი, შენ გგულისხმობ და საკუთარ თავს. ამერიკელები მჭირდება, ეს ნაგავი ყველაზე მეტად რომ ეტ-ყობათ. გასაგებია?

– დიახ.

ფრედი, რასაკვირველია, ვერაფერს მიხვდა, მაგრამ ეს, ჯერჯე-რობით, მნიშვნელოვანი არ იყო. იგი გრძნობდა, ხედავდა, როგორ ეუფლებოდა კურცი სიტუაციას, მისთვის ეს დიდი შვება იყო. საჭი-როების შემთხვევაში კურცი მას ყველაფერს აუხსნიდა.

ფრედიმ ფრთხილად გახედა აბრიალებულ მაღაზიას, ალმოდე-ბულ ბოსელს, ცეცხლმოკიდებულ სამზარეულოს. ურთულეს მდგო-მარეობაში იყვნენ.

თუმცა, ვინ იცის. ახლა ხომ ყველაფერს კურცი მიხედავდა.

– ყველაფერი იმ წყეული ტელეპათიის ბრალია, – ხმამაღლა ფიქ-რობდა კურცი, – მაგრამ გადამწყვეტი ბიძგი ამ ყველაფერს ტელე-პათიამ კი არა, ჩვეულებრივმა ადამიანურმა უნამუსობამ მისცა, დი-დება უფალს. ვინ უღალატა იესოს, ფრედი? ვინ მიანიშნა მასზე მო-ღალატის ამბორით?

ფრედი ბიბლიას, ძირითადად, იმიტომ კითხულობდა, რომ კურ-ცმა აჩუქა.

– იუდა ისკარიოტელმა, ბოსს.

კურცმა თავი რამდენჯერმე დააქნია. თვალებს აქეთ-იქით აცე-ცებდა, ნგრევის ხარისხს აფასებდა, საპასუხო ქმედებების შესაძ-ლებლობას ითვლიდა, რასაც ქარიშხალი ძალიან ართულებდა.

– სწორია, მეგობარო. იუდამ იესოს უღალატა, ოუენ ანდერჰილმა კი – ჩვენ. ამისთვის იუდამ ოცდაათი ვერცხლი მიიღო. როგორ ფიქ-რობ, ეს არც ისე ბევრია, არა?

– არაა ბევრი, ბოს, – დაეთანხმა ფრედი და ოდნავ შეტრიალდა, რადგან ამ დროს სასადილოში რაღაც აფეთქდა, მაგრამ კურცმა ფო-

ლადის თითები მხარში ჩაავლო, თავისკენ მოატრიალა და მოჩვენების მსგავსი თეთრი წამწამებით დამშვენებული, ფართოდ გაღებული მოელვარე თვალები მიაშტერა.

– მე მიყურე, როცა გელაპარაკები, – თქვა მან, – და მოისმინე, როცა მოგმართავენ, – კურცმა ხელი თავის ცხრამილიმეტრიან პისტოლეტს დაადო, – თორემ ტვინს გაგასხმევინებ. ისედაც მძიმე ღამე გამოდგა და ჩემს გაბრაზებას არ გირჩევ, ხომ გაიგე, ძაღლისშვილო? გაიგე თუ არა?

ჯონსონს სიმხდალეს ვერავინ დასწამებდა, მაგრამ ახლა მუცელში რაღაც ამოუტრიალდა და პირისკენ ამოუცოცდა.

– დიახ, ბოს, მაპატიეთ.

– რა გაეწყობა. ღმერთს ვუყვარვართ და გვპატიობს, ჩვენც ასე გვიბრძანა მოქცევა. არ ვიცი, რამდენი ვერცხლი შეხვდა ოუენს, მაგრამ ერთს გეტყვი: ჩვენ უნდა შევიპყროთ იგი, დუნდულები გავაწევინოთ და ჩვენს ბიჭუნას ახალი, ხუთჯერ უფრო დიდი ნახვრეტი გავუკეთოთ. გამომყვები?

– დიახ, ბოს, – ფრედის ახლა ყველაზე მეტად იმ ტიპის დაჭერა და გაჟიმვა უნდოდა, მისი მოწესრიგებული სამყარო თავდაყირა რომ დააყენა, – როგორ მიგაჩნიათ, რამდენადაა ოუენი ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი?

– იმდენად, რომ ჩემთვის საკმარისია, – მშვიდად წარმოთქვა კურცმა, – ფრედი, გული მიგრძნობს, რომ ფსკერისკენ ვეშვები...

– არა, ბოს.

– ...მაგრამ სხვასაც გავიყოლებ.

კურცმა, რომელსაც ხელი კვლავ ფრედისთვის გადაეხვია, თავისი ახალი მოადგილე „ვინებაგოსკენ" წაიყვანა. ცეცხლის დადაბლებული, მომაკვდავი სვეტები დამწვარი გენერატორების ადგილებს მიუთითებდა. და ეს ყველაფერი ანდერჰილს ჩაედინა, კურცის ერთერთ ბიჭს. ფრედის უჭირდა ამის დაჯერება, მაგრამ თანდათანობით მაინც განიმსჭვალა ამ აზრით. „რამდენ ვერცხლად, ოუენ? რამდენი

ვერცხლი აიღე, შე მოღალატევ?"

კურცი საფეხურებთან გაჩერდა.

– მაშასადამე, პოვნა და განადგურება. ჯგუფის ხელმძღვანელად ვის დანიშნავდი?

– გალაჰერს, ბოს.

– კეიტს?

– დიახ.

– ის ქალი კაციჭამიაა, ფრედი? ასეთი ჯგუფის მეთაური კაციჭამია უნდა იყოს. ხომ იცი, მისია...

– შეჭამს კი არა, შეახრამუნებს, ბოს.

– კარგი, – კურცმა თავი დააქნია, – ჭუჭყიანი სამუშაოა. ორი რიპლით დაინფიცირებული მჭირდება, „ცისფერი ბიჭის" საუკეთესო მებრძოლები. დანარჩენებს... როგორც ცხოველებს, ფრედი. მაშასადამე, „იმპერიალის ხეობის" ამოცანაა პოვნა და განადგურება. გალაჰერმა და მისმა ხალხმა უნდა აღმოაჩინონ ისინი და, შეძლებისდაგვარად, მოსპონ. როგორც სამხედროები, ასევე სამოქალაქოები. ვადა – ხვალინდელი დღის თორმეტი საათი და ნული წუთი. შემდეგ კი ყველა თავის თავს მიხედავს. ჩვენ გარდა, ფრედი.

ცეცხლმა კურცის სახეზე ბაირუსი აღბეჭდა და თვალებით სინდიოფალას დაამსგავსა.

– უნდა შევიპყროთ ოუენი და ვასწავლოთ, როგორ უნდა ღვთის სიყვარული.

მიუხედავად იმისა, რომ „ვინებაგოს" საფეხურები თოვლით დაფარული და მოლიპული იყო, კურცი არხარივით მარჯვედ ავიდა ზედ. ფრედი ჯონსონი უკან მიჰყვა.

13

შნო-ჩატ-ი სუონიფონდროუდისკენ ყრილით ისე სწრაფად დაეშვა, რომ ჰენრის კინაღამ გული აერია. შემდეგ ყველგანმავალი მოტრიალდა და სამხრეთისკენ გაემართა. ოუენი საჭეს ჩაჰფრენოდა და

გზას თვალს არ აცილებდა. სიჩქარეს მარჯვედ არეგულირებდა და მანევრირებდა ნამქერს შორის. ჰენრის აზრით, პირველი სიჩქარით მიდიოდნენ და საათში, დაახლოებით, ოცდათხუთმეტ მილს ფარავდნენ. გოსლინის მაღაზიას, ცხადია, გვარიანად დაშორდნენ, მაგრამ ჰენრის ეჩვენებოდა, რომ ჯოუნსი მათზე სწრაფად გადაადგილდებოდა.

„მთავარი გზატკეცილი წინაა? – ჰკითხა ოუენმა, – ასეა, არა?"

„ეგრეა. ოთხიოდე მილი დაგვრჩა".

„იქ რომ მივალთ, მანქანა უნდა გამოვცვალოთ".

„არავინ დაზარალდება, ცხადია, თუ ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული. და არავინ მოკვდება".

„ჰენრი... არ ვიცი, როგორ აგიხსნა, მაგრამ ეს სკოლაში კალათბურთის თამაში არ გეგონოს".

– არავინ დაზარალდება. და არავინ მოკვდება. ყოველ შემთხვევაში, მანქანის წართმევისას. თუ არ მეთანხმები, ახლავე გავაღებ კარს და გადავხტები.

ოუენი მისკენ მიბრუნდა:

– შენ ამას მართლა გააკეთებ, არა? და ჯანდაბას შენი მეგობარი და ყველაფერი ის, რასაც იგი ჩვენს სამყაროს უმზადებს?

– ჩემი მეგობარი არაფერ შუაშია. იგი მოიტაცეს.

– კარგი. თუ ეს ჩვენზე იქნება დამოკიდებული, არავინ დაზარალდება მანქანების გაცვლისას. არც არავინ დაიღუპება. ისევ ჩვენ თუ დავიღუპებით. საით მივდივართ?

„დერი".

„ის იქ არის? უკანასკნელი გადარჩენილი უცხოპლანეტელი?"

„ასე მგონია. ნებისმიერ შემთხვევაში, დერიში მეგობარი მყავს, რომელიც დაგვეხმარება. იგი ხაზს ხედავს".

„რომელ ხაზს?"

– ამას მნიშვნელობა არა აქვს, – თქვა ჰენრიმ და გაიფიქრა: ეს რთული ასახსნელია.

– რას ნიშნავს, „რთული ასახსნელია“? ან „არ არის მოძრაობა, არ არის თამაში“?

„გზაში აგიხსნი. თუ შევძლებ“.

შნო-ჩატ-ი – ფოლადის ეს კაფსულა თავისივე ყვითელი ათინა-თით შტატების გამყოფი გზატკეცილისკენ მიქროდა.

– ერთხელაც გამიმეორე, რა უნდა გავაკეთოთ, – თქვა ოუენმა.

– ჩვენი სამყარო უნდა გადავარჩინოთ.

– ისიც მითხარი, ვინ გავხდებით... ეს უნდა გავიგონო.

– გმირები, – თქვა ჰენრიმ, თავი უკან გადასწია და თვალები და-ხუჭა. წამის შემდეგ უკვე ეძინა.

ნაწილი III

კუებინი

ერთხელ, დილით, კიბეზე რომ დავაპირე ასვლა,
კაცი შემხვდა, იქ არ იყო, გეფიცებით, მართლა;
არც დღეს იყო! კვლავ შევხვდები? ისევ ვნახავ მაღლა?
ნეტა თავი დამანებოს, აღარ ვიცი, რა ვქნა.

ჰიუზ მირნსი[182]

[182] ამერიკელი პოეტი.

თავი მეთვრამეტე
დევნა იწყება

1

ჯოუნსი ვერაფრით მიხვდა, რა დრო იყო, როდესაც თოვლის კორიანტელიდან მწვანე აბრამ ამოყვინთა, წარწერით „დაიზარტსი", – საათი „რემის" პანელზე კარგა ხანია, აღარ მუშაობდა და გამუდმებით შუაღამეს უჩვენებდა, – მაგრამ ისევ ბნელოდა და ძლიერად თოვდა. თოვლსაწმენდი მანქანები მარცხს მარცხზე განიცდიდნენ ქარიშხალთან უთანასწორო ბრძოლაში. მოპარული „რემი" ძალიან კარგი მოსიარულე იყო, როგორც ჯოუნსის მამილო იტყოდა, მაგრამ მასაც კი გაუჭირდა ნამქერთან ჭიდილი, ცურავდა, ბუქსაობდა, ღმუილით მიიწევდა წინ სიბნელესა და ქარბუქში. ჯოუნსიმ არ იცოდა, საით მიიჩქაროდა მისტერ გრეი, მაგრამ არ სჯეროდა, რომ ის ამას შეძლებდა. ასეთ საშინელ ამინდში და ასეთი სატვირთო მანქანით.

რადიო მუშაობდა, მაგრამ ხარვეზებით; ყველაზე ხმამაღლა სტა-

ტიკური მუხტების ტკაცატკუცი ისმოდა. ზუსტ დროს არ აცხადებდნენ, მაგრამ ჯოუნსიმ ამინდის პროგნოზის მოსმენა მოახერხა. პორტლენდის სამხრეთით თოვლი წვიმას ჩაენაცვლებინა, ოგასტიდან ბრუნსვიკამდე კი ნალექი, ძირითადად, სველი თოვლისა და ყინულივით ცივი წვიმის საძაგელი ნაზავის სახით მოდიოდა. ბევრ ქალაქსა და დასახლებას დენი არ მიეწოდებოდა და მანქანების უჯაჭვებოდ გადაადგილება არათუ შეუძლებელი, სასიკვდილო განაჩენის ტოლფასი იყო.

ამ სიახლემ ჯოუნსი აღაფრთოვანა.

2

როდესაც მისტერ გრეიმ სატვირთო მანქანის პანდუსისკენ მობრუნება სცადა, რომლის თავზეც მწვანე აბრა იწონებდა თავს, „რემი" უმწეოდ მოსრიალდა გვერდზე, თოვლი ააშხეფა და დიდრონი ღრუბლები წარმოქმნა. ჯოუნსიმ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ საჭესთან თვითონ არ იჯდა, თორემ ახლა უკვე გზის გასწვრივ რომელიმე არხში ეგდებოდა. მართალია, მისტერ გრეი ჯოუნსის ემოციებისგან დაცული არ იყო, სტრესულ სიტუაციებში მას მოთმინება იშვიათად ღალატობდა. ახლაც, ამ გოლიათთან გაუაზრებელი ბრძოლის ნაცვლად, საჭეს ჩააფრინდა და მანქანას დაცურების საშუალება მისცა, მანქანამ მალე თავისით დაამუხრუჭა. შემდეგ კვლავ გაასწორა „რემი". ძაღლს, მშვიდად ეძინა ნოხზე, არ გაღვიძებია, არც ჯოუნსის ასჩქარებია მაჯისცემა. თუმცა, საჭესთან რომ მჯდარიყო, გული საგულედან ამოუხტებოდა. არა, ასეთ ამინდში, მანქანას, რა თქმა უნდა, გარაჟში დააყენებდა და შინ დარჩებოდა.

მისტერ გრეიმ დამჯერედ გააჩერა მანქანა პანდუსის ბოლოს, „სდექ" ნიშანთან, თუმცა მეცხრე გზატკეცილზე წამლად ერთი მანქანაც არ ჩანდა. პანდუსის მოპირდაპირედ უშველებელი განათებული ავტოსადგომი დაინახა, იქ ქარისგან დაყენებული თოვლის კორიან-

ტელი უხილავი, უშველებელი მხეცის სუნთქვას წააგავდა. ჩვეულებრივ დღეებში იქ ნემსიც არ ჩავარდებოდა, ძრავები გუგუნებდა, ფარების ყვითელი და მწვანე შუქი უხვად იღვრებოდა, სატვირთო მანქანების, ტრაილერებისა და მსუბუქი ავტომობილების განუწყვეტელი მიმოსვლა და ხმაური იყო. დღეს კი იქ თითქმის არავინ ჩანდა, მხოლოდ აბრა ეკიდა, წარწერით: „ფასიანი ავტოსადგომი, მიმართეთ მენეჯერს, შეიძინეთ ქვითარი". ღობის იქით ათი-თხუთმეტი თვითმცლელი სატვირთო იდგა, დათოვლილი. მათი მძღოლები ახლა, ალბათ, შენობაში ისხდნენ, პინბოლს თამაშობდნენ, ბარში ტელევიზორს უყურებდნენ ან დაძინებას ცდილობდნენ უბადრუკ საერთო საძინებელ ოთახში, სადაც ათ დოლარად სუფთა საბანსა და საწოლს იძლეოდნენ და საიდანაც, ბეტონის კედლის სახით, თვალწარმტაცი ხედი იშლებოდა. ყველას ერთი და იგივე აზრი ტანჯავდა: როდის მოვცილდები აქაურობას? რა თანხა დამიჯდება ეს სიამოვნება?

მისტერ გრეიმ ფრთხილად დააჭირა ფეხი გაზს, იმის შესაბამისად, როგორც ატარებდა ჯოუნსი ზამთარში მანქანას. პიკაპის ოთხივე ბორბალი ამოძრავდა, სატვირთო დაიძრა და თოვლში შეიჭრა.

„მიდი! – ამხნევებდა ჯოუნსი ოფისის ფანჯრიდან, – მიდი, გაიჭედე! რადგან თუ სრულამძრავიანი სატვირთო გაიჭედება, აღარაფერი უშველის! "

მაგრამ ბორბლები გაგორდა – ჯერ წინა, იქ, სადაც ძრავის სიმძიმე მეტ ხახუნს ქმნიდა, შემდეგ კი უკანა. „რემმა" მეცხრე გზატკეცილი გადაკვეთა და ოდნავ შეყოვნდა აბრასთან, წარწერით „შესასვლელი". იმის იქით კიდევ ერთი მოჩანდა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალი ინგლისის საუკეთესო ავტოსადგომზე". შემდეგ მანქანის ფარებმა მესამე, თოვლით ნახევრად დაფარული, მაგრამ მაინც ადვილად წასაკითხი აბრა გაანათა: „დალახვროს ეშმაკმა, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ახალი ინგლისის საუკეთესო ავტოსადგომზე".

„ეს მართლაც მსოფლიოში საუკეთესო ავტოსადგომია?" – დაინტერესდა მისტერ გრეი.

„რასაკვირველია", – დაუდასტურა ჯოუნსიმ, მაგრამ თავი ვეღარ შეიკავა და გადაიხარხარა.

„ეს რატომ გააკეთე? რატომ გამოსცემ ასეთ ხმებს?"

ამ დროს ჯოუნსიმ რაღაც საშინელი და, იმავდროულად, გულის ამაჩუყებელი გააცნობიერა: მისტერ გრეი მისი ტუჩებით იღიმებოდა. ფართოდ არა, ძლივს შესამჩნევად, მაგრამ ეს მაინც ღიმილი იყო!

მან არ იცის, რა არის ღიმილი, – გაიფიქრა ჯოუნსიმ. ცხადია, მან არც გაბრაზება იცოდა, მაგრამ ყველაფერს საოცრად სწრაფად ითვისებდა, ყოველ შემთხვევაში, ისტერიკა მშვენივრად გამოსდიოდა.

„შენი სიტყვები სასაცილოდ მომეჩვენა".

„რას ნიშნავს სასაცილო?"

ჯოუნსი შეყოვნდა, ნორმალური პასუხი არ მოაფიქრდა. უნდოდა, რომ მისტერ გრეის ადამიანური ემოციის მთელი სპექტრი განეცადა. როგორც ჩანს, მხოლოდ იმ შემთხვევაში გადარჩებოდა, თუ დამპყრობელს – მას, ვინც სხეული და გონების უდიდესი ნაწილი მოსტაცა, გააადამიანურებდა. „პოგომ"[183] ერთხელ თქვა: „ჩვენ შევხვდით მტერს და ეს მტერი ჩვენ ვართ". მაგრამ როგორ აუხსნას სიტყვა „სასაცილოს" მნიშვნელობა სხვა სამყაროდან მოსულ ერთ მუჭა სპორას? და რა არის სასაცილო, თუ „დაიზარტსის" მფლობელები საკუთარ ავტოსადგომს „მსოფლიოში საუკეთესოს" უწოდებდნენ?

ამჯერად მათ მორიგ, ორმხრივისრიან აბრას ჩაუარეს. მარცხენის ქვეშ „მძიმეტვირთიანი" ეწერა, მარჯვენის ქვეშ – „მსუბუქტვირთიანი".

„რომელი ავირჩიო?" – იკითხა მისტერ გრეიმ და აბრასთან გაჩერდა.

---

[183] ამერიკული საგაზეთო კომიქსი და მისი მთავარი გმირი ოპოსუმი.

ჯოუნსის შეეძლო ეიძულებინა, რომ ინფორმაცია თვითონ მოეძებნა, მაგრამ რა აზრი ჰქონდა?

„მსუბუქტვირთიანი", – მოკლედ მოუჭრა მან და მისტერ გრეიმ „რემი" მარჯვნივ მიაბრუნა. ბორბლებმა ბუქსაობა დაიწყო. სატვირთო მანქანა შეჯანჯღარდა. ლედმა თავი ასწია, კიდევ ერთხელ გამოუშვა ხმაურით სურნელოვანი ეთერგაზები და საწყალობლად დაიყმუვლა. მუცელი გაზრდოდა და ჩამოჰკიდებოდა: ვინც კი შეხედავდა, ლეკვების დასაყრელად გამზადებული ძუკნა ეგონებოდა.

ავტოსადგომზე ოცი-ოცდახუთი მსუბუქი მანქანა და პიკაპი იდგა. ისინი, რომლებიც თოვლს თითქმის დაეფარა, ნამდვილად მომსახურე პერსონალს ეკუთვნოდა: მექანიკოსებს (აქ ორი მაინც ყოველთვის მორიგეობდა), ოფიციანტებს, მზარეულებს. ჯოუნსის მძაფრი დაინტერესება იმან გამოიწვია, რომ ყველაზე სუფთად საპატრულო ღია ცისფერი მანქანა გამოიყურებოდა, რომლის სახურავზე დამაგრებულ შუქურას მცირეოდენი თოვლი მიჰყროდა. დაპატიმრება გამოეწვია? ეს, მისტერ გრეის გეგმებს, ცხადია, ბოლოს მოუღებდა, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი უკვე სამ მკვლელობას შესწრებოდა, თუ პიკაპის მძღოლსაც ჩავთვლით. მართალია, პირველი ორი მკვლელობის მოწმე არ არსებობდა, ისევე, როგორც გარი ჯოუნსის თითეების ანაბეჭდები, მაგრამ აქ? უამრავი. მან თავი სასამართლოს დარბაზში წარმოიდგინა. „ბატონო მოსამართლევ, ყველა მკვლელობა უცხოპლანეტელმა მისტერ გრეიმ ჩაიდინა, რომელმაც ჩემში შემოაღწია". კიდევ ერთი ხუმრობა, რომელსაც მისტერ გრეი ვერ დააფასებდა.

ამასობაში მისტერ გრეი მის ცნობიერებაში დაძვრებოდა.

„გაზდაიზარტსი, – თქვა მან, – რატომ უწოდებთ ამ ადგილს გაზდაიზარტს, როდესაც აბრაზე დაიზარტსი წერია? "

„ეს ლამარმა მოიგონა, – აუხსნა ჯოუნსიმ და გზისპირა რესტორანში, „კედელში გაკეთებული ხვრელისკენ" მგზავრობისა ან იქიდან დაბრუნებისას გამართული მხიარული ჭამა-სმა მოაგონდა. ესეც

ტრადიციის ნაწილი იყო, – მამაჩემიც ასე უწოდებდა“.

„ეს სასაცილოა? ”

„არც ისე, საკმაოდ უხეში ხუმრობაა“.

მისტერ გრეი რესტორნის განათებულ სადგომზე, ყველაზე ახლო რიგში გაჩერდა, თუმცა – ყველაზე შორის პოლიციის მანქანისგან. ჯოუნსიმ ვერ გამოიცნო, მიხვდა თუ არა მისტერ გრეი მოციმციმე შუქურის დანიშნულებას. მან ფარები გამორთო, ხელი გასაღებისკენ წაიღო, მაგრამ უეცრად შეჩერდა და ძაღლის ყეფის მსგავსი ბგერები გამოსცა:

– ჰამ! ჰამ! ჰამ! ჰამ!

„როგორ მოგწონს? “ – დაუფარავი ცნობისმოყვარეობითა და ოდნავი შეშფოთებით იკითხა ჯოუნსიმ.

– მოსაწონი არაფერია, – თქვა მისტერ გრეიმ. იგი კვლავაც სიბნელეში იჯდა და კაბინის გარეთ მოზუზუნე ქარს უსმენდა. შემდეგ უფრო მტკიცე წარმოთქვა:

– ჰამ! ჰამ! ჰამ! ჰამ!

თავშესაფრად ქცეულ ოფისში მყოფი ჯოუნსი შეკრთა. ეს საშინელი ხმა იყო, თითქოს მოჩვენება გაადამიანურებას ცდილობდა.

სიცილი არც ლედს მოეწონა. კვლავ დაიწკმუტუნა და შეშინებულმა შეხედა პატრონის მანქანის საჭესთან მჯდომ მამაკაცს.

3

ოუენი ჰენრის ანჯღრევდა და მის გაღვიძებას ცდილობდა. ჰენრიმ უხალისოდ გაახილა თვალი, დარწმუნებულმა, რომ მხოლოდ ხუთი წუთი ეძინა, ხელ-ფეხი ტყვიასავით დამძიმებოდა.

– ჰენრი!

– აქ ვარ.

მარცხენა ფეხი ექავებოდა, პირის ღრუც, წყეული ბაირუსი ტუჩებზე მოსდებოდა. ჰენრიმ ხელი მოისვა და გაოცებულმა აღმოაჩინა,

რომ სოკო ძალიან ადვილად, მზესუმზირის ჩენჩოსავით სცილდებოდა.

– მომისმინე. და წინ გაიხედე. შეგიძლია?

ჰენრიმ მოჩვენებასავით თეთრ გზას გახედა. ოუენმა შნო-ჩატ-ი გზის პირას გააჩერა და ფარები გამორთო. ცოტა მოშორებით, სიბნელეში, ხმები ისმოდა. ვიღაცას, ალბათ, ბანაკი გაეშალა. ჰენრი გონებით იქით გაემართა. ოთხი ახალგაზრდა სამხედრო იყო, რიგითები...

„ცისფერი ჯგუფიდან, – წაიჩურჩულა ოუენმა, – „ცისფერ ჯგუფს" გადავაწყდით".

ოთხი ახალგაზრდა რიგითი „ცისფერი ჯგუფიდან", რომლებიც შიშს არ იმჩნევდნენ, აქაოდა, მაგარი ბიჭები ვართო... ხმები სიბნელეში. ხმების ნაპერწკლები სიბნელეში...

ჰენრიმ აღმოაჩინა, რომ ყველაფრის დანახვა შეეძლო, მაგრამ ბუნდოვნად. ცხადია, თოვლის გამო: ყვითლად მოციმციმე შუქი მოსახვევს ანათებდა. ხელსაწყოების პანელზე პიცის დასადები, ლანგრად გადაქცეული მუყაო ეგდო, რომელზეც რამდენიმე ნაჭერი ყველი, კრეკერი და შვეიცარიული სამხედრო ჯაყვა დაედოთ. დანა ერთ-ერთ ყმაწვილს, სახელად სმიტის ეკუთვნოდა. ყველანი რიგრიგობით ჭრიდნენ ყველს. რაც უფრო დიდხანს უყურებდა ჰენრი, მით უკეთ ხედავდა. მეტიც – თავბრუდამხვევ სიღრმეებში ისე თავისუფლად შედიოდა, თითქოს ფიზიკური სამყარო სამგანზომილებიანი კი აღარ იყო, არამედ ოთხ თუ ხუთგანზომილებიანი. ეს ადვილად აიხსნებოდა: იგი არა ერთი, არამედ ერთდროულად ოთხი წყვილი თვალით ხედავდა. ახალგაზრდები საცოდავად მობუზულიყვნენ...

„ჰამერია! – თქვა კმაყოფილმა ოუენმა, – გასაშტერებელი „ჰამერი"! მომატებული გამავლობის! თოვლშიც თავისუფლად დადის! სწორედ ისაა, რაც ჩვენ გვინდა! "

ჯარისკაცები ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს ისხდნენ, მაგრამ ოთხივე, მაინც, სხვადასხვა ადგილას იმყოფებოდა. სამყაროს ოთხი

სხვადასხვა წერტილიდან შესცქეროდნენ, მხედველობაც განსხვავებული ჰქონდათ – არწივისებური მზერიდან (დეინა მეიბრუკიდან, ნიუ-იორკის შტატიდან) – საშუალომდე, მაგრამ ჰენრის ტვინი, როგორღაც, ახერხებდა მათ გადამუშავებას, ერთდროულად ახდენდა ყველას შეფასებას, თითქოს ფირზე გამოსახულ უძრავ კადრებს აცოცხლებდა. ოღონდ ისე არა, როგორც კინოში – ეს ნაკლებად საიმედო სამგანზომილებიანი გამოსახულება როდი იყო, ხედვის სრულიად ახალი ხერხი გახლდათ, ისეთი, რომელიც აზროვნების სულიად განსხვავებულ მეთოდს დაუდებდა სათავეს.

თუ ეს ნაგავი კიდევ უფრო გავრცელდა, – გაიფიქრა შეშინებულმა და საშინლად აღგზნებულმა ჰენრიმ, – თუ გავრცელდა...

უეცრად ოუენისგან მუჯლუგუნი მოხვდა.

– იქნებ, ლექცია უფრო შესაფერის დროს წაიკითხო? – ურჩია მან, – აჯობებს, იქით გაიხედო, გზის მეორე მხარეს.

ჰენრი ასეც მოიქცა, თან თავისი უნიკალური გაოთხმაგებული მზერით ტკბებოდა და გვიან მოისაზრა, რომ არა მარტო უყურებდა, არამედ ოთხივეს თვალები გაეერთიანებინა, რათა უკეთ დაენახა გზის შორეული ბოლო. იქაც ბევრი შუქი ციმციმებდა.

– საკონტროლო-გამშვები პუნქტია, – ჩაიბურტყუნა ოუენმა, – კურცს ასე უყვარს თავის დაზღვევა. გზა ორივე მხრიდან დაბლოკილია, გადაადგილება მხოლოდ საშვებით ხდება. „ჰამერი“ მჭირდება. ასეთ ქარიშხალში უკეთესს ვერაფერს ინატრებს კაცი, მაგრამ მეორე მხარეს მყოფი ბიჭების აფორიაქება არ მინდა. შევძლებთ ამის გაკეთებას?

ჰენრიმ კვლავ გამოსცადა ახალგაზრდა ჯარისკაცების მზერა, მათი თვალის კაკლები აამოძრავა და აღმოაჩინა, რომ თუ ისინი ერთსა და იმავე საგანს არ უყურებდნენ, ოთხ-ხუთგანზომილებიანი, ღვთაებრივი მხედველობის შეგრძნება სადღაც ქრებოდა და მის ადგილას გულის ამრევი, გაფანტული პერსპექტივა რჩებოდა, მენტალური

პროცესორები აღარ მუშაობდა. თუმცა, იგი ამოძრავებდა მათი თვალების კაკლებს, ძალიან ენერგიულად არა, მაგრამ...

„ვფიქრობ, შევძლებ, თუ ერთად ვიმოქმედებთ, – მიუგო ჰენრიმ, – ახლოს მივიდეთ. ხმამაღლა აღარ ილაპარაკო. მხოლოდ გონებით დამიკავშირდი".

მოულოდნელად, ჰენრის თავი რაღაც ახლით შეივსო. მზერა კვლავ დაეწმინდა, პერსპექტივა ისეთი ღრმა აღარ იყო. მხოლოდ ორი წყვილი თვალიღა დარჩა: მისი და ოუენის.

ოუენმა ყველგანმავალი პირველ სიჩქარეში ჩააგდო და წინ გამორთული ფარებით დაიძრა. ძრავის ხმადაბალ გუგუნს ქარის ზუზუნი ახშობდა. მიახლოებასთან ერთად, ჰენრი „ჰამერში" მსხდომთა გონებაზე კონტროლს აძლიერებდა.

„ბიჭოს! .." – თქვა სუნთქვააჩქარებულმა ჰენრიმ ოდნავი ღიმილით.

„რა არის? რა მოხდა? "

„შენზე ვამბობ – ეს ჯადოსნურ, მფრინავ ხალიჩას ჰგავს. ღმერთო ჩემო, როგორი ძლიერი ყოფილხარ".

„ასე გგონია? ვნახოთ, როგორ აჭიკჭიკდები, როდესაც ჯოუნსის შეხვდები".

ოუენმა შნო-ჩატ-ი დაბალი გორაკის ძირში გააჩერა, მის იქით გზატკეცილი იყო, სამხრეთ პანდუსის ზედა ნაწილში გაჩერებულ „ჰამერში" მსხდომი ბერნი, დეინა, ტომი და სმიტი კი, იმპროვიზებულ ლანგარზე დაყრილ ყველსა და კრეკერებს მიირთმევდნენ. ეს ახალგაზრდები, ბაირუსი ჯერ რომ არ შეხებოდათ, არც კი ეჭვობდნენ, რომ მათ ვიღაც უთვალთვალებდა.

„მზად ხარ? " – იკითხა ჰენრიმ.

„მგონი, – ჰენრის თავში მოთავსებული მეორე პიროვნება, რომელსაც წარბიც რომ შეუხრია, კურცი და მისმა ბიჭები რომ ესროდნენ, ახლა ნერვიულობდა, – სარდლობა შენ იკისრე, ჰენრი. მე მხოლოდ შემსრულებელი ვარ".

„ვიწყებთ“.

შემდგომ მოქმედებებს ჰენრი ინსტინქტურად აკეთებდა. მან „ჰამერის“ ოთხეული სიკვდილითა და ნგრევით კი არ დააშინა, არამედ კურცად გარდაიქმნა, რისთვისაც ურცხვად ისარგებლა ოუენ ანდერჰილის ენერგიით, რაც იმ მომენტში მას უფრო მეტი ჰქონდა. თან წესდებისა და მეთაურის უფლება-მოვალეობებზე მისი ზედმიწევნითი ცოდნაც გამოიყენა. ამან ენით გამოუთქმელი სიამოვნება მიანიჭა. და შვებაც, სხვათა შორის. ერთია სხვების თვალების ამოძრავება, და სულ სხვაა მათი გონების სრულად დამორჩილება. არადა, ისინი ბაირუსით არ იყვნენ დაინფიცირებულები და ამგვარი ზემოქმედებისადმი იმუნიტეტი უნდა ჰქონოდათ. მადლობა ღმერთს, რომ ასე არ აღმოჩნდა.

„ბიჭებო, გორაკის გადაღმა, თქვენგან აღმოსავლეთით შნო-ჩატი დგას, – განაცხადა „კურცმა“, – ახლავე ბაზაზე უნდა გადაიყვანოთ, დაუყოვნებლივ. და არავითარი შეკითხვა თუ შენიშვნა არ გამაგონოთ. იჩქარეთ. თქვენს ახლანდელ ტრანსპორტთან შედარებით, ცოტათი ვიწრო მოგეჩვენებათ, მაგრამ არა უშავს, ჩაეტევით, დიდება უფალს. გაინძერით, ბიჭებო, ღმერთს უყვარხართ“.

ჰენრიმ დაინახა, როგორ ჩამოხტნენ ისინი თოვლში ერთიმეორის მიყოლებით. მშვიდი, გულგრილი სახეებითა და უსიცოცხლო თვალებით. იგი გადმოსვლას აპირებდა, როდესაც შენიშნა, რომ ოუენი უძრავად იჯდა, მხოლოდ ტუჩებს ამოძრავებდა და სიტყვებს აწყობდა: „გაინძერით, ბიჭებო, ღმერთს უყვარხართ“.

„ოუენ! წამოდი! “

ოუენმა დაბნეულად მიიხედ-მოიხედა, თავი დააქნია, მის მხარეს ჩამოფარებული ბრეზენტი გასწია და მანქანიდან გადმოხტა.

4

ჰენრი წაბორძიკდა, მუხლებზე დაეცა, წამოდგა და ფრთხილად ჩააცქერდა ჩამოწოლილ წყვდიადს. ცოტაღა რჩებოდა, ღმერთმანი,

სულ ცოტა, მაგრამ ამ ნამქერებში ოც ფუტსაც ვეღარ გაივლიდა, არათუ ას ორმოცდაათს. ეგმენი სულ წინ და წინ მიდიოდა, – გაიფიქრა მან, – მე გავაკეთე ეს. ცხადია, ეს პასუხია. საშინლად დავიქანცე და ჯოჯოხეთში მოვხვდი. ეგმენი ჯოჯო"...

ოუენმა ხელი შეაშველა... არა მარტო ხელი. იგი ჰენრის ენერგიასაც აძლევდა.

„გმადლობთ"...

„მადლობას მერე მეტყვი. ძილითაც მოგვიანებით დაიძინებ. ახლა კი რაზმს თვალი არ მოაცილო".

მაგრამ ეს რაზმი აღარ იყო, ესენი იყვნენ მხოლოდ ბერნი, დეინა, ტომი და სმიტი, რომლებიც ერთად მიაბიჯებდნენ თოვლში – კომბინეზონებსა და კაპიუშონიან ქურთუკებში გამოწყობილი მდუმარე მთვარეულები. ისინი აღმოსავლეთისკენ მიემართებოდნენ, სუონი-ფონდროუდისკენ, სადაც შნო-ჩატ-ი იდგა. ოუენსა და ჰენრის სხვა გზა ჰქონდათ – დასავლეთისკენ, მიტოვებული „ჰამერისკენ". ხელსაწყოების დაფაზე ყველი და კრეკერები ეყარა. ეს რომ გააცნობიერა, ჰენრის პირზე ნერწყვი მოადგა.

„ჰამერი" ზუსტად კურსის მიხედვით იდგა. ისინი მას ფარების აუნთებლად, პირველი სიჩქარით წაიყვანდნენ, წყნარად, ჩუმად, გვერდს აუვლიდნენ საპირისპირო მხრიდან წამოსულ ყვითელ ნათებას და თუ ბედი გაუღიმებდათ, ჩრდილოეთის საგუშაგოზე მდგარი ბიჭები მათ წასვლას ვერც კი გაიგებდნენ.

„თუ შეგვამჩნევენ, შეძლებ, რომ გადაავიწყო? – ჰკითხა ოუენმა, – ისე მოაწყო... არ ვიცი... რომ ამნეზია დაემართოთ? "

ჰენრის ეჭვი თითქმის არ ეპარებოდა, რომ შეძლებდა.

„ოუენ".

„რა? "

„თუ გამოვძვრებით, ეს ყველაფერს შეცვლის. ყველაფერს".

პაუზა. ოუენი ნათქვამს იაზრებდა. ჰენრი იმ ძალაზე არ საუბრობდა, რომელიც კურცის ბოსებისთვის – ქვეყნის სათავეში მდგომი

მაღალი იერარქიისთვის ჩვეულებრივი მონეტა იყო. იგი ადამიანის გონების შესაძლებლობებს გულისხმობდა, სხვისი აზრების საცოდავ კითხვას გაცილებით რომ აღემატებოდა.

„ვიცი", – როგორც იქნა, თქვა მან.

5

ისინი „ჰამერში" ჩასხდნენ და სამხრეთისკენ გაემართნენ. სამხრეთისკენ, თოვლსა და ქარბუქში. ჰენრი დევლინი ჯერაც კრეკერებსა და ყველს ღეჭავდა, როდესაც დაღლილობამ თავისი გაიტანა და მის გადახურებულ გონებაში შუქი ჩააქრო.

ასეც დაეძინა – პირზე ნამცეცებით.

და სიზმარში ჯოზი რინკენჰაუერი ნახა.

6

ხანძრის დაწყებიდან ნახევარი საათის შემდეგ ბებერი რეჯი გოსლინის ბოსლიდან მხოლოდ მრგვალი მბჟუტავი ლაქა დარჩა, როგორც დრაკონის თვალი გამდნარი თოვლისგან გაკეთებულ ფოსოში. ტყიდან, სუონიფონდროუდის მხრიდან, აღმოსავლეთის მიმართულებით შაშხანების სროლის ხმა ისმოდა. თავიდან – ხშირად, შემდეგ სულ უფრო იშვიათად და ჩუმად: რაზმი, სახელწოდებით „იმპერიალის ხეობა" (ამიერიდან – „იმპერიალის ხეობა" კეიტ გალაჰერის მეთაურობით), გაქცეულებზე ნადირობდა. გაქცეულები გარეული იხვების როლს ასრულებდნენ და მათგან ცოტა თუ გადარჩებოდა. ცხადია, იღბლიანები აუცილებლად მოუყვებოდნენ თავიანთ სევდიან თავგადასავალს აღშფოთებულ საზოგადოებას და ვინ იცის, რა ელოდათ ახლანდელ მამაც მონადირეებს, მაგრამ ამაზე წუხილს ხვალაც მოასწრებდნენ.

სანამ ეს ნადირობა მიმდინარეობდა, – და სანამ მოღალატე ოუენ ანდერჰილი სულ უფრო სცილდებოდა მათ, – კურცი და ფრედი ჯონსონი სამეთაურო პოსტზე იდგნენ (ოღონდ, ჯონსონის აზრით, იგი

ჩვეულებრივ „ვინებაგოდ" ქცეულიყო, რადგან მისი ძლევამოსილება და მნიშვნელოვნება აღარსად ჩანდა) და სათამაშო კარტს ქუდში ისროდნენ.

ტელეპათიის უნარს მოკლებული კურცი კვლავაც ზუსტად გრძნობდა ხელქვეითთა განწყობას – იმას, რომ მის განკარგულებაში მხოლოდ ერთი მებრძოლი დარჩენილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა. მან ფრედის შეხედა:

– დინჯად იჩქარე, მეგობარო. ეს წესი არასდროს მოძველდება.

– დიახ, ბოს, – მიუგო ფრედიმ, რომელსაც დიდი ენთუზიაზმი არ ეტყობოდა.

კურცმა ყვავის ორიანი ისროლა. იგი ჰაერში გაფრთხიალდა და კეპში ჩაეშვა. სიამოვნებისგან დაიკრუტუნა და მორიგი კარტის სატყორცნად მოემზადა. ამ დროს კარზე დააკაკუნეს. ფრედიმ იქით შეტრიალება დააპირა, მაგრამ კურცის მრისხანე მზერას წააწყდა და მთელი ყურადღება კვლავ კარტზე გადაიტანა. ეს თითქოს თანაბრად მიფრინავდა, მაგრამ კეპის წინაფრაზე დაეცა. კურცმა რაღაც ჩაიბუზღუნა და თავი შემოსასვლელისკენ გაიქნია. ფრედიმ გულში ღმერთს მადლობა შესწირა და კარის გასაღებად გაემართა.

ზედა საფეხურზე ჯოსლინ მაკევოი იდგა, „იმპერიალის ხეობის" წევრი ორი ქალიდან ერთ-ერთი. რბილი, სოფლური კილო მიანიშნებდა, რომ ტენესიდან უნდა ყოფილიყო, სამაგიეროდ, მოკლედ, ბიჭურად შეკრეჭილი ქერა თმის ქვეშ სახე ქვისგან გამოკვეთილს მიუგავდა. წესდებით გაუთვალისწინებელი ისრაელის წარმოების ავტომატი მოხდენილად ეჭირა. ფრედი ვერაფრით მიხვდა, სად იშოვა ქალმა ის იარაღი, ბოლოს კი ხელი ჩაიქნია – უკანასკნელი საათ-ნახევრის განმავლობაში ბევრმა რამემ დაკარგა მნიშვნელობა.

– ჯოს, – შესძახა ფრედიმ, – აქ რას აკეთებ, ცუდო გოგო?

– ბრძანების შესაბამისად, რიპლით დაავადებული ორი ადამიანი მოვიყვანე.

ტყიდან კვლავ გაისმა სროლის ხმა და ფრედიმ შეამჩნია, რომ

ქალმა მზერა იქით გააპარა. როგორც ჩანს, სურდა, დავალების შესრულების შესახებ მოეხსენებინა და იქ, ტყეში დაბრუნებულიყო, თამაშის დასრულებამდე სროლით გული ეჯერა. ფრედი ამას შესანიშნავად მიხვდა.

– აქ მოიყვანე, ლამაზო, – ბრძანა კურცმა. იგი კვლავაც ძირს დაგდებულ კეპთან იდგა (იატაკზე რამდენიმე ადგილას მელროუზის, მზარეულის მესამე თანაშემწის სისხლის კვალი შემორჩენილიყო), მაგრამ თვალებს უკვე მტაცებელივით აკვესებდა, – ვნახოთ, ვინ გამოძებნე.

ჯოსლინმა ავტომატი გაიქნია. ქვემოთ, კიბის საფეხურებთან, მამაკაცის ხმამ ჩაიბურტყუნა:

– გაინძერით, თქვენი დედაც! .. და ორჯერ ნუ გამამეორებინებთ.

პირველი ტყვე მაღალი და ძალზე შავგვრემანი აღმოჩნდა. ლოყასა და კისერზე რიპლით ამოვსებული იარები მოუჩანდა. წარბებს ზემოთ ბარდებს ამოეყარა. ფრედის მისი სახე ეცნო, მაგრამ სახელი ვერ გაიხსენა. თუმცა ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მოხუცს ნამდვილად ემახსოვრებოდა. მისი აზრით, მან თავისი ყველა ხელქვეითის გვარი იცოდა. ცოცხლებისაც და მკვდრებისაც.

– კემბრი! – შესძახა კურცმა და თვალები კიდევ უფრო დააკვესა, შემდეგ კარტი კეპში ჩაყარა და ხელის გაწვდენა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და მხოლოდ სამხედრო წესით მიესალმა. პირქუშმა და ოდნავ დაბნეულმა ჯინ კემბრიმ არაფერი უპასუხა, – კეთილი იყოს შენი მობრძანება მართლმსაჯულების ამერიკულ ლიგაში.

– ტყეში იმ პატიმრებთან ერთად გარბოდა, რომლებსაც გუშაგად მივუჩინეთ, – თქვა ჯოსლინ მაკეევიმ. სახე კვლავაც გულგრილი ჰქონდა, მაგრამ ხმაში ზიზღი შერეოდა.

– მერე რა? – იკითხა კემბრიმ, – თქვენ ისედაც აპირებდით ჩემს მოკვლას. ყველას მოკვლას აპირებდით. ტყუილები არ დაიწყოთ. მე თქვენს აზრებს ვკითხულობ.

კურცი ოდნავაც არ შეცბუნებულა. მან ხელები მოიფშვნიტა და

კემბრის მეგობრულად მიაჩერდა.

– თუ სამუშაოს კეთილსინდისიერად შეასრულებ, იქნებ გადავიფიქრო კიდეც, მეგობარო. გული იმისთვისაა შექმნილი, რომ გაიბზაროს და გატყდეს, გონება კი – ნაჩქარევი გადაწყვეტილებების შესაცვლელად, მადლობა უფალს. კიდევ ვინ მოიყვანე, ჯოს?

ფრედიმ ბორძიკით მომავალ ფიგურას გაოცებით შეხედა. მერე კი სახე გაებადრა. მისი მოკრძალებული აზრით, რიპლი უკეთეს ობიექტს ვერც შეარჩევდა. თავიდანვე ვერავინ იტანდა ამ ბოზიშვილს.

– სერ... ბოს... არ მესმის, აქ რატომ ვარ... ბრძანების თანახმად, გაქცეულებს მივდევდი, როდესაც ამ... ამ... ბოდიში მომითხოვია, თავის მომაბეზრებელმა ბოზმა აქ მომათრია...

– სხვებთან ერთად გარბოდა, – მოწყენილი ხმით აღნიშნა მაკევოიმ, – ამასთან საშინლად არის დაინფიცირებული.

– ტყუილია! – აღშფოთება ვერ დამალა კარში მდგომმა კაცმა, – აბსოლუტური ტყუილი! სრულიად სუფთა ვარ. ასი პროცენტით...

მაკევოიმ დაუდევრად მოხადა ტყვეს კეპი, რომელსაც გამეჩხერებული თმა შესქელებოდა და წითელი ფერი დასდებოდა.

– ახლავე ყველაფერს აგიხსნით, სერ, – ჩაიბუტბუტა არჩი პერლმუტერმა, – საქმე ისაა, რომ... მე...

მან ლაპარაკის უნარი, როგორც ჩანს, საბოლოოდ დაკარგა. არჩის დანახვაზე კურცს სახე გაუნათდა და საჩქაროდ ნიღაბი გაიკეთა, რამაც მის მამობრივ ღიმილს იმ მანიაკის პირქუში გამომეტყველება შეურია, ბავშვის მოტყუებას მადის აღმძვრელი ნამცხვრით რომ ცდილობს.

– ყველაფერი კარგად იქნება, პერლი, – თქვა მან, – ჩვენ უნდა გავემგზავროთ. სულ ესაა. ერთ ტიპს მოვძებნით, რომელსაც კარგად იცნობ...

– ოუენ ანდერჰილს, – ჩაიჩურჩულა პერლმუტერმა.

– სწორია, რიგითო, – თქვა კურცმა და მაკევოის მიუბრუნდა: – ჯარისკაცს მისი პლანშეტი მოუტანეთ, მაკევოი. დარწმუნებული

ვარ, თავს მაშინვე უკეთ იგრძნობს. შემდეგ კი ნადირობა განაგრძეთ. ვხედავ, რომ ამას მოუთმენლად ელით.

– დიახ, ბოს.

– მაგრამ ჯერ ამას შეხედეთ... ჩვეულებრივი ფოკუსია, რომელიც კანზასში ვისწავლე.

კურცმა დასტა აიღო. მარჯვედ გაწელა, ისევ შეაერთა და მაღლა აისროლა. კარიდან შემოვარდნილმა ქარმა კარტი სხვადასხვა მხარეს გაფანტა. მხოლოდ ერთი მათგანი დაეცა ნახატით ამოტრიალებული. და ეს ყვავის ტუზი იყო.

7

მისტერ გრეიმ მენიუ აიღო, კერძების ჩამონათვალს გადახედა – ძეხვის პური, მოთუშული ბოსტნეული, შემწვარი წიწილა, შოკოლადით მოჭიქული ტორტი – და ინტერესით და ოდნავ გაოცებით ასწია თავი. ჯოუნსი მიხვდა, რომ მისტერ გრეიმ არათუ არ იცოდა, როგორი გემო ჰქონდა ამ კერძებს, თვით გემოს შესახებაც არაფერი სმენოდა. ან საიდან უნდა სცოდნოდა? ბოლოს და ბოლოს, იგი ხომ მხოლოდ სოკო იყო ინტელექტის მაღალი კოეფიციენტით.

გამოჩნდა ოფიციანტი ქალი, რომელსაც თავზე ღია ფერფლისფერი თმის უშველებელი ბულული ედო. მკერდზე მიმაგრებულ ფირფიტაზე ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „დაიზარტსში“, მე თქვენი ოფიციანტი დარლინი ვარ“.

– გამარჯობა, საყვარელო, რა მოგართვა?

– ჩახლილი ერბოკვერცხი ბეკონით. ოდნავ შებრაწული.

– ტოსტი?

– ნიბლები თუ გაქვთ?

ოფიციანტმა წარბები ასწია და კლიენტს ბლოკნოტის ზემოდან დააცქერდა. შორიახლოს, დახლთან, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი იჯდა, მადისაღმძვრელ სენდვიჩს შეექცეოდა და მზარეულს ესაუბრებოდა.

– მაპატიეთ... მინდოდა მეთქვა, ბიბლინები.

წარბები კიდევ უფრო აიწკიპა. ქალს შუბლზე თითქოს ვიტრინაში დაყენებული წითელი ნეონის ასოებით გამოუნათდა შეკითხვა: ეს ტიპი ენაბლუა თუ მასხრად მიგდებს?

ოფისის ფანჯარასთან მდგარ მოღიმარ ჯოუნსის, როგორც იქნა, გული მოულბა.

– ბლინები, – შვებით თქვა მისტერ გრეიმ.

– აჰა. მეც ეს ვიფიქრე. ყავა?

– დიახ, თუ შეიძლება.

ქალმა ბლოკნოტი დახურა და შეტრიალდა. გაცოფებული მისტერ გრეი დაუყოვნებლივ ოფისის კართან გაჩნდა.

„ეს როგორ შეძელი? – იკითხა მან, – აქედან ეს როგორ მოა ხერხე? "

ამ სიტყვებს კარზე გაშმაგებული ბრახუნი მოჰყვა. ჯოუნსი მიხვდა, რომ მისტერ გრეი მხოლოდ გაბრაზებული კი არა, შეშინებული, ძალიან შეშინებული იყო, რადგან თუ ჯოუნსის ამგვარი რამ შეეძლო, მისტერ გრეის მისიას საფრთხე ელოდა.

„არ ვიცი, – გულწრფელად აღიარა ჯოუნსიმ, – არ გეწყინოს. საუზმით ისიამოვნე. უბრალოდ, გაგეხუმრე. გაგათამაშე".

„რატომ? – კვლავ იფეთქა მისტერ გრეიმ. იგი ისევ მარაგდებოდა ჯოუნსის ემოციების ჭიდან საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, – ეს რატომ გააკეთე? "

„ჩათვალე, რომ სამაგიერო გადაგიხადე იმისთვის, ძილში ჩემს შებრაწვას რომ ცდილობდი", – გაეცინა ჯოუნსის.

ამ დროს რესტორანში თითქმის არავინ იმყოფებოდა, ამიტომ დარლინმა შეკვეთა სწრაფად შეასრულა. ჯოუნსიმ ერთი პირობა იმის შემოწმებაც კი მოინდომა, მისტერ გრეის პირის დაუფლებას თუ შეძლებდა, რათა მისი აღშფოთება კიდევ გამოეწვია (მაგალითად, „დარლინ, შეიძლება, რომ თმაზე მოგქაჩო? "), მაგრამ გადაწყვიტა, რომ არ ღირდა.

დარლინმა მაგიდაზე თეფში დადო, მამაკაცს ეჭვით სავსე მზერა ესროლა და წავიდა. ასეთივე ეჭვმა შეიპყრო მისტერ გრეიც, რომელიც ჯოუნსის თვალებით დასჩერებოდა ხასხასა ყვითელ კვერცხის გულებსა და ბეკონის მუქ ნაჭერს (ოდნავ შებრაწულს კი არა, თითქმის დამწვარს „დაიზარტსის" საუკეთესო ტრადიციების გათვალისწინებით).

„მიდი! – თქვა ჯოუნსიმ. თავისი ოფისის ფანჯარასთან იდგა და ამ ყველაფერს მხიარული ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა. იქნებ, ერბოკვერცხმა და ბეკონმა მისტერ გრეის ბოლო მოუღოს? ეს, ალბათ, არ მოხდება, მაგრამ ამ დამპალ გამტაცებელს მუცელი მაინც ასტკივდეს, – მიდი, მისტერ გრეი, მიირთვი. ცეცხლად და შხამად შეგერგოს".

მისტერ გრეიმ ჯოუნსის ფაილებში ჩაიხედა, რათა დანა-ჩანგლის ხმარება ესწავლა, შემდეგ ჩანგლით ცილის ნაჭერი აიღო და ჯოუნსის პირთან მიიტანა.

ამას განსაცვიფრებელი, წარმოუდგენელი რამ მოჰყვა. მისტერ გრეი ყველაფერს პირში იყრიდა და მხოლოდ იმისთვის ჩერდებოდა, რომ ბლინები ნეკერჩხლის ხელოვნურ სიროფში ამოევლო. ყველაფერი მოეწონა, განსაკუთრებით ბეკონი.

„ხორცი! – ესმოდა ჯოუნსის მისი აღტაცებული, ოცდაათიანი წლების საშინელებათა ფილმების პერსონაჟების მსგავსი ხმა, – ხორცი! ხორცი! ხორცის გემო აქვს! "

სასაცილო იყო... იქნებ, არც იყო სასაცილო. ამას საშინელება უფრო ეთქმოდა. ახალშექმნილი ვამპირის ყვირილს ჰგავდა.

მისტერ გრეიმ მიიხედ-მოიხედა, დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა (პატრულის თანამშრომელი ალუბლის ღვეზელს მიირთმევდა), თეფში ასწია და ზედ დარჩენილი ცხიმი ჯოუნსის ენით სწრაფად ალოკა. შემდეგ კი სიროფიანი თითები მიაყოლა.

ყავის დასასხმელად მისულმა დარლინმა ცარიელ თეფშებს მოჰკრა თვალი.

– კარგი დასაწყისია, – გაეცინა მას, – სისწრაფეში მედალი გეკუთვნით. კიდევ ხომ არ გნებავთ რაიმე?

– ბეკონი, – უთხრა მისტერ გრეიმ, ჯოუნსის ფაილებთან გადაამოწმა, რომ ისევ იაღლიში არ მოსვლოდა და დაამატა, – ორმაგი ულუფა.

ყელში გაგეჩხიროს, გულზე დაგადგეს, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, თუმცა ამის დიდი იმედი არ ჰქონდა.

– ღუმელს შენთება სჭირდება, – თქვა დარლინმა. ეს კომენტარი მისტერ გრეისთვის გაუგებარი დარჩა, მაგრამ ჯოუნსის ფაილებში გადამოწმება არც უცდია. ყავაში ორი პაკეტი შაქარი გახსნა, ისევ მიიხედ-მოიხედა, ხომ არავინ მიყურებსო და მესამე პაკეტი პირდაპირ პირში ჩაიყარა. შემდეგ გამძღარ კატასავით თვალები დახუჭა და განცხრომას მიეცა.

„შეგიძლია, იმდენი მიირთვა, რამდენიც გსურს, თანაც ნებისმიერ დროს", – შეატყობინა ჯოუნსიმ კარის მეორე მხრიდან. მან ახლა იცოდა, რას გრძნობდა სატანა, როდესაც იესო მთის წვერზე აიყვანა და აცდუნებდა, ჰპირდებოდა, დედამიწაზე არსებული ყველა ქალაქი შენი იქნებაო. ამაში არც ცუდი იყო რამე, არც – კარგი. და არაფერი პირადული. ეშმაკი მხოლოდ თავის სამუშაოს ასრულებდა, საქონლის გასაღებას ცდილობდა.

თუმცა... არა, ეს მართლაც კარგი იყო, რადგან მან მაინც მიაღწია მისტერ გრეიმდე. მის გონებაში შეაღწია. ცხადია, ბევრი ვერაფერი დააკლო, მაგრამ ღონივრად კი უპწკინა. აიძულა, სურვილის პატარა, სისხლიანი წვეთები გადმოსდენოდა. პირში ნერწყვი მოსვლოდა.

„დანებდი, – უკიჟინებდა ჯოუნსი, – გაბუნებრივდი და მრავალი წელი გაძლებ ჩემი გრძნობებით. მათ ჯერ არაფერი ემუქრება: მე ხომ ორმოცისაც არ ვარ".

მისტერ გრეიმ არაფერი უპასუხა, დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, ყავაში ნეკერჩხლის ხელოვნური სიროფი ჩაასხა, გამოსცალა და მეორე ულუფა ბეკონის მოლოდინში სამზარეულოსკენ გაიხედა.

ჯოუნსიმ ამოიოხრა. ეს იმას ჰგავდა, მართლმორწმუნე მაჰმადიანთან ერთად მოულოდნელად ლას-ვეგასში რომ აღმოჩენილიყო.

რესტორნის შორეულ, თაღოვან ბოლოში ეწერა: „ღამის გასათევი და შხაპი მძღოლებისთვის“. პატარა დერეფანში რამდენიმე ტელეფონის აპარატი ეკიდა, რომლებთანაც მძღოლები იდგნენ და, სავარაუდოდ, თავიანთ ცოლებს ან ბოსებს უხსნიდნენ, რომ შეაგვიანდებოდათ, რადგან მენის შტატში ქარიშხალმა მოუსწროთ, ამჟამად, დერის სამხრეთით, „დაიზარტსში“ (ამ ადგილების მცოდნეთათვის – „გაზდაიზარტში“, – გაიფიქრა ჯოუნსიმ) იმყოფებოდნენ და სულ ცოტა, ხვალ შუადღემდე მოუწევდათ დარჩენა.

ჯოუნსიმ ფანჯარას ზურგი აქცია და ძველი, მაგრამ მისთვის კომფორტული ნივთებით დახვავებულ მაგიდას დახედა. აგერ ტელეფონიც, ცისფერი „ტრიმლაინი“. რა მოხდებოდა, ჰენრისთვის რომ დაერეკა? ნეტა ცოცხალი თუა? ჯოუნსი რატომღაც ფიქრობდა, რომ ცოცხალი იყო, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი გარდაცვალების წუთს იგრძნობდა... ოთახში გაცილებით მეტი ჩრდილი დაგროვდებოდა. „ელვისმა საცხოვრებელი დატოვა და წავიდა, – ასე ბივერი ამბობდა ხოლმე, როდესაც გაზეთში მოთავსებული ნეკროლოგების სიაში ნაცნობ სახელს მოჰკრავდა თვალს, – რა უცნაურია ჩვენი ცხოვრება! “ ჯოუნსი არ ფიქრობდა, რომ ჰენრიმ საცხოვრებელი დატოვა და წავიდა. პირიქით, იქნებ „ბისზეც“ კი გამოსულიყო.

8

მისტერ გრეის მეორე ულუფა ბეკონი გულზე არ დასდგომია. ისე გადასანსლა, ნამცეციც არ დაუტოვებია, მაგრამ როდესაც მუცლის ქვედა ნაწილში სპაზმები იგრძნო, შეშინებული აღრიალდა:

„შენ მომწამლე! “

„მოდუნდით, – უთხრა ჯოუნსიმ, – თქვენ ახლა ერთი პატარა ოთახი გჭირდებათ, მეგობარო“.

„ოთახი? რას ამბ“...

სიტყვა შუაზე გაწყვიტა, რადგან კვლავ მუცლის გვრემა იგრძნო.

„რას ვგულისხმობ და იმას, რომ სასწრაფოდ პატარა ბიჭების ოთახში უნდა წახვიდეთ, – აუხსნა ჯოუნსიმ, – ღმერთო ჩემო, მას შემდეგ, რაც სამოციან წლებში ადამიანები გაიტაცეთ, ანატომიაში უკეთ უნდა ერკვეოდეთ. ნუთუ ვერაფერი ისწავლეთ? "

დარლინმა ქვითარი დაუტოვა. მისტერ გრეიმ იგი თვალებთან მიიტანა. „ძირითად თანხას თხუთმეტი პროცენტი დაუმატეთ. ეს პირადად ოფიციანტის გასამრჯელოა".

„რამდენია თხუთმეტი პროცენტი? "

ჯოუნსიმ ამოიხვნეშა. მაშ, ესენი იყვნენ სამყაროს მბრძანებლები? უდიდესები და უსაშინლესები? შეუბრალებელი ვარსკვლავთმპყრობლები, რომლებმაც არც უნიტაზზე ჯდომა იცოდნენ და არც – გასამრჯელოს დათვლა?

მუცლის ტკივილმა ისევ წამოუარა, თანაც ისე, რომ მისტერ გრეიმ გააცუა. ყარდა, მაგრამ ეთერის სუნი არ ჰქონდა. მადლობა ღმერთს პატარ-პატარა სიამოვნებისთვის, – გაიფიქრა ჯოუნსიმ და მისტერ გრეის უბრძანა: „ჩეკი მაჩვენეთ".

მისტერ გრეიმ ოფისის ფანჯარას მწვანე ქაღალდი მიადო.

„დოლარ-ნახევარი აჩუქეთ, – უთხრა ჯოუნსიმ და როდესაც მისტერ გრეის ყოყმანი შეამჩნია, დაამატა, – კარგ რჩევას გაძ ლევთ. თუ მეტს მისცემთ, მფლანგველი ეგონებით, თუ ნაკლებს – წუწურაქი".

მან იგრძნო, რომ მისტერ გრეი მის ფაილებში სიტყვა „წუწურაქის" მნიშვნელობას ეძებდა. ცოტა ხნის შემდეგ მან უსიტყვოდ დადო მაგიდაზე დოლარი და ორმოცდაათი ცენტი, შვებით ამოისუნთქა და სალაროს მიმართულებით წავიდა, რომლის იქითაც მამაკაცთა ტუალეტი იყო.

პოლიციელს რომ ჩაუარა – ჯოუნსის აზრით, ის საეჭვოდ ნელა შეექცეოდა ღვეზელს – ჯოუნსიმ იგრძნო, რომ მისტერ გრეიმ (სულ

უფრო მეტად გაადამიანურებულმა) თანდათან პოლიციელის თავ-შიც შეაღწია და იქ ფათურს შეუდგა. ახლა ჯოუნსის სასიცოცხლო მნიშვნელობის სისტემებს მხოლოდ შავ-წითელი ღრუბელი წარმარ-თავდა.

ჯოუნსიმ ელვისებურად სტაცა ხელი მაგიდაზე დადებულ ტელე-ფონს. წამით შეყოვნდა – არ იცოდა, სწორად იქცეოდა თუ არა.

მხოლოდ 1-800-ჰენრი აკრიფე, – გაიფიქრა მან.

ცოტა ხანს არაფერი ისმოდა, შემდეგ კი სადღაც, სხვა სამყაროში, ტელეფონი აწკრიალდა.

9

– ეს პიტის იდეა იყო, – ჩაიბურტყუნა ჰენრიმ.

ოუენმა, რომელიც „ჰამერის" (უზარმაზარი, ხმაურიანი, მაგრამ გიგანტური საბურავებით აღჭურვილი მანქანა ქარბუქში ისარივით მიქროდა) საჭესთან იჯდა, თავი მოაბრუნა. ჰენრის ეძინა. სათვალე ცხვირზე ჩამოსცურებოდა. თვალის კაკლების ამოძრავებისთანავე ბაირუსმოდებულ ქუთუთოებზე მსუბუქი ჭავლი გადაუვლიდა ხოლ-მე. ჰენრი სიზმარს ხედავდა. საინტერესოა, რას?

ოუენს რომ მოენდომებინა, ალბათ შეძლებდა ახალი ამხანაგის თავში შეღწევას და ყველაფრის გაგებას, მაგრამ არ სურდა. ცუდ საქციელად მიაჩნდა.

– პიტის იდეა იყო, – გაიმეორა ჰენრიმ, – პიტმა პირველმა მოჰკრა მას თვალი.

ჰენრიმ ისე საცოდავად ამოიოხრა, რომ ოუენს ლამის გული შე-ულონდა. გადაწყვიტა, ჰენრის გონებასა და ფიქრებში არ ჩარეული-ყო. დერიმდე მთელი საათი უნდა ევლოთ, მეტიც – თუ ქარი არ ჩად-გებოდა. დაე, ცოტა გამოეძინა.

10

სკოლის შენობის უკან ფეხბურთის მოედანია, სადაც ოდესღაც

რიჩი გრენადო ოსტატობით იწონებდა თავს, მაგრამ რიჩი უკვე ხუთი წელია, თინეიჯერი გმირის საფლავში წევს. ეს პატარა ქალაქის კიდევ ერთი ტრაგიკული საგზაო შემთხვევა იყო ჯეიმზ დინის[184] სულისკვეთებით. იგი სხვა გმირებმა შეცვალეს, მათაც მიიღეს თავიანთი წილი დაფნის გვირგვინი, გაიზარდნენ და გაუჩინარდნენ. საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე დიდი დროა. ჯერ გაზაფხულია და მინდორზე უამრავი შავთავიანი დიდირონი წითელი ჩიტი მოჩანს. მუტანტი ყვავები დასაკეც სკამებზე სხედან, იცინიან და ერთმანეთს რაღაცას ეყრანტალებიან, მაგრამ იმპროვიზებულ ტრიბუნაზე მჯდომ მისტერ ტრასკს, დირექტორს, ეს დიდად არ ანაღვლებს. მას ხელში მიკროფონი უჭირავს და ადვილად ფარავს მათ ხმებს.

– უკანასკნელი შეტყობინება, სანამ გაგიშვებდეთ! – ხმამაღლა ამბობს იგი, – არ დავიწყებ იმის მტკიცებას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია, ცერემონიის ბოლოს თქვენი ქუდები შეაგროვოთ; მრავალწლიანი გამოცდილებით ვიცი, ეს იგივეა, რაც კედელთან ლაპარაკი... – სიცილი, ტაში, მოწონების შეძახილი. – მაგრამ გაფრთხილებთ, დაუყოვნებლივ დაკეცეთ ისინი და საჭირო ადგილას მიიტანეთ, თორემ სანაცვლოდ ფულის გადახდა მოგიწევთ!

სტვენა და ბილწსიტყვაობა – ბივერ კლარენდონის ხმა ყველაზე უკეთ ისმის.

მისტერ ტრასკი ერთხელაც მოავლებს თვალს აუდიტორიას.

– ოთხმოცდაორი წლის გამოშვების ახალგაზრდა ქალბატონებო და ბატონებო, ვფიქრობ, მასწავლებელთა მთელი შემადგენლობის სახელით, უფლება მაქვს, გითხრათ, რომ ვამაყობ თქვენით. ამით რეპეტიცია დამთავრებულია, ასე რომ...

მისი უკანასკნელი სიტყვები ღრიალში იკარგება, დინამიკები უძლურია. წითელი ყვავები ნეილონის უხეში შრიალის თანხლებით წამოიშლებიან და სხვადასხვა მხარეს მიფრინავენ. ხვალ ისინი საბო-

[184] ამერიკელი კინომსახიობი, დაიღუპა ავტოკატასტროფაში.

ლოოდ დასცილდებიან ერთმანეთს, მაგრამ სამ ყვავს, რომელიც სიცილით მიემართება ავტოსადგომისკენ, სადაც ჰენრის მანქანა დგას, ეს ჯერ არ გაუცნობიერებია. ვერ მიმხვდარან, რომ ბავშვობის წლები რამდენიმე საათში დასრულდება. ჯერჯერობით ვერ მიმხვდარან... და იქნებ, ასე ჯობია კიდეც.

ჯოუნსი ჰენრის ქუდს გამოსტაცებს, თავისაზე ჩამოიფხატავს და ავტოსადგომისკენ გარბის.

– ეი, ვირო, მომეცი! – ყვირის ჰენრი და, თავის მხრივ, ბივერს მოხდის ქუდს. ეს უკანასკნელი აღშფოთებული კაკანებს და სიცილით მისდევს ჰენრის, სამივენი ცელქობენ, სხვა აღარაფერი ახსოვთ. წითელი მანტიები უფრიალებთ და ჯინსებზე ეტმასნებათ. ჯოუნსი თავს ორი ქუდით იწონებს; ფოჩები საფეთქლებზე სცემს, სასაცილო შესახედავია. ჰენრის ბივერის ქუდი ცალ ყურსა და შუბლზე ჩამოჰფხატვია. ბივერს ქარი უწეწავს გრძელ შავ თმას. პირიდან თავისი განუყრელი კბილსაჩიჩქნი მოუჩანს.

ჯოუნსი გარბის, დროდადრო უკან იყურება და ჰენრის აქეზებს:

– მიდი, მისტერ კალათბურთო, მოუჩქარე, რა გოგოსავით დარბიხარ!

მოულოდნელად, იგი კინაღამ პიტს ეჯახება, პიტი ავტოსადგომის ჩრდილოეთ შესასვლელთან გრილდება და განცხადებების დაფას ათვალიერებს. პიტი, რომელიც ახლა გადავიდა გამოსაშვებ კლასში, ჯოუნსის ხელს სტაცებს, ტანგოს მოცეკვავე ქალივით გადააწვენს და ტუჩებში კოცნის. ჯოუნსის ორივე ქუდი სძვრება თავიდან და დაბნეულობისგან ყვირილს იწყებს.

– პედერასტო! – იძახის, პირს გაშმაგებით იწმენდს და... თვითონაც იცინის. პიტი უცნაური ტიპია – ზოგჯერ რამდენიმე კვირის განმავლობაში კაცი სიტყვას ვერ დააცდენინებს, წყნარადაა, ბუზს არავის აუფრენს, მაგრამ უცებ ისეთ რამეს გააკეთებს, რომ ყველა პირღიად რჩება. ჩვეულებრივ, ამგვარი გამოხდომები ორ კათხა ლუდს მოსდევს ხოლმე, მაგრამ დღევანდელი შემთხვევა გამონაკლისია.

– დიდი ხანია, ამაზე ვოცნებობდი, გარიელა, – სენტიმენტალურად ამბობს პიტი, – ახლა ხომ იცი ჩემი გრძნობების შესახებ!

– წყეულო პედერასტო! იცოდე, მოგკლავ, თუ სიფილისი გადმომდე!

ამ დროს ჰენრი მოირბენს, ძირიდან თავის ქუდს იღებს და ჯოუნსის თავში ურტყამს.

– ბალახში დაგისვრია, – ამბობს აღშფოთებული, – თუ ამის გამო ფულს გადამახდევინებენ, მარტო კოცნას არ გაკმარებ, გარიელა!

– ისეთ პირობას ნუ დადებ, რომელსაც ვერ შეასრულებ, შე ბღენძიავ! – იღრინება ჯოუნსი.

– მშვენიერი გარიელა! – საზეიმო ხმით იგერიებს ჰენრი.

მათ აქოშინებული ბივი უერთდება. კბილებში ისევ კბილსაჩიჩქნი გაურჭვია. იგი ჯოუნსის ქუდს იღებს, შიგნით იხედება და მთელი ავტოსადგომის გასაგონად ყვირის:

– აქ რაღაც ლაქები მოჩანს! ჩემზე უკეთ არავინ იცის, ეს რა არის – ასეთებს ყოველ დილით ვნახულობ ზეწარზე.

ბივი ღრმად შეისუნთქავს და მინდვრიდან მიმავალი ყველა წითელმანტიიანი კურსდამთავრებულის გულის გასახარად გაჰყვირის:

– გარი ჯოუნსი ქუდში მასტურბირებს! ეი, ხომ გესმით, გარი ჯოუნსი ქუდში...

ჯოუნსი დაეძგერება და წააქცევს. ორივენი ასფალტზე კოტრიალობენ წითელი ნეილონის ღრუბლებში. ქუდები სძვრებათ, მათ ჰენრი აიტაცებს, რათა უეჭველ განადგურებას გადაარჩინოს.

– ნუ მაწვები! – ქშინავს ბივერი, – არ გამსრისო, სულელო! დალახვროს ეშმაკმა, ბანანები! ღვთის გულისთვის...

– დადიტსი იცნობდა ამ გოგოს, – ამბობს პიტი, რომელიც კარგა ხანია გულგრილად აკვირდება მეგობრების ცელქობას. ხასიათზე ვერ არის (იგი, შესაძლოა, ერთადერთია, ვინც უდიდესი ცვლილებების მოახლოებას გრძნობს). კვლავ განცხადებების დაფას შესცქერის.

– ჩვენც. ის ყოველთვის დებილების აკადემიის ჭიშკართან იდგა.

– გამარჯობა, დადი, როგორ ხარ, – წრიპინებს გოგოს ხმით. ეს საკმაოდ კარგად გამოსდის, დაცინვის გარეშე. დიდი ვერაფერი იმიტატორია, მაგრამ ჰენრი წამში ხვდება, ვისზეა საუბარი. ახსენდება გოგონა ფაფუკი ქერა თმით, დიდრონი თაფლისფერი თვალებით, მუდმივად გადატყავებული მუხლებითა და თეთრი პლასტიკატის ჩანთით, რომელშიც საუზმესთან ერთად, ბარბი და კენიც ედო. მათ ბარბიკენს ეძახდა, თითქოს ერთი სათამაშო იყო.

ჯოუნსი და ბივიც ყველაფერს ხვდებიან, ჰენრიც თავს უქნევს. ეს იმ კავშირის გამო ხდება, მათ შორის რამდენიმე წლის წინ რომ დამყარდა მათსა და დადიტსს შორის. სახელს ვერ იხსენებენ, მხოლოდ ის ახსოვთ, რომ გოგონას ძალიან გრძელი და ძნელად წარმოსათქმელი გვარი ჰქონდა. თანაც მას დადიტსი უყვარდა და ყოველთვის დებილების აკადემიის ჭიშკართან ელოდებოდა.

გამოსაშვებ მანტიებში გამოწყობილი სამეული პიტს გვერდში ამოუდგება და განცხადებების დაფას შესცქერის.

იქ, როგორც ყოველთვის, უამრავი ქაღალდია გაკრული – საცხობის გაყიდვა, მანქანების რეცხვა, ადგილობრივი როკჯგუფისთვის კანდიდატების შერჩევა, საზაფხულო სწავლა ფენსტერში, მოსწავლეების ხელით დაწერილი განცხადებები: ვიყიდი, გავყიდი, ვეძებ ბოსტონში წამყვანს, ვინმესთან ერთად ვიქირავებ ბინას პროვიდენსში.

ზედა კუთხეში კი ქერათმიანი (უკვე არა ფაფუკი, არამედ წვრილად დაწნული) მოღიმარი გოგონას ფოტოსურათია ფართოდ გახელილი და ოდნავ გაოცებული თვალებით. პატარა აღარ ჰქვია. გარი განცვიფრებულია (უკვე მერამდენედ), თუ როგორ სწრაფად იზრდებიან ბავშვები (საკუთარი თავის ჩათვლით), მაგრამ ეს მუქი, დაბნეული თვალები არ შეცვლილა.

დაიკარგა – იუწყება წარწერა სურათის ქვეშ. უფრო ქვემოთ კი

წვრილი შრიფტით დამატებულია: ჯოზეტა რინკენჰაუერი. იგი უკანასკნელად სტროფორდ-პარკში, სოფთბოლის სათამაშო მოედანზე ნახეს 1982 წლის 7 ივნისს.

ტექსტი გრძელდება, მაგრამ ჰენრი მის წაკითხვას არ აპირებს. ამის ნაცვლად იმაზე ფიქრობს, როგორი ალიაქოთი ატყდება დერიში, როდესაც ბავშვის დაკარგვის ამბავი გავრცელდება. დღეს რვა რიცხვია, მაშასადამე, გოგონა ერთი დღეა, არ ჩანს, ფოტოსურათი კი უკვე სადღაც მიუკუჭავთ, როგორც რაღაც მეორეხარისხოვანი და უმნიშვნელო. არც გაზეთში გამოუქვეყნებიათ. ჰენრიმ იცის, რადგან მოასწრო და წაიკითხა, უფრო სწორად, გადაათვალიერა, სანამ ბურბუშელას რძეს აყოლებდა.

იქნებ ცნობა ადგილობრივი სიახლეების განყოფილებაშია ჩამარხული, – ფიქრობს იგი და თავში მაშინვე გაუელვებს, რომ საკვანძო სიტყვაა „ჩამარხული“. დერიში ასე ბევრ რამეს მარხავენ.

თუნდაც, დაკარგულ ბავშვებზე ვთქვათ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ბევრი გაუჩინარდა. ამის შესახებ ყველამ იცის. ტყუილუბრალოდ ხომ არ მოსვლიათ ეს აზრი ბიჭებს იმ დღეს, როცა დადიტს ქეველს შეხვდნენ, მაგრამ უფროსები ამ თემაზე დუმილს ამჯობინებენ. თითქოს ყოველი მომდევნო დაკარგული ბავშვი ერთგვარი მსხვერპლია ამ მშვენიერ ადგილას ცხოვრების უფლების მოსაპოვებლად. ამ აზრთან ერთად, ჰენრის აღშფოთება ეუფლება, რაც თანდათან ჯაბნის მის იდიოტურ სიხარულს.

ისიც საყვარელი გოგო იყო... მისი ბარბიკენი... სასაცილო... დადიტსივით კეთილი. კარგად ახსოვს, როგორ მიაცილებდა მათი ოთხეული დადიტსს სკოლაში და როგორ ხშირად ელოდა მათ ჭიშკართან მუხლებგადატყავებული ჯოზი რინკენჰაუერი პლასტმასის დიდი ჩანთით, რომელზეც ეწერა: „გამარჯობა, დადიტს“.

ძალიან სიმპათიური გოგო იყო.

და არის კიდეც, – ფიქრობს ჰენრი, – იგი...

– იგი ცოცხალია, – მტკიცედ აცხადებს ბივერი, პირიდან დაღეჭილ კბილსაჩიჩქნს იღებს, ათვალიერებს და ძირს აგდებს, – ცოცხალია, თანაც სადღაც აქ არის, ქალაქში. ხომ ასეა?

– ჰო, – თავს უქნევს პიტი და ფოტოსურათს თვალს არ აშორებს. ჰენრი ადვილად კითხულობს მის აზრებს, თითქმის საკუთარის მსგავსს: როგორ გაზრდილა. სწორედ ის ჯოზი, რომელიც სხვა, უფრო სამართლიან ცხოვრებაში, ალბათ, დუგ ქეველის მეგობარი გოგონა გახდებოდა.

– მაგრამ, ვფიქრობ, იგი... თქვენც იცით...

– ცუდ დღეშია, – ამბობს ჯოუნსი. მას უკვე გაუხდია მანტია და ახლა გულმოდგინედ კეცავს.

– ის გაიჭედა, – თითქოს სძინავსო, ისე ბურტყუნებს პიტი და კვლავ სურათს შეჰყურებს, – ხაფანგშია, ოღონდ...

საჩვენებელ თითს საათის ქანქარასავით წინ და უკან ამოძრავებს: ტიკ-ტაკ, ტიკ-ტაკ.

– სად? – ჩურჩულებს ჰენრი, მაგრამ პიტი თავს აქნევს, ჯოუნსიც მას ჰბაძავს.

– მოდით, დადიტსს ვკითხოთ, – ამბობს მოულოდნელად ბივერი. მიზეზს კი ყველა ხვდება, რადგან დადიტსი ხაზს ხედავს. დადიტსი...

11

– ...ხაზს ხედავს! – შეჰყვირა მოულოდნელად ჰენრიმ, წამოჯდა, კინაღამ თავი აარტყა „ჰამერის" კაბინის ჭერს და ლამის გული გაუხეთქა ოუენს, რომელიც მთელი ამ დროის განმავლობაში საიმედოდ დაცულ, ყოველი მხრიდან დაფარულ მყუდრო ადგილას იჯდა, სადაც არავინ იყო მისი, ქარიშხლისა და უსასრულოდ ჩამწკრივებული ფარნების გარდა, რაც ერთადერთი მტკიცებულება იყო იმისა, რომ ისინი კვლავაც გზატკეცილზე იმყოფებოდნენ, – დადიტსი ხაზს ხედავს!

„ჰამერი" შეხტა, ბუქსაობა დაიწყო და მოცურდა, მაგრამ ოუენმა

მოახერხა და ბოლო წამს მანქანა გაასწორა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა მან, – წინასწარ გამაფრთხილე მაინც, რომ უნდა წამოგიაროს!

ჰენრიმ ხელისგულებით სახე მოისრისა, ღრმად ჩაისუნთქა და ნელა ამოისუნთქა.

– ვიცი, სად უნდა წავიდეთ და რა გავაკეთოთ...

– ეს უკვე კარგია...

– ...მაგრამ ჯერ ერთ ამბავს მოგიყვები, ყველაფერს რომ მიხვდე.

ოუენმა ცერად გახედა.

– შენ თუ ხვდები ყველაფერს?

– ჯერ არა, მაგრამ – იმაზე მეტს, ვიდრე აქამდე ვხვდებოდი.

– დაიწყე. დერიმდე ერთი საათის სავალია. მოასწრებ?

ჰენრიმ გაიფიქრა, რომ დრო საკმარისზე მეტი იყო, მით უმეტეს, თუ ერთმანეთს გონებით დაუკავშირდებოდნენ. მან სულ თავიდან დაიწყო, იქიდან, საიდანაც, მისი აზრით, ეს ყველაფერი სათავეს იღებდა. არა რუხი კაცუნების შემოსევით, არა ბაირუსითა და სინდიოფალებით, არამედ ოთხი ბიჭით, რომელიც გამოსაშვები საღამოს კაბაწამოხდილი დედოფლის სურათის ნახვაზე ოცნებობდა და სხვა არაფერზე. ოუენი საჭეს ატრიალებდა, თუმცა თავი ერთმანეთთან დაკავშირებული უამრავი გამოსახულებით გავსებოდა, უფრო – როგორც სიზმარში, ვიდრე კინოში. დადიტსი, პირველი გამგზავრება „კედელში გაკეთებულ ხვრელში", ბივერი, რომელიც თოვლში არწყევდა, დილაობით სკოლაში სიარული, თამაშის დადიტსისეული ვერსია: ისინი კარტებს აწყობდნენ, დადიტსი კი პალოებს დებდა; დადიტსის წაყვანა სანტა კლაუსის სანახავად... ძალიან მაგარი იყო! გამოსაშვები საღამოს წინადღეს განცხადებების დაფაზე ჯოზი რინკენჰაუერის ფოტოსურათის აღმოჩენა. ოუენმა დაინახა, როგორ მიუახლოვდნენ ისინი ჰენრის მანქანით დადიტსის სახლს მეიპლეინზე, – მანტიები და ქუდები უკან ერთმანეთზე იდო, – შემდეგ მისტერ

და მისის ქეველებს მიესალმნენ, რომლებიც სასტუმრო ოთახში ისხდნენ კომპანია „დერიგაზის" ემბლემის მქონე კომბინეზონში გამოწყობილ, გაფითრებულ მამაკაცთან და ატირებულ ქალთან ერთად. რობერტა ქეველი მხრებზე მოხვეოდა ელენ რინკენჰაუერს და არწმუნებდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა – ღმერთი არ დაუშვებდა, საყვარელ პატარა ჯოზის რაიმე შემთხვეოდა.

მართლაც მაგრები ყოფილან, – ფიქრობს აღტაცებული ოუენი, – ღმერთო ჩემო, აი, ეს მესმის! ნუთუ ასეთი რამ შესაძლებელია?

ქეველები შემოსულებს ყურადღებას თითქმის არ აქცევენ: მეიპლეინზე ოთხივე შინაურად მიაჩნიათ, რინკენჰაუერები კი თავზარდაცემულნი არიან და მათ ვერ ამჩნევენ. რობერტას მიერ მომზადებულ ყავას არც მიჰკარებიან. „ის თავის ოთახშია, ბიჭებო", – ამბობს ელფი ქეველი სევდიანი ღიმილით. დადიტსი კალის ჯარისკაცებით თამაშობს (მთელი არმია ჰყავს), მაგრამ მათ დანახვაზე მაშინვე წამოხტება. დადიტსს შინ ფეხსაცმელი არასდროს აცვია – მხოლოდ ჰენრის მიერ დაბადების დღეზე ნაჩუქარი სასაცილო ბაჭიების ფორმის ფლოსტები, რომელიც ძალიან უყვარს და იმდენ ხანს ატარებს, სანამ არ დაიხევა. მაგრამ ახლა ფეხსაცმელში გამოწყობილა. იგი მათ მოსვლას ელოდა და მიუხედავად იმისა, რომ ისევე გულკეთილად იღიმება, როგორც ყოველთვის, თვალები დასერიოზულებია.

– ად ივივათ? – კითხულობს დადიტსი ("სად მივდივართ? ")

და...

– მაშ, თქვენ ყველანი ასეთები იყავით? – ჩაიჩურჩულა ოუენმა. მართალია, ჰენრიმ ერთხელ უკვე ახსენა რაღაც ამგვარი, მაგრამ ოუენს მაინც ვერ წარმოედგინა, რაზე საუბრობდა, – დღემდე ასეა? – იგი მის ლოყაზე ბაირუსის წვრილ ზოლს შეეხო.

– ჰო. არა. არ ვიცი. გაჩუმდი, ოუენ. აჯობებს, მოუსმინო.

და ოუენის თავი კვლავ გაივსო 1982 წლის სახეებით.

12

იმ დროისთვის, როცა ისინი სტროფორდ-პარკთან მიდიან, საათი უკვე ხუთის ნახევარს უჩვენებს. სოფტბოლის მოედანი ყვითელბლუ-ზიანი გოგონებითაა სავსე. ყველას ერთნაირი ვარცხნილობა აქვს – თმის კუდი ბეისბოლის კეპების უკანა ჭრილში გაუძვრენიათ. უმ-რავლესობას კბილებზე ბრეკეტი უკეთია.

– ღმერთო ჩემო, არც კი იციან, რას აკეთებენ, – ამბობს პიტი და შესაძლოა, ასეც არის, სამაგიეროდ, რაც შეუძლიათ, მხიარულობენ. განსხვავებით ჰენრისგან, რომელსაც ცუდი წინათგრძნობა არ ასვე-ნებს. უხარია კიდეც, რომ ჯოუნსიც მასავით გამოიყურება – დამ-ფრთხალია და გაყუჩებული. თუ პიტისა და ბივერის წარმოსახვა ნულს უტოლდება, მას და ბებერ გარიელას ის საკმარისზე მეტი აქვთ. პიტისა და ბივისთვის ეს ყველაფერი თამაშია, როგორც ვუნ-დერკინდ დეტექტივებზე ფილმებსა და წიგნებში. ჰენრისთვის კი სულ სხვაა. თუ ჯოზი რინკენჰაუერს ვერ მიაგნებენ, ეს, ცხადია, ცუ-დი იქნება (რადგან მათ ამის უნარი შესწევთ, მან ეს კარგად იცის), მაგრამ თუ მკვდარს იპოვიან...

– ბივ, – ამბობს იგი.

ბივი, რომელიც გატაცებით შესცქერის გოგონებს, ჰენრისკენ ტრიალდება:

– რა გინდა?

– როგორ ფიქრობ, ცოცხალია?

– მე... – ბივის ღიმილს შეშფოთება ცვლის – არ ვიცი, ძმაო. პიტ?

მაგრამ პიტი უარის ნიშნად თავს აქნევს.

– იქ, სკოლაში, ვფიქრობდი, რომ ცოცხალი იყო... დალახვროს ეშ-მაკმა, მის ფოტოსურათს მხოლოდ ალაპარაკება აკლდა, მაგრამ ახ-ლა...

იგი მხრებს იჩეჩს.

ჰენრი ჯოუნსის უყურებს, მაგრამ ისიც მაშინვე მხრებს იჩეჩს და ხელებს შლის:

– ვერაფერს ვიტყვი.

ახლა ჰენრი დადიტსისკენ ტრიალდება, რომელიც მათ იქიდან შესცქერის, რასაც „ემი აალის“ უწოდებს – ვიწრო ნახევრად სფერული მუქი სათვალის სარკისებური შუშებიდან. ჰენრის დადიტსი რეი უოლსტონს აგონებს ფილმიდან „ჩემი საყვარელი მარსელი“, მაგრამ ამას ხმამაღლა არასდროს ამბობს. ცდილობს, დადიტსის თანდასწრებით არც იფიქროს ამაზე. დადს ბივერის ქუდი დაუხურავს – ძალიან მოსწონს ფოჩებზე სულის ბერვა.

დადიტსს არჩევითი აღქმის უნარი არა აქვს: მისთვის ლოთი, რომელიც ნაგვის ურნებში ცარიელ ბოთლებს ეძებს, სოფტბოლის მოთამაშე გოგონები და ხიდან ხეზე მოხტუნავე ციყვები ერთნაირად საინტერესოა. სწორედ ამით არის იგი განსაკუთრებული. ამით გამოირჩევა სხვებისგან.

– დადიტს, – ეუბნება ჰენრი, – ის გოგო თუ გახსოვს, შენთან ერთად რომ დადიოდა აკადემიაში? ჯოზი ერქვა, ჯოზი რინკენჰაუერი.

დადიტსი მას თავაზიანი ინტერესით უსმენს, მხოლოდ იმიტომ, რომ მეგობარი მიმართავს, თორემ ეს სახელი არაფერს ეუბნება. ანდა, საიდან უნდა ახსოვდეს ერთი ციდა გოგო, რომელთან ერთადაც სამი-ოთხი წლის წინ სკოლაში დადიოდა, მაშინ, როცა ისიც კი არ ახსოვს, სადილად რა ჭამა?

ჰენრის უიმედობისა და მხიარულების უცნაური ტალღა გადაუვლის. აბა, რა ეგონათ?

– ჯოზი, – ამბობს პიტი თითქმის უიმედოდ, – გახსოვს, რომ დაგცინოდით კიდეც? შენს შეყვარებულს ვუწოდებდით. თაფლისფერი თვალები ჰქონდა... ყალყზე შემდგარი ქერა თმა... და... – იგი ღრმად ამოიოხრებს, – ამის დედაც! ..

– აალი დე, იივე აავი, – პასუხობს დადიტსი მათი საყვარელი ფრაზით, ... „ახალი დღე, იგივე ნაგავი“, – ა აის მოაობა, ა აის ააში.

– სწორია, – თავს უქნევს ჯოუნსი, – არ არის მოძრაობა, არ არის თამაში. რა გაეწყობა, ბიჭებო, შინ წავიყვანოთ, მაინც...

– არა, – ამბობს ბივერი და ყველანი მის ანთებულ, აღელვებულ

თვალებს ხედავენ. ისე ენერგიულად ღეჭავს კბილსაჩიჩქნს, რომ იგი შიგადაშიგ პირში უხტის, – სიზმართმჭერი ავგაროზი, – ამატებს იგი.

13

– სიზმართმჭერი ავგაროზი? – ეკითხება ოუენი და საკუთარი ხმა თითქოს შორიდან ჩაესმის. ფარების შუქი მისრიალებს უსასრულო თოვლის უდაბნოში, რომელიც გზას მხოლოდ ყვითელი ფარნების გამო ჰგავს. სიზმართმჭერი ავგაროზი, – ფიქრობს იგი და კვლავ ჰენრის წარსულს უბრუნდება, რომელმაც ლამის წალეკოს ზაფხულის წინა დღის პეიზაჟებით, ნახატებით, ხმაურითა და სურნელით.

სიზმართმჭერი ავგაროზი.

14

– სიზმართმჭერი ავგაროზი, – ამბობს ბივი და მათ ესმით ერთმანეთის, როგორც ხდება ხოლმე, ეს, მათი აზრით (ჰენრი ამას, შეცდომით, მოგვიანებით მიხვდება), მხოლოდ მეგობრებს ახასიათებს. თუმცა ისინი არასდროს საუბრობდნენ იმ კოშმარზე, რომელიც ყველას ერთდროულად დაესიზმრა „კედელში გაკეთებულ ხვრელში" პირველი დამოუკიდებელი ნადირობისას, ბივერის შეხედულებით, ეს ლამარის სიზმართმჭერმა ავგაროზმა გამოიწვია. მას არავინ შეჰპასუხებია – ნაწილობრივ იმიტომ, რომ უვნებელი, თოკისგან გაკეთებული, ობობას ქსელის მსგავსი ნივთის მიმართ ცრურწმენაზე კამათი არ სურდათ. თუმცა, მთავარი მიზეზი ის იყო, რომ საერთოდ არ სურდათ საუბარი იმ დღეზე. ახლა კი მიხვდნენ, რომ ბივერმა ჭეშმარიტ მიზეზს მიაკვლია. ისინი ერთმანეთ თან მართლაც სიზმართმჭერმა დააკავშირა, ოღონდ არა – ლამარის ავგაროზმა.

მათი ნამდვილი სიზმართმჭერი დადიტსი იყო.

– აბა, ბიჭებო, – წყნარად ამბობს ბივერი, – წინ, და არ შეშინდეთ. ჩაავლეთ ხელი.

სჯერათ, მაგრამ მაინც ეშინიათ... სულ ოდნავ. ბივერსაც ეშინია.

ჯოუნსი დადიტსის მარჯვენა ხელს იღებს, მარჯვედ რომ უმკლავდება სასწავლებელში მდგარ დაზგებს. დადი ცოტათი გაოცებულია, მაგრამ მაინც იღიმება და ჯოუნსის თითებს უჭერს. პიტი მის მარცხენა ხელს ჩაბღუჯავს. ბივერი და ჰენრი უკნიდან დაუდგებიან და დადიტსს წელზე ეხვევიან.

ხუთივენი ბებერი მსხვილი მუხის ქვეშ დგანან, ჩრდილში, თითქოს, ახალი თამაშის დაწყებას აპირებენ. ხასხასა ყვითელ ბლუზებში გამოწყობილი გოგონები მათ ყურადღებას არ აქცევენ. მათთვის არც ციყვებს სცალიათ და არც შრომისმოყვარე ლოთს, საკუთარი ოფლით რომ მოიპოვებს ვახშამს ნაგვის კონტეინერებიდან.

ჰენრი გრძნობს, როგორ შედის მასში შუქი და ხვდება, რომ მის მეგობრებსაც იგივე ემართებათ. ერთად ისინი სინათლისა და მწვანე ჩრდილების შესანიშნავ კონტრასტს ქმნიან. დადიტსი ყველაზე ძლიერად ანათებს. ის მათი მთავარი მამოძრავებელია, უმისოდ თამაში ვერ შედგება. იგია მათი სიზმართმჭერი, რომელიც ოთხივეს აერთიანებს. ჰენრის გული სიხარულით ევსება (ამგვარი გრძნობა მას აღარასდროს დაეუფლება. საიდანღაც გაჩენილი სიცარიელე, უაზრო წლების დაგროვებასთან ერთად, სულ უფრო გაიზრდება და გამუქდება) და ფიქრობს: ნუთუ ეს ყველაფერი იმ დაკარგული ჭკუასუსტი გოგონას მოსაძებნად, რომელიც მშობლების გარდა არავის სჭირდება? ან უტვინო თავხედის მოსაკლავად, რომელიც ერთიანი ძალით მანქანით გზიდან გადააგდეს? და ეს – ოჰ, ღმერთო ჩემო! – სიზმარში გააკეთეს? სულ ეს არის? რაღაც საოცარი და დიდებული – მხოლოდ ასეთი უმნიშვნელო საქმეებისთვის? ნუთუ მართლა სულ ესაა?

თუ ასეა, – იგი ამაზე განმარტოებით, ექსტაზში მყოფიც კი ფიქრობს, – მაშ, რა აზრი აქვს ამ ყველაფერს? რას უნდა ნიშნავდეს იგი?

მაგრამ ყველა ფიქრს ძლიერი განცდების ტალღა წალეკავს ხოლმე. მის წინ ჯოზი რენკენჰაუერის სახე წარმოდგება – ოთხი ადამია-

ნის აღქმისა და მოგონებებისგან შემდგარი მოცახცახე გამოსახულება. მათ მალე მეხუთეც შეუერთდება, როგორც კი დადიტსი გააცნობიერებს, თუ ვისთვის ატყდა ეს ალიაქოთი.

როდესაც მათ დადიტსი ემატება, გამოსახულება ასჯერ უფრო მკვეთრი და მკაფიო ხდება. ჰენრის ესმის, რომ ვიღაც... ჯოუნსი... ოხრავს. თვითონაც ამოიოხრებდა, ამის ძალა რომ შესწევდეს. მართალია, დადიტსი, გარკვეული კუთხით, გონებრივად მოისუსტებს, მაგრამ ამ საქმეში ის ნამდვილი გენიოსია, მათი ოთხეული კი საცოდავი და უღონო იდიოტების ნაკრები.

– ღმერთო ჩემო! – გაისმის ბივერის შეძახილი და მის ხმაში აღფრთოვანება და სინანული თანაბრად იგრძნობა.

რადგან ჯოზი აქ არის, მათ გვერდით. მისი სახის განსხვავებულმა აღქმამ იგი თორმეტი წლის გოგონად აქცია: იმაზე მეტი ხნისაა, ვიდრე მაშინ იყო, როდესაც პირველად დაინახეს დებილების აკადემიის ჭიშკართან, მაგრამ – იმაზე ნაკლების, ვიდრე ახლა არის. მათ ის მატროსულას კაბაში გამოაწყვეს, რომელიც ცისფერ, ვარდისფერსა და წითელში გადადის. ხელში პლასტმასის დიდი ჩანთა უჭირავს, საიდანაც ბარბიკენი იჭყიტება. მუხლები გადატყავებია. ყურებში ჭიამაიას მსგავსი საყურეები ხან უკეთია, ხან – არა, ჰენრის ახსენდება, რომ ის მართლაც ატარებდა ასეთებს. გოგონა პირს აღებს და ამბობს: „გამარჯობა, დადი", შემდეგ მიიხედ-მოიხედავს და ამატებს: „გამარჯობა, ბიჭებო".

სულ ეს არის. მაშინვე ქრება. ისინი კვლავ მუხის ქვეშ დგანან, ოღონდ ახლა არა ექვსნი, არამედ ხუთნი არიან. ხუთი მოზარდი ბებერი მუხის ქვეშ, მუდამ უცვლელი ივნისის მზე ძველებურად ათბობს მათ სახეებს, ყვითელბლუზიანი გოგონები მხიარულად გასძახიან ერთმანეთს. პიტი ტირის. ჯოუნსიც. ლოთი აღარ ჩანს, – ალბათ საკმარისი რაოდენობის ბოთლები შეაგროვა, – მაგრამ მის ადგილს სხვა იკავებს – პირქუში კაცი, რომელსაც, სიცხის მიუხედავად, ზამთრის ქურთუკი აცვია. მარცხენა ლოყაზე წითელი, ხალისმაგვარი

ნიშანი ადევს. ჰენრიმ კარგად იცის, ეს რაც არის. ეს ბაირუსია. ოუენ ანდერჰილი მათთან ერთადაა სტროფორდ-პარკში და ყველაფერს აკვირდება, თუმცა ამით არაფერი შავდება: სიზმართმჭერის მხრიდან მას ვერავინ ხედავს, ჰენრის გარდა.

დადიტსი კვლავინდებურად იღიმება, თუმცა ვერ გაუგია, რატომ ტირის მისი ორი მეგობარი.

– აომ ირი? – ეკითხება ის ჯოუნსის. „რატომ ტირი?"

– ისე, – პასუხობს იგი და ხელს გამოსტაცებს. კავშირი გაწყვეტილია. ჯოუნსი და პიტი ცრემლებს იწმენდენ. ბივერი ნერვიულად, ქსუტუნით გაიცინებს.

– მგონი, კბილსაჩიჩქნი გადავყლაპე, – ამბობს იგი.

– არა, აგერ არის, შტერო, – ეუბნება ჰენრი და ფეხებზე უთითებს, სადაც დანაწევრებული კბილსაჩიჩქნი გდია.

– იოვო ოზი? – კითხულობს დადიტსი. „ვიპოვო ჯოზი?"

– შეგიძლია, დადს? – მაშივნე გამოცოცხლდება ჰენრი. დადიტსი სოფტბოლის მოედნისკენ მიემართება. ყველანი მოკრძალებით მიჰყვებიან უკან. დადსი ოუენს ჩაუვლის, მაგრამ, ცხადია, ვერ ამჩნევს – დადსისთვის ოუენი არ არსებობს, ჯერჯერობით მაინც. ის გასცდება მაყურებელთა ღია ტრიბუნას, მესამე ხაზს, პატარა სასადილოს და ჩერდება. პიტი ჩუმად შეჰყვირებს.

დადიტსი ტრიალდება და მას მხიარულად, ინტერესით, თითქმის სიცილით შესცქერის. თვალები უბრწყინავს. პიტი თითს მაღლა სწევს და ნაცნობ მოძრაობას იწყებს, – წინ და უკან, ტიკ-ტაკ, – თან მიწას ჩასჩერებია. ჰენრიც იქით იყურება და ეჩვენება, რომ ისიც ხედავს ბალახში რაღაცას – კაშკაშა, თითქოს ფუნჯით გავლებულ ყვითელ ხაზს. შემდეგ ეს რაღაც ქრება. რჩება მხოლოდ პიტი, რომელიც იმას აკეთებს, რასაც ყოველთვის, თავისი განსაკუთრებული ნიჭის გამოყენებისას.

– ეავ აზს, იტ? – ეკითხება დადიტსი მამობრივი, მზრუნველი კილოთი, ჰენრი სიცილს ძლივს იკავებს. „ხედავ ხაზს, პიტ?"

– ჰო, – პასუხობს თვალებდაქაჩული პიტი, – ვხედავ, ამის დედაც! .. – ამბობს და ყველას თვალს მოავლებს, – ის აქ იყო, ბიჭებო! სწორედ აქ!

სტროფორდ-პარკს გადაკვეთენ და მიჰყვებიან ხაზს, რომელსაც მხოლოდ დადიტსი და პიტი ხედავენ. მათთან ერთად, ის ადამიანიც მიდის, რომელსაც მხოლოდ ჰენრი ხედავს. პარკის ჩრდილოეთ ბოლოში მოყანყალებული ფიცრული ღობეა, წარწერით: „D. B. & A. R. R. კერძო საკუთრება. შესვლა არ შეიძლება".

ბავშვები, ცხადია, ამ აკრძალვას ყურადღებას არ აქცევენ, რადგან დერის, ბანგორსა და არუსტუკს ამ უნაყოფო მიწაზე გამავალი გზით წლების განმავლობაში გადაჰქონდათ ტვირთი. ბიჭები ღობეში გაკეთებულ ხვრელებში მიძვრებიან და დაჟანგულ რელსებს აწყდებიან, ის ქვემოთ ეშვება და მზეზე სუსტად ბზინავს.

საკმაოდ დამრეც ფერდობს მომწამვლელი თუთუბო და სურო მოსდებია. შუაგზაზე ჯოზი რინკენჰაუერის პლასტმასის დიდ ჩანთას ხედავენ, დაძველებულს, გაცვეთილსა და მრავალ ადგილას საიზოლაციო ლენტით დაწებებულს, თუმცა, ჰენრი მას თვალდახუჭულიც ამოიცნობდა.

გახარებული დადიტსი ჩანთას მივარდება, ხსნის და შიგნით იყურება.

– არბიენი! – აცხადებს იგი და იქიდან სათამაშოებს იღებს. სახემოღუშული პიტი არემარეს ისე ათვალიერებს, თითქოს შერლოკ ჰოლმსი ედგას კვალში პროფესორ მორიარტის. გოგონას პიტ მური პოულობს, პიტი, რომელიც თითს ჭუჭყიანი, ბეტონის ჩასადენი მილისკენ იშვერს, ბარდებში რომ მოჩანს.

– იქ არის! – გამკივანი ხმით ყვირის ის და თუ ორ წითელ ლაქას არ ჩავთვლით ლოყებზე, სახე ქაღალდივით გასთეთრებია, – ბიჭებო, მგონი იქ უნდა იყოს!

დერის ადგილზე უწინ ჭაობები იყო, რომელთა გარშემოც მიკმა-

კის ტომის ინდიელები ცხოვრობდნენ. ახლა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საკანალიზაციო მილებისა და კოლექტორების ძველი და საოცრად ჩახლართული ლაბირინთია. უმეტესი ნაწილი ოცდაათიან წლებში გაიყვანეს „ახალი კურსის" ფულით, მაგრამ 1985-ში მოვარდნილმა ქარიშხალმა ბევრი რამ დაანგრია, მათ შორის სტენფაიფის კოშკი, რამაც წყალდიდობა გამოიწვია. თუმცა, ჯერჯერობით ყველა მილი მრთელია. ერთ-ერთი ზემოდან ქვემოთ მოდის და გორაკში შედის. ჯოზი რინკენჰაუერი წაბორძიკდა, დაეცა, მშრალი ფოთლების ორმოცდაათწლიან ხალიჩაზე ციგასავით გასრიალდა, მილში შევარდა და ახლა მის ფსკერზე წევს. ამაოდ ცდილობდა ცხიმიან, ხორკლიან შვეულზე აძრომას და ძალ-ღონე გამოელია. შემდეგ ორი პატარა ნამცხვარი შეჭამა, ჯინსის ჯიბეში ედო, მომდევნო თორმეტი-თოთხმეტი საათი კი იმ აყროლებულ წყვდიადში იწვა, გარე სამყაროდან შემოსულ სუსტ ხმებს ყურს უგდებდა და სიკვდილს ელოდა.

პიტის ყვირილის გაგონებაზე თავს წამოსწევს, ძალას მოიკრებს და იძახის:

– დამეხმარეთ! ვერ ამოვდივარ! მიშველეეეთ!

ბიჭებს თავში აზრად მოსდით, რომ ეს ამბავი უფროსებს შეატყობინონ, თუნდაც, პოლიციელ ნელს დაუძახონ, რომელიც ამ მხარეში პატრულირებს. მათ მხოლოდ ერთი რამ სურთ – სასწრაფოდ ამოიყვანონ და გადაარჩინონ ჯოზი – ეს მათი ვალია. იმდენი ჭკუა კი აქვთ, დადიტსს მილში შეძრომის უფლება არ მისცენ. დანარჩენები კი ცოცხალ ჯაჭვში დგებიან: ჯერ პიტი, შემდეგ ბივი და ჰენრი, ბოლოს ჯოუნსი, რომელიც ყველაზე მძიმეა. მათი საპირწონეა. მათი ღუზა.

ასე ხელიხელჩაკიდებულნი მიფოფხავენ აყროლებული ხვრელისკენ (კანალიზაციისა და კიდევ რაღაც საზიზღრობის სუნი ერთმანეთშია არეული). ჰენრი წუმპეში ჩაგდებულ ჯოზის ბოტასს გადააწყდება და დაუფიქრებლად უკანა ჯიბეში იტენის.

რამდენიმე წამის შემდეგ პიტი უკანმოუხედავად იძახის:

– შევჩერდით, ბიჭებო.

ტირილი და მუდარა სულ უფრო ხმამაღლა ისმის. პიტი უკვე ხედავს გოგონას, რომელიც ფოთლებით სანახევროდ ავსებული მილის ფსკერზე ზის. მისკენ მოპყრობილი სახე მოთხუპნილ თეთრ წრესავით მოჩანს.

აღელვების მიუხედავად, ბიჭები ფრთხილად მოქმედებენ. ჯოუნსი ფეხებით ეყრდნობა ბეტონის უზარმაზარ ნატეხს, ჯაჭვი იჭიმება, პიტი ქვევით ეკიდება. ჯოზი თითის წვერებზე დგება, ამაოდ ცდილობს, ბიჭის ხელს მისწვდეს. ბოლოს სულ ოდნავ ამობობღებას ახერხებს, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ პიტი მის დაკაწრულ, ჭუჭყიან მაჯას ჩაეჭიდოს.

– არის! – ბღავის იგი გამარჯვებულივით, – ჩავავლე!

მათ ნელა ამოჰყავთ გოგონა. ზევით დადიტსი ელოდებათ, რომელსაც ცალ ხელში თეთრი ჩანთა უჭირავს, მეორეში – თოჯინები. აღელვებული წამოხტება და ყვირის, რომ ჯოზის სანერვიულო არაფერი აქვს, რადგან ბარბიკენი მასთანაა. კვლავ მზის სინათლე, სუფთა ჰაერი. და როდესაც ისინი გოგონას მილიდან ამოსვლაში ეხმარებიან...

15

„ჰამერი" ტელეფონით არ იყო აღჭურვილი, შიგნით მხოლოდ ორი რაციი იდო. მიუხედავად ამისა, სიჩუმეში გამაყრუებელი ზარის ხმა გაისმა, ამან ჰენრის მოგონებათა ძაფი გაწყვიტა და ორივე მათგანი ძალიან შეაშინა.

ოუენი იმ ადამიანივით შეკრთა, რომელიც უხეშად გამოიყვანეს ღრმა ძილიდან. „ჰამერმა" გზაზე კონტროლი დაკარგა, ჯერ ბუქსაობა დაიწყო, შემდეგ კი მოსრიალდა და მოცეკვავე დინოზავრივით მოჰყვა აქეთ-იქით კუდის ქნევას.

– შენი დედაც! ..

ოუენმა ვითარების გამოსწორება სცადა, მაგრამ ბორბლები კაპიტნის გარეშე დარჩენილი გემის საჭესავით უმწეოდ, გულის ამრევი სიმსუბუქით ტრიალებდა, ბოლოს კი ნამქერში გვერდულად გაიჭედა, ფარებით კი იმ დათოვლილ მხარეს ანათებდა, საიდანაც მოვიდნენ.

„წკრრ! წკრრ! წკრრ! " – გაისმა სადღაც ჰაერში.

ეს ჩემს თავშია, – გაიფიქრა ოუენმა, – მე კი მის პროექციას ვახდენ. მაგრამ ეს ჩემს თავშია. წყეული ტელეპა...

ჰენრისა და მას შორის პისტოლეტი „გლოკი" იდო. ჰენრიმ აიღო და ზარი მაშინვე შეწყდა. მან პისტოლეტის ლულა ყურთან მიიტანა.

რა თქმა უნდა! – გაიფიქრა ოუენმა, – მშვენიერი აზრია. „გლოკით" რეკავს. სულ ესაა. დიდი ამბავი.

– ალო, – თქვა ჰენრიმ. ოუენმა პასუხი ვერ გაიგონა, მაგრამ დაინახა, რომ მის თანამგზავრს სახე ღიმილმა გაუნათა, – ჯოუნსი! ვიცოდი, რომ შენ იყავი!

აბა სხვა ვინ იქნებოდა, – გაუკვირდა ოუენს, – ოპრა უინფრი[185] ხომ არა? ”

– სად...

პაუზა.

– ჯოუნსი, მას დადიტსი სჭირდება, არა? ამიტომაც...

კვლავ პაუზა.

– სტენდფაიფი? რატომ... ჯოუნსი, ჯოუნსი...

ჰენრის ცოტა ხანს კიდევ ეჭირა პისტოლეტი, შემდეგ დახედა, თითქოს ვერ გაეგო, ეს რა იყო, ბოლოს კი ნელა დადო თავის ადგილზე. აღარ იღიმებოდა.

– ყურმილი დამიკიდა. ალბათ ის, მეორე დაბრუნდა. იგი მას მისტერ გრეის ეძახის.

– შენი მეგობარი ცოცხალია, მაგრამ რატომღაც ბედნიერი არ ჩანხარ.

---

[185] ამერიკელი ტელეწამყვანი.

მართლაც, ჰენრის ნაკლებსასიხარულო აზრები დაუფლებოდა, თუმცა ამის შესახებ ლაპარაკი საჭირო არ იყო. თავდაპირველად აღფრთოვანდა, – სხვაგვარად როგორ იქნებოდა, როცა ის, ვინც უყვარდა, ძველი „გლოკით“ ესაუბრებოდა, – მაგრამ შემდეგ ხასიათი გაუფუჭდა. რატომ?

– ის... ისინი დერიდან სამხრეთით არიან. დასანაყრებლად „დაიზარტსში“ შეჩერდნენ, მძღოლებისთვის განკუთვნილ გზისპირა რესტორანში – ჯოუნსი მას „გაზდაიზერტსს“ უწოდებს, როგორც – ბავშვობაში. არ მეგონა, თუ ახსოვდა. როგორც ჩანს, ძალიან ეშინია.

– საკუთარი თავის გამო? თუ ჩვენ გამო?

ჰენრიმ დაღვრემით შეხედა ოუენს.

– ამბობს, მეშინია, მისტერ გრეიმ პატრულის თანამშრომელი არ მოკლას და მისი მანქანა არ გაიტაცოსო. ასე ფიქრობს. ჯანდაბა!

ჰენრიმ ფეხზე მუშტი დაირტყა.

– სამაგიეროდ, ცოცხალია.

– ჰო, – მიუგო ჰენრიმ უხალისოდ, – იმუნიტეტი აქვს სოკოს წინააღმდეგ. დადიტსი... ახლა მაინც თუ მიხვდი?

„არა, და ვეჭვობ, ბოლომდე ვერც შენ მიხვდი, ჰენრი... მაგრამ რაღაც მაინც გავიგე“.

ჰენრი ისევ აზრებით კავშირზე გადაერთო – ასე უფრო უადვილდებოდა.

„დადიტსმა... მასთან ურთიერთობამ ყველა შეგვცვალა. ჯოუნსის კემბრიჯში მანქანა რომ დაეჯახა, იგი ისევ შეიცვალა. იმ ადამიანების ტვინის ელექტრული იმპულსები, რომლებმაც კლინიკური სიკვდილი გადაიტანეს, ხშირად, საოცარ მეტამორფოზას განიცდის – შარშან ამის შესახებ ჟურნალ „ლანცეტში“ სტატია წავიკითხე. ჩემი აზრით, მიუხედავად იმისა, რომ მისტერ გრეიმ ჯოუნსის სხეული მიიტაცა, სოკოთი მისი დაინფიცირება ვერ შეძლო და ბოლომდე ვერც მის გონებას დაეუფლა. ვერ შეისრუტა. ჯერჯერობით.

– შესრუტვა?

„კოოპტაცია. სხვა ორგანიზმში განზავება. ერთი სიტყვით, შთანთქმა", – მიუგო ჰენრიმ, ხმამაღლა კი დაამატა:

– შეძლებ ამ ნამქერიდან მანქანის ამოყვანას?

„მგონი, შევძლებ".

– სწორედ ამის მეშინოდა, – თქვა სახემოღუშულმა ჰენრიმ.

ოუენმა მისკენ ხელსაწყოების პანელით მომწვანოდ განათებული სახე მიაბრუნა.

– რა ჯანდაბა გემართება?

„ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გესმის? რამდენჯერ აგიხსნა? როგორ გაგაგებინო? ის კვლავაც იქ არის! ჯოუნსი! "

ოუენს მათი გაქცევიდან მესამედ თუ მეოთხედ მოუხდა გულსა და გონებას შორის არსებულ უფსკრულზე გადახტომა.

– აჰა, გასაგებია, – დაიწყო მან და შეჩერდა, – ის ცოცხალია. აზროვნებს და ცოცხალია. რეკავს კიდეც, – იგი კვლავ შეჩერდა, – ღმერთო ჩემო!

ოუენმა „ჰამერი" პირველ სიჩქარეში ჩააგდო და მდგომარეობის გამოსწორება სცადა. დიდხანს იწვალა, სანამ ოთხივე ბორბალი არ დატრიალდა. შემდეგ უკან დაიძრა და ნამქერში შევარდა. მანქანის ძარა ოდნავ მოშორდა მიკრულ თოვლს. სწორედ ეს სურდა ოუენს. ახლა, როდესაც ისევ პირველ სიჩქარეზე გადართავდა, ისინი ბოთლიდან ამოვარდნილი საცობივით გაქანდებოდნენ წინ, მაგრამ ოუენი არ ჩქარობდა. ცოტა მოიცადა და მუხრუჭს დააწვა. „ჰამერი" მოუთმენლად აცახცახდა. ძრავა ღმუოდა, ქარი კი ყმუოდა და ცარიელ გზატკეცილზე მოსეირნე თოვლს თავის ნებაზე ატრიალებდა.

– ალბათ ხვდები, რომ ამის გაკეთება მოგვიწევს, არა? – იკითხა ოუენმა, – თუმცა, ჯერ უნდა დავიჭიროთ. დეტალების მიუხედავად, მათ გენერალურ გეგმაში მთელი პლანეტის დაინფიცირება შედის. და მათემა...

– მათემატიკა მეც მშვენივრად ვიცი, – თქვა ჰენრიმ, – კოსმოსურ

ხომალდ „დედამიწის“ ექვსი მილიარდი მოსახლე ერთი ჯოუნსის წინააღმდეგ.

– ციფრებს ვერსად გავექცევით.

– ციფრები შესაძლოა, იტყუებოდნენ, – შეეპასუხა ჰენრი, თუმცა სახე მოეღუშა, რადგან კარგად იცოდა, რომ დიდი რიცხვები არ იტყუებოდა და ვერც მოიტყუებოდა. ექვსი მილიარდი კი ძალიან დიდი რიცხვი იყო. ოუენმა მუხრუჭს ფეხი აუშვა და აქსელერატორს დააწვა. „ჰამერი“ რამდენიმე ფუტით წინ გაგორდა, ერთი პირობა, მოსრიალება დააპირა, მაგრამ შეჩერდა, შემდეგ კი მხეცივით ღრიალით ამოხტა ნამქერიდან. ოუენმა სამხრეთისკენ გადაუხვია.

„მომიყევი, რა მოხდა მას შემდეგ, რაც გოგონა სადინარი მილიდან ამოიყვანეთ“.

სანამ ჰენრი პასუხს გაგზავნიდა, ხელსაწყოების პანელზე დამაგრებული რაცია ატკაცუნდა. ვიღაც ისე ხმამაღლა და მკაფიოდ ალაპარაკდა, თითქოს მათთან ერთად იჯდა „ჰამერში“.

– ოუენ! აქ ხარ, მეგობარო?

ეს კურცი იყო.

16

თითქმის ერთი საათი მოანდომეს „ცისფერი ბაზიდან“ (ყოფილი „ცისფერი ბაზიდან“) სამხრეთის მიმართულებით თექვსმეტი მილის გავლას, მაგრამ კურცი არ წუხდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ღმერთი დახმარების ხელს გაუწვდიდა.

„ჰამერში“ ისხდნენ. მანქანას ფრედი ჯონსონი მართავდა. მის გვერდით კარის სახელურზე ხელბორკილით მიბმული არჩი პერლმუტერი მოკუნტულიყო. კემბრი – პერლის, კურცი კი ფრედის უკან იჯდა. კემბრიც დაებათ. თავდაპირველად, კურცი ცოტათი შეშფოთდა, – ტყვეები ერთმანეთს ტელეპათიის საშუალებით არ დაუკავშირდნენ და რამე არ ჩაიფიქრონო, მაგრამ მალევე დამშვიდდა. კურცმა და ფრედიმ ფანჯრები ჩასწიეს, თუმცა „ჰამერში“ ისე ციოდა,

როგორც იანვრის თვეში გლეხის ეზოში მდგარ ტუალეტში. იმ ყინვას ვერანაირი გამათბობელი ვერ გაუმკლავდებოდა. ეგ არის, რომ სხვა გზა არ ჰქონდათ: მანქანაში გოგირდისა და ეთერის ისეთი მომწამვლელი სუნი იდგა, როგორც გაზით სავსე ქვანახშირის საბადოში. ყველაზე მეტად პერლმუტერი ყარდა, განუწყვეტლივ წრიალებდა და ჩუმად კვნესოდა. კემბრის რიპლი მოსდებოდა და გაზაფხულის წვიმის შემდეგ აბიბინებულ პურის ყანას დამსგავსებოდა. კურცს ნიღაბი ეკეთა, მაგრამ მის სიმყრალეს მაინც გრძნობდა. მიუხედავად იმისა, რომ უზრდელობაში პერლის ვერავინ შეედრებოდა, მაინც ცდილობდა, გაზები უხმაუროდ გამოეშვა (ხან ერთ დუნდულს ასწევდა მაღლა, ხანაც – მეორეს და პატარა პუკს აკეთებდა, როგორც კურცის ბურუსით მოცული ბავშვობის დღეებში ამბობდნენ ხოლმე), თან გაკვირვებულ სახეს იღებდა, – აქაოდა, მე არაფერ შუაში ვარო. ჯინ კემბრის რიპლი მოჰყავდა. კურცი ეჭვობდა, რომ პერლი, ღმერთო, შენ დაიფარე, სხვა რამის კულტივირებით იყო დაკავებული.

რაც შეეხება კურცს, იგი წარმატებით მალავდა აზრებს მის მიერვე შეთხზული მონოტონური მანტრის საშუალებით: დევისი და რობერტსი, დევისი და რობერტსი, დევისი და რობერტსი...

– იქნებ შეწყვიტოთ? – უთხრა გაღიზიანებულმა კემბრიმ, – თორემ ლამის გავგიჟდე!

– მეც, – მხარი აუბა პერლმუტერმა. იგი კვლავ აწრიალდა და გრძელი „ფუუუ" გამოსცა, თითქოს გასაბერი სათამაშოდან ჰაერი გამოუშვაო.

– ღმერთო ჩემო, პერლი, – შესძახა ფრედიმ, ფანჯარა ბოლომდე დაუშვა და თავი გარეთ გაჰყო. „ჰამერი" მოცურდა და კურცი უარესისთვის მოემზადა, მაგრამ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა, – იქნებ გვაკმარო ეგ შენი ანალური პარფიუმერიის რეკლამა?

– ბოდიში, – ცივად შეეპასუხა პერლმუტერი, – მაგრამ თუ იმაზე მიმანიშნებ, რომ გაზები მე გამოვუშვი, გეტყვი, რომ...

– არაფერზე არ მიგანიშნებ, – დაიღრინა ფრედიმ, – უბრალოდ,

გეუბნები, რომ აქაურობა სკუნსივით აღარ ააყროლო, თორემ...

ვინაიდან, ფრედი ვერაფრით შეასრულებდა მის მიერ გამოთქმულ თუ გამოუთქმელ მუქარას, – ჯერჯერობით, ამ ორი ტელეპათის გარეშე არაფერი გამოუვიდოდათ, – კურცმა ჩარევა გადაწყვიტა.

– მინდა, ედვარდ დევისისა და ფრანკლინ რობერტსის ჭკუის სასწავლებელი ამბავი გიამბოთ, – თქვა მან, – რაც კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ ახალი – კარგად დავიწყებული ძველია. ეს დიდი ხნის წინათ კანზასში მოხდა, მაშინ, როცა კანზასი ჯერ კიდევ კანზასობდა.

კურცს თხრობა ეხერხებოდა და კორეის ომს გადასწვდა. ედ დევისსა და ფრანკლინ რობერტსს თითქმის ერთნაირი პატარა ფერმა ჰქონდათ ემპორიასთან, კურცის ოჯახის მეზობლად (მაშინ კურცი არ ერქვა). დევისს, რომელსაც თავში გვარიანად უქროდა, რატომღაც აეკვიატებინა, რომ მეზობელს, თავხედ რობერტსს, მისი ფერმის ხელში ჩაგდება სურდა, თანაც ქალაქში მასზე საზიზღარ ჭორებს ავრცელებდა. აცხადებდა, – რობერტსი მინდვრებზე საწამლავს მიყრის, „ემპორიის ბანკს" გაურიგდა, რათა ვალების სანაცვლოდ ფერმა ჩამომართვანო.

ედ დევისმა იმდენად გააფრინა, რომ როგორღაც ცოფიანი ენოტი დაიჭირა და საქათმეში – საკუთარ საქათმეში შეუშვა. როცა ენოტმა ყველა ქათამს კისერი მოუგრიხა, მადლობა უფალს, – განაგრძობდა კურცი, – ფერმერმა დევისმა თოფი გამოიტანა და ენოტს მოშავომონაცრისფრო ზოლიან თავში ესროლა.

„ჰამერში" სიჩუმე იდგა, ყველანი სულგანაბული უსმენდნენ კურცს.

ედ დევისმა დახოცილი ქათმები და მკვდარი ენოტი თავის კომბაინში, „ინტერნეიშნლ ჰარვესტერში" მოათავსა, მეზობლის ფერმას მიადგა და მთვარის შუქზე ყველაფერი ფრანკლინ რობერტსის ორ ჭაში ჩაყარა: იმაშიც, რომლიდანაც საქონელს წყალს ასმევდა, და

იმაშიც, საიდანაც ოჯახი სვამდა. მომდევნო საღამოს ჯერ ბლომად ვისკი ყლურწა, შემდეგ კი თავის მტერს დაურეკა და სიცილით უამბო მომხდარი. „დღეს აუტანელი სიცხე იყო, არა? – ჰკითხა იმ გადარეულმა, თან ისე ხმამაღლა იცინოდა, რომ ფრანკლინ რობერტსი სიტყვებს ძლივს არჩევდა, – რომელი წყალი დალიეთ შენ და შენმა გოგონებმა, რობერტს? ენოტისმძორიანი თუ დახოცილქათმებიანი? ზუსტად ვერ გეტყვი, რადგან, ვაი სირცხვილო და, აღარ მახსოვს, რომელი რომლით ამოვავსე“.

ჯინ კემბრის ტუჩის მარცხენა კუთხე ინსულტგადატანილი ადამიანივით აუცახცახდა. წარბებს ზემოთ, ნაკეცებში რიპლი ისე წამოზრდოდა, გეგონებოდათ, ცოტაც და, მისტერ კემბრის შუბლი გადაეხსნებაო.

– ამით, იმის თქმა გსურთ, – იკითხა მან, – რომ მე და პერლი არაფრით ვჯობივართ ორ ცოფიან ქათამს?

– ბოსს თავაზიანად ელაპარაკე, კემბრი, – გააფრთხილა ფრედიმ და ნიღაბი, როგორც ჩანს, აღშფოთებისგან, მოუსვენრად აუმო ძრავდა.

– ჯანდაბამდე გზა ჰქონია შენს ბოსს! მისია დასრულებულია!

ფრედიმ ხელი ასწია, რათა კემბრი სავარძელზე მიესრისა, მაგრამ ამ უკანასკნელმა შიშით დაღრეჯილი და გამძვინვარებული სახე სულ ახლოს მიუტანა.

– მიდი, ჯიგარო! მაგრამ იქნებ, ჯერ საკუთარი მუშტი შეგემოწმებინა? ხომ იცი, პატარა ნაკაწრი და წასულია შენი საქმე.

ფრედიმ ხელი ჰაერში გააჩერა და ისევ საჭეზე დადო.

– სხვათა შორის, ფრედი, შენს ადგილას უკან ხშირ-ხშირად მივიხედავდი. გაგიჟებულხარ, თუ გგონია, რომ ბოსი მოწმეებს დატოვებს.

– გაგიჟებულა, დიახ, – გულთბილად თქვა კურცმა და ჩაიცინა, – რომ იცოდეთ, ბევრი ფერმერი სიცოცხლეს საგიჟეთში ასრულებს, ან

ასრულებდა ვილ ნელსონამდე[186] – ღმერთმა დალოცოს იგი – და ფერმერთა დახმარების პროგრამამდე. ვფიქრობ, ამის მიზეზი მოხ-შირებული სტრესი უნდა იყოს. საბრალო ედ დევისმა სიცოცხლე ვეტერანთა დახურულ დაწესებულებაში დაასრულა, – რომ იცოდეთ, იგი დიდ ომში მონაწილეობდა, – ამ ჭების ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ ფრანკ რობერტსმა ფერმა გაყიდა, უიჩიტოში გადავიდა და „ელის-ჩალმერზში" კომივოიაჟორად დაიწყო მუშაობა, მიუხედავად იმისა, რომ ჭები მოწამლული არ აღმოჩნდა – სინჯი ააღებინა ოლქის სანიტარულ ინსპექტორს, რომელმაც უთხრა, რომ წყალი სასმელად ვარგისი იყო. თურმე, ცოფი წყლით არ გადადის. ნეტა რიპლის შემთხვევაში რა ხდება?

– უპირველეს ყოვლისა, კარგი იქნებოდა, თუ მას ნამდვილ სახელს უწოდებდით, – ჩაიბურტყუნა კემბრიმ, – ეს რიპლი კი არა, ბაირუსია.

– გინდ ბაირუსი ეძახე, გინდ რიპლი, – თქვა კურცმა, – ეს ტიპები ჩვენი ჭების მოწამვლას ცდილობენ. ჩვენი თხევადი გარემოს დაბინძურებას, როგორც ვიღაცამ სწორად აღნიშნა.

– თქვენ ეს ფეხებზე გკიდიათ! – ისეთი ძალით იფეთქა პერლიმ, რომ ფრედი შეხტა კიდეც, – ანდერჰილის შეპყრობის გარდა, არაფერი გადარდებთ!

გაჩუმდა, შემდეგ სევდიანად დაამატა:

– მგონი, მართლაც გაგიჟდით, ბოს.

– ოუენ! – ბურუნდუკივით დასჭყივლა კურცმა, – კინაღამ არ დამავიწყდა? სად არის, ბიჭებო?

– წინ, – პირქუშად მიუგო კემბრიმ, – წყეულ ნამქერში გაიჭედა.

– შესანიშნავია! – შესძახა კურცმა, – მიზანთან ახლოს ვყოფილვართ!

– დროზე ადრე ნუ ზეიმობთ, ბოს. ახლავე თავს დააღწევს. ზუს-

[186] ქანთრის მომღერალი და კომპოზიტორი.

ტად ჩვენნაირი „ჰამერი" ჰყავთ. ვინც იცის, რას აკეთებს, თან საჭესთან ჯდომაც ეხერხება, ჯოჯოხეთსაც კი არ შეუშინდება. ის კი, როგორც ჩანს, ასეთია.

– სამწუხაროა. შანსები თუ გვაქვს?

– არცთუ ისე ბევრი, – მიუგო პერლიმ, შემდეგ ისევ აწრიალდა, შეიჭმუხნა და უწესო ხმა გამოსცა.

– უჰ, შენი... – თქვა ფრედიმ ხმადაბლა.

– მიკროფონი მომეცი, ფრედი. საერთო არხი, რომელიც ჩვენს მეგობარს, ოუენს, ძალიან უყვარს.

ფრედიმ მიკროფონი ისე გაუწოდა, არ შებრუნებულა, ხელსაწყოების პანელზე მიმაგრებულ გადამცემს რაღაც უჯადოქრა და თქვა:

– მზად არის, ბოს.

კურცმა მიკროფონის გვერდზე მოთავსებულ ღილაკს თითი დააჭირა.

– ოუენ! აქ ხარ, მეგობარო?

დუმილი, უძრაობა და მხოლოდ ქარის მონოტონური ზუზუნი. კურცმა ხელმეორედ დააპირა გადაცემის ღილაკზე თითის დაჭერა, როდესაც ოუენის მშვიდი ხმა გაისმა – გარკვეული ხარვეზებით, მაგრამ მკვეთრად.

– აქ ვარ.

– მიხარია შენი ხმის გაგონება, მეგობარო! ამაღელვებელი მომენტია! ვფიქრობ, ორმოცდაათიოდე მილით უნდა გვისწრებდე. ჩვენ ახლახან გავიარეთ 39-ე მოსახვევი, ასე რომ, მგონი, არ შევმცდარვარ, არა? – სინამდვილეში მათ 36-ე მოსახვევი გაიარეს და მათთან, ალბათ, ორჯერ უფრო ახლოს იყვნენ.

დუმილი.

– აჯობებს, მანქანა გააჩერო, მეგობარო, – ურჩია კურცმა ძალზე გულკეთილი და წინდახედული ადამიანის კილოთი, – ჯერ კიდევ შეიძლება რაღაცის გადარჩენა და ამ სიბინძურისგან თავის დაღწევა.

ჩვენი კარიერა დასრულებულია, ამას წყალი არ გაუვა, მაგრამ თუ რამე მიზანი გაქვს, ნება მომეცი, დაგეხმარო. პატარა აღარ ვარ და მინდა, ღირსეულად...

– მორჩი ტყუილების ჩმახვას, კურც, – ერთდროულად გაისმა „ჰამერის" ექვსივე დინამიკიდან, თანაც ისე ხმამაღლა და გარკვევით, რომ კემბრიმ თავი ვეღარ შეიკავა და თავხედურად გადაიხარხარა. კურცმა მას განმგმირავი მზერა ესროლა. ჩვეულებრივ ვითარებაში ეს საკმარისი იქნებოდა, კემბრის შავი კანი შეძრწუნებისგან რომ განაცრისფრებულიყო, თუმცა, ეს – ჩვეულებრივ ვითარებაში. ახლა მსგავსი ვითარებისგან ძალიან შორს იყვნენ და კურცმა მისთვის სრულიად შეუფერებელი შიშის მოახლოება იგრძნო. ერთია იმის გააზრება, რომ ყველაფერი თავდაყირა დადგა, სულ სხვაა, როდესაც სიმართლე გულ-მუცელში ცხელ ტყვიასავით ჩაგეღვრება.

– ოუენ... მეგობარო...

– მომისმინე, კურც. არ ვიცი, ერთი ნორმალური ნაოჭი მაინც თუ დაგრჩა მაგ გადარეულ ტვინში, მაგრამ თუ ასეა, ორიოდე წამი მაჩუქე. ჩემ გვერდით ერთი კაცი ზის, ჰენრი დევლინი. წინ... შესაძლოა, ასი მილის დაშორებით, მისი მეგობარია, გარი ჯოუნსი. ოღონდ იგი უკვე სხვა არსებაა. მას უცხოპლანეტელის გონება დაეუფლა, რომელსაც თვითონ მისტერ გრეის უწოდებს.

გარი... გრეი, – გაიფიქრა კურცმა, – ანაგრამებით გავიგებთ მათ შესახებ.

– იმას, რაც ჯეფერსონტრექტში ხდებოდა, აზრი არ ჰქონდა, – განაგრძო ხმამ დინამიკებიდან, – შენ მიერ ჩაფიქრებული სასაკლაო უაზრობა იყო, კურც, – თავისით მოკვდებიან თუ ტყვიით დაიხოცებიან, ისინი საფრთხეს მაინც არ წარმოადგენენ.

– ხომ გესმით?! – ისტერიულად შესძახა პერლმუტერმა, – არ წარმოადგენენ! არ...

– მოკეტე! – დაუღრინა ფრედიმ და სახეში გაარტყა. კურცმა ეს

თითქოს ვერც შეამჩნია. სიმივით გაიჭიმა, თვალები დააკვესა, ყურები დაცქვიტა. რაო? უაზრობაო? ოუენ ანდერჰილი ამტკიცებს, რომ მისი ცხოვრების მთავარი ოპერაცია უაზრობაა?

– ...ისინი ამ გარემოში, გასაგებია? ჩვენს ეკოსისტემაში ვერ გადარჩებიან. გრეის გარდა. რადგან მას გაუმართლა და ისეთ მასპინძელს მიაგნო, რომელიც ყველასგან ძირეულად განსხვავდება. ჰოდა, კურც, თუ შენთვის ამ სამყაროში რაღაც მაინც ძვირფასია, თუ რაიმე პრინციპი გაგაჩნია, დაუყოვნებლივ შეწყვიტე ნადირობა და ნება მოგვეცი, საქმეს მშვიდად მივხედოთ. მივხედოთ მისტერ ჯოუნსისა და მისტერ გრეის. შენ, ალბათ, მოახერხებ ჩვენს დაკავებას, მაგრამ ვეჭვობ, მათი დაჭერა მოახერხო. ისინი ძალიან შორს არიან სამხრეთისკენ. ჩვენი აზრით, გრეის რაღაც გეგმა აქვს. ისეთი, რომელმაც შეიძლება იმუშაოს.

– ოუენ, შენ გადაღლილი და აღგზნებული ხარ, – მშვიდად თქვა კურცმა, – გაჩერდი. რთული ვითარების დაძლევას ჩვენ ერთად შევძლებთ. ჩვენ...

– თუ შენთვის სულერთი არ არის, თამაშიდან გახვალ, – ცივად გააწყვეტინა ოუენმა, – კავშირის დასასრული. ვწყვეტ შენთან საუბარს.

– ეს არ გააკეთო, მეგობარო! – იღრიალა კურცმა, – ეს არ გააკეთო! გიკრძალავ!

გაისმა ხმამაღალი ტკაცუნი და დინამიკებმა გაურკვეველი შიშინი გამოსცა.

– კავშირი გაწყვიტა, – თქვა პერლმუტერმა, – მიკროფონი გამორთო. მიმღები გათიშა. მორჩა.

– მაგრამ ხომ გაიგეთ, რა თქვა? – იკითხა კემბრიმ, – ეს ყველაფერი უაზრობაა. უკან დავბრუნდეთ.

კურცს შუბლზე ძარღვი აუტოკდა.

– გგონიათ, იმის მერე, რაც მოხდა, მის სიტყვებს ვენდობი?

– მაგრამ იგი სიმართლეს ამბობდა, – მოუჭრა კემბრიმ და პირველად შეტრიალდა კურცისკენ მთელი ტანით: ფართოდ გახელილი თვალები, კუთხეებში რიპლისა თუ ბაირუსის – თუ რას ეძახიან – კვალი. კურცის ლოყებს, შუბლსა და ნიღაბს ნერწყვი შეეშხეფა, – მე მესმოდა მისი აზრები! პერლისაც ესმოდა! ის სიმართლეს ამბობს! ის...

კურცმა ელვისებურად, ძლივს შესამჩნევი მოძრაობით ამოიღო ბუდიდან პისტოლეტი და გაისროლა. დახშულ სივრცეში უკუცემა აფეთქებასავით გაისმა. ფრედიმ მოულოდნელობისგან შეჰყვირა, საჭე ხელიდან გაექცა, „ჰამერმა" მართვა დაკარგა და დატრიალდა. შეშინებულმა პერლმუტერმა დაიღრიალა და წითელი ლაქებით დაფარული სახე მიაბრუნა. შეიძლება ითქვას, რომ კემბრის სიკვდილში მაინც გაუღიმა ბედმა: მან ხელის აფარებაც ვერ მოასწრო, რომ ტვინი კეფაში გაჩენილი ხვრელით ფანჯარაში გაიტყორცნა და გაიფანტა.

არ ელოდი ხომ, მეგობარო? – გაიფიქრა კურცმა, – უძლური აღმოჩნდა შენი სანაქებო ტელეპათია!

– მართალია, – დაღვრემით ჩაილაპარაკა პერლიმ, – რა უნდა გააწყო იმ ადამიანთან, რომელმაც თვითონაც არ იცის, მომდევნო წამს რას გააკეთებს? გიჟები უმართავი ხალხია.

კურცმა პისტოლეტი ახლა პერლმუტერს დაუმიზნა.

– ერთხელ კიდევ დამიძახე გიჟი. მიდი, მომასმენინე.

– გიჟი! – დაუფიქრებლად გაიმეორა პერლიმ, გაიღიმა და გამოაჩინა დარჩენილი კბილები, რომელთა შორისაც ხვრელები მოჩანდა, – გიჟი-გიჟი-გიჟი. შენ არ მესვრი. ჩემი დუბლიორის მოკვლის შემდეგ საკუთარ თავს ამის უფლებას არ მისცემ.

გაღიზიანებულმა პერლიმ ხმას სახიფათო ზღვრამდე აუწია. ფანჯრიდან შემოვარდნილი ცივი ქარი კემბრის ცხედარს კარზე ახეთქებდა, თმასა და ბაირუსს უწეწავდა.

– მოკეტე, პერლი, – მშვიდობიანად უთხრა კურცმა, რომელიც

ცოტათი დამშვიდებულიყო და თავს აშკარად უკეთ გრძნობდა, რადგან მიაჩნდა, რომ კემბრი უარესსაც იმსახურებდა, – მიხედე შენს პლანშეტს და ჩუმად იყავი. ფრედი!

– დიახ, ბოს.

– შენ კვლავინდებურად ჩემთან ერთად ხარ?

– ბოლომდე, ბოს.

– ოუენ ანდერჰილი მოღალატეა, ფრედი. შეგიძლია თუ არა, ღმერთს მადლობა შესწირო, რომ მის მხილებაში დაგვეხმარა?

– მადლობა უფალს! – ფრედი სარგადაყლაპულივით იჯდა და გზასა და „ჰამერის" ფარებისგან შექმნილ სინათლის კონუსებს უყურებდა.

– ოუენ ანდერჰილმა სამშობლოსა და ამხანაგებს უღალატა. მან...

– მან შენ გიღალატა, – თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა პერლმუტერმა.

– მართალია, პერლი, და ძალიანაც ნუ დაიფასებ თავს, შვილო. ეს ერთადერთია, რის გაკეთებასაც არ გირჩევ, რადგან, როგორც თვითონვე აღნიშნე, გიჟმა არ იცის, მომდევნო წამს თავში რა წამოუვლის.

კურცმა მზერა ფრედის ფართო კეფას მიაპყრო.

– ჩვენ შევიპყრობთ ოუენ ანდერჰილს, მასაც და იმ დევლინსაც, თუკი ის კვლავაც მასთანაა. გასაგებია?

– დიახ, ბოს.

– ჯერჯერობით კი ბალასტი გადავყაროთ, რას იტყვი?

კურცმა ჯიბიდან ხელბორკილის გასაღები ამოიღო და ცხედრისკენ გაიწვდინა. ცოტათი კი დაესვარა გაცივებულ ჟელეში, რაც ფანჯრიდან არ გადავარდა და სალონში დარჩა, მაგრამ კარის სახელურს მაინც მიაგნო. კიდევ წამი და მისტერ კემბრის ცხედარი, მადლობა უფალს, თოვლის საბურველში გაეხვია.

ამასობაში, ფრედი გაშმაგებით იფხანდა საზარდულს, რომელიც საშინლად ექავებოდა. იღლიებშიც იგივე შეგრძნება ჰქონდა, და...

თავი ოდნავ მიაბრუნა და დაინახა, რომ პერლი მას მიშტერებოდა. დიდრონი ჩაშავებული თვალები უძირო ჭასავით მოუჩანდა ფერმკრთალ, წითელი ლაქებით მოფენილ სახეზე.

– რას მომშტერებიხარ? – ჰკითხა ფრედიმ. პერლმუტერი უსიტყვოდ შეტრიალდა ფანჯრისკენ.

თავი მეცხრამეტე
დევნა გრძელდება

1

მისტერ გრეი ადამიანური ემოციებითა და საკვებით გვარიანად დატკბა, აი, ჯოუნსის ნაწლავების დაცლა კი აშკარად არ მოეწონა. არც კი დახედა იმას, რაც გამოაგდო, ოდნავ აკანკალებული ხელებით შარვალი აიწია და შეიკრა.

„ღმერთო ჩემო, ნუთუ არ გამოიწმენდ? – აღშფოთდა ჯოუნსი, – ჩარეცხე მაინც! "

მაგრამ მისტერ გრეის მხოლოდ ერთი რამ სურდა: კაბინიდან სასწრაფოდ გასვლა. კიდევ კარგი, რომ ხელები მაინც დაიბანა გასვლის წინ.

ჯოუნსი ძალიანაც არ გაოცებულა, როდესაც კარში პატრულის თანამშრომელს მოჰკრა თვალი.

– შარვლის ბარტყის შეკვრა დაგვიწყებიათ, მეგობარო, – თქვა პოლიციელმა.

– ჰოო? მართლაც! გმადლობთ.

– ჩრდილოეთიდან მოდიხართ, არა? რადიოთი გადმოსცეს, რომ იქ დიდი ამბები ხდება. თუმცა იქაური სადგურები ძნელი დასაჭერია. ზოგი უცხოპლანეტელების ჩამოსვლაზეც ალაპარაკდა.

– მე დერიდან ვარ, – მიუგო მისტერ გრეიმ, – არაფერი ვიცი.

– შეიძლება გკითხოთ, ასეთ ღამეში სახლიდან რამ წამოგიყვანათ?

უთხარი, რომ მეგობარი გყავს ავად, – გაიფიქრა ჯოუნსიმ და მაშინვე უსიამოვნო ჩხვლეტა იგრძნო. არ სურდა ამის დანახვა, მით უმეტეს – ამაში მონაწილეობა, თუნდაც უნებურად.

– მეგობარი მყავს ავად, – თქვა მისტერ გრეიმ.

– მართლა? იქნებ თქვენი მართვისა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მაჩ...

უეცრად პოლიციელს თვალები საოცრად დაუმრგვალდა. შეტრიალდა და გაუბედავად გაემართა კედლისკენ, რომლის შესავლელთან ფირფიტა ეკიდა წარწერით: „შხაპი მხოლოდ შორეული გადამზიდავებისთვის“. იქ ცოტა ხანს შედგა, მთელი ტანით აცახცახდა და მკვეთრად და რიტმულად... კაფელზე თავის მირტყმა დაიწყო. პირველ დარტყმაზე „სტეტსონის“[187] ქუდი მოსძვრა, მესამეზე კლარეტი გადმოსდინდა – ჯერ წვეთ-წვეთად შეგროვდა კრემისფერ ფილებზე, შემდეგ კი მუქ ნაკადულებად წამოვიდა.

ჯოუნსის ძალა არ შესწევდა ამ საშინელების შესაჩერებლად. ტელეფონს მივარდა, მაგრამ ყურმილში არაფერი ისმოდა – მისტერ გრეის ხაზი გადაეჭრა, ან მეორე ულუფა ბეკონის ჭამისას, ან ტუალეტში გასვლის წინ. ჯოუნსი მარტო დარჩა.

2

მიუხედავად ზიზღისა, ან იქნებ, ამის გამოც, ჯოუნსის სიცილი აუტყდა, როდესაც მისი ხელები „დაიზარტსის“ ემბლემიანი პირსახო-

[187] კოვბოის ქუდის მსგავსი შლაპა.

ცით კაფელიდან სისხლის წმენდას შეუდგა. მისტერ გრეიმ ღირსეულად დააფასა ჯოუნსის ცოდნა ისეთ დელიკატურ სფეროში, როგორიცაა გვამის გადამალვა (თავიდან მოცილება) და მიხვდა, რომ ოქროს ძარღვისთვის მიეგნო. საშინელებათა ფილმების, დეტექტივებისა და კრიმინალური ამბების ერთგული თაყვანისმცემელი და დიდი მოყვარული ჯოუნსი დროთა განმავლობაში ამ საქმის, თუ შეიძლება ითქვას, ნამდვილი ექსპერტი გახდა. ახლაც კი, როდესაც მისტერ გრეიმ სისხლიანი პირსახოცი პატრულის თანამშრომლის სველ მუნდირზე დააგდო (პოლიციელის ქურთუკი მისი დასახიჩრებული თავის შესაფუთად გამოიყენა), ჯოუნსის თავში ფრედი მაილსის გვამის დამარხვის სცენა უტრიალებდა „ნიჭიერი მისტერ რიპლიდან" – როგორც ფილმიდან, ისე პატრიცია ჰაისმიტის[188] რომანიდან. ამას სხვა ფილმებიდანაც დაემატა კადრები, რომლებიც ხან გამოჩნდებოდა, ქრებოდა, ხანაც ერთმანეთს ებმოდა, ამან ჯოუნსის თავბრუ დაახვია, ეგონა უფსკრულის პირას იდგა და ქვევით იყურებოდა. ეს კიდევ არაფერი. ჯოუნსის დახმარებით, ნიჭიერმა მისტერ გრეიმ ის აღმოაჩინა, რაც შებრაწულ ბეკონსა და ჯოუნსის გაშმაგების დაუშრეტელ წყაროზე მეტად მოსწონდა.

ეს მკვლელობა გახლდათ.

3

საშხაპის უკან გასახდელი მდებარეობდა, იმის იქით – დერეფანი, საიდანაც მძღოლების ღამის გასათევ ოთახში შეიძლებოდა მოხვედრა. დერეფანში კაციშვილი არ ჭაჭანებდა. შორეულ ბოლოში შენობის უკანა ეზოში გასასვლელი კარი მოჩანდა, რომლის მიღმაც თოვლით დაფარული ჩიხი იყო. იქ ორი უშველებელი მწვანე ნაგავსაყრელი იდგა. ერთადერთი ლითონისაბაჟურიანი სუსტი ფარანი თოვლზე წაგრძელებულ ჩრდილებს აჩენდა. მისტერ გრეიმ, რომელიც

[188] ამერიკელი მწერალი, ფსიქოლოგიური დეტექტივების ავტორი.

სიტყვის უთქმელადაც ყველაფერს სწრაფად ხვდებოდა, მიცვალებულს ჯიბეები მოუჩხრიკა, მანქანის გასაღები იპოვა, პოლიციელის პისტოლეტი ჯოუნსის ქურთუკის ჯიბეში ჩადო და მეტი საიმედოობისთვის ელვაშესაკრავით ჩაკეტა. კარი თავისით რომ არ მიხურულიყო, მისტერ გრეიმ ის ისევ იმ სისხლიანი პირსახოცით დაამაგრა და გვამი ნაგვის ურნაში მოათავსა.

ამ ყველაფერს – პატრულის თანამშრომლის საზარელ თვითმკვლელობას დერეფანში ჯოუნსის გამოჩენამდე – სულ ათი წუთი დასჭირდა. ჯოუნსიმ სიმსუბუქე და მოქნილობა იგრძნო, დაღლილობა სადღაც გამქრალიყო, ყოველ შემთხვევაში, იმ წუთებში მაინც. ის და მისტერ გრეი ენდოფრინული ეიფორიის მორიგი აფეთქებით ტკბებოდნენ. ახლა ეს „სველი საქმე" არა მარტო მისტერ გრეის, არამედ გარი ემბროუზ ჯოუნსის სინდისზეც იყო. არა მხოლოდ გვამის თავიდან მოცილების უნარი – პიროვნებაში გაღვიძებული სისხლისმსმელი კაციჭამიას აღტყინებაც, რომელსაც ზემოდან თხელ ფენად ეყარა შაქრის ფხვნილი, სახელწოდებით „ეს სინამდვილეში არ ხდება". დიახ, მთავარი შემოქმედი მისტერ გრეი იყო – ჯოუნსის სულაც არ ტანჯავდა აზრი, რომ მკვლელობა მან ჩაიდინა, მაგრამ ყველაფერი მისი ხელებით ხდებოდა.

შესაძლოა, ჩვენ ვიმსახურებთ კიდეც განადგურებას, – ფიქრობდა ჯოუნსი, (სანამ მისტერ გრეი საშხაპეში, ჯოუნსის თვალებით, სისხლის დარჩენილ ლაქებს ეძებდა და პოლიციელის გასაღები ჯოუნსის ხელში ჰქონდა ჩაბღუჯულია), – იქნებ ვიმსახურებთ, რომ მოვისპოთ, არარაობად ვიქცეთ, წითელი ბალახით დავიფაროთ, რომელიც ქარის დაქროლვისას შეირხევა. იქნებ ასე ჯობდეს, ღმერთო, შენ გვიშველე.

4

სალაროსთან მჯდომმა დაღლილი შესახედაობის მქონე ქალმა ჯოუნსის ჰკითხა, პოლიციელი ხომ არ გინახავთო.

– ცხადია, ვნახე, – მიუგო ჯოუნსიმ, – მართვის მოწმობა და სხვა საბუთები ვუჩვენე.

– დღეს პოლიცია შუადღის აქეთ დაძრწის, – თქვა ქალმა, – მათთვის სულერთია, ქარბუქია თუ არა. არ გვასვენებენ. საშინლად გაღიზიანებულები არიან. ისევე, როგორც სხვები. უცხოპლანეტელების ნახვა რომ მნდომოდა, ვიდეოკასეტებს ვიქირავებდი. რამე სიახლე ხომ არ გაგიგიათ?

– რადიოთი აცხადებენ, რომ ცრუ განგაშია, – მიუგო მისტერ გრეიმ და ქურთუკი შეიკრა, შემდეგ ფანჯარაში გაიხედა, რათა ერთხელაც დარწმუნებულიყო იმაში, რაც უკვე დაენახა: შუშები ისე დაჭირხლულიყო, რომ ვერავინ შეამჩნევდა, რომელი მანქანით წავიდოდა.

– რას ამბობთ, მართლა? – შვებით გაეღიმა ქალს და თვალსა და ხელს შუა ათი წლით გაახალგაზრდავდა, დაღლილობაც გაუქრა.

– დიახ. თქვენს მეგობარს კი ცოტა შეაგვიანდება, ძვირფასო. ასე თქვა, სერიოზული მუშაობა მომიწევს, რომ დავიცალოო.

ქალს წარბებს შორის ნაოჭი გაუჩნდა.

– ასე თქვა?

– ღამე მშვიდობის. მადლიერების დღეს გილოცავთ. ბედნიერ შობას გისურვებთ. ღმერთმა მრავალ ახალ წელს დაგასწროთ.

ჯოუნსი უეცრად მიხვდა – ამ სისულელეს იმიტომ ამბობდა, რომ შეემჩნიათ და დაემახსოვრებინათ. დაიმახსოვრეს კიდეც. მაგრამ სანამ გაიაზრებდა, დაიმახსოვრეს თუ არა, ხედი ოფისის ფანჯრიდან ას ოთხმოცი გრადუსით შეტრიალდა – მისტერ გრეიმ იგი სალაროს მოაცილა და ახლა კვლავ სამხრეთისკენ მიიჩქაროდნენ. საპატრულო მანქანის თოვლსაწინააღმდეგო ჯაჭვები გამუდმებით წკარუნებდა, სამაგიეროდ, საშუალებას აძლევდა, საათში ორმოცი მილის სიჩქარით ევლოთ.

ჯოუნსიმ იგრძნო, რომ მისტერ გრეიმ გონების საცეცები უკან გაიწვდინა. მას შეეძლო ჰენრის ტვინს შეხებოდა, მაგრამ შიგნით ვერ

შეაღწევდა – ჰენრი, ჯოუნსის მსგავსად, დანარჩენი ადამიანებისგან ერთგვარად განსხვავდებოდა. სამაგიეროდ, ჰენრისთან ერთი კაცი იყო – ოვერჰილი თუ ანდერჰილი, რომელსაც მისტერ გრეი აუცილებლად ჩაავლებდა. ისინი აქედან სამოცდაათი ან მეტი მილის დაშორებით იმყოფებოდნენ... და გზატკეცილიდან გადაუხვიეს? დიახ, დერისკენ მიემართებოდნენ.

მისტერ გრეიმ უფრო ღრმად შეაღწია და ახალი მდევრები აღმოაჩინა. სამნი იყვნენ... მაგრამ მათი ძირითადი სამიზნე არა მისტერ გრეი, არამედ ოვერჰილი (ანდერჰილი) იყო. ჯოუნსის ეს დაუჯერებელ და აუხსნელ ფაქტად მოეჩვენა, სამაგიეროდ, მისტერ გრეი აღფრთოვანდა. იგი არც კი დაინტერესებულა, რატომ გადაწყვიტეს ოვერჰილმა (ანდერჰილმა) და ჰენრიმ დერიში შევლა.

ახლა მისტერ გრეის მთავარი საზრუნავი მისი მანქანის თოვლსაწმენდით შეცვლა იყო, თუ, რა თქმა უნდა, ჯოუნსის მისი მართვა შეეძლო. ეს კი მორიგ მკვლელობას ნიშნავდა, მაგრამ გაადამიანურებისკენ სწრაფად მქროლავ მისტერ გრეის ეს სულ არ ადარდებდა.

მისტერ გრეი თანდათანობით აზარტში შედიოდა.

5

ოუენ ანდერჰილი ფერდობზე დგას, ახლოს მილთან, რომელიც ფოთლებიდან იყურება, და ხედავს, როგორ ეხმარებიან ბიჭები მოთხუპნილ, დაბნეულ გოგონას ამოძრომაში. ხედავს, როგორ ეხვევა მას დადიტსი (ჩასკვნილი ახალგაზრდა კაცი ფეხბურთელის მხრებითა და კინოვარსკვლავისთვის დამახასიათებელი, უჩვეულოდ ხშირი ქერა თმით) და ჭუჭყიან სახეზე გემრიელად კოცნის. ესმის გოგონას პირველი სიტყვები:

– დედასთან მინდა.

ყველაფერი კარგად დასრულდა: არც პოლიციის გამოძახება დასჭირდათ, არც – სასწრაფო დახმარების. ისინი გოგონას მხოლოდ იმა-

ში ეხმარებიან, რომ მილს თავი დააღწიოს, ღობეში გაძვრეს, გადაკვეთოს სტროფორდ-პარკი (ყვითელბლუზიანი გოგონები მწვანებლუზებიანებს შეუცვლიათ, თუმცა არც ისინი და არც მათი მწვრთნელები ყურადღებას არ აქცევენ ბიჭებსა და მათ მოთხუპნილ, თმაგაწეწილ პრიზს), გაიაროს კანზასსტრიტზე და მეიპლეინზე შეუხვიოს. მათ იციან, სად არის ჯოზის დედა. და მამაც.

და არა მხოლოდ ისინი. მეიპლეინის ორივე მხარეს, კუთხემდე, მანქანების ჯაჭვია – რობერტა ქეველმა მოიფიქრა, ჯოზის მეგობრებისა და კლასელების მშობლებისთვის დაერეკა. იგი დარწმუნებულია, რომ ყველანი მიიღებენ მონაწილეობას გოგონას ძებნაში და ქალაქში მისი დაკარგვის შესახებ განცხადებებს გააკრავენ. არა მოფარებულ ადგილებში (დერის მოქალაქეების აზრით, მათი ადგილი სწორედ იქაა), არამედ, სადაც მათ ყველა დაინახავს. რობერტას ენთუზიაზმი ისეთი გადამდებია, რომ ელენ და ჰექტორ რინკენჰაუერებს იმედის ნაპერწკალი უჩნდებათ.

დანარჩენი მშობლებიც მზად არიან აქტიური მოქმედებისთვის, თითქოს, მხოლოდ ამის თქმას ელოდებოდნენ. რობერტა სახლიდან ბიჭების გასვლისთანავე შეუდგა რეკვას (მას ეჭვი არ ეპარება, რომ ისინი სადღაც შორიახლოს თამაშობენ, რადგან ჰენრის ბებერი ჯაგლაგი კვლავ სადარბაზოსთან მისასვლელ გზაზე დგას). იმ დროისთვის, როცა ისინი ბრუნდებიან, სასტუმრო ოთახში ოცამდე სტუმარია, რომელიც ორთქლმავალივით ბოლავს და ყავას მიირთმევს. მამაკაცი, რომელიც ჰენრის ადრეც უნახავს, სიტყვით გამოდის. ეს ადვოკატი დეივ ბოკლინია. მისი ვაჟიშვილი, ქენდალი, ზოგჯერ, დადიტსთან ერთად თამაშობს. ქენიც დაუნია, კარგი ბიჭია, მაგრამ დადსამდე ბევრი აკლია. ისე, სიმართლე რომ ითქვას, განა დადიტსს ვინმე შეედრება?

ბიჭები სასტუმრო ოთახის კარებში დგანან, ჯოზი შუაში ჩაუყენებიათ. გოგონამ დადიტსს უკვე გამოართვა თავისი ჩანთა და ბარ-

ბიკენი. სახეც თითქმის სუფთა აქვს, რადგან ბივერმა, ამდენი მანქანის დანახვაზე საკუთარი ცხვირსახოცი გასწირა, რათა გოგონასთვის ჭუჭყი მოეცილებინა. ("რომ არ დაგიმალოთ, – იტყვის ბივი მოგვიანებით, როცა ყვირილი, შეცხადება, ცრემლი და მთელი ის აურზაური გადაივლის, – თავს, ცოტა არ იყოს, უხერხულად ვგრძნობდი. ვიდექი და სახეს ვუწმენდდი ისეთი შესანიშნავი აღნაგობის გოგონას, „ფლეიბოის" ყდასაც რომ დაამშვენებდა, თუმცა ჭკუა გაზონსაკრეჭზე მეტი არ ჰქონდა".) თავდაპირველად მათ ვერავინ ამჩნევს, მისტერ ბოკლინის გარდა, მაგრამ ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, ისეა გატაცებული საკუთარი სიტყვით, რომ ნანახს ვერ აცნობიერებს.

– მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, ჯგუფებად დავიყოფით... თითოში, ვთქვათ, სამი წყვილი... წყვილი იყოს... და ჩვენ... ჩვენ... ჩვენ...

მისტერ ბოკლინი სულ უფრო და უფრო ნელა ლაპარაკობს – იმ სათამაშოს ჰგავს, დაქოქვა რომ სჭირდება. ბოლოს და ბოლოს, ქეველების „ტელეაუდიტორიის" წინაშე გაჩერდება და გაშტერებული იყურება. ოთახში მოუსვენარი ჩურჩული იწყება: იქ მყოფნი ვერაფრით მიმხვდარან, რა დაემართა ადამიანს, რომელიც სულ რაღაც ერთი წუთის წინ ასე თავდაჯერებულად გამოიყურებოდა.

– ჯოზი, – ყრუდ, ყოველგვარი გამოთქმის გარეშე წარმოთქვამს იგი, რაც არაფრით ჰგავს მის მტკიცე ხმას სასამართლო დარბაზში გამოსვლისას.

– დიახ, – თავს უქნევს ჰექტორ რინკენჰაუერი, – მას ასე ჰქვია. რა მოხდა, დეივ? ხომ კარგად...

– ჯოზი, – იმეორებს დეივი და აცახცახებულ ხელს მაღლა სწევს. ჰენრი (და, შესაბამისად, ოუენიც, რომელიც ამ ყველაფერს ჰენრის თვალებით ხედავს) მას იმ შობის მოჩვენებას ამსგავსებს, ებენეზერ სქრუჯის[189] საფლავზე რომ უთითებს.

[189] ჩარლზ დიკენსის მოთხრობის, „საშობაო სიმღერის", მთავარი პერსონაჟი.

ჯერ ერთი მშობელი მიტრიალდება კარისკენ, შემდეგ – მეორე... მესამე... ელფი ქეველიც, რომლის დიდი თვალები სათვალიდან ურწმუნოდ იყურება... ბოლოს კი მისის რინკენჰაუერიც.

– მე ვარ, დე, – ამბობს ჯოზი, თითქოს არაფერი მომხდარაო და მას ჩანთას უწვდის, – დადიმ ჩემი ბარბიკენი იპოვა. მე გავიჭედე...

ქალების სიხარულის გამომხატველ წივილ-კივილში აღარაფერი ისმის. ჰენრის ასეთი ხმაური ცხოვრებაში არ მოუსმენია და თუმცა, ყველაფერი კარგადაა, რატომღაც კანკალებს.

– ბარემ მიხმარე, ფრედი, – თავისთვის ბურტყუნებს ბივერი.

ჯოუნსის ხელი ჩაუკიდია დადიტსისთვის, რომელსაც ეს არეულობა ცოტათი აფრთხობს.

პიტი ჰენრის შესცქერის და თავს უქნევს: „მაგრები ვართ".

ჰენრიც თავის დაქნევით პასუხობს: „აბა, რა! "

შესაძლოა, ეს მათი დიდების წუთი არ არის, მაგრამ რაღაც ამის მსგავსია. აქვითინებული მისის რინკენჰაუერი ქალიშვილს მკერდში იკრავს. ჰენრი დადიტსს მხარზე ეხება და, როდესაც იგი მისკენ ტრიალდება, ლოყაზე კოცნის.

კეთილი, ბებერი დადიტსი, – ფიქრობს ჰენრი, – კეთილი, ბებერი...

6

– აი ისიც, ოუენ, – წყნარად ამბობს ჰენრი, – 27-ე მოსახვევი.

ქეველების სასტუმრო ოთახის სურათი საპნის ბუშტივით გასკდა და ოუენმა საგზაო ნიშანს შეხედა: „27-ე მოსახვევი, კანზას სტრიტი, მარჯვენა მხარეს გადადით".

ყურებში კვლავაც ბედნიერი და მხიარული შეძახილი ჩაესმის.

– კარგად ხარ? – ჰკითხა ჰენრიმ.

– ჰო. ყოველ შემთხვევაში, ასე მეჩვენება, – მან საჭე მარჯვნივ აიღო და „ჰამერის" უზარმაზარი ბორბლები თოვლში გასრიალდა.

ხელსაწყოების პანელზე საათი არ მუშაობდა, ისევე, როგორც ჰენრის მაჯაზე, მაგრამ ოუენს მოეჩვენა, რომ ცა ოდნავ განათდა, – დაშვების შემდეგ მარჯვნივ ავიღო თუ მარცხნივ? ახლავე მითხარი. თორემ მერე გაჩერება საფრთხის შემცველია.

– მარცხნივ, მარცხნივ.

ფარნების მოციმციმე შუქში ოუენმა საჭე მარცხნივ აიღო, მორიგი ნამქერიც დასძლია და კანზასსტრიტს გაუყვა. აქ ცოტა ხნის წინ თოვლსაწმენდს გაევლო, მაგრამ გზის საფარი ახალ თოვლს დაეფარა.

– როგორც ჩანს, თოვას მალე გადაიღებს, – თქვა ჰენრიმ.

– ჰო, მაგრამ ქარმა აიწყვიტა. გინდა, რომ მალე ნახო, არა? დადიტსს ვგულისხმობ.

– ცოტათი ვნერვიულობ, მაგრამ, ალბათ, ეგრეა, – გაიღიმა ჰენრიმ და თავი დააქნია, – დადიტსი... მის გვერდით თავს უკეთ ვგრძნობ. იგი ტრიბლს[190] ჰგავს. ამაში თავადაც დარწმუნდები. ოღონდ ცუდი ის არის, ასეთ უდროო დროს რომ დავადგებით თავს.

ოუენმა მხრები აიჩეჩა. „სხვა რა გზა გვაქვს ” , „, – თქვა ჟესტით.

– უკვე ოთხი წელია, ახალ ბინაში ცხოვრობენ, მე კი იქ ერთხელაც არ ვყოფილვარ, – ჩაილაპარაკა ჰენრიმ და, უნებურად, აზრებით ურთიერთობაზე გადაერთო: „ელფის სიკვდილის შემდეგ გადავიდნენ“.

„შენ“... – და სიტყვების ნაცვლად სურათი გაჩნდა: შავებში გამოწყობილი ხალხი შავი ქოლგებით. დაკრძალვისას წვიმს. კუბოზე წარწერაა: „მშვიდად განისვენე, ელფი“.

„არა, – დარცხვენით ამბობს ჰენრი, – ვერც ერთი ვერ დავესწარით“.

„? “

მაგრამ ჰენრიმ არ იცოდა, რატომ არ იყვნენ დაკრძალვაზე, თუმცა თავში ასეთი ფრაზა მოუვიდა: „ბედისწერის თითი წერს და წერს,

---

[190] სამყაროს მომავალზე ამერიკული სერია „ვარსკვლავური გზის“ პერსონაჟი.

არ ჩერდება, წერას წამითაც არ წყვეტს“[191]. დადიტსი მისი ბავშვობის მნიშვნელოვანი (უფრო სწორად, „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი“) ნაწილი იყო, მაგრამ როგორც კი კავშირი გაწყდა, წარსულთან დაბრუნება მტკივნეული აღმოჩნდა. და არა მარტო მტკივნეული, არამედ – უსარგებლოდ მტკივნეულიც. ახლა ჰენრი რაღაცას ხვდებოდა: ის სახეები, რომლებსაც დეპრესიასა და გარდაუვალ თვითმკვლელობაზე ფიქრს უკავშირებდა, – მამის ნიკაპზე ჩამოღვრილი რძე, კაბინეტიდან გაქცეული ბარი ნიუმენის უშველებელი საჯდომი, – სიზმართმჭერის უფრო ძლიერ და ქმედით სახეს ფარავდა. განა, ეს არ იყო მისი სასოწარკვეთილების რეალური წყარო? სიზმართმჭერის თეორიის სიდიადის შერწყმა ბანალობასთან, რომლისთვისაც ის გამოიყენებოდა. დადიტსის შესაძლებლობების გამოყენება მხოლოდ ჯოზი რინკენჰაუერის მოსაძებნად იმისი ტოლფასი იყო, კვანტური ფიზიკით მხოლოდ ვიდეოთამაშების შესაქმნელად რომ ესარგებლათ. თანაც ეფიქრათ, რომ მას მეტი არაფერი შეეძლო. რა თქმა უნდა, კეთილი საქმე გააკეთეს, მათ გარეშე ჯოზი რინკენჰაუერი მილში ისე დაიღუპებოდა, როგორც ვირთხა – წყლით სავსე კასრში. მაგრამ, მოდით, გულახდილი ვიყოთ – ბოლოს და ბოლოს, მათ ხომ მომავალი ნობელის პრემიის ლაურეატი არ გადაურჩენიათ...

„ვერ ვასწრებ იმის გააზრებას, რაც შენს თავში ხდება, – დაიწუწუნა მოულოდნელად ოუენმა, – მაგრამ, როგორც ჩანს, ძალზე დიდი წარმოდგენა გაქვს საკუთარ თავზე. რომელი ქუჩაა?“

თავმოყვარეობაშელახულმა ჰენრიმ გაბრაზებით შეხედა.

– ბოლო ხანს, მის სანახავად არ ჩამოვსულვართ, გასაგებია? და მოვრჩეთ ამაზე ლაპარაკს.

– კარგი, – მიუგო ჰენრიმ.

– მაგრამ ყოველწლიურად ვუგზავნიდით მისალოც ბარათებს საშობაოდ, ხომ გესმის? ყოველწლიურად. ამიტომაც ვიცი, რომ ისინი ვესტსაიდში, დირბორნსტრიტის 41-ში გადავიდნენ. მესამე ქუჩაა

[191] ომარ ხაიამის ლექსი.

აქედან.

– კარგი, დამშვიდდი.

– ახლა კი გაჟიმე დედაშენი და ჩაძაღლდი.

– ჰენრი...

– ჩვენ უბრალოდ კავშირი დავკარგეთ. ასე ხდება ხოლმე. შესაძლოა, ასეთი რამ შენნაირ კეთილშობილ მისტერ სრულყოფილებას არასდროს ემართება, მაგრამ დანარჩენ ხალხს... დანარჩენ ხალხს... – ჰენრიმ თავი ჩაღუნა, თავისი მომუშტული ხელები დაინახა და ძალა მოიკრიბა, რომ თითები გაეშალა.

– ხომ ვთქვი, გვეყოფა-მეთქი.

– შესაძლოა, მისტერ სრულყოფილებას დღემდე არ დავიწყებია ერთი მეგობარიც კი, მათ შორის ისინიც, ვის გვერდითაც ღამის ქოთანზე იჯდა. ალბათ, წელიწადში ერთხელ აუცილებლად იკრიბებით, რათა ლიფები გაცვალოთ, „მოტლი ქრიუს"[192] ჩანაწერებით თავი მოიწონოთ და თინუსის სალათა მიირთვათ, როგორც ამას სკოლის კაფეტერიაში აკეთებდით.

– მაპატიე, თუ გაწყენინე.

– მიკბინე, რამდენიც გენებოს. მე არ მწყინს. ისე იქცევი, თითქოს უპატრონოდ მივაგდეთ, როგორც უკანასკნელმა... – რაც სიმართლისგან არც ისე შორს იყო.

ოუენმა არაფერი უპასუხა. გზას გაჰყურებდა, სადაც თოვლის კორიანტელი იდგა – ეშინოდა, განთიადის ბინდბუნდში აბრა არ გამორჩენოდა ქუჩის დასახელებით... აგერ ისიც! კანზასსტრიტზე გავლილ თოვლსაწმენდს თოვლი დირბორნის ბოლოში მიეყარა, მაგრამ ოუენი იმედოვნებდა, რომ „ჰამერი" მას მაინც გაუმკლავდებოდა.

– კი არ დამვიწყებია, – განაგრძო ჰენრიმ, ჯერ გონებაში, შემდეგ კი სიტყვებით. დადიტსზე ფიქრი საკუთარი თავის გაცემას ნიშნავდა, – ჩვენ ყველას გვახსოვდა იგი. მე და ჯოუნსი გაზაფხულზე მის

[192] ამერიკული გლემმეტალ ჯგუფი, დაარსდა ლოს-ანჯელესში 1981 წელს.

ნახვას ვაპირებდით. მაგრამ ჯოუნსი ავარიაში მოჰყვა და მე ყველაფერი გადამავიწყდა. ნუთუ ეს გასაკვირია?

– სულაც არა, – რბილად თქვა ოუენმა და მკვეთრად მოუხვია ჯერ მარჯვნივ, შემდეგ კი მარცხნივ, რათა მანქანას ბუქსაობა არ დაეწყო, და აქსელერატორს დააწვა. „ჰამერი" ისეთი ძალით შეეჯახა თოვლის სქელ კედელს, რომ ორივენი სავარძლის საზურგეებს მიეხეთქნენ, მაგრამ მძლავრმა მანქანამ მაინც გაარღვია ნამქერი და ოუენმა ძლივს მოახერხა მისი შუა ქუჩაზე გაყვანა, თორემ გზის გასწვრივ დაყენებულ ავტომობილებს შეეჯახებოდა.

– არ მსურს, იმ ადამიანის თუნდაც სამართლიანი აღშფოთების ობიექტი ვიყო, რომელიც ასობით უდანაშაულო ადამიანის ცოცხლად შეწვას აპირებდა, – ჩაიბურტყუნა ჰენრიმ.

ოუენმა ორივე ფეხი დააჭირა მუხრუჭს, რის გამოც მანქანა ძლიერად შეჯანჯღარდა და ზიგზაგებით წავიდა.

– მოკეტე, შენი...

„შეეშვი იმაზე ლაპარაკს, რაც არ გესმის".

– სავსებით შესაძლებელია, რომ...

„ჩავძაღლდე კიდეც"...

– შენ გამო. ამიტომ იქნებ, შენთვის შეინახო ეგ...

„შენი თვითკმაყოფილი"...

(ჭირვეული ბავშვის გამოსახულება წინ წამოწეული ქვედა ტუჩით).

– რაციონალური აბდაუბდა.

მოულოდნელობისგან განცვიფრებული ჰენრი ოუენს მიაჩერდა. ნეტავ, როდის მიმართეს მას ასეთი კილოთი უკანასკნელად? არასდროს მიუმართავთ.

– მე მხოლოდ ერთი მჭირდება, – აუხსნა დაღლილობისგან გაფითრებულმა ოუენმა. ლოყები ჩაცვივნოდა, კანი ყვრიმალებზე მოჭიმვოდა, – შენი ტიფიანი ჯოუნსის პოვნა და შეჩერება. გასაგებია? და ჯანდაბას შენი ფაქიზი გრძნობები, ჯანდაბას, თუ დაღლილი ხარ,

ჯანდაბამდე გზა გქონია. აი, ასე.

– კარგი, – დაეთანხმა ჰენრი.

– არ მსურს ეთიკასა და მორალზე ლექციის მოსმენა იმ ადამიანისგან, რომელსაც საკუთარი სუპერგანათლებული და ზემგრძნობიარე ტვინის გასხმა გადაუწყვეტია.

– კარგი.

– ამიტომ გაჟიმე დედაშენი და ჩაძაღლდი.

„ჰამერში" სიჩუმე ჩამოვარდა. აღარაფერი ისმოდა, ფანჯრებს მიღმა ქარის მტვერსასრუტის ზუზუნის გარდა.

– აი, როგორ მოვიქცეთ, – თქვა ბოლოს ჰენრიმ, – მე დედაშენს გავჟიმავ და ჩავძაღლდები; შენ დედაჩემს გაჟიმავ და ჩაძაღლდები. ამგვარად სისხლის აღრევას თავიდან ავიცილებთ.

ოუენს უნებურად გაეღიმა. ჰენრიმაც ღიმილით უპასუხა.

„შეგიძლია მითხრა, რას აკეთებენ ჯოუნსი და მისტერ გრეი? " – ჰკითხა ოუენმა.

ჰენრიმ ტუჩებზე ენა მოისვა. ფეხი თითქმის არ ექავებოდა, მაგრამ ენა პირში ძველი დაძენძილი ნოხის ნაჭერივით ედო.

– არა. მათ კავშირი გაწყვიტეს. ეს გრეის ოინებს ჰგავს. შენი უშიშარი ბელადი კურცი კი, ალბათ, გვიახლოვდება, არა? – ჰო. და თუ ლიდერობის შენარჩუნება გვსურს, უნდა მოვუჩქაროთ.

– ასე მოვიქცეთ.

ოუენმა სახიდან წითელი ფენა მოიფხიკა, თითებიდან ჩამოცვენილ ბეწვებს თვალი გააყოლა და სიჩქარეს მოუმატა.

„41 ნომერი თქვი, არა? "

„ჰო. ოუენ? "

„რა? "

„მეშინია".

„დადიტსის? "

„რაღაც მაგის მსგავსი".

„რატომ? "

„არ ვიცი“.

ჰენრიმ ოუენს დაღვრემით შეხედა.

„გული მიგრძნობს, რომ რაღაც ცუდი სჭირს“.

7

შუაღამის სიზმარი მოულოდნელად გაცხადდა და როდესაც კარზე დააკაკუნეს, რობერტამ აღმოაჩინა, რომ ფეხები არ ემორჩილებოდა. თითქოს მოეკვეთა. ღამის წყვდიადი შუბლშეკრული განთიადის მქრქალმა, კიდევ უფრო სევდის მომგვრელმა სინათლემ შეცვალა და მიცვალებულები, პიტი და ბივი, მისი შვილის წასაყვანად მოვიდნენ.

კარზე მუშტით დააბრახუნეს, ერთხელ, მეორედ – ისეთი ძალით, რომ ფოტოსურათებიც კი შეირხა, განსაკუთრებით ჩარჩოში ჩასმული ადგილობრივი „ნიუსის“ პირველი გვერდი დადიტსის, მისი მეგობრებისა და ჯოზი რინკენჰაუერის ფოტოსურათით. ექვსივენი ხელიხელგადახვეულნი დგანან ერთად, ყურებამდე გაღიმებულები (რა მშვენივრად გამოიყურებოდა დადიტსი ამ სურათზე, როგორი ძლიერი და ნორმალური იყო), ქვემოთ კი წარწერაა დიდი ასოებით: „სკოლის მეგობრები დეტექტივობანას თამაშობენ, დაკარგული გოგონა ნაპოვნია“.

„ბახ! ბახ! ბახ! “

არა, – გაიფიქრა ქალმა, – ჩუმად ვიჯდები და ადრე თუ გვიან წავლენ, უნდა წავიდნენ. ხომ არ შემიძლია, მიცვალებულები შემოვიპატიჟო და თავი ისე მოვაჩვენო, თითქოს...

მაგრამ უცებ დადიტსმა გაირბინა – ჩაიქროლა, თუმცა ბოლო დროს სიარულიც კი უჭირდა. თვალებში უწინდელი, ენით გამოუთქმელი ნათელი ჩასდგომოდა. რა კარგი ბიჭები იყვნენ, რამდენი ბედნიერება მოუტანეს მას, მაგრამ ახლა ცოცხლები აღარ არიან და ამ საშინელ ქარბუქში ესტუმრნენ – მიცვალებულები...

– არა, დადი! – შესძახა ქალმა, მაგრამ შვილმა, თითქოს არაფერი

გაუგონიაო, ისე ჩაურბინა ძველ ფოტოსურათს – დადიტს ქეველი პირველ გვერდზე, დადიტს ქეველი გმირია, სასწაულები ხდება – და რობერტას ესმის, როგორ აღებს იგი კარს და ყვირის:

– ენი! ენი! ენი!

8

ჰენრიმ პირი დააღო, რამე რომ ეთქვა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა. მეხდაცემულივით იდგა და სიტყვას ვერ ძრავდა. ეს დადიტსი არ იყო, შეუძლებელია, დადიტსი ყოფილიყო – უფრო მის ავადმყოფ ბიძას ან უფროს ძმას ჰგავდა, გაფითრებულს მელოტ თავზე „რედ სოქსის" კეპი ირიბად ეხურა, სახეზე წვერი წამოზრდოდა, ცხვირქვეშ სისხლი შეხმობოდა, თვალებქვეშ შავი წრეები მოუჩანდა. და მაინც...

– ენი! ენი! ენი!

კარში მდგომი მაღალი, სახეგაფითრებული უცნობი ჰენრის დადიტსის ძველებური ექსტრავაგანტურობით გადაეხვია და კინაღამ უკან, დათოვლილ ზღურბლზე მიაგდო, არა სიმძიმით – ის ბუმბულივით მსუბუქი იყო, არამედ იმიტომ, რომ ჰენრი ამას არ ელოდა და ოუენს ხელი რომ არ შეეშველებინა, ორივენი თოვლში აღმოჩნდებოდნენ.

– ენი! ენი!

სიცილ-ტირილით ხმამაღლა კოცნის ძველი დადიტსივით. სადღაც ღრმად, მეხსიერების საცავებში, ბივერ კლარენდონმა ჩაიჩურჩულა: „თუ თქვენ, ბიჭებო, ვინმესთან წამოგცდებათ"... რასაც ჯოუნსის გესლიანი რეპლიკა მოჰყვა: „ჰო, შენ აღარასდროს დაიჭერ ჩვენთან საქმეს, დამპალო ონანისტო"... დიახ, ეს დადიტსია, დადიტსი კოცნის ჰენრის წითელი კეთრის ლაქებით დაფარულ ლოყებზე... მაგრამ რატომ არის ასეთი ფერმკრთალი? და საშინლად გამხდარი... არა, რაღაცნაირად ილაჯგაწყვეტილი, ნესტოებში სისხლი, სუნი – არა ისეთი, როგორიც ბეკი შუს ასდიოდა, არც ბაირუსის სიმყრალე,

მაგრამ მაინც სიკვდილის სუნი.

რობერტაც იქ იყო. შემოსასვლელში იდგა სურათის გვერდით, რომელიც დადიტსსა და ელფის „დერის დღეებზე" გამართულ კარნავალზე გადაეღოთ. ბედნიერი და მხიარული სახით ისხდნენ კარუსელის ხელოვნურ ცხენებზე.

ელფის დაკრძალვაზე არ მოვედი, სამაგიეროდ, ღია ბარათი გამოვგზავნე, – გაიფიქრა ჰენრიმ და საკუთარი თავი შეზიზღდა.

რობერტა ხელებს იმტვრევდა და მას ცრემლიანი თვალებით შესცქეროდა. მკერდი და თეძოები ოდნავ მოსუქებოდა, თმა თითქმის გაჭაღარავებოდა, მაგრამ მისი ცნობა მაინც ადვილი იყო. აი, დადიტსი კი... ღმერთო ჩემო, დადიტსი...

ჰენრი ქალს მისჩერებოდა, თან მხრებზე ეხვეოდა ძველ მეგობარს, რომელიც წამდაუწუმ მის სახელს გაიძახოდა. ბოლოს გაბედა, დადიტსს ხელი მოუთათუნა და წამსვე შეიგრძნო მისი ძვლების სიმყიფე, რომელიც, თითქოს, ცოტაც და დაიმსხვრეოდა.

– რობერტა, – თქვა მან, – რობერტა! ღმერთო, რა სჭირს?

– მლლ, – მიუგო ქალმა და გაღიმება სცადა, – სარეცხი ფხვნილის სახელწოდებას ჰგავს, არა? მწვავე ლიმფოციტური ლეიკოზი. დიაგნოზი ცხრა თვის წინ დაუსვეს. მკურნალობა დაგვიანებული აღმოჩნდა. ისღა დაგვრჩენია, ცოტაოდენი დრო მოვიგოთ.

– ენი! – შესძახა დადიტსმა. განაცრისფრებულ და დაღლილ სახეს კვლავაც სულელური ღიმილი უნათებდა, – ააალი დე, იივე ააავი.

– სწორია, – უთხრა ჰენრიმ და ტირილი წასკდა, – ახალი დღე, იგივე ნაგავი.

– ვიცი, აქ რატომაც ხართ, – თქვა რობერტამ, – მაგრამ არ გინდათ. გთხოვ, ჰენრი. გევედრები. არ წაიყვანოთ ჩემი ბიჭი. ის კვდება.

9

კურცი უკვე აპირებდა, პერლმუტერისთვის ანდერჰილისა და მისი ახალი მეგობრის – მას ჰენრი ერქვა, ჰენრი დევლინი – გადაადგილების შესახებ ეკითხა, როდესაც პრელიმ ხმამაღლა დაიყვირა და სახე „ჰამერის" ჭერს მიაპყრო. ერთხელ, ნიკარაგუაში ყოფნისას, კურცი ვიღაც ქალს მოლოგინებაში დაეხმარა (ისინი კი მაინც „ცუდ ბიჭებს" გვეძახდნენ, – გაიფიქრა მან სენტიმენტალურად), და ამ ყვირილმა სწორედ ის შემთხვევა გაახსენა – მშვენიერი მდინარე იუვენის ნაპირზე.

– გამაგრდი, პერლი! – შესძახა კურცმა, – გამაგრდი, მეგობარო! ღრმად ისუნთქე, მიდი!

– წადი, შენი! .. – დაიყვირა პერლიმ, – შეხედე, რა შარში გამხვიე, ბებერო ნაბიჭვარო! შენი დედაც! ..

კურცს ეს არ სწყენია. მელოგინე ქალები ზოგჯერ საშინელ სიტყვებს ამბობდნენ და თუმცა, პერლი სუსტ სქესს არ მიეკუთვნებოდა, კურცს რატომღაც მოეჩვენა, რომ მისი ტანჯვა სამშობიარო ჭინთვებისგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. იქნებ, ღირდა კიდეც მისი გათავისუფლება ამ წვალებისგან...

– აბა, სცადე, – დაიკვნესა პერლიმ და აწითლებულ ლოყებზე სიმწრის ცრემლები ჩამოუგორდა, – გირჩევ, ეს არ გააკეთო, ბებერო ხვლიკო!

– ნუ ღელავ, ბიჭუნი, – სცადა მისი დამშვიდება კურცმა და პერლმუტერს აცახცახებულ მხარზე მოეფერა. წინიდან თოვლსაწმენდი მანქანის თანაბარი ჟღარუნი ისმოდა: კურცმა მძღოლი დაიყოლია, გზა გაეწმინდა (როგორც კი განთიადმა უხასიათოდ გაანათა ცა, მანქანის სიჩქარე საათში თავბრუდამხვევ ოცდათხუთმეტ მილამდე გაიზარდა). თოვლსაწმენდის გაბარიტული შუქი დაბინდული წითელი ვარსკვლავებივით ციმციმებდა.

კურცი წინ გადაიწია და ანთებული თვალებით მიაშტერდა პერლმუტერს. უკანა სავარძელზე ძალიან ციოდა, გატეხილი ფანჯრიდან ქარი უბერავდა, მაგრამ კურცი ვერაფერს ამჩნევდა. პერლის

ქურთუკი წინიდან ბუშტივით იბერებოდა და კურცმა კვლავ პისტოლეტი მოიმარჯვა.

– ბოს, თუ ის კიდევ...

ფრედის ჯერ სიტყვა არ დაესრულებინა, რომ პერლმუტერმა გამაყრუებლად გააკუა. კაბინაში წამსვე აუტანელი, საზიზღარი სუნი გავრცელდა, მაგრამ პერლიმ, როგორც ჩანს, ვერაფერი იგრძნო. თავი აქეთ-იქით უქანავებდა, თვალები ნახევრად დაეხუჭა, სახეზე უზომო შვება აღბეჭდოდა.

– ოჰ, შენი დედაც! .. – შესძახა ფრედიმ და კვლავ დაუშვა ფანჯარა, მიუხედავად საშინელი ორპირი ქარისა.

კურცი მოჯადოებულივით შეჰყურებდა, უზომოდ გაბერილი მუცელი თვალსა და ხელს შუა როგორ დაპატარავდა, ოღონდ – ბოლომდე არა, და, იქნებ, ასე ჯობდა კიდეც. ქმნილება, რომელიც პერლმუტერის შიგნით იზრდებოდა, შესაძლოა, გამოსდგომოდა. დანამდვილებით ვერაფერს იტყოდა, მაგრამ ამგვარ შესაძლებლობას არ გამორიცხავდა. ბიბლიის თანახმად, ყველა არსება ღმერთს ემსახურებოდა და ეს ტრაწიანი სინდიოფალები გამონაკლისი ხომ არ იქნებოდნენ.

– გამაგრდი, ჯარისკაცო, – გაიმეორა კურცმა და ერთი ხელი პერლმუტერს მხარზე გადაუსვა, მეორით კი პისტოლეტი გვერდით დაიდო, – გამაგრდი და ღმერთზე იფიქრე.

– ჯანდაბას ღმერთი, – პირქუშად მიუგო პერლმუტერმა, რითაც ძალიან გააოცა კურცი, რომელიც ვერასდროს წარმოიდგენდა, თუ მას ასეთი მკრეხელური სიტყვების წარმოთქმა შეეძლო.

თოვლსაწმენდის გაბარიტულმა შუქმა მკვეთრად გაიელვა და გზის მარჯვენა მხარეს გაჩერდა.

– ოჰ, – ამოიხვნეშა კურცმა.

– როგორ მოვიქცეთ, ბოს?

– უკან დაუდექი, – მხიარულად მიუგო კურცმა, მაგრამ პისტო-

ლეტი ხელით მაინც მოსინჯა, – ვნახოთ, რა უნდა ჩვენს ახალ მეგობარს, – თუმცა, ეტყობოდა, რომ ეს ისედაც იცოდა, – ფრედი, ძველი მეგობრების შესახებ ხომ არ გსმენია რამე? მიაგენი?

– მხოლოდ ოუენს, – გაუბედავად უთხრა ფრედიმ, – მასთან ერთად მყოფს კი – ვერა. ვერც იმას, ვისაც მისდევენ. ოუენმა გზიდან გადაუხვია. ახლა სახლში არიან და ვიღაცას ელაპარაკებიან.

– დერიში?

– დიახ.

თოვლსაწმენდი მანქანის მძღოლი ძირს ჩასულიყო და უშველებელი რეზინის ჩექმებით მათკენ გაჭირვებით მოარღვევდა თოვლს. კაპიუშონიანი მოზრდილი პარკა ესკიმოსსაც კი გამოადგებოდა. შალის განიერი შარფიდან, რომლის ბოლოებსაც ქარი აფრიალებდა, მხოლოდ ცხვირი მოუჩანდა. ტელეპათის ნიჭი არ სჭირდებოდა იმის მიხვედრას, რომ კაშნე დედას ან ცოლს მოექსოვა.

მძღოლმა თავი მათი მანქანის ფანჯარაში შეჰყო, გოგირდისა და ეთილის სპირტის ჰაერი შეისუნთქა და დაიღრიჯა. შემდეგ ეჭვის თვალით შეხედა ფრედის, ნახევრად გონწასულ პერლმუტერსა და თვალებანთებულ კურცს. ამ უკანასკნელმა გადაწყვიტა, რომ აჩქარება არ ღირდა და პისტოლეტი მარცხენა ფეხის ქვეშ დამალა.

– გისმენთ, პოლიციელო, – თქვა მან.

– რადიოგრამა მოვიდა ვიღაც ტიპისგან, რომელიც საკუთარ თავს რენდალს უწოდებს, – უთხრა მძღოლმა ხმამაღლა, რათა ქარის ხმაური გადაეფარა. აქცენტის მიხედვით, წმინდა სისხლის იანკი უნდა ყოფილიყო, – გენერალ რენდალს. განაცხადა, რომ ვაიომინგში მდებარე შაიენის მთებიდან თანამგზავრით მიკავშირდებოდა.

– ეს სახელი ჩემთვის უცნობია, პოლიციელო, – ხალისიანად განაგრძო კურცმა და ყურადღება არ მიაქცია საბრალო პერლმუტერს, რომელიც განუწყვეტლივ კვნესოდა: „სულ ცრუობ, ცრუობ, ცრუობ“.

მძღოლმა მას თვალი შეავლო და ისევ კურცს მიაჩერდა.

– იმ ტიპმა კოდური ფრაზაც მითხრა – „ცისფერი დასრულებულია". ეს არაფერს გეუბნებათ?

– მე ბონდი მქვია, ჯეიმზ ბონდი, – გაეცინა კურცს, – ვიღაც გასულელებთ, პოლიციელო.

– გადმომცა, რომ თქვენი მისია დასრულებულია და ქვეყანა მადლობას გიხდით.

– ოქროს საათის შესახებ არაფერი უთქვამს? – ისევ სიცილით უთხრა კურცმა.

მძღოლმა ტუჩებზე ენა ნერვიულად მოისვა.

საინტერესოა, – გაიფიქრა კურცმა. მან ის მომენტი ჩაიჭირა, როცა მძღოლმა გაიფიქრა, – შეშლილს ვესაუბრებიო. ზუსტად ჩაიჭირა.

– ოქროს საათის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ. მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ ბრძანების გარეშე გზას ვერ გავაგრძელებ.

კურცმა პასუხის ნაცვლად პისტოლეტი ამოიღო და კაცს შუბლში დაუმიზნა.

– ესეც შენი ბრძანება, მეგობარო, ხელმოწერილი და ბეჭედდასმული. გამოდგება?

მძღოლი იანკის ცისფერი თვალებით უსიტყვოდ მიაჩერდა პისტოლეტს, თუმცა, ეტყობოდა, რომ დიდად არ შეშინებია.

– ვფიქრობ, გამოდგება. ყველაფერი კარგადაა.

კურცმა გადაიხარხარა.

– ყოჩაღ! აი, ეს მომწონს! ახლა კი გზას გავუდგეთ. იცოდე, რომ თუ სიჩქარეს მოუმატებ, ღმერთი უფრო ძლიერ შეგიყვარებს. საქმე ისაა, რომ დერიში ერთი კაცია, რომელიც უნდა... – მან შესაფერისი სიტყვის მოძებნა სცადა, კმაყოფილმა თავი დააქნია და დაასრულა, – დავკითხო.

პერლმუტერმა რაღაც ხმა გამოსცა. კაცი ვერ გაიგებდა, დაიკვნესა თუ გაიცინა. მძღოლმა უკან დაიხია.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, ორსულადაა, – ნდობის კილოთი უთხრა კურცმა, – ცოტაც და ხამანწკებსა და კამით შეკაზმულ მჟავე

კიტრს მოგვთხოვს.

– ორსულადაა, – ექოსავით გამოეხმაურა მძღოლი საოცრად გულგრილი ხმით.

– დიახ, მაგრამ ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს შენი პრობლემა არაა. უნდა გითხრა, მეგობარო, რომ...

კურცი წინ გადაიხარა და პისტოლეტის დაუშვებლად შეთქმულივით ჩაუჩურჩულა:

– ...დერიში ის კაცი უნდა დავაკავო. ვფიქრობ, მალე ქალაქიდან გავა, რადგან დანამდვილებით იცის, რომ მასზე ვნადირობ...

– მან ყველაფერი იცის, – გააწყვეტინა ფრედი ჯონსონმა და ჯერ კისერი მოიფხანა, მერე საზარდულზე გადაერთო.

– მანამდე კი უნდა დავეწიოთ, – განაგრძო კურცმა, – აბა, მიხვდი თუ ვერა?

მძღოლმა თავი დაუქნია და თოვლსაწმენდისკენ გაემართა. ინათა.

ეს ჩემი ცხოვრების უკანასკნელი გათენებას ჰგავს, – გაიფიქრა კურცმა და ამ აზრმა ოდნავ გააოცა კიდეც.

პერლმუტერმა კვლავ დაიკვნესა – ჯერ ჩუმად, შემდეგ კი ხმას აუწია და ყვირილზე გადავიდა. საბრალომ ხელი მუცელზე იტაცა.

– ღმერთო ჩემო! – შესძახა ფრედიმ, – მუცელზე შეხედეთ, ბოს! ცომივით უფუვდება.

– ღრმად ისუნთქე, – უბრძანა კურცმა პერლის და მხარზე ხელი კეთილგანწყობით მოუთათუნა. თოვლსაწმენდი კვლავ ამოძრავდა, – ღრმად ისუნთქე. მოდუნდი. მოდუნდი და მხოლოდ კარგზე იფიქრე.

10

დერიმდე ორმოცი მილი რჩებოდა.

ორმოცი მილია ჩემსა და ოუენს შორის, – გაიფიქრა კურცმა, – კარგია, კარგი. შენთან მოვდივარ, მეგობარო. ჭკუა უნდა გასწავლო.

საკუთარ თავზე გამოცდი, რა ემართებათ მათ, ვინც კურცს გზაზე გადაეღობება.

კიდევ ოცი მილი გაიარეს. ისინი კი, ფრედისა და პერლმუტერის თქმით, კვლავ დერიში იყვნენ. თუმცა ფრედი ბოლომდე დარწმუნებული არ იყო. სამაგიეროდ, პერლმუტერი ამტკიცებდა, – დედას ელაპარაკებიანო, ანუ ოუენი და ის, მეორე, დედას ესაუბრებოდნენ. დედას კი მისი გაშვება არ უნდოდა.

– ვისი გაშვება? – აინტერესებდა კურცს, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს მისთვის სულერთი იყო. ვიღაცის დედა მათ დერიში აყოვნებდა და მდევრებს მანძილის შემცირების საშუალებას აძლევდა. მაშ, ღმერთმა დალოცოს ის დედა – რა მნიშვნელობა აქვს, ვინ არის და ასე რატომ იქცევა.

– არ ვიცი, – მხრები აიჩეჩა პერლიმ. მძღოლთან საუბრის შემდეგ მუცელი ოდნავ დაუწყნარდა, მაგრამ მაინც საშინელ დაღლილობას გრძნობდა, – ვერ ვხედავ. ისე ჩანს, თითქოს ტვინი არა აქვს, სადაც ჩახედვა შეიძლება.

– ფრედი.

ფრედიმ თავი გააქნია.

ოუენი ჩემთვის დაკარგულია. თოვლსაწმენდის მძღოლისაც კი ძლივს მესმის. ეს იმას ჰგავს... არ ვიცი... თითქოს რადიოსიგნალი დამეკარგოს.

კურცი წინ გადაიხარა და ფრედის ლოყაზე რიპლის პატარა კუნძულს დააკვირდა. სოკო შუაში ჯერაც მოწითალო ნარინჯისფრად ხასხასებდა, ნაპირებზე კი გახუნებულიყო და ფერფლისფერი სითეთრე დასდებოდა.

კვდება, – გაიფიქრა კურცმა, – ან ფრედის სისხლშია რაღაც ისეთი, რაც კლავს, ან ამას გარემო აკეთებს. ოუენი მართალი ყოფილა. მართალი ყოფილა, დალახვროს ეშმაკმა! მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა. ზღვარი ზღვარია, ოუენმა კი ამ ზღვარს გადააბიჯა.

– თოვლსაწმენდის მძღოლი, – დაღლილი ხმით წარმოთქვა პერლმუტერმა.

– მძღოლის შესახებ რას იტყვი, მეგობარო?

მაგრამ პასუხი აღარ სჭირდებოდა. წინ საგზაო ნიშანი ბრჭყვიალებდა, რომელზეც ეწერა: „32-ე მოსახვევი, გრენდვიუ (გრენდვიუს სადგური)". თოვლსაწმენდმა, მოულოდნელად, თოვლსახვეტი ასწია და სიჩქარე საათში ორმაცდაათ მილამდე გაზარდა, ციმციმას აუნთებლად გზიდან გადაუხვია, თოვლის კორიანტელი დააყენა და გაშპა. „ჰამერს" კვლავ თავისით მოუხდა ფუტის სიმაღლე თოვლში გზის გაკვალვა.

– გავეკიდო? – იკითხა ფრედიმ, – ახლავე დავეწევი, ბოს.

კურცს ძალიანაც უნდოდა ებრძანებინა, დაეწიე იმ ძაღლიშვილს და გასრისეო, რათა ეჩვენებინა, თუ რა მოსდის ადამიანს, რომელიც ზღვარს გადააბიჯებს. ახი იყო ის წამალი გადაეყლაპებინა, ოუენ ანდერჰილისთვის რომ ჰქონდა გამზადებული, მაგრამ თოვლსაწმენდი „ჰამერზე" დიდი იყო, გაცილებით დიდი, და ვინ იცის, მათი შერკინება როგორ დამთავრდებოდა.

– თავი დაანებე. გზას მიჰყევი, – თქვა მან, – ნადირობა გრძელდება.

კურცმა მაინც გულდაწყვეტით გააყოლა თვალი თოვლსაწმენდს, რომელიც დილის სუსხში თანდათან თვალს მიეფარა. იმის იმედიც არ ჰქონდა, რომ იმ წყეულმა იანკიმ ფრედისა და არჩი პერლმუტერისგან რამე აიკიდა, რადგან სოკო სიცოცხლისუნარიანი არ აღმოჩნდა.

მათ გზა განაგრძეს. მანქანის სიჩქარე საათში კვლავ ოც მილამდე შემცირდა, მაგრამ, კურცის ვარაუდით, სამხრეთისკენ გზები ნაკლებად დათოვლილი უნდა ყოფილიყო. თანაც, ქარიშხალიც ძალას კარგავდა.

– გილოცავ, – გადაუჩურჩულა ფრედის.

– რაო?

კურცმა მხარზე ხელი მოუთათუნა.

– გამოჯანმრთელების გზაზე დგახარ.

შემდეგ პერლმუტერს მიუბრუნდა და დაამატა:

– შენზე კი ვერაფერს ვიტყვი, ჯარისკაცო.

11

კურცის ადგილსამყოფლიდან ჩრდილოეთით, ასი მილის დაშორებით და სოფლის გზის გასაყარიდან ორიოდე მილში, იქ, სადაც ჰენრი შეიპყრეს, „იმპერიალის ხეობის" რაზმის ახალი მეთაური, ორმოცი წლის მკაცრი გამომეტყველების ლამაზნაკვთებიანი ქალი, ფიჭვის ძირში იდგა იმ ხეობაში, რომელსაც, პირობითად, „წმენდის ზონა ერთი" ერქვა. ზონა, ხატოვნად რომ ვთქვათ, სიკვდილის ხეობად ქცეულიყო. მიწაზე გროვებად ეყარა დასახიჩრებული, ნარინჯისფერქურთუკიანი გვამები. სულ, ასზე მეტი იქნებოდა. უმრავლესობას კისერზე პირადობის დამადასტურებელი ან მართვის მოწმობა ეკიდა, თუმცა შიგადაშიგ „ვიზას", „დისქავერის", „ბლუ ქროსის" ბარათები და სამონადირეო ლიცენზიებიც მოჩანდა. შუბლზე დიდი შავი ხვრელის მქონე ქალს მკერდზე ვიდეოს მოყვარულთა კლუბის წევრის ნიშანი უბრჭყვიალებდა.

კეიტ გალაჰერი მიცვალებულთა ყველაზე დიდ გორასთან იდგა და მეორე მოხსენებისთვის მიახლოებით გათვლებს აწარმოებდა. ცალ ხელში Palm Pilot–ის ჯიბის კომპიუტერი ეჭირა, მოწყობილობა, რომელიც ადოლფ აიხმანს[193], სიკვდილის იმ უბადლო მთვლელსაც კი შეშურდებოდა. ცოტა ხნის წინ ეს კომპიუტერი არ მუშაობდა. მაგრამ ახლა ტექნიკა, როგორც ჩანს, მწყობრში ჩადგა.

კეიტს თავზე ყურსასმენები ეკეთა, ნიღბის წინ მიკროფონი მიემაგრებინა. დროდადრო რაღაცას აზუსტებდა ან მორიგ ბრძანებას გასცემდა. კურცს მშვენიერი არჩევანი გაეკეთებინა: ამ ენერგიულმა

[193] მეორე მსოფლიო ომის წლებში 6 მილიონი ებრაელის განადგურებაში მთავარი სამხედრო დამნაშავე. გესტაპოს ოფიცერი.

მემკვიდრემ თავისი საქმე შესანიშნავად იცოდა. შედეგების შეჯამების შემდეგ გალაჰერმა დაადგინა, რომ მის ჯგუფს გაქცეულთა სამოცი პროცენტი მაინც გაენადგურებინა. მათ იშვიათი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს, რაც, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი აღმოჩნდა, მაგრამ ხანგრძლივ დევნასა და სირბილს ვერ გაუძლეს.

– ეი, კეტი-კეიტ! – დაუძახა მას ჯოსლინ მაკევოიმ, რომელიც ხეობის მეორე ბოლოში ამოსულ ხეებს შორის გამოჩნდა. კაპიუშონი მოეხადა, მოკლედ შეკრეჭილ თმაზე აბრეშუმის მწვანე შარფი წაეკრა, მხარზე ავტომატი გადაეკიდა, ქურთუკზე სისხლი მისცხებოდა, – ხომ არ შეგაშინე? – გაეცინა მას.

– აბა?! წნევამ ამიწია!

– მომისმინე, მეოთხე კვადრატი გასუფთავებულია, – თვალები აენთო მაკევოის, – ორმოცამდე დავაწვინეთ. ჯექსონი უფრო ზუსტად გეტყვის, მათემატიკაში ჩემზე მაგარია. სხვათა შორის, არც ჩვენ გვაწყენდა მაგარი...

– მაპატიეთ, ქალბატონებო...

ქალები შეტრიალდნენ. ხეობის ჩრდილოეთი მხრიდან, დათოვლილი ბუჩქებიდან, ექვსი მამაკაცისა და ორი ქალისგან შემდგარი ჯგუფი გამოჩნდა. თითქმის ყველას ნარინჯისფერი ტანსაცმელი ეცვა, მაგრამ მათ, როგორც ჩანს, ჩასკვნილი, ღონიერი კაცი ხელმძღვანელობდა, რომელსაც ქურთუკის ქვემოდან „ცისფერი ჯგუფის" ფორმა მოუჩანდა. სახეზე გამჭვირვალე ნიღაბი ეკეთა, რომლის ქვეშაც რიპლის ზოლები უხასხასებდა. რვავეს ავტომატი ეჭირა ხელში.

მოულოდნელი სანახაობით დაბნეულმა გალაჰერმა და მაკევოიმ ერთმანეთს გადახედეს, შემდეგ მაკევოიმ ხელი ავტომატს სტაცა, გალაჰერმა კი თავისი „ბრაუნინგისკენ" გაიწია, მაგრამ ორივემ დააგვიანა. ჰაერში სროლის ხმა გაისმა. მაკევოი ოციოდე ფუტზე გადავარდა, ფეხიდან ჩექმა გასძვრა და ტოტზე ჩამოეკიდა.

– ეს ლარისთვის! – შეჰყვირა ნარინჯისფერქურთუკიანი ქალებიდან ერთ-ერთმა, – ლარისთვის, თქვე ბოზებო, ლარისთვის!

12

როდესაც სროლა მიწყდა, ჩასკვნილმა, „რიპლი-ესპანური" წვერის მქონე მამაკაცმა თავისი რაზმის წევრები კეიტ გალაჰერის პირქვე გაწოლილი გვამის სიახლოვეს შეკრიბა, რომელიც ოდესღაც, სანამ კურცად წოდებული ჭირი შეეყრებოდა, მეცხრე იყო ვესტპოინტის გამოსაშვებ კურსზე. მან ქალის ავტომატი შეათვალიერა, რომელიც ხარისხით მისას აშკარად ჯობდა.

– მტკიცედ მწამს დემოკრატიის, – დაიწყო მან, – ამიტომაც ისე მოიქეცით, როგორც მოგესურვებათ, მე კი ჩრდილოეთისკენ გავეშურები. არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს კანადის ჰიმნის შესწავლა, მაგრამ გავიგებ მაინც.

– მეც შენთან ერთად წამოვალ, – გამოეხმაურა ერთი მამაკაცი და მალე გაირკვა, რომ ჯგუფიდან მოწყვეტას არავინ აპირებდა. სანამ წავიდოდნენ, მეთაური დაიხარა და თოვლში დაგდებული ჯიბის კომპიუტერი აიღო.

– ყოველთვის მინდოდა, ასეთი მქონოდა, – გულწრფელად აღიარა ემილ „დოგ" ბროდსკიმ, – ვგიჟდები ახალ ტექნოლოგიებზე.

მათ სიკვდილის ხეობა იმავე მიმართულებით დატოვეს, საიდანაც მოვიდნენ. დროდადრო ტყეში ერთეული გასროლის ხმა ისმოდა, შიგადაშიგ ტყვიამფრქვევის კაკანიც გამოერეოდა, მაგრამ ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ ოპერაცია „წმენდაც" დასრულებულიყო.

13

მისტერ გრეიმ მორიგი მკვლელობა ჩაიდინა და კიდევ ერთი სატრანსპორტო საშუალება გაიტაცა, ამჯერად საზოგადოებრივი სამუშაოების სამმართველოს თოვლსაწმენდი. ჯოუნსიმ საქმის დეტალები არ იცოდა, რადგან ამას არ შესწრებია. მისტერ გრეიმ, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, რომ ჯოუნსის ოფისიდან ვერ გამოიტყუებდა (ყო-

ველ შემთხვევაში მანამდე, სანამ ამ საქმეს სერიოზულად არ მოჰკიდებდა ხელს) და იგი გარე სამყაროს მოსწყვიტა. ახლა ჯოუნსიმ იცოდა, რას გრძნობდა ფორტუნატო, როდესაც მონტრეზორმა მარნიდან გამოსასვლელი აგურებით ამოუქოლა.[194]

ყველაფერი მას შემდეგ მოხდა, რაც მისტერ გრეიმ საპატრულო მანქანა კვლავ სამხრეთისკენ მიაბრუნა. ახლა გზაზე მხოლოდ ერთი, შედარებით თავისუფალი, და ისიც მოყინული ზოლი დარჩენილიყო. ამ დროს ჯოუნსი თავისი იდეის განხორციელებას ცდილობდა.

მისტერ გრეიმ ტელეფონი წაართვა? არა უშავს, ის ახალი სახის კავშირს მოიფიქრებდა. როგორც მაშინ, გავარვარებული ოფისის გამაგრილებელი თერმოსტატი რომ შექმნა, როდესაც მისტერ გრეი მის გამოტყუებას ცდილობდა. გადაწყვიტა, ამ საქმისთვის ყველაზე შესაფერისი ფაქსი იქნებოდა. რატომაც არა? მას მხოლოდ ერთი რამ სჭირდებოდა – ყურადღების მობილიზება, აპარატის თვალნათლივ წარმოდგენა და იმ ძალის გამოყენება, რომელიც მასში თითქმის ოცი წლის განმავლობაში თვლემდა. ტყუილუბრალოდ ხომ არ იყნოსა მისტერ გრეიმ ეს ძალა, დასძლია დაბნეულობა და ყველაფერი იღონა, ჯოუნსისთვის მისი გამოყენების საშუალება რომ არ მიეცა. ახლა კი ჯოუნსის უნდა გადაელახა მისტერ გრეის მიერ, მისთვის შექმნილი ყველა დაბრკოლება, სანამ იგი სამხრეთისკენ გადაადგილების გზებს ეძებდა.

ჯოუნსიმ თვალები დახუჭა და გონებაში ფაქსის დახატვა სცადა – ისეთივესი, როგორიც ისტორიული ფაკულტეტის ოფისში იდგა, ოღონდ ამჯერად ის თავისი ახალი ოფისის საკუჭნაოში მოათავსა. შემდეგ, როგორც ალადინი უსვამდა ხელს ჯადოსნურ ლამპარს (ოღონდ ახლა მას განუსაზღვრელი რაოდენობის სურვილის შესრულება შეეძლო, ცხადია, თუ ყველაფერს სწორად წარმართავდა), ქაღალდების შეკვრა და მის გვერდით მდებარე „ბეროლ ბლექ ბიუთის“

[194] ედგარ ალან პოს მოთხრობიდან „ამონტილადოს კასრი“.

ფანქარი წარმოიდგინა. ბოლოს კი საკუჭნაოში შეიხედა იმის სანახავად, თუ რა გამოვიდა.

თითქოს ყველაფერი კარგად გამოსვლოდა... თუმცა ფანქარი ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა – ახალი და წვერწამახული კი იყო, ოღონდ ბოლო ჰქონდა მოღეჭილი. არა, არაფერი შეშლია. ბივერი ხომ ჯერ კიდევ დაწყებითი სკოლაში ხმარობდა „ბლექ ბიუთის", მაშინ, როცა დანარჩენები უფრო მიღებულ „"ებერჰარდ ფაბერსს" ატარებდნენ.

საკიდარზე ერთადერთი ნარინჯისფერი ქურთუკი ეკიდა (ის, რომელიც დედამ უყიდა პირველი ნადირობის წინ და გულზე ხელის დადებით დააფიცა, რომ ყოველთვის ჩაიცვამდა, როგორც კი კარის ზღურბლს გადააბიჯებდა), მის ქვეშ კი ფაქსი იდგა, მშვენივრად გამოიყურებოდა და გამამხნევებლად გუგუნებდა კიდეც.

მაგრამ ჯოუნსი სასოწარკვეთილებამ მოიცვა, როდესაც ჩაიჩოქა და ფანჯრიდან შემოსულ შუქზე მიღებული შეტყობინება წაიკითხა: „დანებდი, ჯოუნსი, და გამოდი".

ტელეფონის ყურმილი აიღო და მისტერ გრეის ჩაწერილი ხმა მოესმა: „დანებდი, ჯოუნსი, და გამოდი. დანებდი, ჯოუნსი, და გამო..."

იმავდროულად, ისეთი საშინელი ბრახაბრუხი გაისმა, რომ ჯოუნსიმ შიშისგან შეჰყვირა და შეხტა კიდეც. თავში გაუელვა – მისტერ გრეიმ, ალბათ, სპეცრაზმელების ხელსაწყოები იშოვა, კარს ანგრევს და საცაა, შემოვარდებაო. მაგრამ ეს კარი კი არა, ფანჯარა აღმოჩნდა, რაც უარესი იყო. მისტერ გრეის ქარხნული წესით დამზადებული ფოლადის დარაბები დაეყენებინა, თანაც ნაცრისფერი. ჯოუნსი დაბრმავებულ ტყვედ იქცა.

დარაბების შიგა მხარეს დიდი წითელი ასოებით ეწერა: „დანებდი და გამოდი". ჯოუნსის რატომღაც „ოზის ჯადოქარი"[195] გაახსენდა – ცაში დაწერილი „დანებდი, დოროთი" – და კინაღამ გაეცინა. მაგრამ ვერ შეძლო. ეს სასაცილო და სამხიარულო კი არა, სატირალი იყო.

[195] ამერიკელ მწერალ ფრენკ ბაუმის ზღაპარი.

– არა! – შესძახა მან, – მოხსენი! მოხსენი, ეშმაკმაც წაიღოს შენი თავი!

დუმილი. ჯოუნსიმ ხელი შემართა, რათა ფანჯარა ჩაემტვრია და ფოლადის დარაბას დაჯაჯგურებოდა, მაგრამ მაშინვე გონს მოეგო და თავი ხელში აიყვანა: „ხომ არ შეიშალე? იმასაც ხომ სწორედ ეს უნდა. როგორც კი შუშას ჩაამტვრევ, დარაბებს მოხსნის და შენთან გაჩნდება. მაშინ კი ვეღარაფერი გიშველის, მეგობარო".

წამით რაღაც მოძრაობა შეიგრძნო – ეს მძიმე თოვლსაწმენდი მიდიოდა ყრუ გუგუნით. ნეტა სად არიან? უოტერვილში? ოგასტაში? თუ კიდევ უფრო სამხრეთით? ზონაში, სადაც თოვლი წვიმამ შეცვალა? სავარაუდოდ, არა. მისტერ გრეი თოვლსაწმენდს არ აირჩევდა, თუ დიდი სიჩქარით გადაადგილების შესაძლებლობა მიეცემოდა. ახლა კი თოვლისგან გზა უნდა გაეწმინდათ, თანაც ჩქარა, რადგან სამხრეთისკენ მიდიოდნენ.

– მაგრამ საით?

ასეთივე წარმატებით იმქვეყნადაც გავემართებოდი, – გაიფიქრა ჯოუნსიმ და უნუგეშოდ მიაჩერდა დახურულ დარაბებსა და დამცინავ გზავნილს, – თანაც ახლავე.

14

საბოლოოდ სწორედ ოუენმა მოხვია მხრებზე ხელი რობერტა ქეველს და იმის ახსნას შეუდგა, თუ რატომ უნდა წაეყვანათ დადიტსი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცუდად იყო. თან ცალი თვალით საათს შესცქეროდა – კარგად იცოდა, რომ ყოველ წუთ-ნახევარში კურცი მათ ერთი მილით უახლოვდებოდა. ჰენრის ამ ვითარებაშიც კი არ შეეძლო სერიოზული სახით წარმოეთქვა ფრაზა: „ამაზე სამყაროს ბედია დამოკიდებული". სამაგიეროდ, ეს ოუენმა მოახერხა, რომელიც მთელი ცხოვრება იარაღით ხელში ემსახურებოდა თავის ქვეყანას.

დადიტსი კვლავინდებურად გადახვეოდა ჰენრის და მას საოცრად გაბრწყინებული მწვანე თვალებით შესცქეროდა. ეს თვალები არ შეცვლილიყო. არც ის შეგრძნება, რასაც ჰენრი განიცდიდა ხოლმე დადიტსის გვერდით: ყველაფერი კარგადაა ან მალე ასე იქნება.

სასოწარკვეთილი რობერტა ოუენს მისჩერებოდა და თვალსა და ხელს შუა ბერდებოდა, თითქოს, ბოროტი ძალა დროს წარმოუდგენელი სისწრაფით მიერეკებოდა.

– დიახ, – თქვა მან, – დიახ, მესმის, გსურთ, რომ ჯოუნსი მოძებნოთ, – და დაიჭიროთ, – მაგრამ რას აპირებს იგი? და თუ აქ ჩამოვიდა, რატომ არ გააკეთა ის რაღაც?

– მემ, მიჭირს ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა...

– ომი, – ჩაერთო მოულოდნელად დადიტსი, – ოუნის ალი უდა.

„ალი? ცეცხლის ალი? ომი? – გონებით ჰკითხა შეშფოთებულმა ოუენმა ჰენრის, – რა ომი?"

„მნიშვნელობა არა აქვს, – მიუგო ჰენრიმ და მისი ხმა ოუენის თავში ძალიან სუსტად გაისმა, – ჩვენი წასვლის დროა".

– მემ, მისის ქეველ, – დაიწყო ოუენმა და ხელზე ხელი ფრთხილად მოჰკიდა. ჰენრის ეს ქალი დედასავით უყვარდა, თუმცა ბოლო წლებში მას სასტიკად ექცეოდა და ერთხელაც არ უნახავს. და ოუენი ხვდებოდა, რომ ამ სიყვარულის მიზეზი რობერტასგან წამოსული სიკეთე და კეთილგანწყობა იყო, – უნდა წავიდეთ.

– არა. ოჰ, გეხვეწებით, თქვით „არა", – ქალი კვლავ ატირდა.

„გეყოფათ, ქალბატონო, – უნდოდა ეთქვა ოუენს, – ისედაც ცუდ დღეში ვართ. გთხოვთ, არ გინდათ".

– მოგვდევენ. ერთი ძალიან ცუდი კაცია. მის მოსვლამდე უნდა წავიდეთ.

მოულოდნელად სევდიანმა და დამწუხრებულმა რობერტამ მტკიცედ განაცხადა:

– კარგი. თანახმა ვარ. ოღონდ მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

– არა, რობერტა, – თავი გადააქნია ჰენრიმ.

– დიახ! დიახ! მე ვიზრუნებ მასზე... წამლებს დავალევინებ... „პრედნიზონს“... ლიმონის ტამპონებსაც წამოვიღებ და...

– ედა, აქ აჩი.

– არა, დადი, არა!

– ედა, აქ აჩი! აქ უიათოა! აქ უიათოა! – იძახდა აღელვებული დადიტსი. „დედა, აქ დარჩი. აქ უხიფათოა, აქ უხიფათოა“.

– დრო აღარ გვაქვს, – თქვა ოუენმა.

– რობერტა, – გაიმეორა ჰენრიმ, – გთხოვთ.

– მეც წამიყვანეთ! – შესძახა ქალმა ტირილით, – დადი ყველაფერია, რაც ამქვეყნად გამაჩნია!

– ედა, – თქვა დადიტსმა მტკიცე ხმით, – აქ აჩი.

რობერტამ შვილს შეხედა და მაშინვე მოეშვა.

– კარგი, – დაეთანხმა იგი, – ოღონდ კიდევ ერთი წუთი მომეცით. რაღაცას გავატან.

იგი დადიტსის ოთახში გავარდა, იქიდან ქაღალდის პაკეტი გამოიტანა და ჰენრის გაუწოდა.

– აქ მისი აბლებია. ცხრაზე „პრედნიზონი“ უნდა მისცეთ. არ დაგავიწყდეთ, თორემ ცემინება აუტყდება და მკერდი ეტკინება. თუ მოგთხოვთ, „პერკოსეტი“ მიეცით. ალბათ, მოგთხოვთ, რადგან ბოლო დროს სიცივეს ვერ იტანს.

რობერტა ჰენრის სევდიანად შესცქეროდა, მაგრამ მის თვალებში საყვედური არ იკითხებოდა. ჰენრის კი თითქმის უნდოდა, რომ ესაყვედურა. ღმერთი ხომ ხედავდა, რომ ცხოვრებაში თავისი საქციელის ყველაზე მეტად ახლა რცხვენოდა. არა მარტო ლეიკოზის გამო. უფრო იმიტომ, რომ დადიტსი ამდენ ხანს ავად იყო და მათ არაფერი იცოდნენ.

– ლიმონის ტამპონები მხოლოდ ტუჩებზე წაუსვით. ღრძილებიდან სისხლი სდის ხოლმე და აეწვება. თუ ცხვირიდან წასკდება, ბამბა გაუკეთეთ. ჰო, კათეტერი არ დაგავიწყდეთ. ხომ ხედავთ, მხარზე რომ უკეთია?

ჰენრიმ თავი დაუქნია. სახვევიდან პლასტმასის პატარა მილი მოჩანდა. მის დანახვაზე ჰენრის ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, თითქოს ეს ყველაფერი სადღაც უკვე ენახა.

– ქუჩაში გასვლისას რამე დააფარეთ... მართალია, დოქტორი ბრისკო დამცინის, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ სიცივე შიგნით აღწევს... შარფი საკმარისია... ცხვირსახოციც ეყოფა...

იგი კვლავ ატირდა. ცრემლებს ვეღარ იკავებდა.

– რობერტა... – დაიწყო ჰენრიმ და საათს დახედა.

– მასზე მე ვიზრუნებ, – თქვა ოუენმა, – მამაჩემს ბოლო ამოსუნთქვამდე ვუვლიდი. „პრედნიზონისა" და „პერკოსეტის" შესახებ ყველაფერი ვიცი.

მეტიც იცოდა: ძლიერმოქმედი სტეროიდები, საუკეთესო ტკივილგამაყუჩებლები. ბოლოს კი მარიხუანა, მეტადონი და სუფთა მორფი, ნებისმიერ ჰეროინზე უფრო ძლიერი. მორფი სიკვდილის ყველაზე საიმედო საშუალება იყო.

ქალი დაუყოვნებლივ შეეხო მის გონებას: უცნაური, ჩხვლეტის შეგრძნება, როგორც ნოხზე ფეხშიშველა სიარულისას. სიამოვნებდა კიდეც. რობერტას აინტერესებდა, სიმართლე თქვა თუ არა ოუენმა მამამისზე: ეს მისი არაჩვეულებრივი შვილის მოკრძალებული საჩუქარი იყო. ოუენი მიხვდა, რომ ის იმდენად დიდხანს სარგებლობდა ამით, რომ ახლა ვერც კი ხვდებოდა, რას აკეთებდა... როგორც ჰენრის მეგობარი ბივერი, რომელიც გამუდმებით ღეჭავდა კბილსაჩიჩქნს. ცხადია, ქალი ჰენრის ვერ შეედრებოდა, მაგრამ რაღაც მაინც შეეძლო, და ოუენს ცხოვრებაში არასდროს ასე არ გახარებია სიმართლის თქმა.

– თუმცა, ეს ლეიკოზი არ ყოფილა, – თქვა რობერტამ.

– ფილტვის კიბო. მისის ქეველ, ჩვენ მართლაც...

– რაღაც უნდა მივცე.

– რობერტა, ჩვენ აღარ შეგვიძლია... – დაიწყო ჰენრიმ.

– ახლავე, ერთი წუთით! – ქალი სამზარეულოსკენ გაქანდა. ოუენმა თავი ასწია. შეშინებულს ჰგავდა.

– კურცი და ფრედი პერლმუტერთან ერთად... ჰენრი, არ ვიცი, სად არიან! დავკარგე!

ჰენრიმ წამლების პაკეტი გახსნა, შიგ ჩაიხედა და გაშეშდა. თითქოს მოაჯადოვა იმან, რაც გლიცერინითა და ლიმონით გაჟღენთილი ტამპონების ყუთზე იდო. მან უპასუხა ოუენს, მაგრამ ხმა ყველასგან დაუცველი ხეობის შორეული ბოლოდან მოდიოდა, რომლის შესახებაც ჰენრიმ არაფერი იცოდა. არადა, ის არსებობდა. თანაც არაერთი წელი. არ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ მსგავსი აზრი მას თავში არასდროს მოსვლია, მაგრამ, ღმერთო ჩემო, რატომ ერთხელაც არ გადაამოწმა?

– მათ ახლახან 29-ე მოსახვევი გაიარეს, – თქვა ჰენრიმ, – ჩვენგან ოცი მილი აშორებთ. შესაძლოა, ნაკლებიც.

– რა გემართება?

ჰენრიმ ხელი პაკეტში ჩაჰყო და იქიდან გაუგებარი დანიშნულების, თოკისგან გაკეთებული აბლაბუდა ამოიღო, რომელიც აქ, მეიპლეინზე, დადიტსის საწოლის თავზე ეკიდა.

– დადიტს, ეს საიდან გაქვს? – ჰკითხა მან მეგობარს, თუმცა პასუხი აღარ სჭირდებოდა. სიზმართმჭერი ავგაროზი იმაზე პატარა იყო, რაც „კედელში გაკეთებული ხვრელის" ჭერზე ჰქონდა ნანახი. ისინი ერთმანეთისგან მხოლოდ ზომით განსხვავდებოდა.

– იერი, – აუხსნა დადიტსმა, თან ჰენრისთვის თვალი არ მოუცილებია. თითქოს არ სჯეროდა, რომ მის გვერდით იდგა, – იერმა ამომიავნა. აობაოდ. აულ ირას.

რაც უფრო უკეთ უმკლავდებოდა ორგანიზმი ბაირუსს, სხვების აზრების წაკითხვის უნარი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, მაგრამ ოუენი მაინც მიხვდა დადიტსის ნათქვამს: „ბივერმა გამომიგზავნა საშობაოდ, გასულ კვირას". დაუნის სინდრომით დაავადებული ადამიანებისთვის, მათ შორის დადიტსისთვის, დრო, ფაქტობრივად, არ

არსებობდა. მისთვის წარსული – წინა კვირა, მომავალი კი მომდევნო კვირა იყო. ოუენმა გაიფიქრა, ყველას რომ ასე მიაჩნდეს, დედამიწაზე გაცილებით ნაკლები სევდა და სიძულვილი იქნებოდაო.

ჰენრიმ უკანასკნელად შეავლო თვალი პატარა სიზმართმჭერ ავგაროზს და პაკეტში სწორედ მაშინ ჩადო, როდესაც ჰოლში რობერტა შემოვარდა. მის დანახვაზე დადიტსს სახე გაებადრა.

– უბი-უ! – შესძახა მან, – ემი ოოფი!

მან კოლოფს ხელი სტაცა და დედას ორივე ლოყაზე აკოცა.

– ოუენ, – თქვა თვალებგაბრწყინებულმა ჰენრიმ, – ძალიან კარგი ამბავი მაქვს.

– გისმენ.

– ის არამზადები გზაში გაიჭედნენ: ზედ 29-ე მოსახვევთან მისაბმელიანი ტრაქტორი გადაბრუნდა. ისინი ათიდან ოც წუთამდე დაკარგავენ.

– მადლობა ღმერთს. ეს დრო გონივრულად უნდა გამოვიყენოთ, – ოუენი საკიდართან მივიდა, სადაც უშველებელი ზომის კაპიუშონიანი ქურთუკი ეკიდა, წარწერით „რედ სოქსის ზამთრის სეზონი", – ეს შენია, დადიტს?

– ემია, – ღიმილით დაუქნია თავი, – ურუკი. „ქურთუკი".

და როდესაც ოუენმა მისკენ ხელი გაიწვდინა, დაამატა:

– ენ ახე, ოორ ივაენით ოზის.

ოუენი მის ნათქვამს მიხვდა და გააჟრჟოლა. „შენ ნახე, როგორ მივაგენით ჯოზის".

მან მართლაც ნახა... და დადიტსმა ეს იცოდა. წუხელ შეამჩნია თუ იმ დღეს, ცხრამეტი წლის წინ? ნუთუ, მას დროში მოგზაურობაც შეეძლო?

მაგრამ შეკითხვებისთვის დრო აღარ რჩებოდა და ოუენს ეს უხაროდა კიდეც.

– ვთქვი, რომ ამ კოლოფს ბევრ დროს არ დავუთმობდი, მაგრამ არ გამომივიდა, – თქვა რობერტამ, რომელიც უყურებდა, როგორ

გადაჰქონდა დადიტსს ყუთი ხელიდან ხელში და ვერ ახერხებდა იმ ქურთუკის ჩაცმას, რომელიც აგრეთვე „რედ სოქსის“ ნაჩუქარი იყო. ცისფერი ქურთუკისა და ხასხასა ყვითელი კოლოფის ფონზე სახე არაბუნებრივად გასთეთრებოდა.

– ვიცოდი, რომ წავიდოდა. მე კი არ წამიყვანდით.

მან მზერა ჰენრის მიაპყრო.

– გთხოვ, ჰენრი, თქვენთან ერთად წამოვალ.

– იმაზე თუ დაფიქრებულხართ, რომ შესაძლოა, მის თვალწინ მოკვდეთ? – ჰკითხა ჰენრიმ და საკუთარი თავი შესძულდა ასეთი სისასტიკისთვის, იმისთვის, რომ ცხოვრებამ ასე გამობრძმედა და საჭირო ღილაკებზე თითის დაჭერა ასწავლა, – გინდათ, რომ ამას შეესწროს, რობერტა?

– არა, რასაკვირველია, არა, – დაქანცული ხმით მიუგო ქალმა და ხანმოკლე პაუზის შემდეგ კინაღამ გული მოუკლა, – დაგწყევლოთ ღმერთმა!

შემდეგ დადიტსთან მივიდა, ოუენს ხელი ჰკრა, შვილს ქურთუკი შეუკრა, მხრებში ხელები ჩაავლო და თვალებში ჩახედა. პატარა, დაუცხრომელი ქალჩიტა. მაღალი, გაფითრებული, უშველებულ ქურთუკში თითქმის ჩამალული ვაჟიშვილი. მოულოდნელად რობერტას თვალებზე ცრემლი შეაშრა.

– კარგად მოიქეცი, დადი.

– აად, ედა.

– ჰენრის დაუჯერე.

– ჰო, ედა. ენის ავუეებ.

– ქურთუკი არ შეიხსნა. შეიფუთნე ხოლმე.

– ჰო, ედა, – დამჯერედ იმეორებდა დადიტსი, აშკარად ეჩქარებოდა აქედან წასვლა, ამან ჰენრი კვლავ წარსულში დააბრუნა: აი, ისინი ნაყინის შესაჭმელად მიდიან, მინიგოლფს თამაშობენ (უცნაურია, მაგრამ დადიტსი შესანიშნავად თამაშობდა, მხოლოდ პიტი თუ მოუგებდა ხოლმე, იშვიათად), კინოში შედიან, და ყოველთვის:

„ჰენრის დაუჯერე“ ან „ჯოუნსის დაუჯერე“, „კარგად მოიქეცი, დადი“; პასუხად კი მუდამ: „აად ოვიევი, ედა“.

ქალმა იგი უკანასკნელად შეათვალიერა.

– მიყვარხარ, დუგლას. შენ ყოველთვის შესანიშნავი შვილი იყავი. ძალიან მიყვარხარ. მაკოცე.

დადიტსმა დედას აკოცა, ის კი გაუბედავად, თითქოს მალულად მოეფერა გაუპარსავ ლოყაზე. ჰენრის ძალიან უჭირდა ამ სცენის ყურება, მაგრამ მაინც უყურებდა. უყურებდა, რადგან აბლაბუდაში გაბმული ბუზივით უღონოდ გრძნობდა თავს. ყოველი სიზმართმჭერი, იმავდროულად, ხაფანგიც იყო.

დადიტსმა ერთხელაც აკოცა ხმაურით დედამისს, მაგრამ გაბრწყინებული მწვანე თვალებით ხან ჰენრის უყურებდა, ხანაც გასასვლელს. ეჩქარებოდა. ნეტა, რატომ? იქნებ იცოდა, რომ ჰენრისა და ოუენზე მონადირენი ახლოს იყვნენ? იქნებ მისთვის ეს მხოლოდ თავგადასავალი იყო უწინდელივით, როდესაც მათი ხუთეული ერთმანეთს თითქმის არასდროს შორდებოდა? იქნებ ერთიცა და მეორეც? შესაძლებელია.

რობერტამ ხელები გაშალა, უკან დაიხია და შვილს სასოწარკვეთილი მიაჩერდა.

– რობერტა, – წაიჩურჩულა ჰენრიმ, – რატომ არ გაგვაგებინეთ, რაც ხდებოდა? რატომ არ დაგვირეკეთ?

– თქვენ რატომ არ ინახულეთ?

ჰენრის შეეძლო ეკითხა, დადიტსი რატომ არ რეკავდაო, მაგრამ ეს აშკარა ტყუილი იქნებოდა. მარტიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ჯოუნსი ავარიაში მოყვა, დადიტსი გამუდმებით რეკავდა. მას პიტი გაახსენდა, რომელიც გადაყირავებული სკაუტის გვერდით იჯდა და თოვლში დადიტსის სახელს წერდა და წერდა. დადიტსი ნელ-ნელა კვდებოდა კუნძულზე, სახელწოდებით „სადღაც, არსაით“, მესიჯს მესიჯზე გზავნიდა, პასუხად კი დუმილი იყო. ბოლოს ერთ-ერ-

თი მეგობარი მხოლოდ იმისთვის გამოეცხადა, ნაჩქარევად რომ წაეყვანა და თან მხოლოდ წამლების პაკეტი და საუზმისთვის განკუთვნილი კოლოფი წაეღო. სიზმართმჭერ ავგაროზში სიკეთის ნასახიც არ იყო. მათ კი დადიტსისთვის მხოლოდ კარგი უნდოდათ, პირველივე დღიდან მთელი გულით შეიყვარეს. და მაინც ყველაფერი ასე აეწყო.

– გაუფრთხილდი მას, ჰენრი, – თქვა რობერტამ, მზერა ოუენზე გადაიტანა და ახლა მას მიმართა:

– და თქვენც. გაუფრთხილდით ჩემს შვილს.

– ყოველნაირად შევეცდებით, – დაჰპირდა ჰენრი.

15

დირბორნსტრიტზე ვერსად მოტრიალდებოდნენ, სადარბაზოებთან მისასვლელი ყველა გზა თოვლით იყო დაფარული. მოახლოებულ განთიადში მძინარე ქალაქი ალასკის ტუნდრაში ესკიმოსების დასახლებას ჰგავდა. ოუენმა „ჰამერი" უკან დახია და ნელა გაიყვანა ეზოდან, მერე კი ქუჩაზე გააქროლა. უშველებელი ძარა მოუხერხებლად ქანაობდა აქეთ-იქით. ბამპერი რომელიღაც დათოვლილ, გზის პირას გაჩერებულ მანქანას გაედო. გაისმა შუშის მსხვრევის ხმა. შემდეგ გაყინული თოვლის დაბრკოლებები გადალახეს და გზაჯვარედინზე, იქიდან კი კანზასსტრიტზე გავიდნენ. მალე გზატკეცილსაც მიაღწევდნენ. დადიტსი მშვიდად იჯდა უკანა სავარძელზე, კოლოფი მუხლებზე ედო.

„ჰენრი, რატომ თქვა დადიტსმა, ჯოუნსის ალი უნდაო, ცეცხლის ალი, ომი იგულისხმა? "

ჰენრიმ გონებით სცადა პასუხის გაგზავნა, მაგრამ ოუენს მისი აღარ ესმოდა. სახეზე ბაირუსი გასთეთრებოდა და როგორც კი ლოყას მოიფხანდა, ბღუჯა-ბღუჯად სცვიოდა. მის ქვეშ კანი გაწითლებული და გაღიზიანებული მოუჩანდა, თუმცა არაფერი სტკიოდა.

„გაციებას ჰგავს, – გაუკვირდა ჰენრის, – ჩვეულებრივ სურდოს".

– მას „ალი" არ უთქვამს, ოუენ.

– ალი, – დაეთანხმა დადიტსი უკანა სავარძლიდან, წინ გადაიხარა და დიდ, მწვანე საგზაო ნიშანს შეხედა: „95 სამხრეთისკენ", – ოუენს ალი უდა.

ოუენმა შუბლი შეიჭმუხნა: მკვდარი ბაირუსის ბეწვები ქერტლივით ჩამოსცვივდა ქურთუკზე.

– რა...

– წყალი, – აუხსნა ჰენრიმ და დადიტსს გამხდარ ფეხზე ხელი მოუთათუნა, – მას იმის თქმა სურს, რომ ჯოუნსის წყალი უნდა. მაგრამ ეს ჯოუნსი კი არა, ის არის, ვისაც იგი „მისტერ გრეის" ეძახის.

16

რობერტა დადიტსის ოთახში შევიდა და მიყრილ-მოყრილი ტანსაცმლის შეგროვებას შეუდგა. ლამის ჭკუიდან გადასულიყო იმის გაფიქრებაზე, თუ როგორ შეუბრალებლად და უხეშად წაართვეს შვილი, მაგრამ ახლა ამაზე წუხილი აღარ ღირდა. ხუთიოდე წუთის შემდეგ ფეხები მოეკეცა, ძლივს მიფოფხდა ფანჯარასთან მდგარ სკამამდე და დაჯდა. საითაც უნდა გაეხედა, თვალწინ დადიტსის საწოლი ედგა, რომელზეც მან ბოლო ერთი წელი გაატარა. მშვიდად ვერც მის ბალიშს უყურებდა – მას ხომ ჯერაც ემჩნეოდა შვილის თავის ანაბეჭდი.

ჰენრის აზრით, მან დადიტსს წასვლის ნება იმიტომ დართო, რომ, როგორც მათ სწამდათ, კაცობრიობის მომავალი იმაზე იყო დამოკიდებული, იპოვიდნენ თუ არა ჯოუნსის, თანაც უმოკლეს ვადაში. თუმცა ცდებოდა. რობერტამ დადიტსი იმიტომ გაუშვა, რომ შვილს ასე უნდოდა. ზოგჯერ მომაკვდავებს ავტოგრაფებიან ბეისბოლის კეპებს ჩუქნიან. ზოგს კი მეგობრებთან ერთად სამოგზაუროდ წასვლის უფლებაც აქვს.

მაგრამ რაოდენ სამძიმო იყო ეს.

როგორ უმძიმდა მისი დაკარგვა.

მან შვილის ერთმანეთზე დაწყობილი მაისურები სახესთან მიიტანა, რათა დაჭმუჭნილი საწოლი აღარ დაენახა, და მისი სუნი იგრძნო: „ჯონსონის“ შამპუნის, „დაიალის“ საპნისა და ყველაზე მძაფრად – ყველაზე ცუდის, „არნიკის“ კრემისა, რომლითაც ზურგსა და ფეხებს უზელდა ტკივილის დროს.

სასოწარკვეთილმა შვილის ტვინში შეღწევა და მისი და იმ ორი კაცის პოვნა სცადა, რომლებიც ღამით მიცვალებულებივით გამოეცხადნენ და დადიტსი წაიყვანეს, მაგრამ ვერ მოახერხა.

გამემიჯნა, – გაიფიქრა ქალმა.

წლების განმავლობაში ისინი ტელეპათიური კავშირით ერთობოდნენ, რომელიც, შესაძლოა, სულ ოდნავ განსხვავდებოდა იმისგან, რასაც თითქმის ყველა განსაკუთრებული ბავშვის დედა გრძნობს (რამდენჯერ გაუგონია სიტყვა „ურთიერთკავშირი“ მხარდამჭერთა ჯგუფის შეკრებებზე, რომელთაც ელფისთან ერთად ესწრებოდა), მაგრამ ახლა ყველაფერი გაქრა. დადიტსი გაემიჯნა მას და ეს ნიშნავდა, რომ რაღაც საშინელი უნდა მომხდარიყო.

დადიტსმა იცოდა.

რობერტას კვლავ სახესთან მიეტანა მაისურები და შვილის სუნით ტკბებოდა. შემდეგ ისევ ატირდა.

17

კურცი კარგად (შედარებით კარგად) იქამდე იყო, სანამ პირქუშ დილას საპატრულო მანქანების კაშკაშა ლურჯ ციმციმს არ მოჰკრა თვალი. შუაგზაზე მკვდარი დინოზავრივით ეგდო მისაბმელიანი ტრაქტორი. თავიდან ფეხებამდე შეფუთნილმა პოლიციელმა გაჩერება ანიშნა.

– ამის დედაც! .. – შეიკურთხა კურცმა და ძლივს შეკავა თავი პისტოლეტის ამოღებისა და ცეცხლის გახსნისგან. იცოდა, რომ ეს თვითმკვლელობის ტოლფასი იქნებოდა, რადგან პოლიციელები

მრავლად იყვნენ. მაინც გრძნობდა მძაფრ, თითქმის გაუკონტროლებელ მოთხოვნილებას. ისინი ხომ მიზანს ასე მიუახლოვდნენ! ახლოს იყვნენ, ჯვარცმული იესოს ხელების მადლმა! და ასეთი უიღბლობა! ამის დედაც, დედაც, დედაც! ..

– როგორ მოვიქცე, ბოს? – გულგრილი ხმით ჰკითხა ფრედიმ, მაგრამ ავტომატი ყოველი შემთხვევისთვის მუხლებზე დაიდო, – თუ მივაწვები, მარჯვნიდან შევძლებ გვერდის ავლას. მხოლოდ სამოც წამს დავკარგავთ.

კურცმა კვლავ შეიკავა თავი, რათა არ ებრძანებინა: „მიდი, კურც, გატარნე, და თუ რომელიმე ცისფერსამოსიანი გზაზე გადაგვეღობება, ნაწლავები გადმოაყრევინე".

ფრედის, შესაძლოა, გამოსვლოდა, მაგრამ იქნებ... არც გამოსვლოდა. კურცი კარგა ხანია მიხვდა, რომ იგი დიდი ვერაფერი მძღოლი იყო. მფრინავების უმრავლესობის მსგავსად, ფრედის ურყევად სწამდა, რომ საჰაერო ტრანსპორტი სახმელეთოსგან არაფრით განსხვავდებოდა. კორდონი რომც გაერღვიათ, ხმაური მაინც ატყდებოდა. ეს კი სულ არ იყო საჭირო მას შემდეგ, რაც კურდღელივით დამფრთხალმა გენერალმა რენდალმა ოპერაციის შეწყვეტა ბრძანა. მისი თვითნებობის მანდატს ყავლი გასვლოდა. ახლა იგი სამართლიანობისთვის მებრძოლ მარტოხელა რაინდად ქცეულიყო.

არაფერია, მეტი მოხერხებაა საჭირო, – გაიფიქრა მან, – განა ამაში არ მიხდიან ამდენ ფულს?

– ჭკვიანად იყავი და ისე მოიქეცი, როგორც გეუბნებიან, – თქვა კურცმა ხმამაღლა, – ხელი დაუქნიე, ორივე ცერი მაღლა ასწიე, დაანახვე, თითქოს აღფრთოვანებული ხარ. სამხრეთისკენ წადი და პირველი შესაძლებლობისთანავე გზატკეცილზე დაბრუნდი. ღმერთი მოწყალეა.

იგი ფრედისკენ დაიხარა, საკმაოდ ახლოს, რათა მის მარჯვენა ყურში შეთეთრებული ბუსუსები დაენახა და ვნებამორეული შეყვარებულივით წასჩურჩულა, – თუ რამე შეგეშლება, კეფაში ტყვიას

დაგახლი, მეგობარო, – კურცი იმ ადგილს შეეხო, სადაც რბილი კისერი თავის ქალას უერთდებოდა, – აი, ზუსტად აქ.

ფრედის ინდიელივით გაქვავებულ სახეზე ერთი ნერვიც არ შესტოკებია.

– დიახ, ბოს.

კურცმა თავი დააქნია, თითქმის უგონოდ მყოფ პერლმუტერს მხრებში ხელები ჩაავლო და იქამდე ანჯღრია, სანამ ქუთუთოები არ შეარხია.

– თავი დამანებე. მეძინება.

კურცმა ყოფილ ადიუტანტს ზურგში პისტოლეტის ლულა მიაჭირა.

– არ გამოვა. თვალი გაახილე და გაიღიმე, მეგობარო. ხანმოკლე ბრიფინგს ვატარებთ.

პერლიმ დაიკვნესა, მაგრამ მაინც გაიმართა. როგორც კი პირი გააღო, იქიდან კბილი გადმოუვარდა და ქურთუკზე დაეცა. კურცის აზრით, კბილი სრულიად საღი იყო. „შეხედე, დე, ერთი ხვრელიც არ აქვს“.

პერლიმ დაადასტურა, რომ ოუენი და მისი ახალი მეგობარი კვლავაც დერიში იმყოფებოდნენ. ძალიანაც კარგი. შესანიშნავია. ზუსტად თხუთმეტი წუთის შემდეგ ფრედი დათოვლილი პანდუსის გავლით გზატკეცილზე გავიდა. ეს 28-ე გადასახვევი იყო, მიზნამდე მხოლოდ ერთი გზაჯვარედინი რჩებოდა, მაგრამ იქამდე მთელი მილი მაინც უნდა გაევლოთ.

– ისინი გზას გაუდგნენ, – მოულოდნელად განაცხადა პერლმუტერმა, რომელიც პირში ენას ძლივს ატრიალებდა.

– დალახვროს ეშმაკმა! – იფეთქა გაშმაგებულმა კურცმა. იგი საშინელ სიძულვილს გრძნობდა ოუენ ანდერჰილის მიმართ, რომელიც მისთვის ამ უიღბლო, თავიდანვე განწირული ოპერაციის სიმბოლოდ მიაჩნდა.

პერლიმ ყრუ, სასოწარკვეთილებით აღსავსე ხმით დაიკვნესა. მუცელი კვლავ გაუფუვდა. ზედ ხელს იჭერდა, ოფლში იწურებოდა და იკლაკნებოდა. მუდამ არაფრის გამომხატველი სახე ტკივილისგან გამშვენიერებოდა.

პერლის ისევ დაეწყო გაზების გამოყოფა და ამ საშინელებას ბოლო არ უჩანდა. კურცს რატომღაც ის გასართობი გაახსენდა, საზაფხულო ბანაკში რომ აკეთებდნენ კონსერვის ქილებისა და გასანთლული თოკისგან. საკმარისი იყო, ერთ ცალს შეხებოდა ვინმე, რომ გამაყრუებელი ხმაური ისმოდა. ისინი ამას „ღრიალას" ეძახდნენ.

„ჰამერში" დაგროვილი სიმყრალე იმ კიბოსგან იყო, რომელიც კურცის შიგნით იზრდებოდა და ჯერ ორგანიზმის უსარგებლო ნარჩენებს ნთქავდა, შემდეგ კი თვით ორგანიზმსაც. სამაგიეროდ, ფრედი აშკარად გამოჯანმრთელების გზაზე იდგა, კურცი კი საერთოდ არ დაინფიცირებულა (იქნებ იმუნიტეტი ჰქონდა; ყოველ შემთხვევაში, მან თხუთმეტი წუთის წინ ნიღაბი მოიხსნა და სადღაც მოისროლა). მართალია, პერლი კვდებოდა, მაგრამ მისი გამოყენება კიდევ შეიძლებოდა: მას ხომ უკანალში შესანიშნავი რადარი ეყენა. ადრე თუ გვიან, მასში ჩაბუდებული ქმნილება გარეთ გამოაღწევდა და ამით პერლის უსარგებლო ნივთად აქცევდა, მაგრამ ჯერჯერობით კურცი ამაზე არ წუხდა.

– გამაგრდი, – უთხრა პერლის ალერსიანად, – უბრძანე შენს შიგნეულობას, დაწყნარდეს და მშვიდად დაიძინე.

– წყეულო... იდიოტო! – ამოიოხრა პერლმუტერმა.

– მართალი ხარ, – დაეთანხმა კურცი, – როგორც შენ იტყვი, მეგობარო.

ბოლოს და ბოლოს, იგი მართლაც იდიოტი იყო. ოუენი მშიშარა კოიოტი აღმოჩნდა, მაგრამ განა მან არ შეუშვა იგი იმ დაწყევლილ საქათმეში?

27-ე მოსახვევი გაიარეს. კურცმა პანდუსს შეხედა და თითქოს დაინახა კიდეც ოუენის „ჰამერის" საბურავების კვალი. სადღაც იქ,

რომელიღაც ქუჩაზე იდგა სახლი, რომლისკენაც ოუენი და მისი ახალი მეგობარი მიიჩქაროდნენ. რატომ დაიგრძელეს გზა?

– მათ დადიტსის წასაყვანად შეიარეს, – თქვა პერლმუტერმა. მას მუცელი ცოტათი დაჰპატარავებოდა და სპაზმიც აღარ აწუხებდა. ჯერჯერობით მაინც.

– დადიტსი? ეს რა სახელია?

– არ ვიცი. დედამისისგან გავიგე. დადიტსის დანახვა ვერ შევძელი. იგი სხვანაირია, ბოს. თითქოს, ადამიანი კი არა, რუხი კაცუნაა.

კურცმა ყურები ცქვიტა.

– იმ ქალის აზრით, დადიტსი პატარა ბიჭიცაა და მოწიფული მამაკაციც, – დაამატა პერლიმ. ეს მისი ყველაზე მნიშვნელოვანი შეტყობინება იყო მას შემდეგ, რაც გოსლინის მაღაზია დატოვეს. პერლმუტერი დადიტსით დაინტერესებულიყო. ნეტა რა ემართებოდა?

– იქნებ, ჭკუასუსტია, – თქვა ფრედიმ.

პერლმუტერი მიაშტერდა და ჩაილაპარაკა:

– შესაძლოა. რაც უნდა იყოს, იგი ავადაა.

– მე კი ვიცი, რასაც გრძნობს, – დაამატა ცოტა ხნის შემდეგ.

კურცმა კვლავ მხარზე მოუთათუნა ხელი.

– ყურადღება არ მოადუნო, ბიჭუნი. იმ ტიპებზე რას იტყვი, ვისაც მისდევენ? გარი ჯოუნსისა და იმ სავარაუდო მისტერ გრეიზე?

ისინი დიდად არ ანაღვლებდა, მაგრამ არსებობდა შანსი, რომ ჯოუნსისა და გრეის – თუ ეს უკანასკნელი ანდერჰილის გადახურებული წარმოსახვის ნაყოფი არ იყო – სვლაგეზს ანდერჰილის, დევლინისა და... დადიტსის გადაადგილებაზეც მოეხდინა ზეგავლენა.

პერლმუტერმა თავი გადააქნია, თვალები დახუჭა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. უეცრად მოვარდნილი ენერგია და ინტერესი თანდათან გაუქრა.

– არაფერია. დამბლოკეს.

– სულ არაფერი? – ჩაეძია კურცი.

– ერთი ციცქნა, შავი ხვრელის მსგავსი, – მიუგო პერლიმ და ნამძინარევი ხმით განაგრძო, – ხმები მესმის. ბევრი ხმა. ისინი დამხმარე ძალას გზავნიან.

და თითქოს რაღაც ჯადოქრობით, კურცმა გზის მეორე მხარეს მათკენ მომავალ იმსიგრძე ქარავანს მოჰკრა თვალი, რამხელაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში არ ენახა. წინ სპილოსავით უზარმაზარი ორი თოვლსაწმენდი მოუძღოდა, თოვლს ისე გულმოდგინედ იღებდნენ და ყრიდნენ სხვადასხვა მხარეს, რომ ბეტონის საფარიც კი მოჩანდა. მათ ორრიგად მოსდევდა ქვიშით დატვირთული სატვირთო მანქანები. სულ ბოლოს, ასევე ორრიგად, სამხედრო ტრაილერები მოგორავდა ზედ მოთავსებული მძიმე პლატფორმებით. ბრეზენტგადაფარებული საგნების მოხაზულობის მიხედვით, ესენი რაკეტები უნდა ყოფილიყო. დანარჩენ მანქანებზე რადარის თეფშები, მანძილსაზომები და ათასგვარი მოწყობილობა იდო. მათ შორის ფარებანთებული ტრასპორტიორები მოდიოდნენ პირადი შემადგენლობის გადასაყვანად. სინათლის კონუსები წინ მიმავალი მანქანების ძარებს ებჯინებოდა. იმ მანქანებში ასობით კი არა, ათასობით ჯარიკაცი იჯდა, რომელიც, ღმერთმა იცის, რისთვის მოემზადებინათ – მესამე მსოფლიო ომისთვის, „ვარსკვლავური დესანტით" გადმოსხმულ ორთავა ქმნილებებთან და მოაზროვნე ხოჭოებთან ხელჩართული ბრძოლისთვის, ჭირისთვის, სიკვდილისთვის, სიგიჟისა თუ განკითხვის დღისთვის. სანამ „იმპერიალის ხეობის" მებრძოლებს, კეიტ გალაჰერის მეთაურობით, ოპერაცია არ დაესრულებინათ, ჯობდა, დრო მოეგოთ, ყველაფერი მიეტოვებინათ და კანადაში გადასულიყვნენ. მათ ვერც ხელების აწევა უშველიდათ და ვერც შეძახილი: Ілъ ѣ′ꙋ ѣ′ინფეꙗტიონ იცი. ამან პირველადაც ვერ გაამართლა.

გულის სიღრმეში კურცი გრძნობდა, რომ ოუენი ერთ რამეში მაინც არ ცდებოდა: აქ ყველაფერი დასრულებული იყო. მათ შეეძლოთ

თავლის კარი დაეკეტათ, დიდება უფალს, მაგრამ ცხენი უკვე მოეპარათ.

– აპირებენ, ეს გზა სამუდამოდ ჩაკეტონ, – თქვა პერლმუტერმა, – ჯეფერსონტრექტი ახლახან ორმოცდამეთერთმეტე შტატად იქცა. ეს პოლიციელთა შტატია.

– კვლავაც ოუენის ტალღაზე მუშაობ?

– ჯერჯერობით, – დაბნეულად დაუქნია თავი პერლმუტერმა, – მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. იგი გამოჯანმრთელების გზაზეა. ტელეპათიის უნარს კარგავს.

– ახლა სად არის, მეგობარო?

– ახლახან 25-ე გადასახვევს გასცდა. ჩვენგან თხუთმეტიოდე მილი თუ აშორებს, მეტი არა.

– სიჩქარეს ხომ არ მოვუმატო, ბოს? – ჰკითხა ფრედიმ. მათ იმ წყეული ტრაქტორის გამო დაჰკარგეს ოუენის შეპყრობის შანსი. ისღა აკლდათ, გზიდან გადასულიყვნენ და საბოლოო მარცხი განეცადათ.

– თავი დაანებე, – უთხრა კურცმა, – დაველოდოთ, ვნახოთ, რა მოხდება.

მან გულხელი დაიკრიფა და გადათეთრებულ არემარეს მიაშტერდა. თოვა შეწყდა და ამიტომ სამხრეთისკენ გზები ნაკლებად მოყინული იქნებოდა.

ბოლო ოცდაოთხი საათი მოვლენებით დატვირთული აღმოჩნდა. კურცმა უცხოპლანეტელთა ხომალდი ააფეთქა, მას იმ ადამიანმა უღალატა, რომელიც თავის ლოგიკურ მემკვიდრედ მიაჩნდა, მოქალაქეთა აჯანყებასა და ამბოხს თავი დააღწია, დაბოლოს, გაბრაზებულ გულზე იმ გენერალმა გადააყენა, რომელსაც დენთის სუნი არასდროს ეყნოსა.

კურცმა ქუთუთოები დაუშვა. რამდენიმე წამის შემდეგ ის უკვე თვლემდა.

18

ჯოუნსი მოღუშული იჯდა საწერ მაგიდასთან და ხან გაფუჭებულ ტელეფონს შესცქეროდა, ხან ჭერზე ჩამოკიდებულ, სიოზე აქეთ-იქით მოქანავე სიზმართმჭერ ავგაროზს, ხანაც ფოლადის ახალ დარაბებს, რომლითაც იმ არამზადა გრეიმ ფანჯარა დაგმანა. ყურში გამუდმებით ჩაესმოდა ჩუმი ღრენა, რის გამოც სკამზე დატყეპებული დუნდულები უთრთოდა. მწყობრიდან დიდი ხნის გამოსული აირღუმლის ხმა ჰქონდა. მაგრამ ეს ღუმელი კი არა, თოვლსაწმენდი იყო, რომელიც ჯიუტად მიიწევდა წინ, სამხრეთისკენ, სამხრეთისკენ და კვლავ სამხრეთისკენ. მძღოლის სავარძელში, ალბათ, მისტერ გრეი იჯდა DPჭ წარწერის მქონე კეპით, ბოლო მსხვერპლს რომ მოჰპარა, სატერფულს ჯოუნსის ფეხით აწვებოდა, საჭეს ჯოუნსის ხელებით ატრიალებდა და რაციით გადაცემულ ბრძანებებს ჯოუნსის ყურებით უსმენდა.

„აბა, ჯოუნსი, კიდევ რამდენ ხანს აპირებ აქ ყოფნას და საკუთარი თავის სიბრალულს?"

ჯოუნსი, რომელიც სავარძელში ღრმად იჯდა და თითქმის თვლემდა, შეხტა. ეს ჰენრის ხმა იყო, ოღონდ არა ტელეპათიის საშუალებით გადმოცემული – ასეთი კავშირი აღარ არსებობდა, რადგან მისტერ გრეის ყველა ხაზი დაებლოკა, საკუთრის გარდა. ამ ხმამ მის ტვინში გაიჟღერა. და მაინც, ეს ჩხვლეტა საკმაოდ მგრძნობიარე აღმოჩნდა.

„სულაც არ ვიცოდებ საკუთარ თავს, უბრალოდ დამბლოკეს! – დაიწყო ჯოუნსიმ და თვითონვე არ მოეწონა ჭირვეული კილოთი თავის მართლება. მას რომ ემოცია სიტყვებით გამოეხატა, ისინი ვერაფერს გაიგონებდნენ, ნაცემი ძაღლის წკმუტუნის გარდა. – ვერ ვრეკავ, ფანჯრიდან ვერ ვიხედები, გარეთ ვერ გავდივარ. არ ვიცი, სად ხარ, ჰენრი. მე კი ნამდვილ ციხეში ვარ".

„ტვინიც მოგპარა?"

– მოკეტე.

ჯოუნსიმ საფეთქელი მოისრისა.

„მეხსიერება ხომ არ წაგართვა?"

არა, რასაკვირველია, არა. აქაც, ამ დახურულ კარს მიღმა, რომელიც მას მარკერით მონიშნულ მილიარდობით კოლოფთან არ უშვებდა, ახსოვდა, როგორ მოიწმინდა წვინტლი ბონი დილის ნაწნავით (მეშვიდე კლასში კი იგივე ბონი წვეულებაზე საცეკვაოდ გაიწვია), როგორ ასწავლიდა ლამარ კლარენდონი თამაშს, რომელსაც დაბალი წარმომავლობისა და გაუთვითცნობიერებელი ადამიანები ქრიბიჯს ეძახდნენ, როგორ მიამსგავსა რიკი მაკარტი ირემს. ეს ყველაფერი ახსოვდა. ცხადია, საიდუმლოს გასაღებიც სადღაც აქ იმალებოდა, მაგრამ ჯოუნსი მზად იყო, ხატზე დაეფიცა, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდა. იქნებ, იმიტომ არ იცოდა, რომ ის ზედაპირზე იდო.

„ასე, სულელურად გაეჩხირე. ამდენი დეტექტივი მაინც არ გქონდეს წაკითხული! – დასცინოდა ტვინში შემოსული ჰენრის ორეული, – უცხოპლანეტელთა შემოსევების შესახებ ფილმ-ფანტასტიკებზე აღარაფერს ვამბობ „დღე, როდესაც დედამიწა გაჩერდადან" დაწყებული, „მკვლელი პომიდვრებით" დამთავრებული, განა, ყველა არ ნახე? და ამ ყველაფრის შემდეგ იმ ტიპს ვერაფერს უხერხებ? ნუთუ არ შეგიძლია, კუთხე-კუნჭული მოიძიო და მის ბუნაგს მიაგნო?"

ჯოუნსიმ კვლავ მოისრისა საფეთქელი. ეს ხომ ექსტრასენსორული აღქმა კი არა, მისი საკუთარი გონება იყო. მაშ, რატომ არ ჩუმდებოდა? რაღა მნიშვნელობა ჰქონდა?. რაღა ის და რაღა უტრანსმისიო ძრავა, უცხენო ფორანი, მკვებავსითხიან რეზერვუარში მოთავსებული დონოვანის[196] ტვინი ყოვლად უსარგებლო სიზმრების გარემოცვაში.

„რა უნდა? ამით დაიწყე".

ჯოუნსიმ მაღლა აიხედა და სიზმართმჭერ ავგაროზს შეხედა, რო-

[196] ამერიკელი ფანტასტი მწერლის, კურტ სიოდმაკის რომან „დონოვანის ტვინის" პერსონაჟი.

მელსაც თბილი ჰაერის ნაკადი აცეკვებდა. შეიგრძნო თოვლსაწმენდის რახრახი, საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს გადასდებოდა. თინა ჯინ შლოსინგერი – აი, როგორ ერქვა იმ გოგოს, და, გავრცელებული ჭორების მიხედვით, აქ მისი ფოტოსურათი უნდა ყოფილიყო, რომელზეც კაბა ისე ჰქონდა წამოხდილი, რომ ყველას შეეძლო დაენახა მისი „ფისო", და ვინ მოთვლის, რამდენი მოზარდი გაებრუებინა მასზე ოცნებას!

ჯოუნსი წამოდგა – თითქმის წამოხტა – და ნაბიჯებით ოთახის გაზომვას შეუდგა. ოდნავ კოჭლობდა. ქარიშხალი ჩადგა და თეძო ისე ძლიერ აღარ ტეხდა.

„ერკიულ პუარო გაიხსენე, – უთხრა საკუთარ თავს, – აამუშავე პატარა რუხი უჯრედები. გაემიჯნე მოგონებებს და მხოლოდ მისტერ გრეიზე იფიქრე. ლოგიკურად იაზროვნე. რა უნდა მას? "

ჯოუნსი გაჩერდა. გრეის სურვილები ზედაპირზე იდო. იგი სტენდფაიფთან, წყალსატევთან მივიდა, – იმ ადგილას, სადაც ის ოდესღაც იდგა, – რადგან წყალი სჭირდებოდა. სასმელი წყალი. მაგრამ კოშკი აღარ არსებობდა, 85 წელს მოვარდნილ ქარიშხალს მოენგრია (ჰა-ჰა, მისტერ გრეი, იაღლიში მოგივიდა), დერისთვის აუცილებელი მარაგი კი ახლა ცოტა მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით იყო და იქ მისვლა, ქარბუქის გამო, სრულიად შეუძლებელი ჩანდა, თანაც სხვადასხვა ადგილას გადაენაწილებინათ. ამიტომ მისტერ გრეიმ ჯოუნსის ცოდნის საცავში იფათურა და გეზი კვლავ სამხრეთისკენ აიღო. საით?..

უეცრად, ყველაფერს მიხვდა. ფეხები წამსვე ბამბასავით დაურბილდა, მოეკეცა და ჯოუნსი იატაკზე დაგებულ ნოხზე დაენარცხა, თეძოს ტკივილისთვის ყურადღება არც კი მიუქცევია.

ძაღლი. ლედი. ძაღლი კვლავაც მასთან იყო?

– რა თქმა უნდა, – ჩაიჩურჩულა ჯოუნსიმ, – ცხადია, ის ნაბიჭვარი მასთანაა. მისი სუნი აქაც კი აღწევს, მაკარტივით აკუებს.

ეს სამყარო ბაირუსს მტრულად შეხვდა, მისი მკვიდრნი საოცრად

ენერგიულად იბრძოდნენ და ამისთვის ენერგიას ადამიანური ემოციის უძირო ჭიდან იღებდნენ. მაგრამ ერთადერთ გადარჩენილ უცხოპლანეტელს საოცრად უმართლებდა, ვეგასში კამათლებით მოთამაშესავით, რომელიც ზედიზედ აგორებდა მომგებიან რიცხვებს. მან მიაგნო ჯოუნსის, თავის „ტიფიან მერის", დაიპყრო მისი სხეული და გონების უდიდესი ნაწილი; მოძებნა პიტი, რომელმაც საჭირო ადგილამდე მიიყვანა, შემდეგ კი სასიგნალო შუქივით ჩაქრა. შემდეგ შეხვდა მინესოტელი ენდი ჯანასი, „რიპლისგან" მოკლული ორი ირემი რომ გადაჰქონდა. მისტერ გრეის ირმები არ სჭირდებოდა, მაგრამ ჯანასის მანქანაში უცხოპლანეტელის ლპობაშეპარული გვამიც იყო.

ნაყოფის მატარებელი სხეულები, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – ნაყოფის მატარებელი სხეულები, საიდან მახსოვს ეს?

ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა. რადგან მისტერ გრეის მორიგი იღბლიანი გაგორება ბებერი „მე-მიყვარს-ჩემი-ბორდერ-კოლის" „დოდჯ-რემი" იყო. როგორ მოიქცა გრეი? ძაღლს ნაცრისფერი ადამიანის სხეული აჭამა? დრუნჩი გვამში ჩააყოფინა და ნაყოფის მატარებელი სხეულის სპორების შესუნთქვა აიძულა? არა, ალბათ, მისი შეჭმა აიძულა; „მიდი, ღეჭე, ბიჭო, დრო არ ითმენს". როგორიც უნდა ყოფილიყო სინდიოფალას გაჩენის პროცესი, ის ფილტვებში კი არა, კუჭში ჩნდებოდა. ჯოუნსის თვალწინ კვლავ მაკარტი წარმოუდგა, რომელსაც ტყეში გზა აებნა. ბივერმა ჰკითხა:

„რა ჯანდაბა ჭამეთ? გარეული ღორის ფუნა? "

მაკარტიმ კი რა უპასუხა?

„ტოტები, ხავსი, ყველაფერი ამგვარი, ზუსტად არ ვიცი, ძალიან მშიოდა და..."

მართალია. მშიერი იყო, გზააბნეული, შეშინებული და მშიერი, ფოთლებსა და მწვანე ხავსზე ბაირუსის წითელ წინწკლებს ვერ ამჩნევდა, პირში იტენიდა და კუჭისკენ გზავნიდა, რადგან ადრე, როდესაც, ოჰ, ღმერთო დიდებულო, ადვოკატის უზრუნველი, მოსაწყენი ცხოვრებით ცხოვრობდა, სადღაც ამოეკითხა, რომ ექსტრემალურ

შემთხვევებში შიმშილის მოკვლა ხავსითა და ფოთლებითაც შეიძლებოდა. ნუთუ ყველას, ვინც ბაირუსი (შეუიარაღებელი თვალისთვის უხილავი, ჰაერში მოფარფატე ნაწილაკი) ჩაყლაპა, საშინელი ურჩხულები მუცელში უნდა გამოეზარდა? ერთ-ერთმა მათგანმა მაკარტი შიგნიდან გამოჭამა და გაგლიჯა, მეორემ კი ბივი მოკლა. თუმცა არა. ყველა ქალი ხომ არ ფეხმძიმდება დაუცველი სექსის პირველივე შემთხვევაში? მაკარტის არ გაუმართლა... არც ლედის.

– მან იცის კოტეჯის შესახებ, – თქვა ჯოუნსიმ.

რა თქმა უნდა. კოტეჯი უეირში, ბოსტონის დასავლეთით სამოციოდე მილში. იქაურების მსგავსად, მანაც იცოდა რუსი ქალის ამბავი. თვითონაც არაერთხელ მოუყოლია სხვებისთვის. ეს იცოდნენ უეირში, ახალ სალემში, კულივილეში, ბელჩერთაუნში, ჰარდვიქში, პაკარდსვილსა და პელჰემში. ყველა გარშემო მდებარე ქალაქში. და რას ერტყმოდნენ ისინი?

როგორ თუ რას? ცხადია, კუებინს. კუებინის რეზერვუარს. ბოსტონისა და მისი გარეუბნების წყალსაცავს. რამდენი ადამიანი იღებდა წყალს კუებინიდან ყოველდღიურად? ორი მილიონი? სამი? ჯოუნსიმ ეს ზუსტად არ იცოდა, მაგრამ ალბათ – გაცილებით მეტი, ვიდრე დერის სტენდფაიფიდან. მისტერ გრეი კამათელს კამათელზე აჯენდა. კიდევ ერთი გაგორება და ბანკსაც მოხსნიდა.

ორი-სამი მილიონი. მისტერ გრეის სურდა, რომ მათთვის ლედი ბორდერ კოლი და ლედის ახალი მეგობარი წარედგინა.

ბაირუსს ახალ გარემოსთან შეგუება, წესით, არ უნდა გასჭირვებოდა.

თავი მეოცე
დევნა მთავრდება

1

სამხრეთისაკენ! სამხრეთისაკენ! სამხრეთისაკენ!

მას შემდეგ, რაც მისტერ გრეი ოგასტას შემდეგ პირველივე, გარდინერის გადასახვევს გასცდა, თოვლის საფარი გაცილებით შეთხელდა, გზატკეცილი კი თუმცა ატალახებული, მაგრამ მთელ სიგანეზე ნამქერისგან გაწმენდილი იყო. დადგა დრო, თოვლსაწმენდი სხვა, ნაკლებად თვალში საცემი ტრანსპორტით შეეცვალათ. თანაც ის აქეთ აღარ სჭირდებოდათ. ჯოუნსის კი, რომელიც ასეთი დიდი მანქანების საჭესთან უწინ არასდროს მჯდარა, დაძაბულობისგან ხელები სტკიოდა. დროებითი მასპინძლის სხეული მისტერ გრეის სულ არ ადარდებდა (ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა, საკუთარი თავი ამაში დაერწმუნებინა, თუმცა, სიმართლე ითქვას, რთული იყო ერთგვარი სიმპათია არ ეგრძნო თუნდაც „ბეკონისა“ და „მკვლელობის“ მიმართ, რომლებმაც მოულოდნელად სიამოვნება მიანიჭეს), მაგრამ მისი დახმარება კიდევ ორი ასეული მილის მანძილზე სჭირდებოდა.

მისტერ გრეის აზრით, ასაკთან შედარებით, ჯოუნსი არცთუ კარგად გამოიყურებოდა. შესაძლოა, ამაში წვლილი უბედურმა შემთხვევამაც შეიტანა, მაგრამ „ბრალი", ძირითადად, მის სამსახურს მიუძღოდა. იგი „პროფესორი" იყო და აქედან გამომდინარე, სრულებით უგულებელყოფდა საკუთარი ცხოვრების ფიზიკურ ასპექტებს, რაც მისტერ გრეის გაოცებას იწვევდა. როგორც გაირკვა, ამ არსებების სამოც პროცენტს ემოცია შეადგენდა, ოცდაათს – შეგრძნება, გონებას კი მხოლოდ ათი პროცენტი რჩებოდა (მისი ვარაუდით, კიდევ უფრო ნაკლები). სხეულის მიმართ ამგვარი უდარდელი დამოკიდებულება მისტერ გრეის სისულელედ და თავქარიანობად მიაჩნდა. თუმცა ეს მისი პრობლემა არ იყო. და უკვე – აღარც ჯოუნსისა. ჯოუნსი იმად გადაიქცა, ყოველთვის რომ ნატრობდა – წმინდა გონებად. მაგრამ რეაქციაზე ეტყობოდა, რომ არც ეს მდგომარეობა მოსწონდა.

ლედიმ, რომელიც იატაკზე სიგარეტის ნამწვავებს, ქაღალდის ჭიქებსა და ჩიპსის პაკეტებს შორის იწვა, ტკივილისგან დაიყმუვლა. საბრალოს, ტანი საშინლად გაჰბეროდა და კასრს დამსგავსებოდა. მალე გაზებს გამოუშვებდა და მუცელი კვლავ დაუცხრებოდა. მისტერ გრეის ძაღლში არსებულ ბაირუსთან კონტაქტი დაემყარებინა და მისი მომწიფებისა და ზრდის რეგულირება შეეძლო.

ძაღლი იმის მოდიფიკაცია უნდა გამხდარიყო, რაც მისი მასპინძლის გონებაში „რუს ქალად" აღიქმებოდა. ძაღლის ადგილზე მიყვანით მასზე დაკისრებულ სამუშაოს პირნათლად შეასრულებდა.

მან გონება მოჩხრიკა სხვების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ჰენრი და მისი მეგობარი ოუენი მოულოდნელად გამქრალიყვნენ – თითქოს რადიოსადგურმა მაუწყებლობა შეწყვიტაო. ეს შემაშფოთებელი სიგნალი იყო. მათ უკან (ნიუპორტის გადასახვევთან, მისტერ გრეის ახლანდელი ადგილსამყოფლიდან დაახლოებით სამოცი მილის დაშორებით) სამკაციანი ჯგუფი მოდიოდა მკაფიო კონტაქ-

ტით: „პერლი“. ძაღლის მსგავსად, პერლიც ატარებდა მუცლით ბაირუსს, ამიტომ მისტერ გრეის მისი კარგად ესმოდა. ადრე ასეთივე სიგნალებს მეორისგან, ფრედისგანაც იღებდა, მაგრამ ბოლო დროს ის დუმდა. მასში არსებული ბაირუსი დაიღუპა. „პერლიმ“ ასე თქვა.

გზის პირას მწვანე საგზაო ნიშანმა გაიელვა, წარწერით „დასვენების ზონა“. იქ აუცილებლად იქნებოდა „სამეფო ბურგერი“, რომელიც ჯოუნსის ფაილებში „რესტორნისა“ და „სწრაფი კვების სასაუზმის“ სახით იყო განმარტებული, სადაც ბეკონის შეკვეთა შეიძლებოდა. ამის გაფიქრებაზეც კი მუცელი სიხარულით აუბუყბუყდა. აბა, უარი როგორ ეთქვა – მას მრავალმხრივ შეეძლო მისთვის სიამოვნების მინიჭება. მაგრამ ახლა ბეკონისთვის ვერ მოიცლიდა. მანქანა უნდა გამოეცვალა. თანაც ისე, რომ ვერავის შეემჩნია.

დასვენების ზონაში ორი გზა შედიოდა: ერთი – მსუბუქი ავტომანქანებისთვის, მეორე კი – მხოლოდ სატვირთო მანქანებისა და ავტობუსებისთვის. მისტერ გრეიმ დიდი ნარინჯისფერი თოვლსაწმენდი სატვირთო მანქანების ავტოსადგომისკენ წაიყვანა (ჯოუნსის დაღლილობისგან ხელები უკანკალებდა). იქ გვერდიგვერდ მდგარ, ოთხ ზუსტად მისნაირ თოვლსაწმენდს მოჰკრა თვალი და გახარებულმა მანქანა მათი რიგის ბოლოში დააყენა.

ახლა ჯოუნსისთან საუბრისთვისაც მოიცალა. ის უცნაურ თავშესაფარში იჯდა, მისტერ გრეის იქ შესვლა არ შეეძლო.

– რა ჩაიფიქრე, პარტნიორო? – ჩაიბურტყუნა მისტერ გრეიმ.

კითხვა უპასუხოდ დარჩა, მაგრამ გრძნობდა, რომ ჯოუნსი უსმენდა.

– რას აკეთებ?

კვლავ დუმილი. ანდა რა უნდა გაეკეთებინა ჩაკეტილს, დაბრმავებულსა და კავშირის გარეშე დარჩენილს. და მაინც, ჯოუნსის დავიწყება არ ღირდა... ჯოუნსი, მისი ამაღელვებელი წინადადებით, – მისტერ გრეის დაევიწყებინა მიზანი, თესლის დათესვა, და დედამი-

წაზე ცხოვრებით დამტკბარიყო. ეს აზრი – ჯოუნსის მიერ ნებაყოფლობითი საპატიმროს კარქვეშ ამოდებული გზავნილი – ჯიუტად წამოჰყოფდა ხოლმე თავს სრულიად შეუფერებელ დროს. ჯოუნსის ფაილების მიხედვით, ამგვარ მოკლე, უბრალო და ადვილად გასაგებ აზრებს „სლოგანი" ეწოდებოდა. უკანასკნელი სლოგანი იუწყებოდა, რომ „ბეკონი – მხოლოდ დასაწყისია". მისტერ გრეი არც კი დაეჭვებულა, რომ ეს სიმართლე იყო. იგი ჯერ კიდევ საავადმყოფოს პალატაში (რომელი პალატა? რომელი საავადმყოფო? ვინ არის მარსი? ვის სჭირდება ნემსის გაკეთება?) მიხვდა, რომ აქ ცხოვრებას არაფერი სჯობდა. მაგრამ ბრძანება მკაფიო, არაორაზროვანი და შეუვალი იყო: მას აქაურობა ბაირუსის სპორებით უნდა მოეფინა, შემდეგ კი მომკვდარიყო. მაგრამ თუ გზად ბეკონის ჭამასაც მოასწრებდა, არაფერი დაშავდებოდა.

– ვინ იყო რიჩი? ისიც „ვეფხვი " იყო? რატომ მოკალით?

მისტერ გრეი პასუხს ვერც ახლა ეღირსა, მაგრამ ჯოუნსი უსმენდა, თანაც ყურადღებით. მისტერ გრეის ეზიზღებოდა მისი იქ ყოფნა – თითქოს ყელში თევზის პატარა ფხა გასჩხეროდა (ღიმილი ჯოუნსის მეხსიერების საცავიდან). არც ისე დიდი, რომ დაეხრჩო, მაგრამ გამუდმებით ჩხვლეტდა და ხელს უშლიდა.

– საშინლად მაღიზიანებ, ჯოუნსი, – მან ხელთათმანები ჩაიცვა, რომელიც ადრე „დოდჯის" მფლობელს, ლედის პატრონს ეკუთვნოდა.

ამჯერად პატიმარმა პასუხი გასცა: „მეც იმავეს ვგრძნობ, პარტნიორო. რატომ თვითონ არ წახვალ იქ, სადაც სიამოვნებით მიგიღებენ? "

– არ შემიძლია, – მიუგო მისტერ გრეიმ და ხელი კოლისკენ გაიშვირა. ლედმა მადლიერებით დაყნოსა, რადგან ხელთათმანზე ძველი პატრონის სუნი იგრძნო. მისტერ გრეიმ გონებით წყნარად ჯდომა უბრძანა, თვითონ კი მანქანიდან გადავიდა და რესტორანს შემოუარა. შენობის უკან კიდევ ერთი ავტოსადგომი უნდა ყოფილიყო –

თანამშრომლებისთვის.

„ჰენრი და მისი ამხანაგი მალე დაგიჭერენ, შე დამპალო. ვერსად გაექცევი. ამიტომ მოდუნდი და დრო გაატარე, სამმაგი ბეკონი შეუკვეთე".

– ისინი ვერ მომაგნებენ, – თქვა მისტერ გრეიმ და პირიდან ორთქლი გამოუშვა (პირსა და ყელში სიგრილის შეგრძნებამ სიმხნევე შემატა, ბენზინისა და დიზელის სუნიც კი საუცხოოდ ეჩვენებოდა), – თუ მე ვერ ვპოულობ მათ, ვერც ისინი მიპოვიან.

ჯოუნსის გაეცინა – მართლა გაეცინა. მოულოდნელობისგან შემცბარი მისტერ გრეი ნაგვის ურნის გვერდით შეჩერდა.

„წესები შეიცვალა, ჩემო მეგობარო. მათ დადიტსს შეუარეს, დადიტსი კი ხაზს ხედავს".

– არ ვიცი, ეს რას ნიშნავს.

„ყველაფერი იცი, შე დამპალო".

– ასე ნუ მეძახი! – შეუღრინა მისტერ გრეიმ.

„თუ ჩემს ინტელექტს არ შეურაცხყოფ, იქნებ დაგიჯერო კიდეც".

მისტერ გრეი გზას გაუყვა. იქვე, კუთხეში, რამდენიმე მანქანა იდგა, ძირითადად, ძველი და შელახული.

„დადიტსი ხაზს ხედავს".

მან მართლაც იცოდა, რას ნიშნავდა ეს. ამის ნიჭი, მცირე დოზით, იმასაც ჰქონდა, პიტი რომ ერქვა. თუმცა ამ უცნაურ არსებასთან, დადიტსთან, ახლოსაც ვერ მოვიდოდა.

მისტერ გრეის სულაც არ ეპიტნავებოდა იმის გაცნობიერება, რომ დადიტსი მის კვალს მიჰყვებოდა, მაგრამ მან ისეთი რამ იცოდა, რასაც ჯოუნსი ვერც კი წარმოიდგენდა. „პერლის" აზრით, ჰენრი, ოუენი და დადიტსი მისგან სამხრეთით, სულ რაღაც, თხუთმეტი მილის მანძილზე იმყოფებოდნენ. თუ ეს სიმართლეს შეესაბამებოდა, ჰენრი და ოუენი ორმოცდახუთი მილით ჩამორჩებოდნენ და, შესაძლოა, ჯერაც პიტსფილდსა და უოტერვილს შორის მოძრაობდნენ.

ასე რომ, უახლოესი დროის განმავლობაში მას ვერაფერს დააკლებ-დნენ.

თუმცა აქ დიდხანს ყოფნას აზრი არ ჰქონდა.

რესტორნის უკანა კარი გაიღო და უნიფორმაში გამოწყობილმა ახალგაზრდა კაცმა (მის სამოსს ჯოუნსის ფაილები განმარტავდა, როგორც „მზარეულის წინსაფარს") ნაგვით სავსე ორი დიდი ტომარა გამოიტანა ურნაში ჩასაყრელად. მას ჯონი ერქვა, მაგრამ მეგობრები ბაჩს[197] ეძახდნენ. მისტერ გრეი სიამოვნებით მოკლავდა ამ ახალგაზრდას, მაგრამ იგი ჯოუნსიზე გაცილებით ღონიერი და მოხერხებული ჩანდა, თანაც მკვლელობა რამდენიმე არასასიამოვნო ეფექტსაც იწვევდა, რომელთა შორის ყველაზე ცუდი გატაცებული მანქანის თავიდან მოშორება იყო.

„გამარჯობა, ბაჩ".

ბაჩი შეჩერდა და შეშფოთებით მიაჩერდა მას.

„რომელია შენი მანქანა?"

სიმართლე ითქვას, მანქანა მას კი არა, დედამისს ეკუთვნოდა. ეს უკეთესიც იყო. ბაჩს თავისი დაჟანგული ჯაბახანა შინ ეყენა, რადგან აკუმულატორი აღარ უვარგოდა. ამიტომაც დედის ოთხამძრავიანი „სუბარუ" წამოეყვანა. მისტერ გრეის, როგორც ჯოუნსი იტყოდა, კოჭი კვლავ ალჩუზე დაუჯდა.

ბაჩმა დაუზარებლად გაუწოდა გასაღები. კვლავაც შეშფოთებული იყურებოდა ("თვალანთებული და კუდაპრეხილი" – ჯოუნსის განმარტებით, თუმცა, რამდენადაც მისტერ გრეი ხედავდა, მას კუდი არ ჰქონდა), მაგრამ გონება გასთიშოდა.

ვეღარ აზროვნებს, – გაიფიქრა მისტერ გრეიმ და თქვა: – შენ არაფერი დაგამახსოვრდება.

– არაფერი, – დაეთანხმა ბაჩი.

„ახლა სამუშაოს დაუბრუნდი".

– სხვაგან სად უნდა წავიდე, – კვლავ არ შეეწინააღმდეგა ბაჩი,

[197] დაკუნთული, ძლიერი.

ტომრებს ხელი დაავლო და ნაგვის ურნისკენ გაეშურა. იმ დროისთვის, როდესაც ცვლას დაასრულებდა და მიხვდებოდა, რომ დედამისის მანქანა სადღაც გაქრა, ყველაფერი დამთავრებული იქნებოდა.

მისტერ გრეიმ წითელი „სუბარუს" კარი გამოაღო და შიგნით შეძვრა. მგზავრის სავარძელზე კარტოფილის ჩიფსის ნახევრად სავსე პაკეტი იდო. მისტერ გრეი ხარბად დააცხრა მას და ღეჭვა-ღეჭვით მიადგა თოვლსაწმენდს, რათა იქიდან ძაღლი გადმოეყვანა. პაკეტი რომ დაცალა, ჯოუნსის თითები გაილოკა. ცხიმიანი იყო. გემრიელი. ბეკონს ჰგავდა.

მან ძაღლი მანქანაში ჩაისვა და ხუთი წუთის შემდეგ უკვე ტრასას მიუყვებოდა.

სამხრეთისაკენ! სამხრეთისაკენ! სამხრეთისაკენ!

2

ღამის სიმყუდროვეში ხმამაღალი მუსიკა, სიცილი და აღგზნებული ხმები გაისმის, ჰაერში გრილში შემწვარი ჰოთდოგის, შოკოლადის და არაქისის მაცდური სუნი ტრიალებს, ცაში ფერადი შუშხუნები ფეთქდება. ამ საყოველთაო მხიარულებას სტროფორდ-პარკში დაყენებული დინამიკებიდან წამოსული როკ-ენ-როლი აერთიანებს ზაფხულის ავტოგრაფივით:

ჰეი, ლამაზო, თუ აქ მოგწყინდა,

ალაბამაში წავიდეთ – გინდა?

ამ დროს გამოჩნდება მსოფლიოში ყველაზე მაღალი კოვბოი, ცხრაფუტიანი პეკოს ბილი. იგი ზემოდან, აბრიალებული ციდან დასცქერის ხალხს. ნაყინით სახემოთხუპნილი პატარები პირდაღებულნი მისჩერებიან მას. გამხიარულებული მშობლები ბავშვებს მხრებზე ისვამენ, რათა მათ ყველაფერი უკეთ დაინახონ. პეკოს ბილი ერთი ხელით შლაპას იქნევს, მეორეში კი ბანერი უჭირავს, წარწერით „დერის დღეები – 1981".

ჩვენ ფეხით წავალთ სადგურისკენ,
ღამეს გავათევთ იქ ორ რაუნდად,
თუკი სიჩუმე თავს მოგვაბეზრებს,
ჩხუბის მიზეზის პოვნას რა უნდა!

– ოორ ეულია იო აეთი აალი? – კითხულობს დადიტსი, რომელსაც ტკბილი ბამბის ცისფერი კონუსი ძირს დაუშვია და სამი წლის ბავშვივით გაფართოებული თვალებით შესცქერის ოჩოფეხებზე მდგარ კოვბოის, თავი რომ შუშხუნებით აელვარებული ცისთვის მიუბჯენია. დადიტსის მარჯვნივ პიტი და ჯოუნსი დგანან, მარცხნივ – ჰენრი და ბივი. კოვბოის უკან ქურუმ ქალწულთა გუნდი მოჰყვება (მათ შორის ნამდვილად იქნება ერთ-ორი ქალწული ამ დალოცვილ 1981 წელსაც კი). კილიტებით გაწყობილი კოვბოური ქვედაწელი და კოვბოური თეთრი ჩექმა აცვიათ და მაღლა-დაბლა სწევენ კვერთხებს.

– არ ვიცი, როგორ შეუძლია იყოს ასეთი მაღალი, დადს, – პასუხობს პიტი ღიმილით, ბამბას ცოტას მოაგლეჯს და დადიტსს გაღებულ პირში უდებს, – ეს, ალბათ, ჯადოქრობაა.

ყველას ეცინება იმაზე, თუ როგორ ღეჭავს დადიტსი და თან თვალს არ აცილებს ოჩოფეხებზე შემდგარ კოვბოის. დადსი ყველაზე მაღალია, ჰენრიზეც კი, მაგრამ კვლავინდებურად პატარა ბავშვივით იქცევა, და ეს ბიჭებს აღაფრთოვანებს. სინამდვილეში, ჯადოქარი მხოლოდ თვითონაა. თუმცა ჯოზი რინკენჰაუერს დადიტსი მხოლოდ მომავალ წელს იპოვის, ბიჭებს არასდროს შეჰპარვიათ ეჭვი, რომ იგი ჭეშმარიტი ჯადოქარია. მართალია, მათ გვარიანად შეეშინდათ, როდესაც რიჩი გრენადოსა და მის ამხანაგებს დაუპირისპირდნენ, მაგრამ ახლაც სჯერათ, რომ ის მათი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღე იყო.

წამოდი ჩემთან, არ მითხრა „არა“,
წინ გველოდება ჩვენ ალაბამა!

– ჰეი, ტექს[198] – ეძახის ბივი მაღალ კოვბოის და თავის შლაპას იქნევს (ბეისბოლის კეპს „"დერელი ვეფხვების" ემბლემით), – მაკოცე ტაკოში, ახმახო! თუ გინდა ამაზე დაჯექი და იტრიალე!

სიცილისგან მუცელი ლამის გაუსკდეთ (მათ სამუდამოდ დაამახსოვრდებათ ეს ღამე და შუშხუნებით განათებული ცა, როდესაც ბივერი ოჩოფეხებზე შემდგარ კოვბოის აბრაზებდა), ყველას, გარდა დადიტსისა, რომელიც მომხდარს კვლავაც გაოცებით მიშტერებია, და – ოუენ ანდერჰილისა ("ოუენ! – ფიქრობს ჰენრი, – შენ როგორღა გაჩნდი აქ, მეგობარო? "), რომელიც შეშფოთებული იჭმუხნება.

ოუენი ანჯღრევს მას, ეუბნება, რომ გაიღვიძოს.

– ჰენრი, გაიღვიძე, გა...

3

– ...გაიღვიძე, ღვთის გულისთვის!

საბოლოოდ, სწორედ ოუენის ათრთოლებულმა ხმამ გამოაღვიძა ჰენრი. ჯერაც გრძნობდა მოხალული არაქისისა და ტკბილი ბამბის სუნს. ამ დროს ძილ-ღვიძილში რეალობა შემოიჭრა: თეთრი ცა, დათოვლილი გზატკეცილი, მწვანე საგზაო ნიშანი, წარწერით „ოგასტა, მომდევნო ორი გადასახვევი". ოუენი კვლავ ანჯღრევდა, უკნიდან კი ხრინწიანი, სასოწარკვეთილი, მყეფარა ... ხმა მოისმოდა. დადიტსი ახველებდა.

– გაიღვიძე, ჰენრი! სისხლი მოსდის! იქნებ გაიღვიძო, შენი...

– გავიღვიძე, გავიღვიძე.

მან უსაფრთხოების ქამარი შეიხსნა, შეტრიალდა და მუხლებზე დადგა. გადაღლილ თეძოს კუნთებში ტკივილი იგრძნო, მაგრამ ყურადღება არ მიაქცია.

ყველაფერი იმაზე უკეთ აღმოჩნდა, ვიდრე ელოდა. როდესაც ოუენის პანიკური ყვირილი მოესმა, გაიფიქრა, დადიტსი სისხლისგან იცლებაო. მას ცალი ნესტოდან სისხლი სდიოდა, პირიდან კი ყოველ

[198] ტეხასელების მეტსახელი.

დახველებაზე წვრილად აშხეფებდა. ოუენს, ალბათ, ეგონა, რომ იგი ფილტვებიდან სისხლს ანთხევდა, სინამდვილეში კი მხოლოდ ყელი გადაღლოდა. ცხადია, პოტენციურ საფრთხეს ესეც შეიცავდა. ასეთი მძიმე მდგომარეობისას, წვრილმანიც კი შეიძლება კატასტროფად იქცეს, უბრალო გაციებამაც კი შეიძლება კაცი მოკლას. ჰენრი თავიდანვე მიხვდა, რომ დადსი უკანასკნელ გზაზე იდგა.

– დადს! – მკვეთრად შესძახა მან. მასში რაღაც შეიცვალა. რაღაც ახალი აქვს, ჰენრი. მაგრამ რა? ამაზე ფიქრის დრო არ ჰქონდა, – დადიტს, ცხვირით ისუნთქე! ცხვირით, დადიტს! აი ასე.

ჰენრიმ რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა. ყოველ ამოსუნთქვაზე ნესტოებიდან თეთრი ღინღლი ცვიოდა, როგორც რძიანას ან ბაბუაწვერას. ეს ბაირუსია, – გაიფიქრა ჰენრიმ, – ცხვირში იზრდებოდა, მაგრამ უკვე დაიღუპა. მე ბაირუსს ვაცემინებ. მან გააცნობიერა, რომ თეძო, პირის ღრუ და საზარდული აღარ ექავებოდა. ენა კვლავინდებურად ნოხივით ხორკლიანი ჰქონდა, მაგრამ ქავილი აღარ აწუხებდა.

დადიტსმა მიჰბაძა და ცხვირით შეუდგა სუნთქვას. ახლა ისე მძაფრად აღარ ახველებდა. ჰენრიმ პაკეტი მოჩხრიკა, ხველის საწინააღმდეგო, უვნებელი, უსპირტო სიროფი მოძებნა და დადიტსს დაუსხა.

– დალიე და მოგეშვება, – უთხრა თავდაჯერებულად, თან ცდილობდა, რომ ასე ეფიქრა კიდეც – დადიტსთან ურთიერთობისას სიტყვებთან ერთად ფიქრებიც მნიშვნელოვანი იყო.

დადიტსმა „რობიტუსინი" გადაყლაპა, დაიჭყანა და ჰენრის გაუღიმა. ხველა შეუწყდა, მაგრამ ცხვირიდან და თვალის კუთხიდან სისხლი კვლავ სდიოდა. საქმეს ცუდი პირი უჩანდა. დადიტსს ფერი დაჰკარგოდა და ლოყები ჩაცვივნოდა. ამას ემატებოდა მისი მდგომარეობისთვის შეუფერებელი სიცივე, უძილობა და აღელვება. იგი ავად იყო. მლლ-ის ბოლო სტადიაზე კი რესპირატორული ინფექციაც სასიკვდილო საფრთხეს შეიცავდა.

– კარგად არის? – ჰკითხა ოუენმა.

– დადსი? დადსი რკინისაა. არა, დადიტს?

– ინის, – დაეთანხმა დადიტსი და საშინლად გამხდარი ხელი მოხარა.

დადიტსის დაღლილი, გაწამებული, მაგრამ მოღიმარი სახის დანახვაზე ჰენრის ყვირილი მოუნდა. ცხოვრება რომ უსამართლო იყო, კარგა ხანია, იცოდა და შეეგუა კიდეც ამას. მაგრამ ის, რაც ახლა ხდებოდა, უსამართლობას აღემატებოდა. შემზარავი უსამართლობა – სწორედ ეს სიტყვები შეეფერებოდა.

– ვნახოთ, რისი დალევა შეუძლიათ კარგ ბიჭებს, – თქვა მან და საუზმის კოლოფი გახსნა.

– უბი-დუ, – თქვა დადიტსმა. იღიმებოდა, მაგრამ ხმა დასუსტებოდა.

– აბა, საქმეს მივხედოთ, – თქვა ჰენრიმ და თერმოსს თავი მოხადა. მან დადიტსს „პრედნიზონის" აბი მისცა, თუმცა ჯერ რვა საათი არ შესრულებულიყო, და ჰკითხა, „პერკოსენი" თუ უნდოდა. დადი წამით დაფიქრდა და ორი თითი ასწია. ჰენრის გული მოუკვდა, – არაფრად ვარგა, არა? – ჰკითხა და დადიტსს წამალი გაუწოდა. პასუხს არც ელოდა – დადიტსისნაირი ადამიანები კაიფის დასაჭერად ზედმეტ ტაბლეტს არ მოითხოვდნენ.

დადიტსმა ხელი ჩაიქნია, რაც ნიშნავდა: comme ci, comme ça.[199] ჰენრის კარგად ახსოვდა ეს ჟესტი. იგი ისევე დამახასიათებელი იყო მისთვის, როგორც პიტისთვის ფანქრების, ბივისთვის კი კბილსაჩიჩქნების ღეჭვა.

რობერტას დადიტსის თერმოსი მისი საყვარელი შოკოლადიანი რძით გაევსო. ჰენრიმ რძე ფინჯანში ჩაასხა, დაელოდა, სანამ „ჰამერი" გზის მოლიპულ მონაკვეთს დასძლევდა, და დადიტსს გაუწოდა. მან წამალი დალია და რძე მიაყოლა.

– სად გტკივა, დადს?

---

[199] ისე რა (ფრ).

– აქ, – ხელი ყელზე მიიდო, – აქ ურო, – ახლა მკერდზე ანიშნა, ბოლოს კი ოდნავ გაწითლდა, შარვლის ბარტყს შეეხო და გაუბედავად ჩაილაპარაკა, – აქაც.

შარდ-სასქესო ტრაქტის ინფექცია, – გაიფიქრა ჰენრიმ, – დალახვროს ეშმაკმა!

– უეთ არ ავები?

– აუცილებლად გახდები უკეთ, – თავის დაქნევით მიუგო ჰენრიმ, – აბები გიშველის, ოღონდ, ცოტა მოითმინე. ჩვენ ისევ ხაზს მივყვებით, დადიტს?

დადიტსმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხელი წინ გაიშვირა. ჰენრიმ გაიფიქრა (პირველად არა), – ნეტა რას ხედავსო. ერთხელ იგივე შეკითხვა პიტს დაუსვა, რომელმაც აუხსნა, რომ ეს რაღაც ძაფის მაგვარი იყო, რომელიც ზოგჯერ ძლივს ჩანდა.

„კარგია, თუ იგი ყვითელია, – თქვა მან, – არ ვიცი, რატომ, მაგრამ უფრო ადვილი გასარჩევია".

მაგრამ თუ პიტი წვრილ ყვითელ ძაფს ხედავდა, დადიტსი ალბათ – განიერ ყვითელ ზოლს ან ყვითელი აგურით მოკირწყლულ გზას, რომელსაც დოროთი[200] მიუყვებოდა.

– თუ ხაზი სხვა გზაზე გადავა, მითხარი, კარგი?

– აგი.

– ხომ არ დაგეძინება?

დადიტსმა თავი გააქნია. უცნაური ის იყო, რომ იგი ასეთი გამოცოცხლებული და მხნე არასდროს ყოფილა. დაქანცულ სახეზე თვალები ვარსკვლავებივით უბრწყინავდა, ასე ზოგჯერ ნათურა ანათებს ხოლმე გადაწვის წინ.

– თუ ძილი მოგერევა, გვითხარი და მანქანას გავაჩერებთ, შენთვის ყავას ვიშოვით. ჩვენ არ გვეძინება.

– აგი.

---

[200] ფრენკ ბაუმის ოზის ქვეყანაზე შექმნილი ზღაპრების ციკლის მთავარი გმირი.

ჰენრი აპირებდა, ფრთხილად შეტრიალებულიყო, კუნთები რომ არ სტკენოდა, როდესაც დადიტსმა დაამატა:

– ისერ ეის ეონი უდა.

– მართლა? – ჰკითხა ჰენრიმ ჩაფიქრებული სახით.

– რაო? – დაინტერესდა ოუენი, – ვერ გავიგე.

– ამბობს, რომ მისტერ გრეის ბეკონი უნდა.

– ეს მნიშვნელოვანია?

– არ ვიცი. მომისმინე, აქ ჩვეულებრივი რადიომიმღები თუ არის? იქნებ ახალი ამბებისთვის მოგვესმინა.

ჩვეულებრივი რადიომიმღები ხელსაწყოების პანელის ქვემოთ ეკიდა. ცოტა ხნის წინ დაეყენებინათ. საწყის კომპლექტში იგი არ შედიოდა. ოუენმა მისკენ ხელი გაიწვდინა, მაგრამ უეცრად ფეხი მუხრუჭს დააჭირა, რათა მის წინ ჩამდგარ სრულამძრავიან, ზაფხულის საბურავებიან „პონტიაკს“ არ დასჯახებოდა. „პონტიაკი“ მოცურდა, მაგრამ ბედმა გაუღიმა და გზიდანაც კი არ გადავიდა. მძღოლმა სიჩქარეს მოუმატა და მანქანა წინ გაიჭრა. ჰენრის გაანგარიშებით, იგი საათში არანაკლებ სამოცდახუთ კილომეტრს ავითარებდა. ოუენი მოიღუშა.

– რა თქმა უნდა, მე მხოლოდ მგზავრი ვარ, – თქვა ჰენრიმ, – მაგრამ თუ ყველა ბავშვს შეუძლია ასეთი მანევრირება ზამთრის საბურავების გარეშე, იქნებ, ჩვენც შევფუცხუნებულიყავით? კარგი იქნებოდა, მანძილს თუ შევამცირებდით.

– „ჰამერი“ ტალახში უკეთ დადის, ვიდრე თოვლში. შეგიძლია მენდო.

– და მაინც...

– ჩვენ მას ათი წუთის შემდეგ დავინახავთ. ერთ კვარტ243 კარგ ვისკიზე გენაძლევები. ან დამცავ ზღუდეს გაარღვევს და სადმე ყრილზე ეგდება, ან ღერძულა ხაზზე გაიჩხირება. თუ გაუმართლა, მარჯვენა გვერდი ზემოთ ექნება. თანაც... ცხადია, ტექნიკური დე-

ტალებია, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ გაქცეულები ვართ, ხელისუფლებას ვემალებით, და, თუკი ასე ვიზოზინებთ, კაცობრიობას ვერ გადავარჩენთ... ღმერთო ჩემო!

მათ ღრიალით ჩაუქროლა და თოვლის კორიანტელი დააყენა სრულამძრავიანმა „ფორდ-ექსპლორერმა", რომელსაც ამგვარი ამინდისთვის შეუფერებელი, საათში თითქმის სამოცდაათი მილის სიჩქარე განევითარებინა. სახურავზე დამაგრებული საბარგული სავსე იყო დაუდევრად შეკრული და ბრეზენტით სანახევროდ დაფარული ჩემოდნებითა და ჩანთებით. სულაც არ იქნებოდა გასაოცარი, თუ ეს ყველაფერი მალე გზაზე აღმოჩნდებოდა მოფანტული.

დადიტსს რომ მიხედა, ჰენრიმ გზა ყურადღებით შეათვალიერა. ნანახს არ გაუოცებია. შემხვედრ მხარეს თითქმის არავინ მოძრაობდა, არც სამხრეთის მიმართულებით შეიმჩნეოდა მანქანების მატება. ოუენმა რადიო სწორედ მაშინ ჩართო, როდესაც „მერსედესმა" გადაასწრო და ტალახი ააშხეფა. მან თითი ძებნის ღილაკს დააჭირა და კლასიკურ მუსიკას მიაგნო, კვლავ დააჭირა და იუმორისტულ არხზე მოხვდა, მესამედ დააჭირა... და ხმა გაისმა.

– ...უზარმაზარი, გასაოცარი მოსაწევი, – განაცხადა ვიღაცამ. ჰენრიმ და ოუენმა ერთმანეთს გადახედეს.

– აიუანას ეევა, – შენიშნა უკანა სავარძელზე მჯდომმა დადიტსმა.

– სწორია, – თავი დააქნია ჰენრიმ, როდესაც ხმის პატრონმა მიკროფონში ხმამაღლა ამოისუნთქა, – მარიხუანას ეწევა და, როგორც ჩანს, ბალახი არ დანანებია.

– მეეჭვება, რომ კავშირგაბმულობის ფედერალურმა კომისიამ ეს მოიწონოს, – განაგრძო დიჯეიმ მორიგი ღრმა და ხმაურიანი ნაფაზის დარტყმის შემდეგ, – მაგრამ თუ იმის ნახევარი მაინც სიმართლეა, რაც გავიგონე, კფკ[201] ყველაზე ნაკლებად უნდა გვადარდებდეს.

[201] კავშირგაბმულობის ფედერალური კომისია.

უბედურება ისაა, რომ ჩვენთან ვარსკვლავთშორისი ჭირი შემოიჭრა. მას გინდ „ცხელი ზონა“ უწოდეთ, გინდ – „მკვდარი ზონა“ ან „ბინდბუნდის ზონა“, მაგრამ ეცადეთ, ჩრდილოეთისგან თავი შორს დაიჭიროთ.

კიდევ ერთი ღრმა და ხმაურიანი ნაფაზი.

– ძმებო და დებო, მარსელი მარვინი მარშით მოემართება, როგორც ამას სომერსეტისა და ქასლის ოლქებიდან გადმოგვცემენ. ჭირი, სიკვდილის სხივები, ცოცხლებს მკვდრების შურთ.

გაისმა ტკაცატკუცი. თითქოს პლასტმასის საგანი გატყდა. ჰენრი მონუსხულივით უსმენდა. აი, ისიც, სულ ახლოს არის – წყვდიადი, მისი ძველი მეგობარი, ოღონდ ამჯერად არა თავში, არამედ ამ წყეულ რადიოში.

– ძმებო და დებო! თუ ახლა ოგასტას ჩრდილოეთით იმყოფებით, მოუსმინეთ თქვენს მეგობარს, მარტოხელა დეივს WWWE–დან: საპირისპირო მხარეს გადადით და სამხრეთისკენ გასწიეთ. დაუყოვნებლივ. გზაში კი მუსიკას არ მოგაკლებთ.

მარტოხელა დეივმა WWWE–დან, ცხადია, The Doors[202] გაუშვა. ჯიმ მორისონი მონოტონურად შეუდგა „დასასრულის“ მღერას. ოუენი საშუალო სიხშირეებზე გადაერთო და მალე ახალი ამბების გამოშვებას მიაგნო. დიქტორის ხმა ისე ტრაგიკულად აღარ ისმოდა, რაც უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მან თქვა, რომ პანიკის საფუძველი არ არსებობდა – კიდევ ერთი ნაბიჯი წინ. შემდეგ ეთერში პრეზიდენტისა და მენის შტატის გუბერნატორის გამოსვლის ნაწყვეტები გაისმა. ორივენი დაახლოებით ერთსა და იმავეს ამბობდნენ: „მშვიდად, მოქალაქენო, არ ინერვიულოთ, ყველაფერს ვაკონტროლებთ“. ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი, დამამშვიდებელი ლაქლაქი – რობიტუსინი პოლიტიკოსებისთვის. პრეზიდენტი ამერიკელი ხალხის წინაშე გამოსვლას აღმოსავლეთის სასარტყლო დროით დილის თერთმეტის ნახევარზე აპირებდა.

---

[202] ამერიკული როკჯგუფი, შეიქმნა 1965 წ-ს.

– ის სიტყვაა, რომლის შესახებაც კურცი ამბობდა, – გაახსენდა ოუენს, – ოღონდ ერთი დღით გადაუწევიათ.

– რომელი სიტყვა...

– ჩუ-უ-უ, – ოუენმა რადიოზე მიუთითა.

ასეთი სანუგეშო გამოსვლის შემდეგ დიქტორი კვლავაც აფორიაქებდა მსმენელებს დაუსრულებელი ჭორებით, რომლებიც მათ უკვე მოესმინათ კაიფში წასული დიჯეისგან, ოღონდ – უფრო დახვეწილი ფორმით: ჭირი, უცხოპლანეტელები, სიკვდილის სხივები. ამას ამინდის პროგნოზი მოჰყვა: თოვა წვიმასთან ერთად, ძლიერი ქარი თბილი ფრონტის სახით – მკვლელ მარსელებზე რომ აღარაფერი ვთქვათ – ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლებდა. შემდეგ გაისმა მოკლე-მოკლე სიგნალები და გადაცემის გამეორება დაიწყო.

– ეედეთ! – შესძახა დადიტსმა; „შეხედეთ! " – აიროეს, – „შეხედეთ, ჩაგვიქროლეს".

დადიტსმა თითი ჭუჭყიან ფანჯარას მიადო. თითიც ისევე უცახცახებდა, როგორც მთელი სხეული. კბილებიც კი უკაწკაწებდა.

ოუენმა „პონტიაკს" გახედა, რომელიც მართლაც შუაგზაზე გაჩხერილიყო, თუმცა ამოყირავებას გადარჩენოდა. დაბნეული მგზავრები გარს შემოხვეოდნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ. ოუენმა მხრები აიჩეჩა და დადიტსს მიუბრუნდა – საცოდავად მოკუნტულს სახეზე ფერი არ ედო, ცალი ნესტოდან გასისხლიანებული ბამბა მოუჩანდა.

– ჰენრი, როგორ არის?

– არ ვიცი.

– აბა, ენა გამოყავი.

– ხომ არ გგონია, რომ აჯობებს, გზას...

– მე მშვენივრად ვარ, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ. ენა გამოყავი.

ჰენრი დაემორჩილა. ოუენმა შეხედა და შუბლი შეიჭმუხნა.

– საშინლად გამოიყურება, მაგრამ იქნებ ყველაფერი არც ისე ცუდადაა. ის რაღაც გათეთრებულა.

– ნაჭრილობევ ფეხზეც ასეა. შენს სახესა და წარბებზეც. გაგვიმართლა, რომ ფილტვებში, ტვინში ან კუჭში არ შეაღწია. სხვათა შორის, პერლმუტერს იგი კუჭში ჰყავს. საბრალო, ამ საზიზღარი ქმნილების ინკუბატორად იქცა.

– შორს არიან, ჰენრი?

– ვფიქრობ, ჩვენგან ოცი მილის დაშორებით. იქნებ, უფრო ახლოსაც. შენ რომ ცოტათი მაინც მოუჩქარო...

ოუენი ასეც მოიქცა. იცოდა, რომ კურციც იმავეს გააკეთებდა – სიჩქარეს მოუმატებდა, როგორც კი მიხვდებოდა, რომ მასობრივი სვლის ნაწილი გახდა და იმის ალბათობა, რომ სამოქალაქო ან სამხედრო პოლიცია მის ძებნას შეუდგებოდა, ძალიან მცირე იყო.

– შენ კვლავაც კავშირზე ხარ პერლისთან, – გაოცდა ოუენი, – თუმცა ბაირუსი კვდება, მაინც...

მან თითი გაიშვირა უკანა სავარძლისკენ, რომელზეც დადიტსი ნახევრად მიწოლილიყო და ისე ძლიერ აღარ კანკალებდა.

– რასაკვირველია, – თავი დაუქნია ჰენრიმ, – ეს დადიტსისგან ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ გადმომეცა. მარტო მე კი არა, ბივერსაც, ჯოუნსისაც და პიტსაც. ჩვენ მას თითქმის ვერ ვამჩნევდით, ჩვეულებრივ ამბად მიგვაჩნდა, – „რა თქმა უნდა. ისევე, როგორც ფიქრები სამართებლის, აბაზანის, ხიდის მოაჯირებისა და სანადირო თოფების შესახებ. ჩვეულებრივ ამბად", – უბრალოდ, ახლა გაძლიერდა. დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ისევ შესუსტდეს, მაგრამ ჯერჯერობით... – მან მხრები აიჩეჩა, – ხმები მესმის.

– პერლის?

– მისიც, – თავი დაუქნია ჰენრიმ, – და სხვებისაც, ვის ორგანიზმშიც ბაირუსია გააქტიურებული. ძირითადად, მათი, ვინც ჩვენ უკანაა.

– ჯოუნსის ხმაც? შენი მეგობარი ჯოუნსის? ან გრეის?

ჰენრიმ თავი გააქნია.

– მაგრამ პერლის რაღაც ესმის.

– პერლის? ეს როგორ?

– ბაირუსის გამო მას გაცილებით ფართო ტელეპათიური დიაპაზონი აქვს.

– ეს რაღაა?

– ქმნილება, რომელიც უკანალში უზის, – აუხსნა ჰენრიმ, – ტრაწიანი სინდიოფალა.

ოუენს წამსვე მუცლის ტკივილმა წამოუარა.

– ის, ვისიც ესმის, ადამიანი არ არის. არა მგონია, ეს მისტერ გრეი იყოს, მაგრამ ვინ იცის? მხოლოდ იმას ვხვდები, რომ პერლი მასზეა დამოკიდებული.

ორივე გაჩუმდა. მანქანების რიცხვი გაიზარდა. მძღოლები, რომლებიც გიჟებივით მიქროდნენ, სადმე, გზისპირა თხრილში ამთავრებდნენ გზას. ოგასტას სამხრეთით მიტოვებულ, ნაავარიებ „ექსპლორერს" წამოეწივნენ, რომლის ბარგიც აქეთ-იქით გაფანტულიყო. ოუენის აზრით, მათ ჯერჯერობით უმართლებდათ. ქარიშხლის შიშით, ბევრ მძღოლს ადგილიდან დაძვრა ვერ გაებედა, მაგრამ ახლა, როდესაც ქარბუქი ჩადგა, ყველანი სამხრეთისკენ გაიქცეოდნენ. ოუენმა მოახერხა და პირველ ტალღას გადაასწრო. ქარიშხალი მათ მიმართ კეთილგანწყობას იჩენდა, თითქმის მეგობარი გამხდარიყო.

– რაღაც მინდა, იცოდე, – თქვა ოუენმა.

– ლაპარაკით თავს ნუ შეიწუხებ. ჩემ გვერდით ზიხარ, მე კი კვლავაც შემიძლია შენი ფიქრების წაკითხვა.

ოუენი ფიქრობდა, „ჰამერი" გაეჩერებინა, გადასულიყო და კურცს დალოდებოდა. მაგრამ არ იცოდა, კურცი მას თუ დასჯერდებოდა და დევნას შეწყვეტდა. ამისი ნაკლებად სჯეროდა. მართალია, კურცის მთავარი სამიზნე ოუენ ანდერჰილი იყო, მაგრამ იგი ხვდებოდა, რომ ოუენი საშინელ ღალატზე მხოლოდ გამოუვალი მდგომარეობის გამო თუ წავიდოდა. არა, ის ანდერჰილს ტყვიას ჩააჭედებდა და დევნას გააგრძელებდა. ოუენთან ერთად ჰენრის გამარჯვების შანსი ჰქონდა, მის გარეშე კი ვერ გადარჩებოდა. ვერც დადიტსი.

– ჩვენ ერთად ვიქნებით. როგორც ამბობენ, კუბოს ფიცრამდე მეგობრებად დავრჩებით, – ჩაილაპარაკა ჰენრიმ.

– ენ ერ ერი ამე ავს, – მოესმა უკანა სავარძლიდან.

– მართალი ხარ, დადს, – ჰენრი დადიტსისკენ შეტრიალდა და ცივ ხელზე ხელი მოუჭირა, – ჩვენ ჯერ ბევრი საქმე გვაქვს.

4

ათი წუთის შემდეგ საბოლოოდ გამოცოცხლებულმა დადიტსმა ოგასტას გასცდნენ თუ არა, პირველივე დასვენების ზონისკენ გაიშვირა ხელი. იქიდან ლუისტონამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა.

– აქ! აქ! – შესძახა და კვლავ ხველა აუტყდა.

– დაწყნარდი, დადიტს, – უთხრა ჰენრიმ.

– იქნებ აქ ყავისა და ნამცხვრისთვის შემოიარეს, – გამოთქვა ვარაუდი ოუენმა, – ან ბეკონის სენდვიჩისთვის.

მაგრამ დადიტსმა ჟესტით ანიშნა, რესტორნისთვის შემოევლოთ. ისინი თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ავტოსადგომთან შეჩერდნენ. ცა კვლავ ღრუბლებს დაეფარა. დადიტსი მანქანიდან გადავიდა. ცოტა ხანს ერთ ადგილზე იდგა, რაღაცას ბურტყუნებდა და ქარის ყოველ დაბერვაზე მისი გამხდარი და დასუსტებული სხეული ოდნავ ირწეოდა.

– ჰენრი, – თქვა ოუენმა, – არ ვიცი, მის თავში რა ხდება, მაგრამ კურცი კვალში გვიდგას, და...

ამ დროს დადიტსმა თავი დააქნია, მანქანაში ჩაჯდა და ხელი გასასვლელისკენ გაიშვირა. საოცრად დაქანცული, მაგრამ, იმავდროულად, კმაყოფილიც ჩანდა.

– რას ნიშნავს ეს ყველაფერი, ღვთის გულისთვის? – იკითხა გაოგნებულმა ოუენმა.

– ვფიქრობ, მან მანქანა გამოიცვალა, – თქვა ჰენრიმ, – ასეა, დადიტს? მანქანა გამოიცვალა?

დადიტსმა თავი ენერგიულად დაიქნია.

– ოიარა! ოიარა! ანანა!

– მანქანა მოიპარა? ახლა უფრო ჩქარა ივლის, – ამოიოხრა ჰენრიმ, – მიდი, ოუენ. კურცი აღარ მადარდებს, მისტერ გრეი უნდა შევიპყროთ.

ოუენმა ჰენრის შეხედა... შემდეგ ისევ გახედა მას.

– რა დაგემართა? ძალიან გაფითრდი.

– ნამდვილი სულელი ვარ! თავიდანვე უნდა მივმხვდარიყავი იმ ნაძირალას ჩანაფიქრს. მხოლოდ ის თუ გამამართლებს, რომ დაღლილი და შეშინებული ვარ, თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, თუკი... ოუენ, აუცილებლად უნდა დაეწიო. ის დასავლეთ მასაჩუსეტსისკენ მიემართება, მაგრამ ჩასვლამდე უნდა შევიპყროთ.

ახლა ისინი აშხეფებდნენ ტალახიან თოვლს აქეთ-იქით. ტალახი გაცილებით მეტი იყო. მიუხედავად ამისა, ოუენი თამამად აწვებოდა აქსელერატორს, ოღონდ ეს სითამამე საათში მხოლოდ სამოცდახუთ მილს ჰყოფნიდა.

– შევეცდები, მაგრამ თუ რამე ხათაბალას არ გადაეყარა ან სადმე არ შეყოვნდა, – თქვა ოუენმა და თავი გადააქნია, – არა მგონია, მეგობარო, არა მგონია.

5

ბავშვობაში ამ სიზმარის ხშირად ხედავდა (მაშინ გვარად კუნცი იყო), მაგრამ როცა წამოიზარდა, ერთხელ თუ ორჯერ ნახა ოფლში გაწურულმა: თითქოს სავსემთვარეობისას მინდორში გარბოდა და უკან მიხედვის ეშინოდა, რადგან ის მისდევდა. ის. რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიქროდა. ცხადია, ვერაფერს ახერხებდა. სიზმარში ზედმეტად გაჭაჭვას აზრი არ ჰქონდა, მაინც არაფერი გამოვიდოდა. ის კი თითქმის დაეწია და ისე ახლოს მივიდა, რომ კურცი მის მშრალ სუნთქვასა და სპეციფიკურ მშრალ სუნს გრძნობდა.

დიდი, წყნარი და ძალიან ლამაზი ტბის ნაპირზე აღმოჩნდა (მისი ბავშვობისდროინდელ უფერულ და გასაცოდავებულ კანზასში ტბა

არ იყო და ვერც იქნებოდა), მის სიღრმეში მთვარე ანთებული ლამპარივით აირეკლებოდა და კურცს შიში იპყრობდა, რადგან ტბა უნდა გადაეცურა, ცურვა კი არ იცოდა.

მუხლებზე დაეცა, – ამ ადგილამდე სიზმარი არაფრით განსხვავდებოდა ბავშვობაში ნანახისგან, – მაგრამ იმის ნაცვლად, რომ უძრავ წყალში იმის, იმ საშინელი საფრთხობელას ანარეკლი დაენახა, რომელსაც თავი ბამბით გამოეტენა, გაბერილ ხელებზე კი ლურჯი ხელთათმანები წამოეცვა, – კურცმა ამჯერად ოუენ ანდერჰილი დაინახა... მას სახეზე წითელი წინწკლები ეყარა. მთვარის შუქში ბაირუსი უზარმაზარ, ღრუბლოვან და უფორმო შავ ხალებს ჰგადა.

პატარაობისას ყოველთვის ამ ადგილზე ეღვიძებოდა (ხშირად გამაგრებული ასოთი, თუმცა მხოლოდ ღმერთმა იცოდა, რატომ იწვევდა საშინელი სიზმარი ბავშვში ასეთ რეაქციას), მაგრამ ახლა ის... ოუენი... მართლაც შეეხო მას, საყვედურით სავსე თუ გაკვირვებული თვალებით მიაჩერდა.

„ვინაიდან ბრძანებას არ დაემორჩილე, მეგობარო! ვინაიდან ზღვარს გადახვედი! "

მან ხელი ასწია, ოუენისთვის რომ ეკრა, ის გზიდან ჩამოეშორებინა... და მთვარის შუქზე დაინახა, რომ ოუენი განაცრისფრებულიყო.

„არა, – გაივლო გულში, – ეს მთვარის შუქის ბრალია".

მაგრამ რატომ ჰქონდა მხოლოდ სამი თითი? ამაშიც მთვარის შუქი იყო დამნაშავე?

ოუენის ხელი მას ეხება, საძაგელ დაავადებას გადასცემს... და კიდევ ბედავს, რომ ეძახის...

6

– ბოს! გაიღვიძეთ, ბოს!

კურცმა თვალი გაახილა, უკმაყოფილო ბურტყუნით წამოიწია და

ფრედის ხელი მოიცილა, რომელიც მხარზე კი არა, მუხლზე ედო. თავისი ადგილიდან ფრედი მხოლოდ მის მუხლს სწვდებოდა და აჯანჯღარებდა, მაგრამ ესეც აუტანელი იყო.

– მღვიძავს, მღვიძავს.

რომ დარწმუნებულიყო ორივე ხელი თვალებთან მიიტანა. მართალია, ახალშობილივით ვარდისფერი ხელები არ ჰქონდა, იქამდე ბევრი აკლდა, მაგრამ არც ნაცრისფერი ედო, თითოეულზე კი, როგორც ყოველთვის, ხუთი თითი ება.

– რომელი საათია, ფრედი?

– არ ვიცი, ბოს. მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დილაა.

რა თქმა უნდა. ყველა საათი გაჩერდა, ჯიბისაც კი. კურცს, რომელიც თანამედროვეობის ისეთივე მსხვერპლი იყო, როგორიც სხვები, საათის მომართვა დავიწყებოდა. თუმცა, მძაფრად აღიქვამდა დროს და ახლაც მიხვდა, რომ ცხრა საათი იქნებოდა. მაშასადამე, ორი საათი სძინებია. მეტი ჯობდა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო, თავს გაცილებით უკეთ გრძნობდა. საკმაოდ კარგად, რათა ფრედის ხმაში შეშფოთება დაეჭირა.

– რა მოხდა, მეგობარო?

– პერლი ამბობს, რომ კონტაქტი დაკარგა. ყველასთან. ბოლოს ოუენს დაუკავშირდა, მაგრამ ისიც გაქრა. პერლის ვარაუდით, მან სოკო დაამარცხა.

კურცმა უკანა ხედვის სარკეში უსიცოცხლო სახეზე ღიმილი შეამჩნია, რაც ნიშნავდა: მე-თქვენ-ყველანი-გაგასულელეთ.

– რა მოხდა, არჩი?

– არაფერი, – არჩი თითქოს ცოტათი გამოცოცხლდა და დამშვიდდა, სანამ კურცს ეძინა, – მე... ბოს, მწყურია. არ მშია, მაგრამ...

– გავჩერდებოდით წყლის დასალევად, – თქვა კურცმა, – კონტაქტი რომ გვქონდეს. თუ ყველანი დავკარგეთ, – ჯოუნსიც, ოუენიც და დევლინიც, – ხომ კარგად მიცნობ, მეგობარო, სიკვდილის წინ ძა-

ლიან მწარედ ვიკბინები, ორი ქირურგი და პისტოლეტი იქნება საჭირო, ხელი რომ შემიშალონ. შეგიძლია, წყურვილით მოკვდე, სანამ მე და ფრედი, კვალის პოვნის მიზნით, სამხრეთისკენ მიმავალ გზებს არ გადავაქოთებთ, ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს დახმარებას არ მოინდომებ. მიდი, არჩი, ფრედის ვუბრძანებ, პირველივე შემხვედრ მაღაზიასთან გააჩეროს. მე თვითონ შევირბენ Stop&Go–სა ან შევენ–Eლევენ-ში და ყველაზე დიდი ბოთლით ჩაცივებულ Pოლანდ შპრინგ-ს გიყიდი. აბა, როგორ ჟღერს?

საუცხოოდ ისმოდა, რადგან პერლმუტერმა ხარბად გააწკლაპუნა პირი და ტუჩები გაილოკა (ტუჩებსა და ლოყებზე „რიპლი" მოსდებოდა, ალაგ-ალაგ – მოწითალო, ძირითადად – მუქი შინდისფერი), მაგრამ თვალები ეშმაკურად მოეწკურა. სოკოს ფუფხით მოჩარჩოებული თვალები აქეთ-იქით დაურბოდა. გული გულს იცნობსო, ნათქვამია, და კურცი წამსვე ყველაფერს მიხვდა: პერლი გაგიჟებულიყო.

– ისე გეუბნებით, როგორც აღსარებაზე – მათთან კავშირი დავკარგე, – თქვა არჩიმ, თან თითი ცხვირზე მიიდო და კურცს სარკიდან კვლავ ეშმაკურად გახედა.

– როგორც კი მათ შევიპყრობთ, ვფიქრობ, აუცილებლად მოგარჩენთ, ჩემო ბიჭუნი, – სცადა დარწმუნება კურცმა თავისი ცივი, ოფიციალური, გულგრილი კილოთი, – ვისთან გაქვს კონტაქტი? ჯოუნსისთან? თუ იმ ახალ ტიპთან, დადიტსთან? (კურცმა ეს სახელი ისე წარმოთქვა, როგორც „დად-დატსი".)

– მათთან არა. არავისთან.

მაგრამ თითი კვლავ ცხვირზე მიედო და ცელქი ბავშვივით იყურებოდა.

– მითხარი და წყალს მიიღებ, – არ ეშვებოდა კურცი, – თუ ჩემი მოთმინების გამოცდას გაარძელებ, რიგითო, ტყვიას დაგაჭედებ და გარეთ მოგისვრი. მიდი, წაიკითხე ჩემი აზრები და თქვი, რომ გატყუებ.

პერლიმ კურცს სარკიდან პირქუშად გახედა და თქვა:

– ჯოუნსი და მისტერ გრეი კვლავაც გზატკეცილზე არიან, პორტლენდთან ახლოს. ჯოუნსიმ მისტერ გრეის აუხსნა, თუ როგორ უნდა შემოუაროს ქალაქს 295-ე ავტომაგისტრალით. ოღონდ ეს სიტყვებით არ უთქვამს. მისტერ გრეი მის თავშია და, როდესაც რამე უნდა, უბრალოდ, ეძებს და პოულობს.

კურცი მას მომეტებული მოკრძალებით უსმენდა და რაღაცას ანგარიშობდა.

– ძაღლი, – განაგრძო პერლიმ, – მათთან ძაღლია, სახელად ლედი. მე სწორედ მასთან მაქვს კონტაქტი. ის... მე მგავს, – მათი თვალები კვლავ შეხვდა ერთმანეთს სარკეში, ოღონდ, ამჯერად, პერლის ეშმაკობისა აღარაფერი ეცხო. მას ნახევრად ნორმალური ადამიანის გამომეტყველება ჰქონდა, – თქვენი აზრით, მართლა შემიძლია გავხდე ის... ხომ გესმით... ვინც ვიყავი?

კურცი ხვდებოდა, რომ პერლის ნებისმიერ წამს შეეძლო მის გონებაში შეღწევა, ამიტომ გადაწყვიტა, ფრთხილად ემოქმედა.

– ვფიქრობ, არსებობს შანსი, რომ ამ ტვირთისგან გათავისუფლდე. ამისათვის კარგი ექიმი დაგვჭირდება. ჰო. ასეთი რამ სავსებით შესაძლებელია. ცოტა მეტი ქლოროფორმი, და როცა გაიღვიძებ... ფუუჰ, და მორჩა.

კურცმა თითის წვერები შეაერთა და აკოცა, შემდეგ კი ფრედის მიუბრუნდა:

– თუ ისინი პორტლენდში არიან, რამდენით ჩამოვრჩებით?

– დაახლოებით სამოცდაათი მილით, ბოს.

– მაშინ სიჩქარეს მოუმატე და მადლობა უფალს. სწრაფად იმოძრავე, მაგრამ შეეცადე, თხრილში არ გადაეშვა.

სამოცდაათი მილი. და თუ ოუენმა, დევლინმა და დად-დატსმა იციან ის, რაც პერლმუტერმა იცის, ისინიც კვალს მიჰყვებიან.

– მოდი, არჩი, დამიზუსტე. მისტერ გრეი ჯოუნსიში ზის...

– დიახ...

– და მათთან ერთად ძაღლია, რომელიც აზრებს კითხულობს?

– არა, მას ესმის, მაგრამ ვერაფერს იგებს. ის ხომ მხოლოდ და მხოლოდ ძაღლია. მწყურია, ბოს.

„ის ისე უსმენს ძაღლს, როგორც რადიოს", – გაოცდა კურცი.

– ფრედი, შემდეგი გადასახვევი. ირგვლივ სულ წყალია.

მას საოცრად არ უნდოდა გაჩერება და დროის დაკარგვა, მაგრამ პერლმუტერი სჭირდებოდა. თანაც, კარგ ხასიათზე, თუ ეს შესაძლებელი იყო.

წინ სწორედ ის დასვენების ზონა გამოჩნდა, სადაც მისტერ გრეიმ თავისი თოვლსაწმენდი მზარეულის „სუბარუზე" გადაცვალა. და სადაც ცოტა ხნით ოუენმა და ჰენრიმაც შეიარეს, რადგან იქ ყვითელმა ხაზმა მიიყვანა. ავტოსადგომი მანქანებით იყო სავსე, მაგრამ, მადლობა ღმერთს, მათ ცოტაოდენი ხურდა ფული აღმოაჩნდათ და სავაჭრო ავტომატებამდე მიაღწიეს.

7

რა გამარჯვებები და მარცხიც უნდა შეემატოს ეგრეთ წოდებულ „ფლორიდულ პრეზიდენტობას" (მათი სრული სია ჯერაც გამოუქვეყნებელია), მის აქტივში ყოველთვის იქნება ერთი: სიტყვით გამოსვლამ ნოემბრის იმ დილას ბოლო მოუღო კოსმოსურ შიშს.

მისი ეფექტიანობის მიზეზებზე განსხვავებული მოსაზრებები გაჩნდა ("მასების გაძღოლის უნარი კი არ აქვს, უბრალოდ, ხელსაყრელი მომენტი შეარჩია", – დამცინავად ქირქილებდა ერთი კრიტიკოსი), მაგრამ მან იმუშავა. ინფორმაციას მოწყურებული ხალხი, რომელიც საცხოვრებელი ადგილიდან აყრილიყო და გარბოდა, პრეზიდენტის გამოსვლის მოსასმენად ჩერდებოდა. სავაჭრო ცენტრებში საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიები მდუმარე, დაბნეულ ლტოლვილებს გაევსოთ. I-95 გზატკეცილის გასწვრივ მდებარე ბენზინგასამართი სადგურების თანამშრომლები, კლიენტების მომსახურების ნაცვლად, იკეტებოდნენ, სალაროების გვერდით ტელევიზორებს

დგამდნენ და გაფაციცებით მიშტერებოდნენ ეკრანებს. ბარებში ნემსიც არ ჩავარდებოდა. ბევრგან, ადგილობრივი მცხოვრებლები ყველას უღებდნენ კარს, ვისაც კი პრეზიდენტის გამოსვლის ყურება სურდა. მათ რადიოთიც შეეძლოთ მოსმენა (ჯოუნსისა და მისტერ გრეის მსგავსად) თავიანთ მანქანებში, მაგრამ ასე ცოტა იქცეოდა. პრეზიდენტის არაკეთილმოსურნეთა აზრით, მან მხოლოდ ინერციით აგორებული პანიკა შეაჩერა.

– ასეთ დროს მის ადგილას პორკი-ფიგი[203] რომ გამოსულიყო, ისიც იმავე შედეგს მიაღწევდა, – ამბობდა ერთ-ერთი.

მეორე განსხვავებულ აზრს გამოთქვამდა:

– ეს გარდამტეხი მომენტი იყო კრიზისულ ვითარებაში. გზებზე ექვსი ათასამდე მანქანა იდგა. ერთი არასწორი გამონათქვამი და მათი რიცხვი ასჯერ გაიზრდებოდა. ეს ტალღა, ყველაზე დიდი „მტვრიანი თასის"[204] შემდეგ, ნიუ-იორკს დაატყდებოდა თავს. ამერიკელებმა, განსაკუთრებით ახალი ინგლისის მცხოვრებლებმა, თავიანთ, უმნიშვნელო უპირატესობით არჩეულ ლიდერს დახმარებისთვის, ნუგეშისა და გამხნევებისთვის მიმართეს. და მანაც ყველა დროის საუკეთესო, გულში ჩამწვდომი გამოსვლით უპასუხა. ეს იყო და ეს.

მოკლედ, სოციოლოგიამ გადაწონა თუ პრეზიდენტის სიბრძნემ, გამოსვლა თითქმის ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც ოუენი და ჰენრი ელოდნენ... რაც შეეხება კურცს, მან ყოველი სიტყვა და ინტონაციაც კი იწინასწარმეტყველა. გამოსვლის ქვაკუთხედი იყო ორი უბრალო იდეა – უტყუარი ფაქტის სახით წარმოდგენილი და იმ შიშის გაფანტვაზე გათვლილი, რომელსაც ამერიკელი მოქალაქეები შეეპყრო. პირველი: მიუხედავად იმისა, რომ უცხოპლანეტელები ზეთისხილის რტოებს არ იქნევდნენ და არც საჩუქრებს არიგებდნენ, – მტრულ და-

[203] მულტსერიალ „გიჟური მელოდიების" პერსონაჟი გოჭი.
[204] მტვრიანი ქარიშხალი ამერიკაში.

მოკიდებულებას არ იჩენდნენ. მეორე: მართალია, მათ ახალი ვირუსი შემოიტანეს, მაგრამ მისი იზოლირება ჯეფერსონტრექტის მიდამოებში მოხერხდა (პრეზიდენტმა რუკაზე ისევე მარჯვედ აჩვენა ის ადგილი, როგორც სინოპტიკოსმა – დაბალი წნევის ზონა). და იქაც კი იღუპებოდა მეცნიერებისა და სამხედრო ექსპერტების ყოველგვარი ჩარევის გარეშე.

– თუმცა დანამდვილებით თქმა შეუძლებელია, – მიმართა პრეზიდენტმა სულგანაბულ მსმენელს (განსაკუთრებით მათ, ვინც ახალი ინგლისის ჩრდილო-აღმოსავლეთ დერეფანში აღმოჩნდა – ისინი თითქოს საერთოდ აღარ სუნთქავდნენ), – დარწმუნებული ვართ, ეს ვირუსი ჩვენმა სტუმრებმა უნებლიეთ შემოიტანეს, იმ მოგზაურთა მსგავსად, რომლებმაც საზღვრის გადმოკვეთისას არც კი იციან, რომ მათ ბარგსა თუ სხვა ნივთებში მწერებსა და მიკრობებს დაუბუდებიათ. ცხადია, მებაჟეები ყველაფერს ამოწმებენ, მაგრამ, სამწუხაროდ... – ღიმილი დიდებული თეთრი მამის სახეზე – ... ჩვენს უკანასკნელ სტუმრებს საბაჟო-გამშვები პუნქტის კონტროლი არ გაუვლიათ. დიახ, რამდენიმე ადამიანი დაინფიცირდა. ძირითადად – სამხედრო მოსამსახურეები, მაგრამ აბსოლუტურმა უმრავლესობამ ეს ავადმყოფობა (რომელიც ჩვეულებრივ სოკოს დაავადებას, მიკოზს წააგავს) დამოუკიდებლად დაამარცხა. რაიონში კარანტინია გამოცხადებული, ზონის გარეთ მყოფ ადამიანებს კი საფრთხე არ ემუქრება, ვიმეორებ, მათ საფრთხე არ ემუქრება, – თუ თქვენ მენში ცხოვრობთ და სახლი მიატოვეთ, – განაცხადა პრეზიდენტმა, – უკან დაბრუნდით. როგორც ფრანკლინ დელანო რუზველტმა თქვა, შიშის გარდა საშიში არაფერია.

მას კრინტიც არ დაუძრავს რუხი კაცუნების დახვრეტის, ხომალდის აფეთქების, შეპყრობილი და ინტერნირებული მონადირეების, გოსლინის მაღაზიაში გაჩენილი ხანძრისა და ამბოხის, აგრეთვე მათ შესახებ, რომლებსაც „იმპერიალის ხეობის" რაზმი კეიტ გალაჰერის

მეთაურობით დასდევდა და ცოფიანი ძაღლებივით ხოცავდა (მრავალთა აზრით, ისინი ცოფიან ძაღლებზე უარესები იყვნენ). არც ერთი სიტყვა კურცისა და „ტიფიანი ჯოუნსის" თაობაზე. პრეზიდენტმა მხოლოდ პანიკის ტალღა დააცხრო, რათა უკონტროლო ვითარება არ შექმნილიყო.

მსმენელთა უმრავლესობამ რჩევა ყურად იღო და შინ დაბრუნდა.

ზოგიერთისთვის ეს, ცხადია, შეუძლებელი აღმოჩნდა.

ზოგისთვისაც სიტყვა „შინ" აღარ არსებობდა.

8

მოქუფრული ცის ქვეშ მცირერიცხოვანი პროცესია სამხრეთისკენ მიემართებოდა. მას წინ მიუძღოდა დაჟანგული წითელი „სუბარუ", რომელსაც ლიჩფილდელი მარი ტერჟენი ვეღარასოდეს იხილავდა. ჰენრი, ოუენი და დადიტსი მას ორმოცდათხუთმეტი მილით, ანუ ორმოცდათხუთმეტი წუთით ჩამორჩებოდნენ. კურცი და მისი ხალხი 81-ე მილზე მდებარე დასვენების ზონიდან გამოვიდნენ (გზატკეცილზე გასვლისას პერლი უკვე „ნაიას" მეორე ბოთლს ყლურწავდა) და ჯოუნსისა და მისტერ გრეის დაახლოებით სამოცდათხუთმეტი მილით ჩამორჩებოდნენ, კურცსა და მის პირველ პოტენციურ მსხვერპლს ერთმანეთისგან ოცი მილი აშორებდა.

ღრუბლები რომ არა, დაბლა მფრენი სპორტული თვითმფრინავიდან დამკვირვებელი ადვილად დაინახავდა სამივეს – „სუბარუსა" და ორივე „ჰამერს" – ზუსტად თერთმეტ საათსა და ორმოცდასამ წუთზე, აღმოსავლეთის დროით, სწორედ მაშინ, როდესაც პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა შემდეგი სიტყვებით დაამთავრა:

– ღმერთმა დაგლოცოთ, ჩემო თანამემამულეებო, და ღმერთმა დალოცოს ამერიკა.

ამ დროს ჯოუნსი და მისტერ გრეი ქითერი-პორტსმუთის ხიდზე გადადიოდნენ ნიუ-ჰემპშირის მიმართულებით. ჰენრი, ოუენი და და-

დიტსი მე-9 გადასახვევს გასცდნენ, საიდანაც ფალმუტში, კამბერ-ლენდსა და იერუსალიმს-ლოტში შეიძლებოდა მოხვედრა. კურცი, ფრედი და პერლმუტერი (ამ უკანასკნელს მუცელი კვლავ გაჰბერო-და; ნახევრად მიწოლილი კვნესოდა და აყროლებულ გაზებს უშვებ-და – შესაძლოა, ამით, ერთგვარად, დიდებულ თეთრ მამას აკრიტი-კებდა) ბოუდუინჰემის 295-ე გადასახვევთან, ბრუნსვიკის სიახლო-ვეს, მის ჩრდილოეთით იმყოფებოდნენ. სამივე მანქანის ადვილად დანახვა იმიტომ შეიძლებოდა, რომ გზა თითქმის ცარიელი იყო – მძღოლები გაჩერებულიყვნენ, რათა ფერადი რუკის ფონზე მჯდარი პრეზიდენტის დამამშვიდებელი ლექციით დამტკბარიყვნენ.

მისტერ გრეიმ, რომელიც ჯოუნსის ულევი მოგონებებით იკვებე-ბოდა, ნიუ-ჰემპშირისა და მასაჩუსეტსის საზღვრის გადაკვეთისთა-ნავე 95-დან 495-ე გზაზე გადაუხვია... და უნებლიეთ დადიტსსაც უკარნახა მიმართულება, რომელიც ჯოუნსის გზას ხასხასა ყვითელი ზოლის სახით ხედავდა – „ჰამერი" სწორედ იმ ხაზს მიჰყვებოდა. პა-ტარა ქალაქ მალბოროში მისტერ გრეი I-90-ზე, ამერიკის აღმოსავ-ლეთისა და დასავლეთის ერთ-ერთ ყველაზე ფართო ავტოსტრადაზე გადავიდოდა. „ყურის შტატში"[205] ეს გზა „მას-პაიკის" სახელით იყო ცნობილი. ჯოუნსის თანახმად, მე-8 გადასახვევს პალმერი, ამჰერ-სტი და უეირი მოსდევდნენ. უეირიდან ექვს მილში კი კუებინი მდე-ბარეობდა.

მას მე-12 ჭაბურღილი სჭირდებოდა, ასე თქვა ჯოუნსიმ, და რო-გორც უნდა მოენდომებინა, ვერ მოიტყუებოდა. უინძორის კაშხლის გვერდით, კუებინის წყალსაცავის სამხრეთ ბოლოში, წყალმომარა-გების სამმართველოს ოფისი მდებარეობდა. ჯოუნსის თავისუფლად შეეძლო მისი იქ მიყვანა, დანარჩენზე კი მისტერ გრეი იზრუნებდა.

9

[205] მასაჩუსეტსის შტატის მეტსახელი.

ჯოუნსის მაგიდასთან ჯდომა აღარ შეეძლო: სკამზე დაშვებისთანავე ტირილს იწყებდა. საცაა, ხმამაღლა ლაპარაკზე გადავიდოდა, შემდეგ კი კედელს ახლიდა თავს. ასეთ ყოფას ვეღარ გაუძლებდა და გარეთ გავარდებოდა, სადაც მისტერ გრეის ხელში აღმოჩნდებოდა და საკუთარ თავს მსხვერპლად მიართმევდა.

„საინტერესოა, სად ვართ? – ფიქრობდა იგი, – მალბოროში უკვე ჩავედით? 495-დან 90-ზე გადავდივართ? მგონი, ასე უნდა იყოს“.

დაკეტილი ფანჯრის გამო დაზუსტებით ვერაფერს იტყოდა. ჯოუნსიმ იქით გაიხედა... და უნებურად გაეღიმა: „დანებდი და გამოდის“ ნაცვლად, წითლად ეწერა ის, რაზეც ცოტა ხნის წინ ფიქრობდა: „დროთი, დანებდი“.

მე ეს შევძელი და მზად ვარ, დავნაძლევდე, რომ, თუ მოვინდომე, ამ წყეული დარაბების მოშორებასაც მოვახერხებ, – გაიფიქრა მან.

მერე რა? მისტერ გრეი ახალს დააყენებდა, ფანჯრებს სულაც შავად შეღებავდა. თუკი არ სურდა, რომ ჯოუნსის გარეთ გაეხედა, ასეც მოხდებოდა. საუბედუროდ, მისტერ გრეი მის სხეულს მართავდა. მისტერ გრეის თავი გაუსკდა, სპორები ჯოუნსის თვალწინ გადმოიფრქვა – დოქტორი ჯეკილი[206] მისტერ ბაირუსად იქცა – და ჯოუნსიმ ის შეისუნთქა. ახლა მისტერ გრეი იყო...

ის ტკივილია, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – მისტერ გრეი ჩირქია ჩემს ტვინში.

რაღაც სუსტად ეწინააღმდეგებოდა ასეთ ფიქრებს და საიდანღაც კოჰერენტული, განსაკუთრებული აზრი გაჩნდა, – „შენ ყველაფერს თავდაყირა აყენებ, სწორედ შენ აითესე, გაიქეცი, დაიმალე“, – მაგრამ ჯოუნსიმ იგი უკუაგდო. ეს ფსევდოინტუიციური ნაგავი იყო, გონების შეფერხება, ჰალუცინაცია – მირაჟივით , რომელსაც უდაბნოში უწყლოდ გათანგული ადამიანი ხედავს. იგი აქ არის ჩაკეტილი,

[206] შოტლანდიელ მწერალ რობერტ სტივენსონის მოთხრობის, „დოქტორი ჯეკილისა და მისტერ ჰაიდის უცნაური თავგადასავლის“ გმირი.

მისტერ გრეი გარეთაა, ბეკონს მიირთმევს და აღლუმს ხელმძღვანელობს. თუკი ჯოუნსი თავს სხვაგვარად ფიქრის უფლებას მისცემს, ნოემბერშიც კი პირველ აპრილს გამასხრებულ იდიოტს დაემსგავსება.

„როგორმე უნდა შევაყოვნო. თუ მისტერ გრეის შეჩერებას ვერ შევძლებ, იქნებ, გზა მაინც გავურთულო დროში შეთანხმებულად მიმდინარე? "

იგი წამოდგა და ოფისი მოიარა. სულ ოცდათოთხმეტი ნაბიჯი გამოვიდა. ძალიან პატარა მანძილი. თუმცა პატიმრის საკანზე დიდი მაინც იყო. უოლპოლის, დენვერის ან შოსჰენკის ციხეში გამომწყვდეულ ბიჭებს იგი სასახლედ მოეჩვენებოდათ. ჭერის შუაში სიზმართმჭერი ავგაროზი კვლავინდებურად ირხეოდა და ცეკვავდა. ჯოუნსის გონების ერთი ნაწილი ნაბიჯებს ითვლიდა, მეორე კი ფიქრობდა, თუ რა მანძილზე იმყოფებოდნენ მასპაიკის მე-8 გადასახვევიდან.

„ოცდათერთმეტი, ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი, ოცდათოთხმეტი".

იგი კვლავ თავის სკამთან აღმოჩნდა. მეორე რაუნდის დრო დადგა.

ისინი სულ მალე უეირში იქნებოდნენ... და, ცხადია, არ შეჩერდებოდნენ. რუსი ქალისგან განსხვავებით, მისტერ გრეიმ ზუსტად იცოდა, რაც სჭირდებოდა.

„ოცდათორმეტი, ოცდაცამეტი, ოცდათოთხმეტი, ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი".

სკამს შემოუარა და ახალი წრისთვის მოემზადა.

ოცდაათი წლისთვის მას და კარლას უკვე სამი შვილი ჰყავდათ (მეოთხეს ჯერ ერთი წელიც არ შესრულებოდა), და თუნდაც მოკრძალებულ ოსბორნროუდზე, ჩრდილოეთ უეირში მდებარე საზაფხულო კოტეჯზეც კი არ ოცნებობდნენ. მოულოდნელად, ფაკულტეტზე სე-

ისმური ძვრა მოხდა. დეკანად მისი მეგობარი დანიშნეს, მან კი ჯოუნსი მაშინვე სრული პროფესორის თანამდებობაზე გადაიყვანა – ამაზე, სულ ცოტა, სამი წლის განმავლობაში ვერც კი იოცნებებდა. ხელფასიც საგრძნობლად მოემატა.

„ოცდათხუთმეტი, ოცდათექვსმეტი, ოცდაჩვიდმეტი, ოცდათვრამეტი“.

კვლავ სკამის გარშემო. მართალია, გალიაში დამწყვდეულივით დადიოდა, მაგრამ ეს ცოტათი ამშვიდებდა მაინც.

იმავე წელს კარლას ბებია გარდაიცვალა და გვარიანი ქონებაც დატოვა, რომელიც მემკვიდრეობით ერგოთ კარლასა და მის დას, როგორც უახლოეს ნათესავებს. სწორედ ასე იყიდეს კოტეჯი. გასულ წელს კი ბავშვები უინძორის კაშხლის დასათვალიერებლად წაიყვანეს, საიდანაც ერთ-ერთ საზაფხულო ტურისტულ მარშრუტს გაუყვნენ. მუქმწვანე უნიფორმაში გამოწყობილმა მეგზურმა, მასაჩუსეტსის წყალმომარაგების სამმართველოს თანამშრომელმა, უამბო მათ, რომ კუებინის წყალსაცავის მიმდებარე რაიონი „თვითმყოფად ველურ გარემოდ“ იწოდებოდა და ის მასაჩუსეტსში არწივების ძირითად სამკვიდრებლად მიიჩნეოდა (ჯონსა და მიშას მათი დანახვა სურდათ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ). წყალსაცავი ოცდაათიან წლებში აეგოთ, რისთვისაც სამი დასახლებული პუნქტი დაეტბორათ – თითოეულის შუაგულში პატარა ცენტრალური ქალაქი მდებარეობდა. იმ დროს ტბის გარშემო ყველაფერი კეთილმოწყობილი იყო, მაგრამ სამოცი წლის შემდეგ ბუნებამ თავისი გაიტანა და იქაურობამ ისეთივე სახე მიიღო, ახალ ინგლისს რომ ჰქონდა მეჩვიდმეტე საუკუნეში, სამრეწველო რევოლუციამდე, სანამ პროგრესი გიგანტური ნაბიჯებით წაიწევდა წინ. ოღროჩოღრო, მოუკირწყლავი გზები და ბილიკები ქაოსურად მომრავლდა ტბის გარშემო, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე სუფთა წყალსაცავი იყო ჩრდილოეთ ამერიკაში. და ცივილიზაციაც ამით დასრულდა. თუკი ვინმეს მე-12 ჭაბურღი-

ლის მიღმა, აღმოსავლეთის ქედზე, ბუნების დათვალიერების სურვილი წამოუვლიდა, სქელლანჩიანი მძიმე ფეხსაცმელი უნდა ჩაეცვა. ეს მათ გიდმა, გვარად ლორინგტონმა უთხრა.

ჯგუფში კიდევ ათი-თორმეტი ტურისტი მაინც იყო, იმ დროისთვის თითქმის ყველანი საწყის პუნქტში დაბრუნდნენ და უინძორის კაშხლის გადამკვეთი გზის ბოლოში იდგნენ (კუებინი ცისფრად ლაპლაპებდა მზის შუქზე და უთვალავ სარკისებურ ნატეხად იფანტებოდა. ჯოუის მშვიდად ეძინა „კენგურუში", რომელიც ჯოუნსის ეკეთა. ლორინგტონს სათქმელი დაემთავრებინა და უკვე დამშვიდობებას აპირებდა, როდესაც სპორტულ პიჟამაში გამოწყობილმა ახალგაზრდამ ხელი მოწაფესავით ასწია და იკითხა:

– ეს ის მე-12 ჭაბურღილი ხომ არ არის, სადაც რუსმა ქალმა...?

„ოცდათვრამეტი, ოცდაცხრამეტი, ორმოცი, ორმოცდაერთი"...

და უკან, მაგიდასთან მდგარ სკამთან.

მექანიკური თვლა მისი ძველი ჩვევა იყო. კარლას ეს მანიაკურ სინდრომად მიაჩნდა. ჯოუნსი ამაში ვერ ერკვეოდა, უბრალოდ, იცოდა, რომ თვლა ამშვიდებდა, ამიტომ მორიგ წრეზე წავიდა.

რუსი ქალის ხსენებაზე ლორინგტონმა ტუჩები მოკუმა. როგორც ჩანს, ამ თემაზე საუბარი მის ლექციაში არ შედიოდა. და, რასაკვირველია, არც ტურისტების კარგ განწყობას უწყობდა ხელს. რა თქმა უნდა, ბევრი რამ იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რომელ მუნიციპალურ მილებში მიედინებოდა წყალი რვა-ათი მილის მანძილზე, მაგრამ სისუფთავითა და გემოთი ბოსტონის წყალსადენის წყალს მსოფლიოში მაინც არაფერი ჯობდა. ამ ბიბლიური ჭეშმარიტების გავრცელებას აქაურები ყოველმხრივ ცდილობდნენ.

– ამის შესახებ ვერაფერს მოგახსენებთ, სერ, – თქვა მეგზურმა და ჯოუნსიმ გაიფიქრა: ღმერთო ჩემო, მგონი, ჩვენმა გიდმა იცრუა და თვალიც არ დაუხამხამებია.

„ორმოცდაერთი, ორმოცდაორი, ორმოცდასამი".

შემდეგ ისევ სკამი და ყველაფერი თავიდან. ნაბიჯს მოუჩქარა.

ხელები გემის კაპიტანივით ზურგს უკან დაეწყო და თითქოს გემბანზე დასეირნობდა... ან ბრიგზე, გემზე წარმატებით განხორციელებული ამბოხის შემდეგ. მისი აზრით, ეს ამ უკანასკნელს უფრო ჰგავდა.

ცხოვრების უმეტესი დროის განმავლობაში ჯოუნსი ისტორიას ასწავლიდა და ცნობისმოყვარეობა ერთ-ერთ მთავარ თვისებად გადაჰქცეოდა. მეორე დღეს ბიბლიოთეკაში წავიდა, ადგილობრივი ძველი გაზეთები მოიძია და ყველაფერი წაიკითხა, რაც კი ამ ამბის შესახებ ეწერა. ყველაფერი ძალიან მშრალად და მოკლედ იყო გადმოცემული. იმავე გვერდზე აღწერილი პიკნიკები კი გაცილებით ლამაზად და მიმზიდველად გაეფორმებინათ. სამაგიეროდ, მათმა ფოსტალიონმა, მოხუცმა მისტერ ბეკუიტმა იცოდა უფრო მეტი და სიამოვნებით მოუყვა. ჯოუნსის ახლაც ახსოვდა მისი უკანასკნელი სიტყვები, რის შემდეგაც მან ცისფრად და თეთრად შეღებილი საფოსტო მანქანა დაქოქა და ოსბორნროუდზე მომდევნო კოტეჯისკენ დაეშვა; ზაფხულში ტბის სამხრეთით მდებარე დასახლებაში ყოველთვის უამრავი გზავნილი მოდიოდა.

ჯოუნსი თავისი სახლისკენ – იმ მოულოდნელი საჩუქრისკენ ჩაფიქრებული გამობრუნდა. ახლა აღარ უკვირდა, რატომ არ უნდოდა ლორინგტონს რუს ქალზე საუბარი.

10

მას ილენა თუ ილაინა ტიმაროვა ერქვა – ზუსტად არავინ იცოდა. იგი უეირში 1995 წლის შემოდგომის დასაწყისში გამოჩნდა „ფორდესკორტით", რომლის საქარე მინაზეც „ჰერცის" მოკრძალებული ყვითელი სტიკერი მიეკრა. მანქანა მოპარული აღმოჩნდა, ამიტომ დიდხანს არ შემწყდარა დაუსაბუთებელი, მაგრამ პიკანტური საუბრები იმის შესახებ, რომ ლოგანის აეროპორტში ავტომობილის გასაღები მან სექსის სანაცვლოდ მიიღო.

მაგრამ აშკარად ორიენტაციადაკარგულს ჰგავდა, თავში ყველა-

ფერი წესრიგში ვერ ჰქონდა. ვიღაცამ მის სახეზე ჩალურჯება შეამჩნია, ვიღაცამ – არასწორად შეკრული ღილები ბლუზაზე. ინგლისურად ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ კუებინის წყალსაცავისკენ მიმავალი გზის გაგება თავისუფლად მოახერხა. იქ მან ბარათი დატოვა (რუსულ ენაზე). საღამოს, როდესაც უინძორის კაშხლისკენ აღარავის უშვებდნენ, პიკნიკების ზონაში, გუდნოდაიკთან, მიტოვებულ „ესკორტს" წააწყდნენ. მანქანა მეორე დღესაც იქ რომ დახვდათ, წყალმომარაგების სამმართველოს ორი თანამშრომელი (ვინ იცის, იქნებ ერთ-ერთი ლორინგტონი იყო), ორ მეტყევესთან ერთად, ქალის მოსაძებნად წავიდა.

ისთსტრიტის ზევით, ორიოდე მილის დაშორებით, მის ფეხსაცმელს წააწყდნენ. იქიდან ორ მილში, იქ, სადაც ისთსტრიტი თანდათან ატალახებულ ბილიკად გადაიქცევა (ბარდებში მიიკლაკნება წყალსაცავის აღმოსავლეთ ნაპირზე – ქუჩა კი არა, დიფქათროუდის მასაჩუსეტსური ვარიანტია), ქალის ბლუზა იპოვეს... ოჰ-ოჰ. ისთსტრიტი მიწაზე დაგდებული ბლუზიდან კიდევ ორი მილის მანძილზე გრძელდება, მერე კი წყდება და დაღარული განაკაფი ზოლი, ფიცპატრიკროუდი იწყება. ის ზოლი ტბას სულ სცილდება. საძიებო ჯგუფი იმ ბილიკის გამოკვლევას აპირებდა, მაგრამ ვიღაცამ ვარდისფერ ნაჭერს მოჰკრა თვალი, ნაჭერი წყლისკენ გადახრილ ტოტზე ეკიდა. ახლოს მისულებს ხელში ლიფი შერჩათ.

იქ მიწა შედარებით ნოტიო, მაგრამ არაჭაობიანი იყო და ისინი კვალს გაჰყვნენ. რუს ქალს ბარდნარში ევლო, რასაც დამტვრეული ტოტები მოწმობდა. იმის გაფიქრებაც კი ზარავდათ, თუ რა დაემართებოდა მის ნაზ კანს. თუმცა მტკიცებულებას თვალს ვერ აარიდებდნენ – წვეტიან ტოტებსა და ქვებს სისხლის ლაქები შერჩენოდა, ქალის ყოველ ნაბიჯს სისხლის მეწამული წვეთი ახლდა. ისთსტრიტიდან ერთ მილში ქვის შენობა დაინახეს, რომელიც, თითქოს, ბუნებრივ საძირკველზე, ქანებზე იდგა და პომერის მთის აღმოსავლეთ

კალთას გაჰყურებდა. სწორედ იმ შენობაში მდებარეობდა მე-12 ჭაბურღილი. მანქანით იქ მხოლოდ ჩრდილოეთის მხრიდან შეიძლებოდა მისვლა. ვერავინ მიხვდა, რატომ არ აირჩია ეს გზა ილენამ თუ ილაინამ.

აკვედუკი, რომელიც კუებინში იწყებოდა, აღმოსავლეთით სამოცი მილის მანძილზე, ბოსტონამდე იყო გადაჭიმული და გზად უფრო მცირე და ნაკლებად სუფთა უაჩუსეტსისა და სადბერის წყალსაცავებიდან ივსებოდა. ტუმბოები არ იდგა – ოცდაათი ფუტი სიმაღლისა და თერთმეტი ფუტი სიგანის აკვედუკის მილებს ისინი არაფერში სჭირდებოდა. წყალი თავისით ჩაედინებოდა, როგორც ძველ ეგვიპტეში, ოცდათხუთმეტი საუკუნის წინ. მიწის ზედაპირსა და აკვედუკს შორის თორმეტი ვერტიკალური ჭაბურღილი იდგა, რომლებიც სავენტილაციო შახტებად და წნევის რეგულატორებად გამოიყენებოდა. მილის გამოგნესის შემთხვევაში მათი გავლით აკვედუკში მოხვედრა შეიძლებოდა. წყალსაცავთან ყველაზე ახლოს მდებარე მე-12 ჭაბურღილი „შემშვები შახტის" სახელით იყო ცნობილი. იქ წყლის სისუფთავე მოწმდებოდა, ასევე – ქალის ზნეობრიობა (ქვის შენობა არ იკეტებოდა და აქ ნავით ხშირად შემოცურდებოდნენ ხოლმე შეყვარებული წყვილები).

კარისკენ მიმავალი რვა საფეხურიდან ქვედაზე აკურატულად დაედოთ ქალის ჯინსის შარვალი, ზედაზე კი – ტრიკოტაჟის თეთრი ტრუსი. კარი ღია იყო. მამაკაცებმა ერთმანეთს უსიტყვოდ გადახედეს, ყველა კარგად ხვდებოდა, იქ რაც დახვდებოდათ – რუსი ქალის გვამი და არავითარი ტანსაცმელი.

მაგრამ შიგნით მსგავსი ვერაფერი ნახეს. ჭაბურღილს რკინის თავსახურავი ეფარა. იგი იმდენზე იყო გადაწეული, რომ ქვემოთ, რეზერვუარის გვერდზე, წყვდიადს ნახევარმთვარის ფორმა მიეღო. იქვე ძალაყინი ეგდო, რომლითაც ქალს სახურავი დაეძრა: ჩვეულებრივ, მას სხვა ხელსაწყოებთან ერთად, კარის უკან აყუდებდნენ

ხოლმე. მის გვერდით რუსი ქალის ხელჩანთა იდო, ზედ კი პორტმონე, საიდანაც პირადობის დამადასტურებელი მოწმობა მოჩანდა. პორტმონეზე – პირამიდის წვერო, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პასპორტი. მასში მოთავსებული ფურცელი უცნაურ იეროგლიფებს დაეფარა, სავარაუდოდ, რუსული ანბანის ასოებს, თუმცა იქნებ კირილიცა უფრო სწორი იყოს. მამაკაცებს ეჭვი არ შეჰპარვიათ, რომ თვითმკვლელის გამოსამშვიდობებელ წერილს ხედავდნენ, მაგრამ გადათარგმნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზედ მისი მარშრუტი ეწერა: „როდესაც გზა დასრულდება, ნაპირს გავუყვები". ასეც მოიქცა, გზადაგზა იხდიდა და ნაკაწრებსა და ჭრილობებს ყურადღებას არ აქცევდა.

მამაკაცები ნახევრად თავდახურული ჭაბურღილის გარშემო იდგნენ, თავს იფხანდნენ და უსმენდნენ წყლის ჩუხჩუხს, რომელიც სწორედ იქიდან იღებდა სათავეს ბოსტონის შადრევნებისკენ, ონკანებისა და ეზოს შლანგებისაკენ. ხმა ყრუდ, მონოტონურად და ცოტა პირქუშადაც კი გაისმოდა, რაც სულაც არ იყო გასაოცარი, რადგან მე-12 ჭაბურღილი სიმაღლეში ას ოცდახუთ ფუტს აღწევდა. მამაკაცებს ვერ გაეგოთ, რამ აიძულა ქალს იმის გაკეთება, რაც გააკეთა, მაგრამ სრულიად გარკვევით დაინახეს, თუ როგორ იჯდა იგი ქვის იატაკზე, ფეხებს აქანავებდა და იმავდროულად ჭჰიტე ღოცკ-ის ეტიკეტზე გამოსახულ ქალიშვილს ჰგავდა, ოღონდ შიშველს, სამოსის გარეშე. მან უკანასკნელად მოიხედა უკან, შესაძლოა, იმაში დასარწმუნებლად, რომ პორტმონე და პასპორტი ისევ იქ იდო. უნდოდა, რომ მას, ვინც იქ შევიდოდა, სცოდნოდა, თუ ვინ წავიდა იმქვეყნად ამ გზით. იყო ამაში რაღაც საშინელი და საოცრად სევდიანი. მხოლოდ ერთი მიხედვა უკან და იგი თავსახურსა და მილს შორის, ნახევარმთვარეში გაუჩინარდა. იქნებ, ნესტოებზე ხელიც მოიჭირა, როგორც ბავშვები აკეთებენ ხოლმე ქალაქის საცურაო აუზში გადახტომის წინ. თუმცა ვინ იცის. ასე იყო თუ ისე, წამის შემდეგ იქ ისევ სიმშვიდემ დაისადგურა. გამარჯობა, წყვდიადო, ძველი მეგობარო.

11

წასვლისას, სანამ ფოსტის სატვირთო მანქანით გზას გაუდგებოდა, მისტერ ბეკუიტმა შემდეგი სიტყვები წარმოთქვა: „როგორც ამბობენ, ბოსტონელებმა დილის ყავასთან ერთად დალიეს ვალენტინობის წინადღეს, – მან ჯოუნსის ეშმაკურად გაუღიმა და დაამატა: – მე წყალს არ ვსვამ. ლუდი მირჩევნია".

12

ჯოუნსიმ ოფისს თორმეტი თუ თოთხმეტი წრე დაარტყა. შემდეგ სკამთან გაჩერდა, დაბნეული სახით თეძოზე ხელი მოისვა და კვლავ იმავე მარშრუტს გაუყვა – ჩვენი ძველი, გულკეთილი, აკვიატებული აზრებით შეპყრობილი ჯოუნსი.

„ერთი... ორი... სამი..."

რუსი ქალის ამბავი, ცხადია, მიყრუებული ქალაქის საზარელი ზღაპრების შესანიშნავი ნიმუში იყო (ისევე, როგორც მოჩვენებებით სავსე სახლები, სადაც შემაძრწუნებელი დანაშაული და საშინელი საავტომობილო კატასტროფები ხდებოდა) და ნათელს ჰფენდა მისტერ გრეის გეგმებს საბრალო კოლისთან დაკავშირებით, მაგრამ რას აძლევდა ჯოუნსის იმის ცოდნა, თუ საით მიემართებოდა მისტერ გრეი? ბოლოს და ბოლოს...

კვლავ სკამი.

„ორმოცდარვა, ორმოცდაცხრა, ორმოცდაათი".

ერთი წუთი მოიცადე, მხოლოდ ერთი წყეული წუთი. პირველ ჯერზე, ოთახის შემოვლას ოცდათოთხმეტი ნაბიჯი მოანდომა, არა? ორმოცდაათი საიდანღა გაჩნდა? ნაბიჯები არ დაუპატარავებია, მსგავსი არაფერი გაუკეთებია, მაშ, როგორ...

„შენ სივრცეს აფართოებ. ის ყოველ მომდევნო წრეზე იზრდება. ვინაიდან ვერ ისვენებ. მაგრამ ეს შენი ოთახია. დარწმუნებული ვარ, რომ მოინდომო, „უოლდორფ-ასტორიის" სამეჯლისო დარბაზადაც

აქცევ... და მისტერ გრეი ხელს ვერ შეგიშლის".

– ნუთუ ეს შესაძლებელია? – ჩაიჩურჩულა ჯოუნსიმ. მაგიდასთან იდგა და ხელები ზურგს უკან ისე შემოეწყო, თითქოს პორტრეტისთვის პოზირებდა. პასუხი არ სჭირდებოდა. ისედაც ყველაფერს ხედავდა – ოთახი გადიდებულიყო.

ჰენრი მოდიოდა. თუ დადიტსიც მოჰყავდა, მისტერ გრეი ვერსად დაიმალებოდა, მანქანების ცვლა ვერაფერს უშველიდა, რადგან დადიტსი ხაზს ხედავდა. სწორედ მან მიიყვანა ისინი – სიზმარში – რიჩი გრენადოსთან, მოგვიანებით კი – ცხადში – ჯოზი რინკენჰაუერთან. ახლა კი ჰენრის მიუძღოდა წინ, როგორც მელაზე დაგეშილი მწევარი მიუძღვის ხოლმე თავის პატრონს. უბედურება ის იყო, რომ მისტერ გრეის ფორა ჰქონდა, წყეული ფორა. ერთი საათი. იქნებ მეტიც. და როგორც კი მისტერ გრეი ძაღლს მე-12 ჭაბურღილში ჩააგდებდა, ყველაფერი დასრულდებოდა. მართალია, თეორიულად, კიდევ დარჩებოდა შანსი ბოსტონისკენ მიმავალი წყლის გადაკეტვისა, მაგრამ შეძლებდა კი ჰენრი ვინმეს დარწმუნებას ამ საგანგებო, საფრთხის შემცველი ნაბიჯის გადადგმაში? ალბათ, ვერა. და ის ხალხი, ვინც აკვედუკის გაყოლებაზე ცხოვრობდა? მათ ხომ წყალი მაშინვე მიეწოდებოდათ? სამოცდახუთი ათასი უეირში, თერთმეტი ათასი ეტოლში, ას ორმოცდაათ ათასზე მეტი უორჩესტერში. მათ მხოლოდ რამდენიმე კვირის ან სულაც რამდენიმე დღის სიცოცხლეღა დარჩებოდათ.

ნუთუ არ არსებობდა გზა, იმ ბოზისშვილის შესაჩერებლად, რათა ჰენრის მისი დაჭერის შანსი გასჩენოდა?

ჯოუნსიმ მზერა სიზმართმჭერ ავგაროზს მიაპყრო და ოთახში მაშინვე რაღაც შეიცვალა... ეს ამოსუნთქვას ჰგავდა, ისეთ ხმას, როგორსაც სპირიტული სეანსების დროს სულები გამოსცემენ, მაგრამ

ეს სული არ იყო. მკლავებში ჩხვლეტა იგრძნო. თვალები ცრემლებით აევსო, თომას ვულფის[207] სიტყვები გაახსენდა: „ყველაფერი დაკარგულია – ქვაც, ფოთოლიც, ვერნაპოვნი კარიც". თომას ვულფი, რომელსაც მიაჩნდა, რომ შინ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდით.

– დადიტს? – ჩაიჩურჩულა მან და თმა ყალყზე დაუდგა, – დადიტს, ეს შენ ხარ?

ხმა არავინ გასცა... მაგრამ როდესაც მაგიდას დახედა, სადაც უსარგებლო ტელეფონი იდო, იქ ახალი ნივთი აღმოაჩინა. ის ქვა, ფოთოლი ან ვერნაპოვნი კარი კი არ იყო, არამედ – ქრიბიჯის დაფა და ბანქოს დასტა.

ვიღაცას მასთან თამაში სურდა.

13

ახლა ყველაფერი საშინლად სტკიოდა. დედამ იცოდა, რადგან დედას უთხრა. იესომაც იცოდა, ვინაიდან იესოსაც უთხრა. ჰენრის კი არ გაუმხილა. ჰენრისაც ყველაფერი სტკიოდა, ძალიან დაღლილი და სევდიანი სახე ჰქონდა. ბივერი და პიტი ზეცაში იყვნენ, ყოვლისშემძლე ღმერთის – დაილოცოს მისი სახელი – ცისა და ხმელეთის შემოქმედის მარჯვენაზე ისხდნენ, აწ და მარადის. ო, ღმერთო! ეს მას სევდას ჰგვრიდა – ისინი კარგი მეგობრები იყვნენ და არასდროს დასცინოდნენ. ერთხელ მათ ჯოზის მიაგნეს, ერთხელაც ძალიან მაღალი კოვბოი ნახეს, ხშირად თამაშობდნენ კიდეც.

ესეც თამაში იყო, ოღონდ თუ ადრე პიტი ამბობდა, – დადიტს, მნიშვნელობა არა აქვს, მოიგებ თუ წააგებ, მთავარია, როგორ ითამაშებო, ახლა, ჯოუნსის თქმით, მოგება მნიშვნელოვანი გახდა. ჯოუნსის ხმა ჯერ ცუდად ისმოდა, მაგრამ მალე, ძალიან მალე, უკეთესად გაიგონებდა. ოღონდაც ტკივილი გაყუჩებოდა. „პერკოსენმაც" კი არ უშველა. ყელში ფხაჭნიდა, სხეული უთრთოდა, მუცელი აწუხებდა, თითქოს გაზების გამოშვება უნდოდა, თუმცა, სინამდვილეში

[207] ამერიკელი მწერალი

არ უნდოდა. ხველებისას კი პირში ზოგჯერ სისხლს გრძნობდა. ძილზე უარს არ იტყოდა, ეგაა, რომ ჰენრი და მისი ახალი მეგობარი, ოუენი, რომელიც მათთან ერთად იყო იმ დღეს, როდესაც ჯოზი იპოვეს, გამუდმებით იმეორებდნენ: „მისი შეჩერება რომ შეგვეძლოს... დრო რომ მოგვაგებინა..." – ამიტომაც არ იძინებდა და ეხმარებოდა მათ, მაგრამ ჯოუნსის ხმა რომ გაეგო, თვალები უნდა დაეხუჭა. მათ კი ეგონათ, რომ ეძინა. „ხომ არ გაგვეღვიძებინა? იმ ნაბიჭვარმა სადმე არ გადაუხვიოს", – თქვა ოუენმა. „გეუბნები, ვიცი-მეთქი, საითაც მიემართება, დადს კი I-90-თან გავაღვიძებთ, რომ არ ვიმარჩიელოთ. ახლა იძინოს. ღმერთო ჩემო, რა დაღლილი სახე აქვს", – მიუგო ჰენრიმ. და ისევ ჰენრი, ოღონდ უკვე არა ხმამაღლა, არამედ ფიქრებში: „ნეტავ, როგორმე შეგვაჩერებინა ის ბოზისშვილი".

თვალები დახუჭული ჰქონდა. ხელები მტკივან მკერდზე დაეწყო. ნელა სუნთქავდა. დედამ უთხრა, ხველისას ნელა ესუნთქა. ჯოუნსი მკვდარი არ იყო. ის ზეცაში ბივერისა და პიტის გვერდით არ ჩანდა. მაგრამ მისტერ გრეიმ თქვა, რომ ჯოუნსი ჩაიკეტა. ჯოუნსის ოფისში არც ტელეფონი მუშაობდა, არც – ფაქსი, მას ვერ უკავშირდებოდა, რადგან ბოროტ მისტერ გრეის ეშინოდა, ჯოუნსის არ შეეტყო, თუ ვინ იყო სინამდვილეში იქ ჩაკეტილი.

როდის ლაპარაკობდნენ ისინი ყველაზე მეტს?

როდესაც თამაშობდნენ.

თამაში.

მას კვლავ გააჟრჟოლებს. კარგად უნდა დაფიქრდეს, ეს კი ტკივილს ჰგვრის, უკანასკნელ ძალას ართმევს. ახლა ეს თამაში კი არა, თამაშზე მეტია, მოგება-წაგებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამიტომაც ხარჯავს ამდენ ძალას და დაფასა და ბანქოს აკეთებს. ჯოუნსი ტირის, ჯოუნსი ფიქრობს, რომ ყველაფერი დაიკარგა, მაგრამ დადიტს ქეველი არ დაკარგულა, დადიტსი ხაზს ხედავს, რომელიც ოფისისკენ მიდის. ამჯერად იგი პალოების დასმაზე გაცილებით მეტს აკეთებს.

– ნუ ტირი, ჯოუნსი, – ამბობს იგი და სიტყვები, როგორც ყოველთვის, მის თავში მკაფიოდ, გარკვევით გაისმის. მხოლოდ ეს სულელი ენა ამახინჯებს ხოლმე მათ, – ნუ ტირი, მე არ დავკარგულვარ.

თვალები დახუჭული ჰქონდა. ხელები გადაეჯვარედინებინა.

ჯოუნსის ოფისში, სიზმართმჭერი ავგაროზის ქვეშ, ჯოუნსი თამაშობდა.

14

– ძაღლს ჩავავლე, – დაღლილი ხმით განაცხადა ჰენრიმ, – ისიც პერლმუტერივით საცოდავ დღეშია. ჩავავლე. ცოტათი მივუახლოვდით. ოჰ, ღმერთო ჩემო, როგორმე მათი შეჩერება რომ მოგვეხერხებინა!

გაწვიმდა. ოუენი იმედოვნებდა, რომ მანამ მოასწრებდნენ სუსხიანი ზონიდან გასვლას, სანამ თოვლ-ჭყაპი დაიწყებოდა. ქარი ისეთი ძალით უბერავდა, რომ „ჰამერი“ ლამის გზიდან გადაეგდო. უკვე შუადღე იყო, ისინი კი კვლავაც სეიკოსა და ბიდფორდს შორის მიდიოდნენ. ოუენმა დადიტსს უკანა ხედვის სარკიდან შეავლო თვალი. მას თვალები დაეხუჭა, თავი საზურგეზე მიედო, გამხდარი ხელები გულზე დაეკრიფა. სახე შემაშფოთებლად გაჰყვითლებოდა, ტუჩის კუთხიდან კი ვიწრო ზოლად ჩამოსდიოდა ხასხასა წითელი სისხლი.

– შენს მეგობარს ხომ არ შეუძლია დახმარება? – იკითხა ოუენმა.

– ვფიქრობ, ის სწორედ ამას ცდილობს.

– შენ ხომ თქვი, სძინავსო.

ჰენრი შეტრიალდა, დადიტსს შეხედა და თქვა:

– შევცდი.

15

ჯოუნსიმ კარტი დაარიგა, თავისი ხელიდან ორი ცალი ქრიბში ჩაადგო, მეორე ხელით დადიტსის ნაცვლად აიყვანა და ქრიბს კიდევ ორი დაამატა.

– ნუ ტირი, ჯოუნსი. ნუ ტირი. მე არ დავკარგულვარ.

ჯოუნსიმ თავი ასწია და სიზმართმჭერ ავგაროზს შეხედა, დარწმუნებულმა, რომ სიტყვები იქიდან ესმოდა.

– არ ვტირი, დადს. ეს სულ ალერგიის ბრალია, მაგრამ თუ თამაში გინდა...

– ორი, – გამოაცხადა ხმამ სიზმართმჭერი ავგაროზიდან.

ჯოუნსი დადიტსის კარტიდან ორიანს ჩავიდა, – ცუდი დასაწყისი ნამდვილად არ იყო. მას საკუთარი ხელიდან შვიდიანით უპასუხა. ჯამი ცხრას უტოლდებოდა. დადიტსს ექვსიანი ეჭირა. მიხვდებოდა თუ არა დადიტსი, რომ...

– ექვსი თხუთმეტისთვის, – გაისმა სიზმართმჭერი ავგაროზიდან, – თხუთმეტი ორისთვის. მაკოცე ტაკოში!

ჯოუნსის უნებურად გაეცინა. ეს, ცხადია, დადიტსი იყო, მაგრამ საოცრად ჰგავდა ბივერს.

– მიდი, დასვი პალოები, – თქვა მან და დაინახა, როგორ აიწია ჰაერში ერთი პალო, დაფასთან მიცურდა და პირველი ქუჩის მეორე ფოსოში მოთავსდა.

უეცრად მას გონება გაუნათდა.

– შენ თავიდანვე იცოდი წესები, დადიტს, ხომ ასეა? და პალოებს უთავბოლოდ ჩვენს გასართობად სვამდი! – ამის გაფიქრებაზე თვალებიდან კვლავ წამოსცვივდა ცრემლები. მაშასადამე, მთელი ამ წლების განმავლობაში მათ ეგონათ, რომ დადიტსს ართობდნენ, სინამდვილეში კი თურმე დადიტსი ართობდა მათ. იმ დღესაც, „ძმები თრექერების" შენობის უკან, ვინ ვის მიაგნო? ვინ ვინ გადაარჩინა?

– ოცდაერთი, – თქვა მან.

– ოცდათერთმეტი ორისთვის, – ეს სიზმართმჭერი ავგაროზი იყო. უხილავმა ხელმა პალო ასწია და ორი ფოსოთი წინ გადააადგილა, – მათ მე დამბლოკეს, ჯოუნსი.

– ვიცი, – ჯოუნსი სამიანს ჩავიდა. დადიტსმა ცამეტი გამოაცხადა და ჯოუნსიმ სვლა დადიტსის კარტიდან გააკეთა.

– შენ კი – არა. მასთან საუბარი შეგიძლია.

ჯოუნსიმ ორიანით ითამაშა და პალო გადასვა. დადიტსმა, თავის მხრივ, კარტი გაშალა და პალო ფოსოში ჩაუშვა. როგორ მოგწონთ? ჭკუასუსტმა დამამარცხა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ. მაგრამ დადიტსი ჭკუასუსტი არ იყო. დაღლილი და მომაკვდავი – დიახ, მაგრამ არა ჭკუასუსტი.

მათ თამაში განაგრძეს. დადიტსი მნიშვნელოვნად დაწინაურდა, თუმცა ეს ჯოუნსის ქრიბი იყო.

– რა უნდა მას, ჯოუნსი? რა უნდა წყლის გარდა?

მორიგი მკვლელობა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – მას ადამიანების მოკვლა უყვარს.

მაგრამ ამაზე საუბარი აღარ ღირდა. ღმერთმანი, აღარ ღირდა.

– ბეკონი, – წარმოთქვა ჯოუნსიმ ხმამაღლა, – მას ბეკონი უყვარს.

მან კარტის აჩეხა დააპირა... და გაქვავდა, როდესაც მისი გონება დადიტსმა შეავსო. ნამდვილმა დადიტსმა, ახალგაზრდა, ძლიერმა და ბრძოლისთვის შემზადებულმა დადიტსმა.

16

ჰენრის ზურგს უკან დადიტსმა ხმამაღლა დაიკვნესა. ჰენრი მისკენ შეტრიალდა და ნესტოებიდან ბაირუსივით წვრილად მოწანწკარე სისხლი შეამჩნია. დადიტსს დაძაბულობისგან სახე არაბუნებრივად დაღმეჭოდა. ჩამოშვებული ქუთუთოების ქვეშ თვალები სწრაფად უმოძრავებდა.

– რა სჭირს? – შეეშინდა ოუენს.

– არ ვიცი.

დადიტსს ღრმად, ბრონქებში დააწყებინა ხველა. პირიდან სისხლს აშხეფებდა.

– გააღვიძე, ჰენრი! გააღვიძე, ღვთის გულისთვის! .

ჰენრიმ ოუენ ანდერჰილს შეშინებული მზერა მიაპყრო. ისინი

თითქმის კენებანკპორტთან იყვნენ, ნიუ-ჰემპშირის საზღვრიდან ოციოდე მილის მანძილზე. კუებინის წყალსაცავამდე ას ათი მილი რჩებოდა. ჯოუნსის ოფისის კედელზე წყალსატევის სურათი ეკიდა. ჰენრის საკუთარი თვალით ჰქონდა ნანახი. და კიდევ – საზაფხულო კოტეჯისა უეირში.

– გააღვიძე! ამბობს, რომ სტკივა! ნუთუ არ გესმის?

– არ სტკივა.

– აბა?

– ის ამბობს, „ბეკონიო“.

17

არსება, რომელიც მისტერ გრეივით ფიქრობდა, – ის, ვინც საკუთარ თავზე მისტერ გრეივით ფიქრობდა, – სერიოზული პრობლემის წინაშე იდგა, მაგრამ მან, უცხოპლანეტელმა თუ დედამიწელმა, ეს იცოდა მაინც.

„ვინც გაფრთხილებულია, შეიარაღებულიცაა“, – იტყოდა ჯოუნსი. მისი მოგონებების ყუთებში უხვად იყო ასეთი გამონათქვამი, სულ ცოტა, რამდენიმე ათასი. ზოგიერთი მათგანი მისტერ გრეის უაზრობად მიაჩნდა, მაგალითად: „თავის დაქნევა იგივეა, რაც უსინათლო ცხენისთვის თვალის ჩაპაჭუნება“, ან „რაც ბრუნავს, ყველაფერი საწყის წერტილს უბრუნდება“. ყველას ეს სჯობდა: „ვინც გაფრთხილებულია, შეიარაღებულიცაა“.

პრობლემა ის იყო, რას გრძნობდა ჯოუნსის მიმართ. და ეს არცთუ ძალიან მოსწონდა. შეეძლო ეფიქრა: „ჯოუნსი გამოვკეტე, გარე სამყაროს მოვწყვიტე და ახლა ჩემს პრობლემასაც მივხედავ. ის კარანტინში ჩავსვი. სამხედროებიც ხომ ასე ცდილობდნენ ჩვენს იზოლირებას. ჩემზე ნადირობენ, ფაქტობრივად, კვალდაკვალ მომდევენ, მაგრამ თუ ძრავა არ ჩაქრება ან საბურავი არ დაეშვება, მდევარს ჩემი დაჭერის შანსი არა აქვს, რადგან ბევრად დავწინაურდი“.

ყველაფერი მართლაც ასე იყო, მაგრამ შვებას ვერ ჰგვრიდა. ყველაზე მეტად ის უნდოდა, რომ იმ ოთახში შევარდნილიყო, სადაც არასტუმართმოყვარე მასპინძელი იმალებოდა და პირში მიეხალა: „ხომ დაგდე ბეჭებზე? ხომ შავი დღე ვაყარე შენს პატარა წითელ ფურგონს? "

რომელ ფურგონს გულისხმობდა და რატომ მაინცდამაინც წითელს, მისტერ გრეიმ არ იცოდა, მაგრამ ამ ემოციურ ტყვიას დიდი კალიბრის ხვრელის გაკეთება შეეძლო ჯოუნსის აბჯარში, რადგან ბავშვობისდროინდელ ფაქიზ სიმებს ეხებოდა. შემდეგ ჯოუნსის ენას გამოყოფდა ("ჩემს ენას", – ფიქრობდა აშკარად კმაყოფილი მისტერ გრეი) ჯოუნსის ტუჩებს შორის და დასცინებდა, ჯოუნსი კი პასუხსაც ვერ გასცემდა.

რაც შეეხება მდევრებს, ერთი სული ჰქონდა, ჯოუნსის შარვალი ჩაეხადა და მათთვის ჯოუნსის უკანალი მიეშვირა. ცხადია, ეს ისეთივე უაზრობა იყო, როგორიც „რაც ბრუნავს, ყველაფერი საწყის წერტილს უბრუნდება", ან „პატარა წითელი ფურგონი", მაგრამ საშინლად უნდოდა დუნდულების ჩვენება.

მისტერ გრეი ხვდებოდა, რომ დედამიწის ბაირუსით იყო დაინფიცირებული. ყველაფერი ემოციით დაიწყო, სენსორული ინფორმირებულობის გამოღვიძებით (საჭმლის გემო, მძაფრი სიამოვნება პატრულის თანამშრომლის დანახვაზე, რომელიც თავს საშხაპის კაფელის კედელს ურტყამს – და ამ დარტყმების შედეგად ყრუდ გამოცემული „ბუჰ-ბუჰ"!) გაგრძელდა და ბოლოს იმად გადაიქცა, რასაც ჯოუნსი აზროვნების უმაღლეს საფეხურს უწოდებდა. მისტერ გრეის აზრით, ეს ხუმრობა იყო: აბა, რა შეიცვლებოდა, თუ განავალს გადამუშავებულ საკვებს უწოდებდა, გენოციდს – ეთნიკურ წმენდას. და მაინც, აზროვნებას თავისი განსაკუთრებული ხიბლი და მიმზიდველობა ჰქონდა იმ არსებისთვის, რომელიც ყოველთვის ვეგეტაციური გონების ნაწილი და ერთგვარი მაღალინტელექტუალური გაუცნობიერებლობა იყო.

სანამ მისტერ გრეი ჯოუნსის იზოლირებას მოახდენდა, იმ უკანასკნელმა შესთავაზა, დაევიწყებინა თავისი მისია და ადამიანური ყოფით დამტკბარიყო. ახლა კი აღმოაჩინა, რომ სურვილმა მასში – ჰარმონიული გონების, ცნობიერების არმქონე არსებაში – დანაწევრება დაიწყო და შეუსაბამო ხმების გუნდს დაემსგავსა: ზოგს A უნდოდა, ზოგს – B, ზოგსაც – Q კვადრატში და გაყოფილი ძ-ზე. უწინ ამგვარ ბურტყუნს ბოდვად, სიგიჟის წინა პირობად აღიქვამდა, ახლა კი მიხვდა, რომ შინაგანი ბრძოლით ტკბებოდა.

ბეკონი. „სექსი კარლასთან" – ჯოუნსის თქმით, საოცრად სასიამოვნო აქტი, რომელიც როგორც სენსორულ, ისე ემოციურ ფაქტორებს შეიცავდა. მანქანის სწრაფად ტარება და ბილიარდის თამაში ბარში, სახელწოდებით „ო'ლირი", ფენუეი-პარკის გვერდით, ლუდი და ორკესტრის ხმამაღალი, ცოცხალი შესრულება, პეტი ლავლესი და მისი ნამღერი „ამაში შენი ცივი, ორსახოვანი, მოღალატე, მატყუარა მოსიყვარულე გული დაადანაშაულე" (რასაც უნდა ნიშნავდეს). ზაფხულის ნისლიანი დილით ბუნების გამოღვიძება. და, რა თქმა უნდა, მკვლელობა.

თუ საქმეს სწრაფად არ დაასრულებდა, შესაძლოა, საერთოდ ვეღარ შეესრულებინა. ის ხომ უკვე ბაირუსი კი არა, მისტერ გრეი იყო. რა დრო გავიდოდა, სანამ მისტერ გრეის ტყავიდან გამოძვრებოდა და ჯოუნსიში აითქვიფებოდა?

ეს არ მოხდება, – გაიფიქრა მან და აქსელერატორს დააწვა. არცთუ მძლავრი ძრავის „სუბარუმ" ცოტათი მოუმატა სიჩქარეს. უკანა სავარძელზე გაწოლილმა ძაღლმა დაიწკმუტუნა... შემდეგ კი ტკივილისგან აყმუვლდა. მისტერ გრეი ძაღლში მოკალათებულ ბაირუსს გონებით დაუკავშირდა. ბაირუსი სწრაფად იზრდებოდა. ძალიან სწრაფად. და კიდევ: აზრების გაცვლა არც სიამოვნებას იწვევდა, არც – სითბოს, რასაც, ჩვეულებრივ, განიცდიან ხოლმე ამგვარად თანამოსაუბრენი. ბაირუსის გონება ცივი იყო... დამძაღებული...

– უცხოტომელი, – ჩაიჩურჩულა მან.

მაგრამ მაინც მოახერხა მისი დამშვიდება. როდესაც ძაღლი წყალში ჩავარდება, ბაირუსი მასთან ერთად აღმოჩნდება იქ. ადაპტაციისთვის გარკვეული დრო დასჭირდება. ძაღლი, ცხადია, დაიხრჩობა, მაგრამ ბაირუსი ცოტა ხანს მაინც იცოცხლებს – ძაღლის მძორს შეჭამს, სანამ დრო მოვა. თუმცა ჯერ იქამდე უნდა მიაღწიოს.

ბევრი აღარ რჩებოდა.

მისტერ გრეი I-90 გზატკეცილზე მიქროდა, ვესტბოროს, გრაფტონისა და დოროთიფონდის მსგავს უამრავ პატარა ქალაქს გასცდა (ჯოუნსი მათ საპირფარეშოებს უწოდებდა, თუმცა ერთგვარი სიმპათიით), მიზანს სულ უფრო უახლოვდებოდა, კიდევ ორმოცი მილი რჩებოდა. გამუდმებით ეძებდა ადგილს, სადაც თავის ახალ, გამაღიზიანებელ ცნობიერებას შეჩურთავდა და შესაძლო უბედურებას აიცილებდა. ჯოუნსის ბავშვებზე მათი მოჭარბებული ემოციურობის გამო თქვა უარი. დადიტსთან კავშირს ვერ ამყარებდა. ჯოუნსიმ მას მოგონებები მოჰპარა. ბოლოს, ჯოუნსის სამსახურზე შეჩერდა, ისტორიის სწავლებაზე, მის საშინლად მიმზიდველ სპეციალობაზე. 1860-1865 წლებში ამერიკა ორად გაყოფილიყო, როგორც ბაირუსის კოლონიები განვითარების ყოველი ციკლის ბოლოს. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა. მათგან მთავარი, რაღაცით, „მონობას" უკავშირდებოდა, თუმცა ეს იგივე იყო, ნარწყევისთვის ან განავლისთვის „გადამუშავებული საკვები" გეწოდებინა. „მონობა" არაფერს ნიშნავდა. არც – „გამოყოფის უფლება". არც – „კავშირის შენარჩუნება". არსებითად, მათ ის გააკეთეს, რისი გაკეთებაც ყველაზე უკეთ შეეძლოთ: „გაშმაგდნენ", ეს კი თითქმის იგივეა, რაც „გაგიჟდნენ", მაგრამ სოციალურად გაცილებით მისაღებია. და მასშტაბს აღარ იკითხავთ?

მისტერ გრეი გატაცებით, ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდა ყუთებს, სადაც გასაოცარ შეიარაღებას პოულობდა – აი, მსხვილი საფანტი, შრაპნელი, ზარბაზნის ყუმბარები, ხიშტები, ნაღმები. ამ დროს გონებაში დაუკითხავად შემოიჭრა ხმა:

ბეკონი

მან უკუაგდო ეს ფიქრი, მაგრამ ჯოუნსის მუცელი აუწრიალდა. ცხადია, ცუდი არ იქნებოდა ბეკონის გემრიელი, ცხიმიანი და სლიკინა ნაჭერი, რომელიც ფიზიკურ სიამოვნებას მიანიჭებდა, მაგრამ დრო არ ჰქონდა. აი, როცა ძაღლს თავიდან მოიცილებდა Dდა თუ მდევრებსაც შეაგვიანდებოდათ, იმდენს შეჭამდა, სანამ მუცელი არ გაუსკდებოდა. ახლა კი ამის დრო არ იყო.

როცა მე-10 გადასახვევს გასცდა, – კიდევ ორი რჩებოდა, – გონებით კვლავ სამოქალაქო ომს მიუბრუნდა, ლურჯ და ნაცრისფერ ტანსაცმელში გამოწყობილ მამაკაცებს, რომლებიც კვამლში დარბოდნენ, ყვიროდნენ და ერთმანეთს ხიშტებს ურჭობდნენ, უამრავ წითელ ფურგონს ანადგურებდნენ, კონდახებს თავში ურტყამდნენ მტერს – ამ დროს კვლავ გაისმოდა საამური ბუჰ-ბუჰ! და...

ბეკონი

მუცელი ისევ აუბუყბუყდა. ჯოუნსის პირში ნერწყვი დაუგროვდა და მას „დაიზარტსი" გაახსენდა, ცისფერ თეფშზე დაწყობილი ყავისფერი შებრაწული ზოლები, რომლებიც თითებით უნდა აეღო. ტექსტურა მყარი იყო – მკვდარი და გემრიელი ხორცის ტექსტურა...

„ამაზე ნუ ფიქრობ".

კლაქსონმა გამაღიზიანებლად დაიყვირა. მისტერ გრეი შეხტა, ლედი აყმუვლდა. მანქანა სხვა ზოლში გადასულიყო, რომელსაც ჯოუნსი „შემოვლითს" უწოდებდა. იძულებული გახდა, „სუბარუ" გაეჩერებინა და მასზე გაცილებით სწრაფად მოძრავი სატვირთო მანქანა გაეტარებინა, რომელმაც საქარე მინაზე ჭუჭყიანი წყალი შეასხა. მისტერ გრეი ვერაფერს ხედავდა. ღირსი ხარ, რომ დაგეწიო და მოგკლა, – გაიფიქრა მან, – ტვინი გაგასხმევინო, შე სამხრეთელო მეამბოხევ, მაგარ მძღოლად რომ მოგაქვს თავი, ბუჰ-ბუჰ! ეგ შენი პატარა წითელი ფურგონი მიგილეწო...

ბეკონის სენდვიჩი

ეს მის თავში თოფის გასროლასავით გაისმა. როგორც შეეძლო, ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა. ნუთუ, ეს ჯოუნსი

იყო? ნამდვილად არა, მას საამისოდ ძალა არ ეყოფოდა.

მოულოდნელად იგი უშველებელ ცარიელ კუჭად გადაიქცა, რომელიც კვნესოდა და საწყალობლად ევედრებოდა. თავისუფლად მოასწრებდა, მანქანა გაეჩერებინა და მისი სურვილი დაეკმაყოფილებინა. ასე რომ არ მოქცეულიყო, სადღაც გადაჩეხავდა ეს...

ბეკონის სენდვიჩი!

მაიონეზით!

მისტერ გრეიმ ხმამაღლა შეჰყვირა და ვერც კი შეამჩნია, რომ პირიდან ნერწყვი გადმოუვიდა.

18

– მე მესმის მისი, – თქვა მოულოდნელად ჰენრიმ და მუშტები საფეთქლებზე მიიჭირა, თითქოს თავის ტკივილის შეჩერება სურდა, – ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა! მას მგელივით შია.

– ვის? – გაუკვირდა ოუენს. და სწორედ ამ დროს მასაჩუსეტსის შტატის საზღვარი გადაკვეთეს. ქარის გამო, წვიმის ვერცხლისფერი წვეთები ცერად ეცემოდა მათი მანქანის წინ, – ძაღლს? ჯოუნსის? მითხარი, ვის?

– მას, მისტერ გრეის, – მიუგო ჰენრიმ. მან ოუენს შეხედა და თვალებში იმედის ნაპერწკალი აუკიაფდა, – ვფიქრობ, ამუხრუჭებს. მგონი გაჩერებას აპირებს.

19

– ბოს!

კურცი თვლემდა, როდესაც პერლმუტერი მისკენ გაჭირვებით შემობრუნდა და ალაპარაკდა. სწორედ ამ დროს ისინი ნიუ-ჰემპშირის საგზაო ბაჟის გადახდის პუნქტს მიუახლოვდნენ. ფრედი ჯონსონმა სიფრთხილე გამოიჩინა და მანქანა იმ ზოლში გადაიყვანა, სადაც ფული ავტომატში უნდა ჩაეყარათ (ეშინოდა, მოლარეს „ჰამერის“ სალონში დაგროვილი სიმყრალე არ ეგრძნო ან ჩამსხვრეული

ფანჯარა, იარაღი და... სამივე მათგანი არ დაენახა).

კურცი ინტერესით აკვირდებოდა არჩი პერლმუტერის ოფლიან, გაწამებულ სახეს. აღტაცებითაც კი. სად გაქრა ის გულცივი ბიუროკრატი, თავისი განუყრელი პორტფელით, ხოლო საველე პირობებში – განუყრელი პლანშეტით? თმა ყოველთვის აკურატულად მარცხნივ ჰქონდა გადავარცხნილი, გეგონებოდა, სახაზავით აქვს გაყოფილიო. ის, ვინც სასიკვდილო საფრთხის დროსაც ვერ ივიწყებდა სიტყვას „სერ“ – გაქრა. და თუმცა საშინლად გამხდარიყო, თითქოს ზეშთაგონება სწვეოდა. მა ჯოუდად[208] გადაიქცა, – გაიფიქრა კურცმა და კინაღამ სიცილი აუტყდა.

– კიდევ მწყურია, ბოს.

პერლიმ სევდიანად შეხედა კურცის „პეპსის“ და საშინლად აყროლებული მორიგი მუხტი გამოუშვა.

მა ჯოუდი ჯოჯოხეთში საყვირით ხელში, – გაიფიქრა კურცმა და ამჯერად ხმამაღლა გაიცინა. ფრედიმ კვლავ შეიგინა, ოღონდ ზიზღის გარეშე – იგი ბედს შეჰგუებოდა და მოწყენილიც კი ჩანდა.

– ვშიშობ, ეს ჩემია, მეგობარო, – თავი გადააქნია კურცმა, – პირი მეც გამიშრა.

პერლმუტერმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ტკივილმა წამოუარა და შეიჭმუხნა. მან კვლავ გააკუა, ოღონდ ამჯერად ისე ხმაურით აღარ – თითქოს უნიჭო ბავშვი პიკოლოზე[209] უკრავდა. თვალები ეშმაკურად მოწკურა:

– დამალევინეთ და რაღაცას გეტყვით, – პაუზა, – იმას, რაც აუცილებლად უნდა იცოდეთ.

კურცი ჩაფიქრდა. ჩამსხვრეული ფანჯრიდან წვიმა ასხამდა და სავარძელს ასველებდა. ეს წყეული ფანჯარა უკანალში გარჭობილი ხიჭვივითაა, მადლობა უფალს, ქურთუკის სახელო სულ დაუსველდა, მაგრამ უნდა მოითმინოს. ბოლოს და ბოლოს, ვისი ბრალია?

---

[208] ჯონ სტაინბეკის რომან „მრისხანების მტევნების“ მთავარი გმირის დედა.
[209] მუსიკალური ინსტრუმენტი.

– თქვენი, – თქვა პერლიმ და კურცი შეხტა. დასწყევლოს ღმერთმა, რა არასასიამოვნო რამ ყოფილა აზრების წაკითხვა. გგონია, რომ უკვე შეეჩვიე, მაგრამ თურმე ნურას უკაცრავად, – თქვენი ბრალია. ასე რომ, მომეცით ეს წყეული ბოთლი, ბოს.

– სიტყვები შეარჩიე, ნაბიჭვარო! – დაუღრინა ფრედიმ.

– მითხარი, რაც იცი და მოგცემ.

კურცმა ბოთლი ასწია და სახეგაწამებული პერლის ცხვირწინ შეაჯანჯღარა, თუმცა საკუთარი თავის მიმართ ზიზღნარევი ირონიაც იგრძნო. ოდესღაც იგი დიდ ქვედანაყოფებს მეთაურობდა და მათ ბრძოლაში გზავნიდა, რათა თავი გაეწირათ გეოპოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელებისთვის. ახლა კი მისი რაზმი მხოლოდ ორი ადამიანისა და ერთი ბოთლი გამაგრილებელი სასმლისგან შედგებოდა. როგორ დაეცა! აი, რა მოსდევს სიამაყეს, დიდება უფალს. მას სატანისებური სიამაყე ტანჯავდა, მაგრამ თუ ეს მომაკვდინებელი ცოდვა იყო, მასზე უარის თქმა ძალიან გაუჭირდებოდა. სიამაყე მისთვის ის ქამარი გახლდათ, რომელიც შარვალს იჭერდა მაშინაც კი, როცა ის აღარ ეცვა.

– მპირდებით? – პერლიმ ბანჯგვლიანი ენა გამშრალ ტუჩებზე მოისვა.

– მიწამ ჩამიტანოს, თუ გატყუებდე, – საზეიმოდ დაიფიცა კურცმა, – თუ არ გჯერა, ჩემი აზრები წაიკითხე.

პერლი მას რამდენიმე წუთის განმავლობაში აკვირდებოდა და კურცი თითქმის გრძნობდა, როგორ ფათურობდა რბილი თითები (ფრჩხილებქვეშ ჩაბუდებული სოკოთი) მის ტვინში. საშინელი განცდა ჰქონდა, მაგრამ ითმენდა.

ბოლოს პერლმუტერმა თავი კმაყოფილებით დააქნია.

– ახლა უკეთ მესმის, – თქვა მან და შეშინებული სახით, ენის ბორძიკით ჩაიჩურჩულა, – იგი მჭამს, შიგნეულობას მიჭამს. ვგრძნობ.

კურცმა ხელზე ხელი მოუთათუნა. ამ დროს საგზაო ნიშანს ჩაუ-

არეს, რომელზეც ეწერა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება მასაჩუსეტსში.

– ხომ შეგპირდი, მოგარჩენ-მეთქი. ახლა კი მოჰყევი, რაც გაიგე.

– მისტერ გრეი ჩერდება. მოშივებულია.

კურცმა პერლმუტერს ხელზე ხელი მოუჭირა, კლანჭებივით ჩააფრინდა.

– სად?

– იმ ადგილის სიახლოვეს, საითაც მიემგზავრება. ეს მაღაზიაა, – თქვა არჩი პერლმუტერმა ჭირვეული ბავშვის ხმით, რის გამოც კურცს ტანში გააჟრჟოლა. და შესძახა, – საუკეთესო საჭმელი! შემოდი, რაღას ელოდები? საუკეთესო საჭმელი! შემოდი, რაღას ელოდები?

შემდეგ მან თითქმის ნორმალური ხმით დაამატა:

– ჯოუნსიმ იცის, რომ მათ ჰენრი, ოუენი და დადიტსი მისდევენ, ამიტომაც აიძულა მისტერ გრეი, გაჩერებულიყო.

იმის გაფიქრებამ, რომ ოუენს ჯოუნსი-მისტერ გრეის დაჭერა შეეძლო, კურცს თავზარი დასცა.

– არჩი, ყურადღებით მომისმინე.

– მწყურია, – დაიწუწუნა პერლიმ, – მწყურია, შე ნაბიჭვარო.

კურცმა კვლავ ასწია „პეპსის“ ბოთლი, მაგრამ როგორც კი პერლიმ მისკენ გაიწია, ხელში ჩაარტყა.

– ჰენრიმ, ოუენმა და დად-დატსმა თუ იციან, სად გაჩერდნენ ჯოუნსი და მისტერ გრეი?

– დად-დიტს, შე ბებერო სულელო! – დაიღრიალა პერლიმ, ტკივილისგან დაიკვნესა და ხელები გაფუებულ მუცელზე იტაცა, – დიტს, დიტს, დად-დიტს! დიახ, იციან! დადიტსი დაეხმარა მათ და ისე გააკეთა, რომ მისტერ გრეის მოშივებოდა. მას ჯოუნსიც დაეხმარა!

– ეს არ მომწონს, – თქვა ფრედიმ.

არა მარტო შენ, – გაიფიქრა კურცმა.

– გთხოვთ, ბოს, – თქვა პერლიმ, – ძალიან მწყურია.

კურცმა პერლმუტერს ბოთლი გაუწოდა, შემდეგ კი გულგრილად უყურებდა, როგორ ხარბად სვამდა იგი.

– 495, ბოს, – განაცხადა ფრედიმ, – საით წავიდე?

– ჯერ 495-ით, – უთხრა პერლმუტერმა, – შემდეგ 95-ზე გადაუხვიე, დასავლეთისკენ, – მან დააბოყინა – ხმაურით, მაგრამ ნაკლები სიმყრალე ამოუშვა, – მას კიდევ უნდა „პეპსი“. მოსწონს სიტკბო. კოფეინიც მოსწონს.

კურცი მოიღუშა. ოუენმა იცოდა, რომ მისტერ გრეი შეჩერდა, ყოველ შემთხვევაში, დროებით მაინც. ახლა ოუენი და ჰენრი სიჩქარეს მოუმატებდნენ და საათნახევრიანი ჩამორჩენის შემცირებას შეეცდებოდნენ. მაშასადამე, თვითონაც უნდა აჩქარებულიყო.

ნებისმიერი პოლიციელი, რომელიც გზაზე გადაეღობებოდა, სიცოცხლეს გამოესალმებოდა, ღმერთო, შენ შეიწყალე. ასე იყო თუ ისე, დევნა დასასრულს უახლოვდებოდა.

– ფრედი!

– დიახ, ბოს!

– გაზს დააწექი. აიძულე, რომ გაფრინდეს და ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგხედავს. აიძულე, რომ გაფრინდეს.

ფრედი ჯონსონმა ბრძანება შეასრულა.

20

აქ არც ბოსელი იყო, არც – ფარდული, არც – ბაკი. ვიტრინაში წინასაარჩევნო პლაკატების ნაცვლად, კუებინის წყალსაცავის სურათი „იწონებდა თავს“. მის ქვემოთ მაცდური მოწოდება ანათებდა: „საუკეთესო კერძები, შემოდი, რაღას ელოდები? “ მაგრამ სხვაფრივ, იგი ძალიან წააგავდა გოსლინის მაღაზიას – ისეთივე უბადრუკი ფიცრული კედლები და ბაცი ყავისფერი კრამიტი, ისეთივე დაცერებული საკვამური, საიდანაც წვიმიანი ცისკენ ბოლქვებად ადიოდა კვამლი, ისეთივე დაჟანგული ბენზინგასამართი სვეტი პარმაღთან.

იქვე ჩამოკიდებულ ფირფიტაზე ეწერა: „ბენზინი არ არის, დააბრალეთ არაბებს“.

ნოემბრის იმ დღეს მაღაზიაში მხოლოდ მეპატრონე იყო, ჯენტლმენი, სახელად დიკ მაკკასკელი. თანამემამულეთა უმრავლესობის მსგავსად, მთელი დილის განმავლობაში ტელევიზორს არც ის მოსცილებია. ახალი ამბების მრავალჯერ გამეორების შემდეგ ჩრდილოეთის ტყეების იმ ნაწილის სურათებს უჩვენებდნენ, რომელიც სამხედროებით იყო გარშემორტყმული, აგრეთვე – შეიარაღებულ ძალებს, ავიაციას და ასე შემდეგ. ამას პრეზიდენტის გამოსვლა მოჰყვა. დიკმა პრეზიდენტს „მისტერ ჰა-და-ჰა“ შეარქვა არჩევნების დროს ატეხილი აურზაურისა და გაუგებრობის გამო – დალახვროს ეშმაკმა, ნუთუ არავინ ჰყავდათ, ვინც ხმებს წესიერად დათვლიდა? თუმცა თვითონ აღარასოდეს უსარგებლია ხმის მიცემის უფლებით ჯიპერის[210] შემდეგ (აი, ვინ იყო ნამდვილი პრეზიდენტი). დიკს ეჯავრებოდა პრეზიდენტი ჰა-და-ჰა, იგი მერყევ, არასაიმედო ტიპად მიაჩნდა, რომელსაც დიდი კბილები ჰქონდა (ცოლს, მართალია, არა უშავდა). პრეზიდენტის მიერ, დილის თერთმეტ საათზე წარმოთქმულ სიტყვას ჩვეულებრივ ლაქლაქად აღიქვამდა და მისი არ სჯეროდა. ფიქრობდა, რომ ამ გამოსვლით ამერიკელი გადასახადის გადამხდელების გაბრიყვება სურდათ, რათა მათ მეტი ხალისით გაეღოთ ფული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად და გადასახადების გადასახდელად. მეცნიერებს უკვე დაემტკიცებინათ, რომ კოსმოსში დედამიწელების გარდა, არავინ იყო. ერთადერთი უცხოტომელები (ცხადია, თვითონ პრეზიდენტ ჰა-და-ჰას გარდა) მექსიკელები იყვნენ, რომლებიც საზღვარზე ფარულად გადმოდიოდნენ. მაგრამ ჭორებით დაშინებული ხალხი შინ იჯდა და ტელევიზორს მისჩერებოდა. მოგვიანებით, ვინმე შემოივლიდა ლუდის ან ღვინის საყიდლად, მაგრამ ჯერჯერობით, ვაჭრობა ისე ჩამკვდარიყო, როგორც გზაზე გადარბენისას მანქანის ქვეშ მოყოლილი კატა.

[210] აშშ-ის პრეზიდენტ რონალდ რეიგანის მეტსახელი.

დიკს ტელევიზორი ნახევარი საათის წინ გამოერთო – ღმერთმანი, სისულელის მოსმენაზე დრო რატომ დაეხარჯა. როდესაც ორის თხუთმეტ წუთზე, შემოსასვლელ კართან ზარი აწკარუნდა, იგი მაღაზიის ყველაზე შორეული თაროდან აღებულ ჟურნალს ათვალიერებდა. იქვე წარწერაც გაეკრა: „მხოლოდ 21 წლის ასაკიდან". იმ განსაკუთრებულ პერიოდულ გამოცემას „ქალიშვილები სათვალით" ერქვა, რაც სრული ჭეშმარიტება გახლდათ, რადგან ყოველ გვერდზე სათვალიანი ქალის სურათი მოეთავსებინათ. მართალია, მათ სხეულზე კაცი სხვას ვერაფერს აღმოაჩენდა, მაგრამ სათვალე ეკეთათ.

დიკმა პოტენციურ მყიდველს შეხედა, სურდა, რამე ეთქვა – მაგალითად, „როგორ ბრძანდებით" ან „დღეს გზები მოლიპულია", მაგრამ სიტყვა პირზე შეაშრა. რატომღაც მოუსვენრობა იგრძნო და უხერხულობასთან ერთად, მტკიცე რწმენა გაუჩნდა, რომ გაძარცვავდნენ, აშკარად გაუმართლებდა, თუ ამით დაკმაყოფილდებოდნენ. თორმეტი წლის განმავლობაში, რაც მაღაზიას ფლობდა, იგი არასდროს გაეძარცვათ. თუკი ვინმეს რამდენიმე ბანკნოტის გულისთვის საკუთარი თავისუფლების სასწორზე შეგდება სურდა, ირგვლივ საკმაოდ იყო ისეთი ადგილი, სადაც იმ თანხის მნიშვნელოვნად გაზრდა შეიძლებოდა. ალბათ ეს ტიპი...

დიკმა ნერწყვი გადაყლაპა. მისი აზრით, ეს კაცი გვარიანად აფრენდა. იქნებ მანიაკი იყო, რომელმაც ცოტა ხნის წინ მთელი ოჯახი ამოხოცა და ახლა, სანამ შუბლში ტყვიას იკრავდა, იმქვეყნად კიდევ ორიოდე კაცის გასტუმრება სურდა?

დიკი პარანოიკების რიცხვს არ მიეკუთვნებოდა (მისი ცოლყოფილის თქმით, მძიმედ მოაზროვნე უფრო იყო), მაგრამ მაინც მძაფრად იგრძნო, რომ ამ პირველი კლიენტისგან რაღაც ბოროტება მოდიოდა. მას არ მოსწონდა, ბიჭები მაღაზიაში რომ შემოეხეტებოდნენ და „პატრიოტებსა" თუ „რედ სოქსზე" ლაყბობდნენ, ანდა ტრაბახობდნენ, როგორ დაიჭირეს უშველებელი თევზი წყალსაცავში. მაგრამ

ახლა რას არ მისცემდა ერთი ასეთი ბიჭისთვის, ან თუნდაც მთელი ჯგროსთვის თვალი რომ მოეკრა.

მამაკაცი თავდაპირველად კარებში იდგა. მართლაც უცნაურად გამოიყურებოდა. მონადირის ნარინჯისფერი ქურთუკი ეცვა, არადა, მასაჩუსეტსში ნადირობის სეზონი ჯერ არ დაწყებულიყო. დიკს განსაკუთრებით მამაკაცის დაკაწრული ლოყები არ მოეწონა. ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს რამდენიმე დღის განმავლობაში ჯაგნარში მიიკვლევდა გზას, ჩაცვივნული ლოყები კი მოწმობდა, რომ მოსდევდნენ. ტუჩებს ისე ამოძრავებდა, გეგონებოდათ, საკუთარ თავს ელაპარაკებაო. ამას ისიც ემატებოდა, რომ დამტვერილი ვიტრინიდან შემოსულ, შუადღის ნაცრისფერ შუქზე ნიკაპი საეჭვოდ უბრწყინავდა.

ამ ბოზისშვილს ნერწყვი ჩამოსდის, – გაიფიქრა დიკმა, – ეშმაკმა წამიღოს, თუ ვცდებოდე.

შემოსული თავს სწრაფად, ჩიტივით ამოძრავებდა, ტანი კი გაუნძრევლად ეჭირა. სწორედ რომ სანადიროდ გამოსულ ზარნაშოს ჰგავდა. ერთი პირობა, დიკმა სკამიდან ჩამოსვლა და დახლს მიღმა დამალვა დააპირა, მაგრამ სანამ ასეთი ნაბიჯის ავკარგიანობას აწონ-დაწონიდა (მის ყოფილ ცოლს სწორად შეენიშნა, რომ სწრაფად აზროვნება უჭირდა), კაცმა თავი მისკენ მიაბრუნა და მიაშტერდა.

დიკის გონების რაციონალურ ნაწილს ჯერაც არ გადასწუროდა იმედი (თუმცა ბოლომდე ჩამოუყალიბებელი), რომ ეს ყველაფერი მისი ფანტაზიის ნაყოფი იყო, რომ მენის ჩრდილოეთიდან წამოსულმა სულელურმა ცნობებმა და კიდევ უფრო უაზრო ჭორებმა, პრესა წაღმა-უკუღმა რომ ატრიალებდა, თავგზა აუბნია. იქნებ, კაცს უბრალოდ სიგარეტი, ლუდის შეკვრა, თუნდაც ყავის ლიქიორი ან პორნოგრაფიული ჟურნალი უნდოდა, რათა უეირში ან ბელჩერთაუნში მიმავალს, მოტელში როგორმე გრძელი, ავდრიანი ღამე გადაეგორებინა?

მაგრამ იმედის ეს ნაპერწკალიც ჩაუქრა, როდესაც მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა.

არა, ის არ ჰგავდა ოჯახის მკვლელ მანიაკს, რომელიც უკანასკნელ კრუიზს ახორციელებდა, თუმცა დიკს რატომღაც მოეჩვენა, რომ მანიაკის სტუმრობა ჯობდა. კლიენტის თვალებს ცარიელი არაფრით ეთქმოდა. პირიქით, გადავსებულიც კი ჩანდა. მათში მილიონობით ფიქრი და იდეა დაქროდა და ერთმანეთს ენაცვლებოდა როგორც მოლეკულები – ბროუნის მოძრაობაში[211] ან მაზანდა, სუპერსიჩქარით რომ გამოაქვს ბირჟაზე აპარატს. მეტისმეტი დაძაბულობისგან თვალის კაკლები თითქოს ფოსოებში დაუხტოდა.

ამაზე უფრო მშიერი თვალები დიკ მაკკასკელს ცხოვრებაში არ ენახა.

– ჩვენ არ ვმუშაობთ, – თქვა დიკმა, თუმცა მისი ხმა ყვავის ჩხავილს უფრო ჰგავდა, – მე და ჩემმა პარტნიორმა... ის უკანა ოთახშია... დღეს დასვენება გადავწყვიტეთ. იმის გამო, რაც ჩრდილოეთში ხდება. მე... ანუ ჩვენ... კარზე დაფის გამოკვრა დაგვავიწყდა. ჩვენ...

მას შეეძლო საათების, დღეების განმავლობაშიც ელაპარაკა ასე, მაგრამ მონადირის ქურთუკში გამოწყობილმა კაცმა გააწყვეტინა:

– ბეკონი, – თქვა მან, – სად არის ბეკონი?

მოულოდნელად დიკი მიხვდა, რომ თუ მაღაზიაში შემთხვევით ბეკონი არ აღმოჩნდებოდა, კაცი მას მოკლავდა, თუმცა, ცხადია, მოკვლა ისედაც შეეძლო, ყოველგვარი ბეკონის გარეშე. ბეკონი როგორ არ ჰქონდა. მადლობა ღმერთს, მადლობა იესოს, მადლობა ჰადა-ჰას და მადლობა ყველა არაბს, ბეკონი ჰქონდა!

– მაცივარი იქაა, ბოლოში, – თქვა მან ახალი და უცნაური ხმით.

ჟურნალზე დადებული ხელი ყინულივით გასცივებოდა. თავში უცხო ჩურჩული მოესმა. წითელი ფიქრები და შავი ფიქრები. მშიერი ფიქრები.

---

[211] სითხესა და აირში შეწონილი უმცირესი ნაწილაკების სითბური მოძრაობა, რაც გამოწვეულია შეჯახებით იმ სითხისა და აირის მოლეკულებთან.

„რა არის მაცივარი?" – იკითხა არაადამიანურმა ხმამ. დაღლილმა, ძალზე ადამიანურმა ხმამ უპასუხა: „იქით გაუყევი, ლამაზო, მაშინვე დაინახავ".

ხმები მესმის, – გაიფიქრა დიკმა, – ოჰ, ღმერთო ჩემო, არა. ალბათ სწორედ ასე გიჟდებიან ადამიანები.

მამაკაცმა დიკს ჩაუარა და კოჭლობით გაემართა ცენტრალური გასასვლელისკენ.

სალაროს გვერდით ტელეფონის აპარატი იდო. დიკმა შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალი აარიდა. სულ ახლოს იყო, ხელის გაწვდენაზე. თითის ერთი დაჭერით 911 აიკრიფებოდა, თუმცა ასეთივე წარმატებით მთვარეზეც შეეძლო მოხვედრა. გამბედაობა რომც ჰყოფნოდა და ხელი ყურმილისკენ წაეღო...

„მე ყველაფერს მივხვდები", – თქვა არაადამიანურმა ხმამ და დიკმა კვლავ ჩუმად დაიკვნესა. ეს მის თავში იყო. თითქოს ტვინში ვიღაცამ რადიომიმღები ჩაუდგა.

კარის ზემოთ ამობურცული სარკე ეკიდა. ერთი შეხედვით უბრალო ნივთი განსაკუთრებით კარგად ზაფხულში საღდებოდა, როდესაც მაღაზიას ბევრი ბავშვი სტუმრობდა, მშობლებთან ერთად წყალსაცავზე მიდიოდნენ – კუებინი აქედან სულ რაღაც თვრამეტ მილში მდებარეობდა – სათევზაოდ, პიკნიკზე ან ექსკურსიაზე. პატარა ონავრები ყოველთვის ცდილობდნენ, რამე აეწაპნათ, რაც ცუდად იდო, განსაკუთრებით კანფეტები, საღეჭი რეზინი ან ჟურნალი შიშველი ქალების სურათებით. დიკი სარკეს მიაჩერდა და შიშნარევი ინტერესით აკვირდებოდა, როგორ მიუახლოვდა ნარინჯისფერ-ქურთუკიანი მამაკაცი მაცივარს, კარი გამოაღო, წამით შეყოვნდა და ბეკონის ერთი კი არა, ოთხივე პაკეტი გამოიღო.

შემდეგ კოჭლობით გამობრუნდა უკან, თან თაროებს ათვალიერებდა. საშიშ, მშიერ და საშინლად დაღლილ ადამიანს ჰგავდა, მარათონელს, რომელსაც მხოლოდ ერთი, მაგრამ ყველაზე რთული მილი დარჩენია დასაძლევი. საბრალო დიკს თავბრუ დაესხა, თითქოს

ძალიან მაღლიდან ქვევით იყურებოდა. ეს იმას ჰგავდა, ერთისთვის კი არა, ერთდროულად რამდენიმე ადამიანისთვის რომ ედევნებინა თვალი, რომლებიც შიგადაშიგ ჩნდებოდნენ, თვალთახედვის არეს უფარავდნენ და ქრებოდნენ. დიკს წამით ოდესღაც ნანახი ფილმი გაახსენდა, რომელშიც ვიღაც შეშლილ მეძავს პიროვნების გაორება კი არა, გაასება სჭირდა.

უცნობი შეჩერდა, ჯიბეში მაიონეზის ქილა ჩაიდო, თაროდან დაჭრილი პური მოხვეტა და სალაროსკენ გამოემართა. დიკი თითქოს გრძნობდა მის დაღლილობას. დაღლილობასა და სიგიჟეს.

კაცმა პროდუქტი დახლზე დადო და თქვა:

– სენდვიჩი ბეკონით, თეთრ პურზე, მაიონეზით. ეს ყველაზე გემრიელია.

შემდეგ გაიღიმა. ეს ისეთი დაღლილი, გულის ამაჩუყებლად გულწრფელი ღიმილი იყო, რომ წამით დიკს შიში გადაავიწყდა და ხელი გაიწვდინა.

– მისტერ, ხომ კარგად...

მაგრამ ხელი ისე გაშეშდა, თითქოს წინ კედელი დახვდაო, შეტოკდა და დიკს მთელი ძალით სახეში მოხვდა – თხლაშ! მერე ნელა მოსცილდა და ჰაერში დირიჟაბლივით დაიწყო ცურვა.

„არ მოკლა! "

„გამოდი და შემაჩერე! "

„თუ გამაბრაზებ, შენ თავს დააბრალე! "

ფრაზები მის თავში ისმოდა.

დირიჟაბლივით მოძრავი ხელის ორი თითი ნესტოებში შეძვრა, თავი საიმედოდ დაუცო, ცოტა ხანს შეჩერდა და – ოო, ღმერთო! – უფრო ღრმად დაიწყო შესვლა. მისტერ მაკკასკელს ბევრი საეჭვო ჩვეულება ჰქონდა, მაგრამ ფრჩხილების კვნეტა არ ახასიათებდა. თავდაპირველად, თითებს სივიწროვეში ცოტათი გაუჭირდათ, მაგრამ როგორც კი სისხლი წამოვიდა, გაშმაგება დაეტყოთ. ჭიაყელებივით იკლაკნებოდნენ. ჭუჭყიანი ფრჩხილები ხორცში ეშვებივით

ესობოდა და ზევით, ტვინისკენ მიიწევდა. დიკი გრძნობდა, როგორ იმსხვრეოდა ხრტილი, ესმოდა...

„შეწყვიტეთ, მისტერ გრეი, ახლავე შეწყვიტეთ! "

მოულოდნელად, დიკის თითები კვლავ ჩვეულებრივს დაემსგავსა. მან სველი ტკაცუნით გამოსწია ხელი. სისხლმა იფეთქა და დახლს, ხურდის დასადებ, „სქოულის" ემბლემიან პატარა ნაჭერსა და იმ შიშველი სათვალიანი ლამაზმანების სურათებს დაეშხეფა, დიკი ამ არსების შემოსვლამდე რომ ათვალიერებდა.

– რამდენი უნდა გადაგიხადოთ, დიკ?

– ისე წაიღეთ! – კვლავ ყვავის ჩხავილივით გაისმა, ოღონდ ამჯერად მოგუდულად, რადგან ნესტოებში სისხლი დაგროვილიყო, – წაიღეთ და თავიდან მომწყდით!

– არა, ასე ვერ მოვიქცევი. ეს ბიზნესია, რომლის დროსაც გარკვეული საფასურის საქონელი მიმოქცევაში არსებულ ვალუტაზე იცვლება.

– სამი დოლარი! – ხრინწიანი ხმით ჩაილაპარაკა გაოგნებულმა და შეძრწუნებულმა დიკმა. გული ბაგაბუგით უცემდა, კუნთები მოზღვავებული ადრენალინისგან უთრთოდა. იმედოვნებდა, რომ ეს ქმნილება წავიდოდა და ამისგან კიდევ უფრო ცუდად ხდებოდა: ცხოვრება იქვე, სულ ახლოს ჩქეფდა, მაგრამ მისი ყოფნა-არყოფნა ვიღაც დარტყმულის ჭირვეულობაზე იყო დამოკიდებული.

დარტყმულმა კი ძველი, გაცვეთილი საფულე ამოიღო, გახსნა და შიგ ქექვა დაიწყო. დიკს მოეჩვენა, რომ დრო უსაშველოდ გაიწელა. შეშლილს პირიდან კვლავ გადმოსდიოდა ნერწყვი, რომელიც საფულის გახუნებულ ტყავს ეწვეთებოდა. როგორც იქნა, სამი დოლარი ამოაძვრინა და დახლზე დადო, საფულე კი აკურატულად ისევ ჯიბეში ჩაიდო. შემდეგ საოცრად ჭუჭყიანი ჯინსის უკანა ჯიბე მოიჩხრიკა (ალბათ სულ საჭესთან იჯდა და არასდროს გაუშრია, – გაიფიქრა დიკმა) და ხურდისთვის განკუთვნილ ნაჭერზე სამი მონეტა დააგდო. ორი თხუთმეტცენტიანი და ერთი ათცენტიანი.

– ეს გასამრჯელოს სახით. ოცი პროცენტია, – დაუფარავი სიამაყით განაცხადა მყიდველმა, – ჯოუნსი თხუთმეტს იძლევა ხოლმე. ასე ჯობს. უფრო მეტია.

– რა თქმა უნდა, – ჩაიჩურჩულა დიკმა. ცხვირი კვლავ სისხლით ჰქონდა სავსე.

– კარგ დღეს გისურვებთ.

– თქვენ... გულთან ახლოს ნუ მიიტანთ.

ნარინჯისფერქურთუკიანი კაცი ცოტა ხანს თავდახრილი იდგა. დიკს ესმოდა, როგორ არჩევდა იგი შესაძლო პასუხებს და უმწეობისგან დაყვირება სურდა. ბოლოს უცნობმა თქვა:

– ვეცდები, არ მივიტანო, – პაუზის შემდეგ კი დაამატა, – არ მინდა, რომ ვინმეს დაურეკოთ, პარტნიორო.

– არავის დავურეკავ, – დაჰპირდა დიკი.

– შეგიძლიათ, ღმერთი დაიფიცოთ?

– დიახ, ღმერთს გეფიცებით.

– მეც ღმერთივით ვარ, – თქვა მყიდველმა.

– დიახ, რა თქმა უნდა. როგორც თქვენ...

– თუ ვინმეს დაურეკავთ, შევიტყობ, დავბრუნდები და შავ დღეს დაგაყრით.

– არ დავრეკავ!

– ძალიანაც კარგი.

მან კარი გამოაღო. ზარმა დაიწკარუნა. კაცი გარეთ გავიდა.

დიკი ერთხანს მილურსმნულივით გაუნძრევლად იდგა და მხოლოდ თვალებს აფახულებდა. გონს რომ მოეგო, კარისკენ გაქანდა, თეძო დახლს მიარტყა, მაგრამ არც კი შეჭმუხნილა. საღამოსთვის ფეხი გვარიანად ჩაულურჯდებოდა, მაგრამ ახლა ვერაფერს გრძნობდა. მან გასაღები გადაატრიალა, ურდული გასწია და ვიტრინიდან გაიხედა. მაღაზიის წინ პატარა, წითელი, გასაცოდავებული „სუბარუ“ იდგა. ერთიანად ტალახში ამოსვრილი – როგორც ჩანს,

დიდი გზა გაევლო და ერთხელაც არ გაერეცხათ. კაცმა ნავაჭრი მეორე ხელში გადაიტანა, კარი გააღო და საჭეს მიუჯდა.

„დროზე წადი, – ფიქრობდა დიკი, – გთხოვ, მისტერ, ღვთის გულისთვის, ჩქარა წადი აქედან".

მაგრამ ის არ წასულა. რაღაც აიღო, – ალბათ, პური, – პაკეტი გახია, იქიდან რამდენიმე ნაჭერი ამოიღო, მაიონეზის ქილა გახსნა და თითით ზედ გადაუსვა. ეს რომ დაასრულა, თითები გულმოდგინედ გაილოკა, თვალები დახუჭა და თავი უკან გადასწია. ტუჩებს ნეტარებით აცმაცუნებდა. მთელი სახე უბრწყინავდა. ექსტაზში იყო. შემდეგ ხორციან პაკეტს მიუბრუნდა, ერთ გირვანქამდე დაჭრილი ბეკონი პურის ნაჭერს დაატყეპა, ზევიდან მეორე ნაჭერი დააფარა და მგელივით დააცხრა სენდვიჩს. განცხრომის გამომეტყველება სახიდან, გურმანის სახიდან, ცხოვრებაში საუკეთესო სადილს რომ მირთმევდა, წამით არ მოსცილებია. ყოველი ლუკმის გადაყლაპვისას ყელი ებერებოდა. პირველ სენდვიჩს სამ ლუკმაში მოუღო ბოლო. როდესაც ხელი პურის მორიგი ნაჭრისკენ წაიღო, დიკ მაკკასკელს ტვინი ნეონის ნათურასავით გაუნათა აზრმა: „ასე უკეთესია. ცოცხალივითაა. ცივია, მაგრამ თითქმის ცოცხალი! "

დიკი კარს მოშორდა. ნელა მოძრაობდა. თითქოს წყალქვეშ იყო. დღის ნაცრისფერმა შუქმა შენობა გაავსო და ლუმინესცენციური ლამპების ნათება გადაფარა. უეცრად, ფეხები მოეკვეთა და სანამ ჭუჭყიანი ფიცრული იატაკი მისკენ წამოვიდოდა, ნაცრისფერი შავად იქცა.

21

როდესაც დიკი გონს მოვიდა, უკვე გვიან იყო. არ იცოდა, იატაკზე რამდენ ხანს ეგდო, რადგან ლუდის შესანახი მაცივრის თავზე „ბუდვაიზერის" ელექტრონული საათი მხიარულად ციმციმებდა და 88:88-ს უჩვენებდა. ძირს სამი კბილი ეგდო, ალბათ, დაცემისას მოსტყდა. ზედა ტუჩსა და ნიკაპზე სისხლი შეხმობოდა. თმა ასწეწოდა.

ადგომა სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა და გულში ლოცვით კარისკენ გაფოფხდა. ღმერთს შეესმინა მისი ვედრება. პატარა, წითელი, ტუალეტის მსგავსი მანქანა აღარსად ჩანდა. მის ადგილას ბეკონის ცარიელი პაკეტი, სამ მეოთხედამდე დაცლილი მაიონეზის ქილა და ნახევარი პური ეგდო. ცნობისმოყვარე ყვავებს – წყალსაცავის სიახლოვეს ისინი დიდი ზომით გამოირჩეოდნენ – უკვე მიეგნოთ მისთვის და დახეული პაკეტიდან პურის ნაჭრებს იტაცებდნენ. მოშორებით, 32-ე გზის სიახლოვეს, კიდევ რამდენიმე ფრინველი გაყინულ ბეკონსა და ზედ მიკრულ პურის ნამცეცებს უმკლავდებოდა. ჩანს, მესიე გურმანს საუზმე არ შერგებია.

ღმერთო დიდებულო! – გაიფიქრა დიკმა, – იმედი მაქვს, ისე გაღებინა, რომ გულ-მუცელი ამოგიტრიალდა, შე...

უეცრად საკუთარი შიგნეულობა ისეთი ფანტასტიკური ძალით აუჯანყდა, რომ პირზე ხელის აფარება ძლივს მოასწრო. თვალწინ ადამიანის კბილების მკაფიო, მახინჯი გამოსახულება წარმოუდგა. პურის ნაჭრებს ორივე მხრიდან გადმოჰკიდებოდა ქონიანი ხორცი, ყავისფრად დაძარღვული, ნაცრისფერი, უმი ხორცი, რომელიც ცხენის ლეშის მოჭრილ ენას ჰგავდა. დიკმა ხელაფარებული პირიდან ოდნავ დახშული ბუყბუყი გამოსცა.

გარდაუვალი ღებინებისგან გზაზე გამოჩენილმა ავტომობილმა იხსნა. სწორედ ეს სჭირდებოდა – ნორმალური კლიენტი. მსუბუქი, სატვირთო ან სპორტული ავტომანქანა კი არ იყო, არამედ საშინელი, კამუფლაჟიანი, მწვანე და შავი ლაქებით მოხატული „ჰამერი". წინ ორნი ისხდნენ, – ამაში დიკი თითქმის დარწმუნებული იყო, – უკან კი ერთი მოჩანდა.

დიკმა სასწრაფოდ გადაატრიალა კარზე ჩამოკიდებული დაფა, წარწერით „ღიაა" და უკან დაიხია. როგორც იქნა, წამოდგომა მოახერხა, მაგრამ იგრძნო, რომ შესაძლოა, კვლავ გული წასვლოდა. შემამჩნიეს, ამას წყალი არ გაუვა, – გაიფიქრა მან, – ახლა შემოვლენ

და მკითხავენ, აქ რომ კაცი იყო, სად წავიდაო, იმიტომ, რომ მას მისდევენ. მათ ის სჭირდებათ, ბეკონისსენდვიჩიანი კაცი. მეც ავდგები და ვეტყვი. მაინც მათქმევინებენ. მერე კი მე...

ხელი მის დაუკითხავად მიუახლოვდა თვალებს. ორი თითი, რომლებზეც მეორე სახსრამდე სისხლი შეხმობოდა, საგრძნობლად უთრთოდა. დიკს მოეჩვენა, რომ ისინი მისკენ მუქარით მოიწევდა: „გამარჯობა, თვალებო, რას აკეთებთ? დატკბით, სანამ შეგიძლიათ, რადგან მალე მოგაკითხავთ".

უკანა სავარძელზე მჯდომი თითქოს წინ გადაიხარა, მძღოლს რაღაც უთხრა და მანქანა წინ გაიჭრა. უკანა ბორბალმა წინა მძღოლის ნარწყევი ააშხეფა. „ჰამერი" მობრუნდა, წამით შეყოვნდა და უეირისა და კუებინის მიმართულებით გაქანდა.

როგორც კი ბორცვს მიღმა გაუჩინარდა, დიკ მაკკასკელმა ამოისლუკუნა და დახლისკენ წალასლასდა (ბორძიკითა და ბარბაცით, მაგრამ საკუთარი ფეხებით). უეცრად იატაკზე სამი კბილი დაინახა. საკუთარი სამი კბილი. კიდევ იოლად გამოძვრა. ჰო, მცირე ფასად. შემდეგ შეჩერდა და დახლზე დადებულ სამ ერთდოლარიანს მიაშტერდა. გასული დროის განმავლობაში მათ მოწითალო-ნარინჯისფერი ბუსუსებიანი ფენა გადაჰკვროდა.

22

– აქ აა! ზა ააძე, ოუენ!

ოუენი მე ვარ, – გაიფიქრა დაღლილმა ოუენ ანდერჰილმა, რომელსაც იმ დროისთვის უკვე საკმაოდ კარგად ესმოდა დადიტსის (თუ ერთხელ ყურს მიაჩვევდი, ეს არც ისე რთული იყო), – აქ არა! გზა განაგრძე!

მან 32-ე გზაზე გადაუხვია, დადიტსი კი სავარძლის ზურგს მოწყვეტით მიეყრდნო და ხველა აუვარდა.

– შეხედე, – თქვა ჰენრიმ და ხელი გაიშვირა, – ხედავ?

ოუენმა დაინახა. წვიმაში დახეული პაკეტები სველდებოდა. და

მაიონეზის ქილა. მან სიჩქარეს მოუმატა და გეზი ჩრდილოეთისკენ აიღო. წვიმა განუწყვეტლივ ესხმებოდა საქარე მინას, თანაც – ისეთი ძალით, რომ მინასაწმენდებს მუშაობა უჭირდა. მალე, ალბათ, თოვასაც დაიწყებდა. დაღლილ-დაქანცული და ტელეპათიის უნარის შემცირებით რატომღაც დასევდიანებული ოუენი უეცრად მიხვდა, რომ ყველაზე მეტად ასეთ საზიზღარ დღეს არ სურდა სიკვდილი.

– ისევ შორს არის? – დაინტერესდა ოუენი, რომელმაც ვერ გაბედა, ყველაზე ბუნებრივი შეკითხვა დაესვა: „დავაგვიანეთ?“

ვარაუდობდა, რომ ჰენრი სიმართლეს ეტყოდა.

– იქ არის, – დაბნეულად მიუგო ჰენრიმ. იგი შეტრიალებულიყო და სველი ნაჭრით დადიტსს სახეს უწმენდდა. დადიტსი მადლიერებით შესცქეროდა მას და გაღიმებას ცდილობდა. ნაცრისფერი ლოყები ოფლისგან უბრწყინავდა, თვალების გარშემო გაჩენილი შავი წრეები თანდათან ენოტივით უდიდდებოდა.

– თუ იქ არის, აქეთ რატომ წამოვედით? – იკითხა ოუენმა. იგი „ჰამერს“ საათში სამოცდაათი მილის სიჩქარით მიაქროლებდა, რაც ძალიან საშიში იყო ღორღიანი ასფალტ-ბეტონის გზაზე, მაგრამ არჩევანი არ ჰქონდა.

– მეშინია, დადიტსმა ხაზი არ დაკარგოს, – მიუგო ჰენრიმ, – თუ ეს მოხდება...

დადიტსმა საცოდავად დაიკვნესა, ხელები მუცელზე წაივლო და მოიკუნტა. კვლავაც მუხლებზე მდგარმა ჰენრიმ გამხდარ კისერზე ხელი ფრთხილად გადაუსვა.

– დამშვიდდი, დადიტს, – თქვა მან, – დამშვიდდი, კარგად ხარ.

მაგრამ დადიტსი კარგად არ იყო და ეს ოუენმაც იცოდა და ჰენრიმაც. სიცხისგან გათანგული, სპაზმებისგან შეწუხებული, მიუხედავად „პრედნიზოლონის“ მეორე და „პერკოსეტის“ კიდევ ორი ტაბლეტისა, ყოველ დახველებაზე სისხლიან ნახველს იღებდა. დადიტს ქეველი ძალიან შორს იყო კარგად ყოფნისგან. თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ ჯოუნსისა და გრეის სიმბიოზსაც არაერთი სირთულის

დაძლევა უხდებოდა.

და ეს ყველაფერი ბეკონის გამო. მხოლოდ იმის იმედი ჰქონდათ, რომ მისტერ გრეის მცირე ხნით შეაყოვნებდნენ. ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ ღორმუცელობა ასეთ გასაოცარ შედეგს გამოიღებდა. გასაკვირი არ იყო, რომ ჯოუნსის კუჭმა ვერ გაუძლო. მაღაზიასთან პირღებინების პირველი შადრევნის შემდეგ მისტერ გრეის კიდევ ორჯერ მოუხდა უეირისკენ მიმავალ გზაზე შეჩერება. ყოველ ჯერზე მანქანიდან გადმოუსვლელად თავს ფანჯარაში ჰყოფდა და, ლამის კრუნჩხვაში ჩავარდნილი, ბეკონის ნაჭრებს აფრქვევდა.

შემდეგ კუჭი აეშალა. მანქანა მე-9 გზაზე მდებარე ბენზინგასამართ სადგურ „მობილთან" გააჩერა და ძლივს მოასწრო კაცების საპირფარეშომდე მირბენა. სადგურთან შემდეგი წარწერა მოჩანდა: „იაფი გაზი, სუფთა ტუალეტები". იმ დროისთვის, როდესაც მისტერ გრეი იქიდან გამოვიდა, წარწერის მეორე ნახევარი სიმართლეს აღარ შეესაბამებოდა. ამჯერად, მისტერ გრეის არავინ მოუკლავს, რაც ჰენრიმ პლუსად მიიჩნია.

სანამ კუებინისკენ გადაუხვევდა, მისტერ გრეიმ კიდევ ორჯერ დაამუხრუჭა, უახლოეს ბუჩქებს მიაკითხა და ჯოუნსის აჯანყებული შიგნეულობის განტვირთვა სცადა. ამასობაში, კოკისპირულ წვიმას სველი თოვლის უზარმაზარი ფანტელები ჩაენაცვლა.

გაცოფებული და გაბოროტებული მისტერ გრეი განუწყვეტლივ უღრენდა ჯოუნსის, განსაკუთრებით გაჩერებისას. რაღას არ აბრალებდა, ყველაფერში ჯოუნსი მიაჩნდა დამნაშავედ. ჯოუნსიმ გააბა იგი მახეში. მან არჩია, დაევიწყებინა შიმშილის გრძნობა და საოცარი ღორმუცელობა, რამაც ოთხი გირვანქა ბეკონის ორ წამში გადასანსვლისკენ უბიძგა და თითებიც გაალოკვინა.

ჰენრის არაერთხელ ენახა მსგავსი პაციენტები, რომლებიც ფაქტების ერთობლიობიდან იმას ირჩევდნენ, რაც აწყობდათ და ყველას ადანაშაულებდნენ, საკუთარი თავის გარდა. რაღაც გაგებით, მისტერ გრეი ბარი ნიუმენის ერთგვარი ორეული იყო.

როგორ გაადამიანურებულა, – გაიფიქრა ჰენრიმ, – საოცრად დამსგავსებია ადამიანს.

– რას გულისხმობდი, როდესაც თქვი, ის იქ არისო? – ჰკითხა ოუენმა.

– თვითონაც არ ვიცი. ისევ დამბლოკა. დადიტს, შენ გესმის ჯოუნსის?

დადიტსმა გაჭირვებით გაიღიმა და თავი დააქნია.

– ისერ ეიმ ენი კარტი აიო, – თქვა მან, – „მისტერ გრეიმ ჩვენი კარტი აიღო", – მაგრამ ეს სლენგის სიტყვასიტყვით თარგმანს უფრო ჰგავდა. დადიტსს სიტყვები არ ჰყოფნიდა იმის აღსაწერად, რაც სინამდვილეში მოხდა, მაგრამ მის ტვინში ისე კითხულობდა, როგორც გადაშლილ წიგნში. მისტერ გრეიმ ჯოუნსის ციხესიმაგრეში ვერ შეაღწია და კარტი ვერ მოიპარა, მაგრამ როგორღაც მოახერხა და მათზე ნახატები წაშალა.

– როგორ ხარ, დადიტს? – ჰკითხა ოუენმა და მას უკანა ხედვის სარკიდან გახედა.

– აად არ ("კარგად ვარ"), – მიუგო დადიტსმა და აცახცახდა. მუხლებზე ყვითელი კოლოფი და ყავისფერი პაკეტი ედო წამლებითა და ბაწრისგან გაკეთებული უცნაური აბლაბუდით. განიერი ლურჯი ქურთუკი ეცვა, მაგრამ მაინც კანკალებდა.

ძალიან სწრაფად გვტოვებს, – გაიფიქრა ოუენმა, როდესაც ჰენრი კვლავ ძველი მეგობრის სახის წმენდას შეუდგა.

უეცრად „ჰამერი" მოსრიალდა და გზისპირისკენ, ანუ კატასტროფისკენ ცეკვა-ცეკვით წავიდა – ასე სწრაფად მოძრაობისას ავარია სამივე მათგანის დაღუპვას ნიშნავდა. რომც გადარჩენილიყვნენ, მისტერ გრეის შეჩერების შანსი საბოლოოდ დასამარდებოდა, მაგრამ ოუენმა ამჯერადაც იმარჯვა და მანქანაზე კონტროლი აღიდგინა. ოუენმა, უნებურად, ქაღალდის პაკეტს გახედა და ფიქრებით კვლავ თოკისგან დამზადებულ აბლაბუდას დაუბრუნდა. „ბივერმა გამომიგზავნა. საშობაოდ. გასულ კვირას".

ოუენის აზრით, ტელეპათიით ურთიერთობა იგივე იყო, რაც ბოთლში წერილის მოთავსება, თავის დაცობა და ოკეანეში გადაგდება. მაინც სცადა აზრის გაგზავნა, როგორც თვითონ ეგონა, დადიტსის მიმართულებით: „ამას რას უწოდებ, შვილო? "

უეცრად მის თვალწინ დიდი დარბაზი გაჩნდა – სასტუმრო და სასადილო ოთახებისა და სამზარეულოს კომბინაცია. გამოყვანილ ფიჭვის ფიცრებზე ლაქი ბზინავდა, იატაკზე ნავაჰოს ხალიჩა ეფინა, კედელზე კი გობელენი ეკიდა: ერთი ციდა ინდიელი მონადირეები გარს შემოხვეოდნენ ნაცრისფერ ფიგურას, მრავალრიცხოვანი სუპერმარკეტების ტაბლოიდების გმირს, ტიპურ უცხოპლანეტელს. შორეულ კუთხეში ქვისსაკვამურიანი ბუხარი მოჩანდა, რომლის გვერდით მუხის სასადილო მაგიდა იდგა. ოუენს მზერა შუა კოჭზე ჩამოკიდებული, თოკისგან გამონასკვული აბლაბუდისთვის მიეპყრო (ეს არც იყო გასაკვირი, ის ხომ დადიტსის მიერ გამოგზავნილი სურათის ცენტრში მდებარეობდა და საკუთარი, განსაკუთრებული ნათება ჰქონდა). აბლაბუდა დადიტსის პაკეტში მოთავსებული ავგაროზის გადიდებულ ვარიანტს წარმოადგენდა და მისგან მხოლოდ ზომით განსხვავდებოდა.

ოუენს თვალები ცრემლებით აევსო. ასეთი ლამაზი ოთახი დედამიწის ზურგზე არსად ეგულებოდა. მან იგრძნო ეს, რადგან დადიტსი ასე ფიქრობდა, დადიტსი კი ასე იმიტომ ფიქრობდა, რომ აქ მისი მეგობრები ჩამოდიოდნენ და მას ისინი უყვარდა.

– სიზმართმჭერი ავგაროზი, – ჩაიჩურჩულა უკანა სავარძელში მჯდომმა მომაკვდავმა ადამიანმა და ეს სიტყვები იდეალურად გარკვევით წარმოთქვა.

ოუენმა თავი დაუქნია. ჰო, სიზმართმჭერი ავგაროზი.

„ეს შენ ხარ, – გაუგზავნა მან. იცოდა, რომ ჰენრი უსმენდა, მაგრამ ამას არად დაგიდევდათ. ეს შეტყობინება დადიტსისთვის იყო, მხოლოდ დადიტსისთვის, – სიზმართმჭერი შენ ხარ, ხომ ასეა? მათი სიზმართმჭერი. და ყოველთვის იყავი".

სარკიდან გაღიმებული დადიტსი იყურებოდა.

23

ისინი გასცდნენ საგზაო ნიშანს, რომელზეც ეწერა: „კუებინის წყალსაცავი. 8 მილი. თევზაობა აკრძალულია. სერვისი არ არის. პიკნიკი დასაშვებია. ბილიკები გახსნილია. სეირნობა თქვენივე პასუხისმგებლობით".

ზედ სხვა წარწერებიც მოჩანდა, მაგრამ მანქანა საათში ოთხმოცი მილის სიჩქარით მოძრაობდა და ჰენრიმ წაკითხვა ვერ მოასწრო.

– ხომ არ არსებობს შანსი, რომ მანქანა გააჩეროს და გზა ფეხით განაგრძოს? – ჰკითხა მას ოუენმა.

– გულშიც არ გაივლო, – მიუგო ჰენრიმ, – თავქუდმოგლეჯით გარბის. იქნებ სადმე გაიჭედოს ან რამეს შეეჯახოს. მხოლოდ ეს თუ გვიშველის. ეს კი სავსებით შესაძლებელია. გარდა ამისა, დასუსტდა და სწრაფად ვეღარ მოქმედებს.

– შენ, ჰენრი? შენ კი შეგიძლია სწრაფად მოქმედება?

იმის გათვალისწინებით, რომ მთელი სხეული გაშეშებოდა, ფეხი კი სტკიოდა, ლოგიკური შეკითხვა იყო.

– თუკი შესაძლებლობა მომეცემა, ცდას არ დავაკლებ. ნებისმიერ შემთხვევაში, დადიტსი არ უნდა დაგვავიწყდეს. საეჭვოა, რომ ასეთ მომქანცველ სიარულს გაუძლოს.

„და საერთოდ სიარულს", – აღარ დაამატა მან.

– კურცი, ფრედი და პერლმუტერი, ჰენრი. სად არიან ახლა ისინი?

ჰენრიმ ყურადღება მოიკრიბა. პერლმუტერს საკმაოდ კარგად გრძნობდა... და მის მუცელში მოკალათებულ გაუმაძღარ კაციჭამიასთანაც შეეძლო კავშირის დამყარება. ურჩხული რაღაცით მისტერ გრეის აგონებდა, ისიც ბეკონის სამყაროში ცხოვრობდა. არჩიბალდ პერლმუტერი, ოდესღაც შეერთებული შტატების არმიის ოფიცერი, ბეკონად გადაქცეულიყო. ჰენრის იქ შეღწევა არ სურდა. იქ მხოლოდ

ძლიერ ტკივილსა და შიმშილს დაებუდებინა.

– თხუთმეტი მილი, – თქვა მან, – იქნებ თორმეტიც. მაგრამ ამას მნიშვნელობა არ აქვს, ოუენ. ჩვენ მათ გადავასწრებთ. მთავარია, მოვახერხებთ თუ არა მისტერ გრეის შეპყრობას. ეჰ, ცოტა იღბალი არ გვაწყენდა. სულ ცოტა. ან დახმარება.

– და თუ შევიპყრობთ, ჰენრი? კვლავაც გმირები ვიქნებით?

ჰენრის დაღლილი სახე ღიმილმა გაუნათა:

– ვფიქრობ, უნდა ვცადოთ.

თავი ოცდამეერთე
მე-12 ჭაბურღილი

1

მისტერ გრეის თითქმის სამი მილი ჰქონდა გავლილი „სუბარუთი“ ისთსტრიტზე, – ჭუჭყიან, უსწორმასწორო ქუჩაზე, – როდესაც გამოგნესილი კულვერტის[212] სახით, მორიგ დაბრკოლებას გადაეყარა. იქამდე „სუბარუმ“ ვაჟკაცურად დასძლია რამდენიმე მილი გუდნოდაიკის ჩრდილოეთით, თუმცა ერთ ადგილას ხმის ჩამხშობი მოსძვრა, გამოსაბოლქვი მილიც ზედ მიჰყვა – ბედის ბოლო სიმუხთლეს ვეღარ გაუძლო, მანქანა ცხვირით შეიჭრა ნაპრალში და მილზე დაჯდა. ხმის ჩამხშობის გარეშე დარჩენილი ძრავა საშინლად ღრიალებდა. ჯოუნსი წინ გადაქანდა. უსაფრთხოების ქამარი დიაფრაგმაზე დააწვა. გული აერია და ზედ ხელსაწყოების პანელზე აღებინა უსასოო ბავშვივით – მყარი არაფერი ამოუღია, მხოლოდ ნერწყვი და

[212] სადრენაჟო მილი.

ნაღველი. წამით სამყარო ჩაქრა, ძრავის ღრიალმა შორს გადაინაცვლა. მისტერ გრეი გაშმაგებით ეწინააღმდეგებოდა, ეშინოდა, – ვაითუ, გონება დავკარგო და ჯოუნსიმ ძალაუფლება დაიბრუნოსო.

ძაღლმა დაიწკმუტუნა. თვალები კვლავ დახუჭული ჰქონდა, მაგრამ უკანა თათები ნერვიულად უცახცახებდა, ყურები უტოკავდა, მუცელი საშინლად გაჰბეროდა, ბალანი შიგადაშიგ ეჭავლებოდა. გადამწყვეტი წუთი ახლოვდებოდა.

თანდათან სამყაროს კვლავ დაუბრუნდა ფერები და რეალობაც აღდგა. მისტერ გრეიმ რამდენჯერმე ღრმად შეისუნთქა ავადმყოფი და გასაცოდავებული სხეულის გამოსაცოცხლებლად. ნეტა, კიდევ რამდენი ჰქონდა გასავლელი? მისი აზრით – ცოტა. ოღონდ, თუ მანქანას ვერაფერს მოუხერხებდა, ფეხით სიარული მოუწევდა. ძაღლი ამას ვერ შეძლებდა. ლედს ახლა ისედაც ძილი ესაჭიროებოდა, ის კი, სადაცაა, ისევ გაიღვიძებდა.

მისტერ გრეი მისი რუდიმენტული ტვინის ძილის ცენტრს მოეფერა, თან ნერწყვით მოთხვრილ პირს იწმენდდა. მისი გონების ერთი ნაწილი აცნობიერებდა, რომ გამოკეტილი და დაბრმავებული ჯოუნსი მომენტს ელოდებოდა, თავს რომ დასხმოდა და ყველაფერი დაენგრია, რისთვისაც ასე თავდაუზოგავად იღვწოდა; მეორე ნაწილი კი, საოცარია, მაგრამ კვლავ ბეკონს ნატრობდა, სწორედ იმ საკვებს, რომელმაც ორგანიზმი მოუწამლა.

„იძინე, მეგობარო", – ამშვიდებდა ძაღლს. ბაირუსსაც. ორივე უსმენდა. ლედი გაყუჩდა. თათები აღარ უცახცახებდა. ბალანიც სულ უფრო შეუმჩნევლად ეჭავლებოდა, ბოლოს შეუწყდა კიდეც. ჯერჯერობით სიმშვიდე სუფევდა, მაგრამ ეს სიწყნარე დიდხანს არ გაგრძელდებოდა. არც ეს იყო ცუდი.

„დანებდი, დოროთი".

– მოკეტე, – დაიღრინა მისტერ გრეიმ, – მაკოცე ტაკოში!

მან მანქანა უკან დაძრა და აქსელერატორს დააწვა. ძრავამ და-

იღმუვლა, მაგრამ მხოლოდ ახლომდებარე ხეებზე შემომსხდარი ჩიტები დააფრთხო. წინა ბორბლები არ იძვროდა, უკანა კი მაღლა აწეულიყო და ჰაერში სულელურად ტრიალებდა.

– ამის დედაც! .. – შეჰყვირა მისტერ გრეიმ და საჭეს ჯოუნსის მუშტი დასცხო, – დალახვროს ეშმაკმა, ბანანები! ბარემ მიხმარე, ფრედი!

მან გადაწყვიტა გაეგო, რამდენად მიუახლოვდნენ მდევრები, მაგრამ მკაფიო პასუხი ვერ მიიღო, იმას კი გრძნობდა, რომ ახლოს იყვნენ. ორი ჯგუფი მოსდევდა და ერთში, რომელიც, სადაცაა, დაეწეოდა, დადიტსი იმყოფებოდა. მისტერ გრეის ეშინოდა დადიტსის, ხვდებოდა, რომ ის იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ შედარებით ადვილი დავალება თითქმის ჩააფლავა. თუკი დადიტსს ახლოს არ მოუშვებდა, ყველაფერს წარმატებით გაართმევდა თავს. ამაში იმის ცოდნაც დაეხმარებოდა, თუ რა მანძილი აშორებდათ მათ ერთმანეთისგან, მაგრამ დადიტსი, ჯოუნსი და ის, რომელსაც ჰენრი ერქვა, საიმედოდ ბლოკავდნენ მას და ისეთ ძალას წარმოადგენდნენ, როგორსაც მისტერ გრეი აქამდე არსად გადაჰყროდა. ამიტომაც ეშინოდა.

– ჯერ მაინც საკმაოდ წინ ვარ, – შეატყობინა ჰენრის და მანქანიდან გადმოვიდა. ფეხი დაუსხლტა და ბივერის სიტყვებით შეიგინა. შემდეგ კარი მიხურა. კვლავ წამოთოვა. უშველებელი ფიფქები ციდან კანფეტებივით ცვიოდა და ჯოუნსის ლოყებზე ადნებოდა. მისტერ გრეი საბარგულისკენ წალასლასდა, ბორძიკობდა და ტალახში ეფლობოდა. იქ ცოტა ხანს შედგა და არხიდან გამოჩრილი სადრენაჟო მილის მიჭეჭყილ ნარჩენს მიაჩერდა (ნაწილობრივ ისიც თავისი პატრონის ჯოჯოხეთური ცნობისმოყვარეობის მსხვერპლი გამხდარიყო), შემდეგ კი გამობრუნდა, – შენს ყველა დამპალ მეგობარს ცალი ხელით გავუმკლავდები.

ამ წაქეზებამ ჯოუნსის სიტყვა ვერ დააცდენინა, მაგრამ მისტერ გრეი მას ისევე გრძნობდა, როგორც სხვებს. მდუმარე ჯოუნსიც კი

ძვალივით გასჩხეროდა ყელში.

„არა უშავს. ჯანდაბას მისი თავი. მთავარი პრობლემა ძაღლია. ბაირუსი სადაცაა გარეთ გამოვა. როგორ გადავიყვანო ძაღლი? "

კვლავ ჯოუნსის მეხსიერების საცავში ჩაყვინთა. თავიდან ვერაფერს მიაგნო... შემდეგ სცენა გამოჩნდა „საკვირაო სკოლიდან", სადაც ჯოუნსი ბავშვობაში დაჰყავდათ, რათა „ღმერთისა" და „ღმერთის მხოლოდშობილი შვილის " შესახებ შეეტყო, მისტერ გრეის ცნობიერებაში იგი ბაირუსთან, ბაირუსის კულტურის შემქმნელთან ასოცირდებოდა, ჯოუნსის გონება კი, ერთდროულად, „ქრისტიანობასა" და „აბდაუბდასთან" აიგივებდა. სურათი მკაფიოდ ჩანდა და აღებული იყო წიგნიდან, რომელსაც „ბიბლია" ერქვა. წიგნზე „ღვთის მხოლოდშობილ ძეს" ბატკანი მიჰყავდა, მხრებზე მოეგდო, ბატკნის წინა ფეხები „მხოლოდშობილი ძის" მარჯვენა მხარზე გადმოჰკიდებოდა, უკანა – მარცხენაზე.

სხვა რა გზა ჰქონდა, თვითონაც ასე მოიქცა.

მისტერ გრეიმ მძინარე ძაღლი გამოიყვანა და მხრებზე შემოიდო. უკვე მძიმე იყო – ჯოუნსი კუნთებში იდიოტურ, აუტანელ სისუსტეს გრძნობდა – და დროსთან ერთად, კიდევ უფრო დამძიმდებოდა... მაინც ბოლომდე უნდა გაეძლო.

გახშირებულ თოვაში ისთსტრიტს გაუყვა. მძინარე ბორდერ-კოლი კისერზე ბეწვის ყელსახვევივით შემოეხვია.

2

გზაზე დაფენილი თოვლი სწრაფად იყინებოდა და 32-ე გზაზე გასვლის შემდეგ ფრედი იძულებული გახდა, სიჩქარე საათში ორმოც მილამდე შეემცირებინა. კურცი გაშმაგებისგან ადგილს ვერ პოულობდა. ყველა სიკეთესთან ერთად, ნახევრად კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პერლმუტერიც ხელიდან უსხლტებოდა. თანაც სწორედ მაშინ, როდესაც, დალახვროს ეშმაკმა, მოულოდნელად იმ არსების აზრებში შეაღწია, ვისაც ოუენი და მისი ახალი მეგობარი

ჰენრი მისტერ გრეის ეძახდნენ.

– იგი ძალზე დაკავებულია იმისათვის, რომ დამალვაზე იფიქროს, – ჩაილაპარაკა პერლიმ ნელა, ნამძინარევი ხმით, – მას ეშინია. ანდერჰილის შესახებ ვერაფერს გეტყვით, ბოს, მაგრამ ჯოუნსი... ჰენრი... დადიტსი... მას იმ სამეულის ეშინია. და სწორიც არის, რომ ეშინია. მათ რიჩი მოკლეს.

– რიჩი ვინღაა, მეგობარო?

კურცს რიჩი სულ არ ადარდებდა, მაგრამ პერლმუტერის გამოფხიზლება სურდა. ხვდებოდა, რომ ისინი იქით მიემართებოდნენ, სადაც პერლმუტერი მალე აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ ჯერ უნდა გამოეყენებინა.

– არ... ვიცი...

პერლმუტერმა ბოლო სიტყვას ხვრინვა მოაყოლა. „ჰამერი" მოცურდა და რამდენიმე იარდზე გასრიალდა. ფრედიმ შეიკურთხა, საჭეს ჩააფრინდა და მანქანის შეჩერება ზედ თხრილის პირზე მოახერხა. კურცს ეს არც შეუმჩნევია. ის სავარძელზე გადაიხარა და პერლმუტერს ლოყებში ერთი-ორჯერ შემოულაწუნა. ამ დროს სწორედ იმ მაღაზიას ჩაუარეს, რომლის ვიტრინაზე ეწერა: „საუკეთესო საჭმელი, შემოდი, რაღას ელოდები? "

– ე-ე-ე! – შეჰყვირა პერლიმ და თვალები გაახილა. თეთრი გარსი გაჰყვითლებოდა, მაგრამ კურცს, როგორც რიჩი, ესეც ფეხებზე ეკიდა, – არ გინდააათ, ბოს...

– ახლა სად არიან?

– წყალი, – ჩაიბურტყუნა პერლიმ ჭირვეული ავადმყოფის დასუსტებული ხმით. პალტოს ქვეშ უზომოდ გაზრდილი მუცელი შეზანზარებულ მთას მიუგავდა.

მა ჯოუდი მეცხრე თვეში, ღმერთო, შენ დაგვიფარე და შეგვიწყალე, – გაიფიქრა კურცმა.

– წყაააა...

ქუთუთოები კვლავ დაეშვა. კურცმა ხელი შემოსარტყმელად ასწია.

– ეძინოს, – უთხრა ფრედიმ.

კურცმა შეხედა და წარბები ასწია.

– ალბათ წყალსაცავის თქმა უნდოდა. თუ ასეა, აღარაფერში გვჭირდება.

მანქანის კვალზე მიუთითა, რომელსაც იქ ცოტა ადრე გაევლო. ჩაშავებული ზოლები მკვეთრად ჩანდა ახალ თოვლზე.

– დღეს ამ გზაზე ჩვენ გარდა არავინაა, ბოს. არავინ.

– მადლობა ღმერთს, – კურცი სავარძლის საზურგეს მიეყრდნო, პისტოლეტი ამოიღო, შეათვალიერა და ისევ ბუდეში ჩააბრუნა, – რაღაც მინდა გკითხო, ფრედი.

– გისმენთ, ბოს.

– როდესაც ეს ყველაფერი დასრულდება, მექსიკაზე რას იტყვი?

– თანახმა ვარ. ოღონდ იმ პირობით, რომ აქაური წყლის დალევა არ მოგვიწევს.

კურცმა გადაიხარხარა და ფრედის მხარზე ხელი მოუთათუნა. ამასობაში არჩი პერლმუტერი სულ უფრო ღრმად იძინებდა კომაში. მისი მსხვილი ნაწლავის ყველაზე ქვედა ნაწილში, გადამუშავებული საკვების ნარჩენებსა და გაცვეთილ მკვდარ უჯედებს შორის, რაღაც ქმნილებამ პირველად გაახილა თვალი.

3

იმ უზარმაზარი ტერიტორიის შესასვლელი, კუებინის წყალსაცავს რომ ერტყა, ორი ქვის სვეტით მოენიშნათ. იქით გზა საგრძნობლად ვიწროვდებოდა და მხოლოდ ერთი მანქანა თუ გაივლიდა. ჰენრიმ იგრძნო, რომ წრე დაარტყა და საწყის წერტილში დაბრუნდა. თითქოს მასაჩუსეტსში კი არა, მენში აღმოჩნდა, თუმცა ფირნიშზე გარკვევით ეწერა: „კუებინისკენ“. ისინი კვლავ დიფქათროუდს მი-

უყვებოდნენ. მოცეკვავე შუქის დანახვის მოლოდინში, გაუცნობიერებლად ახედა ცას და თვალი მოჰკრა არწივს თავზე თეთრი ნიშნით, ის ისე დინჯად და დაბლა დაფრინავდა, რომ კაცი ხელითაც კი მისწვდებოდა. ფრინველი ფიჭვის ქვედა ტოტზე შემოჯდა.

დადიტსმა ფანჯრის გრილ შუშას თავი მოაცილა და განაცხადა:

– ისერ ეი ფეით იდის.

ჰენრის გული აუფანცქალდა.

– გაიგონე, ოუენ? მისტერ გრეი ფეხით მიდის.

– გავიგონე, – მიუგო ოუენმა, თავი დაუქნია და სიჩქარეს მოუმატა. სველი თოვლი ყინულზე არანაკლებ საშიში იყო, მაგრამ წყალსაცავისკენ მხოლოდ ერთი კვალი მიდიოდა.

ჩვენ მეორეს დავტოვებთ, – გაიფიქრა ჰენრიმ, – თუ კურცი აქამდე მოაღწევს, ტელეპათია აღარ დასჭირდება.

დადიტსმა დაიკვნესა, მუცელზე ხელები მოიჭირა და შეკრთა.

– ენი, ავად ვარ. დადიტსი ავადაა.

ჰენრიმ დადიტსს შუბლზე ხელი მიადო და დამდუღრულივით უკან გამოსწია. მერე რა მოხდება? ალბათ, შეტევა დაეწყება. მისი დასუსტებული ორგანიზმი ძლიერ შეტევას ვერ გაუძლებს, თუმცა მხოლოდ ღმერთმა იცის, ასეთ მდგომარეობაში მისთვის რა ჯობს. გული ძალიან სწყდებოდა, რადგან თვითონ, ჰენრი დევლინი, პოტენციური თვითმკვლელი იყო, წყვდიადს კი მისი საუკეთესო მეგობრები ერთიმეორეზე მიყოლებით მიჰყავდა.

– გამაგრდი, დადს. ყველაფერი მალე დამთავრდება.

თუმცა კარგად იცოდა, რომ წინ უარესი ელოდათ. დადიტსმა კვლავ გაახილა თვალი.

– ისერ ეი... აიედა.

– რაო? – იკითხა ოუენმა, – ვერ გავიგე.

– ამბობს, რომ მისტერ გრეი გაიჭედა, – თქვა ჰენრიმ, რომელიც დადიტსს კვლავ შუბლზე ეფერებოდა და მისი ოქროსფერი გრუზა თმა ახსენდებოდა. დადიტსის შესანიშნავი ქერა თმა. მისი ტირილი

ბიჭებს ტანჯავდა, ტვინში ბლაგვი სამართებელივით ერჭობოდა. სამაგიეროდ, სიცილი ჩუქნიდა ბედნიერ წუთებს – დადიტსის სიცილის გაგონებისთანავე თქვენც, თუნდაც ცოტა ხნით, კვლავ დაიჯერებდით ზღაპრებს, დაიჯერებდით, რომ სიცოცხლე მშვენიერია, რომ ბიჭებსა და კაცებს, გოგონებსა და ქალებს ცხოვრებაში რაღაც მიზანი აქვთ. რომ წყვდიადის გარდა სინათლეც არსებობს.

– რატომ პირდაპირ წყალსაცავში არ მოისვრის იმ წყეულ ძაღლს, – იკითხა ოუენმა დაღლილობისგან ათრთოლებული ხმით, – რატომ აუჩემებია მე-12 ჭაბურღილი? იმიტომ, რომ რუსი ქალი იქ დაიხრჩო?

– ვფიქრობ, წყალსაცავი მისთვის საკმარისი არ არის, – მიუგო ჰენრიმ, – წყალსადაწნეო კოშკი კარგი იქნებოდა, მაგრამ აკვედუკი იდეალური საშუალებაა ასეთი მიზნისთვის. ეს იგივეა, რაც სამოცდახუთმილიანი ნაწლავები, მე-12 ჭაბურღილი კი ყელია. დადიტს, შევძლებთ მის დაჭერას?

დადიტსმა მას დაღლილი თვალებით შეხედა და თავი დაუქნია. უძლურებისგან გამწარებულმა ოუენმა ხელი თეძოზე შემოირტყა. დადიტსმა ტუჩები მოილოკა და ხრინწიანი ხმით ორი სიტყვა წარმოთქვა.

ოუენმა გაიგონა, მაგრამ ვერ მიხვდა.

– რაო? რა თქვა?

– მხოლოდ ჯოუნსიო.

– მერედა, ეს რას ნიშნავს? ჯოუნსი რა შუაშია?

– ვფიქრობ, მხოლოდ ჯოუნსის შეუძლია მისი შეჩერება.

„ჰამერმა" კვლავ ბუქსაობა დაიწყო. ჰენრი სავარძელს ჩააფრინდა. დადიტსმა თითებში ხელი ჩაავლო და სასოწარკვეთილი მზერა მიაპყრო. რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ კვლავ ხველა აუვარდა. საშინელ ხმებს გამოსცემდა. ტუჩებზე ღია წითელმა, თითქმის ვარდისფერმა, ბუშტუკებიანმა სისხლმა გამოჟონა. ჰენრიმ გაიფიქ-

რა, რომ ეს ფილტვებიდან წამოსული სისხლი იყო, მაგრამ ხველისგან გამოწვეული კანკალის მიუხედავად, დადიტსს ხელი ისევ მაგრად ჰქონდა ჩავლებული ჰენრიზე.

– ჩემთვის იფიქრე, – სთხოვა ჰენრიმ, – შეგიძლია, ჩემთვის იფიქრო?

რამდენიმე წამის განმავლობაში არაფერი ხდებოდა, შემდეგ დადიტსმა გაყინული ხელი ძლიერად მოუჭირა ჰენრის და თვალის დაუხამხამებლად მიაშტერდა. მალე დადიტსი და „ჰამერის" ხაკისფერი ინტერიერი მალულად მოწეული სიგარეტის სუნთან ერთად გაქრა.

ამის ნაცვლად ჰენრი ტელეფონს ხედავს – ძველმოდურ აპარატს სხვადასხვა ზომის ჭრილით: ერთი – თხუთმეტცენტიანისთვის, ერთიც – დაიმისთვის[213], სხვა – ნიკელისთვის[214]. განუწყვეტელი ჩხაკაჩხუკის ფონზე მამაკაცების საოცრად ნაცნობი ხმები ისმის. უეცრად ხვდება, რომ ეს დაფაზე შაშის ქვების კაკუნია. იგი გოსლინის მაღაზიის ტელეფონს ხედავს, სწორედ იმას, რომლისგანაც დადიტსს დაურეკეს რიჩი გრენადოს სიკვდილის შემდეგ. სიმართლე ითქვას, მხოლოდ ჯოუნსი რეკავდა, რადგან მხოლოდ მას ჰქონდა ნომერი, რომელზეც ანგარიშის გამოგზავნა შეიძლებოდა. დანარჩენები გარს შემოეხვივნენ; ქურთუკები არც კი გაუხდიათ, რადგან მაღაზიაში ისევე ციოდა, როგორც გარეთ – მიუხედავად იმისა, რომ ტყეში ცხოვრობდა, სადაც ხეების მეტი არაფერი იყო, ძუნწი გოსლინი ღუმელში ერთ ზედმეტ შეშის ნაპობსაც კი არ შეაგდებდა. აპარატთან ორი დაფაა გაკრული. ერთზე თხოვნაა, რომ ხუთ წუთზე მეტი არ ილაპარაკონ. მეორე...

გაისმა ღრჭიალი და დარტყმის ხმა. დადიტსი ჰენრის სავარძლის საზურგისკენ გადავარდა, ჰენრი კი ცხვირით – პანელისკენ. ერთმანეთს ხელები გაუშვეს. ოუენი გზიდან თხრილში გადავიდა. წინ, თოვლში, შავად მოჩანდა „სუბარუს" კვალი.

---

[213] ათცენტიანი მონეტა აშშ-ში.

[214] ხუთცენტიანი მონეტა აშშ-ში.

– ჰენრი! კარგად ხარ?

– კი. შენ, დადს? კარგად ხარ?

დადიტსმა თავი დაუქნია, მაგრამ მირტყმული ლოყა საოცარი სის წრაფით უშავდებოდა. თქვენი ლეიკემია თქვენ მაგივრად მუშაობს.

ოუენმა მანქანა პირველ სიჩქარეში ჩააგდო და ფრთხილად დაიწ-ყო ამოსვლა. „ჰამერი" გზისკენ სახიფათო, ოცდაათგრადუსიანი კუთხით იდგა, მაგრამ საკმაოდ სწრაფად დაემორჩილა მძღოლს და, მომხდარის გათვალისწინებით, თავშეკავებით იქცეოდა.

– უსაფრთხოების ღვედები ჩაამაგრე, ჯერ დადიტსის.

– იგი ცდილობდა ჩემთვის ეთქვა, რომ...

– ფეხებზე მკიდია, რისი თქმა უნდოდა. ამჯერად გადავრჩით, მაგრამ შემდეგ ჯერზე შესაძლოა ამოვყირავდეთ კიდეც. ჯერ მისი ღვედი დაამაგრე, მერე – შენი.

ჰენრი უსიტყვოდ დაემორჩილა, თან, მეორე ფირფიტაზე გაკეთე-ბული წარწერის გახსენებას ცდილობდა. რა თქვა? რაღაც ჯოუნსის შესახებ. მხოლოდ ჯოუნსის შეუძლია მისტერ გრეის შეჩერება – ეს დადიტსის სახარებაა.

რა ეწერა მეორე ფირფიტაზე?

4

ოუენი იძულებული გახდა, სიჩქარე საათში ოც მილამდე შეემცი-რებინა. ლამის გაგიჟებულიყო, ასე რომ მიბობღავდა, მაგრამ ისე გა-მალებით თოვდა, რომ ხილვადობა ნულს გაუტოლდა.

სწორედ მაშინ, როდესაც „სუბარუს" კვალი საბოლოოდ გაქრა, ისინი თხრილში ცხვირით შერჭობილ მანქანას წააწყდნენ. ერთი კა-რი ღია იყო, უკანა ბორბლები ჰაერში ეკიდა.

ოუენმა ფეხი ავარიულ მუხრუჭს დააჭირა, „გლოკი"[215] ამოიღო და კარი გააღო.

– აქ დარჩი, ჰენრი, – თქვა მან, ძირს ჩახტა, „სუბარუსკენ" გაიქცა

[215] ავსტრიული წარმოების პისტოლეტის სახეობა.

და დაიხარა.

ჰენრიმ ღვედი შეიხსნა და სავარძელზე გადაწოლილი დადიტსისკენ შეტრიალდა. დადი მძიმედ სუნთქავდა. ვერტიკალურ მდგომარეობაში მას მხოლოდ ღვედი იჭერდა. ცალი ლოყა ცვილივით გაჰყვითლებოდა, მეორე გვარიანად ჩალურჯებოდა. ცხვირიდან კვლავ სისხლი მოსდიოდა, ბამბაში აღწევდა და ქურთუკზე ეწვეთებოდა.

– დადს, ძალიან ვწუხვარ, – ჩაიჩურჩულა მან, – მაგარ ხათაბალაში გავებით.

დადიტსმა თავი დაუქნია და ხელები ასწია. ასე მხოლოდ რამდენიმე წამი გააჩერა, მაგრამ ჰენრი ყველაფერს მიხვდა. მან კარი გააღო და სწორად ჩავიდა, ამ დროს ოუენმა მიირბინა, გზად „გლოკს" იტენიდა ქამარში. ძალიან ძლიერად თოვდა, ლამის ხელისგულისოდენა ფანტელები ცვიოდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ჰაერი გამქრალიყო და მის ნაცვლად ფილტვებში თოვლი ხვდებოდა.

– მე ვთქვი, სადაც ხართ, იქ დარჩით-მეთქი, – გამოსცრა ოუენმა.

– მასთან გადაჯდომას ვაპირებდი.

– რატომ?

ჰენრიმ საკმაოდ მშვიდად უპასუხა, თუმცა ხმა ოდნავ უთრთოდა.

– იმიტომ, რომ კვდება, – თქვა მან, – ის კვდება, მაგრამ ვფიქრობ, რაღაცას კიდევ მეტყვის.

5

ოუენმა უკანა ხედვის სარკეში ჩაიხედა, დაინახა, რომ ჰენრი დადიტსს მხრებზე მოხვეოდა, დარწმუნდა, რომ უსაფრთხოების ღვედი ორივეს ეკეთა და თვითონაც დაიმაგრა.

– მაგრად გეჭიროს, – თქვა მან, – ახლა ჯოჯოხეთური რყევა დაიწყება.

მან „ჰამერი" უკან დაძრა, პირველ სიჩქარეში ჩააგდო და კუს ნაბიჯებით წაიყვანა, ცდილობდა, მიტოვებული „სუბარუსთვის" მარჯვნიდან შემოევლო, იქ ნაპრალი უფრო ვიწრო ჩანდა.

ეს მართლაც ჯოჯოხეთური რყევა იყო. ოუენს უსაფრთხოების ღვედი შეკრული ჰქონდა. დაინახა, როგორ უმწეოდ ყანყალებდა დადიტსის სხეული ჰენრის ხელში, მოტვლეპილი თავი კი მის მკერდს ეხეთქებოდა. მაგრამ მათ მშვიდობიანად გაიარეს ნაპრალი და ახლა ისთსტრიტს მიუყვებოდნენ. ოუენი გზის თეთრ ლენტზე ფეხსაცმლის დატოვებულ, სანახევროდ თოვლით ამოვსებულ ნაკვალევს ხედავდა. მისტერ გრეი ფეხით მიდიოდა, ისინი – კვლავაც მანქანით. ოღონდ კი მოესწროთ იმ არამზადის დაჭერა, სანამ ის ტყეში შევიდოდა.

ვერ მოასწრეს.

6

უკანასკნელი არაადამიანური ძალისხმევით დადიტსმა თავი წამოსწია და შეძრწუნებულმა ჰენრიმ დაინახა, რომ მას თვალებიც ჩასისხლიანებოდა.

ხი, ხი-ხი. მოხუცების ხრინწიანი ჩაცინება – ვიღაცამ ზღაპრული სამმაგი ნახტომის გაკეთება მოახერხა. თვალთახედვის არეში კვლავ ტელეფონი და მის ზემოთ მოთავსებული ფირფიტები მოცურდა.

– არა, დადიტს, – ჩაიჩურჩულა ჰენრიმ, – არ გინდა. ძალას ნუ დახარჯავ.

მაგრამ რისთვის? რისთვის შეინახოს, თუ არა ამისთვის?

წარწერა მარცხენა ფირფიტაზე: „გთხოვთ, ხუთ წუთზე დიდხანს არ ილაპარაკოთ". თამბაქოს, დამწვარი შეშის, მჟავე კიტრის სუნი. მხარზე მეგობრის ხელი.

და წარწერა მარჯვენა ფირფიტაზე: „ახლავე დაურეკე ჯოუნსის".

– დადიტს...

მისი ხმა სიბნელეს ერწყმის. წყვდიადი, მისი ძველი მეგობარი.

– დადიტს, არ ვიცი, როგორ.

უკანასკნელად აღწევს მის ყურამდე დადიტსის ხმა – საოცრად დაქანცული, მაგრამ მშვიდი:

„ჩქარა, ჰენრი... ცოტა ხანს კიდევ გავძლებ... შენ მას უნდა დაელაპარაკო“.

ჰენრი ტელეფონის ყურმილს იღებს. არ ასვენებს სულელური აზრი (განა მთელი ეს ვითარებაც სულელური არაა?), რომ ხურდა ფული არა აქვს, ერთი გროშიც კი. ყურმილი ყურთან მიაქვს.

და რობერტა ქეველის უსიცოცხლო, საქმიანი ხმა ჩაესმის:

– მასაჩუსეტსის საავადმყოფოა, ვისთან შეგაერთოთ?

7

მისტერ გრეი ჯოუნსის სხეულს წყალსაცავის აღმოსავლეთ ნაპირის გასწვრივ, ბილიკზე მიათრევდა იმ ადგილიდან, სადაც ისტსტრიტი მთავრდებოდა. ფეხი უსხლტოდა, ეცემოდა, ტოტებს ებღაუჭებოდა, კვლავ დგებოდა. ჯოუნსის მუხლები დალილავებოდა. ჯინსი გახეოდა და სისხლით მოთხვროდა. ფილტვები საშინლად ეწვოდა, გული ნეკნებში სცემდა, მაგრამ ყველაზე მეტად თეძო სტანჯავდა, რომელიც შეჯახებისას დაუზიანდა. მოტეხილობის ადგილი გავარვარებულ, მფეთქავ ბურთულად გადაქცეოდა, საიდანაც ტკივილის ისრები მიფრინავდა და ფეხსა და ზურგში ერჭობოდა. ეს წყეული ძაღლიც ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე სულ უფრო მძიმდებოდა. მართალია, ჯერაც ეძინა, მაგრამ მასში ჩაბუდებული ქმნილება ვერ ისვენებდა და მას მხოლოდ მისტერ გრეის ნებისყოფა თუ აკავებდა. ერთხელ, მორიგი დაცემისა და ადგომის შემდეგ, თეძო ველარ დაიმორჩილა და იძულებული გახდა, ხელთათმანწამოცმული ჯოუნსის მუშტები ერტყა. კიდევ ბევრი რჩებოდა? კიდევ დიდხანს უნდა ევლო ამ წყეულ, სულის შემხუთავ, დამაბრმავებელ, გადაუღებელ თოვაში? ჯოუნსი რას გეგმავდა? რაღაცას? მისტერ გრეი წამითაც ვერ ბედავდა, გარეთ გამოეშვა ბაირუსის მტანჯველი შიმშილის გრძნობა, ამიტომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო, წამით მაინც მოედუნებინა ყურადღება, დაკეტილ კართან მისულიყო და ყურს უგდებდა.

წინ ბუნდოვანი სილუეტი გამოჩნდა. აქოშინებულმა მისტერ გრეიმ ნაბიჯი შეანელა, სითეთრეს ჩააშტერდა და გზა ძველებურად განაგრძო. ძაღლის მოქანავე თათები ხელით ეჭირა, ჯოუნსის მარჯვენა ფეხს გაჭირვებით მიათრევდა.

თვალი ბოძზე მიკრულ დაფას მოჰკრა, ზედ ეწერა: „ჭაბურღილის სიახლოვეს თევზაობა აკრძალულია".

დაფიდან ორმოცდაათ იარდში ქვის საფეხურები იწყებოდა. ექვსი... არა, რვა. ზემოთ, ქვის საძირკველზე აშენებული ქვის შენობა აღმართულიყო, რომელიც მოთეთრო-მონაცრისფრო სივრცეში გადადიოდა, იქ წყალსაცავი მდებარეობდა – ჯოუნსის ქვაზე მიხეთქებული წყლის ტყლაშუნი ესმოდა, წყლის ხმაური მისი გულის აჩქარებულ, დაძაბულ ფეთქვასაც კი ახშობდა.

მან მიაღწია იმ ადგილს.

მისტერ გრეიმ ძაღლის თათებს ხელი მოუჭირა, ჯოუნსის უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და დათოვლილ საფეხურებს აუყვა.

8

გასცდნენ თუ არა ქვის სვეტებს, საიდანაც წყალსაცავი იწყებოდა, კურცმა თქვა:

– გზის პირას შეაჩერე, ფრედი.

ფრედიმ ზედმეტი შეკითხვების გარეშე შეასრულა ბრძანება.

– შენი „ავტო" სად არის, ყმაწვილო?

ფრედიმ შაშხანა ასწია – ძველი, ბებერი M–16, გამოცდილი და საიმედო. კურცმა თავი დაუქნია.

– პისტოლეტი?

– „მაგნუმ-44", ბოს.

თვითონ კურცს ახლო ბრძოლისთვის საუკეთესო ცხრამილიმეტრიანი ჰქონდა. ახლა სურდა, მიბჯენით გაესროლა და ენახა, თუ რა ფერის იყო ოუენ ანდერჰილის ტვინი.

– ფრედი?

– დიახ, ბოს.

– მინდა, ერთი რამ იცოდე: ეს ჩემი უკანასკნელი დავალებაა და უკეთეს პარტნიორს ვერც ვინატრებდი.

იგი წინ გადაიხარა და მხარზე ხელი დაადო ფრედის. გვერდით პერლმუტერი ხვრინავდა. ჯოდის სახე ჭერისკენ მიემართა. ხუთი წუთით ადრე, სანამ ქვის სვეტებს გასცდებოდნენ, მან კვლავ გაავსო კაბინა უსაზიზღრესი არომატით, რის შემდეგაც მუცელი, მადლობა ღმერთს, დაუპატარავდა. კურცის აზრით, უკანასკნელად.

ფრედის თვალები მადლიერებით გაუბრწყინდა. კურცი კმაყოფილი იყო. როგორც ჩანს, ფორმა ჯერ არ დაეკარგა.

– კარგი, მეგობარო, – თქვა კურცმა, – აბა, წინ სრული სიჩქარით და ჯანდაბას ტორპედოები. ასეა?

– ასეა, სერ.

კურცმა მიმართვა „სერ", არსებულ ვითარებაში, სავსებით მისაღებად მიიჩნია. ბოლოს და ბოლოს, ის ოპერაცია დასრულდა, თუმცა უსახელოდ. ახლა საკუთარ თავს ეკუთვნოდნენ, როგორც სამოქალაქო ომის უკანასკნელი პარტიზანები, დასავლეთ მასაჩუსეტსის ველებზე მონავარდე თავზე ხელაღებული ჯეიჰოკერები[216].

ფრედი ზიზღით შეიჭმუხნა და პერლმუტერს თითი მიადო.

– ხომ არ გავაღვიძო, სერ? ჭკუა კი დაკარგა, მაგრამ...

– ზედმეტი თავის ტკივილი რაში გვჭირდება? – ჰკითხა კურცმა და ისე, რომ ფრედის მხრიდან ხელი არ აუღია, საქარე ფანჯრისკენ მიუთითა, რომლის მიღმა ვიწრო გზა თოვლის საბურველში იკარგებოდა. წყეული თოვლი სიკვდილივით ყველგან თან სდევდათ, ოღონდ შავი მოსასხამი თეთრით შეეცვალა. „სუბარუს" კვალი აღარ ჩანდა, სამაგიეროდ, ოუენის მიერ მოპარული „ჰამერის" ბორბლების ანაბეჭდი ჯერ არ გამქრალიყო. თუკი მკვირცხლად ივლიდნენ, დიდება უფალს, მიზნის მიღწევა პარკში გასეირნებაზე რთული არ აღმოჩნდებოდა.

---

[216] კანზასელი პარტიზანები სამოქალაქო ომის დროს

– ვფიქრობ, ის აღარაფერში გვჭირდება, რაც უდიდეს შვებად მიმაჩნია. მიდი, ფრედი. მიდი.

„ჰამერმა“ კუდი გაიქნია, მაგრამ მაშინვე გასწორდა. კურცმა პისტოლეტი ამოიღო და ფეხზე მიიდო. „შენკენ მოვდივარ, ოუენ. შენკენ, მეგობარო. ღმერთისთვის მიმართვა გაამზადე, რადგან საათზე მეტი ხნის სიცოცხლე აღარ დაგრჩენია“.

9

ოფისი, რომელიც ასე გულმოდგინედ მოეწყო ტვინსა და მეხსიერებაში ქექვის შედეგად, მის თვალწინ ინგრეოდა.

ჯოუნსი წინ და უკან დაქროდა, ოთახს ათვალიერებდა, მოკუმული ტუჩები გასთეთრებოდა. მიუხედავად იმისა, რომ საშინლად ციოდა, შუბლი გაოფლიანებოდა.

ეს ჯოუნსის ოფისის დაცემა იყო და ძალიან ჰგავდა „აშერების სახლის დაცემას“[217]. მის ქვემოთ ღუმელი ისე ხმამაღლა ღმუოდა და ტკრციალებდა, რომ იატაკიც კი ააცახცახა. თეთრი ფხვნილი, ალბათ თოვლის კრისტალები, ვენტილაციის გავლით კედელზე ფუმფულა სამკუთხედს ქმნიდა. სადაც კი ხის პანელს შეეხებოდა, იქ ნაკაწრი და ობი ჩნდებოდა. სურათები იატაკზე ერთიმეორის მიყოლებით ისე ცვიოდა, როგორც თვითმკვლელები ცვივიან სახურავებიდან. სკამი, რომელსაც ყოველთვის ნატრობდა, უხილავი ნაჯახით ორად გაიხლიჩა. წითელი ხის პანელები დასკდა და შემოდგომის ფოთლებივით ჩამოცვივდა. მაგიდის უჯრები რახარუხით დაეხეთქა ძირს. მისტერ გრეის მიერ დაყენებული დარაბები ისე ცახცახებდა, ჯოუნსის ლამის კბილები ასტკივდა.

მისტერ გრეის დაძახებას და კითხვას, თუ რა ხდებოდა, აზრი არ ჰქონდა... გარდა ამისა, ჯოუნსი საჭირო ინფორმაციას სრულად ფლობდა. მან შეაჩერა მისტერ გრეი, მაგრამ ამ უკანასკნელმა გაბე-

[217] ედგარ ალან პოს მოთხრობა.

დულად მიიღო მისი გამოწვევა და იმარჯვებდა კიდეც. ბრავო მისტერ გრეის, რომელმაც ან უკვე მიაღწია მიზანს, ან საცაა მიაღწევდა.

ჩამოცვენილი პანელის ქვეშ ჭუჭყიანი ბათქაში გამოჩნდა. სწორედ ასეთი იყო „ძმები თრექერების" კედლები 1978 წელს, როდესაც ოთხი მეგობარი შუბლებით ფანჯარას მიჰკროდა, მათი ახალი მეგობარი კი მორჩილად ელოდებოდა მათ დაბლა, სანამ ცნობისმოყვარეობას არ დაიკმაყოფილებდნენ და შინ არ წაიყვანდნენ.

კიდევ ერთი პანელი ჩამოვარდა ძირს ქაღალდის ფხრეწვით და განცხადებების დაფა გამოაჩინა, რომელზეც ერთადერთი ფოტოსურათი, პოლაროიდი იყო მიმაგრებული. მასზე სილამაზის დედოფალს, თინა ჯინ შლოსინგერს კი არ წამოეხადა კაბა ტრუსამდე, არამედ ვიღაც უცნობ, სულელური გამომეტყველების ქალს. მშვენიერი ხალიჩა თვალის დახამხამებაში მოიჭმუჭნა და ქვემოდან დაფხაჭნილი მეტლახის ფილებმა გამოიხედა. აქა-იქ პოლაროიდული, გულგრილი გამომეტყველების ქალის – იგი არაფრისმთქმელი წარსულის არტეფაქტი იყო და სხვა არაფერი – „თანდასწრებით" საჟიმაოდ მოსული წყვილების დატოვებული, ნახმარი პრეზერვატივები ეყარა.

ჯოუნსი აქეთ-იქით კოჭლობით აწყდებოდა, ავარიის შემდეგ ფეხს ასე ძლიერ ჯერ არასდროს შეუწუხებია. ყველაფერს ხვდებოდა – უნდა შეჰგუებოდა და დაეჯერებინა. თეძოში, თითქოს, ხიჭვები და შუშის ნამსხვრევები ჩაურჭვეს, კისერი და მხრები დაუბუჟდა და უჩვეულო სიმძიმისგან ასტკივდა. მისტერ გრეიმ გადაწყვიტა, მისი სხეულისთვის ქანცი გაეწყვიტა, სიკვდილის პირას მიეყვანა და მსხვერპლად შეეწირა, ჯოუნსი კი ამას ვერაფრით შეეწინააღმდეგებოდა.

ერთადერთი, რაც არ დაზიანდა, სიზმართმჭერი ავგაროზი იყო. იგი სახიფათოდ ირწეოდა და ჰაერში გიგანტურ წრეებს ხაზავდა, მაგრამ ჩამოვარდნას არც კი ფიქრობდა. ჯოუნსი მას მიაშტერდა. არა, არ სურდა ამ აყროლებულ ოფისში სიკვდილი. მის კედლებს

მიღმა ოდესღაც კეთილ საქმეებს აკეთებდნენ, თითქმის კეთილშობილურად იქცეოდნენ. ახლა კი განცხადებების დაფაზე მიკრულ ფოტოსურათზე გამოსახული ქალის გულგრილი, დამტვერილი მზერის თანდასწრებით უნდა ჩაძაღლებულიყო. ეს უსამართლობად მიაჩნდა. ფეხებზე ეკიდა დანარჩენი სამყარო, მაგრამ იგი, მასაჩუსეტსელი, ბრუკლინელი გარი ჯოუნსი, ერთ დროს მენის შტატის ქალაქ დერიში რომ ცხოვრობდა, უკეთეს ბედს იმსახურებდა.

– გთხოვთ, ამაზე უკეთესი ხვედრი მარგუნეთ! – ასძახა მან ჰაერში მოცეკვავე აბლაბუდას. სწორედ ამ დროს მაგიდაზე, რომელიც მის თვალწინ ილეწებოდა, ტელეფონი აწკარუნდა.

ჯოუნსი მკვეთრად შეტრიალდა. თეძოში საშინელი ტკივილისგან კბილები დააღრჭიალა. ტელეფონი, ცისფერი ტრიმლაინი, რომელზეც ჰენრიმ მოასწრო და დაურეკა, სადღაც გამქრალიყო, მის ადგილას, დამსკდარ მაგიდაზე, ძველმოდური, შავი აპარატი იდგა, ღილაკების ნაცვლად თითით დასატრიალებელი დისკი ჰქონდა, ზედ მიკრულ სტიკერზე კი ეწერა: „ღმერთმა ძალა მოგცეს". ეს სწორედ ის ტელეფონი იყო, რომელიც მშობლებმა დაბადების დღეზე აჩუქეს. 949-7784 – ნომერი, რომელზეც დადიტსთან საუბრის ანგარიში გადმოუგზავნეს მრავალი წლის წინ.

ჯოუნსიმ თეძოს ტკივილს ყურადღება არ მიაქცია და აპარატისკენ გავარდა. ღმერთს ევედრებოდა, ყურმილის აღებამდე ხაზი არ გაეთიშათ.

– ალო! ალო! – ყვიროდა იგი და აცახცახებულ იატაკზე თავის შეკავებას ცდილობდა. ოფისი ძლიერ ღელვაში მოხვედრილი გემივით ქანაობდა.

ყველაფერს მოელოდა, მაგრამ არა რობერტას ხმის გაგონებას:

– დიახ, ექიმო, ახლავე დაგალაპარაკებთ.

ისეთი მკვეთრი ჩხაკუნი გაისმა, რომ ჯოუნსი შეიჭმუხნა. შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა. ჯოუნსიმ დაიკვნესა და უკვე ყურმილის დადებას აპირებდა, როდესაც რაღაც კიდევ გაჩხაკუნდა.

– ჯოუნსი?

ეს ჰენრი იყო! ძლივს ისმოდა, მაგრამ ჰენრის ხმა იყო!

– სად ხარ? – შესძახა ჯოუნსიმ. ღმერთო ჩემო, ჰენრი, ეს ადგილი ინგრევა! მეც ნაწილ-ნაწილ დავიშლები!

– გოსლინის მაღაზიაში ვარ, – თქვა ჰენრიმ, – ოღონდ არც ვარ. იცოდე, რომ სადაც უნდა იყო, იქ არც შენ ხარ. ჩვენ საავადმყოფოში ვართ, სადაც ავარიის შემდეგ მიგიყვანეს...

გაისმა ტკაცატკუცი, ზუზუნი, ხმაური, შემდეგ კი – ისევ ჰენრის ხმა, გაცილებით ახლოს და ხმამაღლა. ერთადერთი ნათელი წერტილი იმ არეულ-დარეულობაში... მაგრამ არც იქ იყო!

– რაო?

– ჩვენ სიზმართმჭერში ვართ, ჯოუნსი! სიზმართმჭერში ვართ და ყოველთვის იქ ვიყავით! ჯერ კიდევ 78 წლიდან! სიზმართმჭერი – დადიტსია, ოღონდ ის კვდება. უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებს, მაგრამ არ ვიცი, კიდევ რამდენ ხანს...

ისევ ტკაცუნი ზუზუნის თანხლებით, მჩხვლეტავი და დამუხტული.

– ჰენრი! ჰენრი!

– ... გამოდი! – ჰენრის ხმა კვლავ ძლივს ისმის, ოღონდ სასოწარკვეთილია.

– უნდა გამოხვიდე, ჯოუნსი! ჩემს შესახვედრად! სიზმართმჭერს სირბილით გამოჰყევი ჩემკენ! დრო კიდევ გვაქვს! კიდეც შეგვიძლია იმ ბოზისშვილის დაჭერა! გესმის? ჩვენ შეგვიძლია...

მორიგი ტკაცუნი და კავშირი გაწყდა. საბავშვო ტელეფონის კორპუსი გაიბზარა, დაიშალა და უთავბოლოდ არეული სადენები გადმოანთხია. ყველა ნარინჯისფერი და ყველა ბაირუსით დაინფიცირებული.

ჯოუნსიმ აპარატი დააგდო და თვალები მოქანავე სიზმართმჭერ ავგაროზს, იმ ეფემერულ აბლაბუდას მიაპყრო. გაახსენდა ფრაზა,

რომელიც ერთი კომიკოსის რეპერტუარიდან გადმოიღეს და ბავშვობაში ძალიან უყვარდათ: „სადაც ხარ, სწორედ იქ ხარ". თავდაპირველად, მან კიდეც გადაფარა „ახალი დღე, იგივე ნაგავი" და, შესაძლოა, პირველ ადგილზეც გადაინაცვლა მას შემდეგ, რაც წამოიზარდნენ და თავი ყოვლისმცოდნეებად, გამოცდილ ადამიანებად მიაჩნდათ. სადაც ხარ, სწორედ იქ ხარ. ოღონდ, ჰენრის ახლანდელი ნათქვამის მიხედვით, ეს სიმართლე არ იყო. სადაც, მათი აზრით, იყვნენ, სინამდვილეში იქ არ იყვნენ.

ისინი სიზმართმჭერში იმყოფებოდნენ.

ჯოუნსიმ კვლავ ზევით აიხედა და შეამჩნია, რომ სიზმართმჭერის ცენტრიდან ოთხი ძირითადი ჩხირი მოდიოდა, რომლებიც აბლაბუდის დანარჩენ განივ ძაფებს იჭერდა. მთავარი მაინც ცენტრი იყო – ბირთვი, სადაც ყველა თავს იყრიდა და ერთიანდებოდა.

„სიზმართმჭერს სირბილით გამოჰყევი ჩემკენ! დრო კიდევ გვაქვს! "

ჯოუნსი შეტრიალდა და კარისკენ გაქანდა.

10

მისტერ გრეიც კართან იდგა, ოღონდ იმ კართან, საიდანაც ჭაბურღილის შენობა იწყებოდა. კარი დაკეტილი დახვდა. ეს არც იყო გასაკვირი იმის გათვალისწინებით, რაც რუს ქალს შეემთხვა. როგორც ჯოუნსი ამბობდა, „როცა ცხენს მოგპარავენ, თავლის ჩაკეტვით მას უკან ვერ დაიბრუნებ". ძალაყინი რომ ჰქონოდა, ყველაფერს მარტივად მოევლებოდა. თუმცა არც ამას დარდობდა ძალიან. აღმოაჩინა, რომ ადამიანის ბუნების ემოციური ნაწილის ძალზე საინტერესო გვერდით ეფექტს წინასწარ გათვლისა და დაგეგმვის უნარი წარმოადგენს, რათა არ მოხდეს დაგროვილი ემოციის აფეთქება, თუ საქმე ცუდად წავა. იქნებ სწორედ ესაა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ქმნილებებმა ამდენ ხანს გაძლეს?

ჯოუნსის შეთავაზებამ, – დარჩი და ჩვენნაირი გახდიო, თითქმის

მოხიბლა მისტერ გრეი; იდუმალებით მოცულ, ეგზოტიკურ წინადადებად მოეჩვენა, რომელიც ხშირად ახსენებდა თავს, მაგრამ ჯიუტად იცილებდა მას, რადგან აქ თავის მისიას ასრულებდა და ის ბოლომდე უნდა მიეყვანა. მერე კი – ვინ იცის? შესაძლოა, ბეკონის სენდვიჩზეც დასთანხმებოდა და იმაზეც, რასაც ჯოუნსის გონება „კოქტეილს" ეძახდა – გამაგრილებელ, მაცოცხლებელ, ოდნავ მათრობელა სასმელს.

წყალსაცავის მხრიდან ქარმა ძლიერად დაუბერა, მისტერ გრეის სახეში სველი თოვლი შეაყარა და წამით დააბრმავა. ეს სველი პირსახოცის დარტყმას ჰგავდა, რომელმაც იგი აწმყოში დააბრუნა – საქმე უნდა დაესრულებინა.

იგი ფრთხილად წავიდა მართკუთხედის ფორმის საფეხურის მარცხენა კიდისკენ, ფეხი დაუსხლტა და მუხლებზე დაეცა, მაგრამ ჯოუნსის თეძოში მწვავე ტკივილს ყურადღება არ მიაქცია. იმისთვის როდი გაევლო ამხელა გზა, შავი სინათლის წლები და თეთრი მილები, რომ კიბიდან დაგორებულიყო და კისერი მოეტეხა, ან კუებინში ჩაეყვინთა და ყინულივით წყალში გადაცივებისგან ფეხები გაეფშიკა.

ზედა საფეხურს დაქუცმაცებული ქვის ყრილი ამყარებდა. მისტერ გრეი დაბალ მოაჯირზე გადაიხარა, ყრილიდან თოვლი გადახვეტა და მოყანყალებული რიყის ქვის გამოძრობა სცადა. დაკეტილი კარიდან ვიწრო, მაგრამ არცთუ ძალიან ვიწრო ფანჯრების წყება მოჩანდა.

თოვლის სქელი ფენა ხმაურს ახშობდა და ასუსტებდა, მაგრამ მისტერ გრეიმ მაინც გაიგონა მოახლოებული მანქანის ღმუილი. სადღაც, მის უკან, კიდევ ერთი მოდიოდა, თუმცა ის უკვე გაჩერებულიყო, სავარაუდოდ, ისთსტრიტის ბოლოში. ისინი მოდიოდნენ, მაგრამ ვეღარ მოუსწრებდნენ. ყველაფერი დასრულდა. ჭაბურღილამდე კიდევ ერთი მილი უნდა ევლოთ, ოღროჩოღრო და მოლიპულ

გზაზე. მათი მისვლის დროისთვის ძაღლი უკვე ჭაბურღილის ფსკერზე იწვებოდა, მკვდარი, მაგრამ ბაირუსისგან დაცლილი.

მან ქვა გამოაძრო. ფრთხილად მოქმედებდა, რათა არ გაღვიძებოდა მხრებზე მოგდებულ ძაღლს, რომლის სხეულშიც უცხო არსება ფეთქავდა. შემდეგ უკან დაიხია და წამოდგომა სცადა. თავდაპირველად ვერ მოახერხა. ჯოუნსის თეძოში ცეცხლოვანი ბურთი კვლავ გაიბერა. ბოლოს თავს ძალა დაატანა და ბარბაცით წამოდგა, თუმცა საშინელმა ტკივილმა წამით დააბრმავა და კბილებამდე და საფეთქლებამდეც მიაღწია.

მისტერ გრეი ცოტა ხანს შედგა, დაკეტილ კარს მიეყრდნო და სიმძიმე ჯანმრთელ ფეხზე გადაიტანა, როგორც ამას ცხენი აკეთებს, როცა ნალში კენჭი ჩაუვარდება ხოლმე. როდესაც ტკივილი ცოტათი დაუცხრა, კარის მარცხნივ მდებარე ფანჯრის შუშა ქვით ჩაამტვრია და ჯოუნსის ხელი რამდენიმე ადგილას გაიჭრა. ერთი ჭრილობა საკმაოდ ღრმა აღმოჩნდა. შუშის რამდენიმე მოზრდილი ნატეხი არ ჩამოვარდა, ფანჯრის ზედა ნაწილში ჩარჩა და ახლა თვითნაკეთ გილიოტინასავით გამოიყურებოდა, მაგრამ მისტერ გრეის ასეთი წვრილმანებისთვის არ ეცალა. არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, რომ ჯოუნსიმ თავშესაფარი მიატოვა.

მისტერ გრეი ფანჯარაში გადაძვრა, ცემენტის ცივ იატაკზე დაეშვა და მიიხედ-მოიხედა.

მართკუთხა ოთახის სიგრძე დაახლოებით ოცდაათი ფუტი იქნებოდა. შორეულ ბოლოში ფანჯარა მოჩანდა, საიდანაც, უეჭველია, შესანიშნავი ხედი იშლებოდა წყალსაცავზე, განსაკუთრებით დარში. მაგრამ ახლა ზედ თითქოს თეთრი ზეწარი ეფინა. ერთ მხარეს რაღაც ეკიდა – გიგანტური ფოლადის ვედრო, გვერდებზე წითელი ლაქებით, ოღონდ ეს ბაირუსი კი არა, ოქსიდი იყო, რომელსაც ჯოუნსი ჟანგს უწოდებდა. მისტერ გრეიმ ზუსტად არ იცოდა, მაგრამ ივარაუდა, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ ვედროთი ჭაბურღილში ადამიანებს უშვებდნენ.

ოთხი ფუტი დიამეტრის რკინის სახურავი იატაკის ცენტრში იდო. მისტერ გრეიმ ცალ მხარეს კვადრატული ნაღარი შეამჩნია და იქაურობა მოათვალიერა. კედელზე ხელსაწყოები მიეყუდებინათ, მათ შორის ძალაყინიც. იქვე ფანჯრის ნამტვრევები ეყარა. შესაძლოა, რუსმა ქალმა ეს ძალაყინი გამოიყენა, როდესაც თვითმკვლელობისთვის ემზადებოდა.

როგორც გავიგე, – გაიფიქრა მისტერ გრეიმ, – ბოსტონელები ამ უკანასკნელ ბაირუსს დილის ყავასთან ერთად შესვამენ ვალენტინობის წინადღეს.

ძალაყინი აიღო, მძიმედ, კოჭლობით მიიტანა ოთახის შუაგულამდე და ხვრელში შეჰყო.

შესანიშნავად, დაუბრკოლებლად შევიდა.

11

ჰენრი ყურმილს დებს, ფილტვებს ჟანგბადით ივსებს, სუნთქვას იკავებს და... კარისკენ მირბის, რომელსაც ორი წარწერა ამშვენებს: ოფისი და შესვლა არ შეიძლება.

– ეი, – გასძახის სალაროსთან მჯდომი, ბებერი რინი გოსლინი, – დაბრუნდი, ბიჭო! იქ არ შეიძლება!

მაგრამ ჰენრი არ ჩერდება, ნაბიჯსაც კი არ ანელებს, იქ შესული კი ხვდება, რომ სინამდვილეში, ისევ პატარა ბიჭია, თავის ახლანდელ სიმაღლეზე ფუტით დაბალი და ნაკლებად სქელშუშიან სათვალეს ატარებს. დიახ, იგი ბიჭია, მაგრამ ცხიმიანი თმის ქვეშ (ოცდაათ წელს გადაბიჯებულს ცოტათი რომ შესთხელებია) მოზრდილი ადამიანის ტვინი მუშაობს.

„მე ორი ვარ, ორი ერთში", – ფიქრობს იგი ბებერი გოსლინის ოფისში და თავშეუკავებლად ხარხარებს, როგორც მაშინ, როცა სიზმართმჭერის ყველა ჩხირი მრთელი იყო და ცენტრში ერთდებოდა, დადიტსი კი პალოებს არჭობდა. „კინაღამ გავსკდი სიცილით, – ამბობდნენ ისინი, – კინაღამ გავსკდი სიცილით, ეს რა მაგარია".

იგი ოფისშია, მაგრამ ეს ბებერი გოსლინის ოფისი არ არის, სადაც ოუენ ანდერჰილად წოდებულმა ადამიანმა აბრაჰამ კურცად წოდებულ ადამიანს რუხი კაცუნების ჩანაწერი მოასმენინა, ცნობილი ადამიანების ხმებით რომ ლაპარაკობდნენ. ეს დერეფანია, საავადმყოფოს დერეფანი, რაც ჰენრის სულაც არ აოცებს. იგი მის მიერვე შექმნილ მასაჩუსეტსის საავადმყოფოშია.

დერეფანთან შედარებით აქ გაცილებით მეტი ნესტი და სიცივე იგრძნობა, კედლებს ბაირუსი მოსდებია. საიდანღაც კვნესა ისმის: „თქვენ არ მჭირდებით, არც ნემსის გაკეთება მჭირდება, მე ჯოუნსი მინდა. ჯოუნსი დადიტსს იცნობდა. ჯოუნსი მოკვდა, სასწრაფო დახმარების მანქანაში მოკვდა. ჯოუნსი ერთადერთია, ვინც გამოდგება. აქედან დაიკარგეთ, მაკოცეთ ტაკოში, მე ჯოუნსი მინდა".

მაგრამ ის არ წავა. იგი ბებერი, ვერაგი „მისტერ სიკვდილია" და კუთხეში მიყუჟვას არ აპირებს. მას აქ საქმე აქვს.

ის – ბიჭი ნარინჯისფერი ქურთუკით, რომელიც მალე იმ ქურთუკში აღარ ჩაეტევა – უჩინარი კაცივით მიიპარება დერეფანში, სადაც ისე ცივა, სუნთქვისას პირიდან ორთქლი გამოდის. გული წყდება, რომ პიტის მამის მიერ, საგანგებოდ მისთვის დატენილი თოფი თან არ აქვს. იარაღი დაიკარგა, დავიწყებულია, წლების სიღრმეშია ჩამარხული ჯოუნსის „ვარსკვლავური ომების" სტიკერებით დამშვენებულ ტელეფონთან ერთად (ამის გამო მისი ყველას შურდა). ბივერის ელვით მოხატული ქურთუკი და პიტის NAშA–ს ემბლემიანი სვიტერიც იქაა. ზოგიერთი ოცნება კვდება და შემდეგ თავისუფლად დაფრინავს – ეს ამ სამყაროს კიდევ ერთი მწარე სინამდვილეა. ასეთი კი ძალზე ბევრია.

იგი ორ ექთანს ჩაუვლის, რომლებიც საუბრობენ და იცინიან. ერთი მათგანი გაზრდილი ჯოზი რინკენჰაუერია, მეორე – ქალი პოლაროიდული ფოტოსურათიდან, რომელიც იმ დღეს „ძმები თრექერების" ოფისის ფანჯრიდან დაინახეს. ისინი ჰენრის ვერ ხედავენ, რადგან ის მათთვის არ არსებობს. იგი ახლა სიზმართმჭერ ავგაროზშია

და მისი ცენტრისკენ გარბის.

„მე ეგმენი ვარ, – ფიქრობს იგი, – დრო შენელდა, რეალობა გამრუდდა, ეგმენი კი სულ წინ და წინ მიდის“.

ჰენრი დერეფანს იქით მიუყვება, საიდანაც მისტერ გრეის ხმა ისმის.

12

მანქანის ჩატეხილი ფანჯრიდან კურცმა მკაფიოდ გაიგონა ავტომატური იარაღიდან უწესრიგოდ ატეხილი სროლის ხმა, რომელმაც უხერხულობისა და მოუთმენლობის მიძინებული გრძნობები გაუღვიძა – ბრაზი, რომ სროლა მის გარეშე დაიწყო, და შიში, რომ ყველაფერი მის მოსვლამდე დასრულდებოდა და ხელში მხოლოდ აკვნესებული დაჭრილები შერჩებოდა, რომლებიც ექიმის დახმარებას ითხოვდნენ.

– მიაწექი, ფრედი, – შესძახა მან, რათა კომაში მყოფი პერლმუტერის ხვრინვა გადაეფარა.

– ძალიან მოლიპულია, ბოს.

– არა უშავს. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ჩვენ თითქმის...

მან თოვლის თეთრ საბურველზე ვარდისფერ ლაქას მოჰკრა თვალი, რომელიც ისე გადღაბნილიყო, როგორც პარსვის შემდეგ განაკაწრზე წასმული საპარსი კრემიდან გამოჟონილი სისხლი, და მხოლოდ მერე გაარჩია მიწაში ცხვირით შერჭობილი „სუბარუ“. კურცმა გულწრფელად ინანა, ფრედის მიერ მანქანის ტარების ოსტატობაში ეჭვი რომ შეიტანა. მისმა მოადგილემ საჭე მკვეთრად აიღო მარჯვნივ და „ჰამერს“ ბუქსაობა რომ არ დაეწყო, სიჩქარეს მოუმატა. უზარმაზარი მანქანა მძღოლს დაემორჩილა და ნაპრალს ზედ გადაევლო. ბიძგი საგრძნობი იყო. კურცი შეხტა და თავი ჭერს მიარტყა, თანაც ისე მაგრად, რომ თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცვივდა. პერლმუტერს ხელები უსიცოცხლოსავით უქანავებდა, თავი ჯერ უკან გადაუვარდა, შემდეგ – წინ. „ჰამერმა“ „სუბარუს“ ისე ახლოს

ჩაუქროლა, რომ კინაღამ კარის სახელურს გაედო. იგი წინ მძლავრად გაიჭრა და ახლა მხოლოდ ერთი მანქანის მიერ გაკვალულ თოვლში მიდიოდა.

კუდში მოგდევ, ოუენ, – გაიფიქრა კურცმა, – ხომ გრძნობ ჩემს სუნთქვას, ღმერთმა დასწყევლოს შენი ცისფერი თვალები.

მას მხოლოდ ერთი რამ აშფოთებდა – ხანმოკლე ბათქაბუთქი. რას ნიშნავდა ეს? ფაქტია, რომ აღარ ისროდნენ.

წინ კიდევ ერთი ლაქა გამოჩნდა, ამჯერად, მწვანე ზეთისხილისფერი. ისევ „ჰამერი". ისინი, ალბათ, წავიდნენ. წავიდნენ, მაგრამ...

– საბრძოლო მზადყოფნა, – უთხრა მან ფრედის ოდნავ გამკინავი ხმით, – ვიღაცას გადახდა მოუწევს.

13

როდესაც ოუენმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც ისთსტრიტი მთავრდებოდა (უფრო სწორად, ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიმავალ ფიცპატრიკროუდს ერწყმოდა – არჩევანი თქვენს წარმოსახვაზეა დამოკიდებული), შორიდან მეორე „ჰამერის" ძრავის ღმუილი გაისმა. თავის მხრივ, კურციც გაიგებდა მისი მანქანის ხმას – თუმცა „ჰამერები" „ჰარლებივით" არ ხმაურობდნენ, არც მტრედებივით ღუღუნი სჩვეოდათ.

ჯოუნსის კვალი საბოლოოდ გაქრა, მაგრამ ოუენი ბილიკს ხედავდა, რომელიც მთავარ გზას სცილდებოდა და წყალსაცავის ნაპირს მიუყვებოდა.

მან ძრავა გამორთო.

– ჰენრი, როგორც ჩანს, აქედან ფეხით მოგვიწევს...

მას სიტყვა პირში შეაცივდა. იგი ისე ჩაშტერებოდა საქარე მინას, ისე ეშინოდა, რომ კვლავ თხრილში არ გადავარდნილიყო, რომ ერთხელაც არ მოუბრუნებია თავი, არც უკანა ხედვის სარკეში ჩაუხედავს. ამიტომაც სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა იმისთვის, რაც დაინახა. მოუმზადებელი და შეძრწუნებული.

ჰენრი და დადიტსი ერთმანეთს გადახვეოდნენ და გაუპარსავი ლოყებით მიჰკვროდნენ. ოუენმა ეს საბოლოო გამომშვიდობებად მიიჩნია. თვალები დაეხუჭათ, სახესა და ქურთუკზე სისხლი ეცხოთ. სუნთქვა არ ისმოდა. ოუენმა დაასკვნა, ალბათ, ორივე მოკვდაო: დადიტსი – ლევკემიისგან, – ჰენრი კი – გადაღლითა და წარმოუდგენელი, ენით აუწერელი ოცდაათსაათიანი სტრესით გამოწვეული გულის შეტევისგან. კინაღამ შეჰყვირა, მაგრამ ამ დროს შეამჩნია, რომ ქუთუთოები ოდნავ შეირხა. ორივესი.

გადახვეულნი. სისხლით მოთხვრილნი. მაგრამ ცოცხლები. მძინარენი.

„სძინავთ“.

ოუენმა დააპირა, ჰენრისთვის დაეძახა, მაგრამ გადაიფიქრა. ჰენრიმ უარი თქვა ჯეფერსონტრექტში მდებარე ბანაკის დატოვებასა და იქ მყოფი ტყვეების ბედის ანაბარა მიტოვებაზე და თუმცა, ყველაფერი გამოუვიდათ, – მხოლოდ შემთხვევითობისა და საოცარი გამართლების წყალობით. ხომ გჯერათ, რომ ასეთი რამ მხოლოდ სატელევიზიო შოუებში არ ხდება? ასე იყო თუ ისე, შეუმჩნევლად გაპარვა ვერ მოახერხეს და ახლა გაცოფებული კურცი მისდევდათ. სხვები ფეხებზე რომ დაეკიდათ და ქარიშხლის ღრიალსა და ზუზუნში მხოლოდ საკუთარ თავზე ეზრუნათ, ამას თავიდან აიცილებდნენ.

ახლა აღარაფერი შეიცვლება, – გაიფიქრა ოუენმა, მანქანის კარი გააღო და ძირს ჩახტა. სადღაც, ჩრდილოეთიდან, თეთრი სიცარიელიდან, ცუდი ამინდით შეწუხებული არწივის კივილი გაისმა. უკნიდან, სამხრეთიდან, კურცის, იმ დაუოკებელი გიჟის მანქანის ღრიალი ახლოვდებოდა. ეს მომაბეზრებელი თოვლი კი მათ შორის არსებული მანძილის გამოთვლას შეუძლებელს ხდიდა, რადგან ასეთ ამინდში ხმა იხშობა და ადამიანი შეცდომაში შეჰყავს. შესაძლოა, ორი მილით იყო მათგან დაცილებული, შესაძლოა, გაცილებით ნაკ-

ლებით. კურცს თან ფრედი ახლდა, წყეული ფრედი, შესანიშნავი ჯარისკაცი – დოლფ ლუნდგრენი[218] ჯოჯოხეთიდან.

ოუენმა მანქანებს გარს შემოუარა, ფეხი წამდაუწუმ უსხლტებოდა, გულში იკურთხებოდა. საბარგულს თავი ახადა, იქნებ ავტომატი ან ნაღმმტყორცნი ვიპოვოო. ვერც ნაღმმტყორცნები აღმოაჩინა და ვერც ხელყუმბარები, სამაგიეროდ, ოთხ ცალ MP–5-ს – ავტომატურ შაშხანასა და ყუთში ჩაწყობილ ასოცვაზნიან მჭიდეებს მიაგნო.

ბანაკში ოუენი ჰენრის წესებით მოქმედებდა. მათ ალბათ მოახერხეს რამდენიმე ადამიანის გადარჩენა, მაგრამ ამჯერად, ჰენრის დაკრულზე ვეღარ იცეკვებდა – თუ მას ჯერ კიდევ არ გადაეხადა რეიპლოუს წყეული თეფშის საფასური, სხვა რა გზა ჰქონდა, ვალით იცხოვრებდა. ოღონდ ცოტა ხანს, თუ ბედი კურცს გაუღიმებდა.

ჰენრის ან ეძინა, ან გულწასული იწვა, ან ბავშვობის მომაკვდავ მეგობარს რაღაც უცნაური ძალით გონებრივად შერწყმოდა. დაე, ასე ყოფილიყო. გამოღვიძებულს სიმხნევე და საღი გონება დაუბრუნდებოდა და აუცილებლად შეუშლიდა ხელს იმას, რაც უნდა მომხდარიყო. განსაკუთრებით – იმ შემთხვევაში, თუკი არ ცდებოდა და ჯოუნსი უცხოპლანეტელების მიერ გატაცებული გონების მიუვალ სიღრმეებში მართლაც იმალებოდა. ოუენს ხელი არ აუკანკალდებოდა... და ვინაიდან ტელეპათიის უნარიც აღარ ჰქონდა, ვერც ჯოუნსის სიკვდილისწინა ხვეწნა-მუდარას გაიგონებდა, თუნდაც იქ ყოფილიყო. „გლოკი" მოსწონდა, მაგრამ ამ საქმეში ბოლომდე ვერ ენდობოდა.

აი, MP–5 კი გარი ჯოუნსის სხეულს ნაფლეთებად აქცევდა.

ოუენმა იარაღს ხელი სტაცა და ჯიბეებში სამი დამატებითი მჭიდი ჩაიდო. კურცი სულ ახლოს იყო – ახლოს, ახლოს, ახლოს.. ოუენმა ისთსტრიტს გახედა. უკვე ელოდა „ჰამერის", მომწვანო-მოყავისფრო

[218] შვედური წარმოშობის ამერიკელი მსახიობი, რეჟისორი, საბრძოლო ხელოვნებათა ოსტატი.

მოჩვენების მატერიალიზებას, მაგრამ გზაზე არაფერი ჩანდა. დიდეება უფალს, – როგორც კურცი იტყოდა.

„ჰამერის“ ფანჯრები თოვლს დაეფარა, მაგრამ ოუენმა მაინც გაარჩია უკანა სავარძელზე ერთმანეთს გადახვეული ორი სილუეტი.

– მშვიდობით, ბიჭებო, – ჩაიჩურჩულა მან, – სასიამოვნო სიზმრებს გისურვებთ.

თუ ბედი გაუღიმებდათ, არ გაიღვიძებდნენ, ასე მოუღებდნენ მათ არსებობას ბოლოს კურცი და იუენი მთავარი ნადირობის წინ.

ოუენი მოულოდნელად შეჩერდა, ფეხი დაუცდა და, რომ არ წაქცეულიყო, ხელი „ჰამერის ” „ კაპოტს ჩაავლო. დადიტსს აღარაფერი ეშველებოდა, მაგრამ ჰენრი დევლინის გადარჩენა კიდევ შეიძლებოდა.

„არა! – შესძახა მისი გონების ერთმა ნაწილმა, როდესაც ხელი უკანა კარის სახელურს წაავლო, – დრო აღარ ითმენს! “

მაგრამ ოუენმა გადაწყვიტა, რომ გაერისკა და კაცობრიობის ბედი სასწორზე შეეგდო. იქნებ, ასე იმიტომ მოიქცა, რომ ცოტათი მაინც გამოესყიდა თავისი საქციელი რეიპლოუს თეფშთან დაკავშირებით? ან იმაზე, რაც გუშინ ჩაიდინა (როცა შიშველი ნაცრისფერი ფიგურები ჩამოვარდნილი ხომალდის გარშემო ხელებაწეულნი იდგნენ, თითქოსდა დანებების ნიშნად), ან იქნებ ჰენრის ხათრით, რომელმაც უთხრა, გმირები ვართო, თვითონ კი ვაჟკაცურად ცდილობდა დანაპირების შესრულებას?

არავითარი თანაგრძნობა ეშმაკისადმი, – გაიფიქრა მან და კარი გამოაღო, – არა, სერ, არავითარი თანაგრძნობა იმ დედანატირებისადმი.

დადიტსი უფრო ახლოს იჯდა. ოუენმა მას განიერ ცისფერ ქურთუკში ჩაავლო ხელი და დაქაჩა. დადიტსი სავარძელზე გვერდულად გადაწვა. ქუდი მოსძვრა და მოლაპლაპე თავი გამოუჩნდა. ჰენრიმ ხელი არ გაუშვა მეგობარს და ზემოდან დაეცა, თვალი არ გაუხელია,

მხოლოდ ჩუმად დაიკვნესა. ოუენი მისკენ დაიხარა და ყურში გაშმაგებით ჩასძახა:

– არ წამოდგე. ღვთის გულისთვის, ჰენრი, არ წამოდგე.

შემდეგ კარი გაიჯახუნა, სამი ნაბიჯით უკან დაიხია, თოფი თეძოზე მიიდო და გაისროლა. „ჰამერის" შუშები დაიბზარა, გათეთრდა და ძირს ჩამოცვივდა. ცარიელი მასრები ოუენის ფეხებთან დაეცა. იგი კვლავ მიუახლოვდა მანქანას და შიგნით შეიხედა. ჰენრი და დადიტსი გაუნძრევლად იწვნენ, ზედ შუშის ნამსხვრევები ეყარათ, ნამსხვრევებს დადიტსის სისხლი შერეოდა. სიცოცხლის ნიშანწყალიც არ ეტყობოდათ. ოუენი იმედოვნებდა, რომ კურცი სიჩქარეში ზედმეტ ცნობისმოყვარეობას არ გამოიჩენდა. ყოველ შემთხვევაში, მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო.

ოუენს ლითონის მკვეთრი ჟღარუნი შემოესმა და ჩაეცინა. ახლა ზუსტად იცოდა, სად იმყოფებოდა კურცი – იქ, სადაც „სუბარუმ" გზა დაასრულა. კარგი იქნებოდა, კურცი და ფრედიც ცხვირით შესჯახებოდნენ იმ წყეულ ჯაბახანას, მაგრამ, სამწუხაროდ, ხმის მიხედვით, ასე არ მოხდა. ის ხომ მაინც იცოდა, ახლა სად იყვნენ: მისგან ერთი მილის, მთელი ერთი მილის დაშორებით. ამას არა უშავდა რა.

– დრო ბევრი მაქვს, – ჩაიბურტყუნა ოუენმა. კურცთან მიმართებაში არ ცდებოდა, მაგრამ მეორე მხარეც ხომ არსებობდა? ნეტა, სად იყო ახლა მისტერ გრეი?

ოუენმა შაშხანა ღვედით დაიჭირა და მე-12 ჭაბურღილისკენ მიმავალ ბილიკზე დაეშვა.

14

მისტერ გრეიმ საკუთარ თავში კიდევ ერთი არასასიამოვნო, ადამიანებისთვის დამახასიათებელი ემოცია აღმოაჩინა: პანიკა. ისე გამოდიოდა, რომ მან ამხელა მანძილი – სინათლის წლები კოსმოსში და ასობით მილი თოვლში – იმიტომ გამოიარა, რომ გზის ბოლოს,

ჯოუნსის მოდუნებულ კუნთებს ეღალატათ და მუშაობა აღარ შესძლებოდათ. ამასთან, რკინის თავსახური იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე ეგონა. ისეთი ძალით დააწვა ძალაყინს, რომ ჯოუნსის ზურგის კუნთებმა სასტიკად გააპროტესტა... გარჯა მაინც დაუფასდა, დაჟანგული სახურავი ოდნავ დაიძრა – სულ ერთი-ორი დუიმით გადაიწია – და წყვდიადის ნაგლეჯი გამოჩნდა. ამას რკინის ღრჭიალი ახლდა. ჯოუნსის წელი ისე გაუკავდა, შებარბაცებულმა მისტერ გრეიმ ნატკენ ადგილზე ხელი იტაცა, თითქოს ამით ტკივილს შეაჩერებდა, კბილები გააკრაჭუნა (იმუნიტეტის წყალობით, ყველა მათგანი შერჩენოდა) და უკან დაიხია.

ლედი წკმუტუნს მოჰყვა. მისტერ გრეიმ შეხედა ძაღლს და მიხვდა, რომ ქმნილება, საცაა, გარეთ გამოვიდოდა. მართალია, ძაღლს ეძინა, მაგრამ მუცელი ისე გაზრდოდა, რომ ერთი თათი გაუნძრევლად ეკიდა ჰაერში. მუცელზე კანი გადატკეცოდა და გასკდომაზე ჰქონდა, ვენები გამალებით უფეთქავდა. კუდქვემოდან სისხლი მოწანწკარებდა.

მისტერ გრეიმ ბრაზიანად გადახედა რკინის თავსახურში გარჭობილ უდანაშაულო ძალაყინს. ჯოუნსის წარმოსახვაში რუსი ქალი მოხდენილ შავთმიან, მუქ, ტრაგიკულთვალებიან ლამაზმანად გადაიქცა. სინამდვილეში ის მხარბეჭიანი, ზორბა და დაკუნთული იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორ მოახერხებდა...

სახიფათოდ ახლოს გასროლა გაისმა. მისტერ გრეიმ ამოიოხრა და უკან მიიხედა. ჯოუნსის წყალობით, მასში ადამიანებისთვის დამახასიათებელ იჭვნეულობასაც ჩაებუდებინა და მან პირველად გააცნობიერა, რომ შესაძლოა, მარცხი განეცადა, დიახ, დამარცხებულიყო. თანაც ახლა, როცა მიზნის შესრულებას აღარაფერი აკლდა – უკვე წყლის ხმა ესმოდა, რომელიც სამოცმილიან მიწისქვეშა მოგზაურობას იწყებდა. ბაირუსსა და დანარჩენ სამყაროს ერთმანეთისგან რაღაც საცოდავი ასოცგირვანქიანი დაჟანგული თავსახური ჰყოფდა.

მისტერ გრეი ბივერის უხამსი, სასოწარკვეთილი ბურტყუნით ეძგერა სახურავს. ჯოუნსის განაწამები სხეული წინ და უკან ქანაობდა და მტკივან მარჯვენა ფეხს ეყრდნობოდა. ერთ-ერთი მდევარი, ოუენი, მალე იქ გაჩნდებოდა. მისტერ გრეის იმედი გადაეწურა, რომ ოუენს, თვითმკვლელობას აიძულებდა. მოულოდნელად რომ დასხმოდა თავს, მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ამის არც დრო ჰქონდა და არც – ძალა. თანაც, ადამიანი, რომელიც მისკენ მოდიოდა, განსწავლული იყო მკვლელობაში. ეს მისი ხელობა იყო.

მისტერ გრეი შეხტა. ტკაცუნი გაისმა – ჯოუნსის თეძოს ძვალმა დატვირთვას ვერ გაუძლო და სახსრიდან ამოვარდა. მისტერ გრეი ძალაყინს ჯოუნსის მთელი ტანით დააწვა. თავსახური აიწია და ამჯერად, თითქმის ერთი ფუტით გაჩოჩდა. კვლავ გამოჩნდა შავი ნახევარმთვარე, რომელშიც ოდესღაც რუსი ქალი ჩახტა. იმდენად ნახევარმთვარე არ იყო, რამდენადაც კალიგრაფის მიერ ნატიფად გამოყვანილი ლათინური ჩ, მაგრამ ძაღლი კი გაეტეოდა.

ჯოუნსის ფეხი მის სიმძიმეს ვეღარ იჭერდა (ნეტა თვითონ ჯოუნსი სად იყო ახლა? კარგა ხანია, მოუსვენარი მასპინძლისგან აღარაფერი სმენოდა). ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ხოხვითაც იოლად გავიდოდა.

მისტერ გრეი ასეც მოიქცა და ყინულივით ცივ იატაკზე მძინარე ბორდერ-კოლისკენ გახოხდა. ლედს ხელი საყელურში ჩაავლო და მე-12 ჭაბურღილისკენ წაათრია.

15

მალე მოგონებათა დარბაზი – ყუთების დიდი საცავი – ნანგრევებად იქცევა. იატაკი ისე ირყევა, თითქოს დაუსრულებელი სუსტი მიწისძვრა იყოს. ჭერზე ლუმინესცენციური ნათურები გაუთავებლად ციმციმებს და იქაურობას ჰალუცინაციებით შეპყრობილი ადამიანის თვალით დანახულ, დაუჯერებელ სახეს აძლევს.

ჯოუნსი თავქუდმოგლეჯილი გარბის, დერეფნიდან დერეფანში

გადადის და ლაბირინთში გზას ინტუიციურად იკვლევს. თან გამუდმებით უჩიჩინებს საკუთარ თავს, რომ წყეულ თეძოს ყურადღება არ მიაქციოს – ბოლოს და ბოლოს, ის ხომ სუფთა გონებაა, სხვა არაფერი. მაგრამ ინვალიდსაც დ ასევე შეუძლია დაარწმუნოს მოკვეთილი კიდური, რომ თრთოლა და ფეთქვა შეწყვიტოს.

იგი ჩაუქროლებს ყუთებს, წარწერებით „ავსტრია-უნგრეთის ომი", „კათედრალური პოლიტიკა", „საბავშვო ამბები" და „ზედა კარადის შიგთავსი". შემდეგ მიმოფანტულ კოლოფებს გადააწყდება, რომლებსაც „კარლა" აწერია, მტკივან ფეხზე დაეშვება და ტკივილისგან ხმამაღლა გაჰკივის. თავის შესაკავებლად ყუთებს ("გეტისბერგი") ჩააფრინდება და როგორც იქნა, საცავის შორეულ ბოლოს დაინახავს. მადლობა ღმერთს, მრავალი მილი მოუტოვებია უკან.

კარზე წარწერაა: „ინტენსიური თერაპიის ბლოკი", „დაიცავით სიჩუმე" და „მნახველები უსაშვოდ არ დაიშვებიან".

დიახ, სწორედ აქ მოიყვანეს იგი. აქ მოესმა გამოღვიძებულს ეშმაკი მისტერ სიკვდილის ხმა, რომელსაც თავი მოეკატუნებინა, თითქოს მარსის ეძახდა.

ჯოუნსი კარში შევარდება და სხვა სამყაროში აღმოჩნდება, მაგრამ მაშინვე ცნობს: ეს ინტენსიური თერაპიის ბლოკის თეთრად და ცისფრად შეღებილი დერეფანია, სადაც უბედური შემთხვევიდან ოთხი დღის შემდეგ პირველი გაუბედავი ნაბიჯები გადადგა. იგი კოჭლობით გადის ათ-თორმეტ ფუტს ქვის იატაკზე და კედლებზე ბაირუსის წინწკლებს ამჩნევს, თან საავადმყოფოსთვის შეუფერებელი, თუმცა წყნარი მუსიკა ესმის – ეჩვენება, რომ ეს „როლინგ სტოუნზის" „ეშმაკისადმი თანაგრძნობაა".

მხოლოდ ამის გაცნობიერებას ასწრებს და თეძოში ატომური ბომბი უფეთქდება. ჯოუნსი გაოცებით შეჰყვირებს, ინტენსიური თერაპიის ბლოკის შავ-წითელ ქვის იატაკზე ეცემა და ფეხზე ხელს იტაცებს. იმავეს გრძნობს, რაც ავარიის დროს იგრძნო – წითელი აგონიის მხუთავ ტალღას. იატაკზე გორავს, მოციმციმე ტაბლოს,

მრგვალ დინამიკებს შეჰყურებს, იქიდან მუსიკა ისმის („ანასტასია ტყუილუბრალოდ ყვიროდა“), სხვა სამყაროს მუსიკა, ტკივილისგან გული უწუხს, ყველაფერი სხვა სამყაროში დარჩა, აქ კი ტკივილი ფიქრს უხორცო ჩრდილად აქცევს, სიყვარულს – დაცინვად, ეს მან ჯერ კიდევ მარტში გაიგო და ახლა ხელმეორედ უნდა გააცნობიეროს. გასივებულ თეძოს ჩააფრინდება და გორავს, თვალები ლამის ფოსოებიდან ამოუცვივდეს, პირი საზიზღრად გაჭიმულ ნაპრალად გადაჰქცევია. გულის სიღრმეში ხვდება, რაც მოხდა. იცის: ეს მისტერ გრეია. ბოზისშვილმა მისტერ გრეიმ ერთხელ მოტეხილი თეძო ხელმეორედ მოსტეხა.

ამ დროს იმ მეორე სამყაროდან ნაცნობი ხმა ესმის – ბავშვის ხმა:

„ჯოუნსი! “

ექოსავით გაისმის, დამახინჯებულია... მაგრამ არც ისეთი შორეული. ეს ის კი არა, მეზობლად მდებარე ერთ-ერთი დერეფანია. ვისი ხმაა? მისი რომელიმე შვილის? იქნებ ჯონია? არა...

„ჯოუნსი, ჩქარა! ის შენს მოსაკლავად მოდის! ოუენს შენი მოკვლა უნდა! “

ჯოუნსიმ არ იცის, ვინ არის ოუენი, მაგრამ ხმას ცნობს. ეს ჰენრი დევლინია. არა ახლანდელი დევლინი, ის, რომელიც უკანასკნელად გოსლინის მაღაზიაში წასვლის წინ ნახა, არამედ ის ჰენრია, რომელთან ერთადაც გაიზარდა, რომელმაც რიჩი გრენადოს უთხრა, რომ ყველას ყველაფერს უამბობდნენ, თუ დადიტსს თავს არ დაანებებდა, რომ ის და მისი მეგობრები პიტს ვერასდროს დაიჭერდნენ, რადგან პიტი ქარივით დაქროდა.

„არ შემიძლია! – პასუხობს ჯოუნსი და კვლავ იატაკზე გორავს. გრძნობს, რომ თანდათან რაღაც იცვლება, მაგრამ რა? – არ შემიძლია, მან ისევ მომტეხა თეძო, იმ ბოზისშვილმა მომტეხა...“

უეცრად ხვდება, რაც ემართება: ტკივილი უკან იხევს. თითქოს ფირი უკუღმა იწყებს ტრიალს: რძე ჭიქიდან პაკეტში ბრუნდება,

ყვავილი, რომელსაც გაფურჩქნა დაეწყო, რაღაც სასწაულით, თითქოს თაიმლაპსით[219] გადაიღესო, ფურცლებს კეცავს და იკვრება.

როცა თავს დახრის და ხასხასა ნარინჯისფერ ქურთუკს დაინახავს, მიხვდება, რაც ემართება – ქურთუკი ხომ დედამ უყიდა „სიარსში", სანამ პირველად გაემგზავრებოდნენ „კედელში გაკეთებულ ხვრელში", სადაც ჰენრიმ ირემი მოინადირა და სადაც ერთად მოკლეს რიჩი გრენადო და მისი მეგობრები, სიზმრით მოკლეს. შესაძლოა, ამის გაკეთება არ უნდოდათ, მაგრამ ასე გამოვიდა – იგი კვლავ ბავშვია, თოთხმეტი წლის ბიჭი. ტკივილი აღარ აწუხებს. ან რატომ უნდა აწუხებდეს? თეძოს ხომ მხოლოდ ოცდასამი წლის შემდეგ მოიტეხს. ამ დროს ტვინში ყველაფერი ბრახაბრუხით იყრის თავს: სინამდვილეში მისტერ გრეი არ არსებობს. ის მხოლოდ სიზმართმჭერ ავგაროზში ცხოვრობს, სხვაგან არსად, ის ისევე არ არსებობს, როგორც თეძოში არსებული ტკივილი. „მე დაცული ვარ, – ფიქრობს ჯოუნსი და დგება, – ბაირუსის წინწკალიც არა მცხია. ის, რაც ჩემს თავშია, მხოლოდ მეხსიერება კი არა, მანქანაში მყოფი მოჩვენებაა. ის მე ვარ. ღმერთო ჩემო, მისტერ გრეი მე ვარ.

ჯოუნსი წამოხტება და ისე სწრაფად გარბის, რომ მოსახვევში კინაღამ დაეცემა. თავის შეკავებას მაინც ახერხებს. თოთხმეტი წლის ბიჭის მარჯვე ფეხები წინ მიაქროლებს. ტკივილის ნასახსაც ვეღარ გრძნობს.

შემდეგი დერეფანი ეცნობა. იქ ბორბლებიანი საკაცე დგას ღამის ჭურჭელთან ერთად. იქვე ფრთხილად დასეირნობს წვრილფეხება ირემი, რომელიც კემბრიჯში ნახა, ავარიის წინ. კისერზე ირემს განიერი საყელური უკეთია, ზედ კი უზარმაზარი, ავგაროზივით მაგიური კრისტალი ჰკიდია. ჯოუნსი ირემს ჩაუქროლებს, ის კი ვეებერთელა, თვინიერი თვალებით შეჰყურებს.

---

[219] Time–lapce (ინგ) – ფოტოგადაღების ხერხი, ე.წ. ინტერვალური გადაღება, როცა კამერა ხანგრძლივი დროის განმავლობაში ერთსა და იმავე ადგილიდან აფიქსირებს კადრებს, რომლებსაც შემდგომ აერთებენ და ქმნიან აჩქარებულ ვიდეოეფექტს.

„ჯოუნსი! "

უკვე ახლოს არის. ძალიან ახლოს.

„ჯოუნსი, მოუჩქარე! "

ჯოუნსი სისწრაფეს ზრდის, ფეხები მიფრინავს, ახალგაზრდა ფილტვები თავისუფლად სუნთქავს. არანაირი ბაირუსი, რადგან მას იმუნიტეტი იცავს, არავითარი მისტერ გრეი, ყოველ შემთხვევაში – მასში. მისტერ გრეი საავადმყოფოშია და ყოველთვის იქ იყო. მისტერ გრეი ფანტომური ტკივილია იმ მოკვეთილი ფეხისა, რომელსაც ჯერაც გრძნობს და მზად არის, დაიფიცოს, რომ ის კვლავ მასთანაა. მისტერ გრეი მოჩვენებაა მანქანაში, სიცოცხლის უზრუნველმყოფ აპარატურასთან მიერთებული მოჩვენება, ის აპარატურა კი თვითონაა.

იგი კიდევ ერთხელ მოუხვევს. მის წინ სამი ღია კარია. მეოთხესთან, რომელიც დაკეტილია, ჰენრი დგას, ისიც ჯოუნსივით თოთხმეტი წლისაა. მასაც ნარინჯისფერი ქურთუკი აცვია. სათვალე, როგორც ყოველთვის, ცხვირზე ჩამოსცურებია. გამალებით უქნ ევს ხელს.

„მოუჩქარე! მოუჩქარე, ჯოუნსი! დადიტსი დიდხანს ვერ გაატანს! თუ ის მანამდე მოკვდება, სანამ ჩვენ მისტერ გრეის მოვკლავთ…"

ჯოუნსი ჰენრისთან მირბის. უნდა, ხელები გაშალოს და მეგობარს გადაეხვიოს, მაგრამ დრო არ ითმენს.

„ეს ჩემი ბრალია", – ეუბნება ჰენრის მოზარდისთვის დამახასიათებელი წვრილი ხმით.

„არა", – პასუხობს ჰენრი და შესცქერის ნაცნობი მოუთმენლობით, რაც ბავშვობაში პიტს, ბივსა და ჯოუნსის მისდამი მოკრძალებას აღუძრავდა – ჰენრი თითქოს ყოველთვის მათზე წინ იყო, თავს ძლივს იკავებდა, რომ მომავალში არ გადამხტარიყო და ყველა უკან ჩამოეტოვებინა. ისინი მას თითქოს ყოველთვის ტვირთად აწვნენ მხრებზე.

„მაგრამ…"

„ბარემ ისიც თქვი, რომ რიჩი გრენადო დადიტსმა მოკლა, ჩვენ კი მისი თანამზრახველები ვართ. იგი ის იყო, ვინც იყო, ჯოუნსი, და ისეთებად გვაქცია, როგორებიც ვართ… მაგრამ ეს განზრახ არ გაუკეთებია. ერთადერთი, რისი გაკეთებაც გამიზნულად შეეძლო, ფეხსაცმელზე ზონრის შეკვრა იყო, განა არ გახსოვს? "

და ჯოუნსი ფიქრობს: „ას აგებ? ოტას აგებ? "

„ჰენრი… დადიტსი…"

„ის ჩვენთვის ცდილობს, ჯოუნსი. ეს უკვე გითხარი. და ყველანი ერთად ვყავართ".

„სიზმართმჭერ ავგაროზში".

„სწორედ. აბა, კიდევ ვიდგეთ აქ და ვიკამათოთ, სანამ სამყარო არ განადგურებულა, თუ…"

„ის ბოზისშვილი უნდა მოვკლათ", – ამბობს ჯოუნსი და ხელს კარის სახელურისკენ იშვერს, კარზე დაფაა წარწერით: „აქ ინფექციის მსგავსიც არ არის, IL N'Y PAS D'INFECTION ICI". მოულოდნელად იგი ამ წარწერის ორმაგ მნიშვნელობას ხვდება. ეს ეშერის[220] ოპტიკურ ილუზიას ჰგავს. თუ ერთი კუთხით შეხედავ, სიმართლეს დაინახავ, თუ სხვა კუთხით – ისეთ სიცრუეს, რომლის მსგავსიც დედამიწის ზურგზე ჯერ არავის უთქვამს.

„სიზმართმჭერი ავგაროზი", – ფიქრობს ჯოუნსი და კარს აღებს.

ოთახი – ბაირუსის საგიჟეთია, კოშმარული სიზმრების ჯუნგლი ერთმანეთში ალისფერ ნაწნავებად გადახლართული ხვიარა მცენარეებით, ვაზითა და ლიანებით. აქ გოგირდისა და გამაგრილებელი ეთილის სპირტის სუნი, აგრეთვე იანვრის სუსხიან დილას გაჯიუტებულ კარბურატორში ჩასხმული, სტარტერის ასამუშავებელი სითხის სიმყრალე იგრძნობა. კიდევ კარგი, რომ იმ ტრაწიანი სინდიოფალების შიში მაინც არა აქვს, ოღონდ აქ არა, ისინი სიზმართმჭერი

[220] იგივე მხედველობითი ილუზია ჰოლანდიელ მხატვარ მორის კორნელიუს ეშერის (1898-1972 წწ.) ნამუშევრებში.

ავგაროზის სხვა ჩხირზე არიან, სხვა დროსა და სივრცეში. ბაირუსი ახლა ლედის, ბუნდოვანი მომავლის მქონე ბორდერ-კოლის პრობ-ლემაა.

ტელევიზორი ჩართულია და თუმცა ეკრანს ბაირუსი მოსდებია, მისი ზედაპირისკენ ჯიუტად მიიწევენ აჩრდილისებური შავ-თეთრი ფიგურები. მამაკაცი ცემენტის დამტვერილ, შემოდგომის უსიცოცხლო ფოთლებით მოფენილ იატაკზე ძაღლის მძორს მიათრევს. უცნაური შენობა აკლდამას ჰგავს, ჯოუნსის საყვარელი ორმოცდაათიანი წლების საშინელებათა ფილმებიდან. მაგრამ ეს აკლდამა არ არის – მასში გამდინარე წყლის ყრუ ხმა ისმის.

იატაკის ცენტრში მრგვალი დაჟანგული თავსახურია, რომელზეც ასოებია ამოტვიფრული: მწრს – მასაჩუსეტსის წყლის რესურსების სამმართველო. წარწერა ეკრანზე გადაფარებული მოწითალო ფენის ქვეშაც კი იკვეთება. ეს არც არის გასაკვირი. მისტერ გრეისთვის, რომელიც ფიზიკურად ჯერ კიდევ „კედელში გაკეთებულ ხვრელში" დაიღუპა, ის ყველაფერს ნიშნავს.

ფიგურალურად რომ ვთქვათ, მთელ სამყაროს.

თავსახური ოდნავ გადაწეულია და სიღრმიდან აბსოლუტური წყვდიადის შავი ნახევარმთვარე მოჩანს. ჯოუნსი აცნობიერებს, რომ მამაკაცი, ძაღლს რომ მიათრევს, თვითონაა, ძაღლი კი ჯერაც ცოცხალია. მისი სხეული ცემენტზე სისხლის ვიწრო ზოლს ტოვებს, თათებს ისე ამოძრავებს, თითქოს ნიჩბებს უსვამსო.

„ამოიგდე თავიდან ეგ ფილმი", – ბუზღუნებს ჰენრი. ჯოუნსი ლოგინზე გაწოლილი ფიგურისკენ ტრიალდება – ნაცრისფერი არსებისკენ, რომელსაც ბაირუსით აჭრელებული ზეწარი ბრტყელ, უთმო, ძუძუსთავების არმქონე, ნაცრისფერ ხორცზე ნაცრისფერ ტყავგადაკრულ მკერდამდე აფარია. ჯოუნსიმ თვალის შევლების გარეშეც იცის, რომ მას არც ჭიპი აქვს, რადგან ეს ქმნილება ამქვეყნად არასდროს გაჩენილა. იგი მხოლოდ და მხოლოდ ბავშვური წარმოდგენაა სხვა სამყაროს მკვიდრზე, რომელიც ცხოვრებაში მათ შემოიყვანეს,

ვინც პირველად დაეკონტაქტა ბაირუსს. ამ უცხოტომელებს, უცხოპლანეტელებს რეალურად არასდროს უარსებიათ. ადამიანის წარმოსახვით განსხეულებული ნაცრისფერი არსებები სიზმართმჭერი ავგაროზიდან გამოვიდნენ. ეს აზრი ჯოუნსის ერთგვარ შვებას ჰგვრის – მაშასადამე, მხოლოდ იგი არ გაუსულელებიათ. ესეც რაღაცას ნიშნავს.

კიდევ ერთი რამე ახარებს: საზიზღარი შავი თვალების მზერა. მათში შიში ჩაბუდებულა.

16

– მოვედით, – მშვიდად განაცხადა ფრედიმ და გააჩერა „ჰამერი", რომელსაც კიდევ სამი მილი გაევლო.

– შესანიშნავია, – თქვა კურცმა, – მანქანა შეამოწმე. მე დაგა ზღვევ.

– ახლავე.

ფრედიმ ჯერ პერლმუტერს გახედა, რომელსაც მუცელი საშინლად გაზრდოდა, შემდეგ – ოუენის „ჰამერს". იმ სროლის მიმართულებაც, გზაში რომ მოესმათ, აშკარად ჩანდა: მანქანა დაეცხრილათ. მხოლოდ ერთი შეკითხვა რჩებოდა პასუხგაუცემელი – ვის ეჭირა იარაღი და ვის ერგო ტყვიები? კვალი, რომელიც „ჰამერიდან" იწყებოდა, თოვლს თითქმის დაეფარა, მაგრამ გარჩევა ჯერაც შეიძლებოდა. ერთი ადამიანის კვალი იყო. მძიმე ფეხსაცმლის ანაბეჭდი. სავარაუდოდ, ოუენის.

– წავედით, ფრედი!

ფრედი გზაზე გადავიდა. კურცი უკან მიჰყვა. ფრედიმ სასხლეტის ჩხაკუნი გაიგონა. „თავისი ცხრამილიმეტრიანის იმედი აქვს. ვერაფერს იტყვი, იქნებ მართალიცაა. ბოსი იარაღს ყოველთვის საუცხოოდ ფლობდა".

როგორც კი კურცმა პისტოლეტი იქით, ზუსტად იქით გაიშვირა, ფრედიმ ზურგში სიცივე იგრძნო. რა სისულელეა! ოუენი – დიახაც.

ოუენი სხვა საქმეა. ოუენი ზღვარს გადავიდა.

17

ორი ბიჭის დანახვაზე, რომლებიც უსიტყვოდ მოიწევენ ბაირუსით მოქარგული საწოლისკენ, მისტერ გრეი გამალებით აჭერს ხელს ექთანის გამოძახების ღილაკს, მაგრამ არავინ მოდის.

„ალბათ სისტემა ბაირუსმა დააზიანა, – ფიქრობს ჯოუნსი, – მით უარესი, მისტერ გრეი, მით უარესი თქვენთვის".

იგი ტელევიზორისკენ ტრიალდება და ხედავს, რომ ეკრანზე მის ორეულს ძაღლი უკვე ჭაბურღილის კიდესთან მიუთრევია. ნუთუ დააგვიანეს? იქნებ კიდევ აქვთ დრო? რთული სათქმელია. ბორბალი კვლავ ტრიალებს.

„გამარჯობა, მისტერ გრეი. ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა", – ამბობს ჰენრი და მწოლიარეს ვიწრო, უყურო თავქვეშიდან ბაირუსით დაფარულ ბალიშს აცლის. მისტერ გრეი ცდილობს, საწოლის მეორე მხარეს გადახოხდეს, მაგრამ ჯოუნსი მას ბავშვივით გამხდარ მკლავებს გაუკავებს და ლოგინზე მიაჯაჭვავს. კანი არც მხურვალეა, არც ცივი. ვერც იტყვი, რომ კანია. რაღაც...

„სიცარიელის მსგავსი, – ფიქრობს იგი, – როგორც სიზმარში".

„მისტერ გრეი? – ეუბნება ჰენრი, – აი, ასე ვესალმებით სტუმრებს პლანეტა დედამიწაზე".

ჯოუნსის ხელებში მოქცეული მისტერ გრეი შეწინააღმდეგებას ცდილობს და იკლაკნება. საიდანღაც მონიტორის გაშმაგებული წივილი ისმის, თითქოს ამ არსებას მართლაც ჰქონდა გული, რომელმაც ახლაღა შეწყვიტა ფეთქვა.

ჯოუნსი მომაკვდავ მონსტრს შესცქერის და მხოლოდ იმაზე ოცნებობს, რომ ეს ყველაფერი მალე დამთავრდეს.

18

მისტერ გრეიმ ძაღლი შახტის კიდემდე მიათრია, რომლის თავსახურის ნაწილობრივ გადაწევა მოეხერხებინა. ვიწრო შავი ნახევარწრიდან გამდინარე წყლის დგაფუნი მოისმოდა და ცივი ჰაერის ნაკადს შმორის სუნი მოჰქონდა.

„თუ რაიმე უნდა მოხდეს, დაე, ჩქარა მოხდეს"[221]... ეს იმ ყუთიდან იყო, რომელსაც შექსპირი ეწერა. ძაღლს უკანა თათები გაშმაგებით უტოკავდა. მისტერ გრეის ხორცის გლეჯისა და თქვლეფის ხმა ესმოდა: ბაირუსი ერთი ბოლოთი წინ მიიწევდა, გზას მიიკვლევდა და მეორით იღეჭებოდა. ძაღლის მუცლიდან ისეთი ხმები ისმოდა, თითქოს გაბრაზებული მაიმუნი ჭყივისო. ძაღლი ჭაში იქამდე უნდა ჩაეგდო, სანამ ის ქმნილება გარეთ გამოვიდოდა. წყალში მისი დაბადება აუცილებელი არ იყო, მაგრამ ეს მისი გადარჩენის შანსს უფრო გაზრდიდა.

მისტერ გრეიმ სცადა, ძაღლის თავი ცემენტსა და თავსახურს შორის ჩაეკვეხებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ლედს კისერი სულელურად გაეზნიქა, დაღრეჯილი სახე ზევით მიემართა. ჯერაც არ გაღვიძებოდა, თუმცა, ჩუმად მაინც დაიყეფა.

ხვრელში არ ეტეოდა.

– ბარემ მიხმარე, ფრედი! – შესძახა მისტერ გრეიმ, რომელიც ვერც კი ამჩნევდა ტკივილს ჯოუნსის თეძოში, არც მის გადათეთრებულ სახესა და მომწვანო-მოთაფლისფრო, იმედების მსხვრევევით აცრემლებულ, დაღლილ თვალებს აქცევდა ყურადღებას. სამაგიეროდ, აცნობიერებდა, მძაფრად და ძრწოლით აცნობიერებდა, რომ რაღაც ხდებოდა. „რაღაც ხდება ჩემ ზურგს უკან", – იტყოდა ჯოუნსი. სხვა ვინ იქნებოდა? ვინ იქნებოდა, თუ არა ჯოუნსი, მისი არასტუმარ-თმოყვარე მასპინძელი?

– შენი დედაც! .. – დაუყვირა მან წყეულ, საძულველ, ჯიუტ, ზომაზე ოდნავ დიდ ძაღლს, – შენ ქვემოთ გადაეშვები, გასაგებია? შენ გადა...

---

[221] უილიამ შექსპირის დრამიდან „მაკბეტი".

სიტყვები ყელში გაეჩხირა. ყვირილი აღარ შეეძლო, თუმცა საოცრად უნდოდა ამის გაკეთება. ოჰ, რა სიამოვნებით დაიყვირებდა ან ჩასცხებდა მუშტს, რასაც მოიხელთებდა (თუნდაც ამ მომაკვდავ, მაკე ძაღლს)! ყვირილს აღარ დაგიდევდათ, სუნთქვაც კი ეკვროდა. ნეტა, ასეთს რას უკეთებდა ეს ჯოუნსი?

არ ელოდა, თუ ვინმე უპასუხებდა, მაგრამ მოულოდნელად ცივი, მძვინვარებით აღსავსე უცნობი ხმა მოესმა:

„აი, ასე ვესალმებით სტუმრებს პლანეტა დედამიწაზე“.

19

საავადმყოფოს საწოლზე გაკრული რუხი არსება უმწეოდ იქნევს სამთითა ხელებს, მოულოდნელად მაღლა სწევს და წამით ბალიშს თავიდან იშორებს. ბრტყელი, წაშლილი, უნაკვთო სახიდან მომზირალი შავი თვალები ბრაზითა და შიშით ავსებია. რუხი ქმნილება იგუდება. და თუმცა სინამდვილეში იგი ჯოუნსის ტვინშიც კი არ არსებობს, თუნდაც ფიზიკური არტეფაქტის სახით, გააფთრებით იბრძვის სიცოცხლის გადასარჩენად. ჰენრი ვერ თანაუგრძნობს, მაგრამ ყველაფერი კარგად ესმის. მისტერ გრეისაც ის უნდა, რაც ჯოუნსისა და დადიტსს, ასევე, ჰენრის, რადგან, მიუხედავად შავი ფიქრებისა, გული ხომ კვლავაც უცემს? ღვიძლი ხომ ისევ უსუფთავებს სისხლს? განა შეწყვიტა მისმა სხეულმა უხილავი ომი ყველაფრის წინააღმდეგ, დაწყებული სიცივით და დამთავრებული კიბოთი და თვით ბაირუსით? სხეული ან სულელია, ან უსაზღვროდ ბრძენი, მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, თავისუფალია აზრების დამანგრეველი გრძნეულებისგან. მან მხოლოდ ის იცის, რომ, სანამ ძალა შესწევს, მედგრად უნდა იდგეს და იბრძოლოს. თუკი ოდესმე მისტერ გრეი სხვანაირი იყო, ახლა ყველაფერი შეიცვალა. მას სიცოცხლე სწყურია.

„არა მგონია, ეს გამოგივიდეს, – წყნარად, თითქმის დამამშვიდებლად ამბობს ჰენრი, – არა მგონია, მეგობარო“.

და კვლავ აჭერს მისტერ გრეის სახეზე ბალიშს.

20

მისტერ გრეის სასუნთქი გზები კვლავ გაეხსნა. მან ხარბად შეისუნთქა ჭაბურღილიდან ამოსული ცივი ჰაერი, ერთხელ... მეორედ... და უეცრად სუნთქვა ისევ შეეკრა. ისინი მას ახრჩობდნენ, გუდავდნენ, კლავდნენ.

„არა! მაკოცე ტაკოში! მაკოცე ტრაწიან ტაკოში! ამას ვერ გაბედავთ! "

ძაღლი გადმოათრია და გადააბრუნა. ასე ის მგზავრი ცდილობს ჩემოდანში გაჯიუტებული ნივთის ჩატენას, რომელსაც თვითმფრინავზე უკვე დააგვიანდა. ასე გაეტევა, – გაიფიქრა მისტერ გრეიმ.

დიახ. გაეტეოდა. ამისთვის თუნდაც ჯოუნსის ხელებით ძაღლის მუცლის გაფატვრა დასჭირვებოდა. მაშინ ბაირუსი გათავისუფლდებოდა. ასე თუ სხვაგვარად, ის წყეული ქმნილება გარეთ გამოვიდოდა.

გასივებული სახე. გადმოკარკლული თვალები. გადაკეტილი სუნთქვა. ჯოუნსის შუბლის შუაში მფეთქავი ერთადერთი მსხვილი ვენა. მისტერ გრეი თავდავიწყებით ტენიდა ლედს ღრიჭოში, შემდეგ კი ზურგში ჯოუნსის მუშტები დაუშინა.

„ჩაძვერი, შე წყეულო, ჩაძვერი-მეთქი! "

ჩაძვერი!

21

ფრედი ჯონსონმა კარაბინი მიტოვებული „ჰამერის" ფანჯარაში შეყო, კურცი კი ამ დროს მისგან ოდნავ მოშორებით იდგა (რაღაცით ეს რუხი კაცუნების ხომალდზე თავდასხმას ჰგავდა) და ელოდებოდა, რა მოხდებოდა.

– ორი ტიპია, ბოს. როგორც ჩანს, ოუენმა ზედმეტი ტვირთის თავიდან მოშორება გადაწყვიტა, სანამ გზას გაუდგებოდა.

– მკვდრები არიან?

– ასე მგონია. ერთი დევლინი უნდა იყოს, მეორე კი ის, ვისაც შეუარეს.

კურცი ფრედისთან მივიდა, ჩამსხვრეულ ფანჯარაში შეიხედა და თავი დააქნია. უკანა სავარძელზე მოკუნტულ ორ თეთრსახიან კაცს, სისხლით რომ მოთხვრილიყო და ზემოდან შუშის ნამტვრევები ეყარა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. მან პისტოლეტი ასწია, როგორც ჩანს, საკონტროლო გასროლისთვის, რათა ეჭვის ნატამალიც არ დარჩენოდა, მაგრამ გადაიფიქრა და ძირს დაუშვა. ოუენს მათი მანქანის ხმა, ალბათ, არ გაუგონია – საოცრად მძიმე და წყლიანი თოვლი შესანიშნავი აკუსტიკური საბურველი იყო, ამიტომ ვერც ამას გამორიცხავდა. სამაგიეროდ, ახლა აუცილებლად მოჰკრავდა ყურს გასროლას.

კურცი მკვეთრად შეტრიალდა.

– წინ გამიძეხი, მეგობარო, ოღონდ ფრთხილად, თორემ მგონი, ყინულზე ვდგავართ. გარდა ამისა, იქნებ მოულოდნელად წავადგეთ თავს. ვფიქრობ, არ დაგავიწყდება, ხომ ასეა?

ფრედიმ თავი დაუქნია.

კურცმა გაიღიმა და მაშინვე საოცრად დაემსგავსა კბილებდაკრეჭილ თავის ქალას.

– თუ ბედი გაუღიმებს, მეგობარო, ოუენ ანდერჰილი მანამ აღმოჩნდება ჯოჯოხეთში, სანამ გაიგებს, რომ მოკვდა.

22

ბაირუსით დაფარული ტელევიზორის პულტი, მართკუთხა შავი პლასტმასი, მისტერ გრეის ტუმბოზე დევს. ჯოუნსი მას ხელს სტაცებს.

– ამის დედაც! .. – ამბობს იგი. ხმა საოცრად მიუგავს ბივერისას.

შემდეგ იგი პულტს მთელი ძალით დასცხებს მაგიდის კიდეს, თითქოს მოხარშულ კვერცხს ამტვრევსო. პულტი ტყდება, იქიდან

ელემენტები ცვივა და ჯოუნსის ხელში პლასტმასის უშნო ნატეხი რჩება. ხელს ბალიშისკენ იწვდის, რომელსაც ჰენრი მოფართხალე ქმნილებას სახეზე აჭერს. წამით შეყოყმანდება, მისტერ გრეისთან თავის პირველ და ერთადერთ შეხვედრას იხსენებს. სააბაზანოს კარის სახელური ისევე უჭირავს ხელში, ზამბარის გატეხის შემდეგ რომ ეჭირა, როცა ქმნილების ჩრდილი შენიშნა და სრული წყვდიადის შეგრძნება დაეუფლა. მაშინ ყველაფერი რეალური ჩანდა, ვარდებივით, წვიმის წვეთებივით რეალური. ჯოუნსი შეტრიალდა და ის დაინახა, – ვინც ან რაც უნდა ყოფილიყო მისტერ გრეი, სანამ მისტერ გრეი გახდებოდა, – რომელიც დიდ მთავარ ოთახში იდგა. ასობით მხატვრული და „ამოუხსნელ საიდუმლოზე" შექმნილი დოკუმენტური ფილმების მოქმედი პირი. ოღონდ ბებერი. ბებერი და ავადმყოფი. უკვე მაშინ შეეძლო საავადმყოფოს ინტენსიური თერაპიის ბლოკში დაწოლა.

„მარსი", – თქვა მან და ეს სიტყვა პირდაპირ ჯოუნსის ტვინიდან ამოიღო. საცობივით ამოაძრო. ხვრელი გააკეთა, საიდანაც შესვლას შეძლებდა. შემდეგ იგი აფეთქდა, როგორც საახალწლო ტკაცუნა, კანფეტების ნაცვლად ბაირუსი გადმოაფრქვია და...

„და დანარჩენი მე წარმოვიდგინე ჩემს გონებაში. ხომ ასე იყო? გალაქტიკათშორისი შიზოფრენიის მორიგი შემთხვევა. სხვა არაფერი".

„ჯოუნსი! – ყვირის ჰენრი, – თუ ამის გაკეთებას აპირებ, გააკეთე! "

„აბა, მისტერ გრეი, – ფიქრობს ჯოუნსი, – მოემზადეთ. ანგარიშსწორების..."

23

მისტერ გრეის ლედი იმ სივიწროვეში ნახევრად უკვე გაეძვრინა, როცა თავი ჯოუნსის ხმებით გაევსო.

„აბა, მისტერ გრეი, მოემზადეთ. ანგარიშსწორების დრო მოვიდა“.

ჯოუნსის ყელი საშინლად სტკიოდა. მისტერ გრეიმ ჯოუნსის ხელები ასწია. ყელიდან საშინელი ბუყბუყი ისმოდა, რომელიც ყვირილად ვერ გარდაიქმნა. ამჯერად, ჯოუნსის გაბანჯგვლული კისერი კი არ იგლიჯებოდა, არამედ მისი საკუთარი ხორცი. საშინელი ურწმუნოება დაატყდა თავს – უკანასკნელი ემოცია, რომელიც ჯოუნსის მოჰპარა.

„შეუძლებელია, ეს მოხდეს“.

ისინი, ეს არტეფაქტები, ყოველთვის ხომალდებით ჩადიოდნენ, ყოველთვის ხელებს მაღლა სწევდნენ და ნებდებოდნენ. და ყოველთვის იმარჯვებდნენ. შეუძლებელია, ეს მოხდეს.

აღმოჩნდა, რომ შესაძლებელი ყოფილა.

ბაირუსის გონება კი არ ქრებოდა, იშლებოდა. კვდომის პროცესში არსება, რომელიც ოდესღაც მისტერ გრეი იყო, საწყის მდგომარეობას დაუბრუნდა. სანამ უსულო არსებად გარდაიქმნებოდა (სწორედ წამით ადრე მანამდე, სანამ ეს იგი არაფრად იქცეოდა), გაბრაზებულმა და სასოწარკვეთილმა ძაღლს წიხლი უთავაზა. ლედმა ხვრელში ჩაძრომა სცადა, მაგრამ შუაგზაში გაიჭედა.

ბაირუსის უკანასკნელი, ჯოუნსის გონების დახმარებით წარმოქმნილი ფიქრი ეს იყო: „მის წინადადებას უნდა დავთანხმებულიყავი. მეცადა მაინც გაადამიანუ...“

24

ჯოუნსი ტელევიზორის პულტის ბასრ ნატეხს მისტერ გრეის დანაოჭებულ კისერში ურტყამს. ყელზე პირის მსგავსი ჭრილობა ჩნდება. იქიდან მოწითალო-ოქროსფერი მტვრის ღრუბელი ამოდის, ჰაერს ალისფრად ღებავს და ზეწარზე ილექება.

ჯოუნსისა და ჰენრის ხელებში მოქცეული მისტერ გრეის სხეული დენდარტყმულივით ცახცახებს, უეცრად სიზმარივით იკუმშება –

ისედაც, ყოველთვის სიზმარი იყო – და რაღაც ნაცნობს ემსგავსება. ჯოუნსი ვერ ხვდება – რას, მაგრამ შემდეგ გონება მაშინვე უნათდება – მისტერ გრეი „ძმები თრექერების“ დაცარიელებულ ოთახში იატაკზე დაყრილ პრეზერვატივებს ჰგავს.

ის...

...მკვდარია! – სურს დაასრულოს ჯოუნსის, მაგრამ უეცრად საშინელი ტკივილი დაუვლის. ამჯერად არა თეძოში, არამედ თავში. და ყელში. კისერზე ცეცხლოვანი ყელსაბამი ჩნდება. მთელი ოთახი გამჭვირვალე ხდება და მიწამ უყოს პირი, თუ ასე არაა. ის კედელში იყურება, ჭაში იხედება, ხვრელში გაჩხერილი ძაღლი საზიზღარ წითელ არსებას შობს, რომელიც უზარმაზარ, სისხლით სავსე მატლთან შეჯვარებულ სინდიოფალას წააგავს. ჯოუნსიმ იცის, რაც არის. მორიგი ბაირუსია.

სისხლით, განავლითა და საკუთარი პლაცენტის ნაფლეთებით დაფარული ქმნილება მას უაზრო შავი თვალებით შესცქერის (მისი თვალებით, – ფიქრობს ჯოუნსი, – მისტერ გრეის თვალებით), იგი მის თვალწინ იბადება, საოცრად მოქნილ ტანს წელავს, გათავისუფლებას ცდილობს, რათა წყვდიადში გადაეშვას მოდგაფუნე წყალთან შესახვედრად.

ჯოუნსი ჰენრის შეჰყურებს.

ჰენრი – ჯოუნსის.

წამით მათი ახალგაზრდა, შეშინებული თვალები ერთმანეთს ხვდება... შემდეგ კი ისინიც უჩინარდებიან.

„დადიტსი, – ჩურჩულებს ჰენრი სადღაც შორიდან, – დადიტსი მიდის, გვტოვებს, ჯოუნსი...“

მშვიდობით. შესაძლოა, ჰენრის სურს, თქვას „მშვიდობით“, მაგრამ ვერ ასწრებს. ორივენი ქრებიან.

25

ჯოუნსის თავბრუ ესხმის და სიცარიელეში აღმოჩნდება. ძალიან

ცუდადაა, საშინლად ცუდად. ფიქრობს, რომ კვდება, მისტერ გრეის მოკვლით, ალბათ, თავიც მოიკლა, ყელი გამოიჭრა, როგორც იტყვიან ხოლმე.

გონზე ისევ ტკივილმა მოიყვანა. არა, ყელი აღარ სტკივა, გაუარა, სუნთქვა ისევ შეუძლია. ესმის კიდეც, როგორ ხმაურით შედის და გამოდის ჰაერი. ეს ძველი ტკივილია. თეძოსი. ტკივილმა მიაგნო მას და უკან, სამყაროში მოისროლა, გასივებული, აყვირებული ღერძის გარშემო ბზრიალასავით დაატრიალა. მუხლებით ბეტონზე დგას, ხელები ბეწვებით გავსებია, არაადამიანური ხმები ესმის.

ეს ნაწილი ხომ მაინც რეალობაა, – გაიფიქრა მან, – ეს ნაწილი სიზმართმჭერი ავგაროზის გარეთ მოხვდა.

საშინელი ხმა.

ჯოუნსიმ სიბნელეში კიდეზე კუდით ჩამოკიდებული სინდიოფალას მსგავსი არსება დაინახა, რომელიც ძაღლიდან ჯერ არ გამოსულიყო. ჯოუნსი მისკენ გაექანა და სლიპინა, მოცახცახე სხეულს სწორედ იმ დროს ჩაავლო ხელები, როცა ის გათავისუფლდა. ჯოუნსი წინ გადაიხარა, ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია სიცხისგან მფეთქავი თეძოსთვის, მოჟივჟივე ქმნილების დაკლაკნილი სხეული გველებზე მონადირესავით თავზემოთ ეჭირა. ის კი სხმარტალებდა, ჰაერში კბილებს აკრაჭუნებდა, აქეთ-იქით იზნიქებოდა, რათა ჯოუნსის ხელში სწვდომოდა. იმდენი მოახერხა, რომ ქურთუკის სახელომდე მიაღწია და დაუძიძგნა.

ჯოუნსიმ ვიღაცის მზერა იგრძნო, შეტრიალდა და ჩამტვრეულ ფანჯარასთან, საიდანაც მისტერ გრეი გადაძვრა, მამაკაცი დაინახა, რომელსაც გაოცებისგან სახე წაგრძელებოდა, კამუფლაჟიანი ქურთუკი ეცვა და ხელში შაშხანა ეჭირა.

ჯოუნსიმ მასთან მებრძოლი სინდიოფალა შორს მოისროლა, რაც სულაც არ გასჭირვებია. ქმნილებამ ათიოდე ფუტი იფრინა, ტყლაშუნით დაეცა იატაკზე და მაშინვე ჭისკენ გახოხდა. მართალია, ხვრელში ძაღლი იყო გაჩხერილი, მაგრამ შიგ ჩასაძრომად საკმაო

ადგილი კიდევ რჩებოდა.

– ესროლე! – დაუყვირა ჯოუნსიმ შაშხანიან კაცს, – ესროლე, ღვთის გულისთვის, სანამ წყალში ჩამხტარა!

მაგრამ ფანჯარასთან მდგომი მამაკაცი თითქოს რაღაცას მოენუსხა. კაცობრიობის გადარჩენის ბოლო იმედი მილურსმნულივით იდგა ერთ ადგილზე და პირი დაეღო.

26

ოუენი საკუთარ თვალებს არ უჯერებდა – მის წინ რაღაც საზიზღარი, უშნო, უფეხო წითელი არსება მოჩანდა. ერთია, ამის შესახებ მოსმენა, და სულ სხვაა საკუთარი თვალით ნახვა. ქმნილება იატაკის შუაში მდებარე ხვრელისკენ მიიწევდა, სადაც ძაღლი გაჩხერილიყო და თათები ზემოთ არაბუნებრივად აეშვირა, თითქოს შველას ითხოვდა.

მამაკაცი, სავარაუდოდ, „ტიფიანი ჯოუნსი", ყვიროდა, მოითხოვდა, რომ ამ არსებისთვის ესროლა, მაგრამ ოუენს ხელები ტყვიასავით დამძიმებოდა. საძაგელი ქმნილება საცაა გაიქცეოდა და ის, რისთვისაც თვითონ იბრძოდა და რისი თავიდან აცილებაც სურდა, ახლა მის თვალწინ მოხდებოდა. ეს ჯოჯოხეთში ყოფნას ჰგავდა.

იგი მოჯადოებულივით შეჰყურებდა, როგორ მიხოხავდა საზიზღარი არსება, მისი მაიმუნივით ჭყივილი ექოსავით ჩაესმოდა; ხედავდა, როგორ მიიწევდა წინ სასოწარკვეთილი ჯოუნსი იმ იმედით, რომ მის დაჭერას თუ არა, გაგდებას მაინც მოახერხებდა. მაგრამ არაფერი გამოსდიოდა. ხელს ძაღლი უშლიდა.

ოუენმა საკუთარ ხელებს იარაღის შემართვა და დამიზნება უბრძანა, მაგრამ ვერ მოახერხა. გინდ აქ ჰქონოდა MP–5 და გინდ სხვა გალაქტიკაში. მის გამო ქმნილება სადაცაა გაიქცეოდა. ის კი საფრთხობელასავით იდგა და ამას ხელს არ უშლიდა. ღმერთო, შენ დაეხმარე მას.

ღმერთო, შენ უშველე ყველას.

27

ჰენრი შეირხა, თვალდახუჭული მთვრალივით წამოჯდა და სავარძლის საზურგეს მიეყრდნო. თავზე რაღაც ეყარა. მან თმა ჩამოიფერთხა. საავადმყოფოში ნანახი სიზმრიდან ჯერაც ვერ გამორკვეულიყო (თუმცა ეს სიზმარი არ იყო, – გაიფიქრა მან). უეცრად მწვავე ტკივილმა რეალობის მსგავს სივრცეში დააბრუნა. ეს შუშის ნატეხი იყო. თმა ჩატეხილი ფანჯრის ნამსხვრევებით გავსებოდა. სავარძელზეც ბევრი ეყარა, დადიტსის სხეულზეც.

– დად?

დაძახებას აზრი აღარ ჰქონდა. დადიტსი მკვდარი იყო. ალბათ. მან დარჩენილი ენერგია ჰენრისა და ჯოუნსის საავადმყოფოს პალატამდე მიყვანას დაახარჯა.

მაგრამ დადიტსმა დაიკვნესა და თვალი გაახილა. თვალებში რომ ჩახედა, ჰენრი კვლავ უკან, დათოვლილ ჩიხში დაბრუნდა. დადიტსს თვალები წითელ, სისხლიან ნულებს მიუგავდა. სიბილას თვალებს.

– უბი! – შესძახა დადიტსმა და ხელები ისე ასწია, თითქოს თოფი ეჭირა და გასროლას აპირებდა, – უბი-დუ! ამე არ იდის! „საქმე არ იცდის! "

სადღაც, ტყეში, ორჯერ გაისროლეს, პაუზის შემდეგ კი – მესამედაც.

– დად, – ჩაიჩურჩულა ჰენრიმ, – დადიტს...

დადიტსმა დაინახა იგი. სისხლით სავსე თვალებითაც კი დაინახა. ჰენრი გრძნობდა ამას. მეტიც: წამით საკუთარ თავს დადიტსის თვალებით შეაცქერდა. ეს ჯადოსნურ სარკეს ჰგავდა. მასში წლების წინანდელ ჰენრის ხედავდა. ეს ბიჭი სამყაროს რქისჩარჩოიანი სათვალით უყურებდა, სათვალე დიდი ჰქონდა და სულ ცხვირზე უცურდებოდა. გრძნობდა მისდამი დადიტსის სიყვარულს, უბრალო, სადა ემოციას, ყოველგვარი ეჭვის, ეგოიზმისა და მადლიერების გარეშე.

ჰენრი დადიტსის, ძველი მეგობრის დაუძლურებულ, ბუმბულივით მსუბუქ სხეულს მოეხვია და ტირილი აუვარდა.

– შენ ილბლიანი იყავი, ძმაო, – ჩაიჩურჩულა მან და გული დაწყდა, რომ ბივერი მათ გვერდით არ იყო. ბივერს იმის გაკეთება შეეძლო, რაც ჰენრის არ გამოსდიოდა – იავნანათი დადიტსის მიძინება, – ვფიქრობ, ჩვენ შორის ყველაზე ბედნიერი შენ იყავი.

– ენი, – ჩაიბურტყუნა დადიტსმა და ფრთხილად შეეხო ჰენრის ლოყას, შემდეგ გაიღიმა და საოცრად გამართულად წარმოთქვა:

– მიყვარხარ, ენი.

28

წინიდან კიდევ ორი გასროლა გაისმა – კარაბინიდან ისროდნენ. არცთუ ისე შორს. კურცი შეჩერდა. ოციოდე ფუტით დაწინაურებული ფრედი იმ დაფასთან შედგა, რომელზეც ეწერა: „ჭაბურღილების სიახლოვეს თევზჭერა აკრძალულია".

მესამე გასროლა. შემდეგ სიჩუმე.

– ბოს, – თქვა ფრედიმ, – შენობაში რაღაც ხდება.

– ვერაფერს ხედავ?

ფრედიმ თავი გადააქნია.

კურცი მიუახლოვდა და ცოტათი გამხიარულდა კიდეც, როდესაც ფრედიმ მხარზე ბოსის ხელი იგრძნო და ნერვიულად შეხტა. შეხტა და სწორადაც მოიქცა. თუ ეიბი კურცი მომდევნო თხუთმეტ-ოც წუთს მშვიდობიანად გადაიტანდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, ახალი ცხოვრების შესახვედრად გზა მარტოს გაეგრძელებინა. არც სულს დაუმძიმებდა ვინმე და არც ტვირთად დააწვებოდა. მისი ბოლო პარტიზანული ბრძოლის მოწმე აღარავინ იქნებოდა. ფრედის, შესაძლოა, ეჭვი ჰქონოდა, მაგრამ დაზუსტებით არაფერი იცოდა. სამწუხაროდ, ფრედისთვის სამწუხაროდ, ტელეპათია აღარ მუშაობდა.

– როგორც ჩანს, ოუენმა კიდევ ერთი საკბილო იშოვა, – ჩასჩურ-

ჩულა კურცმა ყურში. ფრედის ყურზე ჯერ კიდევ შერჩენოდა რიპ-ლის კვალი, ოღონდ – გათეთრებული და მშრალი.

– წავიდეთ მისკენ?

– არა, ღვთის გულისთვის! – მიუგო კურცმა, – ეგ არც იფიქრო. როგორც ჩანს, უკან დახევის დრო მოვიდა – სამწუხაროდ, ასეც ხდე-ბა ხოლმე. ხეებს ამოვეფაროთ. ვნახოთ, ვინ გადარჩა და ბრუნდება. ათი წუთი მივცეთ. თანახმა ხარ? ვფიქრობ, ათი წუთი საკმარისზე მეტიცაა.

29

სიტყვებს, რომლებმაც ოუენ ანდერჰილის გონება აავსო, აზრობ-რივი დატვირთვა კი აკლდა, მაგრამ მკაფიოდ ისმოდა: „უბი! უბი-დუ! საქმეს მივხედოთ! "

კარაბინი შეიმართა. მას არ აუწევია, მაგრამ როდესაც ძალამ, რომელმაც თოფი ასწია, იგი მიატოვა, – ეს მშვიდად მიიღო. იარაღი ერთეულოვან გასროლებზე დააყენა, დაუმიზნა და ორჯერ გაისრო-ლა. პირველი ტყვია სინდიოფალას თავთან, იატაკს მოხვდა და ას-ხლტა. აქეთ-იქით ცემენტის ნამსხვრევები გაიფანტა. საზიზღარი ქმნილება შეხტა, შემოტრიალდა, ოუენი დაინახა და ბასრი კბილე-ბით სავსე პირი დააღო.

– მართალი ხარ, ლამაზო, – ჩაილაპარაკა ოუენმა, – კამერას უყუ-რე და გაიღიმე. ახლა ჩიტი გამოფრინდება.

მეორე ტყვია სინდიოფალას პირდაპირ უსიცოცხლო ღიმილში ეძ-გერა. იგი უკან გადავარდა, კედელს შეასკდა და იატაკზე ჩამოცურ-და. მაგრამ უთავო სხეულს ინსტინქტები კიდევ ჰქონდა. იგი კვლავ წინ გახოხდა, ოღონდ, ამჯერად უფრო ნელა. ოუენმა ისევ შემართა თოფი და დაუმიზნა, თან რეიპლოუებზე, დიკსა და აირინზე გაიფიქ-რა. კარგი ადამიანები იყვნენ. კეთილი მეზობლები. როდესაც შაქა-რი ან რძე შემოაკლდებოდათ, მეზობელს კარზე მიაკაკუნებდნენ და ყველაფერი გვარდებოდა.

„ასე თქვეს, ინსულტიაო, – დაიყვირა მისტერ რეიპლოუმ, ოუენს კი „პულტი“ მოესმა. ბავშვს რა მოეთხოვება.

ასე რომ, ეს რეიპლოუების გულისთვის. და იმ ბავშვისთვის, არასწორად რომ გაიგო.

ოუენმა მესამედ გაისროლა. ტყვიამ ქმნილება ორად გაგლიჯა. სისხლიანი ნაფლეთები აფართხალდა... აფართხალდა... და გაჩერდა.

ოუენმა კვლავ შემართა კარაბინი. ლულა გარი ჯოუნსის შიგ შუბლში დაუმიზნა.

ის კი ოუენს თვალის დაუხამხამებლად შეჰყურებდა. ოუენი დაღლილი იყო, საშინლად დაღლილი, მაგრამ თავი მაინც ღირსეულად ეჭირა და არ იმჩნევდა. ჯოუნსიმ უიარაღო ხელები მაღლა ასწია.

– შეგიძლიათ, არ დამიჯეროთ, – თქვა მან, – მაგრამ მისტერ გრეი მკვდარია. მე მას ყელი გამოვჭერი, სანამ ჰენრი ბალიშით გუდავდა. სწორედ ისე, როგორც „ნათლიაშია“.

– მართლა? – გამოეხმაურა ოუენი ყოველგვარი გესლის გარეშე, – იქნებ მითხრათ, სად შედგა სიკვდილით დასჯა?

– ჩვენი გონების მასაჩუსეტსის საავადმყოფოში, – მიუგო ჯოუნსიმ და ჩაეცინა. ასეთ სევდიან სიცილს ოუენი ცხოვრებაში არ შესწრებია, – იქ, სადაც დერეფნებში ირემი დახეტიალებს, ტელევიზორში კი ერთადერთი გადაცემა გადის – ძველი ფილმი „ეშმაკისადმი თანაგრძნობა“.

ოუენი ოდნავ შეირხა.

– მესროლე, ჯარისკაცო, თუ მიგაჩნია, რომ ასეა საჭირო. მე სამყარო გადავარჩინე. ვაღიარებ, ამაში შენც დამეხმარე იარაღით. ახლა შეგიძლია, სამაგიერო ტრადიციული ხერხით გადამიხადო. თანაც იმ ნაძირალამ ისევ მომტეხა თეძო. პატარა გამოსამშვიდობებელი საჩუქარი იმ კაცუნასგან, რომელიც აქ არ ყოფილა. ეს ტკივილი, – ჯოუნსის სახე დაელრიჯა, – თითქმის აუტანელია.

ოუენს ერთი-ორი წამი კვლავ შემართული ჰქონდა თოფი, შემდეგ კი დაუშვა.

– ამას კიდევ გადაიტანს კაცი, – გაეცინა მას.

ღონემიხდილი ჯოუნსი უკან გადავარდა და იდაყვებს დაეყრდნო, შემდეგ დაიკვნესა, როგორღაც მოახერხა და ჯანმრთელ გვერდზე გადაბრუნდა.

– დადიტსი მკვდარია. იგი ორივეს გვჯობდა, ერთად აღებულს... ახლა კი მკვდარია, – მან წამით თვალები დახუჭა, – ღმერთო ჩემო, რა შტერობაა! ბივერი ასე იტყოდა. ტოტალური შტერობა. ეს „გასაშტერებელის" საპირისპირო სიტყვაა, რაც, ბივერის განმარტებით, ნიშნავს „არაჩვეულებრივ, არა აუცილებლად სექსუალური ხასიათის სიამოვნებას".

ოუენი ვერ მიმხვდარიყო, ეს კაცი რაზე ლაპარაკობდა. თითქოს ბოდავდა.

– დადიტსი, შესაძლოა, მკვდარია, მაგრამ ჰენრი – არა. მას მოსდევენ, ჯოუნსი. ცუდი ხალხი მოსდევს. გესმით ჩემი? იცით, ვინ არიან ისინი?

ჯოუნსიმ, რომელიც კვლავინდებურად ცივ, ფოთლებით მოფენილ იატაკზე იწვა, თავი აქეთ-იქით ნელა გადააქნია.

– როგორც ჩანს, სტანდარტულ ხუთ გრძნობას დავუბრუნდი. ტელეპათიამ გამიარა. დანაელებმა ძღვენი შეიძლება მოიტანონ კიდეც, მაგრამ შემდეგ ინდიელებივით უკან წაიღებენ. ღმერთო ჩემო, – ჩაეცინა მას, – ასეთი ხუმრობის გამო სამსახურის დაკარგვაც შეიძლება. დარწმუნებული ხართ, რომ ჩემი ჩაძაღლება არ გსურთ?

ოუენმა ეს უკანასკნელი სიტყვებიც ისევე გაატარა ყურიდან ყურში, როგორც „სიშტერესა" და „გასაშტერებელს" შორის არსებული სემანტიკური განსხვავებანი. კურცი მოდიოდა და მთავარი პრობლემაც ის იყო. მას ძრავის ხმაური არ გაუგია, მაგრამ იმ თოვლში ხმაური ძნელად ისმოდა. ცხადია, გასროლების გარდა.

– ტრასაზე უნდა დავბრუნდე, – თქვა მან, – თქვენ აქ დარჩით.

– თითქოს არჩევანი მქონდეს, – მიუგო ჯოუნსიმ და თვალები დახუჭა, – ღმერთო ჩემო, როგორ მენატრება ჩემი თბილი და მყუდრო

ოფისი. ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ასეთ რამეს ვიტყოდი, მაგრამ ფაქტია, რომ ვამბობ.

ოუენი შეტრიალდა და კიბეზე დაეშვა. ფეხი უცურდა და ბორძიკობდა, მაგრამ წონასწორობის შენარჩუნებას ახერხებდა. წასვლის წინ ჩაბნელებულ ტყეს არცთუ ყურადღებით შეავლო თვალი. თუ კურცი და ფრედი იქ ჩასაფრდნენ, მასა და „ჰამერს" შორის, მათ შემჩნევას ვერ მოასწრებდა. რა თქმა უნდა, კვალის მოძებნაც შეიძლებოდა, მაგრამ ამ პროცესში მათ ისე მიუახლოვდებოდა, რომ გადარჩენის შანსი აღარ ექნებოდა. მხოლოდ იმისი იმედი უნდა ჰქონოდა, რომ გზაში შეფერხდნენ, ან იღბალს მინდობოდა. რატომაც არა? მრავალჯერ გაუვლია ბეწვის ხიდზე და იღბალი ყოველთვის მოწყალე თვალით უყურებდა. იქნებ ამჯერადაც...

პირველი ტყვია მუცელში მოხვდა. ოუენი ზურგზე დაეცა. ქურთუკის კალთები აქეთ-იქით გაეშალა. MP–5-ს დაეყრდნო და წამოდგომა სცადა. არაფერი სტკიოდა. თავს იმ მოკრივესავით გრძნობდა, რომელსაც ვერაგმა მეტოქემ უროსავით მძიმე ხელთათმნიანი ხელი მთელი ძალით დაარტყა.

მეორე ტყვიამ თავი გაუკაწრა, რომელიც ისე აეწვა, თითქოს ვიღაცამ ჭრილობაზე სპირტი დაასხა. მესამე გულ-მკერდის მარჯვენა ნაწილში ეძგერა და ყველაფერი დასრულდა. კარაბინი ხელიდან გაუვარდა, ფეხებში ძალა გამოელია.

რა თქვა ჯოუნსიმ? ვინც სამყარო იხსნა, იმას ტრადიციული ხერხით უზღავენო. საწუწუნო არაფერი ჰქონდა: ბოლოს და ბოლოს, მილურსმნული იესო ექვსი საათის განმავლობაში კვდებოდა, თავზემოთ კი დამცინავი წარწერა გაუკრეს, და როდესაც კოქტეილის დრო მოვიდა, ძმარნარევი წყალი მიაწოდეს.

იგი ნახევრად იწვა დათოვლილ ბილიკზე, ბუნდოვნად ჩაესმოდა ვიღაცის ყვირილი, მაგრამ ეს მისი ხმა არ იყო. თითქოს უშველებელი გაბრაზებული ცისფერი ჩხიკვი იძახდა.

არწივია, – გაიფიქრა ოუენმა.

როგორც იქნა, შესუნთქვა მოახერხა, თუმცა, ამოსუნთქვისას ჰაერზე მეტი სისხლი ამოიღო, იდაყვებზე წამოწევა მოახერხა. ტყიდან გამოსულ ორ ფიგურას მოჰკრა თვალი. ისინი ფიჭვისა და არყის ხეებს გამოეყვნენ და მას წელში მოხრილნი უახლოვდებოდნენ, როგორც ბრძოლის დროს. ერთი მათგანი ჯმუხი და მხარბეჭიანი იყო, მეორე კი ჭაღარა, გამხდარი და ენერგიით აღსავსე. ჯონსონი და კურცი. ბულდოგი და მწევარი. მაშასადამე, იღბალმა უმტყუნა. საბოლოოდ, ყოველთვის ასე ხდება.

თვალებანთებულმა კურცმა მის გვერდით ჩაიმუხლა. ცალ ხელში გაზეთისგან გაკეთებული სამკუთხედი ეჭირა, შელახული, ნაპირებგადაკეცილი, უკანა ჯიბეში ხანგრძლივი დებისგან დაჭმუჭნილი, მაგრამ მაინც ადვილად საცნობი. სამკუთხა ქუდი. ჯამბაზის ქუდი.

– არ გაგიმართლა, მეგობარო, – თქვა კურცმა.

ოუენმა თავი დაუქნია. ასეა. არ გაუმართლა.

– როგორც ვხედავ, ჩემთვის საჩუქრის გასაკეთებლად დრო გამოგინახავთ.

– გამოვნახე.. შენს მთავარ მიზანს თუ მიაღწიე? – კურცმა ნიკაპით ჭაბურღილის შენობისკენ მიუთითა.

– ბოლო მოვუღე, – ძლივს უპასუხა ოუენმა. პირში სისხლი დაჰგროვებოდა. გადმოაფურთხა, შესუნთქვა სცადა და გაიგონა, როგორ სტვენით გამოვიდა ჰაერი ახალი ხვრელიდან.

– კარგია, – გულთბილად უთხრა კურცმა, – ყველაფერი კარგია, რაც კარგად მთავრდება, ხომ ასეა?

მან ფრთხილად დაახურა ოუენს თავზე სამკუთხა ქუდი. დაჭრილის პირიდან სისხლმა შადრევანივით ამოხეთქა და გაზეთში ამო-ს შესახებ დაწერილი სტატია წითლად შეღება.

სადღაც, წყალსაცავის მიდამოებში, კვლავ გაისმა წივილი. შესაძლოა, რომელიმე პატარა კუნძულიდან მოდიოდა ის ხმა, ყოფილი ბორცვიდან, რომელსაც, დატბორვის მიუხედავად, ჯიუტად წამოეყო წყლიდან თავი.

– ეს არწივია, – თქვა კურცმა და ოუენს მხარზე ხელი მოუთათუნა, – ჩათვალე, რომ გაგიმართლა. ღმერთმა ომის მაცნე გამოგიგზავნა, რათა გიმღეროს...

უეცრად კურცს თავი აუფეთქდა და იქიდან სისხლი, ტვინი და ძვლები გადმოიფრქვა. ოუენმა მოასწრო და კაცის ცისფერ, თეთრი წამწამებით მოარშიებულ თვალებში გაოცება და ურწმუნოება ამოიკითხა. წამით კურცი მუხლებზე იდგა, შემდეგ კი პირქვე დაეცა იმით, რაც მისი სახისგან დარჩა. მის უკან ფრედი ჯონსონი იდგა, რომელსაც კარაბინი ჯერაც არ დაეშვა ძირს. ლულას ბოლი ასდიოდა.

„ფრედი", – სცადა, ეთქვა ოუენმა, მაგრამ უმწეოდ მოძრავი ტუჩებიდან ერთი ბგერაც ვერ გამოსცა. ფრედიმ თავი დაუქნია. ალბათ, მიუხვდა სათქმელს.

– არ მინდოდა, მაგრამ ეს გაიძვერა ჩემს მოკვლასაც აპირებდა. თანაც ამდენი წლის ურთიერთობის შემდეგ. ამისთვის მისი აზრების წაკითხვა საჭირო არც იყო.

„დაამთავრე", – კვლავ სცადა, ეთქვა და ფრედიმაც ისევ დაუქნია თავი. შესაძლოა, მასში კიდევ იყო დარჩენილი იმ წყეული ტელეპათიის კვალი.

დაღლილი და დასუსტებული ოუენი თანდათან ტოვებდა ამქვეყანას. ღამე მშვიდობისა, საყვარელო ქალბატონებო, ღამე მშვიდობისა, დევიდ, ღამე მშვიდობისა, რაინდო. ღამე მშვიდობისა, მშვენიერო უფლისწულო.

გულაღმა იწვა თოვლში და თავს ისე გრძნობდა, როგორც ფუმფულა ლოგინში. სადღაც კვლავ ყვიროდა არწივი. ალბათ იმიტომ, რომ ისინი მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და თოვლიანი შემოდგომის სიმყუდროვე დაურღვიეს. მაგრამ მალე ყველანი წავიდოდნენ და იგი კვლავ მარტო დარჩებოდა თავის საბრძანებელში.

ჩვენ გმირები ვიყავით, – გაიფიქრა ოუენმა, – მიწა გამისკდეს, თუ ვტყუოდე. ჯანდაბას შენი ქუდი, კურც, ჩვენ გმირები...

ბოლო გასროლა ვეღარ გაიგონა.

30

ისევ ბათქაბუთქი, შემდეგ კი ისევ სიჩუმე. ჰენრი „ჰამერის“ უკანა სავარძელზე გარდაცვლილი მეგობრის გვერდით იჯდა და ვერ გადაეწყვიტა, როგორ ემოქმედა. შანსი, რომ იქ მყოფებმა ერთმანეთი ამოხოცეს, ძალზე მცირე იყო, იმის ალბათობა კი, რომ ეს კარგმა ბიჭებმა გააკეთეს, თუმცა, კარგმა ბიჭებმა კი არა, კარგმა ბიჭმა ყველა ცუდი ბიჭი სიცოცხლეს გამოასალმა – ნული.

ეს რომ დაასკვნა, პირველი, რაც გაიფიქრა, ის იყო, – „ჰამერს“ მივატოვებ და ტყეს თავს შევაფარებო. მაგრამ თოვლს რომ გახედა, ეს აზრი მაშინვე უკუაგდო (რა გააჭირა ამ თოვლმა საქმე). თუ კურცი და მისი თანამოაზრე თხუთმეტი წუთის განმავლობაში მოვიდოდნენ, კვალი ჯერაც არ იქნებოდა წაშლილი. გაჰყვებოდნენ მას და ცოფიანი ძაღლივით ან სინდიოფალასავით სულს გააფრთხობინებდნენ.

მაშინ იარაღი იშოვე და სროლა დაასწარი.

ასე ჯობდა. ცხადია, უაიეტ ერპს[222] ვერ შეედრებოდა, მაგრამ სროლა იცოდა. დიდი ფილოსოფოსობა არ სჭირდებოდა იმის ცოდნას, რომ მონადირე და ირემი, რომელზეც იგი ნადირობს, ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული არსებები არიან. ჰენრის ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ნორმალური ხილვადობის პირობებში, ორივე არამზადას ძირს დააწვენდა.

მან ხელი სახელურისკენ წაიღო, როდესაც ვიღაცის გაოცებული შეძახილი და გინება მოესმა, შემდეგ – დარტყმის ხმა და მორიგი გასროლა. ძალიან ახლოს. ჰენრიმ გაიფიქრა, ალბათ ვიღაცას ფეხი დაუსხლტა და დაეცა, თოფის სასხლეტს კი შემთხვევით გამოჰკრა თითიო. იქნებ იმ ნაბიჭვარმა თავი მოიკლა. შეიძლებოდა, ამის იმედი ჰქონოდა? კარგი გამოსავალი კი იქნებოდა...

---

[222] სასამართლოს აღმასრულებელი კანზასიდან; ზუსტი მსროლელი.

თუმცა არა. სასიხარულო არაფერი ჰქონდა: როგორც ჩანს, დაცემული წამოდგა. ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა და ჰენრი ასეც მოიქცა: კვლავ სავარძელზე გაწვა, დადიტსის ხელები მხრებზე დაიწყო და თავი მოიმკვდარუნა. დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ეს გაამართლებდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. პირველ ჯერზე ცუდი ბიჭები ძალიან ჩქარობდნენ და „ჰამერს" ისე ჩაუარეს, რომ ვერ შეამჩნიეს, ცოცხალი თუ იყო. ახლა კი აღარ მოტყუვდებოდნენ. მანქანაში გაკეთებული რამდენიმე ნახვრეტი, ჩამსხვრეული ფანჯარა და საბრალო დადიტსის ცხვირიდან და ფილტვებიდან გადმოღვრილი სისხლი მათ შეცდომაში ვეღარ შეიყვანდა.

ჰენრის თოვლის ჭრაჭუნი მოესმა. ხმის მიხედვით, მისკენ ერთადერთი ადამიანი მოდიოდა. ალბათ ის უსინდისო კურცი. უკანასკნელი გადარჩენილი ადამიანი. წყვდიადი ახლოვდებოდა. სიკვდილი დღის ბოლოს. იგი მეგობრად აღარ მიაჩნდა, – მხოლოდ თავს იკატუნებდა, რომ მკვდარი იყო, – მაგრამ ის მაინც ახლოვდებოდა.

ჰენრიმ თვალები დახუჭა და გაირინდა...

ვიღაცამ „ჰამერს" ჩაუარა და გზა განაგრძო.

31

ამჟამად ფრედი ჯონსონს უაღრესად პრაქტიკული სტრატეგიული მიზანი ამოძრავებდა: „ჰამერამდე" მიეღწია, როგორმე მოებრუნებინა, იქაურობას გასცლოდა და მშვიდობიანად გადაელახა ისთსტრიტზე გაჩენილი თხრილი (სადაც ცხვირი წაიმტვრია „სუბარუმ", რომელსაც ოუენი მისდევდა). თუ გზატკეცილამდე მიაღწევდა, დანარჩენზე მერე იფიქრებდა. სწორედ მაშინ, როდესაც ბოსის მანქანის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა, მასაჩუსეტსის ავტომაგისტრალი გაახსენდა. I-90-ის ორივე მხარეს დასავლეთ ამერიკის უდიდესი ნაწილი მდებარეობდა. უამრავი ადგილი იცოდა, სადაც დამალვას მოახერხებდა.

ცხვირში გაზებისა და ეთილის სპირტის საზიზღარი სუნი ეცა.

თითქოს სახეში სილა გააწნესო. პერლი! წყეული პერლი! იმ აურზაურში სულ გადაავიწყდა ის პატარა ნაბიჭვარი.

ფრედიმ კარაბინი შემართა... პერლი არ ინძრეოდა. მასზე ტყვიის დახარჯვა არც ღირდა. გადააგდებდა თოვლში და მორჩა. თუ გაუმართლებდა, გამოუღვიძებლად გაიყინებოდა. ის და მისი დამპალი...

მაგრამ პერლის არ ეძინა. არც გონება დაჰკარგოდა. არც კომაში იმყოფებოდა. პერლი მკვდარი იყო. და ...რაღაცნაირად მოკუნტულ-დაპატარავებული. დანაოჭებული ლოყები ჩაცვივნოდა. თვალის ფოსოები უძირო ჭას მიუგავდა, ქუთუთოების თხელი ფენის ქვეშ მოთავსებული თვალის კაკლები სიღრმეში ჩაძირულიყო. კარს უცნაურად მიყრდნობოდა: ერთი ფეხი მაღლა აეწია, ლამის მეორეზე გადაედო, თითქოს სიკვდილის წინ პოპულარული მეთოდით სურდა გაზების გამოშვება. კომბინეზონის შარვალი დასვროდა და გამუქებოდა. სისველეში იჯდა, საიდანაც ფრედისკენ წითელი ბილიკები გაჭიმულიყო.

– რა ჯანდ...

უკანა სავარძლიდან გამაყრუებელი ხმაური გაისმა, გეგონებოდათ, ვიღაცამ სტერეოსისტემა ჩართო და ხმა ბოლომდე აუწიაო. ფრედიმ რაღაც მოძრაობას მოჰკრა თვალი. გაიხედა და უკანა ხედვის სარკეში საშინელ ქმნილებას მოჰკრა თვალი. სანამ რამეს მოისაზრებდა, ურჩხული ეცა, ყური მოაგლიჯა, ლოყა მოაჭამა, პირში შეუვარდა და ქვედა ყბაზე მოეჭიდა. შემდეგ არჩი პერლმუტერის ტრაწიანმა სინდიოფალამ ფრედის ნახევარი სახე ისე სწრაფად მოაცალა, როგორც მშიერმა კაცმა შემწვარ წიწილის ბარკალს – ხორცი.

ფრედიმ შეჰყვირა, სასხლეტს დააწვა და „ჰამერის" კარი დაცხრილა. ხელიც ასწია საზიზღარი ქმნილების მოსაცილებლად, მაგრამ ლორწოიან კანზე თითები უსხლტებოდა. სინდიოფალა უკან გადახ-

ტა, თავი გადასწია და თვალის დახამხამებაში გადაყლაპა მოპოვებული ალაფი. ფრედიმ ხელი კარის სახელურს დაადო, თუმცა გაღება ვერ მოასწრო. ურჩხული კვლავ ეცა მას, ამჯერად კისერსა და მხარს შორის. საუღლე ვენიდან შადრევანივით იფეთქა სისხლმა, „ჰამერის" სახურავს შეესხა და იქიდან მეწამული წვიმის სახით წამოვიდა. ფრედის ფეხები აუძაგძაგდა, გამალებით აჭერდა სატერფულებს, თითქოს „სტეპს" ცეკვავდა. საშინელი ქმნილება ისევ უკან გადახტა, წამით შეყოვნდა, შემდეგ ფრედის მხრებზე გასრიალდა და მის მუხლებზე დაეცა.

ფრედიმ ერთხელაც შეჰყვირა, როდესაც ურჩხულმა ელვისებურად მოაგლიჯა მამაკაცური ღირსება, მერე კი სამუდამოდ დადუმდა.

32

ჰენრი „ჰამერის" უკანა ფანჯრიდან აკვირდებოდა, როგორ ქანაობდა აქეთ-იქით მეორე მანქანის საჭესთან მჯდარი ფიგურა. სიამოვნებდა ხვავრიელად თოვა. წინა „ჰამერის" საქარე მინა სისხლს მოეთხვარა და თითქმის არ მოჩანდა, შიგნით რა ხდებოდა.

ისედაც ყველაფერს ხედავდა.

ბოლოს, საჭესთან მჯდარმა ფიგურამ მოძრაობა შეწყვიტა. მის უკან ვიღაცის ჩრდილი ისე წამოიმართა, თითქოს გამარჯვებას ზეიმობსო. ჰენრიმ იცოდა, რაც იყო. უკვე ენახა ის ჯოუნსის საწოლზე „კედელში გაკეთებულ ხვრელში". ფანჯარა იმ „ჰამერსაც" ჩამსხვრეოდა, მათ რომ მისდევდა. ეჭვი ეპარებოდა, რომ საზიზღარ ქმნილებას ინტელექტი გააჩნდა, მაგრამ რა დრო დასჭირდებოდა მას, სუფთა ჰაერის დასაფიქსირებლად?

„სიცივე არ უყვართ. ის მათ კლავს".

ეს ასე იყო, მაგრამ ჰენრის არ უნდოდა მისი ცოცხლად დატოვება. არა მარტო წყალსაცავთან სიახლოვის გამო – წყლის დგაფუნიც კი

ესმოდა. საიდანღაც უზარმაზარი ვალი გაჩნდა, ანგარიშის წარდგენა კი მხოლოდ მას შეეძლო. ჯოუნსი ხშირად ამბობდა, ვალის გადახდა ამქვეყნად ყველაზე საზიზღარი რამ არისო. ვალის გასტუმრების დრო დამდგარიყო.

იგი წინ გადაიხარა. იარაღი არ ჩანდა. როგორღაც ხელსაწყოების პანელს მისწვდა და პატარა უჯრაც შეამოწმა. ვერაფერი აღმოაჩინა, გარდა ბენზინის ქვითრების, ზედნადების და რბილყდიანი წიგნისა, სახელწოდებით „როგორ გავხდეთ საკუთარი თავის საუკეთესო მეგობარი".

ჰენრიმ კარი გააღო და თოვლში ჩახტა, მაგრამ ფეხები მაშინვე მოეკვეთა და საჯდომით დაეცა, გზად ზურგიც გაიკაწრა „ჰამერის" მაღალ ფრთაზე. ბარემ მიხმარე, ფრედი! ჰენრი გაჭირვებით წამოდგა. კვლავ დაუცდა ფეხი, მაგრამ მოასწრო და კარს ხელი სტაცა. შემდეგ ფრთხილად შემოუარა მანქანას, თან თვალს არ აშორებდა უკან გაჩერებულ მის ტყუპისცალს. საზიზღარი ქმნილება ჯერაც ვერ დაწყნარებულიყო და ხარბად თქვლეფდა მძღოლის ნარჩენებს.

– სადაც ხარ, იქ დარჩი, ლამაზო, – ჩაილაპარაკა ჰენრიმ და გადაიხარხარა. გრძნობდა, რა სიგიჟეც იყო ამ ჯოჯოხეთში სიცილი, მაგრამ თავს ვერ იკავებდა, – იქნებ ერთი-ორი კვერცხიც დაგედო? მე ხომ ეგმენი ვარ, ბოლოს და ბოლოს, შენი გულკეთილი მეზობელი ეგმენი. თუ გინდა, წიგნს მოგიტან, სახელწოდებით „როგორ გავხდეთ საკუთარი თავის საუკეთესო მეგობარი". წაიკითხავ?

ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა, სველ, მოყინულ თოვლზე სრიალ-სრიალით მიდიოდა, როგორც სკოლიდან მომავალი ბიჭი, უახლოესი ბორცვისკენ ციგით დასაშვებად რომ ემზადება. წონასწორობის შესანარჩუნებლად ხელს შიგადაშიგ „ჰამერს" ჰკიდებდა, თუმცა ირგვლივ ხელმოსაჭიდი სხვა არც არაფერი იყო. აკვირდებოდა, როგორ დახტოდა და ცელქობდა საზიზღარი ქმნილება. უეცრად ის გაქრა. ოჰო! სად ჯანდაბაში დაიკარგა? ჯოუნსის რომელიღაც სულე-

ლურ ფილმში, ასეთ დროს, შიშის მომგვრელი მუსიკა გაისმის. ტრაწიანი სინდიოფალების, კოსმოსური მკვლელების თავდასხმა, – გაიფიქრა ჰენრიმ და კვლავ გადაიხარხარა.

როგორც იქნა, ძარამდე მიაღწია. აი ის ღილაკიც, რომელსაც თითი უნდა მიაჭიროს, რათა უკანა ფანჯრის ჩამკეტი გაიხსნას... რა თქმა უნდა, თუ ჩამკეტი საერთოდ არსებობს. იქნებ არც არსებობს. საინტერესოა, როგორ შეძვრა ოუენი შიგნით? ჰენრის არ ახსოვდა. არ ახსოვდა და, რა ექნა. იგი ვერასდროს გახდებოდა საკუთარი თავის საუკეთესო მეგობარი.

ჰენრის სიცილისგან ცრემლები სდიოდა. თითი მიაჭირა ღილაკს და როცა უკანა ფანჯარა ჩამოიწია, შიგ შეიხედა. მადლობა ღმერთს, იარაღი იდო. არმიის შეიარაღებაში არსებული კარაბინები, იმის მსგავსი, ოუენმა ბოლო პატრულირებისთვის რომ აიღო. ჰენრიმ ერთ-ერთ მათგანს ხელი სტაცა და შეათვალიერა. დამცველი და რეჟიმის გადამრთველი ჰქონდა, მჭიდიც, რომელზეც ეწერა: „აშშ-ის არმია კალ. 5.56 ვაზნა 120“.

– ისეთი ადვილი გამოსაყენებელია, ბაირუსიც კი გაისვრის, – თქვა ჰენრიმ და ისეთი სიცილი აუტყდა, მუცელი ხელით ეჭირა. ამ დროს ფეხი დაუსხლტა და კინაღამ ზღართანი მოადინა. ფეხები და ზურგი სტკიოდა, გული კიდევ უფრო მეტად აწუხებდა... და მაინც იცინოდა. იგი ეგმენი იყო, ეგმენი, მოცინარი გიენა.

თოფშემართულმა ჰენრიმ კურცის „ჰამერს“ მძღოლის მხრიდან მოუარა (იმედი ჰქონდა, დამცველის ახსნა მოახერხა). ყურებში კვლავ შიშის მომგვრელი მუსიკა ჩაესმოდა, თუმცა მაინც ეცინებოდა. აი, ბენზობაკის თავსახური. ამას წყალი არ გაუვა. მაგრამ სად იყო გამერა[223], კოსმოსიდან მოსული საშინელება?

თითქოს მისი ფიქრების შესახებ შეიტყოო, – ჰენრი მხოლოდ ახლაღა მიხვდა, რომ ეს შესაძლებელი იყო, – სინდიოფალა თავით უკანა ფანჯარას დაეჯახა, იმას, რომელიც, საბედნიეროდ, ჩამსხვრევას

[223] ურჩხული, გიგანტური კუ იმავე სახელწოდების იაპონური ფილმიდან.

გადაურჩა. გასისხლიანებულ თავზე თმა და ხორცის ნაფლეთები მიჰკროდა. უსიცოცხლო, კოკოლობას[224] ლებნებივით თვალები ჰენრის მიშტერებოდა. ნუთუ იცოდა, რომ უკან სათადარიგო გასასვლელი იყო? შესაძლებელია. იქნებ, ისიც ესმოდა, რომ მისი გამოყენება სწრაფ სიკვდილს ნიშნავდა?

მან კბილები დაკრიჭა.

ჰენრი დევლინმა, რომელმაც ერთხელ ამერიკელ ფსიქიატრთა ასოციაციის პრემია დაიმსახურა „ნიუ-იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებული სტატიისთვის, სახელწოდებით „სიძულვილის დასასრული", პასუხად თვითონაც დაკრიჭა კბილები. თანაც სიამოვნებით. შემდეგ შუათითი ასწია. ეს ბივერისთვის. და პიტისთვის. კვლავ კმაყოფილება იგრძნო.

როგორც კი კარაბინი შემართა, სინდიოფალა – იგი, შესაძლოა, სულელი იყო, მაგრამ არც იმდენად – ქვევით ჩახტა. ჰენრის ეს არ ადარდებდა: ფანჯარაში სროლას ისედაც არ აპირებდა. მაგრამ თუ ის საზიზღარი ქმნილება იატაკზე იწვა, ჯობდა კიდეც. ბენზინს მიუჩოჩდი, ძვირფასო, – გაიფიქრა მან, კარაბინი ავტომატურ რეჟიმზე გადართო და ბენზობაკი დაცხრილა.

სროლის ხმამ კინაღამ დააყრუა. თავსახურის ადგილზე გვერდებგადაწეული დიდი ხვრელი გაჩნდა. ცოტა ხანს სხვა არაფერი მომხდარა. „ჰოლივუდურ ფილმს სულაც არ ჰგავს, იქ ყველაფერი საათის მექანიზმივით ზუსტად მუშაობს", – ამის გაფიქრებაღა მოასწრო ჰენრიმ და მაშინვე სტვენა და შიშინი მოესმა. სასწრაფოდ ორი ნაბიჯით უკან დაიხია, მაგრამ ფეხები მოეკეცა და დაეცა. სწორედ ამან გადაარჩინა მისი თვალები და, შესაძლოა, სიცოცხლეც. კურცის „ჰამერის" ძრავა ერთი წამის შემდეგ აფეთქდა. ალი მანქანის ქვემოდან დიდ ყვითელ ფურცლებად გამოვარდა. საბურავები ერთიმეორეზე მიყოლებით, ხმაურით გასკდა. შუშის ნამსხვრევები ყველა მხა-

[224] ყურძნის უჩვეულო ჯიში, ე.წ. ზღვის ყურძენი.

რეს ცვიოდა, მაგრამ ჰენრი მათ სასწაულებრივად გადაურჩა. აუტანელი სიმხურვალე იდგა. ჰენრი სწრაფად გახოხდა უკან. კარაბინი ღვედით ეჭირა და გიჟივით ხარხარებდა. გაისმა მეორე აფეთქების ხმა და ჰაერში შრაპნელმა დაიწყო სტვენა.

ჰენრიმ ხელი ნაძვის ტოტებს წაავლო და ისე წამოდგა, თითქოს თოკის კიბეზე მიცოცავსო. ბოლოს წელში გაიმართა. მძიმედ სუნთქავდა, ფეხები და ზურგი სტკიოდა, კისერიც, მაგრამ მაინც იცინოდა.

კურცის „ჰამერის" უკანა ნაწილი ალში გახვეულიყო. ჰენრის კარგად ესმოდა, როგორ ჭყიოდა შიგნით ცეცხლმოკიდებული ქმნილება.

შორიდან შემოუარა ალმოდებულ „ჰამერს", მარჯვენა კარის მხრიდან მიუახლოვდა და კარაბინი ჩამტვრეულ ფანჯარას დაუმიზნა. სახე მოეღუშა, რაღაცას გამალებით ფიქრობდა. უეცრად მიხვდა, რატომ ეჩვენებოდა ეს ყველაფერი იდიოტობად – „ჰამერის" ყველა ფანჯარა ჩამსხვრეული იყო, წინა საქარეს გარდა. ისევ აუტყდა სიცილი. რა სულელი ყოფილა! ნამდვილი სულელი!

„ჰამერის" ცეცხლმოდებულ კაბინაში საზიზღარი ქმნილება აქეთ-იქით აწყდებოდა, მთვრალივით ქანაობდა წინ და უკან. ნეტა რამდენი ვაზნა დარჩენოდა მჭიდში იმ შემთხვევისთვის, თუ ის წყეული ძუკნა გარეთ გამოაღწევდა? ორმოცდაათი? ოცი? ხუთი? რამდენიც უნდა ყოფილიყო, უნდა ემყოფინა და ისე გამკლავებოდა. ვერ გარისკავდა და ახალი მჭიდის ასაღებად მეორე მანქანასთან ვერ დაბრუნდებოდა.

მაგრამ საზიზღარი ქმნილება აღარ გამოჩენილა.

ჰენრი ხუთი წუთის განმავლობაში იდგა და მანქანას შესცქეროდა. შემდეგ გადაწყვიტა, რომ მეტი სანდოობისთვის ამდენივე ხანს დალოდებოდა. თოვდა, „ჰამერი" იწვოდა და თეთრი ცისკენ შავ კვამლს ბოლქვებად ისროდა. ჰენრი ხანძარს მისჩერებოდა და „დერის დღეებზე" გამართულ კარნავალზე ფიქრობდა: გარი U.შ. ბონ-

დსი „ახალ ორლეანს“ მღერის, ოჩოფეხებით ამაყად დაიარება გოლიათი, ლეგენდარული კოვბოი, აღგზნებული დადიტსი ერთ ადგილზე დახტის. შემდეგ დერის საშუალო სკოლის ჭიშკართან მდგარი პიტი გაახსენდა, რომელსაც ხელი ისე მოეღუნა და ისეთი სახე მიეღო, თითქოს სიგარეტს ეწეოდა. პიტი, რომელიც მარსზე NAშA–ს პირველი ექსპედიციის კაპიტნობაზე ოცნებობდა. არც ბივერი დავიწყებია მისი ფონზის ქურთუკითა და კბილსაჩიჩქნებით; ბივი, დადიტსს რომ უმღეროდა, – პატარა ბავშვის ნავი ვერცხლისფერი სიზმარია, – ბივი, რომელიც ქორწილის დღეს ჯოუნსის გადაეხვია და უბრძანა, ბედნიერი ყოფილიყო, ბედნიერი ყველა მათგანის მაგიერ.

ჯოუნსი.

როდესაც ჰენრი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ სინდიოფალა მოკვდა და დაიფერფლა, ბილიკს გაუყვა ჯოუნსის სანახავად. დიდი იმედი არ ჰქონდა, რომ ცოცხალი დახვდებოდა, მაგრამ რატომღაც, სასოწარკვეთილი მაინც არ იყო.

33

ამ სამყაროსთან ჯოუნსის მხოლოდ ტკივილი აკავშირებდა. თავდაპირველად მოეჩვენა, რომ მის წინ მუხლებზე მდგარი გაწამებული, გამხდარი, ლოყებჩაცვივნული და გამურული ადამიანი – სიზმარი, მისი წარმოსახვის ბოლო გაელვება იყო, რადგან ეს კაცი საოცრად ჰგავდა ჰენრის.

– ჯოუნსი? ეი, ჯოუნსი, აქ ხარ? – იმეორებდა ჰენრი და მის თვალებთან თითებს ატკაცუნებდა, – ჯოუნსის დედამიწა იძახებს.

– ჰენრი, შენ ხარ? მართლა შენ ხარ?

– მე ვარ, ეჭვი არ შეგეპაროს, – მიუგო ჰენრიმ და ხვრელში გაჩხერილ ძაღლს გახედა. შემდეგ კვლავ ჯოუნსის მიუბრუნდა და შუბლზე ჩამოყრილი, ოფლით გაჟღენთილი თმა უსაზღვრო სინაზით გადაუწია.

– სად იყავი, კაცო, ამდენ... – დაიწყო ჯოუნსიმ, მაგრამ ამ დროს

სამყარო შექანდა. ჯოუნსიმ თვალები დახუჭა, ყურადღება მოიკრიბა და თვალები ისევ გაახილა, – ...ხანს? მაღაზიაში? პურის ყიდვა ხომ არ დაგავიწყდა?

– არა, მაგრამ ჰოთდოგი დავკარგე.

– რა დოყლაპია ხარ! – ამოიხვნეშა ჯოუნსიმ, – შემდეგში მე წავალ.

– მაკოცე ტაკოზე, მეგობარო, – მიუგო ჰენრიმ. ჯოუნსიმ გაუღიმა და სიბნელეში ჩაიძირა.

ეპილოგი – შრომის დღე

სამყარო ნამდვილი ძუკნაა
ნორმან მაკლინი[225]

კიდევ ერთმა ზაფხულმა ჩაიქროლა, – გაიფიქრა ჰენრიმ.

თუმცა სამწუხარო არაფერი ჰქონდა. მშვენიერი ზაფხული იყო. შემოდგომასაც კარგი პირი უჩანდა. მართალია, წელს სანადიროდ ვერ წავიდოდა და სამხედრო უწყებიდან ახალი მეგობრების იშვიათი ვიზიტებისთვისაც როგორმე უნდა გაეძლო (ისინი უნდა დარწმუნებულიყვნენ, რომ ამ დროის განმავლობაში კანზე წითელი ღინღლი არ გასჩენია), მაგრამ შემოდგომა ცუდი მაინც არ იქნებოდა. სიგრილე, მზიანი დღეები, გრძელი ღამეები.

ზოგჯერ, შუაღამის გადასვლის შემდეგ, ძველი მეგობარი შემოუვლიდა ხოლმე. ასეთ შემთხვევებში ჰენრი კაბინეტში ჯდებოდა

[225] ამერიკელი მწერალი და მეცნიერი.

წიგნით ხელში და მის წასვლას ელოდა. მასაც სხვა აღარაფერი დარჩენოდა და წელათრევით ტოვებდა იქაურობას. მერე მზე მაინც ამოდიოდა. თუ ამაღამ ძილი დაგაკლდათ, მეორე ღამით აინაზღაურებთ, ძილი აუცილებლად მოგაკითხავთ ნანატრი შეყვარებულივით. ამას გასული ნოემბრის შემდეგ მიხვდა.

ჰენრი პეპერპონდის ნაპირზე, ჯოუნსისა და კარლას კოტეჯის პარმაღზე იჯდა და ლუდს შეექცეოდა. იქიდან კუებინის წყალსაცავის სამხრეთი ნაპირი სულ რაღაც ოთხი მილით იყო დაცილებული. ცხადია, ისთსტრიტიც.

ხელზე, რომლითაც „კურსის" ქილა ეჭირა, მხოლოდ სამი თითი ჰქონდა. ორი მოაჭრეს. ვერაფრით იხსენებდა, როდის მოეყინა: „კედელში გაკეთებული ხვრელიდან" დიფქათრუოდისკენ თოვლში გარბენისას, თუ მაშინ, როცა სახელდახელოდ შეკრულ ტოტებით ჯოუნსის გადარჩენილი „ჰამერისკენ" მიათრევდა. იმ შემოდგომაზე ბედმა თოვლში ადამიანების გადაყვანა არგუნა, თუმცა ეს ორგვარი შედეგით დაასრულა.

ვიწრო სანაპიროს გვერდით კარლა ჯოუნსიც მაყალს უყურებდა. მისგან მარცხნივ, დასაკეცი მაგიდის გარშემო, ნოელი ნახევრად შეხსნილი პამპერსით დაბაჯბაჯებდა. ხელში დამწვარი სოსისი ეჭირა და მხიარულად აქნევდა. ჯოუნსების დანარჩენი შვილები (სამნი), რომელთა ასაკიც სამიდან თერთმეტ წლამდე მერყეობდა, წყალში ჭყუმპალაობდნენ და ჟრიამულობდნენ. ადრე ჰენრი ფიქრობდა, რომ ბიბლიურ „ინაყოფიერეთ და იმრავლეთ"–ში გარკვეული აზრი იყო ჩადებული, მაგრამ ახლა ეჩვენებოდა, რომ ჯოუნსისა და კარლას ეს სიტყვები თავისებურად ესმოდათ. ყოველ შემთხვევაში, აბსურდამდე მიჰყავდათ.

უკან გასაწევმა კარმა გაიტკაცუნა. პარმაღზე ჯოუნსი გამოვიდა. ხელში ვედრო ეჭირა ყინულივით ცივი ლუდის ქილებით. კოჭლობდა, მაგრამ არც ისე ძლიერ. ამჯერად ექიმმა შორს მოისროლა ის,

რაც მას თეძოში ჰქონდა და მის ნაცვლად ფოლადი და ტეფლონი ჩაუსვა. თან დაარწმუნა, – ადრე თუ გვიან ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ, მეტი სიფრთხილე რომ გამოგეჩინათ, სერ, ძველი კიდევ ხუთ წელს გაგიძლებდათო. ოპერაცია თებერვალში გაუკეთეს, მას შემდეგ, რაც მან და ჰენრიმ სამხედრო დაზვერვის თანამშრომლებისა და ფსიქიატრების საზოგადოებაში ექვსკვირიანი „შვებულება" გაატარეს.

სამხედროებმა შესთავაზეს, სახსრის შეცვლის ოპერაცია „ძია სემის" ანგარიშზე ჩაეწერა, – სიმწარე, ასე ვთქვათ, ცოტათი დაუტკბეს, – რაზეც ჯოუნსიმ უარი განაცხადა, თუმცა არც მადლობის თქმა დავიწყებია. მოახსენა, რომ ვერც თავის ორთოპედს გამოაცლიდა ხელიდან სამუშაოს და ვერც იმ სიამოვნებას მოიკლებდა, რასაც სადაზღვევო კომპანიისთვის ანგარიშის წარდგენა ჰგვრიდა.

ახლა ორივეს მხოლოდ ის უნდოდა, ვაიომინგი რაც შეიძლება სწრაფად დაეტოვებინა. ცხადია, მშვენიერი ბინა ჰქონდათ (იმათი გემოვნებით, ვინც მიწის ქვეშ ცხოვრებას იყო მიჩვეული), სამზარეულო – როგორც ოთხვარსკვლავიან სასტუმროში (ჯოუნსიმ ათი გირვანქა მოიმატა, ჰენრიმ – თითქმის ოცი), ფილმები – საუკეთესო ხარისხის. მაგრამ ატმოსფერო ცოტათი დოქტორ სტრეინჯლავს[226] აგონებდათ. ჰენრისთვის ამ ექვსმა კვირამ, ჯოუნსისთან შედარებით, გაცილებით ცუდად ჩაიარა. ჯოუნსის, ძირითადად, თეძოს ტკივილი სტანჯავდა. მოგონებები კი სხეულის შესახებ, რომელსაც მისტერ გრეისთან ერთად იყოფდა, საოცრად სწრაფად გახუნდა და სიზმრებს შეერწყა.

ჰენრის კი პირიქით დაემართა – მოგონებები გაუმძაფრდა. მათ შორის ყველაზე საშინელი ბოსელს უკავშირდებოდა. სამხედროები, რომლებიც დაკითხვას აწარმოებდნენ, თავაზიანად ექცეოდნენ, მისდამი თანაგრძნობას იჩენდნენ, სულ არ ჰგავდნენ კურცს, ხალხს

[226] სტენლი კუბრიკის ანტიმილიტარისტული ფილმის „დოქტორი სტრეინჯლავი – ანუ როგორ გადავეჩვიე შიშს და შევიყვარე ბომბი" პერსონაჟი.

ცხვრის ფარასთან რომ აიგივებდა. მაგრამ ჰენრი ვერაფრით ივიწყებდა ბილს, მარშასა და დარენ ჩაილზებს, მისტერ-მარიხუანას-ნიუტონიდან. ისინი ხშირად სტუმრობდნენ მას სიზმრებში.

ასევე – ოუენ ანდერჰილი.

– დამხმარე ძალა, – განაცხადა ჯოუნსიმ, ლუდით სავსე ვედრო ძირს დადო და ხვნეშითა და მანჭვით მოკალათდა დაწნულ სარწეველაში ჰენრის გვერდით.

– კიდევ ერთი და მეტს ვეღარ დავლევ, – თქვა ჰენრიმ, – დაახლოებით ერთ საათში პორტლენდში ვბრუნდები და ალკოჰოლზე შემოწმების გავლა სულ არ მეპიტნავება.

– ამაღამ აქ დარჩი, – შესთავაზა ჯოუნსიმ და ნოელს გახედა. ბავშვი ფუმფულა საჯდომით მაგიდის ქვეშ, ბალახზე დაებერტყა და ახლა სოსისის ნარჩენს ჭიპზე გულმოდგინედ იჭერდა.

– და შენი ონავრების დაუსრულებელ ყურისწამღებ კონცერტს ვუსმინო? – მოიბუზა ჰენრი, – სხვათა შორის ჩემი მოტანილი მარიო ბავას საშინელებათა ფილმების კომპლექტი თუ მოგეწონა?

– სიმართლე გითხრა, მსგავს ფილმებზე რატომღაც გული ავიყარე, – მიუგო ჯოუნსიმ, – სამაგიეროდ, ამ საღამოს კევინ კოსტნერის ფესტივალი გვაქვს, „პირადი მცველით“ ვიწყებთ.

– აკი თრილერები აღარ მომწონსო?

– რა ეშმაკი ხარ, – თქვა ჯოუნსიმ, შემდეგ მხრები აიჩეჩა და გაიკრიჭა, – ისე გითხარი.

– ჩვენგან წასულ მეგობრებს გაუმარჯოს, – თქვა ჰენრიმ და ლუდის ქილა ასწია.

– წასულ მეგობრებს გაუმარჯოს, – გაიმეორა ჯოუნსიმ და ჰენრის მიჰბაძა.

მათ ქილები ერთმანეთს მიუჭახუნეს და დალიეს.

– რობერტა როგორაა? – იკითხა ჯოუნსიმ.

ჰენრის გაეღიმა.

– კარგად. დაკრძალვაზე მეშინოდა...

ჯოუნსიმ თავი დაუქნია. დადიტსის დაკრძალვაზე ისინი ორივე მხრიდან იჭერდნენ რობერტას, რადგან ის ფეხზე ძლივს იდგა.

– ...მაგრამ ახლა ცოტათი მოღონიერდა. ამბობს, ხელნაკეთი სუვენირების მაღაზია უნდა გავხსნაო. ცხადია, შვილი ძალიან ენატრება. ელფის სიკვდილის შემდეგ დადიტსი მისთვის ყველაფერი იყო.

– ჩვენთვისაც, – დაამატა ჯოუნსიმ.

– ალბათ მართალი ხარ.

– ისე მრცხვენია, ამდენი წლით რომ მივატოვეთ. ლევკემია ჰქონია, ჩვენ კი არც ვიცოდით.

– ვიცოდით, – არ დაეთანხმა ჰენრი.

ჯოუნსიმ შეხედა და წარბები აზიდა.

– ეი, ჰენრი! – დაიძახა კარლამ, – როგორი ბურგერი გინდა?

– კარგად შებრაწული! – გასძახა ჰენრიმ.

– როგორც გვიბრძანებთ, სერ! ჩემო კარგო, იქნებ ბავშვი აგეყვანა, თორემ მის სოსისზე უკვე მიწა უფრო მეტია, ვიდრე ხორცი. წამოიყვანე და მამამისს მიაბარე.

ჰენრიმ კიბე ჩაირბინა, ნოელი მაგიდის ქვეშიდან გამოიყვანა და მასთან ერთად პარმაღისკენ გაემართა.

– ენი! – მხიარულად შეჰყვირა წლინახევრის ნოელმა.

ჰენრი შეჩერდა. ჟრუანტელმა დაუარა. თითქოს მოჩვენება მიესალმაო.

– ამე, ენი! ამე! – ტიტინებდა ნოელი და ჰენრის ცხვირში ტალახიან სოსისს სჩრიდა.

– არა, გმადლობთ, ჩემს ბურგერს დაველოდები, – თქვა მან და სიარული განაგრძო.

– არ ინდა ემი სამელი? ("არ გინდა ჩემი საჭმელი?")

– ჰენრი თავისას შეჭამს, ჩემო კარგო. ეგ სისაძაგლე კი უნდა გამოგართვა. როგორც კი დანარჩენს გაამზადებენ, ახალს მიიღებ.

მან ნოელს ჭუჭყიანი სოსისი გამოართვა, შემდეგ ბავშვი მამამისს ჩაუსვა კალთაში და საფეხურზე ჩამოჯდა. იმ დროისთვის, როდესაც

ჯოუნსიმ თავის შვილს ჭიპი მდოგვისა და კეტჩუპისგან გაუსუფთავა, პატარას უკვე ეძინა.

– რას გულისხმობდი, როდესაც თქვი, ვიცოდითო? – ჰკითხა ჯოუნსიმ ჰენრის.

– კარგი რა, ჯოუნსი. შესაძლოა, მივატოვეთ ის ან მიტოვებას ვცდილობდით, მაგრამ ხომ არ ფიქრობ, რომ დადიტსმაც მიგვატოვა? ნუთუ, მართლა გჯერა, რაც მოხდა?

ჯოუნსიმ თავი ძალიან ნელა გადააქნია.

– ჩვენ გავიზარდეთ, ზოგი რამ დაგვავიწყდა, მაგრამ რიჩი გრენადოს ამბავმა ჩვენში სამუდამოდ ჩაიბუდა. იგივე დაგვემართა, რაც ოუენ ანდერჰილს რეიპლოუების გატეხილ თეფშთან დაკავშირებით.

ჯოუნსის იმ ამბის შესახებ დამატებითი შეკითხვების დასმა არაფერში სჭირდებოდა – ვაიომინგში საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ ერთმანეთისთვის ყველაფრის მოსაყოლად.

– ერთი ძველი ლექსი არსებობს იმ ადამიანზე, რომელიც ღმერთის გასწრებას ცდილობდა, – თქვა ჰენრიმ, – „ზეციური მწევარი"[227] დადიტსს, რა თქმა უნდა, ღმერთს ვერ შევადარებ, – ღმერთმა დამიფაროს, – მაგრამ ჩვენი მწევარი კი ნამდვილად იყო. ჩვენ რაც შეგვეძლო სწრაფად გავრბოდით, მაგრამ...

– სიზმართმჭერს თავი ვერ დავაღწიეთ, არა? – დაასრულა ჯოუნსიმ, – ეს ჩვენგან ვერცერთმა მოახერხა. შემდეგ ისინი მოვიდნენ. ბაირუსი. უტვინო სპორები სხვა რასის მიერ აგებული ხომალდით მოვიდნენ. სულ ეს იყვნენ, რაც ვნახეთ? მეტი არაფერი შეეძლოთ?

– ვფიქრობ, ამას ვეღარასოდეს გავიგებთ. შარშან შემოდგომაზე ჩვენ მხოლოდ ერთ შეკითხვაზე მივიღეთ პასუხი. საუკუნეების განმავლობაში შევყურებდით ცას და საკუთარ თავს ვეკითხებოდით, მარტო ვიყავით თუ არა ამ სამყაროში. ახლა ვიცით, რომ ჩვენ გარდა სხვაც ყოფილა. დიდი ამბავი! ჯერიტსენი... გახსოვს ჯერიტსენი?

ჯოუნსიმ თავი დაუქნია. ცხადია, ახსოვდა ტერი ჯერიტსენი –

---

[227] ინგლისელ პოეტ ფრენსის ტომპსონის (1859-1907 წწ.) პოემა.

საზღვაო ფლოტის ფსიქოლოგი იმ გუნდიდან, რომელმაც ვაიომინგში დაჰკითხა.

იგი ხშირად ხუმრობდა ძია სემის თვისებაზე, რომლის გამოც იგი აღმოჩნდა მსგავს მიყრუებულ ადგილას, სადაც ერთადერთი წყლიანი ადგილი ძროხებისთვის განკუთვნილი ლარს კილბორნის გუბურა იყო. ჯერიტსენი და ჰენრი დაახლოვდნენ, და თუ არ დამეგობრდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არსებული ვითარება ამას ხელს არ უწყობდა. ჯოუნსისა და ჰენრის კარგად ეპყრობოდნენ, თუმცა სტუმრებივით – არა. სამაგიეროდ, ჰენრი დევლინი და ტერი ჯერისტენი კოლეგები იყვნენ, ეს კი ყოველთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

– ჯერისტენმა თავიდანვე დაასკვნა, რომ ორი საკითხი გაირკვა: ის, რომ ამ სამყაროში ჩვენ გარდა სხვებიც არსებობენ, და რომ არც ერთადერთი გონიერი არსებები ვართ. ვცდილობდი დამერწმუნებინა, რომ მეორე პოსტულატი მცდარ ლოგიკას ეფუძნებოდა და ქვიშაზე აგებულ სახლს ჰგავდა. არა მგონია, რომ ბოლომდე დამიჯერა, მაგრამ მასში ეჭვის დათესვა მაინც მოვახერხე. ვინც ან რაც უნდა იყოს ბაირუსი, მათ ხომალდის აგება არ იციან. რასა, რომელმაც ხომალდი ააგო, შესაძლოა, გაქრა ან ბაირუსად გადაიქცა.

– მისტერ გრეი სულელს ნამდვილად არ ჰგავდა.

– გეთანხმები, ის საოცრად დაჭკვიანდა მას შემდეგ, რაც შენს თავში შეაღწია, ამას ვერ უარვყოფ. მისტერ გრეი ჯოუნსი გახდა. მან მოგპარა ემოცია, მეხსიერება, ბეკონისადმი სიყვარული.

– მე კი ბეკონი შემძულდა.

– ეს სულაც არ მაოცებს. მან ინდივიდუალობა წაგართვა, რაც ცნობიერების გადაგვარებას უწყობს ხელს. რაც შენ მარიო ბავას საშინელებათა ფილმებსა და სერჯიო ლეონეს ვესტერნებში მოგწონდა, რაც შიშსა და ძალადობას უკავშირდებოდა... მეგობარო, ეს ნაგავი მისტერ გრეის უყვარდა. ან რატომ არ უნდა ჰყვარებოდა თვითგადარჩენის პრიმიტიული საშუალებები? და როგორც მტრულ გარე-

მოში მოხვედრილი თავისი სახეობის ერთადერთი ცოცხლად დარჩენილი წარმომადგენელი, ყოველგვარ იარაღს იყენებდა, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა.

– ჯანდაბა! – თქვა ჯოუნსიმ და სახეზე აშკარად დაეტყო ის ზიზღი, რომელიც მასში ამ აზრმა გამოიწვია.

– არაფერი შეგეშალოს. „კედელში გაკეთებულ ხვრელში" შენ ის ნახე, რის დანახვასაც ელოდი, ის, რითაც თავი გამოიტენე „საიდუმლო მასალებისა" თუ „მესამე ხარისხის ახლო კონტაქტის" ყურებით. შენ ბაირუსი შეისუნთქე... ეჭვი არ მეპარება, რომ ეს იყო ერთადერთი ფიზიკური კონტაქტი. მაგრამ მისდამი სრული იმუნიტეტი აღმოგაჩნდა, ისევე, როგორც – ამჟამად ასეა დადგენილი – ადამიანთა რასის არანაკლებ ორმოცდაათ პროცენტს. რაც შენ შეგეყარა, ეს იყო განზრახვა, მცდელობა... ბრმად გამოსროლილი დირექტივა. დალახვროს ეშმაკმა, სიტყვები ვერ გამომიძებნია გამოსახატავად, რადგან ასეთი სიტყვები არ არსებობს. ვფიქრობ, მან იმიტომ შემოაღწია შენს თავში, რომ შენ დაიჯერე, თითქოს ის იქ იყო.

– მეუბნები, რომ კაცობრიობა კინაღამ მოვსპე ისტერიული დაორსულების ტიპური შემთხვევის გამო? – დაიწყო ჯოუნსიმ და ჰენრის ქვევიდან ახედა,

– არა, ცხადია, არა, – თავი გადააქნია ჰენრიმ, – ასე რომ ყოფილიყო, ყველაფერი უკვალოდ, უბრალო გაცივებისავით ჩაივლიდა. მაგრამ აზრი მისტერ გრეის შესახებ შენს თავში ისე გაიჭედა, როგორც ბუზი აბლაბუდაში.

– უფრო სწორად, სიზმართმჭერში.

– ჰო.

ორივენი დადუმდნენ. მალე მათ კარლა უხმობდა უძირო ზეცის ქვეშ სოსისით, ჰამბურგერებით, კარტოფილის სალათითა და საზამთროთი გაწყობილ სუფრასთან.

– იტყვი, რომ ეს დამთხვევაა? – ველარ მოითმინა ჯოუნსიმ, – რომ ისინი შემთხვევით აღმოჩნდნენ ჯეფერსონტრექტში სწორედ იმ

დროს, როდესაც იქ მე ვიყავი? და არა მარტო მე! შენ, პიტი და ბი-ვიც. და კიდევ დადიტსი, იქიდან სულ რაღაც ორი ასეული მილის და-შორებით, არც ეს დაგავიწყდეს. იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთთან დადიტსი გვაკავშირებდა. ის გვაერთიანებდა.

– დადიტსი ყოველთვის ორლესული მახვილი იყო. ერთი მხრივ, ჯოზი რინკენჰაუერი – მხსნელი, გმირი დადიტსი. მეორე მხრივ კი, რიჩი გრენადო – მკვლელი დადიტსი. მაგრამ დადიტსს ჩვენ ვჭირდე-ბოდით, რათა მის მოკვლაში დავხმარებოდით. ამაში დარწმუნებუ-ლი ვარ. ჩვენი ქვეცნობიერება უფრო ღრმად იყო ჩამარხული და მას სიძულვილითა და შიშით ვკვებავდით, გვეშინოდა, რიჩი გრენადოს სამაგიერო არ გადაეხადა, როგორც დაგვპირდა. ჩვენში ყოველთვის უფრო მეტი ბნელი აზრი იდო, ვიდრე დადიტსში. მისი სიბრაზე მხო-ლოდ იმას თუ გასწვდებოდა, რომ პალო რამდენიმე ციფრით უკან დაესვა, ისიც გამხიარულების მიზნით. და მაინც... ის შემთხვევა თუ გახსოვს, როდესაც პიტმა დადიტსს ქუდი თვალებზე ჩამოაფხატა და საბრალო ბიჭი კედელს შეეჯახა?

ჯოუნსის ახსოვდა, ოღონდ ძალიან ბუნდოვნად. ეს სავაჭრო ცენ-ტრში მოხდა. მაშინ ახალგაზრდები იყვნენ და მაღაზიებში ხეტიალი გართობად ითვლებოდა. ახალი დღე, იგივე ნაგავი.

– იქიდან მოყოლებული, როდესაც დადიტსის თამაშს ვთამაშობ-დით, პიტი ყოველთვის აგებდა. დადიტსი მას ყოველთვის აკლებდა ქულებს, ოღონდ ამას ვერავინ ვამჩნევდით, ეს უბრალო დამთხვევა გვეგონა, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რაც ბოლოს მოხდა, ამაში ეჭვი მეპარება.

– შენი აზრით, დადიტსმაც კი იცოდა, რომ ვალის გადახდა ამ-ქვეყნად ყველაზე დიდი საზიზღრობაა?

– მან ეს ჩვენგან ისწავლა, ჯოუნსი.

– დადიტსმა მისტერ გრეის საყრდენი წერტილი მისცა. გონებრი-ვი საყრდენის.

– ჰო, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ მან შენ ციტადელი მოგცა –

ადგილი, სადაც მისტერ გრეის დაემალე.

არა, – გაიფიქრა ჯოუნსიმ, – ეს არასდროს დამავიწყდება.

– ჩვენთვის ყველაფერი დადიტსიდან დაიწყო, – განაგრძო ჰენრიმ, – იმ წუთიდან, რაც მას შევხვდით, სხვებისგან განსხვავებულები გავხდით. შენ იცი, რომ ეს სიმართლეა. იმას, რაც რიჩი გრენადოსთან დაკავშირებით თავს გადაგვხდა, ჩვენს გონებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა. მაგრამ თუ შენს ცხოვრებას თვალს გადაავლებ, სხვა შემთხვევებსაც გაიხსენებ. ამაში დარწმუნებული ვარ.

– დეფანიაკი, – წყნარად ჩაილაპარაკა ჯოუნსიმ.

– ეს ვინღაა?

– ბიჭი, რომელიც ტყუილში ზუსტად იმ დღეს გამოვიჭირე, მანქანა რომ დამეჯახა. წარმოგიდგენია? არადა, იმ დღეს ტესტირებას არც დავსწრებივარ.

– ხომ ხედავ? მაგრამ სწორედ დადიტსმა გადატეხა წელში ის რუხი ნაბიჭვარი. მეტსაც გეტყვი. მგონი ისთსტრიტზეც დადიტსმა გადამარჩინა. როდესაც კურცის მოადგილემ „ჰამერში" შემოიხედა, რათა ჩვენს სიკვდილში დარწმუნებულიყო, მას თავში პატარა დადიტსი ეჯდა, რომელიც იმეორებდა: „სანერვიულო არაფერია, ბოს, განაგრძეთ თქვენი საქმე, ისინი მკვდრები არიან".

მაგრამ ჯოუნსის წინა აზრთან განშორება არ სურდა.

– მაშასადამე, ის, რომ ბაირუსმა ამხელა სამყაროში მაინცდამაინც ჩვენ ამოგვირჩია, შემთხვევითობაა და სხვა არაფერი? ჯერიტსენიც ასე ფიქრობდა. ამას ხმამაღლა არასდროს ამბობდა, თუმცა მისი აზრი ისედაც ვიცოდი.

– რატომაც არა? ბევრი მეცნიერი, ბრწყინვალე სტივენ ჯეი გულდის[228] მსგავსად, ფიქრობს, რომ დედამიწაზე სიცოცხლე ერთი შეხედვით წარმოუდგენელი დამთხვევების გრძელი ჯაჭვის წყალობით გაჩნდა.

---

[228] ამერიკელი პალეონტოლოგი, ბიოლოგ-ევოლუციონისტი და მეცნიერების ისტორიკოსი.

– შენც გჯერა ამ ვერსიის?

ჰენრიმ ხელები ასწია. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემას მხოლოდ ღმერთის დახმარებით თუ მოახერხებდა, ღმერთი კი ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში კვლავ შემოიპარა მის ცხოვრებაში. როგორც აღმოჩნდა – უკანა კარიდან, უძილო ღამეების სიმყუდროვეში. მაგრამ, ნუთუ აუცილებელი იყო ღმერთის მოხმობა ამის ასახსნელად?

– ჯოუნსი, მჯერა, რომ დადიტსი ჩვენ ვართ. L'enfant c'est moi … toi … tout le mond[229]. რასა, სახეობა, გენი; თამაში, სეტი და მატჩი. ერთობლიობაში ჩვენ ყველანი დადიტსი ვართ, და ჩვენი ყველა კეთილშობილური მისწრაფება სხვა არაფერია, თუ არა იმის ცოდნა, თუ სად დევს საუზმისთვის განკუთვნილი ყვითელი ყუთი, და როგორ უნდა ბოტასებზე ზონრის შეკვრა: „ას აგებ? ოტას აგებ?" ყველაზე უზნეო საქციელი კოსმოსური მასშტაბით იმას ჰგავს, როდესაც პალოს რამდენიმე ციფრით უკან დაასობ და გულუბრყვილო სახეს მიიღებ, თითქოს ვერაფერს ხვდები. სულ ესაა.

ჯოუნსი აღტაცებით მიაჩერდა მას.

– ეს ყველაფერი ან შთამაგონებელია, ან საშინელი. არც კი ვიცი, რა ვთქვა.

– ეს არც არის მნიშვნელოვანია.

ჯოუნსი ცოტა ხანს დაფიქრდა, შემდეგ კი იკითხა:

– თუ ყველანი დადიტსი ვართ, მაშ ვინ გვიმღერის? ვინ გვიმღერის იავნანას, ვინ გვაძინებს, როდესაც სევდა ან შიში გვიპყრობს?

– ოჰ, ამაში ღმერთი გვეხმარება, – მიუგო ჰენრიმ და მაშინვე ენაზე იკბინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. გულწრფელი განზრახვის მიუხედავად, მაინც წამოსცდა.

– მაშ, ღმერთმა შეუშალა ხელი უკანასკნელ სინდიოფალას, რომ მე-12 ჭაბურღილში არ ჩავარდნილიყო? ვინაიდან, თუ იგი წყალში აღმოჩნდებოდა, ჰენრი...

---

[229] "ბავშვი ეს მე ვარ... შენ ხარ... მთელი მსოფლიოა"... (ფრ).

სინამდვილეში უკანასკნელი – პერლმუტერიდან გამომძვრალი სინდიოფალა იყო და ეს მნიშვნელოვანი მოსაზრება სხარტ პასუხს მოითხოვდა.

– გეთანხმები – უსიამოვნება თავზე საყრელად გვექნებოდა, სულ ცოტა ორი წლის განმავლობაში მაინც. ვფიქრობ, საქმე მხოლოდ ბოსტონის ცენტრიდან ხალხის მასობრივი გაქცევით არ დასრულდებოდა. მაგრამ კაცობრიობის განადგურება? არა მგონია. ჩვენ მათთვის აუთვისებელი ტერიტორია ვიყავით. მისტერ გრეიმ იცოდა ეს. შენი ჩანაწერები ჰიპნოზის დროს...

– ამას ნუ მიხსენებ.

ჯოუნსიმ ორ მათგანს მოუსმინა და დაასკვნა, რომ ეს ვაიომინგში მის მიერ დაშვებულ შეცდომათაგან ყველაზე დიდი იყო. იგი საკუთარ თავს, ამ შემთხვევაში მისტერ გრეის უსმენდა – ღრმა ჰიპნოზის დროს იგი მართლაც მისტერ გრეი ხდებოდა – და ასე ეგონა, რომ ბოროტი მოჩვენება ლაპარაკობდა. ზოგჯერ ფიქრობდა, რომ ერთადერთი ადამიანი იყო მთელ დედამიწაზე, რომელსაც მთელი სიგრძე-სიგანით ესმოდა, თუ რას ნიშნავდა გაუპატიურებულის როლში ყოფნა. ზოგიერთი რამ უბრალოდ უნდა დაივიწყოს კაცმა. ასე ჯობია.

– მაპატიე.

ჯოუნსიმ ხელი აიქნია, – არაფერიაო, მაგრამ ძლიერ გაფითრდა.

– იმის თქმა მინდოდა, რომ ჩვენ ვართ კლასი, რომელიც სიზმართმჭერში ცხოვრობს. თვითონაც მძაგს ამის მოსმენა, იაფი ტრანსცენდენტალიზმი, კალის რგოლები ყურში, მაგრამ ზუსტ, შესაფერის სიტყვას ვერც ამ მოვლენას შეურჩევ. ოდესმე, ცხადია, საჭირო განმარტებაც მოიძებნება, ჯერჯერობით კი სიზმართმჭერიც გამოდგება.

ჰენრი შეტრიალდა. ჯოუნსიმ ნოელი უფრო მოხერხებულად დააწვინა და ჰენრის მიჰბაძა. კოტეჯის კარის თავზე ჰენრის მიერ ნა-

ჩუქარი სიზმართმჭერი ავგაროზი ეკიდა. ჯოუნსიმ იგი მაშინვე მიაჭედა იმ კათოლიკე გლეხივით, ჯვარზე გაკრული იესოთი რომ ცდილობს სახლიდან ვამპირების გაყრას.

– იქნებ ისინი, უბრალოდ, შენკენ მოილტვოდნენ, – ვარაუდი გამოთქვა ჰენრიმ, – ჩვენკენ. ხომ ტრიალდებიან ყვავილები მზისკენ, რკინის ნამცეცები კი მაგნიტს ეკვრის. თუმცა დანამდვილებით თქმა რთულია, რადგან ბაირუსი ჩვენგან ძალიან განსხვავდება.

– ისინი დაბრუნდებიან?

– რა თქმა უნდა, – მიუგო ჰენრიმ, – ისინი ან სხვები.

მან გვიანი ზაფხულის დღის ცისფერ ცას ახედა. წყალსაცავის მხრიდან არწივის ყივილი გაისმა.

– ვფიქრობ, ღირს ამაზე დაფიქრება, ოღონდ დღეს არა.

– ბიჭებო! – დაუძახა მათ კარლამ, – სადილი მზადაა!

ჰენრიმ ჯოუნსის შვილი აიტატა. წამით მეგობრების ხელები, მზერა და ფიქრები ერთმანეთს შეეხო. ჰენრიმ გაიღიმა. ჯოუნსიმ ღიმილითვე უპასუხა. ისინი ერთად ჩავიდნენ კიბეზე და გვერდიგვერდ გაუყვნენ გაზონს – ჯოუნსი ოდნავ კოჭლობდა, ჰენრის ხელში მძინარე ბავშვი ეჭირა. უკან მათ მხოლოდ ბალახზე გაფენილი მათი ჩრდილი მისდევდა, სხვა არაფერი.

ლოველი, მენის შტატი.
2000 წლის 29 მაისი

ავტორის ბოლოსიტყვაობა

არასდროს ისე მადლიერი არ ვყოფილვარ ჩემი პროფესიისა, როგორც „სიზმართმჭერის" წერისას (1999 წლის 16 ნოემბრიდან 2000 წლის 19 მაისამდე). მთელი ამ დროის განმავლობაში თავს საკმაოდ ცუდად ვგრძნობდი. წიგნი კი ამას მავიწყებდა. მკითხველი ნახავს, რომ ეს ფიზიკური დისკომფორტი, ნაწილობრივ, სიუჟეტშიც აისახა, მაგრამ ყველაზე უკეთ ის უდიდესი შვება მახსოვს, რომელსაც სიზმრებში ვპოულობდი.

ბევრი ადამიანი მეხმარებოდა. ერთ-ერთი მათგანი ჩემი ცოლი იყო, ტაბითა, რომელმაც უარი განაცხადა წარმოეთქვა რომანის თავდაპირველი სახელწოდება: „კიბო". არა მარტო უშნო სათაურად მიაჩნდა, არამედ ამტკიცებდა, ამით უიღბლობასა და უბედურებას ვეპატიჟებითო. დროთა განმავლობაში მეც იმავე დასკვნამდე მივედი. ახლა ტაბითა ამ რომანს არც „იმ წიგნს" უწოდებს და არც „ტრაწიან სინდიოფალებზე დაწერილ წიგნს".

დიდად ვარ დავალებული ბილ პულასგან, რომელმაც ავტომობილით კუებინის წყალსაცავზე წამიყვანა, აგრეთვე მისი თანმხლები

კოჰორტისგან, პიტერ დალდუჩის, ტერი კემპბელისა და ჯო მაკჯინინის შემადგენლობით. კიდევ ერთმა ჯგუფმა, რომლის წევრებმაც სახელის გამხელა არ ისურვეს, ეროვნული გვარდიის ავიაბაზიდან „ჰამერით" გამომიყვანა და ქარაფშუტულად დამრთო ნება, საჭესთან დავმჯდარიყავი. დამარწმუნეს, რომ ოღროჩოღრო გზებზე არ გავიჭედებოდი. ასეც მოხდა, თუმცა არც ბევრი დამაკლდა. უკან ტალახით მოთხვრილი, მაგრამ ბედნიერი დავბრუნდი. მათ მთხოვეს თქვენთვის გადმომეცა, რომ „ჰამერები" ტალახში უკეთ დადიან, ვიდრე თოვლში. ეს თავისებურება რომანშიც გამოვიყენე.

მადლობა აგრეთვე სიუზენ მოლდოუსა და ნენ გრემს „სქრიბნერიდან", ჩაკ ვერილს, წიგნის რედაქტორს, და ართურ გრინს, ჩემს აგენტს. არც რალფ ვიჩინანცას დავივიწყებ, საზღვარგარეთ ჩემი უფლებების დამცველ აგენტს, რომელმაც, სულ ცოტა, ექვსი ვარიანტი აღმოაჩინა, თუ როგორ უნდა მეთქვა ფრანგულად „აქ ინფექციის მსგავსიც კი არაფერია".

დაბოლოს. ეს წიგნი დაწერილია მსოფლიოში საუკეთესო ტექსტური პროცესორით – „უოტერმენის" ავტოკალმით. ამ გრძელი წიგნის ხელნაწერის პირველმა ვარიანტმა იმ ენის სამყაროში შემიყვანა, სადაც რამდენიმე წლის განმავლობაში არ ვყოფილვარ. ერთ ღამეს (როდესაც დენი გაითიშა) სანთლის შუქზეც კი ვწერდი. ოცდამეერთე საუკუნეში ასეთი რამ იშვიათობაა და მას დაფასება სჭირდება.

და მათ, ვინც ეს გრძელი გზა გაიარა: გმადლობთ ამ წიგნის წაკითხვისთვის.

სტივენ კინგი